

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის  
ინსტიტუტი

# პრიმიტივიზაცია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში

თბილისი  
2008

# სამეცნიერო რედაქტორი პროფესორი გიორგი ღლონტი

**სარედაქციო კოლეგია:**  
პროფესორი ოთარ გამყრელიძე  
პროფესორი ელიკო წიქლაური – ლამისი  
პროფესორი მანანა მოსულიშვილი  
პროფესორი პეტრე დაუთაშვილი  
პროფესორი გივი ლობჯანიძე

ISBN 978-9941-0-0549-7



აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ – ქართველოლოგიის, პუბლიცისტური და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდში) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი 019-08). წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, პუბლიცისტური და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

თბილისი  
2008



სახელმძღვანელო “კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა” მომზადდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის დირექტორი და პასუხისმგებელი რედაქტორი საქართველოს კრიმინოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე, ევროპის კრიმინოლოგთა ასოციაციის წევრი – პროფესორი გიორგი ღლონტია. წიგნის თანაავტორები ცნობილი მეცნიერები, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მკვლევარები და პროფესორები: გიორგი თოდრაია, ვასილ კვირიკაშვილი, ირაკლი გომიაშვილი და ლაშა ბრეგვაძე არიან. პროექტში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მანანა მოსულიშვილმა და გერმანიის საერთაშორისო სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის მაქს პლანკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა - ელიკო წიკლაური-ლაშინმა. წინამდებარე სახელმძღვანელო კრიმინოლოგიის კურსის პირველი სრულყოფილი სამეცნიერო გამოცემაა ქართულ ენაზე. სახელმძღვანელო შედგება 5 ნაწილისა და 25 თავისაგან.

პირველ ნაწილში აღწერილია კრიმინოლოგიის თეორია და მეთოდოლოგია, კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები, დანაშაუვისა და დაზარალებულის პრობლემის ანალიზის, აგრეთვე საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგიის საკითხები. განხილულია დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის პრობლემა; ავტორებმა განმარტეს კრიმინოლოგიის საგანი, როგორც მეცნიერება, განიხილეს მისი ევოლუცია ისტორიულ ასპექტში, განსაზღვრეს კრიმინოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.

მეორე ნაწილში ზოგადად არის განხილული დანაშაულობის პრობლემა საქართველოში და მოცემულია დანაშაულობათა სახეობების, კერძოდ, ძალადობრივი და ანგარებითი, ორგანიზებული და ტრანსნაციონალური, აგრეთვე მათი საშიში სახესხვაობების: ტერორიზმის, ადამიანების ტრეფიკინგის, ნარკობიზნესისა და კორუფციის კრიმინოლოგიური დახასიათება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი არასრულწლოვანთა და ქალების დანაშაულობას. მასალები ეყრდნობა საქართველოს ახალ კანონმდებლობას და უახლესი სტატისტიკური ინფორმაციითაა გაჯერებული.

მესამე ნაწილი ეძღვნება დანაშაულის პრევენციას და თეორიულ და პრაქტიკულ დონეებზე დანაშაულთან ბრძოლის უახლეს მეთოდებს. მოცემულ ნაწილში განხილულია აგრეთვე დანაშაულის საერთაშორისო კონტროლისა და მისი განმხორციელებელი ორგანიზაციების საქმიანობა.

მეოთხე ნაწილში აღწერილია დანაშაულის ახლის თეორიები, გაანალიზებულია კრიმინოლოგიის თეორიული ბაზა: კლასიკური სოციოლოგიური და პოზიტივისტური სწავლებები და თანამედროვე რადიკალური და ნეო-პოზიტივისტური მიმართულებები. დიდი ყურადღება ეთმობა თანამედროვე სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის კლასიკოსების: ე. დურკეიმისა და ე. სატერლანდის ნაშრომებს.

მეხუთე ნაწილი – საქართველოს სამართალდამცავი და დაცვის სისტემები არატრადიციულია კლასიკური კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოსთვის, მაგრამ ის უკვე აშშ-ის, კანადის და რიგი სხვა ქვეყნების სახელმძღვანელოების განუყოფელ ნაწილად იქცა. ჩვენი აზრით, მოცემული მასალის ჩართვა სახელმძღვანელოში, დანაშაულთან ბრძოლის საქმეში სახელმწიფოს როლისა და დანაშაულის პრევენციის ახალი მეთოდების დანერგვის შექანისთვის შეფასების საშუალებას მოგვცემს.

სახელმძღვანელო ეფუძნება უამრავ ბიბლიოგრაფიულ მასალას, თან ერთვის საპრეზენტაციო სლაიდები და მასალები პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი იურიდიული სკოლების სტუდენტების, დოქტორანტების, პედაგოგების, მეცნიერების, აგრეთვე პრაქტიკული მუშაკების და დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: თამარ წულიაია.  
დიზაინერი: ალექსანდრე ღლონტი.

Tinatin Tsereteli the Institute of the State and Law

# **CRIMINOLOGY**

## **AND CRIMINAL JUSTICE SYSTEM**

Tbilisi  
2008

**Scientific Editor**  
**Professor Georgi Glonti**

**Editorial board:**  
**Professor Otar Gamkrelidze**  
**Professor Eliko Tsiklauri-Lamich**  
**Professor Manana Mosulishvili**  
**Professor Petre Dautashvili**  
**Professor Givi Lobjanidze**

## Summary

“Criminology and the Criminal Justice System” was prepared with the financial support of the Georgian National Scientific Foundation.

Professor Georgi Glonti, chairman of the criminology association of Georgia and a member of the criminology association of Europe, was the director of this project and the chief editor of the textbook.

Co-authors of the textbook include well known researchers and professors at the Tsereteli Institute for State and Law: Irakli Godziashvili, Georgi Todria, Vasil Kvirikashvili, Lasha Bregvadze, as well as the dean of the Law Faculty of the Robakidze University, Manana Mosulishvili and researcher from International Criminal Law and Criminology Max Plank Institute Germany professor Eliko Tsiklauri-Lamich

This textbook, consisting of 5 parts and 25 chapters, is the first full course of contemporary criminology to appear in the Georgian language.

The first part «Theory and Methodology» provides a thorough description of criminological theory and methodology, an analysis of the particularities in the profiles of both criminals and victims, and addresses questions of international and comparative criminology.

The second part «Criminological Characteristics of Distinct Types of Crime» lays out the problem of crime in Georgia and provides an analysis of distinct types of offences. In particular, the following are looked at: violent and mercenary criminal actions, organized crime, transnational crime, terrorism, human trafficking, the drug trade, corruption, and crime committed by women and juveniles.

The third part of the textbook «Preventing Crime» looks at the question of crime prevention and contemporary methods in the struggle with crime. This section also considers the role and activities of transnational organizations in controlling crime.

The fourth part «Explanations of Crime in Criminological Theory» gives an overview of criminological theory that deals with the very essence of crime. This includes classical positivist criminological arguments, as well as modern radical and neo-positivist schools of thought. Special attention is paid to classical thinkers in sociology and criminology: E. Durkheim and E. Sutherland.

The fifth part, «The Georgian Criminal Justice System», does not usually make it onto a traditional course in criminology. However, considering the modern tendencies in American and European criminology the authors decided on the necessity of including this theme in the textbook. By including this section it is possible to analyze the role of law enforcement bodies and the judicial system in the prevention of and struggle against crime.

The textbook is based on a wide ranging bibliography which is complemented by the inclusion of slides and practice materials.

The textbook is intended for students in law faculties at higher educational establishments, post-doctorates, teachers, scholars, those involved in this area through their work, and also for the wider public interested in studying these problems.

# სარჩევი

## ნაწილი I. თეორია და მეთოდოლოგია

<i>თავი 1. კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება.</i>	
§ 1. კრიმინოლოგიის საგანი და მისი ევოლუცია.	1
§ 2. კრიმინოლოგია მეცნიერებათა სისტემაში.	24
§ 3. კრიმინოლოგიური ცოდნის სტრუქტურა.	30
§ 4. კრიმინოლოგიის მეთოდოლოგია.	32

<i>თავი 2. დანაშაულობა</i>	
§ 1. დანაშაულობის განსაზღვრა.	41
§ 2. დანაშაულობის რაოდენობრივი მაჩვენებლები.	55
§ 3. დანაშაულობის ლატენტიზაცია.	57

<i>თავი 3. კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკა</i>	
§ 1. დანაშაულის (დანაშაულობის) შესწავლის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების დახასიათება.	59
§ 2. სისხლისსამართლებრივი (სტატისტიკური) მეთოდი.	68

<i>თავი 4. საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია</i>	
§ 1. შედარებითი კრიმინოლოგიის ცნება.	72
§ 2. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წარმოება.	76
§ 3. თეორიათა შემოწმება.	80
§ 4. პრაქტიკული შედეგები.	81

<i>თავი 5. დამნაშავის პიროვნება და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი</i>	97
§ 1. დამნაშავის პიროვნების ცნება.	97
§ 2. დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება და დამნაშავის ტიპოლოგია.	102
§ 3. დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი და მისი მოტივაციის ფაქტორები.	111
§ 4. დანაშაულებრივი ქცევის ვიქტიმოლოგიური ასპექტი.	120

## ნაწილი II. ცალკეული დანაშაულების კრიმინოლოგიური დახასიათება

125

<i>თავი 6. დანაშაულობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე</i>	126
§1. დანაშაულობის კრიმინოლოგიური მაჩვენებლები საქართველოში.	129
§2. ძალადობრივი დანაშაული.	132
§3. ანგარებითი დანაშაული.	134
§4. ორგანიზებული დანაშაული.	135
§5. ტრანსნაციონალური დანაშაული.	137
§6. პროფესიული დანაშაული.	140

<i>თავი 7. ძალადობრივი დანაშაულობა</i>	145
§ 1. ძალადობრივი დანაშაულობის ცნება.	145
§ 2. ძალადობრივი დანაშაულობის ძირითადი ტენდენციები.	147

§ 3. ძალადობრივი დანაშაულობის დეტერმინაცია	149
§ 4. ძალადობრივი დანაშაულობის სოციალური კონტროლი.	154
<b>თავი 8. ანგარებითი დანაშაული</b>	165
§ 1. ანგარებითი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება.	165
§ 2. ანგარებითი დანაშაულის ჩადენის ძირითადი მიზეზები.	168
§ 3. ანგარებითი დანაშაულის პრევენცია.	171
<b>თავი 9. ორგანიზებული დანაშაულობა</b>	176
§1. ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციები.	176
§2. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაცია საქართველოში.	187
<b>თავი 10. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა</b>	196
§1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები.	196
§2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა; მსოფლიო ორგანიზაციების ძირითადი სახეობები.	206
§3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალური ხელყოფის ობიექტები საქართველოში.	209
<b>თავი 11. ადამიანთა ტრეფიკინგი</b>	216
§1. ადამიანთა ტრეფიკინგი – ცნება, კლასიფიკაცია და საკანონმდებლო რეგლამენტაციის საკითხები.	216
§2. კლასიფიკაცია.	220
§3. ადამიანის, როგორც დონორის ან კომერციული რეპროდუქციის მიზნით ექსპლუატაცია.	232
§4. ტრეფიკინგთან ბრძოლის საკანონმდებლო ღონისძიებები.	233
<b>თავი 12. ტერორიზმი</b>	239
§1. ტერორიზმის ცნება და არსი.	239
§2. ტერორიზმის სახეობები.	242
§3. ტერორიზმის გამოვლენის ფორმები.	244
§4. ტერორიზმის მიზეზები.	247
§5. ტერორიზმის თავიდან აცილება	249
§6. ტერორიზმის თავიდან აცილების ღონისძიებები.	251
§7. სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმთან საბრძოლველად.	253
<b>თავი 13. კორუფცია</b>	256
§1. კორუფცია, როგორც მოვლენა (ისტორიული ექსპურსი).	256
§2. კორუფციის გამოვლენის ფორმები.	260
<b>თავი 14. ნარკომანია და დანაშაულობა</b>	273
§1. ნარკომანია როგორც სოციალური პრობლემა.	273
§2. ნარკომანიის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური კვლევის ანალიზი.	281
<b>თავი 15. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება</b>	290

§1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება.	290
§2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია.	292
§3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკა.	295
<b>თავი 16. ქალთა დანაშაულობა</b>	300
§1. ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლის ისტორიული ასპექტები.	300
§2. ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები.	307
§3. ქალთა დანაშაულობის დეტერმინაციისა და მიზეზების ზოგიერთი კრიმინოლოგიური თავისებურება.	318
<b>ნაწილი III. დანაშაულის პრევენცია</b>	331
<b>თავი 17. დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები</b>	332
§1. დანაშაულობის პრევენციის თეორია: განვითარება, საგანი და სტრუქტურა.	332
§2. დანაშაულობის პრევენციის სისტემა და სუბიექტები.	333
§3. დანაშაულობის პრევენციის სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები.	337
§4. დანაშაულობის პრევენციის სამართლებრივი საფუძვლები.	340
<b>თავი 18. დანაშაულის საერთაშორისო კონტროლი</b>	341
§1. გაეროს საქმიანობა დანაშაულის საერთაშორისო კონტროლის სფეროში.	341
§2. ინტერპოლი – როგორც დანაშაულის საერთაშორისო კონტროლის სუბიექტი	357
<b>ნაწილი IV. დანაშაულის ახსნის თეორიები</b>	366
<b>თავი 19. კრიმინოლოგიური სკოლები; ისტორიული ანალიზი</b>	367
§1. კრიმინოლოგიური თეორიის ფუნქცია, მნიშვნელობა და ხასიათი.	367
§2. კლასიკური სკოლა კრიმინოლოგიაში.	368
§3. პოზიტივისტური სკოლა კრიმინოლოგიაში.	371
§4. ანტროპოლოგიური სკოლა კრიმინოლოგიაში.	374
<b>თავი 20. ძირითადი სოციოლოგიური თეორიები რიმინოლოგიაში</b>	378
§1. ანომიის თეორიის ჩამოყალიბება.	378
§2. ანომიის დიურკემისეული ვერსია.	381
§3. ანომიის ამერიკანიზაცია.	389
§4. ძირითადი განსხვავებანი ანომიის თეორიის დიურკემისა და მერტონისეულ ვერსიებს შორის.	395
§5. ანომიის თეორიის გაგლენა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზე.	398
<b>ნაწილი V. საქართველოს სამართალდამცავი სისტემა</b>	402
<b>თავი 21. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები</b>	403
§1. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემა.	403
§2. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სამართლის წყაროები.	404

<b>თავი 22. სასამართლო ხელისუფლება</b>	407
§1. სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების დანაწილების სისტემაში და სასამართლო ხელისუფლების სისტემა	407
§2. მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები.	409
§3. საქართველოს საერთო სასამართლოები.	416
§4. მოსამართლე და მისი დანიშვნის წესი.	422
§5. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.	424
§6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.	425
§7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.	427
§8. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა.	430
<b>თავი 23. საქართველოს პროკურატურა</b>	435
§1. პროკურატურის კონსტიტუციური სტატუსი და სტრუქტურა.	435
§2. პროკურატურის სისტემის ორგანიზაცია და ფუნქციები.	436
§3. პროკურორის დანიშვნა, დაწინაურება, მომზადება/გადამზადება, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.	437
<b>თავი 24. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები</b>	439
§1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმები.	439
§2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა.	440
§3. საქართველოს პოლიციის სტატუსი და ამოცანები, მოვალეობები და უფლებები.	442
§4. პოლიციის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება.	444
§5. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა.	447
§6. პოლიციის კადრები, მათი წახალისება და პასუხისმგებლობა.	447
<b>თავი 25. დაცვის სისტემა; ადვოკატურა</b>	450
§1. ადვოკატურის ცნება, მისი როლი და ადგილი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.	450
§2. სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში (ომბუდსმენი).	471



# CONTENT

## Part 1 Theory and Methodology

### Chapter 1. Criminology as a science

- #1. The subject of criminology and its evolution
- #2. Criminology as a system of science
- #3. The structure of criminology
- #4. The methodology of criminology

### Chapter 2 Crime

- #1. The definition of criminality
- #2. Quantitative measurement of criminality
- #3. Latent criminality

### Chapter 3 Procedure of criminology research

- #1.Characteristics of specific criminological methods in the study of criminality
- #2.Criminal Justice Statistical Methods

### Chapter 4. International and comparative criminology

- #1. Definition of comparative criminology
- #2. Procedure of comparative criminology research
- #3.Control of theories
- #4.Practical results

### Chapter 5. Criminal profiles and the mechanisms of criminal behavior

- #1.Definition of a criminal
- #2.Criminal characteristics
- #3.The mechanism of criminal behavior and motivating factors
- #4.Aspects of victims

## Part II Criminology characteristics of distinct crimes

### Chapter 6. Main characteristics of criminality in contemporary Georgia

- #1. Criminology indicators of crime in Georgia
- #2. Violent crime
- #3. Property crime
- #4. Organized crime
- #5.Transnational crime
- #6. Professional crime

### Chapter 7. Violent crime

- #1. Definition of violent crime
- #2.Main trends of violent crime
- #3.Determination of violent crime
- #4.Social control of violent crime

### Chapter 8. Property crime

- #1. Criminological characteristics of property crime
- #2.Causes of property crime
- #3. Prevention of property crime

## **Chapter 9. Organized Crime**

- #1. Definition of organized crime**
- #2. Classification of organized criminal groups in Georgia**

## **Chapter 10 Transnational organized crime**

- #1. Definition and characteristics of transnational organized crime**
- #2. Transnational organized crime: worldwide criminal organizations**
- #3. Transnational organized crime encroachment objects**

## **Chapter 11 Trafficking of Human Beings**

- #1. Human trafficking – definition, qualification and questions of legal regulation**
- #2. Classification**
- #3. Human trafficking with purpose of transplantation and commercial reproduction**
- #4. Legal measures in the struggle with trafficking**

## **Chapter 12. Terrorism**

- #1. Definition and features of terrorism**
- #2. Variety of terrorist activities**
- #3. Forms of Terrorism**
- #4. Causes of Terrorism**
- #5. Prevention of terrorism**
- #6. Measures of prevention of terrorism**
- #7. International cooperation in combating terrorism**

## **Chapter 13. Corruption**

- #1. Corruption as social phenomenon (historical analysis)**
- #2. Methods of detecting corruption**

## **Chapter 14. Drug Addiction and Criminality**

- #1. Drug addiction as a social problem**
- #2. Analyses of sociological research on drug addiction**

## **Chapter 15. Criminological characteristics of juvenile crime**

- #1. Definition of juvenile crime**
- #2. Determination of juvenile crime**
- #3. Prevention of juvenile and youth crime**

## **Chapter 16. Female crime**

- #1. Historical aspects of female criminality**
- #2. Objectives and trends of female criminality**
- #3. Determination of female criminal activities: special features**

## **Part III. Prevention of Crime**

### **Chapter 17. Basic problems in preventing crime**

- #1. Theory of crime prevention: development, subject and structure**
- #2. System and subjects of crime prevention**
- #3. Social economic and organizational bases of crime prevention**
- #4. Legal bases of crime prevention**

## **Chapter 18. International control of criminality**

- #1. Functions and role of the UN in the sphere of crime control**
- #2. Interpol as an actor in international crime control**

## **Part IV. Explanatory theories in criminology**

### **Chapter 19. Schools of Criminology. Historical Analyses**

- # 1. Criminology theories functions, sense and characteristic**
- # 2. Classical schools in Criminology**
- # 3. Positivistic schools in Criminology**
- # 4. Antropological school in Criminology**

### **Chapter 20. Basic sociological theories in criminology**

- # 1. Development of theory of Anomie**
- # 2. Durchaim's version of Anomie**
- # 3. Development of Anomie in USA**
- # 4. Main distinction between Durhaim's and Merton's Anomie**

## **Part V. The Georgian Criminal Justice System**

### **Chapter 21. Georgian Criminal Justice System**

- #1. Georgian Law-enforcement system**
- #2. Legislation regulated activities of law-enforcement agencies in Georgia**

### **Chapter 22. Judicial power in Georgia**

- #1. The judicial system and its role in contemporary Georgia**
- #2. Basic principles of justice in Georgia**
- #3. Common courts in Georgia**
- #4. Judge appointment procedure**
- #5. Judge demission procedure**
- #6. Justice council of Georgia**
- #7. Constitutional Court of Georgia**
- #8. Structure of the Constitutional Court of Georgia**

### **Chapter 23. Prosecutor's General Office**

- #1 Constitutional Status and structure of the prosecutor general office**
- #2. Organization and functions of the Prosecutor General of Georgia**
- #3. Appointment, promotion trainings and re-trainings and criminal liability of Prosecutors**

### **Chapter 24. Ministry of Internal Affairs of Georgia.**

- #1. Reform of the Ministry of Internal Affairs**
- #2. Structure of the MIA**
- #3. Status of police and objectives, rights and duties**
- #4. Legal Rights of police in coercion, to use the deadly force, special means and weapons**
- #5. Operative and investigated functions of police**
- #6. Police Staff: encouragement and liability**

### **Chapter 25. Defense system. Advocacy**

- #1. Advocacy in Georgia: its role and specificities**
- #2. Ombudsman office in Georgia**

## სახელმძღვანელოს ავტორები:

1. პროფესორი გიორგი ღლონტი: ნაწილი I. თავი 4.; ნაწილი II. თავი 6, 9 – 12. ნაწილი III. თავი 17.
2. პროფესორი გიორგი თოდრია: ნაწილი I. თავები 1 – 2; ნაწილი II. თავი 7.
3. პროფესორი ირაკლი გოძიაშვილი: ნაწილი I. თავი 3, თავი 5; ნაწილი II. თავი 15.
4. პროფესორი ვასილ კვირიკაშვილი: ნაწილი II. თავი 14, თავი 16.; ნაწილი V. თავი 25.
5. მკვლევარი ლაშა ბრეგვაძე: ნაწილი IV. თავები 19 – 20.
6. პროფესორი მანანა მოსულიშვილი: ნაწილი V თავი 21 – 24.
7. პროფესორი ელიკო წიკლაური – ლამიხი: ნაწილი II. თავი 13.

## Authors of the Textbook

- 1 **Professor Giorgi Glonti** : Part I, Chapter 4; Part II, Chapters 6, 9-12; Part III, C17
2. **Professor Giorgi Todria**: Part I, Chapter 1-2; Part II, Chapter 7;
3. **Professor Irakli GodziaSvili**: Part 1, Chapter 3 and 5; Part II, Chapter 15;
4. **Professor Vasil Kvirikashvili**: Part II, Chapter 14 and 16; Part 5, Chapter 25
5. **Researcher Lasha Bregvadze**: Part IV, Chapters 19 and 20;
6. **Professor Manana Mosulishvili**: Part V, Chapters 21-24;
- 7 **Professor Eliko Tsiklauri-Lamich**: Part II, Chapter 13

# ნაწილი I. თეორია და მეთოდოლოგია

## თავი I. კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება

- § 1. კრიმინოლოგიის საგანი და მისი ევოლუცია
- § 2. კრიმინოლოგია მეცნიერებათა სისტემაში
- § 3. კრიმინოლოგიური ცოდნის სტრუქტურა
- § 4. კრიმინოლოგიის მეთოდოლოგია

## თავი II. დანაშაულობა

- § 1. დანაშაულობის განსაზღვრა
- § 2. დანაშაულობის რაოდენობრივი მაჩვენებლები
- § 3. დანაშაულობის ლატენტიზაცია

## თავი III. კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკა

- § 1. დანაშაულის (დანაშაულობის) შესწავლის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების დახასიათება
- § 2. სისხლისსამართლებრივი (სტატისტიკური) მეთოდი

## თავი IV. საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია

- § 1. შედარებითი კრიმინოლოგიის ცნება
- § 2. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წარმოება
- § 3. თეორიათა შემოწმება
- § 4. პრაქტიკული შედეგები

## თავი V. დამნაშავის პიროვნება და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი

- § 1. დამნაშავის პიროვნების ცნება
- § 2. დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება და დამნაშავის ტიპოლოგია
- § 3. დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი და მისი მოტივაციის ფაქტორები
- § 4. დანაშაულებრივი ქცევის ვიქტიმოლოგიური ასპექტი

# თავი I. კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება

## §1. კრიმინოლოგიის საგანი და მისი ევოლუცია

ტერმინი "კრიმინოლოგია" სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მოძღვრებას დანაშაულის შესახებ (კრიმინ - ლათინურად დანაშაულია, ხოლო "ლოგოს" ბერძნულად - მოძღვრება). ამასთან, აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა განიხილება უფრო ფართოდ და ამჟამად კრიმინოლოგია ეწოდება სოციალურ-სამართლებრივ მეცნიერებას, რომელიც იკვლევს დანაშაულობას, მისი წარმოქმნის, ფორმების არსებობის და ცვლილებების კანონზომიერებებს, მის დეტერმინანტებს, დანაშაულობის კონტროლის სისტემას.

კრიმინოლოგიის საგნის ბოლომდე გასაზრებლად საჭიროა, განვიხილოთ მისი განსაზღვრის ფორმა, შემდეგ კი დაეახსიანოთ კრიმინოლოგიის საგნის ელემენტები.

1. საგნის განსაზღვრის ფორმის განხილვისას ზუსტად უნდა გავიაზროთ ორი საკითხი: ა) რა სქემის მიხედვით ყალიბდება კრიმინოლოგიის საგანი? და ბ) რით განსხვავდება კრიმინოლოგიის საგანი კრიმინოლოგიის ობიექტისაგან?

კრიმინოლოგიის განსაზღვრებიდან გამომდინარე, საგნის ელემენტების სახით, შეიძლება, გამოვყოთ სამი კომპონენტი: 1) დანაშაულობა, 2) დანაშაულობის დეტერმინანტები და 3) დანაშაულობის კონტროლის სისტემა.

ძირითადად ისინი რამდენადმე სქემატურად ასახავენ დანაშაულობის დეტერმინაციისა და მისი შეცნობის მეთოდოლოგიური გზების მთელ სირთულეს. ეს ნიშნავს, რომ ელემენტების მოცემული სქემა დასრულებული სახით აღწერს აზრის ფორმირებას მიზეზობრივი განმარტებების ერთი დონიდან განმარტებათა უფრო მაღალ დონეებზე.

კრიმინოლოგია, როგორც ნებისმიერი სოციალური მეცნიერება, იწყება ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის აღწერიდან. შემდგომ ამ ემპირიული მასივიდან გამოიყოფა ქცევის ის ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველა დანაშაულისთვის. ამ მიმართულებით სტატისტიკურად განზოგადდება მონაცემები პიროვნების ზნეობრივი ჩამოყალიბების, კონკრეტული სიტუაციების თავისებურებების, დამნაშაის პიროვნების სხვა ნიშნების შესახებ და ა. შ.

განზოგადების აღნიშნული დონე სხვადასხვა ქვეყნების კრიმინოლოგიაში სხვადასხვაგვარად იწოდება. ამერიკაში მხედველობაში აქვთ "დანაშაულებრივი ქცევის წინამორბედი გარემოებები ანუ პირობები"<sup>1</sup>. რუსეთში იყენებენ ტერმინს - "ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი"<sup>2</sup>. მაგრამ, სახელწოდების მიუხედავად, აბსტრაქციის ეს დონე წარმოადგენს კრიმინოლოგიის საგნის კვლევის შუალედურ ეტაპს, რადგანაც აქ არ არის მოცემული დაბალი კულტურული დონის, ცუდი ოჯახიდან წარმომავლობის, აგრესიულობის და სხვა კონკრეტული ფაქტორების ასხნა.

დაბოლოს, აუცილებელია დანაშაულობის, მისი დეტერმინანტების კვლევის უფრო მაღალი დონე საზოგადოების საერთო ისტორიულ და სოციალურ პროცესებთან - ეკონომიკის განვითარებასთან, სულიერი კულტურის ზრდასთან და ა. შ. კავშირში.

დანაშაულობის პრობლემისადმი ასეთი მრავალდონიანი მიდგომა ერთობლიობაში აყალიბებს კრიმინოლოგიის საგანს. ამასთანავე, დანაშაულებრივი ქცევის წინამორბედი ობიექტური და სუბიექტური გარემოებანი (დამნაშაის პიროვნების ჩათვლით) არ შეიძლება განთავსდეს ერთ სიბრტყეში დანაშაულობის, მისი დეტერმინანტების და დანაშაულობის

<sup>1</sup> იხ. Т. Селлин, Социологический подход к изучению причин преступности – Социология преступности. М., "Прогресс". 1966., с. 28.

<sup>2</sup> იხ.: Механизм преступного поведения (Авт. колл.: Ю. М. Антоян, П. С. Дагель, О. Л. Дубовик и др. Отв. ред. В. Н. Кудрявцев). М. Наука, 1981

კონტროლის სისტემის გვერდით, რამდენადაც ეს უკანასკნელი მაღალი რიგის საზოგადოებრივ პროცესებს ასახავნ<sup>3</sup>.

კრიმინოლოგიის საგნის განსაზღვრებაში დანაშაულებრივი ქცევის წინამორბედი ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქმედების მექანიზმის (დამანაშავის პიროვნების ჩათვლით) არარსებობა არ ნიშნავს მის იგნორირებას. უფრო მეტიც, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება, კრიმინოლოგია შეისწავლის სოციალური მოვლენების და პროცესების ფართო წრეს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან დანაშაულობასთან და მისი წარმოშობის ბუნებასთან. მაგრამ საგნის განსაზღვრებაში არც ისინი ჩანან და ეს შემთხვევითი როდია.

საგნის განსაზღვრამ უნდა ასახოს კრიმინოლოგიის მეცნიერების არსი. სწორედ მისი თეორიული მიმართულება და პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა გახდეს ამოსავალ მომენტად დარგის შინაარსის წედობაში. ამიტომ კრიმინოლოგიის არსის დაყენება მხოლოდ საგნის ელემენტების ჩამონათვლამდე ბუნდოვანს ხდის კრიმინოლოგიის საგანს, თუ გათვალისწინებული არ იქნება მეთოდოლოგიური განზოგადების ძირითადი მიზანი.

განვიხილოთ მეორე საკითხი. კრიმინოლოგიის საბოლოო მიზანია დანაშაულობის დაკავშირება საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ კანონებთან. ამ გზაზე უნდა დადგინდეს დანაშაულობის ტიპობრივი ფორმები, არსებითი მიზეზობრივი კავშირები საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებთან და განისაზღვროს დანაშაულობის კონტროლის სისტემის მოდელი. ამ ძირითადი მიზნის მისაღწევად მეკვლევარი ანალიზის ობიექტად ირჩევს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს თვით კრიმინოლოგიური აზრიც, მისი მეთოდები და საშუალებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრიმინოლოგიის საგანი და კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი უნდა განვიხილოთ, როგორც თანასწორუფლებიანები. სამწუხაროდ, ზემოთ დასახვლებული ელემენტების გარდა, ზოგიერთი ავტორი კრიმინოლოგიის საგანს მიაკუთვნებს კრიმინოლოგიური მეცნიერების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს, მის ადგილს და როლს საზოგადოების ცხოვრებაში, კონკრეტული კრიმინოლოგიური კვლევების ორგანიზაციას, კრიმინოლოგიურ პროგნოზირებას და დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვას, დანაშაულობის შედეგების ლიკვიდაციას, დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესთა მართვას, დანაშაულობაზე მოქმედ ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებს, ე. წ. დევიანტური ქცევის სახეობებს და სხვადასხვა "ფორუმ" მოვლენებს (აღოთობას, ნარკომანიას, მემპეობას, ბავშვთა ზედამხედველობის გარეშე დატოვებას და ა. შ.), რომლებიც მჭიდროდა დაკავშირებული დანაშაულობასთან.

ამდგავარი მიდგომა ღრმად მცდარია, რადგანაც იგი უგულვებელყოფს მეცნიერების ძირითად მიზანს, რასაც მიეყვართ კრიმინოლოგიის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრის შეუძლებლობამდე. საგნის მეტისმეტი გაფართოება იწვევს კვლევის საზღვრების მოშლას, ხოლო შევიწროება – ძიების შესაძლებლობების შეზღუდვას.

2. კრიმინოლოგიის საგანი ყოველთვის არ ყოფილა ისეთი, რა სახითაც დღეისათვის არსებობს. მეცნიერების განვითარების კვალობაზე იგი ზუსტდებოდა, განიხილებოდა ხან ვიწრო, ხან უფრო ფართო ასპექტში. აღნიშნული საგნის ახლანდელი შემადგენელი ელემენტებიდან თავიდან ვეკლამ როდი დაიკავა მასში თავისი ადგილი.

კაპიტალიზმამდელი ეპოქების სოციალური წყობის პერიოდში დანაშაულობა არ მოიაზრებოდა, როგორც კანონზომიერი მოვლენა. საზოგადოებრივი წყობილება იდეალტიფიკირდებოდა ცენტრალიზებულ დესპოტურ სახელმწიფოსთან. ითვლებოდა, რომ მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში შეიძლება გაამყვებელიყო მშვიდობა და წესრიგი, ამ "ნორმალად" მცირე გადახვევაც კი ცალკეული ინდივიდის თვითნებობად მიიჩნეოდა. ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებობდა არავითარი კანონზომიერება და ყველაფერი მხოლოდ შემთხვევათა კონგლომერატს წარმოადგენდა. ამ პირობებში

<sup>3</sup> იხ. В. Н. Кудрявцев, Причинность в криминологии. М. «Юрид лит-ра». 1968., с. 71-72; ეს სკემა დაწერილებით განხილულია: В. Н. Кудрявцев, Причины правонарушений М. «Наука». 1976

დანაშაულთა მიზეზები მოიძიებოდა არა საზოგადოებაში, არამედ მხოლოდ ინდივიდებში, მის თვითნებობაში.<sup>4</sup> ასე რომ, მოცემულ ისტორიულ საფეხურზე კაცობრიობას არ შეეძლო შეემუშაებინა დანაშაულობის ცნება, რასაც ბევრად უწყობდა ხელს სახელმწიფო დიქტატი, როგორც მითვისების არსებითი ხერხი<sup>5</sup>.

დანაშაულობაზე წარმოდგენათა ეს პირველადი ფორმა მთლიანად სამართალურთიერობით იყო განპირობებული და ამით ხელი ეწყობოდა კრიმინოლოგიური მსოფლმხედველობის განუვითარებლობას. ამასთან, სწორედ მისი შესწავლა იძლეოდა დანაშაულობის დეტერმინაციაში სახელმწიფოს როლის გაგების გასაღებად, რასაც კრიმინოლოგიის საგნის ელემენტების შესახებ წარმოდგენების ურთულესი მეტამორფოზების გააზრება უნდა მოჰყოლოდა.

საუბრია იმაზე, რომ ყველა ეპოქაში დანაშაულობა წარმოგვიდგებოდა, როგორც წარმოქმნილ სოციალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის მცდელობა (როგორც გაუცხოების მოხსნის იარაღი), თუმცა აისახებოდა მხოლოდ, როგორც სისხლის სამართლის კანონის დარღვევა, ე.ი. როგორც ის ხერხი, რომელიც თითონ იწვევდა გაუცხოებას. დანაშაული არსებობდა, როგორც ინდივიდის მიერ საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა გადალახვის საშუალება, მაგრამ სამართლებრივ ურთიერთობაში პირდაპირ საპირისპირო ფორმით - საზოგადოებასთან დაპირისპირების ხერხად, საზოგადოებაში გაბატონებული სისხლის სამართლის კანონების დარღვევად გვევლინებოდა. ამიტომ ის ერთდროულად წარმოადგენდა განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტს - სისხლის სამართლის მოთხოვნათა დარღვევას. ამრიგად, დანაშაულობის მსოფლიო ისტორიაში საზოგადოებრივ ფაქტორებთან ერთად, ინდივიდებზე სახელმწიფო იძულების ფაქტორებზე უმეორეად დენდნ<sup>6</sup>, მაგრამ ტოტალური რეჟიმების პირობებში დანაშაულობა ცალმხრივად წარმოიჩინებოდა - როგორც მხოლოდ საზოგადოებასთან დაპირისპირების ხერხი, როგორც სისხლის სამართლის კანონების დარღვევა, როგორც ნეგატიური მოვლენა და ა.შ. სახელმწიფო იძულების ტოტალური განვითარება არ იძლევა დანაშაულობაში ინდივიდის წინაშე წარმოშობილი სოციალური წინააღმდეგობების დაძლევის უხეში მცდელობის დანახვის საშუალებას. დანაშაულობის ხედვის ეს დონე ასახავს სახელმწიფო იძულების ისეთ მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს მის განვითარებას სოციალური კონტროლის დონემდე. ასეთ ისტორიულ ეტაპზე დანაშაულობის "კონსტრუქცია" არ შეიძლება გახდეს კრიმინოლოგიის საგნის შემადგენელი ელემენტი, რადგანაც არ არსებობს მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტი - "სოციალური კონტროლი". სახელმწიფოებრივი იძულება ხომ ისტორიულად დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლითაა შეზღუდული და ჯერ-ჯერობით არაა განვითარებული სოციალური კონტროლის დონემდე.

<sup>4</sup> ტოტალიტარულ სახელმწიფოში სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა პირდაპირპროპორციულად არ გამოიხატება დანაშაულის ზრდაში, არამედ აისახება "რეგისტრირებულ" დანაშაულთა შემცირებისა და განაშაულოვს პირთა გაზრდილ რაოდენობაში (არა მარტო მსჯავრდებულთა, არამედ უმცირესი ეჭვის საფუძველზე საზოგადოებისაგან "მოსაკეცავად" განკუთვნილ პირთა ჩათვლით (იხ.: В.В.Лунеев. Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М. «Норма», 1977, с.77; с. 138; с.418.)

<sup>5</sup> ინგლისელი ფილოსოფოსი ა. კოლინზი წერდა, რომ "მოთხოვნები ეშმაკის ძაღლის შესახებ ეფუნდებოდა ერთთა სიცოცხლე და მეორეთა გულმრთველობას" და რომ "ჯადოქართა დასჯა სინამდვილეში იყო მკვლელობა", რადგან ემყარებოდა იმ ძალაუფლებას, რომლის წყალობითაც უამრავი სიცოცხლე და უდანაშაულო ადამიანის რეპუტაცია ნადგურდებოდა. (იხ.: А. Коллинз, Философское исследование человеческой свободы. Английские материалисты XVIII века. Т.2. М., 1967. С. 92).

<sup>6</sup> ამ საკითხს ჩვენ დავწერილებით დავუბრუნდებით სადისკუსიო თემის - წარმოადგენს თუ არა კრიმინოლოგია დანაშაულობის სოციოლოგიას ანუ სოციალურ-სამართლებრივ მეცნიერებას - განხილვისას. აქ კი აღინიშნათ, რომ, კრიმინოლოგია ნამდვილად წარმოადგენს სოციალურ-სამართლებრივ მეცნიერებას. მაგრამ ამ დებულების არსებული დასაბუთებები მეცნიერებაში ინდენად სუსტია, რომ ყოველთვის იბადება ეჭვი მათი მართლზომიერების თვალსაზრისით, განსაკუთრებით "დანაშაულობის სოციოლოგიის" მობრძეთა შორის, რომლებიც დანაშაულობის გააზრებისას სამართლის არსს სრულად ვერ ხედავენ.



კრიმინოლოგიის საგნის ჩამოყალიბების მეორე გარდამავალი ეტაპი ფიქსირდება იმ ქვეყნების ისტორიაში, რომლებიც იმყოფებიან კაპიტალის თავდაპირველადი დაგროვების სტადიაზე. მოცემული ისტორიული ეტაპისათვის დამახასიათებელია არაეკონომიკური იძულების, როგორც მითვისების წესის ნერვეა. მოცემული ისტორიული პერიოდის კრიმინოლოგიური წარმოდგენები გვიჩვენებენ, თუ როგორ გააღვანას ახდენს დანაშაულობის დეტერმინაციაში გარკვევის შესაძლებლობაზე იძულების არაეკონომიკური მეთოდებისაგან საზოგადოების თანდათანობით გათავისუფლება<sup>7</sup>.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ XIII საუკუნის დასასრულს ბევრ ევროპულ ქვეყანაში ძირი გამოუთხარა ფეოდალური დამოკიდებულების საფუძვლებს და მეურნეობის თავისუფალი გაძლიერების შესაძლებლობა შექმნა. იწყება გადასვლა შუა საუკუნეების წოდებრივ-მონარქიული წყობილებიდან ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის ახალ ფორმებზე. კაპიტალისტურ საბაზრო ურთიერთობათა ჩასახვა მოთხოვნს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მოქალაქის ავტონომიურობას, ხალხის ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების უმკაცრეს ტოტალიტარულ რეგლამენტაციაზე უარის თქმას.

მოცემულ ისტორიულ პირობებში დანაშაულობის ასახვა იწყებს დუალისტური ხასიათის მიღებას. ერთი მხრივ, მდგრად ხდება საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა, როგორც დანაშაულობათა საფუძვლის დაშეება, რადგანაც არაეკონომიკური იძულება კარგავს დომინირებულ მდგომარეობას და უკვე ეკონომიკურს ემორჩილება. მაგრამ მითვისების ეკონომიკური წესების განუყოფლობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი წინააღმდეგობები მოიაზრება როგორც სახელმწიფოს მხოლოდ უარყოფითი პრედიკატი,<sup>8</sup> ე. ი. როგორც სახელმწიფო მართვის, მისი კანონების ცალკეულ ნაყოფანებათა ერთობლიობა. სოციალური სამყარო სახელმწიფოსათვის ჯერ-ჯერობით გარე და გაუშვებარ მოვლენად რჩება, რომლის გადარჩენა არა საზოგადოებრივი ურთიერთობების შეცვლით, არამედ მხოლოდ საზოგადოებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების შეცვლით. ამრიგად, საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში, როგორც პეველი იტყოდა, მოიაზრება როგორც “ცარიელი არსი”.

მსგავსმა ობიექტურად განპირობებულმა თვალთახედვმა თავისი განსახიერება ჰპოვა იმ მოაზროვნეთა კონცეფციებში, რომლებიც მეცნიერებაში ცნობილინ არიან, როგორც სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები. მოცემული კონცეფციების მიხედვით, საზოგადოებრივი წყობა ჯერ-ჯერობით იდენტიფიცირდება ცენტრალიზებულ დესპოტურ სახელმწიფოსთან და მისი გარდაქმნა მოიაზრება მხოლოდ, როგორც თვით სახელმწიფოს, მისი კანონისა და სასჯელის ცვალებადობა. ყოფილი ფეოდალების თვითნებობას ცვლიდა თვითნებობა და ძალადობა მიწის დატაცების, წერილი ხელისნერი მეურნეობის ნერვეისას და ა. შ. მოკლედ, ერთი უკანონობის ადგილს იკავებდა სხვა ისტორიულად ახალი უკანონობა. -სამართლებრივი ფორმა იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ იგი არ იძლეოდა დანაშაულებრივი ქმედების, როგორც მასობრივი მოვლენის, რეალური საზღვრების დადგენის საშუალებას, რადგანაც თვითნებურად ხდებოდა მისი ჩანაცვლება რეპრესიებითა და განუკითხაობით. შემთხვევითი არაა, რომ მოაზროვნეთა მოთხოვნები მიმართული იყო სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის კანონის დამრღვევთა შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობის ბუნდოვანობის წინააღმდეგ.

ამ პირობებში სისხლის სამართლის ე. წ. კლასიკური სკოლის მომხრეების მიერ ხდება არსის, ვოლტერის, დიდრისა და მონტესკიეს პუმანიზმის იდეების გაღრმავება-

<sup>7</sup> ამ მიმართულებით აღნიშნული საკითხი ჩვენ განვიხილეთ სტატიაში: Г.Тодрия. «Проблемы рецепции моделирования криминалистических программ борьбы с преступностью - Уголовное право и преступность. D A A D. Божум. 2004, с.107-114.

<sup>8</sup> ეს კანონზომიერება ტიპობრივია არამართ XVII - XVIII საუკუნეების ევროპის სახელმწიფოებისათვის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვისაც, რომლებიც XX საუკუნის ბოლოს ასევე აღმოჩნდნენ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პირობებში.

განეითარება<sup>9</sup>. განმანათლებელთა იდეები მიმართული იყო ერეტიკოსების მიმართ დაუნდობელი წამებისა და მათი განადგურების, დამნაშავეებისადმი სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ. 1764 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ" ბეკარია მიუთითებდა: "დასჯის მიზანი მდგომარეობის მხოლოდ იმაში, რომ დამნაშავეს არ მიეცეს საშუალება, კვლავ მიაყენოს საზოგადოებას ზიანი და სხვებსაც ხელი ააღებინოს ასეთივე ქმედებაზე"; "რაც უფრო ადრე მოჰყვება დანაშაულს სასჯელი, მით უფრო სასარგებლოა და სასარგებლოა იგი"<sup>10</sup>. იგივე სულისკვეთებით აეთიარებდა იდეებს ჯონ ჰოვარდი თავის 1777 წელს გამოცემულ ნაშრომში "ციხეების მდგომარეობა ინგლისსა და უელსში"<sup>11</sup>.

XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში პოპულარი გახდა კანტის კონცეფცია სუბიექტური შერაცხადობის შესახებ. აქაც ვითარდება ანალოგიური თეზისი: "სასჯელი დამნაშავეს იმიტომ უნდა დაეკისროს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; ადამიანს ხომ არასოდეს უნდა მოეპყრო როგორც მხოლოდ სხვა პიროვნების მიერ მიზნის მიღწევის საშუალებას..."<sup>12</sup>.

კანონის არასრულყოფილებაზე ამახვილებს ყურადღებას ბენტამი. მონტესკიესა და ბეკარიას კედლაკვალ იგი თავის ნაშრომში "პანოპტიკუმში" აეთიარებს თემას სასჯელის თანაზომიერების აუცილებლობის შესახებ<sup>13</sup>. სასჯელის თანაზომიერების პრობლემას მიუძღვნა სისხლის სამართლის თავისი სახელმძღვანელო ფოიერბახსაც.<sup>14</sup> შემდგომში კლასიკური სკოლის იდეები განაეითარეს გროლმანმა, შტელცერმა, არენემ და რედერმა<sup>15</sup>.

კლასიკური სკოლის პრინციპების სულისკვეთებით პეგელი ვარაუდობდა, რომ სასჯელის ცნება და ზომა უნდა განისაზღვროს თვით ინდივიდის ქმედებიდან გამომდინარე. ამასთან ერთად, დიდმა ფილოსოფოსმა გამოთქვა აზრი, რომელმაც ბებრავ წინ გაუსწრო თანამედროვე კრიმინოლოგია. მას მიაჩნდა, რომ: "ქურდობა, ძარცვა, აგრეთვე სასჯელი უფლადი ჯარიმის ან ციხეში პატიმრობის სახითაა და ა. შ., ერთი შეხედვით, სრულებით არ შეესაბამება ერთმანეთს, მაგრამ თავისი ღირებულების და იმ უზოგადესი თვისების მიუხედავად, რომ ისინი დარღვევებია, შეადარებია"<sup>16</sup> მრავალი ათწლეულის შემდეგ ცხადი გახდება, რომ სხვადასხვა დანაშაულობანი მართლაც უტოლდება ერთმანეთს, როგორც კაპიტალის დაგროვების კანონის მატარებლები. ამით ქურდობაში, მკვლელობაში, ქრთამის მიცემასა და ა.შ. ხდება არამართო მათი შემთხვევითი, არამედ საკუთარი ტიპობრივი ნიშნების დაკარგვა. სოციალური კანონები გაუტოლრად აქცევენ სხვადასხვა დანაშაულს და წარმოშობენ ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა ფორმებს, შლიან არსებულ ზღვარს მართლზომიერებასა და არამართლზომიერებას შორის. სახელმწიფოები ერთეულებიან ბრძოლაში საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს თვითონვე მონაწილეობენ სახელმწიფო ტერორში იარაღის გაყიდვით, საექტო სამთარობო რეჟიმების მხარდაჭერით, სეპარატისმის დანერგვით, რთაც გზას უთავისუფლებენ მსოფლიო ნარკობიზნესს და ა.შ. სწორედ ამ გზით ზედაპირზე ჩნდებიან საზოგადოების ძირითადი პირობების დისფუნქციები. XX საუკუნის სოცოლოგიური თეორიების კრიტიკის იდეას "ექვბოთ თანასწორობასთან მიახლოება მათ ფასეულობაში (პეგელი) მიუბრუნდნენ რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგები, განსაკუთრებით ეს ჩანს ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემების განხილვისას. დანაშაულობის

<sup>9</sup> დაწვრ. იხ.: П.И.Новгородцев, Введение в философию права. Кризис современного правосознания. Санкт-Петербург. «Университет». 2000., с. 64-77

<sup>10</sup> იხ.: Ч.Беккариа, О преступлениях и наказаниях. М. 1939, с. 281

<sup>11</sup> ანაბლიზი იხ.: Казалет Э. А. О значении Джона Говарда в истории тюремной реформы. М., 1892.; Г. Слиозберг Д. Говард. Его жизнь и общественно-филантропическая деятельность. Биографический очерк (ЖЗЛ). СПб., 1891.

<sup>12</sup> იხ.: И.Кант. Метафизика нравов – Сочинения в 8 томах. М., т. 6., с. 366-367 .

<sup>13</sup> იხ.: И. Бентам, Тактика законодательных собраний. СПб, 1907; აგრეთვე იხ. მისი ნაშრომი: Введение в основания нравственности и законодательства. М., 1998.; Его же: Избранные сочинения, т. 1. СПб, 1867

<sup>14</sup> იხ.: П.А.Фейрбах, Уголовное право. СПб, 1810, с. 14.

<sup>15</sup> დაწვრლებით ანალიზი იხ.: С. Будзинский, Начала уголовного права. Варшава. 1870, с. 353-381.

<sup>16</sup> იხ.: Гегель. Философия права. М. 1990, с.150.

ფორმების რთული კრიმინოლოგიური კლასიფიკაციები XX საუკუნის დასასრულს ნათლად აჩვენებენ ამ იდეის სისწორეს<sup>17</sup>.

ამრიგად, სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის როლი კრიმინოლოგიის განვითარებაში მდგომარეობს იმაში, რომ მან დაინახა სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობა დანაშაულებრივი ქცევის საზღვრების გარკვევისას, მაგრამ მან ეს მხოლოდ დაინახა. დანაშაულობასთან ბრძოლის კატეგორია მხოლოდ ყალიბდებოდა და მას, როგორც კრიმინოლოგიის საგნის ელემენტს, ჯერ კიდევ დიდი გზა უნდა გაეკლავა დანაშაულობის სოციალური კონტროლის სახით ჩამოყალიბებამდე. ორი საუკუნის შემდეგ ასეთი გადასვლა ობიექტურად დაინახა. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ჩასახვის გარიჟრაჟზე კრიმინოლოგიის საგნის ძირითადი ელემენტი - დანაშაულობის სოციალური კონტროლი ჯერ კიდევ რთულად სცილდებოდა დანაშაულობასთან ბრძოლის ჩარჩოებს. ეს ელემენტი მხოლოდ პერსპექტივაში ისახებოდა.

ამასთან ერთად, საინტერესო მეტამორფოზებს განიცდის ისეთი კონსტრუქტი, როგორცაა "დანაშაულობა".

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს უკვე აღარ ძალუბს წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ახალი საზოგადოების გათავისუფლებულ ძალებს, რომლებიც ყალიბდება ფეოდალური დამოკიდებულების ყოველგვარი ბორკილისაგან გათავისუფლებული ადამიანებისგან. თითოეულს ბედით მინიჭებული აქვს შესაძლებლობა თავისი მოხერხებულობითა და უნარით გააკეთოს საკუთარი არჩევანი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნებისმიერი ქცევა, მათ შორის დანაშაულებრივიც, არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზმის წევრის ფუნქციას და შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ახირებით. ამიტომ XVIII საუკუნეში დანაშაულთა მთელი მასა ჯერ-ჯერობით, როგორც ცალკეული ინდივიდის აქტთა კონგლომერატად აღიქმება.

როგორც კანონზომიერება, დანაშაულთა მასა მოგვიანებით იქნება აღქმული, ეს მხოლოდ XIX საუკუნის მეორე მეოთხედში მოხდება. სწორედ ამ პერიოდში ხდება ქალაქებისა და ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ინდუსტრიულიზაციის გამო, პოლარიზაცია ღარიბებსა და მდიდრებს შორის, პაუპერიზაცია, დამანაშავეობისა და ალკოჰოლიზმის გახშირება, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ბრძოლის გაძლიერება და ა. შ. სტიმული იძლევა საზოგადოებრივი პრობლემებისადმი საყოველთაო ინტერესებისადმი. სოციალური სინამდვილის არსებული "ზნელი" მხარეების კვლევას შეუდგებიან ჯ. კეი-შატლვორტი - ინგლისში, ა. ვაგლერი - გერმანიაში, ა. ტიურგო, ჟ. ალაბერი, ჟ. კონდორსე, პ. ლაპლასი და სხვები საფრანგეთში<sup>18</sup>. ა. ჰარი და ა. კეტლე გამოიყენებენ სტატისტიკურ მეთოდებს და ბოლოს და ბოლოს იწყება დანაშაულობის, როგორც მასობრივი კანონზომიერების მეცნიერული ფიქსირება<sup>19</sup>.

ამრიგად, თავისუფალი კონკრეტის საზოგადოების განვითარებით, მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს "დანაშაულობის" კონსტრუქცია ყალიბდება, როგორც მომავალი კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი. მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოს ეს ელემენტი ჯერ კიდევ არ არსებობს.

შესაბამისი ცვლილებები დამახასიათებელი იყო კონსტრუქციისათვის "დანაშაულობის დეტერმინაცია". მის ჩამოყალიბებაზე თავის კვალს ტოვებდნენ სიმდიდრის დაკრთობის ძალადობრივი მეთოდები, რის შედეგადაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოება იესებოდა ჩაგრულებითა და უმუშევრებით, ყოველგვარი ფეოდალური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი ინდივიდებით. მოცემულ ისტორიულ პირობებში სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი საბაზრო ურთიერთობებით, რომლებიც

<sup>17</sup> აღნიშნული დებულება ჩვენ განვითარებულ სტატიაში: Г.Тодрия «Проблемы перестройки криминологического мышления»- журнал «Магиче», 1989, № 1, с. 102 - 111

<sup>18</sup> იხ.: В.И. Добренко, А.И. Кравченко. История зарубежной социологии. М. 2004, 136-138.

<sup>19</sup> იხ.: С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М.1977, с.34-35; R. Akers, Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxbury Publishing Company. Los Angeles, California. 1997, p. 35-57.

ამ დროს მხოლოდ ემპირიონულ ხასიათს ატარებდნენ<sup>20</sup>. ამიტომ საზოგადოება სახელმწიფოს დაქსაქსულ პირთა მილიონობით აქტისაგან შემდგარ ქაოსად წარმოუდგებოდა. ამის შედეგად სოციალური განზომილების რეალურ ერთეულად გამოდიოდა ინდივიდი, რამეთუ საზოგადოება იდენტიფიცირდებოდა ინდივიდებთან, რომელთაც არავითარი საერთო სოციალური კანონი არ აკავშირებდათ<sup>21</sup>. საზოგადოებაში დანაშაულთა მიზნების ძიების ტენდენციაც კონკრეტულ ინდივიდათა კვლევის ფარგლებში ისახებოდა.

მოგვიანებით ეს გაორებული თვალსაზრისი შეაფასა პეგელმა. როგორც იგი მიუთითებდა, მაშინდელი საზოგადოება შედგებოდა კერძო პირებისაგან და მათი მიზანი კერძო ინტერესი გახლდათ<sup>22</sup>. მაგრამ ეს მიზნები განპირობებული იყო სახელმწიფო მოწყობით, რაც ყველაფრის საფუძველს (პეგელის ტერმინოლოგიის მიხედვით "სუბსტანციურ განზოგადებას"<sup>23</sup>) წარმოადგენდა. ამიტომ სასებით კანონზომიერია, რომ საზოგადოების ასეთი მოწყობისას ინდივიდი განიხილებოდა ან სახელმწიფოს მოთხოვნათა გარეთ, ან მხოლოდ სახელმწიფოს სისხლის სამართლის მოთხოვნათა თვალსაზრისით. დანაშაულების მიზეზთა ძიების პირველი ტიპი, დამნაშავე ადამიანის კონცეფციების შესაბამისად, სწორედ ინდივიდებში ფიქსირდებოდა, ხოლო მიგომის მეორე ტიპი სისხლის სამართლის ე. წ. კლასიკური მიმართულების კონცეფციებით განიმარტებოდა.

დამნაშავე ადამიანის კონცეფციები ფრიად მრავალფეროვანია. საფრანგეთში - ი. გალის (1825წ.), ვუაზენის, კლევის, კლერკის, კასპერის, ბროკის, ლიევერნის (1837წ.); გერმანიაში - კასპერის (1854წ.), ა. ლალემანის (1862წ.); ინგლისში - ვინსლიუს, მეიუს, ტომსონის და დესპინის (XIX საუკუნის შუახანა) ნაშრომებში გამოკვლეულია ფიზიოლოგიური პრობლემატიკა ინდივიდის პენიტენციური რესოციალიზაციის კუთხით<sup>24</sup>. 1871 წელს ლომბროზო აქვეყნებს ნაშრომს "დამნაშავე ადამიანი", სადაც გამოკვლეულია დამნაშავეს ანთროპოლოგიური ანომალიები<sup>25</sup>.

ეს მიმართულება გაგრძელდა რ. გაროფალოს ნაშრომებში. პენიტენციური საკითხებისაგან განსხვავებით, მას სასჯელის დადების პრობლემა აინტერესებდა. 1880 წელს მან

<sup>20</sup> ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა, რომელიც ნათელს ჰფენს სახელმწიფოს, მაშინდელი საზოგადოების "სოციალურ სენუელბოთა" პრობლემისადმი დამოკიდებულების არამდგრადობას. 1801 წელს იგი იწვევს მოსახლეობის ინტენსიურ აღწერას. სტატისტიკურად ინტენსიურად აღიწერება საზოგადოების "სოციალური სენუელბები". მაგრამ მთავრობა მალე ხვდება, რომ გამოკვლევის იმ შედეგების ფართო გამოქვეყნება, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარებიან, მისთვის წამგებანი იყო და ამიტომ შეწყვიტა სტატისტიკური საზოგადოების საქმიანობა, 1810 წლიდან აკრძალა აღწერის შედეგების გამოქვეყნება, ხოლო 1812 წლიდან გააუქმა სტატისტიკური ბიურო, რომელიც ოფიციალურ და კერძო კვლევების კოორდინაციას ახორციელებდა. 1830 წლის ივლისის შემდეგ, როცა აქტუალური გახდა დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის პრობლემები, გამწვავდა მომუშავე მოსახლეობის მდგომარეობა, მთავრობამ ისევ აღადგინა ნაოლეონამდელი ეპოქის ზოგიერთი სტატისტიკური სამსახური. ამ პერიოდში საფრანგეთში, ისევე როგორც ინგლისში, ფართო გავრცელება პოვა სოციალურ-პიეიუნრმა მიმართულებამ, რომლის მიზანი მოსახლეობის ცხოვრების პირობების შესწავლა იყო.

<sup>21</sup> მთელი XIX საუკუნის განმავლობაში განმანათლებელთა ეპოქის ფილოსოფიურ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ისტორიული პროცესის სუბიექტად აღიარებული იყო ცალკეული პიროვნება, ცვლის წარმოდგენა ხალხზე, როგორც ისტორიულ ინდივიდზე, რომელიც წარმოშობს ენას, ზნეობას, სამართალს. ინდივიდუალურთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება მასობრივ სოციალურ მოღონებს. ცალკეული პიროვნება განიხილება, როგორც "კოლექტიური ინდივიდის" ნაწილია, როგორც მისი თვისებების მატარებელი. ცალკეული ქვეყნის ისტორია შეისწავლება, როგორც სახალხო ცხოვრების ისტორია. ეს პრინციპი მკაფიოდაა გ. სპენსერის, ო. კონტის, კ. მარქსის და სხვათა ისტორიის ფილოსოფიაში. (იხ.: Историческая психология. Учебное пособие. Санкт-Петербургский государственный университет <http://edc.pu.ru/library/catalog/bobrova.rtf>)

<sup>22</sup> იხ.: Гегель. Философия права. М. 1990, с. 231

<sup>23</sup> იქვე, გვ. 208

<sup>24</sup> იხ.: С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М. 1977, с. 48-49.

<sup>25</sup> იხ.: Ч. Ломброзо. Преступление. Новейшие успехи науки о преступнике. Анархисты (Сост. и предисл. В.С. Овчинского). М.: ИНФРА-М, 2004.

გამოაქვეყნა მონოგრაფია “სასჯელის პოზიტიური კრიტერიუმი”, ხოლო 1884 წელს - მონოგრაფია სახელწოდებით “კრიმინოლოგია”. ინდივიდისადმი მეცნიერის ინტერესი ძირითადად განპირობებული იყო სასჯელის დანიშნვის ეფექტური გზების ძიებით<sup>26</sup>.

იგივე სულისკვეთებით XIX საუკუნის დამდეგს ესკიროლის<sup>27</sup>, რეის, დაგვეილის მიერ დაწყებული გონებრივი არასრულფასოვნების კვლევა 1905 წელს ფრანგმა მეცნიერებმა ა. ბინემ და ტ. სიმონმა და გერმანელმა ფსიქოლოგმა ე. შტერნმა გააგრძელეს. გონებრივი ჩამორჩენილობის ტესტირება შემდგომში გაფართოდა ოჯახურ ურთიერთობათა მონოგრაფიულ კვლევაში, რომელიც დაიწყო 1908 წელს და დასრულდა 1920 წელს ნაშრომის - “ადამიანის უნარი და გონებრივი განვითარების დონეები” გამოცემით<sup>28</sup>.

სასჯელის გამოყენების თემა კვლავ ამოტივტივდა ე. წ. კონსტიტუციური მიდრეკილებების კონცეფციებში. თავიანთ ნაშრომებში - “დამნაშავეთა ენდოკრინული სისტემის შესახებ” (1924წ.), “ახალი კრიმინოლოგია” (ე. სმიტთან თანაავტორობით) მ. შლაპმა და ე. ხუტონმა (“ანტიკელი დამნაშავე”, 1939წ.) ჩამოაყალიბეს იდეა, რომლის თანახმადაც “დანაშაულობის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკურად, ფსიქიკურად და მორალურად შეუზღუბელი ინდივიდების აღმოფხვრის ან მათი სრული გამოყოფის და განწმენის (“ასპეტიკურ” გარემოში მოთავსების გზით.” პრაქტიკულად ამ იდეის რეალიზაციას სტიმული მისცა ედვარდ პოდოლსკის ნაშრომმა “დანაშაულებრივი ქცევის ქიმიური საფუძველი”, რომელიც 1955 წელს გამოიცა. ამის შემდეგ, ამერიკის ციხეებში შემოიღეს განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების ნეიტრალიზაციის პრაქტიკა ქიმიური პრეპარატების გამოყენებით<sup>29</sup>.

შელ და ელვონორა გლიუკების 1943 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა “დანაშაულებრივი კარიერები რეტროსპექტივაში”, მოითხოვდა 6-დან 15 წლამდე ასაკის პრეტენციური დამნაშავეების გამოყენებას სპეციალურად შედგენილი ტესტების მიხედვით და მათ იზოლაციას სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ სახლებში. საზოგადოებრიობამ დროულად უარყო ეს პროგრამა, რომელიც ფაქტობრივად ფეოდალური ინკვიზიციის აღდგენის გულისხმობდა<sup>30</sup>.

XIX საუკუნის ბოლოს ზიგმუნდ ფროიდმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქონალიტიკურ კონცეფციას. შემდგომში თავისი ძირითადი დებულებები მან განავითარა “სისმრების ახსნაში” (1900წ.), “ტოტემი და ტაბუში” (1913წ.), ლექციებში - “ფსიქონალიზის შესავალი” (1915-1917წ.), “სიამოვნების პრინციპის იქითა მხარეს” (1920წ.), ნაშრომში - “მე და ის” (1923წ.), “ფსიქონალიზის ნარკვევი” (1938). მისი თეორიის თანახმად, კონფლიქტები მატერიალიზებულია არაცნობიერის სფეროში და იმის გამო, რომ “ეგო”-ს არ ძალუძს მათი შეკაება, ისინი გამოხატულებას პოულობენ დანაშაულში<sup>31</sup>. ამ თეორიის სადავოების მიუხედავად, ისინი ემსახურებოდნენ სასამართლო მედიცინისა და არა კრიმინოლოგიის ამოცანებს. სასამართლო ექსპერტები ფსიქოგენური მეთოდების საშუალებით ცდილობდნენ, გარკვეულიყვნენ დამნაშავის ინსტიტუტსა და ზრახვებში, ჩაეღწიათ მისი პიროვნების ქვეცნობიერ სიღრმისეულ ფენებამდე<sup>32</sup>.

<sup>26</sup> მიმართულების თავისებურება, რომელსაც ემხრობოდა გაროფალი იხ.: П.А. Кабанов, Криминальная политическая антропология как частная политико-криминологическая теория. Нижнекамск. 2006.

<sup>27</sup> ესკიროლის გამოკვლევის შესახებ იხ.: Ю.В.Каннабих, История психиатрии. Л. «Государственное медицинское издательство». 1928.

<sup>28</sup> გონებრივი არასრულფასოვნების კვლევათა ანალიზი გონებრივი არასრულფასოვნების კვლევის შესახებ იხ.: В. Фоке. Введение в криминологию.М., «Прогресс». 1980, с.69-71; С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М.1977, с.116-118.

<sup>29</sup> იხ.: В. Фоке. Введение в криминологию.М., «Прогресс». 1980, с.72; С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М.1977, с.123-132

<sup>30</sup> აღნიშნულ გამოკვლევაში განვითარებული იდეა (Glueck Sh. & E. Criminal careers in retrospect. N.Y., 1943), გამოყენებული იყო დიფერენციური კავშირის თეორიაში - იხ.:Ш.Глюк, Теория и факт в криминологии. Критика теории дифференциальной связи- сб.: Социология преступности. М. «Прогресс». 1966, с. 106-113. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ნ. რაფტერმა (N. Rafter. Creating Born Criminals.. 1998.)

<sup>31</sup> იხ.: З.Фрейд, «Я» и «Оно». М. АСТ.Фолио. 2001

<sup>32</sup> იხ.: Г.Шнайдер, Криминология. М. «Универс». 1994.,с.72

ფსიქოპათებისათვის სასჯელის დანიშნვის პრობლემაში გარკვეულწილად ბიძგი მისცა ე. წ. გენეტიკური კრიმინოლოგიის კონცეფციის ჩამოყალიბებას. ფსიქიატრების ი. ლანგეს (გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული) და ფ. შტუმპფლის (გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები), მეცნიერების – დოგ დეილის, გოლარდის, ჯეკობსონის და სხვათა გამოკვლევებში აღწერილია სერიულ მკვლელებსა და სექსოპათებში სპეციალური ქრომოსომების გამოყოფის ცდები. დამნაშავეთა "მოკვების" პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთების გაფრთხეს წერტილი დაუსვეს გ. კაიზერმა და სხვებმა, რომლებმაც ანალოგიური გენური სტრუქტურა კანონმორჩილებშიც აღმოაჩინეს.<sup>33</sup>

XX საუკუნის შუაწლებიდან ეითარდება ე. წ. "კლინიკური მიდგომა". თავის მონოგრაფიაში "სოციალური დაცვის პრინციპები" ფ. გრამატიკამ გადმოსცა ამ მიდგომის ძირითადი დებულებები, რომელთა თანახმადაც სისხლის სამართლის პოლიტიკა, სოციალური დაცვის საფუძველზე, უფრო მეტად დანაშაულის ინდივიდუალურ პროფილაქტიკაზე უნდა ამოვიდეთ როინტირებული. ავტორი ძირითადად აყენებდა პენიტენციური შინაარსის ამოცანას – საზოგადოების დაცვას დამნაშავეებისაგან მათი ხელახლა აღზრდისა და სოციალიზაციის გზით. პრაქტიკის ანალოგიური ამოცანების შესაბამისად, ბ. ტულიომ გამოსცა წიგნი "კლინიკური კრიმინოლოგიის პრინციპები და სასამართლო ფსიქიატრია", რომელშიც შეიმუშავა სულით ავადმყოფთა კრიმინალური მიდრეკილებების კორექციის ზომები. ეს ტრადიცია გააგრძელა გ. პინატელმა, რომელმაც შემოგვთავაზა კლინიკური დიაგნოზის, პროგნოზისა და ხელახალი აღზრდის მეთოდები. შემდგომში ციხეებში დაინერგა ელექტროშოკის, ქირურგიული ჩარევის, სამკურნალო ნეიტრალიზაციის და სხვა მეთოდები.<sup>34</sup>

ინდივიდებში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების მიზეზების დადგენას ნეოკლასიციზმიც ცდილობდა. ამ მიმართულების მომხრეები გამოთქამდნენ რამდენიმე სოციალურ-რეფორმატორული ხასიათის მოსაზრებებს. მავალითად, წიგნში "საზოგადოების დაცვა და სისხლის სამართლის გარდაქმნა" (ბერლინი, 1910 წ.) ა. პრინსი აღნიშნავდა, რომ გასაკვირი არაა, როცა ადამიანები, რომელთაც, არ აქვთ არც ოჯახი, არც ტრადიციები, არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არც მუდმივი საქმიანობა, არც კავშირები მმართველ კლასთან, ავლენენ ეგოისტურ მიდრეკილებებს და ცნობენ მხოლოდ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მათი მატერიალური მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილებას.<sup>35</sup>

მაგრამ, თუ დამნაშავე ადამიანის კონცეფციები დანაშაულობის დეტერმინაციას განიხილავდნენ სიმდიდრის დაგროვებაში სახელმწიფო (არაეკონომიკური) იძულების როლისაგან დამოუკიდებლად, ნეოკლასიკოსები ამას პირიქით - არაეკონომიკური იძულების კუთხით უდგებოდნენ. ორივე შემთხვევაში "მიზეზი" თავად ინდივიდი იყარაუდებოდა. მაგრამ კონსტრუქციები არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ნეოკლასიკოსებმა გააფრთხილეს დანაშაულის განმარტების საზღვრები. ისინი საშიშ ქმედებად აღიარებდნენ არამარტო ქურდობას, ძარცვას, მკვლელობას, არამედ მკვანწლობასაც, რაც ინდივიდს დანაშაულისაკენ უბიძგებდა, დანაშაულობის დეტერმინაციის ნაცვლად, წარმოიშვა "საშიში მოვლენის" დეტერმინაციის კონსტრუქტი, რომლის ნიშნებიც ფრიად ბუნდოვან ხასიათს ატარებდა. პრინსი წერდა, რომ: "საერთო წესის მიხედვით, სოციალური საშიშროება დანაშაულობის შედეგია, მაგრამ მისი განჭვრეტა დანაშაულის ჩადენამდე და მისგან დამოუკიდებლად შეიძლება."<sup>36</sup>

სინამდვილეში დანაშაულობის დეტერმინაციის რეალური სურათი იმაში მდგომარეობდა, რომ სამდიდრის ძალადობრივი დაგროვება იმედროულად განვითარებდა მანუფაქტურებში "მოვიალე უსაქმურებისგან" ნებისმიერ პირობებში მუშაობას მოითხოვდა. სისხლის

<sup>33</sup> აღნიშნულ გამოკვლევათა კრიტიკა იხ.: Г. Кайзер, Криминология, (перев. с немецкого), Москва, 1999

<sup>34</sup> იხ.: Ж. Пинател, Методология сравнительной криминологии.- Проблемы сравнительного правоведения. М. 1978, с. 141

<sup>35</sup> იხ.: А. Принс. Преступность и репрессия. М., 1898, с. 5-9

<sup>36</sup> იხ.: А. Принс. Преступность и репрессия. М., 1898, с. 66.

სამართლის პოლიტიკა იძულებით მუშაობას მკაცრი სასჯელის და სისხლისსამართლებრივი დევნის გზით უზრუნველყოფდა. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე აღინშნავედა პრინსი, რომ “საშინია არა თავისთავად უსაკმეურობისა და მათხოვრობის ფაქტები, არამედ მუდმივი მიდრეკილება სიზარმაცისა და უსაკმეურობისკენ”. ამრიგად, უსიტყუოდ ამართლებდნენ რა იმ ფაქტს, რომ მაწანწალობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სიმდიდრის ძალადობრივი დაგროვების “შედეგი” (სისხლის სამართლებრივი დევნის სახით), ნეოკლასიკოსები ვერ ასახულებდნენ იმას, თუ რატომ უნდა გამხდარიყო მაწანწალობა სისხლის სამართლებრივი დევნის საბაბი (“მიზეზი”). ეს იყო ჩიხი კრიმინოლოგიის საგნის ფორმირების გზაზე, ვინაიდან კონტექსტუალური იყო ამოყვანილი კრიმინოლოგიის ძირითადი ელემენტი – “დანაშაულობა”.

ა. პრინსისაგან განსხვავებით, ფ. ლისტი იფარგლებოდა სისხლის სამართლის კანონის სრულყოფის და ინდივიდზე პენიტენციური ზემოქმედების ამოცანების პრობლემატიკით. იგი კრიმინოლოგიას ამ ასპექტში მოიაზრებდა. მისი აზრით, მკვლევარები დანაშაულობის მიზეზს ფეტიშიზებულიად სოციალურ გარემოში ხედავდნენ. სინამდვილეში კი იგი ფესვს იკიდებდა ინდივიდების ურთიერთმოქმედებაში, სადაც ისინი ერთმანეთს ბაძავენ<sup>37</sup>.

ბ. ტარდი მიზნობრივ დეტერმინაციას ზღუდავდა მხოლოდ საზოგადოებაში ქაოსით, ინდივიდების ურთიერთქმედებით, სადაც არაეკონომიკური იძულებით ხერხები არავითარ როლს თამაშობდნენ. ამიტომ მის პოზიციაში იკვეთებოდა სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისი, რომელიც საზოგადოებას განიხილავდა, როგორც ქაოსს<sup>38</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის დამდეგის კრიმინოლოგია წარმოდგენილი იყო შემდეგი დამახასიათებელი ელემენტებით:

- ა) დანაშაულებები ჯერ-ჯერობით არ აისახებოდა, როგორც მასობრივი კანონზომიერება, ისინი ობიექტულად აღიქმებოდა;
- ბ) დანაშაულთა დეტერმინაცია იფარგლებოდა ინდივიდის თვისებებით, რომლებიც განაპირობებდნენ დანაშაულებრივ ქცევას; ამ კუთხით დეტერმინაცია მოიაზრებოდა მარტო, როგორც დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედება. სოციალური კანონებისაგან დანაშაულობის ცვალებადობის დამოკიდებულების შესახებ აზრი ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული;
- გ) დანაშაულობის სოციალური კონტროლის იდეა ობიექტურად არ არსებობდა, მის ადგილს იკაებდა “დანაშაულობებთან ბრძოლის” კონსტრუქტი სასამართლოს, გამოძიების, უანდარმერის, კრიმინალუბთან ინდივიდუალური კონტაქტების გზით და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდში მიზეზის ძიების ორიენტაცია წარმოშობის მომენტიდან აგრძელებდა თავის არსებობას, მაგრამ განსხვავებული იყო ამ კონსტრუქციის ისტორიული პრობები.

კრიმინოლოგიურ მსოფლმხედველობაში ინდივიდისა და ინდივიდუალიზმის ინსტიტუტების აღორძინება XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებასა და სამრეწველო რევოლუციას უკავშირდება. მთელი საკაცობრიო ისტორია ამ პერსპექტივაში წარმოდგება, როგორც მოძრაობა ინკვიზიციის სიბნელიდან ცოდნის სინათლისაკენ, ინდივიდუალური ტყვეობიდან – თავისუფლებისაკენ. ცალკეული ადამიანი აღიარებული იქნა, როგორც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორი, და არა იმიტომ, რომ ის შვილი ან მამაა, გლეხი ან მმართველია, კლანი ან გილდიის წევრია. ამ აზრის დამკვიდრებას მოსდევდა შეგნება იმისა, რომ თითოეული ადამიანი განუმეორებელია და მას უფლება აქვს თავისუფლად განაუეთაროს თავისი განუმეორებლობა. მსგავსი იდეები XIX საუკუნის შუა პერიოდისათვის, როგორც ფილოსოფიური და

<sup>37</sup> იხ. Лист Ф. Задачи уголовной политики. Преступление как социально-патологическое явление (Сост. и предисл. В.С. Овчинского). М.: ИНФРА-М, 2004.

<sup>38</sup> იხ. Тард Г. Преступник и преступление. Сравнительная преступология. Преступления толпы (Сост. и предисл. В.С. Овчинского) - М.: ИНФРА-М, 2004.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი ჩამოყალიბდა და საზოგადოებრივ მოწყობასა და საზოგადოებრივ განვითარებაზე ევროპელების წარმოდგენათა ტრანსფორმაცია მოახდინა. ამჯერად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ცალკეული ინდივიდი, აბსტრაქტული "ადამიანი" მისი წარმოშობის, რასობრივი კუთვნილების, სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით და დიდი რაოდენობით მოწყობის ახალი წესის დამკვიდრება, რომლის ქვეყნზედა პიროვნების თავისუფლება გახდა<sup>39</sup>. ანტიფეოდალურმა რევოლუციამ ძიების სფეროდ ფეოდალური შეზღუდვებისაგან ეს-ესაა გათავისუფლებული ინდივიდების საზოგადოება აქცია. მოცემულ ისტორიულ პირობებში ეს მიდგომა საზოგადოების ახალი წყობის მოთხოვნილებების შესაბამისად შენარჩუნდა.

პროგრესის ეკალობაზე დანაშაულებრივი ქცევის "წინამორბედი გარემოებებისადმი" (ტ. სელინი) ინტერესი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პირობებში არ სუსტდება. ამ მიმართულებით მოქმედებენ პენიტენციური პრაქტიკის მოთხოვნები და სასჯელების დანიშნვის პრაქტიკა და არა საზოგადოების ძველი მოწყობისაგან გათავისუფლების ფაქტორები. ათულის ამ ორ საპირისპირო წერტილთა იგნორირებას მიეყვარათ კრიმინოლოგიის საგნის სპეციფიკის გაურკვევლობამდე უფრო მეტიც – პენიტენციური მეცნიერების, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის ამოცანათა აღრევაამდე. სხვათა შორის, კრიმინოლოგიის საგნის ფორმირების სერიოზული ისტორიული ეკლემების არ არსებობა ახლაც ბადებს იმ გაურკვევლობას, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერების საგნის ელემენტის სახით "დამნაშავის პიროვნების" განსაზღვრასთან.

სწორედ კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების გარეგანაზე ისმებოდა ტოლობის ნიშანი საზოგადოებასა და კონკრეტულ პიროვნებას შორის. ვარაუდობდნენ, რომ ინდივიდის შესწავლად იკვლევდნენ საზოგადოებას. დამნაშავის პიროვნება შეიძლება გამხდარიყო კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი იმ საზოგადოების საბაზრო ურთიერთობების განუვითარებლობის გამო, სადაც ხდებოდა კრიმინოლოგიის ჩანახევა. პროგრესის ეკალობაზე ყურადღების ცენტრში მართლაც გადაიტანებოდა სოციალურ წინააღმდეგობებზე, მაგრამ პენიტენციური მეცნიერებისა და სისხლის სამართლის პრაქტიკულ ამოცანებიდან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნებისადმი ინტერესი არ ქრებოდა. თვით კრიმინოლოგიის განვითარების ისტორია გამოყოფს კრიმინოლოგიის საგნიდან დამნაშავის პიროვნების კატეგორიას. წამოყენებული დებულების პირდაპირ დადასტურებას ანთროპოლოგიური, გონებრივი ჩამორჩენილობის და სხვა კონცეფციებით მოკლე ისტორიული ექსპურსი წარმოადგენს.

მსგავსი გამოკვლევების ნაკლოვანება მეოცე საუკუნის 50-იან წლებში თავის ნაშრომში "სოციოლოგიური წარმოსახვა" სოციალური პრობლემებისადმი კრიტიკული მიდგომის ერთ-ერთმა მიმდევარმა ჩარლზ მილსმა აღწერა. "პირადი სიძინელები, - წერდა იგი, - განისაზღვრება ინდივიდის სახით და სხვებთან მის უშუალო ურთიერთობით; ისინი ეხება მის "მე" -ს და საზოგადოების ცხოვრების იმ შეზღუდულ სფეროებს, რომლებსაც იგი პირადად იცნობს. შესაბამისად, ამ სიძინელთა გააზრება და გადალახვა არ გამოდის ინდივიდის, როგორც კონკრეტული ბიოგრაფიის მატარებლის, აგრეთვე მისი ცხოველქმედების უშუალო სფეროს, ე. ი. იმ სოციალური გარემოცვის ფარგლებიდან, რომლებიც განისაზღვრება მისი პირადი გამოცდილებით და გარკვეულწილად მისაწვდომია მასზე გააზრებული ზემოქმედებისთვის ... საზოგადოებრივი პრობლემები ჩვეულებრივ ეხება იმ ურთიერთობებს, რომლებიც სცილდება ინდივიდის უშუალო გარემოცვის და მისი შინაგანი ცხოვრების ფარგლებს... საზოგადოებრივი პრობლემებს საზოგადოებრივი ეწოდება იმიტომ, რომ მათი წარმოშობისას საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ფასეულებები, რომლებიც აღიარებულია საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ. ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს ფასეულობები და სახელდობრ რა ემუქრება მათ. საზოგადოებრივი პრობლემები ძირედად ექვემდებარებიან განსაზღვრას უბრალო ადამიანების უშუალო ყოველდღიური გარემოცვის ტერმინების

<sup>39</sup> იხ.: Зарецкий Ю.П. История европейского индизвида: От Мишле и Буркхардта до Фуко и Гринблатта. Препринт WP6/2005/05. — М.: ГУ ВШЭ, 2005. с.4-5.



მიხედვით. სინამდვილეში საზოგადოებრივი პრობლემები ხშირადაა დაკავშირებული ... "წინააღმდეგობებთან" ან "ანტიგონიზმებთან"... პრობლემა რომ სწორად ჩამოვაყალიბოთ და განესაზღვროთ მისი შესაძლებელი გადაწყვეტის დონე, მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები და არა მხოლოდ ცალკე ადამიანი ინდივიდების ძირადი სიტუაციები და განსაკუთრებით ხასიათის თავისებურებები<sup>40</sup>.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა დანაშაულობის ასახვის უფრო პროგრესული *სოციალური ანუ რეფორმისტული ფორმა*. ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე საქმე გვაქვს განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის საზოგადოებასთან, სადაც ყველა ურთიერთობა ეკონომიკური იძულებითაა განპირობებული. გაცვლის ძალაუფლება ყოვლისშემძლეა. თავად სახელმწიფო გამორჩეულ საბაზრო ურთიერთობების მონაწილედ და მხოლოდ ამის წყალობით – სახელისუფლო ძალის როლში. ეს არის XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი, როცა რიგ ქვეყნებში სამრეწველო გადატრიალება სრულდება.

კრიმინოლოგიის საგნის შესამჩნევი ევოლუციის ისტორიული პირობების არსი მდგომარეობის იმაში, რომ უმეტეს ევროპულ სახელმწიფოებში დაიწყო შრომის ნაყოფიერების ზრდა, რასაც განაპირობებდა ახალი ტექნიკის ფართო დანერგვა, მუშების კვალიფიკაციის ამაღლება და მომუშავეთა უნარის გამოყენების ხერხების გაძლიერება. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა გზით წარმოშობილი მონოპოლიები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ და მათ გადამწყვეტი როლის თამაში დაიწყეს კაპიტალისტურ მეურნეობაში. ისინი აკონტროლებდნენ ეკონომიკის გარკვეული დარგების უმეტეს ნაწილს. ყალიბდებოდა კავშირები მონოპოლიების შორის. ამასთან, მიმდინარეობდა მსაფრთე კონკურენცია, როგორც ერთმანეთში, ასევე მათ შიგნით მოგების განაწილებისას. ამის გამო უმსხვილესი კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიებზე და ფინანსურ ოლიგარქიებზე ამა თუ იმ ზომით დამოკიდებული აღმოჩნდა თოთქმის ყველა დანარჩენი ნაკლებად ძლიერი ქვეყანა. ბანკები, რომლებმაც მოახდინეს უამრავი წვრილი მეანობის სახსრების კონცენტრაცია, უსარმაზარი რაოდენობის კაპიტალს იღებდნენ, რომელსაც განათავსებდნენ ხან უცხო ქვეყნების სამთავრობო და კომუნალურ სესხებში, ხან საზღვარგარეთის სახაზინო საწარმოებსა და რკინიგზებში. პოლიტიკური გავლენა დასაკუთრებული ქონდათ არა იმდენად მრეწველებს, რამდენადაც ბანკებსა და ბირჟებს. ეკონომიკის ძირითადი პოზიციები – ბანკები, სამრეწველო გაერთიანებები, ტრანსპორტი, კავშირები კოლონიებთან, ვაჭრობა და ა.შ. ხელში ეჭირათ ფინანსისტთა მძლავრ ჯგუფებს, ხოლო რიგ ქვეყნებში - ფინანსისტებსა და მრეწველებს.

იზრდებოდა მისახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია. XX საუკუნის პირველ წლებში საფრანგეთში მუშაობდა მოსახლეობის 0,4%, მაშინ როცა 99,6% უმუშევარი იყო. ამასთან ერთად, იწყებოდა განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პროცესები – ციკლური კრიზისები<sup>41</sup>. განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინეს მუშათა პროფესიულმა კავშირებმა, ე.წ. სინდიკატებმა, რომლებიც მრავალრიცხოვანი გაფიცვებით იქცეოდნენ ყურადღებას, რაც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ამრიგად, წარმოიშვა საბაზრო ურთიერთობათა ახალი ისტორიული პირობები, ყალიბდება ახალი ტიპის საზოგადოება. შესაბამისად ისახება კრიმინოლოგიის ელემენტების განვითარების ახალი გზაც.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან მსოფლმხედველობა, რომელიც ახდენდა საზოგადოებისა და ინდივიდის იდენტიფიცირებას, წარსულს ჩაბარდა. პერიოდულმა ეკონომიკურმა კრიზისებმა 1825, 1836, 1847, 1857 წწ. დაარღვიეს წარმოდგენები, რომელთა თანახმადაც ადამიანთა ახირებათა გარეთ თვით საზოგადოებაში არ არსებობენ კანონები. ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ მოქმედებენ უზილაევი სოციალური კანონები, რომლებიც მართავენ დანაშაულობის კანონზომიერებას.

<sup>40</sup> იხ.: Ч.Р. Миллс. Социологическое воображение. М., 1998. г., с.17-18. (ინგლისურ ენაზე ეს ნაშრომი პირველად გამოვიდა 1959 წ.)

<sup>41</sup> იხ.: Развитие Франции в начале 20 века. (Под рук.В.И.Коренева). Орёл, 2002 г.

ნაწროში “სოციალური სისტემა” კეტლემ გააუღერა, რომ სამყაროში, სადაც ბევრნი ჯიუტად ხედავენ მოუწესრიგებელ ქაოსს, ფუნქციონირებენ ყოელისშემძლე და უცვლელი კანონები. მისი დასკვნით, საზოგადოება თავის წიაღში ატარებს ყველა მოსახდენი დანაშაულის ჩანასახს, ეინიდან თავად შეიცავს მათი განვითარების ხელშემწყობ პირობებს; იგი, ასე ვთქვათ, ამზადებს დანაშაულს, ხოლო დანაშაულები მხოლოდ იარაღია<sup>42</sup>. მაშასადამე, ყოველგვარი სოციალური მდგომარეობა გულისხმობს დანაშაულები გარკვეულ რიცხვსა და გარკვეულ წესრიგს, რომლებიც წარმოადგენენ მისი ორგანიზაციის აუცილებელ შედეგს. ეს დაკვირვება, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება პესიმისტურად გვეჩვენოს, პირიქით – ძალიან მანუგეშებელია, თუ მას ყურადღებით გავისტრატეგანებთ, აღნიშნავს კეტლემ, იგი იმუითიების ადამიანების სრულყოფის შესაძლებლობაზე, ჩვეების, დაწესებულებებისა და განათლების მდგომარეობის, გარემოს და საერთოდ ყველაფერი იმის გაუმჯობესებით, რაც გავლენას ახდენს მათ ყოფიერებაზე<sup>43</sup>.

განსახილველ ისტორიულ პერიოდში კრიმინოლოგიის საგნის ელემენტი “დანაშაულის დეტერმინაცია” დასაწყისში ეკლექტიკურად ყალიბდება. წიგნში “სისხლის სამართლის სოციოლოგია” ე. ფერი მადეტერმინებლად აღიარებს ანთროპოლოგიურ, ფიზიკურ და სოციალურ ფაქტორებს<sup>44</sup>. ამასთან, ძირითად ფაქტორებად მიიჩნევენ სოციალურს<sup>45</sup>. მეორე მხრივ, ფერის აზრით, სოციალური ფაქტორები, როგორცეც ძირითადადაა დამოკიდებული დანაშაულობის ზრდა და კლება, კანონმდებლის ნებით ადვილად შეიძლება შეეცვალოს და შევასწოროთ<sup>46</sup>. მიუხედავად ამ წინააღმდეგობრივი დებულებისა, ე. ფერი ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ “დანაშაულთა წარმოშობა, ზრდა, შემცირება და აღმოფხვრა დამოკიდებულია სულ სხვა მიზეზებზე და არა კოდექსებში გათვალისწინებულ სასჯელზე, რომელსაც მოსამართლე იყენებს”, ანუ სახელმწიფოს აქტივობაზე<sup>47</sup>.

ამრიგად, კონსტრუქტის, “დანაშაულობის დეტერმინაცია”, განუვითარებლობა დანაშაულობაზე წარმოდგენის გაფართოების საშუალებას არ იძლევა. კრიმინოლოგიური აზრი ჯერ კიდევ მზად არ იყო ეკასახა კითხვაზე: რა ფაქტორები განსაზღვრებენ დანაშაულთა რიცხვს, როგორც სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის სიდიდეს და რა ფაქტორებს შეუძლიათ, შეცვალონ ეს რიცხვი სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ცვლილების გარეშე. ფერის აზრით, კანონმდებელს შეუძლია, გავლენა მოახდინოს დეტერმინაციის გარეგნულ მხარეზე, ანუ “გაზარდოს დანაშაულობის ციფრი”. ამასთან, დანაშაულობის დეტერმინაციის არსი სულ სხვა სოციალური კანონების მიხედვით იცვლება და თვით იმორჩილებს კანონმდებლის ნებას. იმ პერიოდისათვის არსებობს მხოლოდ ბუნდოვანი ვერაუდი, რომ “დანაშაულთა წარმოშობა, ზრდა, კლება და გაქრობა დამოკიდებულია სხვა მიზეზებზე და არა კოდექსებში შეტანილ სასჯელთა ნუსხაზე, რომლებსაც მოსამართლეები იყენებენ”, ანუ სახელმწიფოს სამართლებრივ აქტიურობაზე. ამრიგად, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების საზოგადოებისათვის ადრე უცნობი საბაზრო ეკონომიკის ახალ წინააღმდეგობათა განვითარება რეალურ სტიმულს აძლევს კონსტრუქტის “დანაშაულობა” როგორც კრიმინოლოგიის ელემენტის გაჩენას.

დანაშაულებათა მასობრივი კანონზომიერება ახლა მოიაზრება, როგორც სოციალური კანონების ფუნქცია. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კანონების გაგება კრიმინოლოგების შორის იმ წლებში არ არსებობდა. თვით აზრი რაღაც სოციალური კანონების არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ინტუიციურ ხასიათს ატარებდა. და მაინც, ამ აღმოჩენით კონსტრუქტი - “დანაშაულთა მასობრივი კანონზომიერება” - იწყებს კრიმინოლოგიის საგნის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ჩამოყალიბებას.

<sup>42</sup> იხ.: А.Кетле. Социальная система и законы, ею управляющие. СПб. 1889

<sup>43</sup> იხ.: А.Кетле. Социальная физика или опыт исследования о развитии человеческих способностей. Киев. 1913, т.1, т.2

<sup>44</sup> იხ.: Э. Ферри. Уголовная социология (Сост. и предисловие Овчинский В.С.) М, Инфра – М, 2005. с 211

<sup>45</sup> იხ.: იქვე გვ.336

<sup>46</sup> იხ.: იქვე გვ.336

<sup>47</sup> იხ.: იქვე გვ. Э. Ферри. Уголовная социология с.201-202

მოგვიანებით, XX საუკუნის შუახანებიდან სტიგმის თეორია კვლავ დაუბრუნდა დანაშაულობის კონსტრუქტს. ფ. ტანენბაუმმა, ე. ლემერტმა, გ. ბეკმამ, დ. იანგმა, ე. სატერლენდმა, გ. ზიმელმა და სხვებმა ყურადღება მიაპყრეს სადამსჯელო ზომების შერჩევით მიმართულებას. სტიგმის თეორიის მომხრეთა კვლევების შედეგად საესებით ნათელი გახდა, რომ დანაშაულობის ცვლილების მაჩვენებლებზე გაეყენის მოხდენა შეუძლია არამარტო რეალურ სოციალურ წინააღმდეგობებს, არამედ თვით სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას. მაგრამ დამოკიდებულება თუ არა ეს შერჩევითობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების თვითნებობაზე, თუ მას საფუძვლად მაინც უდევს რაღაც დაფარული სოციალური კანონი? რა კავშირი არსებობს დანაშაულობის სიდიდის რეალურად განმსაზღვრელ ფაქტორებსა და სამართლებრივმაგნიტების შორის, რომლებსაც შეუძლიათ “ნებისმიერად” მოახდინონ გაეგნა ამავე სიდიდეზე სოციალურ წინააღმდეგობათა ცვლილების გარეშე? – ეს ის საკითხებია, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება ექნებათ დანაშაულობის სამართლებრივი პარამეტრების განსაზღვრასთან. ე. სატერლენდი შენიშნავს, რომ დანაშაულობის სამართლებრივი პარამეტრები გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში დგინდება არა თვითნებურად, არამედ ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებით<sup>48</sup>. ტ. იანგი კი უფრო შორს წავა, როცა სადამსჯელო ზომების შერჩევითი მიმართულების საფუძვლად წარმოების კაპიტალისტურ წესს დასახელებს. “მთლიანად ახალი დანაშაულების, ახალი კანონების, მართლმსაჯულების ახალი სისტემის, ფორმების ახალი დაცვის და კონტროლის ტაქტიკის ახალი სახეობების წარმოშობა სპეციფიკურა წარმოების კაპიტალისტური წესისათვის. წარმოების წესი განსაზღვრავს დანაშაულთა მნიშვნელოვან რაოდენობასა და სახეობებს. - ეს ყველაზე ყოვლისმომცველი მსჯელობაა დანაშაულის მარქსისტულ თეორიაში” - აღნიშნავს ტ. იანგი<sup>49</sup>.

განსაკუთრებული ცვლილებები მოხდა “დანაშაულობის დეტერმინაციაშიც”, როგორც კრიმინოლოგიის საგნის ელემენტში, რამეთუ წარმოდგენები კრიმინოლოგიის საგანზე ყალიბდებოდა საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობები უკვე ფეხზე იდგა. სხვადასხვა მიმართულების თეორიებს შორის პრიორიტეტულ მდგომარეობა ეკავა სოციალური თეორიებს, რომლებიც აღრეული თეორიებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლებოდა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედებით. სოციალური კვლევების ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მათი ნატარებისას ცდილობდნენ დეტერმინანტები საზოგადოების გლობალურ პროცესებში მოეძიათ (“სოციალური სიტუაციები და ტიპობრივი რეაქციები” – ჯ. მიდი). ცალკე გამოიყოფა იმ კონცეფციების ჯგუფი, რომლებიც დეტერმინანტის სახით საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ მდგომარეობას აღიარებდნენ.

პირველი ასეთი ცდა გაკეთდა რეგიონალური სოციუმის ფარგლებში. 20-იან წლებში ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებმა ე. ბერკესმა, კ. შოიმ, გ. მაკიმ, რ. პარკმა, ფ. ტერმერმა და სხვებმა გამოიკვლიეს არაპრესტიჟული და არასაზოგადოებრივი რაიონების მაცხოვრებლები. ამ რაიონებიდან მოსახლეობას განვითარებადი მრეწველობა და ვაჭრობა ერეკებოდა. უშუალო კრიმინოგენულ ფაქტორად კონსტრუირებული ორიენტაციების შეუთავსებლობა ცხადდებოდა. თუმცა დანაშაულობის კონფიციენტები მათ გამოკვლევებში კონფლიქტის მონაწილე მხარეების ეკონომიკურ მაჩვენებლებს უკავშირდებოდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების უფრო გლობალური პროცესების კვლევას მოითხოვდა. ამიტომ უნებურად ჩნდებოდა მიზეზების ძიების მოთხოვნილება რეგიონალური სოციუმის გარეთ - თავად საზოგადოებაში<sup>50</sup>. ამ კუთხით სოციალური კონცეფციები

<sup>48</sup> იხ.: T.R.Yong, Theory and method in Criminology In the 21-st Century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather Institute for Advanced studies in sociology. 1988, № 126

<sup>49</sup> იხ.: T.R.Yong, Theory and method in Criminology In the 21-st Century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather Institute for Advanced studies in sociology. 1988, № 126

<sup>50</sup> იხ.: Шой К., Генри Д., Маккей Г. Теоретические выводы из экологического изучения Чикаго - Социология преступности. М. «Прогресс». 1966. С. 288-298.; იქვე: Б. Ландер, Социологический анализ Балтимора. С. 250-264; იქვე: Шой К. Техника изучения отдельных дел. Значение собственного жизнеописания подростка-делинквента. С 114-127.

მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ე. დიურკემის სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა სოციოლოგიამ.

სპენსერის იდეების გაელენით ე. დიურკემი ცდლობს, საბოლოოდ დაუპირისპირდეს ინდივიდუალიზმის კონცეფციებს. იგი საზოგადოებას განიხილავს, როგორც ორგანულ მთელს, სადაც თითოეული ინსტიტუტი გარკვეულ ფუნქციურ როლს თამაშობს. საფუძველთა საფუძველად ის აღიარებს შრომის დანაწილებას, რომლის დონეზეც მორალური ხასიათის სოლიდარობაა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებას, სადაც გაბატონებულია ორგანული სოლიდარობა, განცალკევებისა და ანომალიის საფრთხე ემუქრება. დიურკემის თეორიის მიხედვით, სწორედ განცალკევებისა და ანომალიის შედეგად წარმოქმნილი სოციალური დეზორგანიზაცია ხდება დანაშაულობის წყარო.

კრიმინოლოგიის საგანზე წარმოდგენების ეეოლუციის გასაგებად სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის ანალიზს დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება. ლაპარაკია დილემაზე, რომლის წინაშეც დეტერმინაციის დასაბუთებისას აღმოჩნდნენ არა მარტო ე. დიურკემი, არამედ სხვა სოციოლოგიური კონცეფციების მომხრეებიც. ერთი მხრივ, ე. დიურკემის აზრით, სოციალური ფაქტები გაელენას ახდენენ ინდივიდუალურ ქცევაზე არა უშუალოდ, არამედ მათი ინტერიორიზაციის გარკვეული მექანიზმების მეშვეობით, გარეგნული დეტერმინაცია ხორციელდება არა პირდაპირ, არამედ ინდივიდების ღირებულებებით ორიენტაციის საშუალებით. მოცემულმა თეორიულ-მეთოდოლოგიურმა მიზანდასახულობამ შემდგომში ასახვა პოვა მ. ვებერის სოციოლოგიაში, რომლის თანახმად ჭეშმარიტად რეალურია მხოლოდ ინდივიდუალური. ამრიგად, ცხოვრებაში სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის თანდათანობით გატარებას მიეყვარათ ინდივიდების მორალური ღირებულებების განმარტავადი კვლევის აუცილებლობამდე. ამიტომ წამოყენებული ძირითადი დებულების ნაცვლად ე. დიურკემი უბრუნდება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედების ადრინდელ კონცეფციას.

მეორე მხრივ, სოციალური დეზორგანიზაციის (ანომიის) დასაბუთებისას ე. დიურკემი უნებლიედ ძირითადი დებულების უარყოფას იწყებს. მას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ კრიმინოლოგიული მიზეზები საბოლოოდ ინდუსტრიული ტექნიკის მდგომარეობამდე დაიყვანება და რომ ეკონომიკური ფაქტორი პროგრესის მამოძრავებელი ძალაა და არა ღირებულებით ორიენტაციების, როგორც მის მიერ იყო აღნიშნული<sup>51</sup>. მისი აზრით, საზოგადოებრივი დეზორიენტაცია ყველაზე უკეთესად იკეთება ეკონომიკური კრიზისის დროს. “სამრწველო სამყაროში კრიზისი და ანომიის მდგომარეობა არა მარტო მუდმივი, არამედ, შეიძლება ითქვას, ნორმალური მოვლენებია”<sup>52</sup>. ამ პერიოდში საზოგადოება დროებით კარგავს უნარს საჭირო ზემოქმედება შეახდინოს აღმამაინზე<sup>53</sup>. დეზორგანიზაცია, ანუ ანომიის საერთო მდგომარეობა ღრმავდება იმ ფაქტით, რომ ენებები ყველაზე ნაკლებად არიან განწყობილნი, დამორჩილნი დისციპლინის სწორედ იმ მომენტში, როცა ეს განსაკუთრებით საჭიროა. ამ დროს ადამიანების რწმენა ირღვევა, ტრადიციები კარგავენ თავიანთ ძალაუფლებას<sup>54</sup>.

მერტონის “ანომიის” კონცეფციის მიხედვით, საზოგადოებაში გაბატონებულია “ფულადი დანაგროვი, როგორც წარმატების სიმბოლო”, მაგრამ სოციალური სტრუქტურა ზოგიერთ ჯგუფს და ინდივიდს საშუალებას უხშობს მონაწილეობა მიიღოს “კონკურენციაში მატერიალური წარმატების მისაღწევად”. ამიტომ დანაშაულობა “ნორმალური” რეაქციაა სიტუაციაზე, რომლის დროსაც ათვისებულია განსაზღვრული კულტურული აქცენტო ფულადი წარმატების მისაღწევად, მაგრამ ძალიან მცირეა საყოველთაოდ აღიარებულ და დაკანონებულ საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა ასეთი წარმატებისთვის<sup>55</sup>.

<sup>51</sup> იხ.: Дюркгейм Э. Общественное разделение труда. Метод социологии. М.: Наука, 1900, с. 547

<sup>52</sup> იხ.: Дюркгейм Э. Самоубийство (социологический этюд). С.-Пб., 1912, с. 341

<sup>53</sup> იქვე, გვ. 336

<sup>54</sup> იხ.: Дюркгейм Э. Общественное разделение труда. Метод социологии. М.: Наука, 1900. С. 330

<sup>55</sup> იხ.: Р.Мертон, Социальная структура и аномия -Социология преступности. М., 1966. С. 299-311

გამოკვლევაში "კულტურათა კონფლიქტი" (1933წ.) ტ. სელინი ფუძემდებლური დეტერმინანტის სახით გამოყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების კულტურათა კონფლიქტს<sup>56</sup>. სტერლენდის იდეის თანახმად, სწორედ სოციალურ დეზორგანიზაციას მიუყვართ კულტურების კონფლიქტისკენ, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა (დოქტრინებზე) სოციალურ კავშირებს წარმოშობს<sup>57</sup>. ჯგუფებში, სადაც დომინირებენ კრიმინოგენული კავშირები, ინდივიდი დანაშაულებრივ ქცევას სწავლობს. ამ თეორიის საფუძველზე ა. კოზიშ 1955 წელს სუბკულტურების კონცეფცია შეიმუშავა<sup>58</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან გამომდინარე, XIX საუკუნის შუახანების კრიმინოლოგიის საგნის ელემენტები შეედგენიარად წარმოვედგებინათ:

ა) დანაშაულობა აისახება, როგორც მასობრივი კანონზომიერება, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგობრივ პროცესებს გამოხატავს;

ბ) დანაშაულობის დეტერმინაცია არ შემოიფარგლება ინდივიდისა და მისი გარემოს ანალიზით, არამედ ეფუძნება ჯგუფთაშორის ურთიერთობათა გლობალური მდგომარეობების ("სოციალური დეზორგანიზაციის", "ანომიის", "სტიგმატიზაციის", "დიფერენციალური ასოციაციის" და ა. შ.) გამოყოფას. მაგრამ, რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგების შეფასებით, ეს ხედვა კონსერვატიულია, რადგანაც გამორიცხავს დომინირებულ სოციალურ ფაქტორს და მას კრიტიკულად არ განიხილავს;

გ) კონსტრუქტთან - "დანაშაულობასთან ბრძოლა" - ერთად არსებობას იწყებს დანაშაულობის სოციალური კონტროლის იდეა, მაგრამ იგი წინააღმდეგობრივად ყალიბდება: თითოეული მინი-თეორია ახდენს ამა თუ იმ ფაქტორის აბსოლუტიზებას, ამიტომ უფრო ღრმა სოციალური და ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნა ეპიზოდურად სოციალურ ურთიერთობათა ხან ერთ, ხან მეორე ტიპის ცვლილებას უკავშირდება.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ერთმანეთის მიყოლებით ვითარდება ეკონომიკური კრიზისები. ისინი ძირს თუხრიან რეფორმების სახელმწიფო რეგულირების იდეას, ვინაიდან კრიზისის ახალი ციკლი კონფლიქტების ახალი მიზეზების წარმოშობის გამო უარყოფს ადრინდელ და მოითხოვს ახალ ცვლილებებს. კაპიტალის კონცენტრაციამ, რომელიც თან ახლავს ორგანიზებულ დანაშაულობას, ომებს ნედლეულის ხელში ჩასაგდებად, ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ რიგ სახელმწიფოთა პოლიტიკას, კორუფციასთან მასობრივ შერხდას და სხვა ნეგატიურ პროცესებს, სტიმული მისცა საწინააღმდეგო დასკვნების გაჩენას კრიმინოლოგიის საგნის ირგვლივ: გაჩნდა მოთხოვნილება, გაეაზრებინათ კაპიტალიზმი, როგორც კრიმინოგენული მოვლენა (criminogenic)<sup>59</sup>. ამის შედეგად, XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ვითარდება "დანაშაულებრივი კაპიტალისტური საზოგადოების" კონცეფცია (გ. ბლოხი, დ. გეისი, დ. სონდერ, ე. მილერი და რ. კუინი), რომლის თანახმადაც დანაშაულობა არსებული სოციალური წესრიგის და კულტურული ორგანიზაციის გარდუეალი პასუხია, ხოლო დანაშაულობის გარკვეული სახეობები, მათი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობებით მოცემული სოციალური სტრუქტურის ფარგლებში (დაცულია რადიკალური კრიმინოლოგიის ტერმინოლოგია).

ისეთი კრიმინოლოგიური თეორიის შექმნის მოთხოვნილება, რომელიც მოიცავს საზოგადოების გლობალურ კონფლიქტებს, რეალიზებად ახალი ემპირიული მასალის გააზრებისა და ადრეული სოციოლოგიური თეორიების გადახედვის საფუძველზე. კრიტიკის საგანი ხდება დანაშაულობის მიზეზთა ხედვა ცალკეულ სოციალურ პროცესებში, რომლებიც თითქოს პარალელურად მიმდინარეობენ. იგრძნობა დაუქმყოფილებლობა იმით, რომ თითოეული თეორია თითქოს მეორის უარყოფას წარმოადგენს: კრიმინოლოგიურ აზროვნებაში არცერთი პრობლემა არ არის დაძლეული და იგი მხოლოდ თანაარსებობს სხვასთან ერთად. ამის შედეგად წარმოიშვა

<sup>56</sup> იხ.: Т.Селлин, Конфликт норм поведения -Социология преступности. М.,1966. С.282-288  
<sup>57</sup> იხ.: Э.Сатерленд, Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями? -Социология преступности. М., 1966. С. 45-49  
<sup>58</sup> იხ.: А.Козин, Содержание деликвентной субкультуры -Социология преступности. М., 1966. С. 314-321  
<sup>59</sup> იხ.: G. Barak, S. Henry, and D. Milovanovic, "Constitutive Criminology" in B. MacLean and D. Milovanovic eds. Thinking Critically About Crime. Vancouver: Collective Press, pp. 93-99.

რადიკალურად განწყობილი თეორიები, რომლებიც უკუაგებდნენ ადრინდელ მცდელობებს, შევლულად დანაშაულობის დეტერმინაცია "სოციალური დეზორგანიზაციით", "ანომიით", "სტიგმატიზაციით", "დიფერენციალური ასოციაციით" და ჯგუფთაშორის ურთიერთობათა სხვა მდგომარეობებით.

რადიკალური კრიმინოლოგიის გამოჩენით იწყება დანაშაულობის დეტერმინაციის შესახებ წარმოდგენათა ფორმირების ახალი ეტაპი. უშირველეს ყოვლისა, იგი დაკავშირებულია კრიმინოლოგიის საგნის ისეთი ელემენტის ჩამოყალიბებასთან, როგორცაა "სოციალური კონტროლი". განხორციელებული რეფორმების არაუფექტურობა უკავშირდება მათი მეთოდოლოგიური დასაბუთების ნაკლოვანებებს, რომელთა გააზრებას ლოგიკურად მიყვარდა დანაშაულობის დეტერმინაციის კონცეფციის გადახედვად. ამ მიმართულებით კრიტიკა ეჭვქვეშ სწორად ფუნქციონალურ მიდგომას აყენებს. კრიმინოლოგიური აზრის ეს მიდგომარეობა შეაჯავა რ. დარენდორფმა, რომლის აზრითაც დანაშაულობის მიზეზთა ფუნქციონალური განხილვა ტ. პარსონსის თეორიის ფარგლებში ქმნის ილუზიას საზოგადოების, როგორც მოწესრიგებული სოციალური სისტემის შესახებ. სინამდვილეში საჭიროა განვიხილოთ საზოგადოება, რომელიც ხასიათდება კონფლიქტებით და ამით გაევაბათლოთ ფუნქციონალიზმის ილუზია<sup>60</sup>.

რადიკალური ანუ კრიტიკული კრიმინოლოგია მოიცავს სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც თავიანთ შინაარსით არა მარტო არ ემთხვევიან, არამედ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. დ. აკერსის აზრით, მათი შინაარსის დასაბუთება ძნელი შესაფასებელია<sup>61</sup>. კრიმინოლოგიის ზოგიერთი ამერიკული თეორია, როგორც ტ. იანგს მიაჩნია, სანამდვილეში არა თეორია, არამედ უფრო სოციალური ერთიერთქმედების ფილოსოფიაა<sup>62</sup>.

რაც თეორიებში ყველა საზოგადოებრივი ნეგატიური პროცესის მოცვის მოთხოვნილება აწყვება დანაშაულობის ძირითადი დეტერმინანტების გამოცალკეების შეუძლებლობას. შედეგად თეორიათა მთელ ამ სიჭრელეში გამოიყოფა ფენომენოლოგიური ორიენტაციის კონცეფციები. ამგვარ ტიპიურ ფენომენოლოგიურ მიდგომას ავითარებს გერმანელი კრიმინოლოგი ფ. ზაკი. მისი კონცეფციის თანახმად, საზოგადოება შედგება გარკვეული დისკურსებისაგან, ე. ი. ენის გამოყენების გარკვეული სფეროებისგან, რომელიც ერთიანობა ბევრი ადამიანისათვის საერთო მიზანდასახულობითაა განპირობებული. დროთა განმავლობაში დისკურსები ცვლილებას განიცდიან კულტურიდან კულტურამდე. სწორად ასეთ რაკურსში უნდა განვიხილოთ დანაშაულობის დეტერმინაცია<sup>63</sup>. პ. ფილმერი, მ. ფილიპსი, დ. სილვერმანი, დ. ულმში ვარაუდობენ, რომ დანაშაულობის ობიექტური მიზეზების ძიება გამორიცხებულია, ისინი შეიძლება შესწავლილ იქნას, როგორც ჩვეულებრივი სოციალური რისხები, რომლებიც გამოიყენება საზოგადოების წევრების მიერ მოქმედებათა და პირთა ნიადაც გეარის აღსანიშნავად<sup>64</sup>. გ. ბეკერი მასლის აღწერის ნაცვლად გვთავაზობს დანაშაულობის დეტერმინაციის მათემატიკურ მოდელირებას. მისი კონცეფციის თანახმად, დამნაშავეები არიან არა ფსიქოპათური ტიპები ან სოციალური ჩაგვრის მსხვერპლნი, არამედ რაციონალური აგენტები, რომლებიც არსებულ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებზე რეაგირებენ. მისი აზრით, დანაშაულებრივი პროფესიის არჩევანი უნდა გავიგოთ, როგორც ნორმალური საინვესტიციო გადაწყვეტილება რისკისა და გაურკვევლობის პირობებში. აქედან გამომდინარეობს, რომ

<sup>60</sup> იხ.: Дарендорф Р. Тropy из утопии: Работы по теории и истории социологии. М., 2002, с. 343 - 344

<sup>61</sup> იხ.: R. Akers, *Criminological Theories. Introduction and Evaluation*. Roxbury Publishing Company, Los Angeles, California, 1997, p. 175-176

<sup>62</sup> იხ.: T.R. Yong, *Theory and method for Criminology In the 21-st Century* – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather Institute for Advanced studies in sociology. 1988, № 126

<sup>63</sup> ზაკის მოხაზრება (Sack F. S. Neue Perspektiven in der Kriminologie // Sack E, König R. (Hrsg) *Kriminalsoziologie*. Wiesbaden, 1968 ) მოყვანილია შრომებიდან: В. Н. Бурлаков. Развитие преступности и социальный контроль -Правоведение. 2002. № 1 (240). с. 139 - 148; Я. Гилинский, *Девьянтология: социология преступности, наркотизма, проституции, самоубийств и других «отклонений»* СПб.: Издательство «Юридический центр Пресс», 2004, с. 106

<sup>64</sup> გ. ფილმერის, მ. ფილიპსის, დ. სილვერმანის, დ. ულმის კონცეფცია მოტანილია ნაშრომიდან: *Новые направления в социологической теории*. М., 1978. С. 28.

დანაშაულობის დონე დამოკიდებული უნდა იყოს მისი თანმდევი სარგებლიანობისა და ხარჯიანობის (როგორც ფულად, ისე არაფულად გამოხატულებაში) თანაფარდობაზე. იგი განისაზღვრება სხვაობის მიხედვით ლეგალური და არალეგალური საქმიანობისაგან მიღებულ შემოსავლებს შორის, დაპატიმრებისა და სასჯელის ალბათობით, სასჯელის სიმძიმით და ა. შ.<sup>65</sup> ვარაუდობენ, რომ დანაშაულებით თითონ წვეტენ, თუ როგორ გაანაწილონ ოპტიმალურად თავიანთი კეთილდღეობა დანაშაულსა და კანონიერ შემოსავალს შორის.<sup>66</sup> ამრიგად, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ანალიზი იცვლება დამოკიდებულების "ინდივიდი - გარემო" აღწერით, სადაც დეტერმინანტის როლში გამოდის ინდივიდის ჩვეულებრივი ღირებულება შეცდომები, გადაცდომები და ა. შ.

ფენომენოლოგიური მიმართულებების მომხრეები ისტორიული განმარტების ნაცვლად ირჩევენ მოვლენათა აღწერის მეთოდს. ამასთან, ამ მეთოდის მომხრეები თავს იკავებენ რაიმე მსჯელობისგან, როცა ლაბარაკა ობიექტურ რეალობაზე და იგი სცილდება "სუფთა" (ე.ი. სუბიექტური) გამოცდილების ჩარჩოებს. დომინირებული ხდება არა რეალობის თვალსაზრისი, არამედ დამკვირვებლისა. განმარტების მეთოდს ცვლის კლასიციკაცია. ამის შედეგად წარმოიშობა წინააღმდეგობა სილოგისზმის წინამძღვრებას და დასკვნებში<sup>67</sup>, აქედან კი - მიზნუთა სიბეზე უარის თქმის ტენდენცია<sup>68</sup>.

სამშვიდობო კრიმინოლოგიას მთელი ყურადღების ცენტრი გადააქვს მშვიდობის დამყარებაზე პოლიციას, მცხევრალსა და სასოგადოებას შორის. ამ კონცეფციის მომხრეები ძირითად საშუალებას ხედავენ შუამავლობაში, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში, მოლაპარაკებებში და ა. შ.<sup>69</sup> კრიმინოლოგიაში ამ თეორიას ფანტაზიის თეორია უწოდეს. ა. აკერმანის აზრით, ეს თეორია რელიგიურია, საეკლესიო ბაპტიზმის ელემენტებით<sup>70</sup>. მაგრამ კრიმინოლოგიების არცთუ მცირე ნაწილი მხარს უჭერს სამშვიდობო კრიმინოლოგიის მომხრეთა პუმანურ ორიენტაციას<sup>71</sup>.

რამდენადმე შუალედური მდგომარეობა უჭირავს კონსტიტუციურ კრიმინოლოგიას, როგორც პოსტმოდერნიზმის ნაორსახეობას. გ. ბარაკის, ე. ვენრის და დ. მილოვანოვიჩის აზრით, დანაშაული სოციალურად კონსტრუირებული კატეგორიაა, რომლის საფუძველი უთანასწორო ურთიერთობებში უნდა ვეძიოთ. ამასთან, მარკსისტული გატეხისაგან განსხვავებით, ისინი გამოყოფენ უთანასწორობის სხვადასხვა სახეობას (როგორც ერთმანეთის გვერდით განლაგებულებებს): ეკონომიკურს (კლასი, საკუთრება), პოლიტიკურს (ძალაუფლება, კორუფცია), მორალურ-ეთიკურს; უთანასწორობას ადამიანის უფლებებში,

<sup>65</sup> იხ.: Г.Беккер, Преступление и наказание: Экономический подход. М.1974 - <http://economicus.ru/>; ტუქსტის ინგლისური ვარიანტი იხ.: Becker G. Crime and Punishment: An Economic Approach. - *Journal of Political Economy*, 1968, vol. 76, No. 2

<sup>66</sup> იხ.: Cameron S. The Economics of Crime Deterrence: A Survey of Theory and Evidence - KYKLOS. 1988. Vol. 41. Fasc. 2. P. 301 - 323.

<sup>67</sup> ტიპური მაგალითი შეიძლება იყოს ს. აკერმანის გამოკვლევა. სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლის აღწერისას იგი აღნიშნავს: "სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება კორუფციის უარყოფითი ზემოქმედება წარმოების ეკონომიკურ ზრდასა და ტემპზე, მაგრამ ნაკლებად სასარგებლო არიან ანტიკორუფციული სტრატეგიის შესაბამისობა" (რა არის ნაკლებად სასარგებლო?) (С. Аккерман, Коррупция и государство. Причины, следствия, реформы. М., «Прос» 2003, с. 4). წინამძღვარი პირდაპირ საწინააღმდეგოა: "არის "ადამიანის საქმიანობის" ერთი უნივერსალური და მთავარი მოტივატორი, რომელიც "კრიტიკოსები სიხარბეს უწოდებენ, ეკონომისტები კი - სარგებლიანობის მაქსიმიზაციას" (იხ. იქვე, გვ. 2).

<sup>68</sup> აღნიშნული პოზიცია გამოთქვა ტ.სელინმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში იხ.: Социологический подход к изучению причин преступности - Социология преступности. М., 1966, с. 27

<sup>69</sup> იხ.: Pepinsky H., Quinney R. (Eds.) *Criminology as Peacemaking*. Bloomington: Indiana University Press, 1991

<sup>70</sup> იხ.: R. Akers, *Criminological Theories. Introduction and Evaluation*. Roxbury Publishing Company. Los Angeles, California, 1997, p. 182-185;

<sup>71</sup> იხ.: J. Thomas, J. Capps, J. Carr, T. Evans, W. Lewin-Gladney, D. Jacobson, C. Maier, S. Moran, and S. Thompson. *Critiquing the Critics of Peacemaking Criminology: Some Rather Ambivalent Reflections on the Theory of "Being Nice"*. Northern Illinois University / DeKalb, IL 60115 (USA) (10 April, 2000)

სოციალურ სტატუსში, პრესტიჟში, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში (უსაფრთხოება, კეთილდღეობა), თვითრეალიზაციაში, ბიოლოგიურ მთლიანობაში და ა. შ.<sup>72</sup>.

“მემარცხენე რელიზმის” მომხრეები, როგორც რ. აკერსი აღნიშნავს, ავითარებენ ძველი რადიკალიზმის იდეებს. მაგრამ უფრო რბილად აკრიტიკებენ კაპიტალისტურ საზოგადოებას<sup>73</sup>. სოციალური კონტროლი მათ ესმით, როგორც ხალხზე ზრუნვა, ზარალი ანაზღაურება, სერვის-მომსახურება, უფლებათა დაცვა, თავისუფლების აღკვეთის ვადების შემცირება და ა. შ. რეფორმების ძირითად მეთოდს წარმოადგენს სოციალისტური ჩარევა ჭეშმარიტად დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების მოქმედების შემცირების გზით. თუმცა ცნება “სოციალისტური ჩარევა”, როგორც აღნიშნავენ, ფრიად ბუნდოანი და არაერთმნიშვნელოვანია<sup>74</sup>.

რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგები ძირითადად კონფლიქტების სხვადასხვა თეორიის გადახედვას ემხრობიან. კ. მარქსის დებულებების გამოყენების მცდელობებთან ერთად, იწყება ადრინდელი სოციოლოგიური თეორიების გადახედვა. რადიკალისტები ძირითადად ცდილობენ, კაპიტალისტური საზოგადოება განიხილონ, როგორც დანაშაულებრივი. მაგრამ კაპიტალიზმის, როგორც criminogenic-ის ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. მეთოდოლოგის თვალსაზრისით, რადიკალისტების ეკონომიკური დასკვნები ძლიერ განსხვავდება ფუნქციონალური მიდგომისაგან, რომელიც ცდილობს ახალ ტერმინებში აღწეროს გარკვეული, დანაშაულობის სახეებთან და ფორმებთან დაკავშირებული სფეროები. გამოითქმის კრიტიკა იმ დებულებების მიმართ, რომლებიც ახლოს დგანან ადრინდელ სოციოლოგიურ თეორიებთან. ამასთან, რადიკალისტები ცდილობენ დააკავშირონ დანაშაულობის ცვლილებები კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკასთან. მოცემულ შემთხვევაში მითითებულ პერიოდში რადიკალური კრიმინოლოგის მომხრეთა რიგ შრომებში ახალ ძაღლს იძენს კ. მარქსის თეზისი - “ალბათ, არის რაღაც დამპალი ამ სოციალური სისტემის შუაგულში, რომელიც ზრდის თავის სიმდიდრეს, მაგრამ ამასთან სიღატაკეს ვერ ამცირებს, და სადაც დანაშაულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობის რიცხვი”. მაგრამ ამ დებულებას სხვადასხვა ეკონომიკური ინტერპრეტაცია ეძლევა.

ე. ლიურტეიმის თეორიის მსგავს<sup>75</sup> კონცეფციებში სიყალბეაა ჩათვლილი ის, რომ ეს მიზეზები საბოლოოდ ინდუსტრიული გარემოს მდგომარეობამდე დაიყვანება და ისიც, რომ ეკონომიკური ფაქტორი - პროგრესის მამოძრავებელი ძალაა<sup>76</sup>. ამიტომ, ე. შურის აზრით, ადრინდელი სოციოლოგების მტკიცებები დანაშაულობის აუცილებლობის შესახებ (რადენადაც ის განუყოფელია საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი პირობებისაგან, მორალისა და სამართლის ნორმალური ევოლუციისგან) არაა საკმარისი “კონკურენციისა და მოგების წყურვილის” კრიმინოგენული როლის ასახსნელად.<sup>77</sup> როგორც იგი აღნიშნავს, კაპიტალისტური საზოგადოება - ესაა იმ იდეოლოგიით გაჯერებული ევოლუციური, რაც ინდივიდუალიზმით, კონკურენციით და მოგების წყურვილით განსაზღვრულ ღირებულებათა მნიშვნელოვან უპირატესობაში გამოიხატება და ... დანაშაულის სტიმულს ქმნის.”<sup>78</sup>

<sup>72</sup> იხ.: G. Barak, S. Henry, and D. Milovanovic, "Constitutive Criminology" in B. MacLean and D. Milovanovic eds. *Thinking Critically About Crime*. Vancouver: Collective Press, 1997, pp. 93-99.; S. Henry and D. Milovanovic, *Constitutive Criminology: Beyond Postmodernism*. London: Sage, 1996, p. 116

<sup>73</sup> იხ.: R. Akers, *Criminological Theories. Introduction and Evaluation*. Roxbury Publishing Company, Los Angeles, California, 1997, p. 179-181

<sup>74</sup> იხ.: J. and R. Matthews, eds., *Rethinking Criminology: The Realism Debate*. London: Sage Publications, 1992, pp. 1-24.

<sup>75</sup> იხ.: Дюркгейм Э. Самоубийство (социологический этюд). С-Пб., 1912. с. 335

<sup>76</sup> იხ.: Дюркгейм Э. Общественное разделение труда. Метод социологии. М.: Наука, 1991. с. 547

<sup>77</sup> იხ.: Дюркгейм Э. Норма и патология. Социология преступности. М., 1966. с. 42

<sup>78</sup> იხ.: Шур. Э., Наше преступное общество. М., «Прогресс», 1977, с. 257



როგორც ტ. იანგი ვარაუდობს, კრიმინოლოგიური თეორიების უმრავლესობა ადგენს გარემოებებს, რომლებშიც მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს დანაშაულის ჩადენის, როგორც რასიზმის, გენდერული და კლასობრივი უთანასწორობის გადალახვის ხერხისკენ უბიძგებდა. მაგრამ აღნიშნული თეორიები კონსერვატიულ ხასიათს ატარებენ, ვინაიდან გამორიცხავენ წარმოების წესს, როგორც მადონინარბებელ სოციალურ ფაქტორს და მას კრიტიკულად არ განიხილავენ.<sup>79</sup> უარყოფითად აფასებს რა დანაშაულობის დეტერმინაციის იმ კონცეფციას, რომელიც სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედებით შემოფარგლდება, ტ. იანგი აღნიშნავს: თანამედროვე კრიმინოლოგიის (და პრაქტიკის) მთავარი მარცხი იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავს ინდივიდუალურ ადამიანს როგორც თეორიული ანალიზის ერთეულს. ყველაზე მრავალმხრივი მსჯელობა დანაშაულობის მარქსისტულ თეორიაში, ტ. იანგის აზრით, დასტურდება იმით, რომ დანაშაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და სახეობა განსაზღვრულია წარმოების წესით. მთლიანად ახალი დანაშაულობანი, ახალი კანონები, მართლმსაჯულების ახალი სისტემები, დანაშაულთა ახალი სახეობების ფორმებისა და კონტროლის ტაქტიკა წარმოიშობა წარმოების კაპიტალისტური წესის სპეციფიკადან. ეს წესი ერთადერთია, რომელიც ადამიანებს ამორებს წარმოებას და განაწილებს და იმეკვარად არის ორგანიზებული, რომ ადამიანები გამოთიშოს მატერიალურ წარმოებას და იდეოლოგიურ კულტურას ან არსებითი კულტურული რესურსების განაწილების საშუალებებს. ამ პირობებში უნდა ველოდოთ, რომ დანაშაულთა სახეობები გაიზრდება.<sup>80</sup>

რადიკალური თეორიის სხვა წარმომადგენელმა - რ. კუინინმა დანაშაულობის დეტერმინაციის არსის ძიება დაიწყო კლასობრივ წინააღმდეგობებში. მისი თქმით, "კრიმინალიზაციის პროცესებს საფუძვლად უდევს, - კლასობრივი კონფლიქტები... დანაშაულებრივად მიიჩნევენ ქმედებებს, რომლებიც წინააღმდეგობაშია ეკონომიკაში გაბატონებული კლასების ინტერესებთან. შეფასდება თუ არა ესა თუ ის ქმედება, როგორც დანაშაულებრივი ან არადანაშაულებრივი, ამას განსაზღვრავს კლასი, რომელსაც ხელი უჭირავს ძალაუფლება და სამართალწარმოებაზე ხელი მიუჭრება.<sup>81</sup>

ე. შურის ეკლდაკეალ სოციოლოგმა ე. ტოფლერმა ასევე აღიარა ეკონომიკური ფაქტორი დეტერმინანტის სახით. მაგრამ მან უკუაგდო მარქსისტული თეზისი წარმოების წესის შესახებ და სანაცვლოდ ინდუსტრიალიზაციის კრიმინოგენული როლის კონცეფცია ჩამოაყალიბა. "კაპიტალი დაჩქარებულად ხდება "სუპერსიმბოლური", - წერს ე. ტოფლერი<sup>82</sup>, მაგრამ საზოგადოების სწეულებები, დანაშაულობის ჩათვლით ინდუსტრიალიზაციის მხოლოდ ნეგატიური ასპექტით უნდა შეიზღუდოს. "20-30-იან წლებში კომუნისტებმა გამოიყენეს კლიშე "კაპიტალიზმის საერთო კრიზისი". დღეისათვის ნათელია, რომ ისინი ძალიან ვიწროდ ხედავენ. ის, რაც ხდება, არა უბრალოდ კაპიტალიზმის კრიზისია, არამედ ყველა ინდუსტრიული საზოგადოებისა, პოლიტიკური ფორმების მიუხედავად. მხედროულად, ჩვენ განვიცდით ახალგაზრდულ რევოლუციას, სექსუალურ რევოლუციას, რასობრივ რევოლუციას, კოლონიურ რევოლუციას, ეკონომიკურ რევოლუციას და ძალიან დაჩქარებულ და ღრმად მიმდინარე ტექნოლოგიურ რევოლუციას. ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით ზეინდუსტრიული რევოლუციის ეპიცენტრში"<sup>83</sup>.

ი. ტელიორის, პ. უოლტონის და დ. იანგის აზრით, დანაშაულობას საფუძვლად კლასობრივი, სექსობრივი და ეთნიკური უთანასწორობა უდევს<sup>84</sup>. ამრიგად, XX საუკუნის ბოლოს კრიმინოლოგიის საგნის ელემენტები შემდეგ სახეს იღებენ:

<sup>79</sup> იხ.: T.R.Yong, Theory and method for Criminology In the 21-st Century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather Institute for Advanced studies in sociology. 1988, № 126

<sup>80</sup> იხ.: T. R. Young, Theory and method for criminology In the 21st Century - Of the Red Feather Journal of «Post-modern Criminology», Volume I, 1988, № 126

<sup>81</sup> იხ.: Quinney R. The Social Reality of Crime, Perception in Criminology. L., 1975. P. 381—387

<sup>82</sup> იხ.: Э Тофлер, Метаморфозы власти. (Пер. с англ.). М.: ООО "Издательство АСТ", 2003, с. 99

<sup>83</sup> იხ.: Э. Тофлер, Шок будущего, (Пер. с англ.). М.: ООО "Издательство АСТ", 2002, с. 207

<sup>84</sup> იხ.: I. Taylor, P. Walton, J. Young. The New Criminology: For a Social Theory of Deviance. L: Routledge and Kegan Paul, 1973

ა) დანაშაულობა ასახულია როგორც მასობრივი კანონზომიერება, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგობრივ პროცესებს გამოხატავს; ეს ფაქტი უდავოა, თუმცა დეფინიციური განსაზღვრებები განსხვავებულია;

ბ) რადიკალურად განწყობილი კრიმინოლოგები კვლავ უბრუნდებიან მარქსისტულ დებულებებს და დეტერმინანტის სახით ავითარებენ კონცეფციას „კაპიტალიზმი, როგორც კრიმინოგენული ფაქტორი (criminogenic)“. ამავე დროს ჩნდება სხვა გადაწყვეტილებათა ძიების მოთხოვნილება, მაგრამ გაძნელებულია მათი დაკავშირება წარმოების წესის ძირეულ ცვლილებებთან, როგორც ამას ზოგიერთი რადიკალი მოითხოვს. ეს იდეა ფასდება, როგორც უტოპიური, რადგანაც კაცობრიობის პროგრესი კაპიტალისტური საზოგადოების ფარგლებში ჯერ-ჯერობით ისტორიული გზის დასაწყისშია. ამიტომ დანაშაულთა დეტერმინაცია კვლავ ისე მოიაზრება, როგორც ადრეულ სოციოლოგიურ თეორიებში, მაგრამ ახლებურადაა ინტერპრეტირებული;

გ) დანაშაულობის სოციალური კონტროლის განვითარებადი იდეა ცდილობს დაიქვემდებაროს „დანაშაულობასთან ბრძოლას“, მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი წინააღმდეგობრივია: უფრო ღრმა სოციალური და ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნა ეპიზოდურად უკავშირდება სოციალურ ურთიერთობათა ხან ერთ, ხან მეორე ტიპის ცვლილებას.

გადავიდეთ შემაჯამებელ ანალიზზე. როგორც ხედავთ, წარმოდგენები კრიმინოლოგიის საგნის შესახებ ფრიად წინააღმდეგობრივად ვითარდება. თეორიების ანალიზზე მომუშავე კრიმინოლოგები ამ განსხვავებათა მიზეზს მეთოდოლოგიურ შეცდომებში ხედავენ. ეკრძოდ იმაში, რომ მეცნიერები ირჩევენ სხვადასხვა ფილოსოფიურ პოზიციას და იფარგლებიან საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული სფეროების ანალიზით<sup>85</sup>. მსგავსი შეფასება მართებულია, მაგრამ ნაწილობრივ მკვლევარების დაყოფა ისეთებად, რომლებიც მიმართავენ კულტურათაშორის ანალიზს, და ისეთებად, რომლებიც მოითხოვენ წარმოების წესის გათვალისწინებას, გამოწვეულია თვით კაპიტალისტური საზოგადოების ბუნებით.

კრიმინოლოგიის საგნის ევოლუციის განხილვამ მისი ძირითადი თვისებები გამოავლინა<sup>86</sup>. აუცილებლად უნდა აღენიშნოთ კონსტიტუტიური კრიმინოლოგიის ამოსავალი არგუმენტის მართებულობა, რომლის თანახმად დანაშაულობა და მისი კონტროლი არ შეიძლება დაეაშორათ საზოგადოების, ამ არათანაბარზომიერად განვითარებადი სტრუქტურისა, და კულტურის წარმოშობას.

დანაშაულობის კაპიტალისტური სისტემისადმი დაქვემდებარება ურთულესი პროცესია, რომელსაც ამ მოვლენის მთელი ისტორიის მანძილზე ანალოგი არ გააჩნია. კაპიტალის დაგროვების ეკონომიკური კანონი, როგორც „კაპიტალისტური ეკონომიკის პირველადი ძრავა ანუ გენერატორი“<sup>87</sup> მთლიანად ნიღბავს თავის განსაკუთრებულ კავშირს დანაშაულბრივ „ქცევასთან“. ამასთან, ეს ურთულესი მექანიზმი შეხებაშია კაპიტალისტური საზოგადოების სამ შრესთან. ამიტომ კრიმინოლოგიური თეორიები ჯგუფდება იმის მიხედვით, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ ფენას ხედავენ და უკეთებენ აბსოლუტიზირებას. ამ გაგებით, XIX საუკუნის თეორიები შეიძლება ერთ „თაროზე“ აღმოჩნდნენ XX ან გასული საუკუნეების იდეათა გამზიარებულ თეორიებთან ერთად, ან გაჩნდნენ ჩვენს დროში, თუმცა ისინი თანამედროვე თეორიებად, ალბათ, ვერ ჩაითვლებიან.

მოთხოვნა და მიწოდება, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, ჯგუფებსა და მათი შემოსავლის წყაროებს მოიცავს, ამ წყაროებს კაპიტალის ჩათვლით, როგორც

<sup>85</sup> იხ.: T.R. Yong, Theory and method for Criminology In the 21-st Century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather Institute for Advanced studies in sociology. 1988, № 126

<sup>86</sup> იხ.: С.М. Иншаков. Зарубежная кримиология. М.1979: В. Фокс. Введение в кримиологию.М., «Прогресс». 1980, с.72; Я. Гилинский, Девиантология: социология преступности, наркотизма, проституции, самоубийств и других «отклонений» СПб.: Издательство «Юридический центр Пресс», 2004; В. Фокс. Введение в кримиологию.М., «Прогресс». 1980; R. Akers, Criminological Theories. Introduction and Evaluation. Roxberf Publishing Company. Los Angeles, California.1997 и т.п.

<sup>87</sup> იხ.: К.Р.Максониелл, С.Л.Броу, Экономикс. М., «ИНФРА-М».2003, т. 2, с. 215

თანასწორუფლებიან ფაქტორებს, ერთ თაოზე განალაგებს. ამის შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ დანაშაულობა არაა დაკავშირებული კაპიტალისტურ სისტემასთან კაპიტალის დაგროვების რალაც მექანიზმებით, უბრალოდ აღვილი აქვს ათასგზის განმეორებად დანაშაულთა ცალკეულ ფაქტებს. და მხოლოდ ეს "შემთხვევითი კავშირი" წარმოადგენს ერთადერთ საყრდენს დანაშაულობის "არსებობისა" და მისი წარმომავლობის დასამტკიცებლად. ჯგუფთაშორის ურთიერთობათა უმეტეს კლდეებში საზოგადოების სწორედ ეს ჭრილი აღიქმება როგორც კრიმინოლოგიის საგნის შესახებ წარმოდგენათა ჩამოყალიბების სფერო<sup>88</sup>. მიზნითა ანალიზი არ გამოდის ცალკეული მოვლეების ურთიერთობათა სასურველიდან. ამის ნათელი მაგალითი კრიმინოლოგიის ჩიკაგოს სკოლაა.

ურთიერთობათა შემდეგი ჭრილი კიდევ უფრო თოულდება კონკურენციით. საბაზრო ურთიერთობათა ჭრულ მოზაიკაში დანაშაულობის კავშირს კაპიტალის დაგროვებასთან კონკურენცია აფასებს, როგორც ურთიერთობათა შემთხვევით და არა კანონზომიერ კონგლომერატს. ამ დონეზე ყველაზე ხშირად წაიბორძიკებენ ხოლმე "თეთრსაყვლიანი დანაშაულობის", კორუფციის და სხვა კვლევები. კონტრბანდული საქონლის გადაზიდვის მიზნით მებაჟეების მოსყიდვის, ტენდერში გასამარჯვებლად, ძვირადღირებული ობიექტების ფასდაკლებით შესაქმნად სამინისტროს მოხელეების მოსყიდვის და სხვა ფაქტებში მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს დანაშაულობის კავშირი კომპანიის მიერ ბაზრიდან მიღებულ მოგებასთან. უფრო მეტი, დანაშაულობის კავშირი კაპიტალის დაგროვებასთან შეიძლება ფრიად მკრთალად და არადამაჯერებლად გამოიყურებოდეს იმ კომპანიებისთვისაც, რომლებსაც წარმატების პერიოდში გარკვეული დროით შეუძლიათ არ მიმართონ კრიმინალურ საშუალებებს.

დაბოლოს, დარგთაშორისი კონკურენცია კიდევ უფრო ერთმნიშვნელოვნად აფეტიშებს დანაშაულობას, რის შედეგადაც საზოგადოება, როგორც მსხვერპლი, ყურადღების მიღმა რჩება. მონოპოლური ფასების წარმოქმნა სხვა მონოპოლიებზე ზეწოლის მიზნით, ტრანსნაციონალური ანუ კარტელური გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომლებიც იაყრობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ბაზრებს, კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესები მეტად და მეტად ართულებენ დანაშაულობის ხედავს, რედაგანაც საშუალო და წვრილი ფირმების, ანტიმონოპოლიური სექტორის და თვით მონოპოლიების ყურადღების ცენტრი თვით კომპანიების, უფრო ზუსტად კი - კაპიტალების კონფლიქტზე გადაიტანება. რჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება ადარ არსებობს, კონფლიქტები კი ფრიად ვიწრო ხასიათს ატარებენ და ურთიერთობათა მხოლოდ გარკვეული სფეროთი იფარგლებიან<sup>89</sup>. საზოგადოების სწორედ ეს ჭრილი უქმნის კრიმინოგენულ აზრს ყველაზე დიდ სიმწელებებს. შედეგის სახით წარმოადგება სამშვიდობო კრიმინოლოგიის ანალიზური კონცეფციები, რომელთაც არ ძალუძთ

<sup>88</sup> ს. მ. ინშაკოვი აღნიშნავს: იმის კვალბაზე, რამდენადაც დანაშაულობის ფენომენი სულ უფრო გამოდის ეროვნული ჩარჩოების და სახელმწიფო საზღვრების ფარგლებიდან და იძენს ტრანსნაციონალურ ხასიათს, კვლევები შედარებითი კრიმინოლოგიის დარგში განსაკუთრებით აქტუალური ხდება. მრავალი მეცნიერი მიიღია იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულობის შესახებ მეცნიერების სუსტ ადგილთა რიცხვს განეკუთვნება ის, რომ კრიმინოლოგიამ თავისი ყურადღების კონცენტრაცია მოახდინა მცირემასშტაბიან კვლევებზე, ნაკვალად იმისა, რომ ძალისხმევა მიემართა ინტროდუქციულ, კულტურათაშორისი ანალიზისკენ, რაც აუცილებელია საზოგადოებისა და დამნაშავეების დაპირისპირების არსის გასარკვევად" (С.М. Иншаков, зарубежная криминология. М. ИНФРА - М - НОРМ. 1977, с. 342)

<sup>89</sup> როგორც დ. შელი აღნიშნავს, "კაპიტალისტური ეკონომიკის სპორდული კრიზისები აპროუცირებენ დაქირაებული მუშაკების აღშოთებას. კაპიტალისტები ცდილობენ შეუმჩნეველად ადონტროლონ პოლიტიკური ეკონომია. მაშასადამე, მეტად ესაჭიროებათ მესაკუთრის გაუქმების შემწილბავი მექანიზმები, რომლებიც დააკანონებდნენ არსებულ ეკონომიკურ სისტემას, ყველას დარაზმავენ კრიზისთან საბრძოლველად და ჩაახშობდნენ საპროტესტო გამოსვლებს საყოველთაო წესრიგის დასამყარებლად. როგორც წესი, მშრომლები კანონს განიხილავენ როგორც რალაც წმინდას. მათ არ ძალუძთ გაერკენენ, თუ რა ძალები განსაზღვრავენ კანონს, ვის ინტერესებს წარმოადგენს და რა პრობლემების გადასაწყვეტადაა იგი მიმართული" (Криминология. Под ред Дж.Шели. Питер.2003, с.90)

მოიძიონ დანაშაულობის ცვლილების განმსაზღვრელი საზოგადოების ძირითადი კანონები და რელიგიური და ყოფითი ხასიათის თეზისებს გეთავაზობენ.

ამრიგად, მსოფლიო ლიტერატურაში კრიმინოლოგიის საგანზე არსებული წარმოდგენები ერთმანეთისაგან იმისდაპირაპირად განსხვავდება, თუ კაპიტალისტური საზოგადოების რა ზრილის ადრეკამენ ისინი, როგორც საბაზისოს. დანაშაულობის მიზეზთა ძიებაზე რეაქციას ჯერ-ჯერობით წარმოადგენს დანაშაულებრივი ქვესისტემების კონცეფცია, რომელიც ცალ-ცალკე გამოყოფს ოჯახური კრიმინოლოგიის, პოლიტიკური კრიმინოლოგიის, მასობრივი კომუნიკაციების, ეკონომიკური კრიმინოლოგიის და ა. შ. საგანს<sup>90</sup>. მაგრამ მსგავსი თეორიების კლურალიზმი, როგორც დ. შელი აღნიშნავს, მირაჟია და სხვა არაფერი, თუ არ გაეთვალისწინებთ ბაზრის კანონებს, კორპორაციების პოლიტიკას და ა. შ.<sup>91</sup>

დანაშაულობის ურთულესი ფორმების განვითარება თანამედროვე საბაზრო პირობებში ლოგიკურად უბიძგებს აზროვნებას იმ თეორიის ძიებისკენ, რომელიც დანაშაულობას საზოგადოების ძირითად სოციალურ კანონებთან დააკავშირებს. მართალია, რეალურ სინამდვილეში დანაშაულობის დეტერმინაცია მთელი რიგი ფაქტორებითაა გაართულებული. მაგრამ, როგორც კრიმინოლოგიის რადიკალური ფრთა მიუთითებს, ამ პროცესმა არ უნდა დააბრკოლოს კაპიტალისტურ სისტემაში დანაშაულობის ახსნის საერთო წინამძღვრების დადგენის აუცილებლობა.

## § 2. კრიმინოლოგია მეცნიერებათა სისტემაში

კრიმინოლოგიის ადგილის განსაზღვრის აუცილებლობა მეცნიერებათა სისტემაში, უპირველესად, დაკავშირებულია დანაშაულობის, მისი მიზეზებისა და სოციალური კონტროლის შემცენების საზღვრების დადგენასთან. მოცემული საკითხის გადაწყვეტილის მეცნიერთა ერთი ნაწილი კრიმინოლოგიას მიაკუთვნებს სოციოლოგიას, ხოლო მეორე ნაწილი - სამართლებრივ დისციპლინებს. დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ დასრულებულია და იგი სულ ახალ-ახალი არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით მდიდრდება. მიდგომათა მრავალფეროვნების მიუხედავად, ხსენებული ორი მიმართულება ჯერ-ჯერობით მაინც შენარჩუნებულია.

ლევალისტური მომართულების მომხრეთა უმრავლესობა ცდილობს დაამტკიცოს დანაშაულობის სამართლებრივი ფორმის მიზანშეწონილობა იმით, რომ "იგი სისხლის სამართლის კანონში მოცემულ დანაშაულებრივი ქცევის სამართლებრივ კონსტრუქციებს ეფუძნება"<sup>92</sup> და ამ თვალსაზრისით საბუთდება თეზისი, რომლის თანახმადაც კრიმინოლოგია ნაწილობრივ წარმოადგენს სამართლებრივ მეცნიერებას.

გარკვეული ზომით ამ არგუმენტის გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ იგი საკმარისი არაა დანაშაულობის იურიდიული მხარის დასაბუთებლად. საქმე იმაშია, რომ არა თვით ნორმის კონსტრუქციები განსაზღვრავენ დანაშაულებრივს, არამედ მათი მეშვეობით ხდება დანაშაულების განსაზღვრა. იურიდიული კონსტრუქცია წარმოადგენს იურიდიული ტექნიკის ელემენტს, ეს ტექნიკა კი იმ წესებისა და ხერხების ერთობლიობაა, რომელიც საკანონმდებლო პროცესის სუბიექტების მიერ საკანონმდებლო ტექნიკის ორგანიზაციისა და განხორციელების მიზნით გამოიყენება. სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს კონსტრუქციები შეიძლება შეიცვალოს. მათ ძალეობით გათვალისწინონ საშიში შედეგების მხოლოდ ერთი ჯგუფი, დანარჩენები კი უგულვებელყუნ. იურიდიული კონსტრუქციების ეს მუდმივი ცვალებადობა ანტილევალისტური მიდგომის მომხრეებს აძლევს მათი უარყოფის საბაზს<sup>93</sup>. დანაშაულობის იურიდიული მხარის უარყოფის შედეგად, კრიმინოლოგია კარგავს

<sup>90</sup> იხ: Преступность среди социальных подсистем. Новая концепция и отрасли криминологии (Под ред. Д.А.Шестакова). Санкт-Петербург: Юрид. Центр Пресс.2003

<sup>91</sup> იხ: Криминология. Под ред Дж.Шели. Питер.2003, с.99

<sup>92</sup> Криминология: Учебник для вузов (под ред. проф. В.Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006.,с.21. См. Также: Криминология: Учебник (Под ред. В.Н. Кудрявцева, В.Е. Эмкина. М.: Юристъ, 1997 и т.п.

<sup>93</sup> იხ: J. Hagan. Modern Criminology: Crime, Criminal Behavior and its Control. NY.: McGraw-Hill, 1985.P.49; Халгров Т.А. Введение в современную девиантологию (учебное пособие) – Ростов-на-Дону, 2003 9-15; Я.

მეცნიერების ხასიათს, რამეთუ პასუხაუცემელი რჩება მთელი რიგი საკითხები: როგორ გამოიხატება დანაშაულობის საზოგადოებრივი ხასიათი? დაიყვანება თუ არა სამართლის როლი მხოლოდ იურიდიულ ტექნოლოგიამდე თუ სამართალი თამაშობს სხვა როლს? როგორაა წარმოდგენილი სამართალი დანაშაულობის გენეზისში? მოკლედ, გადაუწყვეტელი რჩება სამართლის როლის პრობლემა დანაშაულობის გენეზისსა და ასახვაში.

კრიმინოლოგიის გაგება, როგორც სამართლებრივი მეცნიერებისა, შესაძლებელია, თუ სამართალს განვიხილავთ არა იურიდიული ტექნიკის, არამედ სამართლის ადგილისა და როლის თვალსაზრისით დანაშაულობის გენეზისში. ამ მიმართულებით საჭიროა გავეითაღისწინოთ, რომ დანაშაულებრივი ქცევის სამართლებრივი კონსტრუქციის აუცილებლობა განპირობებულია მითვისების ეკონომიკურად გაბატონებული ტიპის განაწილებით და მასზე დაფუძნებული საზოგადოების სტრუქტურით. მოსახლეობის ყველა რეაქცია როდესაც ფასდება როგორც საშიში, არამედ სწორედ ის, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მითვისების მოცემული წესის განვითარებაზე. სწორედ ამის გამო ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონი ზოგიერთ აქტს და იგი ფასდება როგორც დანაშაული.

დანაშაულობის იურიდიული მხარის მხოლოდ სამართლებრივი კონსტრუქციებით დანაბუთებით არ შეიძლება შემოუფარგლოთ სხვა მიზეზის გამოც. თუ დანაშაულობის იურიდიულ მხარეს დაეყვანთ მხოლოდ დანაშაულებრივი ქცევის სამართლებრივი კონსტრუქციებამდე, მაშინ კრიმინოლოგიის მეთოდოლოგია ჩიხში აღმონდება.

როგორც უკვე მიუთითეთ, სამართლებრივი ნორმა გრძობით-აღქმად მოვლენებს აღწერს ინდუქტიურად, ანუ ადგენს მსგავს ნიშნებს, როგორც დაერთოს და არა როგორც დიდექტიკურად საყოველთაოს. ქურდობა, მკვლელობა, დაცაცება და სხვ. უფრო მაღალ დონეზეა წარმოდგენილი აბსტრაქტული განზოგადებით - დანაშაულის "ცნების" სახით. ბუნებრივია, იხადება კითხვა: შეიძლება თუ არა ნორმატიულ პრაქტიკაში და შემეცნებაში აზრობირებული ფილოსოფიის გაგების აღიარება იმავდროულად კრიმინოლოგიური შემეცნების დერძად? შეიძლება თუ არა ნორმატიული აზროვნების მიერ მიღებული საერთოს გამოყოფის პრინციპი იყოს დანაშაულობის არსის შემეცნების პრინციპი? ამას ეწინააღმდეგება თვით დანაშაულობის ბუნება. ორგანიზებულ დანაშაულობაში სრულიად სხვადასხვა დანაშაულებს ობიექტური რეალობა აერთიანებს განსაკუთრებულ ფორმებში, რომელთა იურიდიული განსაზღვრა ძნელია. ხოლო პროგრესის კვალობაზე ეს ფორმები სულ უფრო რთულდება. ამრიგად, თვით დანაშაულობა უკუაგდება ფორმალური განზოგადების სპეციფიკას, რომელიც მიღებულია ნორმატიულ აზროვნებაში, ანუ მოუღენიდან მის არსამდე (აბსტრაქციამდე, ნორმამდე და ა. შ.) აღმასვლის ილუზორულ პრინციპს.

სამართლის დაყვანას მხოლოდ იურიდიულ ტექნიკამდე ლეგალისტური მიმართულების მომხრეები წინააღმდეგობობამდე მიჰყავს. იურიდიულ ტექნიკაში მიღებული განზოგადების ინდუქციური ტიპი არაა ტიპური დანაშაულობის ანალიზისთვის. ამიტომ რიგი მკვლევარებისა სამართლის სრულ უარყოფამდე მიდიან: "კრიმინოლოგია საერთოდ არ წარმოადგენს საკუთრივ სამართლებრივ მეცნიერებას, არ შეისწავლის სამართლებრივ ურთიერთობებს"<sup>24</sup>-აცხადებენ ისინი. ამავე დროს კრიმინოლოგია არა თუ შეისწავლის, არამედ ელდება შვისწავლოს სამართლებრივი ურთიერთობა. მითვისების გაბატონებული ტიპი ეერ განვითარდება აბსტრაქტულად, სამართლის გარეშე. სამართლებრივი მექანიზმი ყოველთვის გამოიყენება, როგორც მითვისების პროცესის მნიშვნელოვანი მომენტი. ეკონომიკურ რეგულატორებთან (ბაზრის მექანიზმთან) ერთად

Гилинский. «Понятие преступности в современной криминологии» - Юрид. Журнал Казахстанской юрид. Ассоциации «Предупреждение преступности». 2005, № 1, с. 28-31; Peter Conrad. Identifying Hyperactive Children: The Medicalization of Deviant Behavior (Ashgate Classics in Sociology). Hardcover. 2000. P. 1-9  
<sup>24</sup>ib: Криминология: Учебник для вузов (под ред. проф. В.Д. Малкова). 27-е изд., перераб. и доп. — М.: ЗАО «Юстицинформ», 2006, с. 21

ყოველთვის ყალიბდება გარკვეული სამართლებრივი უთიერთობა გატარებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სახით.

მაგალითის სახით შეგიძლია მოვიყვანოთ 80-იანი წლების პერიოდი, რომელთანაც დაკავშირებულია ძირითადი ცვლილებები ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო აშშ საწარმოო სფეროს გადასვლასთან რესურსდამზოგველ ტექნოლოგიებზე, რასაც დასაბამი დაუდო 1980-1982 წლების ფართო ეკონომიკურმა კრიზისმა. ამ კრიზისმა, პირველ რიგში, მოიცვა ნედლეულისა და მასალების მოპოვებისა და გადამამუშავების საბაზისო დარგები. კრიზისის დასაძლევად შესუსტდა სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგლამენტაცია; შემცირდა გადასახადების განაკვეთები კორპორაციების მოგებაზე; ახალი კადასტრებისათვის შემოიღეს დამატებითი საგადასახადო შეღავათები. ამერიკის ანტიმონოპოლური კანონმდებლობა (შერმანის, კლეიტონის და ფედერალური საეკონომიკური კომისიის ანტიტრესტული კანონები), რომელიც წინა წლებში მიმართული იყო მონოპოლური მდგომარეობის მოპოვების წინააღმდეგ (ბაზარზე ლაიერების, კონკურენტების ჩამოცილების და ა. შ.), ფაქტობრივად შეზღუდული იქნა. სტიმული მიეცა ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებას. ამის შედეგად პირდაპირი კაპიტალდაზღვრების გატანა 80-90-იან წლებში წელიწადში საშუალოდ 50 მილიარდი დოლარამდე აღწევდა, რაც უცხოური დაკავშირების მისაღებად მსხვილი კორპორაციები მნიშვნელოვან ქრთამებს იხდინენ. ამ წლებში მიღებულ კანონს უცხოური კორუმპირებული პრაქტიკის შესახებ უკვე აღარ ძალუძდა შეეზღუდებინა განვითარების სტადიაში მყოფი ეკონომიკური პროცესი, ვინაიდან უფრო გლობალური ანტიმონოპოლური კანონები ფაქტობრივად აღარ მოქმედებდნენ.

ნედლეულისა და მასალების მოპოვებასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებული საბაზისო დარგების განვითარება დროს მოითხოვდა. ამიტომ ბიუჯეტის დაჩქარებულად შეესების მიზნით, სახელმწიფო რეგულირება საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და სხვა არხებით ირიბი ზემოქმედების მიმართულებით გააძლიერდა. შეიზღუდა ფედერალური მთავრობის ხარჯები, პირველ რიგში, სოციალური ინდიკატორების ხარჯზე უმუშევრობის შემწეობის გაცემის ვადების შემცირების, რიგი სხვა შემწეობების და სოციალური დახმარებების ოდენობისა და გაცემის წესის, ასევე ბიუჯეტის სხვა რიგი მეორეხარისხოვანი მაჩვენებლების და სახელმწიფო საქმიანობის ნაკლებად ფექტიური მეთოდების ხარჯების შეკვეცის გზით; გატარდა მაკროეკონომიკური-ფულადი პოლიტიკა, რომელიც ამუხრუჭებდა ბრუნვაში ფულის მასის ზრდას. საგადასახადო პოლიტიკის საერთო ხაზი ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციების შემოსავლებზე გადასახადებთან შედარებით, პირად შემოსავლებზე გადასახადების და სოციალურ ფონდებში ანარჩევების, როგორც ბიუჯეტის შემოსავლების წყაროს მნიშვნელობის ზრდისკენ გადაიხარა.

რესურსდამზოგ დარგებზე ორიენტაციამ გამოიწვია სამუშაო ადგილების შემცირება. თუ წინა წლებში უმუშევრობა 4,6 პროცენტს შეადგენდა, 80-იან წლებში მან 6,7 პროცენტს მიაღწია. აშშ კონგრესის გაერთიანებულმა ეკონომიკურმა კომისიამ დაადგინა, რომ უმუშევრობის 1,4 პროცენტით ზრდისას პატიმრობის რიცხვი ამერიკის ციხეებში 5,6 პროცენტით იზრდება. 1985 წელმა დაადასტურა ამ დასკვნების მართებულობა. მოსახლეობაში ზრდა იწყო დანაშაულობამ და ფონურმა მოვლენებმა. თუ 1984 წელს აღირიცხა 11,8 მილიონი სერიოზული დანაშაული, 1985 წელს - 12,4 მილიონი, 1986 წელს - 13,3 მილიონი, 1987 წელს - 13,5 მილიონი, 1988 წელს - 13,9 მილიონი, 1989 წელს - 14,2 მილიონი, 1990 წელს - 14,4 მილიონი, 1991 წელს - 14,8 მილიონი. 1986 წლიდან 1991 წლამდე ქურდობისა და ძარცვის ფაქტების რაოდენობა აშშ-ში გაიზარდა 27 %-ით, ხოლო იარაღის გამოყენების შემთხვევათა რიცხვი - 49 %-ით.

დანაშაულობაზე რეაქციას წარმოადგენდა "კანონი დანაშაულობის ყოველმხრივი კონტროლის შესახებ", რომელიც აშშ კონგრესმა 1984 წლის 12 ოქტომბერს მიიღო. მან გააფართოვა 1968 წლის კომპლექსური კანონი "დანაშაულობის კონტროლისა და ქუჩაში უსაფრთხოების შესახებ". 1986 წელს მიღებულმა "ანტინარკოტიკულმა კანონმა" ("Anti-

Drug Abuse Acte") და 1967 წლის კომპლექსურმა კანონმა "ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის და მათ გავრცელებაზე კონტროლის შესახებ" გაზარდეს პოლიციის უფლებამოსილება, რომელსაც არ შეეძლო, შეეჩერებინა უმძლავრესი კრიმინალურ-ნარკოტიკული ტალღა, რადგანაც ცხადი ხდებოდა, რომ ამ პრობლემას ფესვები მეტიმედად ღრმად ჰქონდა გადგმული<sup>55</sup>.

შეიძლება სხვა ფაქტების მოყვანაც, რომლებიც ანალოგიურად ადასტურებენ, რომ დანაშაულებრივი ქცევის სამართლებრივი კონსტრუქცია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამოვლინებას წარმოადგენს, ხოლო ეს უკანასკნელი მითვისების გაბატონებული ტიპის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წესის როლში გვევლინება. ამასთან, ერთი და იმავე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პირობებში შესაძლებელია სამართლებრივი კონსტრუქციების არსებითი ცვლილება<sup>56</sup>. საკუთარი განვითარებისათვის საჭირო პირობების მხარდაჭერიდან გამომდინარე, მითვისების გაბატონებულ ტიპს შეუძლია გამოხატოს სისხლის-სამართლებრივი პოლიტიკა რიგი მოქმედებების კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის სხვადასხვა ხერხებით. როგორც აღმოჩნდა, ანტიმონოპოლური კანონმდებლობა (შერმანის, კლეიტონის და ფედერალური სავაჭრო კომისიის ანტიტრესტული კანონები) შექმნილ იქნა კანონებით ტრანსნაციონალური კომპანიების შესაძლებლობათა გაფართოების შესახებ. მაგრამ იმავდროულად გაძლიერდა სასუსისმებლობა კორუფციასთან (კანონი უცხოური კორუპციონული პრაქტიკის შესახებ), ქურჩისა და სხვა დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში (კანონი "დანაშაულობაზე კონტროლის და ქუჩაში უსაფრთხოების შესახებ", "ანტინარკოტიკული კანონი" და კომპლექსური კანონი "ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის და მათ გავრცელებაზე კონტროლის შესახებ" და ა. შ.).

დაბოლოს, ლეგალისტური მიმართულების მომხრეები ხაზს უსვამენ რა კრიმინოლოგიის სამართლებრივი ხასიათი, მიუთითებენ, რომ იგი აღმოცენდა სისხლის სამართლიდან<sup>57</sup>. ეს თვალსაზრისი საბჭოთა. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მართებულია სხვა თეზისი - სისხლის სამართალი აღმოცენდა კრიმინოლოგიიდან. ამის დამადასტურებელია დანაშაულობის შესახებ წარმოდგენების განვითარების ისტორია.

მრავალი საუკუნის განმავლობაში, თვით XVIII საუკუნემდე წარმოდგენები დანაშაულობაზე ვითარდებოდა კაპიტალიზმამდელი ეპოქების სოციალური წყობის პერიოდში. საზოგადოებრივი წყობა იდენტიფიცირდებოდა ცენტრალიზებულ დესპოტიურ სახელმწიფოსთან. მიჩნდათ, რომ მშვიდობა და წესრიგი მხოლოდ ასეთ სახელმწიფოშია გაიმყვებული, "ნორმიდან" მცირედად გადახრაც კი მხოლოდ ცალკეული ინდივიდის თვითნებობაა. ვირტუალური ხედვის მიხედვით, სახელმწიფოს გარეშე არავითარი კანონზომიერება არ არსებობს და არის მხოლოდ შემთხვევეითობათა კონგლომერატი. ასეთ პირობებში დანაშაულთა მიზეზს ეძებდნენ არა საზოგადოებაში, არამედ მხოლოდ ინდივიდში, მის თვითნებობაში. ამოგად, მოცემულ ისტორიულ საფეხურზე კაცობრიობას არ შეეძლო შეემუშაებინა დანაშაულობის გაგება სახელმწიფო თვალსაზრისის გარეშე, რასაც ბევრად უწყობდა ხელს სახელმწიფო დიქტატი, როგორც მითვისების არსებითი წესი. სწორედ სახელმწიფო იძულების ტოტალური განვითარება არ იძლეოდა დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის დანახვის საშუალებას. აზრი კრიმინოლოგიის სისხლის სამართლიდან მომდინერეობის შესახებ ასახავდა სწორედ

<sup>55</sup> იხ: P.И.Хасбулатов. Мировая экономика.М. «ИНСАН». 1944,с. 96-101;США в мировой экономике - www.5ballov.ru.; Шур. Э., Наше преступное общество.М., «Прогресс», 1977, с. 48-58; В.В.Лунев. Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М. «Норма», 1977, с. 272; С.М. Иншаков. Зарубежная криминология.М.1977, с. 227-231

<sup>56</sup> აღნიშნული ზედაპირული ეპიზოდით იფარგლებიან ანტილეგალისტური მიმართულების მომხრეები, როდესაც აღნიშნავენ, რომ სამართლებრივი კონსტრუქციები ზოგჯერ ზუსტათ არ ადგენენ ქცევის წესს, რომ არსებობს განსაკუთრებით საშიში ზიანი, რომელსაც არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი ნორმა. - იხ: Marshall B. Clinard and Robert F. Meier. Sociology of Deviant Behavior. 2007. P.3-49

<sup>57</sup> იხ: Криминология: Учебник (Под ред. В.Н. Кудрявцева, В.Е. Эминова. М.: Юристъ, 1997.

არაკონომიკური იძულების ბატონობას, რომლის ძირითადი მეთოდი სისხლის სამართალი იყო. ეს ნიშნავს, რომ დანაშაულობაზე წარმოდგენის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მოცემულ სტადიაზე არ ძალუძდათ გამოსულიყვნენ დანაშაულობის იურიდიული მხარის სახდურებიდან, რამეთუ განვითარებული მხოლოდ ის გახლდათ.

საბაზრო კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების კელობაზე, სახელმწიფო იძულება უკვე ეკონომიკურ იძულებას - საბაზრო კანონებს ემორჩილება. და უფრო თვალსაჩინო ხდება ფაქტი, რომ საზოგადოება ფუნქციონირებას იწყებს, როგორც დამოუკიდებელი ძალა. აქ პირველად ჩნდება სოციალური წინააღმდეგობები, რომლებიც იმორჩილებენ სახელმწიფოს დიქტატასა და სისხლის სამართლის როლს. შეიძლება ხატონად ვთქვათ, რომ წარმოდგენები დანაშაულობაზე გამოდიან იურიდიული ფორმიდან და იღებენ მათთვის ტიპურ სოციალურ ხასიათს. დგება ეტაპი, როცა სისხლის სამართალი იწყებს კრიმინოლოგიიდან გამოსვლას - ფორმა ემორჩილება არსს.

ამრიგად, კრიმინოლოგია ექვემდებარება სამართალს და ამ ნაწილში იგი შეიცავს სამართლებრივი (და არა იურიდიულ-ტექნიკური) აზროვნების მომენტს, რამდენადაც გამოდის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობა. ამასთან, ის ორმხრივ როლს ასრულებს:

ა) სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ხდება მითვისების გარკვეული ტიპის ბატონობის მხარდაჭერის ხერხი და ამასთან დაკავშირებით, იუსტიციის მთელი სისტემა ადექტატურ ფორმას იძენს: ზოგი კანონის მოქმედება წყდება, ზოგ კანონს კი ეძლევა სიერცე იძულების ან გაძლიერების, ან შესუსტების მიმართულებით. დანაშაულობის მიმართ სამართალი წარმოგვიდგება, როგორც მითვისების გარკვეული ტიპის ბატონობის მხარდაჭერის ხერხი.

ბ) საზოგადოებრივად აუცილებელი მითვისების გარკვეული ხერხების დამკვიდრებასთან ერთად იცვლება უმუშევრობის სექტორი, განათლების, კულტურის დონე და სხვა სოციალური პირობები, რომლებიც იწყებენ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გაუცხოებას, მის ერთგვარ მოკვებას საზოგადოებისაგან. ამ გაგებით დანაშაულობა უფრო ნათლად გვევლინება გაუცხოების მოხსნის ხერხად, რომლის წარმოქმნაშიც სამართალი მონაწილეობს. მაგრამ აქ თითქოს ხდება ამ უკანასკნელის გაორება და მოძრაობის სუბიექტის ნაცვლად ცხოვრების ზედაპირზე დანაშაულობა გამოდის სამართლის ობიექტის როლში. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს სამართლებრივ ურთიერთობასთან. მაგრამ, სამართლებრივი ურთიერთობა, სადაც სამართალი დანაშაულობის მიზეზად გვევლინება (როგორც მითვისების გაბატონებულ ტიპის ხერხი) და სამართლებრივი ურთიერთობა, სადაც დანაშაულობა გვევლინება სამართლის ობიექტად, ერთმანეთისაგან განსხვავდება.

როგორც უკვე აღინიშნა, კრიმინოლოგია სოციალურ-სამართლებრივი მეცნიერებაა. მეცნიერების სოციალური, უფრო ზუსტად კი სოციოლოგიური ხასიათი, ელინდება იმაში, რომ მისი შესწავლის საგანი სოციალური პროცესებია. დანაშაულობის ცვლილება, მისი დეტერმინაცია ობიექტურად ხორციელდება საზოგადოების ძირითადი სოციალური კანონების ისტორიული ცვალებადობის ზემოქმედებით. შემთხვევითი არაა, რომ დანაშაულობის სოციოლოგიის თანამედროვე მეკლევარები ცდილობენ შეადწინონ დანაშაულობის საიდუმლოებაში სწორედ სოციალური მოვლენებისა და პროცესების შეცნობის კუთხით<sup>98</sup>.

კრიმინოლოგია, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მეცნიერება, თავისი სპეციფიკი გამო გარკვეულ ადგილს იკავებს მეცნიერებათა სისტემაში. ანალიზებს რა დანაშაულობის იურიდიულ მხარეს ანუ სამართლებრივ ფორმას, კრიმინოლოგია მჭიდრო კონტაქტშია სამართლებრივ მეცნიერებებთან. ყველაზე ახლო კავშირი არსებობს დარგებთან, რომლებიც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის რეგლამენტირებას ახდენენ

<sup>98</sup> იხ: F. Williams III, M. McShane. *Criminological Theory*. 1997 N.Y., p. 10-15; G. Vold, T. Bernard, J. Snipes. *Theoretical Criminology*. Oxford University Press..2002., p. 1-13; J. Lilly, F. Cullen, R. Ball. *Criminological Theory: Context and Consequences*. London. 2007., p. 3-5 და სხვა



სისხლის სამართალთან, სისხლის სამართლის პროცესთან, სასჯელადსრულებით სამართალთან.

ამ დისციპლინების მიმართ კრიმინოლოგია საბაზო როლში გვევლინება. განხორციელებული კვლევების შედეგად დგინდება იმ აქტების სახეები და ფორმები, რომელთა კრიმინალიზაცია ან დეკრიმინალიზაცია შესაძლებელია. სპეციალური კრიმინოლოგიური პროგნოზები ეხმარება საზოგადოებას თავი აარიდოს სამართალდამცევი ორგანოების ეფექტური ევლუნტარიზმს ან კანონმდებლების ემოციებს. მაშასადამე, ამ მიმართულებით მუდმივად ხდება სისხლის სამართლის კორექტირება.

ამასთან ერთად, სწორედ კრიმინოლოგიას შეუძლია გახდეს გარანტი იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი ცდილობს თვითნებურად გადმოიტანოს ქვეყნის სისხლის სამართალში საზღვარგარეთის გამოცდილება. ამ გამოცდილების კრიმინოლოგიურ ექსპერტიზას აქვს უნარი, ეფექტურად შეაჩეროს იმ უცხოური კონსტრუქციების დანერგვა, რომელთა შედეგად დანაშაულობა ამ ქვეყნებში გაიზარდება.

კრიმინოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერების განვითარებაში. სწორედ კრიმინოლოგიური და სოციოლოგიური კვლევები გვიჩვენებენ, რომ კაპიტალის საწყისი დაგროვების სტადიაზე ქვეყნებში დანაშაულობასთან ბრძოლის ყველაზე რეპრესიულ მეთოდებს მიმართავენ. კრიმინოლოგების ამ დასკვნების გაუთვალისწინებლობამ უარყოფითად იმოქმედა, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესზე, სადაც სერიოზული კრიმინოლოგიური დასაბუთების გარეშე განხორციელდა პირობითი სასჯელის ფაქტობრივი გაუქმება, საპროცესო შეთანხმების შემოღება დანაშაულთა ნებისმიერი კატეგორიის მიმართ, ბრალდების უფლებათა გაფართოება პროცესის სხვა მონაწილეთა ხარჯზე და ა. შ.<sup>99</sup> აქვე შევნიშნავთ, რომ ნებისმიერ ისტორიულ სტადიაზე კრიმინოლოგიურ ანალიზს შეუძლია სერიოზული გაელენა მოახდინოს სისხლის სამართლის საპროცესო პოლიტიკის მოდელის შერჩევაზე.

კრიმინოლოგიასთან მჭიდრო კავშირშია სასჯელადსრულებითი სამართალი. სწორედ კრიმინოლოგიური კვლევების შედეგად დგინდება ყველაზე კრიმინოგენული სოციალური სტატუსები, კრიმინოგენული როლების განაწილება, მათი კავშირი დანაშაულთა ამა თუ იმ სახეობასთან და ა.შ. ამის შედეგად მიღებულ დასკვნებს შეუძლია არსებითი გაელენა მოახდინონ მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის მოდელისა და რესოციალიზაციის ეფექტური ზომების შერჩევაზე.

კრიმინოლოგია მჭიდრო კავშირშია სოციოლოგიასთან. როგორც სოციალური მოვლენა, დანაშაულობა, მისი დეტერმინაცია და სოციალური კონტროლი შეისწავლება აღნიშნული მეცნიერების მიღწევათა საშუალებით. ძირითადად მისი განვითარება თანამედროვე ეტაპზე სწორედ სოციოლოგიის მიღწევებითაა განაპირობებული. შემთხვევითი როლია, რომ ამჟამად კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა შორის დომინირებს დანაშაულობის სოციოლოგიურ კვლევათა ხვედრითი წილი.

მჭიდრო კავშირი ვლინდება აგრეთვე კრიმინოლოგიასა და ეკონომიკურ მეცნიერებებს შორის. საზოგადოების ეკონომიკური კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებაში სოციალური კონტროლის ადგილისა და როლის დადგენა და მის შესაბამისად სახელმწიფო თვალსაზრისის გარკვევა დანაშაულობასა და მის დეტერმინაციასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ძნელია დანაშაულთა სხვადასხვა ფორმებისა და სახეობების ერთ საერთო სურათად წარმოდგენა. ეკონომიკური ანალიზი გვეხმარება დანაშაულობის ხელშემწყობი ეკონომიკური მოვლენების არსის გარკვევაში.

<sup>99</sup> იხ. გ. ნიკოლაიშვილი, დღეს საქართველოში თემიდა გაბრაზებული ან გაბრაზებული კი არ არის, ის, უბრალოდ, გაუპატიურებულია - გაზ. "ასავალ დასავალი. 29.10.2007. № 44, გვ. 39-41.

ყველაფერი ეს გადალევს საფუძველს ვთქვათ, რომ კრიმინოლოგია დაკავშირებულია ყველაზე მეტად საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. არის რა დამოუკიდებელი, კრიმინოლოგიური მეცნიერება შეიძლება ხასიათდებოდეს, როგორც მეცნიერული ცოდნის სისტემა დანაშაულობის, მისი დეტერმინანტებისა და სოციალური კონტროლის შესახებ. ამ მეცნიერების წინაშე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ჩვენი საზოგადოების ახლანდელ ეტაპზე მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით.

კრიმინოლოგია, ისევე, როგორც სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები, მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს იმ კრიმინოლოგიური ცოდნის განახლებაში, რომელიც, რიგი სუბიექტური ტენდენციების გამო, ჩამორჩა დანაშაულობის კონტროლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს. ახალმა კრიმინოლოგიურმა ცოდნამ არა მარტო უნდა შეაიარალოს იურისტები თანამედროვე წარმოდგენებით დანაშაულობის ბუნებისა და მისი არსის შესახებ, არამედ უნდა შეანარჩუნოს მეცნიერულად დასაბუთებული ორიენტირის როლიც მასთან “ბრძოლის” პრაქტიკული ზომების სწორი და საიმედო უზრუნველყოფისათვის. კრიმინოლოგიურ დასაბუთებათა არსენალი უფრო მდიდარი და მძლავრი გახდება, თუ პრაქტიკული მეშვეობით დაეფუძვლება კრიმინოლოგიურ აზროვნებას, რაც საფუძველს შექმნის საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნაში სწორად აღსაქმელად. კრიმინოლოგიურ ცოდნას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი პრაქტიკულ მუშაუბებს შორის დოკუმენტური წარმოდგენების, გაუბრალოების და სტერეოტიპული აზროვნების დაძლევაში<sup>100</sup>.

### § 3. კრიმინოლოგიური ცოდნის სტრუქტურა

ლეგალისტურ პოზიციაზე მყოფ მეცნიერებს კრიმინოლოგიური ცოდნის აგების სისტემის კრიტერიუმად სამართლის დარგების აგების სისტემა მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რომ “კრიმინოლოგიის სისტემაზე” სუბარტი გულისხმობს მის მიერ შესასწავლ პრობლემათა განხილვის რიგს, ვთქვათ, ყველაზე უფრო ზოგადიდან, გლობალურიდან, ფუძემდებლურიდან კონკრეტულამდე. მთელ რიგ სახელმძღვანელოებსა და ლექციების კურსებში სწორედ ასეთი პრინციპია გატარებული. სამართლის დარგებში მეცნიერების სისტემა, ხშირად, ემთხვევა კანონმდებლობის სისტემას. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის მეცნიერება შედგება “ზოგადი” და “ეკრძო” ნაწილისაგან და შესაბამისად სისხლის სამართლის კოდექსსაც გააჩნია “ზოგადი” და “ეკრძო” ნაწილი. “ზოგადი” ნაწილში მოცემულია ზოგადთეორიული, მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ამოსავალი დებულებები, “ეკრძო” ნაწილში კი - დანაშაულთა სახეები, მათი კონკრეტული შემადგენლობა და სასჯელის ზომა”. ამ მეცნიერულ ტრადიციას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კრიმინოლოგიისთვისაც, რომელიც ასევე იყოფა ზოგად და ეკრძო ნაწილებად<sup>101</sup>. ავტორი ძირითადად ასახავს საბჭოური ტიპის კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოებს, რომლებში წარმოდგენილი მიდგომებიც დღემდე შენარჩუნებულია.<sup>102</sup>

კრიმინოლოგიური ცოდნის აღნიშნულ აგებას საფუძველად უდევს ნომინალისტური მიდგომა, რომელიც იურიდიული პრაქტიკის ზეგავლენითაა დამკვიდრებული კრიმინოლოგიაში. სამართალი ინდექტიურად აღწერს გრძობად-აღქმად მოვლენათა ნიშნებს, ე. ი. ადგენს მსგავს მახასიათებლებს, როგორც საერთოს. ამდენად ზოგადი აბსტრაქტული განზოგადება ინდექტიურია. ფორმალური განზოგადების გენეტიკურ საერთოსთან გაიგივების ამ მიდგომას თავისი ობიექტური საფუძველი აქვს იურისტის პრაქტიკულ საქმიანობაში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ეფუძნება ქმედების (გრძობისმიერი აქტის) სამართლის (აბსტრაქციის) ნორმისადმი შესაბამისობის მტკიცებულებას. ამასთან, იმდენად რამდენადაც, შინაარსი, რეალობა მოიაზრება დანაშაულის მხარეს, ხოლო ინეარინტულობა - სამართლის ნორმისა, იქნება

<sup>100</sup> იხ: Криминология: Учебник для вузов (под ред. В.Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006., с. 21-23

<sup>101</sup> იხ.: ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი). თბ. 2003, გვ. 18-19

<sup>102</sup> იხ.: Криминология: Учебное пособие (Под ред. Н.Ф. Кузнецовой). М.: Зеркало.1998; Криминология: Учебник (Под ред. В.Н. Кудряшова, В.Е. Эминова). М.: Юристъ, 1997; Криминология: Учебник (Под ред. А.И. Долговой). М. 2000; Криминология: Учебник для вузов (под ред. В.Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006 და სხვა.

აქტის მის არსამდე (აბსტრაქციამდე, ნორმამდე და ა. შ.) აღსკვლის შთაბეჭდილება. ამიტომ კრიმინოლოგიის სისტემაც ისე აიგება, როგორც სამართლისა. ძირითადი დებულებების დეფინიციური განსაზღვრა მიიჩნევა ზოგად, ხოლო კონკრეტული მოვლენების აღწერა – კერძო ნაწილად. ასეთი მიდგომის ნაყოფი ჩანს თუნდაც იმაში, რომ კერძო ნაწილის ელემენტების ჩამოთვლის თანმიმდევრობა რაიმე მყარ კრიტერიუმს არ ემყარება. მაგალითად, ე.წ. კერძო ნაწილი ნ. კუხნეცოვას რედაქციით გამოცემულ “კრიმინოლოგიაში” იწყება არასრულწლოვანთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათებით<sup>103</sup>, ე. მალკოვის რედაქციით გამოშვებულ სახელმძღვანელოში – ძალადობრივი დანაშაულობის განხილვით<sup>104</sup>, ი. გილინსკი იწყებს ძალადობის თემით<sup>105</sup>, რეციდიული დანაშაულობის დახასიათებით იწყება ე. კუდრიაეცევის და ე. ემინოვის რედაქციით ფაშოშებელი სახელმძღვანელო<sup>106</sup>, ვ. შესტაკოვის რედაქციით გამოცემული ნაშრომი კი – საყოფაცხოვრებო დანაშაულის კრიმინოლოგიური საკითხებით<sup>107</sup>.

ამერიკულ კრიმინოლოგიაში ზემოთ აღნიშნული სტრუქტურა არ არის დაცული. ტიპობრივია სტრუქტურის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტის მიხედვით სახელმძღვანელო თემატიკა განლაგებულია კრიტერიუმის გარეშე და წარმოდგენილია როგორც კრებულის მოდელი. ამის მაგალითია ე. უილიამსის სახელმძღვანელო შემდეგი თემებით: 1) განსაზღვრება, ტერმინოლოგია და დანაშაულებრივი პროცესი; 2) დანაშაულობის საზოგადოებრივი კონცეფციები და არაკონცეფციურობა; 3) დანაშაულობის საზღვრები: ოფიციალური და არაოფიციალური შედარების აღწერები; 4) მსხვერპლი, გადარჩენილები, ეიქტომოლოგია; 5) დანაშაულობაზე ფიზიკური ფაქტორებისა და გენეტიკის ზეგავლენა; 6) დანაშაულობაზე ცენტრალური და ავტონომიური ნერვული სისტემისა და ბიოქიმიური ფაქტორების ზეგავლენა; 7) დანაშაულობის ფსიქოლოგიური თეორია; 8) გონებრივი აშლილობა და დანაშაულობა; 9) ინფორმაცია და სწავლა; 10) კრიმინოლოგიის სოციოლოგია; 11) ანომია, გადაცდომა და მოზარდთა კულტურა; 12) თეორია კონტროლის შესახებ; 13) იარღივი, ფერომენოლოგია და ეთნოფეთოდოლოგია; 14) თეორია კონფლიქტის შესახებ და ეთნოფეთოდოლოგია; 15) კრიმინოლოგია და რეალიზმი; 16) ქალაქთა დანაშაულობის პოზიტიური ასხნა; 17) ფემინისტური დანაშაული; 18) ტერორიზმი და სახელმწიფოებრივი ძალადობა; 19) მართვა, რისკი და თეორიები გლობალიზაციის შესახებ.<sup>108</sup>

მეორე ვარიანტში მოცემულია ზოგად და კერძო ნაწილებად დაყოფის მცდელობა, მაგრამ ეს დაყოფა პირობითია. ზოგად ნაწილში განიხილება გაერცვლებული თეორიები. კერძო ნაწილი კი აგებულია რაიმე კრიტერიუმის გარეშე: 1) ძალადობრივი დანაშაულობა; 2) ქონებრივი დანაშაული; 3) დანაშაულები საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ; 4) სინდიკატების დანაშაულობა; 5) “თეთრსაყვლოიანთა” დანაშაულობა; 6) პოლიტიკური დანაშაულობა; 7) უთანასწორობა, დანაშაულობა, ეიქტიმიზაცია<sup>109</sup>.

კრიმინოლოგიური ცოდნის სტრუქტურა ჯერ-ჯერობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს თეორიული და გამოყენებითი თემატიკების სისტემის სახით.

თეორიული თემატიკის ბლოკი შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ეხება კრიმინოლოგიურ თეორიას და მეთოდოლოგიას. მეორე ნაწილი კი განიხილება დანაშაულობის დეტერმინაციის პრობლემატიკა გაბატონებული კრიმინოლოგიური თეორიების ჩარჩოებში. ამასთან ერთად, დაცულია კრიმინოლოგიური განზოგადების სქემა. ჯერ განიხილება ინდივიდუალური დონე – ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის

<sup>103</sup> იხ.: Криминология: Учебное пособие (Под ред. Н.Ф. Кузнецовой). М.: Зерцало. 1998, с. 67

<sup>104</sup> იხ.: Криминология: Учебник для вузов (под ред. В.Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006, с. 232

<sup>105</sup> იხ.: Я. Гилинский. Курс лекций. СПб. «Питер». 2002

<sup>106</sup> იხ.: Криминология: Учебник (Под ред. В.Н. Кудрявцева, В.Е. Эминова). М.: Юристъ, 1997, с. 141

<sup>107</sup> იხ.: Преступность среди социальных подсистем. ( под ред. Д.А. Шестакова). СПб. Юрид.Центр. 2003, с. 28

<sup>108</sup> იხ.: K. Williams. Textbook on Criminology. Oxford. 2004

<sup>109</sup> იხ.: P. Beirne; J Messerschmidt. Criminology. Oxford. 1999. p.213 - 218

მექანიზმი, ხოლო მეგრე – გლობალური დეტერმინაციის პრობლემები. მესამე ნაწილში გაშუქებულია დანაშაულობის სოციალური კონტროლი. ყოველი ნაწილი შეესაბამება კრიმინოლოგიის საგნის ძირითად ელემენტს.

სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილში ასახულია დანაშაულობის ზოგიერთი ფორმისა და სახის კრიმინოლოგიური ანალიზი. აქ მნიშვნელოვანია მოკლედ შევეხოთ მასალის დაყოფის კრიტერიუმს.

თანამედროვე საზოგადოებაში კაპიტალის დაგროვების პროცესში ძირითადი როლი ენიჭებათ მონოპოლიურ გაერთიანებებს და სახელმწიფოს. დანაშაულობის გლობალიზაციაშიც მათ უკავიათ წამყვანი როლი. ამიტომ ლოგიკურია, უპირველეს ყოვლისა, “თეთრსაყელიანთა” დანაშაულობისა და კორპორაციული დანაშაულობის განხილვა. ტრანსნაციონალური, ორგანიზებული და პროფესიული დანაშაულობა მასშტაბურობით და რთული ორგანიზაციით ხასიათდება. საზოგადოებაში ფიქსირდება მოსახლეობის დანაშაულთა სხვადასხვა ფორმა და სახე; დანაშაულობა საკუთრების წინააღმდეგ, ძალადობრივი დანაშაულობა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულობა, ახალგაზრდობის დანაშაულობა, ქაღალთა დანაშაულობა და სხვა.

მეხუთე ნაწილში განიხილება სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა დანაშაულობის სოციალური კონტროლის ფარგლებში.

#### § 4. კრიმინოლოგიის მეთოდოლოგია

1. დანაშაულობის დეტერმინაციის ობიექტური ასახვა და ისტორიულად გამართლებული სოციალური კონტროლის განხორციელება დამოკიდებულია იმ მსოფლმხედველობაზე, რომელსაც იყენებს მეცნიერი ჭეშმარიტების დადგენის პროცესში. შერჩეული მსოფლმხედველობა კრიმინოლოგს წარმოუდგენს “სოციალურ სურათს”, რომელიც მას დანაშაულობის, მისი დეტერმინაციისა და სოციალური კონტროლის დახასიათების ძიების მიმართულებას სთავაზობს. ამრიგად, კრიმინოლოგიაში გამოყენებული ეკლექსის მეთოდთა ერთობლიობა ქმნის დარგის მეთოდოლოგიას.

მეთოდოლოგია კრიმინოლოგიაში ასრულებს ფილოსოფიური აზროვნების როლს. მისგან განსხვავებით, არსებობს ფაქტების მოგროვების, აღწერისა და კლასიფიკაციის უამრავი ხერხი, რომლებიც ქმნიან გამოკლექსის მეთოდოლოგიას.

მეთოდიკა მეთოდოლოგიისაგან გარკვეულად არსებობს როგორც დამოუკიდებელი აზროვნების მოვლენა. მაგრამ საბოლოოდ ის მაინც ექვემდებარება მეთოდოლოგიას, რადგან ფაქტის აღქმა ხორციელდება მარტო იმ კუთხით, რა კუთხითაც ნაკარნახევია მისი განზოგადება მეთოდოლოგიის სისტემაში.

კრიმინოლოგიაში მეთოდოლოგიურ როლს ასრულებენ შემდეგი პრინციპები: 1) დანაშაულობის დეტერმინაციისა და დანაშაულობის სოციალური კონტროლის, როგორც სოციალური მოვლენების განხილვა, 2) ფაქტორთა თეორიის უარყოფა და კაზუალური თვალთახედვის თანმიმდევრული განხორციელება, 3) როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დანერგილი პრევენტული პროპაგანდის გათავალისწინების პრინციპი.

დანაშაულობის დეტერმინაციისა და დანაშაულობის სოციალური კონტროლის, როგორც სოციალური მოვლენების განხილვა თანამედროვე კრიმინოლოგიაში ეჭვს არ იწვევს. ტრანსნაციონალური დანაშაულობის წარმოშობამ, ორგანიზებული კრიმინალური სინდიკატების თარეშმა, ტერორიზმის გავრცელებამ, საეჭვო მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში სახელმწიფოთა მონაწილეობამ და სხვა გლობალურმა მოვლენებმა საბოლოოდ დაარწმუნა კაცობრიობა, რომ თვით საზოგადოებაში არსებობენ პროცესები, რომლებიც მათგამტიკური სიზუსტით კარნახობენ “თამაშის წესებს”.

კრიმინოლოგიური აზროვნების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ გამოკვეთა რამდენიმე პრინციპული დებულება, რომლის გაუთვალისწინებლობა მრავალ ქვეყანას მწარედ დაუჯდა.

უპირველესად მნიშვნელოვანია დანაშაულობის ცვალებადობის დაკავშირება საზოგადოების ისტორიული ტიპის კანონებთან. კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღნიშნული პრინციპი მოითხოვს დანაშაულობის ახსნას მოგების კანონებიდან და მათზე დაფუძნებულ სოციალურ ურთიერთობებიდან გამომდინარე. როგორც ტ. იანგი აღნიშნავს, "მთლიანად ახალი დანაშაულობების, ახალი კანონების, მართლმსაჯულების ახალი სისტემის, დაცვის და კონტროლის ტექტიკის ახალი სახეობების წარმოშობა სპეციფიკურია წარმოების კაპიტალისტური წესისათვის. წარმოების წესი განსაზღვრავს დანაშაულთა მნიშვნელოვან რაოდენობასა და სახეობებს"<sup>110</sup>. მარტო ამ გზით შეიძლება შეიკრას სხვადასხვა კრიმინოლოგიურ ფაქტორთა ჯაჭვი<sup>111</sup>. ამის უარყოფამ, როგორც ცნობილია, ნიშილიზმამდე მიიყვანა ფენომენოლოგიური კრიმინოლოგია.<sup>112</sup>

პრინციპული მნიშვნელობა აქვს დანაშაულობის განხილვას ისტორიულ ტრილში. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია რამდენიმე მიმართულებით. დანაშაულობის კვლევისას მეცნიერმა უნდა იცოდეს საზოგადოების განვითარების ფაზა. მაგალითად, მცდარია კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეტაპზე მყოფი ქვეყნის დანაშაულობის შედარება იმ ქვეყნის მონაცემებთან, რომელიც ეკონომიკურად უფრო განვითარებულია. თანამედროვე საქართველოს დანაშაულობა წესით უნდა შედარდეს აშშ-ს ან ნებისმიერი ევროპის ქვეყნების დანაშაულობასთან, რომელიც იქ ვითარდებოდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეტაპზე. შამწუხაროდ, ასეთ გამოკვლევებს კრიმინოლოგები არ ატარებენ და მასალა კარგავს ფაქტის ხასიათს.

აღნიშნული ისტორიული შედარება მეკლევარს უსახავს მძლავრ პროგნოზირებად პერსპექტივას. 90-იან წლებში საკუთრების ჩამორთმევის, მოსახლეობის გაღარიბებისა და საკუთრების დაგროვების არაეკონომიკური მეთოდების დანერგვა და ამ პროცესების განვითარება, აგრეთვე შესაბამისი დანაშაულობის ფორმების წარმოშობა იყო მოსალოდნელი. ასეთი პროგნოზის საფუძველს იძლევა იმ ქვეყნების ისტორია, რომლებმაც თავის დროზე გაიარეს ანალოგიური გზა<sup>113</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების განვითარების ფაზის ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია. ამ პრინციპის უგულვებლყოფა არღვევს პროგრამების რეცეფენსი წესებს. მაგალითად, საზღვარგარეთიდან საქართველოში გადმოტანილი მრავალი სოციალური და ეკონომიკური პროგრამა ვერ უმკლავდებოდა დანაშაულობას, თუნდაც იმიტომ, რომ პრაქტიკაში არ ითვალისწინებდა ქვეყნის ისტორიული განვითარების ფაზას. ქვეყანაში არსებული სისტემა ნებისმიერ პროგრამას უხსნის გზას მარტო იმ შემთხვევაში, თუ ის გადაკეთდება და მიუერება საზოგადოების განვითარების ისტორიულ დონეს. იმიტომ საზღვარგარეთის პროგრესულმა მეთოდმა, რომელიც ჩვენთან გამოიყენება, შესაძლოა რეგრესი განიცადოს, რაც საზოგადოების განვითარების ისტორიული დონეების შეუთავსებლობით იქნება განპირობებული<sup>114</sup>.

<sup>110</sup> იხ.: T.R. Yong, Theory and method for Criminology In the 21-st Century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Theater Institute for Advanced studies in sociology. 1988, № 126

<sup>111</sup> ჯ. ჰაგანი აღნიშნავს, რომ საზოგადოება კანონის გარეშე ატარებს ანარქისტულ ხასიათს (Hagan J. Modern Criminology: Crime, Criminal Behavior and its Control. NY.: McGraw-Hill, 1985. P.49). ეს მოსაზრება მცდარია, რადგან მოგების კანონთან შედარებით, სამართალი უსუსურია. სამართალი ამყარებს წესრიგს მარტო იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ეს სჭირდება მოგების კანონის განვითარებას.

<sup>112</sup> იხ.: Sack F. S. Neue Perspektiven in der Kriminologie // Sack E, König R. (Hrsg) Kriminal-soziologie. Wisbaden, 1968 - ციტირებულია წიგნიდან: В. Н. Бурлаков. Развитие преступности и социальный контроль - Правоведение. 2002. № 1 (240). с. 139 - 148;

<sup>113</sup> იხ.: გ.თოდრია, კორუფციის თავისებურებანი კაპიტალისტურ ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პერიოდში-კომერსანტი. თბ.თელსუ. 2006, № 1, გვ. 102-113

<sup>114</sup> იხ.: Г. Тодрия, Проблемы рецепции при моделирования криминологических программ борьбы с преступностью - Уголовное право и преступностью. DAAD. Бохум. 2004, с. 107-114

კრიმინოლოგიაში, განსაკუთრებით რადიკალური კრიმინოლოგიის წარმოშობის შემდეგ, პირობათა ტოლფასოვნების იდეის უარყოფა და დიალექტიკური მეთოდის დანერგვა მკრათად იკადრებს ფეხს. დიალექტიკური მეთოდი რადიკალური კრიმინოლოგიების მიერ ფილოსოფიური მსჯელობის დროს არ არის გაიკვირებული მარქსისტულ თეორიასთან.

დიალექტიკური მეთოდი არსებობს ნებისმიერი თეორიისგან განცალკევებით. მისი ძირითადი ამოცანაა ერთიანობის დადგენა წინააღმდეგობრივ მოვლენებში. ამასთან, ეს ერთიანობა უნდა ატარებდეს რეალურად გენეტიკურ ხასიათს. მისი გამოყენება მეტად რთულია, რადგან მოთხოვნის სოციალური მოვლენების არსის ასახვას. მისი გამოყენებლობის გარეშე, საგნები ისე აღიქმება, როგორც ცხოვრების ზედაპირზე არსებობენ და არა ისე, როგორებიც უნდა იყვნენ. მაგალითად, კაპიტალის დაგროვების მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს დარგების მონოპოლიზაციას, რომლის ერთ-ერთი შედეგია უშუშაართა რაოდენობის ზრდა და მათი დანაშაული, კორპორაციული ომები და ა.შ. ამრიგად კაპიტალის დაგროვება (სახელმწიფო შექანზიმის გამოყენებით) იწვევს დანაშაულობას. მაგრამ იწვევს მარტო იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულობა არის დაგროვების აუცილებელი პირობანათელია, რომ დანაშაულობა და სამართალი (სახელმწიფო) ცხოვრების ზედაპირზე გვეჩვენებინან როგორც დაპირისპირებული მხარეები, მაგრამ ვერც ერთის ადგილი ვერ იქნება დანაშაულობასთან ბრძოლაში გაგებული, თუ არ დაუდგენთ მათ ერთიან ბუნებას. იურისტისათვის ასეთი მიდგომა უჩვეულოა, ხოლო კრიმინოლოგიაში, როგორც ხედავთ, ის აუცილებელია.

დიალექტიკური მეთოდის უარყოფიდან გამომდინარეობს სუბიექტივისტური შეხედულება დანაშაულობაზე. კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში ამ უარყოფით ფუნქციას ჯერ-ჯერობით ასრულებს სხვადასხვა სახის კლასიფიკაცია და ტიპოლოგიური მოდელი. სრულიად მართებულად აღნიშნავს პროფ. თ. წერეთელი, თუ მიზნობრივ კავშირში არაფერია სუბსტანციური, თუ გარე სამყაროში არსებული კავშირის არსება მიუწოდომელია ადამიანის შემეცნებისათვის, თუ ჩვენ ძალგების დაეადგინოთ მოვლენათა მხოლოდ უცვლელი და უმუდმივო თანმიმდევრობა და სხვა არაფერი, მაშინ ცხადია, რომ მიზნობრიობის მთლიანი ჯაჭვიდან შეუძლებელია გამოიყოს განსაზღვრული პირობები და ამ პირობებს მიეწეროს უფრო აქტიური, ქმედითი როლი სხვა პირობებთან შედარებით.

პირობათა ტოლფასოვნების უარყოფა მხოლოდ მას შეუძლია, ვისთვისაც მიზნობრივი კავშირი არის ნამდვილი, რეალურად არსებული კავშირი გარე სამყაროს მოვლენათა შორის, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანს თავისი პრაქტიკული საქმიანობით შეუძლია დაამტკიცოს როგორც მიზნობრივი კავშირის რეალობა, ისე მიზნის აქტიური, ქმედითი ხასიათი შედეგის მიმართ. პირობათა ტოლფასოვნების იდეა უციფრო კავშირშია აგნოსტიციზმთან. თუ ვაღიარებთ, რომ მოვლენათა ნამდვილი ურთიერთზემოქმედება ადამიანისათვის მიუწოდომელია და ჩვენ არ ძალგვიძს შევიცნოთ ცალკეული ძალის ქმედითობა, ჩვენ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა გვჩნება: ყველა პირობა განვიხილოთ, როგორც ტოლფასოვანი<sup>115</sup>.

როგორც აღნიშნეთ, კრიმინოლოგიაში მეტად მნიშვნელოვანია პრევენტული პრაქტიკის გათვალისწინების პრინციპი.

დანაშაულობის ფორმების წარმოშობა და გაქრობა დაკავშირებულია ისტორიული ტიპის საზოგადოების კანონების ცვალებადობასთან. ვერც ერთი პრევენტული პროგრამა ვერ აღწევს მიზანს, თუ ის ისტორიულად ნაადრევია და წინ უსწრებს საზოგადოების ისტორიულ მდგომარეობას. მასზე ნათლად მიუთითებს პროგრამების რეცეპციის პროცესი.

ნებისმიერ სახელმწიფოში პრევენტული პროგრამა ინერგება მარტო იმ სახით, რა სახითაც ის უნდა შეეგუოს მის ბუნებას. მაგალითად, ტოტალიტარულ სახელმწიფოში პროგრამის რეცეპცია ხორციელდება ორი გზით - ისინი მიმართავენ მეთოდებს არკაულ

<sup>115</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე. თბ. "მცენიერება". 1969, გვ. 219-220

წარსულიდან ან/და გადმოაკეთ მეთოდები იმ ქვეყნიდან, სადაც ბატონობს ანალოგიური ტოტალიტარული რეჟიმი. მაგალითად, 60-იანი წლების ჩინეთმა დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები გადმოიტანა 30-იანი წლების საბჭოთა კავშირიდან, სადაც გაერცელებული იყო ცოლის მიერ ქმრის დასმენა, ე.წ. "კომპანეშენა" და ა.შ.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდში მყოფ სახელმწიფოებში რეპრესიული ზომების ინტენგრაცია და ლიბერალიზაცია ყოველთვის შეესაბამება საზოგადოების ისტორიული განვითარების დონეს და ვერ სცდება მას. მაგალითად, 1995 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით საქართველოს საგადასახადო სისტემაში უნდა დამყარებულიყო წესრიგი. მაგრამ მიიღეს კანონი, რომელიც ასახავდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდს. შედეგად მოხდა გადასახადების გაზრდა 250-დან 1000%-მდე. ფაქტობრივად შეჩერდა ალკოჰოლური სასმელის წარმოება, თავი იჩინა კორუფციამ და ჩრდილოეთანამა წარმოებამ. უარყოფითი კვლევა განიცადა აქციზირების პროგრამამ. ის ისეთნაირად გადაკეთდა, რომ მოერგო არაეკონომიკური მეთოდებით საკუთრების დაგროვებას, მაფიოზური კლანების განმდიდრებას და ა.შ. საქართველოში ამ წლებში დაისახა ანტიკორუფციული პროგრამა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის არაეკონომიკური მეთოდების მოთხოვნებს მოერგო, შეიქმნა ანტიკორუფციული სამსახური და დაიწყო შერჩევითი ბრძოლა არასასურველ პირებთან.

დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამები ანალოგიურ ისტორიულ ცვალებადობას განიცდიდნენ განვითარებულ ქვეყნებში. 1967 წელს კერნერის კომისიამ აშშ-ში შეიმუშავა სიღარიბის დაძლევის პროგრამა, მაგრამ სიღარიბის დონე ქვეყანაში ვერ შეიცვალა, რადგან პროგრამა მიზნად ისახავდა მხოლოდ დახმარებების გაცემას და ხელფასებზე დანამატების დარიცხვას. არ ითვალისწინებდა საზოგადოებაში არსებულ სამომხმარებლო მოთხოვნების თავისებურებებს. სახელმწიფოში პენსიები და დახმარებები ვერასოდეს აღმეტებოდნენ საგადასახადო მოსაკრებლების დონეს. ამიტომ სახელმწიფოს მიერ გაწეული სოციალური ხარჯები ვერ აკმაყოფილებდა სამომხმარებლო მოთხოვნის საერთო მოცულობას. შესაბამისად, უცვლელი დარჩა დანაშაულობისა და სიღარიბის კავშირის დონეც.<sup>116</sup>

ანალოგიური ბედი ეწვია აშშ ადმინისტრაციის პრეზიდენტის ზ. კლინტონის პროგრამას, რომელიც მიმართული იყო ძალადობის წინააღმდეგ. პროგრამა შემოიფარგლებოდა ჯგუფური ურთიერთობების მოწესრიგებით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის IX კონგრესმა როგორც აღნიშნა, მსოფლიოში გაერცელებული სეპარატიზმის, მასობრივი ტერორიზმის, ტრანსნაციონალი კომპანიების ომები და სხვა ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ ძალადობას უფრო ღრმად აქვს ფესვები გადამული საზოგადოებაში<sup>117</sup>.

აღსანიშნავია, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ სცილდება იმ ისტორიულ ფაზას, რომელშიც ის იმყოფება. ამას მოსახლეობის შესაბამისი კულტურაც უწყობს ხელს. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს თუ ის ქვეყანა, წარსულ ისტორიულ პერიოდშიც პოულობს იმ პრევენტულ მოდელს, რომელიც მის სინამდვილეს შეეგუება. მაგალითად, 80-ანი წლების მექსიკაში (განვითარებულ ქვეყანაში) აღმოცენდა თვითდასამართლება, სასტიკი სასჯელი, ადამიანის შეწირვის ტრადიცია, ცოცხლად დაწვა და ა.შ. 90-იან წლებში ბოლივიის ნარკომაფიასთან ბრძოლისათვის გამოყენებული იყო აშშ-ს ჯარი, რომელმაც გაანადგურა კოკაინის ნათესები. გამოყოფილი კომპენსაცია არ ეყო მოსახლეობას, რომლის არსებობის წყაროც სწორედ ეს საქმიანობა იყო და კვლავ იჩინა თავი დანაშაულობამ, მოსახლეობის გამოსვლებმა. შემდგომ 80-იან წლებში უარულად კვლავ დაიწვეს კოკაინის წარმოება. აშშ პრეზიდენტმა რეიგანმა შეაჩერა სოციალური პრობლემები და ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს მიზნად დაუსახა მასობრივი დანაშაულებები. დანაშაულის ზრდა დროებით შეჩერდა, მაგრამ შემდეგ კვლავ ინტენსიურად გაიზარდა. თავისებურ მდგომარეობაში იმყოფებოდა იაპონიაც. სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა ადგილობრივი ხელისუფლების ძლიერ წინააღმდეგობას

<sup>117</sup> იხ: Э.Шур. Наше преступное общество. М. «Прогресс».1977, с. 216

წააწყდა, რადგანაც ის უკვე დამკვიდრებული მკაცრი სასჯელებისა და ტრადიციულად არსებული ზომების შენარჩუნებას ითხოვდა<sup>118</sup>.

2. მეთოდოლოგიის გარდა, კრიმინოლოგია იყენებს სხვადასხვა დარგის მეთოდებსა და ხერხებს. რითაც ხდება ემპირიული მასალის დაგროვება, კლასიფიკაცია და ა.შ.

კრიმინოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათემატიკური მეთოდების გამოყენებას. მათ შორის, გამოიყოფა ორი ტიპის მეთოდი: 1) სტატისტიკური – რომლითაც დგინდება კანონზომიერება დანაშაულთა ალბათობით პროცესებში, და 2) მათემატიკური მოდელირების მეთოდები.

სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, მეორე ტიპის მეთოდებისგან განსხვავებით, სათავეს იღებს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ევროპელ მეკლევართა ნაშრომებში. მათემატიკური მოდელირება კი მე-20 საუკუნეში იჩენს თავს. მეთოდთა ორივე ტიპი განვითარების პროცესში ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას და თანამეორვე პირობებში მათი გამოყენება მხოლოდ კრიმინოლოგიური ინსტიტუტების კოლექტივებს და, რაც მთავარია, სპეციალურად მომზადებულ კრიმინოლოგებს ძალუძთ. გასაგები მიზეზების გამო, მათი აღწერა შეუძლებელია. ამიტომ მიზანშეწონილია შემოვიფარგლოთ ძირითადი ხერხების დასახელებით და სათანადო ლიტერატურის მითითებით.

როგორც ცნობილია, ყოველი დანაშაული შემთხვევითი მოვლენაა, ის განუმეორებელია. მაგრამ დიდი ოდენობის აღებული დანაშაულების მასა ალბათობითი ხასიათის კანონზომიერებას ავლენს. ამ კანონზომიერების დადგენის მიზანს ემსახურება სტატისტიკის მეცნიერება. სტატისტიკის მეთოდებით იკვლევენ დანაშაულობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. დაკვირვების ობიექტებია როგორც დანაშაული, ასევე დამნაშავე პირები (ბრალდებული, მსჯავრდებული)<sup>119</sup>.

როგორც წესი, დანაშაულთა და დამნაშავე პირთა აბსოლუტური მაჩვენებლები აისახება სამართალდამცავთა სტატისტიკურ ანგარიშებში, როლებიც ერთმანეთს არ ემთხვევიან, ვინაიდან მათთვის სპეციფიკურ ამოცანას ასრულებენ. მაგალითად, პოლიციის ორგანოები აღრიცხავენ დანაშაულს, სასამართლო ორგანოები – განსასჯელთა და მსჯავრდებულთა რაოდენობას. ეს თავისებურება ახასიათებს სააღსრულებო ორგანოებსაც. ერთიანი სტატისტიკური ბარათის არარსებობის გამო სტატისტიკური ერთეულიც (დანაშაული და პირი) ასახულია სხვადასხვა კუთხით, რაც მეკლევარს გარკვეულ სიძნელებებს უქმნის.

სტატისტიკური განზოგადების ძირითადი მაჩვენებლებია:

- აბსოლუტური რიცხვი (100 ძარცვა, 100 პირი< მსჯავრდებულთა რაოდენობაზე ქურდობისათვის და ა.შ.);
- შეფარდებითი მაჩვენებლები, რომლებიც გამოიხატებიან პროცენტებში;
- საშუალო მაჩვენებლები<sup>120</sup>. გაანგარიშების ფორმულაა:

$$X = \frac{X_{1g_1} + X_{2g_2} + X_{3g_3} + \dots + X_{ng_n}}{g_1 + g_2 + g_3 + \dots + g_n} = \frac{EX_g}{E_g}$$

<sup>118</sup> იხ: Г.Тодрия. Проблемы рецепции при моделирования криминологических программ борьбы с преступностью - Уголовное право и преступностью. Д А А Д. Бухом. 2004, с. 107-114

<sup>119</sup> დაეახსენებოთ რამდენიმე თანამედროვე გამოკვლევა: Д. А. Ли. Преступность в России. Системный анализ. Москва «ГЕЛВА». 1997; Д. А. Ли. Уголовно-статистический учет. Структурно-функциональные закономерности. М. «Русский мир».1998; В.В.Лунеев. Юридическая статистика: Учебник. — М.: Юристъ, 1999.

<sup>120</sup> გაანგარიშების წესი იხ: С.С.Остроумов. Советская судебная статистика.М.МГУ.1976,с. 176;



სასჯელის ვადა (წლებში)	საშუალო ინტერვალი X	მსჯავრდებულთ რაოდენობა R	Xg
1 წლამდე	0,5	35	17,5
1 - 3	2,0	26	52,0
3 - 5	4,0	23	92,0
5 - 10	7,5	11	82,0
10 - 15	12,5	5	62,0
		100	306,5

შედებად

განგარიშების

თავისუფლების აღკვეთის საშუალო მანძილებელია 3,1 წელი (306,5 : 100 = 3,1).

- ინდექსის<sup>121</sup> განგარიშების ფორმულა:

$$X = \frac{P_1m_1 + P_2m_2 - P_3m_3 - \dots + P_n m_n}{P_1m_1 + P_2m_2 + P_3m_3 - \dots + P_n m_n} = \frac{E P m_2}{E P m_1}$$

დანაშაულთა სიმძიმის გამოთვლისას მას შემდგენაირად ვიყენებთ:

$$X = \frac{25(20) + 20(10) + 250(5) - 30(20) + 150(10)}{30(20) + 15(10) + 200(5) + 40(20) + 100(10)} = \frac{4030 - 475}{3350 + 385} = \frac{3555}{3735} = 9,2$$

ამ მონაცემებიდან ავტორი ასკენის, რომ 1996 წელს დანაშაული (P) 385 შემთხვევიდან გაიზარდა 475-მდე, თუმცა სიმძიმის ინდექსი შემცირდა 12%-ით.

აღსანიშნავია, რომ კრიმინოლოგიაში ანალოგიური მეთოდების გამოყენება კომპიუტერული დამუშავების გარეშე შეტად რთულია. ყველა სოციალური მოვლენის ინდექსირება ითხოვს სიფრთხილეს, განსაკუთრებით კი დანაშაულობასთან მიმართებაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზედმეტ მათემატიკიზაციას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები.

სტატისტიკურ გამოკვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასალის პირველად დაჯგუფებას და ტიპოლოგიზაციას. ღაც შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ნიშნით: სოციალური სტატუსის მიხედვით, რეგიონის მასშტაბით, ქვეყნების შედარებით ანალიზისას და ა.შ.

მათემატიკური მოდელირება ასევე წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან მეთოდს, რომელიც, როგორც წესი, კრიმინოლოგმა მათემატიკოსებთან ერთად უნდა განახორციელოს. ამ მიმართულებით მრავალი გამოკვლევაა. დავასახელებთ რამდენიმე ცნობილ მათგანს<sup>122</sup>.

<sup>121</sup> განგარიშების წესი იხ.: В.В.Лунеев. Юридическая статистика: Учебник. — М.: Юристъ, 1999.

<sup>122</sup> იხ.: Becker G. Crime and Punishment: An Economic Approach. — "Journal of Political Economy", 1968, vol. 76, No.2; Г.А.Аванесов Теория и методология криминологического прогнозирования. М., «Юридическая литература», 1972; С.Е.Вицин, Моделирование в криминологии :Учебное пособие М. Высшая школа МВД СССР, 1973; Математические методы в социальных науках ( Пер. с англ.). М., 1973; Ю.Д.Блувштейн. Криминология и математика. М.Юрид. лит. 1974 г.; S. Cameron. The Economics of Crime Deterrence: A Survey of Theory and Evidence // KYKLOS. 1988. Vol. 41. Fasc. 2. P. 301 – 323; М.А. Кириллов. Прогнозирование преступности, Москва, 2000; К. А. Утаров. Математические методы в криминологии. Автореф. Диссертации. ИГП РАН. 2004 г. და სხვა.

დანაშაულობის მოდელირების პირველი ცდა საქართველოში კორუფციის გამოკვლევისას განხორციელდა, სადაც უარყოფილი იყო კორუფციასთან ბრძოლის ე.წ. ბიუროკრატიული მეთოდები.<sup>123</sup>

“კორუფციას აქვს მისი გამომწვევი ეკონომიკური წანამძღვრები, რომელთა წინააღმდეგ (ანუ ეკონომიკასთან) ბრძოლა უბრალოდ უაზრობაა”<sup>124</sup> მაგრამ ეს ობიექტური კანონი უგულვებელყოფილია ბიუროკრატების მიერ. ისინი აკეთებენ საპირისპირო დასკვნას – თითქოს კორუმპირებული კადრები განაპირობენ კორუფციას, აქედან კი გზა ესხნებათ პოლიციურ-რეპრესიულ ღონისძიებებს. ბიუროკრატია არ ითვალისწინებს კორუმპირებული კადრებისადმი მოთხოვნას განაპირობოს კაპიტალი (თუნდაც თავდაპირველი დაგროვების სტადიაზე) კორუფციული მასის ფორმით. შესაბამისად, მეცნიერებამ უნდა გადაჭრას პრობლემა: არის თუ არა კავშირი კორუმპირებული მომსახურების ღირებულებასა და კორუმპირებული პირების რაოდენობის ცვლადობას შორის? როგორი ხასიათი აქვს ამ კავშირს - აუცილებელი თუ შემთხვევითი?

საკითხის გადასატრელად საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორ მოქმედებს მოხელეთა საშუალო „ფსონზე“ (C) საერთო კორუფციული ფულადი მასის (k), მოხელეთა საერთო ხელფასის (y) და კორუმპირებულ მოხელეთა რაოდენობის (h) ცვლილება. მოხელეთა საშუალო „ფსონის“ განტოლება მთლიანად შემდგენაირად გამოიყურება:  $C = (k : y) (y : h)$ , სადაც  $c = k : y$  და  $v = y : h$ , ე.ი.  $C = cv$ . მოცემულ განტოლებაში c არის მოხელის ხელფასთან თანაფარდობაში კორუფციის პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო v – მოხელეთა საშუალო ანაზღაურება.

*I ვარიანტი: y არ იცვლება, ხოლო k იცვლება:*

$$ა) C = (200k : 100y) (100y : 20h) = 10$$

$$ბ) C = (150k : 100y) (100y : 15h) = 10$$

თუ პირველ შემთხვევაში c მაღალია და იგი 200-ის ტოლია, მაშინ მოხელეთა საშუალო „ფსონის“ შენარჩუნების მცდელობა 20-მდე ზრდის კორუმპირებული პირების რაოდენობას, ხოლო 150-მდე – შემცირებისას. როგორც მეორე შემთხვევაში ჩანს, მოხელეთა საშუალო „ფსონის“ შენარჩუნების ტენდენციის მიზნით, ამ მოხელეთა რაოდენობა 15-მდე მცირდება.

*II ვარიანტი: k არ იცვლება, იცვლება y:*

ა) y შემცირების ტენდენცია

$$C = (100k : 50y) (50y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 30y) (30y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 20y) (20y : 10h) = 10$$

ბ) y ზრდის ტენდენცია

$$C = (100k : 20y) (20y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 30y) (30y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 50y) (50y : 10h) = 10$$

როგორც მოყვანილი განტოლებიდან ჩანს, y-ის (ხელფასის) ცვლადობა ზეგაელებას არ ახდენს მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდეზე, რადგან არ იცვლება k.

<sup>123</sup> იხ: გ. თოდრა. ანტიკორუფციულ პროგრამებში კორუფციული მიწოდების არსის საკითხისათვის – კომერსანტი. 2007, № 1(2), გვ. 113-120

<sup>124</sup> იხ: ელ.პაპავა. საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მანიფესტი – „ანტიკორუფციული მოძრაობა“. თბ., 2003.

მოხელეთა საშუალო „ფსონის“ შესანარჩუნებლად კორუმპირებულ მოხელეთა რაოდენობაზე ზეგავლენას მხოლოდ საერთო კორუფციული მასის (k) ცვალებადობა ახდენს. y-ის ცვალებადობა კი მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდეზე ზეგავლენას არ ახდენს. რაც იმას ნიშნავს, რომ კორუმპირებულ მოხელეთა ანაზღაურებასა და ამ მოხელეთა რაოდენობას შორის არ არსებობს არაეითარი ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირი. კანონზომიერების პირველი ვარიანტი გვიჩვენებს, რომ ასეთი აუცილებელი კავშირი არსებობს მხოლოდ კორუფციულ მასასა და კორუმპირებულ პირთა რაოდენობას შორის, სადაც პირველი ფაქტორი წამყვან როლს ასრულებს.

ზემოაღნიშნული დასკვნა პირდაპირ მიმართულია საბჭოთა პერიოდში გაბატონებული კორუფციის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. ამ მცდარ კონცეფციას მთელი სიმბიზის ცენტრი კონკრეტულ ბიუროკრატიულ გადააქეს. ბიუროკრატის გადაზღვისუნარიანობის დონის ამაღლების მცდელობა, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ. ითვლება იმ არსებით პირობად, რომელსაც თითქოს შეუძლია ჩინოვნიკის კორუფციული სურვილების შეცვლა ე.წ. სამართლებრივ სახელმწიფოში. ამიტომ მოვალენი ვართ, გამოვავლინოთ, რომელი ძალა დგას ამ იდეოლოგიური მოჩვენებითობის უკან და რა „სარგებლობას“ მოუტის ამ ფსიქოლოგიური თეორიიდან კორუმპირებული ბიუროკრატი.

მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდე განისაზღვრება არაეკონომიკური იძულების კანონზომიერებით (ჩვენს პირობებში), რაც, თავის მხრივ, განაპირობებს კორუმპირებულ მიწოდებას ან მოთხოვნას.

როგორც კაპიტალიზმის ისტორია ადასტურებს, ხელფასი ყოველთვის ეცემა კაპიტალის მოთხოვნილებათა შესაბამის დონემდე. ხოლო, ვინაიდან კორუფცია კაპიტალის დაგროვების საშუალებაა, მისი (ხელფასის) რყევა არანაირად არ აისახება კორუფციის მასაზე. ამ შემთხვევაში ხელფასის (y) შემცირება მოხელეთა საშუალო „ფსონის“ ერთი და იმავე მაჩვენებელს გვაძლევს:

$$C = (100k : 70y) (70y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 60y) (60y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 50y) (50y : 10h) = 10$$

$$C = (100k : 40y) (50y : 40h) = 10$$

პირიქით, საშუალო მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდეში აირეკლება მხოლოდ საერთო კორუფციული მასის ცვლილება, რადგანაც ის საერთო ფულადი მასის (ხელფასი + კორუფციული „ანაზღაურება“) ნაწილი იმ ზომით არის, რა ზომითაც გვევლინება თვით კორუფცია კაპიტალის არაეკონომიკური დაგროვების საშუალებად. ბიუროკრატის „გაუმძაღარი“ ჯიბე იესება არა მისი სურვილის გამო, როგორც ეს ზოგიერთებს ეჩვენებათ, არამედ საკუთრების ხელში ჩაგდების პროპორციულად.

იმის მტკიცებით, რომ კორუფცია კაპიტალის დაგროვების არაეკონომიკური საშუალებაა, ჩვენ განსაკუთრებული ხაზგასმით აღვნიშნავთ ისტორიულ მიდგომას. საბჭოთა კავშირის დაშლის საწყის პერიოდში მოთხოვნა სახელმწიფო მომსახურებაზე იზრდება, რადგანაც დიდია „კანონიერი“ დირექტივების საფარქვეშ სხვადასხვა ობიექტის უფასოდ ხელში ჩაგდების სურვილი. ამ პერიოდში დროებით იზრდება კორუფციული მასა და, შესაბამისად, საშუალო მომსახურების ფასი:  $C = (150k : 100y) (100y : 10h) = 15$ . მოკლედ რომ ვთქვათ, კორუფციული ფულადი მასის ზრდა ლოკატურად აისახება მოხელეთა საშუალო „ფსონის“ სიდიდეზე.

შემდგომში თითქმის უფასოდ ხელში ჩაგდებული ობიექტები არამართლად ვერ ვითარდება, არამედ იწყება მათი შექვეცა. ამ პერიოდში წყდება კორუფციული მოთხოვნის დროებითი ზრდა და სურათი საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება – იზრდება კორუფციული მიწოდება. სხვადასხვა შემოწმების გზით, მოსალოდნელი კონტროლის, გამოძიების, შიშის ჩანერგვით და ა.შ. მატულობს კორუფციული მომსახურების მიწოდებათა რიცხვი, რაც

ამცირებს კორუფციულ მასას და, შესაბამისად, კორუფციის საშუალო „ფსონს“. შესაბამისად, შტრიფტება საშუალო „ფსონი“:  $C = (15k : 100y) (100y : 10h) = 5$ .

ამგვარად, მოხელეთა საშუალო „ფსონის“ ცვლილება დამოკიდებულია მხოლოდ კორუფციული მასის ცვლილებაზე, რაც ბიუროკრატიული აპარატის გადახდის-უნარიანობის რყევასთან მიმართებაში დამოუკიდებელ ცვლადად გვევლინება<sup>125</sup>. აქედან შეიძლება დავასკვნათ: კორუფციის ნამდვილ მიზეზს ვერაფრით ვერ აღმოვაჩენთ სახელმწიფოს ლაბირინთებში, მით უმეტეს, ბიუროკრატის სურვილებში.

ზემოაღნიშნული მეთოდების გარდა, კრიმინოლოგიაში გამოიყენება სოციოლოგიიდან გადმოტანილი მეთოდები. უნდა ითქვას, რომ დანაშაულობისადმი სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა მიდგომამ გარკვეულად გაამძაფრა ყურადღება თვით მეთოდების შესწავლისადმი. ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა არა ერთი ნაშრომი, სადაც კვლევის საგანია თვით მეთოდიკა<sup>126</sup>. მართალია, ფილოსოფიური პოზიციები იჩენენ თავს და მეტად არსებითადაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთხმად აღიარებულია შემდეგი სახის ხერხები:

- ანკეტური მეთოდის მნიშვნელობა გამოიხატება: ა) რესპოდენტების გამოკითხვაში, ბ) სისხლის სამართლის საქმეებიდან და სხვა დოკუმენტაციიდან მასალის დაგროვებაში;
- ინდივიდუალური კონტაქტი რესპოდენტთან საუბრის (ინტერვიუს) სახით;
- ტესტირება – რთული ანკეტირების მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს სხვა საშუალებებით მწიფად დასადგენი მონაცემების მოპოვებას;
- დოკუმენტური მეთოდი, რომლის მიზანიც აუცილებელი კრიმინოლოგიური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების შესწავლაა. სისხლის სამართლის საქმეთა გარდა, დოკუმენტის სახით შეიძლება გამოიყენოს მსჯავრდებულთა წერილები, მორგებები და ა.შ.
- დამნაშავეთა ბიოგრაფიული მეთოდი<sup>127</sup>

#### საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება.
2. აღწერეთ კრიმინოლოგიის საგანი და მისი ევოლუცია.
3. აღწერეთ კრიმინოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.
4. აღწერეთ კრიმინოლოგიის სტრუქტურა.
5. ჩამოაყალიბეთ კრიმინოლოგიის მეთოდოლოგიის საფუძვლები.

<sup>125</sup> ამ მომენტში უსუსურად გამოიყურება ბექერის მოდელირება, რომელიც მთლიანად ფსიქოლოგიზმზეა აგებული (G. Becker. Crime and Punishment: An Economic Approach. – "Journal of Political Economy", 1968, vol. 76, No.2)

<sup>126</sup> იხ: J. Hagan, A. Palloni. Toward A Structural Criminology: Method and Theory in Criminological Research - Annual Review of Sociology, August 1986, Vol. 12, Pages 431-449; B. Dicristina. Method in Criminology: A Philosophical Primer. 1995; M. L. Dantzer Readings for Research Methods in Criminology and Criminal Justice. Boston, Oxford etc. 1999; M. L. Dantzer and R. Hunter. Research Methods for Criminology and Criminal Justice: A Primer. Boston, Oxford etc. 2000; M. Maxfield. Research Methods for Criminal Justice and Criminology. 2000; M. Lipsey, D. Wilson. Practical Meta-Analysis (Applied Social Research Methods) California. 2000; R. Lee. Researching Violence: Essays on Methodology and Measurement. N.Y. 2002; L. Noaks and E. Wincup. Criminological Research: Understanding Qualitative Methods (Introducing Qualitative Methods series). London. 2004; D. Champion. Research Methods for Criminal Justice and Criminology. 2005 და სხვა

<sup>127</sup> იხ.: В. Фокс. Введение в криминологию. М. «Прогресс». 1980; Г. Глonti, Г. Лобжანიძე. Воры в законе. Тб. 2004 და ა.შ.

## თავი II დანაშაულობა

### §1. დანაშაულობის განსაზღვრა

1. ძველი დროიდან ცნობილია, რომ დანაშაულობის მასობრივი გავრცელების მიღმა იმალება რაღაც ძალა, რომელიც წარმოინდობა სრულიად სხვადასხვა მოვლენებში. ეს გრძნობად-ჭკურტადი მოვლენა მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო და არის საესკებით განსხეავებულ მეცნიერულ თეორიათა დაქინებული ყურადღების საგანი.

ა. კეტლეს დროიდან მოყოლებული, აღნიშნული კანონზომიერება ფიქსირდება სტატისტიკური დაკვირვების განსაკუთრებული მეცნიერული მეთოდით. მისი განსაზღვრება ძირითადად ატარებს აღწერილობით ხასიათს. შემოთავაზებული განსაზღვრების თანახმად, "საზოგადოება თავის წიაღში შეიცავს ყველა მოსახდენი დანაშაულის ჩანასახს იმიტომ, რომ მასში მოცემულია მათი განვითარების ხელშემწყობი პირობა; იგი, ასე ვთქვათ, ამზადებს დანაშაულს, ხოლო დამნაშავე მხოლოდ იარაღია. მასწავლებელი, ყოველგვარი სოციალური მდგომარეობა გულისხმობს დამნაშავეთა გარკვეულ რიცხვს და გარკვეულ წესრიგს, რომლებიც მისი ორგანიზაციის აუცილებელი შედეგია"<sup>1</sup>. "შესაძლებელ დანაშაულთა პროგნოზში, - აღნიშნავდა კ. მარქსი, - ბატონმა კეტლემ მართლაც განსაკვიფრებელი სიზუსტით იწინასწარმეტყველა იმ დანაშაულთა არა მარტო საერთო რიცხვი, არამედ მათი სხვადასხვა სახეობა, რომლებიც მართლაც ჩაიდინეს საფრანგეთში... აღნიშნული გეიჩვენებს, რომ საზოგადოების ამა თუ იმ ეროვნულ ნაწილში ჩადენილ დანაშაულთა საშუალო რიცხვი დამოკიდებულია არა იმდენად მოცემული ქვეყნის საგანგებო პოლიტიკურ დაწესებულებებზე, რამდენადაც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ძირითად პირობებზე"<sup>2</sup>. ამიტომ ეტყვის არ იწვევს მეცნიერულად სარწმუნო ფაქტი, რომ "...დიდი მასშტაბით აღებული დანაშაულობანი თავიანთი რიცხვის და კვალიფიკაციის მიხედვით ავლენენ იმავე კანონზომიერებებს, რასაც ბუნების მოვლენებში"<sup>3</sup>. მოგვიანებით ამ კანონზომიერების აღსანიშნავად შემოიღეს ტერმინი "დანაშაულობა".

აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ზოგჯერ ქართული კრიმინოლოგები უნებლიედ იყენებენ ტერმინს "დამნაშავეობა" და არც კი ფიქრდებიან მისი ისტორიული შინაარსის საშიშროებაზე. ამ ტერმინის მნიშვნელობა დაკავშირებულია ადამიანის ე.წ. სოციალურ საშიშროებაზე. ინკვიზიციური პრინციპი, რომ სასჯელის საზომია პიროვნება და არა კანონით გათვალისწინებული ქმედება, ასახავს ტერმინის "დამნაშავეობის" შინაარსს. "დამნაშავეობის" აღორძინებას ადგილი ჰქონდა საბჭოური რეპრესიებისა და ფაშიზმის დროს. მის თაერშს ჩვენ გაკვირდებით აზიისა და ლათინური ქვეყნების ზოგიერთ ქვეყანაში. ამიტომ აქ ჩვენ საქმე ევაქებს არა ლინგვისტიკურ შეცდომასთან, არამედ წარსულში უდანაშაულო პირთა სისხლის დაღერის ხელშემწყობ აზროვნებასთან.

კრიმინოლოგიაში არსებობს დანაშაულობის უამრავი განსაზღვრება. მათში ასახულია ავტორთა ფილოსოფიურ შეხედულებათა, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივ და რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა<sup>4</sup>. თითქმის ყველა მეცნიერულ ნაშრომში ხაზგასმულია დანაშაულობის ისტორიულობისა და სოციალური ბუნების გათვალისწინების პროორიტეტულობა. მაგრამ, მიუხედავად შემოთავაზებულ

<sup>1</sup> იხ. А. Кетле. Социальная физика или опыт исследования о развитии человеческих способностей. Киев. 1913.,

т.1, т.2

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 532

<sup>3</sup> იხ. К. Маркс. Смертная казнь. К. Маркс и Ф. Энгельс. Полн. собр. соч., т. 8, с. 530

<sup>4</sup> დაწერილებით იხ.: Криминология: Учебник. (Под ред. акад. В.Н. Кудрявцева, проф. В.Е. Эминова). - М.: Юристъ, 1997.

მიდგომათა მთელი მრავალფეროვნებისა, კრიმინოლოგებს არ ძალუძთ მოგეცენ დანაშაულობის ცნება. ანალიზი იმ დეფინიციების დონეზე ჩერდება, რომლებიც თავის თავში ატარებენ თვითნებურობისა და წინააღმდეგობრიობის ელემენტებს.

დანაშაულობის ცნება, როგორც კრიმინოლოგიური აზროვნების პრობლემა, ძნელად გადასაწყვეტია და ამის ნებისმიერი მცდელობა, მეთოდოლოგიური ხასიათის მთელ რიგ მიზეზთა გამო, წარუმატებლობისთვისაა განწირული.

უპირველესად თავს იჩენს თვით "ცნების" გაგების ტრადიცია. იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულობის ე.წ. ცნებას გამოიიშუშებენ იურისტები, მისდამი დამოკიდებულება ნომინალისტურ ხასიათს ატარებს. აქ, ნათელია სამართლის ნორმის, როგორც დანაშაულობის არსის განზოგადების ფორმის როლი. სამართლის ნორმა, როგორც ცნობილია, ინდუქტიურად აღწერს გრძობად-აღქმად მოვლენათა ნიშნებს, ე. ი. მსგავს ნიშნებს ადგენს, როგორც საერთოს და არა როგორც დიალექტიკურად არსებულ უზოგადესს. ქურდობები, მკვლელობები, მითვისებები და სხვ. უფრო მაღალ დონეზე აბსტრაქტულად განზოგადებული ცნების - "დანაშაულის" სახითაა წარმოდგენილი. რაც ინდუქტიურია იმდენად, რამდენადაც არ უშვებს, რომ, მაგალითად, ქურდობა სხვა ცალკეულ დანაშაულთა შორის ერთდროულად უზოგადესი (გენეტიკურად საერთო) იყოს. შეეცადეთ კონკრეტულად გაიაზროთ დანაშაულის ცნება და მაგალითების მორეეში ჩათრევა მოგიწყობთ. ფორმალური განზოგადების გენეტიკურ საერთოსთან გაიცილების მიდგომას აქვს თავისი ობიექტური საფუძველი იურისტის პრაქტიკულ საქმიანობაში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა ეფუძნება ქმედების (გრძნობისმიერი აქტის) სამართლის (აბსტრაქციის) ნორმისადმი შესაბამისობის მტკიცებულებას. ამასთან, იმდენად, რამდენადაც, შინაარსი, რეალობა მოცემულია დანაშაულის მხარეზე, ხოლო ინვარიანტულობა - სამართლის ნორმის მხარეზე, იქმნება აქტის მის არსამდე (აბსტრაქციამდე, ნორმამდე და ა. შ.) აღმასვლის შთაბეჭდილება. მაგრამ ეს მიდგომა შორისაა ცნების მიღებისაგან<sup>5</sup>. ძიებათა შედეგის სახით წარმოვიდგება დანაშაულობის დეფინიცია, რომელიც მოიცავს ზედპირობე არსებულ საერთო ნიშნებს, როგორც სოციალურს, ისტორიულს და ა. შ. მაგრამ აქ არ არის მთავარი მომენტი, ე. ი. არ არის დანაშაულობის არსი, რომელიც ყოველთვის კონკრეტულ ისტორიულ ხასიათს ატარებს.

ანალოგიურ დასკვნებამდე მიდიან მეცნიერები იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულობის პრობლემატიკას სოციოლოგები ამუშავებენ, თუმცა მათ სხვა ათვლის წერტილი აქვთ. იხილავენ რა საზოგადოებას ფუნქციონალური მიდგომის ფარგლებში, ისინი ცდილობენ მოიძიონ დანაშაულობის არსი დანაშაულთა ცვლილებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ სფეროს შორის კავშირებში. ამიტომ დანაშაულთა ამ თეორიებში განიმარტება, როგორც ანომიის, სტიგმატიზაციის, კულტურათა კონფლიქტის, ინდუსტრიალიზაციის და ა. შ. ფორმა. თუ იურისტების ილუზიას კვებავს იურიდიული პრაქტიკის სპეციფიკა (არაეკონომიკური იძულებით), სოციოლოგების ილუზია განპირობებულია თანამედროვე საზოგადოების ბუნებით (ეკონომიკური იძულებით).

კრიმინოლოგიურ ემპირიზმს თავისი ობიექტური საფუძველები აქვს თანამედროვე საზოგადოებაში, რომლის ეკონომიკური საფუძველი - კაპიტალი თავისი არსებობის პროცესში ამტკიცებს, რომ საზოგადოების გამდიდრება, მოგების ზრდა ხდება სტიქიურად, რომ ის არაა მიმჭელი რომელიმე სოციალურ კანონზე და დამოკიდებულია სრულიად სხვადასხვა მოვლენებზე: ბაზრის მდგომარეობაზე, ბიზნესმენების უნარზე, მომსახურე პერსონალის მოხერხებულობაზე, მუშების პროფესიონალიზმზე და ა. შ. ამრიგად, საზოგადოება მკვლევარს წარმოუდგება, როგორც სრულყოფილ განსხვავებულ მოვლენათა მოხაზვა, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი კონკრეტული მიზეზები.

არსებული მიდგომები ერთმანეთში ურევენ აზროვნების მოარულ და მეცნიერულ ფორმებს და შედეგად იძლევიან "დანაშაულობის არსის" ირაციონალურ კატეგორიას. მსგავსი მიდგომები ვერ ხედავენ იმ უბრალო ფაქტს, რომ დანაშაულის ყველა აქტს, ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, "გენეზისის მსგავსების გამო, ერთი და იგივე ნიშანი აქვს... რადგან ყველა იმთავანს საერთო წინააღმდეგობაა, ან, უფრო ზუსტად,

<sup>5</sup> იხ: Г.Тодрия, «К критике «Диалектики криминогенной ситуации»», журн. «Машин». Т6.1987, № 4, с.93- 101

წარმოადგენს იმ ერთი და იმავე სუბსტანციის მრავალფეროვან მოდფიკაციათა სახეს, რომელსაც სრულიად მატერიალური (ე. ი. აზროსა და სიტყვისაგან დამოუკიდებელი) ხასიათი აქვს.<sup>6</sup> მაშასადამე, იმისათვის, რომ დაეადგინოთ დანაშაულობის ცნება, აუცილებელია დანაშაულთა გავრცელების კანონზომიერება დაეუკავშიროთ საზოგადოების ფუნქციონირების ძირითად სოციალურ კანონებს. ეს კი ნიშნავს, რომ დანაშაულობის ცნებაში შეიძლება იარსებოს მხოლოდ, როგორც ისტორიულმა კატეგორიამ. ამ მიმართულებით დანაშაულობა თანამედროვე საზოგადოებაში უნდა მოიაზრებოდეს, როგორც კაპიტალის დაგროვების კანონთა გამოვლენის ფორმა. ამასთან ერთად, ის უნდა იქნას გაგებული, როგორც ამ კანონების გარდასახვითი ფორმა. თუ ჩვენ ვიტყვი, რომ საზოგადოების ადრე არსებული ტიპებისაგან განსხვავებით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში დანაშაულობა კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი ხერხია, მაშინ ამით დავსახავთ დანაშაულობის ისტორიული ცნების და არა დეფინიციის განსაზღვრის გზას.<sup>7</sup> მხოლოდ ამ მიმართულებით გაკეთებულ ანალიზს შევძლებთ შეუძლია მივიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულობის არსი არ შეიძლება იყოს მოცემული რაღაც საერთო ნიშნების სახით. პირიქით, დანაშაულობის არსი მისი გენეზისია. აი, რატომაა მცდარი დანაშაულობის ე. წ. ცნება "იურიდიული" ანუ "ემპირიულ-სოციოლოგიური" განსაზღვრის კვალობაზე.

დაბოლოს, დანაშაულობის ცნებისადმი ისტორიულ მიდგომაზე უარის თქმას მივყავართ დეფინიციამდე, რომელშიც შესაძლებელია დანაშაულობის არსებითი და შემთხვევითი ნიშნების აღრევა. მაგრამ მათი გააოგება კატეგორიულად უნდა იქნას უუგებებელი, რადგანაც ამ გზით ძნელია იმ მრავალი ფაქტორის გამოვლენა, როდელიც რეალობას ამახინჯებენ.<sup>8</sup> დანაშაულობის ცნების განსაზღვრის ძირითადი ამოცანაა მისი სტაბილური საზომის მიღება, რომელიც საშუალებას მოგვცემს თავი დაეაღწიოთ შემთხვევითი ფაქტორების სუბიექტური კლასიფიკაციის ტყვეობას. შევინშნავთ, რომ ასეთ საზომზე მოთხოვნა კრიმინოლოგიაში უკვე საფუძვლიანად იგრძნობა. ამერიკელი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ დანაშაულობის გაზომვის არსებული მეთოდების ყოველმხრივი ანალიზიდან<sup>9</sup> ცხადი ხდება, რომ არც ერთი მეთოდი არ შეიძლება იყოს დანაშაულობის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი საწარმოო წყარო. ეს შენიშვნა, პირველ რიგში, შეეხება დანაშაულობის თვითნებურ დეფინიციებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ზუსტი საზომის მოცემა. იმაედროულად, მხოლოდ დანაშაულობის ცნების განსაზღვრა შეიძლება ატარებდეს პრაქტიკულად მნიშვნელოვან ოპერაციულ ხასიათს.

2. დანაშაულობის დეფინიციას არ ძალუძს ამ როლის შესრულება; ეს ფუნქცია ეკისრება მხოლოდ დანაშაულობის ცნებას, რომლის დამუშავებაც დამოუკიდებელი პოზიტიური კვლევის საგანს წარმოადგენს. მდენდაც, რამდენადაც, ასეთი გამოკვლევა მსოფლიო კრიმინოლოგიაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მოცემულ სახელმძღვანელოში შეიძლება შემოვიფარგლოთ დანაშაულობის დეფინიციით, რომელსაც მასალის ასათვისებლად შეუძლია შესარულოს წინასწარი საორიენტაციო როლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ საუბარია დანაშაულობაზე, იგულისხმება დანაშაულობა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. დანაშაულობის გენერირების ყველა ექსტრას აქვს ზოგიერთი საერთო ნიშანი და ზოგიერთი საერთო განსაზღვრება. დანაშაულობა, საერთოდ, ესაა აბსტრაქცია, მაგრამ გონიერი აბსტრაქცია, რამდენადაც იგი ხაზს უსვამს საერთოს, აფიქსირებს მას და ამრიგად, თავიდან გვაშორებს გამოვრებებს. განსაზღვრებები, რომლებიც, საერთოდ, ნამდვილია დანაშაულობისათვის, უნდა გამოიყოს სწორედ იმიტომ, რომ ერთიანობის გამო დაევიწყებას არ მიეცეს არსებითი განსხვავება<sup>10</sup>.

<sup>6</sup> იხ: Э. В. Ильенков. Диалектическая Логика. М., 1984, с. 276  
<sup>7</sup> ეს მიდგომა ავტორმა გამოიყენა საქართველოში კორუფციის ანალიზისათვის: ვ. თოდრია. კორუფციის თავისებურებანი კაპიტალის ე. წ. თავდაპირველი დაგროვების პერიოდში - "კომუნისტი". თბ. 2006, № 1, გვ. 102 - 112.  
<sup>8</sup> თუ დანაშაულობას ვიქონიებთ მხედველობაში, როგორც საზოგადოების კანონთა გამოვლენის ფორმას.  
<sup>9</sup> იხ: Криминология, под ред. Дж. Шелли. «ПИТЕР». 2003, с. 101  
<sup>10</sup> ამ ტექსტში ჩვენ ვიძლევიტ კ. მარქსის სიტყვების პერიფრაზს (К критике политической экономии. «Полит. Лит-рав». 1951., 195)

მეთოდოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, დანაშაულობის ყველაზე ზუსტ დეფინიციებს შორის უნდა ვაღიაროთ ა. კეტლეს მიერ მოცემული დეფინიცია. მის მიერ წამოყენებული დებულების ფარგლებში დანაშაულობა - ესაა დანაშაულთა (დამნაშავეთა) კანონზომიერი ცვლილება, რომელიც აუცილებლად არის ნაპარაუდები საზოგადოების ორგანიზაციით. გარკვეული თვალსაზრისით, მოცემული განსაზღვრება ყველაზე ზუსტად აფიქსირებს ემპირიულ ფაქტს, სადაც ხაზგასმულია საერთო ნიშნების შემდეგი ერთობლიობა:

- დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება - ესაა დიდი მასშტაბით აღებულ დანაშაულთა ცვლილება, რომლებიც როგორც თავისი რაოდენობის, ისე კვალიფიკაციის მიხედვით აელენენ გარკვეულ კანონზომიერებას;
- საზოგადოების გარკვეული ორგანიზაცია ელინდება განსაკუთრებული სახით, ე. ი. სახელდობრ დანაშაულთა და არა სხვა სოციალურ გადახრათა კანონზომიერ ცვლილებაში;
- დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება წარმოადგენს საზოგადოების გარკვეული ორგანიზაციის შედეგს.

პირველი ორი ნიშანი ასახავს ფაქტს იმ სახით, რა სახითაც იგი ზედპირული დაკვირვების დონეზეა მოცემული. ბოლო ნიშანი ასახავს მოვლენას, რომელშიც არსი ცალმხრივად ჩანს. განვიხილოთ ეს ნიშნები, თანაც გვახსოვდეს, რომ დანაშაულობას ვიხილავთ დეფინიციისა და არა ცნების დონეზე.

*დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება* - ესაა, უპირველესად, რაოდენობრივი ცვლილება დანაშაულთა მასობრივი გავრცელების ფორმით. ჩვეულებრივ, იგი გამოიხატება სრულიად განსხვავებულ რაოდენობრივ მაჩვენებლებში (აბსოლუტურ სიდიდეებში, კოეფიციენტებში, ინდექსურ მაჩვენებლებში, ფორმულაში და ა.შ.). მაგრამ დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილების საწყის გამომსახველს წარმოადგენს სწორედ დანაშაულთა რიცხვი.

ფილოსოფიური თვალსაზრისით ამ რიცხვის ბუნება ისე უბრალო როდია, როგორც ეს შეიძლება მოგეჩვენოს. მასში შერეულად არის გამოსახული ორი სრულიად განსხვავებული ფაქტორი. ერთი მხრივ, როგორც ა. კეტლე ადნიშნავდა, "საზოგადოება თავის წიაღში შეიცავს მოსახდენ დანაშაულთა ჩანასახს იმიტომ, რომ მასში მოცემულია მათი განვითარების ხელშემწყობი პირობები". ამ მომართულებით თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოციალურ წინააღმდეგობათა გარკვეული ფაზისათვის ყოველთვის არსებობს ადექვატურ დანაშაულთა საშუალო რიცხვი. მეორე მხრივ, გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობათა ფილტრის გაელის შემდეგ, სოციალური წინააღმდეგობები ილექება სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკურ ანგარიშებში. აქ კი თავს იჩენს სხვა ფაქტორი - სახელმწიფოს დამოკიდებულება სოციალურ წინააღმდეგობებისადმი. ე. ფერი წერდა, კანონმდებელს შეუძლია გააელენა მოახდინოს დეტერმინაციის გარეგნულ მხარეზე, ე. ი. "გაზარდოს დანაშაულობის ციფრი"<sup>11</sup>.

აღნიშნული ორი ფაქტორი ყოველთვის როდი მოქმედებს ერთი მიმართულებით. მათ ასევე შეუძლიათ იმოქმედონ ურთიერთსაწინააღმდეგოდაც. ამავე დროს, დანაშაულობის რაოდენობრივი ცვლილების ფაქტი სტატისტიკურ ანგარიშებში რამდენადმე სხვაგვარად აისახება, სახელდობრ, როგორც სახელმწიფო ორგანოების რეაქციის შედეგი, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის ობიექტი. ამიტომ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სახელმწიფო აპარატი თითქოს ვერუბა აზრს, რომ უწყსრიგობებს ადგილი აქვს მის გარეშე, მაგრამ მათი არსებობა, ყოველ შემთხვევაში, მსხვილ უწყსრიგობათა არსებობა თვით მის ფუნქციონირებაში, გამორიცხვლია. თვით კორუფციული დანაშაულები სტატისტიკაში განიხილება სხვა დანაშაულებთან ერთად, როგორც რიგითი კრიმინალური ფაქტი, რომელიც გამოვლენილია სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რაც ასევე აძლიერებს ამ თვალსაზრისის "ობიექტურობას". ამრიგად, დანაშაულთა სტატისტიკაში მათი ცვლილება საზოგადოებაში აღიქმება, როგორც ფაქტი, რომელიც არსებითად არაა

<sup>11</sup> იხ. იქვე, Э. Ферри, Уголовная социология, с. 201-202



დაკავშირებული თვით სახელმწიფო მმართველობის ფუნქციონირებასთან. ამ პრაქტიკის გამო, ისინი უნებლიედ ხედებიან დოგმათა ტყვეობაში, რომლითაც დანაშაულთა რიცხვი ანუ სახელმწიფოსადმი ნეგატიური დამოკიდებულების რეგისტრირებული რაოდენობა თითქოს იმავდროულად წარმოადგენს სოციალურ წინააღმდეგობათა პროცესის სიდიდის მაჩვენებელს, რომელიც დანაშაულობაში გამოიხატება. მსგავსი გაიგივების შედეგად, ლიბერული მაჩვენებლები დანაშაულობის სტრუქტურაში მიღებულია, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის მიმართულების თავისებური კრიტერიუმი.

დანაშაულთა ცვლილების კანონზომიერების ასახვა სახელმწიფო მმართველობის დამოკიდებულების ჭრილში შეიცავს გარკვეულ პარადოქსს. დანაშაულთა რაოდენობრივი ზრდა განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების პრევენციული აქტიურობის მატებას. ეს აქტიურობა, თავის მხრივ, იწვევს დანაშაულთა გახსნის ზრდას. იქნება შეკრებილი წრე: ეს ორივე ფაქტორი ერთმანეთს განსაზღვრავს, მაგრამ დანაშაულობის ბუნებას ვერ ცვლის. დანაშაულობის იმპანტურთი შინაარსი გროვდება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქტიურობის ზრდა ყოველთვის თან სდევს დანაშაულთა რაოდენობრივ ცვლილებას, თუმცა ამავე დროს ან ცვლის მათში დაფარულ ძირითად ბუნებას.

როცა დანაშაულობის სტატისტიკით აპელირებენ, ამავე დროს მხედველობიდან რჩებათ, რომ სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდე არასაკმარისად ნათლად და სრულად აისახება დანაშაულთა რიცხობრივ გამოხატულებაში. დანაშაულთა რიცხვი შეიძლება იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა, ცხოვრების პირობების გაუარესების და სხვა ნეგატიური პროცესების სიდიდის მაჩვენებელი, ე. ი. მოსახლეობის დამოკიდებულების მაჩვენებელი საკუთარი მდგომარეობის გამოუარესებელ მოვლენათა მიმართ.<sup>12</sup> მაგრამ აქედან არ უნდა გამოძინარეობდეს საპირისპირო დებულება, რომ დანაშაულთა რიცხვი აუცილებლად უნდა იყოს სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდის მაჩვენებელი, როგორც ეს დანაშაულთა სტატისტიკიდან ჩანს. უფრო მეტიც, მსგავსი დამთხვევა რეალობაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რამეთუ, საბოლოო ანგარიშში, სოციალურ წინააღმდეგობათა სიდიდე არაა დამოკიდებული იმაზე, გამოხატულია თუ არა იგი დანაშაულთა დიდ ან მცირე რაოდენობაში. თუმცა დანაშაულთა სტატისტიკა ამ ფაქტს მიახლოებით ასახავს.

ნაშრომში «Преступности XX века. Мировой криминологический анализ» ე. ე. ლუნეემა მოგვცა სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდისა და დანაშაულთა რაოდენობრივი შესაბამისობის ფაქტების ბრწყინვალე ანალიზი. მის მიერ აღწერილ ტენდენციებს თუ მიყვებით, აღნიშნულის განმაპირობებელი არსებითი ფაქტორი თავად სახელმწიფო, ოღონც როგორც მითვისების ისტორიული გაბატონებული ხერხი.<sup>13</sup> ამის დადასტურებაა ლუნეევის მიერ აღწერილი სამი ტენდენცია: 1) ტოტალიტარულ სახელმწიფოში სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა არ აისახება რეგისტრირებული დანაშაულების მატებაზე, პირიქით, მათი რიცხვი შემცირებულია,

<sup>12</sup> სწორედ ეს მომენტი აქვს მხედველობაში მარკ კოლენის, როცა ის წერს, რომ საჭიროა კონცეფცია, რომელიც დაადგენს იმ ნორმას, რომელიც ქმედებისათვის ყველზე მისაღებია მოსახლეობისათვის - იხ: M. Colvin. Crime and Coercion: An Integrated Theory of Chronic Criminality. New York: St. Martin's Press, 2000. P. 141 .

<sup>13</sup> სამწუხაროდ, მათემატიკური მოდელირებისას, რატომღაც, ვერ ხედავენ სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდის ან შემცირების ნამდვილი სიდიდის და დანაშაულთა რაოდენობრივი ცვლილების არადათხვევის მიზეზს. გამოითქმება მხოლოდ ვარაუდი ამ უხილავი მიზეზის არსებობის შესახებ. როგორც აღნიშნავენ: "სისტემაში არსებობს "უხილავი" დისპარმონია, რომელიც ნაკლებია იმ დისპარმონიის საერთოდ დადგენილ ზღვარზე, რომელიც შესაბამისად დადგენილ ზომაზე მაღალია . . . სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოვლენილ დისპარმონიაზე ყოველთვის მოდის სხვა დისპარმონია - პირველის ანტიპოდი, რომელიც თავისი არსებობითა და ფუნქციონირებით აწონასწორებს ნორმიდან, ოპტიმუმიდან გადახრას. ამას მოწოდებს რიგი რიცხვებისა, რომლებიც სისტემას ახასიათებენ იგივე თვისობრივი ნიშნის მიხედვით, - რეგისტრირებული დანაშაულობის განსაკვივრებლად დაბალი დონე 100 ათას კაცზე. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი არანაზღაურ მცირეა ხილვად, დაკვირვებად დისპარმონიასთან შედარებით. "უხილავი" დისპარმონიის კონკრეტული ზომის გამოთვლა შესაძლებელია, . . . თუმცა ძალიან ძნელია" - იხ: Д. А. Лих. Уголовно-статистический учет структурно-функциональной закономерности. М. "Русский мир", 1998, с. 62-63 .

მაგრამ გაზრდილია გამოვლენილ პირთა რაოდენობა (არამარტო მსჯავრდებულების, არამედ უმცირესი ჭეჭის საფუძველზე საზოგადოებისგან “შოსაკვეთი” პირების ჩათვლით; 2) იმ პერიოდში, როცა არაეკონომიკური იძულება ტოტალური კონტროლის ფორმით აღარ დომინირებს და იწყებს ეკონომიკურისადმი დაქვემდებარებას, სახელმწიფოს რეპრესიული დამოკიდებულება სოციალურ წინააღმდეგობათა მიმართ დუალისტურ ხასიათს იღებს: პოლიციელების რიცხვი, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ჯერ-ჯერობით დომინირებს, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვი კი მცირდება<sup>14</sup>; 3) განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დამაშურობასთან ბრძოლის ზომები უფრო სოციალიზირებულ ხასიათს ატარებენ. ამ ისტორიულ საფეხურზე რეგისტრირებული დანაშაულების ზრდისას მცირდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა და იზრდება ამ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულთა რიცხვი. ამრიგად, აღრიცხულ დანაშაულთა შორის მცირდება გამოვლენილ სამართალდამრღვევთა წილი<sup>15</sup>.

საზოგადოების გარკვეული ორგანიზაცია ელინდება განსაკუთრებული სახით, სახელდობრ, სწორედ დანაშაულთა და არა სხვა სოციალური გადახრების კანონზომიერ ცვლილებაში. აქ წარმოიშობა დანაშაულობის იურიდიული მხარის გააზრების პრობლემა, რომელიც კრიმინოლოგიაში ჯერ-ჯერობით ხანგრძლივი დისკუსიის საგანია. იურისტების უმრავლესობა ემხრობა ლეგალისტურ მიმართულებას, რომლის თანახმადაც, იკრძალება დანაშაულის იურიდიული განსაზღვრების ფარგლებიდან გამოსვლა. მხოლოდ მასში აღებული წარმოქმნიან ისინი განსაკუთრებულ, თვისებრივად დამოუკიდებელ მოვლენას. პირდაპირ გამოსატულ ანტილეგალურ პოზიციაზე დგანან სოციოლოგები. მათ ემხრობა იურისტების ნაწილიც, რომლებმაც, რადიკალური კრიმინოლოგიის დეკლენით, განავითარეს დამნაშავეობის არატრადიციული “ცნებები”.

ერთმანეთის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებში ამ მიმართულებათა მომხრეები არგუმენტებს ამყარებენ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ცხოვერებაში გარეგნულად მართლაც გვეხვდება. ამიტომ არც ერთ არგუმენტს არ ძალუძს ბოლომდე დამტკიცოს დასაცავი მიმართულების პრიორიტეტულობა. იმაში რომ გაეყრკვეთ, თუ რა უშლის ხელს დანაშაულობის იურიდიული მხარის არსის გაგებას, დაწერილებით განვიხილოთ აღნიშნულ მიმართულებათა არგუმენტები.

ცნობილია, რომ დანაშაულობის ლეგალისტური განსაზღვრის მომხრეთა შორის გავრცელებულია დანაშაულობის შემდეგი ტიპის “ცნებები”: “დანაშაულობა მთლიანი სოციალურ-სამართლებრივი მასობრივი მოვლენაა, რომლის საფუძველს შეადგენს დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებათა და ასეთ ქმედებათა ჩამდენ პირთა ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული დროის განმავლობაში.”<sup>16</sup>

“დანაშაულობა ადამიანთა საზოგადოებაში არსებული უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, რომელსაც გააჩნია თავისი კანონზომიერებები, საზოგადოებაში და მოსახლეობაში ნეგატიური შედეგების გამოწვევი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიკური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მაკონტროლებელი ზომების გატარებას”<sup>17</sup>. “დანაშაულობის ცნება კრიმინოლოგიაში გულისხმობს საზოგადოების სოციალურ, ისტორიულად ცვლად, მასობრივ, სისხლის-სამართლებრივ-სისტემურ მოვლენას, რომელიც თავის მხრივ ელინდება საზოგადოებრივად საშიშ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა და მათ ჩამდენ პირთა ერთობლიობაში გარკვეულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში”<sup>18</sup> და ა.შ.

მსგავსი დეფინიციების არგუმენტაციას საფუძვლად უდევს დებულება, რომ “დანაშაულობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი სისხლისსამართლებრივი ხასიათი, მასში სისხლის სამართლის კანონში ჩამოყალიბებულ აკრძალვათა დარღვევის ინდივიდუალური აქტების გაერთიანება, რაც საშუალებას იძლევა

<sup>14</sup> იხ: В.В.Лунеев. Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М. «Норма», 1977, с.78  
<sup>15</sup> იხ: В.В.Лунеев. Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М. «Норма», 1977, с.143, 265  
<sup>16</sup> იხ: Криминология (под редакцией В.Е.Эминова). М. «М-ИНФРА», 1997, с. 78  
<sup>17</sup> იხ: Криминология. (Под ред. В.Н. Кудрявцева, В.Е. Эминова). М.: Юристъ, 1997, с. 15  
<sup>18</sup> იხ: Криминология: Учебник для вузов (под ред. В.Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006, с. 33

განვასხვავოთ დანაშაულობა სხვა სამართალდარღვევებისა და ამორალური გადაცდომისაგან. ისტორიული გამოცდილებით შემუშავებული პრაქტიკა გეიჩვენებს, რომ არ შეიძლება საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის რეგულირება, თუ მათი საქციელი არ შეფასდება და მათი ჩადენისათვის არ დადგირდება პასუხისმგებლობის ზომა. ამა თუ იმ მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება, უპირველესად, არის მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულების შედეგი. ასეთი შეფასების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის (მოქალაქის) მოქმედებათა და საქციელთა მთელი მრავალფეროვნებიდან გამოიყოფა და ამა თუ იმ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ფასდება ისეთები, რომლებიც საზოგადოებას ყველაზე მეტად ენებენ და უფრო "საზოგადოებრივად საშიში" არიან. მოცემული ნიშანი ძირითადია ქმედების დანაშაულებრივად აღიარებისათვის. სისხლისსამართლებრივ კატეგორიებს და ცნებებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის, არამედ სხვა სამართლებრივ და სოციალურ-სამართლებრივ მეცნიერებებსაც, მათ შორის კრიმინოლოგიისთვისაც...<sup>19</sup>

როგორც შემდგომ არის აღნიშნული, - "იურიდიული თვალსაზრისით, ასეთი მიდგომა გამოირიცხავს დანაშაულის საკუთარი ცნების შემუშავებას. სისხლის სამართალში მოცემული დანაშაულის ცნება მოიცავს ყველა მის სამართლებრივ ნიშანს, რომლებიც არსებითია კრიმინოლოგიის მეცნიერებისთვისაც. ... სოციალური თვალსაზრისით, კრიმინოლოგიური მიდგომა განსაზღვრავს დანაშაულის, როგორც რეალური ნეგატიური საზოგადოებრივი მოვლენის, ანალიზს. მხედრობულად, დანაშაულის ცნება გამოაქვთ სისხლის სამართლით განსაზღვრული ჩარჩოებიდან. ამიტომ, არსებითი და აქტივობები პირობის სახით წარმოგვიდგება დანაშაულის სოციალური შინაარსისა და იმასთან ურთიერთკავშირის კვლევა, რამაც წარმოშვა იგი და რაც გახდა მისი შედეგი."<sup>20</sup>

აქედან გამომდინარე, აკეთებენ დასკვნას, რომ აქტების მასა, რომლებიც განზოგადდება აბსტრაქციაში "დანაშაულობა", კანონით ზუსტად განსაზღვრული შემადგენლებისგან ყალიბდება. კანონი გამოდის კრიტერიუმის როლში დანაშაულთა სხვა ნეგატიური აქტებისაგან განსასხვავებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიქმნება ბუნდოვანი აბსტრაქცია. "დანაშაულთა, როგორც დანაშაულობის პირველადი ელემენტების სისტემა, - აღნიშნავს ამ მიმართულების მომხრეები, - განაპირობებს მის სისხლისსამართლებრივ ხასიათს... დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი თვისება ეწინააღმდეგება დანაშაულობის ცნებისა და მოვლენის შეცვლას რაღაც "გადახრილი ქცევით", რომელიც არცთუ იშვიათად გამოიყენება საზღვარგარეთულ კრიმინოლოგიაში. არ არსებობს დანაშაულთა "კერძოდ კრიმინოლოგიური" ცნებები"<sup>21</sup>. ლეგალისტური მიმართულების მიმდევარი იურიისტების აზრით, დანაშაულებრივის იურიდიული განსაზღვრების იგნორირებით კრიმინოლოგი დანაშაულობის ცნებას უაღრესად ბუნდოვანს ხდის"<sup>22</sup>.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქამას ზოგიერთი სოციოლოგიც: როგორც ამერიკელი პ. ტაპანი მიუთითებს, "დღეს მრავალი კრიმინოლოგი აცხადებს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის დარღვევის ფაქტი წარმოადგენს ქცევის დანაშაულობრიობის ხელშეწყობ მარეგულაციას, რომ კანონით შემუშავებული კატეგორიები არ შეესაბამება მეცნიერების მოთხოვნებს იმიტომ, რომ ისინი ატარებენ "შემთხვევას საიასთა" და "ორგანულად არ წარმოიქმნებიან"... როგორ სასურველადაც არ უნდა გეეჩვენებოდეს საზოგადოებრივად საზიანო ქცევის კონცეფცია საერთო წესის ან აბსტრაქტული განსაზღვრების შესაბამისად, ის მაინც არ ადგენს, თუ სახელდობრ რა არის საზიანო. იგი სტანდარტს არ იძლევა. ეს კონცეფცია არ ასხვავებს ვიდეულ ფაქტებს, ის უბრალოდ მექლეკვარს საზიანო შესაფასებათა მისულ სისტემას. ვიდრე ანტი-სოციალური ქცევის ცნება სტრუქტურულად არ იქნება განსახიერებელი ნათლად ხილულ კრიტერიუმებში ან ნორმებში, როგორც ამას ახლა აქვს ადგილი სამართლებრივ სისტემაში, იგი გამოუსადეგარია მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის. კრიმინოლოგს ჩიხში შეჰყავს საკუთარი თაი, როცა წყევტს, რომ მსჯავრდებული

<sup>19</sup> იხ. იქვე, გვ. 37-38

<sup>20</sup> იხ: Криминалогия: Учебник для вузов( под ред. проф. В.Д. Малкова). М. «Юстицинформ», 2006, с. 37-38

<sup>21</sup> იხ: Криминалогия (под редакцией Н.Ф. Кузнецовой). М. «Зерцало». 1998, с.39

<sup>22</sup> იხ: В.Н.Кудрявцев и Б.С.Никифоров. Вступительная статья – Социология преступности.М. «Прогресс». 1966, с. 7

დამნაშავის შესწავლას აზრი არა აქვს, რადგანაც ეს ხელოვნურად შექმნილი კატეგორიაა<sup>23</sup>.

ამრიგად, დანაშაულობის აბსტრაგირების კრიტერიუმად ლეგალისტური მიმართულების მომხრეები აცხადებენ გარკვეულ მოქმედებათა იმ ყველაზე უფრო დიდ ზიანს, რომელსაც ისინი საზოგადოებას აყენებენ და რის გამოც ეს ქმედებები "საზოგადოებრივად საშიში" არიან. აღნიშნული ნიშანი ქმედების დანაშაულებრივად ცნობისათვის ძირითად კრიტერიუმად ცხადდება.

დანაშაულობის იურიდიული მხარის ლეგალისტური გაგება ყველაზე ძველია ხანგრძლივი წინასტორიის წყალობით, რომელიც წინ უძღოდა საზოგადოების კაპიტალისტურ განვითარებას. მისი განსაზღვრება ეფუძნება ამა თუ იმ ქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებას, რომელიც უპირველესად, სახელმწიფოს მხრიდან მისდამი დამოკიდებულების შედეგია. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში ჩნდება დანაშაულობის იურიდიული მხარის ანტიკაპიტალისტური კრიტიკა. მსგავსი შეხედულების ჩამოყალიბებას სტიმულს სოციალური გადახრების კონცეფციებში აძლევდა 20-30-იანი წლების დანაშაულობის ამერიკული სოციოლოგია. XX საუკუნის შუახანებიდან ყალიბდება კრიტიკული კრიმინოლოგიის (სოციოლოგიის) გარკვეული მიმართულება, რომელიც დევიანტოლოგიის სხვადასხვა თეორიაში აეთარტებს ანტილეგალისტურ იდეებს. შედეგად კი ჩნდება დანაშაულობის არატრადიციული აბსტრაქციები.

ასეთი ტიპის აბსტრაგირების მომხრეთა კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს, უპირველესად, დანაშაულობის იურიდიული მხარე.

როგორც უკვე ითქვა, დანაშაულობის იურიდიული მხარის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 30-იანი წლების სოციოლოგები გამოდიოდნენ. ტ. სელინი აღნიშნავდა: "დანაშაულებრივის და შესაბამისად ტერმინ "დამნაშაის" არსის ცვალებადობა კარგად ცნობილი ფაქტია... მაგრამ ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორ უნდა შევითავსოთ მსგავსი ცვალებადობა იმ საყოველთაო კატეგორიების შემუშავების მცდელობას, რომლებიც საჭიროა ნებისმიერი მეცნიერული კვლევის ჩასატარებლად? კრიმინოლოგიური კვლევის ძირითადი ერთეულების ანუ ელემენტების იურიდიულ განსაზღვრება უპირობოდ მიღება არღვევს მეცნიერების ძირითად კრიტერიუმს. მეცნიერი თავისუფალი უნდა იყოს, რომ თვითონ განსაზღვროს მოვლენა მის მიერვე შერჩეულ მასალაში, აღნიშნოს მისი ის თვისებები, რომლებიც უნივერსალური ხასიათის მატარებელად იყარაულებია. არსებობს ამის უამრავი მაგალითი, როცა კანონში გამოხატული სახელმწიფო პოლიტიკა ზღუდავდა და ნულოვან ნიშნულამდე დაჰყავდა ან წინასწარ კარნახობდა მეცნიერული კვლევის შედეგს ამა თუ იმ დარგში..."<sup>24</sup> შემდგომ წლებში ამ იდეამ სულ უფრო მეტი მომხრე პოვა ამერიკელ სოციოლოგთა შორის. მარკ კოლენი, რომელიც ეფუძნებოდა რ. აგნიუსს, მ. გორფრედსონის დიპაზოლობის თეორიის, ტ. ხირშის თავშეკავების თეორიის და რ. აკერმანის სწავლების თეორიის დასკვნებს, აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა უმრავლესობის მიმართ იძულების სისტემის დინამიკა მოუწესრიგებელ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მის უმეტეს ქრონიკულ ან ჩვეულებრივ ფორმებში<sup>25</sup>. ანალოგიურ ვარაუდს გამოთქვამდნენ სხვა სოციოლოგებიც. ქვევის ნორმებს, როგორც ისინი აღნიშნავენ, ადგენს ხელისუფლება და არა ხალხი. ამიტომ ღიად რჩება საკითხი: საიდან იცის ხალხმა, რომ მან უნდა იმოქმედოს სწორედ ამ ნორმების შესაბამისად. ნორმები ხომ ყოველთვის არ განსაზღვრავენ ქვევის ზუსტ წესებს. საჭიროა კონცეფცია, რომელიც დაადგენს, თუ რა მიაჩნია მოსახლეობას ყველაზე მისაღებ ქმედების ნორმად<sup>26</sup>. საბოლოოდ მეცნიერები

<sup>23</sup> იხ: П. Таппен. Кто такой преступник? - Социология преступности. М. «Прогресс». 1966, с. 62

<sup>24</sup> იხ: Т. Селин. Социологический подход к изучению причин преступности - Социология преступности. М. «Прогресс». 1966, с. 31-32

<sup>25</sup> იხ: M. Colvin, Crime and Coercion: An Integrated Theory of Chronic Criminality. New York: St. Martin's Press, 2000. P. 141

<sup>26</sup> იხ: B. Marshall, B. Clinard and Robert Meier. Sociology of Deviant Behavior . 2007. P.3-49

რადიკალურად ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის რეაქციას ქცევაზე და არა იმას, იგი აკრძალულია თუ არა კანონით<sup>27</sup>.

კრიტიკული დამოკიდებულება იურიდიული მხარის მიმართ თავს იჩენს რუსეთშიც - ლეგალისტური ტრადიციების ქვეყანაში. მას მხარს უჭერენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიცაა: დ. ა. შესტაკოვი, ი. გილინსკი, ტ. ა. ხაგუროვი და სხვ.

აგრძელებს რა დანაშაულობის ამერიკული სოციოლოგიის ტრადიციას, დ. შესტაკოვი თავის კრიტიკას შემდეგი ფაქტების საფუძველზე ასაბუთებს:

1) კანონმდებლის ნება ფიქტიურია: მიჩნევენ რა ქმედებათა ერთ სახეს დანაშაულად, კანონმდებელი ამავე დროს არ ითვალისწინებს სასჯელს სხვა ქმედებისათვის. მაგალითად, 60-იანი წლების რუსეთში სპეკულაცია ისჯებოდა, ამჟამად კი იგი არაა აკრძალული. "ამავე დროს, სასჯელი მასობრივი რეპრესიების ორგანიზებისათვის რუსეთში, რომელიც ასე დაზარადა მსგავსი ქმედებებისგან, არ არის გათვალისწინებული. თუ იურიდიული თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, გამოევა, რომ ასეთი სახის დანაშაულებრივი საქმიანობა თითქოს არც არსებობს, ვინაიდან კანონმდებელს შესაბამისი ძალისხმევა ჯერ არ განუხორციელებია"<sup>28</sup>. მეორე გვერდზე ავტორი კვლავ იძლევა იურიდიული განსაზღვრის ფაქტობრივ დადასტურებას: "...თუ კრიმინოლოგიაში იდანაშაულად მივიჩნევთ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ნახსენებია კანონში, მაშინ უკვე არსებული ხარვეზის ან სისხლის სამართლის კოდექსიდან ქცევის ამოდების შემთხვევაშიც, საზოგადოებისათვის ყველაზე საშიში ქცევა ხდება არედან ამოვარდება. ცნობილია, რომ საშიში საქმიანობით (მართლსაწინააღმდეგო რეპრესიები, პრივატიზაციის დროს დარღვევები, ბანკების თვითნებობა, რომლებიც უარს ამბობენ კრედიტების დაბრუნებაზე და ა. შ.), რომელიც პირდაპირ არაა აკრძალული, მოსახლეობა განუზომლად მეტად ზარადადება, ვიდრე იმით, რაც კანონმდებლობით დანაშაულებრივ ქმედებადაა აღიარებული. და პირიქით, დაუსაბუთებელი ან უსამართლო კანონი ზოგჯერ საზოგადოებას და მის წიაღში განვითარებულ მეცნიერებას თავზე ახვევს დანაშაულად იმის აღიარებას, რაც სინამდვილეში არა იმდენად ან სულაც არაა საზიანო გარემოცვისათვის"<sup>29</sup>.

2) "სინამდვილეში კანონმდებელი წარმოშობს დანაშაულებრივ ქცევას და მთელ მის სახეებს ამა თუ იმ ქმედებათა კრიმინოლოგიურად დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი აკრძალვით. ასე იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში "მშრალი კანონის" მოქმედების დროს, როცა სასჯელის დაწესებამ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვისათვის ბიძგი მისცა დანაშაულებრივი დაჯგუფებების, ექსპოდ კი, "კოზა ნოსტრას" ჩამოყალიბების დაჩქარებას. მთელ მსოფლიოში ნარკობიზნის აღწევს ზესიმდიდრეს მნიშვნელოვანწილად ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არსებობის წყალობით ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაერცელებისათვის." 1936-1954 წლებში აბორტის სისხლისსამართლებრივად აკრძალვამ ხელი შეუწყო დედების მიერ ახალშობილთა მკვლელობათა რიცხვის ზრდას და ა. შ.<sup>30</sup>

აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ "იურისპრუდენციაში წარმოდგენა დანაშაულზე არ შეიძლება იყოს შეზღუდული კანონით მისი გათვალისწინების ნიშნით, ვინაიდანვე შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონის ადგილს დაიკავეს განუხილავობა. ხოლო კრიმინოლოგიაში, რომელიც გამოდის იქიდან, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები ყოველთვის როდია სამართლიანი, დანაშაულის ქვეშ უნდა გავიგოთ დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს თუ იგი კანონით ასეთად იქნება აღიარებული"<sup>31</sup>. "დანაშაულობის

<sup>27</sup> იხ: P. Conrad. Identifying Hyperactive Children: The Medicalization of Deviant Behavior (Ashgate Classics in Sociology). 2006 .P. 1-9

<sup>28</sup> იხ: Д.А.Шестаков. О понятии преступности –Преступность среди социальных подсистем. Санкт-Петербург.

«Юрид.центр Пресс».2003, с. 20

<sup>29</sup> იხ. იქვე გვ. 24

<sup>30</sup> იხ. იქვე გვ.21

<sup>31</sup> იხ: Д.А.Шестаков. О понятии преступности –Преступность среди социальных подсистем. Санкт-Петербург. «Юрид.центр Пресс».2003, с. 22

იურიდიული მხარე ელინდება იმაში, რომ კანონი, რაღაც აზრით, წარმოადგენს დანაშაულობის წყაროს, ერთ შემთხვევაში ფიქტიურს, მეორეში - ნამდვილს<sup>32</sup>.

ი. გილინსკის აზრით, "დანაშაულობა კონსტრუირდება ორ სხვადასხვა საფუძველზე. ესენია: რეალური (ონტოლოგიური, ობიექტური) ზიანი და ამის შესახებ მითითება კანონში, რომელიც ყოველთვის კანონმდებლის სუბიექტურ ნებას წარმოადგენს". საზოგადოებრივი საშუალოება ანუ ზიანი - მატერიალურია, რაც ახასიათებს საგანს როგორც ასეთს, ის სუბსტანციური ნიშანია, დანაშაულობის იმანენტური თვისებაა. ასეთი ნიშანი ობიექტურია, იგი არსებობს შეცნობის სუბიექტის - კანონმდებლისაგან დამოუკიდებლად. დანაშაულობის "ეს ორმაგი ბუნება" - ერთი მხრივ, რეალური ზიანი (harm), მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინება (კონვენციულობა) განაპირობებს მისი განსაზღვრის სირთულეს<sup>33</sup>.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ერთი მხრივ, დანაშაულობის "რეალური", "ონტოლოგიური", "ობიექტური" თვისება - ესაა დანაშაულებით გამოწვეული ზიანი; ეს თვისება დამახასიათებელია "საცნობისათვის, როგორც ასეთისათვის და იგი არის სუბსტანციური, იმანენტური". "ესაა შემთხვევების სუბიექტისაგან (კანონმდებლისაგან) და მანამდე დამოუკიდებლად არსებული ობიექტური ნიშანი". მეორე მხრივ, საქმიანობის ზოგიერთი სახე, ავტორის აზრით, ითვლება სოციალურად დასაშვებად, ზოგიერთი კი - დევიანტურად და ხშირად დასჯადად. ისინი წარმოადგენილი არიან სოციალური კონსტრუქციის შედეგის, კანონმდებლების შეთანხმების ("აქ და ახლა") შედეგის სახით. "რეჟიმი ახდენს დევიანტურობის და დანაშაულობის სხვადასხვა სახეობის კონსტრუირებას, ქმნის "ვანტეების ვაცებს", რომელთა ანგარიშზე ადვილი ჩამოსაწვრია საკუთარი სოციალური პოლიტიკის შეცდომები და წარუმატებლობანი". "კანონში ამის მითითება... ყოველთვის კანონმდებლების სუბიექტური ნების შედეგია". ამიტომ "ფორმალური არასუბსტანციურობა", "ფორმალური ნიშანი - არასუბსტანციური ნიშანია, ის არ მიეკუთვნება სინამდვილის საგანს, არ არის მისი იმანენტური თვისება"; დანაშაულობა გამოდის, როგორც "ხელისუფლების პირში", "არის კანონმდებლის სუბიექტური ნების შედეგი". ი. გილინსკი აზუსტებს: "ნათქვამი არ ნიშნავს, რომ სოციალური კონსტრუირება საერთოდ და კერძოდ დანაშაულობის გაუთვალისწინებლადაა მოხდენილი. საზოგადოება საკუთარი ელემენტების "კონსტრუირებას" ონტოლოგიური რეალულობის საფუძველზე" ახდენს. ასეთ რეალად ავტორი აღიარებს გარკვეულ ზიანს, ზარალს, რაც "სხვა ადამიანებისაგან, საზოგადოებისაგან ნეგატიურად აღიქმება და ფასდება". მაგრამ ზოგიერთი სახე "კრიმინალიზებულია საქმარისი ონტოლოგიური საფიქვლების გარეშე". ავტორს მხედველობაში აქვს ქმედებები, რომლებიც "სხვათათვის ზიანის მომტანი არაა", მაგალითად, როგორებიცაა: ნარკოტიკების მოხმარება, ნებაყოფილობითი პომოსექსუალიზმი, მძავეობა, ექიმის მიერ აბორტების გაკეთება და ა. შ.

დანაშაულობის იურიდიული მხარის გაგების ძირითადი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: *დეკალისტური მიდგომა* ეფუძნება დებულებას, რომ კრიმინალიზება მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც გარკვეულ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს მიერ დაცულ ინტერესებს. როგორც ჩანს, ამ პოზიციას მხარს უჭერენ არატრადიციული (ანტიდეკალისტური) მიდგომის მომხრეებიც. ასეთი არკუმენტაცია მხოლოდ პირველი შეხედვითაა მისაღები, რამეთუ იგი არ განიხილავს მთელი დანაშაულობის ზიანს, როგორც ერთიან ფენომენს. ეკონომიკური დანაშაულებისათვის განსაზღვრულია ზიანის განსაკუთრებული სახე, ძალადობრივისათვის კი, ზიანის სხვა ტიპი და ა. შ. ამიტომ დანაშაულობის ერთი სახის ან ფორმისათვის შემუშავებული რეკომენდაციები ნაკლებად გამოსადეგია სხვა სახეებისა და ტიპებისათვის. ამ პრობლემის დაძლევის ხელს უშლის

<sup>32</sup> იხ. იქვე, გვ. 20

<sup>33</sup> იხ: Я. Гилинский. «Понятие преступности в современной криминологии» - Юрид. Журнал Казахстанской юрид. Ассоциации «Предупреждение преступности». 2005, № 1, с. 28-31

იურიდიული პრაქტიკა, როგორც ათელის წერტილი, რომელიც არ ასხეავებს ზიანს, რომელიც მიეყენება მოსახლეობას (მათ შორის სახელმწიფო რეგულირების საშუალებების მეშვეობითაც) და ზიანს, რომელიც გამოწვეულია დანაშაულობით.

სინამდვილეში, დანაშაულობის ონტოლოგიურ თვისებას წარმოადგენს გაუცხოების, ე. ი. ცხოვრებაში წარმოშობილი პირადი, ოჯახური და სხვა სოციალური ობიექტების მოხსნის თვისება. ადამიანი უნდა იყოს გაუცხოებული, რომ მან მოახდინოს რეაგირება გაუცხოების მოხსნის ხერხით - დანაშაულობით. ამიტომ გაუცხოება ან ზიანი, რომელიც ადგება პიროვნებას (ემუქრება ინდივიდს), იზომება სხეანაირად, ვიდრე გაუცხოების, ე. ი. დანაშაულებიდან მომდინარე ზიანის მოხსნა.

მეცნიერული კრიმინოლოგიური აზროვნება წარმოიქმნება მაშინ, როცა ის იწყებს პასუხის გაცემას კითხვაზე: როგორ გვეულებოდა “დანაშაული”, როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხი? ეს საკითხი სინამდვილეში წყდება ისტორიულად და გამონაკლისის არც კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს.

ამრიგად, დანაშაულობის ლეგალისტური განსაზღვრა ეერ გამოდის იმ სამართლებრივი თეორიებისთვის ფორმის ხედვლიდან, რომელიც ტიპობრივად დანაშაულობასთან ბრძოლისათვის.<sup>34</sup> ამიტომ საკითხი დანაშაულობის იურიდიული მხარის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ ჰაერშია გამოკიდებული. განმარტების გარეშე რჩება დანაშაულობის “შენებლობის” ობიექტურობის დასაბუთების და მისი ათელის წერტილის პრობლემა.

განვიხილოთ დანაშაულობის იურიდიული მხარის წინააღმდეგ წამოაყენებული ანტილეგალისტური მიმართულების არგუმენტი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კრიმინალიზაციის ობიექტზე არ გეხდება უფრო ნაკლებად საშიში მოვლენები, ვიდრე დანარჩენი, ან გეხდება იხინი, რომლებიც საშიში ხასიათის არ არიან. თუმცა, სოციალური კონსტრუირება, როგორც საერთოდ, ისე კერძოდ დანაშაულობის, თვითნებურად არ ხდება. საზოგადოება ახდენს თავისი ელემენტების “კონსტრუირებას” ონტოლოგიური რეალიების საფუძველზე. მაშინც, იურიდიული ნიშანი არ წარმოადგენს დანაშაულობის იმანენტურ თვისებას; იგი ძლიერ ვარაუდებს, რაც სპეციფიკური სულაც არ არის არსებითი ნიშნისათვის. იურიდიული ნიშანი წარმოადგენს კანონმდებლების სუბიექტური ნების შედეგს და ამის გამო არ განეკუთვნება დანაშაულობას. მხოლოდ დანაშაულობის “შენებლობა” წარმოადგენს სუბსტანციურ, იმანენტურ თვისებას. სწორედ ის არსებობს კანონმდებლებისაგან დამოუკიდებლად და ამიტომ ატარებს ობიექტურ ხასიათს.

დანაშაულობის იურიდიული მხარის უარყოფით ეს მომართულება სხვა უკიდურესობაში ვარდება. იგი ეერ ხედავს, რომ სამართალი წინასწარ უნდა გახდეს ისტორიულად გაბატონებული მითისების მომენტი და ამასთან დაკავშირებით, იმ სოციალური სიტუაციის შექმნის საშუალება, რომლიდანაც იწყება “სამშენებლო მასალის” არჩევა მითისების მოცემული ტიპისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სამართლის მიერ ქმედებათა კრიმინალიზება ან დეკრიმინალიზება. გაიხსენოთ მაწანწალობის ისტორიული ფაქტი, რომელიც ფუნქციონალურად იქნა ახსნილი სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის მიერ. სინამდვილეში რეალური სურათი სხვაგვარად გამოიყურებოდა: კაპიტალისტური საზოგადოების ჩასახვის განთიადზე კაპიტალის დაგროვება შეუძლებელი იყო მოსახლეობის ნაწილისათვის საკუთრების ჩამორთმევის გარეშე, რომელიც შემდეგ მაწანწალობას იწყებდა. მაგრამ დაგროვების იგივე პროცესი მაწანწალობას აცხადებდა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად, რადგანაც მანუფაქტურები მოითხოვდნენ იაფ სამუშაო ძალას და თანაც იძულებითი პირობებით.

<sup>34</sup> შემთხვევითი არაა, რომ დანაშაულობის თანამედროვე სოციოლოგია მოითხოვს “დანაშაულთა” ინტეგრალურ განხილვას, როგორც გაუცხოების მოხსნის ხერხისა და როგორც მოვლენისა, რომელიც ვლინდება სამართალთეორიაში. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გ. ბარაკის აზრი, რომ 21-ე საუკუნისათვის შემობრუნებად იქცა ახლახან გამოჩენილი კრიმინოლოგისა და პენოლოგის ინტეგრალური პარადიგმა, რომელიც მომავლის იმედს იძლევა - იხ: რ. არაკ, “ინტეგრალზე თეორიის” - ნეცელოპედია ოფ ჩრემი & უნივერსიტეტი, 2002

ამრიგად, სამართალსა (როგორც საზოგადოებაში გაბატონებულ მითვისების ისტორიული ტიპის მომენტს) და დანაშაულობას შორის არსებობს რთული გაშუალებული კავშირი. მხოლოდ მითვისების გაბატონებული ტიპის მომენტად გახდომის შემდეგ იწყებს სახელმწიფო (სამართალი) მრავალფეროვან ქმედებათა შერჩევით კრიმინალიზაციას. აქ აქსიომატურია შემდეგი დებულება: "თუ ... "ფაქტობრივ დამოკიდებულება" ... არ გამოდის, როგორც სამართლის გამოყენების შედეგი, მაშინ იგი არც სამართლის მიზეზს არ წარმოადგენს"<sup>35</sup>.

ცხოვრების მთელ პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართლის კანონით ქმედებათა აკრძალვის ე. წ. შერჩევა, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კანონი იყო მითვისების გაბატონებული წესის ექვემდებარებული<sup>36</sup>. მაშასადამე, არა კანონმდებლების თვითნებობა, არამედ მითვისების არსებული ისტორიული ტიპი განსაზღვრავს კანონმდებლების "შეცდომებს" და მათ "შორსმჭვრეტელობას". ამრიგად, მითვისების ეს ტიპი არამართ იწყებს "დანაშაულობას", არამედ ასეთებად აფასებს მათ, აქედან გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი ფორმა არ არის შემთხვევითი

<sup>35</sup> იხ: Э.В. Ильенков. Диалектика абстрактного и конкретного в научно-теоретическом мышлении, М.: Институт философии АН СССР, 1960, с. 100

<sup>36</sup> საილუსტრაციოდ გამოდგება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. როგორც ცნობილია, ეს ინსტიტუტი კაპიტალისტურ სამყაროში აღიარებული იყო XIX საუკუნის შუა წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც ინგლისის და აშშ-ს ეკონომიკა ექსტენსიურად ვითარდებოდა. შრომის ინტენსიფიკაციის მეთოდები აღტარებდნენ ემბრიონულ ხასიათს. კორპორაციები არ იცავდნენ ეკოლოგიის ნორმებს, შრომის უშიშროების დაცვა ნაკლებად მომგებიანი გახლდათ. კაპიტალის ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებდა და ამიტომ მოგების საშუალო ნორმა ჩანასახში იყო. საზოგადოების ამ ეტაპზე ადგილი ჰქონდა მოსახლეობაზე არაეკონომიკური იძულების ზემოქმედებას. შესაბამისად ვითარდებოდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი. მასთან შედარებით სახელმწიფოს რეპრესიას ჰქონდა უფრო მყარი ეკონომიკური საფუძველი – მოგების მიღება ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ყოველთვის ცოცხლდება, როდესაც წარმოიშობა ან არსებობს არაეკონომიკური იძულების ზემოქმედების აუცილებლობა. ასეთი მდგომარეობა ახასიათებდა 70-იანი წლების ინგლისს, როდესაც განვითარდა ეკონომიკური კრიზისი. ამ დროს ემთხვევა 1978 წლის ინტერპრეტაციის შესახებ კანონის მიღება, რომელმაც დააწესა კორპორაციების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. 1970-1991 წლებში საფრანგეთში ფიქსირდება, 50-იან წლებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ინფლაციის ტემპები (5,3% – 7,8%). ამ სიტუაციამ 80-იანი წლების მეცნიერთა დაეა 1992 წლის კოდექსში იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებით დაასრულა. გამონაკლისს არ წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნები, სადაც ბატონობს მოსახლეობაზე არაეკონომიკური იძულების ზემოქმედების მეთოდები. საქართველოში 2006 წლის იელისში სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იყო შემოღებული ცვლილება, რომლის მიხედვით დამკვიდრდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ს 107<sup>1</sup>-107<sup>3</sup>-ა მუხ.) და საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს (სსკ-ს 679<sup>1</sup> – 679<sup>20</sup> მუხ.). შესაბამისად ცვლილება შევიდა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში (მე-14<sup>1</sup> მუხლი). - იხ: გ. თოდრია, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა: მცდარი გზა სამართალში და ჭეშმარიტება – თეუსუს-საიუბილეო კრებული. თბ. 2007



დანაშაულობის ცნების განსასაზღვრავად. მაშასადამე, საჭიროა დაეადგინოთ, რა სოციალური კანონების მიხედვით ხდება დანაშაულობათა შედეგი და შემდეგ ვაჩვენოთ მისი ადგილი სამართალდარღვევაში. სწორედ ამ პუნქტში წარმოიშობა დანაშაულობის ფეტიშიზირებული აქტის პრობლემა მის მრავალრიცხოვან დეფინიციებში (რასაც იურიტები ცნებებს უწოდებენ).

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი. დანაშაულობისადმი არატრადიციული მიდგომის მომხრეებს ყურადღების მიღმა რჩებათ მისი განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი მომენტი და არ პასუხობენ კითხვაზე: რაში მდგომარეობს იურიდიული განსაზღვრის ჭეშმარიტი როლი, რას იძლევა ის სინამდვილეში?

არ გავხდით საკამათოს ის ფაქტს, რომ დანაშაული არის გაუცხოების მოხსნის ინდივიდუალური ხერხი, გაუცხოება მასზე ზემოქმედებს სილატაკის, გარემოცვის, უმეტრების, გავლერების, მორალური დეგრადაციის, უიმედობის და სხვა სახით. ადამიანზე თავდატეხილი ძალა ძნელად ასახსნელია, იგი წარმოიშობა მის ზურგს უკან და მისთვის უცხოა. რამდენადაც იგი აღმონრდება დესტრუქციულ მდგომარეობაში, რომელიც მოტივირებს მის მოქმედებას, ამ სიტუაციიდან ნებისმიერი გამოსავალი, მიუხედავად კანონის დამოკიდებულებისა, წარმოადგენს გაუცხოების მოხსნის მის პირად აქტს. ინდივიდის დამოკიდებულების გარკვევა საკუთარი ქმედებისადმი არის ფსიქოლოგიური კვლევის საგანი. მაგრამ, როგორც არ უნდა ვატრიალოთ, აქ ვერ აღმოვაჩინებთ გაუცხოების მოხსნის აქტის საზოგადოებრივ ხასიათს. იგი ინდივიდუალური და განუმეორებელია. აქ მთავრდება ფსიქოლოგიური სკოლების პრეტენზიები, რომლებიც ობიექტელისათვის მომგებიან ასპექტში წარმოადგენენ ფეტიზირებულ სამყაროს, როგორც ინდივიდის მოტივაციის რეალობას.

იმედროულად, საკუთარი საზოგადოებრივი წარმომადგობის გამოსაყენებლად, გაუცხოების მოხსნის აქტმა უნდა დადგინოს მეტამორფოზებისა და ურთიერთგამორიცხვების გრძელი გზა. ამ გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მისი გაუცხოების ხერხად გადაქცევა, ე. ი. ეს ხერხი უნდა გადაიქცეს სამართლის მიერ სტიგმატიზირებულ ფორმად. ამრიგად, მხოლოდ სამართალი გვაძლევს დანაშაულობის საზოგადოებრივ ხასიათის აღმოჩენის საშუალებას. პროცესი ატარებს ვირტუალურ ხასიათს: საკუთარი საზოგადოებრივი ხასიათის აღმოსაჩენად მრავალათასიანი აქტები სამართალმა უნდა წარმოადგინოს, როგორც პირად ბედთა მიმოყვანტული ნამსხვერვები. თუმცა მათ ზურგს უკან დგას საერთო ტრავმაცია, როგორც განუყოფელი და მთლიანი ფენომენი. ასეთია პარადოქსი, რამეთუ ადამიანთა ისტორიას არ გააჩნია დანაშაულობის გამოსატყვის სხვა ხერხი. სამართალი, როგორც მითვისების გაბატონებული ტიპის ელემენტი, თავიდანვე მონაწილეობს დანაშაულობის ჩამოყალიბებაში. მაგრამ იმისათვის, რომ არ ჩანდეს მისი რეალური სოციალური დამოკიდებულება დანაშაულობისადმი, ის ერთდროულად გამოდის არა სუბიექტის, არამედ კრიმინალური ხელყოფის ობიექტის როლში, როგორც მოვლენა, რომლის გარეშე განწყობულ სამყაროში ადგილი აქვს ათასობით შემთხვევით აქტს.

დაბოლოს, განვიხილოთ დანაშაულობის ბოლო ნიშანი - დანაშაულთა კანონზომიერი ცვლილება როგორც საზოგადოების გარკვეული ორგანიზაციის შედეგი.

ამ ნიშნის განმარტებისას მსოფლიოს კრიმინოლოგთა უმრავლესობა ერთსულოვანია იმაში, რომ დანაშაულობა არის ადამიანთა სოციალური ქცევის ფორმა, რომ დანაშაულობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სწორედ საზოგადოებაში და ა. შ. ეს თეზისი უკმინოდ დიდი ხანი ბანალურია. სხვადასხვა ინტერპრეტაციებით, მაგრამ მაინც, ყველა კრიმინოლოგი და სოციოლოგი დანაშაულობის წარმოშობას უკავშირებს სახელმწიფოს, სამართლის წარმოშობის პერიოდს, ადამიანთა საზოგადოების სოციალურ, ქონებრივ და კლასობრივ ფენებად დაყოფას. ასევე ვგვს არ იწყებს ის ფაქტი, რომ დანაშაულობის ისტორიულად ცვალებადი ხასიათი, ისევე როგორც მისი ციურები, სტრუქტურები და ხასხებები, საზოგადოებაში მიმდინარე წინააღმდეგობათა შედეგია.

მაგრამ ეს საკითხი იწყებს ადგილზე ბუქსირებას როგორც კი დაისმის ძირითადი კითხვა: როგორ უკავშირდება დანაშაულობა მოცემული ისტორიული ტიპის საზოგადოების განვითარებისა და არსებობის ძირითად კანონს? ამ პუნქტში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მსოფლმხედველობა. ერთი ასახავს მარქსის თეზის საზოგადოების ისტორიული განვითარებისა და მისი ეტაპების ცვლის შესახებ. ხოლო მეორე - თეზის საზოგადოების

უცვლელობის შესახებ. სხვადასხვა კრიმინოლოგიური თეორია არსებითად ასახავს ამ ფილოსოფიური მიმართულებების ბრძოლას.

მარქსის თანახმად, კაპიტალისტური სისტემის ძირითად კანონს წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების კანონი. სწორედ ის არის ყველა სოციალური ცვლილების საზომი, დანაშაულობის ცვლილების ჩათვლით. დანაშაულობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის უნაყოფო და წარუმატებელი ფორმა, მოცემული თეორიის ფარგლებში ნიშნავს შემდეგ: კაპიტალის დაგროვების პროცესი მესაკუთრეებს უბიძგებს ნებისმიერი ხერხისაგან ბაზარზე წარმატების შესანარჩუნებლად. კონკურენტულ ბრძოლაში საშუალო და წერილი კაპიტალი იყენებს ყველა საშუალებას მონოპოლიებისათვის წინააღმდეგობის გასაწვევად. მონოპოლიციები კი ყველაფერზე მიდიან, რომ შთანთქანს წერილი და საშუალო კაპიტალი და გაანადგუროს სხვა მონოპოლიციები. ამრიგად, კონკურენტულ ბრძოლაში დანაშაულობის ზოგიერთი ფორმა გამოხატავს კაპიტალთა ურთიერთობებს. დანაშაულობის გარკვეულ ფორმებში ასევე ელინდება დაქირავებული მუშისა და კაპიტალის ურთიერთობაც. დანაშაული წარმოგვიდგება მოსახლეობის სწორედ ამ ნაწილის აღშურების უხეშ ფორმად, რომელსაც კაპიტალი გამოდევნის საკუთარი "სავანიდან" კაპიტალის დაგროვების იმავე კანონების მიხედვით. ეს მსოფლმხედველობა გულისხმობს ისტორიულ მიდგომას, რადგანაც ამტკიცებს, რომ კერძო საკუთრების გაქრობის შემდეგ დანაშაულობაც გაქრება<sup>37</sup>.

საპირისპირო პოზიცია აქვს "წონასწორობის" მსოფლმხედველობას. ინდივიდისათვის, რომელიც ჩართულია საბაზრო ურთიერთობათა სამყაროში, ნათელია, რომ განვითარებადი სოციალური ორგანიზმის რევოლუციური დამხობის იდეას არ გააჩნია ობიექტური ნივთიერება, რამეთუ კაპიტალის შემდგომი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, გასაღების ბაზრის გაფართოება, საბაზრო ურთიერთობათა გლობალიზაცია და კაპიტალისტური სისტემის განვითარების სხვა პოზიტიური პროცესები ობიექტურად უარყოფენ ასეთ შესაძლებლობას. ამდგავარ ხედვას ხელს უწყობენ ბაზრის გლობალური კანონები, რომელთა წინის ქვეშ ინგრევა სხვადასხვა ტოტალური რეჟიმი, ისეთი დიდი იმპერიის სოციალური ჩათვლით, როგორც იყო საბჭოთა კავშირი.

არსებული ურთიერთობებიდან აუცილებლად წარმოიქმნება წარმოდგენა, რომელიც ეყრდნობა ბაზრის კანონების მიერ დარბობრივი დისპროპორციების აღდგენას, კაპიტალის მასობრივ განახლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უმუშევრობის შემცირებას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სოციალური და ეკონომიკური რყევების თანმიმდევ მოვლენებს. ამიტომ ყოველდღიური რეალობა არწმუნებს მას იმაში, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიული საფეხური ჯერ-ჯერობით არ მიუთითებს კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკურ და სოციალურ შესაძლებლობათა ამოწურვაზე და საზოგადოების მოცემული ფორმის სხვა ფორმით შეცვლის ისტორიული პერსპექტივის არსებობაზე. მსგავსი ისტორიული გარდაქმნების ფაქტები მის ცნობიერებაში ობიექტურად ვერ ნახულობენ დადასტურებას და ამიტომ უტოპიად წარმოგვიდგებიან.

ამ ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, თეორიულ აზროვნებაში მკვიდრდება მსოფლმხედველობრივი პრინციპი, რომლის თანახმადაც "სოციალოგიისა და სხვა სოციალურ მეცნიერებათა პროგრესი ...იძლევა საფუძველს, რომ უარყვით სოციალური რევოლუციის იდეა, რომელსაც იცავენ მარქსის მიმდევრები და მის მაგივრად შევითავაზოთ საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი ზოგიერთი სოციალური რეფორმა"<sup>38</sup>, ე. ი. "წონასწორობის", "წესრიგის" იდეა.

"წონასწორობის" იდეა მყისვე უსვამს მეცნიერებას აზროვნების ორ, ურთიერთსაპირისპირო კონსტანტის შეთავსების რთულ მეტათეორიულ ამოცანას: სოციალური განვითარების დაბალი ფორმის მაღალი ფორმით შეცვლისა და არსებულ სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურ მდგომარეობაში შენარჩუნების აუცილებლობის თეზისების სახით. პირველი თეზისი ვერ ნახულობს დადასტურებას კაპიტალისტური სისტემის რეალობაში, ის მხოლოდ ივარაუდება რეტროსპექტიულ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით. ხოლო მეორე თეზისი შეესაბამება კაპიტალისტური სისტემის რეალობას, მაგარი კაცობრიობის ისტორიის არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. სწორედ არსებულ

<sup>37</sup> ამ თეორიისადმი კრიტიკული მიდგომა იხ.: Г.Шнайдер, Криминология «Прогресс». 1994. с.258-261

<sup>38</sup> იხ.: Ch. Ellwood, Sociology and Modern Social Problems. American Book Co. N.Y. 1910., p. 368

რეალობის გაველენით სოციოლოგიის ( და შესაბამისად კრიმინოლოგიის) თეორეტიკოსების წინაშე დგება ისეთი კონცეპტუალური აპარატის შექმნის აუცილებლობა, რომელიც არამარტო მოახდენს პირველი თეზისის რედუცირებას მეორე თეზისის სისტემაში, არამედ კიდევ მოახდენს მის ისეთი სახით მოდიფიცირებას, რომ დაადასტუროს კაპიტალისტური სისტემის ისტორიული უცვლელობა. ამრიგად, იბადება სოციალური ფორმების ისტორიული ცვლის დადგენის პარადოქსული მოთხოვნები, მხოლოდ ფაქტების უცვლელობაზე. ობიექტურად წარმოქმნილი ამოცანის გადაწყვეტას შეეცადა სხვადასხვა ნატურალისტური (კ. პოპერი, ტ. პარსონსი, რ. მაკაივერი და სხვ.), "ექსპექტიური" (ი. ხაბერმასი, კ. აპელი და სხვ.) და დესკრიპტიული (ა. შიუცი, პ. უინჩი და სხვ.) თეორია. შესაბამისად რადიკალური კრიმინოლოგიის მომხრეთა შორის ხდება განხეთქილება საზოგადოებაში დანაშაულობის ადგილისა და როლის გაგების თაობაზე.

ყველაზე უფრო რადიკალურად განწყობილი მეცნიერები მაინც იცავენ მარქსისტულ თეზისს დანაშაულობის მოგების ეკონომიკურ კანონებზე დამოკიდებულების შესახებ<sup>39</sup>. უფრო ნაკლებად რადიკალური მიმართულება ძალაში ტოვებს ეკონომიკურ ფაქტორს, მაგრამ რამდენადმე გაზავებული სახით და დანაშაულობას განიხილავს, როგორც კლასობრივი, სქესობრივი და ეთნიკური უთანასწორობის ფორმას<sup>40</sup>. უფრო მართალ ტონს იძლევიან ის სოციოლოგიური თეორიები, რომლებიც უკუაგდებენ ეკონომიკურ მსჯელობებს და ყურადღება სოციალურ დეზორგანიზაციაზე და კულტურულ კონფლიქტზე გადააქვთ<sup>41</sup>. და ბოლოს, ვითარდება მიზეზთა ძიების სრული უარყოფა, რადგანაც საზოგადოების უცვლელ წყობაში მათი აღმოჩენა სრულიად შეუძლებელია<sup>42</sup>.

## § 2. დანაშაულობის ძირითადი მახასიათებლები (მაჩვენებლები)

დანაშაულობის სისზირვე დაკვირვებისას კრიმინოლოგები იყენებენ სტატისტიკის მეთოდს. ამასთან ერთად, ყველა კრიმინოლოგიური გამოკვლევის ტერმინოლოგიური ერთიანობის მიზნით ზოგიერთ მეთოდს კრიმინოლოგებმა მოუქმენეს ოპერაციური ტერმინები. მათი მეშვეობით ასახულია დანაშაულობის რაოდენობრივი კანონზომიერებების მაჩვენებლები.

დანაშაულობის მდგომარეობა – გარკვეულ ტერიტორიაზე დროის კონკრეტულ პერიოდში ჩადენილ დანაშაულთა და დანაშაულის ჩამდენ პირთა აბსოლუტური რაოდენობა.

დანაშაულობის მდგომარეობით შეიძლება იყოს აღწერილი: დანაშაულთა სახეები და დანაშაულობის ფორმები.

დანაშაულთა სახეები წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექსში. ამ მიმართულებით აბსოლუტური მაჩვენებელი შესაძლოა აჯამებდეს ცალკე აღებული დანაშაულის ნებისმიერი სახეს (განზრახ მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, მუქარა, გამოძალა და ა. შ.) ან კოდექსში სათანადო თავებში განაწილებულ ქმედებებს (ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულს, ეკონომიკურ დანაშაულს, სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულს და ა.შ.).

დანაშაულობის მდგომარეობაში შეიძლება აისახოს დანაშაულობის ფორმები. დანაშაულობის ფორმის დადგენა რთული ანალიტიკური განზოგადების შედეგია. მაგალითად, კორპორაციული დანაშაულები მოიცავენ სხვადასხვა სახის დანაშაულს (მკვლელობას დაგირავებით, სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლას, მომხმარებლის

<sup>39</sup> იხ: К.Р.Макконнелл, С.Л.Брю, Экономикс. М., «ИНФРА-М», 2003, т. 2, с. 215

<sup>40</sup> იხ: Taylor I., Walton P., Young J. The New Criminology: For a Social Theory of Deviance. L: Routledge and Kegan Paul, 1973.

<sup>41</sup> იხ: Э.Сатерленд. Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями? - Социология преступности. М., 1966. С. 45-49

<sup>42</sup> იხ: Т.Селин. Социологический подход к изучению причин преступности - Социология преступности. М., 1966, с. 27

მოტყუებას, გადასახადებისათვის თავის არიდებას და ა.შ.). რთული ფორმაა ტრანსნაციონალური დანაშაულობა, ტერორიზმი და ა.შ.

ანალოგიურად შეიძლება დაეადგინოს დანაშაულობის მდგომარეობა დანაშაულის ჩამდენ პირთა აბსოლუტური რაოდენობის მეშვეობით. მათი განაწილება შეიძლება როგორც დანაშაულობის სახეების, ასევე დანაშაულობის ფორმების მიხედვით.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ როგორც პირველადი, ისე ტიპოლოგიური კლასიფიკაცია (რამე ნიშნით) ატარებს წმინდა ფენომენოლოგიურ ხასიათს, თუ დანაშაულობის მდგომარეობის დადგენას წინასწარ საფუძვლად არ უდევს სერიოზულად მოზადებული კონცეფცია. ამიტომ "დანაშაულობის მდგომარეობის" დადგენა თავიდანვე მიზანდასახული უნდა იყოს.

მეცნიერებაში ნოვაციაა წარმოადგენს დანაშაულობის მდგომარეობის დადგენა საზოგადოების განვითარების ისტორიული ფაზების და ტიპების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ტიპების მიხედვით დანაშაულობის მდგომარეობის გამოკვლევა მსოფლიოში არ არის ჩატარებული. მაგალითად, ჩვენ არ ვიცით დანაშაულობის მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში. მეტად ცალმხრივია ინფორმაცია მსოფლიოს სხვა ქვეყნების მონაცემებითაც.

საზოგადოების განვითარების ისტორიული ფაზების მიხედვით დანაშაულობის დადგენის ტენდენცია ასახულია უფრო ისტორიოგრაფიულ და იმ კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში, რომლებიც ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

დანაშაულობის კოეფიციენტი ასახავს დანაშაულობის (დანაშაულობის მდგომარეობის) შეფარდებას მოსახლეობის რაოდენობასთან. დანაშაულთა რაოდენობიდან შესაძლებელია მოსახლეობის დაყოფა 10000, 100000-ად და ა.შ. ეს მნიშვნელოვანი იცვლება წმინდა მათემატიკური მეთოდიკის მიხედვით. როგორც წესი, დანაშაულობის კოეფიციენტი გამოიხატება პროცენტული მაჩვენებლით. მისი ძირითადი დანიშნულებაა ქვეყნების, რეგიონების დანაშაულობის შედარება.

დანაშაულობის კოეფიციენტის უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის, როგორც წესი, ითვალისწინებენ პასუხისმგებლობის დადგენის ასაკს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დანაშაულობის კოეფიციენტის დიფერენციაციის პრინციპიც. მაგალითად, უმუშევარ მსჯავრდებულთა რაოდენობა მათი სოციალური წარმოშობის მიხედვით უნდა შეფარდდეს მოსახლეობაში უმუშევართა რაოდენობასთან. შესაძლოა უფრო დეტალური ანალიზიც. მაგალითად, ისეთი შეფარდების განხორციელება, რომელიც გაითვალისწინებს უმუშევრობის პერიოდს.

ანალოგიური მოთხოვნა ეხება ნებისმიერ ნიშანს: ასაკს, სქესს, რეგიონს და ა.შ.

დანაშაულობის სტრუქტურა წარმოადგენს ნებისმიერი ნიშნით ქმედებათა და პირთა შეფარდებას. ის გამოიხატება პროცენტული მაჩვენებლით ან კოეფიციენტების განაწილებით (თუ მიზნად არის დასახული ქვეყნებისა და რეგიონების დანაშაულობის სტრუქტურის შედარება). დანაშაულობის სტრუქტურას ხშირად თვლიან ხარისხობრივ მაჩვენებლად, რაც არ არის სწორი. ხარისხობრივი მაჩვენებელია მართო დანაშაულობის ისტორიული და სოციოლოგიური დახასიათება და არა მასალის მათემატიკური აღწერა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულობის სტრუქტურის დადგენა შესაძლებელია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით. ამას ისიც ემატება, რომ დანაშაულობის კოეფიციენტის გარდა, მასალის სტრუქტურირებაში შეიძლება ჩართული იყოს ინდექსური მაჩვენებელი, რაც უკვე კომპიუტერულ გაანგარიშებას და დამუშავებას მოითხოვს.

დანაშაულობის დინამიკა არის დროის კონკრეტული პერიოდის ფარგლებში დანაშაულობის მდგომარეობისა და სტრუქტურის მაჩვენებლების ცვლილება. ყველაზე ობიექტურ სურათს გვაძლევს დინამიკა, რომელიც გათვლილია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საყრდენი წერტილი მოვლენის ისტორიული პერიოდია. დინამიკის

შემთხვევით აღებული ათელის წერტილი არაფერს იძლევა. გასათვალისწინებელია, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაანგარიშებული დინამიკა არ არის კრიმინოლოგიურად დადგენილი დინამიკა. მათი მონაცემები, ხშირ შემთხვევაში, არა მარტო არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ ზოგჯერ უპირისპირდება კიდევც.

აღნიშნულის გარდა, არსებობს კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც კრიმინალური ოპინიონიის სახელწოდებით შემოგვაქვს. კრიმინალური ოპინიონიკა<sup>43</sup> ასახავს დანაშაულობის შეფასებას საზოგადოების მიერ. ეს მაჩვენებელი თანამედროვე პერიოდში მტკად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ეკონომიკური და სხვა საშიში დანაშაულის შესწავლისას.<sup>44</sup>

### § 3 დანაშაულობის ლატენტობაცია

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში იმ “დანაშაულთა” აღსანიშნად, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების ორბიტაში ვერ მოხვდნენ, შემოღებულია ტერმინი “ლატენტური დანაშაულობა”<sup>45</sup>. ეს ტერმინი პირობითია და გარკვეულად არაზუსტიც.

სიტყვა “ლატენტური” (“Latens”) ლათინურად ნიშნავს დამალულს, უხილავს. ის ოპერაციული ტერმინია, ვინაიდან ეხება დანაშაულობის ასახვის ხერხს და შესაბამისად არ წარმოადგენს მის თვისებას. გამოვლინდება დანაშაული თუ არა, იგი ობიექტურად მაინც არსებობს, როგორც გარკვეული სისხლისსამართლებრივი ქმედება. ამიტომ დანაშაულის ფიქსირების ხერხის თვისება არ შეიძლება მივაწეროთ დანაშაულობას. უფრო მისაღებია ტერმინები “დანაშაულობის ლატენტობაცია”<sup>46</sup>, “დანაშაულობის გამოუვლენელი მასშტაბები”<sup>47</sup> და სხვა.

სანამ შევხებით საკითხის მეთოდურ ასპექტს, აუცილებელია განვიხილოთ დანაშაულობის ლატენტობაციის ადგილი საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით, გვერდს ვერ აუვლით საინტერესო მიხედვრას, რომ ლატენტობაცია და მთლიანად დანაშაულობას ერთი და იგივე მიზეზები აქვთ<sup>48</sup>. აღნიშნული კანონზომიერების დახასიათებისას ე. ლუნევი გამოყოფს შემდეგ ტენდენციებს:

- 1) ხელოვნურად გამოვლენილ პირთა რიცხვის ზრდის ფონზე ლატენტობაცია იზრდება დანაშაულთა რაოდენობის რეგისტრაციის შემცირების ფაზით. ამ ტიპის ლატენტობაცია ახასიათებთ მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმებს, რომლებიც დანაშაულობას განიხილავენ, როგორც მათ გარეშე არსებულ შემთხვევითობას<sup>49</sup>;
- 2) დანაშაულთა რეგისტრაცია იზრდება, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა რაოდენობა მცირდება – ლატენტობაცია იზრდება შერჩეულად<sup>50</sup>. ამ ტიპის ლატენტობაცია იმ ქვეყნებისათვისა დამახასიათებელი, რომლებიც კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების საწყის მდგომარეობაში არიან. არაეკონომიკური იძულება ტოტალური კონტროლის ფორმით აღარ დომინირებს და იწყებს ეკონომიკურზე დაქვემდებარებას. მაგრამ ეს დაქვემდებარება უსუსურია;

<sup>43</sup> ლათინური სიტყვა “opinio” ნიშნავს აზრს

<sup>44</sup> იხ: С. Аккерманно Коррупция и государство. М.»Логос». 2003., с. XI

<sup>45</sup> იხ.: Криминология: Учебник для вузов (под ред. проф. В. Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006., с. 47; Криминология: Учебник (Под ред. В. Н. Кудрявцева, В. Е. Зминова. М.: Юристъ, 1997, с. 55.

<sup>46</sup> იხ.: В. В. Лунеев. Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М. «Норма», 1977, с. 125; ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი). თბ. 2003, გვ. 91

<sup>47</sup> იხ.: Шур. Э., Наше преступное общество. М., «Прогресс», 1977, с. 42

<sup>48</sup> იხ.: Криминология: Учебник для вузов (под ред. проф. В. Д. Малкова). М.: ЗАО «Юстицинформ», 2006., с. 49

<sup>49</sup> იხ.: В. В. Лунеев. Преступность XX века. Мировой криминологический анализ. М. «Норма», 1977, с. 77; с. 138;

<sup>50</sup> იხ. იქვე: გვ. 78

3) განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დამაშაულობასთან ბრძოლის ზომები უფრო სოციალიზებულ ხასიათს ატარებენ. ამ ისტორიულ საფეხურზე რეგისტრირებული დანაშაულის ზრდისას ლატენტიზაცია იზრდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულ პირთა რაოდენობის შემცირებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულთა რაოდენობის მატების ხარჯზე. ამრიგად, აღრიცხულ დანაშაულთა შორის მცირდება გამოვლენილ სამართალდამრღვევთა წილი<sup>51</sup>.

მართალია, ლატენტიზაციის შესახებ აბსოლუტურად სრულ და ზუსტ მონაცემებს, პრინციპში, ვერასოდეს მივიღებთ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი კანონზომიერებები გვიჩვენებენ, თუ რა მიმართულებით უნდა ველოდოთ ლატენტიზაციას და როგორი აღექვასური ზომები უნდა დაეწესებინათ იმისათვის, რომ თავი აეარიდოთ სამართალდამცავი ორგანოების უწყებრივ თვითგამართლებას ან პოლიტიკოსების პოპულიზმს. სათანადო ანალიტიკური მასალის მომზადებისათვის კრიმინოლოგიაში აპრობირებული მრავალი მეთოდი. ერთ-ერთი მათგანია ვიქტიმოლოგიის კუთხით მოსახლეობის (საგარეო დაზარალებულთა) გამოკითხვის მეთოდი, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია ძალადობრივ და ზოგიერთ ეკონომიკურ დანაშაულობასთან მიმართებაში და აქტუალურია ორგანიზებული დანაშაულობის კვლევის შემთხვევაშიც.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყების სტატისტიკური მონაცემების შედარება. ასეთი შედარება განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც ხდება დელიქტების სტატისტიკის მეშვეობით დანაშაულობის ტენდენციების კორექტირება.

ასევე საკულისხმოა სხვადასხვა ორგანოში შემოსული განცხადებების ანალიზი.

ეურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს საავადმყოფოებისა და კლინიკების მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია და ა.შ.

დასკვნის სახით უნდა აღენიშნოს, რომ ლატენტიზაციის ისტორიული გაგება უპჭველად დაგვეხმარება საქართველოში დანაშაულობის შესწავლისას. იმ ისტორიულ პერიოდში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლატენტიზაცია იზრდება შერჩეულად. ამიტომ სამართალდამცავი ორგანოების რედაქტირება უნდა მოხდეს ლატენტიზაციის ამ ისტორიული ტიპის გათვალისწინებით.

**საკონტროლო კითხვები:**

1. ჩამოაყალიბეთ დანაშაულობის კრიმინოლოგიური დეფინიცია.
2. აღწერეთ დანაშაულობის რაოდენობრივი მაჩვენებლები.
3. რას ნიშნავს ლატენტობა?
4. ჩამოთვალეთ დანაშაულობის ლატენტიზაციის პრინციპები.

---

<sup>51</sup> იხ. იქვე: გვ. 143, 265

### თავი 3. კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდика

#### 1. დანაშაულის (დანაშაულობის) შესწავლის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების დახასიათება

სიტყვის ფართო გაგებით, მეთოდი ნიშნავს ცოდნის სისტემის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების მიზნით, ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემცველების ხერხს. ვიწრო გაგებით, მეთოდის ქვეშ იგულისხმება თეორიული, პრაქტიკული, შემცველებითი, მართვის ან ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტის განსაზღვრული საშუალება.

კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები კრიმინოლოგიური ცოდნის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების ხერხებს წარმოადგენენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი დანაშაულზე, მისი ფუნქციონირების კანონზომიერებებზე, დამნაშაევების პიროვნულ თვისებებზე და დანაშაულთან ბრძოლის გზებზე ინფორმაციის შეგროვების, მისი დამუშავებისა და ანალიზის საშუალებების ერთობლიობაა.

კრიმინოლოგიაში კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დანაშაულობასზე რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სურათის შექმნასა და კრიმინოგენურ ფაქტორთა შემცველების პრობლემის გადაწყვეტას. მხოლოდ ასეთი მიდგომის მეშვეობითაა შესაძლებელი დანაშაულთან ბრძოლის კვლევის შედეგებზე დაფუძნებული ადექვატური ზომების შემუშავება.

სისტემურად გამოყოფენ კრიმინოლოგიური კვლევის:

- ინფორმაციის შეგროვების მეთოდებს (გამოკითხვა, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი, საექსპერტო შეფასება, ფსიქოლოგიური ტესტები, სტატისტიკური მეთოდები და ა.შ.);
- მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის მეთოდებს; (ფაქტორული, ლარენტურ-სტრუქტურული, კორელაციური, რეგრესიული, დისპერსიული ანალიზი, რანჟირება, შკალირება, ინდექსირება და ა.შ.);
- თეორიის შექმნის მეთოდებს; (დედუქციური, ინდუქციური, შედარებითი, მიზეზობრივი, სტრუქტურულ-ფუნქციური, გენეტიკური და სხვ.).

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ჩვენ შემოვიფარგლებით იმ კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების განხილვით, რომლებსაც კვლევებში კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებენ.

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ ინფორმაციის შეგროვების კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების დახასიათებაზე, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ნებისმიერი სახის კრიმინოლოგიური გამოკვლევა, მისი კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების მიუხედავად, პირველ რიგში, კვლევის პროგრამის შედგენით უნდა დაიწყოს. კვლევის პროგრამაზე მუშაობა უკვე კრიმინოლოგიური კვლევის დაწყებას ნიშნავს და ის ფრიად საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს. ამ სტადიაზე ხდება მომავალი კრიმინოლოგიური გამოკვლევის ზოგადი სქემის ან გეგმის შემუშავება, აგრეთვე მთლიანი კვლევის კონცეფციის გადმოცემა.

პროგრამა მოიცავს შესაბამისი მოვლენისა ან პროცესის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის თეორიულ დასაბუთებას. პროგრამის მეთოდურ ნაწილში შედის შესასწავლი ერთობლიობის განსაზღვრა, პირველადი ინფორმაციის დაგროვებისათვის გამოსაყენებელი მეთოდების და მათი მათემატიკური დამუშავების სქემის აღწერა.

კვლევის პროგრამის შედგენის ძირითად ეტაპებია:

- პრობლემის ჩამოყალიბება;
- კვლევის ობიექტისა და საგნის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- ძირითადი ცნებების ლოგიკური ანალიზი;

- პიპოტეზების წამოყენება;
- შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრა;
- ინსტრუმენტარის შედგენა;
- პილოტაჟი;
- სავლელ გამოკვლევა;
- მიღებული მონაცემების დამუშავება;
- მათი ინტერპრეტაცია;
- სამეცნიერო ანგარიშის მომზადება.

კვლევის პრობლემის ფორმულირების დროს აუცილებელია პრობლემური სიტუაციის ზუსტი აღწერა. ეს შეიძლება იყოს არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემა, კორუფციული დანაშაულობა და სხვა. პრობლემის აღწერა თავის თავში უნდა შეიცავდეს თეორიულ საფუძვლს, ე.ი. პრობლემის მოკლე მიმოხილვას, მეცნიერებისათვის საინტერესო თემატიკაში დაგროვილი მონაცემების გათვალისწინებით.

კვლევის მიზნების და ამოცანების დასახვა ხელს უწყობს სასურველი შედეგების უფრო ზუსტ განსაზღვრას, აგრეთვე მათ იერარქიულ წესრიგში მოყვანას.

კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტად გვევლინება სოციალური ერთობლიობა - იმ ადამიანებისა და ობიექტების ნაკრები (სიტყვის ვიწრო გაგებით), რომელთაგანაც კრიმინოლოგს თავისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება უშუალოა.

კვლევის საგნად უნდა მივიჩნიოთ ობიექტის ის მხარეები და თვისებები, რომლებიც კრიმინოლოგისათვის უშუალო ინტერესს წარმოადგენენ. მაგალითად, კორუფციული დანაშაულის მიზეზების შესწავლის დროს კვლევის ობიექტად გვევლინებიან ის საზოგადოებრივი სფეროები, სადაც კორუფციული დანაშაული ფიქსირდება, ან რომლებთანაც ეს დანაშაული ასე თუ ისე შეხებაშია. რაც შეეხება კვლევის საგანს, მას მიეკუთვნებიან ობიექტის ის მახასიათებლები, რომლებსაც შეკვლევარები მოცემული დანაშაულის მიზეზებად მიიჩნევენ.

ცნებების ლოგიკური ანალიზი ითვალისწინებს კვლევის საგნის განმსაზღვრელი ძირითადი ცნებების ლოგიკურ სტრუქტურირებას.

პიპოთეზა წარმოადგენს მეცნიერულ ვარაუდს, რომელიც შესასწავლი მოვლენის ახსნისათვის გამოიყენება და რომელიც გამოკვლევის მსვლელობისას ან უნდა უარყოს, ან დაადასტუროს. პიპოთეზის ხასიათზე არის დამოკიდებული გამოკვლევის კონკრეტული მეთოდის არჩევა. მაგალითად, თუ წამოყენებულია პიპოთეზა მოსახლეობისათვის პრივატიზაციული პროცედურების არასაკმარისი გამჭვირვალობის, როგორც კორუფციული დანაშაულის ერთ-ერთი მიზეზის შესახებ, მაშინ შესწავლას დაექვემდებარებიან ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ამ პროცედურების რეგლამენტირებას ახდენენ.

შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს გამოკვლევის ობიექტიდან გამომდინარე. შერჩევა საჭიროა, გულმოდგინედ აღიწეროს აღწერისას უნდა მიეთითოს მიღებული ინფორმაციის უტყუარობის განსაზღვრის შესახებ გამოყენებული მიდგომების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში კვლევის შედეგების მთლიან ერთობლიობაზე გავრცელების შესაძლებლობა შეიქმნას. მთლიანთან შედარებით, შერჩევითი გამოკვლევის გამოყენება კრიმინოლოგიაში მისი ეკონომიკურობით არის განპირობებული. შერჩევითი კვლევის სწორად ჩატარებისას ის მთლიან გამოკვლევაზე არანაკლებ სანდოა.

რას წარმოადგენს შერჩევითი ერთობლიობა? ის გენარალური ერთობლიობის შემცირებული ასლია. გენარალურ ერთობლიობად ითვლება კვლევის მთლიანი ობიექტი, მაგალითად, დანაშაულის ჩამდგნთა მთლიანი რაოდენობა. ამ დროს შერჩევითი იქნება დამნაშავეთა ისეთი შემცირებული ერთობლიობა, რომელიც თავის თავში გენარალური ერთობლიობის სტრუქტურული განაწილების ყველა ნიშანს შეინარჩუნებს. მაგალითად, თუ



გენარალური ერთობლიობა ახალგაზრდების 60%-ით და საშუალო ასაკის პირების 40%-ითაა წარმოდგენილია, მაშინ შერჩევით ერთობლიობაშიც იგივე პროპორციები უნდა იყოს შენარჩუნებული.

როგორ უნდა მივადწიოთ შერჩევის რეპრეზენტატურობას? ამისთვის აუცილებელია ეიცოდეთ, რა ახდენს გავლენას მასზე. მთავარი შერჩევის მოცულობა კი არა, გენარალური ერთობლიობის თვისობრივი სურათი – მისი ერთგვაროვნების ხარისხია. რაც უფრო მაღალი ერთგვაროვნებით ხასიათდება გენარალური ერთობლიობის გამოსაკვლევი ნიშანი, მით უფრო მცირე შეიძლება იყოს შერჩევა. მაგალითად, რაც უფრო დაბალია დამნაშავეების განათლების დონე, მით უფრო ნაკლები შეიძლება იყოს შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა. გენარალურ და შერჩევით ერთობლიობას შორის შესაძლებელი გადახრა 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ასეთ გადახრას რეპრეზენტატურობის შეცდომა უწოდებენ.

იმისათვის, რომ შერჩევის ჩამოყალიბების დროს შეცდომებს ავირიდოთ თავი, აუცილებელია, გენარალური ერთობლიობის ყველა ერთეულს შერჩევაში მოხვედრის თანაბარი შანსი ჰქონდეს; შერჩევა უნდა განხორციელდეს ერთგვაროვანი ერთობლიობიდან; აუცილებელია, აგრეთვე შემთხვევითი და სისტემური შეცდომების აღრიცხვა.

პირველადი ინფორმაციის დაგროვების მეთოდების დახასიათება კვლევის პროგრამის შედგენის ერთ-ერთ ძირითად ეტაპს წარმოადგენს.

პილოტაჟის ქვეშ იგულისხმება კვლევის მეთოდის სრულყოფის მიზნით, კვლევის საგანზე საცდელი კვლევის ჩატარება. ამ ეტაპზე მიღებულმა მონაცემებმა შემდგომში შეიძლება ინსტრუმენტარის სრულყოფა მოითხოვოს. მაგალითად, ზოგიერთი ანკეტური კითხვის დამატება ან, პირიქით, ანკეტიდან მის ამოღება და სხვ.

მიღებული მონაცემები მუშავდება იმ მათემატიკური მეთოდების საფუძველზე, რომლებიც წინასწარაა აღწერილი კვლევის პროგრამაში. ამ მეთოდების საფუძველზე მკვლევარი იღებს სტატისტიკურ შედეგს. თეორიულ-პიოტურული მეთოდებისგან განსხვავებით, რომლებიც კვლევის საგანს თვისობრივად ახასიათებენ, სტატისტიკური შედეგი კვლევის რაოდენობრივ დასკვნას წარმოადგენს. მათ შორის კავშირი იმაში მდგომარეობს, რომ, მეორე დასკვნა პირველის ემპირიული დადასტურება ან უარყოფაა. სტატისტიკური დასკვნების თავისებურება მათ ალბათობრიობაშია. კრიმინოლოგიაც, როგორც ემპირიული მეცნიერება, ალბათობაზეა აგებული, რაც პროცენტულ განაწილებებშია აღწერილი. ამიტომაც, მაგალითად, თუ დადგენილია კრივატიზაციულ პროცედურების გამჭვირვალობა და კორუფციულ დანაშაულს შორის დამოკიდებულების მაღალი ალბათობა, მაშინ ეს იმ კანონზომიერების კონსტატაციასაც ნიშნავს, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში შესაბამის სიტუაციებში თანამდებობის პირების ტიპობრივი ქცევის პროგნოზირებაა შესაძლებელი.

კრიმინოლოგიაში ძირითადად გამოიყენება სოციოლოგიური ხასიათის მეთოდები. მათ, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნებიან მასობრივი გამოკითხვები, დოკუმენტების ანალიზი, საექსპერტო შეფასების მეთოდი და დაკვირვება. ამასთან ერთად, კრიმინოლოგები იყენებენ რიგ ფსიქოლოგიურ მეთოდებსაც, რომლებზეც ლაპარაკი ქვემოთ გვექნება.

გამოკითხვა კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების მეთოდს წარმოადგენს. ის განსაკუთრებით ღირებულია მაშინ, როცა გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ არ არის საქმარისი დოკუმენტური ინფორმაცია ან როდესაც გამოსაკვლევი მოვლენა არ ქვემდებარება უშუალო დაკვირვებას. ამ სიტუაციაში გამოკითხვა შეიძლება გახდეს ინფორმაციის მოძიების მთავარი მეთოდი. მაგრამ მისი მეშვეობით მოპოვება მხოლოდ სუბიექტური ინფორმაცია, ამიტომ აუცილებელია ამ უკანასკნელის ობიექტური სახის კრიმინოლოგიურ ინფორმაციასთან შეჯერება. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხვა მკვლევარსა და რესპოდენტს შორის ურთიერთობის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, ის უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში

გამოკითხვამ შეიძლება ვერ მოგეიტანოს სასურველი შედეგი. ეს მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობს:

- რესპოდენტმა უნდა იცოდეს, თუ ვინ და რისთვის აწარმოებს გამოკითხვას;
- რესპოდენტს უნდა აინტერესებდეს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება;
- იგი არ უნდა იყოს დაინტერესებული ცრუ ინფორმაციის მიწოდებაში;
- რესპოდენტს უნდა ითმინიშნებლონად ესმოდეს ყოველი კითხვის შინაარსი;
- ყველა კითხვა უნდა იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ შესაძლებელი იყოს მასზე დასაბუთებული და ზუსტი პასუხის გაცემა;
- კითხვები შედგენილი უნდა იყოს ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით;
- კითხვის ფორმულირება უნდა შეესაბამებოდეს რესპოდენტის კულტურულ დონეს;
- არც ერთი კითხვა უნდა შეიცავდეს რესპოდენტისათვის შეურაცხყოფელ აზრს;
- კითხვების რაოდენობა ინტელექტუალურად და ფსიქოლოგიურად ზედმეტად არ უნდა გადატვირთოს რესპოდენტს;
- მკლევარმა კითხვებისა და შესაძლო პასუხების მიმართ უნდა გამოამჟღავნოს ნეიტრალური დამოკიდებულება;
- კითხვების და პასუხების სისტემა საკმარისი უნდა იყოს კვლევის ამოცანის გადაწყვეტისთვის.

გამოკითხვა წარმოებს ანკეტირებისა და ინტერვიუების მეშვეობით.

ანკეტა კომპიუტერზე შედგენილი და შემდგომში გამრავლებული დოკუმენტია, რომელიც საშუალოდ 30-40 კითხვას შეიცავს.

ანკეტირება შეიძლება იყოს ჯგუფური და ინდივიდუალური. ჯგუფური გამოკითხვების დროს ანკეტები შესასვებად ურიგდებთ რესპოდენტებს აუდიტორიაში, სადაც 15-20 მოპასუხედება მიწვეული. კითხვარები სრულად უნდა დაბრუნდეს უკან. ინდივიდუალური გამოკითხვის შემთხვევაში ისინი რიგდება რესპოდენტის სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და მათი დაბრუნების დროც ადგილზევე დაითქმება.

იმისათვის, რომ ანკეტამ თავისი ფუნქცია შეასრულოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს რიგ მოთხოვნებს. უპირველეს ყოვლისა, ყველა კითხვა გასაგებად უნდა იყოს შედგენილი. ანკეტური გამოკითხვა წარმოებს გახსნილი და დახურული კითხვების მეშვეობით. გახსნილ კითხვებში კრიმინოლოგი რესპოდენტს ადგილს უტოვებს საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად. დახურულ შეკითხვას თან ახლავს შესაძლო პასუხის რამოდენიმე სრული ვარიანტი. რესპოდენტმა ყველა მათგანის წაკითხვის შემდეგ უნდა შემოიხაზოს იმ პასუხის კოდი, რომელსაც ის ეთანხმება.

სოციოლოგიური ანკეტა რესპოდენტთან საუბრის გეგმას წარმოადგენს. ამიტომ დასაწყისში აუცილებელია თემის, მიზნის, ამოცანის დაფიქსირება და კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციის დასახელება. შემდეგ ანკეტაში დასმულია კითხვები, რომლებიც უზრუნველყოფენ გადასვლას საუბრის ძირითად ნაწილზე. ანკეტის ბოლოს განთავსებულია ე.წ. საპასორტო ნაწილი, რომლის მეშვეობითაც რესპოდენტის სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების (ასაკი, სქესი, განათლება და სხვ.) შეკრება ხდება. სწორედ ეს ნაწილი იძლევა საშუალებას, განესაზღვროთ თუ რამდენად ანალოგიურია ამორჩევი ერთობლიობა გენერალურისა.

ანკეტაში კითხვები უნდა ჩამოყალიბდეს ზუსტად, კონკრეტულად და არაორაზროვნად. ამასთანავე, ისინი არ უნდა ლახავდნენ რესპოდენტის თავმოყვარეობას, არ უნდა ბადებდნენ მასში უარყოფით ემოციებს (მაგალითად შიშს გამოკითხვის შედეგებზე და ა.შ.).

ინტერვიუ ფსიქოლოგიურ ვერბალურ-კომუნიკაციურ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ინტერვიუერსა და რესპოდენტს შორის წინასწარ შედგენილი გეგმის

მიხედვით საუბრის გამართვას. ინტერვიუს მიზანია, რესპოდენტისაგან პასუხები მიიღონ იმ შეკითხვებზე, რომლებიც კვლევის ამოცანებიდან გამომდინარეობენ.

ფორმალიზაციის დონის მიხედვით ინტერვიუ შეიძლება იყოს:

- სტანდარტიზებული ანუ ფორმალიზებული, რომელშიც კითხვების ფორმულირება და მათი თანმიმდევრობა წინასწარ არის დადგენილი;
- არასტანდარტიზირებული ანუ თავისუფალი, რომელშიც კითხვების მხოლოდ ზოგადი გეგმა არსებობს;
- ნახევრადსტანდარტიზირებული ან ფოკუსირებული, რომელშიც ინტერვიუერი სემს როგორც აუცილებელ და წინასწარ დაგეგმილ, ისე შესაძლო შეკითხვებს. სტადიების მიხედვით განასხევავენ:
- წინასწარ ინტერვიუს, რომელიც გამოიყენება პილოტაჟური კვლევის ჩატარებისას;
- ძირითად ინტერვიუს, რომელსაც მიმართავენ ძირითადი მონაცემების შეგროვების სტადიაზე;
- საკონტროლო ინტერვიუს, რომელიც საკამათო შედეგების შემოწმების საშუალებას იძლევა.

დოკუმენტების ანალიზს კრიმინოლოგიაში ხშირად იყენებენ. დოკუმენტებში შესასწავლი ობიექტის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავმოყრილი და მათი მოძიება შეუძლებელია სხვა მეთოდების გამოყენებით. დოკუმენტებს განეკუთვნება წერილობითი, გრაფიკული, ხმოვანი და სხვა ინფორმაცია, რომლის წყაროს რაიმე საბუთი წარმოადგენს. განასხევავენ ტექსტურ (კომპიუტერული, ბეჭდვითი, ხელნაწერი), იკონოგრაფიულ (კინო, ვიდეო, ფოტო) და ფონეტიკურ (მაგნიტოფონური ჩანაწერები, კომპაქტ-დისკები) დოკუმენტებს.

კრიმინოლოგიური გამოკვლევებისთვის საწყისს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების დოკუმენტაცია, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეების მასალები, სტრუქტურული ანგარიშები, რომლებიც სოციალური პროცესების, კერძოდ, დანაშაულობის, მისი მდგომარეობის, სტრუქტურის და დინამიკის შესახებ კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ.

ბოლო წლების პერიოდში კრიმინოლოგიური ინფორმაციის შეგროვების სულ უფრო მნიშვნელოვან წყაროდ ინტერნეტი გვევლინება. მასში განთავსებულია მანაცემთა და სერვერების მთელი ქსელი, რომლებზეც კრიმინოლოგიური ხასიათის ფართო ინფორმაცია ინახება.

საექსპერტო შეფასების მეთოდი მდგომარეობს მეკლევარისათვის საინტერესო პრობლემის შესახებ ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტის, (განსაკუთრებით იურისტის - სამეცნიერო ან სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლის) მოსაზრებების მიღებაში, მათ დამუშავებასა და ანალიზში. კრიმინოლოგიაში ამ მეთოდს ხშირად იყენებენ დანაშაულობის დინამიკის და მასთან დაკავშირებული ნეგატიური საზოგადოებრივი პროცესების პროგნოზირებისთვის. ეკალიფიციური სპეციალისტების “საშუალო არითმეტიკული” აზრის მოძიების გზით ხდება საძიებელი პარამეტრების თვისობრივი შეფასება.

საექსპერტო შეფასების მეთოდის რეალიზაციის ძირითად ეტაპებს წარმოადგენს – ექსპერტის ორგანიზება, პრობლემისა და მიზნის ფორმულირება, სამუშაო ჯგუფის პასუხისმგებლობისა და უფლებების დადგენა, ექსპერტების მოძიება, გამოკითხვის ჩატარება, მიღებული მონაცემების ანალიზი და მათი დამუშავება.

ექსპერტების გამოკითხვა შესაძლებელია ანექტირების ან ინტერვიუს საფუძველზე. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ გზით კრიმინოლოგი მისთვის საინტერესო ინფორმაციას იღებს შესაბამის სფეროში მხოლოდ უკუდასრულებულ კომპეტენტური პირებისგან, რაც მას შეუცვლელ დახმარებას უწევს სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა და საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბების საქმეში.

თავის მხრივ, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ კრიმინოლოგისათვის საინტერესო საექსპერტო შეფასება შეიძლება თავმოყრილი იყოს ცალკეული იურიისტი-მეცნიერის, სოციოლოგის ან სამართალდამცავი ორგანოს მუშაის სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებშიც (სტატიებში, მონოგრაფიებში).

დაკვირვება აღწერილობითი ხასიათის მეთოდაა, რომელიც მდგომარეობს ობიექტის ქცევის მიზანმიმართულ, ორგანიზებულ აღქმაში და მის რეგისტრაციაში.

დაკვირვება კვლევის უძველეს მეთოდს წარმოადგენს, რომელიც ობიექტის ქცევის აქტის რეგისტრაციის მეშვეობით ახდენს ინფორმაციის დაგროვებას და მას ემპირიული შესწავლის მიზნით იყენებს. დაკვირვება, როგორც კვლევის მეთოდი, მოვლენების ჩვეულებრივი აღქმისაგან განსხვავდება მიზანმიმართულობით, ანალიტიკური ხასიათითა და სისტემატურობით. დაკვირვების პროცედურა რამდენიმე ეტაპისგან შედგება. ესენია: შესასწავლი საგნის შერჩევა; მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა; მონაცემებზე დაკვირვების და მათი რეგისტრაციის საშუალებების, აგრეთვე შედეგების დამუშავების მეთოდის არჩევა; დაკვირვების გეგმის შედგენა (სიტუაცია-ობიექტი-დრო); აუცილებელი დოკუმენტების და მოწყობილობების მომზადება, მონაცემების შეგროვება; მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ინტერპრეტაცია; დასკვნების ფორმულირება.

განასხვავებენ ჩართულ და ჩაურთველ დაკვირვებას. ჩაურთველი დაკვირვების დროს დამკვირვებელი მოვლენებს აღიქვამს გარეგან. გარეგან დაკვირვებას კრიმინოლოგი იმ ადამიანების მიმართ ახორციელებს, რომლებიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიან. ასეთ ადამიანებს ესაუბრებიან მათ ყოფით პირობებზე, ახლობლთა წრეზე, თავისუფალი დროის გამოყენების ფორმებზე, ოჯახურ სიტუაციაზე, აკვირდებიან მათ საქციელს სამასხურში. მსგავსი დაკვირვებით ხდება არსებითი ინფორმაციის მოძიება, რაც, სხვა მონაცემებთან ერთად, ისეთი კრიმინოლოგიური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, რომლებიც ამა თუ იმ საკვლევი პრობლემის აღწერას უკავშირდებიან.

ჩართული დაკვირვების დროს ხდება მეკვლეარის ჯგუფში ჩანერგვა და დაკვირვების შეინიღან წარმოება. ამ შემთხვევაში წინასწარ განისაზღვრება დაკვირვებას დაქვემდებარებული პირების ინფორმირებულობის ხარისხი. მათ შეიძლება იცოდნენ ან არ იცოდნენ იმის შესახებ, რომ მათი ქცევა ფიქსირდება. დაკვირვების მიზანს ფასჯელობით, მართლსაწინააღმდეგო განწყობების, ჯგუფის წევრების დანაშაულებრივი ქცევის სტერეოტიპების შესწავლა წარმოადგენს.

ჩართული დაკვირვების მეთოდის გამოყენების სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფში მეკვლეარის ინტერაციაში შეიძლება ეთიკური ხასიათის პრობლემები გამოიწვიოს. ზოგიერთ შემთხვევაში მეკვლეარა შეიძლება არჩევანის წინაშე დადგეს - შეწყვეტოს თუ გააგრძელოს დაკვირვება. გაგრძელების შემთხვევაში მას შესაძლოა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა მოუხდეს (თუ ჯგუფი მისგან ამას მოითხოვს).

სოციომეტრული მეთოდი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ მეთოდს. მას იყენებენ ჯგუფში პიროვნებათაშორისო ურთიერთობების გამოკვლევისთვის მათი სტრუქტურისა და ფსიქოლოგიური თავისებულების განსაზღვრის მიზნით. ამ მეთოდის ავტორის, ამერიკელი ფსიქიატრის და სოციალური ფსიქოლოგის - ჯეიკობ ლევი მორენოს (1892-1974) აზრით, ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობა და ადექვატური ქცევა ბევრად არის დამოკიდებული არაფორმალურ ჯგუფში მის მდგომარეობაზე. სიმპათიების ნაკლებობა ჯგუფში პიროვნებათაშორისო კონფლიქტების წყარო ხდება. მეთოდია გულისხმობს ჯგუფის ყველა მონაწილეს სოციომეტრული ბარათების შედგენას. მათი ანალიზის მეშვეობით პიროვნებათაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მხარეები დგინდება.

ტესტური მეთოდიც ფსიქოლოგიური მეთოდაა და წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან - test, რაც გამოცდას ნიშნავს. მისი მიზანია, განსაზღვროს ინდივიდის ამა თუ იმ ფსიქიკური მახასიათებლის გამომჟღავნების ხარისხი. გამოცდის ელემენტს შეიცავენ ამ მიზნით გამოყენებული ამოცანები, კითხვები ან სიტუაციები. დამნაშაის პიროვნების

სიღრმისეული შესწავლა, რომელიც განპირობებულია დანაშაულის ეფექტური პროფილაქტიკის განხორციელებისა და დამნაშავეების რესოციალიზაციის აუცილებლობით, ითვალისწინებს ისეთი პიროვნული ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნას, რომლებიც შედაგობების, აღმზრდელების, უბნის ინსპექტორების, პენიტენციალური დაწესებულებების მუშაკების გარეგანი დაკვირვებისგანაა დაფარული. ასეთ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეების სწორად (ადრეული პროფილაქტიკა) და ხელახალი აღზრდის (რესოციალიზაციის) პროცესის წარმატებისთვის.

ტემპერამენტის ტიპის, ნერვული პროცესების მიმდინარეობის, ხასიათის, შფოთვის დონის და ფსიქო-ემოციური მდგრადობის გათვალისწინებით, პიროვნებაზე სხვადასხვა მეთოდებით ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას. პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება დამნაშავის პიროვნების მიმართ ტიპოლოგიური მიდგომების ფორმირების დროსაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

კრიმინოლოგიურად გარკვეული მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიურ ტესტებს შორის შეიძლება გამოიყოს: კეთტელის PF -16 ტესტი; კეთტელის CPQ ტესტი; აიზენკის ტესტები; ბასა-ლარკის ტესტი; მილვეის მოტივაციის ტესტი და ა.შ. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით.

კეთტელის PF -16 ტესტი წარმოადგენს ზრდასრული პიროვნების თავისებების განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ ტესტს. მისი მეშვეობით ხდება პიროვნულ თავისებურებათა და პიროვნების ფორმირების გადახრების გამოვლენა და სიღრმისეული დიაგნოსტიკა. ტესტი საშუალებას იძლევა მოვახდინოთ: მეორე დონის ფაქტორების (ინტელექტუალური, ემოციურ-ნებელობითი თავისებურებანი, კომუნიკაციური თავისებები, სოციალური, არაკონტროლირებადი ქცევის ალბათობა და ა.შ.) ანალიზი; სტანდარტულ პიროვნულ პროფილებთან (მაღალი დონის ხელმძღვანელები, წარმატებული მეწარმეები, ეფექტური ლიდერები; ანტისოციალური პიროვნებები, ალკოჰოლიზმით დაავადებულები, ნარკომანები) შედარება. ტესტი სწავლების პროცესის, პროფესიის შერჩევის დროს პიროვნული თავისებურებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. მის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ პიროვნების ერთგვარი ფსიქოლოგიური კონსულტირება. ტესტი აგებულია თექვსმეტ პიროვნულ თავისებაზე, რომლითაც ხასიათდება პიროვნების სტრუქტურა:

1. გულკეთილობა – გაუცხოება;
2. აზროვნება აბსტრაქტული – კონკრეტული;
3. ემოციური მდგრადობა – არამდგრადობა;
4. დომინირება – დაქვემდებარება;
5. დაუდევრობა – მოწესრიგებულობა;
6. პასუხისმგებლობა – უპასუხისმგებლობა;
7. გამბედაობა – გაუმბედაობა;
8. ხასიათის სირბილე – სიბლიერე;
9. ეჭვიანობა – მიმნდობლობა;
10. მეოცნებეობა – პრაქტიკულობა;
11. გამჭრიახობა – გულბრწყინობა;
12. მშფოთვარება – უშფოთველობა;
13. რადიკალურობა – კონსერვატიზმი;
14. დამოუკიდებულობა – ჯგუფზე დამოკიდებულება;
15. თვითკონტროლი – იმპულსურობა;
16. დაძაბულობა – აულეველებლობა.

ეს კითხვარი პიროვნების ექსპრეს-დიაგნოსტიკის ყველაზე უფრო პოპულარული საშუალებაა. ის გამოიყენება ყველა იმ სიტუაციაში, როცა აუცილებელია ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების დადგენა.

კეთტელის CPQ ტესტი – მოსწავლეების პიროვნული თავისებების განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ტესტია. მისი მეშვეობით ხორციელდება მოზარდების პიროვნული თავისებების სიღრმისეული დიაგნოსტიკა, იზომება მისი ფორმირების დარღვევა,

სოციოპათიის, არაკონტროლირებადი ქცევის ალბათობა. კეთილშესრულეს CPQ ტესტი შეიცავს 12 შკალას ძირითადი პიროვნული ნიშნების გამოვლენების ხარისხის გასაზომად:

1. გულგრილობა – კეთილგანწყობა; მაღალი ქულები მოწმობენ ღია, მეგობრულ ქვეყანაზე, დაბალი – განცალკევებულობაზე, გაუცხოებაზე.
2. ინტელექტის მაღალი-დაბალი განვითარების დონე; მაღალი ქულები მეტყველებენ ვერბალური ინტელექტის განვითარების კარგ დონეზე, ახალი ცოდნის ათვისების სიოდეზე. დაბალქულებიანი ბავშვი პრიმიტიულად უდგება საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას. ისინი უყურადღებოები არიან, ადვილად იღლებიან. ამ ფაქტორების საფუძველზე იკეთება განსხვავებული წარჩინებულ და ჩამორჩენილ მოსწავლეებს შორის.
3. ემოციური არამდგრადობა-სტაბილურობა; მაღალი ქულები ქცევის სიმშვიდეზე, გაწონასწორებულობაზე, პრობლემებისადმი გააზრებულ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ. დაბალი – ენინანობაზე, სიძნელეებისგან თავის არიდებაზე, ურთიერთობების და ინტერესების ცვალებადობაზე.
4. გაწონასწორებულობა – აღგზნებადობა; შკალა ავლენს ტენდენციას, რამდენად გაწონასწორებულად ან ზედმეტი შფოთვით პასუხობს მოსწავლე გარეგან გავლენებს. მოსწავლეებს, რომლებმაც დააგროვეს მაღალი ქულები, ადვილად წყნით შენიშნის მიცემა და უმნიშვნელო წარუმატებლობასაც აზვიადებენ. დაბალი ქულები ემოციურ სიმშვიდეზე მეტყველებენ.
5. მორჩილება – დამოუკიდებლობა; მოსწავლე, რომელმაც ამ შკალის მიხედვით მაღალი ქულა მიიღო, არის აქტიური, ქმედითი, დაჟინებული და ჯიუტი. დაბალი ქულის მიმღები – უფრო მეტად დამჯერი.
6. შეწყვეტილობა – უღარდებლობა; მაღალი ქულა ამ შკალის მიხედვით მიუთითებს ოპტიმიზმზე, თვითდარწმუნებულობაზე, დაბალი – სიფრთხილეზე, წინდახედულობაზე, პასუხისმგებლობაზე.
7. დაბალი – მაღალი კეთილსინდისიერება; შკალა ზომავს იმას თუ, რამდენადაა ჩართული მოსწავლე ზრდასრული ადამიანებისათვის დამახასიათებელ ფასეულობათა სისტემაში. ბავშვობაში ამ შკალის მიხედვით შეფასება სკოლის გარემოზე მნიშვნელოვანად არ არის დამოკიდებული.
8. მორიდება – გამბედაობა; ამ ფაქტორის გათვალისწინებით შკალა ზომავს ბავშვის კომუნიკაბელობის დონეს. მოსწავლე შეიძლება იყოს კომუნიკაბელობის იმიტომ, რომ უყვარს ხალხში ყოფნა. ფაქტორის მიხედვით კი, მაღალქულებიანი მოსწავლე კომუნიკაბელობის იმიტომ, რომ ადვილად და გაბედულად ურთიერთობს ადამიანებთან. დაბალი ქულების მქონე ბავშვი განიცდის უხერხულობას, გაუბედავობას, ერიდება ადამიანებსა და მათ შეკრებებს.
9. სიძლიერე – სირბილე; ამ შკალის მიხედვით მაღალი ქულები მოწმობენ ინდივიდის რომანტიულობაზე, მეოცნებეობაზე, დაბალი – სიმტიკეზე, სიმკაცრეზე, მამაცობაზე.
10. თვითდაჯერებულობა – სასოწარკვეთილება; ბავშვი, რომელიც ამ ფაქტორის მიხედვით მაღალ ქულას შეიძენს, ადვილად გამოდის სულიერი წონასწორობის მდგომარეობიდან, ხშირად არის ცუდ გუნებაზე; ამავე დროს ბავშვი, რომელიც მოაგროვებს დაბალ ქულებს, მშვიდია, იშვიათად იმყოფება ცუდ განწყობაზე. ეს ფაქტორი ყველაზე მეტად კორელირებს ფსიქიკური დარღვევების გამოვლინებებთან. შკალის მიხედვით მიღებული მაღალი ქულები მოწმობენ ნევროზზე, დეპრესიაზე ან სულიერ ტრავმაზე.
11. დაბალი თვითკონტროლი – მაღალი თვითკონტროლი; ამ ფაქტორის მიხედვით, მაღალი ქულები მოწმობენ კარგ სოციალურ შეგუებადობაზე, გარე ცხოვრების ნორმების წარმატებით ათვისებაზე. დაბალი მონაცემები შესაბამისად მიუთითებენ ქცევის სოციალური ნორმატივების გაკონტროლების შეუძლებლობაზე, სასწავლო დაწესებულებაში (და სხვაგანაც) ბავშვის ცუდ ორგანიზებულობაზე.
12. სიწყნარე – დაბაბულობა; ამ ფაქტორის მიხედვით მაღალი ქულები მომატებული აღგზნებადობის, არამოტივირებულ დღეის ნიშანი, დაბალი – სიმშვიდის, მოდუნებულობის, თვითკმაყოფილების.

აიზენკის ტესტი ზრდასრულებისთვის ინტელექტუალურ, ემოციურ-ნებელობით, კომუნიკაციურ თავისებურებებს განსაზღვრავს. ეს არის ზრდასრული პიროვნების საბაზო

ინჟინერების ფსიქოლოგიური ტესტი. მისი მეშვეობის შეიძლება ემსჯელოთ ექსტრავერსია – ინტრავერსიაზე, ნეიროტიზმზე, ემოციურ არამდგრადობაზე. ტესტი საშუალებას იძლევა, გავითვალისწინოთ ზრდასრული ადამიანის ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებები და მოვახდინოთ მათი კორექცია.

ექსტრავერსია – ინტრავერსია ერთმანეთში კორელირებადი ნიშნების კომპლექსს წარმოადგენს. ტიპობრივი ექსტრავერტი გახსნილია ურთიერთობასათვის, ჰყავს ნაცნობების ფართო წრე, იმპულსურია, ოპტიმისტური, სუსტად აკონტროლებს საკუთარ ემოციებსა და გრძნობებს. ტიპობრივი ინტრავერტი არის მშვიდი, მორცხვი, ინტრასუბექტული ადამიანი, რომელიც ახლობლების გარდა ყველასაგან განცალკევებულია. ის თავის ქმედებებს წინააღმდეგ გეგმავს, აკონტროლებს საკუთარ გრძნობებს და უყვარს წესრიგი.

ნეიროტიზმში (ემოციურ არამდგრადობაში) ინდივიდის აფექტური ლაბილობა იგულისხმება. ნეიროტიზმი არ არის ნევროზი, მაგრამ პირებს, რომელთაც ამ შკალის მიხედვით მაღალი მაჩვენებლები უფიქსირდებათ, შეიძლება განუეითარდეთ ნევროზი. ნეიროტიკული პიროვნება ხასიათდება არაადექვატურად ეგზალტირებული რეაქციებით გამოიზიანებულ ფაქტორებზე. ექსტრავერსიის და ნეიროტიზმის მაღალი მაჩვენებლები შეესაბამებიან ისტერიის ფსიქიპათიურ დიაგნოზს, ხოლო ინტრავერსიის და ნეიროტიზმის მაღალი მაჩვენებლები - ლელის მდგომარეობას და რეაქციულ დეპრესიას.

აიზენკის კითხვარი მოზარდებისათვის გამოიყენება მოზარდების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გამოვლენების შესწავლისა და კორექციისათვის. გააჩნია იგივე მეცნიერული დასაბუთება, რაც აიზენკის კითხვარს ზრდასრული ადამიანებისათვის.

ბასა-დარკის ტესტი გამოიყენება სწავლის პროცესში და სამუშაოზე პიროვნებათაშორის ურთიერთობებში აგრესიის და მტრული დამოკიდებულების გამოვლენების დონეების შესაფასებლად. ტესტი იძლევა საშუალებას თვისობრივად და რაოდენობრივად დაეახსიანოთ აგრესია და მტრული დამოკიდებულება, შევაფასოთ დესტრუქციული ტენდენციები, სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობები, ნეგატიური დამოკიდებულებები. აგრესია ძირითადად პიროვნებათაშორის სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობების სფეროში დესტრუქციული ტენდენციების გამოვლენას გულისხმობს. მტრული დამოკიდებულება წარმოადგენს რეაქციას, რომლითაც მელანქოლია ადამიანთა და მოვლენათა მიმართ ნეგატიური გრძნობები. კითხვარი განკუთვნილია როგორც მოზარდების, ისე ზრდასრული პიროვნებების აგრესიულობის კვლევისათვის. ავტორები გამოყოფენ აგრესიის და მტრული დამოკიდებულების 8 სახეობას:

- ფიზიკურ აგრესიას – ფიზიკური ძალის გამოყენება სხვა პირის მიმართ;
- არაპირდაპირ აგრესიას – შემოვლითი გზით განხორციელებულ აგრესიას, ე.ი. სხვა პირზე ან არავისზე მიმართულ აგრესიას;
- გაღიზიანებას – მხოლოდ ნეგატიური გრძნობების გამოსახატად უმნიშვნელო აღგზნების შემთხვევაშიც კი;
- ნეგატივიზმს – ქცევის ოპოზიციურ მანერას გაბატონებულ ჩვევებთან და კანონებთან მიმართებაში პასუხი წინააღმდეგობიდან აქტიურ ბრძოლაში;
- წყენას – შურს და ადამიანების სიძულვილს რეალური ან გამოგონილი ქმედებებისთვის;
- ეჭვიანობას – ადამიანებისადმი დამოკიდებულებას უნდობლობიდან და სიფრთხილიდან იმის რწმენამდე, რომ ყველა ადამიანს შეგნებულად მოაქვს ზიანი;
- ევრბალურ აგრესიას – ნეგატიური გრძნობების გამოხატვას როგორც ყვირილით, ასევე სიტყვიერი პასუხების წინაარსით (წყევლით, დაშინებით);
- ბრალულობის გრძნობას, რაც გამოიხატება სინდისის ქენჯნაში, სუბიექტის რწმენაში, რომ ის არის ცუდი ადამიანი, იქცევა არასწორად და ა.შ.

მიღწევის მოტივაციის ტესტი. (მიღწევის მოტივაციის ანალიზი) გულისხმობს პიროვნების ორ განზოგადებულ მდგრად მოტივს შორის ერთი დომინირებულის გამოყოფას. ტესტის

შედგების მიხედვით რეგულირდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები, ხდება პროფორიენტაციის გამოკვეთა და სხვ. ტესტი შედგება წინადადებებისაგან, რომლებიც ეხება ხასიათის სხვადასხვა მხარეებს, აგრეთვე აზრებსა და გრძობებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციების მიმართ. ცდის ობიექტები აფასებენ თავიანთ თანხმობას ან უარყოფას თითოეულ წინადადებასთან მიმართებაში შეიღებლიანი შკალით (+3, +2, +1, 0, -1, -2, -3). ჯამური ქულის გათვლის საფუძველზე განისაზღვრება პროცენტების დომინირებული მოტივაციური ტენდენცია:

- წარუმატებლობისაგან თავის არიდების მოტივაცია: 0-80 ბალი;
- მოტივაცია არ არის გამოკვეთილი: 81-175;
- მიღწევის მოტივაცია; 176-224 ბალი.

წარმატებაზე მოტივირებული ადამიანი მისკენ მიისწრაფვის და, როგორც წესი, მიზნის მისაღწევად ბევრს შრომობს. წარმატებაზე არასაკმარისად ორიენტირებული პიროვნებისათვის წარმატება არ არის აუცილებელი, ანუ მას გააჩნია მიღწევის მოტივაციის დაბალი დონე. წარუმატებლობაზე მოტივირებულ ადამიანებს არ აქვთ საკუთარი თავის რწმენა, უჭირთ მათზე დაკისრებული სამუშაოს შესრულება. არასაკმარისი დროის ქონის შემთხვევაში რთული დავალების მიღება ასეთ პირებში სერიოზულ დისკომფორტს იწვევს.

წარუმატებლობისაგან თავის არიდების მოტივის დომინირება ადამიანში აქვეითებს თვით შეფასებას. განმეორებულ წარუმატებლობებს ხშირად ასეთი ადამიანი სასწავლო-კარიერულ მხარეებზე მიჰყავს და მასში წარუმატებლობის განმეორების ქრონოკულ შიშს ბადებს.

დომინირებული მოტივების შედეგი, წარმატებისკენ მსწრაფველი ადამიანი დასახული ამოცანისადმი ინტერესს მისი წარმატებული გადაწყვეტის შემთხვევაშიც იჩენს, წარუმატებლობაზე ორიენტირებულ პიროვნებას კი ეს ინტერესი უქრება და უჩნდება სურვილი აღარასოდეს მოკიდოს ხელი ამ საქმეს. ზოგადად ოპტიმიზმის გამო, წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანები, (ზრდასრული პირები, ბავშვები, თუ მოსწავლეები) უფრო კარგად იყენებენ თავის შესაძლებლობებს, უფრო ხშირად აღწევენ მიზანს, რადგან უფრო აქტიურად ისწავლობენ თავის შეცდომებზე. ისინი უარს ამბობენ თავიანთ პირობებზე მაშინვე, როგორც კი მათ სიმცდარეში რწმუნდებიან და ოპტიმალურ გადაწყვეტილებებსაც უფრო სწრაფად პოულობენ.

## 2.სისხლის-სამართლებრივი (სტატისტიკური) მეთოდი

კრიმინოლოგიაში ხშირად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდი. ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლები შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას დანაშაულის მიზეზებისა და პირობების შესახებ, ამიტომაც კრიმინოლოგები მათ ხშირად იყენებენ ხოლმე. მაგალითად, კრიმინოლოგიაში დამტკიცებულადაა მიჩნეული დანაშაულსა და საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობას შორის კავშირის არსებობის ფაქტი. აგრეთვე, არსებულად მიიჩნევა დემოგრაფიული პროცესების, ექროდ, ურბანიზაციისა და მიგრაციის დანაშაულთან კავშირიც. თავის მხრივ, სოციალური პრობლემატიკა, ასევე დიდ ადგილს იკავებს დანაშაულის მიზეზების შესწავლაში. უმუშევრობა, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, ოჯახური აღზრდის, სასწავლო პროცესის, თავისუფალი დროის ორგანიზების ნაკლავანებანი წარმოადგენენ იმ სოციალური პრობლემების ძირითად ჩამონათვალს, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან კრიმინოლოგის ძირითადი ინტერესების სფეროში.

სისხლისსამართლებრივი (სტატისტიკურ) მეთოდს კრიმინოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის ქვეშ იგულისხმება დანაშაულის შესახებ მონაცემების სისტემატიზირება და მათი განლაგება შესაბამის კატეგორიებში. სწორედ ამ მეთოდის მეშვეობით წარმოებს შემდგომში დანაშაულობის ანალიზი და განისაზღვრება მისი მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა. ამ მეთოდის გამოყენების დროს კრიმინოლოგიაში თანმიმდევრულ გადაწყვეტას პოულობს დანაშაულობის, მისი



საზოგადოებრივი საშიშროების, დანაშაულობაზე მოქმედი კრიმინოგენური ფაქტორების ხარისხის შეფასება და დანაშაულობის პროგნოზირება.

ისტორიულად სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ფუძემდებლებად ითვლებოდნენ ფრანგი ანდრე-მიშელ გერი (1802-1866) და ბელგიელი ადოლფ-ჟაკ კეტლე (1796-1874).

პირველად სასამართლო სტატისტიკის მონაცემები გამოქვეყნდა 1825 წელს საფრანგეთის იუსტიციის სახელმწიფო მინისტრის ჟაკ გერი დე ნანფის (1788-1852) მიერ. მას მიბაძეს სხვა ევროპულმა ქვეყნებმაც - ბელგიამ, გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა. დანაშაულზე მონაცემების გამოქვეყნება მიზნად ისახავდა საზოგადოების მორალური მდგომარეობის შესწავლას.

საქართველოში საბჭოურ პერიოდში სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა მოსახლეობისათვის მიუწვდომელი იყო. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა არ გამჟღავნებინა რეალური კრიმინალური მდგომარეობა. მას სურდა წარმატებული გარემოს სურათის წარმოჩენა, რომელშიც დანაშაული იქნებოდა არა საზოგადოების მუდმივი თანამგზავრი, არამედ შემთხვევითი ნეგატიური ფრაგმენტი, რომელიც საზოგადოების განვითარების პროცესში საბოლოოდ გადაილახებოდა. ამგვარ ოპტიმისტურ ფონზე კი საბჭოთა საზოგადოება იმყოფებოდა ეკონომიკური და სხვა ხასიათის წინააღმდეგობების მუდმივი წნეხის ქვეშ, რომელიც თავის ასახვას დანაშაულობის ყოველწლიურ ზრდაში აპოკებდნენ.

მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გახდა საქართველოში სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის. ეს მოხდა საბაზრო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების არსებობის ფონზე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შევსება შეცვლამ განაპირობა დანაშაულებრივი გამოვლინებების ზრდაც, რამაც გასული საუკუნის 90-იან წლებში საშიშ სღვარს მიაღწია. ამავე წლებში სამართალდამცავი სისტემის რყევის გამო, დანაშაულობის სტატისტიკურ შესწავლასაც არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა. ამიტომ დანაშაულობის გაერკვლების ნამდვილი დონის დასადგენად და შესაფასებლად იმდროინდელ სტატისტიკაზე დაყრდნობა შეუძლებელია.

დღესდღეობით საქართველოში სისხლისსამართლებრივ სტატისტიკას დიდი ყურადღება ეთმობა. დანაშაულის შესწავლაში კომპიუტერული მეთოდების გამოყენებამ გააფართოვა მისი ანალიზისა და განზოგადების შესაძლებლობები. ამავე დროს, დანაშაულობის სტატისტიკის შესაძლებლობანი ბოლომდე როდია ამოწურული. დანაშაულობის არაკეთილსაიმედო ტენდენციებიდან და, კერძოდ, მისი ახალი ფორმების (ორგანიზებული დანაშაულობა) გაჩენიდან გამომდინარე საჭიროდ მიგაჩნია სტატისტიკური დაკვირვების უფრო დახვეწილი ორგანიზება.

ამჟამად საქართველოში დანაშაულობის სტატისტიკური შესწავლა ემყარება სამართალდამცავი ორგანოებიდან მიღებულ ინფორმაციას. მათ მიეკუთვნებიან მოკლევის, წინასწარი გამოძიების, სასამართლო და პენიტენციარული სისტემის ორგანოები. სტატისტიკური მონაცემების განზოგადება ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს სპეციალიზებულ სტრუქტურებში. აუცილებელია იმის კონსტატაციაც, რომ რეალიზასთან ყველაზე უფრო მიახლოებულ სურათს შეიძლება გვაძლევდეს მხოლოდ პოლიციის სტატისტიკა, მაშინ როდესაც, სასამართლო და, განსაკუთრებით, პენიტენციარული სისტემის სტატისტიკა ნაკლებად ზუსტად წარმოაჩენს რეალურ კრიმინალურ სურათს. სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის აღნიშნულ ნაკლთან დაკავშირებით გ. შანიდერი ამბობს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მხოლოდ ერთი ფუნქცია გააჩნია - იყოს ინდიკატორი, „დანაშაულობის ნამდვილად არსებობის“ სიმპტომია.<sup>1</sup> მის გამო დანაშაულს ხშირად აისბერგსაც ადარებენ, რომლის დიდი ნაწილი არ ჩანს, ხოლო ხილული მცირე ნაწილი

<sup>1</sup> Г. Шанидер. Криминология. М. 1994. Изд.группа «Прогресс», с.108.

დანაშაულობის იმ ნაწილის ანალოგიაა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ არის რეგისტრირებული.

ასევე, უნდა დავეთხანხმოთ რუსი კრიმინოლოგების მოსაზრებასაც, რომლებიც, მართალია, თვლიან, რომ პოლიციის სტატისტიკის მიერ რეგისტრირებული დანაშაულების სურათი უფრო სრულია, მაგრამ ამავე დროს აღიარებენ სასამართლო სტატისტიკის მონაცემების მეტ სიზუსტეს რადგან მათში მოცემულია დანაშაულობის სამართლებრივი დახასიათება ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით<sup>2</sup>

აქედან გამომდინარე, დგება ლატენტური დანაშაულობის და მისი გაზომვის მეთოდოლოგიის პრობლემაც. კერძოდ, დანაშაულობის მდგომარეობის, სტრუქტურის და დინამიკის შეფასების დროს მკვლევარები დანაშაულებს დიფერენცირებულად უდგებიან და მათ მაღალი, საშუალო და დაბალი ლატენტობის მქონე დანაშაულებების ჯგუფებად ყოფენ.

ითვლება, რომ რეალობასთან დანაშაულობის ყველაზე უფრო დაახლოებულ სურათს იძლევიან სტატისტიკური მონაცემები დაბალი ლატენტობის დანაშაულთა ჯგუფიდან (მკვლევარები, სხეულის მძიმე დაზიანებები, ბინების ქურდობა, ავტოტრანსპორტის გატაცება და სხვ.). ყველაზე უფრო არასწორია ეს მონაცემები მაღალი ლატენტობის დანაშაულთა ჯგუფისათვის. (ქურდობა, მექროთამეობა, დატაცება, ვაჭრობის წესების დარღვევა და ა.შ.). ოფიციალური მონაცემები ამ ჯგუფის დანაშაულების რეალურ რიცხვზე, კრიმინოლოგების გათვლებით, დაახლოებით 10-20 ჯერ დაბალია. ამიტომ, დანაშაულობის გავრცელების ობიექტური სურათის წარმოსაჩენად იყენებენ ხოლმე სხვა მეთოდებსაც, როგორებიცაა, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის კვლევა ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ანალიზი.

ფარულ (ლატენტურ) დანაშაულობას ყველაზე წარმატებულად ამერიკის შეერთებულ შტატებში იკვლევენ. აღმოჩნდა, რომ ადამიანების უმრავლესობას აქ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონდა ჩადენილი ესა თუ ის მართლსაწინააღმდეგო გადაცდომა ან დანაშაული. ახალგაზრდა პირების გამოკითხვის საფუძველზე მკვლევარებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საზოგადოებაში დიდხანსა და კანონმორჩილ მოქალაქეებს შორის შეუძლებელია ზუსტი ზღვარის გაფლება. ამასთან დაკავშირებით, გერმანელი კრიმინოლოგი გ. შნაიდერიც იმ ლოგიკურ დასკვნამდ მიდის, რომ, მართლწინააღმდეგოება ნებისმიერი ადამიანის თავისებურებაა, რომელიც ამა თუ იმ ზომით იკვეთება მასში<sup>3</sup>

სისხლისსამართლებრივი დაკვირვების უშუალო ობიექტებია:

- ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი;
- დანაშაულის ჩამდენი პირების რაოდენობა;
- სისხლისსამართლებრივი ზომები;
- დანაშაულების ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა.

სტატისტიკური აღრიცხვისათვის გამოიყენება სტანდარტიზირებული ცხრილები, რომლებიც დგება დანაშაულობაზე პოლიციიდან, სასამართლოებიდან და პენიტენციარული დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების განზოგადების საფუძველზე. სტატისტიკური მონაცემები ცხრილებში თავს იყრის დანაშაულების სოციალურ-დემოგრაფიული, სამართლებრივი შახასიათებლების მიხედვით (სქესი, ასაკი, საქმიანობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, რეციდივი), აგრეთვე დანაშაულების დროსა და სიერცეში განთავსების გათვალისწინებით. დღესდღეობით საქართველოში დანაშაულობის სტატისტიკა გახსნილია საზოგადოებისათვის და მისი ნახვა ინტერნეტის მეშვეობითაც შეიძლება.

სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ფართოდ გამოიყენება შედარების მეთოდი, რომლის დროსაც ხდება დანაშაულის ცალკეული სახეობის დინამიკის ერთმანეთთან

<sup>2</sup> Криминология. М. Изд.МГУ.1994, с.67

<sup>3</sup> Г. Шнайдер. Там же, с.127

შედარება. ისინი ექვემდებარებიან ანალიზს დროის გარკვეული ინტერვალებისა (წელიწადი, ნახევარი წელიწადი, თვე) და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

დანაშაულობის სტატისტიკა ვერ შექმნის დამაკმაყოფილებელ სურათს, თუ დანაშაულის შესახებ მონაცემები შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებთან არ იქნა შეჯერებული. ამიტომაც დანაშაულობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის დროს მიზანშეწონილია, გამოიყენოთ შესაბამისი კოეფიციენტები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსახლეობისა და ჩადენილი დანაშაულების რაოდენობების თანაფარდობას.

განასხეავენ კოეფიციენტების ორ სახეობას - დამნაშავეთა და დანაშაულთა რიცხვის მიხედვით. სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკის შეფასების დროს მონაცემების შედარებისათვის გამოიყენება ყოველი შემდგომი და წინა პერიოდის მონაცემები. ამას გარდა, იყენებენ გამსხვილებული მაჩვენებლების შედარების მეთოდსაც. ამ შემთხვევაში საანალიზო პერიოდს ყოფენ ორ თანაბარ შუალედად, რომლის მაჩვენებლებს ცალცალკე აჯამებენ და მიღებულ ჯამურ მონაცემებს ერთმანეთს უფარდებენ. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა დანაშაულობის დინამიკის დაფიქსირება დიდი პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, 10 ან 20 წლის მანძილზე).

იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულების რეგიონული განაწილება არათანაბარია და მისი ძირითადი მასა ქალაქებზე მოდის, კრიმინოლოგიაში დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ხორციელდება დიფერენცირებულად - ქალაქად და სოფლად ცალცალკე. აგრეთვე ცალცალკე ხდება დანაშაულობის შესწავლა ინდუსტრიულ, საკურორტო ქალაქებში და მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრებში, რომლებშიც დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების კომპლექსი მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა, რაც შესაბამისად დანაშაულობის თავისებურებებზეც აისახება.

#### საკონტროლო კითხვები:

1. ჩამოთვალეთ და განმარტეთ კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები.
2. დაასახელეთ ძირითადი კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდები.
3. რომელი კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდი ატარებს სოციოლოგიურ ხასიათს?
4. რა დანიშნულება აქვს სისხლისსამართლებრივ (სტატისტიკურ) მეთოდს კრიმინოლოგიაში?

## ტავი 4 საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია

### 1. შედარებითი კრიმინოლოგიის ცნება

1993 წლის იენისში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააბატონა რვა "თავგადაპარსული", რომელთაც ლოს-ანჯელესში პირველი აფრიკული მეთოდისტური საჯისკოპოსო ეკლესიის აფეთქება და ეკლესიის მრევლის დახვრება პქონდათ განზრახული. ამერიკელი "თავგადაპარსულები" თავს ესხმინან შავკანიანებს, ებრაელებს, ჰომოსექსუალებს, ემიგრანტებს, უმცირესობათა ჯგუფებს – ყველას, ვინც თავისგან განსხვავებულად მიიჩნიათ და ამის გამო ათვალწუნებით უყურებენ. ისინი თავიანთ სცემენ პიტლერს და ფაშისტურ ტერორს, უსმენენ რასისტულ მუსიკას, საჯაროდ გამოაქვთ სვასტიკები და ნაცისტური დროშები და ბევრი რასისტული ორგანიზაციის დამრტყმელი გვარდიის ფუნქციას ასრულებენ. მათი რიცხვი 40 შტატის მიხედვით 33000 – 35000-ს უტოლდება და 160-მდე დაჯგუფებაშია თავმოყრილი. გაზრდილმა საზოგადოებრივმა საშუაშრობამ გვბ იძულებული გახადა უკან გამოეწვია რამდენიმე ფარული აგენტი, რომლებმაც "თავგადაპარსულთა" რიგებში შეაღწიეს.<sup>1</sup>

1985 წლის მაისში დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, დანიისა და საფრანგეთის "თავგადაპარსულთა" დაჯგუფებებმა ბელგიაში ფეხბურთის მატჩზე არეულობა გამოიწვიეს, რის შედეგადაც 38 ფერადკანიანი დაიღუპა და 200 დაიჭრა. ეს მოვლენა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და აქედან მოყოლებული, "თავგადაპარსულთა" საქმიანობა მრავალი ქვეყნის საინფორმაციო გადაცემების განუყრელი თემა გახდა. 1990-1991 წლებში სპარსეთის ყურის ომის დროს "თავგადაპარსულებმა" ლონდონის შემოგარენში 20 მჩეთი გადაწვეს.

1995 წლისათვის ექვსი კონტინენტის 33 ქვეყანაში დაახლოებით 70. 000-მდე ახალგაზრდა მიემხრო "თავგადაპარსულთა" ნაცისტურ მოძრაობას. განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა გერმანიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, აშშ-ში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, ბრაზილიაში, იტალიასა და შედედეთში ჩამოყალიბებული დაჯგუფებები.<sup>2</sup>

ყველაზე მძიმე დარტყმა გერმანიაში, ნაციზმის სამშობლოში მიიღო: ააფეთქეს და გაანადგურეს ებრაელთა სახლები, დაარბიეს და დახოცეს ასობით უცხოელი მუშა და თავშესაფრის მაძიებელი. ძველი გერმანიის იმპერიული დროშა – მათი საყვარელი სიმბოლო და შეძახილი "ჰაილ ჰიტლერ" "თავგადაპარსულთა" გამოსვლების აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

მათი ე.წ. იდეოლოგია საკმაოდ პრიმიტიულია. ამ ახალგაზრდებმა არაფერი იციან არც პიტლერზე და არც ომზე, გარდა იმისა, რომ პიტლერი სპობდა განსხვავებულ ხალხს. ეს სწორედ ისაა, რისი კეთებაც მათ ასე მოსწონთ. ისინი არ კითხულობენ გაზეთებს, წარმოდგენაც კი არა აქვთ ბოსნიაში მიმდინარე ეთნიკური წმენდის შესახებ. მათ მხოლოდ ქილერების კომიქსები აინტერესებთ, მუსიკაში კი უპირატესობას ანიჭებენ "ოი"-ს ჰევიმეტალის ერთ-ერთ მიმდინარეობას, როგორც გენოციდით მიღებული სიამოვნების გამომხატველს.

1990-91 წლებში მორიგი შეტევები განხორციელდა ლონდონის მეჩეთებზე. 1994-95 წლებისათვის ამერიკის სამხრეთში ცეცხლის ალში გაეხვია აფრიკულ-ამერიკული ეკლესიები. ყველა ეს დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე იქნა ჩადენილი.

ბოლო დროს საფრანგეთში აგორდა სიძულვილის ახალი ტალღა. "მტერი" ამჯერად გარეუბნების გეტოებიდან მოგვევლინა, ძირითადად, აფრიკული წარმოშობის ნადირების სუბ-კულტურის ჯგუფის სახით. მათი ენა არის "ჰიფ-ჰოფი", ხოლო ფესვები სათავეს იღებს "ბრონქსა და კინგსტონში, იამაიკაზე; სამხრეთ-ცენტრალურ ლოს-ანჯელესსა და

<sup>1</sup> P.Applebome – Skinhead Violence Grows, Expert Say "New York Times, July 18 1993 p.25

ბრიქსტონში, ლონდონში; დაკარსა და ალკირში; ისლამურ სარწმუნოებასა და ეროვნული კალათბურთის ასოციაციაში<sup>2</sup>. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: მჭინვარება, კედლების ლოზუნგებით აჭრელება, ნარკოტიკებით ეაჭრობა, ცეცხლსასროლი იარაღის ტარება. აქამდე ამ მოძრაობას “პარტიზანულ რენესანსს” უწოდებდნენ. საინტერესოა, რამ გამოიწვია ნენონაციონის აყვავება და “თავებადაპარსულთა” ჯგუფების ფორმირება, რომელთა საქმიანობაც “პარტიზანული რენესანსის” სახელით არის ცნობილი თითქმის ერთდროულად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში? ვინ აყალიბებს ამ ჯგუფების ექცენტრულ იდეოლოგიას? აქვთ თუ არა მათ კავშირი უცხოელ მომხრეებთან?

ამ კითხვებს რომ პასუხი გაეცეს, კრიმინოლოგებმა შედარებითი კვლევის მეთოდს უნდა მიმართონ. ჯერ-ჯერობით, ამ სფეროში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. “თავებადაპარსულთა” პრობლემის კვლევა კრიმინოლოგმა მარკ ჰამპმა დაიწყო ნაშრომით “ამერიკელი თავებადაპარსულები – კრიმინოლოგია და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის კონტროლი”, სადაც საკითხი საერთაშორისო ზრილშია გაშუქებული. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამერიკაში დატრიალებული მოვლენების კვლას ინგლისში მომხდარ მსგავს შემთხვევებამდე და გერმანიაში ჩასახული ნაციტური იდეოლოგიის საწყისებამდე მივყავართ. თუმცა შედარებითი კვლევის კუთხით, კიდევ უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოა ჩასატარებელი, რათა საბოლოოდ მოხერხდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ერთდროულად მომხდარ იდენტურ დანაშაულთა პრობლემის მეტ-ნაკლებად ამოწურავად გადაჭრა.

პირველ თავში შევეცდებით, განვმარტოთ შედარებითი კრიმინოლოგიის არსი, თვალის გადავავლოთ მისი განვითარების ისტორიას, განვსაზღვროთ ამ საგნის მიზანი და ამოცანები. მიმოვიხილოთ, აგრეთვე, შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წინამძღვრებს, კვლევის პროცესსა და გლობალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

### შედარებითი კრიმინოლოგიის ცნება

შედარება ისეთი მოქმედებაა, რომელსაც ყოველდღიურად მიმართავს თითოეული ჩვენგანი, მაგალითად, სახლის არჩევისას ერთმანეთს ეუდარებთ ოთახების რაოდენობასა და ფასს, შენობის ადგილმდებარეობას, ტრანსპორტთან, მაღაზიებთან, გასართობ დაწესებულებებთან სიახლოვეს, ნაგებობის სიძველეს, გარემოს სილამაზეს და ა.შ. თუ ასეთ შედარებას სისტემატური ხასიათი მიეცემა, ის შეიძლება მეცნიერებად იქცეს. მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე შედარებითი კრიმინოლოგიის შემთხვევაშიც.<sup>2</sup>

### შედარებითი კრიმინოლოგიის არსი

მარტივად რომ ჩამოვყალიბოთ, შედარებითი კრიმინოლოგია არის კრიმინოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას და მისი კონტროლის მექანიზმებს ეროვნებათშორისო მონაცემების საფუძველზე შედარებითი მეთოდების გამოყენებით. მრავალი კრიმინოლოგი მიმართავს შედარებას კვლევის პროცესში. ერთ ჯგუფს ადარებენ მეორესთან, ე.წ. კონტროლის ჯგუფთან. მაგრამ ეს არ არის საქმარისი პირობა შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევების ჩასატარებლად. აუცილებელია, რომ შედარება მოხდეს კულტურათა და ეროვნებათაშორის მონაცემთა ბაზაზე. მონტანასა და მისისიპის შტატებში არსებული ვიქტიმიზაციის დონეთა შედარებითი შესწავლა არ არის შედარებითი კრიმინოლოგიის საგანი, ვინაიდან ეს ორი შტატი ერთი ერისა და ერთი წამყვანი კულტურის შემადგენელი ნაწილია. თუმცა, თუ ვიკვლევთ ალკოჰოლის გავლენას ძალადობის ესკალაციაზე და ამ ნიშნით ეუდარებთ მონტანასა და ვაიომინგში მოსახლე შოინის ტომის წარმომადგენლებს და შტატების დანარჩენ მცხოვრებლებს, მაშინ საქმე გვექნება კულტურათაშორის შედარებასთან, ვინაიდან შეინის ტომს საკუთარი განსხვავებული საკანონმდებლო სისტემა და კულტურა გააჩნია.

<sup>2</sup> J. Leland and M. Mabry – “Toasting the head” Newsweek Feb. 26 1996 p.42

## შედარებითი კრიმინოლოგიის ისტორია

შედარებითი კრიმინოლოგიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. როდესაც ძვ. წ. აღ. V საუკუნეში რომაელთა წინაშე დადგა დამნაშავეობის პრობლემა, მათ დახმარებისათვის უფრო დაწინაურებულ ქვეყანას – საბერძნეთს მიმართეს და საგანგებო დელეგაცია გაგზავნეს დანაშაულთან ბრძოლის უფრო დახვეწილი მეთოდების გასაცნობად, როგორც არის, მაგალითად, კანონების გამოქვეყნება. გვიანი შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანაში (XIV–XVII სს.) მთელი კონტინენტური ევროპა ერთ დიდ შედარებით ლაბორატორიად იქცა, სადაც ხდებოდა სხვადასხვა ქალაქებსა თუ სამთავროებში შექმნილი კანონების შედარება ძველი რომის იმპერიის ახლად აღმოჩენილ კანონებთან.

ამ პერიოდთან მოყოლებული დანაშაულის კონტროლის მეთოდები სულ უფრო უხეში ხდებოდა. მდგომარეობა არ შეცვლილა XVIII საუკუნემდე, სანამ შედარების, თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების წყალობით, კლასიკური სკოლის ნაშრომებით კელე არ დაიწყო ევროპასა და ამერიკაში დანაშაულის კონტროლის საკითხში რაციონალიზმისა და კუმანური პრინციპების დამკვიდრება. XIX საუკუნეში, როდესაც გაიზარდა კომუნიკაციის შესაძლებლობები, კრიმინოლოგიის სპეციალისტებმა დაიწყეს არსებული თვალსაზრისებისა და მიდგომების შედარება, სისტემების შესწავლა, შერჩევა და დანერგვა. ისეთმა ცნობებმა, როგორცაა: არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო, პენიტენციური და პრობაციული სისტემები, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება, მსოფლიო აღიარება სწორედ შედარების წყალობით მოიპოვა. და მიწც, XIX საუკუნისა და XX ს.-ის დასაწყისის შედარებითი კვლევებს აკლდა მეცნიერული სიზუსტე. მაგალითად, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო, რომელიც პირველად 1899 წელს დაარსდა ჩიკაგოში, იმდენად მისაღები აღმოჩნდა, რომ მალე სხვა ქვეყნებშიც ამოქმედდა, თუმცა, როგორც შემდგომმა გამოცდილებამ გვიკარნახა, ყველგან როდი გაამართლა.

კრიმინოლოგიის უძემდებლები, ამერიკელი კრიმინოლოგების ჩათვლით, უპირატესად კომპარატივისტიები იყვნენ. როგორც პირადი კონტაქტების, ასევე საერთაშორისო შეკრებების დროს გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს უწყობდა კრიმინოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებას. მაგრამ ჭკუშმარტივი შედარებითი კვლევა ვერ განხორციელდებოდა მანამ, სანამ კრიმინოლოგია არ ჩამოყალიბდებოდა მეცნიერებად. XX საუკუნის I ნახევარში ინტერნაციონალიზმს წინ აღუდგა იზოლაციონიზმი. კომპარატივისტიები მეოცნებებად მიიჩნიეს, ხოლო შედარებითი მიდგომა – არაპრაქტიკულ საქმიანობად.

გლობალიზაციის უპირატესობანი. ამჟამად ვითარება მკვეთრად არის შეცვლილი. დღესდღეობით მსოფლიო ერთ გლობალურ სოფლად იქცა, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა შედარებითი კრიმინოლოგიის განვითარება. თუ აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებს გადავხედავთ, დაეინახათ, რომ 1960 წელს აშშ-ის ექსპორტმა შეადგინა 19.659 მილიონი დოლარი. 1998 წელს ეს მონაცემი 35-ჯერ გაიზარდა და 683.000 მილიონ დოლარს მიაღწია. შესაბამისად, 1960 წელს იმპორტი შეადგენდა 15.073 დოლარს. 1998 წლისათვის ეს მონაცემი 62-ჯერ გაიზარდა და 944.000 მილიონს მიახლოვდა. ყოველივე კი გლობალური სავაჭრო სურათის მხოლოდ ნაწილია.

მსოფლიოს ეკონომიკა ტოტალურად ინტეგრირებული და ურთიერთდამოკიდებული გახდა. ამასობაში მანქანა შეიძლება აშშ-ში იყოს დამზადებული, ხოლო ამერიკული მანქანა მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში დამზადებული ნაწილებით იყოს აწყობილი. პერანგი შეიძლება მონე-კონგური გეცვათ, ფეხსაცმელი იტალიური, შვეიცარიული საათი კი – ამერიკის ვირჯინიის კუნძულებზე გამოშვებული. რაც შეეხება საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებს, „კოკა-კოლა“, „პეპსი“ და ამერიკულ სასაუზმეთა კსელი ეკონომიკური გლობალიზაციის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითებია.

ასევე გლობალური გახდა კომუნიკაციებიც. დღეს ტელევიზორის წინ მსხდომი ადამიანები მსოფლიო მოვლენების მონაწილენი ხდებიან. ტელეფონის, ფაქსისა და კომპიუტერული ქსელების მუშაობამ დაჩქარა პირადი და საქმიანი ურთიერთობების წარმართვა.

ტრანსპორტირების პროცესის გაუმჯობესებამ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო რეაქტიული თვითმფრინავების წარმოება, და საზღვრების გახსნამ მილიონობით ადამიანისთვის გახადა შესაძლებელი ოკეანის გადალახვა რამდენიმე საათში. საქვერ ტრანსპორტის დატვირთვა 1960 წლის მგზავრთა მიერ დაფარული 26 მილიარდი მილიდან 2000 წლის ბოლოს 2 ტრილიონს მიუახლოვდა.

ვეროპა კიდევ უფრო ინტენსიურად შეიგრძნობს გლობალიზაციის ეფექტს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ვეროპაში კომუნიკაციური დიქტატურის დამხობამ და ვეროპაში საზღვრების ფაქტორმა გაუქმებამ თან მოიტანა დანაშაულის ისეთი პრობლემები, რომლებიც ვეროპას მანამდე არ ახსოვდა.<sup>3</sup> ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეროვნული კრიმინოლოგია გადაიქცა საერთაშორისო კრიმინოლოგიად. ფაქტობრივად მოხდა კრიმინოლოგიის გლობალიზაცია.<sup>3</sup>

გლობალიზაცია და მისი ნაკლოვანებანი. გლობალიზაციას კაცობრიობისათვის მოაქვს როგორც სიკეთე, ასევე მრავალი საჭირობოროტო მოვლენაც. სწრაფი კომუნიკაცია ხელს უწყობს არა მარტო ცხოვრების სტილის გაუმჯობესებასა და სასარგებლო ცოდნის გავრცელებას, არამედ ისეთ უსარგებლო იდეებსა და ფასეულობებსაც ბადებს, როგორც არის, მაგალითად, "თავგადაპარსულთა" ფენომენი. ეკონომიკის გლობალიზაცია გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს ხელსაყრელ კომერციას, იმავდროულად ეხმარება ორგანიზებული დანაშაულისა და თაღლითობის გლობალურ გავრცელებას, რაც ადრე მხოლოდ ადგილობრივი პატარა დასახლებებისა და ცალკეული ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი.

რეაქტიულ თვითმფრინავებს გადაჰყავთ არა მარტო კანონიერი მგზავრები, არამედ არალეგალური უცხოელი კრიმინალური მეწარმეები, ნარკოტიკებით მოვაჭრეები, ფულის გამოთვრებლები და ტერორისტები. თავად თვითმფრინავებზეც საერთაშორისო დანაშაულებითა სამიზნე ხდება. მსოფლიო ინდუსტრიალიზაცია, ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად, უშუავეს საფრთხეს უქმნის პლანეტის ეკოლოგიას, ადამიანისათვის აუცილებელ საარსებო გარემოს, წყლის, საკვებისა და სუფთა ჰაერის მარაგს. შესაბამისად, დანაშაულისა და დანაშაულის კონტროლის კვლევის საკითხებში კრიმინოლოგებიც უნდა გასცდნენ თავიანთი ქვეყნების საზღვრებს და ზოგად პრობლემათა გადასაწყვეტად საყოველთაოდ მისაღები გზების ძიება დაიწყო.

### შედარებითი კვლევის მიზნები

1970 წლამდე შედარებითი კრიმინოლოგიის დარგში ძალზე მწირი ლიტერატურა არსებობდა. მაგრამ შემდეგ მისმა რაოდენობამ სწრაფად იმატა, საჭირო გახდა: 1) დანაშაულის არსის უკეთ გასაგებად ამა თუ იმ თეორიის შემოწმება სხვადასხვა კულტურის პირობებში. 2) სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათი მიღწევების გათვალისწინება.<sup>4</sup>

მაშასადამე, შედარებითი კრიმინოლოგიას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიზანი. იგი გვეხმარება უკეთ გავიგოთ დანაშაულის მიზეზები და მოექმნოთ დანაშაულის კონტროლის უფრო მოხერხებული საშუალებები, რათა არც ერთმა ერმა არ გაიმეოროს სხვების მიერ დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები. დღესდღეობით გავროს მრავალი ფილიალი ჩართული ამ საქმიანობაში, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს იმ საშიშროების დაძლევა, რაც ყველა კულტურის ხალხს ემუქრება.

ვიდრე შედარებითი კვლევის განხილვას შეუდგებოდეთ, გადახედეთ შედარებითი კრიმინოლოგიების მიერ გამოყენებულ მეთოდებს.

<sup>3</sup> S. Glueck "Wanted: A Comparative Criminology" London, Tavistock 1964 p.304

<sup>4</sup> J. Finckauer, Russian Youth Law, Deviance and the Pursuit of Freedom New Brunswick, N.J. Transactions 1995

## 2. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წარმოება

შედარებითი კვლევა საჭიროებს საგანგებო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, რათა გაირკვეს კვლევის მონაცემები და ინფორმაცია ნამდვილად შედარებადია თუ არა. ემპირიულ კვლევას სხვა წინააღმდეგობებიც ახლავს თან.

### მოსამზადებელი სამუშაო

უცხოური სამართლის შესწავლა. სანამ შედარებით შესწავლას დაიწყებს, მკვლევარი კარგად უნდა გაეცნოს იმ ქვეყნისა და კულტურის კანონებს, რომელზეც ვრცელდება ეს მართლება. ყოველი ქვეყანა მიეკუთვნება მსოფლიოს ერთ ან რამდენიმე სამართლის ოჯახს ან სამართლის სისტემას.

*სამოქალაქო სამართლის სისტემა.* ეს სისტემა აღმოცენდა რომაული სამართლის ტრადიციებზე, რომელიც შემდეგ როინდელმა მეცნიერებმა დახვეწეს, ხოლო XIX ს.-ის დასაწყისში, ნაპოლეონის პერიოდში, კანონთა კოდიფიკაცია მოახდინეს. დღეს იგი სისტემატიზებულ კანონთა კოდექსშია შეტანილი. სამართლის ამ ოჯახს მიეკუთვნებიან: ევროპის ქვეყნები და აზიის ყოფილი კოლონიები აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში, აგრეთვე იაპონია და ჩინეთი, რომლებმაც სამოქალაქო სამართლის მოდერნიზებული სისტემა აირჩიეს.

*საერთო სამართლის სისტემა.* საერთო სამართალი აღმოცენდა ინგლისში და შემდეგ გავრცელდა მის სხვადასხვა კოლონიაში. დღეს ეს სამართლებრივი სისტემა დამკვიდრებულია არა მარტო გაერთიანებულ სამეფოში, არამედ აშშ-ში, კანადაში (კეებეკის გარდა), ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთსა და ყარბის ზღვის ბევრ კუნძულზე, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, რომლებიც ადრე ინგლისის კოლონიები იყვნენ. რამდენადაც საერთო სამართალი პრეცედენტული სამართლიდან აღმოცენდა, მასში პრეცედენტი კელავაც გადაწვევებ როლს ასრულებს.

*სხვა სამართლებრივი სისტემები.* როდესაც კომპარატივისტი გაიაზრებს, თუ რომელ სამართლებრივ სისტემას მიეკუთვნება ქვეყანა, იგი უნდა შეუდგეს შესაბამისი სამართლის შესწავლას და მის ზუსტ ინტერპრეტაციას. უცხოური სამართლებრივი სისტემები, როგორც, მაგალითად, აშშ-შია მიღებული, მიიცვას სისხლის სამართლის კოდექსს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, კონსტიტუციას და სასამართლო საქმეთა ჩანაწერებს. გარდა ამისა, ამ სისტემებში შედის სპეციალური კანონმდებლობაც, რომელიც ეხება გარემოს დაცვას და ფულის გათეთრებას. ფედერალურ ქვეყნებში შესწავლილ უნდა იქნეს როგორც ფედერალური, ასევე შტატის კანონმდებლობა.

შემდეგი პრობლემა ამ ქვეყნის კანონების მოძიებაა, რაც ინგლისური ენის მცოდნე მკვლევართათვის არ წარმოადგენს დაუძლეველ ამოცანას. ინგლისურენოვანი ქვეყნების კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სახელმძღვანელოების გაცნობა შესაძლებელია ბიბლიოთეკებში. ინგლისურ ენაზე არსებობს, აგრეთვე, სხვა ქვეყნების კონსტიტუციები,<sup>3</sup> სისხლის სამართლის<sup>4</sup> და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. შესაძლებელია ასევე არაინგლისურენოვანი ქვეყნების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესახებ არსებული ინგლისური თარგმანების მოძიება,<sup>5</sup> მაგრამ, ვინაიდან ყოველთვის აღინიშნება განსხვავება კანონსა და მის მოქმედებას შორის, კომპარატივისტმა უნდა გამოიყენოს გამოკვლევები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ.

<sup>3</sup> Martin Killias et al. - "Cross-Border Crime" European Journal of Criminal Police and Research, 1, 1993

<sup>4</sup> P. Beirne and D. Nelken - Issues of Comparative Criminology. UK. Dartmouth, 1997

<sup>5</sup> A. Blaustein and G. Flenz - Constitutions of the Countries of the World vol. 21, 1971



უცხოური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების გაცნობა. კანონები მოქმედებენ ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. კანონებს პრაქტიკოსები ახორციელებენ; შესაბამისად, შესაძლებელია მათ გამოცდილებაზე დაფუძნებული საანგარიშო მოხსენებების შეკრება.<sup>8</sup> ასევე ინგლისურად არსებობს დიდალი პერიოდული ლიტერატურა და სტატისტიკური მონაცემები, სადაც ასახულია სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოქმედების მექანიზმი.

თანამედროვე განსხვავებული კულტურების შეჯერებულ ტექსტებსა და ტრაქტატებში დახასიათებულია 50-ზე მეტი ქვეყნის კრიმინოლოგია და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარების თვისებურებები.<sup>9</sup> სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთლიან სისტემასთან ერთად მოცემულია ქვესისტემათა მოქმედების დახასიათებაც. მაგალითად, ხუთ-ტომიან კრებულში განხილულია მსოფლიოს ორ ათეულ ქვეყანასა და რეგიონში არსებული სამართალდარღვევებისა და არასრულწლოვანი მიმართ აღმასრულებელი მართლმსაჯულების საკითხები.<sup>10</sup> სპეციალისტების მიერ გამოკვლეულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა საკითხებიც ისეთ სფეროებში, როგორცაა: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, გამასწორებელი ზომები და ქალთა დამნაშავეობა.

უცხოური კულტურის შესწავლა. კომპარატივის უნდა შესწავლეს საკუთარი კულტურის შემცვენების უნარი. შედარებითი სამუშაოს ჩასატარებლად უნდა შეისწავლოს უცხოური კულტურა, გაეცნოს მის ისტორიას, პოლიტიკას, ეკონომიკას და სოციალურ სტრუქტურას. შედარებითი კრიმინოლოგიის ისეთ წარმომადგენელთა ნაშრომები, როგორებიც არიან: ბ. მარშალი, რომელიც შეიქცარის, ინდოეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების პრობლემებზე მუშაობს, უილიამ კლიფორდი, ზოგიერთი აფრიკელი ქვეყნისა და იაპონიის პრობლემათა მკვლევარი – ნათლად გეიჩვენებენ, რომ შედარებითი კვლევის ობიექტურად წარმართვისათვის აუცილებელია მეცნიერ-მკვლევარი ღრმად ჩაწვდეს შესასწავლი ქვეყნის კულტურას.<sup>11</sup>

მონაცემთა შეგროვება. კვლევას საფუძვლად უნდა ედოს ფაქტობრივი ინფორმაცია. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია დანაშაულის პრობლემებზე ინფორმაციის სისტემური შეგროვების საშუალებები, მაგრამ მათი უმრავლესობა ან სტატისტიკას ატარებს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციაში, რომელიც აქვეყნებს მონაცემებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ანდა მონაწილეობს გაეროს გამოკვლევებში, რომლებიც ეხება დანაშაულის მიმართულებებს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების მოქმედებას და დანაშაულის აღკვეთის სტრატეგიას. გაეროს გამოკვლევა ქვეყნდება ხუთწლიანი ციკლით და 1970 წლიდან მოყოლებული დღემდე მოიცავს 100-ზე მეტი ქვეყნის სტატისტიკას დანაშაულის გაეროელებისა და კრიმინალური სისტემის მოქმედების შესახებ.

მკვლევართათვის ხელმისაწვდომია კიდევ რამდენიმე საერთაშორისო მონაცემთა ბაზა, მათ შორის: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკა მკვლევლობათა შესახებ, კერძო ინიციატივით შედგენილი დანაშაულთა შედარებითი კვლევის ფაილი, რომელიც მოიცავს 110 დამოუკიდებელ სახელმწიფოს (გამოქვეყნდა 1984წ.) და დანაშაულის კორელატები” (გამოქვეყნდა 1989წ.)<sup>12</sup>

საერთაშორისო დანაშაულთა სტატისტიკას იგივე პრობლემები გააჩნია, რაც ამერიკის კრიმინალურ სტატისტიკას, მაგრამ გაცილებით ფართო მასშტაბის. საბოლოოდ, სხვადასხვა ქვეყნის დანაშაულის უფრო ზუსტი სურათის მისაღებად მკვლევარებმა ორი დამატებითი სტატისტიკური ბერეტი შეიმუშავეს;

<sup>8</sup> Shigemitsi Dango - Japanese Criminal Procedure, Comparative Criminal Law Project, Publication Series. Vol 4.  
<sup>9</sup> K. Kangasapunta ed., - Profiles of Criminal Justice Systems in Europe and North America, HEINI, 1995  
<sup>10</sup> UNAFEL, 1-26 Hurumuinco, Fuchu, Tokyo, Japan  
<sup>11</sup> F. Adler - The Incidence of Female Criminality in contemporary World, NY, New York University Press 1984.  
<sup>12</sup> First survey 1970-1975 A/32/199 second survey

1. საერთაშორისო დანაშაულში დაზარალებულთა მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც დაიწყო 1989 წ. და 1997 წლამდე მოქმედებდა. სხვადასხვა ქვეყნებიდან და საკვლევე ცენტრებიდან დაკომპლექტებულმა მკვლევართა ჯგუფმა წარმოადგინა ექტემიზაციის კვლევის შედეგების ამსახველი სამი მოხსენება, სადაც თავმოყრილი იყო მრავალი განვითარებული (ინდუსტრიული) თუ განვითარებადი ქვეყნის მონაცემები. მსოფლიო მასშტაბით ინტერვიუ ჩამოართვეს 130.000 ადამიანს 40 ენაზე.
2. თვითანგარიშის კითხვარის მონაცემთა მიხედვით შეფასდა. 14-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები 12 ქვეყანაში, მათ შორის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ძალადობა და ნარკომანია. 1992 წლის ეს მიმოხილვა არ მოიცავდა განვითარებად ქვეყნებს.

გაეროს მოხსენებებში ასახული "ოფიციალური" დანაშაულისა და ექტემიზაციის დონეთა შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა ექტემიზაციის კვლევის შედეგებით დანაშაულის მაღალი დონეა დაფიქსირებული, რაც წლების განმავლობაში ასევე უფრო მკვეთრად მერყეობს, ვიდრე გაეროს მონაცემებში დადასტურებული მონაცემები. შესაბამისად, შეიძლება დავაყენოთ, რომ გაეროს მოხსენებებში ასახული სურათი მეტ-ნაკლებად მისაღები უნდა იყოს ბევრი ქვეყნისათვის.

### შედარებითი კვლევა

ზემოთ განვიხილეთ ისეთი საკითხები, როგორცაა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები, კულტურული მასსიათებლები და სხვა ხელმისაწვდომი მონაცემები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის დაწყებამდე. მათი შესწავლის შემდეგ კომპარატივისტის წინაშე ორი პრობლემა იჩინს თავს: დანაშაულისა და მართლმსაჯულების ურთიერთდამოკიდებულება და კულტურული სპეციფიკურობა.

მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულება. წარმოვიდგინოთ ჭერზე დაკიდებული გაწონასწორებული კონსტრუქცია. მისი უმცირესი დეტალიც რომ გადავადგილოთ, მთელი მექანიზმის ბალანსი დაირღვევა. იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულისა და მართლმსაჯულების პრობლემაზე საზოგადოებაში. აქაც ყოველი რგოლი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთის ახსნა სხვათაგან განცალკევებით შეუძლებელია. ევლოსიპედის ქურდობა ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც იგი ინტენსიურად გამოიყენება როგორც სატრანსპორტო საშუალება, მაგალითად: ჩინეთში, დანიაში, ნიდერლანდებში, ავსტრალიაში, აშშ-სა და მექსიკაში. მაგრამ ბევრ ქვეყანაში ქურდობის ეს სახე განსხვავებულად აღიქმება და, შესაბამისად, განსხვავებული შედეგები მოსდევს.

შეიძლება თუ არა, ევლოსიპედის ქურდობა შესადარებელ პრობლემად მივიჩნიოთ მსოფლიო მასშტაბით? რას მოგეცემს ასეთი შედარება ან რა ფაქტორებია გასათვალისწინებელი ამ მხრივ? უკეთესი ხომ არ იქნება, ჩინეთში ევლოსიპედის ქურდობის შედარება იტალიაში მანქანის ქურდობასთან? როგორ შეესაბამება ან როგორ მოურევინან ეს საკითხები მათ ქვეყანაში დამკვიდრებულ დანაშაულისა და მართლმსაჯულების მექანიზმებს?

კულტურული თავისებურებანი. შედარებითი კრიმინოლოგიის ამოცანა იმ ქირურგიასს ჰგავს, რომელმაც გულის ან ღვიძლის ტრანსპლანტირება უნდა მოახდინოს. ამისათვის ქირურგი იკვლევს უამრავ ფაქტორს, რათა დაარწმუნდეს, რომ დონორის ორგანო შესაბამე რეციპიენტის ორგანიზმს. თუ გვირდა იაპონიაში დამნაშაევობის დაბალი დონე შევადაროთ აშშ-ში დაფიქსირებულ მაღალ დონეს, მრავალი ფაქტორი უნდაა გავითვალისწინოთ. ერთ-ერთია, მაგალითად, სირცხვილის როლი იაპონურ საზოგადოებაში. ცუდი საქციელი არცხვენს არა მხოლოდ პიროვნებას, არამედ მის წრეს, ოჯახსა და

<sup>13</sup> D. Archer and R. Gartner, *Violence and Crime in Cross National Perspective* Yale University Press, 1984

სკოლას. მაგრამ აქვე წამოიჭრება კითხვა: შეიძლება, შერცხვენას სანქციის როლი დაეკისროს ამერიკის მართლმსაჯულებაში? ან არის კი იგი ისეთივე კულტურული მახასიათებელი? ამგვარი კითხვების დასმა უფრო ადვილია, ვიდრე მათზე პასუხის გაცემა, რადგან შედარებით კრიმინოლოგიაში კვლევის გამოცდილება ჯერ კიდევ საკმაოდ მწირია.

### შედარებითი კვლევის იარაღი და წყაროები

პირველი წიგნი სათაურით “შედარებითი კრიმინოლოგია” 1965 წელს გამოიცა. მისი ავტორი, აწ განსვენებული მეცნიერი ჰერმან მანჰიმი, საკუთარ მდიდარ კოს-კულტურულ გამოცდილებას ეყრდნობოდა, მაგრამ შედარებით მეთოდს სრულიად არ შეხებია. დღესდღეობით ამ დარგის მკვლევარებსა და მასწავლებლებს უკვე შეუძლიათ ისარგებლონ უამრავი სხვადასხვა ცნობარით, სახელმძღვანელოთი, მონოგრაფიითა და წიგნის ფორმატით გამოცემული საინფორმაციო მონაცემებით, რომელიც ამ დარგში გაეროს საქმიანობის შედეგებს ასახავს და რომელშიც არსებითი მნიშვნელობა “დანაშაულისა და მართლმსაჯულების შესახებ გლობალურ ანგარიშს” ენიჭება.<sup>14</sup>

### ემპირიული კვლევის პრობლემები

კრიმინოლოგმა, რომელმაც ვერ მოიძია ან ვერ დაეყრდნო შესადარებელ მასალად უნდა წარმართოს კვლევა სხვა პარალელურ დარგში. ამ მხრივ გადასაწყვეტია სამი საკითხი: 1. შესადარებელი პრობლემის დადგენა; 2. საინფორმაციო წყაროს დადგენა; 3. შესადარებლად აღებული ქვეყნებისათვის თანაბრად მორგებული შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევა.

შესადარებელი პრობლემის დადგენა (იდენტიფიკაცია). ნიუ-იორკის უნივერსიტეტის შედარებითი სისხლის სამართლის პროექტის მკვლევარებმა 1960 წელს მოახდინეს დამნაშავეობის გაერცხვების შედარება რამდენიმე კულტურის მაგალითზე. შედეგად აღმოჩნდა, რომ ევროპტეში სამართალდარღვევათა ყველაზე დიდი რაოდენობა რკინიგზაზე იყო ჩადენილი. ამ კითხვას პასუხი ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით გაცვა: გრძელი რკინიგზის ხაზი, რომელიც მდ. ნილოსს გასდევს, იქაური ახალგაზრდობის საყვარელი თავშესაფარია ადგილია. მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები რეჟისორდებოდა როგორც რკინიგზაზე მომხდარი დანაშაულის შემთხვევები და არა როგორც სამართალდარღვევები. ასე რომ, “სარკინიგზო დანაშაულების” შედარება უნდა მოხდეს არასარკინიგზო სამართალდარღვევებთან როგორც ევროპტეში, ისე სხვა შესადარებელ ქვეყნებში.

ინფორმაციის წყაროს დადგენა. არ უნდა მოხდეს ერთი საზოგადოების სოციალური ჯგუფის შედარება სხვა საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ჯგუფთან. ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მათივე ასაკის ამერიკელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები არიან და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით შაიტის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზე. ისმება კითხვა, რომელი ჯგუფები შეიძლება შევადაროთ ისეთ პოპულარულ ობიექტებს, როგორებიცაა: ამერიკული კოლეჯის სტუდენტები, შავი მუსუმი და მცირე ბიზნესში მომუშავე პირები? როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ ჯგუფთა სწორი შერჩევა?

მკვლევარი დარწმუნებით შეიძლება დაეყრდნოს, ვთქვათ, ბელგიის პოლიციის მონაცემებს, მაგრამ საჭკოდ მიიჩნოს მალის, მალაიისა თუ სომხეთის პოლიციის მასალების სანდობა. ასეთ შემთხვევაში შესადარებელი ობიექტის ჩანაცვლება დიდ სიფრთხილესა და პრობლემის ყოველმხრივ გააზრებას მოითხოვს.

შედარებითი კვლევის მეთოდების შერჩევა. კრიმინოლოგი ჯეიმს ფინკენაუერი ამერიკელი და რუსი ახალგაზრდობის სამართლებრივი თუ სხვა ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შესწავლისას დიდ სირთულეებს წააწყდა რუსეთის ადმინისტრაციის

<sup>14</sup> H. Mannheim - Comparative Criminology, Boston, 1965

მხრიდან. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ფინკენაურის თუნდაც ანონიმურად გამოეკითხა ახალგაზრდები მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ. საბჭოთა კულტურა გზას უღობავდა ამგვარ ინიციატივას. პრობლემა გადაიჭრა ახალგაზრდებისათვის მხოლოდ არაპირდაპირი კითხვების დასმით, ეთქვათ: "რამდენად არასწორი იქნებოდა ამა თუ იმ საქციელის ჩადენა?", რასაც მოჰყვებოდა ნახევრად პირდაპირი კითხვები, როგორცაა: "გთვლიან თუ არა ტექნი თანატოლები (მშობლები და ა.შ.) კარგ ბიჭად, ცუდ ბიჭად ან საშუალოდ მათ შორის?" მხოლოდ კომუნიზმის დასასრულს, 1991 წელს შეძლო ფინკენაურმა სამართალდარღვევათა თვითანგარიშის კითხვარის შევსება.

ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული კვლევის უტყუარი მეთოდები, ხოლო სადაც არის, იქ ეჭვის თვალით უყურებენ მას. მაგალითად, როცა პოლიციის ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების გასარკვევად, რომლის კვლევაც ოთხი კულტურის ფარგლებში მიმდინარეობდა, ერთ-ერთი პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს სთხოვეს, გამოეკვლია ჩაეტარებინა აღნიშნული სამსახურის ოფიცერთა შორის, პირველი, რაც მან განაცხადა, იყო: "როგორც ეტყობა ვერ გარკვეულხართ ჩენი პოლიციის მუშაობაში. აქ კითხვებს ჩვენ ვიძლეეთ!"

ბოლოს და ბოლოს იგი დათანხმდა და დაარიგა კითხვარი. როდესაც შედეგები გააანალიზეს, მკვლევარები გაოცდნენ – ყველა პასუხი იდენტური აღმოჩნდა. ეტყობა, მან, ვისაც ეს საქმე მიაჩნდეს, თითოეული კითხვარი განიხილა და "შეამოწმა", რათა დარწმუნებული ყოფილიყო მათ "სისწორეში".<sup>15</sup>

### 3. თეორიათა შემოწმება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიმინოლოგიურ თეორიათა კულტურათაშორისო საფუძველზე შემოწმება კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი გახდა. ჩვენ შეეცებით და განვიხილათ ბოლოდროინდელ ნაშრომებში ჩამოყალიბებულ დანაშაულის მიზეზობრივი განპირობებულობის თანამედროვე თეორიებს. თუმცა, იმთავითვე უნდა ითქვას, კულტურათაშორისო თეორიის შემოწმება უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს.

#### ძირითად თეორიათა ვარგისიანობის საყოველთაოდ აღიარება

შელდონ და ელიანორ გლუკების ნაშრომი "არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების ახსნა" (1950 წ.) გამოკვეყნებისთანავე გააკრიტიკეს მეტისმეტად ეიწრო კულტურული სპეციფიკის გამო, რადგან კვლევები მხოლოდ ამერიკელი ბავშვების მაგალითზე იყო ჩატარებული. ამის საპასუხოდ მეცნიერებმა გლუკების გამოკვლევა ჩაატარეს სხვადასხვა კულტურულ გარემოში – პუერტო-რიკოში, გერმანიაში და იაპონიაში. როგორც თავად გლუკები აღნიშნავენ, "ყველა ამ ნაშრომში გამოკვეთილად წარმოჩნდა ერთი რამ – სხვა მკვლევართა მიერ მათი ნაშრომის სხვა მოდელზე მისადაგების შესაძლებლობა".<sup>16</sup> გლუკების სამართალდარღვევათა პროგნოზირების სისტემის კულტურათაშორისო გამოყენების ვარგისიანობის დამტკიცება ყველაზე ადრეული ემპირიული, შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევების მაგალითებს წარმოადგენს.

მოგვიანებით კრიმინოლოგმა ობი ებემ მიმოიხილა გლიკების ნაშრომები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათი თეორიები ნიჭიერი არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ანალიზისთვისაც გამოდგებოდა. მანვე გამოიკვლია ამერიკაში შემუშავებული ისეთი თეორიების კულტურათაშორისო ვარგისიანობა, როგორცაა სოციალური კონტროლის, კულტურული კონფლიქტის და დიფერენციული ასოციაციების თეორიები. ბოლო რამდენიმე წელია, რაც სხვა მეცნიერებმაც მიმართეს შესაძლებლობის თეორიას, სისხლის სამართლის დანაშაულის სიტუაციურ მახასიათებლებს, რუტინული საქმიანობის თეორიას, დიფერენციული შესაძლებლობის თეორიას, სოციალური კონტროლის და დაძაბულობის

<sup>15</sup> UN, UN Crime prevention and Criminal Justice program: Formulation of Standards and Efforts and They Implementation University of Pennsylvania 1994

<sup>16</sup> G. Mueller M. Gage - The Legal Norms of Delinquency: A Comparative Study. 1969

თეორიებს, და დურკჰეიმის უკანონობის თეორიას. ამ ნაშრომთა უმრავლესობა ცხადყოფს, რომ ყველა ეს თეორია მეტ-ნაკლებად საფუძვლიანია.<sup>17</sup>

#### სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

თანამედროვე პერიოდში კულტურათაშორისო მკვლევარების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ახალმა პიპოთეზამ, რომლის თანახმად მოდერნიზაციისა და ურბანიზაციის პროცესს თან სდევს დამნაშავეობის ზრდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საკითხი – არის თუ არა დამნაშავეობის ზრდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამდევნი მოვლენა. ნაწილი მიიჩნევს, რომ სწრაფ განვითარებას კავშირი აქვს ზოგიერთი სახის, უპირატესად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან. ნაწილი კი აღნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაში ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია სრულიად არ შეხება დამნაშავეობის დონეს. მაგრამ არაკონტროლირებადმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რაც გამოიწვია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ნამდვილად განაპირობა დამნაშავეობის ზრდა. კომპარატივისტი კრიმინოლოგთა დიდი ნაწილი ითვალისწინებს რა განვითარებასა და დამნაშავეობას შორის არსებულ რთული ურთიერთკავშირის მექანიზმს, სიფრთხილით ეკიდება ამ უნივერსალური თეორიული კანონზომიერებების ჩამოყალიბებასა და დადგენას.

#### 4. პრაქტიკული შედეგები

##### გამოცდილების გაზიარება

გლობალიზაციის ზრდასთან ერთად, დანაშაულის პრობლემათა მსგავსებაც იზრდება. ბუნებრივია, რომ კრიმინოლოგმა დასკვნების გამოსატანად უნდა მიმართოს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისას, რომლებმაც რატიონალურ გადაწყვეტილებებს მიაგნეს. მაგალითად, მსოფლიოში გავრცელებულ ნასეამ მდგომარეობაში მანქანის მართვის პრობლემაზე შედარებითი კვლევა ჩატარდა ავსტრალიაში, ნორვეგიასა და აშშ-ში. ორჯერ მოუწყო ცეცხლსასროლი იარაღის კონტროლისადმი მიძღვნილი კვლევა, პირველად 7 ქვეყნის მონაცემები გაანალიზდა, ხოლო მეორედ – 26-ის. სადაზღვევო თაღლითობის საკითხები კი გამოკვლეულ იქნა 8 ქვეყანაში.<sup>18</sup>

რამდენიმე წლის წინ გამართულ სიმპოზიუმზე მოახდინეს ეკოლოგიურ დანაშაულთან ბრძოლის დიფერენციული მეთოდების შედარება აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, იაპონიისა და ტაივანის მაგალითზე. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევები ჩატარდა ისეთი ძალადობრივი დანაშაულების შესასწავლად, როგორცაა ბავშვთა მკვლელობა, მეუღლეთა მკვლელობა, ძალადობა ქალაქებში, მკვლელობა ახალგაზრდა მამაკაცებს შორის. გასული 25 წლის მანძილზე მეტი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრობლემის შედარებით კვლევას.

მნიშვნელოვანი მოცულობის კულტურათაშორისო კვლევა ჩატარებული დანაშაულის კონტროლის სხვადასხვა ასპექტების გასარკვევად. ამ სფეროში არსებული ყველაზე ადრეული ნაშრომი ეძღვნებოდა მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებში პოლიციის ძალაუფლების აღქმის თავიებურებებს 4 ქვეყნის მაგალითზე.

კანონის შემეცნების საკითხი შესწავლილ იქნა 6 კულტურაში და გამოქვეყნდა ნაშრომი, სადაც გაანალიზდა თინეიჯერების მიერ დანაშაულის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აღქმის პრობლემები ორი ქვეყნის მონაცემთა საფუძველზე.

<sup>17</sup> R. Bennett – Routine Activities: A Cross National Assessment of criminology Perspective Social Forces 70 1991

<sup>18</sup> M. Clarke "The control of Insurance Fraud". British Journal of Criminology, 30. 01 1990

კომპარატივები თავიანთ კვლევებში ყურადღებას უთმობენ პოლიციის მიერ წესრიგის დაცვისა და გამოყენებული სანქციების სადავო საკითხებს. ვიქტიმოლოგები განსაკუთრებით აქტიურად აწარმოებენ კულტურათაშორის კვლევებს.<sup>19</sup>

### საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება

შედარებითმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გამოვლენილი დანაშაულობის პრობლემები უმეტესწილად ერთმანეთის მსგავსია. ამიტომ ჩვენი მიზანია სხვა ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ჩამოეყალიბოთ ერთიანი სტრატეგია, რათა დაენერგოს დანაშაულის თავიდან აცილების და კონტროლის ისეთი პროგრამები, რომლებიც ყველას თანაბრად გაუწიეს დახმარებას. ამგვარი ღონისძიებების გატარება აუცილებელია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დანაშაულების წინააღმდეგ. კვლევის გასაადვილებლად ამ დანაშაულებს სამ კატეგორიად ყოფენ:

- ადგილობრივი დანაშაული, რომელიც იწვევს საერთაშორისოს;
- ტრანსნაციონალური დანაშაული;
- საერთაშორისო დანაშაული.

ადგილობრივი დანაშაულის პრობლემები, რომლებიც იწვევს საერთაშორისოს. "თავებადაპარსულთა" ფენომენი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ერთდროულად გამოვლენილი ერთი სახის დანაშაულის თვალსაჩინო მაგალითია. ჯერ-ჯერობით ცოტა რამ არის ცნობილი, თუ რა იწვევს ასეთ ერთდროულ გამოვლინებებს. ერთი კი ცხადია, მასმიდრის საშუალებებითა და ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირით მიღებულმა ცნობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს. ახლა უკვე ინტერნეტიც გარკვეულ როლს ასრულებს იმ ადამიანთა დაახლოებაში, რომლებიც საერთო კრიმინალური მიზნებისათვის იღწვიან. (თუმცა, არც ერთი ეს ფაქტორი არ განუხილავთ 1970-იანი წლების პერიოდში მსოფლიოს რამდენიმე ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ზღვაში ერთდროულად გავრცელებული მეკობრეობის შემთხვევაში, რომელსაც უმეტესწილად უთვისტომო ახალგაზრდა დამნაშაეები ჩადიოდნენ). "თავებადაპარსულები" უმცირესობის წინააღმდეგ ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულის პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია, მათი რიგები თავისთავად მზარდი კონტინენტაშორისი და ინტერკონტინენტური მიგრაციების შედეგად იყვება. მონოთნიკური საზოგადოების შიგნით ახალი ეთნიკური უმცირესობების გამოჩენა ხშირად უმცირესობათა ვიქტიმიზაციით მთავრდება. მოსახლეობის ამ მიგრაციებს შედეგად მოსდევს დანაშაული, რომელსაც მიგრანტები ჩადიან ხშირად მათივე თანამიგრანტების ანდა მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაშასადამე, კრიმინოლოგებმა უნდა მოიძიონ დანაშაულის ახალი ფორმებისა და გავრცელების პრობლემათა გადაჭრის გზები.<sup>20</sup>

ადგილობრივი დანაშაულის პრობლემები, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბს იძენს, სცილდება მხოლოდ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისა და იმ დანაშაულის ფორმებს, რომლებიც კულტურულ კონფლიქტთან და მიგრაციასთან არის ასოცირებული. გასათვალისწინებელია, რომ ნარკოტიკები, რასაც საზღვარგარეთ აწარმოებენ და ადგილობრივად ავრცელებენ, უამრავი ახალი პრობლემის წინაშე გვაყენებს – ერთი რომ, ნარკოტიკების გავრცელება თავისთავად არაკანონიერი ქმედებაა და მეორე, ქუჩის დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მასზე მოდის. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პრობლემათა უდიდესი ნაწილი ეხება პიროვნებებსა და მოვლენებს საზღვარგარეთ და მათზე ჩვენ ვერ ვახერხებთ უშუალო კონტროლის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა ვრცელია და გამოუკვლეველი, დანაშაულებრივ ქმედებათა დიდი ნაწილი, თავისი უცხოური კავშირების

<sup>19</sup> F. McClintock *The comparative Study of Urban Violence* British Journal of Criminology 32 1992

<sup>20</sup> Nylonas *Perception of Police Power*

გათვალისწინებით, მხოლოდ ამ ბოლო დროს სცნეს – “ტრანსნაციონალური დანაშაულის” სახელწოდებით.

ტრანსნაციონალური დანაშაული. კრიმინოლოგები ტერმინს “ტრანსნაციონალური დანაშაული” იყენებენ ისეთი დანაშაულებრივი ქმედების, გარიგებების ან/და მაქინაციების აღსანიშნავად, რომლებიც არდევნიან ერთზე მეტ ქვეყნის კანონებს ან უშუალოდ უცხო ქვეყანაზე ახდენენ გავლენას. არც ინდივიდუალურად, არც სახეობრივად, არც კატეგორიის მიხედვით ჯგუფურად ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაული არ შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილ დადგენილ კატეგორიებსა და განმარტებებს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი გაგზავნილი ბოლო კითხვარებისა და შედეგების შემფასებელი საანგარიშო მოხსენების თანახმად, გაერომ ისტორიაში პირველად დააფიქსირა ტრანსნაციონალური დანაშაულის არსებობა და მისი გავრცელება. გამოვლინდა ტრანსნაციონალური დანაშაულის 18 კატეგორია. თუმცა, დასაშვებია, რომ ყველა ეს ქმედება ერთი იურიდიქციის ფარგლებში და/ან ინდივიდუალური დანაშაულის მიერ იყოს ჩადენილი, მაგრამ მისი ტიპური მახასიათებელია დანაშაულის ჩადენა ტრანსნაციონალური ქმედებების შედეგად და ამასთანავე ორგანიზებული ჯგუფების მიერ.

### 1. ფულის გათვრება.

დანაშაულის ეს კატეგორია სიის სათავეში პირველ ნომრად დგას იმ ძლიერი ზეგავლენის გამო, რომლის მოხდენაც შეუძლია მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. ფულის გათვრება არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ლეგალური სახე მისცეს არაკანონიერი გზით შემენილ კაპიტალს ისე, რომ შემდეგ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოხდეს მისი დაბანდება ლეგიტიმურ ეკონომიკაში. საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს მოქალაქეთა ფინანსური შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არაპატიოსანი გზით: მქვრთამებით, კორუფციით, შავი ბაზრის საქმიანობით, საგადასახადო კანონების გვერდის ავლით ჩატარებული გარიგებებითა და, განსაკუთრებით, კონტრაბანდაში მონაწილეობით არის მიღებული.

ნარკობარონებმა და მათ, ვისაც უკანონო შემოსავლები აქვთ, ფულის გათვრების უამრავი ისეთი სქემა შეიმუშავეს, როგორცაა ფიქტიური უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე დადებული გარიგებები, ოქროს შესყიდვა (უმეტესწილად ეს ე.წ. ოქროს ზოდები ოქროთი დაფარული ტყვიის ზოდებია), ანტიკვარული ნივთებისა და ხელოვნების ნივთების (რეალური თუ ფიქტიური) გაყიდვა; მაგრამ სტანდარტულ მეთოდად რჩება ნაღდი ფულის ქვეყნის გარეთ გატანა (გემებით, თვითმფრინავებით, საბარგო მანქანებით თუ ყალბპირიანი ტრავლებით). ასეთი ფულის დეპოზიტი საზღვარგარეთ, რომელსაც მოჰყვება რიგი საერთაშორისო ტრანსფერები და რომელთა დასასრულს მისი პირველწყაროს მიკვლევა შეუძლებელი ხდება. ჩანს, რომ ფული სუფთაა და ეკონომიკაშიც კანონიერად არის დაბანდებული.

გათვრებული ფულის ნამდვილი ოდენობა უცნობია. ყოველწლიურად დაახლოებით 500 მილიარდ დოლარს ანგარიშობენ. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურმა (განსაკუთრებით დიდი შედეგულის ქვეყნების ფინანსურ გარიგებათა წინააღმდეგ მებრძოლი ოპერატიული სამსახურის მიერ ჩატარებულმა) კვლევამ, ასე თუ ისე, გარკვეული შედეგი გამოიღო.

### 2. ტერორისტული საქმიანობა.

ამერიკელებმა არაფერი იცოდნენ ტერორისტული საქმიანობის საერთაშორისო დაქანდაზე, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათი სამშობლო ხელშეუხებელი რჩებოდა. მაგრამ იმის კალაქდაკვალ, რაც ამერიკელები და ამერიკის ინტერესები თუ შინობა-ნაგებობები საზღვარგარეთ საერთაშორისო ტერორისტთა სამიზნე გახდა, ეს გულუბრყვილო დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. 1993 წლის თებერვალში ახლო აღმოსავლელი ტერორისტების ორგანიზებული ჯგუფის მიერ ნიუ-იორკის მსოფლიო საეაჭრო ცენტრის დაბომბვამ ამერიკელები აიძულა, ყურადღება მიეყურათ თავისი ქვეყნის თავდაცვის საიმედოობაზე.

ასევე მოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ რუსები, როდესაც 2002 წლის ოქტომბერში ჩეჩენმა მებრძოლებმა მოსკოვის თეატრში მძევლად 800 ადამიანი აიყვანეს. სპეციალური

სახელმწიფო სამსახურების მუშაკებმა 41 ტერორისტი გაანადგურეს. ოპერაციას შეეწირა, აგრეთვე, 123 მძევლის სიცოცხლე.

რა თქმა უნდა, ამერიკაში მიმავალი და იქიდან გამოსული საჰაერო ტრანსპორტის ექიტმიზაცია ტერორისტების მიერ ამერიკული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობების დაეიწყების საშუალებას არ იძლევა. საჰაერო ტერორიზმის ყველაზე საშინელი დემონსტრაციაა ალ ქაიდას ტერორისტების მიერ გატაცებული 4 თეთმფრინავით 2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სრული განადგურება და პენტაგონისთვის ზიანის მიყენება, რასაც 3.000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

პრობლემის აქტუალობის ტერორიზმი, გაცილებით უფრო სრულყოფილ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა საერთაშორისო ტერორიზმის თავისებურებათა კვლევა, რაც კანონმდებლობაშიც აისახა.<sup>21</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებებში ნათლად არის გამოკვეთილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები. გაფართოვდა საერთაშორისო სასამართლოსა და პოლიციის ურთიერთთანამშრომლობის საზღვრები. თუმცა, ჯერ კიდევ არ არსებობს საერთაშორისო ტერორისტთა დაბატონების ან/და გასამართლებისათვის საჭირო საერთაშორისო მექანიზმი და კრიმინოლოგები საყოველთაო საჭირობოტო პრობლემათა მხოლოდ თეორიული ახსნითა და განხილვით იფარგლებიან.

### 3. კულტურისა და ხელოვნების ნიმუშთა ქურდობა.

ამ დანაშაულის გაერცვლებას საეკონომიკის შესაძლებელია, მოჰყვეს მთელი კულტურების და ერების კულტურული მემკვიდრეობის გარეშე დატოვება. სამაროვნებისა და მონუმენტური ძეგლების დატაცება ფართონთა დროიდან ხდებოდა, მაგრამ კულტურის ნიმუშებზე მოთხოვნის გაზრდა, ტექნიკის განვითარებამ და ტრანსპორტირების გაადვილებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშთა ქურდობას და საზღვარგარეთ გატანას. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ამ მხრივ არ იყოს დაზარალებული. ყოველ წელს 4-5 მილიარდი დოლარის ნატივი ხელოვნების ნიმუშებს იპარავენ და გასაყიდად გააქვთ საერთაშორისო ბაზარზე. მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 45.000 მოპარული ხელოვნების ნიმუში, რომელსაც ყოველთვიურად 2.000 ერთეული ემატება. კრიმინოლოგები, მცირე გამონაკლისის გარდა, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ მოვლენას, თუმცა, ხელოვნების ინდუსტრია მთელი ძალისხმევით მიიწევეს წინ.

### 4. ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა.

ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა გულისხმობს საფრანზიზო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების საფასურად საავტორო და შემსრულებლების უფლებების ან სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენებას. ამ დანაშაულის ჩადენის ალბათობა დიდია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც შედარებით მოუწესრიგებელი ეკონომიკა აქვთ. მიყენებული ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მწარმოებელი ქვეყნის ეკონომიკაზე. ამერიკის პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემულთა ასოციაციამ დაადგინა კიდევ ერთი სახის ინტელექტუალური ქურდობა, კერძოდ კი პროგრამული უზრუნველყოფის უკანონო გადაწერა. დანაკარგის ოდენობა ამ შემთხვევაში განსაცვიფრებელ ციფრს - 7,5 მილიარდ დოლარს წარმოადგენს წელიწადში. საერთაშორისო შეთანხმების მიუხედავად, საერთაშორისო დანაშაულის ეს კატეგორია გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

### 5. იარაღის უკანონო გადაზიდვა.

ადგილობრივი, რეგიონული თუ კონკრეტული შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად წარმოიქმნება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, წარმოდგენილია იარაღის მწარმოებელთა და მომწოდებელთა საერთაშორისო ქსელის გარეშე. ის ჩრდილოეთის სამყაროა, რომელიც სტატისტიკური შეფასებების მიღმა რჩება. კრიმინოლოგიური ინფორმაცია იარაღით უკანონო ვაჭრობაზეც ძალიან მწირია. მსოფლიოს მასშტაბით ჩადენილ მკვლევლობათა უდიდესი ნაწილის კვალს, პოტენციურად, უკანონო იარაღით ვაჭრობამდე მიყვავართ.

<sup>21</sup> J. Lavin and J. McDevitt - Hate Crimes, NY. Plenum - 1993



იარაღით უკანონო ვაჭრობაში ყველაზე სახიფათოდ არის მიჩნეული ბირთვული ნედლეულის გადაზიდვა. ახლა უკვე ნათელია, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ბირთვული ნედლეული, სუფთა პლუტონიუმის ჩათვლით, მცირე პარტიებად გადაქონდათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ატომური დანადგარებიდან და გასაყიდად სთავაზობდნენ გერმანიას და რუსეთის მოსაზღვრე დასაყვეთის ქვეყნებს.

ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ბირთვული ნედლეულის გატანას შედარებით მცირე ჯგუფები ახორციელებენ, ძირითადად, ინდივიდუალური შემოსავლის მიღების (ან/და დაფინანსებას მოკლებული ყოფილი საბჭოთა ლაბორატორიებისა და მეცნიერების დახმარების) მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მცდელობებს დილემანტიური ხასიათი ჰქონდა – ნედლეულის არც ერთ პარტიას არ მიუღწევია ნამდვილ მყიდველამდე, მიმწოდებელთა უმრავლესობას ამ საქმეში ხელი მოეცა. მიუხედავად ამისა, ბირთვული ნედლეულის რაოდენობა, რისი ამოღებაც მოახერხა სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებამ, არცთუ ისე უმნიშვნელოა. მაგალითად, 1999 წლის სექტემბერში საქართველო-თურქეთის საზღვარზე საქართველოს ხელისუფლებას წარმომადგენლებმა დააკავეს და ამოიღეს 2.2 ფუნტი ურანი-235. ხშირ შემთხვევაში, როგორც ქურდებსა და საქონლის გადაამატანებს, ასევე მთელ საზოგადოებას ემუქრება რადიაციული დასახიების უხილავი საფრთხე. კრიმინოლოგთა გაკვირებას იწვევს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო წრეებში ამ მოვლენებს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, მათ უკვე დაიწყეს თანამშრომლობა ბირთვული ნედლეულის წყაროების გასაკონტროლებლად.

#### 6. თვითმფრინავების გატაცება.

უნდა ითქვას, რომ თვითმფრინავების უკანონო გატაცების წინააღმდეგ მიმართული სისტემა დროულად და ეფექტურად ამოქმედდა. თვითმფრინავთა გატაცების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ინციდენტებს კვლავაც რეგულარული ხასიათი აქვს. ამის ნათელი დადასტურებაა 2001 წლის 11 სექტემბრის საშინელი ტერორისტული აქტი ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში.

თვითმფრინავის გატაცების ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა 1970-80-იან წლებში. მათგან ძალიან მცირე რიცხვი მიეწერებოდა გამოსასყიდის მოთხოვნით ჩადენილს, უმეტესად პოლიტიური მოტივებით იყო ნაკარნახები, ანუ ტიპური ტერორისტული ხასიათი ჰქონდა და ტერორისტულ ორგანიზაციათა ძალის დემონსტრირების მცდელობას წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღელდა, განსაკუთრებით კი დიპლომატები და პოლიტიკოსები, რომელთა გადაადგილება საპაერო ტრანსპორტზე იყო დამოკიდებული, თვითმფრინავთა გატაცებას სწრაფი კონტრეაქცია მოჰყვა – შემუშავდა მთელი რიგი ეფექტური ღონისძიება უსაფრთხოების დასაცავად.

ეს მოვლენა საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული ისეთ საკითხებზე, რიგორცაა: გაშტაცებულთა თავისებურებები, გატაცების მიზეზები, მომეტებული რისკის რეგიონები, სამგზავრო თვითმფრინავები და სხვ., რომელთა ანალიზსაც კონტროლის გაუმჯობესებამდე მივყავართ. სამწუხაროდ, თვითმფრინავების გატაცება დარჩილა ტერორისტთა მიერ მათი ცაში განადგურების ფაქტებმა.

#### 7. საზღვაო მეკობრეობა.

ფაქტობრივად 1970-იან წლებამდე მივიწყებული საზღვაო მეკობრეობა კვლავ ორ ფრონტზე გაჩაღდა მას შემდეგ რაც:

- აშშ-ში დაიწყო ნარკოტიკების კონტრაბანდული შემოტანა დახმარება და ცენტრალური ამერიკიდან პორტებსა თუ ზღვებში მიტაცებული იახტების და თევზსაჭერი გემების საშუალებით, რომელთა მეპატრონეებსა და ეკიპაჟსაც ანადგურებდნენ. მიტაცებული გემების რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა. მას შემდეგ კი, რაც ნარკოვაჭრობა აყვავდა, კონტრაბანდისტებმა ნაყიდი ანდა უკანონოდ დაქირავებული გემების დაქირავება დაიწყეს.

- ლაგოსის, ნიგერიის და მალაკის ვიწრო არხის ყურეში რეიდებსა და რამდენიმე სხვა მსგავს საზღვაო ტრასაზე დუხანაშეგებულ ან/და ნელი სვლით მავალ კომერციულ გემებზე თავდასხმით სარგებლობის შესაძლებლობა ათასობით მარკინალურ ახალგაზრდას იზიდავდა აფრიკიდან, სამხრეთ აზიიდან თუ ლათინური ამერიკიდან. გარკვეულ პერიოდში ასეთი მეკობრეობა, (ხშირად არა საერთაშორისო სამართლის გაკვეთი, ვინაიდან იგი შტატების ტერიტორიულ წყლებში ხდებოდა) მეტისმეტად გახშირდა (1980-იან წლებში ფიქსირდებოდა დღეში ერთი შემთხვევა), მაგრამ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (პარიზი), საერთაშორისო სანაოსნო ბიუროს (ლონდონი), საერთაშორისო სანაოსნო ორგანიზაციის (გაერო) და მთელი რიგი კრიმინოლოგიური კვლევისა და პოლიტიკური საქმიანობის შედეგად მათმა რიცხვმა თანდათანობით იკლო.

პრობლემა მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, მაგრამ იგი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. გემებზე, რომლებიც სახიფათო ზღვებში დაცურავენ, სანაოსნოების მიერ დაწესებული საგანგებო "მეკობრეთა ვახტები". ამ ფარულ ვახტებს იცავენ ეროვნული და რეგიონული სანაოსნო კანონების საზღვრამხედველო სააგენტოები, ხოლო მათ საქმიანობას მონიტორინგს უწევს საერთაშორისო სანაოსნო ბიუროს კულა-ლუმპერის სპეციალური ფილიალი.

#### 8. სატვირთო ავტომანქანების შეიარაღებული ძარცვა.

მოულოდნელი იყო ტრანსნაციონალურ დანაშაულთა სიაში სატვირთო ავტომანქანების შეიარაღებული ძარცვის ჩართვა. ქვეყნის შიგნით სატვირთო ავტომანქანების გატაცება დოკუმენტურად ფორმდება როგორც ქურდობის ან ძარცვის ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკა შეიცვალა. სატვირთო მანქანებით გადაზიდვა აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთში ან/და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიდან ბალტიის ზღვის ქვეყნებში ახლა რეალობაა და გულმოდგინებით საქონლის დიდი ფილის ტრანსნაციონალურ გადაზიდვას. შესაბამისად, ასეთი ტვირთის ხელყოფის შესაძლებლობა პროპორციულად იზრდება.

როგორც ცნობილია, ამ საკითხის შესახებ მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ დააფიქსირა პასუხი გაეროს კითხვარში. მართალია, სამხილი შემთხვევითია, მაგრამ ნათლად მიუთითებს დანაშაულში ორგანიზებულმა ჯგუფების მონაწილეობაზე. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, საზღვრების გახსნის, ორგანიზებულ დანაშაულთა (განსაკუთრებით აღმ. ევროპაში) ზრდისა და, მეორე მხრივ, კრიმინოლოგიური ანალიზის და ფაქტების სიმცირის გამო პრობლემა იზრდება.

#### 9. სადაზღვევო თაღლითობა.

მთელს მსოფლიოში დაზღვევის ინდუსტრია, განსაკუთრებით ხელახალი დაზღვევა და სხვა მეთოდები, დიდ რისკთან და შემოსავლებთან არის დაკავშირებული. ადგილობრივი სადაზღვევო თაღლითობა მსოფლიოს ყველა სხვა დაზღვევასა და დამზღვევებზე ახდენს გავლენას. მიყენებული ზარალი ზუსტად არ არის გამოთვლილი, მაგრამ მხოლოდ აშშ-ითა დასავლეთის დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს აღწევს წელიწადში.<sup>22</sup>

#### 10. კომპიუტერული დანაშაული.

ვინაიდან გლობალური კომპიუტერული ქსელი წარმატებით ემსახურება კანონიერ ვაჭრობას, მთავრობებს, მეკლერებს და ა.შ., საერთაშორისო დანაშაულებამ ინტერნეტშიც შეაღწია; ორგანიზებულმა ჯგუფებმა მისი გამოყენება დაიწყეს კრიმინალური მაქინაციებისა და ექსპლუატაციის მიზნით. კომპიუტერული დანაშაული მიყენებული დანაკარგი წელიწადში 8 მილიარდ დოლარამდე მერყეობს. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ კრიმინოლოგები ცდილობენ კომპიუტერული ქსელის დაცვის უზრუნველყოფას, ამ საკითხებზე ინფორმაცია ჯერ კიდევ მეტისმეტად მწირია.

#### 11. გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი დანაშაული.

XX საუკუნის შუა წლებიდან გარემოს პირობების დაცვის გაკონტროლება ადგილობრივ ხელისუფალთა საქმედ იქცა. გარემოს დაცვის საკითხებზე გაეროს კონგრესის (1972 წ. სტოკჰოლმი) ჩატარებამდე გარემოს განადგურების გლობალური მაჩვენებლები და მისი

<sup>22</sup> High -Tech Art Sleuths Snare Thieves - CJ International, #9, 1993

კონტროლის საჭიროება არაგის არ უღიარებია. მას შემდეგ სამმა ათწლეულმა განვლო და ამ პერიოდში საკმაოდ ბევრი გაკეთდა გარემო პირობებისათვის შექმნილი საფრთხის აღმარების, მისი ოდენობის დადგენის და კონტროლის მექანიზმების შემუშავებისათვის (ხელშეკრულებების, კანონმდებლობის, ულტიმატუმების, ტექნოლოგიის მეშვეობით). ამ მიმართულებით წარმოებული კრიმინოლოგიური კვლევა საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა.

### 12. ადამიანებით ვაჭრობა (თრეფიქინგი).

ადრეულ პერიოდში ადამიანებით ვაჭრობა გულისხმობდა მონებით ვაჭრობას. მართალია, მონებით ვაჭრობა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ადამიანთა თრეფიქინგი სულ უფრო ინტენსიურად ხორციელდება. იგი მოიცავს:

- უკანონო ემიგრანტთა გადაყენება, რაც ხშირად თავიდან მონობით;
- ქალებისა და ბავშვების გადაყენებას პროსტიტუციის მიზნით;
- მიგრირებული არაკვალიფიციური მუშახელის გადაყენებას მონურ პირობებში სამუშაოდ;
- შინამოსამსახურეთა გადაყენებას განვითარებადი ქვეყნებიდან;
- კანონით არასანქცირებულ გასაშვილებელ ბავშვთა გადაყენებას.

პირველ რიგში, კანონმა ადგილებზე უნდა შეუშალოს ხელი ადამიანთა უკანონო თრეფიქინგს. მეორე საკითხია მათზე ზედამხედველობის განხორციელება. პრობლემა სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს, ვინაიდან ჩამორჩენილი მესამე სამყაროდან უამრავი ადამიანი ცდილობს ემიგრირებას შედარებით აყვავებულ ქვეყნებში.

უკანონოდ ემიგრირებული მოსახლეობის ნაკადი თითქმის მთლიანად ორგანიზებული დანაშაულობის კონტროლქვეშ ხედება. ინდუსტრიულ ქვეყნებში ახლად ჩამოსულთა უმრავლესობა უმუშევარია; ისინი ქმნიან ახალ მარგინალურ კლასს, როგორც ექსპლუატირებულს, ასევე დანაშაულისა და უწესრიგობის ხელშემწყობს.

### 13. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა.

თირკმლის პირველი ტრანსპლანტაცია განხორციელდა 1954 წელს, ფილტვისა – 1963 წელს, ხოლო გულის 1967 წელს. ამჟამად ნახევარ მილიონამდე თირკმელია გადაენერგილი. ტრანსპლანტაციური ქირურგია მედიცინის სპეციალიზებული დარგი გახდა და გადასაწვრტი ორგანოებით მომარაგება ახალ, ფართო ინდუსტრიად იქცა. აშშ-ში 69 სტრანსპლანტაციო სააგენტო გაიხსნა, რომელთა საქმიანობის გაკონტროლებასაც ფედერალური თუ ადგილობრივი კანონებით ცდილობენ.

და მაინც, ნებისმიერ მოცემულ მომენტში 35.000 ადამიანი ელოდება ტრანსპლანტაციას. (მათი რიცხვი წელიწადში 14%-ით იზრდება. ამგვარად, მოთხოვნა აჭარბებს მომარაგებას (პოტენციურ დონორთა რიცხვი აშშ-ში 12.000-მდეა). უკანონო ინდუსტრია ამ მომსახურების უზრუნველსაყოფად აღმოცენდა. რეციპიენტები მოთხოვნისთანავე გადააყვით იმ ქვეყანაში, სადაც შეიძლება ორგანოს შექმნა. დონორებს ფაქტიურად კლავენ. მათ რიცხვში ძირითადად ხვდებიან ღარიბი მშობლების შვილები, რომელთაც სწორედ ორგანოების გამო ყიდვიან უკიდურესად დაბალ ფასებში.

### 14. ნარკოტიკების უკანონო გადატანა.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გადატანას მთლიანად ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი აკონტროლებს, რომლის ყოველი რგოლი მჭიდრო ურთიერთკავშირშია როგორც გეოგრაფიულად, ასევე წარმოებისა და მარკეტინგის დონით და ნარკოტიკული ნივთიერების სახეობებით. კრიმინოლოგიური ლიტერატურა, რომელიც ყოველმხრივ აშუქებს ამ მოვლენას, ძალზე ვრცელია, მაგრამ არცთუ სასებით ნათელია პოლიტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით. "ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაერთიანებული კონვენცია" (1961წ.), "კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე" (1971წ.), "გაეროს კონვენცია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გადატანის წინააღმდეგ" (1988წ.) ნარკოტიკებით ვაჭრობის დროული კონტროლის თეორიულად სრულყოფილ საერთაშორისო კანონიერ სტრუქტურას ქმნის. და მაინც, მის გამოყენებას და ზემოქმედებას შემდეგი ნაკლოვანებები ახასიათებს:

- არასაკმარისია ამ პროექტის ზედამხედველობა გაეროს სტრუქტურების მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, ფულადი სახსრების უქონლობის გამო;
- შესაბამისად, დაუფინანსებელია ეროვნული და რეგიონული პროგრამებიც;

- ერები დიდად განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რას ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას (აკრძალვას, რეპრესიებს, კონტროლს, შემწენარებლობას თუ მოლაპარაკებით მიღწეული შეთანხმებების დაცვას);
- ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწარმოებელი ქვეყანა ვაჭრობით მიღებული დიდი საშემოსავლო ბაზის გამო კორუფციაშია ჩაფლული, რაც შესაბამის შემოქმედებას ახდენს ამ პროცესზე;
- მიაკვლევ ქვეყანაში კორუფცია ასევე ახდენს ზეგავლენას კანონის მოქმედებაზე;
- უმეტეს განვითარებად და ახლადრამოყალიბებულ დემოკრატიულ ქვეყნებს ამ ხელშეკრულებათა შესასრულებლად აკლიათ საჭირო საკანონმდებლო და ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის არც ერთ სხვა ფორმას არ მოაქვს ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანური თუ ფინანსური ზარალი, როგორც ნარკოტიკული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობას.

**15. თაღლითური გაკოტრება.**

ვაჭრობის ინტერნაციონალიზაციამ თაღლითური გაკოტრება ლოკალური დანაშაულიდან ტრანსნაციონალურ დანაშაულად აქცია. ამ მოვლენის მასშტაბები უცნობია. მართალია, სამხილი ცოტაა, მაგრამ ნათელია, რომ ორგანიზებულმა დანაშაულობამ ინიციატივის ხელში ჩაგდების შემდეგ შეიძლება გააკოტროს საწარმო, თუ გაკოტრებიდან მიღებული შემოსავალი გადაჯაჭრებს მოსალოდნელ მოგებას. საჭიროება მოითხოვს ქვეყნის შიგნით ზედამხედველობის ღონისძიებათა გაძლიერებას და მათ საერთაშორისო კოორდინირებას.

**16. ლეგალურ ბიზნესში შეღწევა.**

ეს არის ფულის გათვრების ლოგიკური და დროებითი შედეგი, რომლის მთავარი მიზანია გარეგნულად კანონიერი კაპიტალდაბანდება. არსებული ინფორმაცია არ იძლევა ამ მოვლენის არც რაოდენობრივ და არც ხარისხობრივ შეფასებას. მაგრამ, თუ ვა გაეითვალისწინებთ, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობამ 200 მილიარდიდან 500 მილიარდ დოლარამდე უნდა დააბანდოს ბაზარზე, თეორიულად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ის დრო, როდესაც მსოფლიო ეკონომიკას ორგანიზებული დანაშაულობა გააკონტროლებს.<sup>23</sup>

**17. სახელმწიფო მოხელეთა, პარტიულ მუშაკთა და სახელისუფლო**

**ორგანოებში არჩეულ პირთა კორუფცია და მექრთამეობა.**

მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში პარტიულ მუშაკთა მექრთამეობა არ იხჯება, მაგრამ მექრთამეობის ყველა სხვა სახე, რომელიც ამ ქვეპუნქტის სათაურშია თავმოყრილი, აკრძალვულია სისხლის სამართლის კოდექსით. ამ კანონების ცხოვრებაში გატარება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით შეეხება საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებების სფეროს. "საკომისიო", "საკონსულტაციო", ადვოკატთა გასამრჯელოებად შენიღბული მექრთამეობა მსოფლიო ბიზნესის აუცილებელ ხარჯებად იქცა. ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის საყოველთაოდ აღიარებული და მხილებული. ვაჭრები და ინვესტორები ხშირად აცხადებენ, რომ მათი საქმე არ არის გამოსაწორონ ბიზნესი თუ პოლიტიკური ეთიკა იმ ქვეყნებში, რომლებთანაც აწარმოებენ კომერციულ ურთიერთობებს. ახლად დაარსებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "საერთაშორისო გამჭვირვალობა" (ტერლინი) მიზნად დაისახა ძნელად გადასატრეული ამოცანა – საერთაშორისო ბიზნესის ეთიკის კვლევა; მისი მონაპოვარია:

- მექრთამეობის – ქვეყნების მიხედვით ანბანური თანმიმდევრობით შედგენილი – საძიებლის გამოქვეყნება;
- მთავრობებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება თანამდებობის პირთა მექრთამეობის კანონსაწინააღმდეგო ქმედებად აღიარების მიზნით;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, როგორიც არის, მაგალითად, საერთაშორისო სეაჯრო პალატა, თანამშრომლობის გაძლიერება;
- დამოუკიდებელი მაკონტროლებელი მექანიზმების შექმნა.

**18. ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების მიერ ჩადენილი სხვა**

<sup>23</sup> L. Johnston - Policing Plutonium: Policing and Society, 4, 1998

## დანაშაულები.

ეს ნაკრები კატეგორია მთავრობებს აძლევდა იმის შესაძლებლობებს, შეეფასებინათ ის პრობლემები, რომლებიც წინა 17 კატეგორიაში ვერ მოთავსდა. მაგალითად, ის, რომ ჩრდილო ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში აეტომობილთა ქურდობა სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს და მოპარული სატრანსპორტო საშუალებების საზღვარგარეთ გატანა ხდება. ამ საქმიანობას აკონტროლებენ საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები, რაც ზიანს აყენებს არა იმდენად ინდივიდუალურ მფლობელებს, რამდენადაც თითოეული ქვეყნის დაზღვევის ინდუსტრიას.

ტრანსნაციონალური დანაშაულობის ზემოთ დასახელებული 18 კატეგორიის მიმოხილვა თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიდია დანაშაულებრივი საქმიანობის ზეგავლენა კერძო პირებზე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე და თვით მსოფლიოს ეკონომიკაზე. პირებებზე და ინდივიდუალურ კომერციულ საწარმოებს არ შეუძლიათ ამ საშიშროების თავიდან აცილება, ამიტომ ერთა შორის მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებლად იქნება აღიარებული. მაგრამ საერთაშორისო ქმედებას წინ უნდა უძღოდეს ამ საკითხების მეცნიერული შესწავლა. შედარებითმა კრიმინოლოგიურმა კვლევამ, უმეტესწილად, ყურადღება უნდა მიაქროს ტრანსნაციონალურ დანაშაულს.

საერთაშორისო დანაშაული. საერთაშორისო დანაშაულები ერთა თანამშრომლობის მიერ სისხლის სამართლის ხაზით ჩადენილ ყველაზე მძიმე დანაშაულებად არის მიჩნეული და მის წინააღმდეგ ბრძოლა კაცობრიობის საერთაშორისო ინტერესების დაცვას ემსახურება. ეს დანაშაულები გეხედება როგორც წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებულ საერთაშორისო კონვენციებში, ასევე პრეცედენტების შემთხვევაში (ანგლო-ამერიკული საერთო სამართლის მსგავსად). მათ გამოყენებას ცდილობენ იმ ქვეყნების სასამართლოებში, რომლებმაც იგი აღიარეს და თვით საერთაშორისო სასამართლოებში. II მსოფლიო ომის შემდეგ, სამხედრო დამინაშავეთა ტრიბუნალმა სწორედ ასეთ სასამართლოებში გაასამართლა გერმანიისა და იაპონიის ომების სამხედრო დამინაშავენი. 1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ნიდერლანდებში შეიქმნა საერთაშორისო ტრიბუნალი, რომლის მიზანიც იყო იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ სამხედრო დანაშაულთა გამოძიება და განხილვა. ამას დამატებ რუანდაში ჩადენილი გენოციდისთვის ბრალდებულ პირთა სასამართლო. ამ სასამართლოებმა ასეულობით წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბოსნიელი სერბების არმიის შტაბის უფროსი, გენერალი მომირ ტადიკი, რომელიც ავსტრიაში დააპატიმრეს 1999 წლის 24 აგვისტოს. მრავალი სამხედრო დანაშაულში ბრალდებული პირი დაპატიმრების საერთაშორისო ორდერის შიშით კვლავაც ემალება მართლმსაჯულებას.

2002 წლის მაისს ოცნება მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს (ICC – international criminal court) დაარსების თაობაზე რეალობად იქცა, რის შემდეგაც 60-ზე მეტმა სახელმწიფომ მოახდინა შეთანხმების რატიფიცირება. სასამართლო, რომელიც განიხილავს ყველაზე საშიშ დანაშაულებს, ამოქმედდა 1 ივლისს. ICC იქნება უკანასკნელი საფეხური სასამართლო საქმეებისთვის, რომელთა გადაწყვეტასაც კონკრეტული ქვეყნები ვერ შეძლებენ. ახალი საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს იურისდიქცია გაეროცხდება მხოლოდ ძალიან მძიმე საერთაშორისო დანაშაულებზე, როგორცაა: კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, გენოციდი და სამხედრო დანაშაულები. იმდენად, რამდენადაც მსგავსი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იყო ცივი ომის პერიოდში, მსოფლიო ქვეყნების მთავრობებმა 1998 წლის რომის შეხვედრაზე დიდი უმრავლესობით მისცეს ხმა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს დაარსებას. კლინტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, აშშ-მ შეთანხმებას ხელი 2000 წელს მოაწერა. თუმცა, 2002 წლის მაისში, ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, აშშ-მ უარი თქვა აღნიშნული შეთანხმებაში მონაწილეობაზე, ეინადან ის ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რითაც ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციების აღშფოთება გამოიწვია.

იმ მცირე ოდენობით ქვეყნებს შორის, რომელთაც ჯერ არ მოუწერიათ ხელი შეთანხმებაზე, არიან: პაკისტანი, ჩინეთი, ინდოეთი და რამდენიმე პატარა ე.წ. "გარიყული ქვეყანა", რომელიც არ ცნობს საერთაშორისო ნორმებს. ბევრს სახიფათოდ მიაჩნია, რომ ამ ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე სასამართლოს ძალაუფლებას სისუსტე შეეპარება. საერთაშორისო შიშზე სისხლის სამართლის დანაშაულთა გარდა, რომლებზედაც ვრცელდება საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს იურისდიქცია, ყველა სხვა დანაშაულის ფაქტი მხოლოდ ეროვნული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოების გასარჩევია.

საერთაშორისო დანაშაულობათა კოდექსის პროექტში ჩამოთვლილია კაცობრიობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ნუსხა:

- კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული;
- აგრესია (ერთი ქვეყნისა მეორის წინააღმდეგ);
- აგრესიული მუქარა;
- ინტერვენცია (სხვა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში ჩარევა);
- კოლონიური ბატონობა და უცხოელთა სხვა სახის ბატონობა;
- გენოციდი (ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფთა განადგურება);
- აპარტიდი (რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფთა შევიწროება);
- ადამიანის უფლებათა სისტემატური ან მასობრივი ხელყოფა;
- განსაკუთრებით მძიმე სამხედრო დანაშაული;
- დაქირავებულ ჯარისკაცთა სამხედრო სამსახურში აყვანა, გამოყენება, დაფინანსება და წერთნა;
- საერთაშორისო ტერორიზმი;
- ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვა;
- გარემოსადმი განზრახ სერიოზული ზიანის მიყენება.<sup>24</sup>

ჩამოთვლილ დანაშაულებს გამოვლენის მრავალი ფორმა გააჩნია. მაგალითად, "ადამიანის უფლებათა სისტემატურ ან მასობრივ ხელყოფად" შეიძლება შეფასდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოწყობილი ქალთა მასობრივი გაუპატიურება, როგორც ეს მოხდა ბოსნიაში 1992 და 1993 წლებში.

კონვენციამ ჩამოთვლილ საერთაშორისო დანაშაულებს მიუმატა ასევე: ზღვისკვეშა კაბელების გადაჭრა, პროსტიტუციის მიზნით ქალების გადაყვანა("თეთრი მონობა"), თევზჭერასთან დაკავშირებული დანაშაულები. დღესდღეობით საერთაშორისო დანაშაულობის კვლევა მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობს, გამოცემულია მთელი რიგი საყურადღებო ნაშრომი, სადაც გაანალიზებულია პრობლემის არსი და ჩამოყალიბებულია ანგარიშგასაწევი დასკვნები მათი გადაჭრის თაობაზე.

### გლობალიზაცია ეთნიკური დეზინტეგრაციის წინააღმდეგ

კაცობრიობამ XXI საუკუნეში შეაბიჯა. შედარებითი კრიმინოლოგები ახალ ათასწლეულს შემოთვებით უყურებენ. მართალია, გლობალიზაცია ადამიანებს უკეთესი მომავლის იმედს უსახავს, მაგრამ ამავდროულად მას თან სდევს სერიოზული საფრთხე – დანაშაულის ინტერნაციონალიზაცია. შედარებითმა კრიმინოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ტრანსნაციონალური დანაშაულის ახალი ფორმების კვლევაში. მკვლევარებმა შეიძლება იგივე მეთოდები გამოიყენონ, რასაც ადრე იყენებდნენ მკაფიოდ ნაციონალური ანდა ლოკალური ხასიათის დანაშაულთან მიმართებით, მაგრამ ამასთანავე უნდა გააფართონ შედარებითი კრიმინოლოგიის მეცნიერული თვალთახედვა.

<sup>24</sup> Sally Edwards - Environmental crime and criminality NY. Garland 2001

ახალი ათასწლეული დამატებით საფრთხეს ქმნის, რომელიც ბალკანიზაციის ტენდენციიდან გამომდინარეობს. ბალკანიზაცია, გლობალიზაციის საპირისპიროდ, გაულისხმობს ეროვნულ სახელმწიფოთა დაქუცმაცებას ეთნიკურ ერთეულებად. მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვებას, რაც მათ წართმეული ჰქონდათ, როდესაც ისინი მრავალეროვან სახელმწიფოებში შედიოდნენ, როგორებიც იყო სსრკ, იუგოსლავია და ა.შ. ან/და, როდესაც ისინი შეუერთდნენ სხვა ჯგუფებს კოლონიურ ხანაში, როგორც ეს მოხდა აფრიკაში, ან/და, როდესაც გარკვეულმა ისტორიულმა გარემოებებმა განაპირობა მათი გაერთიანება იმპერიაში, ასეთი შემთხვევები გვხვდება დასავლეთ ევროპაში. ხშირად ამ ეთნიკურ ჯგუფებს ის კანონები და ადათ-წესები უნდა დაეცვათ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მათ ბუნებას, ისტორიულ განვითარებას, უარი უნდა ეთქვათ საკუთარ ენასა და კულტურაზე. ამიტომ ახლა ისინი გამალებით ესწრაფვიან თვითგამორკვევას, ტერიტორიების ხელახალ გადანაწილებას და მართლმსაჯულების საკუთარი სისტემის შექმნას. სამწუხაროდ, ბრძოლას თან სდევს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები, სამხედრო დანაშაულები, გენოციდი. ამ კუთხით საერთაშორისო დონეზე მუშაობა კრიმინოლოგებმა და სისხლის სამართლის სპეციალისტებმა მხოლოდ ბოლო ხანებში დაიწყეს.

**შეჯამება.** შედარებითი კრიმინოლოგია, ისტორიული წარსულის ქონის მიუხედავად, ახალგაზრდა მეცნიერებაა და კრიმინოლოგიის ვიწრო მიმართულებას წარმოადგენს. მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, რაც, თავის მხრივ, უკანასკნელი ტექნიკური მიღწევებისა და საერთაშორისო კომერციის კოლოსალური ზრდის შედეგია, შედარებითი სწავლების დანერგვა კრიმინოლოგიაში აუცილებლობად იქცა. კომპარატივისტები მოწოდებულნი არიან, დაეხმარონ ხელისუფლებებს საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებაში.

მოცემულ თავში ჩვენ ვცადეთ შევდგომოდით შედარებითი კრიმინოლოგიის ისტორიის აკლას, განგვემარტა იცა და განგვესაზღვრა მისი მიზნები. ეს მიზნები შესაძლოა ატარებდნენ თეორიულ ხასიათს დანაშაულის ცნობილი კულტურათაშორისო კვლევის თეორიების მსგავსად. მათ შეიძლება ჰქონდეთ პრაქტიკული ღირებულებაც, როგორცაა დანაშაულთან ბრძოლის მისაღები (ადაპტირებადი) სტრატეგიების ან სპეციფიკურ ტრანსნაციონალურ და საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის მეთოდების გამოყენება.

არსებობს გარკვეული მოთხოვნები წარმატებული შედარებითი კვლევის უზრუნველსაყოფად: უცხო ქვეყნების კანონების შესწავლა, მათი სისხლის სამართლის სისტემის ცოდნა, სარწმუნო მონაცემების შეროვნება, შედარებითი კვლევის ჩატარება და, საჭიროების შემთხვევაში, კულტურათაშორისო კვლევის წარმოება.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმეთ სამ ასპექტს, რომელიც სპეციალურ ამოცანებს უყენებს შედარებით კრიმინოლოგიას. ესენია: საერთაშორისო დონეზე ინდუცირებული ლოკალური დანაშაული, ტრანსნაციონალური დანაშაული და საერთაშორისო დანაშაული. მრავალი კვლევაა ჩასატარებელი, სანამ რაიმე პროგრესს შეიძლება მივუღწიოთ აღნიშნულ სამ სფეროში.

შედარებით შესწავლაში ჩაბმული კრიმინოლოგების მიღწევები საფუძველს ქმნის შემდგომი კვლევებისთვის. შედარებითი კრიმინოლოგიის იარაღებმა უნდა გაამართლონ კერძო ეროვნული და გაერთიანებული ერების ზოგიერთი გავრცელებული დანაშაულის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით. გაერთიანებული ერები და მათი ორგანიზაციები აგრძელებენ პრაქტიკულ სამუშაოებს, რათა დაეხმარონ ქვეყნებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო დონეზე.

**ღამატბეზები:**

**BCCI - საერთაშორისო თაღლითობა**

“მასობრივი თაღლითობა”, “მსოფლიო უდიდესი საბანკო კრაზი”, “ეპიკური ფინანსური კრაზი”, - ჟურნალისტებს განსაკუთრებული დღე ჰქონდათ საკრედიტო და საერთაშორისო კომერციული ბანკის (the Bank of Credit and Commerce International - BCCI) საქმიანობის კოლაფსის აღსაწერად, რომელმაც 1991 წლის ივლისში განიცადა წარუმატებლობა. მაგრამ მოდით დავანებოთ თავი ზედსართავ სახელებს და ვისაუბროთ რიცხვებზე:

- პაიკიტანში დაფუძნებული საერთაშორისო საფინანსო დაწესებულება ფლობდა 2 მილიარდ დოლარს, როდესაც არსებობა შეწყვიტა.
- უფროსი რანგის თანამშრომელი დათანხმდა, ეთამაშა მთავარი როლი 1.242 მილიარდი დოლარის ოდენობის თაღლითობაში.
- ათასობით პერსონალურმა და საქმიანმა კრედიტორმა, უკანასკნელი პენის ჩათვლით, დააკრვა თავისი ანაბარი.
- 1991 წელს BCCI-მ თანხმობა განაცხადა, 550 მილიონი დოლარის ჯარიმზე მენაბრებისთვის კომპენსაციის გაცემის დასაწყებად და აშშ-ში საიდუმლო მფლობელობაში მქონე კორპორაციული დაწესებულებების ქონების გადასარჩენად.
- აშშ აწარმოებდა ძიებას, რომელიც წინ უძღოდა ცალკე (თუ მარტოხელა - ქორწინებაში არმყოფი) პიროვნების სამართლებრივ დევნას, რომელსაც ბრალად 20 მილიონიან სკანდალში მონაწილეობა ედებოდა.
- მხოლოდ ინგლისში, BCCI-ის ჰყავდა 1 200 მოსამსახურე პერსონალი, რომელთაც დაკარგეს სამუშაო ადგილები და 45000 მომხმარებელი, რომლებსაც ცხოვრების მანძილზე დაზოგილი თანხები დაეკარგათ, როდესაც ბანკმა კრაზი განიცადა.

ციფრები მართლაც შთამბეჭდავია. რა კანონდარღვევებმა გამოიწვიეს ეს კოლოსალური სკანდალი? აშშ-ში ფედერალური და სახელმწიფო სისხლის სამართლის ბრალდებით BCCI-მ თავი დამნაშავედ სცნო გამოძალდაში, თაღლითობაში და ფულის გათეთრებაში. ცალკე პირები დაადანაშაულეს ფედერალური და სახელმწიფო ბანკების მარეგულირებლისთვის და დეპოზიტორებისთვის თაღლითური სქემის შესახებ ინფორმაციის დაბლოკვაში. ბრიტანეთში ბანკის თანამშრომლების წინააღმდეგ ბრალდება მოცავდა ანგარიშგების დამახინჯებას, არასწორი ინფორმაციის გაცემას, თაღლითობის დაფარვას.

## მკაცრი გაკვეთილი

მაშინ, როდესაც settlement კაპიტალის მობილიზებას ახდენდა რიგ მენაბრთა კომპენსაციის უზრუნველსაყოფად, მათ უმრავლესობას აღარასოდეს უნახავს საკუთარი ფული. ზოგიერთი თვლის, რომ ეს იყო ზარის შემოკერა, რომელმაც გააშიშვლა სამართალდამცავი სისტემის უუნარობა, ეფექტურად ებრძოლოს საერთაშორისო თაღლითობას. საბუთების მოგროვება მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად ძნელია ან განუხორციელებელი. ერთი სასამართლო გარჩევის შემდეგ, აშშ-ში “Chicago Tribune”-ეს მოწინავე სტატიაში შემდეგი კომენტარი გაკეთდა: “საერთაშორისო ფინანსური ხელშეკრულებები შეიძლება იმდენად რთულად და გაუგებრად გაფორმდეს, რომ რეალობა ეფექტურად შეინიღოს”. ერთმა იურისტმა დიდ საერთაშორისო სასამართლო საქმეებზე დაკვირვების შედეგები ფრიად ლაკონურად გამოხატა: “არაეის იჭერენ, უზარმაზარი ფულადი თანხები კი ქრება”.

ინგლისურენოვანი კრიმინოლოგიაში      პერიოდული      ლიტერატურის      ჩამონათვალი      შედარებით

Abstracting Services	საინფორმაციო-საძიებო სისტემები (რეფერირების სამსახური)
Criminal Justice Abstracts Criminology, Penology, and Police Science Abstracts	სამართალდამცავი სისტემის რეფერატი კრიმინოლოგია, პენოლოგია და პოლიციის სამართალი
Periodicals	პერიოდული გამოცემები



1. Advances in Criminological Theory	1. პროგრესული კრიმინოლოგიური თეორია
2. Crime Prevention and Criminal Justice Newsletter (UN)	2. დანაშაულის პრევენცია და სამართალდამცავი სისტემა
3. Criminal Justice international	3. საერთაშორისო სამართალდამცავი სისტემა
4. Criminal Justice – The International Journal of Policy and Practice (2001)	4. სამართალდამცავი სისტემა: საერთაშორისო ჟურნალი, პოლიტიკა და პრაქტიკა
5. Criminal law Forum: An International Journal	5. სისხლის სამართლის ჟურნალი: ეურნალი
6. Dutch Penal Law and Policy	6. პოლანდიის სისხლის სამართალი და პოლიტიკა
7. Euro Criminology	7. ევროპული კრიმინოლოგია
8. European Journal of crime, Criminal Law and Criminal Justice	8. ევროპული ჟურნალი: დანაშაული, სისხლის სამართალი და სამართალდამცავი სისტემა
9. European Journal on Criminal Policy and research	9. ევროპული ჟურნალი: სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა და კვლევები
10. Forensic Science international	10. საერთაშორისო კრიმინალისტური მეცნიერება
11. Forum on Crime and society	11. ჟურნალი: დანაშაული და სამართალი
12. International Annals of Criminology	12. კრიმინოლოგია - საერთაშორისო ანალები
13. International Criminal Justice Review	13. რევიუ: საერთაშორისო სამართალდამცავი
14. International Criminal Police Review	14. საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი რევიუ
15. International Journal of Comparative and Applied Criminal Justice	15. საერთაშორისო შედარებითი და გამოყენებითი სამართალდამცავი სისტემის ჟურნალი
16. International Journal of Law and Psychiatry	16. საერთაშორისო სამართლის და ფსიქიატრიის ჟურნალი
17. International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology	17. საერთაშორისო დამნაშავეების თერაპიისა და შედარებითი კრიმინოლოგიის ჟურნალი
18. International Journal of the Addictions	18. საერთაშორისო ჟურნალი ნარკომანიის წინააღმდეგ
19. International Journal on Drug Policy	19. ნარკოტიკებთან ბრძოლის პოლიტიკის საერთაშორისო ჟურნალი
20. International Review of Victimology	20. საერთაშორისო ვიქტიმოლოგიის რევიუ
21. Japanese Journal of sociological Criminology	21. იაპონური სოციოლოგიური კრიმოლოგიის ჟურნალი
22. Police Practice and Research: An International Journal	22. პოლიტიკა, პრაქტიკა და კვლევა - საერთაშორისო ჟურნალი
23. Studies in Conflict and Terrorism	23. კონფლიქტების და ტერორიზმის კვლევა
24. Studies on Crime and Prevention (Norway)	24. დანაშაულის და პრევენციის კვლევა (ნორვეგია)
25. Terrorism	25. ტერორიზმი
26. UNAFEI Resource Material Series	26. ძალადობა, აგრესია და ტერორიზმი
27. Violence, Aggression and Terrorism	27. ძალადობა და დასარაღებელი
28. Violence and Victims	

1 გაერთიანებული ერების ორგანიზაციები და განყოფილებები: მსოფლიო დანაშაულის პრობლემების გადაწყვეტა

**Center for International Crime Prevention -**  
 ნარკოტიკული საშუალებების კონტროლისა და დანაშაულის პრევენციის სამსახური (გაეროს სამდიონო, ენა, აესტრია) - უპატივებს გაეროს კომისიას დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ და გაეროს კონგრესზე, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება, განიხილავს დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავის მიმართ მოპყრობის საკითხებს; ამხადებს ვრცელ ანგარიშებს, დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს კვლევების ჩატარებას, ტექნიკურ დახმარებას; პასუხისმგებელია გაეროს სტანდარტებისა და დირექტივების გატარებაზე სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში (კრიმინალურ იუსტიციაში). ატარებს სტატისტიკურ კვლევებს მსოფლიო მასშტაბით.

**UNICRI -**  
 გაეროს რეგიონთაშორისო დანაშაულისა და სამართალწარმოების კვლევითი ინსტიტუტი (ტურინი, იტალია) - დანაშაულის თავიდან აცილებისა და კრიმინალური იუსტიციის გაეროს სამდიონოს კვლევითი განყოფილება; პასუხისმგებელია ვრცელი კვლევების წარმოებასა და პუბლიკაციებზე.

**UNAFEI-**  
 დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავის მიმართ მოპყრობის გაეროს აზიისა და

შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტი (ფუშუ, იაპონია) – მომსახურებას უწევს რეგიონს სწავლების, ტექნიკური დახმარების, კვლევებისა და საპუბლიკაციო საქმეში.

**ILANUD-**

დანაშაულის პრევენციისა და დამნაშაის მიმართ მოპყრობის გაეროს ლათინური ამერიკის ინსტიტუტი (სან-ხოხე, კოსტა-რიკა) - მომსახურებას უწევს რეგიონს სწავლების, ტექნიკური დახმარების, კვლევებისა და საპუბლიკაციო საქმეში.

**UNAFRI-**

დანაშაულის პრევენციისა და დამნაშაის მიმართ მოპყრობის გაეროს აფრიკის რეგიონული ინსტიტუტი (კამპალა, უგანდა) - მომსახურებას უწევს რეგიონს სწავლების, ტექნიკური დახმარების, კვლევებისა და საპუბლიკაციო საქმეში.

**HEUNI-**

დანაშაულის პრევენციისა და დამნაშაის მიმართ მოპყრობის ჰელსინკის ევროპული ინსტიტუტი - გაეროს ორგანიზაციის ფილიალი (ჰელსინკი, ფინეთი) – უზრუნველყოფს ურცვლი კვლევების წარმოებას, სწავლებას, ტექნიკურ დახმარებას და სამეცნიერო-საპუბლიკაციო საქმიანობას განვითარებული და განვითარებადი ევროპული ქვეყნების ინტერესებში.

**AIC-**

ავსტრალიის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი (კანბერა, ავსტრალია)- გაეროსთან შეთანხმების საფუძველზე, უზრუნველყოფს სამეცნიერო, საპუბლიკაციო, სასწავლო და ტექნიკურ დახმარებას ოკეანიისთვის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ჩათვლით.

**Arab Security Studies and Training Centre-**

არაბეთის უშიშროების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი (ერ-რიადი, საუდის არაბეთი) – გაეროსთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში უზრუნველყოფს კვლევასა და განმანათლებლო-სასწავლო მომსახურებას, ტექნიკურ დახმარებას, ექვემდებარება საპუბლიკაციო და არაპუბლიკაციო ქვეყნების განვითარებისკენ მიმართულ საქმიანობას.

**International Centre for Criminal Law Reform and Criminal Justice Policy-**

სისხლის სამართლის რეფორმისა და სისხლის სამართლის პოლიციის (სისტემის, პოლიტიკის, სტრატეგიის) (კრიმინალური იუსტიციის (სისტემის, პოლიტიკის, სტრატეგიის) საერთაშორისო ცენტრი (ვენკუერტი, კანადა) – ახლად დაფუძნებულია გაეროსთან შეთანხმების საფუძველზე საკუთარ სფეროში საქმიანობის მომსახურების უზრუნველსაყოფად.

**ISPAC-**

გაეროს დანაშაულის პრევენციისა და კრიმინალური იუსტიციის პროგრამის საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიული საკონსულტაციო სამჭო (მილანი, იტალია) - გაეროსთან შეთანხმების საფუძველზე, უზრუნველყოფს მის საკონსულტაციო მომსახურებას ფაქტებთან და ინფორმაციასთან მიმართებაში ზოგადად და გაეროს მანდატის კომპეტენციაში მყოფ სპეციალურ საკითხებთან დაკავშირებით.

**UNCJIN-**

გაეროს დანაშაულისა და სამართლის საინფორმაციო ქსელი (ოლბანი, ნიუ-იორკის შტატი) – WCJIN-თან (კრიმინალური იუსტიციის მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელთან) (ნიუარკი, ნიუ-ჯერსი) მჭიდრო კავშირში ატარებს, აჯამებს და ავრცელებს კრიმინალური იუსტიციის შესახებ ინფორმაციას და მონაცემებს სრული ელექტრონული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მსოფლიოს მასშტაბით.

**NIJ-**

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტი – გაეროსთან 1995 წელს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, შეუერთდა გაეროს აფილირებული (შვილობრივი) ინსტიტუტების ქსელს, რათა დახმარება გაეწია ნაციონალური კრიმინალური იუსტიციის საკონტროლო სამსახურის, განსაკუთრებით გაეროს თანასაზოგადოების განკარგულებაში მყოფი UNOJUST კომპიუტერული სერვისისთვის თავისი საერთაშორისო ცენტრის მეშვეობით.

**NGOs-**

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები – საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა

საექსპერტო შეფასება სასარგებლო გავრცელების ინიჩ მოიცავენ მრავალ მსხვილ საშუალებას, პროფესიულ და საადვოკატო ჯგუფს, როგორებიცაა:

- სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია;
- საერთაშორისო სისხლის სამართლის და პენიტენციური დაწესებულებები (სპეციალური სტატუსი);
- კრიმინოლოგთა საერთაშორისო საზოგადოება;
- სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოება;
- კრიმინოლოგიურ მეცნიერებათა გაძლიერებული შესწავლის ინსტიტუტი;
- Centro Nazionale di prevenzione e difesa sociale;
- პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაცია;
- პატიმართა დახმარების საერთაშორისო ასოციაცია;
- საერთაშორისო ამნისტია.

**NGO Alliances in Crime Prevention and Criminal Justice-**

დანაშაულის პრევენციისა და კრიმინალური იუსტიციის არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირი - (ნიუ-იორკი, აშშ და ეგვიპტე, ავსტრია) შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების სათავე წარმომადგენლებისგან

**UN agencies -**

შეხებაშია დანაშაულისა და სამართლის სხვადასხვა ასპექტებთან. ეს ორგანიზაციებია:

- ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი (ვენეცია, შვეიცარია);
- UNICEF -გაეროს ბავშვთა ფონდი (ნიუ-იორკი, აშშ)

**The United Nations Centre for International Drug Control-**

ნარკოტიკულ საშუალებებზე (ნარკოტიკებზე) საერთაშორისო ზედამხედველობის გაეროს ცენტრი - შეხებაშია სამკურნალო საშუალებებზე ზედამხედველობის სხვადასხვა საერთაშორისო ასპექტთან და ტოქსიკომანიის პრევენციასთან. პროგრამა მოიცავს:

- ნარკოტიკების განყოფილებას;
- ნარკოტიკებზე ზედამხედველობის საერთაშორისო ბიუროს (განყოფილებას);
- ტოქსიკომანიაზე ზედამხედველობის გაეროს ფონდს

**Regional intergovernmental organizations -**

რეგიონული მთავრობათაშორისო ორგანიზაციები - აქვთ საორგანიზაციო ამოცანები და/ან ახორციელებენ დანაშაულის პრევენციასთან და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ პროგრამებს. ასეთი ორგანიზაციების მაგალითებია:

- ევროსაბჭო;
- ევროკავშირი;
- ამერიკის შტატების ორგანიზაცია;
- აფრიკული კავშირის ორგანიზაცია;
- ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

**სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დომინანტური სისტემები**

რომაული(სამოქალაქო) სამართალი	საერთო სამართალი	სხვა კანონმდებლობები
კანონთა და საპროცესო ამომწურავი, ცალკეული და სისტემატიზირებული კოდექსი, რომელიც იმგვარადაა შედგენილი, რომ განჭვრიტოს და უსასუსოს სამომავლო პრობლემებს.	სამართალი და პროცედურა იმართება კანონების და პრეცედენტების საფუძველზე, რომელსაც სისტემაში მოჰყავს და მართიად აყალიბებს წარსულის გამოცდილებას.	ისლამური სამართალი ანუ შარიათი - ნაწილობრივ ეფუძნება ყურანს, სათავეს იღებს "ღვთის სიტყვიდან"; ეხება მუსლიმის ცხოვრების ყველა ასპექტს;
სამართალი ეფუძნება სამეცნიერო ანალიზს და წარმოდგენილია კონცეპტუალურ დონეზე	სამართალი აირეკლავს პრაქტიკოსთა გამოცდილებას, რომელიც ემყარება სასამართლო გარჩევებს.	ინტერპრეტირებულია სამართალმცოდნეთა მიერ; არგუმენტირებულია ანალოგიების საფუძველზე.
უზენაესი სასამართლოები	უზენაესი სასამართლო	

ახდენენ კანონის ნიუანსების ინტერპრეტირებას	ავითარებს და სრულყოფს კანონს.	
პროცესუალური კმედებებით (სასამართლო გარჩევით) უნდა დადგინდეს სრული სიმართლე	სიმართლის ძიება მკაცრად რეგლამენტირებული დაცვით და მტკიცებულებით-სამართლებრივი ნორმებით.	<i>შეუღლებრივი ანუ ტრიბალური (თემის) სამართალი - იმართება ხანდაზმულთა მიერ. ხშირად არსებობს სამოქალაქო ან ზოგადი სამართლის პარალელურად.</i>
მოსამართლე თავისუფალია ფაქტების მოძიებასა და ინტერპრეტირებაში	Rules of evidence რეგლამენტირებას უკეთებს ფაქტების ძიების პროცესს. მხარეები წარმოადგენენ მტკიცებულებებს.	<i>სოციალისტური სამართალი - არსებითად საერთო სამართალია. სამართლის ნორმები ექვემდებარება სოციალ-პოლიტიკურ კურსს.</i>
სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის აქტიუობა ძალიან დაბალია	ნაფიცი მსაჯულების როლი მნიშვნელოვანია.	<i>შერეული სისტემები - სამოქალაქო და ზოგადი სამართლის ნაზავი; შესაძლოა არსებობდეს პროვინციის ან მთლიანად ქვეყნის შიგნით.</i>
კოდექსის პირველწყარო არ შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამჟამად ის აღიარებულია.	უდანაშაულობის პრეზუმფცია აღიარებულია.	

### საკონტროლო კითხვები

1. ჩამოაყალიბეთ შედარებითი კრიმინოლოგიის ცნება.
2. დაასახელეთ შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის ეტაპები.
3. რას ნიშნავს ტერმინი "თეორიათა შემოწმება"?
4. ჩამოთვალეთ შედარებითი კრიმინოლოგიის პრაქტიკული შედეგები.

## თავი 5. დამნაშავის პიროვნება და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი

### § 1. დამნაშავის პიროვნების ცნება

დამნაშავის პიროვნების შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს დანაშაულობის კვლევაში. პიროვნული მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სხვა მეთოდების გამოყენებით ვერ იქნება ინდენტიფიცი. აქედან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ მოვლენებისა და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.

დამნაშავის პიროვნების შესწავლა ისეთივე მეთოდოლოგიურ საწყისებზე უნდა იყოს აგებული, როგორცზეც - ზოგადად პიროვნების შესწავლა. პიროვნებისა და დამნაშავის პიროვნების ცნებობრივ დახასიათებას შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, დამნაშავის პიროვნება არ წარმოადგენს ისეთ, სრულიად განცალკევებულად მდგომ მოვლენას, რომელსაც ზოგადად ადამიანის პიროვნებასთან კავშირი არ აქვს. დამნაშავის პიროვნებისა და ზოგადად პიროვნების ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია და ისეთ თანაფარდობაში არიან ერთმანეთთან როგორც ნაწილი მთელთან. ამ მიდგომიდან გამომდინარე, პიროვნების დახასიათება დამნაშავის პიროვნების შესწავლისათვის საბაზო ხდება.

დანაშაულის ჩადენის პიროვნული მექანიზმების გაცნობიერებაში კრიმინოლოგია ეფუძნება სოციალური მეცნიერებების, პირველ რიგში, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მონაცემებს. ამიტომ პიროვნების დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმების შესწავლის წარმატება თუ წარუმატებლობა ბევრად არის დამოკიდებული აღნიშნულ მეცნიერებებში პიროვნების პრობლემის გადაჭრის თეორიული მიღწევების დონეზე<sup>1</sup> ამ მეცნიერებათა მიერ ბევრი საკითხის გადაუწყვეტლობა კრიმინოლოგიაშიც ქმნის სათანადო სიძნელეებს. ამის მიუხედავად, დამნაშავის პიროვნების შესწავლას კრიმინოლოგიაში უკვე აქვს თავისი ისტორია, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისიდან აგროვებს ემპირიულ მასალას, ამუშავებს სხვადასხვა ჰიპოთეზებს და დანაშაულებრივი ქცევის ახსნის თეორიებს აყალიბებს.

პირველად დამნაშავის პიროვნების მიმართ ინტერესი XIX საუკუნეში გაჩნდა, როდესაც იმ დროისთვის გაბატონებული სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის სუსტი მხარეები წარმოჩინდა (რეალური ცხოვრების, ცოცხალი ინდივიდის - დანაშაულის ჩამდენი პირის, მისი პიროვნული თვისებების იგნორირება, ადამიანის სამართლებრივი გარანტიების გამყარებიდან გამომდინარე, აქცენტის გადატანა დანაშაულის ფორმალურ-ლოგიკურ კონსტრუქციაზე). წარსულში გაბატონებული და რელიგიურ საწყისზე აგებული სკოლის შემორჩენება დანაშაულზე დეტერმინისტული შეხედულებებისკენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების მაშინდელი წარმატებებით იყო განპირობებული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერება დანაშაულისა და სასჯელის შესახებ დაახლოვებას იწყებს საბუნებისმეტყველო, პირველ რიგში, სამედიცინო ხასიათის

<sup>1</sup> პიროვნების პრობლემა მუშავდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. პიროვნების ყველაზე უფრო ცნობილი თეორიები იყო ჩ. კულის სარკისებული მეს თეორია, რლიფტონის და თ. პარსონის როლის თეორია, დელისონის სტატუსის თეორია, პიკეორისტული თეორია, ზფორიდის ფსიქობიოლოგიური თეორია, რვერენტული ჯგუფის თეორია, განწყობების თეორია და სხვ. პიროვნებას და მისი ქცევის პრობლემას დიდი ყურადღება ეთმობოდა ედიუორკეიშის, მეკბერის, თ. მიხუტანის, რლიფტონის და სხვ. შრომებში. საქართველოში აკადემიკოს დუზნაძის მიერ იყო შემუშავებული პიროვნების ქცევის „განწყობის თეორია“, რომელიც წარმატებით გამოყენებოდა ქართული კრიმინოლოგიის მიერ პიროვნების დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ცნების შემუშავებისას (თ. შავგულიძე და სხვ.).

მეცნიერებებთან, ფართოდ იყენებს მათ მიღწევებს. ასეთმა დაახლოებამ საფუძველი ჩაუყარა სისხლის სამართლის უახლესი მიმდინარეობების სწრაფ განვითარებას. ამ სიახლეებს უნდა გაეფართოებინათ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის მიერ შექმნილი მკაცრი ჩარჩოები და დანაშაულის ჩამდენი პირი თავის ინტერესთა სფეროში, ამჯერად არა როგორც ფუჭი აბსტრაქცია, არამედ როგორც ცოცხალი ადამიანი, მოექციათ.

ბუნებრივია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით კრიმინალისტებმა დაიწყეს ანთროპოლოგიური, ფსიქოპათოლოგიური, ფსიქიატრიული და სოციოლოგიური ცნებებისა და კრიტერიუმების ინტენსიური დანერგვა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. ამ მიმართულებით გარდატეხის მომენტად მიჩნეულია იტალიელი ფსიქიატრის ჩ. ლომბროზოს (1836-1909) წიგნი „დამნაშავე ადამიანი“ (1895წ.), რომელშიც ავტორმა თანმიმდევრულად გადმოსცა დამნაშავეებზე ჩატარებული ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგები. კრიმინალური ანთროპოლოგიის დარგის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანისთვის ავტორი ისტორიაში შევიდა, როგორც ანთროპოლოგიური მიმართულების ფუძემდებელი კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში.

თავის გამოკვლევებში მეცნიერი ცდილობდა, დაემტკიცებინა დამნაშავეების თანდაყოლილი თვისებების კავშირის არსებობა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებთან. შემდგომში ავტორმა ნაწილობრივ შეარბილა თავისი პოზიცია და დანაშაულის დეტერმინანტების რიცხვს სოციალური ფაქტორებიც დაუმატა.

ასეთი დასაწყისის შემდეგ, დამნაშავის პიროვნების, როგორც შესწავლის ძირითადი ობიექტის მიმართ ინტერესის გამოვლენა დაიწყო მედიცინაზე და სოციოლოგიაზე ორიენტირებულმა სხვა მეცნიერებამაც.

განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, მათ აერთიანებდათ საერთო სწრაფვა – დაემტკიცებინათ დანაშაულის განპირობებულობა პიროვნული თავისებურებებით და ამით შესწავლის აქცენტი სასჯელის დანიშვნაზე ორიენტირებულ დანაშაულის ფორმალური იურიდიული მომენტიდან დანაშაულის ჩამდენ პიროვნებაზე გადაეტანათ.

უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში ასეთი მიდგომის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც იქნა, სისხლის სამართალში სასჯელის დაკავშირება არა მხოლოდ დანაშაულთან, არამედ დამნაშავესთანაც დაიწყო. მეორე მხრივ, პიროვნულ თავისებურებებსა და დანაშაულს შორის კავშირის არსებობის აღიარებამ ხელი შეუწყო მეცნიერებს, აქცენტი გაეკეთებინათ მათი შესწავლის აუცილებლობაზე, რაც, თავის მხრივ, საფუძველად პიროვნების კრიმინოგენული ნიშნების კორექციას უნდა დაედოდა. ამასთან ერთად, ამ მიდგომებიდან გაკეთებული ზოგიერთი დასკვნა იმდენად რადიკალური აღმოჩნდა, რომ სისხლის სამართლის საჯიროების თითქმის მთლიანი უარყოფა გამოიწვია. ზემოსხენებულმა მიდგომებმა განაეითარეს შეხედულება ე.წ. „საჭეჭო“ პიროვნებაზე და აღაპარაკდნენ მის მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე ელანამდ, ვიდრე მისი დანაშაულს ჩაიდენდა. ასეთი მიდგომა პრინციპულად მიუღებელი იყო, რადგან სპობდა პიროვნების თავისუფლების ყველა იმ გარანტიას, რომელიც თავის დროზე კლასიკური სკოლის მიერ აღიარებული პრინციპის - „არ არის დანაშაული მასზე კანონში მითითების გარეშე“ („nullum crimen sine lege“) მეშეგობით იყო დამკვიდრებული სისხლის სამართალში და ნულამდე დაჰყავდა მთელი მისი პროგრესული მნიშვნელობა. დროთა განმავლობაში სამედიცინო კუთხით მიდგომა სოციოლოგიურმა მიდგომებმა ჩანაცვლეს და დღესდღეობით ისინი ითვლებიან ყველაზე უფრო მიღებულიად და მეცნიერულად დასაბუთებულად.<sup>2</sup>

თანამედროვე პირობებში, დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლა ემსახურება დანაშაულის პრობლემის შესწავლისადმი კომპლექსური (მრავალდონობრივი)

<sup>2</sup> დანაშაულებრივი ქცევის სხვადასხვა თეორიის დაწერილებითი განხილვა მოცემულია ამ სახელმძღვანელოს სხვა თავში.

მიდგომის უზრუნველყოფას, რაც დანაშაულობის მაკრო და მიკროსოციალურ დონეზე ერთდროულ შესწავლას გულისხმობს.

დამნაშავის პიროვნების შესწავლა მიკროსოციალურ დონეზე ხდება მიკროსოციალურ ჯგუფებში (ოჯახი, სასწავლო და შრომითი კოლექტივი, არაფორმალური ჯგუფები) მათი ფორმირების და ფუნქციონირების პირობებთან ერთიანობაში. ასეთი მიდგომით კრიმინოლოგია ხელს უწყობს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- დამნაშავის პიროვნების ისეთი სოციალური ნიშნების დადგენას და გაანალიზებას, რომლებიც მთლიანობაში განასხვავებენ მას კანონდამჯერე პიროვნების ანალოგიური ნიშნებისგან;
- დამნაშავის პიროვნების შესწავლისადმი დიფერენცირებული მიდგომის უზრუნველყოფას, რომელიც დამნაშავის სხვადასხვა ტიპების გამოყოფის მეშვეობით, უზრუნველყოფს მის უფრო ღრმად შეცნობას;
- ცალკეული დამნაშავის კრიმინოგენული ნიშნების ანალიზს, რომელიც მაქსიმალური ეფექტურობით შეუწყობს ხელს დანაშაულისა და მისი რეციდივის პროფილაქტიკას;
- დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის, როგორც დანაშაულის მოტივაციის გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ურთიერთმოქმედების პროცესის შესწავლას.

დამნაშავის პიროვნების დახასიათება მთლიანობაში ყალიბდება ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორებიცაა დამნაშავის პიროვნების:

- სოციალური სტატუსი;
- რელი (ფუნქცია);
- ზნეობრივ-ფსიქოლოგიური (სამართლებრივი ცნობიერების ჩათვლით) ნიშნები;
- ბიოლოგიური (სქესი, ასაკი, ნერვული სისტემის ტიპი და სხვ.) ნიშნები;
- ემოციურ-ნებელობითი (შერეული ბიოფსიქოლოგიური ბუნების მატარებელი) ნიშნები;
- სისხლისსამართლებრივი ნიშნები.

ბიოგენური ან ფსიქოგენური ბუნების ფაქტორების მნიშვნელობის შეფასების დროს უნდა იყოს აღნიშნული, რომ ამ ფაქტორებს, უმრავლეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მათ არ ძალუძთ უშუალოდ განაპირობონ დანაშაულებრივი ქცევა. ასეთი ფაქტორები ყოველთვის არსებობენ დამნაშავის პიროვნებაში სოციალიზებული სახით. სხვა შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი ხასიათის ქმედების ჩადენის დროს, შეუძლებელი იქნებოდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა.

ამის მიუხედავად, სოციალური ნიშნების დომინირებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუცილებელია დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში ბიოგენური და ფსიქოგენური ბუნების ფაქტორების შესწავლის და მხედველობაში მიღების აუცილებლობის აღიარება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილი პირის ან დამნაშავის მიმართ პროფილაქტიკური და რესოციალური ინციდედუალური მიდგომების განხორციელებისთვის. ასეთი მიდგომა განაპირობებს პიროვნული დეფორმაციების კომპლექსურ დიაგნოსტიკას და მათ კორექციას ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციალური ბუნების ფაქტორების ურთიერთმოქმედების გათვალისწინებით.

დავახსიათოთ დამნაშავის პიროვნების სტრუქტურული ნიშნები დანაშაულის ჩადენის მექანიზმის შესწავლაში მათი დომინირებული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სოციალური სტატუსი ყალიბდება დამნაშავის პიროვნების კლასობრივი, ეროვნული, საგანმანათლებლო, და სხვა სოციალურ-დემოგრაფიული დახასიათების საფუძველზე. დამნაშავის პიროვნების ასეთი დახასიათების დროს

- ხდება დამნაშავის განსაზღვრა, როგორც პიროვნებისა, რომელსაც თავისი ადგილი აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში;
- დგინდება მისი საქმიანობა ცხოვრების ძირითად სფეროებში;
- ხორციელდება ამ საქმიანობის შეფასება საზოგადოების მხრიდან;
- ხდება მისი პიროვნული თვითშეფასების განსაზღვრა.

სტატუსი მიუთითებს პიროვნების მნიშვნელობაზე, მის ავტორიტეტზე და პრესტიჟზე სოციალურ გარემოში. ადგილი შესამჩნევია, რომ თვით სოციალურ სტატუსს შეუძლია დამანაშავეს პიროვნების ჩამოყალიბებაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, მისი თვითშეფასების დაწევა ან ამაღლება. ასეთმა თვითშეფასებამ, ორივე შემთხვევაში, ადამიანს შესაძლოა დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგოს, თუ იგი ამ უკანასკნელს ნორმასთან, საზოგადოებრივ იდეალებთან მიახლოების საშუალებად მიიჩნევს. დანაშაულის ჩადენის ამგვარი ვარიანტი ყველაზე მეტად გავრცელებულია დასავლური ტიპის საზოგადოებაში. იგი სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენშიც.

როლი (ფუნქცია) განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას სხვა ადამიანებთან მრავალმხრივ ურთიერთობებში და სოციალური სტატუსის დინამიურ ასპექტს წარმოადგენს. დამანაშავეების სოციალური როლების შესწავლა გვაძლევს საშუალებას მივიღოთ მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როლი, როგორი ფუნქციები ქონდა დაკისრებული დამანაშავეს, როგორც საზოგადოების, ოჯახის, შრომითი კოლექტივის, არაფორმალური ჯგუფის წევრს, ან კონკრეტული კრიმინალური დაჯგუფების მონაწილეს.

სოციოლოგიაში განასხვავებენ ორი ტიპის როლს – *კონვენციურს* და *პიროვნებათაშორისს*. კონვენციური როლი ადამიანისათვის მინიჭებული შაბლონია, რომლის წარმოჩენასაც მოცემულ სიტუაციაში მისგან სხვა ადამიანები ელოდებიან და მოითხოვენ.

პიროვნებათაშორისი როლები განისაზღვრება ადამიანების ურთიერთობებით. ადამიანებს შორის კონფლიქტები ხშირად მათ მიერ ერთმანეთის როლების არგავების შედეგია. ასეთი მიდგომა კრიმინოლოგიისთვის ფრიალდ მნიშვნელოვანია და მის მიერ გამოიყენება დანაშაულის ჩადენის იმ მექანიზმის განსაზღვრის დროს, რომელსაც საფუძვლად ინტერესთა, კულტურათა კონფლიქტი უდევს.<sup>3</sup>

ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნები (მოთხოვნილება, ინტერესი, ღირებულებრივი ორიენტაციები, განწყობები, მართლშეგნებისათვის დამახასიათებელი ნიშნების ჩათვლით), ამჟღავნებენ დამანაშავეს პიროვნების დამოკიდებულებას სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების, სახელმწიფოს, სამართლებრივი ღირებულებების, ასევე შრომისა და თავისუფლი დროის გატარების ფორმებისა და სხვათა მიმართ. ამ ნიშნების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ და შევიცნოთ დანაშაულის ჩადენისათვის დამახასიათებელი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მასთან პირდაპირ კავშირში მყოფი დამანაშავეს პიროვნების სტრუქტურის მახასიათებლები. მათი საშუალებით პიროვნების სტრუქტურის ყველა სხვა დანარჩენი ელემენტი თავის თავს დანაშაულში ავლენს. ამიტომ კრიმინოლოგიაში სწორედ დამანაშავეს პიროვნების ამ ქვესისტემას ეთმობა ყველაზე დიდი ყურადღება. აქ ძირითად ამოცანად გვესახება აღნიშნული ნიშნების დეფორმაციის ხარისხის გამოვლენა და შეფასება, აგრეთვე მათი შეცვლილი მდგომარეობის აღწერა.

დამანაშავეს პიროვნების ემოციურ-ნებელობითი ნიშნები და სხვა ბიოგენური და ფსიქოგენური ბუნების ფაქტორები (ხასიათი, ტემპერამენტი, ინტელექტი, ასაკობრივ-სქესობრივი ნიშნები და სხვა) კრიმინოლოგიისათვის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან მათში არსებული რიგი დეფორმაციები და გადახრები, სხვა ფაქტორებთან ერთად კომპლექსში, დანაშაულის ჩადენას უწყობენ ხელს. (ამ ფაქტორთა გარკვეულ მნიშვნელობაზე უკვე ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დანაშაულთა უმრავლესობას მამრობითი სქესის წარმომადგენლები ჩადიან). ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების როლი დანაშაულის დეტერმინაციაში შეიძლება გაიზარდოს, თუ ეს ნიშნები ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან (მაგალითად, სუსტი ნებისყოფის პიროვნება, რომელიც აღიქმობიზით არის დაჯავშებული). ცნობილია, რომ პიროვნების ასაკს და სქესს არსებითი კორექტივების შეტანა შეუძლია მის ემოციურ-ნებელობით დახასიათებაში.

<sup>3</sup> კულტურათა კონფლიქტის თეორია, რომელიც კულტურათა შორის კონფლიქტს, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიურ ფაქტორს უყურებდა, დამუშავებული იყო XX საუკუნის შუა წლებში ამერიკელი კრიმინოლოგის თ. სელინის მიერ (1).



მაგრამ აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ გარკვეულ შემთხვევებში აღნიშნული ფაქტორები შემავალებელ გავლენასაც ახდენენ. (მაგალითად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან შედარებით გაცილებით იშვიათად სჩადიან ძალადობრივი ხასიათის დანაშაულს).

სისხლისსამართლებრივი ნიშნები დამნაშავეს ახასიათებენ იმის მიხედვით, თუ რა შეხებაშია ის სისხლის სამართალთან (პიროვნება, რომელსაც ადრე არაერთხელ ჰქონია ჩადენილი დანაშაული, რეციდივისტი, მსჯავრდებული, პირობითი ვადაზე ადრე ჩათავისუფლებული და ა.შ.), ასევე იმის მიხედვითაც, თუ როგორია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დახასიათება (დანაშაულის სახეობა, სიმძიმის ხარისხი, ჩადენის დრო და ადგილი, შემამსუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების არსებობა და ა.შ.). აღნიშნული ნიშნები ხელს უწყობს დამნაშავეს პიროვნების ტიპოლოგიური დახასიათების შექმნას, მის მიმართ გასატარებელი რესოციალიზაციის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებას (რეციდივის ღონის მიხედვით).

დამნაშავეს პიროვნება – საზოგადოებრივი ურთიერთობების პროფექტს წარმოადგენს. ეს ყველასათვის უდავო დებულება ყოველთვის როდი იყო აღიარებული კრიმინოლოგიაში. საუბარია მისი განვითარების ადრინდელ ეტაპებზე, მაშინ არსებულ ბიოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც დანაშაულებრივ ქცევას დამნაშავეს ბიოლოგიური წარმოშობის თვისებებებს (ანთროპოლოგიურს, ქრომოსომულს, ნეიროფიზიოლოგიურს, ფსიქიატრიულს და სხვ.) უკავშირებდნენ. მაგრამ, უკვე მე-XX საუკუნის დასაწყისში, საზოგადოების ინდუსტრიული განვითარების ინტენსიფიკაციის, ქალაქების სწრაფი ზრდის, მოსახლეობის სიმჭიდროვისა და მისი მობილურობის მატების, საზოგადოებრივი (თემური) კონტროლის ტრადიციული ფორმების მსხვერვისა და ადამიანებისთვის უცხო სახელმწიფო კონტროლის დანერგვის პარალელურად, სოციალური პროცესების დანაშაულთან კავშირი უფრო და უფრო მეტად აშკარა ხდებოდა, რის გამოც, ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიურმა თვისებებებმა, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ფაქტორებმა, მეორე პლანზე გადაინაცვლეს.

დამნაშავეს კრიმინოგენური ნიშნების ნებისმიერი ერთობლიობა, უპირველეს ყოვლისა, განაირობებულა დამნაშავეს პიროვნების ჩართვით საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში, როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე მისი ცალკეული სუბმენტის ღონეზე (ოჯახი, სკოლა, შრომითი კოლექტივი, არაფორმალური ურთიერთობების წრე). საზოგადოებაში არსებული პროცესების კავშირი პიროვნების კრიმინოგენური ნიშნების ფორმირებასთან განასაკუთრებულად მკვეთრად გამოვლინდა საქართველოში გარდაბავალ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში ეკოზომიკური კრიზისი მიქინვარებდა და პოლიტიკური დესტაბილიზაცია აღინიშნებოდა.

სწორედ ამ პერიოდში იყო დაფიქსირებული დანაშაულის მკვეთრი ზრდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული საზოგადოებრივი პროცესებით იყო პროვოცირებული. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს საზოგადოებასა და დამნაშავეს პიროვნებას, კონკრეტულ საზოგადოებრივ პროცესებსა და მათ მონაწილეებს შორის მჭიდრო ხასიათის ურთიერთქმედებაზე.<sup>4</sup>

დამნაშავეს პიროვნება დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ პიროვნებისა და საზოგადოების კავშირი არ არის ცალმხრივი. ეს კავშირი ორმხრივ ხასიათს ატარებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მართო საზოგადოება კი არ ახდენს თავის წევრებზე გავლენას, არამედ ეს უკანასკნელიც ზემოქმედებას მასზე. ასეთი ურთიერთკავშირის გათვალისწინება დამნაშავეს წარმოგვიდგენს არა როგორც მხოლოდ საზოგადოების გავლენის ქვეშ მყოფ, გარკვეული სოციალური გარემოს ზემოქმედებით მიღებულ კრიმინოგენური მახასიათებლების მატარებელ პასიურ ობიექტს, არამედ მის აქტიურ გამტარებელს, მის სუბიექტსაც. დამნაშავეს პიროვნება აქტიურად ერევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დანაშაულის ჩადენით საზოგადოებრიობას საფრთხეს

<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ურთიერთქმედებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სწორედ მის საფუძველზე ყალიბდება ნებისმიერი ქვეყნისათვის უნიკალური დანაშაულობის ღონე.

უქმნის. სწორედ ამიტომ ხდება დამნაშავეს პიროვნება კრიმინოლოგიის შესწავლის თვალსაწიერში. მაგრამ, სისხლის სამართალიც ხომ სწორედ იმიტომ ინტერესდება დანაშაულის სუბიექტით, რომ ეს უკანასკნელი დანაშაულის ჩადენის დროს თავის საზოგადოებრივ საშიშროებას ამჟღავნებს?

დამნაშავეს პიროვნების შესწავლისას კრიმინოლოგიური მიდგომის არსი განსხვავდება სისხლისსამართლებრივი მიდგომისაგან იმით, რომ სისხლის სამართალი სასჯელზე ორიენტირებულ დარგს წარმოადგენს. მხოლოდ სასჯელის მეშვეობით ახორციელებს იგი თავის მიზნებს. კრიმინოლოგია კი დანაშაულის პროფილაქტიკაზე ორიენტირებული მეცნიერებაა. იგი დანაშაულის სუბიექტის კრიმინოგენური ხასიათის პროფილური თავისებურებების შესწავლის მეშვეობით, მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების სოციალური მექანიზმის დადგენაზე აკეთებს აქცენტს. ასეთი მიდგომა კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ღირებულებას ავლენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დამნაშავეს პიროვნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც დანაშაულებრივი ქცევის (დანაშაულის) სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ის კრიმინოგენური თვისებები, რომლებიც ერთმანეთთან და, აგრეთვე გარემოს ფაქტორებთან ურთიერთქმედებაში განაპირობებენ მის მიერ დანაშაულის ჩადენას.

## **52. დამნაშავეს პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება და დამნაშავეს ტიპოლოგია**

**1.** დამნაშავეს პიროვნების დემოგრაფიულ ნიშნებს მათი განსხვავებული ბუნების გათვალისწინებით (ბიოგენური, ფსიქოგენური, სოციოგენური), გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ დამნაშავეს პიროვნების დახასიათების დროს. ამ ნიშნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულებრივ ქცევაზე ისინი პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენენ და მათი როლი დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში მეორადია. დანაშაულში თავიანთ გამოხატულებას ისინი კოოპერებენ სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშნებთან. ამის მიუხედავად, ამ ნიშნების არსებობა დამნაშავეს პიროვნების დახასიათების დროს მათ განხილვას და გათვალისწინებას მოითხოვს.

სქესი. დამნაშავეების განაწილება სქესობრივი ნიშნის მიხედვით მოწმობს მამაკაცებში დანაშაულობის უფრო მეტ გავრცელებას ქალებთან შედარებით. საქართველოში სქესის მიხედვით მსჯავრდებულთა პროცენტული შეფარდება, შესაბამისად, 93,5% : 6,5%-ია, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სხვაობა არ არის ერთნაირი ყველა კატეგორიის დანაშაულისთვის. ის უფრო აშკარა ძალადობრივი, აგრეთვე სიმთვრალეში ან ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენის ქვეშ ჩადენილი დანაშაულისთვის და ა.შ. ამასთან ერთად, ეაჭრობაში და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში ჩადენილ დანაშაულებში ქალთა წილი უფრო მნიშვნელოვანია. ბოლო წლების მანძილზე მეტყვევარების მიერ ფიქსირდება ქალთა დანაშაულობის დონის მატება, რაც დანაშაულობის ამ სახის შესწავლას სულ უფრო აქტუალურს ხდის. ქალთა დანაშაულობის და დამნაშავე ქალების პროფილური თავისებურებების გათვალისწინებით ქალთა დანაშაულობა კრიმინოლოგიის ცალკე შესწავლის საგანია.

ასაკი. დანაშაულობის ასაკობრივ ნიშანს შეუძლია მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების (არასრულწლოვნების, ახალგაზრდების, ზრდასრული პირების) კრიმინოგენური აქტივობა გამოავლინოს. გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი კრიმინოგენური აქტივობით გამოირჩევა 18-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი. ბოლო წლების განმავლობაში ამ ჯგუფის წილი მსჯავრდებულების მთლიან რაოდენობაში დაახლოებით 45%-ია (აქედან დამნაშავეების უმეტესს წილი 18-24 წლის ახალგაზრდები შეადგენენ - 60%). შემდეგ მოდის 30-40 წლიანების ჯგუფი - 40%. 50 წლის ზემოთ პირებზე მოდის დანაშაულების 10%, ხოლო არასრულწლოვნებზე - მხოლოდ 5%.

როგორც ეხედავთ, მოსახლეობის ასაკი დანაშაულის ჩადენის სიხშირესთან მჭიდრო კორელაციურ კავშირში იმყოფება. ამის ცოდნა საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა რეგიონში პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზება მოსახლეობის ასაკობრივი

განაწილების გათვალისწინებით მოვახდინოთ, რაც ამ მუშაობას მეტ ეფექტურობას შესძენს.

დამახასიათებელია ისიც, რომ დამნაშავეების ასაკობრივი დახასიათება მჭიდრო კორელაციაში იმყოფება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების შინაარსობრივ დახასიათებასთან. მაგალითად, ე.წ. „ქუჩის დანაშაულს“ (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ხულიგნობა, ავტომანქანების გატაცება), ძირითადად ახალგაზრდები იდენენ, რომლებიც ჯგუფურად მოქმედებენ. დანაშაულის აღნიშნული სახის განსაკუთრებული გავრცელება საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაფიქსირდა. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ამ პერიოდში საქართველოსთვის თავსდამიყვადარი ეკონომიკურ სინდრომების გამო არასრულწლოვნების და ახალგაზრდების დანაშაულობა ძირითადად ანგარებით ან ანგარებით-მალადობრივ ხასიათს ატარებდა, ანდა გამოიხატებოდა დანაშაულებრივ ანგაგუფებებს შორის „საქმის გარჩევაში“, რომლის საფუძველში, საბოლოო ჯამში, მინც ანგარებითი მოტივაცია იღო.

ამ პერიოდში მკვლელობასთან და სხეულის დაზიანებასთან ერთად, დანაშაულებს, რომლებიც მაქალაქეების უფლებებს არსებითად ლახავდნენ, მიეკუთვნებოდა ქურდობა, ძარცვა, ავტომანქანების გატაცება. ამ დანაშაულებს ხშირად ჩადიდნენ მუქარის, დაშურალებულის სიცოცხლისათვის საშიში ზიანის მიყენების ან სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სიცოცხლის მოსობის გზით. თავის მხრივ, ახალგაზრდა პირებს, რომლებიც ეწოდნენ რეკეტს, კონტრაბანდას, იტაცებდნენ ავტოტრანსპორტს, თავისი მფარველები ჰყავდათ სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებს შორის, რომელთა ასაკიც დანაშაულების უშუალო შემსრულებლების ასაკს აღემატებოდა. კორუფციული და თანამდებობრივი, აგრეთვე ბიზნესთან დაკავშირებული დანაშაულობა, (გადასახადებისთვის თავის არიდება და სხვ.) უფრო მრავალფეროვანი ასაკობრივი სტრუქტურით ხასიათდებოდა.

ამ წლებში საქართველოში ფორმირება დაიწყო ორგანიზებულმა დანაშაულმაც, რომელიც ასევე ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავდა. ამასთანავე, ასაკობრივი კრიტერიუმში ხშირად განსაზღვრავდა დანაშაულში როლების განაწილებასაც. ასე მაგალითად, კრიმინალურ სტრუქტურებში გავრთიანებული ახალგაზრდები ძირითადად დანაშაულის უშუალო შემსრულებლებად გვევლინებოდნენ.

არასრულწლოვნების პიროვნულმა თავისებურებებმა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების მახასიათებლებმა განაპირობეს ამ სახის დანაშაულობის ცალკე შესწავლის აუცილებლობა.

განათლების დახასიათება და კლასობრივი კუთვნილება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დამნაშავეების განათლების დონე არ იყო დაბალი. საშუალო განათლების მქონე პირების წილი მსჯავრდებულებში 75%-ს შეადგენდა, ხოლო - არასრული საშუალო განათლების მქონე პირებისა - 12%-ს. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, აქაც მისმა წილმა 12% შეადგინა. როგორ შეიძლება შეფასდეს ეს მონაცემები? ჩვენი აზრით, ასეთი შედეგები მოსახლეობისათვის განათლების მიღების ფორმალურ ხელმისაწვდომობაზე უფრო უნდა მეტყველებდეს, ვიდრე ფაქტობრივი ცოდნის შექმნაზე. ამის გათვალისწინებით, დამნაშავეების განათლების ფაქტობრივი დონე მნიშვნელოვნად დაბალი უნდა იყოს. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ადამიანის ზოგადი კულტურის დონესაც, მაშინ შესაძლებელია დამნაშავეებში შესაბამისი კულტურის არარსებობაც ვივარაუდოთ. ამას უნდა მორწმუნდეს უმაღლესი განათლების წილიც დამნაშავეთა შორის, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, 12%-ს არ აღემატება.

კულტურულ-საგანმანათლებლო დონე, საბოლოო ჯამში, ყოველთვის განსაზღვრავს პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის ცხოვრებისეულ როლს, ღირებულებითი ორიენტიაციის დონეს, მართლშეგნებას. ამ თვალსაზრისით, კანონზომიერია დამნაშავეების შრომითი მოწყობის მონაცემები მათ მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის. აღმოჩნდა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი მსჯავრდებულ პირთა შორის 77%-ს აღწევს. ეს

მდგომარეობა არა მხოლოდ შრომითი მოწყობის ობიექტურ სიძნელეებზე მეტყველებს ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმაზეც, რომ დამნაშავეთა უმრავლესობის ცოდნის დონე (არა მხოლოდ განათლების ხარისხის, არამედ პროფესიული უნარების გათვალისწინებით) არ შეესაბამება მათი შრომითი მოწყობის შესაძლებლობებს.

ამგვარი მდგომარეობა საშიშია იმით, რომ იგი, საბოლოო ჯამში, პიროვნების თვითშეფასების დაქვეითებას უწყობს ხელს, აბოროტებს მას. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრული არაკეთილსამიერ გარემოებების თანაობისა, ადამიანს დანაშაულებრივი გზისკენ უბიძგებს. ასეთი პირობები უფრო ხშირად ძალადობრივი (საყოფაცხოვრებო ძალადობა, ე.წ. „მთერალი“ დანაშაული, ხულიგნური გამოვლინებები) დანაშაულის ჩადენისკენ არიან მიდრეკილნი, რასაც აგრეთვე უმუშევრობისა და მატერიალური ხასიათის სიძნელეებით გამოწვეული ანგარებითი და ანგარებით-ძალადობრივი დანაშაულები ემატება. სოფლიდან ქალაქში სამუშაოს საძებლად ჩამოსვლების სოციალური მოუწყობლობა დაბალ განათლებასა და პროფესიულ მომზადებასთან კომპლექსში მათ ასევე დანაშაულის ჩადენისა და კრიმინალურ ბიზნესში ჩართვისკენ უბიძგებს. დანაშაულებს შორის ბევრია გამოსვლი არაკეთილსამიერად, მოუწყობილი ოჯახებიდან, რომლის წევრებს, აგრეთვე არ გააჩნიათ მაღალი კულტურა და ხშირად დაბალ სოციალურ კლასს მიეკუთვნებიან. ასეთი ოჯახები ერთგვარი საკვები ნიადაგია არასრულწლოვანთა და ახალგაზრდების დანაშაულობისთვის.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ განათლებისა და კულტურის შედარებით დაბალი დონე არ არის დამახასიათებელი დანაშაულობისათვის მთლიანად. კერძოდ, ის არ ახასიათებს კორუფციულ და ზოგიერთ სხვა ტიპის თანამდებობრივ დანაშაულს. ამას გარდა, ეგრეთ წოდებული „ქუჩის დანაშაულობის“ გარემოშიც შეიძლება შევხვდეთ პირებს მაღალი განათლების და ინტელექტუალური განვითარების დონით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემული ფაქტორი დანაშაულობაზე შერჩევითად მოქმედებს, რიგ შემთხვევაში კი, კრიმინოგენური თვალსაზრისით, აბსოლუტურად ნეიტრალურია. ეს გარდასახება გვაფიქრებინებს, რომ დანაშაულობაზე მოქმედ სუბიექტურ ბუნების მქონე დადამწვევტ ფაქტორებს პიროვნების ზნეობრივ-სამართლებრივ სფეროში არსებული დეფორმაციები წარმოადგენენ.

მიგრაციის ფაქტორს დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მსოფლიოში ყველგან ფიქსირდება მიგრანტების გაზრდილი დანაშაულებრივი აქტივობა. ცხოვრების ადგილის შეცვლა ყოველთვის იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანს გააჩნია სოციალური პრობლემები. შემოსავლის წყაროს საძიებლად ადამიანები ერთი ქვეყნიდან მეორეში, სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად გადადიან. ამასთან ერთად, ხშირად მიგრანტებს შორის არიან პირებიც, რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებიან. თავის მხრივ, მიგრანტები შეიძლება ლტოლილები, იძულებით გადაადგილებული პირებიც იყვნენ და ა.შ. სოციალური მოუწყობლობა, ჩვეული გარემოსაგან მოწყვეტა, მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის უქონლობა, არაკვალიფიციური, არაპროფესიული ხასიათის შრომაში ჩაბმა და სხვ. ამ ადამიანებს ხშირად დანაშაულისკენ უბიძგებს. ისინი ადვილად შეიძლება გახდნენ პროფესიული დანაშაულობის ნადავლი, რომელიც წარმატებით იყენებს მათ კრიმინალურ საქმიანობაში.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებენ დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც მიგრანტებისაგან შედგებიან და ეთნიკური პრინციპის საფუძველზე მოქმედებენ. ასე იტყვებოდა „კოზა ნოსტრაც“ – ამერიკის შეერთებულ შტატებში იტალიელი მიგრანტებისაგან შემდგარი დანაშაულებრივი ორგანიზაცია (მაფია). რაც შეეხება ჩვენს თანამემამულეებს, მათაც შეიძლება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის უცხო დაჯგუფებების შექმნა. განსაკუთრებით ფართოდ ასეთმა დაჯგუფებებმა რუსეთში მოიკიდეს ფეხი. ბევრმა მათგანმა მოასწრო, გაუღვიანა კრიმინალური ავტორიტეტი გამხდარიყო და სათანაო ბიზნესსა თუ ავტორიტანსპორტის გატაცებებზე დაეწესებინა კონტროლი. არის მონაცემები ამ ავტორიტეტების საქართველოს მიგნით მოქმედ კრიმინალურ სტრუქტურებთან კავშირის შესახებაც. მეორე მხრივ, საქართველოშიც ფუნქციონირებენ კრიმინალური დაჯგუფებები მარცხინალური წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ მხრივ გამოირჩევა დედაქალაქი - თბილისი, რომელიც

მარკინალებისაგან შემდგარი კრიმინალური დაჯგუფებების თავშეყრისა და ფუნქციონირების ადგილს წარმოადგენს.

დამნაშავის პიროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური სფეროს დეფექტებს (მართლშეგნების ჩათვლით) მიეკუთვნება:

- მოთხოვნილებათა და ინტერესების სფეროს დეფექტები, ამ მოთხოვნილებებისა და ინტერესების შეუსაბამობა მათი დაკმაყოფილების ლეგიტიმურ შესაძლებლობებთან;
- გადახრები თვითშეფასების სფეროში (მე-ს კონცეფციაში), მაღალი ან დაბალი თვითშეფასება;
- მართლშეგნების დეფექტები – როგორც პიროვნების ზნეობრივი სფეროს დეფორმაციების, არაფორმალური ურთიერთობების სამართლებრივ ნორმებზე პრიორიტეტულობის, აგრეთვე ეფექტური სამართლებრივი კონტროლის არარსებობის შედეგი.

ზოგადად, მოთხოვნილებათა და ინტერესთა სფეროს შესწავლის დროს, კრიმინოლოგიაში ყურადღებას ამახვილებენ მის ჩამოუყალიბებლობაზე, დაზიანებაზე, დამნაშავის პიროვნების აღზრდაში დაშვებულ ხარვეზებზე, სოციალურად მისაღები მოთხოვნილებებისა და ინტერესთა დონის (განათლება, ინტელექტუალური განვითარება, პროფესიული ზრდა, ოჯახის შექმნა, ცხოვრებისეული მიზნების მიღწევის ლეგიტიმურ შესაძლებლობებზე ორიენტაცია, სამართლებრივი ღირებულებების პატივისცემა და სხვ.) დაქვეითებაზე, მათ ჩანაცვლებაზე თვითდამკვიდრების ძალადობრივი ფორმებით, მანევრეობით, მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის კრიმინალური გზების ძიებით, ქცევის სამართლებრივი რეგულირების უგულვებლყოფით, პიროვნულ მისწრაფებათა სტრუქტურაში სოციალურად მისაღებ მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე მათი დომინირებით.

სხვათა შორის, უნდა აღენიშნოთ, რომ დამნაშავის პიროვნების ასეთი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური დახასიათება არ არის სტანდარტული დამნაშავეთა ყველა კატეგორიისთვის. ბევრ შემთხვევაში, სახეზეა ამ ხარვეზების არამდგრადობა. მათი გარდაუვალობა სულაც არაა უცილობელი შემთხვევითი არაა, რომ ბევრი კრიმინოლოგი ვერ მოულობს არსებით განსხვავებას დამნაშავეებისა და დანაშაულის არჩამდენი პირების შედარებისას. აქედან გამომდინარე, მეკვლევარები ხშირად მიდიან დასკვნამდე, რომ არ არსებობს რაიმე პიროვნული ნიშნების სისტემა, რომელიც მხოლოდ დამნაშავეებისთვისაა დამახასიათებელი.<sup>5</sup> კრიმინოლოგების აზრით, ძნელია, მოიძებნოს პიროვნება, რომელსაც ერთხელ მაინც არ ჩაუდენია ცხოვრებაში რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება ან დანაშაული. მაგრამ ეს ადამიანები სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლებს გარეთ აღმოჩენილან და ამიტომაც საზოგადოება მათ კანონმორჩილ მოქალაქეებად მიიჩნევს.

მეორე მხრივ, მსჯავრდებულებად ხშირად გვევლინებიან ადამიანები, რომლებმაც დანაშაული მათზე გარკვეული გარემოებების ზეწოლით ჩაიდინეს. ისინი არსებითად არ განსხვავდებიან თავიანთი უფრო იღბლიანი თანამოქალაქეებისაგან, რომლებმაც შეძლეს და თავი დააღწიეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>6</sup>

ამ ჭრილში, კრიმინოლოგიაში სოციოლოგიური მიმართულების დიდ მიღწევად ჩაითვლება ცალკეული პიროვნების და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კრიმინალური ნიშნების ძიების დასრულება და მთელი აქცენტის გადატანა დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების საფუძველზე – პიროვნებასა და საზოგადოებას შორის დარღვეული ურთიერთობების მოქმედების მექანიზმების გამოვლენაზე.

<sup>5</sup> Шнайдер Г. Криминология. 1994. Изд. группа «Прогресс», сс.127, 317; Эдвин М.Шур. Наше преступное общество. М. 1977.с.87.

<sup>6</sup> Бабаев М.М. Духовная культура и преступность. В кн. Влияние социальных условий на преступность. М.1983, с.69 и др..Кудрявцев В.Н.Социальные отклонения. Введение в общую теорию. М.Юр.лит.1984. с.204..

ასეთი პოზიცია ოფიციალურად დაფიქსირდა ქენევაში 1975 წელს გამართულ გაეროს დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობისადმი მიძღვნილ მე-V კონგრესზე. აქ აღინიშნა, რომ დანაშაული შეიძლება ნორმალურმა პიროვნებამაც ჩაიდინოს. დანაშაულთა ძირითად მასას საფუძველად უდევს დანაკრძინაციული გარჩევა, ოსტრაკიზმი, საზოგადოებრივი ზიზღი და სასჯელები, რომლებიც ადამიანის ღირსებას ლახხვენ<sup>7</sup>

დანაშაულის ჩადენისადმი გარკვეული მიდრეკილების არარსებობის დასადასტურებლად შეიძლება გამოიყენონ დანაშაულის ხელმეორედ ჩამდენი პირების რადენობრივი დონეც. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მონაცემებით, მსჯავრდებულთაგან მხოლოდ ყოველი მეათე ხედება ხელმეორედ დანაშაულისათვის გასამართლებულთა შორის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარკვეულ კატეგორიას, ე.წ. ჩვეულ დამნაშაევებს (რეციდივისტებს), პროფესიული დანაშაულობის წარმომადგენლებს, „კანონიერ ქურდებს“, სოციალურად დევარდირებულ ადამიანებს (მაწანწალებს, ლოთებს, ზედამხედველობის გარეშე დარჩენილ მაწანწალა მოზარდებს და ა.შ.) მაინც აღენიშნებათ ის არსებითი დეფორმაციები ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სფეროში, რომლებიც მათგან საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებებს აყალიბებენ.

დამნაშაულის პიროვნების ემოციურ-ნებელობითი სფერო გარკვეულ როლს თამაშობს დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ამ სფეროზე, როგორც დანაშაულის მადეტერმინებელ ფაქტორზე საუბარს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მთლიანობაში უნდა მივიჩნიოთ, რომ თანდაყოლილი, გენეტიკურად განპირობებული ხასიათის ტიპი, ნერვული სისტემა და ტემპერამენტი, რომელიც ადამიანს ფაქტურად განაწყობს დანაშაულის ჩასადენად, არ არსებობს. ემოციურ-ნებელობითი სფეროში გარკვეული ხარვეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს აღმზრდელობით პროცესში, აგრეთვე ალკოჰოლიზმის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმების, ნარკოტიზმის გავლენით და ა.შ., რამაც სხვა არაკეთილსაიმედო პირობებთან კომპლექსში შესაძლოა დანაშაულის პროვოცირება მოახდინოს. ამიტომ, იმის თქმა, რომ ფსიქიკურ ანომალიებს და დანაშაულს შორის არავითარი კავშირი არსებობს, დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების პრობლემის გაუზრალეობა იქნებოდა.

ემოციურ-ნებელობითი სფეროს დანაშაულზე გავლენის განხილვისას საჭიროა ყურადღილოთ ტემპერამენტის, ხასიათის თავისებურებანი, აგრეთვე ინტელექტუალური შესაძლებლობები. ფეთქებადმა ტემპერამენტმა შეიძლება ხელი შეუწყოს პიროვნების თავშეუკავებლობას, მის აგრესიულობას. ძლიერ ხასიათს შეუძლია პიროვნებისაგან დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი შექმნას, განვითარებული ინტელექტი, მშტრქმელებითი უნარი შესაძლოა თადლითობისაკენ მიდრეკილებას დაედოს საფუძველად. ამ უკანასკნელის დასტურად გვევლინება რთული ფინანსური სქემების გამოყენებით დანაშაულების ჩადენის გახშირება, მაგალითად, ფულის გათეთრების ან კომპიუტერული ინტელელოგიების გამოყენების დროს. ამასთან ერთად, სუსტი ტემპერამენტი, დაბალი ინტელექტუალური დონე და უცხო გავლენის ქვეშ მოქცევის მომატებული შესაძლებლობა აადილებს ასეთი ადამიანების დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას.

2. დამნაშაულის პიროვნების დახასიათება არასრული იქნება, თუ არ შევეხებით მისი ტიპოლოგიის (კლასიფიკაციის) საკითხს. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ დამნაშაულის პიროვნების ტიპოლოგიურ დახასიათებაზე, აუცილებელია შევხადეს ის ადგილი, რომელიც მას ზოგადად პიროვნების ტიპოლოგიურ სტრუქტურაში უკავია. სოციოლოგიაში ამ საკითხზე ჯერ არ ჩამოყალიბებულა ერთიანი აზრი, მაგრამ ქვემოთ მოყვანილი ორი კლასიფიკაცია დაგეხმარება დასახული ამოცანის გადაწყვეტაში.

<sup>7</sup> Роль уголовного законодательства, отправления правосудия и других форм общественного контроля в предупреждении преступности. V конгресс ООН. Нью-Йорк.1976, с. 15.

პირველი მიდგომა შემოთავაზებული იყო ამერიკელი კრიმინოლოგის რ. მერტონის მიერ,<sup>8</sup> ის ეფუძნება საზოგადოებრივ მოთხოვნებთან ინდივიდის ადაპტაციის ტიპობრივ განსხვავებებს. ავტორი გამოყოფს სოციალური ადაპტაციის ხუთ შესაძლო სახეს (რომელთაც შესაბამისად პიროვნების ხუთი ტიპი მიესადაგება):

1. *კონფორმიზმი* – საზოგადოებისათვის მისაღები სოციალური ადაპტაციის ისეთი სახეობაა, რომლის დროსაც ინდივიდის ქცევა, როგორც მიზნებთან, ისე მათი დამაკაოფილების კანონიერ ხერხებთან კონფორმიზმით ხასიათდება;
2. *ინოვაცია* – ადაპტაციის ისეთ სახეს წარმოადგენს, როცა ინდივიდისთვის მისაღებია მიზნები, მაგრამ მიუღებელია მათი მიღწევის კანონიერი ხერხები. ასეთი მდგომარეობა დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების წყარო ხდება ხოლმე;
3. *რიტუალიზმის* შემთხვევაში პიროვნება უარს ამბობს მიზანზე, რომლის მიღწევა კანონიერი გზით შეუძლებელია;
4. *რეტრეტიზმი* – როგორც მიზნების, ისე მათი განხორციელების კანონიერი ხერხების უარყოფას წარმოადგენს. ადაპტაციის ეს სახეობა გაერცვლებულია ალკოჰოლიზმით დაავადებულებს, ნარკომანებსა და ზოგ სხვა პირებში, რომლებიც მთლიანად უარყოფენ სოციალურ ღირებულებებს.
5. *ამბოხება* - ადაპტაციის ისეთ სახეობაა, რომლის დროსაც ინდივიდი პროტესტს უცხადებს არსებულ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც კანონით დაშვებულ ფარგლებში კანონიერი მიზნების მიღწევას შეუძლებელს ხდის. ამბოხებაზე დაფუძნებული შეუგუებლობის მაგალითებია ტერორისტული აქტები, აფეთქებები, მასობრივი არეულობები, ძალადობაზე დამყარებული დანაშაულები.

რ. მერტონის კლასიფიკაციის თანახმად, დამნაშავეს პიროვნებას შეესაბამება სოციალური ადაპტაციის მეორე – ინოვაციური და მეხუთე – მემამოხე ტიპი.

სხვა მიდგომა, რომელიც მოწოდებულია რუსი სოციოლოგის მ. რომანენკოს მიერ, ემყარება ქცევის ნორმებიდან გადახრის ტიპების გამოყოფას.<sup>9</sup> ეს ტიპებია:

- *ინოვაციური*, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სულიერი) საქმიანობის ტრადიციული ხერხების, მეთოდებისა და ფორმების უგულებელყოფას. ამგვარი ქცევა მატერიალური და სულიერი ფასეულობების შეცვლით ხელს უწყობს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას;
- *ურვეულყო*, რომელიც ვლინდება ქცევის ექსცენტრულობაში, ექსპანსიურობაში და სხვ. ასეთ ქცევას საზოგადოებისათვის ზიანი არ მოაქვს, მაგრამ განსაზღვრულ შემთხვევებში მორალურ-ფსიქოლოგიური დისკომფორტის წყარო ხდება ხოლმე;
- *არატრადიციული* ქცევა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებების, ტრადიციების, რიტუალების, ნაციონალური ზნე-ჩვეულებების, სტერეოტიპების დარღვევასთან ასოცირდება. ასეთი ქცევა შესაძლოა იყოს კონსტრუქციული და დესტრუქციული, პიროვნების, სახელმწიფოსა და სოციუმის განვითარებაში ითამაშოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური როლი;
- ქცევის ნორმებიდან გადახრის *დევიანტური* ტიპისთვის დამახასიათებელია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების, საზოგადოებაში მიღებული სოციალური სტანდარტების, პრინციპების, მორალის ნორმების რღვევა. დევიანტური ქცევის ყველაზე უფრო საშიშ ფორმებს განეკუთვნება ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, სუიციდიზმი (თვითმკვლელობა), მაწანწალობა, მათხოვრობა;
- კრიმინალური (*დელინქენტური*) ტიპი სამართლის, მათ შორის, სისხლის სამართლის ნორმების დარღვევისკენაა მიდრეკილი.

<sup>8</sup> Мертон Р. Социальная структура и аномия. «Социология преступности» М. 1966, с.229

<sup>9</sup> Романенко М. В. (Москва) Отклоняющееся поведение: некоторые социологические проблемы. Доклад на втором всероссийском социологическом конгрессе. <http://lib.socio.msu.ru/library/?e=4-000-00---0kongress--00-0-0-0prompt-10-4---0-11-1-ru-50---20-about---00031-001-1-0windowsZz-125100&a=d&c=kongress&cl>

ქვეყნის ნორმებიდან გადახრის ზემოდ ჩამოთვლილ სახეებს შესაბამებთ ანალოგიური პიროვნული ტიპები. ასეთი შესაბამობა პიროვნების ტიპობრივ თავისებურებებში უფრო ღრმად გარკვევის და ტიპოლოგიურ სტრუქტურაში პიროვნების კრიმინალური ტიპის ადგილის ძიების საშუალებას იძლევა.

თეორიულად დამნაშავეის ტიპოლოგია შეიძლება აგებული იყოს ნებისმიერი პიროვნული კრიტერიუმის (სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ემოციურ-ნებელობითი, სისხლისსამართლებრივი) საფუძველზე, რა თქმა უნდა, თუ იგი საერთოდ ექვემდებარება კლასიფიკაციას. მაგრამ ასეთი კრიტერიუმის არჩევა პრაქტიკულად ყოველთვის კრიმინოლოგიური კვლევის კონკრეტული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს.

კრიმინოლოგიაში ტრადიციულად მიღებულია დამნაშავეის ის ტიპოლოგია, რომელიც დანაშაულის ჩადენის დომინირებული მოტივაციის, აგრეთვე დამნაშავეის პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ორიენტაციის სიღრმისა და სიმყარის გათვალისწინებით აიკვება.<sup>10</sup> ორივე კრიტერიუმს საკმაოდ ვუქმტურია და დამნაშავეის პიროვნების უფრო ღრმა მეცნიერულად წვდომას უწყობს ხელს.

დომინირებული მოტივაციიდან გამომდინარე, რომელიც დამნაშავეს არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენისკენ, არამედ მისი განხორციელების საშუალების არჩევისკენაც უბიძგებს, დამნაშავეები შეიძლება დაეყოთ შემდეგ ტიპებად:

- მოძალადე დამნაშავეის ტიპი;
- ანგარებით-მოძალადე დამნაშავეის ტიპი;
- დამნაშავეის ანგარებითი ტიპი.

პირველი მათგანი ხასიათდება ძირითადი ცხოვრებისეული ღირებულებებისადმი (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება) ანტინორმატიული, აგრესიული დამოკიდებულებით. ამგვარი პიროვნული ორიენტაციიდან გამომდინარე სწადის ის ძალადობრივ დანაშაულს. კრიმინალური მიდრეკილების გამოყენების სფეროების მიხედვით ასეთი ტიპი შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო ან ქუჩის მოძალადე, რომელიც შურისძიებისა თუ ხელშეწყობის ნიადაგზე იდენს მკვლელობას, სხეულის დაზიანებასა და სხვ. კრიმინოლოგიური გამოკვლევების მონაცემების მიხედვით, მოძალადეები დანაშაულებს ძირითადად იდენენ მთვრალ მდგომარეობაში. სავარაუდოა, რომ თვით სიმთვრალეა ასეთი დამნაშავეისთვის დანაშაულის ჩადენის დამატებითი სტიმული, რადგან მასში მსხვერპლისადმი სიბრალულის უკანასკნელ ნარჩენებსაც აქაწყვლებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ე.წ. ქუჩის მოძალადეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა რეალიზაცია უფრო მეტად ხდება ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა რესტორნები, კაფე-ბარები, დისკოთეკები, სავაჭრო ადგილები, სტადიონები და მომეტებული კონფლიქტურობის მქონე სხვა ადგილები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ, მანიაკი-მკვლელები და სექსუალური მოძალადეები დანაშაულის ჩადენისათვის უფრო მყუდრო ადგილებს (პარკებს, სკვერებს, მიყრუებულ გზისპირებს, ბინებს, აგარაკებს და ა.შ.) იყენებენ.

ანგარებითი მოძალადის ტიპი ხასიათდება ანტინორმატიული, ერთნაირად უპატივცემულო დამოკიდებულებით, როგორც სხვისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ისე საკუთრების მიმართ. მისი ქვეყნის აგრესიულობას აქ ანგარებითი სწრაფვა ემატება, რის გამოც ასეთი პიროვნება ანგარებით-ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაზე მიდის. ეს შეიძლება იყოს ძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალდა, რეკეტი, გამოსყიდვის მიზნით ადამიანების მოტაცება და სხვ.) ანგარებით-მოძალადე დამნაშავეის ტიპი შეძლება ორ ქვეტიპად დაეყოთ.

პირველი - წარმოადგენს ბანალურ ქუჩის მძარცველს. თავისი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის ის იჩივებს განმარტებულ ადგილებს, ცუდად განათებულ ქუჩებსა და შესახვევებს, საცხოვრებელი სახლების საღარბაზოებს, ტაქსებს და ა.შ. ამ ტიპის

<sup>10</sup> Криминология. М. Изд. МГУ, 1994, сс. 110-112



დამნაშავე კრიმინალური ქმედებისთვის წინასწარ ემზადება: არჩევს დანაშაულის ობიექტს (მსხვერპლს), დანაშაულის ჩადენის ადგილს, იარაღს და ა.შ).

მეორე - ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენელია. დამნაშავეს ეს ტიპი ხშირად გამოიყენება, როგორც ძალადობითი დანაშაულის უშუალო შემსრულებელი (შეკვეთილი მკვლელობები, დაშინება, მსხვერპლის ცემა, წამება და ა.შ.). ამ პირთა შორის ხშირად ხვდებიან რთულ მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩენილი ყოფილი სპორტსმენებს. ორგანიზებულ დანაშაულობაში მათი მონაწილეობის მაგალითად შეიძლება დასახელებდეს ყოფილი ვანთქმული სპორტსმენის, წარმოშობით ქართველის, ოთარ კვანტრიშვილის საქმე, რომელიც 90-იან წლებში მის მიერ რუსეთში ორგანიზებული სპორტსმენების სოციალური დაცვის ფონდის მეშვეობით ახორციელებდა წარმატებული ბიზნესმენების რეკესტს.<sup>11</sup>

ცოტა ხნის წინ, საქართველოში თავი იჩინა ანგარებით-ძალადობრივი დანაშაულის ახალმა სახემ - ტრეფიკინგმა. ამ დანაშაულის მსხვერპლნი ძირითადად ქალბიძე ხდებიან, რომლებსაც საზღვარგარეთ სამუშაოდ სურთ წასვლა. დამნაშავეები მათ შრომით მოწყობას პირდებიან, დანიშნულების ადგილზე ჩადწევის შემდეგ კი, თავიანთ მსხვერპლს პროსტიტუციაში ან სხვა სახის მონურ შრომაში აბამენ.

დამნაშავეს ანგარებითი ტიპი მატერიალური ფასეულობების მოპოვების ანგარებით მიზნებს ლეგიტიმური გზების უარყოფით ახორციელებს. ამასთანავე, იგი არ გამოირჩევა აგრესიული ქცევით და სხვის ქონებას ფარულად (ქურდობით) ან მოტყუებით (თაღლითობით) ითვისებს. კრიმინოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, ასეთი ტიპი დამნაშავეთა სამყაროში ყველაზე მეტადაა გაერცელებული და ქვეტიკების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამგვარ მრავალფეროვნებას საფუძვლად მისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს სპეციფიკურობა განაპირობებს. ზემოთქმულის საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი სახის ქვეტიკები:

- *ასოციალური*, მას განეკუთვნებიან „ქუშიური დანაშაულობის“ წარმომადგენლები - მაწანწალები, დეგრადირებული ლოთები, უმუშევრები, ზედამხედველობის გარეშე დაჩინილი მოზარდები, რომელთათვისაც დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითადი დარგები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები - რკინიგზის სადგურები, სკვერები, აგრეთვე ნაგავსაყრელები და მათთან მიმდებარე ტერიტორიები წარმოადგენენ. დასახელებულ ადგილებს ეს პირები ერთდროულად საცხოვრებლადაც იყენებენ;
- *პროფესიული დამნაშავეის ტიპი*, აქ ის პირები იგულისხმებიან, რომლებსთვისაც დანაშაული საქმიანობის ძირითად სფეროდ და არსებობის ერთადერთ წყაროდ იქცა. მათ გააჩნიათ თავიანთი სპეციალიზაცია (ჯიბის ქურდი, ავტომანქანების გამტაცებელი და სხვ.). შესაბამისად აქვთ „სამუშაო ადგილებიც“<sup>12</sup>: ბაზრობები, რკინიგზის სადგურები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი. სხვები თავის საქმიანობას ეწევიან ქუჩაში (ავტოტრანსპორტის გატაცება), დაკავებულნი არიან ნარკოტიკების გაერცელებით ან სუბტერანობით ქურბესა თუ სპეციალურად ამისათვის განკუთხულ ბინებსა და საკუთარ სახლებში;
- *მეწარმე-დამნაშავეის ტიპი*, მას მიეკუთვნებიან ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ ფალსიფიცირებულ პროდუქციას ან ფულის გათეთრებით არიან დაკავებულები;
- *ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს რიგითი დამნაშავე- მუშაკის ტიპი*, იგი სპეციალიზდება კლიენტების ზომაში, წონაში და ა.შ. მოტყუებაზე;
- *თანამდებობრივი დამნაშავეის ტიპი*, მას მიეკუთვნებიან კორუპციული სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებების მოხელეები (სამართალდამცავი სისტემის ყველა დონის მუშაკები მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელების ჩათვლით), აგრეთვე სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც დაკავებულნი არიან სხვისი საკუთრების დატაცებით (მრეწველობის ცალკეული დარგების - ენერგეტიკის, სატყეო, მეტალურგიული და სხვ. ხელმძღვანელები). ამ კატეგორიის დამნაშავეებს თავისი საწყისი კაპიტალი ძირითადად დაგროვილი აქვთ სახელმწიფო საკუთრების

<sup>11</sup> <http://www.galaxy.com.ua/publications/library/advocate/6.htm>

უკანონო პრივატიზაციაში მონაწილეობით, აგრეთვე უკონტროლობის ფონზე, სახელმწიფო ქონების (ხე-ტყის მასალა, ენერგორესურსები, მოწყობილობი, მეტალები და ა.შ.) დატაცებით, რამაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია.

- *ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი-დამნაშაის ტიპი*, ამ დანაშაულებრივი ტიპის ფორმირება ხორციელდებოდა პოსტსაბჭოურ სიერცეში გასული საუკუნის 90-იან წლებში. ყველაზე დიდი გავრცელება მან ჰპოვა რუსეთში. ამ პერიოდში ასეთ ტიპებს შორის შეიძლება ითვალოს როგორც პროფესიული დამნაშაეების, ისე გავლენიანი პოლიტიკოსების, შოუ-ბიზნესის ცნობილი მოღვაწეების, გამოჩენილი სპორტსმენების და ა.შ. ნახვა. დამნაშაის მოცემული ტიპის დამახასიათებელ თვისებად იყვებოდა მისი კორუფციული კავშირები ცნობილ ბიზნესმენტთან, პოლიტიკოსებთან თუ ბანკირებთან. მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა სათამაშო ბიზნესი, იარაღთ, ნარკოტიკებით ვაჭრობა, სხვადასხვა სახეობის საქონლის კონტრაბანდა და სხვ.

დამნაშაის დამოუკიდებელ ტიპად უნდა ვიღიაროთ *პოლიტიკური დამნაშაის ტიპი*. ის თავის რიგებში აერთიანებს მებაზობეებს, ტერორისტებს, მასობრივი არეულობების ორგანიზატორებს. მათ შორის გვხვდება ქარიზმატული პიროვნებები, რომლებიც მისიწრაფიან პოლიტიკური ლიდერობისკენ, აგრეთვე ნაკლებად ამბიციური პირებიც, რომლებიც პოლიტიკური ტერორის გზას დაადგენ ანგაბების, ცრუ პატრიოტიზმის ან სხვა პირადი ხასიათის მიზეზთა გამო.

დამნაშაის ეს ტიპი ყველაზე უფრო საშიშია საზოგადოებისთვის, რადგან გამოირჩევა ფანატიკური დამოკიდებულებით არა მხოლოდ თავისი პოლიტიკური არჩევანის, არამედ ხელისუფლებისათვის ბრძოლის საზოგადოებრივად საშიში ხერხების მიმართაც. უნდა ითქვას, რომ საქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდში, აგრეთვე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აგრესიული სეპარატისტული რეჟიმების აღმოცენების დროს მსგავსი დამაშაეების მომრავლება იყო შემჩნეული. ქვეყანას დღესაც უჭირს იმ შიდაპოლიტიკური, საგარეო თუ ეკონომიკური დანაკლისის აღდგენა, რომელიც მას ამ ტიპის დამნაშაეებმა მიაყენეს.

დამნაშაის ტიპების მრავალფეროვნება განაპირობებს მათი დანაშაულის პროფილაქტიკის თავისებულებების არაერთგვაროვნებასაც.

ანტისაზოგადოებრივი ორიენტაციის სიღრმისა და სიმყარის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყვით დამნაშაის ორი ტიპი:<sup>12</sup> *მყარი კრიმინალური ტიპი* და *სიტუაციური კრიმინალური ტიპი*.

პირველი მათგანისთვის დამახასიათებელია დანაშაულის ჩადენის სიტუაციის სისტემატური ძებნა და მისი ხელოვნურად შექმნა. ასეთი პირები, ძირითადად, ხასიათდებიან მომეტებულად საფრთხის მქონე დანაშაულების ჩადენით. მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და მომზადების დონე. ისინი, როგორც წესი, არიან პროფესიული დამნაშაეები, რეციდივისტები და ისეთი ადამიანები, რომლებსაც დაკარგული აქვთ გისოსებს გარეთ პატიოსანი ცხოვრების ჩვევა.

ამასთან, ამ ტიპის წარმომადგენლებად გვევლინებიან სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე მაღალი თანამდებობის პირები, ბიზნეს-საქმიანობით დაკავებული ადამიანები (მაგალითად, ბანკის თანამშრომლები, რომლებიც ფულის გათფორებით და სხვა უკანონო ოპერაციებით საზრდოობენ, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკები, რომლებიც სისტემატურად ატყუებენ კლიენტებს და ა.შ.). იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიშია მათი დანაშაულებრივი საქმიანობა საზოგადოებისათვის, ხდება ამ საქმიანობაზე რეაგირების ზომების დიფერენცირებაც.

<sup>12</sup>ზოგერთი ავტორი უფრო დიფერენცირებულ მიდგომასაც იყენებს

დამანაშავის მეორე ტიპისთვის (სიტუაციური კრიმინალური ტიპი) დამახასიათებელია პიროვნებაზე სიტუაციის დომინირება, ამ უკანასკნელის მაპროეოცირებელი როლი დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის. დანაშაული ასეთი პირის ცხოვრებაში მხოლოდ ეპიზოდია და არა ცხოვრების წესი. ჩვეულებრივად, დანაშაულს ისინი აფექტის მდგომარეობაში სწადიან. კრიმინალური ქმედების მიწვევი შეიძლება განხდეს ცხოვრების მძიმე პირობები (მაგალითად, ახლო ადამიანის ავადმყოფობა, რომელიც დაკავშირებულია მკურნალობაზე სახსრების მოძიების აუცილებლობასთან) და სხვ.

სიტუაციური კრიმინალური ტიპის მიმართ სასურველია გატარდეს ისეთი სისხლისსამართლებრივი ზომები, რომლებიც არ უკავშირდებიან თავისუფლების აღკვეთას.

სიტუაციურ კრიმინალურ ტიპს შეიძლება მიეკუთვნოთ გაუფრთხილებელი დამანაშავეც, რომელიც ხასიათდება საზოგადოებაში დაწესებული ქცევის ნორმებისადმი ქარაფშუტული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. ნორმათა იგნორირება ამშუთიერი უპირატესობისა ან სარგებლის მოპოვების სურვილითაა ნაკარნახევი. გაუფრთხილებელი დამანაშავის ტიპის შესწავლას ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ეინაიდან მკვეთრად იზრდება მომეტებული საფრთხის მქონე მექანიზმების როლი, რაც თავის მხრივ, გაუფრთხილებელი დანაშაულის პროეოცირებას უწყობს ხელს.

გაუფრთხილებელი დამანაშავის საქმიანობის სფერო ძალზე დიდია. მათ შორის გამოიყოფა:

- მომეტებული საფრთხის მქონე სხვადასხვა მექანიზმის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საქმიანობა სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ჩათვლით, რომელზეც გაუფრთხილებელი დანაშაულის ძირითადი წილი მოდის;
- სამშენებლო, სამთო საქმიანობა;
- ენერგომატარებლების ტრანსპორტირება;
- სამრეწველო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან;
- საყოფაცხოვრებო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებით;
- მედიკამენტების წარმოება და რეალიზაცია;
- ადამიანების მკურნალობა.

გაუფრთხილებელი დამანაშავის პიროვნებისა და მის მიერ დანაშაულის ჩადენის მაპროეოცირებელი სიტუაციების შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტი მდგომარეობები შევარჩიოთ ამ ტიპის დამანაშავის პიროვნული ნიშნების კორექციისა და დანაშაულის პროფილაქტიკის კუთხით.

დამანაშავის პიროვნებისადმი ტიპოლოგიური მიდგომა და მისი ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ დამანაშავის პიროვნულ თვისებებს, არამედ დანაშაულის ჩადენის სიტუაციასთან მისი ურთიერთობის ხასიათს და დანაშაულებრივი საქმიანობის სფეროს, საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ დანაშაულობის პროფილაქტიკისა და დამანაშავეების რესოციალიზაციის ეფექტურობა.

### §3. დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი და მისი მოტივაციის ფაქტორები

დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ქვეშ იგულისხმება შინაგანი (სუბიექტური) და გარეგანი (ობიექტური) ფაქტორების ურთიერთქმედება, რომლის შედეგადაც ხდება დანაშაულის მოტივის ფორმირება, მიიღება დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და გამომუშავდება შესაბამისი განწყობა მის განხორციელებაზე. რადგანაც აღნიშნულ ფაქტორთა ჯგუფი უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ფორმირებაში, შესაძლებელია მასზე, როგორც მოტივაციურ ფაქტორთა ჯგუფზე ვილაპარაკოთ.

სუბიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება - მოთხოვნილება (ინტერესი), შესაძლებლობა, „მე-ს“ კონცეფცია, ზნეობრივი და სამართლებრივი ცნობიერება (მართლშეგნება).

ობიექტური ფაქტორებია მოთხოვნების ობიექტი, დანაშაულის ჩადენის სიტუაცია, საზოგადოებრივი აზრი და სამართლებრივი კონტროლი.

სუბიექტური ფაქტორები პიროვნების მიერ აღიქმება, როგორც „მე მინდა-ს“ განცდა, ხოლო ობიექტური ფაქტორები ადამიანში ვალდებულების გრძნობას ააქტივებენ („მე ვალდებული ვარ“). ამ ბრძოლაში გარკვეული კორპეციის შეტანა შეუძლიათ პიროვნების ემოციურ-ნებელობით ნიშნებს, რომლებიც, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ან დანაშაულის ჩადენის პროვოცირებას ახდენენ ან, პირიქით, მის თავიდან აცილებას უწყობენ ხელს.<sup>13</sup> დავახასიათოთ აღნიშნული ფაქტორები უფრო დავწერილებით.

### *მოთხოვნისლება*

მოთხოვნისლება ადამიანის სოციალური აქტიუობის ძირითადი მამოძრავებელი წყაროა. ადამიანურ მოთხოვნისლებათა შინაარსი ისტორიულად არის განაპირობებული. ამასთან, თვით მოთხოვნისლებებსაც შეუძლიათ უკუგაველენა იქონიონ სოციალურ გარემოზე, მის ჩამოყალიბებაზე.

ადამიანის მოთხოვნისლებათა არსებობა სუბიექტურად ელინდება მისი ორგანიზმის განცდაში რაიმეს ნაკლებობის გამო. ობიექტურად მათი არსებობა შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვითაც, თუ როგორ იქცევა ადამიანი, როგორ მიზნებს ისახავს და ქცევის როგორ საშუალებებს ირჩევს ის ამ დროს.

წარმომავლობის მიხედვით, ადამიანის მოთხოვნისლებები შეიძლება იყოს ბიოგენური, სოციოგენური და შერეული ხასიათის. ამასთან, ადამიანის მოთხოვნისლება ყოველთვის არსებობს, როგორც საგნისადმი სოციალურად განაპირობებული დამოკიდებულება<sup>14</sup>

მიმართების საგნის მიხედვით, შეიძლება განავსხვავოთ მატერიალური და სულიერი მოთხოვნისლებები. სწორედ ეს არის არსებითი მომენტი დამნაშავეთა მოთხოვნისლებების სისტემის შესწავლისას. დადგენილია, რომ ამგვარი სისტემის იერარქიაში დამნაშავეებს შორის მატერიალური ხასიათის მოთხოვნისლებებს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს მოთხოვნისლებები თავისი შინაარსით შეიძლება იყოს პიპერბოლიზებული (მოთხოვნისლება დიდი რაოდენობის ფულზე, ძვირფას მანქანაზე და სხვ.) და გარყვნილი (უქმი დროსტარების, რესტორნებში ქეიფის, ლოთური ცხოვრების წესის, განურჩეველი სექსუალური კავშირების, ნარკოტიკებით სარგებლობის მოთხოვნისლებები). ისეთ მოთხოვნისლებებს, როგორებიცაა პრესტიჟისა და მიღწევის მოთხოვნისლება, დამნაშავეები იკმაყოფილებენ მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული იმგვარი უპანონო საშუალებებით, რომლებიც შედარებით სწრაფ გამდიდრებას უზრუნველყოფენ. ურთიერთობის მოთხოვნისლება შეიზღუდება ლოთობით, ნარკოტიკების მოხმარებით და სექსუალური ხასიათის სიამოვნებებით.

დამნაშავის პიროვნების მოთხოვნისლებათა სისტემა თავის რეალიზაციას პოულობს ინტერესთა სფეროს მეშვეობით.

### *ინტერესი*

ინტერესი - არის შემეცნებითი მოთხოვნისლებების გამოვლენის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ორიენტაციას საქმიანობის მიზნების გაცნობიერებაზე. ინტერესები ხელს უწყობენ პიროვნების ორიენტირებას სოციალურ სინამდვილეში და სუბიექტურად ელინდებიან ობიექტის ემოციურ მიმზიდველობაში, მასზე ყურადღების გამახვილებაში. ინტერესები ისევე, როგორც მოთხოვნისლებები საფუძვლად ედება დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ფორმირებას და ავლენს პიროვნების დამოკიდებულებას

<sup>13</sup> Ефремова Г.Х., Лежава Г.Ш., Ратинов А.Р., Шавгулидзе Т.Г.. Общественное мнение и преступление. Тб. Изд. «Мешинереба», 1984, с.51.

<sup>14</sup> Кикиндзе Д.А.. Система факторов действия и развития личности. Тб.1982, с.18.

მისი ყურადღების ობიექტის მიმართ, როგორც რაიმე ღირებულის და მისთვის მიმზიდველისთვის. დამნაშავეს პიროვნების ინტერესთა სფერო შეზღუდული და შევიწროებულია ცხოვრების მიზნების პრიმიტიულ გაცნობიერებამდე.

სულიერი ღირებულებები დამნაშავეებში თითქმის არავითარ ინტერესს არ იწვევენ, მაშინ როდესაც, კარგი ცხოვრების მატერიალური ატრიბუტები და უქმად დროსტარება მათთვის მიმზიდველი და სასურველია. გამომდინარე იქიდან, რომ დამნაშავეთა მოთხოვნილებები კანონის დარღვევის მეშვეობით ემაყოფილება, კრიმინალების ინტერესები მუდმივად უკანონო გამდიდრების, დანაშაულებრივი გეგმის განხორციელების, დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულებრივი საქმიანობის კონსპირაციისა და მართლმსაჯულებისგან თავის არიდების შესაძლებლობების ძიებაში გამოიხატება.

აქედან გამომდინარე, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ინტერესები კონცენტრირდებიან კრიმინალური ბიზნესის ისეთ ყველაზე უფრო შემოსავლიან სფეროებზე როგორებიცაა:

- იარაღთ ვაჭრობა;
- ნარკოტიკების კონტრაბანდა და ვაჭრობა;
- ტრეფიკინგი;
- პროსტიტუციისთვის ხელის შეწყობა.

სასჯელისაგან თავის არიდების მოთხოვნილება უბიძგებს დამნაშავეს სახელმწიფო მოხელეების, პოლიციის მუშაკების, საბაჟო და საგადასახადო ორგანოების თანამშრომლების მოსყიდვაზე. იმუნიტეტის მოპოვებისა და კრიმინალური ინტერესების ლობირების მიზნით, ისინი საკანონდებლო სტრუქტურებში ცდილობენ შეღწეას.

იმ დამნაშავეთა ინტერესები, რომლებმაც უკვე შეძლეს დაეგროვებინათ საკმაო კაპიტალი, შეიძლება გაცდნენ კრიმინალური სფეროს ფარგლებს და თავიანთი კაპიტალის ლეგალიზაციის გზების ძიებაზე ორიენტირებული იქნენ. დამნაშავეების მოთხოვნილებების სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი ინტერესები ძირითადად ლეგალური ბიზნესის ისეთ სფეროებში კონცენტრირდებიან, როგორიცაა სათამაშო ბიზნესი და მთლიანად გასართობი ინდუსტრია. უფრო წარმატებულ კრიმინალურ სტრუქტურებს შეუძლიათ ბანკების გაკონტროლება, სავაჭრო ობიექტებისა და სხვა კომერციული სტრუქტურების შექმნა. ზოგჯერ დამნაშავეების მიერ ლეგალურ ბიზნესში ფულადი სახსრების დაბანდება მათი კრიმინალური საქმიანობის შენდობას ემსახურება.

### *შესაძლებლობები*

შესაძლებლობებს უნდა მივაკუთვნოთ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, პროფესიულ, განათლების და სხვა ფაქტორთა ერთობლიობა, რაც ადამიანს ანიჭებენ სუბიექტურ უნარს განახორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა.

დანაშაულებრივ სამყაროში ადამიანის შესაძლებლობათა შესაბამისად ხდება მისი დანაშაულებრივი კარიერის ფორმირება, რაც ემყარება დამნაშავეის სპეციალიზაციას განსაზღვრული სახისა და ხასიათის დანაშაულის ჩადენაში. ამგვარი სპეციალიზაცია დამახასიათებელია პროფესიული დამნაშავეებისთვის, რომელთა წარმონაქმნები სპეციალიზდებიან ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაზე, მაგალითად დაქირავებულ მკვლევლობაზე, ანგარებით-ძალადობრივი ხასიათის დანაშაულობებზე - რეპეტიზე, ბანდითიზმზე, ყაჩაღობაზე და სხვ., ანგარებით დანაშაულობებზე (ბინის, მანქანის, ქურდობაზე და სხვ.), თანამდებობრივ დანაშაულებებზე - (გადასახადების დაფარვა, კორუფცია და სხვ.), პოლიტიკურ დანაშაულებებზე (ტერორიზმი, აგრესიული სეპარატიზმი და სხვ.). კრიმინალური შესაძლებლობები არ იზღუდება მხოლოდ იმ პირთა ინდივიდუალური შესაძლებლობებით, რომლებიც დანაშაულს ჩადიან. მათი გაფართოების მიზნით, ეს პირები შეიძლება გაერთიანდნენ ჯგუფებში. სწორედ ამ გარემოების საფუძველზე ფორმირდება ზოლმე, მაგალითად, არასრულწლოვანი დამნაშავეების ან ახალგაზრდა პირებისაგან შემდგარი კრიმინალური დაჯგუფებები. ის, რაც შეუძლებელია ერთი პირისთვის, ადვილად შეიძლება გააკეთოს პირთა ჯგუფმა. სწორედ ჯგუფური

დანაშაულობის გაზრდილი შესაძლებლობების გათვალისწინებით ჩნდება მისი მოდელიზირებული ასლი – ორგანიზებული დანაშაულობა, რომელიც როლების გადანაწილების და მატერიალური შესაძლებლობების გაზრდის საფუძველზე, ბევრად აუმჯობესებს თავისი მოღვაწეობის ეფექტურობას და ამავე დროს ნაკლებად შესაძინევი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

### *მე-ს კონცეფცია*

ადამიანი სოციალური არსებაა და მისი ცხოვრება და საქმიანობა მიმდინარეობს მის მსგავს ინდივიდებთან ურთიერთობაში. ამასთან, ადამიანთა საზოგადოება დიფერენცირებულია მიკროსოციალურ ჯგუფებად, რომელთა უშუალო წევრად გვევლინება ინდივიდი. ინდივიდი დამოკიდებულია ამ ჯგუფებზე და თავის ქცევას მათთან ათანხმებს. თუ პირი იზიარებს ამ ჯგუფებში არსებულ ტრადიციებს, ჩვეულებებს, ქცევის წესებს, მაშინ მისი აზრი საკუთარი თავის შესახებ ყალიბდება ამ ჯგუფებში გაბატონებული მოთხოვნების, ნორმების, მისწრაფებების შესაბამისად. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ყალიბდება მე-ს კონცეფცია, როგორც პიროვნების სოციალური პოზიცია, მისი აზრი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის საკუთარი თავისთვის. მე-ს კონცეფციაში პერსონიზირებულია ინდივიდის ნაციონალური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა კუთვნილებანი, მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი. მთლიანობაში კი მე-ს კონცეფცია დამოკიდებულია ინდივიდის საზოგადოებრივი მდგომარეობაზე, მის სტატუსზე, სხვა ადამიანთა დამოკიდებულებაზე მის მიმართ.

დამნაშაის მე-ს კონცეფცია, ან როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ მე-სახე, ყალიბდება სუბკულტურული საზოგადოებრივი ნორმების მეშვეობით, რომლებიც ინდივიდის მიერ ინტერირიზდება მისი სოციალიზაციის პროცესში, ამიტომ დამნაშაის მე-ს კონცეფცია სოლიდარობას უცხადებს ამგვარ ნორმებს, დამოკიდებულია მათზე.

კრიმინოლოგიაში ამ მიდგომის ღირებულება იმით განისაზღვრება, რომ დამნაშავე პიროვნების ფორმირების მთელი აქცენტით გადატანილია მის სოციალიზაციაზე საზოგადოებაში და კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებში, რომლებთანაც ადამიანი უშუალო ურთიერთობაში იმყოფება. ამ ჯგუფების წარმომადგენლებს კი ინდივიდისათვის მისაძამ მაგალითს წარმოადგენენ. ინდივიდი ქვეცნობიერად ითვისებს მათი ქცევის მოდელებს.

ამა თუ იმ პიროვნების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ოჯახი. აი, რატომ გამოდინან ხშირად დამნაშავეები კეთილმოუწყობელი ოჯახებიდან, რომლებიც ინდივიდს თავიდანვე უნერგავენ რეალური ცხოვრების გაუკუღმართებულ გაგებას. ოჯახი ყველაზე ადრინდელი ასაკიდან ზრდის პიროვნებას მისი მე-ს კონცეფციის ფორმირების მეშვეობით. ოჯახი პიროვნებაზე ზემოქმედებს არა მხოლოდ უშუალო აღზრდით, არამედ მისი ცხოვრების წესის, ოჯახში შექმნილი ატმოსფეროს, ემოციური ფონის მეშვეობითაც.

მე-ს კონცეფციის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვა სოციალური ჯგუფებიც, პირველ რიგში, ინდივიდის ახლო გარემოცვა. მოზარდობის პერიოდში არაფორმალური უთიერთობების გავლენა სულ უფრო ცხადი ხდება. სწორედ თანატოლებთან ურთიერთობაში იღებენ მოზარდები თავისი გარე სოციალური ქცევის პირველ გაკვეთილებს, რომლებიც ხშირად არ შეესაბამება ოჯახში არსებულ აღზრდელობით მოდელს. პიროვნების მიერ სოციალურად მიუღებელი წარმოდგენებისა და ღირებულებითი ორიენტაციების ათვისება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თანხვდება ინდივიდის გარემომცველი სოციალური ჯგუფების ქცევათა ნორმები. რაც უფრო მაღალია ამ თანხვედრის ხარისხი, მით უფრო თანმიმდევრულად, ადვილად და ღრმად ჯდება ინდივიდში თავის მოხვეული ქცევის მოდელი. და პირიქით, თუ შემოთავაზებული ქცევის სტერეოტიპებს შორის არსებობს უთანხმოება ან, უფრო მეტიც, კონფლიქტია, მაშინ პიროვნებას უზნდება შანსი აირჩოს მისთვის მისაღები ქცევის შაბლონი ან გახდეს ქცევის არათანმიმდევრული ნორმატიული მოდელების მატარებელი.

მაგრამ თუ ინდივიდი პოლიციის ყურადღების არეალში მოექცევა, მისდამი, როგორც დამნაშაისადმი დამოკიდებულების საფუძველზე, ინდივიდმა თავი შეიძლება ნამდვილად

გამოუსწორებელ და სოციალურად მანვე პიროვნებად წარმოიდგინოს. თავისუფლების ადგილებიდან გათავისუფლებული პირები ხშირად იტანჯებიან იმის გამო, რომ საზოგადოება მათში ისევე დაისევს დამნაშავეს ხედავს. მათ არ იღებენ სამსახურში, ისინი კარგავენ ძველ ურთიერთობებს, მათ, როგორც წარუმატებელ ადამიანებს უყურებენ. დამნაშავის მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება უფრო მეტად გააბოროტოს და განაწყენოს პიროვნება, ჩამოუყალიბოს მას არასრულყოფილი ადამიანის მე-ს კონცეფცია და დაუპირისპიროს საზოგადოებას, როგორც მტრულ და უცხო წარმონაქმნს. ამ პროცესის ფორმირების რეალობამ უნდა აიძულოს სამართალდამცავი ორგანოები ყურადღებით დააკვირდნენ დამნაშავის ქცევას არა მხოლოდ მის მიერ სასჯელის მოხდის დროს, არამედ პოსტპენიტენციურად პერიოდშიც.

### *ინდივიდის მართლშეგნება*

ინდივიდუალური მართლშეგნება მოთხოვნილებათა, ინტერესების და მე-ს კონცეფციასთან ერთად წარმოადგენს პიროვნების ქცევის სუბიექტურ ფაქტორს. ჩაიდენს ადამიანი დანაშაულს, თუ არ ჩაიდენს მას, ბევრად არის დამოკიდებული პიროვნების მართლშეგნებაზე. ინდივიდუალური მართლშეგნება წარმოადგენს სამართლებრივი მოვლენების შესახებ წარმოდგენების, შეფასებებისა და განწყობების ერთობლიობას. ინდივიდუალური მართლშეგნების სტრუქტურა იერარქიულ ხასიათს ატარებს და შედგება სამი დონისაგან - ინტელექტუალური, ემოციურ-ნებელობითი და ქცევითი დონეებისგან.

ინტელექტუალურ დონეზე განლაგებულია სამართლებრივი მოვლენების და სამართლებრივად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის შესახებ ინდივიდის ცოდნა. ემოციურ-ნებელობით საფეხურზე განლაგებულია ინდივიდის დამოკიდებულება სამართლისა და მისი გამოყენების პრაქტიკის მიმართ. ქცევით დონეზე ყალიბდება სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევისათვის პიროვნების მზაობა. სამივე დონე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ინდივიდუალური მართლშეგნება სწორედ მათი ურთიერთობის შედეგია. მის წყაროს კოლექტიური (ჯგუფური) და საზოგადოებრივი მართლშეგნება წარმოადგენს.

ინდივიდუალური მართლშეგნება ყალიბდება ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში. უშუალო როლს აქ ჯგუფური მართლშეგნება თამაშობს. ის პიროვნებაში შეიღწევა ოჯახის, სასწავლო დაწესებულების და არაფორმალური ჯგუფების მეშვეობით. მისი ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული ამ ჯგუფების წარმომადგენლების მართლშეგნების დონეზე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ დამნაშავის მიკროგარემო ხშირად ისეთივე მართლშეგნებისაა, როგორისაც თავად დამნაშავე.

თავის მხრივ, ინდივიდუალური მართლშეგნების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებაც. მისი გავლენა პიროვნებაზე ხორციელდება სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სამართალდამცავ ორგანოთა სისტემა (სამართლებრივი კონტროლი).

ვიდო-ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და მათი ყოვლისმომცველი ხასიათის წყალობით საზოგადოებას საშუალება ეძლევა ჯგუფური მართლშეგნების აცდენით პირდაპირი გავლენა იქონიოს პიროვნებაზე, დანერგოს მასში ესა თუ ის დამოკიდებულება სამართლებრივი ფასეულობებისადმი. თავის მხრივ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლია, მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის ჯგუფური მართლშეგნების ჩამოყალიბებაშიც, რაც ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მართლშეგნების ფორმირების თვალსაზრისით.

ასევე ყურადსადება სამართლებრივი კონტროლის როლიც. რაც უფრო მეტია სამართლებრივი კონტროლის ფუნქციონირების დონე, მისი მატერიალური, საკადრო და ნორმატიული უზრუნველყოფა, მით უფრო მაღალია პიროვნებაზე მისი ზემოქმედების ეფექტურობა. ეს ეფექტურობა იზრდება თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიური საშუალებების, პირველ რიგში, ტელემედიაციისა და ინტერნეტის ქსელის

გამოყენებით. რეგულარული ხასიათის საინფორმაციო სატელევიზიო პროგრამები, რომლებიც საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებას და დანაშაულთან ბრძოლის საკითხებს აშუქებენ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კონკრეტულ პიროვნებაზე ეფექტური სამართლებრივი კონტროლის განხორციელების კუთხით.

სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის დაარსების დროიდან დამტკიცებულია, რომ სამართლებრივი კონტროლი აელენს თავის ეფექტურობას იქ, სადაც ვეწელაზე უფრო კარგადაა უზრუნველყოფილი სასჯელის გარდუვალობა. პრაქტიკაში ხშირად გვიწევს ამ დებულების სისწორის აღიარება, კერძოდ, საქართველოს მაგალითზეც, სადაც დანაშაულის დონე მატულობდა სწორედ იმ ისტორიულ მონაკვეთებში, რომლებშიც სამართლებრივი კონტროლის ფუნქციონირების სისტემა დასუსტებული იყო.

ინდივიდუალური მართლშეგნების შესწავლა, მისი ჩამოყალიბების დონის განსაზღვრა, როგორც წესი, ხორციელდება მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვების გზით. მათი შედეგების და სამართლდარღვევებისა და დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე იღებს საზოგადოება ინფორმაციას მისი წევრების მართლშეგნების შესახებ. ასეთი ინფორმაციის არსებობა ხელს უწყობს ინდივიდების მართლშეგნების ფორმირების სისტემაში სუსტი წერტილების დადგენას და საზოგადოების სამართლებრივი სრულყოფის ეფექტური სისტემის ორგანიზებას.

ინდივიდუალური მართლშეგნების თავისებურებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან საზოგადოების სამართლებრივი სისტემის მოთხოვნებს, ძალუთ არა მხოლოდ საზოგადოების მართლშეგნების დონისა და მისი ლეგიტიმური მოთხოვნებისაგან ჩამორჩენილი, არამედ მოწინავე მართლშეგნების ფორმირებაც. სწორედ ინდივიდუალურ, მათ შორის, ჯგუფური ცნობიერების წიაღში ყალიბდება ხოლმე მოწინავე, საზოგადოებრივად მიღებულიგან განსხვავებული სამართლებრივი შეხედულებანი. ამაში მდგომარეობს საზოგადოების განვითარების წარმატების საწინდარი. ჩვეულებრივად, ასეთი შეხედულებები რეალიზდებიან ლეგიტიმური საზოგადოებრივი გზების, ახალი კანონების ფორმირების, მათი განხორციელების პრაქტიკის სრულყოფის მეშვეობით. მაგრამ საზოგადოებისთვის კრიზისულ პერიოდებში ინდივიდუალური თუ ჯგუფური მართლშეგნება ლეგიტიმურ მართლშეგნებასთან შეიძლება ისეთ წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს, რომლიც გადალახვაც მხოლოდ რევოლუციური გზით მიიღწევა. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ინდივიდუალური მართლშეგნება ყოველთვის არ შეესაბამება საზოგადოებრივი კანონდამჯერობის ცნებას. თავისი შინაარსით ის უფრო ფართო ცნებაა.

ამასთან ერთად, ლაპარაკი ინდივიდის მართლშეგნებაზე, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ფორმირებაში მონაწილე ფაქტორზე არამართებული იქნებოდა. არა თავისი არსით პოზიტიური მართლშეგნება, არამედ მისი ფორმირების დეფექტები წარმოადგენს დანაშაულებრივი ქცევის ფაქტორს. რაც უფრო მაღალია ინდივიდის მართლშეგნების ჩამოყალიბებლობის დონე, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ პიროვნება გადაუხვევს კანონიერების გზას და ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო გადაცდომას ან დანაშაულს.

**დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი**

ნებისმიერი დანაშაულებრივი ქცევა მიზანმიმართულია რაიმე ობიექტზე. არც უობიექტო მოქმედება არსებობს და არც უობიექტო დანაშაული. ამასთან, დანაშაულის ობიექტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას იცავს სისხლის სამართლის კანონი.

დანაშაული ყოველთვის გაცნობიერებული მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაუდ დანაშაულის ობიექტს აღიქვამს არა მხოლოდ თავისი მოთხოვნილებების დამკაყოფილების საშუალებად, არამედ ობიექტზე, რომლის მართალსაწინააღმდეგო ხელყოფამ შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული უარყოფითი შედეგი. კერძოდ, დანაშაულის მიმართ სისხლისსამართლის სასჯელის გამოყენებაც კი. უნდა ითქვას, რომ პიროვნების ცნობიერებაში ამ ობიექტის მართალსაწინააღმდეგო ხელყოფა მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის სასჯელის წინაშე შიშთან რომ ასოცირდებოდეს, ის



არასოდეს არ ჩაიდენდა ამ დანაშაულს. იგი ან საერთოდ უარს იტყოდა აღძრული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ან მოახდენდა თავისი ქცევის კორექტირებას სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. არადა დანაშაულის ჩადენის დროს ასე არ ხდება ხოლმე. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ დამნაშაის ცნობიერებაში საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილების ობიექტის სისხლის სამართლისა და სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერების პარალელურად თანარსებობს მისივე უარყოფითი შეფასებაც, რომელიც ინდივიდში ახდენს ობიექტისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ფორმირების შესაძლებლობის ნეიტრალიზებას – ობიექტისადმი, როგორც ღირებულებისადმი, რომლის ხელყოფა სხვისი უფლებების დარღვევას ნიშნავს.

ამგვარად, ადამიანის ცხოვრებაში დანაშაულის ობიექტი ყოველთვის თავისი სოციალური მნიშვნელობით გვეყვინება, რაც აუცილებლად გულისხმობს სუბიექტის (დამნაშაის) შეგნებულ დამოკიდებულებას ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებებთან.

თუ დამნაშავე ახდენს დანაშაულის ობიექტის სოციალურ-პოზიტიური მნიშვნელობის ნეიტრალიზებას, მაშინ ამგვარ ნეიტრალიზებას ექვემდებარება მისი დაუფლების საზოგადოებრივად მისაღები საშუალებაც. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა ან არჩადენა დამოკიდებული იქნება მხოლოდ და დანაშაულის ჩადენის ობიექტურ სიტუაციაზე, რადგანაც არჩევანი ობიექტის მართლსაწინააღმდეგო საშუალებით დაუფლების სასარგებლოდ უკვე გაკეთებულია.

### *სიტუაცია*

სიტუაცია პიროვნების ქცევის ობიექტური, ე.ი. გარეგანი ფაქტორია. ადამიანის ქცევის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი სიტუაციის არსებობის პირობებში, რომლის საფუძველზეც, სუბიექტის აზრით, შესაძლებელი იქნება მასში აღძრული მოთხოვნების დაკმაყოფილება. დანაშაულის ჩადენისთვის ხელსაყრელ სიტუაციად უნდა მივიჩნიოთ გარეგან გარემოებათა ერთობლიობა, რაც დამნაშავეს უქმნის დანაშაულის ჩადენის პირობებს.

დანაშაულის ჩადენის სიტუაცია საჭიროა განეხილავთ ობიექტური ნიშნებისა და სუბიექტური შეფასებების მიხედვით. პირველ შემთხვევაში, ხელსაყრელი სიტუაცია არსებობს მისი სუბიექტური შეფასებების მიუხედავად. ამგვარ სიტუაციებს შეიძლება ეწოდოთ დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობი ან მაპროვოცირებელი სიტუაციები – მაგალითად, ობიექტის ცუდი დაცვა, დანაშაულის მსხვერპლის სოციალური ან სიტუაციური დაუცველობა, სახელმწიფო და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ნაკლებეფექტურობა იმ მიზეზთა და პირობათა გამოვლენაში, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას, საზოგადოების ნეიტრალური დამოკიდებულება დანაშაულებრივი ქმედების კონკრეტული ფაქტების მიმართ და სხვ.

სიტუაციები შეიძლება აღმოცენდეს მათი მიზანმიმართული ძიების შედეგად ან დამნაშაის მიერ სპეციალურად შეიქმნას.

დანაშაულის ჩადენისთვის ხელსაყრელ სიტუაციათა დიფერენციალური შესაძლებელია მათი არსებობის პერიოდის მიხედვითაც: ერთჯერადი, ხანმოკლე, ხანგრძლივი (ოჯახური კონფლიქტი და სხვ.), აგრეთვე აღმოცენების მოულოდნელობის ხარისხის გათვალისწინებით: უეცარი (ჩხუბი ქუჩაში და სხვ.), დამნაშაის მიერ არაერთხელ შემჩნეული, მუდმივად შემჩნეული (ობიექტის ცუდი დაცვა); სიტუაცია ასევე შეიძლება იყოს წინასწარ მომზადებული ან შემთხვევით გაჩენილი.

ხშირად ადამიანი მოქმედებს სიტუაციის არა ობიექტური შინაარსის მიხედვით, არამედ მისი სუბიექტური შეფასებიდან გამომდინარე. ამიტომ ჩაიდენს პირი დანაშაულს თუ არა, იმდენად არაა დამოკიდებული ობიექტურ პირობებზე, რამდენადაც პიროვნების სუბიექტურ პოზიციასზე. ხშირად ამაში მდგომარეობს ადამიანური, მათ შორის დანაშაულებრივი სპეციფიკა.

თუ ქვეყნის გარკვეული ვარიანტი მისაღებია პირისათვის და მისთვის ეტალონად მიჩნეულ ფჯუფში მოწონებას იმსახურებს, მაშინ ის იძენს პიროვნულ აზრს და პიროვნების მოქმედების ხასიათის განმაპირობებელ ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად იქცევა. ამ შემთხვევაში სიტუაციის ობიექტური მაჩვენებლები თითქოსდა ნეიტრალიზდებიან პიროვნების ცნობიერებაში. ამგვარი სიტუაცია ადამიანისთვის თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილიდან გამომდინარე, სრულიად მისაღები ხდება. რაც უფრო ხშირად და დაუსჯელია მისი დანაშაულებრივი ქცევა, მით უფრო იზრდება პიროვნების სუბიექტური თავდაჯერებულობა, ის რწმუნდება თავისი ქცევის სისწორეში, უმტიციდება მე-ს კონცეფცია, ემატება საკუთარი თავის პატივისცემა, და პირიქით, რაც უფრო მეტად დარწმუნდება პიროვნება თავისი ქცევის არაეფექტურობაში, მით უფრო სუბიექტურად, კრიტიკულად შეაფასებს ის საკუთარ პოზიციას, ქცევას და მათი შეცვლის მეტი შანსი გაუზრდება.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება სამართლებრივი კონტროლი პიროვნული მიზნების განხორციელებას; რამდენად შეიცავს ან არ შეიცავს ეს კონტროლი თავის თავში პიროვნებისათვის მისაღები ქცევის საშუალებებს, რომლებსაც ერთდროულად შეეძლება პიროვნული ინდივიდუალური პრეტენზიებისა და მათ მისაღწევად განსაზღვრული საზოგადოებრივ-სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნდა ითქვას, რომ სწორედ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება პიროვნების ინდივიდუალურ პრეტენზიებსა და სამართლებრივი კონტროლის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შორის ქმნის იმის საფუძველს, რომ სოციალური სიტუაცია შეფასდეს სუბიექტურად, როგორც დანაშაულის ჩადენისათვის მისაღები. ამიტომ როცა ვამბობთ, რომ დანაშაულებრივი ქცევის წყაროდ გვევლინება გარემოება, რომლის დროსაც მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვა გადაწონის სოციალურ ნორმათა დარღვევის წინაშე პასუხისგების საშიშროებას, მთლად ზუსტად არ გამოხატავთ სათქმელის არსს. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვი, რომ დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტური საზრისი გადაწონის სამართლებრივი კონტროლის მოთხოვნებს, რომლებიც ინდივიდისთვის თავისი გამზრახვის განხორციელების პიროვნული მნიშვნელობის გამო კანონის დარღვევის მეშვეობით ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ ნეიტრალიზაციას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა: რაც უფრო რთულია სიტუაცია, მით უფრო მოსალოდნელია სოციალური ნორმიდან გადახრა.<sup>15</sup> გამოკითხვის შედეგად დადგენილია რომ, რესპონდენტები კანონის დარღვევას ამართლებენ იმ შემთხვევაში თუ, მაგალითად, კანონი დაძველებულია, ან საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი დარღვევა, ან კანონი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ არ ღირდეს მისი დარღვევა, ან სიტუაცია მიჩნეულია, როგორც გამოუვალი და ა.შ.<sup>16</sup>

### *საზოგადოებრივი აზრი და სამართლებრივი კონტროლი*

საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს მასობრივი ცნობიერების არსებობის საშუალებას, რომელშიც შედგენდება მოსახლეობის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროთა თუ ინსტიტუტის მიმართ. საზოგადოებრივი აზრი იქმნება ხალხის მიერ ისტორიულად შექმნილი ტრადიციების, ჩვეულებების, მართლშეგნების, საზოგადოებაში მოქმედ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეროვნულ, რელიგიურ და სხვა სოციალურ ნორმათა საფუძველზე. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრი განპირობებულია, ეკონომიკური ხასიათის მიზეზებითაც, ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფის დონით, მათი ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებით.

<sup>15</sup> Кудрявцев В.Н., იქვე, с.193.

<sup>16</sup> Ефремова Г.Х., იქვე, с.249-253.

საზოგადოებრივი აზრი სამართლებრივი მოვლენების და პროცესების შესახებ არაერთგვაროვანია. ის შეიძლება სოლიდარული იყოს სამართლებრივ მოვლენებთან, ან წინააღმდეგობრივ მათ. საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვნება შედეგადაა კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული წარმოდგენებისა და შეფასებების განსხვავებულობისა. ჩაიღვინს პიროვნება დანაშაულს თუ არა ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული. მათ შორის, ამ პიროვნებაზე კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებში არსებული საზოგადოებრივი ცნობიერების ნეგატიური ფორმებისა და სუბკულტურული ფასეულობების ინტენსიურ გავლენაზე. ასეთი სოციალური ჯგუფების არსებობა რეალურადაა და განაპირობებელია თანამედროვე საზოგადოების არასრულყოფილებით, მასში კლასობრივი დანაწილებისა და შესაძლებლობების უთანასწორობის არსებობით.

თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში სუბკულტურული ღირებულებების ფორმირებას საფუძვლად უდევს თემური ფასეულობების ერთიანობაზე დაფუძნებული ტრადიციული ყოფიერების მსხვერვა. თანამედროვე სამყაროში მათ ადგილს იკავებენ ინდივიდუალური შეუთანხმებელი ურთიერთობა, რასაც განაპირობებენ სხვადასხვა ეკონომიკური, რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი და ეთიკური ინტენსივობები. მათი გავლენით საზოგადოებაში ყალიბდება სუბკულტურული ფასეულობები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ინდივიდების გადარჩენა, საზოგადოებაში მათი წარმატებული ფუნქციონირება.

სუბკულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი აზრი ხელს უწყობს ისეთი ინდივიდის ფორმირებას, რომლისთვისაც კანონის დარღვევა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ჩვეული ხერხია. მარგინალიზაციაში ჯგუფები (მიგრანტები, ბოლომდებლები და სხვა), საზოგადოებასთან მათი ნაკლებად შეგუებადობის, სოციალური მოუწყობლობისა და საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების არქონის გამო, ადვილად ქცევიან სუბკულტურული ფასეულობებისა და დელინქენტური კულტურის გავლენის ქვეშ და დანაშაულსაც იოლად ჩადიან. ნიშანდობლივია ის, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ანგარიშით დანაშაულობის დონე 80% აღწევს, რაც აქტური ცხოვრების სტანდარტებსა და მათი მიღწევის რეალურ შესაძლებლობებს შორის კონფლიქტის სერიოზულობაზე შეიძლება მიუთითებდეს. კონფლიქტის სიმწვავე განსაკუთრებით აშკარად ვლინდება სწორედ მარგინალური ჯგუფების, მოსახლეობის სოციალურად ნაკლებუზრუნველყოფილი ნაწილის, დაბალი ფენების წარმომადგენლების მაგალითზე.

საზოგადოებრივ აზრთან ერთად, პიროვნების ქცევის მარეგულირებელ ფუნქციას ახორციელებს სამართლებრივი კონტროლიც.

სამართლებრივი კონტროლი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმატიულ მოწესრიგებაზე და დანაშაულის თავიდან აცილებაზე მიმართული სამართლებრივი ინსტიტუტების სისტემა, საზოგადოებრივი აზრთან ერთად, წარმოადგენს პიროვნების ქცევის რეგულაციის გარეგან ფაქტორს. საზოგადოებრივი აზრისაგან განსხვავებით, რის წყაროდაც გვევლინება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში გაბატონებული ნორმატიული შეხედულებები, შეფასებები და მსჯელობები, სამართლებრივი კონტროლი ინდივიდის ქცევის რეგულირების წმინდა ლეგიტიმური ფორმაა. მისი მიზანია მოქალაქეების უფლებების და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის, კანონის დამრღვევი პირების სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის გზითაც.

რაც უფრო ეფექტურად მოქმედებს პიროვნებაზე სამართლებრივი კონტროლი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ის არ ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც უარყოფითად მოქმედი ექვემდებარების (საზოგადოებრივი, ჯგუფური ნეგატიური გავლენის ჩათვლით) ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდეს. სამართლებრივი (სისხლისსამართლებრივი) სისტემის უპირველეს ამოცანას სწორედ ამ ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენს. აღნიშნულის მიღწევის საფუძვლად გვესახება სამართლებრივი კონტროლის მატერიალური, ნორმატიული, საკადრო და ტექნიკური უზრუნველყოფა. ამ ზრილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავ სისტემაში კორუფციასთან ბრძოლა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს სისტემის მუშაების მატერიალური უზრუნველყოფის გაზრდის, მათი შერჩევით

მორალური კრიტერიუმების, საზოგადოებისა და პრესისათვის მათი საქმიანობის გამჭვირვალობისა და გახსნილობის გათვალისწინებით.

მეორე მხრივ, სისხლისსამართლებრივი კონტროლის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული ისეთ მიმართულებათა შეთანხმებულ მუშაობაზე, როგორებიცაა სისხლისსამართლებრივი რეპრესია, დანაშაულის პროფილაქტიკა და რეციდივის თავიდან აცილებაზე ორიენტირებული პოსტპენიტენციული საქმიანობა. სწორედ ამ სამი მიმართულების შეთანხმებული ურთიერთობის საფუძველზე შეძლებს სამართლებრივი კონტროლი, მიაღწიოს თავის მაქსიმალურ ეფექტურობას. აღნიშნულის კიდევ ერთ რეზერვად გვევლინება სამართლებრივი კონტროლის წარმატებული ურთიერთობა სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან – ჯანდაცვის ( ნარკოტიკების მოხმარების, ალკოჰოლიზმის, ვენეროლოგიის, გენეროლოგიის დაავადებების გაურცელების ტენდენციების მეთვალყურეობა), განათლების სისტემებთან, ფინანსურ სტრუქტურებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და სხვ.

მნიშვნელოვანია სამართლებრივი კონტროლის როლი დანაშაულსა და დემოგრაფიულ პროცესებს (ქალაქის მოსახლეობის ზრდა, მიგრაცია და ა.შ.), აგრეთვე დანაშაულსა და საზოგადოების შენებად დაყოფის ტენდენციებს, უმუშევრობას, მაწანწალობასა და პროსტიტუციას შორის კავშირების ანალიზში. კონტროლი ამ პროცესების განვითარებაზე სამართლდამცავ სისტემას დაეხმარება დანაშაულის მომავალი განვითარების ტენდენციების პროგნოზირებასა და დანაშაულებრივ პრობლემებზე ადეკვატურ რეაგირებაში.

#### § 4. დანაშაულებრივი ქცევის ექტიომოლოგიური ასპექტი

დანაშაულს იშვიათად სჩადიან მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული სირთულე ან წინააღმდეგობა მის განხორციელებაში. პიროვნება უარს უფრო იტყვის დანაშაულის ჩადენაზე, ვიდრე აირჩევს მისი განხორციელების რთულ და სარიისკო ვარიანტს. დამნაშავე ყოველთვის ეძებს დანაშაულის ჩადენის შედარებით ადვილ და უსაფრთხო გზას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ დანაშაულების ჩადენა ძირითადად ხდება ხოლმე გვიან საღამოს ან ღამის საათებში ხალხისაგან დაცარიელებულ ცუდად განათვლილ ადგილებში, ისეთი ადამიანების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ჯგუფს (ქალები, მოხუცები, ინვალიდები, მთერალები და ა.შ.).

ამ მიდგომაზე დაყრდნობით, კრიმინოლოგიაში მუშავდება მიმართულება, რომელიც დანაშაულის მსხვერპლს შეისწავლის. აღნიშნულ მიმართულებას ექტიომოლოგია (ლათ. victima – მსხვერპლი) ეწოდება. ექტიომოლოგია, როგორც მოძღვრება მსხვერპლის შესახებ, აშუშავებს თეორიებს, რომლებითაც აღიწერება დანაშაულის მსხვერპლად ქცევის ალბათობა, განისაზღვრება მსხვერპლთან მუშაობის მეთოდები და შემუშავდება პოტენციური მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები.

ექტიომოლოგია შედარებით ახალი მიმართულებაა კრიმინოლოგიაში. თუ თავად კრიმინოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, ექტიომოლოგია თავისი არსებობის ათწლას იწყებს XX საუკუნის შუა წლებიდან. მანამდე დანაშაულის მსხვერპლი განიხილებოდა მხოლოდ როგორც დამნაშავეს თავდასხმის პასიური ობიექტი. მაგრამ ექტიომოლოგიამ საკითხს სხვა კუთხით შეხედა. პასიური ობიექტიდან დანაშაულის მსხვერპლი მან დანაშაულის ჩადენის პროცესის აქტიურ მონაწილედ წარმოგვიხატა. ამიტომ ექტიომოლოგია შეიძლება განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ მსხვერპლზე მოძღვრება, არამედ როგორც მოძღვრება დანაშაულის ეტიოლოგიის შესახებ, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს დანაშაულის მსხვერპლი თამაშობს.

იმ საკითხებს შორის, რომლებსაც ექტიომოლოგია შეისწავლის, შეიძლება გამოვყოთ:

- მსხვერპლად ჩამოყალიბების პროცესი;
- დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის განვითარება;
- მსხვერპლის როლი დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში;

- დანაშაულის მსხვერპლის ბრალის სოლიდარობის დადგენა, რაც მნიშვნელოვანია დამნაშავეისათვის სამართლიანი სასჯელის დანიშნისათვის;
- აღკომოლიზაციის და ნარკომანიის როლის განსაზღვრა დანაშაულის მსხვერპლად ფორმირების პროცესში;
- ვიქტიმოლოგიური ქცევის პროგნოზი;
- მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურების კომპენსაციური მექანიზმების უზრუნველყოფა;
- მოწმის, როგორც პოტენციური მსხვერპლის დაცვა;
- სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა დანაშაულის მსხვერპლთათვის (განსაკუთრებით, თუ ისინი გაიტაცეს, გააუპატიურეს ან დაუქვემდებარეს სექსუალურ ექსპლუატაციას);
- ვიქტიმოგენური სიტუაციის აღმოცენების ნეიტრალიზაცია, დანაშაულის ჩადენის მეთოდების, დანაშაულისაგან დაცვის ხერხების და ა.შ. შესახებ პოტენციური მსხვერპლის ინფორმირება.

დანაშაულის მსხვერპლის შესწავლისთვის ვიქტიმოლოგია იყენებს იგივე მეთოდოლოგიას, რომელსაც კრიმინოლოგია. მაგალითად, თუ კრიმინოლოგია დამნაშავეს შეისწავლის იმ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობენ მის კრიმინალიზაციას, ვიქტიმოლოგია მსხვერპლის შესწავლისას ყურად იღებს ფაქტორებს, რომლებმაც დანაშაულის ობიექტი მსხვერპლად აქციეს. ვიქტიმოლოგია დანაშაულის ჩადენას განიხილავს, როგორც პროცესს, რომლის მსვლელობისთვის აუცილებელია დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთქმედება და ურთიერთკავშირი. ამასთან, აღნიშნულ პროცესში აქტიურ როლს თამაშობს არამარტო დამნაშავე, რომელიც დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას ცდილობს, არამედ მსხვერპლიც, რომელიც ხელს უწყობს ამ განზრახვის განხორციელებას. გულგრილობა, დაუდევრობა, შიში, ამორალური ან მართლსაწინააღმდეგო ქცევა და სხვა მსგავსი მოვლენები დანაშაულის ჩადენის პროცესში მსხვერპლის აქტიურ ჩართვას აპირობებენ.

აქედან გამომდინარე, ვიქტიმობა უნდა განვიხილოთ დანაშაულის მსხვერპლის დაუცველობის, მისაწვდომობის და, შესაბამისად, დამნაშავეისათვის მისი მიმზიდველობის კონტექსტში.

ვიქტიმოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ ვიქტიმობის შემცირება შესაძლებელია, თუ განხორციელდება დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების პროცესების, ვიქტიმოგენური ტერიტორიების, დამნაშავეისა და მსხვერპლის ფსიქოლოგიის შესწავლა. ასე მაგალითად, ითვლება, რომ მეზობლური კავშირების სტაბილურობა, საცხოვრებელი სახლების ხელსაყრელი განლაგება, ადგილმდებარეობის დათვალეობის კარგი შესაძლებლობა, ტერასტორიების (ცხოების, რომლებშიც დგას კერძო ავტომანქანები, მიწისქვეშა გადასასვლელების, პარკების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილების და სხვ.), სათანადო განათება, საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოების კოდირება, საკუთარი ბინების შესასვლელ კარებებსა და ავტომანქანებზე სიგნალიზაციის დაყენება, ვიქტიმოგენური სიტუაციების პროგნოზირების საფუძველზე დაცვის ინდივიდუალური ზომების შემუშავება, საკუთარი ვიქტიმობის გაცნობიერება, უცხო პირებთან კონტაქტის დროს სიფხიზლის გამოჩენა და ქცევის კორექტული ნორმების დაცვა, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის გრძნობის გამოწვევა და სხვა სახის ზომები ბევრად შეუწყობენ ხელს ვიქტიმური ქცევის შემცირებას.

ვიქტიმიზაციის მიზეზები და პირობები ხედასხვანაირია. ძირითადად ისინი შეესაბამებიან დამნაშავეის პიროვნების სოციალური გარემოს ფორმირების და ფუნქციონირების მიზეზებსა და პირობებს და განლაგებულნი არიან სხვადასხვა დონეზე. მათ მიეკუთვნება:

- ოჯახში აღზრდის პროცესის ნაკლოვანებები;
- სასწავლო დაწესებულებებში აღზრდელობითი პროცესის ორგანიზების ხარვეზები;
- ნაკლოვანებები არაფორმალური ურთიერთობის კულტურაში (დღოთობა, ნარკომანია, ჯგუფების წევრებს შორის კონფლიქტური ურთიერთობა, ჩხუბი და სხვ.);
- სამართალდამცვიო სისტემის მუსლიბის ხარვეზები;

- მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კრიმინოლოგიური ასპექტების გათვალისწინების ჩათვლით, ქალაქის ტერიტორიის მოპირკეთებაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებები;
- დანაშაულის მსხვერპლისადმი ინფორმაციული, იურიდიული, ფსიქოლოგიური, და სხვა სახის დახმარების კუთხით არსებული ნაკლოვანებები;
- ზარალის ანაზღაურების საკანონმდებლო მექანიზმების ნაკლოვანებები;
- პოლიციის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან მსხვერპლთან ურთიერთობის კულტურის ნაკლოვანებები.

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ქალების დისკრიმინაციის საკითხს. აქტუალურად განიხილება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ოჯახური ძალადობა და ტრეფიკინგი. მექლეეარები ამ საკითხებს ადგილობრივი ტრადიციების ჭრილში შეისწავლიან. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კულტურაში დედობა ყველაზე ღირებულ სოციალურ როლადაა აღიარებული, მამაკაცი, ქალთან შედარებით, უფრო სრულყოფილ და დახვეწილ არსებად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, უმეტეს ოჯახებში ვაჟის დაბადება ბევრად უფრო სასიხარულო მოვლენაა, ვიდრე ქალისა. ოჯახში ძალადობის ფაქტების გაფრცელების დადგენისთვის, რომლის საფუძვლად ავტორები საქართველოში ქალების დისკრიმინაციას მიიჩნევენ, გამოკითხვა ჩატარდა დაოჯახებულ ქალებს შორის. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მათი 5% სისტიმატურად ექვემდებარება ოჯახურ ძალადობას. საქართველოს მასშტაბით ეს დაახლოებით 80 000 ქალია. მდგომარეობა რთულდება იმით, რომ ქალები ასეთ ფაქტებს ტრადიციულად არ ახმაურებენ. ბევრი შეგუებულია თავის მდგომარეობას. ასე მაგალითად, კითხვაზე „როგორი უნდა იყოს ქალის რეაქცია ოჯახში ძალადობაზე“ მხოლოდ 52%-მა მიუთითა გაყრის აუცილებლობაზე და სულ 1,4%-მა აღნიშნა სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის აუცილებლობა.<sup>17</sup>

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის პრობლემა, რომელიც გულისხმობს ადამიანების (პირველ რიგში, ქალების) მოტყუების გზით საზღვარგარეთ გადაყვანას და მათ სექსუალურ ექსპლუატაციაში ან მონურ შრომაში ჩაბმას. 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ, საქართველო მე-3 ქვეყნების კატეგორიას მიაკუთვნეს იმის გამო, რომ 2002 წელს ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში მთავრობამ თავის თავზე აღებული ვალდებულებები ვერ განახორციელა. 2003 წლის ივლისში, იუსტიციის სამინისტროს მიერ მოზადებული „კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესწორებების შეტანის შესახებ“ პარლამენტმა ნაჩქარევად სწორედ ამ მოხსენების გამო მიიღო. ამისათვის 2002 წლიდან ერთსულოვნად მუშაობდნენ, როგორც არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები. სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლი დაემატა: მუხლი 143<sup>1</sup> – ადამიანთა ტრეფიკინგი და მუხლი 143<sup>2</sup> – მცირეწლოვანთა ტრეფიკინგი. კანონი ძალაში 2003 წლის 10 ივლისს შევიდა.<sup>18</sup>

ვიქტიმური ქცევის თავიდან აცილებაში დიდი როლი ენიჭება აღზრდვლობით ასპექტს. შრომობაზე ბავშვს ადრინდელი ასაკიდანვე უნდა აუხსნან ვიქტიმური ქცევის არსი. ოჯახი ვალდებულია უზრუნველყოს სახლის გარეთ მოზარდების კონტროლი, დაადგინოს მათი ურთიერთობის წრე, კონტაქტების ხასიათი, მოზარდებთან დაახლოებული პირების კრიმინალიზაციის დონე და სხვ. მოზარდებზე ზედამხედველობის არარსებობის პრობლემა უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს მათ ვიქტიმიზაციას.

თავის მხრივ, სასწავლო დაწესებულებებში არასრულწლოვნების ყოფის ორგანიზება, მათი ქცევის კონტროლი, მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციების გაჩენის სიხშირის გათვალისწინება და მათი პროგნოზირება ამ დაწესებულებებში ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას უნდა დაედოს საფუძვლად.

<sup>17</sup> HIV and AIDS in GEORGIA A Socio-Cultural approach. Web site www.unesco.org/culture/aid Printed by "O.S. Desain" UNESCO Number CLT/CPD-05/4D UNESCO 2005. 15.

<sup>18</sup> იქვე

ხშირად საზოგადოება ვიქტიმიზაციის პრობლემისადმი არასწორი მიდგომით შეუძლია დამატებითი ზიანი მიყენოს დანაშაულის მსხვერპლს. საზოგადოების უწყურადღებობა და უხეშობა მსხვერპლისადმი აძლიერებს მის ტანჯვას და გამოუსავლობისა და სასოწარკვეთილების შეგრძნებას ბაღებს მასში. განსაკუთრებული სიფაქიზით საზოგადოება გაუპატიურების ფაქტებზე უნდა რეაგირებდეს. გაუპატიურების მსხვერპლისადმი უტაქტო დამოკიდებულება (დაცინვა, შეურაცხყოფა) ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს მსხვერპლის მხრიდან დანაშაულის მიჩქმალვას, რაც დამნაშაულის დაუსჯელობის და ახალი დანაშაულის მაპროვოცირებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.<sup>19</sup>

ვიქტიმიზაციის პროცესის გაღრმავებას ხელს ხშირად თავად სამართალდამცავი ორგანოები უწყობენ, რომლებიც დანაშაულის გახსნის უპერსპექტივობის მოტივით მსხვერპლის განცხადების რეგისტრაციას არიდევენ ხოლმე თავს. ეს პრაქტიკა ფართოდ იყო დანერგული ეარდების რეგულაციამდეან პოლიციურ სტრუქტურებში. ამგვარი მიდგომა აპირობებდა პოლიციისადმი მიმართულობის შემცირებას, მოსახლეობის თვალში მისი პრესტიჟის დაცემას და მოქალაქეებში გამოუვალი მდგომარეობისა და შიშის შეგრძნების გაძლიერებას.

დანაშაულის მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საკანონდებლო დონეზეა გადაწყვეტილი. აღნიშნული საკითხის მარტგულორებელი კანონი პირველად ახალ ზელანდიაში მიიღეს 1963 წელს. ახლა ის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1982 წელს ამოქმედდა ფედერალური კანონი დანაშაულის მსხვერპლისა და მოწმის სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ. კანონი იცავს დაზარალებულსაც, რომელსაც თავად უწყევს მოწმის როლში ყოფნა.

დამნაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ მის მიერ მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ხარისხი. კრიმინალის მხრიდან ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება, ჩადენილი უკანონობის მონანიება სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ პირობითი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობის განხილვისას. სასამართლო, ასევე უნდა დაეთანხმოს მსხვერპლის მოთხოვნას მორალური ზიანისთვის ფულადი კონპენსაციის დანიშვნის შესახებ.

დამნაშაულისაგან ფულადი კონპენსაციის მოთხოვნის შესახებ საზოგადოებრივი აზრი ჩვენთან ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ხშირად მსხვერპლისთვის დამნაშაულის დასჯა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზიანის ფულადი ანაზღაურება. ზოგჯერ დაზარალებული დამნაშაულის მიმართ მკაცრი სასჯელის დანიშვნას მოითხოვს და მხოლოდ ამ მოთხოვნის შესრულებით კმაყოფილდება. თავის მხრივ, მსხვერპლის ასეთი აქტიური პოზიცია დანაშაულის ჩადენის შემფერხებელ ფაქტორად იქცევა ხოლმე იმ პირების მიმართ, ვისაც პოტენციური შესაძლობლობა აქვს (თანამდებობრივი ან სხვა) დამნაშაულის მკაცრ დასჯას მიაღწიოს.

პირები, რომლებიც გულგრილობის გამო ან შურისძიების შიშით უარს ამბობენ დამნაშაულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, ხელს უწყობენ დაუსჯელობის განცდის გაჩენას კრიმინალებში და შესაბამისად ახალი დანაშაულის პროვოცირებას. დაუსჯელობის გრძნობას დამნაშაულის ასევე უძლიერებს კორუფციის არსებობა სამართალდამცავ ორგანოებში, განსაკუთრებით სასამართლოებში. ასეთი კორუფციული გარემო დაზარალებულისთვის შეიძლება ფსიქოლოგიურ მუხრუჭად იქცეს და დამნაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნაზე ხელი ააღებინოს. ეს ჩვენი უახლესი წარსულია. სამართლიანობის მიღწევას საქართველოში ცდილობდნენ კანონის გვერდის ავლით გაკლებიანი ნაცნობების, ახლობლების დახმარებით ან საქმის ე.წ. "ქურდული გარჩევის" გზით.

<sup>19</sup> 19. Рывман Д.В. Криминальная виктимология: Учебник для вузов. 2001, изд.Юр. лит. 304 стр..

სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობის დროს აუცილებელია მსხვერპლისადმი სათანადო ყურადღების უზრუნველყოფა. მას უნდა შეექმნას პროცესზე დასწრების კომფორტული პირობები, ინფორმირებული იყოს საკუთარი უფლებების შესახებ, განმარტოს მიღებული გადაწყვეტილების არსი და სამართლიანობა, აკონტროლდეს უფასო დამცველის მოწვევის შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მის სამართლებრივ დაცულობას და პრესის წინებისაგან თავისუფლებას.

დასავლეთის ქვეყნებში აქტიურად ფუნქციონირებენ დაზარალებულის და მოწმის დახმარების სპეციალური პროგრამები. ისინი ითვალისწინებენ დანაშაულის მსხვერპლისათვის იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას.

ვიქტიმიზაციის პრობლემისადმი სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოებრიობა. ბოლო წლების მანძილზე გაჩნდა ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას დანაშაულის მსხვერპლის დაცვის კუთხით აწარმოებს. შექმნილია სპეციალური ცენტრები, რომლებიც თავის თავზე იღებენ მსხვერპლისათვის იურიდიული, რეაბილიტაციური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენას, დანაშაულის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანას; აქვე მიმდინარეობს პროფილაქტიკური მუშაობა მოსახლეობასთან, რომლის დროსაც ხდება დანაშაულის ეტიოლოგიაში პიროვნების ვიქტიმური ქცევის როლის ახსნა და მუშავდება ვიქტიმური ქცევის პროფილაქტიკური რეკომენდაციები.

#### საკონტროლო კითხვები:

1. რა ელემენტების საშუალებით სორციელდება დანაშაულის პიროვნების ცნების განსაზღვრა?
2. განსაზღვრეთ დანაშაულის პიროვნების ცნება.
3. რა მიზანს ისახავს დანაშაულის პიროვნების ტიპოლოგიური შესწავლა?
4. რამდენ ჯგუფად იყოფა დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის მოტივაციური ფაქტორები? ჩამოთვალეთ ისინი.
5. რას სწავლობს ვიქტიმოლოგია?



## ნაწილი II. ცალკეული დანაშაულების კრიმინოლოგიური დახასიათება

**თავი VI დანაშაულობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში  
თანამედროვე ეტაპზე**

- §1. დანაშაულობის კრიმინოლოგიური მაჩვენებლები საქართველოში
- §2. ძალადობრივი დანაშაული
- §3. ანგარებითი დანაშაული
- §4. ორგანიზებული დანაშაული
- §5. ტრანსნაციონალური დანაშაული
- §6. პროფესიული დანაშაული

**თავი VII ძალადობრივი დანაშაულობა**

- §1. ძალადობრივი დანაშაულობის ცნება.
- §2. ძალადობრივი დანაშაულობის ძირითადი ტენდენციები.
- §3. ძალადობრივი დანაშაულობის დეტერმინაცია.
- §4. ძალადობრივი დანაშაულობის სოციალური კონტროლი.

**თავი VIII ანგარებითი დანაშაული**

- §1. ანგარებითი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება
- §2. ანგარებითი დანაშაულის ჩადენის ძირითადი მიზეზები
- §3. ანგარებითი დანაშაულის პრევენცია

**თავი IX ორგანიზებული დანაშაულობა**

- §1. ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციები
- §2. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაცია საქართველოში

**თავი X ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა**

- §1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები
- §2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა; მსოფლიო ორგანიზაციების ძირითადი სახეობები
- §3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალური ხელყოფის ობიექტები საქართველოში

**თავი XI ადამიანთა ტრეფიკინგი**

- §1. ადამიანთა ტრეფიკინგი – ცნება, კლასიფიკაცია და საკანონმდებლო რეგლამენტაციის საკითხები
- §2. კლასიფიკაცია.
- §3. ადამიანის, როგორც ღონორის ან კომერციული რეპროდუქციის მიზნით ექსპლუატაცია.
- §4. ტრეფიკინგთან ბრძოლის საკანონმდებლო ღონისძიებები

**თავი XII ტერორიზმი**

- §1. ტერორიზმის ცნება და არსი
- §2. ტერორიზმის სახეობები
- §3. ტერორიზმის გამოვლენის ფორმები.
- §4. ტერორიზმის მიზეზები

§5. ტერორიზმის თავიდან აცილება

§6. ტერორიზმის თავიდან აცილების ღონისძიებები

§7. სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმთან საბრძოლველად

### **თავი XIII კორუფცია**

§1. კორუფცია, როგორც მოვლენა (ისტორიული ექსკურსი)

§2. კორუფციის გამოვლენის ფორმები

### **თავი XIV ნარკომანია და დანაშაულობა**

§1. ნარკომანია როგორც სოციალური პრობლემა.

§2. ნარკომანიის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური კვლევის ანალიზი

### **თავი XV არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება**

§1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება

§2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია

§3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკა

### **თავი XVI. ქალთა დანაშაულობა**

§1. ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლის ისტორიული ასპექტები

§2. ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები

§3. ქალთა დანაშაულობის დეტერმინაციისა და მიზეზების ზოგიერთი კრიმინოლოგიური თავისებურება

## თავი 6. დანაშაულობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

### შესავალი

ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელმაც 2003 წლის ნოემბერში შევარდნაძის კორუმპირებული სისტემა დაამხო, ხელისუფლება ახალგაზრდა ლიდერების – სააკაშვილი-უგანია-ბურჯანაძის ხელში გადავიდა. ახალ ხელმძღვანელებს წინა რეჟიმის მიმე მემკვიდრეობა ერგოთ: დეზორგანიზებული პოლიტიკური და სამართალდამცავი სისტემა, ღრმა ეკონომიკური კრიზისი, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მაღალი დონე.

ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური და ანტიკრიმინალური აქციების მთელი კომპლექსი დაიგემა და მის რეალიზაციას შეუდგა. ამას კი შედეგად უნდა მოჰყოლოდა:

- კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის დონის დაქვეითება;
- ეფექტური სახელმწიფო აპარატის შექმნა;
- სამართლებრივი რეფორმების დაჩქარება;
- მოსახლეობაში მაღალი რეიტინგის შენარჩუნება;
- ეთნიკური კონფლიქტებისა და სეპარატისტულად განწყობილი ავტონომიების ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ახალი ადმინისტრაციის მიერ საქართველოში კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- პოლიტიკური სისტემის რეფორმა;
- კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა;
- საკანონმდებლო რეფორმა.

1. რევოლუციური ხელისუფლების ყველაზე ნათელ პოლიტიკურ გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოთ აჭარის ავტონომიის ლიდერის, ასლან აბაშიძის დამხობა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სრულუფლებიანი დიქტატორი იყო რეგიონში. მან შექმნა და სათავეში მოექცა ხელისუფლების კლანურ-ნათესაობრივ იერარქიას, რომელიც სეპარატისმში, კორუფციაში, კონტრაბანდაში, ნარკობიზნესსა და იარაღით უკანონო ვაჭრობაში ჩაეფლო. ცენტრალური პოლიტიკური და ძალოვანი სტრუქტურების მიერ შემუშავებული და რეალიზებული გეგმის შედეგად აბაშიძის რეჟიმი რამოდენიმე კვირის განმავლობაში დაემხო, ხოლო თავად დიქტატორი იძულებული შეიქნა, რუსეთში გაქცეულიყო.

2. ანტიკრიმინალური აქციების კომპლექსში შეიძლება გამოვყოთ კორუფციასთან ბრძოლის ხმაურიანი კამპანია. აღნიშნული ბრძოლა პრინციპში განიხილებოდა რევოლუციონერების წინასაარჩევნო ერთერთ ძირითად დაპირებად. ხსენებული კამპანიის ჩარჩოებში სამარალდამცავმა ორგანოებმა განახორციელეს რიგი საჯარო დაპატიმრებები შევარდნაძის შერისხული მთაერობის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებისა და საქმოსნებისა, რომლებიც დაადანაშაულეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში, სახელმწიფო ქონების დატაცება-განიავებაში ან/და გადასახადებისთვის თავის არიდებაში. ხელისუფლებამ კორუმპირებულ პირებს თავისუფლების სანაცვლოდ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება შესთავაზა. ამ მიზნით, ძალოვნებმა შეიმუშავეს

ახალი პროცესუალური მეთოდია, რაც კორუფციის გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ნებაყოფლობით დაბრუნებას გულისხმობდა.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ დაკავებულ ჩინოფიქთა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა საკუთარი ნებით გადაეცა ფულადი სახსრები და ქონება სახელმწიფოსთვის, რისთვისაც ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან იქნენ გათავისუფლებულები. მსგავსი ექსპროპრიაციის შედეგად, პოლიტიკოსებისა და ჩინოფიქების სხვადასხვა შეფასებებით, საქართველოს ხაზინას 100-200 მილიონი ლარი დაუბრუნდა.

სანახაობრობისა და ეფექტურობის მიუხედავად, აღნიშნული კამპანია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი NGO –ბის მხრიდან მკაცრად გაკრიტიკდა.

3. ყურადღების მიღმა არ დარჩენილან კრიმინალური სამყაროს ლიდერებიც, ე.წ. “კანონიერი ქურდები”, რომლებიც მომდევნო ანტიკრიმინალური კამპანიის ჩარჩოებში მსობრივი წესით დააპატიმრეს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სტანდარტული ბრალდებებით – ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო შენახვით – დააკისრეს.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც წინა წლებში, აღმოჩნდა, რომ “კანონიერი ქურდებისათვის” ინკრიმინირებული დანაშაულებიდან ბევრი სამარალდამცავი ორგანოების მიერ იყო ინსპირირებული.

4. საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, დაუსაბუთებელი ქონების ამოღების ახალი ანტიკორუფციული კანონების რატიფიცირება, ასევე დაუშვა ახალი პროცესუალური ნორმები, რომლებიც გულისხმობენ კორუფციულ დანაშაულში მხილებულ პირთან გარიგებას (პროცესუალურ შეთანხმებას).

5. სამართალდამცავი ორგანოების სისტემის სრულყოფის პროგრამის ჩარჩოებში განხორციელდა შემდეგი რადიკალური ცვლილებები:

- გაუქმდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და მისი ფუნქციები შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა;

- 2004-2005 წლების განმავლობაში შსს თანამშრომლების რაოდენობა 54 000-იან 25 000-მდე, ანუ თითქმის 2-ჯერ შემცირდა, მოხდა სახელმწიფო ავტონისპექციისა და სხვა კორუმპირებული ქვედანაყოფების ლიკვიდაცია, პრაქტიკულად მთლიანად განახლდა სამინისტროს და რეგიონული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა. შეიქმნა საპატრულო პოლიციის ქვედანაყოფები, რომლებიც აშშ და სხვა განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს პასუხობენ.

- მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის სრუქტურაში, რომელმაც დაკარგა კანონიერებაზე საერთო სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქცია და ძირითადად კორუფციული და სხვა სახის დანაშაულების გამოელენაზე, ძიებასა და სახელმწიფო ბრალდების წარდგენაზე ორიენტირდა.

- სასამართლო სისტემაში დაიწყო სერიოზული რეფორმები, რომლებიც სპეციალიზებულ სასამართლოების შექმნას და სხვა სტრუქტურულ ცვლილებებს გულისხმობენ.

- ზოგიერთი ცვლილება მოხდა პენიტენციურ სისტემაში. აშენდა და შეკეთდა რამოდენიმე სპეციალური ობიექტი, მარამ პრობლემათა უმრავლესობა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით გადაუწყვეტელი დარჩა.

**§1 დანაშაულობის კრიმინოლოგიური მაჩვენებლები საქართველოში**

ახალი ხელისუფლების მოსვლიდან 4 წელი გაიდა, რაც საკმარის დროა გატარებული სამართლებრივი და ორგანიზაციული რეფორმების ეფექტურობის და ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციის მდგომარეობის წინასწარი შეფასებისთვის.


სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა მოახდინა დანაშაულობის შედარებითი კრიმინოლოგიური ანალიზი საქართველოში 2003-2006 წლების განმავლობაში.

მოცემული კვლევა ეფუძნება საქართველოს შსს, უზენაესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს გამასწორებელი დაწესებულებების დეპარტამენტის ანგარიშებს, ასევე სოციოლოგიური და მონოგრაფიული კვლევების შედეგებს, მასმედიის მასალებს და სხვა წყაროებს.

შსს საინფორმაციო ცენტრის მონაცემების შესაბამისად, საქართველოში დანაშაულობის სტრუქტურასა და დინამიკაში არსებითი ცვლილებებია მომხდარი, რაც, თავის მხრივ, ექსპერტულ ანალიზს მოითხოვს.

პირველ რიგში, გამოვლინდა რეგისტრირებული დანაშაულის აბსოლუტური რაოდენობის ზრდა (იხ. დიაგრამა №1)

**რეგისტრირებული დანაშაულის დინამიკა საქართველოში  
2000-2006**




## ცხრილი №2

რეგისტრირებული დანაშაული საქართველოში შსს მონაცემებით

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006
დანაშაულის სახეობა	15662	16658	17397	24856	43266	62283
მათ შორის:						
მძიმე დანაშაული	8601	9658	10326	17833	24320	29249
განძრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით	430	498	499	538	697	640
სხეულის მძიმე დაზიანება	244	279	253	371	368	271
გაუპატიურება	39	52	52	62	141	167
ყაჩაღობა	399	397	556	1316	2087	2751
ძარცვა	676	757	1013	1733	1925	2160
ქურდობა	4949	5548	5593	10634	16256	27657
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	1783	1855	1945	1941	2074	3542
ხულიგნობა	437	488	487	706	1314	1208
სატრანსპორტო დანაშაული	300	267	308	385	445	499
არასრულწლოვანთა დანაშაული	662	674	617	557	755	997

მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დანაშაულობის აბსოლუტური მაჩვენებლები 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. 2000-2003წწ. დანაშაულობის დონე საკმაოდ თანაბრად მატულობდა. 2004 წელს კი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების 30%-იანი ნახტომისებური ნამატია აღნიშნული. დიაგრამა №3

დიაგრამა 2 დანაშაულის ხარისხობრივი მახასიათებლები საქართველოში 2003-2006



მკვლევარებმა გააანალიზეს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც 2004-2006 წწ. რეგისტრირებული დანაშაულების მკვეთრი ზრდის არგუმენტირებულ ახსნას იძლევიან. მათ შორისაა:

- პოსტრევოლუციური სიტუაცია, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურების დროებითი დეზორგანიზაცია გამოიწვია;
- თანამშრომლების რადიკალური შემცირება სამართალდამცავ ორგანოებში და სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლის გამოცდილების მქონე პროფესიული კადრების გათავისუფლება;
- კრიმინალური ავტორიტეტების გააქტიურება, რომლებმაც ისარგებლეს ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიებით თავიანთი დანაშაულებრივი გეგმების სარეალიზაციოდ;
- ხელისუფალთა პოლიტიკური ნება და კონკრეტული ქმედებები, მიმართული დანაშაულის რეგისტრაციისა და გახსნის მექანიზმის სრულყოფისკენ.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი პრინციპში კომპლექსურად ზემოქმედებს დანაშაულის ზრდის მაჩვენებლებზე, მაგრამ აღნიშნულ პროცესებში მეტად მნიშვნელოვანია შსს სისტემაში გატარებული ეფექტური რეფორმა, რომელმაც გააუმჯობესა დანაშაულის გამოვლენისა და რეგისტრაციის სისტემა.

ადრე პოლიციის თანამშრომლები მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან წახალისების მიზნით, სხვადასხვა საბაბით ითანხმებდნენ დაზარალებულებს, არ მოეხდინათ ქურდობის, ძარცვის და სხვა დანაშაულების რეგისტრაცია და მათი არაოფიციალური მეთოდებით გახსნის პირობას იძლეოდნენ. ხშირად კორუმპირებული პოლიციელები თვითონ იყვნენ შეთქმულნი კრიმინალებთან, ფარავდნენ მათ დანაშაულს ან თავად ახდენდნენ მის ორგანიზებას. შედეგად საზოგადოებაში გაჩნდა ნიჰილიზმი სამართალდამცავებისადმი და ბევრმა დაზარალებულმა (განსაკუთრებით ქურდობით და

ძარცვით) შეწყვიტა პოლიციისთვის მიმართვა. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ კონტრაბანდის დანაშაულის ლატენტობამ 90%-ს და უფრო მაღალ მანქანებზე მიაღწია.

დღესდღეობით სახეზეა აშკარა სურვილი, სამართალდამცვეებს დანაშაულის რეალური სურათი მიაწოდონ, რაც ობიექტური მანქანების ზრდასაც აისახა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის სტატისტიკა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა სინამდვილის არეკლისგან. ეს ნათელი გახდება, თუ შევადარებთ დანაშაულის კოეფიციენტებს საქართველოში, ევროპის ნებისმიერ ქვეყანასა და დსთ-ს ბევრ რესპუბლიკაში. (იხ. ცხრილი №4).

ქვეყნები	მოსახლეობა მილიონებში	2001	2002	2002 % - 2001	კოეფიციენტი 100.000 მოსახლეზე
აზერბაიჯანი	8.300.000	14.600	15.500	106,3	186
სომხეთი	3.200.000	11.500	12.100	105,1	336
ბელორუსია	9.800.000	112.000	132.000	118,4	1.346
<b>საქართველო</b>	<b>4.200.000</b>	<b>15.700</b>	<b>16.700</b>	<b>106,4</b>	<b>397</b>
<b>საქართველო 2006</b>	<b>4.200.000</b>		<b>62700</b>		<b>1492</b>
ყაზახეთი	15.100.000	152.200	135.200	88,8	895
ყირგიზეთი	5.100.000	40.000	37.200	93	784
მოლდავეთი	3.400.000	37.800	36.300	96	1.088
რუსეთი	144.200.000	2.968.300	2.526.300	85,1	2.061
ტაჯიკეთი	6.600.000	14.100	12.800	90,3	250
უკრაინა	48.200.000	514.600	460.400	89,5	1.041
აესტრია	8.000.000				6.890
დანია	5.000.000				9.447

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, დანაშაულის კოეფიციენტები საქართველოში 2006 წლამდე მიესადაგებოდა მხოლოდ ამიერკავკასიისა და შუა აზიის ზოგიერთი ქვეყნის

<sup>1</sup> Преступность в странах Содружества сокращается. Демоскоп weekly № 121 – 122, 11 - 24 августа 2003  
132



მანქნებლებს, დღეისათვის - რუსეთისა და ბელორუსიისას და შორსაა ევროპული სტანდარტებისგან.


სტატიის ავტორმა გამოიკვლია დანაშაულებრივი საქმიანობის იმ ძირითადი სახეობების სტრუქტურა და დინამიკა, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიან საქართველოს სასოფადობას.

**§2. ძალადობრივი დანაშაული**

კვლევათა მონაცემებით. განძარხ მკვლევლობისა და სხეულისათვის მიძიმე დაზიანების მიყენების დინამიკა 10 წელსე მეთა სტაბილურია. უნდა აღინიშნოს, რომ "ვარდების რევოლუციას" თან არ ახლდა ძალადობრივი დანაშაულის ზრდა და საერთოდ კრიმინოგენული მდგომარეობის მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები. რევოლუციური მღელვარების კულმინაციის დღეებშიც კი თბილისში ადგილი არ ჰქონია ძალადობის მატებას. ამას ნათლად გეჩვენებს მე-5 დიაგრამა (იხ. დიაგრამა №5).

განზრახ მკვლევობები ყველაზე აკურატულად რეგისტრირდება და ძლიერ იშვიათად იმალება თვით ყველაზე კორუმპირებული წინონიკების მიერ. ამიტომ ზოგადად დანაშაულის რეგისტრაციის გაუმჯობესებას 2004 წელს არ მოჰყოლია აღნიშნული დანაშაულის აბსოლუტური მანქნებლების მხრივ ცვლილებები წინა წლებთან შედარებით.

დიაგრამა 4 პიროვნების წინამდევ დანაშაულის დინამიკა 2002-2006



მთლიანობაში შეიძლება იმის კონსტატირება, რომ რევოლუციიდან ნახევარი წლის განმავლობაში ძალადობრივი დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის საქმეში რაიმე არსებით პროგრესს ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ალკოჰოლური სასმელის ტრადიციულად ზომიერი მოხმარების გამო (ძირითადად ადგილობრივი წარმოების მშრალი ღვინისა), მკვლევობების, ხულიგნობის და სხვა სახის ძალადობის დონე ტრადიციულად უფრო დაბალია, ეიდრე, მაგალითად, რუსეთში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში.


ცხრილი 6. პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების და ხულიგნობის ფაქტების რეგისტრირებული რაოდენობები<sup>2</sup>

	განზრახ მკვლელობა		განზრახ მძიმე სხეულის დაზიანება		ხულიგნობა	
	2003	დანაშაულის კოეფიციენტი 100.000	2003	დანაშაულის კოეფიციენტი 100.000	2003	დანაშაულის კოეფიციენტი 100.000
საქართველო	499	12	253	6	487	12
საქართველო 2006 წელი	697	16,5		369	1387	
კაზახეთი	1.967	13	2.186	15	9.229	61
რუსეთი	32.585	23	58.469	41	133.187	93
უკრაინა	4.297	8	6032	13	14.018	29

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში განძრახ მკვლელობის და ხულიგნობის დონეები შესაბამისად ერთნახევარჯერ და რვაჯერ უფრო დაბალია, ვიდრე რუსეთში. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში ძალადობრივი დანაშაულის (მკვლელობების, სხეულისათვის სხვადასხვა ხარისხის სიმძიმის დაზიანებების მიყენების, ხულიგნობის) მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. მრავალი მკვლევარი აღნიშნავს საყოფაცხოვრებო დანაშაულის მაღალ ლატენცობას. ეს განპირობებულია იმით, რომ ინფორმაცია მეუღლეების, ბავშვების, მშობლების და ნათესავების მიმართ ძალადობის შესახებ ჩვეულებრივ არ სცილდება ოჯახურ-ნათესაობრივ ჩარჩოებს, თუ არ დგება მძიმე შედეგი - დაზარალებულის სერიოზული დასახიჩრება ან სიკვდილი. მთელ რესპუბლიკასა და განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში აქტუალურად რჩება ადამიანების გატაცება გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით. (იხ. დიაგრამა №7).

<sup>2</sup> Преступность в странах Содружества сокращается. Демоскоп weekly № 121 – 122, 11 - 24 августа 2003 (автором внесены некоторые дополнения)

დიაგრამა 7 მუზელათ აყენის და ადამიანის გატაცების დინამიკა



2004 წელს მასში ლიკვიდირდა აფრასიებების ცნობილი კრიმინალური კლანი, რომელიც რეკმტს ეწეოდა რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში და გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანებს იტაცებდა. 2005 წლის მასში აღმოაჩინეს ამ კლანის მიერ მოკლული 8 ადამიანის სამარხი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით რეგისტრირებული დანაშაულების უმეტესობას (85%-მდე) ე.წ. საპატარძლოს მოტაცება შეადგენს, რომლის ტრადიციაც აგრძელებს არსებობას განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში.

§3. ანგარებითი დანაშაული

ძალადობრივი დანაშაულისგან განსხვავებით, რეგისტრირებული ანგარებითი დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) დონემ საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მკვეთრად მოიმატა.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა) დონემ 2003-2006 წლების განმავლობაში 5-ჯერ მოიმატა. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობისადმი ახალმა მიდგომებმა პრაქტიკულად მთლიანად აღმოფხვრეს დანაშაულის რეგისტრაციაზე უარის თქმით მისი დონის ხელოვნურად დაწვეის მანიკერი პრაქტიკა. ასევე კარგად მომზადებული და ეკიპირებული საპატრულო პოლიციის და სატელეფონო ცხელი ხაზის (022) გაჩენამ მკვეთრად ააბაღლა ხელისუფლების ინფორმირებულობა რესპუბლიკაში რეალური კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ. რეგისტრირებული ანგარებითი დანაშაულის საერთო რაოდენობის მატებას თან არ ახლავს მათი გახსნის დონის ზრდა. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელის მანევრებლები არსებითად გაუარესდა. (იხ. ცხრილი №8)

დანაშაული	2004			2005			2006
	ჩადენილია	გახსნილია	გახსნილია%	ჩადენილია	გახსნილია	გახსნილია%	ჩადენილია
ქურდობა	5.593	3.265	58.4	16,256	8.860	26.9	27,657
ძარცვა	556	337	60.6	1.316	568	43.2	3001
ყაჩაღობა	1.013	494	48.8	1.733	633	36.5	1,910

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ქონებრივი დანაშაულის საერთო რაოდენობა სისტემატურად იზრდება და ძველად ექვემდებარება რაიმე სახის პრევენციას. ასე მაგალითად, 2006 წელს გაიხსნა ქურდობათა 26%, ძარცვის 43% და ყაჩაღობის მხოლოდ 33 პროცენტი. კიდევ უფრო სავალალოა შედეგები ჩამოთვლილი დანაშაულის მიმდებარე ფორმების შემთხვევაში: ქურდობა – 21%, ძარცვა – 30%, ხოლო ყაჩაღობა – 35%. ანგარიშითი დანაშაულის ძირითადი სახე საქართველოში ქურდობაა და ის ამ კატეგორიის დანაშაულების დაახლოებით 75%-ს შეადგენს. ქურდობათა უმრავლესობა შემდეგი გზებით ხორციელდება:

- ჯიბის ქურდობა (დაახლოებით 40%);
- ტრანსპორტში ჩადენილი ქურდობა (10%);
- ქურდობა ბინასა და სხვა შენობებში შეღწევით – 35%;
- სხვა სახის ქურდობა – 15%.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ავტომობილების ქურდობის დინამიკა. 2003 წელს დარეგისტრირდა ავტომობილის გატაცების 188 ფაქტი, 2004 წელს უკვე – 1037. გახსნის დინამიკაც ასევე უჩვეულოა: 70% (117 შემთხვევა) და 6% (69 ავტომობილი) შესაბამისად.

საეარაულოა, რომ 2004 წლამდე შსს-ში რეგისტრირდებოდა ის შემთხვევები, როცა ქურდობა გახსნადი იყო, დანარჩენ ფაქტებზე კი დაზარალებულებს სთავაზობდნენ ძებნას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე.

არსებობს ინფორმაცია, რომ დაზარალებულები ავტომობილების დასაბრუნებლად ხშირად მიმართავენ კრიმინალურ სტრუქტურებს, “კანონიერ ქურდებს” და დაკარგულს გარკვეული საფასურის ფასად იბრუნებდნენ.

2004 წელს სატელეფონო ცხელი ხაზის “022” ამოქმედებისა და მიმართების აღრიცხვაზე კონტროლის გაძლიერების პირობებში განცხადებათა რაოდენობამ მკვეთრად იმატა, თუმცა გახსნადობა გაცილებით გაუარესდა.

**§4. კორუფციული დანაშაული**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კორუფციულ დანაშაულს მიეკუთვნება: მექრთამეობა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სახელისუფლებო და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, გადასახადებისთვის თავის არიდება და სხვა ქმედებები.

მიუხედავად აქტიური ანტიკორუფციული კამპანიისა და საზოგადოებისათვის ცნობილი სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ბიზნესმენების დაპატიმრებებისა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკამ არ გვიჩვენა არსებითი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები 2003-2007წლების პერიოდში (იხ. ცხრილი №9) კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა (2003-2007)<sup>3</sup>

წლები	2004		2005		2006		2007 (6 თვე)	
დანაშაულის სახე	საქმეების რაოდენობა	შაქმე ები მიღებული განაჩენით	საქმეების რაოდენობა	შაქმეები მიღებული განაჩენით	საქმეების რაოდენობა	შაქმეები მიღებული განაჩენით	საქმეების რაოდენობა	საქმეები მიღებული განაჩენით

<sup>3</sup> <http://www.supremecourt.ge/>

საქმეების ჯამი	9973	7601	11974	7358	15849	13602	15530	7607
შამსახურებ რივი უფლებამოსილები ს ბოროტად გამოყენება და გადა მტება	206	106	326	158	344	197	249	118
ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა	43	24	121	48	133	86	95	66
სხვა სამოხელეო დანაშაული	114	66	67	97	175	119	113	53

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, 2003-2007 წლების განმავლობაში მექრთამეობის დარეგისტრირებული ფაქტების რაოდენობა გაზრდილია. 2007 წელს მისი აბსოლუტური მაჩვენებელი 133-ს შეადგენს, რაც 2003 წლის მონაცემებს 1200%-ით აღემატება, ხოლო გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევაში ნამატი 70 ერთეული ანუ დაახლოებით 100%-ია. ცხრილი №10

I ინსტანციის სასამართლოებში კორუპციულ საქმეებზე მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკა <sup>4</sup>

წლები	2003	2004	2005	2006	2007 I კვარტალი
დანაშაულის სახეობა					
გასამართლებული პირების ჯამური რაოდენობა	8110	9071	9168	16911	4124
შამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამტება	43	68	221	265	81
ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა	8	7	61	120	30
სხვა სამოხელეო დანაშაული	78	59	185	229	36

მიუხედავად ამისა, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კორუფციასთან ბრძოლა არასოდეს ყოფილა ასე ეფექტური, იმდენად რამდენადაც, საგზაო პოლიციის სამსახურის ლიკვიდაციასთან ერთად, ამ სფეროში კორუფციაც ლიკვიდირდა. აღმოიფხვრა ან მკვეთრად შემცირდა ის შსს სხვა ქვედანაყოფებში და სახელმწიფო და მუნიციპალური სახელისუფლებო ორგანოების ჩინოვნიკებს შორის.

<sup>4</sup> <http://www.supremecourt.ge>

## §5. ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაულის შემჯავებელ მჩვენებლებს, სამწუხაროდ, არ აღრიცხავს შსს სტატისტიკური ცენტრი ან საქართველოს სხვა ორგანიზაციები.

კვლევათა მონაცემების მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კვლევის ჩარჩოებში, შესწავლილ იქნა ჩვენში მისი მეტად გავრცელებული სახეობები. ეს გახლავთ პროფესიული დანაშაული, ნარკობიზნესი, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, კონტრაბანდა, ადამიანების თრეფიკინგი და ასევე “კანონიერი ქურდების” კრიმინალური აქტივობა.

### პროფესიული დანაშაული

“კანონიერი ქურდების” და კრიმინალური ავტორიტეტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოდან მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად რუსეთში ცხოვრობს. 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში მათი რაოდენობა 716 იყო, რომელთაგან 339 სსრკ სხვა ქვეყნიებიდან რუსეთის ტერიტორიაზე “გასტროლებზე მყოფი” ავტორიტეტი გახლდათ. ელიტური კრიმინალების ორ მესამედს რუსები (33,1%) და ქართველები (31,6%) შეადგენდნენ, დანარჩენები იყვნენ სომხები (8,2%), აზერბაიჯანელები (5,2%), უზბეკები, უკრაინელები, ყაზახები, აზხაზები და სხვ. (21,9%).<sup>5</sup>

საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრში არის ინფორმაცია 350 ყველაზე საშიშ პროფესიულ დამნაშავეზე, ე.წ. “კანონიერ ქურდზე”. მათი პრობლემა აქტუალური გახლდათ ყველა მმართველის დროს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში. ხელისუფლებები გამუდმებით ცდილობდნენ მათგან გათავისუფლებას ნებისმიერი, მათ შორის არაკანონიერი საშუალებებითაც. კვლევამ გვიჩვენა, რომ პროფესიული ქურდების საქართველოდან განდევნის პროცესი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს დაიწყო ეკონომიკური პრობლემებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის გადარბების გამო, გაგრძელდა 90-იან წლებში დანაშაულებრივ სამყაროში გამკაცრებული კონკურენციის, არასასურველი ავტორიტეტების მკვლელობებისა და ემიგრაციის იძულების მიზეზით და დღემდე ხორციელდება ადმინისტრაციული მეთოდებით. აუცილებელია ხაზი გაესვას საქარელოს სამართალდამცავების “წელიღს” ამ პროცესში. “კანონიერი ქურდების” სანეიტრალიზაციოდ ისინი თუმცა არაკანონიერ, მაგრამ საქმაოდ ეფექტურ საშუალებებს მიმართავენ. ამის მაგალითია ოპერატიული სამსახურების მიერ ნარკოტიკების გავრცელების დანაშაულის ინკიზიტორება ავტორიტეტის დაკავებისას მისთვის ნარკოტიკული ნივთიერების ჩაგდებათ.

მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორმა არსებითად ვერ დააკინა კრიმინალური კლანების სიძლიერე. ეშვარდნაძის რეჟიმის დროს პროფესიული დამნაშავეების მიერ მართულმა ორგანიზებულმა დანაშაულმა ისევ მოიკრიბა ძალა. სტაბილური შემოსავლების მომტანი ბიზნესის ყველა სფერო ახალ მფლობელებს – ძირითადად კორუმპირებულ ჩინოვნიკებს, სახელმწიფო ოლიგარქიასა და “კანონიერ ქურდებს” შორის გადანაწილდა. ეკონომიკის მრავალი შემოსავლიანი დარგი ძალოვანი სტრუქტურების ჩინოვნიკებით კონტროლირებულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ჩაუვარდათ ხელში.

<sup>5</sup> В. Ратников, “Цена воровской “короны” Ведется ли спецслужбами учет коронованных особ преступного мира? Аргументы и факты” интернет-версия, #17 (1070) 25/04/2001

2004 წელს კელევის ავტორებმა ინტერვიუ აიღეს შსს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი ქვედანაყოფების 30 თანამშრომლისა და კრიმინალური ავტორიტეტებისგან. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა რომ:

1. ქართველი ქურდები მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი საქართველოს ეკონომიკაში.  
კერძოდ:
  - ა. საფინანსო-საკრედიტო სფეროში (ბანკები, სააქციო საზოგადოებები და ბირჟა) 30%-მდე;
  - ბ. მომსახურების სფეროში (რესტორნები, სასტუმროები, დაცვის სააგენტოები, რეკლამა და სხვ.) 40%-მდე
  - გ. სათამაშო ბიზნესში (კაზინო, ტოტალიზატორები და ა.შ.) 60% და მეტი;
  - დ. ენერგეტიკაში – დაახლოებით 15%;
  - ე. მშენებლობაში - 40%-მდე;
  - ვ. სხვა სფეროებში – 20%-მდე.<sup>6</sup>

2. დაწყებითი კაპიტალი ქართულ ბიზნესში შესასულელად კრიმინალებმა ე.წ. "ობშიაკიდან" აიღეს. ამგვარი კრიმინალური დანაზოგი მნიშვნელოვნად შეივსო 80-იან წლებში კოოპერატორების რეკეტის, თაღლითობის, ძარცვისა და ყაჩაღობის ხარჯზე. მნიშვნელოვანმა კაპიტალმა საქართველოში სსრკ სხვა რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან შემოადგინა. დღეისათვის კრიმინალური კაპიტალი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებშია ლეგალიზებული და "ქურდები" ძირითადად წარმოებებისა და ფირმების მფლობელებად ან მეპაიეებად გვევლინებიან.

3. კრიმინალების მხრიდან ბიზნესის კონტროლის მექანიზმი შემდეგნაირად ნაწილდება:

- უშუალო ხელმძღვანელობა -15%;
- პაი ან წილი ბიზნესში – 35%;
- ფიქსირებული გადასახადი მფარველობისთვის ("სახურავისთვის") – 30%;
- რეკეტი – 15%;
- სხვა – 5%.

გამოკითხულ პოლიციელთა აზრით, თანამედროვე ქართველმა "კანონიერმა ქურდებმა", რომლებიც მჭიდრო კავშირში იმყოფებიან კორუპცირებულ ჩინოვნიკებთან, შემდეგი სოციალური ფუნქციები შეიძინეს:

1. არბიტრის როლი ჩრდილოდან ბიზნესთან დაკავშირებული ისეთი საკითხების რეგულირებაში, როგორცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, კრედიტების დატაცება და ა. შ. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ჩამოთვლილი საკითხები ხშირად ხდებოდა კორუფციული ურთიერთობებისა და კრიმინალური ბიზნესის მონაწილეების კონფლიქტის საგანი წილებისა და დივიდენდების განაწილებისას მოტყუების, გამომალვის და სხვა შემთხვევებში, როცა პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო არსებული ლეგალური პროცედურებით (ზემდგომი ორგანოებისა და სასამართლოსადმი მიმართვით). ძალადობის თავიდან აცილებისა და დავის გადაწყვეტის შემცველი მექანიზმის შექმნის მიზნით, საქმის გასარჩევად და კონფლიქტის მონაწილეებისათვის შესასრულებლად საუკლავებლო გადაწყვეტილებების მისაღებად მხარეებმა ავტორიტეტული ქურდების გამოყენება დაიწყეს.

<sup>6</sup> Глonti Г., Лобжანიдзе Г. – Воры в законе в Грузии: История и Реалии, с. 163. Тбилиси, 200

2. დამცველის როლი კრიმინალების მხრიდან კომერციული სტრუქტურების ხელყოფისა და ამ სტრუქტურებისათვის დანაშაულებრივი თუ სახელმწიფო ფორმირებების მხრიდან ნებისმიერი სახის გამოძალის თავიდან აცილების საქმეში.
3. მეპაიეს როლი შეტანილი პაის საფუძველზე სხვადასხვა ბიზნესში სრულფუნქციონირებულ პარტნიორად მონაწილეობის სახით. ასეთი როლი შეიძლება შესარულოს აგრეთვე, მესამე პირმა, რომელიც მოგების წილს აკონტროლებს და საკუთარი და ქურდული საღაროს საჭიროებისათვის იღებს.
4. დანაშაულებრივი აქტების ორგანიზატორის როლი სახელმწიფო ჩინოვნიკის მხრიდან კრიმინალური ხასიათის დავალებების შესრულებისას (შეკვეთილი მკვლელობა, რეკეტი, აკრძალული საქონლის რეალიზაცია, ნარკოტიკების შექმნა და სხვა).
5. ჩრდილოვანი ლიდერის როლი ციხეში. ამ ფუნქციას ქურდები ტრადიციულად გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ასრულებენ და მას აქტუალობა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს.

ქართულ პენიტენციურ სისტემაში “კანონიერი ქურდის” სტატუსი ძალიან მაღალია და მას ანგარიშს უწევენ არა მხოლოდ პატიმები, არამედ ხელმძღვანელობაც. 2003 წელს ქურდებმა საქართველოში შეძლეს პენიტენციური სისტემის საქმიანობის ორგანიზებული დესტაბილიზაცია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ბუნტის მოწყობითა და 180-ზე მეტი პატიმრის გაქცევის ორგანიზებით “კანონიერი ქურდებისათვის” პრივილეგიების შეზღუდვის საპასუხოდ.<sup>7</sup>

2003 წლის ნოემბრის “ვარდების” რევოლუციის შემდეგ, საქართველოში “კანონიერ ქურდებთან” ბრძოლისადმი ახალი მიდგომები დაისახა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა სამართალდამცავი პრაქტიკის გამაჯობებაში კრიმინალური ლიდერების მიმართ, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ არც ერთი მოთმენის ბუნტებს პენიტენციურ დაწესებულებებში და გამოიყენებს კანონით დაშვებული ძალადობის ნებისმიერ ფორმას ციხეებსა და კოლონიებში მასობრივი უწყესრიგობების ორგანიზატორების ფიზიკური ლიკვიდაციის ჩათვლით. პარლამენტმა მიიღო ორგანიზებულ დანაშაულთან და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი, რომელშიც მოცემულია “კანონიერი ქურდის”, ქურდული საზოგადოების, ქურდული საზოგადოების წევრის და რეკეტორის დეფინიციები. კანონი ითვალისწინებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციას ე.წ. დაკავშირებული პირების მიმართაც. 2004-2006 წლებში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, სტანდარტული ბრალდებებით (ცეცხლსასროლი იარაღისა ან/და ნარკოტიკულ ნივთიერებების შენახვა) დააკავეს რამოდენიმე “კანონიერი ქურდი”.

## §6. ტრანსნაციონალური დანაშაული

ქართულ ტრანსნაციონალურ დანაშაულს საკუთარი გავლენა აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მრავალი კრიმინალური დაჯგუფების საქმიანობის ორგანიზებას ეწევა.

საქართველოდან ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი კრიმინალური დიასპორა დსთ-ს ქვეყნებს შორის რუსეთშია წამოადგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული კრიმინალური დაჯგუფებები რუსეთში უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე სხვა ეთნიკური დანაშაულებრივი ფორმირებები (აზერბაიჯანული, ჩეჩენური და სხვ.), მათი როლი და აქტივობა საკმაოდ მაღალია და მოიცავს მნიშვნელოვან და მომგებიან კრიმინალურ სფეროებს. თითქოსდა ჩრდილში მყოფ



ქართულ მიფიას გააჩნია სერიოზული ტრადიციული კაქშირები ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. რუსი მკვლევარების აზრით, რუსეთში და კერძოდ მოსკოვში მოქმედებს რამდენიმე ქართული ჯგუფი: ქუთაისის (დაახლოებით 500 წევრით), თბილისის (200), მეგრული (200), სვანური (100) და ასევე რამდენიმე დამოუკიდებელი დაჯგუფება. ქართველი "კანონიერი ქურდები" აკონტროლებენ რუსეთის მრავალ რეგიონს, უკანასკნელ პერიოდში კი მათი აქტიუობის ვექტორმა დასავლეთისკენ გადაინაცვლა.

როგორც კრიმინალური მეტეოპონებების კვლევამ გვიჩვენა, ქართული კლანების ლიდერებმა სხვადასხვა ქვეყნიდან დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული თანამემამულე-ემიგრანტების მეშვეობით მჭიდრო კავშირები დაამყარეს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კრიმინალურ თანასაზოგადოებებთან. უფრო მეტად მყარი პოზიციები ქართველ ქურდებს გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, აშშ-სა და პოლანდიაში აქვთ.

ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან დაკავშირებული ერთერთი ხმაურიანი საქმე 1998 წლის 11 ივლისს ვენაში (ავსტრია) საქმონისა და ქართული ავიაკომპანია "ორბის" ღირებულონი - დავით სანიკიძის მკვლელობაა. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კრიმინალი ესპანეთსა და საფრანგეთში "კანონიერი ქურდი" ტარედ ონიანია.

უკანასკნელ ხანებში მომხდარმა რამდენიმე სკანდალურმა ფაქტმა დადასტურა ქართველი დამნაშაულებების ტრანსნაციონალური აქტიუობა.

2005 წლის მარტში ცნობილი გახდა გვზ-ს მიერ 4 ქართველი მოქალაქის დაკავების შესახებ, რომლებიც 14 სხვა პირთან ერთად რუსეთიდან, სომხეთიდან და სამხრეთ აფრიკიდანაც კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ციცილასაროლი იარაღის, კერძოდ AK - 47 ტიპის ავტომატების, ასაფეთქებელი ნივთიერებების, პაერსაწინააღმდეგო რაკეტების კონტრაბანდის ეწეოდნენ მათი ტერორისტებისათვის მიყიდვის მიზნით.<sup>8</sup> 2005 წლის მარტშივე გაჩნდა ინფორმაცია ბელგიაში საქართველოს 9 მოქალაქის დაკავებისა და სხვა 15 პირის დაკითხვის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში: ავტომობილების გატაცებაში, ქურდობაში, ყალბი ვიზების და ევროპული პასპორტების დამზადებაში.<sup>9</sup>

2005 წელს ავსტრიის 4 ქალაქში პოლიციამ დააკავა საქართველოს 41 მოქალაქე საიუველირო მალაზიებიდან 500 000 ევროს ღირებულების ნაკეთობების მოპარვის ბრალდებით. შემდგომ ამისა, ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა ევროპის ისტორიაში უმსხვილესი პოლიციური ოპერაციის დასრულების შესახებ საზღვარგარეთული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. მის დაჯგუფებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები, ევროპოლისა და ინტერპოლის თანამშრომლები. ოპერაცია "კრაზანას" მსვლელობის დროს დააპატიმრეს 28 ადამიანი. მათგან 22 წარმომავლობით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდანა და ექვშიტიანილი არიან დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში (ლაპარაკია ე.წ. "კანონიერ ქურდებზე"). დაპატიმრებები წარმოებდა ბარსელონაში, ალიკანტეში და მალაგის პროვინციის ფუმენბელურ კურორტებზე - მარბელიეში, ფუნენხიროლში, ბენაღმადენში და ტორეპლინოსში. გაჩხრიკა 40-ზე მეტი სახლი, ოფისი და დაწესებულება, რომლებსაც პოლიცია დანაშაულებრივი საქმიანობის ფარად მიიჩნევდა. ამოიღეს დიდი რაოდენობით კომპიუტერები და დოკუმენტაცია, რომლის გადასატანად ორი სატიერთო ავტომობილი გახდა საჭირო. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაილუქა მრავალი ვილა და კოტეჯი, დაყადაღდა 800-ზე მეტი საბანკო ანგარიში.

<sup>8</sup> Georgians Arrested in US for Smuggling Weapons FBI Sting Operation Nets 18 Suspects Newspaper 24 hours - N218 (47) Friday, March 18th, 2005

<sup>9</sup> შაგაროსაქმეთა მინისტრის განცხადება 03.03.2005

## §7. ნარკობიზნესი

საქართველო ქვეყანაა, რომლის გაელითაც ნარკოტიკები ავღანეთიდან და შუა აზიიდან ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში ხვდება. ამასთანავე, თავად საქართველოში ნარკომანია ერთ-ერთი თანამედროვე აქტუალური პრობლემათაგანია. სხვადასხვა წყარო იუწყება, რომ ქვეყანაში ნარკოტიკებს 250 000-მდე ადამიანი მოიხმარს, ხოლო ნარკობიზნესის ყოველწლიური ბრუნვა 1 მილიარდამდე დოლარია, რაც რესპუბლიკის ბიუჯეტის ნახევარს შეესაბამება. ნარკომანიაში ფართოდაა ჩართული ახალგაზრდობა, ასევე სახელმწიფო მოსამსახურეები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებიც.


სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემების თანახმად, ნარკოტიკების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შექმნას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას და გასაღებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს:

ცხრილი №11

დანაშაულის სახე	2001	2002	2003	2004	2005	2006
რეგისტრირებული დანაშაული	15662	16658	17397	24856	43266	62283
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	1783	1855	1945	1941	2074	3542

გენერალური პროკურატურის მონაცემებით, ნარკოტიკული დანაშაულის რაოდენობის ზრდამ მე-12 დიავგრამაზე მოცემულ პერიოდში 212% შეადგინა.

რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის შედარებითი ანალიზი



ასევე მატულობს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოცემული ტიპის ბრალდებით გასამართლდნენ.

ცხრილი 13. საქართველოს სასამართლოებში ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ განაჩენთა რაოდენობა 2005-2007 წლებში


დანაშაულის დასახელება	მუხლი სსკ	2005	2006	2007(6 თვე)
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	260	765	1610	827
საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანა გადატანა ან ტრანზიტიით საერთაშორისო გადაზიდვა	262	18	38	4
სხვა ნარკოტიკული დანაშაული	261, 263-274	18	668	502

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ისრდება ძლიერმოქმედი ნარკოტიკების (პეროინი, კოკაინი და სხვ.) მომხმარებელთა რიცხვიც.

### დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის მაჩვენებლები

დანაშაულის გახსნის რეალური კოეფიციენტი გამოითვლება გამოძიებისა და დარჩენილ საქმეთა ჯამის გაყოფით ეჭვმიტანილ და ბრალდებულ პირთა რაოდენობაზე. საქართველოს მასშტაბით გახსნილია მიმდინარე საქმეთა 16,5%. იმის გამო, რომ შსს-სე მოდის სტატისტიკურად 96% ხისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება. გახსნის საერთო მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით ძალზე დაბალია-გაუხსნელი რჩება დანაშაულის 83%.  
დიაგრამა №14.

დანაშაულის გახსნის მაჩვენებლები



2006 წლის პირველ 6 თვეში დაწვებულ გამოძიებათა საერთო ოდენობიდან (36113 საქმე) სასამართლოში წარიმართა სულ 6315 საქმე. დაწვებულ გამოძიებათა და ნაშთად დარჩენილი საქმეებიდან მხოლოდ 6,61% ადწევს სასამართლომდე. ზოგი საგამოძიებო ორგანოს მუშაობა საქმის დროულად დასრულებისა და სასამართლოში გადაგზავნის მხრივ უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვების.

რეგისტრირებული დანაშაულის კონკრეტული სახეების მიმართ, ყველა ქვეყანაში (იშვიათი გამანაკლისის გარდა, განსაკუთრებით ფინეთი) საქართველოს მსგავსად, მნიშვნელოვანია საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ოდენობა საერთო ჯამურ ოდენობასთან მიმართებაში. საქართველოს მსგავსად, ეს ქვეყნებიც ეერ დაიკვებინიან ამ ტიპის

დანაშაულის გახსნის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით, რაც ზოგადად 15-20% ფარგლებში მერყეობს. ამასთან, საქართველოს მიერ გახსნის რეალური, საერთო მაჩვენებელი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ძალზე დაბალია (16,6%).

**შედარებისთვის:**

ბულგარეთი: 60,5%	გერმანია: 53,1%	უნგრეთი: 55,1%	საბერძნეთი: 83,1%
დანია: 17,1%	ესპანეთი: 28,1%	პოლონეთი: 55,2%	სლოვაკეთი: 46,2%
საფრანგეთი: 28,8%	ჩეხეთი: 40,2%	ფინეთი: 72,2%	ესტონეთი: 37,8%
ლიტვა: 27,9%	ლატვია: 48,8%		

**დასკვნა:**

ავტორის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულთან და განსაკუთრებით მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის პრობლემა თავის აქტუალობას ინარჩუნებს საქართველოს ახალი ხელისუფლების პირობებშიც, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც რამდენიმე სწორი ნაბიჯი გადადგა კრიმინოგენული სიტუაციის რეალურად შეცვლისა და პროფესიონალური და ეფექტური სამართალდამცავი სისტემის შექმნისკენ. სახელისუფლო ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის დადებითმა ტენდენციებმა პერმანენტული ხასიათი უნდა მიიღოს და საზოგადოების მხრიდან კონტროლის პირობებში მოქმედი კანონმდებლობის ზუსტ ჩარჩოებში რეალიზდეს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულან ბრძოლას და ადამიანების ტრეფიკინგს.

**საკონტროლო კითხვები**

1. აღწერეთ დანაშაულობის კრიმინოლოგიური მაჩვენებლები საქართველოში;
2. დაახასიათეთ ძალადობრივი დანაშაული;
3. დაახასიათეთ ანგარებითი დანაშაული;
4. დაახასიათეთ კორუფციული დანაშაული;
5. დაახასიათეთ ორგანიზებული დანაშაული;
6. დაახასიათეთ პროფესიული დანაშაული;
7. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი მაჩვენებლები

## თავი 7. ძალადობრივი დანაშაულობა

### § 1. ძალადობრივი დანაშაულობის განსაზღვრა.

ძალადობრივ დანაშაულობას განსაზღვრავენ, როგორც პიროვნების წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულთა ერთობლიობას. რომელთა საფუძველიც ძალადობაა. ძალადობრივი დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაცია ძირითადად ემყარება დანაშაულის მოტივაციასა და ხერხებს. სისხლისსამართლებრივი კლასიფიკაცია პირველადია. კრიმინოლოგიურ კვლევებში იყენებენ უფრო რთულ ხასიათის კლასიფიკაციებსაც - პიროვნების რომელიმე თვისების, დანაშაულის ჩადენის ადგილის, სოციალური გარემოს მიხედვით და ა.შ.

შესაბამისად განსხვავებულია ძალადობრივი დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი განმარტებებიც. კრიმინოლოგია ამ საკითხს უფრო ფართოდ განიხილავს. მისი ყურადღების ცენტრშია, როგორც ბანალური ციფლიქტი ოჯახში, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის შეიარაღებული ძალადობა. სისხლის სამართლის თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანია მხოლოდ ის ქმედება, რომელიც კვალიფიცირებულია ეროვნული ან საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების მიერ. აღნიშნულ განსხვავებას არ აქვს მკვეთრი ზღვარი. თუმცა, ისიც ყურადსაღებია, რომ პრაქტიკაში ძალადობრივი დანაშაულობის ცნებისადმი ერთიანი მიდგომა ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

ძალადობრივი დანაშაულობა არაერთგვაროვნად აისახება საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ორგანიზაციების კლასიფიკაციებში. ასე მაგალითად, გაერთიანებული ყრების ორგანიზაციის ცნობით ძალადობრივი დანაშაულობის ცნების ქვეშ არ აერთიანებს გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობას და დანაშაულის ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან ძალადობრივ სახეზე.

აშშ-ის ფედერალურ სტატისტიკურ ანგარიშგებაში შეტანილია მარტო განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება და ყაჩაღობა, რაც ნიშნავს ძალადობრივი და ანგარებთ-ძალადობრივი დანაშაულების ფორმათა გაერთიანებას.

გერმანიის ანგარიშგება გამოირჩევა ტრადიციული სიზუსტით, რადგან ძალადობრივი დანაშაულობის ცნებაში აერთიანებს მხოლოდ იმ სახეებს, რომლებიც კოდიფიცირებულად წარმოადგენენ ძალადობრივი დანაშაულობის ელემენტებს (განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, ძარცვა, სხეულის დაზიანება, მოწამება, მძევლად აყვანა და ადამიანის მოტაცება გამოძალღის მიზნით).

ინგლისის და უელსის სტატისტიკური ბიულეტენები ემყარება კაზუსტურ სისხლის სამართალს. დანაშაულთა რეგისტრაციის ნუსხაში პოლიციას შეაქვს: ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ, სექსუალური დანაშაული და ყაჩაღობა. პირველ რუბრიკაში („ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ“) გაერთიანებულია: ა) მძიმე დანაშაულობები: მკვლელობა, აპარტაიდური მკვლელობა, ბავშვის მოკვლა, მკვლელობის მცდელობა, შთოქმულება მკვლელობის ჩასადენად, მანქანის სახიფათოდ ტარება, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი, ძალის დატყუება ან სხვა საშიში ქმედება; ბ) ნაკლებად მძიმე დანაშაულობები: ზღვაზე საშიშროების შექმნა, შეურაცხყოფა, თავდასხმა, ორ წლამდე ასაკის ბავშვის მიტოვება, ბავშვის მოტაცება, უკანონო აბორტი, ბავშვის დაზარების დამალვა.

<sup>1</sup> იხ.: Никифоров А.С., "США: новый закон о контроле над насильственной преступностью". Сб., "Криминологические и уголовно-правовые идеи борьбы с преступностью". М., ИГПРАН, 1996.

<sup>2</sup> იხ.: "Меры борьбы с международным терроризмом". Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия, ООН Нью - Йорк, 1993, с. 50 - 51.

ინგლისის და უელსის სტატისტიკური ბიულეტენი გამოყოფს ძალადობრივ სექსუალურ დანაშაულთა ნუსხასაც, სადაც შედის: პედერასტია, სექსუალური დანაშაული მამრობითი სქესის პირის მიმართ, გაუპატიურება, არანორმალური ქცევა მდებარეობითი სქესის პირთა მიმართ, ცამეტი წლის გოგონასთან უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება, თქმესმეტი წლის გოგონასთან უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება, მაჭანკლობა, ქალის მოტაცება ქორწინების მიზნით, ორცოლიანობა და სხვა.

ინგლისის სტატისტიკური ბიულეტენისაგან განსხვავებით, შევდეთის სტატისტიკა ცალკე არ გამოყოფს ძალადობრივ დანაშაულთა, რადგან ერთიანობაში ითვალისწინებს ყველა სახის განზრახ და არაგანზრახ მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, სექსუალურ დანაშაულს, ყაჩაღობას და სხვა საშიშ ქმედებებს. რამდენადაც განსხვავებული პოზიცია უკავიათ შევდეთის მეცნიერებს, რომლებიც სექსუალურ დანაშაულს არ მიიჩნევენ ძალადობრივად და აგრეთვე, ცალკე განიხილავენ თანამდებობრივი პირის ძალადობრივ ხელყოფას .

შევდეთის სტატისტიკის მსგავსად, ფრანგულ სტატისტიკურ კრებულში პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის 20 სხვადასხვა სახე გამოიყოფა: მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, მშველად აყვანა და სხვა დანაშაული, რომელიც ხელყოფს პიროვნებას. აქვე კანონმდებელი ითვალისწინებს ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს (გაუპატიურებას, მაჭანკლობას და სხვა) ოჯახის და ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც ასევე შეაქვს ისეთი ქმედებები, რომლებიც ძალადობასთან დაკავშირებული არ არიან.<sup>2</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ძალადობრივი დანაშაული საგანგებოდაა გამოყოფილი მესამე თავში, რომელშიც განიხილება დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, ე. ი. თავმოყრილია ძალადობრივ დანაშაულთა ძირითადი ნაწილი, მაგრამ დანაშაულთა აღნიშნული წრე ამით არ შემოიფარგლება, რადგან მისი განსხვავებული სახეობები სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებშიცაა განთავსებული:

სახელმწიფო დანაშაული (ტერორისტული აქტი, ბანდიტიზმი, მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა საქმიანობაში); დანაშაული მმართველობის წესების წინააღმდეგ (წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, რომელიც იცავს საზოგადოებრივ წესრიგს; მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი მოვალეობების შემსრულებელ თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიმართ);

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (ხულიგნობა; აფეთქება; ტრანსპორტის მუშაკის იძულება; ნაეთობომომოყვებელი ობიექტის მუშაკთა იძულება და სხვა);

სამხედრო დანაშაული (წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება, დაარღვეოს სამსახურებრივი მოვალეობა; ძალმომრეობა უფროსის მიმართ. მოსახლეობაზე მიმართული ძალადობა საომარი მოქმედების რაიონში).

აქვე აღნიშნაეთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ახალ პროექტში ძალადობრივი დანაშაული გადანაწილებულია კოდექსის სხვადასხვა თავებში.

გ. ჯანაშია მართებულად აღნიშნავს, რომ კრიმინოლოგიური დაკვირვებისათვის აღნიშნული სახის დანაშაულთა სხვადასხვა თავებში გადანაწილება აძნელებს მათ მთლიანობაში ასახვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინოლოგიის წინაშე დგება დაკვირვების ობიექტის შერჩევის პრინციპის პრობლემა<sup>4</sup>.

<sup>2</sup> ანალიტიკური მასალა იხ.: Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. ООН, Нью-Йорк, 1992.

<sup>3</sup> იხ.: В.В.Лунаев, "Преступность XX века". М. «Норма», 1997, с.191-192.

<sup>4</sup> იხ.: გ. ჯანაშია, "ძალადობითი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება". თბ., 2001, გვ. 28.

კრიმინოლოგიაში მისაღებია დანაშაულთა დაჯგუფება დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის მიხედვით, ხელყოფის ობიექტზე დაფუძნებული პირველადი კოდფიცირებული კლასიფიკაცია კი მეორეხარისხოვან ადგილს იკავებს. ამიტომ კრიმინოგენური სიტუაციის სრული ასახვისათვის მისანშეწონილია ათელის წერტილად ძალადობრივი დანაშაულობის სუბიექტური ასპექტი გამოაცხადო.

ამ მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა სისხლისმარბლებრივი კლასიფიკაცია, რომელიც მოიცავს ძალადობრივი დანაშაულობის ორ ჯგუფს: 1) დანაშაულს სიცოცხლის წინააღმდეგ (მკვლელობის სხვადასხვა სახეებს) და 2) დანაშაულს ჯანმრთელობის წინააღმდეგ. ამ კლასიკური მოდელის გარდა, დასაშვებია მისი უფრო გაფართოებული ვარიანტიც, რომელშიც შედის: მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება, ადამიანის გატაცება და ხულიგნობა.

## §2. ძალადობრივი დანაშაულობის ძირითადი ტენდენციები.

საქართველოში ზოგადად დანაშაულობის ზრდის ფონზე 1970-1989 წ.წ. ძალადობრივი დანაშაულობის ხედრითი წილი მცირდება: 1970-1979 წ. წ. – 52,1 %, 1980-1989 წ.წ. – 34,9%. 1994 წლიდან 2002 წლამდე კვლავ გრძელდება შემცირების ტენდენცია – 26,9%. დაახლოებით ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება მომდევნო წლებშიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი საზოგადოების კულტურას ძალადობა და აგრესიულობა არ ახასიათებს.

გარკვეული ზრდის ტენდენცია ფიქსირდება 1990 -1994 წ.წ., რაც უკავშირდება უწინდელი კონტროლის რღვევასა და შესუსტებას. გარდაქმნის დაწყების, სუვერენიზაციისა და დამოუკიდებლობაზე გადასვლის შედეგად თავი იჩინა კონფლიქტურობის გამაძფერებამ. ამ წლებში განზრახ მკვლელობების აბსოლუტური მაჩვენებლები გაიზარდა 3,7-ჯერ. აღნიშნულ კმედებათა საშუალო წლიური ნამატი უდრიდა 24,4%-ს, რაც 5,2-ჯერ მაღალი გახლდათ დანაშაულობაზე მთლიანად. განზრახ მკვლელობათა წილი დანაშაულობის სტრუქტურაში 1992 წელს შედარებით მაღალი იყო და შეადგენდა 3,9 %. ამ წელს საქართველოში 100 ათას მოსახლეზე 17,3 მკვლელობა მოდიოდა. მკვლელობების ტენდენცია შეადგენდა: 1990 წ. – 34,8 %-ს 1994 წ. – 65,1%-ს. ამ დროისათვის შემჩნეოდა სხეულის მიმე დაზიანებების რაოდენობრივი მატება. მათი რიცხვი გაიზარდა 2-ჯერ, მატების საშუალო წლიური ტემპი კი 13,5%-ს უდრიდა. მაგრამ ეს მაჩვენებელი არ აღმოჩნდა ტიპობრივი ძალადობრივი დანაშაულობისათვის, რადგან 1970 წლიდან მოყოლებული 2002 წლამდე მისი შემცირების ტენდენცია იმანენტურ ხასიათს ატარებდა.

ძირითად ტენდენციაზე მეტყველებს ასევე თანამედროვე ეტაპზე მკვლელობის (-0,93%), სხეულის დაზიანების (-0,29%), გაუპატიურების მცდელობის (-0,01 %) ტემპების შემცირება.

ძირითადი ტენდენციის დამადასტურებელია მკვლელობების ხედრითი წილის შემცირებაც (1995-1999 წლებში ის შეადგენდა 1,84%-ს, 2000-2004 წ.წ. შემცირდა 1,54%მდე) და მკვლელობების ზრდის ტემპების მერყეობა (1995წ. (- 187,0), 1996წ. (- 159,0), 1997წ. (+ 38), 1998 წ. (- 57), 1999 წ. (+ 31), 2000 წ. (- 5), 2001 წ. (+ 24), 2002 წ. (+ 29), 2003 წ. (+ 10), 2004 წ. (- 21,0)

მაგრამ თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები - უმუშევრობა, სიღარიბე, ბრძოლა საკუთრების დაუფლებისათვის და კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების სხვა ფაქტორები ჯერ კიდევ არაა დაძლეული, რის გამოც მოსახლეობის ნაწილის მიდრეკილება აგრესიულობისკენ ისევ შემჩნევა, რაზეც ძალადობრივი დანაშაულობის ზოგადრთი სახეების - ხულიგნობის (+1,06%), მკვლელობის მცდელობის (+0,45%),

<sup>3</sup> იხ.: Лунеев В.В., "Мотивация преступного поведения". М., 1991.

<sup>4</sup> აღნიშნულ კლასიფიკაციას იყენებენ ქართველი კრიმინოლოგებიც. იხ.: ბაბაღა მ., ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998 წ.

<sup>7</sup> იხ.: № 1 ცხრილი.

<sup>8</sup> იხ.: В.В.Лунеев, "Преступность XX века".М., «Норма»,1997., с.191-192.

<sup>9</sup> იხ.: № 2 ცხრილი.

გაუპატიურების (+0,05%), ადამიანის მოტაცების (+0,01 %) მატების ტემპები მეტყველებს. იგივეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, თუ 1994 წელს ძალადობრივი დანაშაულობა (ადამიანის მოტაცების გარდა) შეადგენდა 8,41%, 2006 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა თითქმის 15% შეადგინა. როგორც მართებულად აღნიშნავს ვ. ლუნევი, მცდელობების აბსოლუტური და შედარებითი მაჩვენებლების მტკიცე შემცირება მკვლევარების ინტენსიური ზღის ფონზე, „მოწმობენ მკვლელების შეუპოვრობის ზრდაზე, მიიყვანონ თავიანთი განზრახვა ბოლომდე და მათ მიერ უფრო საშიში იარაღისა და მკვლელობის საშუალებების გამოყენებაზე“<sup>11</sup>.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების დისპროპორცია და შესაბამისად კონფლიქტის ნეგატიური მოქმედება ელინდება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივ დანაშაულთა რაოდენობრივ ცვალებადობაში. მაგალითად, 2000 წლამდე ფიქსირდება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემცირების ტენდენცია. საერთო შემცირების ფონზე მათი თანაფარდობა შემდეგია: 1999წ. (2,6 : 1), 2000წ. (1,7 : 1), 2001წ. (2,4 : 1), 2002წ. (1,6 : 1). ამ ტიპის დანაშაულები ატარებენ უფრო სიტუაციურ ხასიათს (კონფლიქტები ქუჩაში, ოჯახებში და ა.შ.),<sup>12</sup> ამიტომ აღნიშნული პროცესი თანმიმდევრულად არ ეთმობა, რაზეც მეტყველებენ 2001-2006წლების აბსოლუტური მაჩვენებლები: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში 2001-2003 წწ. შეადგენს 1427 ერთეულს, 2004-2006 წწ. კი იზრდება 1875 ერთეულამდე. ასეთივეა სხეულის მძიმე დაზიანების რაოდენობრივ ცვლილებათა ტენდენცია: 2001-2003 წწ. - 776 ერთეული, 2004-2006 წწ. - 1010 ერთეული<sup>13</sup>.

ძალადობრივი დანაშაულობის ზრდა მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში ფიქსირდება. რუსეთში 1994 წლიდან განზრახ მკვლელობათა რაოდენობა გაიზარდა 10,5%-ით<sup>14</sup> ხოლო აშშ-ში - 3,2 %-ით<sup>15</sup>. ყველაზე უფრო მაღალი „პიკი“ აღინიშნა იტალიასა და საბერძნეთში: 49 % და 33,3 %. განსაკუთრებით საშიშია დანაშაულობის ეს ფორმა საშუალო ქალაქებში. ასე მაგალითად, აშშ-ში ძალადობრივი დანაშაულობა გაიზარდა 23%-ით<sup>16</sup>. ამ ფონზე არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გაესვას სახე საქართველოში ძალადობრივი დანაშაულობის სტრუქტურულ მაჩვენებლებს: 1970-1979 წლებში - 52,1 %, 1980-1989 წლებში - 34,9 %, ხოლო 1994-2002 წლებში - 26,9 %, ამრიგად 1970-2002 წლებში ძალადობრივი დანაშაულობა საქართველოში 25,2%-ით შემცირდა.

როგორც ჩანს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ძალადობრივი დანაშაულობის მკვეთრი შემცირება ფიქსირდება. შედარებით-კრიმინოლოგიური ანალიზი ნათელყოფს, რომ, საქართველოსაგან განსხვავებით, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ხანგრძლივი დროის მანძილზე ნარჩუნდება ძალადობრივი დანაშაულობის ზრდის ტენდენცია. საქართველოს მონაცემები გვიჩვენებს, რომ იცვლება ძალადობრივი დანაშაულობის არა არსი, არამედ მისი გამოვლენა. სოციალური ცხოვრება საქართველოში არ უწყობს ხელს დანაშაულობის, ძალადობის ზრდას. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ი.კოპიაშვილიც. „საქართველო,- წერს ავტორი, - ტრადიციულად არასოდეს გამოირჩეოდა ძალადობრივი დანაშაულობის მაღალი მაჩვენებლებით“<sup>17</sup>

<sup>10</sup> იხ.: საქართველოს პროკურატურის რეგისტრირებული დანაშაულობის მონაცემები 16 თვის განმავლობაში (ივნისი 2005 - სექტემბერი 2006).

<sup>11</sup> იხ.: Лунев В. В., "Преступность XX века". М., «Норма», 1997, с. 205.

<sup>12</sup> იხ.: № 3 ცხრილი.

<sup>13</sup> მონაცემების ძირითადი მასალა მოყვანილია ნაშრომიდან: გ. ჯანაშია, "ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება". თბ., 2001.

<sup>14</sup> იხ.: Лунев В. В., "Контроль над преступностью: надежны ли показатели". "Государство и право". М., 1995, № 7, с.91.

<sup>15</sup> იხ.: Никифоров А. С., "США: новый закон о контроле над насильственной преступностью" - Сб.: "Криминологические и уголовно-правовые идеи борьбы с преступностью". М., "ИГПРАН", 1996.

<sup>16</sup> იხ.: "О насилии в небельских американских городах"- Сб.: "Борьба с преступностью за рубежом", 1999, 5, с. 9

<sup>17</sup> იხ.: ი. კოპიაშვილი, "თანამედროვე დანაშაულობის ფორმირებისა და თავიდან აცილების აქტუალური საკითხები". საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმანახი "სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები". თბ., 2000წ., გვ. 119.



### §3. ძალადობრივი დანაშაულების დეტერმინაცია.

ძალადობრივი დანაშაულების ზოგი სახის გაერცვლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის შედეგად. ქვეყნის ბევრ მხარეში უქმად მყოფი, გაჩერებული საწარმოების რაოდენობა 35%-65%-მდე მერყეობს. პროდუქციის 100 მნიშვნელოვანი სახეობიდან 50 საერთოდ აღარ იწარმოება. ამის გამო სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა, მათ შორის 97% სწორედ უმუშევარია. საქართველოს ეკონომიკურ-სოციალურმა მდგომარეობამ გარკვეულად თავი იჩინა დანაშაულების სტრუქტურის სოციალურ მაჩვენებლებშიც: ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენ პირთა ნახევარზე მეტი (63,5%) – უმუშევარია<sup>18</sup>. არსებული ნეგატიური პროცესები ვლინდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის ცვალებადობაშიც. მოსახლეობა მკვეთრად დაიყო მდიდრებად (5%) და ღარიბებად (95%)<sup>19</sup>. საწარმოთა გაჩერების, დაწესებულებათა ლიკვიდაციის, შტატების შემცირების და ეკონომიკის სხვა ნეგატიური მოვლენების შედეგად არსებითად შეიცვალა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა სოციალური მაჩვენებლები. თუ 1970-1989 წლებში მუშათა შორის ძალადობრივ დანაშაულს ჩადიოდა 13,8%, 1997-1998 წლებში ეს მაჩვენებელი 30,5%-მდე გაიზარდა. 2006 წელს მდგომარეობა, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი. სეპარატიზმთან ომმა წარმოიშვა დაძაბულობის და აქედან გამომდინარე – დევიანტური ქცევის ახალი ეკრა – დევნილი მოსახლეობის სიღარიბე. უმძიმესმა ეკონომიკურმა პირობებმა, სოციალურმა დაუცველობამ, დევნილთა დიდი უმრავლესობა, მეტიისმეტად დააბეზა და სულიერად დააუქურდა<sup>20</sup>. დანაშაულის საერთო სტრუქტურაში გამოიკვეთა დევნილთა ძალადობრივი დანაშაულობა, რაც თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვან კრიმინოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. მოსახლეობის მატერიალური დონის საერთო დაცემა დაძაბულობის, კონფლიქტურობის გაერცვლების მნიშვნელოვანი სტიმულია. საქართველოში ჩატარებული კრიმინოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, გამოკითხულ მსჯავრდებულთა 40% და მოსახლეობის დიდი ნაწილი - (33%), ძალადობის გაერცვლებას მატერიალური უზრუნველყოფის დაბალ დონეს უკავშირებს<sup>21</sup>. ანალოგიურ დასკვნას აკეთებენ უცხოელი კრიმინოლოგებიც<sup>22</sup>. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ძალადობრივ დანაშაულს ძირითადად სწადიან მამაკაცები. 1999-2002 წლებში მსჯავრდებულთა შორის მამაკაცთა რიცხვი 96,47%-ს შეადგენდა, ქალთა კი – 3,22%-ს. ძალადობრივი დანაშაულის 60% ჩადენილია 25-35 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების მიერ.

ძალადობრივი დანაშაულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მადეტერმინებელი ფაქტორია კულტურის სფეროში არსებული ნეგატიური მოვლენები. ისინი ეხებიან განათლების დონეს, ცოდნის მოცულობას და ხასიათს; საზოგადოების მნიშვნელოვანი ღირებულებების შექენისკენ სწრაფვას; პიროვნებათა შორის ურთიერთობების ე.წ. ჯგუფური ნორმების აღიარებას; პრესის, ლიტერატურის, რადიოს, ტელეხედევის, კინემატოგრაფიის, თეატრის და კულტურულ-პოლიტიკური სხვა ინფორმაციის წყაროებს; ზნეობრივი და სამართლებრივი შეგნების დონეს; დროის გამოყენების ბიუჯეტს და ა.შ.23 ერთობლიობაში ისინი ქმნიან კულტურის გარკვეული ნორმების სისტემას, ე.წ. ძალადობრივ სუბკულტურას<sup>24</sup>. ასეთი

<sup>18</sup> იხ.: ბაძალაუა მ., ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998 წ., გვ. 80.  
<sup>19</sup> იხ.: "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა". 1997წ., თბ., 1998 წ.  
<sup>20</sup> იხ.: პაპასკირი ზ., "აფხაზეთი საქართველოა". თბ., "აღმაშენებელი", 1998 წ., გვ. 259.  
<sup>21</sup> "შემდგომში ყველა მონაცემი მოუყვანილი იქნება გ. ჯანაშიას აღნიშნული ნაშრომიდან.  
<sup>22</sup> იხ.: Уеда К., "Преступность и криминология в современной Японии". М., "Прогресс" 1989, с. 119.  
<sup>23</sup> იხ.: Ю. М. Антонян, "Психология убийства". Психологическая газета, №4, 1998; О. С. Капинос, "Убийства: мотивы и цели". «ИМПЭ-ПАБЛИШ», 2004 г. и др.  
<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ კრიმინოგენურ დეტერმინაციაში ეკონომიკური ფაქტორის როლის საკითხი საქართველოს კრიმინოლოგიაში ჯერ-ჯერობით დავის საგანია. მაგ., გ. თორდია დანაშაულების საერთო მიზეზად აცხადებს სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობებს (Тодрия Г. Г., "Развитие основных понятий Советской криминологии", "Актуальные проблемы советского права". Тб., «Мешинереბა», 1998, с. 328.) ი. გომიამვილის აზრით კი ასეთ მიდგომას არ უნდა მიეცეს პრიორიტეტი (კრიმინოლოგია, თბ., 1998, გვ. 92).

სისტემა არ არის ერთგვარი, რადგან მოიცავს როგორც ლეგიტიმურ ნორმებს და ფასეულობებს, ასევე საწინააღმდეგო ჯგუფურ ნორმებსაც<sup>25</sup>.

სუბკულტურის ელემენტი შეძლება იყოს ადამიანის დაბალი განათლების დონე<sup>26</sup>, რომლის ხელშეწყობით ყალიბდება პრიმიტიული მოთხოვნილებები, კონფლიქტურობა, სულიერი სფეროს სიღარიბე და ა.შ. მართლაც, ძალადობრივი დანაშაულობისათვის მსჯავრდებულთაგან საშუალო განათლება აქვს 73,4%-ს, საშუალო-სპეციალური – 15,5%-ს, უმაღლესი კი – მხოლოდ 9,8%-ს. მსჯავრდებულთა უმრავლესობის (95,5 %) მიერ შექმნილი ცოდნა, როგორც წესი, არ სცილდება “დამაკმაყოფილებელი” შეფასების ფარგლებს.

საქართველოში ჩატარებული კრიმინოლოგიური კვლევები ადგენენ ძალადობრივი დანაშაულობის ჩამდენ პირთა ცოდნის მიღების პირობებს, რაც დღესაც გასათვალისწინებელია დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით<sup>27</sup>. ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა 65%-მა გამოაქვინა უარყოფითი დამოკიდებულება ღირებულებების ათვისების პროცესისადმი. გამოკითხულთა თითქმის 70% ადასტურებს, რომ სკოლაში ხშირად აცდენდა მოსაწყენ გაკვეთილებს. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 2/3-მა მომდევნო კლასში გადაყვანის მიზეზად დაასახელა მასწავლებლებისა და ახლობლების „ჩარევა“. ყოველი მეორე აზრით, ცხოვრებისეულ ცოდნას ინდივიდი იღებს მეგობრების წრეში და არა სკოლაში.

მსჯავრდებულთა 30% ცოდნის შექმნისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ხსნის მასწავლებლის სისასტიკით ან მოსწავლეებისადმი მისი ფორმალური დამოკიდებულებით. მსჯავრდებულთა 95%-ის აზრით, სასკოლო აუჯვის მტერევა, ჩხუბი და სხვ. „ნორმალური მოვლენაა და ახასიათებს ყველა ბავშვს“.

ძალადობრივი დანაშაულობის ჩამდენი პირისათვის აგრესიულობა, ქართველ მკვლევართა აზრით, არსებითი მახასიათებელია<sup>28</sup>. ამ მოსაზრებას ემხრობიან უცხო ქვეყნების მეცნიერებაც<sup>29</sup>. მსჯავრდებულთა 75% ამართლებს დაზარალებულის მიმართ ჩადენილ ქმედებას, ძალადობრივი დანაშაულის შემთხვევათა 40%-ზე მეტი ჩადენილია იმპულსურად, გაუპატიურების ჩამდენ პირთა 80%-მა კალი შეაფასა, როგორც არსება, რომელიც უნდა ემსახურებოდეს კაცის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; ცინიზმი, სირცხვილის გრძნობის არარსებობა, ხალხის მიმართ უპატივცემულობა, ეგოიზმი, გულგრილობა – მოძალადის სუბკულტურაში ჩამოყალიბებული “ნორმოტიპისთვის” დამახასიათებელი თვისებებია.

სუბკულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია, აგრეთვე, კულტურულ-პოლიტიკური ინფორმაციის ხასიათი. ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა 70%-ზე მეტი ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს ტელეხედვას. აღნიშნული კონტინგენტის 50,6% დანაშაულობის შესახებ ინფორმაციასაც მხოლოდ ტელევიზიით იღებს. უმრავლესობა პრესისადმი და ლიტერატურისადმი ნეგატიურადაა განწყობილი. ხულიგნობის და მკვლელობის ჩამდენმა პირებმა (35%) მოწონება გამოხატეს ე. წ. „ბოვეკებისადმი“, ხოლო გაუპატიურებისათვის მსჯავრდებულთა უმრავლესობამ – პორნოგრაფიული და სექსუალური ხასიათის ფილმებისადმი. მოსახლე ერსპოდენტთა 85,7%-ის აზრით, ტელეხედვა ხელს უწყობს ძალადობის დამკვიდრებას. ე. ფრომის მიხედვით, პრიმიტიული ინფორმაციისადმი სწრაფვა წარმოშობს დესტრუქციულ მდგომარეობას, ვინაიდან

<sup>25</sup> იხ.: “Криминология”. М., “Новый юрист”, 1997, с. 51.

<sup>26</sup> იხ.: “არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია”. თბ., 1985, გვ. 38-47.

<sup>27</sup> მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს ფაქტები მოყვანილია გ. ჯანაშიას ნაშრომებში: “ძალადობით დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება”. თბ. 2001.

<sup>28</sup> იხ.: იმედაძე ნ., “აგრესიის გენეზისისათვის – არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის უკვალოვანი-ფსიქოლოგიური საკითხები”. თბ., “მეცნიერება”, 1983 წ. გვ. 72-80.

<sup>29</sup> იხ.: Шибутани Т., “Социальная психология”. М., “Прогресс”, 1969, с. 72-73.

აერცელებს მტრის ხატს და აქედან გამომდინარე, საღიზმსა და ადამიანებისადმი სიძულვილს<sup>30</sup>.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის ჯგუფური ფორმა არაა დამახასიათებელი, თუ მსგავსებაში არ მივიღებთ სეპარატისტულ დაჯგუფებებს. მართალია, 2005 წლიდან 2006 წლამდე ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის გამო მსჯავრდებულთა ხევდრითი წილი, მათ საერთო რაოდენობაში. 2%-იდან 10%-მდე გაიზარდა, მაგრამ ფაქტები მეტყველებენ იმაზე, რომ აღნიშნული ზღვარი მეტად აღარ მატულობს და ჯგუფური ძალადობრივი დანაშაულები, როგორც წესი, არცაა სიტუაციურ-კონფლიქტურ ხასიათს<sup>31</sup>. ეს განსაკუთრებით ეხება სხვადასხვა პრობლემის ე.წ. “ქუჩურ გარჩევებს”.

ძალადობრივი დანაშაულობისათვის დევიანტურ სტადიაზე დამახასიათებელია ჯგუფური ეტალონების ათვისება. დანაშაულს წინ უსწრებს ჯგუფში კონფლიქტური ქცევის მოდელის შესწავლა. ამ მხრივ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს 600-700 არასრულწლოვანი და 150 სტუდენტი, ამასთან ერთად, მათი ნახევარი გაერთიანებულია სხვადასხვა დევიანტურ და კრიმინალურ ჯგუფში. სამი ათასამდე არასრულწლოვანს შორის შინაგან საქმეთა ორგანოები აელენენ სხვადასხვა დარევებს: ხულიგნობას, წერილმან ქურდობას, ღოთობას, ცივი იარაღის ტარებას. ფიქსირდება ნარკომანიის, ტოქსიკომანიისა და პროსტიტუციის ფაქტები. ელინდება უდისციპლინობა, ბავშვების მიერ თამბაქოს მოხმარების შემთხვევები და სხვა. საშუალოდ 400-მდე მოზარდი სტაბილურად ეწევა მათხეობას ან მოხეტიალე ცხოვრებას, „ქუჩის ბავშვის“ ცხოვების წესს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვიქტიმოლოგიური პრობლემატიკა როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში<sup>32</sup>, ასევე საქართველოშიც<sup>33</sup>.

ძალადობრივი დანაშაულობა ხშირად უკავშირდება იარაღის გამოყენებას. მსგავს დანაშაულთა 45%, როგორც წესი, ჩადენილია ცივი იარაღით, 22% - ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. დანარჩენ შემთხვევებში გამოყენებულია სხვადასხვა სახის საგნები. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მოსახლეობაში ჯერ კიდევ დიდძალი იარაღია აკუმულირებული, განსაკუთრებით სეპარატისტული რეჟიმების მიერ მართულ რაიონებში, რასაც რუსეთიდან იარაღის უკონტროლო შემოდინება უწყობს ხელს.

ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა ფორმირების მიზეზები მათ ოჯახებშიც უნდა ეძიებოდნენ. კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მსჯავრდებულთა ოჯახების 80% კეთილმოუწყობელია, ოჯახში კრიმინოგენური სიტუაციის წარმოშობას ხშირად ხელს უწყობს მატერიალური შესაძლებლობების არარსებობა, წვევრების უზნეობა და სხვა<sup>34</sup>.

ურთიერთობები ოჯახში და არაფორმალური კონტროლი მის გარეთ ერთობლივად ზემოქმედებენ ინდივიდზე<sup>35</sup>. თუ შესუსტებულია ოჯახის კონტროლი, ძლიერდება

<sup>30</sup> იხ.: Фромм Э., “Анатомия Человеческой деструктивности”. М., 1994, с. 259-291.  
<sup>31</sup> იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო სტატიტიკისა და იმფორმატიკის განყოფილების მონაცემები.  
<sup>32</sup> იხ.: Ю. В. Тараханов, “Криминологическая характеристика отклоняющегося поведения несовершеннолетних”. СПб, 2000; И. К. Мясгутов, “Криминологический анализ криминальной субкультуры несовершеннолетних”. СПб, 2001 და სხვ.  
<sup>33</sup> იხ.: 1998 წლის 18 მარტის შსს-ს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის გაფართოებული ხდომის მასალები; იხ.: ქარუმიძე ვ., დარგალი ე.” არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება”. თბ., 1998 წ., გვ. 216-271.  
<sup>34</sup> იხ.: “ОБ эффективности программ перевоспитания трудных подростков” – Сб.: “Проблемы преступности в капиталистических странах”. 1986, № 10, с. 40-41.  
<sup>35</sup> იხ.: გაბრიჩიძე ნ., “ოჯახურ-მეზობლური კონფლიქტები, როგორც სამართალდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემა”. სამართალი, 1999, №6-7, გვ. 78-82; გაბრიჩიძე ნ., “ოჯახური და მეზობლური კონფლიქტების დროს ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება”. სამართალი, 2003, № 6-7, გვ. 42-48.

არაფორმალური ურთიერთობების გაკლენა. ასე რომ, ოჯახის კრიზისთან ერთად, მნიშვნელოვან კრიმინოგენურ როლს თამაშობენ ოჯახის გარეთ არსებული ურთიერთობები. მათ ქმნის ფაქტორთა გარკვეული სისტემა. მათ შორის საყურადღებოა საზოგადოებაში არსებული გაუცხოების მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება დაუცველობაში, მომავლისადმი უიმედობაში, რწმენის შელახვაში, ძირითადი სულიერი ღირებულებების გაუფასურებაში და ა.შ.<sup>37</sup> კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ გამოკითხულ მსჯავრდებულთა 40%-ს დანაშაულის ჩადენამდე არ ჰქონდა საშუალება მოენახა სამუშაო ადგილი 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობით და იძულებული იყო ყველა ხერხით, მათ შორის, კრიმინალურითაც, მოეპოვებინა საარსებო სახსარი.

გაუცხოების მდგომარეობა საზოგადოებრივ ცნობიერებაში აისახება ღირებულებების და მკორალური პრინციპების არსებობის გადაფასებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ერთადერთ უზუნაღს დირებულებად ფულის აღიარებაში, მაქტურიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნებისმიერი ხერხის გამოყენების დაშეებაში, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისადმი ნიპილისტურ დამოკიდებულებაში, სისასტიკის „ზომიერ“ დაშეებულობაში და ა.შ.

დროის უაზრო გამოყენება - სუბკულტურის მნიშვნელოვანი ფაქტორია. გამოკითხულთა 90 % „დროის მოკელის“ ხერხად ახლომდებთან სმას ასახელებს. მათგან 54% არ უარყოფს მეგობრების წრეში ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას, გაუპატურების ჩამდენ პირთა 85,7% დროის გატარების ძირითად საშუალებად ქალთან ურთიერთობას ასახელებს. 52,4%-ის აღიარებით, გართობის დროს მათ ხშირად უხდებათ „საქმის გარჩევა“, ჩხუბი. ალკოჰოლური სასმელების და ნარკოტიკების რეგულარული გამოყენება ხშირად ხელს უწყობს აგრესიის რეალიზაციას ძალადობრივი დანაშაულის სახით.<sup>38</sup>

კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ნეგატიური ურთიერთობები ჯგუფებში ნერგავენ აგრესიულობას და ცინიზმს და შესაბამისად ქმნიან დანაშაულის პოტენციურ მოდელს.<sup>39</sup> აქ დევიანტური ქცევა ფაქტობრივად დროის გატარების, ნეგატიური ტრადიციების განმტკიცების საშუალებაა.<sup>40</sup>

აღსანიშნავია, რომ არაფორმალური კონტროლის ნეგატიურ ზემოქმედებას ხელს უწყობს დევიანტური ქცევის პირების არადროული გამოვლენა და აღრიცხვაზე აყენა, იმ თანამდებობის პირთა ფორმალისში, ვისაც კანონი დადგენილი წესით სახელმწიფო კონტროლის ქმედით განხორციელებას აისრებს, დროული ღონისძიებების გაუტარებლობა იმ პირთა მიმართ, ვინც დანაშაულის ჩადენამდე მკველლობით ან სხეულის მძიმე დაზიანებით იმუქრებოდა; პროფილაქტიკური ზომების აუმიქმედებლობა იმ რეგონებში, სადაც, სავარაუდოდ, იარაღს უკანონოდ ამზადებენ და ატარებენ, აღმინისტრაციული ზედამხედველობის გამოყენებლობა, საზოგადოებრივი აზრის უარყოფა და ა.შ.

ძალადობრივი დანაშაულის მაპროვოცირებელი ფაქტორი ხშირად კონფლიქტური სიტუაციაა, კერძოდ, კონფლიქტი მეუღლეებს ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის; კონფლიქტი დამნაშავესა და მისი ოჯახის სხვა წევრებს შორის;

<sup>36</sup> ას საკითხზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიც, კერძოდ: A. Goetting, "Homicide in families and other special populations". New York, NY : Springer Pub. Co., 1995.

<sup>37</sup> იხ: პროფ. დ. გეგეშიძის სტატია კრებულში: "არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება" (შეადგინეს ე. ქარუმიძემ და ე. დარგალმა). თბ., 1998, გვ. 226.

<sup>38</sup> იხ: თებრუაშვილი, "ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება". კრიმინოლოგი, 2007. № 1, გვ. 15-30

<sup>39</sup> იხ: "Криминология" М., «НЕК», 1998, с. 448.

<sup>40</sup> გამონაკლისს არ წარმოადგენს კრიმინალური ჯგუფები, რომელიც საბოლოოდ აკონტროლებს პირის ცხოვრების წესს - იხ: Д.М. Миненок, "Преступные объединения несовершеннолетних корыстной направленности", СПб, 2000; А.В. Коротков, "Уголовно-правовая и криминологическая характеристика организованной преступности несовершеннолетних". СПб, 2000 და სხვ.

კონფლიქტი მეზობელთა შორის და სხვა 41 განზრახ მკვლელობის 77 % ჩადენილი იყო კონფლიქტურ ოჯახში და საყოფაცხოვრებო გარემოში, ხოლო ხულიგნობის 66 % – ბინებას და ქუჩაში.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ დამაპძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის დროს კონფლიქტური სიტუაცია იქმნებოდა იმ პირთა მიერ, რომელთა 40%-ს აღენიშნებოდა გარკვეული ფსიქიკური ანომალიები. მსჯავრდებულთა 74%-ს ახასიათებს ალკოჰოლური სასმელებისავე მიდრეკილება, შემთხვევათა 80-85%-ში კი ფსიქოპათოლოგიური თვისებები არასასურველი ზნეობრივი შედეგია<sup>42</sup>.

ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციებში ჩადენილია საზოგადოებრივად საშიში აქტები: პიროვნების წინააღმდეგ (92,2%), მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ (7,3%), მმართველობის წინააღმდეგ (0,5%). რეციდივი კი აღინიშნა შერაცხადთა 5,1%-ის და შეურაცხადთა 10,4%-ის შემთხვევაში. ასევე დადგინდა, რომ შეურაცხადი პირები (ძირითადად მამაკაცები) შემთხვევათა 80%-ში იყენებენ მჩხვლტავ იარაღს<sup>43</sup>.

კონფლიქტური სიტუაციის მიზეზი შეიძლება იყოს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქმედება. ხულიგნობის შემთხვევების 50% დაზარალებულის მოქმედებითაა პროვოცირებული. სექსუალური დანაშაულის დროს თითქმის ყველა შემთხვევაში ფიქსირდება დაზარალებულის „გამომწვევი“ საქციელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, უზნეობას და აღვირაზნისლობას მსჯავრდებულები ხედავენ არა საკუთარ თავში, არამედ დაზარალებულის ქცევაში<sup>44</sup>. მკვლელების უმრავლესობა და ხულიგნების 60 % დანაშაულობის მიზეზად ასახელებს დაზარალებულის მხრიდან მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას, ახლობლების წინაშე ღირსების შელახვას. ანალოგიურ შეფასებებს აკეთებენ გაუპატიურების ჩამდენი პირებიც (58%).

კრიმინოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, ძალადობრივ დანაშაულებს ახასიათებთ გადაჭარბებული ეგოცენტრიზმი. მსჯავრდებულთა 41%-ის აზრით, მათთვის გამოტანილი განაჩენი უსამართლოა, რადგან არ ითვალისწინებს ინდივიდის პიროვნულ თვისებებს. სამართლის ცალკეული საკითხისადმი რესპოდენტები უფრო კატეგორიულები აღმოჩნდნენ. 37% თვლის, რომ ხულიგნობისათვის დაკავებული პირი არსებული სისხლისსაგან უნდა გათავისუფლდეს, თუ ის მართალია დაზარალებულთან მიმართებაში. ე.წ. „სამართლიანობის“ საზომი მათთვის ქუჩის კანონია, რაც თავისთავად ბევრზე მეტყველებს. მკვლელები (53,6 %) მათთვის დანიშნულ სასჯელს მკაცრად მიიჩნევენ იმის გამო, რომ სიცოცხლის მოსპობა მათი მხრიდან შემთხვევით ხასიათს ატარებდა და არ იყო წინასწარი განზრახვით ჩადენილი. საერთოდ, აღნიშნული კონტინგენტის დანაშაულებს სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე აღენიშნებათ. 54,4 %-ის აზრით, კანონის არცოდნა ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. ნარკოტიკული ნივთიერებების გამსაღებლები (95,5%) თვლიან, რომ მათი ქმედების მიზეზი გაჭირვებაა, რის გამოც გათავისუფლებას იმსახურებენ.

დაბოლოს, ძალადობრივი დანაშაულის დეტერმინაციის დახასიათებისთვის აუცილებელია დანაშაულის მოტივის გათვალისწინება. კრიმინოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, გამოყოფენ შემდეგ მოტივებს: 1) თავმოყვრების შელახვას – 42,0 % (4,2 %), 2) შურისძიებას – 24,0 % (33,3 %), 3) ეჭვიანობას – 12,0 % (20,8 %), 4) სექსუალური მოთხოვნის დაკმაყოფილების სურვილს – 10,0 % (12,5 %), 5) არასასურველი პირის

<sup>41</sup> იხ.: Заплетал И., “Криминологическое исследование умышленных убийств в ЧССР” - Сб.: “Вопросы борьбы с преступностью”. 1989, с. 148-149.

<sup>42</sup> იხ.: Кузнецова Н.Ф., “Проблемы криминологической детерминации”. М., “Моск. уни – т”, 1984, с. 160-174.

<sup>43</sup> იხ.: მანჩიაშვილი მ., “შეურაცხადის მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უმართლობის კრიმინოლოგიური (სოციოლოგიური) თავისებურებები” – ავტორეფერატი. თბ., 1994 წ., გვ. 19.

<sup>44</sup> იხ.: Шавгулидзе Т. Г., “Правосознание и социально фиксированная установка” – Сб.: “Общественное мнение и преступление”. Тб., “Мецნიერება”, 1984, с. 273.

მოსპობის წადილს – 4.0 % (17,7 %), 6) პოლიტიკურ მიზნებს – 2.0 % (4,2 %), შეკვეთას – 4.0 % (3,1 %), სხვას – 4.0 % (4.2 %).

#### 4. ძალადობრივი დანაშაულობის სოციალური კონტროლის სისტემა

ის შედგება შემდეგი სახის ღონისძიებებისაგან:  
ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებაში სხვადასხვა რეფორმის სახით ხორციელდება. ისინი ძალადობრივ დანაშაულობაზე უშუალოდ არ ზემოქმედებენ.  
სპეციალური ხასიათის ღონისძიებები, რომელთა უშუალო მიზანი ძალადობრივ დანაშაულობაზე ზემოქმედებაა. თავის მხრივ, სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები ტარდება სამ ეტაპად. საწყის ეტაპზე ხორციელდება ზემოქმედება ისეთ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებენ დანაშაულის ჩადენას და ამიტომ ქმნიან დევიანობა ქცევის მოდელს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, პროსტიტუცია, მაწანწალობა, სკოლის გაცდენა და ა.შ. მეორე ეტაპად გვევლინება სამართალდამცავი ორგანოების სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოს ღონისძიებები. ბოლო ეტაპზე ფიქსირდება სოციალური რეაბილიტაციის ზომები, რომლებიც გამოიყენება სასჯელმოსხილ პირთა მიმართ.

განვიხილოთ ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებაში სხვადასხვა რეფორმის სახით ხორციელდებიან. მათ შორის წაშვანია ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ არიან მიმართულნი დაძაბულობის ისეთი წყაროს წინააღმდეგ, როგორცაა სოციალურ-ქონებრივი დაყოფა. ერთი მხრივ, ისინი მიზნად ისახავენ სიღარიბისა და უმუშევრობის დაძაბვას<sup>45</sup>. მეორე მხრივ, მათი მიზანია ანტიმონოპოლური საქმიანობის კორექტირება, უკანონო მეწარმეობის აღკვეთა<sup>46</sup>.

ეკონომიკურ ზომებს ასევე მიეკუთვნება ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობის კონტროლი. ეს საკითხი გულდასმითაა დამუშავებული ქართულ კრიმინოლოგთა მიერ<sup>47</sup>. აღნიშნულ ზომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობის ლეგალიზაციისა და კონტროლის სისტემას. ეს საკითხი საქართველოში ჯერჯერობით სათანადოდ არ არის მოგვარებული. ძირითადად დომინირებენ რეპრესიული ზომები (მათ შორის ადმინისტრაციული ჯარიმის სახით). მაგალითად, პოლანდიაში და დანიაში კანონმდებლობით აკრძალულია ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, მაგრამ დაშვებულია იმ ნივთიერებების გამოყენება, რომელთა მიმართ არ ფიქსირდება მკვეთრად გამოხატული ნარკოტიკული დამოკიდებულება<sup>48</sup>.

იარაღის შენახვისა და გამოყენების მაღალი კორელაცია ძალადობრივი დანაშაულობის ზრდასთან ასევე ითხოვს იარაღის გამოყენებასა და ვაჭრობაზე ეკონომიკური კონტროლის პრობლემის გადაწყვეტას. მსგავსი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის IX კონგრესი მიუთითებდა<sup>49</sup>

სოციალურ რეფორმათა შორის მნიშვნელოვანია ძირითადი მორალური პრინციპების, ფასეულობებისა და სამართლის ნორმების შემუშავება, მათი აქტიური დანერგვა მოსახლეობის ფსიქიკაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ლიტერატურისა და

<sup>45</sup> იხ.: "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატორი გეგმა". თბ., „აზრი“, 1996 წ., გვ. 35-37.

<sup>46</sup> იხ.: "შეაჩერეთ პრივატიზაცია". – დილის გაზეთი. 22. 02. 1999 წ.

<sup>47</sup> იხ.: გაბიანი ა.ა., "Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения". Тб., «Мешинереბა», 1968; გაბიანი ა.ა., "Опыт социально-экономического исследования проблемы пьянства и алкоголизма" - Сб.: "Актуальные вопросы предупреждения правонарушений". Тб., «Сабчота Сакарთველო», 1986, вып. 2, с. 40-64; გაბიანი ა.ა., "О результатах повторного конкретно-социологического исследования алкоголизма в Груз.ССР" - Сб.: "Актуальные вопросы предупреждения правонарушений". Тб., «Сабчота Сакарთველო», 1986, с.27-44 და სხვ.

<sup>48</sup> იხ.: "Between probation and legalization: Dutch experiment in drug police". Amsterdam, 1994.

<sup>49</sup> იხ.: "Доклад Девятого Конгресса ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями". A/CON F/169/16, 12 may 1995, p. 37 – 40.

ხელოვნების ნაწარმოებების მეშვეობით<sup>50</sup> ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, ნორმატიულად უნდა გადაწყდეს პორნოგრაფიული და ძალადობის პროპაგანდის შემცველი ლიტერატურის გაყიდვის პრობლემა. მნიშვნელოვანია, ასევე, ტელევიზიით იმ ფილმების ჩვენების საკითხის მოწესრიგება, რომელთა მუდმივ თემას წარმოადგენს: ძალადობა, მკვლელობა, სექსი, დანაშაულებრივი სამყაროს ცხოვრების წესი. ფილმების უმრავლესობა ქვეყანაში ხედება ლიცენზირების, იდეოკასეტებზე კონტროლის გარეშე და ა.შ.<sup>51</sup>

ზოგადი ხასიათის ღონისძიებებს შორის კრიმინოლოგები გამოყოფენ სოციალურ ზომებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივი პოლიტიკის დემოკრატიზაციას<sup>52</sup>. მრავალი ქვეყნის პრაქტიკის მიხედვით, „ქუჩურ დანაშაულობაზე“ უფრო ეფექტურად ზემოქმედებენ დანაშაულობის პრევენციის რევიზიული, საქალაქო და რაიონული საზოგადოებრივი საბჭოები, რომელთა მოვალეობაცაა ქუჩების პატრულისობა „რთული“ ოჯახებისთვის მატერიალური და პედაგოგიური დახმარების გაწევა, ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზება და ა.შ.

სოციალურ ღონისძიებათა შორის უნდა გამოეყოთ სოციალური რეაბილიტაციის სისტემა. სოციალური რეაბილიტაციის მოდელი მნიშვნელოვანწილად მიზნად ისახავს ადამიანური ურთიერთობების (ინტერაქციების) ხარისხის გაუმჯობესებას საზოგადოებაში. აუცილებელია, რომ სამართალდამრღვემა ურთიერთობები დაამყაროს საკუთარ ოჯახის წევრებთან, სკოლასთან (თუ საუბარია მოზარდზე), მეზობლებთან, შრომით კოლექტივთან და ყველა იმასთან, ვისთანაც ის თავისუფალ დროს ატარებს. ამ კუთხით საზოგადოებაც მნიშვნელოვანწილად ემგევა არასადაშჯულო ზემოქმედების პროცესში. ამის შედეგი კი სოციალური მშვიდობისა და წესრიგის აღდგენა, ნერვიულობის, ფსიქოლოგიური დაძაბულობის, ფსიქიკის პათოლოგიის და სხვა ნაკლოვანებების დაძლევაა.<sup>53</sup> მნიშვნელოვანია პედაგოგიური რეაბილიტაციის მოდელი. მაგალითად, აშშ-ში ჯანდაცვის სისტემაში არსებობენ სამსახურები, რომელთა თანამშრომლები რეკლარულად აკითხავენ მარტოხელა დედებს, იკვლევენ ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის შემთხვევებს, აღმოაჩენენ და აკვირდებიან კონფლიქტებისადმი მიდრეკილ მოზარდებს და ა.შ.<sup>54</sup>

კრიმინოლოგთა აზრით, სახელმწიფოში ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული დახმარების სისტემის შექმნა მეტად მნიშვნელოვანია პიროვნების ფსიქიკური განვითარების გადახრების ადრინდელი გამოვლენის და სასწავლო დაწესებულებებში მათი ადრეული დიაგნოსტიკის თვალსაზრისით. ფსიქოლოგები, სოციოლოგები, იურისტები კონსულტაციურ ცენტრებში მეტად საჭირო დახმარებას უწევენ ხოლმე მეუღლეებს, ბავშვებს და სხვ.<sup>55</sup>

რეაბილიტაციის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისა და პიროვნებათა შორის კონტაქტების გაუმჯობესების პროგრამირებას. მათ შორის მნიშვნელოვანია ზომები, რომლებიც არეგულირებენ სწავლების პროგრამების ორიენტაციას, ახალგაზრდთა შრომით საქმიანობას, აქტიური დასვენებისათვის ბავშვებისთვის სათანადო პირობების შექმნას და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია ოჯახური ცხოვრების წესის გაჯანსაღების იდეოლოგიური და მატერიალური სტიმულირება. ძალადობის თავიდან ახაცილებლად აქტუალურია ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერა. ეფექტურ როლს თამაშობს რასობრივი და კულტურულ-ეროვნული შუღლის

<sup>50</sup> "Криминология", М., «БЕК», 1998.  
<sup>51</sup> იხ.: Шур Э., "Наше преступное общество". М., "Прогресс", 1977, с. 112-124.  
<sup>52</sup> კრიმინოლოგები აღნიშნავენ რუსეთის ფედერაციის რიგი ბრძანებულებების, ასევე აშშ-ს „ძალადობითი დანაშაულობის კონტროლისა და სამართალდამცავი ორგანოების შესახებ“ (1944 წ.) კანონების რეპრესიულ ხასიათს (Лунеев В.В., "Преступность XX века". М., «Норма», 1997, с. 220-221), სამართალდამცავი ორგანოების რეპრესიული ფუნქციების გაფართოების საშიშროებას და ა.შ. (Ишakov С.М., "Зарубежная криминология". М., "Норма", 1977, с. 257-258.)  
<sup>53</sup> იხ.: Шнайдер Г., "Криминология". М., "Прогресс", 1994, с. 424.  
<sup>54</sup> იხ.: "О перспективах переориентации функций систем уголовного правосудия и здравоохранения в предотвращении насильственных преступлений в США" - Сб.: "Борьба с преступностью за рубежом". 1995, №5, с. 24-34; "Борьба с преступностью за рубежом". 1995, № 5, с. 5-7.  
<sup>55</sup> იხ.: "Криминология". М., «БЕК», 1998, с. 460.

გადვიების აღკვეთა, მოქალაქეთა შორის იარაღის გავრცელების შეზღუდვა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ძალადობის პროპაგანდის შემცირება და სხვა.

როგორც გერმანიის გამოცდილება გეიჩენებს, ვიქტომოლოგიური პროგრამისათვის სახელმწიფოს მხარდაჭერის პრაქტიკის დანერგვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოებაში. ცნობილია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში: ა) მუშავდება სპეციალური ინფორმაცია მოქალაქეებისათვის და ბუფინანსდება მოქალაქეთა ძალადობისაგან დაცვის სპეციალური დამატებითი პროგრამები. არსებობს, აგრეთვე სპეციალიზებული პროგრამების ცალკეული სახეობები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საქართველოსათვის. მათ მიეკუთვნება: 1) ადვოკატების მიერ განხორციელებადი სოციალური კონტროლირების მეთოდი; 2) მსხვერპლისა და მოწმეებისათვის დახმარებისა და 3) დაზარალებულთათვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამები.<sup>57</sup>

აშშ და ევროპის ქვეყნების გამოცდილება, როგორც წესი, ითვალისწინებს მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარების პროგრამის დანერგვასა და განხორციელებას და დახმარების ორგანიზაციები ძირითადად შედგებიან დაზარალებული პირებისაგან, რომლებიც მუშაობენ დღე-ღამის განმავლობაში, ამავე მიმართულებით საქმიანობენ გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარების სპეციალური ცენტრები. ასეთი ცენტრები კონტაქტებს ამყარებენ გაუპატიურების მსხვერპლთა ახლობლებთან, ცდილობენ აღმოაჩინონ დახმარება მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად და ა. შ.<sup>58</sup>

სამართლებრივი პოლიტიკის დახვეწას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც საერთო რეფორმების გამოხორციელების, ასევე ძალადობრივი დანაშაულობის კონტროლის ეფექტური მოდელის შექმნისთვის. ამ მიმართულებით მეტად აქტუალურია სისხლისსამართლებრივი ნორმების დახვეწის პრობლემა. მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის რომანულ-გერმანული ტრადიციის დაცვა. დაუშვებელია ძალადობის ამსახველი ნორმების ე.წ. არატრადიციული ფორმულირება. ეს განსაკუთრებით ეხება ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების პასუხისმგებლობის განსაზღვრას აშშ-ს კანონების მოდელის - „ლჩ“ ს მიხედვით, რომელიც უარყოფს თანამონაწილეობის ინსტიტუტს. ასევე დაუშვებელია ისეთი სანქციების შემოღება, რომლებიც ხელს უშლიან სამოსამართლო სამართლის დამკვიდრებას. მეტად აქტუალურია ალტერნატიული სასჯელის გამოყენების პრაქტიკის, სამართლებრივი აქტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზის დანერგვის საკითხი და ა.შ.

კანონპროექტის მომზადებისას კანონმდებელმა წინდაწინ უნდა განსაზღვროს მიღებული ნორმის სოციალური შედეგები. შესაბამისი კრიმინოლოგიური ანალიზის გარეშე, მოსალოდნელი შედეგი შეიძლება კრიმინოგენურ ფაქტორად იქცეს და კანონის დარღვევის ახალი გზები წარმოშვას.

სისხლისსამართლებრივი ნორმების გარდა, მნიშვნელოვანია სამართლის სხვა დარგების ნორმათა არსებობა, რომლებიც უშუალოდ ეხებიან კრიმინოგენული პოტენციის მქონე სოციალურ სფეროებს. ამ მიმართულებით ცენტრალური ადგილი უკავია ე.წ. „რისკის ჯგუფებში“ მყოფი მოსახლეობის ნაწილის მდგომარეობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხს. კანონმდებლობამ კომპლექსურად უნდა მიაქციოს ყურადღება პირებს, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არა აქვთ შემოსავლის მიღებები წყარო, უმუშევრებს, ალკოჰოლის სისტემატურ მომხმარებლებს, ადრე ნასამართლევ პირებს, ამორალურ ან მართლსაწინააღმდეგო ცხოვრების წესის მიმდევარ ინდივიდებს, მუღმიე

<sup>56</sup> იხ.: „Борьба с насильственными преступлениями в США“ – Сб.: „Борьба с преступностью за рубежом“. 1995, № 5, с. 5-7. იაპონიაში ამ მიმართულებით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებენ რეაბილიტაციური დაცვის სახელმწიფო ორგანოები (К. Узда, „Преступность и криминология в современной Японии“. М., „Прогресс“, 1989, с. 158 – 159).

<sup>57</sup> იხ.: Кури Х., „Исследование проблем виктимизации в Германии“ – Сб.: „Криминологические исследования в мире“. М., 1995, с. 123 – 124.

<sup>58</sup> იხ.: Шнайдер Г., „Криминология“. М., „Прогресс“, 1994, с. 374.



საცხოვრებელი ადგილის არ მქონე ადამიანებს, რომლებიც მათხოვრობასა და მაწანწალობას ეწევიან და ა.შ.

სამართლებრივი პრობაგანდა – სამართლებრივი პოლიტიკის განუყრელი შემადგენელი ნაწილია და მისი საბოლოო მიზანი ისეთი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაა, რომელიც ქმედითადაა მიმართული ძალადობის წინააღმდეგ<sup>59</sup>. ღონისძიებათა ამ სისტემაში მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას არსებითი ადგილი უკაია.

სპეციალურ-კრიმინოლოგიური ხასიათის ღონისძიებათა შორის გამოიყოფა ისეთი ზომები, რომლებიც უშუალოდ არიან მიმართულნი დევინატურ ანუ დანაშაულის წინმსწრებ მოვლენებზე.

როგორც კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, ძალადობრივი დამნაშაის პიროვნული თვისებები ყალიბდება გარკვეული სოციალური წინააღმდეგობების შედეგად<sup>60</sup>. მათი მოქმედების სფერო მეტად ფართოა. ამიტომ სპეციალურ-კრიმინოლოგიური ღონისძიებების წინაშე დგება არაორდინალურ ამოცანათა სისტემის გადაწყვეტის საკითხი. როგორც კრიმინოლოგები აღნიშნავენ, თავისი ბუნებით დევინატური ქცევა ძალზე რთული ხასიათისაა. იგი მოიცავს ორ ელემენტს. შესაბამისად პრევენციული ზომებიც ორ სახეობად იყოფა: ა)ზემოქმედება იმ პირებზე, რომელთა ცხოვრების წესი ძალადობრივი, აგრესიული დელიქტების ჩადენის შესაძლებლობების დემონსტრირებაა და ბ) ზემოქმედება ინდივიდებზე, რომელთა ცხოვრების წესი მათ მიერ ძალადობრივი დანაშაულების ჩადენის შესაძლებლობებზე მიუთითებს<sup>61</sup>.

აგრესიულობის მოდელს, როგორც წესი, პირველად ირგებენ მცირეწლოვანი პირები, არასრულწლოვნები და ახალგაზრდა სრულწლოვანი ინდივიდები. ფსიქოლოგებისა და კრიმინოლოგების გამოკვლევების მიხედვით, აგრესიულობა ბავშვთა ასაკიდან ყალიბდება. რესოციალიზაციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნულის ადრეული დიაგნოსტიკირება<sup>62</sup>. ამიტომ აგრესიულობის გენეზისს ძალადობრივი დანაშაულობის პრევენციის პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პიროვნების აგრესიულობის ფორმირებაში მნიშვნელოვანია კონფლიქტური ოჯახის როლი. შესაბამისად, აქტუალურია მათ მიმართ სათანადო პროფილაქტიკური ზომების გაატარების აუცილებლობა. ოჯახებს, რომელთა წევრები იდენენ ძალადობრივი დანაშაულს, კრიმინოლოგები ყოფენ ა) ოჯახებად, რომლებშიც ურთიერთობების კონფლიქტურ ხასიათს განაპირობებს ფსიქიკური ანტაგონიზმი და ბ) ოჯახებად, რომლებშიც მსგავსი ურთიერთობების საფუძველი მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებების შეუსაბამობა<sup>63</sup>. შესაბამისად ეფექტური ზომების ხასიათი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის კონფლიქტურ ოჯახზე ხდება ზემოქმედება.

აშშ-ში ამ მიმართულებით მოქმედებს რესოციალიზაციის სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტური ოჯახების აღრიცხვას, მეზობლების, ახლობლების, მეგობრების გამოკითხვას, პოლიციის ორგანოებში შემოსული სიგნალების ანალიზს და ა. შ.

<sup>59</sup> იხ.: Гуров А.И., "Профессиональная преступность. Прошлое и современность". М., «Юрид. лит.-ра», 1990, с. 281.

<sup>60</sup> იხ.: "Социальные отклонения. Введение в общую теорию". М., «Юрид. лит.-ра», 1984.

<sup>61</sup> იხ.: გ. ჯანაშია, "ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება". თბ. 2001, გვ. 99

<sup>62</sup> იხ.: იმედაძე ნ., "აგრესიის გენეზისათვის – არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები". თბ., „მეცნიერება“, 1983 წ. გვ. 72-80; "არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია". თბ., 1985, გვ.82; Гобечия Ф.В., "Психологические факторы поведения несовершеннолетних правонарушителей". Тб., «Мещинерева», 1979, с.73; შავეულიძე თ., "საზოგადოებრივი აზრი მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა". თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.; შავეულიძე თ., "საზოგადოებრივი აზრი მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა". თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.

<sup>63</sup> იხ.: Соболева С. В., "Виктимологический аспект конфликтных ситуаций в семье – Вопросы борьбы с преступностью". М., "Юрид. лит.-ра", 1976, с. 45.

კონფლიქტური ოჯახების წევრებს ხედებიან ფსიქოლოგები და სოციოლოგები, რომელთა საბოლოო მიზანია მათთან სათანადო კონტაქტების დამყარება და კონფლიქტური ქცევის მოტივების დადგენა. განხორციელებულ ღონისძიებათა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სპეციალურ ტესტირებას, რომლის მეშვეობით ხდება ოჯახური ურთიერთობების დაგნოსტიკა და სპეციალური რეკომენდაციების შემუშავება. ქართულ კრიმინოლოგიაში დაისვა საკითხი პენიტენციარული დაწესებულებების საკლასიფიკაციო ცენტრში ანალოგიური ზომების გატარების შესახებ. აშშ-ის პრევენციულ პრაქტიკაში ყურადღებას იქცევს მზრუნველი (მეურვე) ოჯახების ინსტრუქტის საქმიანობა. ამ ოჯახებში დელიქტენტ ცხოვრობს პროფესიონალი სოციალური მზრუნველების მეუღლეთა წყვილის ბავშვებთან ერთად. ასევე საყურადღებოა კომუნების საქმიანობა, სადაც პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ფსიქოლოგები, კრიმინოლოგები და სოციალური რეაბილიტაციის სხვა მუშაკები ატარებენ.

მსგავსი პრევენციული მეთოდების დანერგვის საკითხი უცხო არაა ქართველი მეცნიერებისთვის, რომლებიც მუდმივად ამახილებდნენ ყურადღებას ოჯახის კრიზისის დაძლევის ზომებზე, კერძოდ, ცხოვრებისეული სიმწველების რეალური აღქმის აუცილებლობაზე ქორწინებამდე; პარტნიორის ღირსების პატივისცემაზე; თანხმობის მიღწევაზე ბავშვების აღზრდის საკითხებში და ა.შ.

სკოლაში ძალადობის დროული გამოვლენისა და სათანადო პრევენციული ზომების განხორციელება წარმოადგენს სპეციალური პროგრამების მოცანას. აშშ-ში შემუშავებულია ძალადობის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვით სკოლებში ტარდება სპეციალური სასწავლო კურსი. ანალოგიური კომპლექსური პროგრამა შემუშავებს ქართველმა მეცნიერებმაც, მაგრამ მიღებული რეკომენდაციები საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. 71 საკითხთა წრე, რომელიც წარმოადგენდა ამ ტიპის პროგრამებში, მეტად ფართოა. აქ ფსიქოლოგების, სექსოპათოლოგების, სოციოლოგების და იურისტების ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სექსობრივი აღზრდა, პედაგოგების აგრესიულობის ნეიტრალიზაცია, პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეთა დაპირისპირების დაძლევა, სპორტში მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა, ახალგაზრდების დასაქმება და ა.შ.

სახლმეურვეობის ქვეყნებში არასრულწლოვანთა ბანდების სპეციალური კრიმინოლოგიური გამოკვლევების შედეგად გამოიკვეთა ახალგაზრდებზე ქურჩის კრიმინოლოგიური ზეგავლენის პრობლემა. კრიმინოლოგების მიერ შემოთავაზებულია იმ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს: სამართალდამცვე ორგანოებში არასრულწლოვანთა დევიაციის აღკვეთის სპეციალური სამსახურების შექმნას, პოლიციის ორგანოების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რეგულარული კონტაქტების დამყარებას, ახალგაზრდობის მასობრივი თავშეყრის ადგილებში რეიდების, ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებებისადმი პრაქტიკული დახმარების რეალიზაციას, ე.წ. "ქურჩის ბავშვების" მიმართ

<sup>64</sup> იხ.: შნაიდერ გ., "Криминология". М., "Прогресс", 1994, с. 429-430.  
<sup>65</sup> იხ.: Фокс В., "Введение в криминологию". М., "Прогресс", 1980, с. 253.  
<sup>66</sup> იხ.: ყვარელაშვილი გ., არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები, თბ., 1996 წ., გვ. 130.  
<sup>67</sup> Шнайдер Г., "Криминология". М., "Прогресс", 1994, с. 430.  
<sup>68</sup> იხ.: "Об эффективности программ перевоспитания трудовых подростков" - Сб.: "Проблемы преступности в капиталистических странах". 1986, № 10, с. 37 - 43.  
<sup>69</sup> იხ.: ბექიაი მ., წულაძე გ., გოჭაძე ზ., მელაძე გ., "ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები". თბ., 1998, გვ. 208-211.  
<sup>70</sup> იხ.: "Борьба с насильственными преступлениями в США" - Сб.: Борьба с преступностью за рубежом". 1995, № 5, с. 5.  
<sup>71</sup> იხ.: "არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია". თბ., 1985, გვ. 35-59.

გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობას და ა.შ.<sup>72</sup> ანალოგიური ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ აგრეთვე ქართული კრიმინოლოგებიც.<sup>73</sup>

“ქუჩის ბავშვების” მიმართ პროფილაქტიკული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს არაფორმალური ურთიერთობების უარყოფითი ზეგავლენის დაძლევის ერთერთ ფაქტორს. არაფორმალური ურთიერთობების წრე მეტად რთულია და შეიძლება სხვადასხვა კუთხით იყოს განხილული. ყველა შემთხვევაში, დევინატური ქცევის პრევენციის ძირითად მიმართულებას “რისკის ჯგუფის” ინდივიდებისადმი სათანადო რეაგირება წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ნარკომანიისა და ძალადობრივი დანაშაულობის არსებითი კორელაცია. ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ში ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაში მხილებული პირების ან „პოტენციური“ ნარკომანების გამოვლენის პრაქტიკა. ფედერალური ბიუროს სათანადო სამსახურები გამოძიების საკითხების წრიდან განასაკუთრებით გამოყოფენ საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის იმფორმაციის მოწოდების კუთხით, აგრეთვე კრიმინალური კავშირებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შექენის მიზნით ძალადობის გამოყენების ფაქტების გამოვლენას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში შემუშავდა ნარკომანიასთან ბრძოლის პროგრამა 1998-2000 წლებისათვის. დღესდღეობით ამ პროგრამას ცვლილება არ განუცდია, თუმცა საზღვარგარეთული ნარკობიზნესის ზეგავლენის გაძლიერების გამო, სიტუაცია ნარკოტიკების მოხმარების კუთხით ქვეყანაში უარესობისკენ შეიცვალა.<sup>74</sup> როგორც მეკლდეარები აღნიშნავენ, საქართველოში, სამწუხაროდ, მხოლოდ მეტადონის პროგრამა მუშაობს და მასში 200 ადამიანია ჩართული. ეს მაშინ, როდესაც, სავარაუდოდ, ქვეყანაში 240 ათასზე მეტი ნარკომომხმარებელია.<sup>75</sup>

დიდ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე ძალადობრივ დანაშაულობასა და ალკოჰოლიზმს შორის კორელაციის არსებობა, რადგან ძალადობრივი დანაშაულების ნახევარზე მეტი სიმთვრალეშია ჩადენილი. ალკოჰოლიზმით დააეღებულნი ადამიანების აღრიცხვა, მათი ცხოვრების წესის შესწავლა, ფსიქოლოგიური მუშაობის ჩატარება, სოციალური დახმარების გაწევა და ა.შ. რესოციალიზაციის სამსახურის ამოცანებია.

“რისკის ჯგუფში” შედიან ასევე მეძაბები, რომლებიც ხშირად ხდებიან ძალადობის ობიექტები ან კონფლიქტურ სიტუაში თავად იღენენ ძალადობრივ დანაშაულს.<sup>76</sup> გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროსტიტუცია, როგორც წესი, ორგანიზებული დანაშაულობის ერთერთი მნიშვნელოვანი საარსებო წყაროა.<sup>77</sup>

პროსტიტუციას თანამედროვე მსოფლიოში განიხილავენ, როგორც სოციალური და ეკონომიკური წინაღმდეგობების შედეგად წარმოქმნილ მოვლენას. ამიტომ გაერთმ ეს პენალურმა ფართად განიხილა, როგორც გენდერული პრობლემარტიკის ნაწილი. აღსანიშნავია, რომ პეინის კონფერენციის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოში

<sup>72</sup> იხ.: “Уличные банды – разновидность организованной преступности” – Сб.: “Борьба с преступностью за рубежом”. М., 1993, с. 1-4; Яблонский Л., “Шайка деликвентов как промежуточная группа” – Сб.: “Социология преступности”. М., “Прогресс”, 1966, с. 355-366.

<sup>73</sup> იხ.: ქარუმიძე ვ., დარგალი ვ., “არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება”. თბ., 1998 წ., გვ. 207-214.

<sup>74</sup> იხ.: გ.თოდრია, “საქართველოზე ნარკობიზნესის ზეგავლენის შედეგანობის პრობლემისათვის” – კრ.: “ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები”. თბ., 1999, გვ. 58-61.

<sup>75</sup> იხ.: ი. კახილაშვილი, “როგორ მდიდრდება სახელმწიფო ბიუჯეტი ნარკომომხმარებელთა ხარჯზე” – გაზეთი „კამარა“, 7-13 ივნისი, 2006 წ. №15.

<sup>76</sup> იხ.: В.А. Шакина, “Женщина, как жертва семейного насилия в супружеских отношениях. Проблемы, причины, предупреждение”. – Иркутск, 2002.

<sup>77</sup> იხ.: გ.ლონტი, “პროსტიტუცია: ისტორიული ექსკურსი”. “მაცნე”, 2006, № 1, გვ. 211-226.

1998 წელს მიიღეს 1998-2000 წლებში ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც 2004 წლამდე გაგრძელდა.

საქართველოში არსებული პირობების გათვალისწინებით, ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აისახა შემდეგი საკითხები: ა) ინსტიტუციონალური მექანიზმები; ბ) ქალების როლი და მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში; გ) ეკონომიკური პოლიტიკა; დ) ქალები და სიღატაკი; ე) ქალები და შეიარაღებული კონფლიქტები; ექ) ქალები და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ზ) ქალთა უფლებები და თ) ძალადობა ქალების მიმართ.<sup>78</sup>

1999 წელს გამოიცა პრეზიდენტის განკარგულება საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ზომების შესახებ, ხოლო 2000 წელს მიიღეს სამოქმედო გეგმა ქალების მიზნით ძალადობის თავიდან აცილების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1996 წლის 1 ივლისს დამტკიცდა „არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდის სექსუალური და სხვა სახის ექსპლუატაციის პრობლემას, პროსტიტუციის როგორც ძალადობის, სისასტიკის შედეგს და ა.შ.<sup>79</sup> შესაბამისად დისავა „ზენობრივი პოლიციის“ საგანგებო განყოფილების შექმნის საჭიროების საკითხი<sup>80</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ 1994 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა კონვენციას ქალების დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის რეკომენდაციები ქვეყანაში ჯერჯერობით აქტიურად არ ამოქმედებულა. გაეროს რეკომენდაციების მიხედვით, ამ მიზნით, საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ქალთა პირობების გამაუმჯობესებელი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და რეალიზაცია<sup>81</sup>.

ცივი და სხვა სახის იარაღის უკანონო შექმნის, დამზადების და შენახვის მცდელობების დროული აღკვეთა ასევე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ძალადობრივი დანაშაულობის ხელშემწყობი პირობების გამოვლენის პროცესთან. ათელების წერტილად ითვლება იარაღის ტარებაზე და იარაღით (მათ შორის სპორტული იარაღით) ვაჭრობაზე კონტროლის გაძლიერება. როგორც ცნობილია, აშშ-ში ეს პრობლემა არსებითად ვერ წყდება, ვინაიდან მკაცრი კონტროლის დანერგვას ეწინააღმდეგება აშშ-ს კონსტიტუცია, რომელიც იარაღის ფლობა-ვაჭრობას ადამიანის კონსტიტუციურ უფლებად აღიარებს<sup>82</sup>. ასევე აუცილებელია ინფორმირების პროცესში საზოგადოების ჩართვა, აღრიცხვის ქმედითი სისტემის დანერგვა და ა.შ.<sup>83</sup>

განვიხილოთ სპეციალურ-კრიმინოლოგიური დონისძიებები, რომლებიც ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის, ვინაიდან გამოტანილი განაჩენით ფასდება ქმედება, როგორც დანაშაულებრივი აქტი.

<sup>78</sup> ამ ბოლო საკითხს ორგანიზებული დანაშაულობის მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, კერძოდ გუთავაზობენ მეძავეების ოჯახური მდგომარეობის (მშობლების, მცირეწლოვანი ბავშვების და ა. შ.) და ცხოვერების პირობების განსაზღვრას; მათი კრიმინალური კავშირების დადგენას; პროსტიტუციის ვიქტიმოლოგიური პრობლემების შემუშავებას და ა.შ. იხ.: “Основы борьбы с организованной преступностью”. М., “ИНФРА-М”, 1996, с. 201-202.

<sup>79</sup> მიმოხილვა იხ.: ქარუმიძე ე., დარგალი ე., “არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება”. თბ., 1998 წ., გვ. 219.

<sup>80</sup> იხ.: 1998 წლის 24 ივლისის საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომის მასალები – „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წ., 25 ივლისი.

<sup>81</sup> იხ.: საქართველოში არსებული მდგომარეობის ერთობლივი შეფასება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული განვიცხვების დახმარების სისტემა. 2001 წ.

<sup>82</sup> იხ.: “Дискуссия о праве общества США на самозащиту с помощью огнестрельного оружия” – Сб.: “Борьба с преступностью за рубежом”. 1995, №8, с. 13-14.

<sup>83</sup> იხ.: “О мероприятиях по снижению оборота торговли огнестрельным оружием” – Сб.: “Борьба с преступностью за рубежом”, 1994, № 10, с. 3-5;

კრიმინოლოგიური კუთხით მნიშვნელოვანია სასამართლოს როგორც ანალიტიკური, ასევე ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობა.

სსსკ-ს მე-18, 508-ე მუხლების თანახმად, ქმედების ხასიათის დადგენისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანებას იძენს საკითხები, რომლებიც ეხებიან: 1) ქმედებას, 2) ქმედების ჩადენის ადგილს, 3) ქმედების ჩადენის დროს, 4) ბრალის ფორმას, 5) დანაშაულის მოტივს, მიზანს, 6) შედეგს. განსახილველ საკითხთა წრე მეტად ფართოა, რადგან ეხება ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ყველა შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ, მამხილებელ, ან გამამართლებელ გარემოებებს. კანონის ეს მოთხოვნა ძალადობრივი დანაშაულის თავისებურების დადგენასაც ეხება.

ძალადობრივ დანაშაულობაზე სასამართლო სისტემის რეაგირება არ შემოიფარგლება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვით. ტიპობრივი ძალადობრივი დანაშაულობის ფორმების განხილვას სჭირდება ტიპობრივი პროცესუალური მიდგომა. ამიტომ, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სასამართლოს ისეთი ფუნქციები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთო სასამართლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით. კანონის თანახმად, სასამართლო იღებს მოქალაქეებს და უზრუნველყოფს მათი განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების დროულ განხილვას (მე-17, 26-ე მუხლები), კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის, ასევე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას კანონთა გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

ძალადობრივი დანაშაულობის სიტუაციურობის, კრიმინალურ ჯგუფებში არასრულწლოვანთა მონაწილეობის, ორგანიზებული დაჯგუფებების სისასტიკისა და სხვა გარემოებათა დადგენით არ ამოიწურება სასამართლო პროცესი. მეტად რთულია ის სოციალური გარემო, რომელიც ხელს უწყობს ამ დანაშაულების ჩადენას. ამიტომ მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება სასამართლოს კერძო განჩინებას. სსსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, სათანადო საფუძვლის არსებობისას სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება (დადგენილება), რომლითაც სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზსა და ხელშემწყობ პირობებზე, რომლებიც საჭიროებენ სათანადო ზომების გატარებას.

სპეციალურ-კრიმინოლოგიური ღონისძიებებს ითვალისწინებს პროკურატურის შესახებ ორგანული კანონიც. აღსანიშნავია, რომ კანონი მოითხოვს ზემოქმედებას როგორც დევიაციურ ქმედებაზე (სამართალდარღვევებზე), ასევე დანაშაულობაზე. კანონის 23-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ პროკურორს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგინება შეაქვს საგამოძიებო ორგანოსა და სასჯელდარსულების დაწესებულებაში ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის "ძალადობრივი" დარღვევის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად. ასეთივე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, თუ გაითვალისწინებთ კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნას. ამ ნორმის მიხედვით, პროკურორს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებში შეაქვს იმფორმაცია კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობის შესახებ. ეს მოთხოვნა ვრცელდება ძალადობრივ დანაშაულობაზეც.

სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომების განხორციელება გათვალისწინებულია აგრეთვე პოლიციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით. კანონის თანახმად, აღნიშნული ზომები ხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით.

უპირველეს, ყოვლისა ყურადსაღებია იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლის ობიექტია დევიანტური ქცევა. ძალადობრივ დანაშაულობასთან მიმართებაში პოლიციის ორგანოებს ევალებათ ჩხუბის, ოჯახური კონფლიქტის და სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთა. სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, კანონი პოლიციის ორგანოებს ავალებბულებს მონაწილეობა

მიიღონ მაწანწალობისა და უმეტესწილად ბავშვთა დატოვების თავიდან აცილებაში. აღნიშნული კონტინგენტი წარმოადგენს "რისკის ჯგუფს", რომელსაც ახასიათებს კონფლიქტურობა და ძალადობისაკენ მიდრეკილება. მიტომ, პოლიციის დროული რეაგირება ქმედითი პრევენციული აქტია ძალადობრივ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიციის ორგანოები მეთვალყურეობენ აგრეთვე საზოგადოებრიობის მონაწილეობას მსგავს პროფილაქტიკურ საქმიანობაში. ინგლისში, მაგალითად, ერთობლივ პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ პოლიციის მიერ შერჩეული მოსახლეობის ნაწილი<sup>84</sup>.

პრევენციის მიზნით, პოლიციის ორგანოები აცნობენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს იმ პირების შესახებ, რომლებიც სიტუმატურად ლოთობენ, არასამედიცინო მიზნით მოიხმარებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებსა თუ სხვა ფსიქოტროპულ საშუალებებს, ასევე იმ ინდივიდების შესახებაც, რომელთა მიმართ არსებობს საკუთარ მონაცემები, რომ დაავადებულნი არიან გადამდები ენერგიული სენით ან შიდსით. პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს აგრეთვე იმ ადამიანის მიყვანა სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის გამო საფრთხის უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ; კანონი ასევე ითვალისწინებს, გამოსაფხიზლების მიზნით მიყვანილი პირის გასინჯვას და ა.შ.

ძალადობის თავიდან აცილების ზომად ითვლება დაზარალებულის, მოწმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებებიც, როდესაც მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება საფრთხეშია. აღნიშნული ტიპის ღონისძიებების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური კონფლიქტების აღმოსაფხვრელად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იარაღის ტარება უშუალო კორელაციურ კავშირშია ძალადობრივ დანაშაულობასთან. ამიტომ პოლიციის ორგანოებს კანონით ევალებათ, რომ პირებს, რომლებიც არ ასრულებენ კანონის მოთხოვნებს, ჩამოართვან აღნიშნული საგნები, საშუალებები და ნაკეთობები.

დაბოლოს, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ პოლიციის შესახებ კანონში აღნიშნულია კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების აუცილებლობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობრივი სამართალდარღვევების აღმოსაფხვრელად.

პოლიციის ორგანოებს უშუალოდ ევალებად ძალადობრივი დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების დადგენა, სამართალდამრღვევ პიროვნებებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარება. ძალადობრივი დანაშაულის გამოვლენა, გასხნა და აღკვეთა – პოლიციის ორგანოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. აღსანიშნავია, რომ პოლიციის ორგანოების პრევენციული ფუნქციის გაძლიერებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აშშ-ში, სადაც რეაგირების ობიექტად განიხილავენ არა ცალკე აღებულ ფაქტს, არამედ ძალადობრივ სუბკულტურას<sup>85</sup>.

ძალადობრივი დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ სპეციალურ-კრიმინოლოგიურ ზომებს მიეკუთვნება ასევე პოლიციის ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ფუნქცია. ამ მიმართულებით პოლიციის ორგანომ უნდა მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის, აღმინისტრაციული სამართალდარღვევის, საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედების და უგზო-უკელოდ დაკარგულ პირთა შესახებ; დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებებსა და შეტყობინებებზე; კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა

<sup>84</sup> იხ.: Проект создания системы "добровольной стражи" в Великобритании - Сб.: "Борьба с преступностью за рубежом". 1995, №7, с. 14-17.

<sup>85</sup> იხ.: Новый закон о борьбе с насильственной преступностью в США. - Сб.: "Борьба с преступностью за рубежом". 1994, № 11, с. 15 - 19.

დასადგენად, გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკელოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გავიშის ეინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად; მიიღოს საწარმოს, ორგანიზაციისა და მოქალაქისაგან ინფორმაცია, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ძალადობრივ დანაშაულობასთან მიმართებაში ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს მეტად რთულ პროცესს. გამოძიების ამოცანების გადარწმუნების გარდა, ამ ორგანოების წინაშე დგას ისეთი ამოცანებიც, რომლებიც მასხავენ ოპერატიული საქმიანობის გაგრძელების აუცილებლობას. ასეთი პრობლემა ხშირად აღმოცენდება ხოლმე კრიმინალური ჯგუფის რომელიმე წევრის ძებნის, ოპერატიული მეთაულყოფის და ა.შ. შემთხვევებშიც.

ძალადობრივი დანაშაულობის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებათა შორის ასევე საგულისხმოა პიროვნების დადგენა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია იმ პირის მოძებნა, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოძიებას და სასამართლოს ემალება<sup>87</sup>. ასევე მნიშვნელოვანია დევიანტების გამოვლენა, განსაკუთრებით, ტოქსიკომანიისადმი მიდრეკილ პირთა დადგენა და აღრიცხვაზე აყვანა<sup>88</sup>.

დაბოლოს, უნდა შევეხოთ პოლიციის ორგანოების რესოციალიზაციის ფუნქციებს. ამ მიმართულებით პოლიციის ორგანომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გააკონტროლოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ შეზღუდვების აღსრულება, რომლებიც დაწესებული აქვთ: თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლებულ პირებს; პირებს, რომლებიც სასჯელის მოხდისგან პირობით არიან გათავისუფლებულები; პირებს, რომელთაც გადაუადრდათ განაჩენის აღსრულება.

ძალადობრივი დანაშაულობის კონტროლის სპეციალურ-კრიმინოლოგიურ ზომებს მიეკუთვნება სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებები.

საქართველოში სოციალური რეაბილიტაციის პოლიტიკა ჯერჯერობით არასისტემურად ხორციელდება. პერსპექტივა განისაზღვრება მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებით, რაც არ სცილდება სურვილის ფარგლებს. სამწუხაროდ, კანონმდებელი არ არის ჩართული ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში<sup>89</sup>.

აღნიშნული საკითხი გარკვეულად გაშუქებულია ქართულ ლიტერატურაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის პრობლემას ეთმობა 90. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მსჯავრდებულის პიროვნებამ და პენიტენციალურმა დაწესებულებამ ერთად უნდა შექმნან რეაბილიტაციის სისტემა. მაგალითად, „საზოგადოებრივი მფურველის“ ინსტიტუტი ღია ტიპის დაწესებულებაში, როგორც ეს აშშ-შია მიღებული. მსჯავრდებულებს ნება ეძლევათ იცხოვრონ ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში (რომელსაც პენიტენციარები აკონტროლებენ) თვით ქალაქში, ან მასთან ახლოს. გადაყვანა ზედამხედველობის გარეშე ხდება. თუ მსჯავრდებული სწავლობს, მაშინ მას უფლება ეძლევა, მოეწეოს ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში და ა.შ. კვირაში ერთხელ იგი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს შესწავლისა და კლასიფიკაციის ცენტრის კონსულტანტს. თანამედროვე პირობებში სასჯელის აღსრულების დაწესებულებას

<sup>86</sup> იხ.: Вадин Ю.А., „Борьба с организованной преступностью в Украине: итоги и проблемы“. Вестник межпарламентской ассамблеи, С.-П., 1995, с.99-100.

<sup>87</sup> იხ.: А.А.Примаченко, „Совершенствование уголовно-правовой системы мер борьбы с правонарушителями несовершеннолетних“. Минск, 1990.

<sup>88</sup> იხ.: Шели Д., „Исучение насилия в США, Молодёжь и смертоносное оружие“ – Сб.: „Криминологические исследования в мире“. М., 1995, с. 160-167.

<sup>89</sup> ამის შესახებ კონკრეტია იხ.: Г.Ф. Хохряков, „Парадоксы тюрьмы“. М., 1991.

<sup>90</sup> იხ.: ყვარელაშვილი გ., „არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები“, თბ., 1996 წ. გვ. 103-108.

შეუძლია სამუშაო ადგილისა და ტექნოლოგიური ხაზის არენდის საფუძველზე შექმნას შრომის პირობები, კქონდეს სპეციალური ანგარიში, სადაც მსჯავრდებულის დანაზოგები ჩაირიცხება და ა.შ. ამრიგად, ღია ტიპის სასჯელის აღსრულების დაწესებულება მსჯავრდებულს საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების გადასვლისათვის ამზადებს. აშშ-ის პრაქტიკიდან, ასევე საგულისხმოა, ე.წ. ჯგუფური საერთო საცხოვრებლების, სამეურნეო ოჯახების არსებობა, რაც ფართოდაა დანერგილი დასავლეთში. ამასთან, მკაცრადაა დაცული პენიტენციარების წესები (მაგალითად, ადგილზე დაბრუნება მუშაობის ან სწავლის დამთავრების შემდეგ, თუ ეს პროგრამითაა გათვალისწინებული). ნახევრადღია ტიპის პენიტენციარში რეაბილიტაციის განსხვავებული მოდელი ფუნქციონირებს. იგი მოქმედებს შეზღუდული იზოლაციის პირობებში. მსჯავრდებულთა ჯგუფი პენიტენციარიის კედლების მიღმა უიარაღო ზედამხედველობის ქვეშ, პენიტენციარიის ტერიტორიაზე კი მის გარეშე მუშაობს. მკაცრი იზოლაციის პირობებში პენიტენციალურ დაწესებულებებში ნებადართულია ზედამხედველობის ქვეშ მუშაობა; დაცვა შეიარაღებულია. წესრიგის დამრღვევებისთვის გამოყოფილია საჯარიმო იზოლატორი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესოციალიზაციის მოდელი შეიძლება გამკაცრდეს ან შემსუბუქდეს.

ქართულ პენიტენციურ მეცნიერებაში, საზღვარგარეთის ქვეყნების მოდელის გათვალისწინებით, შემუშავებულია მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის კრიტერიუმი, რომელმაც უნდა განსაზღვროს რესოციალიზაციის მიმართულება. მიღებული დასკვნების მართებულობაში შეიძლება გაერკვეოდეს მოქალაქე დამნაშავეებზეც. აღნიშნულ კლასიფიკაციაში გამოყოფენ 1) შემთხვევით სამართალდამრღვევებს, რომლებიც თავსდებიან ღია ან ნახევრადღია პენიტენციარში<sup>92</sup>; 2) პარციალურ სამართალდამრღვევებს, რომლებიც, როგორც წესი, ყოყმანობენ, ჩაიდიონ თუ არა დანაშაული, გაანჩით სირცხვილის გრძნობაც, თუმცა, დანაშაულს მაინც სჩადიან. ასეთი პირები თავსდებიან ნახევრად ღია დაწესებულებებში<sup>93</sup>; 3) ბოროტ დამნაშავეებს, რომლებისთვისაც ფუნქციონირებენ დახურული ტიპის დაწესებულებები<sup>94</sup>.

### საკონტროლო კითხვები

1. დაახასიათეთ ძალადობრივი დანაშაული.
2. აღწერეთ ძალადობრივი დანაშაულობის ცნება.
3. დაასახელეთ ძალადობრივი დანაშაულობის ძირითადი ტენდენციები.
4. რას წარმოადგენს ძალადობრივი დანაშაულობის დეტერმინაცია?
5. რას ნიშნავს ძალადობრივი დანაშაულობის სოციალური კონტროლი?

<sup>91</sup> იხ.: ყვარელაშვილი გ., "არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები". თბ., 1996 წ. გვ. 103-108.

<sup>92</sup> იხ.: "The Book of murder" edited by Sebastian Wolfe. New York, Carol Pub. Group. 1992; L. Beeghley, "Homicide: a sociological explanation". Citz. Md.: Rowman & Littlefield. 2003 და სხვ.

<sup>93</sup> იხ. აგრეთვე: G. Chester, Berserk : "Motiveless random massacres". New York, St. Martin's Press, 1995.

<sup>94</sup> იხ. აგრეთვე: M. Dietz, "Killing for profit: the social organization of felony homicide". Chicago, Nelson-Hall, 1983; "Contemporary perspectives on serial murder", Ronald M. Holmes, S. Holmes, editors. CA: Sage Publications, 1998; G. Cameron, "Clues from killers: serial murder and crime scene messages Westport", by Dirk C. Gibson. 2004 და სხვ.



## თავი 8. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი და მათი პრევენცია

ქურდობათა საერთო რაოდენობიდან უმეტესად ხდება მოქალაქეთა პირადი საკუთრების ხელყოფა, ხოლო მესამედზე მეტი ბინის ქურდობაა. ყოველწლიურად დატაცებულია მოქალაქეთა კუთვნილი 500-მდე ავტომანქანა, დიდაა გავრცელებული შხა პროდუქციის, ნედლეულის, სამშენებლო მასალის, ტვირთების, ფულადი სახსრების, ხელოვნების ნიმუშებისა და ა.შ. ქურდობა.

ქურდობები საშიშია არა მხოლოდ გავრცელების გამო, არამედ იმითაც, რომ ხშირად, უფრო მძიმე დანაშაულებთანაა დაკავშირებული, მაგალითად, როგორცაა: განზრახ მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და ა.შ. გარდა ამისა, ჩადენილი ქურდობების მნიშვნელოვანი რაოდენობა დამამძიმებელი რაოდენობებით ხდება, კერძოდ, მათი საერთო რაოდენობის გარკვეულწილად შემცირების მიუხედავად, უკანასკნელ ათწლეულში, გაიზარდა ქურდობის ჩამდენ პირთა რაოდენობა, ამის დამადასტურებელია ჯგუფურად ჩადენილი ქურდობების რაოდენობის ზრდა (40%-მდე), რაც მათ უფრო საშიშ ხასიათს ანიჭებს ცალკეულ ერთ პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან შედარებით.

მეტად მრავალფეროვანია ქურდობების ჩადენის ხერხები, რომელთა შერჩევაც განპირობებულია ხელყოფის ობიექტითა და საგნით, დამნაშაუის პიროვნებით, მისი კრიმინალური გამოცდილებით. კერძოდ, შენობა-ნაგებობებიდან ქურდობისას ფართოდ გამოიყენება გასაღებების შერჩევა, კარის ამოღება, კედლების განგრევა, ფანჯრებიდან, ჭერიდან, სარდაფიდან შეღწევა, სიგნალიზაციის მწყობრიდან გამოყენება და ა.შ.

ჯიბის ქურდობები ხშირად ხდება მასობრივი თავშეყრის ადგილებში, პროფესიონალ დამნაშავე ჯგუფების მიერ, ჯიბეებისა თუ ჩანთების გასაჭრელი საგნების გამოყენებით.

ქურდობის ჩამდენი პირები (ქურდები), როგორც წესი, ცხოვრობენ დანაშაულებრივი შემოსავლებით. 50%-ზე მეტს არ აქვთ მუდმივი საშემოსავლო წყარო. ქურდობებში მონაწილეობს რეციდივისტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (დაახლოებით 20% მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში), ქალები (12 %-ზე მეტი), არასრულწლოვნები (დაახლოებით 18%).

90-იან წლებში აგრეთვე აღინიშნებოდა ძარცვისა და ყაჩაღობის რაოდენობრივი ზრდაც, თუმცა ძარცვის მატეების ტემპები 80-იან წლებთან შედარებით შემცირდა 3,5-ჯერ უფრო მეტად, ხოლო ყაჩაღობები – ნახევარჯერ.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა სტრუქტურაში ძარცვებს, ქურდობების შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს და საშუალოდ, დაახლოებით 8%-ს შეადგენს. სისხლისსამართლებრივი სტატისტიკა ხშირად აფიქსირებს ძარცვებს დამამძიმებელი გარემოებებით, რომელთა შორისაც მატობს მათი განმეორებით ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თანამონაწილეების წინასწარ შეთანხმებით, საცხოვრებელში შეღწევით, ძალადობის გამოყენებით და ა.შ.

მძარცველთა შორის მუდმივი შემოსავლების წყაროს გარეშე პირთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 60%-ს. ძარცვას ხშირად სჩადის პირთა ჯგუფი (5—ზე მეტი), რეციდივისტების (40%), არასრულწლოვნების (25%).

ყაჩაღობა – ერთ-ერთი საშიში დანაშაულთაგანია, მიმართულია არა მხოლოდ საკუთრების, არამედ პიროვნების წინააღმდეგაც. უკანასკნელ წლებში ძალადობამ ფართო გავრცელება პპოვა და ხშირი მოვლენა გახდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ძალადობრივი დანაშაულებიდან

ძარცვათა მნიშვნელოვან ნაწილს სწადიან ცეცხლსასროლი ან სხვა იარაღის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით.

ძარცვებისა და ყაჩაღობების ჩადენა ხდება პირადი საკუთრების წინააღმდეგ (80%), ქალაქის პირობებში (80%-მდე), ქუჩებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (60%-მდე), სახლების სადარბაზოებში, ლოგებში (10%). უკანასკნელ წლებში გაიზარდა ძარცვების (10%-ით) და განსაკუთრებით ყაჩაღობების (80-85%-ით) რაოდენობა საცხოვრებელში და სხვა ნაგებობებსა და საცაბეებში შეღწევით.

ამ დანაშაულების ჩადენის (განსაკუთრებით რეციდივისტების მიერ) წინაპირობაა მისი დაწერილობითი მომზადება: ხელყოფის ობიექტებისა და თანამზრახველების მოძებნა, მდგომარეობის შესწავლა, იარაღისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, დატაცებულისა და დამნაშავეების დასამალავი ადგილის ნახვა და ა.შ.

ყაჩაღობას, ისევე, როგორც ძარცვას, ხშირად სწადიან შემოსავლების წყაროს არმქონე პირები - 65%, ადრე რომ ჰქონდათ ჩადენილი დანაშაული - 40-45%, 18-დან 24 წლის ასაკამდე პირები - 40%.

90-იან წლებში საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა სტრუქტურა რამდენადმე შეიცვალა, დღეისათვის იგი ხასიათდება გამოვლინების უფრო ფართო სპექტრის ფორმებით, რაც, როგორც ჩანს, განპირობებულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით. ამ დანაშაულობათა სტრუქტურაში უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებენ ისეთი დანაშაულები, როგორცაა: თადლითობა, გამოძალა, მითვისება ან კუთვნილი ქონების გაფლანგვა დას ხე.

რეგისტრირებული დანაშაულებიდან თადლითობა უმნიშვნელო ხვედრით წილს შეადგენს - 2-დან 5%-მდე, მაგრამ მისი დინამიკა უკიდურესად არასასურველია, რადგანაც უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ასეთი სახის დანაშაული გაიზარდა თითქმის 6-ჯერ. ნახევარზე მეტი ეკონომიკური დანაშაულია. თუ ადრე, თადლითობა განპირობებული იყო სახალხო მოთხოვნილებების საქონლის დეფიციტით, მისი სფერო ფართოვდებოდა ადამიანთა თავშეყრის ადგილებში აზარტული თამაშებით, უძრავი ქონების გარეგნობით და ა.შ.

ამ დანაშაულობათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თადლითურ ქმედობათა 40%-ზე მეტი ჩადენილია ჯგუფურად, წინასწარ ზუსტად განაწილებული როლებით, დაზარალებულისადმი სხვადასხვა სატყუარების გამოყენებით. ამასთან, ხშირად ხორციელდება ისეთი ქმედებები, როგორცაა ყალბი ფასეულობების გასაღება, ბანკოში შუღერობა, ძვირფასეულობათა მოპოვება, ვითომდა მომსახურების გაწევის საფასურად, მოტყუებით საითთებით თამაშებისას, ლატარიაში მოტყუებით; ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ფულადი კუპონების დახურდავებისას, ანაზღაურების დროს ე.წ. „თოჯინას“ გადაცემით, მკითხაობით, ჯადოებით, ფიქტიური ქორწინებით (ან ქორწინებისას „აფერით“), ხელისუფლების წარმომადგენლად თავის წარდგენით, საფინანსო პირამიდების მშენებლობებით.

ყველაზე უფრო ხშირად, თადლითობას სწადიან მუდმივი საშემოსავლო წყაროს არმქონე პირები (50%-ზე მეტი), ვისთვისაც თადლითობა ხდება ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონის უზრუნველყოფის საშუალება. თადლითთა შორის უმაღლესი განათლებითაა პირები, 20%-მდე საშუალო სპეციალური განათლებითაა. ეს დანაშაულები, ყველაზე მეტადაა გავრცელებული 30 წლის ასაკს ზევით -55%-ს.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ წლებში თადლითობის ჩამდენ კერძო მეწარმეთა რაოდენობა, გაიზარდა 8-ჯერ. თადლითთა ნახევარზე მეტი ხვედრითი წილი ქალებზე მოდის (40%-მდე). მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თადლითები გამოირჩევიან მნიშვნელოვანი სპეციფიკით. ისინი დანაშაულებრივი სამყაროს თავისებური ინტელექტუალები არიან.

რეფორმების გატარების წლებში, ფართო გაერცვლება კოეფიციენტი გამოძახებამ, უფრო მეტიც, მიიღო ახალი სახელიც – „რეკეტი“. უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე გამოძახების რეგისტრირებული ფაქტები 2-ჯერ გაიზარდა.

მკვლევართა გამოკითხვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ წარმოების კერძო მესაკუთრეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სავაჭრო დაწესებულებების მესაკუთრეებისა თვლიან, რომ უკეთესია „დაეთანხმონ“ რეკეტორებს, რადგან სამართალდამცავი ორგანოების დაცვის იმედი არ აქვთ. ასეთი სახით გამოძახლება გამოდის, როგორც ახალი მოვლენა, როცა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები აგრეგებენ გარკვეულ „ხარკს“ (ასაკრებლებს), ახორციელებენ მათ დაცვას სხვა დანაშაულებრივი ჯგუფების ხელყოფისაგან. დამახასიათებელია, რომ ამ დანაშაულის ამსრულებლები ხშირად გამოდიან მუდმივი საშემოსავლო წყაროს არმქონე პირებიდან.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა ცალკეული სახეების განხილვა შესაძლებლობას გაძლევს განესაზღვროთ მათთვის დამახასიათებელი, განვითარების საერთო ტენდენციები და კრიმინოლოგიური თავისებურებანი. ასეთი საერთო ტენდენციებია:

- ამ დანაშაულთა რაოდენობის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში, (საუბარია საშუალო-სტატისტიკურ ტენდენციებზე, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების წინააღმდეგ ხელმოყოფ დანაშაულთა ცალკეული სახის მიხედვით, რომელიც პერიოდებში მათი რაოდენობა სტაბილიზებულია ან შემცირებულია)
- მათი ხვედრითი წილის ზრდა დანაშაულთა საერთო რაოდენობაში;
- მატების მაღალი ტემპები, რომლებიც, როგორც წესი, 2-3 –ჯერ აღემატება ძალადობრივი დანაშაულების შესაბამის მაჩვენებლებს;
- ლატენტობის დონის მატება.

მოცემული ნეგატიური ტენდენციები მოქმედებენ ხანგრძლივი დროის მანძილზე და ექსპერტთა შეფასებებით, საზოგადოებაში საკმაოდ დიდხანს ელინდებიან.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებისა და მათი ჩამდენი პირების რაოდენობის ზრდაზე, ჩვენი აზრით, იმოქმედა სოციალურ-ეკონომიკურმა, სოციალურ-პოლიტიკურმა, სოციალურ-ფსიქოლოგიურმა და სხვა ცვლილებებმა. თავისი ერთგვაროვანი როლი ითამაშა კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა და ძალიან ორგანიზებულ სატარებულმა რეფორმებმა.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების რაოდენობრივმა ცვლილებებმა გამოიწვია თვისობრივი ცვლილებებიც, კერძოდ, მის სტრუქტურაში გაიზარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების, ორგანიზებული დანაშაულების ხვედრითი წილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გაიზარდა ამ დანაშაულობათა საზოგადოებრივად საშიში ხარისხი და მიყენებული ზიანის ოდენობა.

ჯგუფური და ორგანიზებული დანაშაულების ამსრულებლები ძირითადად სპეციალიზდებიან ანგარებით და ანგარებით-ძალადობრივ დანაშაულებრივ ხელყოფაზე, უპირველეს ყოვლისა, ცესენი ქურდობები, ძარცვები, თაღლითობები, გამოძახებები. დანაშაულების 50%-ზე მეტი მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

არაკეთილსასურველი თავისებურებანი აღინიშნება საკუთრების ხელყოფისას არასრულწლოვანთა მხრიდან: მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა 2/3 – ანგარებით-ძალადობრივი, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ასეთი სახის დანაშაულის სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს, რომ არასრულწლოვანებმა მუხუშირეს ქურდობისა და გამოძახების ჩადენას, შეიმჩნევა არასრულწლოვანთა 14-15 წლის ასაკიდან კრიმინალური

აქტიურობის ზრდაც, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ისეთ დანაშაულებში, როგორცაა ძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალა, ქურდობა, მათ შორის ბინის ქურდობა.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების შედარებითი ტერიტორიული ანალიზი გვიდასტურებს, რომ ამ დანაშაულთა ზოგადი კანონზომიერებანი ახასიათებთ საქართველოს ყველა რეგიონს; ამ სახის დანაშაულთა შორის განსხვავება უმნიშვნელოა – დაახლოებით 5%.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების კრიმინოლოგიურ თავისებურებათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე, მათი აშკარად გამოხატული ანგარებითი ხასიათი, მათი მნიშვნელოვნად გაერცვლება, ამ ქმედებათა ჩამდენი პირების დიდი რაოდენობა, გამოყენებული ხერხებისა და ილეთების მრავალფეროვნება, დამნაშავეთა კრიმინალური პროგრესიონალიზმის მომატება; აშკარად გამოვლენილი ეგოცენტრიზმის გამოვლენისას სოციალურდემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, სისხლისსამართლებრივი დახასიათებების ფართოდ განფანტვა, მთლიანობაში პიროვნების ინტერესებისადმი უპატივცემლობა, ანგარებითი მოტივაცია.

## §2. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენის ძირითადი მიზეზები და პირობები

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების და მათ ჩამდენ პირთა დახასიათებაზე უშუალოდ ზემოქმედებენ სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

ასეთი სახის დანაშაულთა ჩადენაში ნეგატიური ტენდენციების მიზეზები, უპირველესად, დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან, საქართველოს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლასთან, ქვეყანაში საერთო ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობასთან, წარმოების დაცემასთან, ფაქტობრივი უმუშევრობის ზრდასთან; მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ჩაღრმავებასთან, ხელფასების მასობრივ გაუცემლობასთან, სოციალური დაძაბულობის ზრდასთან.

ამ კრიზისოვან ფაქტორთა გამანადგურებელმა ზემოქმედებამ მოსახლეობის დასაქმებაზე, მოკალაქეთა მატერიალურმა მდგომარეობამ მიიყვანა ისინი გაერთიანებისაკენ, უმრავლესობას მოუსპო ნორმალური, ჩვეული ნორმებით ცხოვრება. უკანასკნელ წლებში მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეუმცირდა შემოსავალი.

მოკალაქეთა უმრავლესობის ცხოვრებისეული დონის მნიშვნელოვნად შემცირებამ, ხელი შეუწყო იმ პირთა რაოდენობის ზრდას, ვინც სჩადის საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებს. უმუშევრობის შემდგომი ზრდის გათვალისწინებით, იქმნება ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულების აღდგენის რეზერვი. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში, დამნაშავე პირთაგან თითქმის 3-ჯერ გაიზარდა შრომისუნარიან დამნაშავეთა რაოდენობა, რომლებიც არსად არ მუშაობენ და არ სწავლობენ.

გრძობილება საკუთრების აქტიურად გადანაწილება, რომელშიც მონაწილეობას ამა თუ იმ ფორმით იღებენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასები და დიდი რაოდენობის საფინანსო სტრუქტურები. ამასთან მესაკუთრეთა შეცვლას, არც თუ ისე იშვიათად, თან სდევს სხვადასხვა ფორმის კრიმინალური გამოვლინებები, რომელთა უმრავლესობაც დატენტური ხასიათისაა.

საბაზრო ურთიერთობების განვითარების პირობებში გაიზარდა მოკალაქეთა ვიქტიმურობა, ძირითადად, სამოქალაქო სამართლებრივი საქმიანობის გამოცდილების არქონის გამო. მაგალითად, 90-იან წლებში ინტენსიურად შექმნილი, დანაშაულების ჯაჭვური რეაქციის

მაპროვოცირებელი, დიდი ოდენობით საბანკო სისტემებისა და საფინანსო „პირამიდების“ განადგურება. შეანარჩუნებმა დაკარგეს არა მხოლოდ თავისი ანაბრები, არამედ სესხად აღებული ფული, ანაზღაურების ნაუცბათედად შეწყვეტის გამო, ხშირად ვალდებისა და კბორების გადახდევინება წყდებოდა კრიმინალური გზით. თუ გაითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 1994 წელს, თაღლითური გზებით მოქალაქეების ზიანმა მილიარდობით დოლარი შეადგინა და დაზარალებულთა რაოდენობამ მრავალი ათასი ადამიანი შეადგინა, მაშინ, უშეკვლად დაეასკენით, რომ ასეთმა მასობრივმა მოვლენამ გაზარდა სოციალური დაძაბულობა, განაპირობა დამნაშავეთა ფინანსური და სხვა პოზიციების განმტკიცება.

კონფლიქტური სიტუაციების შექმნას ასევე ხელი შეუწყო საქმარისი სამართლებრივი ნორმების არარსებობამ პრივატიზაციის, საკუთრების ფორმის შეცვლის საკითხებზე, შეიქმნა გარკვეულ პირთა ფენა, რომელმაც შეძლო გამოყენებინა ეს თანმდევი შედეგები, პრივატიზაციის ნაკლოვანებები და გამდიდრებულიყო მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკების ფონზე.

ეკონომოკაში კრიზისული მოვლენები ხელს უწყობენ საზოგადოების კრიმინოგენურ პოტენციალს. ფართოდ გავრცელდა ეკონომიკურ უოთიერთობათა სუბიექტების ქცევის კრიმინალური ფორმები. ჩვეულებრივ საქმედ იქცა მათ მიერ ეკონომიკური ამოცანების გადაჭრა არსებულ კანონების გვერდის ავლით. დღეისათვის ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი (ექსპერტთა შეფასებებით შრომისუნარიანი მოსახლეობის 20%-მდე) სოციალური ფენა, რომელიც მოიცავს ისეთ მეწარმეებს, რომლებიც ადვილად ებმებიან კრიმინალურ ან წინაპირობად ეკონომიკურ ქცევებში.

მასობრივი ხასიათი შეიძინეს სხვისი საკუთრების დატაცებებმა და მითვისებებმა დატაცებული პასპორტების გამოყენებით, ყალბი საგადასახადო დოკუმენტებით, კაპიტალის არაკონტროლირებადი გადადინებით ჩრდილოეთ ეკონომიკასა და საზღვარგარეთის ბანკებში, კრიმინალური ფულის ლეგალიზაციითა და ა.შ. ამდგარმა მოვლენებმა ხელი შეუწვეს მოსახლეობაში ანგარებისაკენ მიდრეკილებათა ზრდას.

ტექნიკური პროგრესის განვითარებამ მიგვიყვანა კომპიუტერული ტექნიკის ფართოდ გამოყენებისაკენ, რამაც გამოიწვია საკუთრების წინააღმდეგ ხელმყოფი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩადენილი დამაშაულების ზრდა. მაგალითად, რუსეთში რეგისტრირებულ დატაცებათა რაოდენობა, დაკავშირებული კომპიუტერულ ქსელში ბანკებისა და სხვა კრედიტუნარიანი დაწესებულებების არასანქცონორებულ ჩართვასთან, ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, თუმცა, მისი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

გარდა ამისა, საზღვარგარეთის გამოცდილება ადასტურებს, რომ მსგავს დანაშაულებს მოაქვთ უდიდესი ზიანი. მაგალითად, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ერთი ასეთი დანაშაულიდან „საშუალოსტატისტიკური“ ზიანი შეადგენს 650 ათას ამერიკულ დოლარს, მაშინ, როდესაც ბანკის ძარცვის შედეგად ზიანის ანალოგიური მაჩვენებელი – 9 ათას დოლარამდებ.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინება განსახილველ დანაშაულობათა არაკეთილსასურველ ტენდენციებზე. დემოკრატიული რეფორმები მიმდინარეობს მდორედ და უიდეურესი წინააღმდეგობებით, ამასთან, ისინი არ არის უზრუნველყოფილი გასაგები და მკვეთრად განსაზღვრული გრძელვადიანი ან საშუალოვადიანი პროგრამით, საიდანაც შეგძლებოდა დაგვეჩვენა, თუ რა გზებით მიმდინარეობს განვითარება, როგორი მექანიზმები მოქმედებენ, როგორი ქცევის ხერხები შეესაბამება მათ და ა.შ. ყოველივე ეს კი, უცილობლად ამბავებს საზოგადოების სოციალურ დაძაბულობას.

პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ქვეყნის კრიმინალურ მდგომარეობაზე ახდენენ ზეგავლენას, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ეკონომიკის მდგომარეობასთან, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მეთოდებთან. ამ მოსაზრებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად განსაკუთრებული ურთიერთწინააღმდეგობა, დაკავშირებული საკუთრების ხელახლა გადანაწილებასთან, პრივატიზაციის ფორმებთან და მეთოდებთან. მოსახლეობის ძირითადმა მასამ დაკარგა ილუზია და იმედი „საკუთრებასთან“ დაკავშირებით. ზოგადსაქოპობრიოდ აღიარებული მიღწევები აღმოჩნდა კერძო პირთა შეღარებით ვიწრო წრის ხელში. რასაკვირველია, ეს მოქალაქეთა უმრავლესობაში ბადებს იმედის გაცრუებას, უკმაყოფილებას, შექმნილი მდგომარეობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, საკუთრების უფრო სამართლიანად გადანაწილებისაკენ სწრაფვას.

კრიმინალურ მდგომარეობაზე ზემოქმედებას, მავანთა აზრით, აგრძელებს საბჭოთა კავშირის დაშლის თანმდევი შედეგები. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თვითგამორკვევამ, ამ დროს წარმოშობილმა ეროვნებათაშორისმა კონფლიქტებმა მიგვიყვანეს იქამდე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ათასობით ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირია. სოციალურად მოუწყვრიკებლობა და სამართლებრივმა დაუცველობამ მათი ჯგუფები გარდაქმნა მომეტებული კრიმინალური და ვიქტიმოლოგიის რისკის ჯგუფებად...

სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზისას, უპირველესად აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში მკვეთრად შეიცვალა ფასეულობათა კრიტერიუმები. თუ ადრე შრომა წარმოადგენდა იმ ფასეულობას, რომელზედაც ორიენტირება იყო ხალხი, ახლა მატერიალური კეთილმოწყობა, მიუხედავად მისი მიღწევის ხერხებისა, განსაზღვრავს ადამიანს, როგორც ფასეულს, და არა მის შრომას.

პირთა ვიწრო წრის სიმდიდრის მკვეთრად ზრდა, წარმოშობს არა მხოლოდ შურს, არამედ მისწრაფებას, მიიღოს ახდენივე სიმდიდრე ანდა ასეთი კეთილდღეობის სუროგატი. ანგარება აყალიბებს და განსაზღვრავს მოსახლეობის მრავალს ფენის ქცევას. სწორედ ანგარება – დანაშაულის ჩადენის შედარებით უფრო დამახასიათებელი ნიშანი და არა მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებისა.

წარმოებს დამნაშავე პირთა კრიმინალური პროფესიონალიზმის გაძლიერება, ისინი ერთიანდებიან სხვადასხვა ლეგალური სტრუქტურის დაცვის ქვეშ. უმჯობესდება ორგანიზებული დამნაშავე ჯგუფების ტექნიკური აღჭურვილობა, იზრდება რეციდივისტთა რაოდენობა, იზრდება კორპორაციული მორალის ზემოქმედება და ხდება ქვეყნის კრიმინალური სტრუქტურების გაფრცქვლება. ამასთან, ყოფაში გაფრცქვლებული ცინიკური გამოჩაქვამები „იპარავს ყველა“, „ყოველი ჩვენგანი დამნაშავეა, ოღონდ ერთნი ჩავარდნენ, სხვანი კი არა“ - აღიარებულია იმისათვის, რომ გაამართლონ დანაშაულებრივი ქმედება.

ჯერ კიდევ მაღალ დონეზე შენარჩუნებული მოსახლეობის მოთმინება დანაშაულებრივი გამოვლენებისადმი. ეს განპირობებულია ერთის მხრივ, საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამნაშაულის გარდაქმნით ბედნიერ, მდიდარ, საქმოდ მისხაბად ადამიანად, ხოლო მეორეს მხრივ, ყველგან გამოვლენილი სამართალდარღვევებისადმი შეგუებით და სამართალდამცავი სისტემის მიმართ უნდობლობით, რომ ისინი მოსახლეობას ვერ დაიცავენ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

სახელმწიფოს საზოგადოებაში ადამიანის ქცევის მორალურ კრიტერიუმებს დღეისათვის არ ეთმობა სთანადო ყურადღება და გარკვეულწილად გადააბარებულია ვალდებულება რელიგიურ კონფესიებზე, რათა მათ განავითარონ და ჩანერგონ ადამიანებთა შეგნებაში ისეთი მცნებები, მაგალითად, როგორცაა „არა კაც კლა“, „არ იპარო“ და სხვ. მაგრამ ძნელია ჩათვალო, რომ ეკლესია და მისი დოგმები გახდა საზოგადოების შინაგანი მოთხენილება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზეგავლენა ძალზედ გაეცვლდა,

განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სამწუხაროდ, ეს ძალზედ მცირედაა. საჭიროა ამოქმედდეს კონსტიტუციაში ჩადებული (მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის არარეალიზებული) ისეთი დებულებანი, როგორცაა თავისუფლების უფლება, საქმიანობისა და პროფესიის არჩევის უფლება, განათლების უფლება, სოცურწინეველყოფის უფლება, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლება და ა.შ.

შექმნილ მდგომარეობაზე არსებით ზეგავლენას ახდენს სამართალდამცავი ორგანოების არსაკმარისი პოტენციალი, რომლებიც ახორციელებენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთას, გამოვლენას, რეგისტრაციას, გახსნას, გამოძიებას. სამართალდამცავი სისტემის რესურსების უზრუნველყოფის შეზღუდვა მნიშვნელოვნად ამცირებს მის ფუნქციურ შესაძლებლობებს.

კრიმინალური სიტუაციების განვითარებაზე ნეგატიურად ზემოქმედებენ აგრეთვე, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის სისტემის ნაკლოვანებანი, რომელიც მნიშვნელოვნად შესუსტდა რეფორმების გატარების პერიოდში, რის შედეგადაც კრიმინალური სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ზემოქმედებიდან. ამჟამად, ახალი რეალებიდან გამომდინარე, იდგმება გარკვეული ნაბიჯები სოციალური კონტროლის დარღვეული რგოლების აღსადგენად. თუმცა, ყოველივეს ხელს უშლიან ობიექტური და სუბიექტური სირთულეები. ასე, მაგალითად, სოციალური კონტროლის ახალი სისტემის წარმოშობისათვის, ერთ-ერთ რთულად გადასალახაზე დაბრკოლებად შეიძლება ჩაითვალოს სამართალდამცავი საქმიანობის პრესტიჟის დაცვმა, მოსახლეობის უმნიშვნელოვან ნაწილში სამართალდამცავი ორგანოებისადმი პატივისცემის დაკარგვა. საქართველოს მრავალი მოქალაქე დარწმუნებულია, რომ სამართალდამცავი ორგანოები არაუფექტურად ასრულებენ მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და უფლებათა დაცვას, ზოგჯერ კი თავად გამოდიან მათ დამრღვევთა როლში.

იმავროულად მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულობაზე ტოტალური კონტროლი თვით კრიმინალური სფეროს მხრიდან. მათ მიერ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი კონკურენტების კრიმინალური აქტიურობისაგან თავის მიზნით; ქონებრივი პრობლემებისა და კონფლიქტების ( ვალის, კრედიტების გადაუხდელობისას და ა.შ) მოსაგვარებლად. მაშასადამე, ხდება სახელმწიფო კონტროლის გამოდევნა და მისი შეცვლა კრიმინალური სტრუქტურების კონტროლით.

### §3. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა პრევენცია

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა პრევენცია სამართალდამცავი ორგანოების და პირველ რიგში, შინაგან საქმეთა ორგანოების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ასეთი პრევენციის მიზანს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა მინიმიზაცია წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოები წყვეტენ შემდეგ ამოცანებს:

#### I. საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა

1. კრიმინოგენური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ისეთი პირობების შექმნა, რაც გარკვეულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე ობიექტურად შეეწინააღმდეგება საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას;

2. ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის რეალიზაცია იმ პირებზე, რომლებიც აშხადებენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულს და მათზე ზემოქმედება, რათა არ ჩაიდინონ დანაშაული;

3. საკუთრების წინააღმდეგ ჩამდენი, გამოელენილი დანაშაულებრივი ჯგუფის, მათ შორის ორგანიზებულისაც, დროულად გათიშვა, განცალკევება მათი მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად;

4. ყველა არსებული ძალისა და საშუალების ოპერატიულად გამოყენება მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა შეტყობინებების და სხვა სახის ინფორმაციებზე რეაგირებისათვის, რომლებიც საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს შესახებაა, აგრეთვე დამნაშავეთა დასაკავებლად და დანაშაულის გახსნისათვის.

5. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და გამოყენება, მათ მიმართ დროული, კანონით გათვალისწინებული ზომების მისაღებად;

6. საზოგადოებრიობის აქტიურად ჩაბმა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების აღსაკვეთად;

7. საზოგადოების ინფორმირება საკუთრების წინააღმდეგ ხელმყოფი დანაშაულებისაგან მართლზომიერი საშუალებებისა და ხერხების შესახებ;

8. თანამდებობის პირთა მიერ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებში წარდგინებების შეტანა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესახებ;

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა აღკვეთის საქმიანობა ემყარება კრიმინოლოგიურ ინფორმაციას: საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა მდგომარეობისა და ღინამიის შესახებ; იმ ტერიტორიებისა და ობიექტების შესახებ, სადაც უფრო მეტად ხდება ასეთი დანაშაულების ჩადენა; ამ დანაშაულების ჩამდენ პირთა შესახებ ან ასეთი დანაშაულების ჩადენისადმი მიდრეკილების მქონე პირთა შესახებ; საკუთრების წინააღმდეგ სხვადასხვა სახის დანაშაულობათა ლატენტობის დონის შესახებ; ამ დანაშაულების მსხვერპლთა შესახებ; მითითებული კატეგორიების დანაშაულთა სოციალური შედეგების შესახებ; საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა აღკვეთის მდგომარეობისა და ღონისძიებების და მათი ეფექტურად გამოყენების შესახებ; ასეთი სახის დანაშაულებზე სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პროცესების გაელენის შესახებ. აუცილებელია არა მხოლოდ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, რომლებიც განაპირობებენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებზე ნეგატიურ ტენდენციებს, არამედ პოზიტიურ ფაქტორებსაც, რომლებიც საჭიროა შემდგომში შესწავლილი და სტიმულირებული იქნას.

გადამუშავებული და გაანალიზებული კრიმინოლოგიური ინფორმაცია შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებსა და ქვედანაყოფებს ემსახურება როგორც საინფორმაციო ბაზა, რაც საშუალებას იძლევა დანაშაულის აღკვეთის ძალისხმევისათვის შედარებით უფრო კრიმინოგენურ ადგილებში და ობიექტებზე და საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთის ეფექტური მეთოდების ასარჩევად. აღმკვეთი საქმიანობის გამოცდილების შესასწავლად და დასანერგად, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების ტენდენციების პროგნოზირებისათვის

პროგნოზების საფუძველზე იგეგმება საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობასთან ბრძოლის მუშაობა და ფედერალურ და რეგიონალურ დონეებზე მუშაედება დანაშაულობასთან ბრძოლის პროგრამები, რომლებიც მოიცავენ განყოფილებებს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა აღკვეთის შესახებ. ამ პროგრამათა წარჩინებით შესასრულებლად ხორციელდება პრევენციული საქმიანობის ყველა სუბიექტის კოორდინაცია და ურთიერთქმედება.



სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაცია და ურთიერთქმედება საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობის აღკვეთის საქმიანობაში ხორციელდება შემდეგი ფორმების გამოყენებით: მუდმივმოქმედი მაკოორდინაციული ორგანოს შექმნა; ინფორმაციების ურთიერთგაცვლა; თათბირების ინსტრუქტაჟების სასწავლო მეცადინეობების ერთობლივად ჩატარება და შეთანხმებული ქმედებების გამომუშავება; დანაშაულის მდგომარეობის ერთობლივი ანალიზი და სხვადასხვა სუბიექტების მონაწილეობა დანაშაულის აღკვეთაში; ერთობლივი გადაწყვეტილებების მომზადება და მიღება; შეთანხმებული პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა და ჩატარება; სხვადასხვა ერთობლივი პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ერთმანეთისადმი მრავალფეროვანი დახმარების გაწევით; ერთობლივი კონტროლის განხორციელება და აღმკვეთი საქმიანობის შედეგების დაჯამება.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთის ძირითადი სუბიექტებია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო სამსახური და კრიმინალური პოლიცია, სახელმწიფოებრივ და რეგიონალურ დონეებზე ისინი ძირითადად ახორციელებენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობის აღკვეთის ორგანიზებულ საქმიანობას, ამხეილებენ რა ყურადღებას დაქვემდებარებულ აპარატებში ყოველდღიური, ორგანიზაციული, მეთოდური ხელმძღვანელობის უძრუნეყოფაზე.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობის გაფრთხილებასთან დაკავშირებული ამოცანების უშუალო შემსრულებლებად ითვლებიან შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული ქვედანაყოფების შესაბამისი სამსახურები, მათ მიერ გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების ფორმები და მეთოდები მრავალფეროვანია.

უბნის ინსპექტორები, თავის მომსახურების ტერიტორიაზე ატარებენ რა კრიმინალური მდგომარეობის ყოველთვიურ ანალიზს, შინაგან საქმეთა ხელმძღვანელობას ახსენებენ წინადადებებს ორგანიზაციებში ხარვეზების შესახებ და მათ საქმიანობაში საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის საკითხების შესახებ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კონკრეტული ზომების მისაღებად.

ისინი პერიოდულად ამოწმებენ მატერიალურ ფასეულობათა ფულადი საშუალებების ძვირფასი ლითონებისა და ქვების იარაღისა და ტყვიაწამლის შენახვას ობიექტებზე. ობიექტების ტექნიკურად გამართულობას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას აგრეთვე იღებენ საჭირო ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საცხოვრებელი სექტორის დათვალეირებისას სამოქმედო ტერიტორიაზე ისენი აელენენ ნაკლოვანებებს მათ დაცვაში და დაინტერესებულ პირებს აწვდიან ინფორმაციას ბინებში სესასელებელი კარბების გამაგრების სადარბაზოს კარბებზე კოლური საკეტების დამონტაჟების, სადარბაზოებში მორიგეობის ორგანიზაციის და დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მოქალაქეთა საკუთრების დაცვის სხვა ზომებს. ისინი აგრეთვე დებულობენ ზომებს კერძო ავტოსექტორის დაცვის განმტკიცებისათვის

უბნის ინსპექტორები აწარმოებენ რა ვიქტიმოლოგიურ პროფილაქტიკას, მოსახლეობას ინფორმაციას აწვდიან დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მართლზომიერი ზერზებისა და საშუალებების შესახებ. ატარებენ განმარტებით საუბრებს, გაზომიან მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებში და აგრცვლებენ სხვადასხვა ინფორმაციას.

უბნის ინსპექტორთა ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს პროფილაქტიკურ ადრიცხვაზე მყოფ პირებთან ინდივიდუალური პროფილაქტიკური მუშაობა, რომელიც მოიცავს ისეთ პირთა დროულად გამოვლენას, რომელთაგანაც მოსალოდნელია საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა; მათ კვებასა და ცხოვრების წესზე სისტემატური კონტროლი და მეთვალყურეობა, რათა არ დაუშვან მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

საპატრულო სამსახურის ძირითად ამოცანათა რიცხვს მიეკუთვნება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა. ამ ამოცანების გადაჭრის ნებისმიერი ფორმა მეტ-ნაკლებად მოიცავს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების აღკვეთა-აცილებასაც.

ამ მიზნით, თავისი პოსტებისა და მარშრუტების ზონებში ეკიპაჟები მეთვალყურეობენ და აწარმოებენ პატრულორებას ყველა იმ სამეწარმეო, სავაჭრო და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციების ირგვლივ, სადაც ინახება ფასეულობანი, მანაწილეობას ღებულობენ ამ ობიექტებიდან ფასეულობების დატაცების აღსაქვეთად და აელენენ ასეთ პირებს. მოქალაქეთა შორის აწარმოებენ განმარტებით სამუშაოს საკუთრების დაცვის თაობაზე. საპატრულო სამსახურის თანამშრომლები ატარებენ ავტო სათრანსპორტო საშუალებების გატაცებისა და ქურდობების პროფილაქტიკას. კრიმინალურ პოლიციასთან ერთად ისინი აწარმოებენ გატაცებული ავტომანქანების ძებნას.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა პროფილაქტიკა არის კრიმინალური პოლიციის ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანა. მათი თანამშრომლები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებისას აელენენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენის მიზეზებსა და პირობებს და მიღებულ ინფორმაციას აწვდიან ხელმძღვანელებს შესაბამისი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გასატარებლად.

კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები აელენენ იმ პირებს, ვინც ამზადებს ან სჩადის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. იღებენ ზომებს, რათა ამ პირთა მიერ უარი ითქვას დანაშაულის ჩადენაზე. ახორციელებენ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გამოსაყენებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფებთან ერთად ახორციელებენ კომპლექსურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს დატაცებული ავტოტრანსპორტირების არხების გადასაქვეად და რეალიზაციის შესაფერხებლად, უზრუნველყოფენ ადამიანებისა და მათი ქონების უსაფრთხოებას და იღებენ სხვა გამაფრთხილებელ ზომებს.

მესაკუთრეთა ქონების დაცვაში ძირითადი როლი განეკუთვნება სპეციალური დაცვის სამსახურს, რომელიც მოიცავს:

1. დაწესებულებების, წარმოების, ორგანიზაციების ქონების უშუალო დაცვას "საკუთრების ფორმის მიუხედავად", რომელიც ითვალისწინებს ისეთ ობიექტებზე, სადაც მატერიალური ფასეულობებია, განუწყვეტლივ მეთვალყურეობას, მათში უცხო პირთა შეღწევისა და მათი მხრიდან დატაცებების აღკვეთა-აცილებების მიზნით. ამისათვის ხორციელდება საკონტროლო გამშვები რეჟიმი, მონტაჟდება სპეციალური მოწყობილობები და სხვადასხვა სახის სიგნალიზაციები ა. შ.
2. მოქალაქეთა პირადი ქონების უშუალო დაცვა, რომელიც შეიძლება იყოს, ჯერ ერთი, ცენტრალიზებული ანუ ხორციელდებოდეს მეთვალყურების პუნქტთან არსებული ხელსაწყოების მიერთებით, მეორე, – სოლიდარული ან ავტონომიური. სოლიდარული დაცვისას თუ უცხო პირი შეადგენს დაბლოკულ ბინაში. ამ შემთხვევაში განგაშის სიგნალი გაისმის მუზობლის ბინაში, ხოლო ბინის, კოტეჯის, ავტოფარხის და სხვა შენობა-ნაგებობებისა და ობიექტების ავტონომიური დაცვისას, უცხო პირის შეღწევისას ჩაირთვება სინათლისა და ხმოვანი სიგნალიზაცია. პოლორ შემთხვევაში, დაცვა აწარმოებს მხოლოდ შენობის ბლოკირებას, მაგრამ არ იღებს ვალდებულებას ქონების დაცვის უზრუნველყოფაზე.

უკანასკნელ პერიოდში, დაცვამ თავის თავზე აიღო ისეთი მომსახურებაც, როგორცაა სპეციალური ტექნიკური საშუალებებით გამაგრებული საცავების დაცვა, სადაც ყველა მსურველს შეუძლია შეინახოს დოკუმენტები, ძვირფასეულობანი, პირადი კოლექციები, სხვა ძვირად ღირებული საგნები.

მრავალმა დაცვითმა სააგენტომ, ხელშეკრულების საფუძველზე, გააღრმავა დაცვითი სამუშაოები სხვადასხვა ფორმით, განსაკუთრებით დაინერგა თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რაც ამცირებს დაცვაში დიდი რაოდენობით აღამიანთა მონაწილეობას და იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიას. სხვადასხვა ფორმის დაცვისას გამოიყენება დაახლოებით 4,5 მილიონი ულტრაბგერითი, ოპტიკურ-ელექტრონული, რადიოტალღური და სიგნალიზაციის სხვა ხელსაწყოები. ხელშეკრულების საფუძველზე დაცვის სამსახურის ინსპექტირება და შემოწმება მიზნად ისახავს დაცვის გარანტიების გაზრდას, იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, რაც ხელს უწყობს ქურდობებისა და საკუთრების წინააღმდეგ სხვა სახის დანაშაულობებს.

დასაცავ ობიექტებზე ხდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა აღკვეთა.

#### საკონტროლო კითხვები და ამოცანები:

1. როგორია საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა კრიმინოლოგიური თავისებურებანი.
2. დაასახელეთ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა ძირითადი ტენდენციები.
3. დაახასიათეთ საკუთრების ხელმყოფი დამნაშავის პიროვნება.
4. შედარებით უფრო ხშირად რა სახის ფაქტორები ზემოქმედებენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაზე?
5. დაასახელეთ შინაგან საქმეთა ორგანოების ძირითადი სამსახურები და ქვედანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობათა პრევენციას.
6. ჩამოაყალიბეთ საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობის პრევენციის ძირითადი ფორმები და მეთოდები.

## თავი 9. ორგანიზებული დანაშაულობა

### §1. ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციები

ორგანიზებული დანაშაულობა XX საუკუნის დანაშაულობათა ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზემოაღივ სფეროებს ხელყოფს. ამის მიუხედავად, თეორიულ დონეზე, ორგანიზებული დანაშაულობის ცნება უფრო ნაკლებადაა განსაზღვრული, ვიდრე ძალადობრივი, ანგარებითი და ეკონომიკური დანაშაულებებისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორგანიზებული დანაშაულობა რთული სოციალური მოვლენაა და ამ ფენომენის სწორად განმარტებისთვის მრავალმხრივი მიდგომაა საჭირო, მათ შორის ადამიანთა ჯგუფური ქცევისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებების გათვალისწინებაც. ფსიქოლოგიაში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი ადამიანთა, როგორც კანონმორჩილი, ასევე კანონდამრღვევი ჯგუფური ქცევის ძირითადი თავისებურებები და მახასიათებლები. კრიმინოლოგების მიერ კი გამოკვლეულია სხვადასხვა მიმართულების კრიმინალური ჯგუფების ფუნქციონირების პრინციპები. ორგანიზებული დანაშაულის გამოყოფას ზოგადი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან საფუძვლად უდევს დამნაშავეთა შორის პროლაზგირებული კრიმინალური საქმიანობის დროს არსებული ორგანიზებული ურთიერთქმედების ხასიათი და ხარისხი – იმ საქმიანობისა, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მიერ ხორციელდება არა ერჯერადად, არამედ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირება არა იმდენად და არა მხოლოდ კონკრეტულად ჩადენილ ქმედებას, არამედ თვით დანაშაულებრივი ფორმირების ჩამოყალიბებას, მის არსებობას და კრიმინალურ საქმიანობას. მსგავს ან განსხვავებულ დანაშაულობათა ჩადენა წარმოადგენს, შედარებით მუდმივ, საერთო საქმიანობას ორგანიზებული სუბიექტებისთვის, რომელთა შორის თითოეულს გააჩნია საკუთარი ფუნქციური ვალდებულებები, “უფლებები და მოვალეობები”<sup>1</sup>

იმისათვის, რომ უკეთესად გავერკვეთ “ორგანიზებული დანაშაულის” რაობაში, აუცილებელია მისი ისტორიის და ძირითადი შემადგენლობის გაანალიზება. სოციალისტურ სამართალში არ არსებობდა “ორგანიზებული დანაშაულობის” ცნება, რისი კომპენსაციაც სამამულო კრიმინოლოგიასა და იურიდიულ პრაქტიკაში დიდხანს ხდებოდა ცნებით – “ჯგუფური დანაშაული”. მაგრამ “ორგანიზებული დანაშაულობისგან” განსხვავებით, “ჯგუფური დანაშაულობა” უფრო ფართო კატეგორიაა, რომელიც მოიცავს დანაშაულებრივი საქმიანობის მნიშვნელოვანად დიდ დიაპაზონს და უშუალოდაა დაკავშირებული დანაშაულში თანამონაწილეობასთან, როგორც სისხლის სამართლის დეფინიციასთან. ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ჯგუფური დანაშაულობა წარმოდგენილია “პიროვნებათა ჯგუფის” ცნებით, რომელიც ფართოდ ახასიათებს სხვადასხვა კოლექტიურ წარმონაქმნებს (მაგალითად: ბანდები, კრიმინალური ორგანიზაციები და ა. შ.). ამასთან ერთად, სისხლის სამართლის თეორიაში ნახსენებია ცნება “დანაშაულებრივი საზოგადოება”, თუმცა არ არის მოცემული მისი შემადგენლობა და თავისებურებები. კრიმინოლოგიაში დანაშაულებრივი საზოგადოება<sup>2</sup> განიმარტება, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციების მეთაურებისა და დამნაშავეთა ჯგუფების ლიდერების კრიმინალური გაერთიანება, რომელიც იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობის მოსაწესრიგებლად და საკოორდინაციოდ, რეგიონთა და სახელმწიფოთა შორისო კრიმინალური საკითხების გადასაწყვეტად, დამნაშავეთა სტრუქტურებისათვის თანამედროვე პირობებთან შეგუების

<sup>1</sup> Лунев В. Преступность XX века (мировой криминологический анализ) М., 1997 с. 285

საქმეში დახმარების აღმოსაჩენად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და სახელგარგეთის სხვა ქვეყნებში.<sup>2</sup>

სისხლის სამართლის თეორეტიკოსებს შორის არ არსებობს ერთსულელებია იმ დანაშაულების ჩამონათვალებზე, რომლებიც შეიძლება მიაკუთროს "ორგანიზებულ დანაშაულობას". მაგალითად ი. კარპეცი თვლის, რომ საჭიროა "პირდაპირ იქნეს ჩამოთვლილი კანონის მუხლები, რომლებიც უფრო მეტად ახასიათებენ ორგანიზებულ დანაშაულობას (დატაცებას, ქურდობას, ბანდიტიზმს, ყაჩაღობას, გამომძალავებლობას და სხვ) და ამით გამოირიცხოს" ორგანიზაციული საქმიანობის" ცნების განვრცობითი განმარტება.<sup>3</sup> ასეთი კაზუსტური მიდგომა სრულიად გამოსაყენებელია ისეთი ცნებების საკანონმდებლო განსაზღვრისათვის, როგორიცაა "მიმზე დანაშაული", "განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი" და ა.შ. თუმცა ორგანიზებული დანაშაულობის კატეგორიისადმი მიკუთრებული დანაშაულობების ამომწურავი ჩამონათვის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც მას არსებითად შეუძლია მოიცვას სისხლის სამართლის თითქმის მთელი კოდექსი. ორგანიზებული დანაშაულობა მუდმივად სრულყოფს თავის ხერხებსა და ტაქტიკას. მაშინაც კი, როდესაც თავის ძირითად სამიზნობად არჩეული აქვთ დანაშაულის გარკვეული სახეობა, ორგანიზებული დამნაშაევები ხშირად სჩადიან სხვა დანაშაულობებს იმ მიზნით, რომ მოემზადონ და ხელი შეუწყონ ძირითად საქმიანობას, უზრუნველყონ მისი უსაფრთხოება და კონსერვაციულობა.

სისხლის სამართლის ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ არაა აუცილებელი "ორგანიზებული დანაშაულობის" სპეციალური დეფინიციის შექმნა და სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული ნორმების კონსტრუირება, რომელიც გაითვალისწინებს ასეთ საქმიანობასი პასუხისმგებლობას, იმდენად, რამდენადაც, ამ ცნებას მოიცავს "დანაშაულში თანამონაწილეობის" ინსტიტუტი და საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ზოგადი ნორმა. ძნელია დაეთანხმო ამგვარ მოსაზრებას, რადგანაც თანამონაწილეობა ხსნის მხოლოდ ფუნქციურ დამოკიდებულებებსა და როლებს ჯგუფური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმში და არასაკმარისია ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული დანაშაულობების სწორი კვალიფიკაციისათვის. მჭარი საკვალიფიკაციო ნიშნების არარსებობა არ იძლევა საშუალებას ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ფუექტურად იქნეს გამოყენებული საკანონმდებლო საშუალებები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს სპეციალური ნორმები, რომელთაც ძალოვანი სტრუქტურები გამოიყენებდნენ, როგორც სამართლებრივ ინსტრუმენტს მრავალრიცხოვანი დანაშაულებრივი ორგანიზაციების სწრაფი განვითარების თავიდან ასაცილებლად.

როგორც ყველა სხვა სახის დანაშაულობას, ორგანიზებულ დანაშაულობასაც გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები და კანონის დარღვევის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმები. კრიმინოლოგიურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში აქამდე არ არის შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულობის უნივერსალური განსაზღვრება, თუმცა ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინსტიტუტები. საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კოორდინაცია ორგანიზებული დანაშაულის შესწავლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში ხორციელდება გავრთიანებული ერების ორგანიზაციაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე სპეციალური ორგანიზაციების მიერ. ესენია: სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია და საერთაშორისო კრიმინოლოგიური საზოგადოება, სადაც საქართველოს დღემდე არა ჰყავს თავისი წარმომადგენელი.

ორგანიზებული დანაშაულობა, ბაზირებულია რა არსებითად ალტერნატიულ, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებულ სისტემაზე – სამოქალაქო საზოგადოების გაბატონებულ ინსტიტუტებზე, რელიგიაზე, ურთიერთობებზე და ფასეულობებზე – ფაქტურად გეგმობენა,

<sup>2</sup> Криминология под редакцией А. Долговой М., 1999 с. 606  
<sup>3</sup> Карпец И. Преступность. Иллюзии и Реальность М., 1992 с. 267

როგორც ადამიანთა საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ფორმირება და შესაბამისად, მჭიდროდ ურთიერთქმედებს ე. წ. ლეგიტიმურ საზოგადოებასთან, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ და არაკანონიერ სოციალურ სტრუქტურებს შორის არ არსებობს გამოკეცილი და მკაცრი მიჯნა. ობიექტურად, ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს ლეგალური საქმიანი აქტიურობის განუყოფელ ნაწილს, მათ შორის იურიდიულ პირად რეგისტრირებული ორგანიზაციების და ფირმების დონეზე. დანაშაულებრივი სტრუქტურები ზედმიწევნით კარგად ერეკვიან საზოგადოების მოთხოვნილებებში სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე და მიისწრაფვიან ლეგიტიმურ კონკურენტებზე უფრო სწრაფად და ხარისხიანად დააკმაყოფილონ ისინი. წარმატებები სასაქონლო და მომსახურების სექციფიკური ბაზრისათვის ბრძოლაში, საკუთარი მონოპოლიის უზრუნველყოფა და არაპატიოსანი მეთოდებით ფასების ხელოვნური რეგულირება უზრუნველყოფს უხარმაზარ შემოსავლებს და თავის რიგებში ახალი წევრების რეკრუტირების შესაძლებლობას იძლევა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების აქტიურ და მუდმივ წევრებთან ერთად ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში არარეგულარულად ან ერთჯერადად მონაწილეობს მრავალი სხვადასხვა პირი.

რაც შეეხება ორგანიზებული ფორმირებების ლიდერებს, საზოგადოებაში მათ საცხებით რესპექტუბული მდგომარეობა უკავიათ. ისინი ხშირად არიან თანამდებობის პირები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარ იმიჯსა და საზოგადოებრივ სტატუსს. დამანაშაულო ორგანიზაციის თავკაცი, ჩვეულებრივ 35-40 წლისაა, ძირითადად საშუალო განათლებით, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს დაუმთავრებელი უმაღლესი ან სრული უმაღლესი განათლება. ამასთან ერთად შეიძლება დაეთანხმოს მეცნიერებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ არ შეიძლება დანაშაულებრივი გამოცდილების დაკავშირება განათლებასთან და მას გააჩნია სოციალური და სოციალურ- ფსიქოლოგიური საფუძვლებიც. სუბიექტის კრიმინალურმა შესაძლებლობამ, ზოგ შემთხვევაში ტალანტმაც კი, ნაწილობა გამოცდილ დამანაშაულებთან ურთიერთობებით, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, შეიძლება ჩამოაყალიბოს დიდი კრიმინალური მოპაევის მქონე საკმაოდ ვაჭაფული ტიპი.<sup>4</sup> დანაშაულებრივი ფორმირებების ლიდერები, ჩვეულებრივ, თავს არიოდენ დანაშაულში უშუალო მონაწილეობას და ზღუდავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც ინფორმირებულნი არიან მათი ორგანიზაციული როლის შესახებ. გარდა ამისა, მათ მუდამ ჰყავთ მფარველები და ცრუ მოწმეები. ამ კატეგორიის პირთა გამოაშკარავებას ხშირად თან სდევს გრძელი ჯაჭვი უნებლიე თანამონაწილეებისა და ადამიანებისა, რომელთა ინტერესებიც ამ დროს ილახება. ორგანიზებული დანაშაულობის სისტემაში ჩართული მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც შესაძლებლობას იძლევა, განესაზღვროთ იგი, როგორც ალტერნატიული საზოგადოება ან როგორც სახელმწიფო სახელმწიფო სახელმწიფოში თავისი ეკონომიკით, სოციალური და სულიერი სფეროებით, მართვის თავისი სისტემებით – უშიშროების, სასამართლო, საკუთარი შიდა და საგარეო პოლიტიკით, ახალგაზრდა თაობის ფორმირებაზე ზრუნით. სახელმწიფოში ალტერნატიული სტრუქტურების არსებობა ასუსტებს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ზღუდავს მისი საქმიანობის ფარგლებს ან ფაქტობრივად ენაცვლება მას.

მსგავს სიტუაციაში დაზარალებულები და მოწმეები საკმაოდ უხალისოდ იძლევიან ჩვენებებს, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობის ფინანსირებები ცდილობენ, ელიტასთან ბრძოლის ცენტრი გადაიტანონ რიგით შემსრულებლებზე ან შემცველ პირებზე, ხოლო ეკონომიკური და თანამდებობრივი კორუფციული საქმიანობისა – ქუჩის დანაშაულზე. როგორც სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობა უფრო ხშირად მიმართულია არა სერიოზული ორგანიზებული დანაშაულობისკენ, არამედ

<sup>4</sup> Криминология. Под редакцией Долговой М., 1999 с.603

ახალგაზრდული ბანდებისა და შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ბანდითური თავდასხმების, ძარცვის, ყაჩაღობის და ძალადობის სხვა სახეობებისკენ.

ორგანიზებული დანაშაულობის ადგილისა და მისი როლის არსებული შეფასებები, თანამედროვე სახელმწიფოში, ძალზე წინააღმდეგობრივია, რადგანაც ამ მოვლენის გაგება დაიდასა და მოკიდებული მოსახლეობის მზადყოფნაზე, ობიექტურად შეიცნონ მასში მიმდინარე პროცესები ზედმეტი დრამატიზებისა და ვულგარული გამარტივების გარეშე.

ამერიკის ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ოპერატიული სამსახური, რომელმაც მთავრობის დაავალბებით 1976 წელს ჩაატარა ორგანიზებული დანაშაულის პრობლემის კვლევა და დაწვრილებით გააანალიზა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არსებული ორგანიზებული დანაშაულობის მრავალსახოვანი განსაზღვრებები და თეორიები, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა საჯაროდ ელიარებინა შემდეგი: “მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა და მის წინაარმდეგ ბრძოლა ამერიკის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემად იყო მიჩნეული, ბოლო ნახევარ საუკუნეში თავისი ბუნების მიხედვით იგი მაინც დარჩა მოუხელთებელ და გასარკვევად რთულ პრობლემად”<sup>3</sup> კომისიის ანგარიშში გაკეთდა დასკვნა, რომ, სანამ ორგანიზებული დანაშაულობის აქტიურობის საზღვრები კარდინალურად სახლმწიფო მასშტაბებში არ იქნება გამოკვლეული, შეუძლებელი იქნება მისთვის შესაფერისი დეფინიციის ფორმულირება. ნათქვამს შეიძლება დაემატოს ისიც, რომ მითითებული პრობლემა ახლაც აქტუალურია, რადგან ორგანიზებულ დანაშაულისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ პლანეტის მასშტაბით თანამშრომლობისა და ჩატარებული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე და არა ცალკე აღებული რეგონებისა და სახელმწიფოების დონეზე.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის და კორუფციის კვლევის მიმართულებებისა და სამეცნიერო კრიტერიუმების განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ შემუშავდა შემდეგი საუშაო დეფინიცია:

1. ორგანიზებული დანაშაულობა – ეს არის ანტისაზოგადოებრივი ფორმირებების მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელაონურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისათვის, როგორც დანაშაულებრივი აქტიუობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით.
2. ამგვარი სისტემა არის დანაშაულებრივი კონსოლიდაციისა და დანაშაულებრივი ორგანიზაციის თვისებრივად ახალი მოდელი, რომელიც მუდმივად განიცდის სახეცვლილებას და სრულყოფას. დეფინიციის მაკალიფიცირებელი ნიშანი - “სისტემა” - ასახავს არა უბრალოდ ორგანიზებული ფორმირებების სიმრავლეს, არამედ მათ ორგანულ მთლიანობას, მათ შორის მრავალმხრივი და მდგრადი ურთიერთკავშირის არსებობას დანაშაულებრივი საქმიანობის უზრუნველყოფის ბაზაზე და ხელსაყრელი პირობების შექმნას მისი განვითარების, ლეგალიზაციისა და დანაშაულებრივი შემოსავლების ზრდისათვის, როგორც სტრუქტურაში, ასევე დინამიკაში.
3. ამასთანავე თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობა არ კმაყოფილდება დანაშაულებრივი კლანებისათვის ტრადიციული საქმიანობით (ნარკოტიკები, სათამაშო ბიზნესი, პროსტიტუცია, გამომძალველობა და სხვ). იგი აქტიურად ერევა პოლიტიკაში, სახელმწიფო მმართველობაში, აწყობს შეთქმულებებს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას

<sup>3</sup> National Task Force on Organized Crime (1976) Report of the task force on organized crime Washington D.C.

მიზნით. თანამედროვე ორგანიზებული დანაშაული ისწრაფვის სრული მონოპოლიზაციისკენ არა მარტო ეკონომიკის მომგებიან სფეროებში, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებშიც დიქტატორული ან ეთნო-კრიმინალური რეჟიმების შექმნის მიზნით. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს დანაშაულებრივი ეთნოკლანების საქმიანობა აგრესიულ-სეპარატისტული განწყობილების პროვოცირების, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გაღვივების მიმართულებით დაუსჯელი ძარცვის და კანონმორჩილი მოსახლეობის ტერორიზების, შესაძლებლობის შემთხვევაში კი – სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნითაც.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს მთლიანად საზოგადოების განუყოფელ ნაწილს და მისი ურთიერთქმედება ყველა სხვა ნაწილთან მრავალასპექტიანი, დინამიური და, როგორც პარადოქსულადაც არ უნდა ვღერდეს, პარამონიულია. ორგანიზებული დანაშაულობა მთლიანად სოციალიზებულია საზოგადოების ტრადიციების, ფასეულობების, ქცევის ნორმებისა და სტერეოტიპების ჩარჩოებში, ღრმადაა ჩანერგილი სოციალური კავშირების სპეციფიკურ სისტემაში, ყოფაში და თანამედროვე ქართული საზოგადოების მორალში.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მრავალი გამოკვლევა მიემძღვნა დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის საკლასიფიკაციო ნიშნებს. კერძოდ, ფ. ხაგანის (1983 წ.)<sup>6</sup> მოკყავს 11 ასეთი განმასხვავებელი ნიშანი, მ. მალტცი (1985 წ.)<sup>7</sup> გეთავაზობს 9 შესაძლო მახასიათებელს, ხოლო დ. ფინკენაუერი (1994 წ.)<sup>8</sup> აჯამებს რა წინამორბედ გამოკვლევებს, გეთავაზობს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების შემდეგ ჯამურ მახასიათებლებს:

- ჯგუფის არაიდეოლოგიზირებულობა;
- ორგანიზებული იერარქია;
- ძალადობა და ძალადობის მუქარის გამოყენება;
- ჯგუფის წევრობის შეზღუდვა;
- არალეგალური წარმოების მეშვეობით გამორჩენის მიღება;
- მოსახლეობის არალეგალური საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო მოხელეებისა და სამართალდამცავი ორგანოების ნეიტრალიზებისათვის კორუფციის გამოყენება;
- მონოპოლიური პოზიციებისაკენ სწრაფვა სპეციფიური საქონლისა და მომსახურების განაწილებაზე განსაკუთრებული კონტროლის მოსაპოვებლად;
- ჯგუფების შიგნით პროფესიული სპეციალიზაცია;
- კონსპირაციულობა;
- საქმიანობის დაწერილობითი დაგეგმვა და გათვლა გრძელვადიან პერსპექტივაზე.

ავტორის აზრით, არც ერთ ცალკე აღებულ მახასიათებელს არ ძალუძს ადექვატურად განსაზღვროს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის რაობა, მხოლოდ მათი ერთობლიობა იძლევა ნათელ განმარტებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების აზრით, დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები არ არიან იდეოლოგიზირებულები, რადგან არ გააჩნიათ პოლიტიკური პროგრამები და ამოცანები, არ არიან ტერორისტულები და არ უმღენიან თავს პოლიტიკურ გარდაქმნებსა და იდეებს. ისინი არ ქადაგებენ რადიკალურ, ლიბერალურ, კონსერვატორულ ან სხვა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ თვალთახედვებს. სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ინტერესები მიმართულია

<sup>6</sup> Hagan F. – The Organized Crime Continuum A Feature Specification on the New Conceptual Model, Criminal Justice Review 8 52-53

<sup>7</sup> Maltz M. – Towards Definition of Organized Crime/ The Politics and Economics of Organized Crime

<sup>8</sup> Kinckenaer J. Kenney D. – Organized Crime in America USA 1995



მხოლოდ დანაშაულობასთან მებრძოლი სტრუქტურების ნეიტრალიზაციისკენ მოსყიდვისა და კორუფციის გზით. შემდგომ მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ორგანიზებულ ჯგუფებს, მართალია, შეუძლიათ ჩაიდინონ მკვლევარები, მოაწონ აფეთქებები, მოიტაცონ ადამიანები და მოგვევლინონ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორისაც, მაგრამ თავიანთი მიმართულებით ისინი მაინც არ არიან ტერორისტულები. ასეთი მიდგომა ჩვენ რამდენადმე გამარტივებულად გვეჩვენება. საბჭოთა გეოგრაფიული სივრცის სახელმწიფოების გამოცდილება გვიჩვენა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა არ იფარგლება ეკონომიკური და ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით. შესაძლებლობის ფარგლებში ის აღწევს ყველაზე მაღალ სახელმწიფო სტრუქტურებში და ისწრაფვის პოლიტიკური ძალაუფლების უზუპაკაციისკენ, სახელმწიფოში კრიმინალური გადატრიალების ორგანიზებისა და რეალიზაციისკენ, რისთვისაც წარმატებით იყენებს ძალადობის, შანტაჟის და ტერორის მეთოდებს. (უფრო დაწვრილებით ამ საკითხებს ქვემოთ განვიხილავთ).

მომდევნო თეზისის იმის შესახებ, რომ დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს გააჩნიათ მკეთერი იერარქია, ყველა მკვლევარი არ უჭერს მხარს. გერმანელი მეცნიერების აზრით, სტრუქტურული სისტემების მაღალი დონით გამოირჩევიან დამნაშავეთა ამერიკული სინდიკატები, რომელთაც ჰყავთ თავისი ბოსები, შემსრულებლები, კონსულტანტები, ბანკორები, ჯალათები, მფარველები, რომლებიც თავად წარმოადგენენ რაციონალურ ფორმალისტულ სისტემას, ცოცხალ სოციალურ ორგანიზმს მტკიცე ბიუროკრატიული იერარქიით, იმ დროს, როცა ევროპულ ქვეყნებში ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურული ორგანიზაცია ფხიერი და არაფორმალურია.<sup>9</sup>

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს, ამ სახელმწიფოებში შეიმჩნევა ორგანიზებული დანაშაულობის საკმაოდ რთული იერარქია, რომელიც დაფუძნებულია საქმოსნების, კორუპციული ჩინოვიების და პროფესიული კრიმინალური ტრადიციების მიმდევარი ე.წ. “კანონიერი ქურდების” ურთიერთსაქმიანობაზე.

შემდეგი დებულება – დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების დროში ხანგრძლივად არსებობის შესახებ – გულისხმობს, რომ ასეთი ფორმირებები წარმოადგენენ თვითრეგულირებად სისტემებს, რომლებიც არ ირღვევა, თუ მათ რიგებს ტოვებენ წევრები (სისტემის კომპონენტები), მათ შორის ლიდერებიც (მაგალითად: წყვეტენ დანაშაულებრივ საქმიანობას, ხედვინ ციხეებში, ილუპებიან და ა.შ.). დანაშაულებრივი სინდიკატების ისეთ სახეებს, როგორიცაა ნარკობიზნესის წარმოებები, საშორინებები, პროსტიტუციის ბუნკერი, შეუძლიათ დროში ხანგრძლივად არსებობა და შემოსავლების მოტანა, რაც ორგანიზებულ დანაშაულის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს.

ეჭვს არ იწვევს თეზისიც, რომ დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ძალადობა, ჩვეულებრივ, გამოიხატება მკვლევარებში, სხეულის დაზიანების მიყენებაში, ცემაში, გატაცებებში, აფეთქებებში, ხანძრის გაჩენაში და სხვ. მსხვერპლთა მიმართ სასტიკი მოპყრობა მრავალი დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობის დამახასიათებელი ნიშანია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკობიზნესით დაკავებული კრიმინალური ჯგუფები ზოგჯერ ქუჩაში ბავშვებსაც ესვრიან თავიანთი სისასტიკისა და გამბედაობის დემონსტრირებისთვის. მაგრამ ძალადობა ხშირად არ წარმოადგენს დანაშაულებრივი ორგანიზაციების თვითმიზანს. უფრო პირიქით, ძალადობის მეშვეობით ისინი ცდილობენ იმ შედეგების მიღწევას, რომლებსაც ვერ განახორციელებდნენ სხვა საშუალებებით (მაგალითად: გამოძახალებლობით, ბანქოს ვალის გამოძალით, კოქსურენტის ჩამოსწორებით და ა.შ.).

<sup>9</sup> Шнайдер – Криминология с. 254

დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები მკაცრად ზღუდავენ თავისი ბანდის წევრობას. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მრავალი დაჯგუფება ახორციელებს თავისი წევრების სელექციას რასობრივი, ეთნიკური ეროვნული ნიშნებით, აგრეთვე კრიმინალური წარსულისა და ფასეულობების მიმართ ორიენტიაციის მიხედვით. კერძოდ, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინალური ორგანიზებული ჯგუფის წევრობა, ჩვეულებრივ, განისაზღვრებოდა რასობრივი (თეთრები, შავები, ლათინო-ამერიკელები), ან ეროვნული ნიშნებით (იტალიურ-სიცილიური, ებრაული, ჩინური, იაპონური, ვიეტნამური და სხვ.), ყოფილ საბჭოთა კავშირში სტრატეგიულად ჯგუფები, რომელთა შემადგენლობა ისაზღვრებოდა დანაშაულებრივი ავტორიტეტებითა და ქურდული კანონების მიხედვით (გამონაკლისაა ეროვნულ-ტრადიციული პრინციპით შექმნილი ბოშათა დანაშაულებრივი კლანები). კრიმინალურ ჯგუფში გაერთიანებისათვის აუცილებელი იყო ნასამართლეობა და ქვევის სპეციფიური ნიშნების ფლობა (გარგონი, ცხოვრების წესი და სხვ.).

ყველა სახის ორგანიზებული დანაშაულისათვის ერთ-ერთ მემტად მნიშვნელოვან, განმსახეველ ნიშანს წარმოადგენს არალეგალური წარმოების შეშვებით ეკონომიკური მოგების მიღება. შემოსავლები დანაშაულებრივი ორგანიზაციების აქტივზე შეიძლება შემოდირდეს ნარკოტიკების არალეგალური საწარმოებიდან, სთამაშო სახელებიდან, "ვალების გამოძაბვლი" სუტნიორებისგან ან რეკეტერებისგან, აგრეთვე სახეებით ლეგალური დაწესებულებებიდან, რომლებიც "ფულის გათეთრებას" ახდენენ. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში "ფულის გათეთრებას" უწოდებენ მეთოდს, რომლითაც ხდება უკანონო ბიზნესით (ნარკოტიკებით და იარაღთარალეგალური ვაჭრობით, რეკეტით დასხვ.) მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია სრულიად კანონიერი და ხშირად რესპექტაბელური საწარმოების მეშვეობით. ამიტომ ორგანიზებული დანაშაულები ხშირად იძენენ ლეგალურ საწარმოებს ან მონაწილეობენ მისსაქმიანობაში აქციონერის უფლებით. უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალური ფულის ლეგალიზაციის პრობლემა ჯერ კიდევ არაა იმდენად აქტუალური ქართული მაფიისა და დამნაშაუებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან. ეს იმითაა განპირობებული, რომ საგადასახადო სისტემა და უნადლო ანგარიშსწორება (მათ შორის პლასტიკური საკრედიტო ბარათების გამოყენება) ჯერ კიდევ არ ქვეულა საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის ჩვეულ ნორმად. დამნაშაუები ანგარიშსწორების დროს, ჩვეულებრივ, სარებლობენ ნაღდი ფულით და არაეის ანტიტრეპებს მათი წარმოშობის წყარო.

ორგანიზებული დანაშაულობა მოსახლეობას სთავაზობს არალეგალურ საქონელსა და მომსახურებას, რომელზეც არსებობს მაღალი მოთხოვნილება. ეს სპეციფიკური საქონელი და მოთხოვნილება (ნარკოტიკები, აზარტული თამაშები და პოსტიტუცია) მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში აკრძალულია. თუმცა, ეს ჩაბონათეალი ამ ნარკრებით არ შემოიფარგლება. მდიდარ ქვეყნებში ყოველთვისაა კომპანიები, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ, თუკი მათი საწარმოდან ვინმე ტოქსიურ ნარჩენებს გაიტანს და მათ უტილიზაციის მოახდენს; არიან კლიენტები, რომლებიც იყიდიან ადამიანთა ირგანოებს ტრანსპლანტაციისათვის და ა. შ. ავე რომ, უნდა დავეთანხმთ ავტორებს, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულობას განიხილავენ ისეთი საქონლის წარმოება-გაერცელებისა და მომსახურების გაწევის საშუალებად, რომელიც სახელმწიფოს მიერ ოფიციალურადაა გამოცხადებული უკანონოდ.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ორგანიზებული დანაშაულობა ისწრაფვის სახელმწიფოს და სამართალდამცავი ორგანოების ნეიტრალიზაციისა და დეზორგანიზაციისაკენ ჩინოვნიკების მოსყიდვის და სახელმწიფო სტრუქტურებში თავისი ხალხის შეყვანის გზით. სახელმწიფო მოხელეთა კორუპციისაკენ სწრაფვა წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ეს პროცესი ნათლად გამოვლინდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოში. ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულად შეძლეს თავისი ხალხით შეეგნოს თითქმის ყველა მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტი და ძალოვანი ორგანო, რამაც რესპუბლიკაში პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვია. მაფიის ხელში კონცენტრირდა

უდიდესი ძალაუფლება, რამაც საშუალება მისცა მას, მოეხდინა სახელმწიფოს ინტერესებით მანიპულირება, ხელში ჩაეგდო და გაენიავებინა საზოგადოებრივი ქონება, გაეღვივებინა შუღლი მონათესავე ხალხებში და ამასთან ყოველნაირი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის სასჯელისაგან დაეღწია თავი.

რუსი მკვლევარები თვლიან, რომ ორგანიზებულ დანაშაულობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. გამოკვეთილი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც გამოყოფენ ხელმძღვანელებს უშუალო შემსრულებლებისგან, ჯგუფებს შიგნით მკაცრი იერარქია, მათი წევრებისთვის ქცევის ერთნაირი ნორმების და პასუხისმგებლობის არსებობა, სანქციებისა და წახალისების სისტემები და მათი პრაქტიკული რეალიზაცია;
2. დანაშაულებრივი საქმიანობის მდგრადი, გეგმაზომიერი და კონსპირაციული ხასიათი – განსაკუთრებით თანამდებობის პირთა მოსყიდვის, მსხვილი ქურდობის შემთხვევებში; საერთო მიზნების გაერთიანება, მინიმალური რისკით მაღალი შემოსავლების ამოღებაზე ორიენტაცია;
3. სოციალური კონტროლის ყველა ფორმის გეგმაზომიერი ნეიტრალიზაციის სისტემა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის გამოყენებით, დანაშაულთან მებრძოლი ორგანოების გეგმების შეტყობა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ზომების მიზანდასახული შემუშავება (სამარალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მოსყიდვა, მმართველობის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებსში ჩანერგვა);
4. მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრების ფლობა, რომლებიც ინვესტირდება როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, იძლევა კომერციული ოპერაციების და დატაცების მასშტაბების გაფართოების, საჭირო ჩინოვნიკების მოსყიდვის, კრიმინალური ჯგუფის წევრების მატერიალური მხარდაჭერის, დაქირავებული კრიმინალების მომსახურების ანაზღაურების საშუალებას, რასაც მივყავართ ზოგად სისხლისსამართლებრივი და ანგარებითი-სამეურნეო დანაშაულის შერწყამად;
5. საქმიანობის სფეროს გაფართოება (მონოპოლიზაციისკენ ლტოლვა) – სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგებში დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებების კოოპერაცია, “შავ ბაზარზე” საკუთარი საქონლისა და მომსახურების დანერგვა, ნარკობიზნესის, პორნობიზნესისა და პროსტიტუციის ორგანიზაცია;
6. ორგანიზებული დანაშაულობის ლიდერების მიერ ანტისაზოგადოებრივი იდეოლოგიის აქტიური გავრცელება, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც;
7. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების წევრებისა და მათი ოჯახებისათვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის ორგანიზაცია და განხორციელება;
8. “განდგომილთა” მიმართ შემუშავებული დასჯის მკაცრი სისტემა (მათი ფიზიკური განადგურების ჩათვლით);
9. ქვეყანაში და მსოფლიოში მოქმედი ძირითადი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების პროფესიული გამოყენება იმ მიზნით, რომ შეიქმნას დანაშაულებრივი საქმიანობის სამართლებრივი ხელშეუხებლობის მექანიზმები და უზრუნველყოფილიყოს საკანონმდებლო ორგანოებში მათთვის ხელსაყრელი კანონების ლობირება;

10. დამაშინებელი ხმების გაერცვლება დანაშაულებრივი ორგანიზაციების ძლიერებაზე, რაც ხელს შეუწყობს მოწმეების, დაზარალებულების, ეურნალისტების, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების დემორალიზებას, ხოლო რიგით შემსრულებლებს შორის "საბრძოლო სულისკეთების" ამაღლებას.

ჩამოთვლილი ნიშნები სრულიად შეესაბამება ქონების დამტაცებელთა, სპეკულანტთა, დანაშაუთა პროფესიონალური ბანდებისა და სხვა სახის დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებულ ორგანიზებულ ჯგუფების დახასიათებას, მაგრამ იგი პასუხს არ იძლევა კითხვაზე – რა ნიშნები ახასიათებს ორგანიზებულ დანაშაულობას და რთი განსხვავდება იგი სხვა ჯგუფური დანაშაულებრივი საქმიანობისაგან.

აეტორის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ორგანიზებული დანაშაულობის აღმოცენება და არსებობა ან სახელმწიფოს არასწორი და გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგია საკუთარ ტერიტორიაზე გარკვეული საქონლისა და მომსახურების გაერცვლების შეხუდვასა და აკრძალვასთან დაკავშირებით, ან ამ საქონლის და მომსახურების გაერცვლების შეზღუდვა ხდება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზებით (ომი, სტიქიური უბედურება და სხვ). მოქმედებს რა საბაზრო ეკონომიკის კანონებით, ორგანიზებული დანაშაულობა ავსებს ლეგიტიმური ბიზნესისათვის აკრძალულ ან ათვისებელ სოციალურ ნიშებს, ქმნის რთულ კომერციულ სტრუქტურებს, რომლებიც მიმართულია სპეციფიკური მომსახურებით და საქონლით ბაზრის შეესების, შემოსავლების ზრდის, კონკურენტების ჩამოშორების, მათლსაწინააღმდეგო საქმიანობის გაუხმაურებლობისა და სასჯელის თავიდან აცილებისკენ.

სახელმწიფოთა პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან ორგანიზებული დანაშაულის მჭიდრო ურთიერთკავშირით აიხსნება მისი მრავალსახეობა სხვადასხვა ქვეყანაში ან თუნდაც ერთი და იმავე ქვეყნის შიგნით მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ასე მაგალითად, ამერიკის შერთებულ შტატებში ორგანიზებული დანაშაულობის ფართო აღმოცენების და გაერცვლების მიზეზს მკვლევარები უკავშირებენ ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის შემოღებას XX საუკუნის 20-30-იან წლებში და ნარკობიზნესის განვითარებას 50-იან წლებში მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობის მიზეზი XX საუკუნის 50-80-იან წლებში უკავშირდება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც კრძალვდა ყველანაირ კერძო მეწარმეობით საქმიანობას, რაც განაპირობებდა საქონლის და მომსახურების უდიდეს დეფიციტს და ხელს უწყობდა იატაკქვეშა მეწარმეების – კოოპერატორების, სპეკულანტების, ვალუტით მოვაჭრების, ე.წ. "ცეხოვიკების", "ფარცოვმიკების", და სხვა კატეგორიის დამნაშაუთა გაჩენას. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების მიზეზები შეიცვალა და ეკონომიკური, ზოგადი სისხლისსამართლებრივი და სახელმწიფო მოხელეთა ბაზაზე განვითარება დაიწყო ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობის ახალმა სპეციფიკურმა ფორმებმა. საქართველოში კრიმინალური თვალთახედვით ძალზე საინტერესო პროცესები განვითარდა და ორგანიზებულმა დანაშაულობამ ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულიად ახალი წესები შემოქმედებია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VIII კონგრესზე შემუშავებული მიდგომების შემდგომი განვითარებისათვის, რუსეთში, ქ. სუხბადაში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი (1991წ. 21-25 ოქტომბერი). სემინარის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების პროცესი და მისი ფორმები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია, თუმცა შეინიშნება რიგი კანონზომიერებებიც. კერძოდ, დამნაშაუთა ასოციაციების ფორმირება ხდება სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორების გარკვეული ნაკრების ზემოქმედებით.

ძირითადად, მსოფლიოში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ორი გზა შეიმჩნევა. პირველი, ესაა საქმიანობის ისეთი აკრძალული სახეები, როგორცაა პროსტიტუცია, რეკეტი, ქონებრივი დანაშაული, კრიმინალური შემოსავლების ლეგალიზაცია, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, აზარტული თამაშები, იარაღით და ანტიკვარიათით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითური ოპერაციები და სხვ. მეორე, კანონიერ საქმიანობაში მონაწილეობა უკანონო და არაეთიკური მეთოდების გამოყენებით (არაუჯანსაღი კონკურენცია, კონკურენტების ჩამოშორება შანტაჟის ან კომერციული სიდიდულობის მიტაცების გზით და სხვ.) ამასთან, სირიე შემთხვევაში გამოიყენება დანაშაულებრივი მეთოდები და შემსრულებლებიც სისხლისხლისსამართლებრივ ელემენტებს წარმოადგენენ. სუბმოდალური სემინარის შემაჯამებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობის უნიფიცირებული განსაზღვრება დღემდე არაა შემუშავებული. ამასთან, ორგანიზებულ დანაშაულობაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება დამნაშავეთა მდგრადი და მართვადი თანასაზოგადოების შედარებით დიდი დაჯგუფება, რომლისთვისაც დანაშაული ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ისეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მეშვეობით, როგორცაა: ძალადობა, დაშინება, კორუფცია და ფართომასშტაბიანი დატაცება, ამასთანავე სოციალური კონტროლისაგან დაცვის სისტემის შექმნა.

ამ სემინარის მონაწილეთა აზრით, არსებობს ორგანიზებული დანაშაულობის რამდენიმე სახე. მათ შორის ერთ-ერთი ტრადიციული ტიპია ე.წ. მათეოზური ოჯახი, რომელიც არსებობს იერარქიის პრინციპით, მისთვის დამახასიათებელი, მკაცრად რეგლამენტირებული ქცევის წესებითა და ნორმებით და გამოირჩევა მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის მრავალფეროვნებით. მოცემული ჯგუფი მოიცავს ყველაზე ფართო და განტოტვილი ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციებს. მეორე სახის ტიპს პირობითად შეიძლება ეწუოდოს პროფესიონალური (პროფესიონალთა ჯგუფი). ასეთი დაჯგუფებების წევრები ერთიანდებიან გარკვეული დანაშაულებრივი გეგმის შესრულების მიზნით. ამ ტიპის ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ისეთი მკაცრი იერარქურა, როგორც ტრადიციული ტიპის ორგანიზაციებს. პროფესიონალთა ჯგუფების საქმიანობა მოიცავს ყალბი ფულის მოჭრას, ავტომობილების გატაცებას, ყაჩაღობას, გამომძაღველობას და სხვ. დამნაშავეთა ასეთი ფორმირებების შეზღვევლობა ცვალებადია, მათ წევრებს შეუძლიათ თიანაშრომლონ დამნაშავეთა სხვა დაჯგუფებებთანაც. კრიმინალური დაჯგუფებების მესამე ტიპს წარმოადგენენ ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ გარკვეულ ტერიტორიებს. მათ მიეკუთვნებიან ახალგაზრდული ბანდები, რეკეტერები ბაზრობებზე, კრიმინალური დაჯგუფებები აეროპორტებში, ეაგზალზე და სხვ.

დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათის, ფორმების და მიზეზების მიხედვით ორგანიზებული დანაშაულობა საქათველოში პირობითად შეიძლება დაიყოს:

- სისხლისსამართლებრივ და განგსტერულ დანაშაულობად, რომელიც ელინდება ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, გამომძაღველობით, თაღლითობით, ბანდიტიზმით, მკვლელობითა სხვა ანალოგიური ქმედებებით;
- ეკონომიკურ ან სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულობად, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, ჩაფლულნი არიან კორუფციაში, სხვა ანგარებით-თანამდებობრივ საქმიანობაში, იტაცებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას, კრედიტებს და გრანტებს.
- ეთნო-კრიმინალურ დანაშაულობად, რომელიც გულისხმობს ერთი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დომინირებას კონკრეტული რეგიონის სხვა მოქალაქეებზე ძალადობისა და დაშინების მეშვეობით.

ორგანიზებული დანაშაულობის თითოეულ ნაირსახეობას (იქნება ეს სისხლის სამართლის, ეკონომიკური, პოლიტიკური, ბიუროკრატიული, საბაზრო, რაციონალური, ირაციონალური თუ ეთნო-კლანური) გააჩნია მიზეზებისა და პირობების თავისი ერთობლიობა. თუმცა, მათი მაგისტრალური მიმართულება ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროშია საძიებელი. საბოლოო

ჯგაშში, პოლიტიკურ ორგანიზებულ დანაშაულობასაც ეკონომიკური დეტერმინაცია აქვს. ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობა იყოფა ბიუროკრატიულ დანაშაულობად, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთის ინვესტიციების, გრანტების, საქონლის, შეიარაღების, მომსახურების, თანადგეობების, ჯილდოების, ლიცენზიების, პრივილეგიების, შიდაავიების და ა.შ. განაწილებასთან და საბაზრო დანაშაულობად, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანების როგორც ყოველდღიურ რაციონალურ მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფს რა მათ აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით, ასევე ირაციონალურ მოთხოვნილებებსაც (ნარკოტიკები, იარაღი, ალკოჰოლი, აზარტული თამაშები, მებაგები).

საბჭოთა ხელისუფლების დროს, საზოგადოებრივი განვითარება დაიყვანებოდა ეკონომიკის ობიექტურ კანონებსა და სოციალისტურ საზოგადოებაში მეურნეობის ვოლუნტარულ და ადმინისტრაციულ მეთოდებს შორის წინააღმდეგობრიობაზე, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობა იყო ამ წინააღმდეგობების გადაწყვეტის კრიმინალური საშუალება, ურომლისოდაც ბიუროკრატიული სისტემა დიდხანს ვერ იარსებებდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ თვითონ ბიუროკრატია არ იყო ეკონომიკური ინტერესების მატარებელი. მის პრეროგატივას შეადგენდა ხელისუფლების შენარჩუნება. ეკონომიკის ბიუროკრატიულ მართვას, საბოლოო ჯგაშში, მიყვადით იდეოლოგიური და არა ეკონომიკური ინტერესების დომინირებასთან; სამხედრო ხარჯები, მესამე ქვეყნების და გიგანტური სახელმწიფო მანქანის შენახვა ნთქავდა ერთგული შემოსავლების დიდ ნაწილს. გეგმიურმა ეკონომიკამ ხელი არ შეუწყო აყვავებას, არამედ წახალისა გათანაბრების და განაწილების წერილმანი სისტემა. მზარდი დეფიციტი, თავის მხრივ, მოითხოვდა მაკონტროლებელი და გამანაწილებელი შტაბების გაზრდას, რაც მთლიანად ბლოკავდა ეკონომიკურ მექანიზმებს. შექმნილმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ჩრდილოეთში ეკონომიკამ და იატაკქვეშა ბაზარმა თავის თავზე აიღო საქონლებბრუნვის ფუნქციები, რომელსაც სახელმწიფო ბიუროკრატია მართო პრაქტიკულად ვერ შესარულებდა. ყოველივე ზემოაღნიშნული შესაძლებლობას გეაძლევს გაეაქეთოთ დასკვნა, რომ საქართველოში ბიუროკრატიული, საბაზრო და რაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა მარტოდენ მბრძანებლური ეკონომიკის კანონზომიერი შედეგია.

უძრავობის პერიოდის არალეგალური სამეურნეო საქმიანობის გამოცდილებამ 80-იანი წლების ბოლოს, ორგანიზებულ დანაშაულობას, როგორც უფრო მობილურ, დარაზმულ და ეკონომიკურად გამოცდილს, შესაძლებლობა მისცა ყველა მიმდინარე პოლიტიკური პროცესი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ სახეობის საქმიანობის აყვავება გორბაჩოვისეული გარდაქმნის პერიოდში განპირობებული იყო დანაშაულობის ზრდის საერთო დინამიკით და ტოტალიტარული კონტროლის შესუსტებით. დანაშაულობის სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით ეს ზრდა უთანასწორო აღმოჩნდა. სტატისტიკურ ანგარიშებში აშკარად პროგრესირებდა ანგარებითი და ჯგუფური, აგრეთვე ანგარებით-ჯგუფური ქმედებები. საქართველოში იმ პერიოდში დანაშაულობა საშუალოდ 5-ჯერ გაიზარდა, ამ ზრდის პიკი მოდიოდა 1991-1993 წლებზე. ამასთანავე ყოველი მესამე დანაშაულობი სრულდებოდა ჯგუფურად. დაფიქსირდა ანგარებითი და ანგარებით-ძალადობრივი დანაშაულების, განსაკუთრებით ყაზადური თავდასხმების და ბანდიტიზმის ინტენსიური ზრდა. აღრიცხული და ლატენტური დანაშაულის, აგრეთვე მისი ორგანიზებული ფორმების ზრდა მიმდინარეობდა ანარქიული კაპიტალიზმის განვითარებისთვის დამახასიათებელი მშფოთვარე სოციალური პროცესის ფონზე. ამ პროცესების პარალელურად ხდებოდა ზნეობრივი სფეროების დეფორმაცია, ფეხი მოიკიდა სამართლებრივმა ნიალიზმმა, ერცვლდებოდა გამდიდრებისთვის ყველანაირი საშუალების გამოყენების იდეოლოგიური მოდელები. 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულის ზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობის სრული რღვევა და კონტროლის აპარატის მუდმივი რიცხობრივი შემცირება. ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმები მთლიანად იყო ნიველირებული, ხოლო ეკონომიკური, ფინანსური, საგალურო, საგადასახადო კონტროლის ახალი მექანიზმები, რომლებიც ეკონომიკურ კანონებს ემყარებიან, დღემდეც დამუშავებისა და დანერგვის პროცესშია.

## 2. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაცია საქართველოში

დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების არსებობისა და წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სპეციფიკური სტრუქტურული იერარქიის არსებობა. როგორც პრაქტიკა და სოციოლოგიური გამოკვლევების ანალიზი მოწმობს, დანაშაულებრივი წარმონაქმნები ფორმირების შექანისთვის, წვერთა რიცხოზობის, ორგანიზებულობის დონის, სტრუქტურის ელემენტების და საქმიანობის მიმართულების მიხედვით შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, გამოიყოფა დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების რამდენიმე დონე ან ტიპი:

- ჯგუფები, რომლებიც სწაღიან დანაშაულს სპონტანურად, წინასწარი შეთანხმების გარეშე. (მაგალითად, ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც ჩხუბს უტეხს გამელელებს და სხვ.);
- არამდგრადი ჯგუფები, რომელთა წევრები დანაშაულს სწაღიან წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ ეს შეთანხმება ეხება ერთ ან რამდენიმე დანაშაულს, რომლის ჩადენის შემდეგ ჯგუფი იშლება;
- დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ხასიათდებიან წინასწარ განზრახული, ადრევე დაგეგმილი დანაშაულებრივი ქცევით;
- ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ხასიათდებიან მუდმივ დანაშაულებრივ საქმიანობაზე შეთანხმებით.<sup>10</sup>

ა.ი. გუროვის აზრით, არსებობს ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა დონე. მისი თეორიის თანახმად, პირველ დონეს წარმოადგენენ ჩვეულებრივი ორგანიზებული ჯგუფები; მეორე დონეს – ასეთივე ჯგუფები, ოღონდ კორუმპირებული კავშირებით; ყველაზე მაღალ, მესამე დონეზე არიან დანაშაულებრივი ორგანიზაციები (ან საზოგადოებრივი გაერთიანებები), რომელთაც გააჩნიათ ბადისებური სტრუქტურა და მართავენ რამდენიმე ქვეშევრდომ ორგანიზაციას. დანაშაულებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ უფრო წერილ ჯგუფებს და დაკავებულიები არიან “რეკეტით”, არეგულირებენ ნარკობიზნესს და პროსტიტუციას.

- ავტორი ქსელური სტრუქტურის მქონე დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ერთად გამოყოფს დამნაშავეთა ორგანიზებული გაერთიანების ნაირსახეობას “კანონიერი ქურდების” სახით.<sup>11</sup>

ა.ი. გუროვს შესაძლოა დაეთანხმოთ, რომ მართლაც არსებობს ზემოწამოთვლილი სამი დონე, ოღონდ არა ორგანიზებული, არამედ ჯგუფური დანაშაულისა. ორგანიზებული დანაშაულობა განსაკუთრებული ფენომენია. არ შეიძლება იგი განვიხილოთ, როგორც ქურდობის, თაღლითობის ან მიტაცების კარგად აწყობილი სისტემა რომელიმე ეკონომიკურ დარგში, წარმოებაში ან რეგიონში. ორგანიზებული დანაშაულობა არ შეიძლება დაიყვანებოდეს სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკების კორუმპირებულობამდე ან “კანონიერი ქურდების” გაერთიანების საქმიანობამდე. კრიმინალური დაჯგუფება ფუნქციონირებს სოციალური ორგანიზაციის საკმაოდ პრიმიტიულ დონეზე, რომელსაც განაპირობებს დაკავების მუდმივი რისკი და თავისუფლების აღკვეთისათვის თავის დაღწევის აუცილებლობა. უეჭველია, რომ მაღალი “კრიმინალური რანგის” მქონე პირთა ავტორიტეტი დამნაშავეთა წრეში საკმაოდ დიდია. გამოკვლევათა მონაცემების მიხედვით, ისინი თამაშობდნენ და ახლაც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დამნაშავეთა საყაროს დარაზებაში.

<sup>10</sup> Организованная преступность Колл. авторов М., 1989 с 8-9

<sup>11</sup> Гуров А. – Профессиональная преступность: прошлое и современность М., 1990 с.29

მაფიების იტალიელი მკვლევარის – როზარო მინას აზრით, შეიძლება გამოიყოს მაფიოზური განვითარების სამი დონე:

- მაღალი მაფია, რომელიც ძირითადად შედგება მაფიურ მკვლელთა შეილებისა და შეილიშვილებისაგან. მათ ხელშია მოქცეული პოლიტიკური ძალაუფლება;
- საშუალო მაფია, რომელიც პირველის შეკვეთით ასრულებს მოსყიდვას და მიტაცებას;
- დაბალი მაფია, რომელიც სპეციალიზებულია მკვლევლობებზე და ტერორის სხვა სახეობებზე.<sup>12</sup>

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოიყოფა ორგანიზებული დანაშაულობის შემდეგი დონეები:

პირველი დონე – დამნაშავეთა მდგრადი ჯგუფები, რომელთაც აქვთ რთული სტრუქტურა, მაგრამ არ გააჩნიათ კორუმპირებული კავშირები;

მეორე დონე – დამნაშავეთა ფორმირებები, რომლებსაც აქვთ კავშირები სახელმწიფო და ძალოვანი სტრუქტურების კორუმპირებულ წინააღმდეგობას;

მესამე დონე – რამდენიმე ჯგუფის გაერთიანება დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომელსაც გააჩნია მართვის ფუნქციური-იერარქიული სისტემა და საგარეო კავშირები.

არსებობს ამ ფორმირებების უფრო დეტალური კლასიფიკაცია დონეთა უფრო დიდი რიცხვით მარტივიდან რთულამდე:

- ა) მარტივი ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც არ აქვს რთული სტრუქტურა და დაქვემდებარება (რაოდენობა – 2-4 კაცი);
- ბ) იერარქიულად ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც სტრუქტურულია და შედგება 4-ზე მეტი კაცისაგან;
- გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც აერთიანებს წევრთა მნიშვნელოვან რიცხვს და გააჩნია კორუმპირებული კავშირები, გავლენის სფეროები და ტერიტორიები;
- დ) ზოგადი პროფილის სისხლისსამართლებრივი ბანდიტური ჯგუფები, სპეციალიზებული დაქირავებული მკვლევლები;
- ე) მაფიოზური (კლანური) დაჯგუფებები – ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ან დანაშაულებრივი სინდიკატის ფორმის ორგანიზაციები, რომლებიც ერთდროულად ეწევიან როგორც კანონსაწინააღმდეგო, ასევე ლეგალურ საქმიანობას, გააჩნიათ ორგანიზებული უფრო მაღალი ხარისხი, გამოირჩევიან მრავალრიცხოვნობითა და სპეციფიკური სტრუქტურით.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში ერთდროულად და პარალელურად არსებობენ, ურთიერთქმედებენ და კონსურირებენ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები, ბანდები, კრიმინალური კავშირები და ასევე ცალკეული ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული დაჯგუფებების ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულ სახეს წარმოადგენს უბრალო ორგანიზებული ჯგუფები. მათმა სტრუქტურამ, ზომებმა და საქმიანობის მიმართულებამ შეიძლება არსებითი ცვლილებები და ტრანსფორმაცია განიცადოს. რაც შემთხვევებში, ეს ჯგუფები ერწყმობა სხვა ფორმირებებს და ახორციელებენ გარე შემკვეთების ინტერესებს.

<sup>12</sup> Основы борьбы с организованной преступностью. Колл. Автор М., 1996 с. 234



საგამოძიებო პოლიტიკის ანალიზი გეიჩვენებს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მოცულობის, შიდა სტრუქტურების სისრულის, ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით, ძირითად ფუნქციურ წარმონაქმნს დანაშაულებრივი ორგანიზებული საქმიანობის სფეროში წარმოადგენს კრიმინალური საზოგადოება - სისტემა ჯგუფებში გაერთიანებული პირებსა, რომლებიც დანაშაულებრივი შემოსაქმედებიდან გარკვეული "წილის" მიღების საფასურად თავისი მორალური, მატერიალური, სამსახურებრივ-თანამდებობრივი, ორგანიზატორული და საშემსრულებლო შესაძლებლობების ფარგლებში შეგნებულად მონაწილეობენ დანაშაულებრივი ორგანიზებული საქმიანობის ერთიანი კოლექტიური გეგმის ან მისი ნაწილის რეალიზაციაში.

ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანთა დანაშაულებრივი წარმონაქმნების კონსოლიდაციის პროცესმა ლოკალურ და ადამიანთა დიდი მასების დონეზე, კლანურ-მაფიოზურ საზოგადოებებზე და მათმა გაერთიანებებმა ფართო გავრცელება პოვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

დამნაშაულებრივი ორგანიზებული საქმიანობის სფეროს ამსახველ სამეცნიერო ლიტერატურაში კლანურ-მაფიოზურ წარმონაქმნებში იგულისხმება აქტიურად მოქმედი და ერთმანეთთან ეთნიკური, ნათესაური, ხანგრძლივი სამსახურებრივ-თანამდებობრივი და ანაფროულად კრიმინალური საქმიანობით შეკავშირებული დანაშაულებრივი ფორმირებების წევრები ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ მოცემული კოლექტიური დანაშაულებრივი წარმონაქმნის დანაშაულებრივ-ორგანიზაციულ საქმიანობაში კრიმინალური მოგების შეთანხმებული წილის, სხვადასხვა მატერიალური გასამრჯელოს მიღების ან სხვა მოტივებით.

ყველა სხვა ტიპის ფორმირებებისაგან კლანური ტიპის დამნაშაულებრივი ფორმირებების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მის წევრებსა და ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართულ სხვა მონაწილეთა შორის პრაქტიკულად ურღვევი (წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც) ეთნიკური, ნათესაური და სანდო ურთიერთობების არსებობა, რომლებიც აგებულია ერთობლივ კრიმინალურ საქმეებზე<sup>14</sup> კლანურ-ეთნიკურ სტრუქტურად ჩამოყალიბებული ფსევდოსახელმწიფოებრივი ფორმირებები ყოველთვის ხასიათდება პირველადწყებითი რგოლის არსებობით - პირთა ჯგუფით, რომელთაც გააჩნიათ განსახლებული იდეოლოგიური დოქტრინა, რომელიც მოქმედებს, როგორც მაკონსოლიდირებელი ფაქტორი. როგორც წესი, ეს არის ნაციონალური აღორძინების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კონცეფცია. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე პირველადწყებითი რგოლის საქმიანობის დონეზე, სახეზეა მისი ანტიკონსტიტუციური მიმართულება, რომელიც კანონით კვალიფიცირდება, როგორც "შუთქმულება ძალაუფლების ხელში ჩაგდება მიზნით", ანუ სახელმწიფოებრივი დანაშაული. ასეთი კრიმინალური გაერთიანება თითქოს წნდება "ზემოდან", სადაც მისი ჩამოყალიბების ამოსავალი პუნქტი არის არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფი, არამედ ხელმძღვანელი ცენტრი, რომელსაც შემდგომში თითქოსდა გარშემო ერწყმის თავისი ქვეშევრდომი სტრუქტურები, ამგვარი ცენტრის როლში, ჩვეულებრივ, გვევლინებიან სახელმწიფო აპარატის ზემდგომი კორუმპირებული მოხელეები, ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმონები და დანაშაულებრივ ავტორიტეტები.

მკვლევართა აზრით, დანაშაულებრივი ორგანიზებული ფორმირებები იქმნება რამდენიმე გზით: ა) სიტუაციურ-ძალისმიერი, ბ) ფუნქციურ-სახელმწიფოებრივ და გ) ფორმალურ-წარმოებითი.

პირველი ხერხი ახასიათებს ანგარიშით-ძალადობრივი ორიენტაციის დანაშაულებრივი ორგანიზებულ ჯგუფს, როდესაც ჯგუფი იქმნება იმ აუცილებლობის გამო, რომ დანაშაული ჩაიდინონ კრიმინალური წარსულის მქონე პირებმა. მოცემულ შემთხვევაში ჯგუფის წევრები კისრულობენ გარკვეული საორგანიზაციო ფუნქციების შესრულებას და გადაწყვეტილებებს დებულობან შექმნილი კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციიდან გამომდინარე. ასეთი ჯგუფები შესაძლებელია, გადაიქცნენ საკმაოდ მდგრად ფორმირებებად, გართულდნენ

სტრუქტურულად და გაიზარდონ წევრთა რაოდენობის მიხედვით. თუმცა, შესაძლოა, დაიშალონ ერთი დანაშაულის ან დანაშაულთა სერიის შემდეგ.

მეორე მეთოდის რეალიზება ხდება მაშინ, როცა ორგანიზებულ დანაშაულთა ფორმირების პერსპექტივულ ლიდერებს აქვთ დრო, რათა დეტალურად დაგეგმონ მომავალი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა, გააჩნიათ არჩევანი კრიმინალებს ან პროფესიულად მოზარდებულ ადამიანთა შორის (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში).

დაბოლოს, მესამე – ფორმალურ-წარმოებითი ხერხი ახასიათებს ანგარებით-სამეურნეო ორგანიზებულ დანაშაულობას, როდესაც დანაშაულებრივი ქვეგანაყოფების ცალკეული რგოლები იმეორებენ სახელმწიფო, სამეურნეო და სამმართველო სტრუქტურებს, მასში ეოქტობრივად არაფერს ცვლიან და მხოლოდ თანდათანობით არეგულირებენ და გარდაქმნიან კორუმპირებული და არასასურველი თანამშრომლების აუცილებელი რგოლების მოცილების მეშვეობით. ასეთი ჯგუფების წევრები, როგორც წესი, ასრულებენ როგორც სრულიად ლეგალურ, ასევე არალეგალურ და კანონსაწინააღმდეგო ფუნქციებს, ხოლო ორგანიზაციებს აქვთ ორმაგი ბულალტერია და სწადიან საგადასახადო დანაშაულს.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ დანაშაულთა ორგანიზებულ ფორმირებებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებათა მიუხედავად, ორგანიზებულობის ხარისხის, წევრთა შორის ფუნქციური მოვალეობების განაწილების, მართვის ტიპისა და წევრთა რაოდენობის მიხედვით, მაინც შესაძლებელია მოხდეს მათი კლასიფიკაცია სტრუქტურის მიხედვით. დანაშაულებრივი წარმონაქმნების უმეტესობას, რომლებიც აერთიანებენ 30 და მეტ წევრს, გააჩნიათ სხვადასხვა დონის რამდენიმე სტრუქტურული რგოლი: დაბალი სამმსრულებლო, ორგანიზაციულ-საკონტროლო, შუალედური, უსაფრთხოების ჯგუფები და ხელმძღვანელი ზედა რგოლები. შემსრულებლები, როგორც წესი, შეირჩევიან სისხლისსაპროტექციო დანაშაულთაგან ან ანტისოციალური ქცევის ახალგაზრდებისგან. იერარქიულ პირამიდაში შემსრულებელთა რგოლებს შორის დგანან საშუალო რგოლები, რომლებიც ახდენენ დანაშაულებრივი აქტივობის კოორდინირებას. უმაღლესი რგოლები დისტანცირებულები არიან და დანაშაულში უშუალოდ არ მონაწილეობენ. ისინი შეიმუშავენ ჯგუფების მოქმედების სტრატეგიას და უზრუნველყოფენ საქმიანობის კორუფციულ მფარველობას, აგრეთვე კრიმინალური შემოსავლების ჩართვას ბიზნისის ლეგალურ სფეროებში.

ორგანიზებული დანაშაულობა გამოირჩევა საქმიანობის დიდი ნაირსახეობით და შეუძლებელია ამ სახეობათა ყოვლისმომცველი ჩამონათვალის გაკეთება, თუმცა ზოგი მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

კრიმინალურმა და სოციალურმა ლიტერატურულმა წყაროებმა, თეორიულ და პრაქტიკულ მუშაკებთან კონსულტაციებმა, აგრეთვე ჩატარებულმა გამოკვლევებმა შესაძლებლობა მოგვცა, შეგვემუშაებინა მართლსაწინააღმდეგო ჯგუფური ქცევის ძირითადი, მათ შორის, საკართველოში ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციაში მოქცეული სახეების კლასიფიკაცია.

№	დანაშაულებრივი ორგანიზაციის ტიპი	დანაშაულის სახეები	დანაშაულებრივი ჯგუფების კრიმინალური დახასიათება
1.	შემთხვევითი ჯგუფი (უბრალო თანამონაწილეობა 2-4 წევრიან ჯგუფში).	ქურდობა, მარცვა, სხვადასხვა სიმძიმისა და ხარისხის ძალადობრივი დანაშაულები	ჯგუფს არ გააჩნია ორგანიზებულობა – არ ჰყავს ლიდერი, შედგება უბრალო თანამშრომლებლებისგან, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ჩვეულებრივ, იშლება.

2. პირველი რიგის ორგანიზებული ჯგუფი	წინასწარგანზრახული ანგარებითი და ძალადობრივი დანაშაულები	ჯგუფი ხასიოდება ორგანიზებულობის დაბალი დონით: არ შეაყვს ლიდერი ან ხასიათდება მართვის პრიმიტიული ფორმებით; დანაშაულის ჩადენისათვის მზადების დონე დაბალია ან დანაშაულის ჩადენა ხდება შექმნილი
		სიტუაციის ზემოქმედებით; ჯგუფი არ არის მყარი და, ჩვეულებრივ, არსებობს არაუმეტეს 1-2 წლისა. მისი ეს ნაირსახეობა დამახასიათებელია ახალ გაზრდული და მოზარდთა ბანდები სათვის.
3. მეორე რიგის - 2-10 წერისაგან შემდგარი ორგანიზებული ჯგუფი	წინასწარგანზრახული, ძალადობრივი და ანგარებითი დანაშაულები	ჯგუფს გააჩნია ორგანიზებულობის საშუალო დონე; ლიდერი გამოკეთილია, ფუნქციონირებს 2-3- რგოლიანი იერარქია, დანაშაული კარგადია დაგეგმილი. ჯგუფი მყარია 3-5 წლის განმავლობაში. დამახასიათებელია კრიმინალური წარსულის მქონე პირთა გაერთიანებისთვის, ინტერესი და მიმართულებები ანგარებით-ძალადობრივი. ჯგუფის ამგვარი ნაირსახეობა არაიდოლოგიზირებულია.
4. მესამე რიგის ორგანიზებული ჯგუფი	სახელმწიფო და კომერციულ ობიექტებზე თავდასხმების მოწყობა, კვალიფიცირებული ბანდირიზმი, რეკრუტი, ადამიანთა გატაცება	ხასიათდება ორგანიზებულობის მაღალი დონით, შეაყვს სეკეთრად გამოკეთილი ლიდერი, გააჩნია მრავალსაფეხურიანი იერარქია; კორუფციული კავშირები სუსტია ან არ აქვს; დანაშაულის მომზადე ბის დონე მაღალია, კონსპირაცია - კარგი, ინტერესები და მიმართულება ქონებრივია; არ არიან იდეოლოგიზირებული.
5. სინდიკატის ტიპით მოწყობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება.	სახელმწიფო საკუთრების დატაცება, საგადასახადო დანაშაულები, კონტრაბანდა, თაღლითობა, ნარკობიზნესზე და პროსტიტუციაზე კონტროლში მონაწილეობა.	დანაშაულებრივი სინდიკატები წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოიქმნენ ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად კონკურენტული ბროლის პროცესში. ლიდერებს გააჩნიათ დიდი ძალაუფლება და გავლენა, იერარქია სიცდლის მაფის ტიპისაა; სინდიკატს ხელმძღვანელობენ "კანონიერი ქურდები", მნიშვნელოვანია კორუფციული კავშირები. ჩვეულებრივ, ასეთი საზოგადოებო-ოჯახი ხანგრძლივად არსებობს, მიმართულება ანგარე ბითია, კონსპირაცია კარგია, მოქმედებს "ომერტას" კანონი; ცდილობენ, რომ სახელმწიფო და სამართალდამცავ სტრუქტურებში შეაყვდეთ თავიანთი ხალხი. არ არიან იდეოლოგიზირებულნი.
6. "კარტელის" პრინციპზე აწყობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი საზოგადოება.	ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი განსაკუთრებულად მსხვილი მასშტაბის ქმედებები, ფულის ღვევითი ზაცია, საბანკო-საფინანსო გაფლანგვები და მითვისებები, კუმინტარული დახმარებები და კრედიტების მიტაცება.	კრიმინალური კარტელები წარმოადგენენ ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო და დანაშაულებრივი სტრუქტურების გაერთიანებას დანაშაულებრივი ბიზნესის წარმოების მიზნით. ორგანიზებულობის დონე მაღალია მაღალია, იერარქია სისტემურია, ლიდერი, ჩვეულებრივ, რამდენიმე და საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს კურირებენ. ხელმძღვანელები ორგანო ლიდერების საბოლოო ან ყოვლილზე;

		<p>აქეთ თაიანთი დახვეერვა და კონტრდახვეერვა, დაცვა და მეტროპოლები; შეინიშნება სწრაფვა სახელ მწიფო და ეკონომიკურ პოლიტიკაზე გაველენის მოპოვებისკენ, საჭირო პოლიტიკოსების ლობირებისკენ; მიმარ თულემა ქონებრივ-ანგარებითია.</p>
7.	<p>პროფკავშირის პრინციპებზე აგებული ორგანიზებული დანაშაულებრივი საზოგადოება (20 და მეტი წევრი).</p>	<p>დანაშაულის ჩადენა წარმოების სფეროში, სამრეწველო შპონაჟის წარმოება, ნარკობიზნესის ორგანიზაცია, საბანკო ოპერაციების განხორციელება "ფულის ლეგალიზაციის" მიზნით, ძალადობის გამოყენება დაშინებისთვის, რეკეტი.</p>
8.	<p>პოლიტიკურ-კრიმინალური საზოგადოება</p>	<p>დანაშაულის ჩადენა იძულებითი ზეწოლის მოხდენის, პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩაგდების და ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში მონოპოლიის მიღწევის მიზნით; ტერორი, შეკვეთილი მკვლელობა, შანტაჟი, ომისა და ეროვნული შუღლის პროპაგანდა, მასობრივი არეულობები, კონტროლი ბიზნესის ყველაზე უფრო მოშვებიან სფეროებზე (ენერგეტიკა, ალკოჰოლისა და თამბაქოს წარმოება და სხვ.).</p>

9.	ეთნო-კრიმინალური საზოგადოება (500 და მეტი წევრი).	დანაშაულის ჩადენა პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩადგების მიზნით, მასიური არეულობების ორგანიზება, ბანდიტიზმი, ტერორი, გენოციდი, ეთნიკური წმენდა, მკვლელობები და სხვა ძალადობრივი დანაშაულებები, მონაწილეობა ნარკობიზნესში, იარაღით და საომარი მასალებით ვაჭრობაში, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე დანაშაულებრივ საქმიანობაში და ა.შ.	მოცემული საზოგადოებები განისჯავდნენ ბიან ორგანიზებულობის მარალი დონით, შეუძლიათ სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის ძალადუანი ორგანოების ჩანაცვლება, იერარქია მრავალსაფეხური ანია, აქეთ, როგორც ლეგიტიმური, ასევე არადლეალური სრუქტურები, ფორმალუ რი ლიდერები ფლობენ ლეგიტიმუ და ფსევდოლეგიტიმურ სტატუსს. არსებობენ ჩრდილოვანი ლიდერებიც, მათ შორის კრიმინალური სტრუქტურების წარმომადგენლებიც, გამოირჩევიან საქმიანობის დაგეგმვის სრულყოფილი სტრატეგიით და ტაქტიკით, კაყეთ რეგულარული არმიის ყაიდაზე აგებული შეიარაღებულ მებრძოლი რაზმები, შეუძლიათ საბრძოლო ოპერაციების ჩატარება და სხვის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელება, ახასიათებთ იდოლო გიზაციის მაღალი დონე და ეწევიან თავიანთი საქმიანობის პროპაგანდას, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ ძალადობას და მოსახლეობის ცანსა
			კეთრებით სხვა ეთნიკური ჯგუფების) იძულებას იმსახურონ საომარ ფორმირებებში, მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და აშ; სარგებლობენ მესამე ქვეყნების და ზოგიერთი რადიკალური დაჯგუფებების მფარველობით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, არსებობს დანაშაუთა ორგანიზებული ჯგუფის 9 სახე, რომელთაგან მხოლოდ უკანასკნელი ხუთი შეიძლება მივაკუთვნოთ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს. ამ დაჯგუფებებს გააჩნიათ კრიმინალური საზოგადოების სტრუქტურა, ანუ წარმოადგენენ დანაშაუთა ჯგუფებს, კომერციული ორგანიზაციების, წარმოებების, პროფკავშირების, პოლიტიკური პარტიების, ერთი ეთნოსის ყველა ფენის წარმომადგენლებისა და ა.შ. სიმბიოზს.

კრიმინალური საზოგადოების მეთაურები ახორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას და თითქოსდა ნეიტრალური არიან მისი შემადგენელი ნაწილების მიმართ, ატარებენ რა თავის ხაზს თანამშეწყების მეშეობით, რომლებიც მეთაურობენ ცალკეულ სტრუქტურებს. ზოგ კრიმინალურ ორგანიზაციაში ჰყავთ მრჩეველები, როგორც დანაშაულებრივ, ასევე პოლიტიკურ, კომერციულ-ფინანსურ, ეკონომიკურ, საწარმოო და სხვა საკითხებში.

კრიმინალური საზოგადოებების მდგრადობა და უსაფრთხოება ძირითადად ვრცელდება ხელმძღვანელ, დაცვისა და გასამხედროებულ რგოლებზე.

კომერციულ-ფინანსურ სტრუქტურებში შემავალმა პირებმა, ხელმძღვანელების გამოკლებით, შეიძლება არც კი იცოდნენ, ვისზე მუშაობენ, რადგანაც ეს ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები, ძირითადად ლეგიტიმური არიან და გამოიყენებიან დანაშაულებრივი საქმიანობის შესანიღბად. დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც წესი, წარმატებული პოლიტიკოსი, მეწარმე ან კომერსანტია.

აღნიშნული სტრუქტურების ძირითადი ფუნქციაა კრიმინალური შემოსავლების ლეგალიზაცია, მათი გაზრდა კვლავწარმოებისათვის და დანაშაულებრივი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ცალკეულ შემთხვევაში, პოლიტიკური ან კომერციულ-კრიმინალური სტრუქტურების მეთაურების ოფიციალური საქმიანობა ეხმარება მათ და მათ თანამშრომლებს მისახლეობაში გარკვეული ავტორიტეტის და აღიარების მოპოვებაში და დანაშაულებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ბირთვისათვის უსაფრთხოების დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოფაში, რასაც ხელს უწყობენ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები.

პარტიულ-კრიმინალური საზოგადოების კლასიკურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ორგანიზაცია "მხედრონი". მართალია, იგი რეგისტრირებული იყო, როგორც "მაშველთა კორპუსი", მაგრამ, პრაქტიკულად, მის საქმიანობას პოლიტიკურ-კრიმინალური ხასიათი ჰქონდა. ასე მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც აუჯანყდა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას და ხელისუფლებაში ე. შეეარდნაძე მოიყვანა. ორგანიზაციას გააჩნდა თავისი წარმომადგენლობა რესპუბლიკის ბევრ რეგიონში და ჩაბმული იყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დაჯგუფებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტში, გამოდიოდა რა, როგორც პოლიტიკური ძალა. დაჯგუფებაზე დაყრდნობით, მისი ლიდერი ზეწოლას ახდენდა პრეზიდენტ შევარდნაძეზე, აღწევდა თანამდებობებზე მისთვის სასურველი პირების დანიშნვას და ახორციელებდა კონტროლს ეკონომიკის და ვაჭრობის სფეროებში. ამავე დროს, "მხედრონი" შეიძლება განვიხილოთ, როგორც სინდრატი, რომელმაც მწვავე კონსერვაციულ ბრძოლაში შთანთქა ან გაანადგურა სხვა დანაშაულებრივი ჯგუფები. ვერ გაუძღეს რა ამ ბრძოლას, კრიმინალური სამყაროს ბევრი ლიდერი და ე.წ. "კანონიერი ქურდი" იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და გამგზავრებულიყო სხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება "კარტელების" პრინციპზე აგებულ კრიმინალურ საზოგადოებებს, მათ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. სპირტის მაფია, რომელიც რამდენიმე წელია მოქმედებს საქართველოში, რუსეთში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში. ამ "კარტელში" გაერთიანდნენ კრიმინალური, სახელმწიფოებრივი და კერძო ორგანიზაციები თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან საქართველოზე და ჩრდილოეთ ოსეთზე გავლით 'სპირტის ტრანსპორტირების ბიზნესში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი სპირტი შემდგომში ლეგალურ და არალეგალურ საწარმოებში გადაამუშავდებოდა არყად და სხვა ფალსიფიცირებულ ალკოჰოლურ სასმელებად რუსეთის ბაზრისათვის. აღნიშნული საქმიანობის მოცულობისა და მისგან მიღებული მიახლოებითი შემოსავლების შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1997 წლის მიწურულს რუსეთმა გადაკეტა თავისი საზღვრები საქართველოსთან და სასაზღვრო პუნქტთან თავი მოიყარა ასობით მიმემ სატივრობი მანქანამ, რომელთაგან თითოეული დატვირთული იყო 20 და მეტი ტონა სპირტით. საზღვარზე ატყდა ნამდვილი ომი, იმართებოდა სროლები, აფეთქებები, სორცივლდებოდა საზღვრის გარღვევა სატივრობი მანქანებით და სხვა. სასაზღვრო კონფლიქტში ჩაერივნენ საქართველოს ძალზე მაღალი დონის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც ცხოველი ინტერესი გამოავლინეს აღნიშნული პრობლემაში, რაც მოწოდებს სახელმწიფო და კრიმინალური სტრუქტურების დრმა ურთიერთშერწყმასა და მათ თანასაქმიანობას სახელმწიფო და ტრანსნაციონალურ დონეზე.

მოცემული კვლევის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ეთნო-კრიმინალური წარმონაქმნები, რომელთაც გააჩნიათ ლეგიტიმური სახელმწიფოს ყველა სახელმწიფოებრივი – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ძალადგანი სტრუქტურა და ქმნიან სამართლებრივი საზოგადოების მოჩვენებით სახეს. მაგალითად, აფხაზეთში ფორმირებული იყო ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია და კანონები. თუმცა, არსებობს მთელი კომპლექსი ნიშნებისა, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა რეჟიმი ჩაითვალოს კრიმინალურად:

1. აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლება უზურპირებულია ეთნიკური უმცირესობის მიერ სამხედრო ძალის, მესამე ქვეყნების და დაქირაებული შეიარაღებული ძალების გამოყენებით, ე.ი. არსებითად განხორციელებულია სახელმწიფო გადატრიალება;
2. განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც ქართული მოსახლეობა, რომელიც შეადგენდა მოსახლეობის 64%-ს, ძალით იქნა დეპორტირებული ავტონომიის საზღვრებს გარეთ, ანუ დაირღვა მოქალაქეთა უმრავლესობის კონსტიტუციური უფლებები და ჩადენილ იქნა სისხლისსამართლებრივი დანაშაული;
3. აფხაზეთში არსებული რეჟიმი ახორციელებს რესპუბლიკის მართვას კრიმინალურ დაჯგუფებებზე და მათ ლიდერებზე დაყრდნობით, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურები ნიღბავენ მათ დანაშაულებრივ არსს;
4. აფხაზურ და სხვა მოსახლეობას, რომელიც დარჩა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იძულებს გზით იწყვენ სეპარატისტულ შეიარაღებულ ფორმირებებში;
5. რეჟიმის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ნარკობიზნესის, იარაღით უკანონო ვაჭრობის, რესპუბლიკის გარეთ მოქმედი კრიმინალური ჯგუფების და საზღვარგარეთის ტერორისტული და რადიკალურ-რელიგიური ორგანიზაციების ხარჯზე;

6. ოფიციალურად აფხაზური რეჟიმი არ აღიარა მსოფლიოს არცერთმა ქვეყანამ, ე.ი. იგი რჩება კანონგარეშე და საერთაშორისო კონტროლის გარე ტერიტორიად, რაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას საშუალებას აძლევს გამოიყენოს აღნიშნული რეგიონი, როგორც უსაფრთხო ზონა თავისი ბიზნესისთვის. მეომრების და ტერორისტების მოსამზადებელი ბანაკების განლაგებისათვის.

პრიმიტიულ ეთნო-კრიმინალურ ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედებენ პანკისის ხეობის ტეროტორიაზე. ეთნიკური ნიშნით დარჩაზმული ეს ჯგუფები შედგებიან ეთნიკური ჩენებისგან, ე.წ. “ბოუიეკებისგან” ჩენეთის რესპუბლიკიდან, რომლებიც თავს აფარებენ საქართველოს და არაბული ქვეყნებიდან დაქირაებული მეომრებისაგან. საქართველოს უშიშროების მინისტრის მოხალისეობით, ასეთი ჯგუფები აერთიანებენ 800-მდე ადამიანს, რომელთა შორის 200-მდე არაბია. ეს დაჯგუფებები წარმოადგენენ ტრანსნაციონალური დანაშაულის კლასიკურ მაგალითს, რომელთაც გააჩნიათ ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის ნიშნები, კარგად არიან შეიარაღებულნი და კოორდინირებულნი. მათ სერიოზულად დააქვეითეს სახელმწიფო კონტროლის დონე ხეობის ტერიტორიაზე და მკვეთრად გაზარდეს ძალადობრივი დანაშაულის (ადამიანთა გატაცება, ყაჩაღობა, ძარცვა, მკვლელობა) რაოდენობრივი მაჩვენებლები სახელმწიფოს აღმოსავლეთ რეგიონებში.

#### საკონტროლო კითხვები:

1. ჩამოაყალიბეთ ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიცია.
2. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაციის კრიტერიუმები საქართველოში.
3. აღწერეთ პირველი რიგის ორგანიზებული ჯგუფი.
4. აღწერეთ მეორე რიგის – 2-10 წევრისაგან შემდგარი ორგანიზებული ჯგუფი.
5. აღწერეთ სინდიკატის ტიპით მოწყობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება.
6. აღწერეთ “კარტელის” პრინციპზე აწყობული ორგანიზებული დანაშაულებრივი საზოგადოება.
7. აღწერეთ პოლიტიკურ-კრიმინალური საზოგადოება.
8. აღწერეთ ეთნო-კრიმინალური საზოგადოება.

## თავი 10. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა

### 1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები

ორგანიზებული დანაშაულობა მთელ მსოფლიოში იღებს ტრანსნაციონალურ ხასიათს. XXI საუკუნის ზღვრულზე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა თავისი მასშტაბებით და დამანგრეველი ზემოქმედებით რეალურ საფრთხედ იქცა მთელი აცობრობისთვის.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია ჰიპერტროფიული ზრდის ტენდენცია და წარმოადგენს ძალას, რომელიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. იგი არამარტო აფართოებს თავის საქმიანობას, არამედ ანგრევს საზოგადოების ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას, დემოკრატიული რეფორმების რეალიზაციას, პირველ რიგში, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთაც საქართველოც განეკუთვნება.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურმა და აგრესიულმა ხასიათმა საერთაშორისო საზოგადოება აიძულა, მთელი ძალისხმევა მიეყურო ამ ნეგატიური მოვლენის პრევენციის მექანიზმების შემუშავებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რამეთუ მისგან დაზღვეული არ არის არც ერთი სახელმწიფო და რეგიონი.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულობა არ არის "ტრადიციული" ორგანიზებული დანაშაულობის ახალი ნაირსახეობა. იგი წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის თვისებრივად ახალ ტიპს, რომელიც დანაშაულებრივ ორგანიზებულ სტრუქტურებს შესაძლებლობას აძლევს, დაემუქრონ სახელმწიფოების სტაბილურობას, ხელი შეუშალონ მათ ეკონომიკურ განვითარებას, დაანერგონ კორუფციული ურთიერთობები, დაბლოკონ დემოკრატიული ინსტიტუტები და ამით მოახდინონ ძლევამოსილების და ხელშეუხებლობის დემონსტრირება.

როგორც ყველა სხვა სოციალური მოვლენა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობაც ფლობს მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს ამ ფენომენის ძირითადი პარამეტრები და პარადიგმები. ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე, შეიძლება გამოვიკვლიოთ ტრანსნაციონალური დანაშაულობის სტრუქტურა, მექანიზმები და თავისებურებები, აგრეთვე მოვახდინოთ მისი გამიჯვნა სხვა დანაშაულებრივი ორგანიზებული სტრუქტურებისგან.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩამოყალიბდეს "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის" ცნება, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს იმ საფრთხის მასშტაბურობა, რომელსაც ეს ნეგატიური მოვლენა ატარებს, განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი არსებობის და აღმოცენების მიზეზები. უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება მსოფლიო საზოგადოებას საშუალებას მისცემს, გააერთიანოს ძალისხმევა და მიიღოს ადექვატური ზომები, რათა საერთაშორისო დონეზე შეებრძოლოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას.

სამწუხაროდ, მსოფლიოსათვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მიერ შემწილი გლობალური საფრთხის და მის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის გაცნობიერება მხოლოდ გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში მოხდა. ამიტომ, აღნიშნული მოვლენის სისტემატიზაციის ცალკეული ეტაპების მიუხედავად, ბოლო დრომდე არ არის განსაზღვრული მისი ძირითადი მახასიათებლები და არაა შემუშავებული მისი უნივერსალური დეფინიცია.



ქვემოთ მოგიხსრობთ იმ ძალისხმევათა შესახებ, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო დონეზე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის უნივერსალური განსაზღვრისაკენ. მსგავს მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1988 წელს სანტ-კლადის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულობას მიჰქონდა.<sup>1</sup> ინტერპოლის 46 წევრი ქვეყნიდან 84 მონაწილე მსჯელობის შედეგად, მივიდა შეთანხმებამდე, მიეღო განსახილველი ცნების – “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის” აღმნიშვნელი სამუშაო ფორმულა, რომელიც შემდგომ დისკუსიებს დაედგინა საფუძვლად. გადაწყდა, რომ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულში ეგულისხმათ ადამიანთა ნებისმიერი ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც მიმართულია სარგებელის მიღებისკენ ყველგან – ნაციონალური საზღვრების მიუხედავად.<sup>1</sup> მოცემულმა განსაზღვრებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოთხი ძირითადი ნიშანი:

1. ორგანიზაციის არსებობა და მასში მონაწილეობა;
2. უწყვეტობა;
3. საქმიანობის მიზნად მოგების მიღების დასახევა;
4. მისი მიღწევის ხერხები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული საზღვრების იგნორირებას.

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, უეჭველია, წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ამა თუ იმ მახასიათებელს, მაგრამ პირველი სამი საბაზო კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმულირებისთვისაც. მხოლოდ ერთადერთი ნიშანი – დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება როგორც ეროვნული საზღვრების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ – ამკლავებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკას. მაგრამ, გამოხატავს რა მის ძირითად არსს, ეს ერთადერთი ნიშანი არ გვაძლევს საშუალებას, სრულად შევაფასოთ პრობლემის გლობალურობა, მით უმეტეს მთლიანად მოვიცვათ მისი მახასიათებელი და თავისებურებები.

ბოლო წლებში კრიმინოლოგიაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნებისადმი ორი დომინირებული მიდგომა გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ყურადღების აქცენტირება მოხდა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების სტრუქტურასა და ნაირსახეობაზე, მეორე მხრივ კი – მათი ფუნქციონირების მექანიზმების ანალიზზე.

პირველი მიდგომის ჩარჩოებში გამოკვლევას ექვემდებარება კლასიკური ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების განვითარების ისტორია, მათი საქმიანობის ინფრასტრუქტურა, სპეციალიზაცია და ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურება. ეს მეთოდი არ იძლევა საშუალებას, გამოვავლინოთ მოცემული ფორმირებების ფუნქციონირების მექანიზმები და გაემიჯნოთ ისინი ახალი ტალღის დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებმაც უკვე მიიღეს ტრანსნაციონალური ხასიათი და ზემოგების მიღების მიზნით საერთაშორისო ასპარეზზე გააღწიეს.

ჩვენი აზრით, შედარებით რაციონალურია მეორე მიდგომა, როცა მთლიანად ტრანსნაციონალური დანაშაულობისათვის ყველაზე ტიპობრივი ნიშნების ანალიზისა და დაჯგუფების შედეგად ხდება სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციებისათვის ნიშანდობლივი ძირითადი მახასიათებლებისა და კონსტრუქციების გამოვლენა.

მკვლევარები გამოყოფენ 3-დან 14-მდე ასეთ ნიშანს. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთ შემთხვევაში ავტორები ტრანსნაციონალური დანაშაულობის დეფინიციამ გულისხმობენ

<sup>1</sup> Воронин Ю. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург 1997 с.6

როგორც ორგანიზებული კრიმინალური ფორმირებებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ასევე იმ ნიშნებსაც, რომლებიც საშუალებას იძლევიან ამ ფორმირებებს შორის გამოეყოთ ტრანსნაციონალური თვისებების მქონე ჯგუფები, მეორე შემთხვევაში კი, მკვლევარებს მოჰყავთ მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც განმსაზღვრელია ტრადიციული და ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების გამიჯენისათვის.<sup>2</sup>

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნების ყველაზე სრული ნაკრები შეიმუშავეს კანადის სისხლის სამართლის დახვეწვის პოლიციის დეპარტამენტში. ეს ნიშნებია:

1. კორუფცია – არაკანონიერი გაელენის გამოყენება, ადამიანის სისუსტეებით მანიპულირება და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა შანტაჟი;
2. დისციპლინა – ორგანიზაციისადმი დამორჩილების იძულება დაშინებისა და ძალადობის გამოყენებით;
3. შეღწევა – ძალისხმევა კანონიერ ინსტიტუტებში შესაღწევად კრიმინალური მოგების გარდასის და დანაშაულზე პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით;
4. იზოლაცია – ორგანიზაციის ლიდერების დაცვა მათი რიგითი წევრებისგან გამიჯენით, აგრეთვე ფორმირების შიგნით სხვადასხვა რგოლებისა და ფუნქციების განცალკევებით.
5. მონოპოლია – გეოგრაფიული ტერიტორიის ფარგლებში კრიმინალური აქტიურობის გარკვეულ სფეროზე კონტროლი და კონკურენციისადმი შეუწყნარებლობა;
6. მოტივაცია – ძალაუფლების და გაელენის მოპოვება სიმდიდრის დაგროვებით, პოლიტიკურ და სოციალურ მოგებათა მიღებით;
7. დამხობა – საზოგადოებრივი ინსტიტუტების, სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გაუფასურება;
8. ისტორია – უზრუნველყოფს კრიმინალური საქმიანობის სრულყოფას და მონოპოლიზაციას;
9. ძალადობა – უყოყმანოდ გამოიყენება ორგანიზაციის დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად;
10. დანაშაულებრივი პროფესიონალიზმი – მისი დანერგვა მოწინავე კომუნიკაციების სისტემებით სარგებლობისათვის ფინანსური ოპერაციების და კონტროლის განსახორციელებლად;
11. უწყვეტობა – კორპორაციის მსგავსად, ორგანიზაცია ხელს უწყობს მისი შემქმნელებისა და მმართველობის სტრუქტურის შენარჩუნებას.
12. უკანონო საქმიანობის მრავალფეროვნება – ორგანიზაციის მიერ მხოლოდ ერთ სახის დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოების ტენდენციის აღმოფხვრა;
13. კავშირი – წევრისა წევრთან და წევრისა ორგანიზაციასთან სოლიდარობისა და დაცვისათვის, რაც ხშირად სპეციფიური რიტუალების კომპლექსით გამოიხატება;
14. მობილურობა – იურისდიქციული და ნაციონალური საზღვრების იგნორირება.<sup>3</sup>

უშეგვლია, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მოცემული დეფინიცია მთელი რიგი ნიშნებით ემთხვევა ორგანიზებული დანაშაულობის .საერთო მახასიათებლებს. წარმოდგენილ ჩამონათვალს გააჩნია საკმაოდ აბსტრაქტული ხასიათი. მხოლოდ უკანასკნელი (მე-14) ნიშანი მიუთითებს დანაშაულის ტრანსნაციონალურობაზე, რომელიც მოცემულ კონტექსტში მეტად ბუნდოვნად აღიქმება.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსი, აუცილებელია ყურადღების ფოკუსირება მოხდეს მახასიათებლებზე, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ ამ საქმიანობისათვის და მიჯნავს მას ორგანიზებულ

<sup>2</sup> Shelley L. – The Threat to the World Order / Organized Crime contemporary issues San Diego 1999

დანაშაულობის სხვა ფორმებისგან. ასე მაგალიად, ლ. შელი გამოყოფს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის 3 განმასხვავებელ ნიშანს:

1. ორგანიზაციის ბაზირება ხდება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
2. მას შეუძლია, დანაშაულები ჩაიდინოს ერთი ქვეყნის საზღვრებში, მაგრამ, როგორც წესი თავის კრიმინალურ აქტივობას განაგრძობს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;
3. მსგავსი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუძლიათ მხილვის რისკის მინიმუმამდე დაყვანა თავისი საქმიანობის კრიმინალური აქტიურობის და ნეგატიური შედეგების სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე გადატანით კონკრეტული შემსრულებლებისა და უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისგან გამოქვინის მიზნით.<sup>3</sup>

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები აღწერილია ამერიკელ მკვლევარების რ. გოდსონის და ვ. ოლდსონის გამოკვლევებში. ისინი მიუთითებენ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ისეთ განმასხვავებელ თავისებურებებზე, როგორებიცაა კრიმინალური ოპერაციების გლობალური მასშტაბი და დანაშაულებრივი საქმიანობის გავრცობა სახელმწიფოთა საზღვრებს გარეთ. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალური ქსელები უზრუნველყოფენ მის მობილურობას, ინფრასტრუქტურის ფექტურ კომუნიკაციას, დანაშაულებრივ საწარმოებს შორის საერთაშორისო კავშირებს, ასევე კავშირებს არაკრიმინალური ხასიათის ორგანიზაციებთან მათი მომსახურების გამოყენების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევისადმი სწრაფ ადაპტაციას. ამასთან ერთად, ისინი ახალი პროდუქტის შექმნის საშუალებას იძლევიან (მაგალითად "creck"-ი, რომელმაც 80-იან წლებში ამერიკული კოკაინის ბაზარზე რევოლუცია მოახდინა) ან თავიანთი საქონლისა და მომსახურებისათვის ახალი ტერტორიული ბაზრების მოპოვებას უწყობენ ხელს, როგორც ცდომილებიდან ამის გაქცეობას კოკაინის კარტელები, როცა ამყარებდნენ კავშირებს იტალიურ მფოიას ან/და ევროპის სხვა კრიმინალურ ორგანიზაციებთან. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობას უნარი აქვს, თავის ინტერესებს მოარგოს სიტუაციის ცვლილებას რომელიმე ქვეყანაში და კარგად გამოიყენოს უთანხმოება სამართალდამცავი ძალების საერთაშორისო კორპორაციაში.<sup>4</sup>

ამგვარად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსის სირთულე არ იძლევა მარტივი განზოგადებებით მისი გაგების საშუალებას, ხოლო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა არ წამოადგენს დანაშაულებრივი კარტელების პროტოტიპს. ამიტომ მათი დახასიათება დიდადაა დამოკიდებული იმ საქმიანობის შინაარსზე, რომელიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების არსებობის აზრს.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა დაკავებულია კრიმინალური საქმიანობის გარეთ სპექტრით – დაწყებული ისეთი ტრადიციული სახეებიდან, როგორებიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა და იარაღის უკანონო ტრუფვა, დამთავრებული სამრეწველო და ტექნოლოგიური ჯაშუშობით, მანიპულაციებით საფინანსო ბაზარზე. კრიმინალური დაჯგუფებები კორუფციას და შიდა თუ გარე სამართლებრივი სისტემის ჯგუფებზე კონტროლს გამოიყენებენ, როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების საშუალებებს, ხოლო ფულის ლეგალიზაცია ბანკებში, ფინანსურ ინსტიტუტებში და ბიზნესში მისი ჩადებით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითად საერთაშორისო თავისებურებად იქცა მთელ მსოფლიოში.<sup>5</sup>

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება სხვადასხვანაირად განისაზღვრება: მისთვის უფრო მეტად

<sup>3</sup> Richards J. – Transnational Organized Organizations Cyber Crime and Money Laundering p.4  
<sup>4</sup> Godson R. Olson W. – Transnational criminal organizations// Organized CrimeContemporary issues  
<sup>5</sup> Shelley L. – The Threat to the World Order / Organized Crime contemporary issues San Diego 1999

დამახასიათებელ ტიპობრივ თავისებურებებზე,<sup>6</sup> "ტრანსნაციონალური დანაშაულობის" უფრო ფართო<sup>7</sup> და "ტრანსნაციონალური კრიმინალური კორპორაციების" უფრო ვიწრო ცნებებზე<sup>8</sup> დაყრდნობით.

უდავოა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ისევე, როგორც დანაშაულობის სხვა ფორმები, ექვემდებარება საქმიანობის მისიის დამახასიათებელ მოტივებს და მისი წევრების ქცევის შაბლონებს. ამიტომ ამ მოვლენის ძირითადი ნიშნების ანალიზის დროს ყურადღება ექცევა მთლიანად საქმიანობის და მისი სუბიექტების ქცევის კერძო განხილვას, ამავდროულად გარკვეული სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში არსებული კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის და მისი ტრანსნაციონალური ფორმების სუბიექტების გამოიყენა შესაძლებელია მხოლოდ მათი საქმიანობის შესწავლით.

ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია იმის კონსტანტირება, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წამყვანი განმასხვავებელი ნიშანია საქმიანობის სპეციფიკა და მისი ტრანსნაციონალური ხასიათი.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წამყვანი ნიშნის განსაზღვრა საშუალებას იძლევა, გაიმიჯნოს ცალკეულ სახელმწიფოთა შიგნით არსებულ ნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტრანსნაციონალურ დანაშაულს შორის. ამ განსაზღვრების ბაზას წარმოადგენს ამერიკელი კრიმინოლოგების მიერ ჯერ კიდევ 1971 წელს შემოთავაზებული ტერმინის – "ტრანსნაციონალურის" – განმარტება, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემებზე მსჯელობას დაედო საფიქვალად ნეაპოლის 1994 წლის მსოფლიო კონფერენციაზე.<sup>9</sup>

*ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობაში იგულისხმება კრიმინალური ორგანიზაციების მიერ უკანონო ოპერაციების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, სხვა მატერიალური და არამატერიალური საშუალებების სახელმწიფო საზღვრებზე გადასაცემასთან საზღვარგარეთის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის გამოყენების, არსებითი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, აგრევე სოციალური კონტროლისათვის თავის ეფექტურად ასარიდებლად კორუფციის, ძალადობის და სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მარლმსაჯულების სისტემებს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთგანსხვავებების გამოყენებასთან.*

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა ხდება ტრანსნაციონალური, თუ:

1. იგი დაკავშირებულია მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებათა სახელმწიფო საზღვრებზე გადასაცემების უკანონო ოპერაციებთან, რომლებსაც მოაქვთ არსებითი მოგება;
2. მისი განხორციელების დროს გამოიყენება ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა, სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მარლმსაჯულების სისტემებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები, რიგი ნორმების არ არსებობა (დაუმუშავებლობა), აგრეთვე კორუფციისა და ძალადობის გზით სახელმწიფოების ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია, ანუ მისი გასვლა ერთი სახელმწიფოს ნაციონალური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, აქვამად უკმ

<sup>6</sup> Воронин Ю. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург 1997 с.6

<sup>7</sup> Зорин Г. Танкевич О. – Понятие и признаки и организованной преступности. Гродно 1997

<sup>8</sup> Иванов Э. – Отмыивание денег и правовое регулирование борьбы с ним. М., 1999 с. 12

<sup>9</sup> Koehne R. Nye J. – Transnational Relation and World Politics. Cambridge Massachusetts, Harvard

განხორციელებული საერთაშორისო ფაქტია, რაც არსებითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრიმინალური ვეოლუციის უმაღლესი დონე.<sup>10</sup>

ორგანიზებული დანაშაულობის თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და ფართო კავშირება უზრუნველყვეს სხვა კონტინენტებზე და სხვა ქვეყნებში პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების დაჩქარება. ელექტრონული ანგარიშების თანამედროვე საბანკო სისტემებმა შესაძლებელი გახადეს საერთაშორისო დანაშაულებრივი გარეგებების განხორციელება, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, აგრეთვე სხვადასხვაგვარ ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს კრიმინალური ქცევის რაციონალურ და პროფესიონალურ ნაწილს. ამის გამოვლინებას წარმოადგენს შესაძლო რისკის მინიმუმამდე დაყვანა და მაქსიმალური მოგების მიღება. ასეთი კრიმინალური ორგანიზაციები ხასიათდებიან ადაპტაციის განსაკუთრებული ნიჭით. მათ შეუძლიათ ისწავლონ საკუთარ და სხვის გამოცდილებასზე, ფლობენ სიტუაციის სტრატეგიულ ხედვას და მისი განვითარების შესაძლო ვარიანტებს. ისინი დასახმარებლად ხშირად მიმართავენ მაღალი კლასის სპეციალისტებს, იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს და მოწყობილობებს. ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი არასოდეს გადააბიჯებენ სახელმწიფოს ნაციონალურ საზღვრებს, თუ ვერ დაინახავენ მგებებს და არ მიიღებენ სერიოზულ უპირატესობებს და შესაძლებლობებს.<sup>11</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უფრო მეტად მძლავრმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყეს ოპერაციების განხორციელება საერთაშორისო მასშტაბებით და გარდაიქმნენ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებად.

ტრანსნაციონალური ოპერაციები დანაშაულებრივ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევთ, შეაღწიონ მომგებიან ბაზრებზე და განახორციელონ ეს იმ რეგიონებიდან, სადაც ისინი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ხელშეუხებელი არიან. დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლება მსოფლიო ფინანსური სისტემის არხებით, იმალება ოფშორულ ზონებში და ლოიალური რეგულირების საბანკო ცენტრებში.

ასეთი ორგანიზაციები ხდებიან მსოფლიო ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაწილეები და თამაშობენ განსაკუთრებულ როლს კანონით აკრძალულ სფეროებში (მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და მის წარმოებაში), რომელთაც მიიღეს გლობალური მასშტაბები და მოაქვთ ისეთი შემოსავლები, რომელიც რაოდენობით აღემატება ზოგიერთი განვითარებადი და განვითარებული სახელმწიფოს საერთო ეროვნულ პროდუქტს.<sup>14</sup> ვაშინგტონის ნაციონალური სტრატეგიული საინფორმაციო კომიტეტის ექსპერტების თანახმად, "მსოფლიო მათვის შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1 ტრლ. დოლარს. ეს თანხა თითქმის ექვივალენტურია ამერიკის ფედერალური ბიუჯეტისა."<sup>11</sup>

ამავე დროს, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განსაზღვრება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დახასიათებით. ამ ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს აღნიშნული საქმიანობის განმარტებული სუბიექტების სპეციფიკა. გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის დახასიათება მხოლოდ მისი საქმიანობის მიხედვით არ იძლევა საშუალებას ერთმნიშვნელოვნად გავმიჯნოთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება ისეთი მომიჯნავე ცნებებისგან,

10 Воронин Ю. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург 1997 с.11

11 Лунеев В. Преступность XX Века Мировой криминологический анализ М., 1999 с.318

როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო დანაშაულობა, რომლის ერთერთი ნიშანი აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დროს ეროვნული საზღვრების იგნორირებაა.

უდავოა, რომ “საერთაშორისო დანაშაულობა” მნიშვნელოვნად ფართო ცნებაა, ვიდრე “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა” და რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის სტრუქტურულ ელემენტს. ამ ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნა ხდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტების, მისი მასშტაბების და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით.

საერთაშორისო დანაშაულობის სუბიექტებს წარმოადგენენ ყველანაირი ჯგუფები და ორგანიზაციები, აგრეთვე ინდივიდუალურად მოქმედი დამნაშავეები. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია უფრო ვიწრო სუბიექტური შემადგენლობა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტების ძირითად ჯგუფებს შეადგენენ დანაშაულებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფილიალების ქსელს ეყრდნობიან. მათთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ტიპობრივი ნიშნებია: ორგანიზებულობის მაღალი დონე, ოჯახური ან ეთნიკური საფუძველი, რომელიც საშუალებას აძლევთ გადაწყვიტონ შეესების, ნდობის და ორგანიზაციის შიგნით დისციპლინის კრიბლებები, სხვა ქვეყნების დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ტრანსნაციონალური კავშირების საკითხი; აგრეთვე უზრუნველყონ ვიწრო კორპორაციული ინტერესების დაცვა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზეწოლის ნეიტრალიზაცია.

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა ნაწილი წარმოადგენს კრიმინალური ორგანიზაციების და სახელმწიფოს სიმბიოზს, სადაც სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით იყენებს დანაშაულებრივ საშუალებებს და მეთოდებს საკუთარი მიზნების მისაღწევად ან მთლიანად ხდება დამოკიდებული ამ ორგანიზაციებზე, რომლებიც, თავის მხრივ, იყენებენ სახელმწიფო ატრიბუტიკას, როგორც საკუთარი საქმიანობის ნამდვილი არსის საფარს.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მისი სუბიექტები, საერთო – “საზღვრების გადალახვის” – ნიშნის გარდა, ხასიათდება უწყვეტი ფუნქციონირებით, კავშირების გლობალური მასშტაბებით, თავისი საქმიანობის სტრუქტურული მსგავსებით ლეგალურ ბიზნესთან, მაგრამ სოციალური კონტროლისაგან უფრო მაღალი ხარისხის დაცვით, მიზნების მიღწევის ძირითად მეთოდებად კორუფციის და ძალადობის გამოყენებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება განესაზღვროს, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციების და საზოგადოებების ფუნქციონირება, რომელთაც გააჩნიათ ფილიალების განტოტვილი ქსელი სხვა ქვეყნებში, იყენებენ საერთაშორისო კავშირებს, რათა მუდმივად განახორციელონ გლობალური უკანონო ოპერაციები, დაკავშირებული ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, სხვა მატერიალური და არამატერიალური საშუალებების სახელმწიფო სუბიექტებზე გადასაცემისასთან იმ მიზნით, რომ გამოიყენონ საზღვარგარეთის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურები მაღალი ეკონომიკური მოგების მისაღებად, აგრეთვე ეფექტურად აარიდონ თავი სოციალურ კონტროლს კორუფციის, ძალადობის და სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოყენებით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ზემოთ მოყვანილი დახასიათებიდან გამომდინარე, განვიხილოთ დანაშაულობის ამ სპეციფიკური სახეობის თავისებურებები:

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ, უნდა იყოს მომგებიანი. სწორედ მაღალი მოგება და შემოსავლების მუდმივი ზრდა წარმოადგენს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის დომინანტურ მიზანს. ყველა სხვა მიზანი და მოტივაცია პოლიტიკურის ჩათვლით, ატარებს მეორეხარისხიან ხასიათს.

მაგრამ ანალოგიური მიზნები გააჩნია ნებისმიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს განასხეავენ ის, რომ მოგება, რომელსაც ის თავისი მუდმივი საქმიანობით ღებულობს სხვა სახელმწიფოს ან ქვეყნის ტერიტორიაზე, კოლოსალური მოცულობისაა, ხოლო დანაშაულებრივი ორგანიზაციები ღებულობენ მას ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად. ასე მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები მარტო აშშ-ში შეადგენს 50 მლრდ. დოლარს წელიწადში. კოლუმბიის კარტელების მიერ მიღებული შემოსავლები – 20 მილიარდს; ეს მაშინ, როცა კოლუმბიის, ბოლივიის და პერუს გაერთიანებული წლიური ბიუჯეტი არ აღემატება 9 მლრდ. დოლარს.<sup>12</sup>

ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობა თავისი გლობალური მასშტაბებით მცირედ თუ განსხვავდება თავისი წყობისა და ორგანიზების მიხედვით უმსხვილესი ლეგალური კორპორაციებისგან, რომლებსაც გააჩნიათ მუდმივი სპეციალიზებული სხვა სახელმწიფოს სტრუქტურები სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების განსახორციელებლად: საექსპორტო-საიმპორტო, სავაჭრო, საკრედიტო-საფინანსო და სხვ., რაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას მიჯნავს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობისაგან, რომელთაც მხოლოდ ეპიზოდურად შეუძლიათ ცალკეული საერთაშორისო ოპერაციების განხორციელება.

საქმიანობის ფართო სპექტრისა და მაღალშემოსავლიანი მასშტაბების წყალობით ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ უდიდეს ფინანსურ სასრებს, რომლებიც ხანდახან აღემატებიან კიდევ ზოგიერთი ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტის მარეგულაციას. ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნის პროცესში განვითარებდი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები არაერთხელ აღმონრდებიან თავიანთ ტერიტორიაზე მოქმედ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ მდგომარეობაში. ამგვარ დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა განაპირობებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მასშტაბურ შეღწევას ხელისუფლების ორგანოებსა და სახელმწიფო მმართველობაში, რასაც მიყვარდა იქამდე, რომ ისინი თავად აღმონრდებიან ჩათრეულნი დანაშაულებრივ საქმიანობაში და აქტიურად არიან დაკავშირებული თავის საერთაშორისო თანამშრომლობას ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.<sup>13</sup>

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან ასეთი გზით შექმნილი რთული კონგლომერატი იწყებს მოქმედებას, როგორც კარგად აწყობილი სქემის ერთიანი მექანიზმი, რომელიც არამარტო ადვილად ახდენს თავისი ინტერესებისათვის ნაციონალური ეკონომიკის დაქვემდებარებას, არამედ ხელშეწყობს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე, რომლებსაც მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობა ხორციელდება. ამასთან, დამნაშავეები დაცულნი არიან პრაქტიკულად ყველა სახის კონტროლისაგან, რადგანაც სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია, განახორციელოს მეთვალყურეობა, პირიქით, ყველა ზომას მიმართავს დანაშაულებრივი საქმიანობის კიდევ უფრო მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს, რა თქმა უნდა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ძალის დემონსტრირების უკიდურესი შემთხვევაა, როდესაც

<sup>12</sup> Global Mafia Special Report – News week Washington 1995

<sup>13</sup> Godson R. Olson W. – Transnational criminal organizations// Organized CrimeContemporary issues

მას შეუძლია თავისი ინტერესების დაუმორჩილოს მთელი რიგი სახომეწვიფოები, შეაფერხოს მათი ეკონომიკური განვითარება და მთლიანობაში დაემუქროს საერთაშორისო უსაფრთხოებას. მაგრამ ამაზე ლაპარაკი დღეს უკვე შეიძლება არა ჰიპოთეზური მოსაზრებებიდან, არამედ რეალური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის გამოვყავთ ზოგი აზიური და სამხრეთ ამერიკული ნარკოსული მიწვიფო, რომელთა ბიუჯეტშიც იგეგმება ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები.

სახელმწიფოთა უმრავლესობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა წინ აღუდგეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ექსპანსიას და ამ უკანასკნელს თავისი ძირითადი მიზნების მისაღწევად თუ საკუთარი ინტერესების დაცვად ძალადობისა და კორუფციის გამოყენება უხდება. ასეთ დროს სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის, ასევე სამართლებრივ ორგანოებში ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ყოფნა მნიშვნელოვნად აადვილებს ამ პროცესს.

ძალადობას და კორუფციას დანაშაულებრივი ორგანიზაციები იყენებენ დიფერენცირებულად, ძირითადად სპეციფიკური საკითხების გადასაწყვეტად. ყველაზე ხშირად ძალადობას მიმართავენ დანაშაულებრივი საქმიანობის პროცესის უწყვეტობისთვის, ე.ი. მხოლოდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურენტების დაშინების მიზნით, ორგანიზაციაში დისციპლინის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოებაზე მუქარის შემთხვევაში. ძალადობის დონე სხვადასხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებში სხვადასხვაა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ის წარმოადგენს პრინციპულ, მაკონტროლილებელ იარაღს პრაგმატული მიზნების მისაღწევად.<sup>14</sup>

ოფიციალური ორგანოების მიმართ ძალადობას, ჩვეულებრივ, პირდაპირ არ ახორციელებენ. მათზე ზემოქმედებისთვის ფართოდ იყენებენ სხვა ეფექტურ მეთოდს – კორუფციას, რომელსაც მიმართავენ სასჯელისა და გამოძიების თავიდან აცილების, არაკანონიერი უპირატესობების მოპოვებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ინტერესების ლობირებისთვის. კორუფციით ხშირად სარგებლობენ, როგორც ცალკეული პირების, ასევე მთელი დაწესებულებების ნეიტრალიზაციის მიზნით, რასაც შეიძლება მოჰყვეს ყველაზე დამლუპავი შედეგები პოლიტიკური სფეროსა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურისათვის.

არაიშვითად ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები ცდილობენ სხვა ქვეყნის თანამდებობის პირების კორუპირებას ამ ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისა და გაგრძელების ან რაიმე არაკანონიერი უპირატესობის მოპოვების მიზნით.<sup>15</sup> ფლობენ რა მნიშვნელოვან თანხებს ნაღდი ფულის სახით, დანაშაულებრივი ორგანიზაციები მიმართავენ სახელმწიფოს მაღალი ჩინოფნიკების, მათ შორის, მინისტრების და მთავრობის ლიდერების მოსყიდვას. ტრანსნაციონალური კორუფცია ბევრ ქვეყანაში ნორმად იქცა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ბიზნესის მრავალრიცხოვან სახეობათაგან ერთ-ერთია, რომელიც ქრთამს თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის იყენებს. ძნელი წარმოსადგენია, რამდენი იხარჯება თანამდებობის პირთა მოსყიდვაზე, როცა საუბარია დანაშაულებრივ ტრანსნაციონალურ ოპერაციებზე, როდესაც მხოლოდ იარაღით საერთაშორისო არალეგალურ ვაჭრობაზე ყოველწლიურად ქრთამის სახით დაახლოებით 2,2 მლრდ. დოლარი იხარჯება.<sup>16</sup>

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოპერაციების გლობალურობა დანაშაულის ტრადიციული ორგანიზებული ფორმებისგან მისი განმასხვავებელი ერთ-ერთი აუკარა ნიშანია. ეს ნიშანი განსაზღვრავს საერთაშორისო ტრანსნაციონალური კავშირების

<sup>14</sup> Иванов Э. – Отмывание денег и правовое регулирование борьбы с ним. М., 1999 с. 10  
<sup>15</sup> Воронин Ю. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург 1997 с. 11  
<sup>16</sup> Комиссаров В. – Обсуждение проблемы борьбы с преступностью Государство и право 1993 с.32



სპეციფიკასაც, რომელთა დანამარებითაც ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივი საქმიანობა მსოფლიო გაეროცვლების ბიზნეს წარმოადგენს. ოპერაციების გლობალურობა შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების ფართო ქსელური სტრუქტურების გარეშე, რომლებიც კონტინენტებზეა გაბნეული, მაგრამ მსოფლიოს მრავალ წერტილში არსებულ ფილიალებთან მდგრადი კავშირების გარდა, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებას გააჩნია სტრატეგიული საერთაშორისო კონტაქტებიც, რომლებიც ზოგჯერ სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების უმსხვილეს ალიანსად გარდაიქმნება და ეს ტენდენციაც დანაშაულობის ტრადიციული ორგანიზებული ფორმებისგან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განმჩევიველ ტიპობრივ ნიშნად გვექვინება.

ეჭვს გარეშეა, რომ დამნაშავეთა ტრადიციული ორგანიზებულ ჯგუფებს შესაძლოა აქონდეთ საზღვარგარეთული კავშირები, მაგრამ ეს ყოველთვის არ იძლევა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან მისი მიკუთვნების საშუალებას, რადგანაც ასეთი კავშირების სპეციფიკის განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი მასშტაბის გლობალურობა.

ასე მაგალითად, ამერიკელი კრიმინოლოგები ტრადიციულ ამერიკულ მფიას, რომელიც ცნობილია, როგორც "კოზა ნოსტრა", ძველი ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ "კოზა ნოსტრას" წევრები ტრადიციულ სოციალურ პრინციპებზე იყვნენ აღზრდილნი, ეს ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა სოციალური მფიის იარაღი ან შეიღობრივი კომპანია. მათ აქვთ საერთაშორისო კავშირები გარკვეულ ქვეყნებში, მაგალითად აღკომოლისა და პეროინის მყიდველებთან, მაგრამ არ გააჩნიათ საზღვარგარეთ თაღის ფილიალები. ამის საფუძველზე გ. ოლსონი და რ. გოდსონი თვლიან, რომ "კოზა ნოსტრას" საქმიანობა არსებითად ნაციონალური და რეგიონულია.<sup>17</sup>

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალური ქსელები კი (მაგალითად კოლუმბიის კარტელებისა, რომლებიც თავისთავად ვერტიკალურად ინტეგრირებულ გლობალურ ბიზნესს წარმოადგენენ და რომლებშიც ამოქმედებულია ათეულ ათასობით სპეციალიზებული თანამშრომელი თუ მათთან დაკავშირებული სხვა ადამიანები) უზრუნველყოფენ მობილურობას, ინფრასტრუქტურის ეფექტურ კომუნიკაციას, საერთაშორისო კავშირებს დანაშაულებრივ საწარმოებთან, მათ შორის, ზოგიერთ არაკრიმინალურ ჯგუფებთან, რათა თავისი ანგარებითი მიზნებისათვის გამოიყენონ მათი მომსახურების შესაძლებლობები. ყოველივე ეს ზრდის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის უნარს, შექმნას მომსახურებისა და საქონლის ახალი ბაზრები.

ამას გარდა, ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების საერთაშორისო გლობალური ქსელი უზრუნველყოფს მათ სწრაფ ადაპტაციას ცალკეული ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, თვით ყველაზე მაკაცრი ზეწოლის პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს სოციალური კონტროლისათვის თავის ილადა არიდებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ამერიკის მართლწესრიგის დამცველმა ძალებმა გზა გადაუკეტეს თურქეთში წარმოებული პეროინის ნაკადს, ახალმა წყაროებმა მექსიკიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან იწყეს დენა. როდესაც კარიბის ზღვის აუზში გადაკეტეს კოკაინის მაგისტრალები, მისმა მიწოდებამ ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაზე გავლით მოიმატა. გარდა ამისა, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას ხშირად შესწევს უნარი წინ აღუდგეს სამართალდამცავი ორგანოების ლოკალურ ძალებისხმევას. სწრაფად ვგუებო რა პოლიტიკურ ცვლილებებს ცალკეულ ქვეყანაში, თავისი ინტერესებისათვის იყენებს უთანხმოებას სამართალდამცავი ძალების საერთაშორისო კოოპერაციაში.

<sup>17</sup> Международные финансовые институты начали борьбу с коррупцией. Финансист 1999, №1 с.66  
205

სტრატეგიული აღიანსები, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების კოორპირაცია ზრდის მათ შესაძლებლობებს, დაასწრონ სახელმწიფო ცენტროლს.

ამგვარად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები საშუალებას იძლევა გავიგოთ ამ მოვლენის არსი, გავიწინოთ იგი ორგანიზებული დანაშაულობის ტრადიციული ცნებისაგან, გამოვეყოთ საერთაშორისო დანაშაულობის სტრუქტურის თავისებურებები, შევფასოთ ის საფრთხე, რომელიც ამ მოვლენას მოაქვს მსოფლიო საზოგადოებისათვის.

## § 2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა; მსოფლიო ორგანიზაციების ძირითადი სახეობები

ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნება იტალიური მაფია, რომელსაც გააჩნია ერთიანი ყველაზე რთული საიდუმლო სტრუქტურას და ხასიათდება საკუთარი წყობის კლასიკური პრინციპებით. ჩვეულებრივ, იტალიურ მაფიამ იგულისხმება სიცილიის მაფია, ანუ "კოზა ნოსტრა". "ნეაპოლური კამორა", "კალაბრიის ნდრანგეტა", ასევე "საკრა კორონა უნიტა" აპულიიდან, რომელიც შექმნა "კოზა ნოსტრამ" ამ რეგიონის ზღვისპირეთის გამოყენებისათვის ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნვის მიზნით.

ჩინურმა ტრიადებმა, ვიეტნამის მაფიამ, რომელთა განვითარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი რიგები. იაპონური იაკუძა ანუ "ბორკეუდანი" 1996 წლისათვის ითვლიდა 79 900 წევრს, რომელთაგან 67% სამ უმსხვილეს სინდიკატზე მოდიოდა: "იამაგუჩი-გუმი" (400 ჯგუფი დაახლოებით 23 000 წევრით); "ინაგაუა-კაი" (140 ჯგუფი 7 000-ზე მეტი წევრით) და "სუმიეისი-კაი" (112 ჯგუფი 600 წევრით).<sup>18</sup> ოფიციალურად "ბორკეუდანის" სახელით რეგისტრირებული დანაშაულებრივი ფორმირებები 1998 წლისათვის წარმოდგენილი იყო 23 საზოგადოებით.<sup>19</sup>

"კოლუმბიური კარტელები" მაღალორგანიზებული კრიმინალური კორპორაციებია, რომლებიც ეფუძნებიან მართვის ისეთ ეფექტურ პრინციპებს, როგორებიცაა შრომის სპეციალიზაცია და დანაწილება. ტრადიციულად კოლუმბიის კარტელები ცნობილ საეჭარი დინასტიებს წარმოადგენენ, რომელთა უმრავლესობას პატრიარქალური ავტორიტარული სტრუქტურა გააჩნია და აბსოლუტურ დისციპლინასა და ერთგულებას მოითხოვს.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება ე.წ. რუსული ორგანიზებული დანაშაულობის მოვლენაზე, რომელშიც ქართველი დანაშაულებიცი შედიან. იმდენად რამდენადაც, რუსეთის კრიმინალური ორგანიზაციების ტრანსნაციონალურ საქმიანობას არა აქვს ხანგრძლივი ისტორია, მისი სტრუქტურის თავისებურებები მხოლოდ ახლა იწყებენ გამოვლენებას. მაგრამ უკვე ნათელია, რომ იგი მოიცავს ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე პრინციპებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მისი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის მასშტაბები და ის საფრთხე, რომელსაც იგი თითქოსდა სხვა ქვეყნებს უქმნის, რამდენადმე გაზვიადებულია, რადგან რუსეთში არსებული საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის დანაშაულებრივი საქმიანობისა და ნაციონალურ საზღვრებს შიგნით მოგების მიღებისათვის უსაფრთხოების შედარებით მაღალი დონის პირობებში და რომ არა სუსტი საბანკო, საკრედიტო-ფულადი სისტემა და არამყარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს არ უწყობს უდიდესი მოგების ლეგალიზაციას (განსაკუთრებით მის შენახვას, საიმედო ინვესტირებას მშობლიურ

<sup>18</sup> Иванов А. и Корчагин А. – Преступление и наказание в странах Азиатско-тихоокеанского региона Владивосток 1999

<sup>19</sup> Иванов Э. – Отмывание денег и правовое регулирование борьбы с ним. М., 1999 с. 10

ეკონომიკაში, რაც აიძულებს დანაშაულებრივ ორგანიზაციებს გამოიყენონ ოფშორული ზონები და დასავლეთის ბანკები, აგრეთვე ნედლეულზე, საქონელზე და მომსახურებაზე შიდა და მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი სხვაობა, რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის ტრანსნაციონალურ საქმიანობას საერთოდ უმნიშვნელო გავრცელება ექნებოდა.

რუსული მავიის ორგანიზაციის მოდელი შეიძლება წარმოიდგინოთ, როგორც იერარქიული სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს თავისებურ პირამიდას, შემდგარს, სულ ცოტა, სამი ძირითადი: ორგანიზაციულ-მმართველობითი, ორგანიზაციულ-დამხმარე და უშუალო-საშემსრულებლო რგოლისაგან.

ორგანიზაციულ-მმართველობითი რგოლი წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს, რომელიც, როგორც წესი, კოლეგიალური ორგანოა და შედგება თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირებისაგან. რგოლს აქვს ორი ფუნქცია: სტრატეგიული და მიმდინარე მმართველობა. სტრატეგიული მმართველობა მდგომარეობს დანაშაულებრივი საქმიანობის ზოგადი სტრატეგიის, ტაქტიკური ხერხების, სოციალური კონტროლის საწინააღმდეგო საერთო ზომების შემუშავებაში, აგრეთვე დანაშაულებრივი ორგანიზაციების სახსრების კონცენტრაციასა და კონტროლში.

მიმდინარე მმართველობა მდგომარეობს დანაშაულებრივი საქმიანობის კონკრეტული მეთოდების დანერგვაში, მისი კონკრეტული სახეობების მართვაში, სახსრების აღრიცხვაში და მათი დაბანდების არხების მოძიებაში, "კადრების" საკითხის გადაწყვეტაში და ა.შ.

ორგანიზაციულ-დამხმარე რგოლი უზრუნველყოფს კრიმინალური საზოგადოების უსაფრთხო და ფექტურ ფუნქციონირებას. ეს რგოლი დაკავებულია დახვეწებითა და კონტრდახვეწებით, კორუმპირებული კავშირების დამყარებით, რომელთა დახმარებითაც ხდება დამნაშავეთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება და კონტროლის ნეიტრალიზაციის ღონისძიებების რეალიზება (ცალკეული პროცესუალური დოკუმენტების და სისხლის სამართლის საქმეების ამოღება, ცნობების შეგროვება დახარალებულების ან მოწმეების შესახებ მათზე ზეწოლის მიზნით და სხვა). ამ რგოლის ფუნქციებში შედის ინფორმაციის მიღებაც დანაშაულებრივი საქმიანობის მომგებიან და უსაფრთხო მიმართულებებზე და აგრეთვე მათი ორგანიზებაც. ამ ღონის სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს შუალედური ხელმძღვანელი ბირთვი და ჯგუფები დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზებისა და და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

უშუალოდ საშემსრულებლო რგოლი ამზადებს და ახორციელებს კონკრეტულ დანაშაულებს. მის ძირითად ფუნქციებს შეადგენს შემსრულებელთა ჯგუფების ხელმძღვანელობა და კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, ტრანსპორტირება, დაცვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მატერიალური ფასეულობების რეალიზაცია, შუამავლების და მეკავშირეების საქმიანობის ორგანიზაცია და ა.შ.

როგორც წესი, დაბალი ქსელური რგოლების შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. ეს, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ფუნქციურ თავისებურებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, შიდა კომუნიკაციური კავშირების სპეციფიკასთან, რაც განასაზღვრავს მათ სტრუქტურას და წევრებს შორის ურთიერთობების მთელ მრავალმხრივობას.

იურიდიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში გამოიყოფა კრიმინალურ ჯგუფებში ასრულებული კომუნიკაციური კავშირების ფართო სპექტრი. კერძოდ, იკვეთება სტრუქტურული სისტემების ნაირსახეობები, რომელთაც აქვთ ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ხასიათი. დეცენტრალიზაციას ეერ მიეიხნეეთ იმ ჯგუფების სტრუქტურულ თავისებურებად, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზებული დანაშაულობის ქსელურ რგოლებს, ეს ნიშანი უფრო მეტად ჯგუფური დანაშაულობისთვისაა დამახასიათებელი.

სტრუქტურული ორგანიზაციის განხილული ტიპები გვეხმარებიან მოვახდინოთ იმ ჭრელი სურათის უნიფიცირება, რომელსაც ამაჟამად რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობა იძლევა, მათ შორის მისი იმ რგოლებისაც, რომლებიც დაკავებული არიან ტრანსნაციონალური ორგანიზებული საქმიანობით. გარდა ამისა, ცნება არსებული კომუნიკაციური კავშირის სახეობისა, რომელიც დამყარებულია ცალკეული რგოლის წევრებს შორის და თავად რგოლებს, ე.ი. მათ სტრუქტურებს შორის, შესაძლებლობას იძლევა შემუშავდეს მთელი კომისიის გამოშვარების ტექნიკა მისი ხელმძღვანელი რგოლების ჩათვლით.

ვახდენთ რა მთლიანობაში რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურის შეფასებას, კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს მისი ხასიათის სირთულეს, მსოფლიოს წამყვანი დანაშაულებრივი სინდიკატების საქმიანობისათვის ნიშანდობლივი კლასიკური ორგანიზაციული მოდელების ორგანულ შეთანხმებას, ამ მოდელებში ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების ჩართვას, რაც ღივებების ელიტარულ ჯგუფს საშუალებას აძლევს, წარმატებით აარდოს თავი სოციალურ ცენტროლს და ეფექტურად მოახდინოს, მთლიანობაში, ორგანიზებული დანაშაულობის თვითრეპროდუცირება.

აქ აღწერილი ორგანიზაციის ძირითადი მოდელები უფრო მეტად დამახასიათებელია კრიმინალური საზოგადოებებისათვის, რომლებიც ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობით არიან დაკავებული. თავად ასეთი საქმიანობის ხასიათი განსაზღვრავს მათ უფრო მეტად რთულ სტრუქტურას. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პირობებისადმი და აგრეთვე მათი ცვლილებებისადმი დანაშაულებრივი საქმიანობის შემგუებლობის მაღალი ხარისხი დაკავშირებულია ორგანიზაციის სტრუქტურის სრულყოფის უნართან. რაც უფრო მაალაა ეს უნარი, მით უფრო შემოსავლიანი და დაცულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული საქმიანობა. რაც უფრო კონსერვატულია ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციის სტრუქტურა, მით უფრო ექვემდებარება იგი სოციალურ კონტროლს და იზრდება საქონლისა და მომსახურების ტრადიციულად დაკავებული ბაზრებიდან კონკურენტების მიერ მისი გააქვების საშიშროება.

ამიტომ ყველა წამყვანი ტრანსნაციონალური სინდიკატის ძირითადი ორგანიზაციული მოდელი ამაჟამად სრულყოფის სტადიაზე იმყოფება. ისინი ეფექტურად უთავსებენ სტრუქტურის ტრადიციულ ელემენტებს საქმიანობის ორგანიზების თანამედროვე პრინციპებს. მათ უმრავლესობას გააჩნია კორპორაციულ-ქსელური ხასიათი, რომელსაც, უეჭველია აქვს თავისი ნაციონალური თვისებურებები, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს იმ საძირკველს, რომელზეც შენდება მსოფლიო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ორგანიზაცია და საქმიანობა.

ქართულ ტრანსნაციონალურ დანაშაულობას მჭიდრო კავშირები აქვს რუსულ მაფიასთან და სწორად მის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს.

საბოლოო კავშირის რვევის შემდეგ, სწრაფად მომრავლდა ისეთი დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ნაციონალური ნიშნის მიხედვით იქმნებოდნენ (აფხაზური, ჩეჩნური, დღესტნური, ტაჯიკური, აზერბაიჯანული და სხვა კლანები). მათ თავიანთი გავლენა განაგრძებს და ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების სრული თვისუფლება შეინარჩუნეს, რადგან შემადგენელ რესპუბლიკებზე დაყოფის შემდეგ არ განხორციელებულა არსებითი ცვლილებები სასაზღვრო რეჟიმში და დღეს-ს ქვეყნების საზღვრები, რუსეთისა და საქართველოს საზღვრის გარდა, გამჭვირვალე დარჩა. დღეს-ს ტერიტორიაზე მოქმედი თანამედროვე ინტერნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებები მასმედიაში პირობითად “ბანდიტების კავშირად” იწოდებიან და ანალიტიკოსები მათ მაგალითზე კრიმინალური რიტუალებისა და ტრადიციების აღორძინებაზე მიუთითებენ. მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს მონაცემებით აქ მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფებები ითვლიან 2000-ზე მეტ წევრს, რომელთა შორის ქართულ ორგანიზებულ

დანაშაულობას არაუკანასკნელი ადგილი უკავია. ასე მაგალითად, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მოსკოვში ცხოვრობს 48-50 ქართველი "კანონიერი ქურდი". (შედარებისათვის რუსეთში აღრიცხვაზე დგას დაახლოებით 720 "კანონიერი ქურდი"). მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ჯგუფები დაკავებულნი არიან ქურდობით, ავტომანქანების გატაცებით, მიმეღობის აყვანით, ყაჩაღობით და სხვა დანაშაულებებით. ამ დაჯგუფებების წევრები აკონტროლებენ რიგ კომერციულ ბანკებს, რამდენიმე ბაზარს და რესტორანს, ეწევიან უძრავი ქონების შესყიდვას და მონაწილეობენ სახელმწიფო საკუთრების განაწილებაში. დამნაშავეები საქართველოდან აქტიურად არიან ჩართულნი მოსკოვის ინტერნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობაში. ასე მაგალითად, მოსკოვის ყველაზე უფრო მსხვილი დაჯგუფების - "სოლნცევოს" (250-ზე მეტი წევრით) ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო "კანონიერი ქურდი" ჯემალ ხაიძე, მეტსახელად ჯამალი, ხოლო უდიდესი გავლენის მქონე "ლუბერეცკის" დაჯგუფების ლიდერთა შორის სახელდება იოსებ კვანტრიშვილი. შემდგომში ორივე დაქირავებულმა კიღურებმა მოკლეს.

საქართველოში, ტრანსნაციონალური დანაშაულობა სწრაფი ტემპით იკავებს მოზიციებს იარაღით ვაჭრობის, ნარკობიზნესის და ადამიანის თრეფიკინგის სფეროებში. ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ საქმიანობაში ძირითადად ჩართულნი არიან დამნაშავეთა ორგანიზებული სინდიკატები, კარტელები და ეთნოკრიმინალური კლანები.

**§3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალური ხელყოფის ობიექტები საქართველოში**

დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მიმართ დამოკიდებულების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIII კონგრესზე აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად აღწევს სახელმწიფო ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის შეიარაღებულ ძალებშიც. იგი ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესს, შლის ეთნიკურ ნორმებს და იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. ქრთამი, მოსყიდვა და პოლიტიკური კამპანიების დაფინანსება ის ძირითადი ხერხებია, რომელთა საშუალებითაც დანაშაულებრივი ორგანიზაციები ისწრაფვიან, მოიპოვონ პოლიტიკური გავლენა და თავიდან აიცილონ სასამართლო დევნა. კონგრესზე აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა პირდაპირ ემუქრება ნაციონალურ და საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და ფრონტალურ შეტევას ახორციელებს პოლიტიკურ და საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, რითიც საფრთხე უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას; იგი არღვევს სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას, კომპრომეტაციას უკეთებს მათ და საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესებისადმი ნდობის დაკარგვას უწყობს ხელს. იგი აფერხებს განვითარების პროცესს და აცამტკერებს მიღწეულ წარმატებებს. მას მსხვერპლის მდგომარეობაში ჰყავს მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობა და ადამიანთა დაუცველობას შემოსავლების მიღებისთვის იყენებს. ის თავისი გავლენის ქვეშ ატყვევს და აკაბალებს საზოგადოების ფენებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, ითრებს რა მათ სხვადასხვა და ერთმანეთთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობებში, ეკრძოდ პროსტიტუციაში.

კონგრესის მასალებში აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების სტრუქტურაზე მასობრივი შეტევა, რომელიც ხელყოფს მის თითქმის ყველა ელემენტს ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინტერნაციონალურ დონეებზე. იგი აგრეთვე წარმოადგენს უკანონობის ეფრავ ფორმას, რომლის დროსაც ცინიკურად ირღვევა ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები, რათა შემცირდეს დანაშაულობის გამოაშკარავების რისკი და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნეს აცილებული შესაბამისი სასჯელი. ამგვარად ორგანიზებული დანაშაულობა პირდაპირ, უშუალოდ და კონკრეტულად ზემოქმედებს მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაზე. აღინიშნული მასალის განხილვაზე დაყრდნობით, საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის ხელყოფის შემდეგი ობიექტები შეიძლება გამოვეყოთ:

## **1. ხელყოფის ობიექტი – სახელმწიფო**

საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძირითად საფრთხედ შეიძლება განვიხილოთ რეგიონული დანაშაულებრივი ფორმირების მიერ შექმნილი პარალელური არალეგალური (ზოგჯერ ლეგალიზებული, მაგრამ სხვა მიზნების განსახორციელებლად განკუთვნილი) სახელისუფლო სტრუქტურები, უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულობის ინტერესს იცავენ. ასეთი მიზნებისათვის კრიმინალური სამყაროს ელიტა ახორციელებს ისეთი ანტიკონსტიტუციური ქმედებების მოზადებას, ფინანსირებას და ორგანიზებას, როგორცაა ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება, მასობრივი უწყსრივობები, შთქმულებები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, მძიმე სახელმწიფო დანაშაულობის – ტერორის, ბანდიტიზმის, კონტრაბანდის – სტიმულირება.

პოტენციური საფრთხე მდგომარეობს პროცესში, რომელსაც ეწოდება “მაფიოს გასახელმწიფოებრივება”, ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების შეესება დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებით, კორუპირებული ჩინოვიციებით, სახელმწიფო საკუთრების დატაცებლებით, ვ. წ. ცრუ მეწარმეებით, რომლებიც მზად არიან მოვების მიზნით აწარმოონ ყველანაირი მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა და მჭიდრო კავშირი იქონიონ მაფიასთან.

დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა საფრთხეს უქმნის საზოგადოების საფუძვლებს. დამნაშავეთა ჯგუფების სპეციალიზაციის მიუხედავად, უკვე თვით ფაქტი მათი აღმოცენებისა და გაფართოებისა, სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური ხასიათის ღირებულებებს, რომლებიც საზოგადოების ფუნდამენტის გამყარებას ემსახურება და ქმნის თავის საკუთარ “ანტიღირებულებებს”, “ანტიფასეულობებს”. ორგანიზებული დანაშაულობა თავის თავს უქმნის იმიჯს ძაღლისას, რომელსაც შეუძლია სამუშაო ადგილების და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ძალაუფლების ფუქციების აღება – მართვა, კანონმდებლობა და მართლწესრიგის დამყარება, რაც გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. მოზარდ თაობებში ხდება ქურდული ტრადიციების და განგსტერული ცხოვრების იდეალიზება, პრინციპის – “ფულს სუნი არ უღის” – დამკვიდრება.

კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების კორუფციითა და დაშინებით ორგანიზებული დანაშაულობა ასევე ძირს უთხრის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტებს მათი ღირებულებების დისკრედიტაციის ხარჯზე და შესაბამისად ქმედითუნარიანობას უკარგავს ამ უკანასკნელთ.

ორგანიზებული დანაშაულობა ჩვეულებრივ მიმართავს ძალადობის ორ სახეობას:

1. ძალადობას, რომელსაც თვითნებო ტერიტორიების და შემოსავლების დასაცავად მიმართავენ შესაბამისი ორგანიზაციები;
2. ძალადობას მოსახლეობის და ქონების წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ ცალკეული პირები, რათა მიიღონ სახსრები უკანონო საქონლის და მომსახურების საზღაურად.

ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის საზოგადოების საფუძვლებს ნარკოტიკების გავრცელებით, ადამიანთა დიდი მასების (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) რეკლომისგან მოწყვეტილ ეფემერულ სამყაროში მიზიდვით. მართალია, საქართველო არ აწარმოებს არც ერთ ცნობილ ნარკოტიკს და არ არის მისი მკვეთრად გამოხატული მომხმარებელი, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ის ტრანზიტულ ქვეყნად იქცევა, რითაც ხდება მოსახლეობის ნაწილის მიზიდვა ნარკობიზნესთან დაკავშირებული კონტრაბანდის, მისი გადამუშავებისა და გამოყენების საქმეში. ასეთი მდგომარეობა მკვეთრად ამწვავებს რესპუბლიკაში საერთო კრიმინოგენულ ვითარებას, რადგანაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას ყოველთვის მოჰყვება ძალადობა, რომელსაც იღენენ ფსიქოტროპული პრეპარატების

ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ პერონის მომხმარებლები მხოლოდ საკუთარი მიდრეკილების დასაკმაყოფილებელი სახსრების მოძიების მიზნით წელიწადში საშუალოდ 200 დანაშაულს ჩადიან.

## *2. ხელყოფის ობიექტი – ეროვნული სტაბილურობა და სახელმწიფო კონტროლი*

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლეს დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა 90-იანი წლების დასაწყისში შეექმნათ "შავი ბაზრის" ეკონომიკაზე დაფუძნებული კონკურენტული სახელისუფლებო სტრუქტურები (ფუნოშენი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია, როგორც "სახელმწიფო სახელმწიფოში"). ორგანიზებულ დანაშაულებრივ კლანებს არაერთხელ გამოუყენებიათ შეიარაღებული ძალა სახელმწიფოს, მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლის დროსაც მიღებული ზიანის ოდენობა სამოქალაქო ომის შედეგად მიყენებული ზიანის მასშტაბებს თუ შეედრება.

მსგავსი სცენარი, მაგრამ არა ასეთი მასშტაბებით ვითარდება სიტუაცია კოლუმბიასა და იტალიაში. ორივე ქვეყანაში ლოკალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ სახელმწიფო ძალისხმევას, გააძლიეროს თავისი კონტროლი. ამ მიზნით, ეს ორგანიზაციები ზიზიად იყენებენ ძალადობას და ტერორისტულ აქტებს. მაგალითად, კოლუმბიაში ე. წ. "შედელისის კარტელის" საქმიანობამ ქვეყანას ურიცხვი მსხვერპლი და ეკონომიკური ქაოსი მოუტანა და მხოლოდ კარტელის მეთაურის პაულო ესკობარის დაღუპვის შემდეგ შეძლო სახელმწიფომ ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნება. იტალიაში მთვია მრავალი ათწლეულის მანძილზე აწარმოებდა სისხლიან ბრძოლას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან, აკონტროლებდა მნიშვნელოვან ტერორიზმს და არეგულირებდა და არეგულირებს მნიშვნელოვან ფულად ნაკადს.

რაც შეეხება საქარველოს, დანაშაულებრივი კლანები 1992-1995წწ. თითქმის ლეგალურ საფუძველზე აკონტროლებდნენ რესპუბლიკის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, აყავდათ თავიანთი წარმომადგენლები კომერციულ სტრუქტურებში და უპირიებდნენ საჭირო ხალხის დანიშნას საჭირო პოსტებზე ძალოვან სამინისტროებში.

საბოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოს უახლესმა ისტორიამ პრაქტიკულადაც დაადასტურა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა გარდაუვლად შედის კონფლიქტში ოფიციალურ ხელისუფლებასთან, ვინაიდან თითოეული დანაშაულებრივი ქსელი ძალოვანი მონოპოლიის დამყარებისა და მისი შენარჩუნებისკენ ისწრაფვის. ამისათვის იყენებს დანაშაულებრივი ქმედების, სულ ცოტა, ორ სახეობას: სახელმწიფო მოხელეთა და კერძო კომპანიების თანამშრომელთა კორუფციას და ძალადობრივ ტერორისტულ ქმედებებს. ამით კრიმინალური ორგანიზაციები არყევენ სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლებს, აღვივებენ და ზრდიან დაძაბულობას ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ ფუნქციონირებას, სამართლებრივი წესების განხორციელებას. მათი საქმიანობა განსაკუთრებით ეფექტურია, თუ მთავრობა სუსტია ან არასტაბილური. ამ არასტაბილურობას ისინი არამცთუ ხელს უწყობენ, არამედ მთელ თავის ძალისხმევას სამართალდამცავი ღონისძიებების ნეიტრალიზაციის, მთავრობაში ადგილების დაკავებისა და უმადლესი ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ მიმართავენ.

*3. ხელყოფის ობიექტი – დემოკრატიული ფასეულობები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები*  
ორგანიზებული დანაშაულობა საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ღირებულებების და პროგრესული საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებასაც. საქართველოში, 90-იანი წლების დასაწყისში, ღია კონფორმაციის შემდეგ, დამნაშავე ქსალებმა იწყეს სახელისუფლებო ორგანოებში შეღწევა და მათი კორუპციურება სამართალდამცავი ღონისძიებების ნეიტრალიზაციის მიზნით. ისინი ისწრაფობდნენ, შეექმნათ ისეთი ვითარება, როდესაც სახელმწიფო ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა ამგვარი ორგანიზაციების მიმართ და არ მიიღებდა სერიოზულ ზომებს მათი საქმიანობის აღსაქვითად. ამ მიზნის მისაღწევი

ერთერთი გზა მდგომარეობდა ფარულ შეთანხმებაში ძალადობის შეზღუდვის შესახებ მანამ, სანამ მთავრობა არ ჩაერეოდა მოცემული დაჯგუფებების ეკონომიკური საწარმოების ფუნქციონირებაში; მეორე გზას წარმოადგენდა იმ პირთა კორუმპირება, რომელთაც შეეძლოთ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზება. დაბოლოს, მესამე გზა, რომლის დროსაც მთავრობა და დანაშაულებრივი ორგანიზაცია დაამყარებდნენ მჭიდრო ურთიერთკავშირს და პირდაპირ შევიდოდნენ კრიმინალურ გარიგებაში; ასეთ პირობებში სამთავრობო სტრუქტურების როლი პრაქტიკულად დაიყვანებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის მფაველობამდე, რაც მათ მაფიის მქეულებად აქცევდა.

როგორც სამართალდამცავი ორგანიზების, მასშედის და ჩატარებული ემპირიული გამოკვლევების ანალიზმა გვიჩვენა, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ადრეულ ეტაპზე ორგანიზებული დანაშაულობა ღრმად იყო გამჯდარი საქართველოს სახელმწიფოებრივი იერარქიის სფეროებში. იცვლებოდნენ ჩინონიკები და სტრუქტურულად იცვლებოდა ორგანიზებული დანაშაულობის ფორმებიც, მაგრამ ბევრი, განსაკუთრებით ეკონომიკის შემოსავლიანი სფეროები, მაფიოზების ხელში რჩებოდა. ისეთი სფეროები, როგორიცაა სივარქვისა და ალკოჰოლის ბიზნესი, ნათობპროდუქტების და ენერგომატერებლების რეალიზაცია, ფანტასტიკურ მოგებას იძლეოდა და მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად ჩრდილოვანი ეკონომიკით კონტროლდებოდა.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ წლებში ორგანიზებული დანაშაულობა ღრმად შეიჭრა რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ასე მაგალითად, საარჩევნო კამპანიების ფინანსური უზრუნველყოფის მეშვეობით ორგანიზებულმა დანაშაულობამ შეძლო წარმომადგენლობითი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებში პოლიტიკური მოღვაწეების კორუმპირების გზით შეღწევა და ამ უკანასკნელთა მიერ კრიმინალური საქმიანობის მფარველობის უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში, როდესაც საარჩევნო კამპანიებთან დაკავშირებული ხარჯები მკვეთრად გაიზარდა, უმეტესი პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ კი ვერ ხერხდება მისი დაფარვა და, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიას, შეუძლია გადაამწყვეტი როლი ითამაშოს კანდიდატისთვის წარმატებული იმიჯის შექმნაში ან მის ჩაგდებაში, სრულიად ნათელია, რომ სასწრაფო ფაქტად გადაიწონება იმათ სასარგებლოდ, ვინც უფრო დიდ ფინანსურ სახსრებს ფლობს. ახდენს რა ასეთი სახით ზეგავლენას არჩევნებზე და კანონმდებლობის პროცესებზე, ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის პოლიტიკურ სისტემას მთლიანად.

მსგავსი პირობები საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე ისეთი ფასეულობებიც, როგორებიცაა, მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, რომელიც ილახება იმის გამო, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხელში ივლებენ კონტროლს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გაზუბების, რადიო- თუ ტელესადგურების შექმნის ან მათი გაგლეხნის წარმომადგენლების მოსყიდვის გზით. ყურნალისტი ყოველთვის დიდ გაგლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა მისი თვალთახედა შესაძლებელია არცთუ ისე ობიექტური იყოს, ხოლო ინფორმაციის წყაროები, რომლებითაც ის სარგებლობს, ხშირად არ იმსახურებენ ნდობას. ორგანიზებული დანაშაულობის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაქოყვნების კლასიკურ მაგალითად შეიძლება მივიყვნოთ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის პროპაგანდისტული მანქანა.

#### **4. ხელყოფის ობიექტი - საქართველოს სუვერენიტეტი**

ორგანიზებული დანაშაულობა გამოირჩევა მიდრეკილებით, კონფორტაციაში შევიდეს სახელმწიფოსთან მისი დასუსტებისა და დაზოგინების მიზნით. XX საუკუნეში აპრობირებულ საშუალებად გადაიქცა დამნაშავე კლანების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სეპარატისტული განწყობის გაღვივება და გამოყენება. ამ წესიდან გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მის ტერიტორიაზე არა ერთი სისხლიანი ფინიკური



კონფლიქტი გაჩაღდა. რეგიონულმა მაფიოზურ-კორუმპირებულმა კლანებმა ნაციონალ-ექსტრემისტებთან ერთად, უკვე "დე-ფაქტოდ" დაარღვიეს საქართველოს სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და ამ პროცესის სონსორობას აგრძელებენ. შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით, ერთიანი ეკონომიკური სივრცის და მართვის ცენტრალიზებული სახელმწიფო სისტემის რღვევის პირობებში, დანაშაულებრივ ფორმირებებს გაუადვილდათ რეგიონების, განსაკუთრებით ე. წ. ნაციონალური ავტონომიების კონტროლქვეშ აყვანა. შიდამაფიოზურმა კლანებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციების და "მესამე ძალის" დახმარებით ეთნო-რეგიონული კრიმინალური რეჟიმი დაამყარეს და ფაქტობრივად მაფია "განსახელმწიფოებრვის".

დანიტრეგებული ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლების მხარდაჭერით ეთნიკურმა კლანებმა პოლიტიკურ, რელიგიურ და სისხლისსამართლებრივ ექსტრემიზმზე დაყრდნობით მოახდინეს საქართველოდან მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიების ჩამოცილება და ისინი "დამოუკიდებლად" გამოაცხადეს.

სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის აგრეთვე ორგანიზებული დანაშაულობის სწრაფვა, დაარღვიოს ეროვნული საზღვრები. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ტექნოლოგიების, გლობალური სავაჭრო და საფინანსო სისტემების საუკუნეში ეროვნული საზღვრები კიდევ უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე ოდესმე, თანამედროვე სახელმწიფოები ძველებურად ცდილობენ თავიანთ საზღვრებზე გამაგალი სასაქონლო-ფინანსური ნაკადების რეგულირებას და ეს რეგულირება განიხილება, როგორც სუვერენიტეტის ფუქიმდელიური და აუცილებელი ატრიბუტი. მაგრამ ამგვარი რეგულირება მიუღებელია დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის. თავიანთი საქმიანობით ისინი რეალურ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უშიშროებას, ანუ სახელმწიფოებრიობის ფუქიმდელიურ ატრიბუტებს.

### *5. ხელყოფის ობიექტები – ეროვნული ეკონომიკა*

ნაციონალურ ეკონომიკას რეალური საფრთხე ექმნება იმით, რომ საქართველოში რეგიონულ ფა დარგობრივ დონეებზე უკვე მიმდინარეობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ მთელი საზოგადოების მატერიალური ფასეულობების ფლობის და განკარგვის უფლების ხელში ჩაგდება. უპირველესად ეს ეხება ენერგეტიკის, ვაჭრობის, კაფშირგაბმულობის, წარმოების, ბუნებრივი რესურსების, კრედიტებისა და ჰუმანიტარული დახმარების განაწილების სფეროებს.

70-80-იანი წლების უკრაინის პერიოდის მასობრივი წერილმანი მიტაცებები თავისი ზომებით ვერ შეედრება საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში კრიმინალური კლანების მიერ მატერიალური ღირებულებების ხელყოფის მასშტაბებს. საფრთხე, რომელსაც ეს პროცესი საზოგადოებას უქმნის, იზრდება ახალი სახეობის კრიმინალური ქმედებების სამართლებრივ რეგულირებაში არსებული ხარვეზების გამო. ორგანიზებული დანაშაულობის შემოსავლები ხელს უწყობს ინფლაციის გამწვავებას, ქმნის დისბალანსს ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაში. ორგანიზებული დანაშაულობის მიერ "შავი ბაზრის" ეკონომიკის განვითარების წახალისება არათუ ახშობს ლეგალურ ბიზნესს, არამედ არსებითად ამცირებს სახელმწიფოს სავადასახადო ბაზას. უდიდესი ფულადი თანხების ლეგალიზაცია ძირს უთხრის სახელმწიფოს უნარს, გააკონტროლოს ფინანსური სისტემა და მართოს იგი.

პრივატიზაციის დროს დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხშირად მოქმედებენ, როგორც თავისუფალი ტრანსნაციონალური კომპანიები, სარგებლობენ სახელმწიფო კონტროლის სისუსტით ან ჩინოვნიკების კორუმპირებულობით, საკუთრებაში იძენენ მიწას, საწარმოებს, სხვა უძრავ ქონებას, ახორციელებენ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკაში იმ იმედით,

რომ გამოიყენებენ მის ბუნებრივ რესურსებს და შემდგომი ეკონომიკური ზრის განმსაზღვრელ სხვა პერპექტიულ ფაქტორებს. საზოგადოების ზოგ წრეში არსებობს აზრი, რომ არაკანონიერი საწარმოები ხელსაც კი უწყობენ ეროვნული ეკონომიკის კეთილდღეობას, ამადღებენ მუშა-მოსამსახურთა დასაქმების დონეს და უზრუნველყოფენ გარანტიებს ეკონომიკური ჩაგარდნის შემთხვევაში. ამ თვალთახედვის თანახმად, დანაშაულებრივი ორგანიზაციები ქმნიან საშუაო ადგილებს სამეწარმეო და სამმართველო კადრებისათვის, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში უმუშევრები დარჩებოდნენ. კრიმინალური კლანებით კონტროლირებადი საწარმოების შემოსავლები აძლევენ ეკონომიკის მართვას, ხელს უწყობენ რა ინფლაციის გაშვებებს, ქმნიან დისბალანსს ეკონომიკის ცალკეულ სექტორში და ზრდიან პიროვნებათა ვიწრო წრის დანახარჯებს ფუფუნების საგნებზე იმ დროს, როდესაც საზოგადოების ფარგლებში რესურსების უფრო ფართო განაწილების მწვავე აუცილებლობა არსებობს.

ზემოვთხსენიების მისაღებად, განსახელმწიფოებრიობის და პრევატიზაციის დაუშუშავებელი მექანიზმების პირობებში, მაფიოზური სტრუქტურები საქართველოში მატერიალური ფასეულობების ძირითადი მოცულობის მფლობელები ხდებიან. ამასთან, ეკონომიკის შთანთქმა მიმდინარეობს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი სტრუქტურების მოზიდვით, რომლებიც სულ უფრო მჭიდროდ ერწყვიან რესპუბლიკის ბიზნესს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული მრავალმილიონიანი შემოსავლები ფულის ლეგალიზაციის კარგად დამუშავებელი სისტემის პირობებში, სულ უფრო ფართოდ ინვესტირდება კანონიერ საწარმოებში. ეს პროცესი არამდენიმე სულანს ემსახურება, რომელთა შორის უფრო იკეთება უკანონოდ შეძენილი ფულის "გათეთრებისკენ" სწრაფვა. არაკანონიერად მიღებული სახსრების ჩადება ლეგალურ ეკონომიკაში ასევე უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენით მიღებული თანხების ეფექტური ლეგალიზაციის შესაძლებლობას მისი გამოსვლით ინვესტირების საშიში წრიდან, რომლის დროსაც შემოსავლები შეიძლება დაიკარგოს პოლიციის მიერ მისი დაუდადეების ან კონფისკაციის შედეგად. თანხების კანონიერ ეკონომიკაში ჩადების გზით დამანაშავები თითქოსდა კანონმორჩილ მოქალაქეებად იქცევიან და ამ იმიჯს საქვედმოქმედო საქმიანობის გაჩაღებით იძლეებენ (ეკლესიების, უნივერსიტეტების, სპორტული კლუბების, სხადასხვა საზოგადოებების, ინვალიდების ფინანსირება და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზებული დანაშაულობის მიერ შესყიდულ საწარმოებს უპირატესობა გააჩნიათ კანონმორჩილი მოქალაქეების მყოფ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც ზრუნავენ მიღებული შემოსავლების მოცულობაზე, გადასახადების გადახდაზე, საწარმოო დანაკარგებზე და ბანკებისათვის სესხის გადახდაზე. გარდა ამისა, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, აუცილებლობის შემთხვევაში, უპირატესობის მოპოვებას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით ცდილობენ. კანონმორჩილი მეწარმეები ვერ უძლებენ არაკანონისინდისიერ კონკურენციას და ხშირად ბანკოტებად იქცევიან. ამგვარად, ორგანიზებული დანაშაულობის შედეგად ლეგალურ ეკონომიკაში თითქმის გარდაუკლად მივეყვართ საბაზრო ფაქტორების ბუნებრივი მოქმედების დარღვევისკენ. ბოლოს და ბოლოს ასეთი მდგომარეობა ნეგატიურად აისახება მომხმარებელთა ფინანსურ დანახარჯებზეც, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იძულებულნი ხდებიან, გადაიხადონ უფრო მაღალი ფასი.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა მადესტაბილიზებელ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის მრავალ სფეროზე. მის ზემოქმედებას განსაკუთრებით ექვედებარებიან სუსტი ეკონომიკის ქვეყნები, როგორც, მაგალითად, საქართველოა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის / ტრანსნაციონალური / ორგანიზებული / დანაშაულებრივი ორგანიზაციების / დანაშაულებრივი საქმიანობის / ორგანიზებული დანაშაულობის /

საკონტროლო კითხვები:

1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები.
2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა; მსოფლიო ორგანიზაციების ძირითადი სახეობების დახასიათება.
3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალური ხელყოფის ობიექტები საქართველოში.
4. აღწერეთ ხელყოფის ობიექტი - სახელმწიფო.
5. აღწერეთ ხელყოფის ობიექტი - ეროვნული სტაბილურობა და სახელმწიფო კონტროლი.
6. აღწერეთ ხელყოფის ობიექტი - დემოკრატიული ფასეულობები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები.
7. აღწერეთ ხელყოფის ობიექტი - საქართველოს სუვერენიტეტი.
8. აღწერეთ ხელყოფის ობიექტები - ეროვნული ეკონომიკა

## თავი 11. ადამიანთა ტრეფიკინგი

§1. ადამიანთა ტრეფიკინგი – ცნება, კლასიფიკაცია და საკანონმდებლო რეგლამენტაციის საკითხები

2000 წლის 15 დეკემბერს პალერმოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ოქმზე ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ხელის მოწერით საქართველომ თავის თავზე აიღო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან, არალეგალურ მიგრაციასთან და ადამიანის ტრეფიკინგთან ბრძოლის ვალდებულება.

კონვენცია კანონიერ ძალაში 2002 წელს უნდა შესულიყო, რაც ობიექტური მიზეზების გამო არ განხორციელებულა. საქართველოს უნდა მოეხდინა კონვენციის მოთხოვნილებებთან თავისი კანონმდებლობის პარამონიზაცია. ეს საკმარის რთული ამოცანა გახლდათ. იგი მოითხოვდა სერიოზულ ცვლილებებს კანონმდებლობაში, აგრეთვე მთელი რიგი საორგანიზაციო და საკადრო ღონისძიებების გატარებას.

სახელმწიფომ კონსტიტუციური წესით მოახდინა პიროვნების უფლებების დეკლარირება, განსაკუთრებით თავისუფლების და სიცოცხლის უფლებისა, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს სხვაგვარად, თუ არა უკანონოდ. პრიორიტეტების ამგვარი განლაგებით ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო ადამიანთა უფლებების და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა. დაცული უნდა იქნეს ყოველი ადამიანი, რომელსაც უკანონო ექსპლუატაციას უწევს სქესის, ასაკისა და დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად.

მსოფლიო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს, რომ მიმდინარეობს ამ კატეგორიის კრიმინალური საქმიანობის ინტენსიური განვითარება, ტრანსფორმირება და სრულყოფა, იგი აღწევს საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები უფრო აქტიურად ამუშაებენ და მონოპოლიზაციას უქვემდებარებენ საქონლისა და მომსახურების ბაზრის იმ სფეროებს, რომლებსაც შეუძლიათ მცირე რისკისა და უმნიშვნელო კაპიტალდაბანდების ფასად მოიტანონ მაღალი შემოსავლები. განსაკუთრებულ შემოთხებას იწვევს ამ ტენდენციის რეალიზაცია ადამიანებთან მიმართებაში მართლსაწინააღმდეგო გარიგებების განხორციელებით მათი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით.

საკმარის უტყუარ მასალებზე დაფუძნებული შეფასებებით, კრიმინალური ორგანიზაციები წელიწადში ერთ მილიონამდე ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ ლარიბი ქვეყნიებიდან უფრო მდიდარ ქვეყნებში.<sup>1</sup> სხვა მონაცემებით, ტრეფიკინგის მსხვერპლი ყოველწლიურად ოთხ მილიონზე მეტი ადამიანია.<sup>2</sup>

ამასთანავე ყველა ექსპერტი ერთსულოვანია იმაში, რომ უტყუარი სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად, მოცემული ფენომენი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს, მოიცავს ადამიანთა უზარმაზარ რიცხებს და ღებულობს უფრო მეტად ორგანიზებულ ფორმებს.

არალეგალური მიგრანტების გადაყვანა და მათი ექსპლუატაცია გადაიქცა გლობალურ ბიზნესად, რომელსაც ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატებისთვის უზარმაზარი შემოსავლები მოაქვს. საქმიანობის ამ სფეროში კრიმინალური სექტორის ყოველწლიური

<sup>1</sup> Проблемы и опасности, которые создает транснациональная организованная преступность в различных регионах мира. E/conf. 88/2 p.22 Контрабанда женщин из стран центральной Европы и СНГ на международном уровне.

<sup>2</sup> International Migration Organization – Kiev, 1998. c5

შემოსავალი აღწევს 5-7, ხოლო სხვა წლებში 9,5 მილიარდ დოლარს.<sup>3</sup> კრიმინალური საზოგადოებების სულ უფრო მეტი რაოდენობა გადადის ნარკოტიკებით ვაჭრობიდან ადამიანებით ვაჭრობაზე მაღალი შემოსავლების, მცირე დანახარჯებისა და დაიჯის მინიმალური რისკის გამო.<sup>4</sup> როგორც წესი, ადამიანების ექსპლუატაციას აქვს გზავილიანი სახაითი და ნარკობიზნესისგან განსხვავებით, არ არის დაკავშირებული დამზადების, გადამუშავების და ამოსავალი საქონლის რეალიზაციის მუდმივ აუცილებლობასთან. გარდა ამისა, მრავალ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანას საკმაოდ ლიბერალური კონწმდებლობა აქვს. ეს ქვეყნები არ ატარებენ მკაცრ პოლიტიკას სექსუალური და პორნოგრაფიული ინდუსტრიის სფეროს დანაშაულებრივი ბიზნესის მიმართ, რადგანაც ამგვარი საქმიანობა არაპირდაპირ უწყობს ხელს შემოსავლების მატებას ეკონომიკის მრავალ სფეროში, ტურიზმის ზრდას და შედეგად ბიუჯეტში სავადასახადო შემოსავლების გადღებას. თავის მხრივ, ღარიბ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ თავისი მოქალაქეებისათვის ღირსეული არსებობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების გამო მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციით გამოწვეული დემოგრაფიული პროცესების კონტროლირება, რასაც თან სდევს ადამიანთა ბაზრის გაჯერება მონებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, ადამიანებით ვაჭრობამ ფართო გავრცელება პპოვა და იქცა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის უფრო მაღალ შემოსავლიან და, ფაქტობრივად, უსაფრთხო სახეობად მიუღ მსოფლიოში.

1. ცნება. საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა მოსაზრება დომინირებს იმის შესახებ, თუ რა არის ტრეფიკინგი – “ადამიანების კონტრბანდა” თუ “ადამიანებით ვაჭრობა”.<sup>5</sup> მიუხედავად ამისა, სპეციალისტები თანდათანობით მიდიან იმ საერთო მოსაზრებაზე, რომ ეს მოვლენა თავის თავში შემდგენ აუცილებელ ელემენტებს მოიცავს: ადამიანების შეტრეებას, საზღვარზე გადაყვანას და მათ კრიმინალურ ექსპლუატაციას (უკუე არსებულს ან პოტენციურად შესაძლებელს). სწორედ ეს კავშირი მიგრანტების საზღვარზე გადაყვანასა და გადაყვანის მიზანს შორის განასხვავებს ერთმანეთისაგან “ადამიანის კონტრბანდისა” და არაკანონიერი მიგრაციის ცნებებს, რაც შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული კონტრბანდა განვიხილოთ, როგორც “თანამედროვე მონობის ნაირსახეობა”.<sup>6</sup>

როგორც დოკუმენტების ანალიზი მოწმობს, აქამდე არაა შემუშავებული ადექვატური ტერმინი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სრულყოფილად მოგვეცვა ადამიანების ტრანსნაციონალურ ყიდვა-გაყიდვასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სისტემის ფუნქციონირების ყველა დეტალი და მაჩვენებელი. საქმე ის არის, რომ ამ მოვლენის ობიექტური გამოვლინებები მეტისმეტად მრავალგვარია და არ ექვემდებარება მარტივ სისტემატიზაციას. ეს გამოვლინებები დროში გაწელილია და არ თავსდება ცალკეული სახელმწიფოს ან რეგიონის საზღვრებში. და მაინც, აღნიშნულ ქმედებებს გააჩნიათ მოტივაციის ერთიანი საფუძველი და შეუძლიათ გავრთიანდნენ უნივერსალურ დეფინიციასში. ასეთ საფუძველს წარმოადგენს დანაშაულობის მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების სახელმწიფო საზღვრებზე გადაყვანასთან მათი (ან მათი ორგანოების) გაყიდვის, მსხვერპლთა ფიზიკური თუ ფიზიოლოგიური შესაძლებლობების არაკანონიერი ექსპლუატაციისა და მატერიალური მოგების მიღების მიზნით. ჩვენს აზრით, სწორედ ეს მიზანია ამ სახის დანაშაულის ძირითადი მაკაელიფიცირებელი ნიშანი.

<sup>3</sup> Widgren J. Multilateral Co-operation in combat trafficking in Migrants and the role of the international organizations. Paper presented at the 11<sup>th</sup> IOM Seminar on International Response to trafficking in migrants and the safeguarding of Migrants rights. Geneva 1994 26-28 Oct. p.5-6 US migration; passport smugglers earn billions for their wares Inter. press English news wire. New York .Dec 18, 1996; Migration and Organized Crime // Trends in Organized Crime 1996 Vol 2 p 58

<sup>4</sup> Стокер С. – Организованная преступность как фактор роста числа случаев торговли людьми. Организованная преступность и коррупция. №1 2000 с. 58

<sup>5</sup> Trafficking of Migrants IOM Policy and Responses 1999 p.4-5 Draft protocol to suppress and punish trafficking in persons especially women and children supp. Vienna October 1999. p.4

ადამიანების ტრანსნაციონალური კრიმინალური ექსპლუატაციის რეალიზაციისათვის საჭიროა წინასწარ გატარდეს რიგი ღონისძიებები:

1. მსხვერპლთა შეკრება (რეკრუტირება);
2. მათი საზღვარზე გადაყვანა, ანუ დანიშნულების ადგილზე მიყვანა შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით;
3. შესაბამის სტრუქტურებში საქსპლუატაციოდ განთავსება.

სწორედ ეს ელემენტები უდევს საფუძვლად სხვადასხვა დეფინიციას. ასე მაგალითად, პააგის დეკლარაცია ქალებით ვაჭრობას განსაზღვრავს, როგორც “ამა თუ იმ ქმედებას, მიმართულს ქვეყნის ტერიტორიიდან ქალების ლეგალურად ან არალეგალურად გაყვანისა და გადაყვანისაკენ მათი შემოსავლიანი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით იძულების, მუქარის, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან სხვაგვარი ზეწოლის გზით, რის შედეგადაც პიროვნებას სხვა არჩევანი არ რჩება გარდა იმისა, რომ დამორჩილდეს მსგავს ზეწოლას და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს მის მიმართ.”<sup>6</sup>

მიგრაციის ორგანიზაციის საერაშორისო ექსპერტებს ( ) აქვთ რამდენიმე საგულისხმო მოსაზრება და თვლიან, რომ ადამიანებით ვაჭრობას ადგილი აქვს “ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში ან სხვა სახელმწიფოში გადაყვანილი ადამიანის (საქმეზე დაქირავებულის, მოტაცებულის, გაყიდულის და ა.შ.) უკანონოდ გაჩერების შემთხვევაში, რომლის დროსაც ამ ქმედებების ჩამდენი პირები ყველა ეტაპზე ღებულობენ ეკონომიკურ ან სხვა შემოსავლებს მოტყუების, იძულების ან ადამიანთა უფლებების შემლახავი ექსპლუატაციის სხვა ფორმების გამოყენებით.”<sup>7</sup> ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაცია ყოველთვის არ არის საერთაშორისო საზღვრების გადალახვასთან კავშირში, იგი უმეტესად განხორციელდეს ერთი სახელმწიფოს შიგნით, ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებშიც (რაიონებში, ოლქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში).

თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის სრულყოფის სპეციალურმა კომიტეტმა, ადამიანთა არალეგალური გადაყვანის პროფილაქტიკის, მისი აღკვეთისა და შესაბამისი სასჯელის შესახებ ოქმში გათვალისწინებული განმარტებები მისცა ცნებებს: “არაკანონიერი გადაადგილება” და “ექსპლუატაცია” მიუთითა რა იმაზე, რომ ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან არაკანონიერი მიზნებით ან დანაშაულებრივი ორგანიზაციების ზრახვებით.”<sup>8</sup>

ოქმის ტექსტში ჩართული იყო “არაკანონიერი გადაყვანის” განსაზღვრება, რომელიც მოიცავდა იმ შემთხვევებსა და ეტაპებს ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის განხორციელებისათვის, კარძოდ: “შეკრებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, გადამაღვას მუქარის, მოტაცების, ძალის, მოტყუების, თაღლითობის ან იძულების გზით, ან არაკანონიერი ფულადი გადასახადების თუ შემოსავლების გადაცემით იმ პირისათვის, რომელსაც გააჩნია კონტროლი სხვა პირზე, რათა დაუმორჩილოს იგი ექსპლუატაციის ნებისმიერ ფორმას”<sup>9</sup>

ასეთი გადაყვანის კრიმინალურობის განსაზღვრისათვის აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია ისეთი შესაძლო შედეგები, როგორცაა, მაგალითად:

1. პიროვნების ყოლა ისეთ პირობებში, რომ რაიმე სასჯელის მუქარით აიძულონ შესასრულოს სამუშაო, რომელზედაც იგი ადრე არ დათანხმდებოდა ან შეთანხმების

<sup>6</sup> Гагская министерская декларация европейских рекомендаций по эффективным методам предотвращения и борьбы с торговлей женщинами с целью их сексуальной эксплуатации. 24-26 апреля 1997

<sup>7</sup> Trafficking of Migrants IOM Policy and Responses 1999 p.4-5

<sup>8</sup> Draft protocol to suppress and punish trafficking in persons especially women and children supp. Vienna October 1999

<sup>9</sup> იქვე: მუხ 2 პ 2

- შესაბამისად გააწევიონ გარკვეული მომსახურება საზღაურით ან უმისოდ იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს წინასწარ შეთანხმებული ან არსებული პირობების შეცვლა;
2. პროსტიტუცია და ქაღის ან ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმები, თუნდაც მათი თანხმობის შემთხვევაში;
  3. პორნუგრაფიის ნებისმიერი სახეობა, რომელიც ვრცელდება ან იმპორტირდება მისი ამჟამინდელი თუ მომავალი ფორმით და წარმოადგენს გრაფიკულ ან აუდიო-ვიზუალურ მასალას, ფოტოსურბუღს ქაღების ან ბავშვების სექსუალურ ქცევაზე ან მათ გენიტალიებზე;
  4. ტურისტული საქმიანობისა და მოგზაურობის გამოყენება სექს-ინდუსტრიაში ქაღების ჩასათრევადა;
  5. ყოველნაირი ხერხით, სასყიდლოთ, უსასყიდლოდ ან გასამრჯელოს მიცემის პირობით, მუქარის ან ავტორიტეტის გამოყენებით თუ გამოუყენებლობით, ტრადიციული ან ჩვეულებრივი პრაქტიკით ქაღისათვის არამდგრადი, გაუქმებადი მეუღლეობის სტატუსის მინიჭება;
  6. ტრანსპლანტაციის მიზნით ორგანოებისა და ქსოვილების ამოღება.<sup>10</sup>

ჩვენი აზრით, მოცემული ჩამონათვალი შეიცავს რვა პრინციპულ წინააღმდეგობებს. კერძოდ, დოკუმენტში არ არის ასახული უკანონო გადაყვანის მიზნები, ჩამოთვლილია მხოლოდ კრიმინალური ექსპლუატაციის სახეები და ხერხები, რომლებიც გამოიყენება დაზარალებულთა რეკრუტირებისათვის მათი ექსპლუატაციის მიზნით. გარდა ამისა, უსაფუძვლო ავტორთა სწრაფვა გამიჯნონ ერთმანეთისაგან ცნებები: "იძულებითი შრომა" და "სექსუალური ექსპლუატაცია", რომელიც არსებითად არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია და წარმოადგენს იძულებითი შრომის ერთ-ერთ სახესხეობას.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია, რომელშიც მოცემულია ადამიანების ტრეფიკინგის გაფართოებული განსაზღვრება: "ა) ადამიანთა ტრეფიკინგი ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირების გადაბირებას, გადაყვანას, გადამაღლას ან მიღებას დაშინებით ან ძალის გამოყენებით, ან ძალადობის – გატაცების, თადლითობის, მოტყუების, ძალაუფლების, ან შექმნილი ვითარების ბოროტად გამოყენების გზით, სხვა ფორმებით ან მოსყიდვით, გადახდის ან სარგებლის მიღების ფორმით, რათა მიღებულ იქნეს იმ პირის თანხმობა, რომელიც მეორე პირს აკონტროლებს. ექსპლუატაცია, სულ ცოტა, მოიცავს პირთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით მუშაობას ან მისამსახურეობას, მონობას ან მონობის მსგავს ჩვეულებებს, ან სხეულის ორგანოს ამოკვეთას;

ბ) ადამიანების ტრეფიკინგის შედეგად დაზარალებულის თანხმობა წინასწარ დაგეგმილ ექსპლუატაციაზე, რომელთა სახეები "ა" პუნქტშია ჩამოყალიბებული, არ მიიღება მხედველობაში, თუკი გამოყენებული იყო "ა" პუნქტში გამოყენებული ნებისმიერი ზემოქმედების საშუალება.

გ) გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადამაღვა ან ბავშვის მიღება ექსპლუატაციის მიზნით ითვლება ადამიანის ტრეფიკინგად იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ქმედება არ არის დაკავშირებული "ა" პუნქტით განსაზღვრულ ზემოქმედების სახეებთან;

დ) "ბავშვი" ნიშნავს 18 წლამდე ასაკის პირს.<sup>21</sup>  
 უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის შემქმნელები შეეცადნენ მიეღოთ უნივერსალური ცნება და სტრუქტურაში ჩაერთოთ ადამიანთა ტრანსნაციონალური ექსპლუატაციის ყველა სახე, მაგრამ ტრეფიკინგის ყველაზე ამომწურავი დეფინიციაც კი მთლიანად ეერ ხსნის ამ რთული მოვლენის ძირითად ნიშნებსა და საეციფიკას, იგი საჭიროებს მისი შემადგენლობის ღრმა ანალიზს და სისტემატიზაციას. მხოლოდ სისტემურ ბლოკში: "განსაზღვრა-სტრუქტურა-

კლასიფიკაცია” შეიძლება მივიღოთ ადამიანის ტრეფიკინგთან ბრძოლისა და პრევენციის მეთოდები

## §2. კლასიფიკაცია.

ადამიანთა ტრეფიკინგის (ინგ. უმან თრაფიკინგ) სწორი კლასიფიკაციისათვის აუცილებელია შევარჩიოთ იმ მოქმედებათა ერთობლიობის სწორი ლინგვისტური განსაზღვრა, რომლებსაც ეს მოვლენა საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით მოიცავს.

საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების სამართლებრივ პრაქტიკაში ადამიანის ტრანსნაციონალურ ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობის განსასაზღვრავად გამოიყენებოდა ცნება “ადამიანებით ვაჭრობა”. თუმცა, მოცემული ტერმინი შინაარსით თავის საერთაშორისო ანალოგზე უფრო ფართო იყო და მოიცავდა ადამიანების კომერციული გამოყენების ყველანაირ ფორმას, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან (მაგალითად, გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცება, საპატარძლოს ყიდვა, სუტენირობა და სხვ.). ეს დაუშვებელი იყო, ვინაიდან ხდებოდა საქციელოური საქმიანობის თავისებურებების ნიველირება, რაც ხელს უშლიდა საქართველოდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან ადამიანების რესურსების ტრანსნაციონალურ გადაქაჩვაზე და მათ ექსპლუატაციაზე ყურადღების კონცენტრაციას. “ადამიანებით ვაჭრობისაგან” განსხვავებით, ტერმინი “ტრეფიკინგი” საერთაშორისო “თრაფიკინგ“-ის სინონიმი და თავისი შინაარსით მოიცავს კრიმინალური საქმიანობის სტადიებს და მის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს.

შეიძლება გამოეყოთ თრეფიკინგის სამი ძირითადი სტადია:

1. მსხვერპლის რეკრუტირება;
2. მსხვერპლის ტრანზიტ;
3. ექსპლუატაცია (მოგების მიღების მიზნით ადამიანების ფიზიკური რესურსების არაკანონიერი გამოყენება).

ეს საქმიანობა ხორციელდება დამნაშავეთა შემდეგი კატეგორიების მიერ:

1. შემკრები (პიროვნება, რომელიც ახდენს რეკრუტირებას);
2. გამცილებელი (პიროვნება, რომელიც ახორციელებს გადაყვანას სახელმწიფოთა საზღვრებზე);
3. ექსპლუატატორი (პირი, რომელიც ახორციელებს ფიზიკური რესურსების უკანონოდ გამოყენებას);
4. შუამავალი (პირი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს შემკრებებს, გადაყვანებს და ექსპლუატატორებს შორის);
5. დამხმარე (პირი, რომელიც ტრეფიკინგის სხვადასხვა ეტაპზე ახორციელებს მომსახურების აუცილებელ სახეებს: დაცვას, ფალსიფიცირებული დოკუმენტების დამზადებას და ა. შ.);
6. მფარველი (პირი, რომელიც ახდენს დაცვას სახელმწიფო და სამართალდამცავი სტრუქტურებისაგან).

I. ტრეფიკინგის პირველ ეტაპს წარმოადგენს მსხვერპლის რეკრუტირება მისი შემდგომი გადაყვანისა და ექსპლუატაციის მიზნით ან გაყიდვა იგივე მიზნებისათვის.

განსხვავებენ რეკრუტირების სხვადასხვა მეთოდებს, რომელთა ჯგუფებად დიფერენცირება ხორციელდება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით.

მეთოდებიდან გამომდინარე, ტრეფიკინგის სახეების კლასიფიკაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კრიმინალური ექსპლუატაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ან არ იყოს ადამიანის ყიდვა-გაყიდვის ფაქტთან. ტრეფიკინგის ჩვეულებრივი სქემა ვარაუდობს, რომ კრიმინალური ექსპლუატაციისათვის ადამიანებს იძენენ შუამავლისაგან ყიდვა-გაყიდვაზე, ჩუქნებაზე,



დაგირავებაზე და ა.შ. გარიგების გზით. რეკრუტირება ასევე შეიძლება განხორციელდეს მეთოდებით, რომლებიც არაა დაკავშირებული ადამიანებით ვაჭრობასთან – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგალითად მოტყუებით, გატაცებით და სხვა ძალადობრივი ქმედებით.

რეკრუტირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით, სხვადასხვა განცხადების გამოქვეყნებით საზღვარგარეთ სამუშაოს შეთავაზების თაობაზე, საქორწინო სააგენტოების რეკლამით და ა.შ., ან მსხვერპლის ნაცნობების მეშვეობით, რომლებიც შემკრების როლს თამაშობენ. მოტყუების მეთოდი არ ითვალისწინებს იძულებით ან დაშინებით მოქმედებებს მსხვერპლთან მიმართებაში. ის ვარაუდობს მსხვერპლის ნებაყოფლობით გადაბირებას მისი შეცდომაში შეყვანის ან ნდობის გამოყენების გზით.

ამავე დროს, იძულებითი რეკრუტირება, ძირითადად გამოიყენება რთული პოლიტიკური და სამხედრო ვითარების რაიონებში, შეიარაღებული კონფლიქტების რეგიონებში.

ტრეფინგში ადამიანთა ჩაბმის სახეები შეიძლება დაჯგუფდეს მიზნების მიხედვით:

- შემდგომი გაყიდვის მიზნით;
- უშუალოდ ექსპლუატაციის მიზნით.

შემდგომი გაყიდვის მიზნით ადამიანის ტრეფინგში ჩაბმას ახორციელებენ შემკრებები, რომლებიც სპეციალიზდებიან მხოლოდ მსხვერპლის ხელში ჩაგდებაზე და მის ტრანსპორტირებაზე შემკვეთებთან ან “ცოცხალი საქონლის” ბაზარზე. მათი მიზანია, მიიღონ შემოსავლები მესამე პირისათვის დაზარალებულის მიგერის ან მიყიდვის შედეგად, რის შემდეგაც მსხვერპლი ან კრიმინალურ ექსპლუატაციას ექვემდებარება, ან შემდგომ გაყიდვას. მაგალითისათვის უკრაინაში და მოლდავეთში გადაბირებლები თითოეულ რეკრუტირებულ და გაყიდულ ქალზე 200-დან 500-მდე დოლარს გამოიმუშაებენ.<sup>11</sup> არსებობს საქართველოდან (ქუთაისი) თურქეთში 5000 დოლარად ქალიშვილის გაყიდვის ოფიციალურად რეგისტრირებული ფაქტიც.

შემკრებები ან შუამავლები, ასეთ შემთხვევაში, თითონ არ უწევენ მსხვერპლს ექსპლუატაციას, ისინი მოგებას ღებულობენ მათი მესამე პირისათვის გადაცემით, რომლებიც სპეციალიზდებიან ადამიანის შრომის ექსპლუატაციაზე ან მის შემდგომ გაყიდვაზე. მსგავს შემთხვევებს, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს, როცა ადამიანები გადააყვით დანიშნულების ქვეყანაში, სადაც მათ ე.წ. “მეპატრონეს” მიყიდვიან ფიზიკური და ფიზიოლოგიური პარამეტრების მიხედვით ექსპლუატირებისათვის:

- ახალგაზრდა და მომზიბლავ გოგონებს, ჩვეულებრივ, იყენებენ სექსში და პორნოგრაფიულ ინდუსტრიაში: კლუბებში, ბარებში, აბანოებში და სხვ.
- ასაკოვან ქალებს – მოსამსახურეებად, ძიძებად, მომუშაოებად და ა.შ.;
- სხვადასხვა ასაკის ქალებსა და მამაკაცებს – სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციურ სამუშაოებზე და მშენებლობებზე.

ხშირად “მეპატრონე” მსხვერპლს ხელახლა პყიდის მომგებიანი გარიგებით ან სხვა მოსაზრებებით. ასეთ დროს, როგორც წესი, არაეინ კითხულობს მსხვერპლის თანხმობას და მასთან არც რაიმე კონტრაქტი იღება.

შემკრების და შუამავლის როლში მეტწილად გამოდიან ფირმის თანამშრომლები, რომლებიც დაკავებულნი არიან ტურისტული ბიზნესით და სამუშაოზე მოწყობით, აგრეთვე საქორწინო და სამოდელო სააგენტოები და სხვ. ისინი იბირებენ ან მოტყუებით ითრევენ ადამიანებს თავის ბაღში, ხოლო მერე ყვიდან საზღვარგარეთ და იღებენ შემოსავალს.

<sup>11</sup> Женщины-жертвы секс индустрии ИТАР-ЕФСС 1998 30 июня  
221

ჩვეულებრივ, შემკრებები მსხვერპლს დანიშნულების ქვეყანაში დაუბრკოლებლად გამგზავრებას პირდებიან, კერძოდ: ავანსის მიცემას ავიაბილეთის შესაძენად, სამგზავრო დოკუმენტების გაფორმებას და სხვ. ხშირად დაზარალებულები ხელს აწერენ კაბალურ კონტრაქტს მაღალანაზრავრებადი სამუშაოს მიღებაზე საზღვარგარეთ, კონტრაქტში არაა მითითებული სამუშაოს რაობა, ხასიათი, სამაგიეროდ, ყოველთვის ფიქსირდება ფირმის მაღალი კონორარი გაწეული სამსახურისათვის, რომლის გადახდა ხდება მაშინვე, როგორც კი მსხვერპლი მუშაობას დაიწყებს.

“თითოგადარჩენის მსოფლიო ქსელის” მოხსენების თანახმად, შემკრებები რუსეთში და დსთ-ში, მათ მიერ გაწეული “სამსახურისათვის” – დოკუმენტების გაფორმება, სამუშაოს მოძენა და საზღვარგარეთ გადაყვანა – იღებენ 1500-დან 30 000 დოლარამდე.<sup>12</sup>

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსგავსი ფირმების ზეპირი გარანტიები და დაზარალებულებთან ხელმოწერილი კონტრაქტები, ჩვეულებრივ, კაბალური ან სულაც ფიქტიურია. მაგრამ ამის შესახებ მსხვერპლი, მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ იტებს, როდესაც დდება ფაქტის წინაშე, რომ უნდა იმუშაოს სულ სხვა პირობებში, სხვა სპეციალობით და მიიღოს უფრო დაბალი ანაზღაურება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დაზარალებულებს უწევენ მკაცრ ექსპლუატაციას, აჯარიმებენ, სჯიან; ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები, ამიტომ ბევრი ქალი, რომელიც ეძებდა ოფიციატის, მოცუქავის, ფოტომოდელის და სხვა სამუშაოს, “იძულებითი ნებაყოფლობით” თანხმდება სექსინდუსტრიაში მუშაობაზე, რათა “ეალეების” გასტუმრების და თავისუფლების დაბრუნების შესაძლებლობა მიეცეს.

II. ტრეფიკინგის II ეტაპი – ტრანზიტი იწყება მსხვერპლის რეკრუტირების შემდეგ, რის მერც საჭირო ხდება მისი გადაყვანა კრიმინალური ექსპლუატაციის ადგილზე. არსებობს გადაყვანის რამდენიმე სახე. მათი დაჯგუფება შეიძლება იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულია:

- მსხვერპლის დამოკიდებულებაზე სხვა ქვეყანაში მის გადაყვანასთან;
- მსხვერპლის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადალახვის საშუალებებზე, ასევე ასეთი გადაყვანის კანონიერებაზე.

მსხვერპლის გადაყვანა მისი კრიმინალური ექსპლუატაციისთვის შეიძლება ხდებოდეს როგორც ნებაყოფლობით, ასევე მისი ნების გარეშეც.

ტრეფიკინგის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანების რეკრუტირება და გადაყვანა, ჩვეულებრივ, ხდება მათი ნებით, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე და მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში ხდებიან ისინი ძალადობის და ექსპლუატაციის მსხვერპლნი. უფრო მეტიც, ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები, ისე მიზანდასახულად ეძებენ ყველანაირ შესაძლებლობას, მოხდენენ საზღვარგარეთ სამუშაოდ, რომ დამოუკიდებლად მიემგზავრებიან სხვა ქვეყნებში, სადაც მონათმფლობელების ბადეში ეხვევიან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბევრ დაზარალებულს წარმოდგენილიც ჰქონდა შესაძლო ნეგატიური შედეგები, მაგრამ გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ თავს დააღწევდა მათ ან უბრალოდ სხვა არჩევანი არ გააჩნდა.

იმ შემთხვევებში, როცა მსხვერპლი რაიმე მიზნით უარს ამბობს საზღვარგარეთ ტრანზიტზე, შემკრებებს შეუძლიათ მიმართონ ზემოქმედების სხვა მეთოდებს, კერძოდ:

- მუქარას, დაშინებას და ძალადობის გამოყენებასაც კი;
- ნარკოტიკებით ან ფსიქოტროპული პრეპარატებით ზემოქმედებას;
- სხვადასხვა მაქინაციებს, რომლებიც დაზარალებულს ხელოვნურად ხდის შემკრებზე

<sup>12</sup> Преступление и порабощение. Доклад всемирной сети за выживание. Вашингтон 1997 с 17  
222

## დამოკიდებულად და საზღვარგარეთ გამგზავრებას აიძულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ შემთხვევებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის ოქმის მე-3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მსხვერპლის გადაყვანა დანიშნულების ქვეყანაში უნდა ითვლებოდეს არანებაყოფლობითად, ანუ კრიმინალურად მაშინაც კი, როცა მსხვერპლი დამოუკიდებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ ექსპლუატატორთან.

მსხვერპლის გადაყვანის მარშრუტის მიხედვით შეიძლება გამოეყოთ ტრანზიტის რამდენიმე ხერხი. ასე მაგალითად, გადაყვანა შეიძლება ხდებოდეს როგორც ეროვნული ტერიტორიის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პირველ შემთხვევაში, საუბარია კრიმინალურ ექსპლუატაციაზე იმ სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, რომელშიც მსხვერპლი მუდმივად ცხოვრობს. მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში ასეთი ექსპლუატაცია განიხილება ტრეფიკინგის სახედ, რასაც ვერ დაეთანხმებით, იმდენად, რამდენადაც, ტრეფიკინგს ახასიათებს მაკეალფიციტრებული ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებენ ბანალური კრიმინალური საქმიანობისაგან, მაგალითად, პროსტიტუციაში ჩათრევისაგან (სუტენირობისგან) – სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლი, თავისუფლების უკანონო აღკვეთისგან – სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი, იძულებისგან – სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი, შრომის კანონის დარღვევისგან – სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი და ა.შ. ტრეფიკინგი აუცილებლად გულისხმობს ადამიანის გადაყვანას სხვა სახელმწიფოში (ან იმ სახელმწიფოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეცაა დაზარალებული), სადაც მისი სამარლებობი სტატუსი, უფლებების დაცვის, ძალადობისა და ექსპლუატაციისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი ობიექტურად შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, ტრეფიკინგი დაუსჯელად აღწევს თავიანთი მსხვერპლის სრულ მორჩილებაში ყოფას. ერთი სახელმწიფოს ნაციონალურ საზღვრებში მსხვერპლის კრიმინალური ექსპლუატაციის დროს კი დანაშაულებრივი საქმიანობა არ ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ის არ შეიძლება კეალიფიცირებულ იქნას, როგორც ტრეფიკინგი.

ექსპლუატაციის მოცემული სახე შეიძლება დაეყოთ ქვესახეებად, რომლებიც:

- დაკავშირებულია მსხვერპლის გადაყვანასთან;
- არ არის დაკავშირებული მსხვერპლის გადაყვანასთან.

ეროვნული საზღვრების ფარგლებში კრიმინალური ექსპლუატაცია შეიძლება თან ახლდეს მსხვერპლის გადაყვანას მისი საცხოვრებელი რაიონის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებს გარეთ. ასეთი გადანაცვლების მაგალითს წარმოადგენდა აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია. აფხაზი "ზოეიკები" ხელში იგდებდნენ ადამიანებს გალის ან სამეგრელოს ახლომდებარე რაიონებიდან. შემდგომში მათ იყენებდნენ ან როგორც სამუშაო ძალას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, ან ყიდდნენ სხვა "შეპატრონებზე". ადგილი ჰქონდა აგრეთვე მსხვერპლთა იძულების და ექსპლუატაციის ფაქტებს საომარ მოქმედებებში აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების მხარეს მონაწილეობის მისაღებად.

როდესაც საუბარია გადაყვანაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, იგულისხმება, რომ გადანაცვლება ხორციელდება მსხვერპლის საცხოვრებელი ადმინისტრაციული რაიონის საზღვრებს შიგნით. ასეთი ექსპლუატაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ექსპლუატირებულის შრომის გამოყენება სხვადასხვა საქონლის მწარმოებელ იატაკქვეშა სააქროებში ან დამხმარე სამუშაოებზე. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში, ადამიანი მსხვერპლად იქცევა მისი ხელში ჩაგდების შემდეგ, რა შეიძლება მოხდეს როგორც ძალადობრივი ზეწოლით, ასევე მოწყვეტის გზით. მსგავსი ხასის ექსპლუატაციის ექვემდებარებიან პირები ე.წ. მარგინალური გარემოდან, რამდენადაც მათ არ აქვთ რეალური შესაძლებლობა გაუმკლავდნენ ძალადობას, არ გააჩნიათ მუდმივი

საცხოვრებელი ადგილი, არ ჰყავთ ახლობლები, რომლებიც შეწყუხდებიან მათი გაუჩინარებით. მასმედის საშუალებებში აღწერილია შემთხვევები, როცა ასეთ ადამიანებს მკაცრ ექსპლუატაციას უწევდნენ სხვადასხვა არალეგალურ საწარმოებში და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

ადამიანების ხელში ჩაგდება და გადაყვანა ეროვნული ტერიტორიის შიგნით ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ხდებოდა. ეს ადამიანები ძირითადად მარკინალური გარემოდან იყვნენ. ხულოგნობისა და ადმინისტრაციული დანაშაულისათვის ისინი ხშირად სამართალდამცავი ორგანოების მხედველობის არეში ექვეოდნენ ხოლმე, რითაც სარგებლობდნენ კრიმინალები და მათ ორგანიზებული დანაშაულობის საჭიროებისათვის "ოქროს მოსაოპებლად" არალეგალურ საბადოებზე ამუშავებდნენ.<sup>24</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალური სახლებების შიგნით კრიმინალური ექსპლუატაცია უფრო ნაკლებადაა გაერცვლებული, ვიდრე ადამიანების ტრეფიკინგი სამოქალაქო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. მოცემულ შემთხვევაში, ივლისისებმა, რომ მსხვერპლის ექსპლუატაცია ხდება იმ ქვეყნის სახლებებს გარეთ, რომელშიც იგი მუდმივად ან ძირითადად ცხოვრობდა, ე.ი. სხვა სახელმწიფოში.

გამოიყოფა ისეთი ფაქტორები, რომლებიც ადამიანთა ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ექსპლუატაციას უფრო ფართოდ განაპირობებენ. აღნიშნული გამოწვეულია ღარიბ ქვეყნებში ადამიანის კრიმინალური ექსპლუატაციის დაბალი რენტაბელობით, რაც განპირობებულია სპეციფიკურ საკონფლზე და ტრეფიკინგის მომსახურებაზე (პორნოგრაფია, მეძავეები, იაფი სამუშაო ძალა და ა.შ.) დაბალი მოთხოვნილებით ან მოსახლეობის მეტად დაქვეითებული მსყიდველობით უნარით. ამავე დროს, მდიდარ ქვეყნებში მოთხოვნილებაა როგორც მეძავეზე, ასევე დაბალანაზღაურებად და არაკვალიფიციურ მუშა ხელზე, რაც ქმნის ადამიანის კრიმინალური ექსპლუატაციის ყველაზე ფართო შესაძლებლობებს, ამავე დროს მაღალანაზღაურებადია და მიმზიდველი ის ორგანიზებული დანაშაულობისთვისაც. გარდა ამისა, ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად იოლდება მათი წარმოშობის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, რადგან უცხო სახელმწიფოში, დაზარალებულთა უფლებების დაცვის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, შეზღუდულია.

არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, დსთ-ს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მრავალი მოქალაქე სამუშაოს სხვა სახელმწიფოებში ეძებს. ისინი ხასიათდებიან გაზრდილი ვიტიმოგუნობით, ანუ ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის და კრიმინალური ექსპლუატაციისადმი დაქვემდებარების მაღალი ალბათობით. როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, მრავალი სახელმწიფოს სამართალდამცავ პრაქტიკაში ტრეფიკინგით დაზარალებულთა იურიდიული სტატუსი არალეგალური მიგრანტების სტატუსთანაა გაიგივებული, რაც მათ მდგომარეობას კრიმინალიზებულს ხდის. ასეთი პრაქტიკა არასწორად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან არალეგალური მიგრანტებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეგნებულად და ნებაყოფლობით მიემგზავებიან სხვა ქვეყნებში და არღვევენ მის კანონებს, ტრეფიკინგის მსხვერპლნი ამ ქვეყნებში საექსპლუატაციოდ დანაშაულებრივი ორგანიზაციების ან ცალკეული კრიმინალების მხრიდან მუქარის, ძალადობის და მოტყუების შედეგად ხდებიან.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ "არალეგალური მიგრანტები" სხვა სახელმწიფოს საზღვრის გადალახვისა და იქ სამუშაოდ მოწყობის დამოუკიდებელი მცდელობის შემდეგ, არაიშვითად ეხვევიან ადამიანებით მოვაჭრეთა ბადეში. ხშირად მათ არ შეუძლიათ სახლების არალეგალურად გადალახვისათვის საჭირო თანხის გადახდა, რითაც

სარგებლობენ კრიმინალები და მათ ისეთ საქმიანობაში აბამენ, როგორც, მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობა ან პროსტიტუცია.<sup>13</sup>

ხერხი, რომლის დახმარებითაც ხორციელდება მსხვერპლის გადაყვანა სახელმწიფო საზღვრებზე, შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს კანონს ან არღვევდეს მას. ამიტომ საზღვრის გადალახვის ხერხიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვროთ მსხვერპლის ლეგალური და არალეგალური გადაყვანა წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მსხვერპლის ლეგალური გადაყვანა საზღვარგარეთ ხორციელდება კანონით დადგენილი გარკვეული წესების და ინსტრუქციების შესაბამისად ყველა საჭირო კანონიერი სამგზავრო დოკუმენტის გაფორმებით. ასეთი გადაყვანა ლეგალურია. ბევრი ფირმა, რომელიც დაკავებულია "ცოცხალი საქონლის" რეკრუტირებით, მომავალი მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანას დაიპოუიდეგლად აფორმებს.

საზღვრებზე ადამიანების არალეგალური გადაყვანა, ანუ კონტრაბანდა, ჩვეულებრივ, გამოიყენება მაშინ, როცა არ არსებობს საზღვარგარეთ მოხვედრის ლეგალური საშუალება ან არაა საკმარისი დრო ყველა საბუთის გასაფორმებლად. ადამიანის კონტრაბანდისთვის შეიძლება გამოიყენონ ყალბი საბუთები ან მსხვერპლმა შეიძლება, სულაც საბუთების გარეშე, გადალახოს სახელმწიფოთაშორისი საზღვარი სავეტომობილო ტრანსპორტით ან ფეხით. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული უფრო უფლებო და უმწეო ხდება, ვინაიდან, დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, ის არალეგალად იქცევა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას ექვემდებარება. ლეგალური თუ არალეგალური გადაყვანის შერუნველსაყოფად ხშირად კორუმპირებულ კაშირებს იყენებენ. ასე მაგალითად, ადამიანებით მოვაჭრე ფირმების უმეტესობას გარკვეული აუშირი აქვს თანამდებობის პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მათ ადამიანების საზღვარგარეთ გადაყვანის დაქმნაში, ეკრძიონ, დაეხმარონ სამგზავრო დოკუმენტების გაფორმებაში ან გაყალბებაში. "თვითგადარჩენის მსოფლიო ქსელის" მონაცემებით, "ცოცხალი საქონლით მოვაჭრენი გამოკითხვისას აღნიშნავენ, რომ მათ შეუძლიათ ყალბი ან გადაკეთებული პასპორტების ყიდვა საგარეო საქმე სამინისტროს თანამშრომლებისაგან ან ინტერპოლთან კავშირის მეორე კომპანიებისგან.<sup>14</sup>

იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლის გადაყვანა დანიშნულების ქვეყანაში გაძნელებულია მკაცრი საპასპორტო-საფიზო კონტროლის გამო, ხოლო წარმოშობის ქვეყანასა და დანიშნულების ქვეყანას შორის უშუალო საზღვარი არ არსებობს, გამოიყენება ხოლმე ე.წ. კომბინირებული გადაადგილება. მსხვერპლი ლეგალურად შეკავთ დანიშნულების ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოში, ხოლო იქიდან საზღვრებზე არსებული "სარკმელების" მეშვეობით არალეგალურად გადაჰყავთ დანიშნულების ქვეყანაში. მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როდესაც თურქეთში ჩასულმა მოქალაქეებმა სცადეს საბერძნეთის საზღვრის გადალახვა და მთის უღელტეხილზე გაიყინნენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანების არალეგალურად გადაყვანის მეთოდი დსთ-ს ქვეყნებიდან გერმანიაში, რომელიც მკაცრად არეგულირებს იმიგრაციას ამ სახელმწიფოებიდან.

გერმანიის საზღვრის გადასალახავად კრიმინალები იყენებენ პოლონელი მოქალაქეების ყალბ პასპორტებს, რომელთაც ამ ქვეყანაში შესახელულად არ სჭირდებათ ვიზა.<sup>28</sup> ასეთ შემთხვევებში გადასაცვლება შეიძლება ჩაითვალოს არალეგალურად, რამდენადაც მსხვერპლი დანიშნულების ქვეყანაში ხვდება არაკანონიერი გზით. დანიშნულების ქვეყანაში მოხვედრის შემდეგ მსხვერპლი ხვდება ექსპლუატატორის ხელში, ანუ დგება თაფფიკინგის მესამე დამამთავრებელი ეტაპი - უშუალოდ კრიმინალური

<sup>13</sup> Борьба и предупреждение торговли живых товаром и защита прав мигрантов – Trends in Organized Crime 1996 Vol.2 1996 с.192

<sup>14</sup> Преступление и порабощение. Доклад всемирной сети за выживание Вашингтон 1997

ექსპლუატაცია შემოსაღების მისაღებად. დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სახეობის კლასიფიკაცია შეიძლება რამდენიმე თვისებრივი კრიტერიუმის -

- ექსპლუატაციის სუბიექტის;
- ექსპლუატაციის იძულების ხერხების;
- კრიმინალური ექსპლუატაციის გამოყენების სფეროების;
- მსხვერპლის საქმიანობის შინაარსის მიხედვით.

სუბიექტის მიხედვით ექსპლუატაციის სახეები შეიძლება დაიყოს მამაკაცების და ქალების ექსპლუატაციად. ქალებთან შედარებით, მამრობითი სქესის პირები ექსპლუატაციას უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან. ასე მაგალითად, ევროპის უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებში იმ მამრობითი სქესის პირთა რაოდენობა, რომლებიც კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან, დაზარალებულთა მთელი რაოდენობის 2%-ს შეადგენს.<sup>15</sup> მამაკაცთა ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, საექსპლუატაციოდ, ძირითადად გამოიყენება მათი ფიზიკური შრომა. ექსპლუატაციას შეიძლება დაექვემდებარონ როგორც სრულწლოვანი მამაკაცები, ასევე არასრულწლოვნებიც. სრულწლოვნებს, როგორც წესი, იყენებენ მძიმე სამუშაოების წარმოებისთვის, მაგალითად, სახლების მშენებლობის, სარდაფების გათხრისთვის და სხვა. მამაკაცების გამოყენების კიდევ ერთ სფეროს, წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი ჩაბმა. უტყვევლია, რომ დაქირავებულების დიდი ნაწილი იქ ნებაყოფლობით ხდება, მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, უკრაინაში ადგილი ჰქონდა მამაკაცების შეკრებას კაეკასიის რეგიონში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებად. ამის ნაცვლად ისინი ყარაბაღის კონფლიქტის მონაწილეებად იქცნენ. არასრულწლოვანი ბავშვების ექსპლუატაცია ხდება ისეთ სფეროებში, სადაც არ სჭირდებათ მძიმე ფიზიკური შრომა. მათ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ხელზე მოსასხახურებად და ა.შ. არაიშვითად ბიჭუნებს აბამენ ბავშვთა პორნოგრაფიაში და პროსტიტუციაში.<sup>16</sup> ყველა მიღებული მონაცემი ცხადყოფს, რომ ექსპლუატირებულთა ძირითად კატეგორიას ქალები წარმოადგენენ. ეს განპირობებულია იმით, რომ ქალები თავისი სოციალური სტატუსისა და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გამო უფრო მეტად ხდებიან კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი.

ამ ფენომენის ახსნის რამდენიმე მიზეზი არსებობს. როგორც წესი, უმუშევრობა ქალებს შორის უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცთა შორის. კარგი ანაზღაურების სამუშაოს შოვნის ერთადერთ შესაძლებლობად მრავალ უმუშევარ ქალს საზღვარგარეთ, უფრო მდიდარ ქვეყნებში გასვლა ესახება. გარდა ამისა, ფიზიკურად ქალები მამაკაცებზე სუსტები არიან, ამიტომ მოვაჭრეებს უიოლდებათ მათი გაკონტროლება. ამასთანავე, ქალების ექსპლუატაციის შესაძლებლობა, განსაკუთრებით სექსუალურ ბიზნესში, გაცილებით ფართოა, ვიდრე მამაკაცებში.

სექსუალური მომსახურების სფეროში და პორნობიზნესში ექსპლუატაციას ექვემდებარებიან მდებრობითი სქესის როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი წარმომადგენლები. კრიმინალური ექსპლუატაციის ამ სფეროში ისინი დაზარალებულთა ძირითად ნაწილს შეადგენენ. ექსპერტების შეფასებით, იძულების წესით ყოველწლიურად 2 მლნ.-ზე მეტ ქალსა და ბავშვს აბამენ სექსინდუსტრიაში სამუშაოდ.<sup>17</sup> გარდა ამისა, მათი შრომა შეიძლება ექსპლუატირებულ იქნეს მომსახურების და წარმოების იმ სფეროებში, სადაც ძირითადად ქალების შრომა გამოიყენება.

<sup>15</sup> Trafficking in Human Beings: implications for the OSCE. Warsaw 1999, p.11

<sup>16</sup> Country Reports on Human Rights Practices for 1997 US Department of State Washington DC 1998

<sup>17</sup> Hughes D. Transnational Shadow market of trafficking women/Journal of International Affairs 2000

კრიმინალური ექსპლუატაციისათვის ადამიანთა რეკრუტირების ხერხის მიხედვით, შეიძლება გამოეყოთ ექსპლუატაციის შემდეგი სახეები:

- **ფიზიკური იძულება.** მოცემულ შემთხვევაში, ადამიანის მიმართ გამოიყენება ფიზიკური ძალადობა სხეულის სხვადასხვა სიძიმის დაზიანების სახით, ცემით, წამებით, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, ადამიანი იძულებულია დაემორჩილოს ექსპლუატატორის მითითებებს და შესარულოს კონკრეტული საქმიანობა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სამუშაოს არასანქცირებული შეწყვეტისას, გაქცევის მცდელობისას და ა.შ. მოცემული პირის მიმართ გამოიყენება მკაცრი სასჯელი სასტიკი ცემის, ჯგუფური გაუპატიურების, კეების შეწყვეტის და წინააღმდეგობის ჩახშობის სხვა მეთოდებით.

ფიზიკური იძულება შეიძლება განხორციელდეს ძალადობის, ძლიერმომქმედი პრეპარატების და ნარკოტიკების გამოყენებით.

ძალადობა ხორციელდება ადამიანსა და მის ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებით. აქვე მოიაზრება შემთხვევა, როცა ექსპლუატატორი მიზანდასახულად აღუქვით მსხვერპლს სასიცოცხლო მოთხოვნის დაკმაყოფილების ბიოენერგეტიკულ რესურსებს (საკეებს, სასმელს, სამედიცინო დახმარებას) ან უზღუდავს გადაადგილების და ურთიერთობის თავისუფლებას. მსგავსი შეზღუდვებით ადამიანს აიძულებენ გააკეთოს ის, რასაც მისგან მოთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებას და განიცდის ფიზიკურ შეზღირებას.

ნიდერლანდებში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ სქესობრივად ექსპლუატირებული 250 გამოკითხული ქალიდან – 177 ძალადობის მსხვერპლი გახდა და მოვაჭრების, სუტენორების და კლიენტების მხრიდან ექსტრემალური ზეწოლა განიცადა.

მსხვერპლის დასათრგუნად და სექსუალური ექსპლუატაციის გასაადვილებლად, ძალადობასთან ერთად, ზოგჯერ იყენებენ ძლიერმომქმედ პრეპარატებსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს. მათი გამოყენება ხდება როგორც ძალადობის, ისე მის გარეშე (პრეპარატის საკვებაში შეყვებით ან მისი სახით ვითომდა წამლის მიცემით), რაც ცემდგომში მსხვერპლს ნარკოტიკზე დამოკიდებულად აქცევს და უზრუნველყოფს მის მზადყოფნას შესარულოს ექსპლუატატორის ნებისმიერი მოთხოვნა პრეპარატის მორიგი დოზის მისაღებად.

- **ფსიქიკური იძულება.** ასეთი ძალადობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიყენონ როგორც მსხვერპლის, ასევე მისი ახლობლების მიმართ.

ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდებიდან გამომდინარე, გამოიყოფა ფსიქიკური იძულების შემდეგი სახეები:

ა) **შანტაჟი.** მას საფუძვლად უდევს მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ სახელის გამტეხი ინფორმაციის გაერცხვლების საფრთხე. ადამიანი ხდება დამოკიდებული, ვინაიდან მას არ შეუძლია დაუშვას ისეთი ინფორმაციის გაერცხვლა, რომელმაც შეიძლება ნეგატიური სახის შედეგები მოუტანოს ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე პირს ან პირებს. ამის გამო მსხვერპლი თანახმაა ექსპლუატაციაზე და მორჩილებაზე ასე მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ხდება საზღვარგარეთ სპეციალობის მიხედვით სამუშაოდ წასული ქალის ექსპლუატირება სექსინდუსტრიაში, იგი ხშირად იძულებულია განაგრძოს ამგვარი საქმიანობა მუქარის შიშით იმის გამო, რომ ამის შესახებ ცნობილი გახდება მისი ახლობლებისა და ოჯახისათვის. გარდა ამისა, დანიშნულების ქვეყანაში უკანონოდ მყოფ მსხვერპლს მუდმივად დაპატიმრების და დემორტაციის საფრთხე ემუქრება. პოლიციაში ჩაბარების შიშით, მისი ქვეყა ადვილად კონტროლირებადი ხდება. ლიტერატურაში დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა სექსბიზნესში ექსპლუატირებულ ქალებს იღებენ ვიდეოკამერით და აშანტაჟებენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ამ მასალის გაერცხვლებით, რითაც მათი მხრიდან ექსპლუატაციაზე უარის თქმის, გაქცევის ან დასახმარებლად პოლიცისათვის მიმართვის

აღკვეთას ცდილობენ. თბილისში მოხდა ტრავიკული შემთხვევა: ტრეფიკინგის ერთ-ერთმა მსხვერპლმა, რომელიც ცდილობდა, პასუხისმგებში მიეცა ადამიანები, რომლებმაც იგი აშშ-ში პრესტიჟიული საქმიანობისთვის გაყიდეს, დახმარებისა და თავშესაფრისათვის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს მიმართა. დაზარალებულს სდევნიდნენ ადამიანებით მოვაჭრეები, რომლებიც იმუქრებოდნენ მისი მაკომპრომეტირებელი ვიდეომასალის ოჯახის წევრებისათვის გადაცემით. მსხვერპლმა ექვარ გაუძლო ფსიქიკურ ზეწოლას და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ფსიქიკური იძულების ეს მეთოდი ცალკე იშვიათად გამოიყენება, რადგანაც არსებობს უფრო რადიკალური და ეფექტური საშუალებები.

ბ) *ძალადობის გამოყენების მუქარა* ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედება ხდება ფიზიკური ძალადობის – სხეულისათვის რაიმე დაზიანების მიყენების ან მოკვლის მუქარით. აღნიშნულს თან არ ახლავს პირონების ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, მაგრამ ამის საფრთხე რეალურად დგება. ფიზიკური ძალადობის მუქარა შეიძლება გამოიყენონ როგორც თავად მსხვერპლის, ასევე მისმა პირთა მიმართ. ჩვეულებრივ, ეგენი არიან ოჯახის წევრები, მათ შორის არასრულწლოვანი ბავშვები, ნათესავები და დაზარალებულის სხვა ახლობლები. ტრეფიკერების მუქარას ხშირად თან ახლავს უხეში ძალის თვალსაჩინო დემონსტრაცია, რის გამოც, ფიზიკურად გასწორების საფრთხე დაზარალებულის მიერ რეალურად აღიქმება. დაუმორჩილებლობის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში, მუქარონეები ხშირად მიმართავენ ძალადობას მსხვერპლის დაშინებისა და ნების დათრგუნვის მიზნით, ასე მაგალითად, იტალიაში ყუეკლითურად ერთი მებავეი მკვლელობის მსხვერპლი ხდება, სტამბულში ორი უკრაინელი ქალი მოკლეს ექვნი ქალის თვალწინ, სერბეთში უკრაინელ ქალს, წინააღმდეგობის გაწევის გამო, სახალხოდ მოჰკეციეს თავი და სხე.

• ეკონომიკური იძულება. ეს ის შემთხვევაა, როცა მსხვერპლსა და ექსპლუატატორს შორის მატერიალური ხასიათის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. იმის გამო, რომ მსხვერპლს არ შეუძლია გაწევის ან გათავისუფლდეს ასეთი დამოკიდებულებისაგან, იძულებულია დაემორჩილოს ექსპლუატატორის მოთხოვნებს და შესაძლოა ისინი.

ეკონომიკური ძალადობა შეიძლება ხორციელდებოდეს სავალო კაბალას ან სხვა მატერიალური დამოკიდებულების სახით.

სავალო კაბალა ეკონომიკური იძულების ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებაა. მასში ადამიანი შეიძლება მოხდეს ვიზების მიღების, დანიშნულების ქვეყანაში გადასვლის, კომუნალური ხარჯების დაფარვის და ტრეფიკერისთვის ანაზღაურების გადახდის მიზნით, ფული სესხად აღების შემთხვევაში ანდა ასეთი ვალი შეიძლება დადგინდეს ექსპლუატატორის მიერ მსხვერპლის ნების გარეშე. მაგალითად, გერმანიაში სამუშაოდ მოსახვედრად, პასპორტის გაფორმების, ვიზის მიღების და სამზავრო ბილეთების შეძენისთვის ქალმა უნდა გადაიხადოს 5.000 ამერიკულ დოლარამდე. საქართველოში ცრტას თუ მოეძებება ასეთი თანხა, მაგრამ მოიძებნებიან პირები, რომლებიც ფულს პროცენტით გაასესხებენ. ვალის გასასტუმრებლად ქალმა უნდა გადაიხადოს თავისი შემოსავლის 50-დან 60%-მდე. თუ სამზავრო ფული ექსპლუატაციის ადგილამდე შემკრებმა გადაიხადა, ქალმა ეს ფული უნდა დაუბრუნოს მოვაჭრეს, რომელმაც იგი დანიშნულების ქვეყანაში ოყიდა. ამას გარდა, მსხვერპლმა უნდა გაიღოს ხარჯები საცხოვრებელი ოთახისა და ადგილისათვის ბორდელოში, სუტენიორის, ადვოკატის, ექიმის პონორარი და ა.შ. საბოლოოდ კი, იგი მაინც მოვალედ რჩება და ეს ვალი იზრდება იმის მიხედვით, თუ როგორ დააორციხავს მას პროცენტებს მუქარონე, როგორ ამატებს ის ვალის ძირითად თანხას დანახარჯების ოდენობას ქალის საჭიროებისათვის ან ჯარიმებს გაუაზრობისთვის, ან როგორ ყიდის ამ ქალს თავის ვალიანად ახალ მუქარონეზე მოგების მიღების საფასურად.<sup>18</sup>

<sup>18</sup> Проблема контрабанды людей: Задачи OSCE. Обзорная конференция 1999 Сентябрь Справочный документ



იაონიაში, მაგალითად, გაყიდულ ქალს ვალის სახით საშუალოდ 35 ათას დოლარამდე უგროვდება. ზოგიერთები კი ამ თანხის 300 ათას დოლარამდე გაზრდას "ახერხებენ".<sup>19</sup> მსხვერპლიც იძულებულია დამორჩილდეს, რადგან იცის, თაყად კიდევ რომ დაიძალოს, მას ან მისი ოჯახის წევრებს მანც მოტილი ანგარიშსწორება გადაუხდელი ვალის გამო. საავალი კაბანის გააჩნია ობიექტური და ტრაგიკული შედეგების გამოხატვის სხვადასხვა ფორმები. მაგალითად რეგისტრირებულია ფაქტები, როცა იმედდაკარგული ადამიანები კრედიტორებთან ანგარიშსწორებისთვის საკუთარ ორგანოებს ყიდდნენ. კერძოდ, აღწერილია შემთხვევა, როცა საქართველოს მოქალაქემ სანკტ-პეტერბურგის ფირმის მემუბოთი ესპანეთში თავისი თირკმელი გაყიდა, რისთვისაც 30.000 ამერიკული დოლარი მიიღო და ვალები გაისტუმრა.

ეკონომიკური დამოკიდებულება შეიძლება წარმოიშვას არამარტო ვალის (რეალურის ან არარეალურის), არამედ მსხვერპლსა და ექსპლუატატორს შორის არსებული გარკვეული მატერიალური დამოკიდებულების საფუძველზე. მაგალითად, როცა ადამიანს არ გააჩნია საარსებო წყარო და იძულებულია ისარგებლოს ეინმეს საცხოვრისით ან სხვა მატერიალური საკუთრებით, რის სანაცვლოდაც იგი იძულებული ხდება შეასრულოს ექსპლუატატორის მოთხოვნები, რომელიც მსხვერპლის მასზე დამოკიდებულებას ექსპლუატაციისთვის იყენებს.

• იურიდიული დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიქმნას საქორწინო კავშირის, სამუშაოზე ხედამხედველობის, მშობლებთან ურთიერთობის გაფორმების დროს, რაც მოცემულ საზოგადოებაში არსებული სამართლებრივი და მორალური ნორმებითაა რეგლამენტირებული.

რეგლამენტირებადი ურთიერთობის სახეების მიხედვით შეიძლება გამოეყოთ:

ა) *ქორწინებაში შესული წარმოქმნილი იურიდიული დამოკიდებულება.* მსგავს შემთხვევებში, ქორწინება რეგისტრირდება ერთი მეუღლის მიერ მეორის შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით. ერთ-ერთი მეუღლე ხდება დამოკიდებული მეორეზე იმის გამო, რომ სურს დარჩეს ქმრის ან ცოლის საცხოვრებელ ქვეყანაში. როგორც წესი, ასეთი დამოკიდებულება აღმოცენდება, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სხვა ქვეყნის მოქალაქეა ახალ საცხოვრებელ ადგილზე მუდღეულთან გადასვლის შემდეგ, ქალი ხდება იზოლაციაში და იძულებული ექვემდებარება ექსპლუატაციას, რადგანაც იურიდიული დამოკიდებულება ხდება შეასრულოს ეკონომიკურში. გარდა ამისა, ქმარს შეუძლია დეკორტირებითაც დაემუქროს უცხოელ ცოლს, ვინაიდან, როგორც წესი, მოქალაქეობის მიცემა ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. ანალოგიური სიტუაცია იქმნება, როდესაც ქორწინება ფიქტიურია. ასეთ ქორწინებაში მეოფ ქალს "ქმარი" გარკვეული დროის განმავლობაში თვითონ იყენებს, ხოლო შემდეგ სექსინდუსტრიაში საექსპლუატაციოდ ყიდის. ზოგი ქვეყნის (მაგალითად, გერმანიის, შვეიცარიის) კანონები უცხოელ ცოლს, მიგრანტ ქალებისაგან განსხვავებით, უფლებას აძლევს, მეყავად იმუშაოს. ქორწინების საფარელოს ქვეშ ექსპლუატაციისათვის გადაყვანილი ქალი ამგვარად შეიძლება მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდეს "ქმარზე", რომელიც რეალურად შესაძლოა კლების მფლობელი ან სუტენიორი იყოს

ბ) *შეილად აყვანასთან, მუშროვობასთან დაკავშირებული აღმოცენებული იურიდიული დამოკიდებულება.* ამგვარ დამოკიდებულებაში ხდებიან არასრულწლოვნები, რომელთა მიმართ გაფორმებულია შეილად აყვანა ან დადგენილია მუშროვება იმ პირთა მიერ, რომლებიც ამას აკეთებენ მათი ექსპლუატაციის მიზნით. ბავშვი თავისი ასაკის გამო დედობილ-მამობილზე ან მეორეზე დამოკიდებული ხდება. დამოკიდებულობის მოპოვების შემდეგ, პირველ ათწლეულში საქართველოში გახშირდა ბავშვების არაკანონიერი გაშუილებისა და მათი საზღვარგარეთ გაყვანის შემთხვევები. ზოგჯერ ამგვარი გადაყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ შემდგომში არასრულწლოვანი გაყვიონ საზღვარგარეთ გასაშუილებლად. "საბავშვო" ბიზნესს არა მარტო მილიონები მოაქვს, არამედ დასავლეთში ამით გადასახადების გადახდასაც აღწევენ თავს და კრიმინალური ფულის ლეგალიზაციას ახდენენ. მაგალითისათვის, გაშუილების რუსული ბაზრის პოტენციალი შეადგენს ერთ

მილიარდ დოლარს წელიწადში და ჩრდილოეთი ბაზრის ეს შემოსავლები მუდმივად იზრდება.

- მონობა. კრიმინალური ექსპლუატაციის განსკუთრებული ხერხი და მისი ყველაზე საშიში ვარიანტი არის მონობა. ტრანსნაციონალური ორგანიზებულები დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ოქმის დეფინიციაში მონობა განიხილება, როგორც ტრეფიკინგის მაკავალიფიცირებული ნიშანი. მონობა, როგორც კრიმინალური ექსპლუატაციის იძულების მეთოდის თავისებურება, აღინიშნება იმაში, რომ იგი სუფთა სახით არ არსებობს. მონობა გულისხმობს, რომ ადამიანი ექსპლუატატორზე სრულად და აბსოლუტურად დამოკიდებული ხდება. მსხვერპლს აიძულებენ დაექვემდებარონ კრიმინალურ ექსპლუატაციას, ამყოფებენ იზოლაციის პირობებში, მთლიანად აკარგევენებენ შესაძლებლობას შეცვალოს თავისი მდგომარეობა (მაგალითად, დასახმარებლად მიმართოს სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს და სხვა პირებს). მსხვერპლი მთლიანად სხვის ნებას ემორჩილება და "პატრონის" ხელში ნიუთად იქცევა.

ტრეფიკინგის მოცემული სახე სუფთა სახით არ არსებობს, ვინაიდან წარმოადგენს ექსპლუატაციის ყველაზე კრიმინალურ ფორმას და ჩვეულებრივ, გამოიყენება ეთნიკური კონფლიქტების და ლოკალური ომების ზონებში, ანუ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან ლეგალური სახელმწიფო სტრუქტურების იურისდიქციას. როგორც წესი, მონობის დროს მსხვერპლს მეტი სიმკაცრით ექცევიან და მის მიმართ ფიზიკური ძალადობაც უკიდურესი ზომებით აღინიშნება. მონას სიცოცხლე არაფრად ფასობს და თუ მეპატრონე მის ყოვალს ეკონომიკურად მიზანშეუწონლად ჩათვლის, ფიზიკურად ანადგურებს კიდევ. მონობის მაგალითად საკმაოდ ბევრია კაქასიაში. მაგალითად გამოდგება რუსეთის მოქალაქე, რომელიც მრავალი წელი იმყოფებოდა ჩენების მონობაში პანკისის ხეობაში.

ტრეფიკინგის პროცესში არჩევენ ადამიანის ექსპლუატაციის შემდეგ სახეებს:

- შრომის ექსპლუატაცია. ასეთ დროს ადამიანს აიძულებენ, თავისი ქმედება მიმართოს რაიმე პროდუქციის შექმნაზე ან ამა თუ იმ სახის მომსახურების გაწევაზე. შრომის ექსპლუატაცია შესაძლებელია, როგორც კანონიერი, ისე დანაშაულებრივი ბიზნისის სფეროში. იმის მიხედვით, თუ რამდენად არის რეგლამენტირებული საქმიანობის სფერო, რომელშიც ხდება შრომის ექსპლუატაცია, შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი ქვესახეები:
  - ა) კანონიერი შრომის ექსპლუატაცია.

მოცემულ შემთხვევაში ადამიანის შრომა გამოიყენება კანონმდებლობით დაშვებული საქმიანობის სფეროში – დაწყებული რაიმე სამრეწველო საქონლის წარმოებიდან, დამთავრებული სხვადასხვა სახის მომსახურებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

შრომის შინაარსის მიხედვით, თავის მხრივ, შეიძლება გამოვყოთ შრომის ექსპლუატაციის რამდენიმე ნაირსახეობა:

- ფიზიკური შრომის ექსპლუატაცია;
  - ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია.
- ფიზიკური შრომის ექსპლუატაციის დროს გამოიყენება ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობა, შესარულოს გარკვეული სამუშაო ან/და აწარმოოს გარკვეული მომსახურება. იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში გამოიყენება ფიზიკური შრომა, შეიძლება გამოვყოთ:
- შრომის ექსპლუატაცია საკუსალურ სფეროში
  - შრომის ექსპლუატაცია საყოფაცხოვრებო სფეროში;
  - შრომის ექსპლუატაცია წარმოების სფეროში.

სექსუალურ სფეროში შრომის ექსპლუატაცია დაკავშირებულია ადამიანის სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. არსებობს სექსუალური ბიზნისის გარკვეული სახეები, რომელთაც კანონმდებლობა არ კრძალავს. მაგალითად სტრეპტიზაზაში მოცეკვავედ მუშაობა,

მებაეობა იმ ქვეყნებში, სადაც მოცემული საქმიანობა არ არის აკრძალული, აგრეთვე სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების სხვა სახეები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის კანონით არ იდენება. მსხვერპლს სხვადასხვა საშუალებით აიძულებენ შეასრულოს ასეთი სამუშაო ან აწარმოოს ამგვარი მომსახურება. გარდა ამისა, ადამიანის შრომა შეიძლება გამოიყენონ ყოფით სფეროში, რაც გულისხმობს ან პირადად ექსპლუატატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ან გარკვეული სამსახურის გაწევას სხვა ადამიანებისთვის.

იმის მიხედვით, თუ რისთვის ექსპლუატირდება შრომა – ექსპლუატატორის პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თუ მის მიერ მოგების მისაღებად – შეიძლება გამოეყოთ:

- შრომის ექსპლუატაცია საშინაო მომსახურების სფეროში;
- შრომის ექსპლუატაცია საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში.

პირველ შემთხვევაში, შრომა გამოიყენება ექსპლუატატორის საშინაო მეურნეობაში. მაგალითად, სამუშაოების წარმოება ბაღში, მინდორში, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, პირადი მომსახურება. ამ დროს შრომა მიმართულია ექსპლუატატორის და მისი ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მსხვერპლის შრომას ექსპლუატატორი მოგების მისაღებად იყენებს. ექსპლუატირებულის მოვალეობაში შედის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ისეთი საქმიანობა, როგორცაა იატაკქვეშა სამაქროში (ფირმაში) წარმოებული საქონლის რემონტი. მოცემული საქმიანობა მიმართულია არა ახალი პროდუქციის წარმოებისკენ, არამედ არსებულის გადამუშავებისა და შეცვლისაკენ.

ადამიანის იძულებითი შრომის გამოყენება შესაძლებელია საქონლის წარმოების სფეროშიც. მაგალითად, მსხვერპლის დასაქმება სხვადასხვა (ფართო მოხმარების საქონლის წარმოებულ, ტანსაცმლის კერვის და ა.შ.) იატაკქვეშა სამაქროებში.

ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციის დროს გამოიყენება ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნების უნარი, შემოქმედებითი ნიჭი. ამ სახის ექსპლუატაციას იშვიათად მიმართავენ, მაგრამ მას უძველესად უნდა ჰქონდეს ადგილი შრომის ექსპლუატაციის სახეთა კლასიფიკაციაში. კანონიერების ფარგლებში ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია შეიძლება გამოისატებოდეს ადამიანის იძულებაში, თავისი ინტელექტუალური ნიჭით სამსახური გაუწიოს ექსპლუატატორს, რომელზეც ის არის დამოკიდებული. ექსპლუატაციის ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა რუსეთში, როდესაც სტუდენტმა ქიმიკოსებმა გამოიგონეს სინთეზური ნარკოტიკი და აღმოჩნდნენ რა აზერბაიჯანული მაფიის ხელში, იძულებულნი გახდნენ შესრულებინათ კრიზინალების მოთხოვნები.

ბ) შრომის ექსპლუატაცია დანაშაულებრივი სფეროს ბიზნესში.

მოცემულ შემთხვევაში ადამიანის შრომა გამოიყენება დანაშაულებრივი ბიზნესის სფეროში, ანუ ისეთ საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას. დანაშაულებრივი ბიზნესში საქმიანობის სფეროები სახეების მიხედვით თანხვდება კანონიერი შრომის საქმიანობის სფეროებს, მაგრამ მათ მაინც აქვთ თავანთი სპეციფიკა. ასე მაგალითად, ფიზიკური შრომის ექსპლუატაციის სფეროში შეიძლება გამოეყოთ:

- მონაწილეობა სამხედრო ფორმირებებში. (როგორც წესი, ამ სახის ექსპლუატაციას ექვემდებარებიან მამაკაცები, რომლებსაც აიძულებენ, მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ კონფლიქტებში, ტერორისტული აქტების მოწყობაში და სხვა მსგავს უკანონო ქმედებებში, სადაც გამოყენებას ექვემდებარება მსხვერპლის ფიზიკური შესაძლებლობა);

- შრომის ექსპლუატაცია სექსუალურ სფეროში შეიძლება განხორციელდეს პორნობიზნესში მსხვერპლის ჩათრევით (მსხვერპლის გამოყენება პორნოპროდუქციის წარმოებაში), მაგალითად, უცხოეთში გადაყვანილ გოგონებს აიძულებენ პორნოფილმებში ან პორნოჟურნალებში გადაღებას), ასევე რეალური სექსუალური მომსახურებით (პროსტიტუცია).
- შრომის ექსპლუატაცია არაკანონიერი პროდუქციის წარმოების და არაკანონიერი მომსახურების სფეროში (ამ შემთხვევაში გამოიყენება ადამიანის იძულებითი შრომა ისეთი საგნების და საქონლის წარმოებისათვის, რომელიც არ ექვემდებარება ლეგალურ ბრუნვას. ასე მაგალითად, შრომის ექსპლუატაცია სხვადასხვა იატაკქვეშა სააქმროში ნარკოტიკების წარმოებისა და გადამუშაებისთვის, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელების, იარაღის წარმოებისთვის და ა.შ.).
- შრომის ექსპლუატაცია კონფიდენციალური მასალების შეგროვების, კონკურენტების და არასასურველი პირების დისკრედიტაციის ან სულაც მათი თავიდან მოცილების მიზნით. ასეთ სპეციფიკურ მომსახურებას აწარმოებენ მეძაბეები, რომლებსაც იყენებენ გასაიდუმლოებული ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამა თუ იმ პირის მონაწილეობით სექსუალური სცენების ფარული ვიდეოგადაღებების საწარმოებლად მოცემულ პირზე სახელის გამტეხი ინფორმაციის შეკრებისა და მისი შემდგომი დაშანტაჟების მიზნით. კალინინგრადში (რუსეთი) ეგზოტიკური ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ შიღის და დაეადებული მეძაბეები, რომლებიც გამოიყენეს, როგორც “ბიოლოგიური იარაღი” და სექსობრივ პარტნიორობად შეაპარეს თავიანთ კონკურენტებს, ხოლო შემდომში ამ უკანასკნელთ უკურნებელი სენით მათი შესაძლო დაავადების შესახებ აცნობეს.

დანაშაულებრივი ბიზნესის სფეროში ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციის მაგალითად გამოდგება სწავლების იძულება შეიმუშაოს ახალი ნარკოტიკული საშუალება.

წ. ადამიანის, როგორც დონორის ან კომერციული ტეპროდუქციის მიზნით ექსპლუატაცია. შრომის ექსპლუატაციის გარდა, შესაძლებელია, აგრეთვე, ადამიანის ორგანოებისა და მისი ტეპროდუქციული ფუნქციის კომერციულად გამოყენება. შეიძლება გამოიყენოს ამგვარი ექსპლუატაციის შემდეგი სახეები: ორგანოების ტრანსპლანტაცია, კომერციული შეილოსნობა და სუროგატული დედების გამოყენება.

ტრანსპლანტაცია – ეს არის ადამიანის ორგანოების სხვა ადამიანისათვის გადანერგვა. თანამედროვე მედიცინას შეუძლია ჩაატაროს ასეთი ოპერაციების საკმაოდ ფართო ჩამონათვალი – გულის, თირკმლის, ღვიძლის, თვალის რქოვანას და სხვათა გადანერგვა. ხშირად დუხჭირი ცხოველების გამო, ადამიანები იძულებულნი ხდებიან თავიანთი ორგანოები სხეებს მიჰყიდონ და გაჭრები სარგებლობენ რა მათი გაჭირვებული მდგომარეობით, ამ პროცესს თავიანთი შემოსავლების წყაროდ აქცევენ. მსხვერპლს იბირებენ საზღვარგარეთ სამუშაოს მოენის დაპირებით და შემდეგ აიძულებენ ამა თუ იმ ორგანოს ჩაღის ფასად (დაახლოებით მომხმარებლის მიერ გადახდილი საფასურის 3%-ად) გაყიდვას. ზოგჯერ ადამიანს პირდაპირ აძლევენ წინადადებას, გაყიდოს თავისი რომელიმე ორგანო. დარბიებისთვის საკუთარი ორგანოები ზოგჯერ ერთადერთი საქონელია, რომლის გაყიდვაც მათ შეუძლიათ, რათა ოჯახი უზრუნველყონ.

კომერციული შეილოსნობა წარმოადგენს ქალის ფიზიოლოგიური უნარის – რეპროდუქციის გამოყენებას კომერციული მიზნებისთვის. ქალის ორგანიზმი გამოიყენება საორსულოდ და სამშობიაროდ. ამის შემდეგ ბავშვი ხდება სხვის ხელში, რომელიც მას ყიდის გასაშეილებლად ან სულაც მისი ორგანოების სატრანსპლანტაციოდ გამოყენების მიზნით. ამგვარი სიტუაცია შესაძლებელია, როცა, მაგალითად, საზღვარგარეთ გადაყვანილ ქალს ართმევენ თავისუფლებას და იზოლაციაში მყოფს აიძულებენ, მუცლით ატაროს ბავშვი. ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა რუსეთიდან ფეხბმომე ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიყვანეს ახალშობილების შემდგომი გაშვილების მიზნით. გაშვილების ასეთი

ვარიანტი ერთიანად ხსნიდა რამდენიმე პრობლემას: ბავშვი დაბადებისთანავე ხდებოდა აშუ-ის მოქალაქე, რითაც თავიდან აიცილებოდა შვილად აყვანის პროცესის მთელი რიგი ფორმალუბები. მაგრამ ასეთი დედის "მომსახურების" კომპენსაცია, ჩვეულებრივ მცირე იყო. საზღაურის ძირითად ნაწილს ისაკუთრებდნენ "შუამავლები", რომლებმაც იპოვეს ქალი, გაუფორმეს სამგზავრო დოკუმენტები, ჩაიყვანეს დანიშნულების ქვეყანაში, ზედამხედველობა გაეწიეს ორსულობის, მშობიარობის, მისი შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას. ტრეფიკინგის ამგვარი მეთოდი აღწერილი იყო უნგრეთში, სადაც პოლიციამ გამოაუვლინა მთელი იატაკქვეშა ქსელი, რომელიც დაკავებული იყო, ჯერ კიდევ, არდაბადებული ბავშვების გაყიდვით, ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. დაფიქსირდა 100-ზე მეტი ასეთი შემთხვევა, ხოლო უცხოეთში ფეხმძიმე ქალების გადაყვანის აწყობილი მქვანოზში 3 წელზე მეტხანს ფუნქციონირებდა<sup>20</sup>

არსებობს კიდევ ექსპლუატაციის განსაკუთრებული ფორმა, როდესაც ქალის საშეილოსნოში შეეაეთ სხვა ქალის ჩანასახი და პირველი მათგანი მუცლით სხვის ბავშუს ატარებს. ეს ე.წ. სუროგატული დედობაა. ექსპლუატაციის ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელი გახდა თანამედროვე მედიცინის განვითარების შედეგად. მას მიმართავენ მამონ, როდესაც რომელიმე ქალს არ შეუძლია, ან არ სურს 9 თვის განმავლობაში ბავშვის მუცლით ტარება და ამ მიზნისთვის სოლიდური კომპენსაციის ფასად, სხვის საშეილოსნო ორგანოებს იყენებს სუროგატული დედობისათვის. პრაქტიკულად გამოსადეგია ნებისმიერი ჯანმრთელი ქალი, რაც კრიმინალურ ბიზნესს ფართო შესაძლებლობებს უხსნის.

#### §4. ტრეფიკინგთან ბრძოლის საკანონმდებლო ღონისძიებები

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2003 წელს შეიტანეს სპეციალური მუხლები, რომელთა საფუძველზე მოხდა ადამიანთა ტრეფიკინგის კრიმინალიზება. ეს მუხლებია:

"მუხლი 143.1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (25.07.2006 №3530)

1. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მიტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უშუალო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაძალდა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უშუალო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ;

გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით.

3. იგივე ქმედება ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

<sup>20</sup> Материанство на продажу Российская газетаю 19976 26 сентября с.27

- ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;
- დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკალების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება :

- ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკალების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით”

მუხლთან დაკავშირებულ საქვეალურ შენიშვნაში კანონმდებელი იძლევა ექსპლუატაციისა და შრომის მაკელიფიცირებული თავისებურებების განმარტებას.

1. ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ანდა არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს.”

მუხლში ასევე დაფიქსირებულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა:

2. “ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით ან ჯარიმით.”  
ტრეფიკინგთან არაპირდაპირ ურთიერთობაშია კოდექსის ურთიერთობაშია შემდეგი მუხლები:

მუხლი 362. ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის. დამზადება

შენიშვნა:

ეს მუხლი არ ერცელდება პირზე, თუ აღნიშნული ქმედება ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 371. მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

მუხლი 375. დანაშაულის დაფარვა.

ამ მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული, და “ადამიანით ვაჭრობის” (ტრეფიკინგის) წინამდგე ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონით

გათვალისწინებული “ადამიანით ვაჭრობის” (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 344. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკეთა, რომელიც ითვალისწინებს ქმედებას ჩადენილს “ადამიანით ვაჭრობის” (ტრეფიკინგის) მსხვერპლადყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

2006 წლის 26 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მიიღეს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ამ კანონის მიზნებისათვის (მუხლი 3) ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143.1 და 143.2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება;
- ბ) შანტაჟი – პირის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისათვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით;
- გ) უმწეო მდგომარეობა – მდგომარეობა, როდესაც პირი სხვა პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული, როდესაც პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლს გამო არ შეუძლია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური საშუალება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას.
- დ) ექსპლუატაცია – პირის გამოყენება იძულებითი შრომისათვის ან მომსახურებისათვის, მისი დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, სექსუალური ექსპლუატაცია ან სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულება, აგრეთვე პირის გამოყენება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვისათვის ანდა სხვა მიზნით;
- ე) იძულებითი შრომა – ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;
- ვ) სექსუალური ექსპლუატაცია – პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სექსობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით;
- ზ) მონობის მსგავსი მდგომარეობა – “მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების შესახებ” გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენციითანსაზღვრული პირის სტატუსი ან მდგომარეობა;

თ) მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება – პირისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების, აკრძალვა, კულტურული იზოლაცია, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება;

ი) ადამიანთ მთავაჭრე – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143.1 ან/და 143.2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;

კ) ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – პირი, რომელსაც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მინიჭულია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად;

ლ) წარმოშობის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან რომელში მუდმივად მცხოვრები პირი არის ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი;

მ) დანიშნულების სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უწყევნ ექსპლუატაციას;

ნ) ტრანზიტის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გაელითაც ხორციელდება ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი);

ო) ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომლის მიზანია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა სახის მომსახურება მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის მიზნით;

პ) დაზარალებული – პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143.1 ან/და 143.2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

კანონში (მუხლი 4.) ფორმულირებულია ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა გაეროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კონვენციას, საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

კანონში (მუხლები 5 და 6.) აღწერილია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების შექანიზმები და სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში.

ამ ორგანიზაციების სიაში შედიან:

1. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო;



2. ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მეშვიდე მუხლის მიხედვით, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოს პროკურატურის და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნება ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი ჯგუფს უფლება აქვს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან, მათ შორის, საელჩოებისა და საკონსულოებისაგან, უშუალოდ მიიღოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

კანონი ავალდებულებს შს-ს შექმნას ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებულ საინფორმაციო ბანკი (მუხლი 8).

აღნიშნული კანონი ასევე არეგულირებს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შექმნას (მუხლი 9).

ფონდის სახელმწიფო ცენტროს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ფონდის მიზანია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა და მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსება.

მუხლი ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნას (მუხლი 10).

სპეციალური თავი (IV) არეგულირებს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივ დაცვას, დახმარებას და რეაბილიტაციას შემდეგი მუხლებით:

-მუხლი 11-12. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი;

-მუხლი 13. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებანი;

-მუხლი 14. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა;

-მუხლი 15. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება;

-მუხლი 16. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის უფლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე;

-მუხლი 17. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში;

-მუხლი 18. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები;

-მუხლი 19. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მოწყობა;

-მუხლი 20. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ უცხოელთა სტატუსი და მათი რეპატრაცია;

-მუხლი 21. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა უსაფრთხო რეპატრაცია.

საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ტრეფიკინგით დაზარალებულებს. საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომელიც არეგულირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტების და წესის შემუშავებას.<sup>1</sup> ბრძანებულების მიხედვით, სავარაუდო მსხვერპლთან პირველი შეხებისთანავე მას უნდა განემარტოს, რომ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო და ასევე დაუყოვნებლივ ეცნობოს, რომ “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს).<sup>2</sup>

ამავე ბრძანებულებებით რეგულირდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხის პროცედურები დაკავშირებული იდენტიფიკაციასთანამგვარი მიდგომა შეესაბამება სავრთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ კონვენციის დებულებებს და საშუალებას აძლევს ტრეფიკინგით დაზარალებულს, მიიღოს დახმარება ტრეფიკინგის შედეგების გადალახვის საქმეში. ამასთანავე ტრეფიკინგით დაზარალებულის ქმედებების დეკრიმინალიზაცია დაეხმარება სამართალდამცავებს ტრეფიკერების და მათი საქმიანობის მეთოდების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღებაში.

საკონტროლო კითხვები:

1. ტრეფიკინგის ცნება და დახასიათება.
2. ტრეფიკინგის სტრუქტურა კლასიფიკაცია.
3. რას ნიშნავს კომერციული რეპროდუქცია, როგორც ექსპლუატაციის ფორმა?
4. დასახელეთ საკანონმდებლო ცვლილებები ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში.
5. ტრეფიკინგთან ბრძოლის საკანონმდებლო ღონისძიებები.

## თავი 12. ტერორიზმი

### შესავალი

ტერმინები - “ტერორიზმი”, “ტერორისტები”, “ტერორისტული მოღვაწეობა” – პრაქტიკულად ყოველდღიურად ჩნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და შეშფოთებას იწვევს ჩვენს თანამემამულეებში საკუთარი აწმყოსა და მომავლის მშვიდობიანობის, საქართველოს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის გარანტირებულობის საიმედოობის გამო.

დღესდღეობით ტერორიზმთან ბრძოლის კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებს. პირველი აღნიშნულ ფენომენს იკვლევს, როგორც პოლიტიკური ხასიათის საერთაშორისო-სამართლებრივ კატეგორიას, მეორე კი, პრობლემას შეისწავლის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური კუთხით.

მსოფლიოში გატარებული მრავალი პრევენციული ღონისძიების მიუხედავად, ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემა დღეისათვის მნიშვნელოვნად აქტუალურია. ამის დასტურია ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში 2001წ. 11 სექტემბრის, მოსკოვში “ნორდ-ოსტის” 2002წ. 23-26 სექტემბრის, გორში 2005 წლის და სხვა ტერორისტული აქტები. 2004-2005 წლებში საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებული 12 დანაშაული დარეგისტრირდა.

თანამედროვე ტერორიზმი ხასიათდება ორგანიზების მაღალი დონით, სერიოზული ტექნიკური აღჭურვილობისა და მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების ქონით. ტერორიზმთან ბრძოლის ტერორისტული ორგანიზაციების კავშირები ნარკობიზნესთან და იარაღით უკანონო ვაჭრობის ქსელთან. შეიმჩნევა ტერორისტული დაჯგუფებების ზრდის დინამიკაც. ამასთანავე იზღუბა საზღვრები საერთაშორისო და ლოკალურ ტერორიზმს შორის, რასაც თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაცია და საფინანსო და საინფორმაციო სისტემების გაერთიანება განაპირობებს.

### § 1. ტერორიზმის ცნება, სახეობები და მიზეზები

ტერორიზმის განმარტება მსოფლიო მეცნიერების და დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკის ერთ-ერთი რთული პრობლემათაგანია. დღეისათვის არსებობს ტერორიზმის ცნების 200-მდე გაგება, მაგრამ მათგან არც ერთია საყოველთაოდ აღიარებული. ამის მიზეზი არა მხოლოდ მოვლენის სირთულეა, არამედ შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო დონის სუბიექტური ფაქტორებიც.<sup>1</sup>

1. ტერორიზმის ცნება. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის (ლათ. terror – შიში, საშინელება) ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ძალადობა ან მისით მუქარა ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის ან სხვადასხვა ობიექტის მიმართ ტერორისტებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური ან სხვა სახის შედეგების მისაღწევად. მსოფლიოში მეტად აღიარებულია აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ შემუშავებული განმარტება, რომელიც ტერორიზმს განიხილავს, როგორც ძალის ან ძალადობის უკანონო გამოყენებას მოქალაქეების ან საკუთრების წინააღმდეგ მთავრობის, მოსახლეობის ან მათი რომელიმე ნაწილის დაშინების და მათი მხრიდან რაიმე დათმობის იძულების მიზნით, რომლის გამართლებას საფუძვლად პოლიტიკური და საზოგადოებრივი მიზნები უდევს.

<sup>1</sup> См.: Емельянов В.П. Терроризм и преступления с признаками терроризирования: уголовно-правовое исследование. – СПб.: Издательство «Юридический центр Пресс», 2002. С. 17;

აუცილებელია აღინიშნოს, რომ იურიდიულ პრაქტიკაში ტერორიზმი განიხილება, როგორც ექსტრემიზმის უკიდურესი ფორმა. ექსტრემიზმის ქვეშ იგულისხმება:

- 1) ფიზიკური პირების და სხვადასხვა ორგანიზაციების (რელიგიური, საზოგადოებრივი და ა.შ.) მოღვაწეობა ისეთი ქმედებების დაგეგმვის, ორგანიზების და განხორციელების მიზნით, რომლებიც ორიენტირებულია ქვეყნის მთლიანობის და კონსტიტუციური წყობის საფუძვლების ძალადობრივ შეცვლაზე, მისი უსაფრთხოების მოშლაზე, ხელისუფლების ხელში ჩაგდებასა და მითვისებაზე, არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებების შექმნაზე, ტერორისტული ქმედებების განხორციელებაზე და სხვ.
- 2) ნაციტური და მსგავსი ატრიბუტივისა და სიმბოლიკის პროპაგანდა და სახალხო დემონსტრაცია;
- 3) აღნიშნული ქმედებებისადმი სახალხო მოწოდება;
- 4) აღნიშნული ქმედებების ფინანსირება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ტერორიზმის შემდეგი დეფინიცია:

*ტერორისტული აქტი, ესე იგი აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. (მუხლი 323. ტერორისტული აქტი)*

კოდექსში განიხილება ტერორიზმთან დაკავშირებული შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებები:

*მუხლი 324. ტექნოლოგიური ტერორიზმი. ტექნოლოგიური ტერორიზმი, ესე იგი ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, ათოგენური მიკროორგანიზმის, რადიოაქტიური ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა ნივთიერების გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ან ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება, რაც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. (28.12.2002წ1908)*

*მუხლი 324.1. კიბერტერორიზმი. კიბერტერორიზმი, ესე იგი კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით,- (28.12.2002წ1908)*

*მუხლი 325. საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა. საქართველოს ურზიდენტის, სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.*

*მუხლი 326. საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა. საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენელზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე ან/და მათ სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა პოლიტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით.*

ასევე:

- მუხლი 327. ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (28.12.2002 №1908).
- მუხლი 328. უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება (28.12.2002 №1908).
- მუხლი 329. მიქველად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (28.04.2006. №2937).
- მუხლი 330. სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით.
- მუხლი 331. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება (25.03.2005 №1205).<sup>2</sup>

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ყველა დეფინიცია თანხმდება იმაში, რომ ტერორიზმი ძალადობის აქტია, რომელიც სერიოზულად ემუქრება პიროვნების უსაფრთხოებას და თავისუფლებას ან ხელყოფს ადამიანების სიცოცხლეს. აღნიშნულით საერთაშორისო დეკლარაციული დოკუმენტები და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა საკმარისად ზუსტად განსაზღვრავს ტერორიზმს, როგორც კრიმინალურ დანაშაულს, რომელიც თავისი არსით წინაღუდდება საზოგადოებას და სახელმწიფოს. ყველა სხვა განსაზღვრება მხოლოდ ამ ნიშნის დამატებაა.

2. ტერორიზმის არსი. საერთაშორისო ორგანიზაციები ტერორიზმს ორგანიზებულ დანაშაულთან ერთად ტრანსნაციონალური დონის კრიმინალურ საქმიანობად აღიარებენ. დღესდღეობით მსოფლიოში 500-მდე ტერორისტული ორგანიზაციაა დაფიქსირებული, რომლებიც კავშირში არიან როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფებთან. უდავო მტკიცებულებები არსებობს პირდაპირ კავშირის შესახებ ტერორიზმსა და ორგანიზებული დანაშაულის ცალკეულ ფორმებს, კერძოდ ნარკობიზნესსა და ადამიანებით ვაჭრობას შორის, რომლებიც ტერორიზმის ფინანსირების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ.

მეცნიერებისა და პრაქტიკოსების წინაშე ისმის კითხვა: რა არის ტერორიზმი, რა მახასიათებელი ნიშნები გააჩნია მას და რომელი სტრუქტურული ელემენტებისგან შედგება დანაშაულებრივი საქმიანობის ეს სახეობა?

ჩვენი მოსაზრებით, ტერორიზმის არსის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ორიგინალური ნიშნების, დამახასიათებელი თვისებების და განმასხვავებელი თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც ტერორიზმს ახასიათებს, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ კატეგორიას. აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილ თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში გამოყოფენ მისი, როგორც დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ განმასხვავებელ ნიშნებს:

უპირველეს ყოვლისა, ის ქმნის მალალ საზოგადოებრივ საფრთხეს, რომელიც აღმოცენდება სოციალურად საშიში ქმედებების ჩადენის ან მათი ჩადენით მუქარის შემთხვევაში. ამ დროს ტერორისტული საფრთხეს უქმნის მძევლის ან იმ ადგილების სიახლოვეში მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, სადაც ტერორისტული აქტი – აფეთქება, ხანძრის გაჩენა, ტერიტორიის დაბინძურება და ა.შ. ხორციელდება.

მეორე, რაც ტერორიზმს განასხვავებს სხვა კრიმინალური აქტებისგან, მისი სახალხო, ღია დემონსტრაციაა. სხვა კრიმინალები ძალადობრივი დანაშაულის ჩადენისას პირიქით, ერიდებიან გახმაურებას და ინფორმირებულთა წრეს მხოლოდ დაინტერესებულ ან უშუალოდ მონაწილე პირებამდე ზღუდავენ. ტერორისტების მიზანი კი ქმედების ფართო

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის-სამართლის კოდექსი თბილისი 1999

განხმავრებაა. ისინი ღიად აყენებენ საკუთარ მოთხოვნებს და ხშირად ითხოვენ ტირაჟირებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მესამე, ტერორისტები წინასწარგანზრახულად ქმნიან შიშის, დაძაბულობის, დათრგუნვის ატმოსფეროს. მსგავსი ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხორციელდება არამართო ინდივიდუალურ ან ეიწროჯგუფობრივ დონეზე, არამედ მოციავს ადამიანთა ფართო მასებს და იქცევა ობიექტურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორად, რომელიც ზემოქმედებს კონკრეტულ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ სტრუქტურებზე და აიძულებს მათ, შეასრულონ ტერორისტთა ულტიმატუმები. მკვლევარები თვლიან, რომ შიშს ტერორისტები მიზანმიმართულად ნერგავენ და თავისებური ზემოქმედების იარაღად იყენებენ იმ კონკრეტული ობიექტების სამართაუად, რომლებიც შერჩეული არიან მიზნის მისაღწევად. არალეგიტიმური და არამოტივირებული ძალადობისადმი პანიკური შიშის მადეზორგანიზებული ეფექტის გამოყენება ტერორისტული საქმიანობის ძირითადი ტაქტიკური ელემენტია და არავითარ შემთხვევაში თეთომიხანი.

მეოთხე განმასხვავებელი ნიშანი ტერორიზმისა ძალადობის გამოყენებაა შემთხვევით შერჩეული პირებისა და ობიექტების მიმართ, რათა ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ სხვა პირებზე, რომლებიც ჩვეულებრივ სახელმწიფო ხელისუფლების ან ბიზნესწრეების წარმომადგენლები არიან. ამასთანავე ზემოქმედება ადამიანებზე, რომლებისგანაც ტერორისტები სასურველი შედეგის მიღებას გამოელიან, შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი. ასე მაგალითად, ნაციონალ-სეპარატისტების მიერ ტერორისტული აქტის ორგანიზება მძევლების აყვანით და ულტიმატუმის წამოყენება განიხილება როგორც პირდაპირი ზემოქმედება სახელმწიფო მმართველობაზე, მაგრამ, თუ ხორციელდება ე. წ. ანონიმური ტერორისტული აქტები (აფეთქებები, მკვლევლობები და ა.შ.) ხალხის თვალში მმართველი პარტიის დისკრედიტაციის მიზნით, რათა მისი უუნარობა წარმოჩნდეს წესრიგის დამყარებისა და დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, ეს ზემოქმედების არაპირდაპირი ფორმა იქნება.

## §2. ტერორიზმის სახეები

განსაკუთრებული სირთულის, ფორმათა მრავალსახეობისა და შეფასებებში პოლიტიკური წინააღმდეგობების გამო, არ არსებობს ერთიანი მიდგომა ტერორიზმის სახეების კლასიფიკაციისადმი.

მეცნიერები გეტაეაზობენ ტერორიზმის კლასიფიკაციის საეციფიკურ კრიტერიუმებს, სისტემატიზაციაში მოჰყავთ მისი სხვადასხვა ასპექტი, რაც, ბუნებრივია, აღნიშნული მოვლენის სირთულესა და მრავალგანზომილებიანობას აირეკლავს.

ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ ამერიკის ქვეყნების კონფერენციაზე (1970წ.), სადაც განიხილებოდა ტერორიზმისა და მისგან ადამიანთა დაცვის პრობლემები, გამოყვეს ტერორიზმის 3 ფორმა: *სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური*. შემდგომში ფორმათა რაოდენობა გაიზარდა. ამერიკელი მკვლევარების აზრით, არსებობს ტერორიზმის შემდეგი სახეები:

- ფსიქიკური და დანაშაულებრივი (ჯ. ბელი);
- რევოლუციური, სუბრევოლუციური და რეპრესიული (პ. უილკინსონი, რ. შულცი);
- ბირთვული, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და ა.შ.<sup>3</sup>

ყველაზე მეტად გავრცელებულია:

<sup>3</sup> См.: Асанов Т.Б., Федоров В.В. Формы терроризма и методы (способы) реализации террористических акций. // Терроризм: современные аспекты. Сб. науч. статей. – М., 1999. С. 91-92.

- **პოლიტიკური ტერორიზმი** - სხვადასხვა სახის ტერორისტული ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ გაუღენის მოხდენას პოლიტიკურ ლიდერებზე, ხელისუფლებაზე ან მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაზე და აიძულებენ მათ განახორციელონ ესა თუ ის პოლიტიკური აქტი ან/და მიიღონ სახელისუფლო გადაწყვეტილება;
- **ინფორმაციული ტერორიზმი** - პირდაპირი ზემოქმედება ადამიანების ფსიქიკასა და ცნობიერებაზე საჭირო აზრის ფორმირებისა გარკვეულწილად მათი ქცევის მიზანმიმართულად წარმართვისათვის;
- **ეკონომიკური** - სხვადასხვა დისკრიმინაციული ეკონომიკური ქმედებები ეკონომიკური კონკურენტების, სოციალური ჯგუფებისა და მოსახლეობის ფენების, ასევე სახელმწიფოსა და მისი ლიდერების მიმართ ტერორისტებისათვის ხელსაყრელი კონკრეტული ეკონომიკური სარგებლის მისაღებად.
- **სოციალური (საყოფაცხოვრებო) ტერორიზმი** - ქუჩის დანაშაულის გააქტივება, მზარდი კრიმინალიტეტი, ზოგადი სოციალური არასტაბილურობა და მასობრივი საყოფაცხოვრებო მოუწყობლობა.

ზოგი ავტორი გამოყოფს, ასევე ე.წ. **უანგარო ტერორიზმს**, რომლის მაგალითადც ასახვლებს რევოლუციონერი ტერორისტების საქმიანობას XX საუკუნის დასაწყისში. მათი აზრით, რევოლუციონერი-ტერორისტების ფანატიკური საქმიანობა დადებით ელემენტსაც შეიცავს, რაც მათი მოქმედების უანგარობაში და სოციალური სამართალანობისადმი სწრაფვაში გამოიხატება. აღნიშნულ თვალსაზრისს კრიმინოლოგთა უმრავლესობა არ იზიარებს.

იურიდიულ პრაქტიკაში შეიძლება შეგვიხედვს ცნება **სუიციდური ტერორიზმი**, რომელიც განიმარტება როგორც საკუთარი სიცოცხლის გაწირვისათვის მზადყოფნა განსაზღვრული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

დღეისათვის არსებობს ათამდე რელიგიური და სამოქალაქო ტერორისტული დაჯგუფება, რომლებიც სუიციდურ ტერორიზმს იყენებენ, როგორც ტაქტიკურ საშუალებას საკუთარი ან უცხო ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ დაჯგუფებებს მიეკუთვნება წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობა (“ჰამასი”) და პალესტინის ისლამური ჯიხადი ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, “ხეზბალახი”(“ალაჰის პარტია”) ლიბანში, “ეგვიპტური ისლამური ჯიხადი და “ჰამია ისლამია” (“ისლამური ჯგუფი”) ეგვიპტეში, “შეიარაღებული ისლამური ჯგუფი (GIA) ალჟირში, საერთაშორისო ჯგუფი “ბარბარ ჰალსა” (BKI) ინდოეთში, “თამილის გამათავისუფლებელი ვეფხეები” (LTTE) შრი-ლანკაში, ქურთისტანის მუშათა პარტია თურქეთში, უსამა ბენ ლადენის ტერორისტული ორგანიზაციის დაჯგუფებების ბადე – “ალ-კაიდა” აფღანეთში.<sup>4</sup>

სუიციდური ტერორიზმის მაგალითია 2002 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტრაგიკული ამბები ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში (აშშ), როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტებმა გატაცებული თვითფრინავები სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისკენ მიმართეს. შედეგად დაიღუპა 7 ათასამდე ადამიანი: მათ შორის, 266 – გატაცებულ თვითფრინავებში, 200-ზე მეტი ვაშინგტონში, 6 333 – ნიუ-იორკში. მათი უმრავლესობა დღესაც უგზო-უკელოდ დაკარგულად ითვლება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ტექნოლოგიურ ტერორიზმს, რომლის ქვეშაც იგულისხმება ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტების – ბირთვული, რადიოაქტიური, მაღალტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების, პათოგენური მიკროორგანიზმების უკანონო გამოყენება, ასევე ქალაქებისა და სამრეწველო

<sup>4</sup> См.: «Суицидный терроризм». // Уголовное право, 2002. № 3. С. 115.

ცენტრების სასიცოცხლო სისტემების, ბირთვული, ქიმიური და სხვა ობიექტების განადგურება ან ხელში ჩაგდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მიზნების მიღწევისთვის.<sup>5</sup>

ლიტერატურაში გამოყოფენ, აგრეთვე *კრიმინალურ ტერორიზმს*. ეს სახეობა განიხილება, როგორც ანგარებითი ძალადობრივი ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე მეტად რადიკალური ფორმა, რომელსაც მიმართავენ ხოლმე კრიმინალური გარჩევების დროს გაელენის სფეროთა გადანაწილებისათვის. ბიზნესკონკურენტების დაშინების ან განადგურების მიზნით კრიმინალური ტერორისტები აქტიურად იყენებენ ცვეცხლსასროლ იარაღს, ნაღმებს, ხშირად დანაშაულს ჩადიან ახელიად, სახალხოდ, ზოგჯერ სახელისუფლო და სამართალდამცავი ორგანოების თვალწინ. ამასთანავე მათი მოტივაცია არ არის მიმართული სახელმწიფო წყობილების დამხობისა და პოლიტიკური მიზნების მიღწევისკენ. ისინი მიზნად ეკონომიკურად მიმზიდველი სფეროების ან ობიექტების ხელში ჩაგდებასა და მათ მონოპოლურ ფლობას ისახავენ.

დანაშაულებრივი მოტივაციის მიხედვით, შეიძლება ტერორიზმის შემდეგი სახეობები გამოვყოთ:

- პოლიტიკური;
- რელიგიური;
- ნაციონალისტური;
- ეკონომიკური.<sup>6</sup>

### § 3. ტერორიზმის გამოვლენის ფორმები.

ტერორიზმის ფორმებად დაყოფა (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კლასიფიკაცია) პირობითი ხასიათისაა, მაგრამ მისი ამათუიმ სახის კონკრეტული თვისებების გამოყოფა აუცილებელია კანონშემოქმედებითი და კანონგამოყენებითი საქმიანობისთვის მოცემულ სფეროში.

ტერორიზმის ფორმები პრაქტიკაში გვხვდება, როგორც “სუფთა” (ანუ მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმა), ასევე შერეული სახითაც. ასე მაგალითად, საქაერო ხომალდის გატაცებას (რომელიც ტერორიზმის დამოუკიდებელი ფორმაა) ხშირად თან სდევს მგზაურებისა და ეკიპაჟის მძევლად აყვანა.

მიზანშეწონილია დაწერილებით განვიხილოთ ტერორიზმის ის ფორმები, რომლებიც უფრო მეტ საფრთხეს ქმნიან.

ა) სასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენება ტერორისტული მიზნებისთვის. საქართველოს შსს მონაცემებით, საქართველოში ათეულობით ტერორისტული აქტია განხორციელებული ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით. კერძოდ, 1995 წელს დისტანციური მართვის ბომბით სცადეს ედუარდ შევარდნაძის მოკვლა, 1999წ. განმეორებით დაესხნენ თავს ექსპრეზიდენტს ყუმბარმტყორცნითა და ავტომატური იარაღით. 2005 წელს თბილისში თავისუფლების მოედანზე მიტინგის მსვლელობისას პრეზიდენტების ბუმისა და სააკაშვილის აფეთქება სცადეს ხელის საბრძოლო ყუმბარით. 2005 წელსვე განხორციელდა ტერორისტული აქტი გორში პოლიციის რაიონულ განყოფილებასთან, რომელმაც 3 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. უკანასკნელი 10

<sup>5</sup> См.: Криминология. Под общей редакцией доктора юридических наук, профессора А.И. Долговой. – М.: Издательская группа ИНФРА • М-НОРМА, 1997. С. 517.

<sup>6</sup> კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა. საქართველოში, თბილისი 2003



წლის მანძილზე დარეგისტრირდა ათეულობით შემთხვევა რკინიგზის, ელექტროგადამცემი ხაზების, გაზგამყვანი მიწების, ხიდების და სხვ. აფეთქებები ტერორისტული მიზნებით.<sup>7</sup>

მიზეზები, რის გამოც, ტერორისტები უპირატესობას ასაფეთქებელ მოწყობილობებს ანიჭებენ, ნათელია: აფეთქება უზრუნველყოფს ტერორისტული აქტის "ეფექტურობას", ანუ მიყენებულ ზიანის მნიშვნელოვანობას. ასაფეთქებელი მოწყობილობის მომზადება არ მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ და მატერიალურ დანახარჯებს. მათი დისტანციური და საათის მექანიზმით მართვის შესაძლებლობა ზრდის ტერორისტის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, აფეთქებები ყოველთვის ფართოდ შექედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ტერორისტისთვის.

ასაფეთქებლები გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების (საქაერო და სახლვაო საშუალებების, რკინიგზის ტრანსპორტის ობიექტების და ა.შ.) განადგურებისთვის, ასევე სამიზნეულ იერიშის მიტანისთვის ტრანსპორტს გარეთ. ხაზი უნდა გაეცას ტერორისტული აქტის ამ სახის განსაკუთრებულ საშიშროებას. ინფორმაცია მსგავს დანაშაულებზე, მათი გამოვლინების საფრთხე და ტერორისტული-თვითმკვლელების გამოყენების მაღალი ალბათობა სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე.

ბ) საჰაერო ხომალდის გატაცება და სხვა სახის დანაშაულებრივი ჩარევა სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირებაში.

ტერორიზმის ამ ფორმას (საჰაერო ხომალდების გატაცება, აფეთქება) თან ახლავს ადამიანთა დიდი მსხვერპლი და განსაკუთრებული ყურადღება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან. ამით აიხსნება, რომ ტერორისტული აქტების დიდ ნაწილს საჰაერო ხომალდების გატაცება, განადგურება და სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ხელყოფის სხვა ფორმები შეადგენს. ტერორისტული მიზნებით თვითმფრინავების გატაცების განსაკუთრებით ცნობილი ფაქტებია ალჰაიდას ტერორისტების მიერ 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ჩადენილი დანაშაულები, როდესაც ერთდროულად 4 თვითმფრინავის ხელში ჩაგდების შემდეგ, თავდასხმა მოაწყვეს მსოფლიო საავტორო ცენტრზე ნიუ-იორკში და პენტაგონის შენობაზე ვაშინგტონში. აქტის შედეგად დაიღუპა 6000-მდე ადამიანი, დაინგრა ნაწილობრივ პენტაგონის და მილიანად მსოფლიო საავტორო ცენტრის შენობები, განადგურდა 4 სუპერთანამედროვე ლაინერი.

ტერორიზმის ეს ფორმა ცნობილია "საჰაერო ტერორიზმის", საჰაერო მეკობრეობის", საჰაერო ბანდიტიზმის" სახელწოდებებით. ეს ტერმინები არ წარმოადგენენ იურიდიულ ცნებებს და არც ერთი მათგანია დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლებრივ წყაროებში.

ობიექტურად ტერორიზმის აღნიშნული ფორმა მოიცავს საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდებას, მის გატაცებას და სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირებაში სხვა სახის უკანონო ჩარევას. ხელში ჩაგდების ქვეშ იგულისხმება ხმელეთზე მყოფი საჰაერო ხომალდის ძალადობრივი გზით დაუფლება, რაც მიზნად ისახავს მის შემდგომ გატაცებას.

ტერორისტები ხელში იგდებენ თვითმფრინავს იმ პირებზე თავდასხმით, რომლებიც იცავენ მას ხმელეთზე, ან ეკიპაჟზე თავდასხმით ფრენის დროს. უკანასკნელი ვარიანტის მიმართავენ ხოლმე უფრო ხშირად. მფრინავი ხომალდის მართვის კონტროლი მისი კომისის შეცვლის მიზნით ხორციელდება ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრების მიმართ.

არანაკლები საშიშროების შემცველია ის ქმედებები, რომლებსაც აერთიანებს ცნება: "სხვა არაკანონიერი ჩარევები სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში": პაერში ან დედამიწაზე მყოფი ხომალდების აფეთქება, რადიოგადამცემის დანაშაულებრივი გამოყენება თვითმფრინავის ბორტზე ყალბი სიგნალების გადაცემისთვის და სხვ.

<sup>7</sup> დლონტი გ. - ტერორიზმის ისტორია და რეალობა - კრებული დანაშაულთან ბრძოლის პრობლემები - თბილისი 2006

გ) საზღვაო ხომალდის ხელში ჩაგდება და გატაცება; სხვა სახის დანაშაულებრივი ჩარევა საერთაშორისო გემთმომოსვლის საქმიანობაში.

საზღვაო სატერიტორიო და სხვა სამოქალაქო ხომალდების, მათი ეკიპაჟების და მგზავრების ხელში ჩაგდებას, დაკავებასა და ძარცვას (მეკობრეობას) მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

“საზღვაო ტერორიზმი”, რომელიც მსოფლიოს XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაემუქრა და “მეკობრეობა” არასრულად იდენტური ცნებებია. მათი შინაარსი ნაწილობრივ მაშინ ემთხვევა ერთმანეთს, როდესაც ერთი და იგივე ქმედება (საზღვაო ხომალდის ხელში ჩაგდება) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის საზღვაო სამართლის მეკობრეობის და მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენციის გემთმომოსვლის უსაფრთხოების დაცვის ნორმებით რეგულირდება. განსხვავება ამ ორ მოვლენას შორის მათ მიზნებსა და ობიექტურ მხარეშია. მეკობრეობა ყოველთვის პირად მიზნებსა და გამორჩენას ემსახურება. მეკობრეობის ობიექტი ეკიპაჟის წევრი, მგზავრი, ხომალდის ბორტზე არსებული ქონება ან თვით ხომალდია. ამასთანავე აცულ უნდა იყოს ხომალდის გაშლილ ზღვაში ყოფნის პირობა. 1988წ. რომში ხელმოწერილი კონვენციისა და ოქმის მიხედვით, “საზღვაო ტერორიზმის” აქტის კვალიფიკაციისათვის არაა საგაღმადლო, რომ ქმედება აღინიშნულ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს.<sup>8</sup>

დ) მძევლების ხელში ჩაგდება

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვა “მძევალი” ნიშნავს ვინმეს მიერ პიროვნების ძალით დაკავებას იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ ან ორგანიზაციამ, რომელსაც ეს პირი მიეკუთვნება, რაიმე მოთხოვნები ან ვალდებულებები შეასრულოს.

მძევლის ხელში ჩაგდებას ოპერაციის დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- 1) განისაზღვრება მძევლის ხელში ჩაგდებას მიზანი და მისი მიღწევის შესაძლო გზები;
- 2) შეირჩევიან თანამონაწილეები;
- 3) მოიძიება აუცილებელი ფულადი თანხები;
- 4) შეირჩევა ობიექტი, ხორციელდება მასზე თვალთვალი;
- 5) დგინდება დაცვის არსებობა, კავშირის საშუალებები, გადაადგილების მარშრუტები;
- 6) შეირჩევა თავდასხმის ადგილი;
- 7) დგინდება რისკის ხარისხი თავდასხმისას;
- 8) შეირჩევიან ტერორისტული აქციის მონაწილეები.

არსებითი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა მიზნებსა და მოტივებს. რაც შემთხვევებში მძევლის ხელში ჩაგდებას პირები წამოაყენებენ ხოლმე “კომბინირებულ” მოთხოვნებს: გამოსასყიდსა და პოლიტიკურად მოტივირებულ პირობებს. ამავე დროს ფსიქიკააშლილ ტერორისტებს შეუძლიათ ირაციონალური, წინასწარგანუსაზღვრელი ქმედებების ჩადენა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათთან მოლაპარაკებების წარმოებისას და მძევლების გათავისუფლების აქციის მომზადებისა და განხორციელებისას.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში, დსთ-სა და დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ხშირად მოიხსენიება ტერორიზმის ისეთი ფორმა, როგორცაა მძევლის ხელში ჩაგდება სახელმწიფო და სამართალდამცავი ორგანოების შანტაჟის მიზნით.

ე) ტერორიზმის სხვა ფორმები

<sup>8</sup> См.: Ромашев Ю.С. Борьба с преступлениями международного характера, совершаемыми на море (терроризм, пиратство, незаконный оборот наркотиков и другие преступления). – М.: 2001. С. 111-112.

შეიძლება გამოეყოთ ტერორიზმის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: *“ბირთვული ტერორიზმი”*, *“ქიმიური ტერორიზმი”*, *“ეკოლოგიური ტერორიზმი”*, *“ბიოლოგიური ტერორიზმი”*.

საქართველოში რეალურად არსებობს ბირთვული ტერორიზმის საფრთხე. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სამჯერ იქნა აღკვეთილი ბირთვული მასალების კონტრაბანდის მცდელობა. ასე მაგალითად, 1996 წლის 26 იანვარს სარფში ამოიღეს 12კგ კონტრაბანდული ურანი, 1997 წლის 4 მარტს – მისი 509 გრამი, ხოლო 2006 წელს გამოიღებულ ურანის 100 გრამი.

ფართოდ იყენებენ ე.წ. *“ფსიქოლოგიურ ტერორიზმს”*. ტერორისტებს შესანიშნავად ესმით, რომ ადამიანთა მასობრივი ხოცვა ყოველთვის არაა აუცილებელი. სასურველ შედეგს შეიძლება მიადწიონ იმ შემთხვევაშიც, თუ შექმნიან, მაგალითად, მომაკვინებელი იარაღის ფელობისა და მისი გამოყენებისთვის მზადყოფნის ილუზიას. ამგვარი ფსიქოლოგიური შანტაჟით ისინი ზეწოლას ახდენენ საზოგადოებაზე.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში მომრავლდა ისეთი შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირებს და სახელმწიფო დაწესებულებებს ეგზავნებოდა წერილები, რომლებშიც მსხვილი ფულადი თანხების გაუღებლობის შემთხვევაში დივერსიული აქტების განხორციელებით იმუქრებიან.

უკანასკნელ დროს სამართალდამცავი ორგანოებისა და მეცნიერების შეშფოთებას იწვევს ტერორიზმის ისეთი ახალი ფორმა, როგორიცაა *“კიბერტერორიზმი”* (ელექტრონული, კომპიუტერული ტერორიზმი). მის ქვეშ იგულისხმება წინასწარგანზრახული მოტივირებული შეტევა კომპიუტერში დამუშავებულ ინფორმაციაზე, თავად კომპიუტერზე ან ქსელზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის, მოსახლეობის დაზინების, საომარი კონფლიქტის პროვოცირების მიზნით, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თან ახლავს სხვა რაიმე მძიმე შედეგი.

ტერორიზმის ამ ფორმის აღმოცენება დაკავშირებულია ინტერნეტის ქსელის ინტენსიურ განვითარებასა და მისი მომხმარებლების რაოდენობის ზრდასთან.

სამართალდამცავებს განსაკუთრებით აღშფოთებთ ინტერნეტის გლობალური ქსელის გამოყენებასთან დაკავშირებული ტერორისტული აქტები. თითქოსდა დაცვის პროგრამების სახით, კიბერტერორისტები ავრცელებენ ვირუსებს, რითაც ახორციელებენ კონტროლს პოლიციის, საავადმყოფოების, აეროპორტების კომპიუტერებზე. მათში არსებული ინფორმაციის გამოყენებით დამნაშავეებს შეუძლიათ ფრენის კურსს ააცილონ თვითმფრინავები, შეცვალონ ავადმყოფობის ისტორიები, გაანადგურონ დამნაშავეთა მონაცემები.

ტერორიზმის გამოვლინების ფორმათა მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ ერთი მიზანი აქვთ – აქციონ ხელისუფლება და ადამიანები საკუთარი ინტერესების მძევლად, მოსახლეობაში შიში, პანიკა და დაუცველობის გრძნობა დათესონ.

#### § 4. ტერორიზმის მიზეზები

საერთაშორისო ორგანიზაციები და მეცნიერები მუდმივად ამახილებენ ყურადღებას ტერორიზმის მიზეზებზე. ამ პრობლემის შესწავლა უმნიშვნელოვანესია ტერორიზმთან სამართლებრივი ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებისა და მათი სრულყოფის თვალსაზრისით. იმაზე, თუ რამდენად ზუსტად დადგინდება ამ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის მიზეზები, დამოკიდებულია მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობა და მათი შემდგომი სრულყოფა. კრიმინოლოგიაში დანაშაულობის მიზეზების ქვეშ იგულისხმება სოციალური მოვლენები, რომლებიც დანაშაულს თავიანთ კანონზომიერ შედეგად აქცევენ.

დანაშაულობის მიზეზებისა და პირობების კრიმინოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლების საკმაოდ ფართო არჩევანის პირობებში გამოყოფენ ფაქტორებს, რომლებიც

ტერორიზმს ცხოვრების სოციალური სფეროებისა და შინაარსის მიხედვით დაახასიათებენ. ასეთებს, როგორც წესი, წარმოადგენენ სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მართვითი, აღმზრდელობითი, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა მიზეზები, პირობები, პროცესები თუ მოვლენები, რომლებიც მოცემულ სფეროებში დანაშაულის ჩადენას უწყობენ ხელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VIII საერთაშორისო კონგრესზე დანაშაულის თავიდან აცილებისა და დანაშაულებისადმი მოსყრობის შესახებ (ჰავანა, 1990წ.) ტერორიზმის ძირეულ მიზეზებად დასახელდა: სიღარიბე, უმუშევრობა, უწიგნურობა, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფართის არქონა, განათლების სისტემის და კადრების მოზარდების სისტემის არასრულყოფილება. ცხოვრების უპერსპექტივობა, მოსახლეობის გაუცხოება და მარგინალიზაცია (ლათ. Marginalis – სოციალური ცხოვრების კიდეზე მყოფი – მაწანწალები, ლატაკები), სოციალური უთანასწორობის გამწვავება, ოჯახური და სოციალური კავშირების შესუსტება, აღზრდის დეფექტები, მიგრაციის ნეგატიური შედეგები, კულტურული თვითმყოფადობის ნგრევა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების უქმარისობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ძალადობის, უთანასწორობისა და მოუთმენლობის იდეებისა და შეხედულებების გავრცელება.<sup>9</sup>

- დღესდღეობით იურიდიულ ლიტერატურაში ტერორიზმის შემდეგი მიზეზებია აღწერილი:
1. ცხოვრების დონის შესამწევად დაცემა სოციალური დიფერენციაციის უტრეცვლენტო ზრდასთან ერთად, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის გაბოროტებას, ისეთი სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორების აღმოცენება-გაძლიერებას, როგორცაა შური, სიძულვილი, წარსულისადმი ნოსტალგია და სხვ;
  2. რეინომიკური და ენერგეტიკული კრიზისი, ფასების ზრდა, ინფლაცია;
  3. რივი სოციალური და პროფესიული ჯგუფების კრიზისული მდგომარეობა, განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეების ან იმ პირებისა, რომელთაც ასაფეთქებელ მოწყობილობებთან და ნიეთერებებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ;
  4. უმუშევრობის ზრდა, რაც ხელს უწყობს მიგრაციას, მაწანწალობას, ფსიქოლოგიურ და პროფესიულ დეგრადაციას, პიროვნების დეზორიენტაციას საბაზრო ეკონომიკის პირობებში და სხვ;
  5. მოსახლეობაში იარაღის, სამხედრო მზადების, საომარი განწყობის ფართოდ გავრცელება, რაც უკავშირდება სამხედროთა მნიშვნელოვანი ნაწილის რეალურ საომარ ქმედებებში მონაწილეობას (აელანეთის, ჩენეთის ომები); ასევე სექსუალური თანამშრომლების მიერ იძულებით პროფილის შეცვლა, რასაც არაიშვიათად კრიმინალურ სტრუქტურებში მათი ჩაბმა სდევს თან, იარაღის ხელმისაწვდომობა და სამხედროთა გამოყენების მსურველთა დიდი რიცხვი;
  6. მთავრობის ჩამოგდება ან მისი მუშაობის შეფერხება (მაგალითად, დასავლეთგერმანული “წითელი არმიის ფრაქციის” და “იტალიური წითელი ბრიგადების” საქმიანობა);
  7. ეროვნული თვითდაპყვრება (მაგალითად, სასომხეთის საიდუმლო ჯარის საქმიანობა ქვეყნის გასათავისუფლებლად);
  8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ იდეებისა და შეხედულებების გავრცელება, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობის, აუტანდობის, უთანასწორობის გაღვივებას, შთააგონებენ მოსახლეობას ტერორისტების ყოვლისშემძლეობას და სხვ.<sup>10</sup>

ამასთანავე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე უფრო ხშირად თავს იჩენს ზოლმე პოლიტიკური ტერორიზმი. პოლიტიკური ტერორიზმის, ისევე, როგორც საერთოდ პოლიტიკური დანაშაულობის დეტერმინაციაში, წამყვან როლს პოლიტიკური მიზეზები ასრულებენ. ისინი მრავალაა:

1. მმართველი ელტის მხრიდან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეპრესიები;

<sup>9</sup> Антонов В.Н. Современный терроризм: теория и реальность. // Азиатско-Тихоокеанский регион. Экономика. Политика. Право, 2002. № 2. С. 94.  
<sup>10</sup> См.: Лунесв В.В. Тенденции терроризма и уголовно-правовая борьба с ним. // Государство и право, 2002. № 6. С. 35-36.

2. მმართველი ელიტის მიერ საზოგადოებისთვის არატრადიციული სოციალ-პოლიტიკური სიახლეების თავსმობევა;
3. შიდაპოლიტიკური კონფლიქტების გამწვავება თავად სახელმწიფოს შიგნით;
4. ორი სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების შეჯახება რომელიმე რეგიონში;
5. მთავრობის მიერ ნაციონალურ პოლიტიკაში შეცდომების დაშვება;
6. ცალკეული ადამიანის, ჯგუფის, პარტიის მიერ ნაციონალური კონფლიქტის მიზანმიმართულად გაღვივება (მაგალითად, ეპაბიტების მოძრაობა);
7. სხვა სახელმწიფოს მიმართ აგრესია და ოკუპაცია, რასაც შემთხვევათა უმრავლესობაში თან სდევს მშვიდობიანი მოსახლეობის პარტიზანული მოძრაობა და მათ მიერ ბრძოლის ტერორისტული მეთოდების (მნიშვნელოვანი ობიექტების აფეთქება, ხანძრის გაჩენა და ა.შ.) გამოყენება;
8. ტერორიზმის წაქეზება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, როგორც ამას აკეთებენ ლიბანში, ირანში, ერაყში, ავღანეთში;
9. სხვა სახელმწიფოს მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილება, რასაც თან სდევს ტერორისტული აქტების განხორციელება მისი წარმომადგენლებისა და დაწესებულებების წინააღმდეგ.

დღეისათვის განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული რელიგიური აუტანლობა (რელიგიური ფანატიზმი). ტერორიზმის გავრცელების ფაქტორად უნდა დასახელდეს კორუფციაც. კორუფცია ორგანიზებული დანაშაულობის თავისებური კატალიზატორია და ჩვენ ეთვლით, რომ ამგვარად ის გაველენას ახდენს ტერორიზმის გავრცელებას. ეს გაველენა შეიძლება იყოს პირდაპირი (ტერორისტებისათვის უშუალო ხელშეწყობა) და არაპირდაპირი (მაგალითად, დახმარების გაწევა ნარკობიზნესით დაკავებული დანაშაულებრივი ორგანიზებული დაჯგუფებებისთვის, რომელთა შემოსავლები ტერორისტების განკარგულებაში ხვდება). ტერორიზმის მიზეზად უნდა ჩაითვალოს დანაშაულობის გლობალიზაციაც, რაც ზოგადად მსოფლიო გლობალიზაციის შედეგია. ეს პროცესი გაველენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ ვითარებაზე სახელმწიფოებში და მათთან ერთად ტერორიზმზეც.

#### წ5 ტერორიზმის თავიდან აცილების პრობლემები

ჩვენი აზრით, ტერორიზმის თავიდან აცილება უნდა განიხილებოდეს მინიმუმ ორ ასპექტში. ჯერ ერთი, მასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ერთერთი პირველხარისხოვანი ამოცანათაგანია; მეორე, ის წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის დონისძიებათა კომპლექსურ სისტემას, რომელიც მიმართულია, ადკვეთოს:

- ტერორისტული ორგანიზაციების (დაჯგუფებების) გაჩენა;
- ტერორისტული აქტების განხორციელება;
- ტერორიზმის შედეგები.

მოცემული კომპლექსური სისტემის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობის საზოგადოებრივი უსაფრთხოება, დაიცვას სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ინტერესები. ტერორიზმის თავიდან აცილების დონისძიებების სარეალიზაციოდ აუცილებელია ყურადღება მიექცეს ფაქტორებს, რომლებიც ართულებენ მათ ბრძობას. იგივე ფაქტორების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს მოცემული დონისძიებების სრულყოფაც. ეს გამოწვეულია იმით, რომ "თანამედროვე პირობებში ტერორიზმი ტრანსფორმირებულია სისტემატურად განხორციელებად მეტად მასშტაბურ და რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენად, რომლის მიზეზებად გვევლინებიან საზოგადოებაში არსებული და ცხოვრების ძირითად სფეროებთან დაკავშირებული მრავალგვარი წინააღმდეგობები".<sup>11</sup>

არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც გაველენას ახდენენ ტერორიზმის თავიდან აცილებაზე:

<sup>11</sup> См.: Лунев В.В. Тенденции терроризма и уголовно-правовая борьба с ним. // Государство и право, 2002. № 6. С. 35-36.

1. ტერორისტული მიმართულების დანაშაულთან ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობს უკვე ჩადენილ დანაშაულზე რეაგირების მსვლელობისას;
2. ძალადგინი სტრუქტურები არასაკმარისად კოორდინირებულნი არიან დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილების, დანაშაულებრივი დაჯგუფებების საერთაშორისო და რეგიონთაშორისო კავშირების დარღვევის და, როგორც შედეგი, ტერორისტული ორგანიზაციის ლიკვიდაციის საქმეში;
3. არ არსებობს ერთობლივი და სრულყოფილი საინფორმაციო ბანკი ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ყველა ადრე ჩადენილი დანაშაულის და მათი წევრების შესახებ;
4. საუწყებო დაწესებულებები გათიშულად აღრიცხავენ ტერორისტულ დანაშაულს, რის შედეგადაც მახინჯდება სტატისტიკური ინფორმაცია, ირღვევა სისხლის სამართლის დანაშაულების რეგისტრაციის თანმიმდევრობა, რასაც საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების დაუბლირებადმდე, ინფორმაციის ოპერატიული გაცევის შესაძლებლობის აღმოფხვრამდე მიეყვართ;
5. სამართალდაცვა ორგანოებს არ გააჩნიათ ტერორიზმში მონაწილეობის ბრალდებით სასჯელმთხილად პირების მიზანმიმართული კონტროლის სპეციალური მეთოდიკა. ეს პირები ხშირად აგრძელებენ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას, ინახავენ ცეცხლსასროლ იარაღს, მალავენ ძებნილ პირებს;
6. ოპერატიულ ქვედანაყოფებში არ მოქმედებს საიდუმლო დაცვის რეჟიმი, რაც ამცირებს ტერორისტული დაჯგუფებების, მათი საიდუმლო ბაზების და იარაღის საწყობების გამოაშკარავებისა და ნეიტრალიზაციის ეფექტურობას.
7. დაბალია მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიუობა შესაძლო ტერორისტებისა და მათი დისლოკაციის ადგილების შესახებ დროულად ინფორმირების საქმეში, განსაკუთრებით ეთნიკური კონფლიქტებისა და მათ მოსაზღვრე რეგიონებში.

ამასთანავე პრობლემატური ტერორიზმის თანამედროვე ტენდენციების საკითხი, იმ ტენდენციებისა, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული მოვლენის თავიდან აცილებისა და მისთან ბრძოლის სისტემის ეფექტურობას. ტერორიზმის ძირითად ტენდენციად უნდა დასახელდეს მის მიერ საზოგადოებრივი საფრთხის შემცველობის ზრდა. ტერორიზმი იცვლება:

- რაოდენობრივი ნამატის ტემპის მიხედვით (უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოში განხორციელდა 10 ათასზე მეტი ფართოდ ცნობილი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ასახული ტერორისტული აქტი);
- ორგანიზებულიობის დონის მიხედვით (გასული ასწლეულის განმავლობაში ტერორიზმმა გაიარა გზა ცალკე მოქმედი ერთეული ტერორისტიდან ტერორისტულ დაჯგუფებებამდე, მსხვილ ორგანიზაციებამდე, პოლიტიკურ ტერორისტულ ფორმირებებამდე და "აღქაიდას" მსგავს ტრანსნაციონალურ გაერთიანებებამდე);
- მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დონის მიხედვით (ხანჯლისა და პისტოლეტის გამოყენებიდან ტერორისტები გადავიდნენ კოლოსალური აფეთქებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების მოხმარებაზე. მათი აქციების დაფინანსება მსოფლიო ცენტრებმა იწყეს);
- ტერორისტული საქმიანობის ნაციონალური და ტრანსნაციონალური მასშტაბების მიხედვით (ტერორიზმმა დანაშაულის ერთეული ადგილებიდან მოიცვა მთელი ქალაქები, ქვეყნები, რეგიონები);
- შედეგების სიმძიმისა და ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით (ადამიანთა მსხვერპლის მატების ტემპი გაცილებით უსწრებს წინ ტერორისტული აქტების რაოდენობრივი ნამატის ზრდის ტემპს. ტენდენცია ასეთია: არასასურველი ცალკეული პირების მკვლელობებიდან ტერორისტულ აქტებს ათასობით და ათეულ ათასობით უდანაშაულო ხალხი ეწირება.
- მიზნის ხასიათისა და მოცულობის მიხედვით (დიაპაზონი საკმაოდ ფართოა - ცალკეული პირის მკვლელობიდან ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობამდე, სახელმწიფოთა ნგრევამდე და ხალხების ფაქტობრივ განადგურებამდე);
- ტერორიზმის სოციალური ბაზის გაფართოების მიხედვით (ტერორიზმის დროშის ქვეშ დგება არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური, ნაციონალური თუ რელიგიური

ორგანიზაცია, არამედ მთელი ხალხები (არაიშვითად მოტყუებულები) ან მისი მნიშვნელოვანი ფენები).<sup>12</sup>

## § 6. ტერორიზმის თავიდან აცილების ღონისძიებები

კრიმინოლოგიის ზოგად თეორიაში გამოყოფენ დანაშაულის თავიდან აცილების ორ სახეს: ზოგადს (ზოგადსოციალურს) და სპეციალურს.<sup>13</sup> პირველი საზოგადოების (მისი ყველა ინსტიტუტის) ანტიკრიმინოგენული პოტენციალის რეალიზებას ახდენს მთლიანობაში, მეორე დანაშაულის არდაშვებაზე მიზანმიმართული.

დანაშაულის თავიდან აცილების ზოგადი სახეობა მოიცავს სოციალური პრაქტიკის (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით) მსხვილ, ხანგრძლივ ფორმებს.

მაგალითად, ეკონომიკის სფეროში ეს არის წარმოების განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე, გააზრებული სტრუქტურული და ხანნივესტიციო სტრატეგია, ეროვნული ვალუტის და მთელი ფინანსური სისტემის გამყარება, ინფლაციის შერელება და ა.შ. პოლიტიკურ სფეროში ეს გახლავთ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და განვითარება, დემოკრატიის, ხელისუფლების ყველა შტოს გამყარება და სხვ. სოციალურ სფეროში (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) დიდი ანტიკრიმინოგენული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სოციალური განზრგვების სიმკვეთრის აღმოფხვრას, გატარებული მოქალაქეების მხარდაჭერას, ოჯახური ტრადიციების გამყარებას, უმუშევრობის ნეგატიური შედეგებისა და ადამიანების იძულებითი მიგრაციის შემცირებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროს, ეთნიკური ზნეობრიობა ყოველთვის წინაღუდგება დანაშაულს, უზნეობა კი პირიქით, ხელს უწყობს მას.

დანაშაულის თავიდან აცილების სპეციალური ღონისძიებები მრავალფეროვანია და მათ კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძველი აქვს. ასე მაგალითად, სპეციალური კრიმინოლოგიური ღონისძიებები განსხვავდება შინაარსის (ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-აღმზრდელი და სხვ.), მოქმედების მასშტაბის (ზოგადსახელმწიფოებრივი, რეგიონული და ა.შ.), სამართლებრივი ხასიათის მიხედვით. სამართლებრივი ხასიათის სპეციალურ კრიმინოლოგიურ ღონისძიებებში შეიძლება გამოვეთქო სამართლის ნორმებზე დაზარებული, მაგრამ ამ ნორმებით არარეგლამენტირებული (მაგალითად, სამართლებრივი განათლება, აღზრდა) და იურიდიული ნორმებით დეტალურად რეგლამენტირებული ღონისძიებები (პოლიციის ადმინისტრაციული ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებზე). არსებობს სპეციალური ღონისძიებების დიფერენციაციის სხვა საფეხლებიც. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი სრულად ეხება ტერორიზმსაც. მეცნიერებასა და პრაქტიკაში გამოყოფენ შემდეგ ანტიტერორისტულ ღონისძიებებს:

- საკანონმდებლოს;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივს;
- სისხლისსამართლებრივს;
- სოციალურს;
- ფინანსურ-ეკონომიკურს;
- პოლიტიკურს;
- სამხედროს;
- პროპაგანდისტულს;
- პროფილაქტიკურს და ა.შ.

რიგი ავტორები გეთავაზობენ, ამ კლასიფიკაციაში ჩაერთოს ნაციონალური და საერთაშორისო მონაწილეების ერთობლივი საქმიანობაც, ეთნიკური სამართლიანად თვლიან, რომ ძალადობრივი მეთოდები (მაგალითად, ტერორისტების განადგურება)

<sup>12</sup> См.: Лунеев В.В. Тенденции терроризма и уголовно-правовая борьба с ним. // Государство и право, 2002. № 6. С.36.

<sup>13</sup> См.: Криминология. / Под общей редакций доктора юридических наук, профессора А.И. Долговой. – М.: Издательская группа ИНФРА «М-НОРМА, 1997. С. 342, 347.

დასაშვებია მხოლოდ უკანასკნელ ეტაპზე.<sup>14</sup> მათი აზრით, თანამედროვე სიტუაცია ტერორიზმის შესანერგებლად საერთაშორისო შეთანხმებული პოლიტიკის გატარებას გეკარნახობს. ხელისუფლებებმა უნდა მოილაპარაკონ ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე: რომელ დიპლომატიურ ღონისძიებებს შეუძლიათ, აამაღლონ ანტიტერორისტული საქმიანობის ეფექტურობა; რა დათმობებია დასაშვები ტერორისტებთან მოლაპარაკებების წარმოებისას (ვიწინადან გასაგებია, რომ პრინციპი “ნულგოვანი ტოლერანტობა” თანამედროვე პირობებში ვერ იმუშაებს); როგორი უნდა იყოს ეკონომიკური ემბარგოს დადების შექანიზმი ტერორიზმის საონსორი სახელმწიფოების მიმართ და სხვ.

ტერორიზმის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები. მათი როლი მდგომარეობს შემდეგში <sup>15</sup>:

- მოახდინონ სამართალდამცავი ორგანოების დროული ინფორმირება საეჭვო პირების, ფორმების, ზოგიერთი ფაქტის შესახებ;
- უზრუნველყონ დაცვის არასახელმწიფო სტრუქტურების სწრაფი რეაგირების ჯგუფების ძალოვანი მხარდაჭერა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფართომასშტაბიანი ოპერატიული ღონისძიებების (დაკავება, დაპატიმრების, ჩხრეკა, ამოღებები და ა.შ.) გატარებისას.
- მონაწილეობა მიაღებინონ სამართალდამცავი ორგანოების ტერორიზმის პრობლემებთან დაკავშირებულ ყოფილ თანამშრომლებს (როგორც ექსპერტებს) სატელევიზიო გადაცემებში, გამოაქვეყნონ მათი პუბლიკაციები პრესაში და სხვ;
- შეიმუშაონ რეკომენდაციები და ჩაატარონ კონსულტაციები ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემებთან დაკავშირებით;
- მოახდინონ საზოგადოებრივი ღონისძიებების (კონფერენციების, “მრგვალი მაგიდების”, სემინარების და სხვათა) ორგანიზება სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების წარმომადგენლების ჩართვით;
- კრიზისულ სიტუაციებში უზრუნველყონ კერძო დაცვის სამსახურების თანამშრომლების ჩართვა მსხვილი ქალაქების საცხოვრებელი კვარტლების პატრულირებაში;
- მონაწილეობა მიიღონ ტერორიზმთან მებრძოლ საერთაშორისო მოძრაობებში და საზოგადოებრივი კომიტეტების მუშაობაში;

უზრუნველყონ არასახელმწიფო საწარმოების მიერ სამართალდამცავი ორგანოების, სპეციალური და კერძო დაცვის სამსახურებისათვის იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების და ნივთიერებების აღმოჩენის სპეციალური ტექნიკის, აგრეთვე აფეთქებისაგან დამცავი საშუალებების (მაგალითად, რადიოასაფეთქებლების ბლოკირატორების) შემუშავება, წარმოება და მიწოდება; ადამიანების თავმოყრის ადგილებში ამ ტექნიკით საკონროლო-გამშვები პუნქტების აღჭურვა.

ტერორიზმის თავიდან აცილების სისტემაში განაკუთრებული ადგილი უჭირავთ შემდეგ სპეციალურ სუბიექტებს:

1. *საქართველოს გენერალური პროკურატურა.* თავისი კომპეტენციის ფარგლებში მეთვალყურეობას უწევს ტერორიზმის ფაქტების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების კანონიერებას და ხარისხს, მათ გამოძიებას.
2. *საქართველოს თავდაცვის სამინისტრო* უზრუნველყოფს მის შეიარაღლებაში მყოფი მასობრივი დაზიანების, სარაკეტო და დსრგობრივი იარაღის, საომარი საშუალებების, ასაფეთქებელი ნივთიერებების უსაფრთხოდ შენახვას, სამხედრო ობიექტების დაცვას; გარდა ამისა, ის მონაწილეობს ეროვნული საზღვაო ხომალდების, საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარებაში.

<sup>14</sup> См.: Величко В. Некоторые аспекты проблемы борьбы с терроризмом в России. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М., 2002. С. 62.

<sup>15</sup> См.: Левицкий Ю.В. Роль негосударственных предприятий безопасности в федеральной системе мер борьбы с терроризмом. // Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма. – М.: «Международные. отношения», 2002. С. 114-115.



3. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გამოაქვს და აღკვეთს ტერორისტების მიერ საქართველო-რუსეთის საზღვრის გადმოკვეთას, რუსეთის ტერიტორიიდან იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების და სხვა ისეთი სახის საგნების უკონო გადმოტანას, რომლებიც შეიძლება ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად გამოიყენონ.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ეწევა ტერორიზმის პროფილაქტიკას, გამოაქვს და აღკვეთს, როცა ტერორისტული დანაშაული ანარაგებოთ მიზნებს ისახავს. ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს მეშვეობით, მასზე დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში, ხელს უწყობს სხვადასხვა სახელმწიფოების ურთიერთქმედებას ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების ძებნა და სიხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მათი მიცემის უზრუნველსაყოფად. ცენტრში შექმნილია საინფორმაციო ბაზა, რომელიც სისტემატურად ახდლება ადგილობრივ და საერთაშორისო წყაროებზე დაყრდნობით. აქ ხდება მონაცემების ეკუთვლილება, ანალიზი, ტერორისტული საფრთხის ოპერატიული შეფასება.

§ 7. სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმთან საბრძოლველად

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ცალკეული ქვეყნის განკერძოებული ქმედებები არასაკმარისია ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად. ამ მიზნით უნდა გაერთიანდეს მსოფლიო ყველა ქვეყანა, მითუმეტეს მსოფლიო პროცესების გლობალიზაციის პირობებში. საჭიროა საერთაშორისო კომპლექსური მიდგომებისა და ერთიანი მეთოდის შემუშავება ტერორისტული გამოვლინებების აღსაქვეთად.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი უკვე მოიცავს უნივერსალური და რეგიონური ხასიათის საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე არეგულირებენ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას ამ კუთხით. მათ მიეკუთვნება: ენევის ტერორიზმთან ბრძოლის 1937 წლის კონვენცია, ვაშინგტონის 1971 წლის კონვენცია ტერორისტული აქტების თავიდან აცილებისა და სასჯელის შესახებ, ევროპის 1977 წლის ტერორიზმის აღკვეთის კონვენცია და სხვ.

მსოფლიო საზოგადოებას უკვე აქვს ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის გარკვეული გამოცდილება, კერძოდ:

- სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებზე 1930, 1931, 1934 წწ. მიიღეს ტერორიზმთან წინააღმდეგქმედების რეზოლუციები. 1937 წეს ასეთივე კონვენცია შეიმუშავა ეროვნებათა ლიგამ;
- XX საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლისადმი მიძღვნილ ყოველ სესიაზე ინტერპრეტაციის ამათუილ ხარისხით დგებოდა ზოგადად ტერორიზმისა და კერძოდ საერთაშორისო ტერორიზმის საკითხი. (მაგალითად, V და VI სესიებზე 1980 და 1982 წლებში; კომიტეტის 1990 წლის XI სესიაზე მხარი დაუჭირეს I/III გადაწყვეტილებას "ტერორისტული დანაშაულებრივი საქმიანობის" შესახებ, რომელიც უკვე აისახა ზოგადად სისხლის სამართლის სერვის ექსპერტების დამოკიდებულება საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემისადმი)
- გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ათეულზე მეტი ანტიტერორისტული დოკუმენტი;
- შექმნილია და მოქმედებენ საერთაშორისო სტრუქტურები, რომელთა ფუნქციები მთლიანად ან ნაწილობრივ ტერორიზმთან წინააღმდეგქმედებაა. ასეთებია ინტერპოლი, ევროპოლი, დსო-ს ანტიტერორისტული ცენტრი და სხვ.
- არაბული ქვეყნების ლიგის შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს მე-13 სესიაზე მიიღეს ტერორიზმთან ბრძოლის "ქვეყის კოდექსის" პროექტი. იგი კრძალავს ნაციონალური ტერიტორიის გამოყენებას ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, ასევე ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ფინანსური, მატერიალური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენას.

საქართველომ ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო მემორანდუმს სამოქალაქო ავიაციის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი ოპერატიული უთიერთქმედების ფორმებს ტერორიზმის საფუძველზე აღმოცენებულ კრიტიკულ სიტუაციებში. ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით საფუძველი ეყრება ნაყოფიერ თანამშრომლობას აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან, თურქეთთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან. ამ კუთხით საქართველო თანამშრომლობს, აგრეთვე დსთ-ს მონაწილე ქვეყნებთან. თანამშრომლობას ახორციელებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამოქალაქო და სამხედრო უწყებები:

- საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (ცენტრი რეგულარულად აწვდის აღნიშნულ დეპარტამენტს ინფორმაციას იმ პირთა შესახებ, რომელნიც ეჭვმიტანილი არიან ტერორისტულ საქმიანობაში);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი (საფუძველი ჩაეყარა მონაცემთა გაცვლის თანამედროვე სისტემას);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი (მხოლოდ ცენტრთან შეთანხმებით ხდება ე.წ. „შეზღუდული ქვეყნები“-დან მოქალაქეთა დაშვება საქართველოს ტერიტორიაზე);
- ფინანსური მონიტორინგის სამსახური (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია);
- თანამშრომლობა და კოორდინაცია საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ-ქვეყნებთან: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, მეზობელი სახელმწიფოები;

#### საკონტროლო კითხვები

1. რა არის ტერორიზმის არსი?
2. დაასახელეთ ტერორიზმის სახეები.
3. დაასახელეთ ტერორიზმის გამოვლენის ფორმები.
4. რა არის ტერორიზმის მიზეზები?
5. ტერორიზმის თავიდან აცილების საერთაშორისო მეთოდები.
6. ტერორიზმის თავიდან აცილების ღონისძიებები.
7. ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებები.

	საერთაშორისო კონვენციები	მისამართი ინტერნეტში
1.	საერთაშორისო კონვენცია ბირთული ტერორიზმის აქტებთან ბრძოლის შესახებ - 2005	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/nucl_ter.html">http://www.un.org/russian/document/convents/nucl_ter.html</a>
2.	საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ 1999	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/terfin.htm">http://www.un.org/russian/document/convents/terfin.htm</a>
3.	საერთაშორისო კონვენცია ბომბების ტერორიზმის წინააღმდეგ - 1997	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/bombing.htm">http://www.un.org/russian/document/convents/bombing.htm</a>
4.	საერთაშორისო კონვენცია პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებების მარკირების შესახებ 1991	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/terrorism.htm#1988">http://www.un.org/russian/document/convents/terrorism.htm#1988</a>
5.	საერთაშორისო კონვენცია კონვენცია უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, მიმართულია საზღვაო გემების მიმოსვლის წინააღმდეგ 1988	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/maritime.html">http://www.un.org/russian/document/convents/maritime.html</a>
6.	სტაციონალური პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან ბრძოლის რეჟიმი	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/shelf_security.html">http://www.un.org/russian/document/convents/shelf_security.html</a>
7.	აეროპორტებში უკანონო ძალადობის აქტებთან ბრძოლის რეჟიმი	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/airports.htm">http://www.un.org/russian/document/convents/airports.htm</a>
8.	მგებლების აყვანასთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია 1979	<a href="http://www.un.org/russian/document/gadocs/convs/r34-146.pdf">http://www.un.org/russian/document/gadocs/convs/r34-146.pdf</a>
9.	დიპლომატიური აგენტების და სხვა საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების დაცვის კონვენცია - 1973	<a href="http://www.un.org/russian/document/gadocs/convs/r28-3166.pdf">http://www.un.org/russian/document/gadocs/convs/r28-3166.pdf</a>
10.	სამოქალაქო ავიაციაში უსაფრთხოების დაცვის კონვენცია	<a href="http://www.un.org/russian/document/convents/aviation_security.html">http://www.un.org/russian/document/convents/aviation_security.html</a>
11.	ავიაციაში უკანონო აქტების წინააღმდეგ კონვენცია 1970	<a href="http://www.un.org/russian/terrorism/seiz.pdf">http://www.un.org/russian/terrorism/seiz.pdf</a>

## თავი 13. კორუფციული დანაშაული

### 1 კორუფცია, როგორც მოვლენა (ისტორიული ექსპურსი)

კორუფციის შესახებ უძველესი დროიდან არის ცნობილი. იგი მოხსენიებულია ჯერ კიდევ ეგვიპტის, მესოპოტამიის, იუდეველთა, ინდოეთისა და ჩინეთის – თითქმის ყველა ძველადამოსავლური ცივილიზაციის ცენტრებში არსებულ სახელმწიფო მართვის ხელოვნების შესახებ შექმნილ რელიგიურ თუ იურიდიულ ნაშრომებში.

კორუფციულ მოვლენებს ყურადღება ეთმობათ ბიბლიაშიც. კერძოდ, ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „რადგან ეუწყი უამრავი თქვენი დანაშაული და მძიმე ცოდვები, მართალს ავიწროებთ, ქრთამს იღებთ და სამსჯავროდან სდევნით ღარიბ-ღატაკთ“.<sup>1</sup>

რუსეთის იმპერიაში კორუფცია მჭიდროდაა გადახლართული ფაეორიტეზთან. ცნობილია ფაეორიტებისა და ჩინონიკების კორუფციული საქმიანობის მრავალრიცხოვანი ეპიზოდი.

საბჭოთა კავშირში ხელისუფლება პირველივე დღეებიდან ებრძოდა ამ მოვლენას. უკვე 1918 წლის 8 მაისს მიიღეს დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“; სადაც ქრთამის აღებისთვის პასუხისმგებლობა ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 5 წლის ვადით და ამავე ვადით იძულებით სამუშაოებს. შემდგომში აღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობას აწესრიგებდნენ 1926, 1960 წლების საქართველოს სსსრ-ის სამართლის კოდექსები. ისინი ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, მექრთამეობის შუამავლობისა და ქრთამის პროვოცირებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ კორუფციასთან ბრძოლის ისტორია რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა. ჯერ ერთი, კორუფცია ოფიციალურ დოკუმენტებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორც ცნება და როგორც მოვლენა არ იყო დაკანონებული. მის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინები: „მექრთამეობა“, „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“, „ნებითი მიმწიფობა“ (ანუ ნებაზე მიშვება) და ა.შ.

სსრკ-ში კორუფციის წარმოშობის მიზეზებს უკავშირებდნენ არა მეურნეობის სოციალისტური სისტემის ნაკლოვანებებს, არამედ ე.წ. ბურჟუაზიული წარსულის გადმონაშთებს. რასაკვირველია, ასეთი მიდგომა ხელს უშლიდა კორუფციის, როგორც მოვლენის ობიექტურად შეფასებასა და მის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

დამოუკიდებელი საქართველოს გარიყრაჟზე კორუფციას განაპირობებდნენ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინანდელი ტენდენციები, ე.წ. გარდამავალი ეტაპის პირობები, რაც მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა ქვეყნებისთვისაც იყო დამახასიათებელი. სწორედ ამდგომარ ტენდენციებს სდევდა თან კორუფციის ფაქტების მატება.

კორუფციის ზრდის განმაპირობებელი შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორების გარდა, როგორებიცაა ქვეყნის ისტორიული ფესვები, სახელმწიფო მანქანის დისფუნქცია, ასევე ზოგიერთი ისტორიული და კულტურული ტრადიცია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყოფით:

- ახალ ეკონომიკურ სისტემაზე სწრაფი გადასვლა, რაც არ არის განმტკიცებული სამართლებრივი ბაზითა და კულტურით;
- საბჭოთა პერიოდში ნორმალური სამართლებრივი სისტემისა და შესაბამისი კულტურული ტრადიციების არარსებობა;
- კონტროლის სისტემის რღვევა.

<sup>1</sup> ი. ბიბლია. ძველი აღთქმა. ამოს წინასწარმეტყველი 5-12

## კორუფციის ცნება

კორუფცია რთული სოციალური მოვლენაა, რომელიც უძველესი დროიდან აღმოცენდა და დღესაც არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

კორუფცია ( ლათ. corruptio) ნიშნავს საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და თანამდებობის პირთა მოსყიდვას, მომსყიდველობას და გამყიდველობას.

კორუმპირებულობა ( ლათ. corrumpere) –ფულის ან სხვა მატერიალური სიკეთით ვინმეს მოსყიდვაა.

რომის სამართალში „corrumpere“ ზოგადად გულისხმობს დაზიანებას, გატეხვას, განადგურებას, მოსყიდვას, სასამართლო პრაქტიკაში მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს. ასეთი ცნება წარმოიშვა ორი ლათინური სიტყვის შეჯერებით, „correi“ ნიშნავს განსაზღვრული საგნის ირგვლივ ვალდებულებითი ურთიერთობების ერთი რომელიმე მხარის რამდენიმე მონაწილეს, „rumpere“ კი – მტერეკვას, დაზიანებას, გაუქმებას. ამის შედეგად წარმოიშვა დამოუკიდებელი ტერმინი, რომელიც გულისხმობს რამდენიმე პირის (არანაკლებ ორისა) თანამონაწილეობას სასამართლო ან საზოგადოებრივი საქმეების მართვის პროცესების ნორმალური მსვლელობის დარღვევისაკენ მიმართულ საქმიანობაში.

სამცნიერო, სასწავლო და საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ ლიტერატურაში არსებობს კორუფციის სხვადასხვა განსაზღვრება. ძირითადად მას განმარტავენ, როგორც თანამდებობის პირთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ქრთამით მოსყიდვას.

ფართო გაგებით, კორუფცია არის სოციალური მოვლენა, რომელიც ზიანს აყენებს მმართველობის საჯარო აპარატს, რაც გამოიხატება ხელისუფლების გარყენაში, სახელმწიფო და მუნიციპალურ მოსამსახურეთა ან სახელმწიფო ფუნქციების აღსასრულებლად უფლებამოსილ სხვა პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის, დაკავებული თანამდებობის სტატუსისა და ავტორიტეტის ანგარებით მიზნებით განზრახ ბოროტად გამოყენებაში პირადი გამდიდრების ან ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

გაეროს საცნობარო დოკუმენტში კორუფციასთან საერთაშორისო ბრძოლის შესახებ, კორუფცია განისაზღვრება, როგორც „სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით“. ეს ცნება მოიცავს მექრთამეობას (დაკისრებული ვალდებულებებიდან გადაცდენას ჯილდოს მიღების საფასურად), ნეპოტიზმს (შემოსულებთან და სარგებლობის თანამდებობებზე ნათესაეების ან ე.წ. “თავისი ხალხის” დანიშვნას) და პირადი სარგებლობის მიზნით საჯარო საშუალებების უპაიროს მითვისებას.

კორუფციის ბევრად უფრო ფართო განმარტებას იძლევა ევროსაბჭოს დისციპლინარული ჯგუფი. მათი აზრით, კორუფცია წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობებზე და კერძო სექტორში მომუშავე პირთა, დამოუკიდებელი აგენტების და სხვა სტატუსის მქონე მოსამსახურეთა მექრთამეობას ან მათი მხრიდან ნებისმიერ სხვა ისეთ არამართლზომიერ ქმედებას, რასაც თან სდევს დარღვევები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას და მიზნად ისახავს თავიანთთვის ან მესამე პირთათვის უპაიროს სარგებლის მიღებას.

კორუფციის განმარტების მრავალფეროვნება ადასტურებს ამ მოვლენის სირთულეს და მისი უფრო ღრმა და ყოველმხრივ შესწავლის აუცილებლობას. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, ყურადღება გამახვილდეს შემდეგ ორ ასპექტზე: პირველი - მოხდეს აღნიშნული მოვლენის შეცნობის თეორიული დონის გაღრმავება, კერძოდ, მისი კატეგორიული აპარატის ფორმირება; კორუფციის წარმოშობისა და განვითარების მიზეზების, საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე მისი გავლენის

შესწავლა; მეორეც, - შემუშავდეს კორუფციის მკვეთრად სამართლებრივი განსაზღვრება და ჩამოყალიბდეს მასთან ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებების სისტემა.

კორუფციული ურთიერთობების სუბიექტებად გამოდიან, ერთი მხრივ, თანამდებობის პირები, ხოლო მეორე მხრივ, ლეგალური და არალეგალური კერძო სექტორის წარმომადგენლები.

კორუფციის ობიექტი კი პრაქტიკულად შეიძლება იყოს ყველა დადგენილი და კანონით დაცული საზოგადოებრივი და სამეურნეო ურთიერთობა.

## კორუფციის სახეები

საქმიანობის სფეროს მიხედვით საჭიროა განვასხვაოთ კორუფციის შემდეგი სახეები:

1. კორუფცია სახელმწიფო მართვის სფეროში;
2. საპარლამენტო კორუფცია;
3. კორუფცია წარმოებებში.

კორუფციას სახელმწიფო მართვის სფეროში განაპირობებს სახელმწიფო მოსამსახურის (ჩინოვნის) უფლება განკარგოს სახელმწიფო რესურსები და შესაძლებლობა იმისა, რომ გადაწყვეტილებები მიიღოს არა სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფო მოსამსახურეთა იერარქიული მდგომარეობის მიხედვით კორუფცია შეიძლება დაიყოს მაღალ და დაბალთანამდებობრივი მოსამსახურეების კორუფციად. პირველი გავრცელებულია პოლიტიკოსებს, მაღალი და საშუალო დონის ჩინოვნიკებს შორის და დაკავშირებულია მათ მიერ მაღალღირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების რეალიზაციასთან (ეინმეს სასარგებლოდ ხელსაყრელი კანონების ფორმულირება, სახელმწიფო დაკეთების მიცემა, საკუთრების ფორმების შეცვლა და ა.შ.) მეორეს ეხედებით საშუალო და შედარებით დაბალი რანგის მოსამსახურეთა დონეზე და რეალიზდება ჩინოვნიკებსა და მოქალაქეთა ყოველდღიურ ურთიერთობებში (ჯარიმები, რეგისტრაციები და ა.შ.)

ზშირად კორუფციულ გარიგებაში დაინტერესებული ორივე მხარე ერთი და იგივე სახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან. მაგალითად, როდესაც ჩინოვნიკი აძლევს ქრთამს თავის ხელმძღვანელს იმისთვის, რომ მან დაფაროს ქრთამის გამღების კორუფციული საქმიანობა. ეს არის ე.წ. "ვერტიკალური" კორუფცია. იგი, გამოდის მაღალი და დაბალთანამდებობრივი მოსამსახურეების კორუფციების დამაკავშირებელი ხიდის როლში. ეს განსაკუთრებით საშიში მოუვლენაა, რამდენადაც ადასტურებს კორუფციის გადასვლას დაქსაქსული სტადიიდან ორგანიზებული ფორმების სტადიაზე.

სპეციალისტთა უმრავლესობა კორუფციას მიაკუთვნებს, აგრეთვე არჩევნების დროს ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვასაც.

კონსტიტუციის შესაბამისად, ამომრჩეველს გააჩნია რესურსი, რომელსაც უწოდებენ „სახელისუფლო უფლებამოსილებას“. ამ უფლებამოსილებას ხმის მიცემით ის გადასცემს ენფისურაში მონაწილე ამა თუ იმ პირს იმ მოსაზრებით, რომ ეს უკანსკნელი შეძლებს მისი ინტერესების წარმორიგებას. ეს საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმაა. ხმების ყიდვისას ხდება გარიგება ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის. ამომრჩეველი, არღვევს დადგენილ ნორმას და ხმის სანაცვლოდ კანდიდატისაგან იღებს ფულს ან სხვა სარგებელს. კანდიდატი კი არღვევს საარჩევნო კანონმდებლობას სახელისუფლებო რესურსის მიღების იმედით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის გარიგებები პოლიტიკაში კორუფციის ერთადერთ ტიპს არ წარმოადგენს.

და ბოლოს, უნდა გამოვეყოთ კორუფცია არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში, რომლის არსებობაც სპეციალისტების მიერაა აღიარებული. ორგანიზაციის (კომერციულია თუ საზოგადოებრივი) თანამშრომელი ასევე შეიძლება განაგებდეს რესურსებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის და უკანონოდ გამდიდრდეს იმ ქმედებათა მეშვეობით, რომლებიც არღვევენ მოცემული ორგანიზაციის ინტერესებს მეორე მხარის სასარგებლოდ.

### კორუფციის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები

კორუფცია უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე: ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ ყოფაზე. მისი თანმდევი ნეგატიური შედეგები არათუ ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლასა და პროგრესს, არამედ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას.

ეკონომიკურ სფეროში კორუფცია ხელს უწყობს მთელი რიგი ნეგატიური მოვლენებისა და პროცესების წარმოშობასა და განვითარებას:

1. არღვევს საბაზრო კონკურენციის მექანიზმს, რამდენადაც მოგებული აღმოჩნდება არა ის, ვინც კონკურენტუნარიანია, არამედ ის, ვინც შეძლო ქრთამით ყვიდა უპირატესობა.
2. ხელს უწყობს ეკონომიკაში მონოპოლისტური ტენდენციების წარმოშობას, თავისუფალი კონკურენციის იდეების ფუნქციონირების დისკრედიტაციას და ეფექტურობის დაქვეითებას.
3. ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებათა არაეფექტურ განაწილებას. ეს განსაკუთრებით ეხება უკანონო გარიგებების საფუძველზე სახელმწიფო შეკეთების გადანაწილებასა და კორუფციის გამყოფას, რითაც ზარალდება სამთავრობო პროგრამების რეალიზაციის ეფექტურობა;
4. მიყვარათ შემოსავლის არასამართლიანი გადანაწილებისკენ, ხდება კორუფციული ურთიერთობების სუბიექტების გამდიდრება საზოგადოების დანარჩენ წევრთა ხარჯზე;
5. ხელს უწყობს სხვადასხვა საქონელზე და მომსახურებაზე ფასების მატებას ე.წ. კორუფციული დანახარჯების ასანახაურებლად, რის გამოც ზარალდება მომხმარებელი;
6. ქმნის სასურველ პირობებს ორგანიზებული დანაშაულისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარებისთვის, რასაც მიყვარათ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების შეტანის შემცირებისკენ, კაპიტალის საზღვარგარეთ გადინებისკენ, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ურთულესს შესაძლებლობას, უფრო ეფექტურად შეასრულოს მის წინაშე მდგარი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური ამოცანები.

### სოციალურ სფეროში კორუფცია

1. იწვევს არსებით განსხვავებას გამოცხადებულ და რეალურ ფასეულობათა შორის და საზოგადოების წევრებს უყალიბებს მორალისა და ქცევის „ორმაგ სტანდარტებს“. ამას კი იქამდე მიყვარათ, რომ საზოგადოებაში ყველაფრის საზომად იქცევა ფული; ადამიანის ღირსებას და მისდამი დამოკიდებულებას განსაზღვრავს მისი მატერიალური მდგომარეობა ქონების დაგროვების ხერხების მიუხედავად. მიმდინარეობს ადამიანთა ქცევის ცივილური სოციალური რეგულატორების – მორალური ნორმების, საზოგადოებრივი აზრის, რელიგიის კეთილსმყოფელი გავლენის – დევალაცია.
2. ხელს უწყობს ცხოვრებისეული სიკეთის უსამართლო გადანაწილებას მცირე ოლიგარქიული ჯგუფების სასარგებლოდ, რასაც შედეგად სდევს მოსახლეობას შორის ქვეყნბრივი უთანასწორობის გაზრდა, საზოგადოების დიდი ნაწილის გაღარიბება და ქვეყანაში სოციალური დამაბუღლობის ხარისხის მატება;
3. ახდენს სამართლის, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტის დისკრედიტირებას. საზოგადოების შეგნებაში ყალიბდება წარმოდგენა მოქალაქეთა დაუცველობის შესახებ, როგორც ხელისუფლების, ისე დანაშაულობის წინაშე.

## პოლიტიკურ სფეროში

1. კორუფცია ხელს უწყობს ზოგადდრონული პოლიტიკური მიზნების ჩანაცვლებას ოლიგარქიული კლანებისა და დაჯგუფებებისათვის მართვის უფლებების გაფართოებით;
2. კორუმპირებული სუბიექტები, რომლებიც თავის კაპიტალს საზღვარგარეთ მალავენ, ყალიბდებიან ე.წ. „მეხუთე კოლონად“ და ხშირად ღალატობენ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს;
3. კორუფცია ლახეარს სცემს ქვეყნის პრესტიჟს საერთაშორისო არენაზე, ხელს უწყობს მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას;
4. ის აკინებს საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი ნდობას, იწვევს იმედგაცრუებას დემოკრატიულ ფასეულობებთან მიმართებაში, რითაც შეიძლება, ხელი შეეწყოს სახელმწიფოებრივი წყობის უფრო მეტად ფორმაზე – დიქტატურაზე გადასვლას.

## §2. კორუფციის გამოვლენის ფორმები

### მექრთამეობა

მექრთამეობა – კორუფციის გამოვლენის ერთ-ერთი უძველესი და მეტად გავრცელებული ფორმაა. იგი თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში განიხილება, როგორც ანგარებითი სამსახურებრივი (თანამდებობრივი) დანაშაული, როგორც სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევის ერთ-ერთი სახეობა. ამ დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამდებობის პირი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან იღებს უკანონო მატერიალურ წახალისებას გარკვეული სამსახურებრივი ქმედების საზღაურად ან დაკავებული თანამდებობის გამო. მექრთამეობა მიეკუთვნება შედარებით უფრო ლატენტურ დანაშაულობათა რიცხვს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოვლენა საქართველოში ფართოდ გახლდათ გავრცელებული, მისი გამოვლენის სტატისტიკა მეტად მწირედ გამოიყურებოდა. გამოვლენილ დანაშაულთა შორის მექრთამეობის წილი 0,1 – 0,2%-ების ფარგლებში მერყეობდა.

სახელმწიფო ხელისუფლების აპარატისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია შრომის ანაზღაურების საჯაროობა და კანონიერება. მათ არ აქვთ უფლება წახალისების მიზნით მიიღონ ანაზღაურება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან (საჩუქრების, გადასახადების დაფარვის, ფულის, მომსახურების, გართობის, დასვენების, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების ან სხვა სახით), თუ წახალისების მიზეზი დაკავშირებული იქნება მათს თანამდებობრივ ვალდებულებებთან.

შეაქვს რა მმართველობის საჯარო აპარატის მუშაობაში რღვევის ელემენტები, მექრთამეობა ახდენს სახელისუფლებო და მმართველობითი სტრუქტურების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების დისკრედიტაციას, აკინებს მათ ავტორიტეტს, აყალიბებს სტერეოტიპს, რომ ნებისმიერი საკითხი შეიძლება თანამდებობის პირთა მოსყიდვის გზით გადაწყდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრთამის მიღება პირდაპირ კავშირშია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან, რომლებიც ეწევიან კონტრაბანდის, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვას, სწაღიან საგადასახადო დანაშაულებს, ახდენენ დატაცებას, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება კანონიერ სამეწარმეო საქმიანობას და კავშირშია სხვა დანაშაულობებთან, ყოველივე ეს კი უფრო მეტად ამბაფრებს მექრთამეობის საზოგადოებრივ საფრთხეს.

ქრთამის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა (ფული, მათ შორის უცხოური ვალუტა, სხვა საეკონომიკური ფასეულობები, ფასიანი ქაღალდები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქონელი, უძრავი ქონება და ა. შ.), აგრეთვე ქონებრივი ხასიათის სხვადასხვა სახის მომსახურება, რაც ანაზღაურებადია, მაგრამ ქრთამის ამდგომ უსასყიდლოდ ან შედარებით იაფად გადაეცემა. ეს შეიძლება იყოს სანატორიუმებში დასასვენებელი ან ტურისტული საგზურები, სამგზავრო ბილეთები,



რამე სახის დანახარჯების ან გართობის ანაზღაურება, ან/და სარემონტო, სამშენებლო, სარეგისტრაციო ან სხვა სახის მომსახურება და ა.შ.

თანამდებობის პირისათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის მიცემის ცნობილ (ჩვეულებრივ) ხერხებთან ერთად გვეხდება მექრთამეობის უფრო რთული, ევალირებული ფორმები. კერძოდ, ქრთამი შეიძლება მისცენ ან აიღონ ვითომდა სესხის სახით, არარსებული ვალის დასაფარავედ, ძვირად ღირებული ნივთების შედარებით დაბალ ფასებში ან პირიქით, ნივთის აშკარად უფრო ძვირად ყიდვა-გაყიდვის გზით, ვითომდა ბანქოს თამაშში „წაგების“ გამო, ფიქტიური შრომითი შეთანხმების მიღწევით და ქრთამის მიღების ან მისი ნათესავის თუ ნდობით აღჭურვილი პირებისთვის ანაზღაურების გამოწერის გზით ვითომდა შესრულებული სამუშაოებისათვის, ან ტექნიკური მომსახურებისთვის, ჩატარებული ლექციებისთვის ან გამოცემული ლიტერატურული ნაშრომისათვის აშკარად გაზრდილი „პონორარის“ სახით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მოხელეებს არა აქვთ უფლება აწარმოონ სხვა სახის ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა, არ შეუძლიათ, მიიღონ პონორარი პუბლიკაციებისათვის ან გამოსელებისათვის, რომლებსაც ისინი აწარმოებდნენ, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური მოხელეები. თუმცა, თანამდებობის პირის მიერ შეთავსებით მუშაობის აკრძალვას და რეგულაციები არ შეიძლება ნათვალს ქრთამის მიღებად. ამას ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ფაქტიურად არ შესრულებოდა ან ანაზღაურებადი ქმედებით შემოიფარგლებოდა ჩვეულებრივი ფუნქციური ვალდებულებების აღსრულებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით. მაშინ მოხელის მიერ მიღებული ანაზღაურება ვითომდა შეთავსებითი სამუშაოსათვის ან შრომითი შეთანხმებისათვის (კონტრაქტისათვის) წარმოადგენს უუაღიერებელ მექრთამეობას.

თანამდებობაზე კორუფცია კანონმდებლობაში უპირატესად კავშირშია ქრთამის გამოძალვის გზით მიღებასთან, პრაქტიკულად კი, უმრავლეს შემთხვევაში, მისი საფუძველი, ორმხრივი უკანონო გარიგებაა, რომლის შედეგადაც სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი, არალეგალურად „ყიდის“ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე თავის უფლებამოსილებებს, ხოლო ისინი იძენენ მათ. ამასთან, ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს როგორც ქრთამის ამღებისგან, ისე ქრთამის მიმცემისგანაც, რაც ურთოვრე შეთანხმებით მთავრდება. ამგვარი სახის ინიციატივასა და გამოძალვას შორის მეტად მცირე განსხვავებაა, მაგრამ ეს განსხვავება მაინც არის და ეს ადამიანებისთვისაც გასაგებია.

გამორიკვა, რომ ამა თუ იმ მომსახურებისათვის არსებობს არალეგალურად დაწესებული ესა თუ ის საზღაური. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა „წახალისების“ ნოტიორი სახეს უწოდეს „არატრადიციული“. მათ მიაკუთვნეს: არამატერიალური სიკეთე, შვილების უმაღლესი სწავლების საფასურის ანაზღაურება ან მათი გარანტირებული ჩარცხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, წიგნის ან სხვა სახის ნაშრომის დაწერა კორუმპირებული მოხელის სახელით, კომერციულ სტრუქტურებში აქციების მიღება, დამანაშვეთა გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან და ა.შ.

სისხლის სამართალში საზოგადოებისათვის საშიში ცვალებადი რვალიების არაზუსტი ასახვა ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული რეალური კრიმინალური სურათის სტატისტიკაზე. არამატერიალური სიკეთე არ განიხილება ქრთამად და „მატერიალური ხსიათის სიკეთის“ განმარტებაც მეტად მრავალფეროვანია.

ზემთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, კორუფციის საფუძველს, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოადგენს უკანონო ორმხრივი გარიგება აქვე დაემატებო, რომ არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს მოხელის ინიციატივურ მოსყიდვას.

უკანონო გზით მოპოვებული უფლადი სახსრების ან სხვაგვარი ქონების ლეგალიზაცია.

ლეგალიზაცია წარმოადგენს უკანონო გზით შექმნილი ქონებისა და ფულის გათეთრებას.

უკანონოდ – დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების გამოყენების ანალოზისას იკვეთება სხვადასხვა მიზანი: დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა, ძვირადღირებული ნივთების შექმნისათვის გაწეული ხარჯების დამალვა, დანაშაულებრივი ბიზნესის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების მიზნით მისი ინვესტირება, დანაშაულებრივი ბიზნესის ახალ სფეროებასა და ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევა. უკანონო შემოსავლების სწორედ ლეგალურ ეკონომიკაში ინვესტირებადი ნაწილი საჭიროებს „გათეთრებას“. ტერმინი „ფულის გათეთრება“ („გარეცხვა“, money laundering) აშშ-ში პირველად 70-80-იანი წლებში გაჩნდა ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული ფულის ამერიკის ეკონომიკაში ინვესტირების პარალელურად და ის უკანონოდ მიღებული ე.წ. „შავი“ ფულის გარეგნულად ლეგალურად გარდაქმნის პროცესს – „გათეთრებას“ („გარეცხვას“) ნიშნავს.

80-იანი წლების დასაწყისში განვითარებული ქვეყნები „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ. ამ კუთხით რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო დონეზე დაიწყო. საბანკო ოპერაციებზე კონტროლის წესებისა და მეთოდების კომიტეტმა („ბაზელის კომიტეტი“), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ბელგიის, დიდი ბრიტანიის, გერმანიის, იტალიის, კანადის, აშშ-ს, საფრანგეთის, შვეიცარიის, შვედეთისა და იაპონიის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. 1988 წლის დეკემბერში კომიტეტმა მიიღო დეკლარაცია „საბანკო სისტემის გამოყენების აღკვეთის შესახებ უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრების „გასათეთრებლად“.

დღეისათვის შექმნილია სახელმწიფოთა თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა. სახელმწიფოთაშორის დონეზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისაგან შემოსული სახსრების გათეთრება დანაშაულადაა აღიარებული, რაც დაფიქსირებულია გაეროს ვენის 1988 წლის 10 ნოემბრის კონვენციით „ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

1989 წელს – დიდი შედეგულის“ ქვეყნების მიერ შეიქმნა საერთაშორისო საფინანსო ქმედების ჯგუფი (Greup D'Action Financiere International – GAFI). ამაჰმად აღნიშნულ ჯგუფში შედის OECF წევრი სახელმწიფოები: პონგკონგი, სინგაპური და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო. 1990 წელს GAFI-მ გამოაქვეყნა ფულის „გათეთრებასთან“ ბრძოლის სპეციალური პროგრამა, რომელიც 40 რეკომენდაციისაგან შედგება. ეს რეკომენდაციები აღიარეს იმ ქვეყნებმაც, რომლებიც არ არიან GAFI-ის წევრები.

ეკონომიკურად განვითარებულ მრავალ ქვეყანაში მიიღეს დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული კანონები.

დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაცია („გათეთრება“) და მისი შეღწევა ლეგალურ ეკონომიკაში სამეურნეო სუბიექტებზე კონტროლის შემდგომი დამყარებით მრავალ ქვეყანაში შეიმჩნევა და უკიდურესად საშის მოვლენას წარმოადგენს. აზრი იმის შესახებ, რომ კრიმინალური კაპიტალები შედიან რა ლეგალურ საფინანსო ბრუნვაში, იწყებენ განვითარებულ ნაციონალურ ეკონომიკაზე მუშაობას, საეჭვოა, რომ მართებულად მივიჩნიოთ. კრიმინალური კაპიტალები მათი მფლობელების კონტროლის ქვეშ რჩება და, უპირველეს ყოვლისა, მათ მიზნებს ემსახურება. შედეგად, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკა თავიანთ ტერიტორიებზე მოქმედ დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე დამოკიდებული ხდება ხოლმე. ასე მოხდა ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგ ქვეყნებში. სამწუხაროდ, ანალოგიური საფრთხე არსებობს საქართველოშიც.

ამის გამო, უკანონო შემოსავლების „გათეთრების“ დაბლოკვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში და სამი მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა: ჯერ ერთი, იცავს ლეგალურ ეკონომიკას კრიმინალური ინვესტიციებისაგან; მეორე – იძლევა იერარქიულად

დაბალ საფეხურზე მდგომი შემსრულებლებიდან დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე გასვლის საშუალებას; და ბოლოს, არაკანონიერი შემოსავლების გამოყენებითა და კონფისკაციით ანგრევს დანაშაულებრივი ორგანიზაციების საფინანსო საფუძვლებს, ვინაიდან კრიმინალური საქმიანობის ძირითადი მიზანი – მოგების მიღება მიუღწეველი რჩება.

საქართველოში ფულის გათეთრების პრობლემა პრაქტიკულად შეუსწავლელია. მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ფულადი ან სხვა სახის ქონების ლეგალიზაციისათვის ("გათეთრებისათვის") მხოლოდ სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ჩნდება; კანონი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტმა 2005 წელს მიიღო. ამიტომ, პრაქტიკა, რომელიც შეიძლება ანალიზს დაექვემდებაროს, შედარებით მცირეა.

საქართველოში ფულის გათეთრებაზე საუბრისას, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ რიგ მნიშვნელოვან ეკონომიკურ, კრიმინოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებს. ქვეყანაში სახაზრო ეკონომიკური რეფორმების დაწყების მომენტისათვის მნიშვნელოვანი ჩრდილოვანი კაპიტალი არსებობდა. მის წარმოშობაზე არასაკმარისი კონტროლის პირობებში ის ლეგალურ კომერციულ სტრუქტურებსა და პრივატიზებულ სახელმწიფო დაწესებულებებში ინვესტირდა. შედეგად კი, სუბიექტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა კრიმინალური სტრუქტურების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

საკმაოდ მაღალ საშემოსავლო გადასახადებსა და არცთუ მყარ ფინანსურ მდგომარეობას იქითკენ მიეყვანით, რომ მრავალი ლეგალური საწარმო, ამა თუ იმ ფორმით, სრული მოცულობით არიღებდა თავს გადასახადების გადახდას.

საქართველოში, ამის შედეგად, ბრუნვა დაიწყო არალეგალურმა ნაღდმა ფულმა. გამოჩნდნენ სხვა (ცრუ) პირებზე გაფორმებული ფირმები, რომლებიც ეწეოდნენ „შავი ნაღდი ფულით უნაღდო ანგარიშსწორებას ფიქტიური ანგარიშებითა და გარიგებებით. ასეთი ფული გამოიყენებოდა ხელფასების გასაცემად, მოქრთამისათვის, აგრეთვე, წარმოებათაშორისი ანგარიშგებისათვის.

დსთ-ში შემავალ ქვეყნებს შორის მკაცრი საზღვრების არ არსებობა არაკონტროლირებადი ფულისა და საქონლის გადაზიდვის საშუალებას იძლეოდა. საქართველოში მოქმედებდნენ დანაშაულებრივი ჯგუფები დსთ-ს სხვა ქვეყნიებიდან, აგრეთვე ტრანსნაციონალური კრიმინალური კორპორაციები (თურქეთიდან, ჩინეთიდან).

ჩამოთვლილი ფაქტორები საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, განაპირობებდნენ ფულის გათეთრების გარკვეულ სპეციფიკას. „ჭუჭყიანი“ ნაღდი ფულის ლეგალურ ბრუნვაში შეტანა მნიშვნელოვანდ იოლდებოდა ლეგალურ საწარმოებს შორის არსებული არალეგალური ნაღდი ბრუნვის წყალობით.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ იქმნებოდა ფიქტიური ფირმები, რომლებიც ლეგალურ საწარმოებს ნაღდ „ჭუჭყიან“ ფულს უნაღდოდ „მიჰყიდნენ“, რისთვისაც წარმოება იხდიდა საკომისიოს 1-8%-ის ოდენობით. ამ ფირმების მეშვეობით შესაძლებელი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნაღდი ფულის გაყიდვაც. ასეთი ფირმების მფლობელებად ან ხელმძღვანელებად გვევლინებოდნენ ყალბი პირები და ფირმების რეგისტრაციაც ყალბი ან მოპარული დოკუმენტებით ხორციელდებოდა. ფიქტიური ფირმები, როგორც წესი, მუშაობდნენ არაუმეტეს სამი თვისა. ერთი კვარტლის განმავლობაში მუშაობის შემდეგ, ანგარიშგებისა და გადასახადების გადახდის მომენტის დადგომისას მათ უკვე ანგარიშზე ფული აღარ რჩებოდათ.

ბრუნვაში „ჭუჭყიანი“ ფულის მოქცევა შეიძლებოდა აგრეთვე განხორციელებულიყო საქველმოქმედო ფონდებისა და სხვა კომერციული ორგანიზაციების მეშვეობით. ფული შეიკრებოდა შეწირულობებისა და სხვა შენატანების სახით ისეთი ოდენობით, რაც არ ექვემდებარებოდა საშემოსავლო დაბეგრას.

ტრანსფერპრაისინგი (Transferpricing) გავრცელებული იყო საქესპერტო - საიმპორტო ოპერაციებში. ამ დროს დგებოდა ორი სახის ხელშეკრულება: რეალური და ფიქტიური (გაზრდილი თანხის მითითებით). ფიქტიური ხელშეკრულების მიხედვით, ფულის გადაგზავნა ხდებოდა შუამავალი ფირმისათვის, რომელიც როგორც წესი, რეგისტრირებული იყო ოფშორულ ზონაში. რეალურ და ფიქტიურ ფასს შორის განსხვავება შემოსავლის სახით ამ ფირმის ანგარიშზე რჩებოდა.

„გათეთრება“ კაზინოსა და ლატარიის მეშვეობით გულისხმობს ფულის დეკლარირებას მოგების სახით.

სესხითა და პროცენტების გადახდით შემოსავლების ლეგალიზაციისას ფულის დეკლარირება ხდება საზღვარგარეთული ფირმის ანგარიშზე. ამის შემდეგ ფირმა იძლევა სესხს ან გამოდის გარანტიად საბანკო კრედიტისა, რომელიც მიმღებისათვის ლეგალურ ფულს წარმოადგენს.

პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება დასკვნით ფაზაში „გათეთრებული“ ფულის მეშვეობით.

სახსრების განთავსება კი დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე, დამნაშავეთა ან მათ მრჩეველთა პროფესიონალურ დონეზე.

### თანამდებობრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება.

თანამდებობრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე (საშუალო სიმძიმის) დანაშაულებს.

თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრდა წარმოდგენა, რომ თანამდებობის პირმა მოცემული დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს, როგორც თავის უფლებამოსილებათა აქტიურად გამოყენებით, ასევე უმოქმედობითაც, როცა ის შეგნებულად არ ასრულებს მოვალეობებს. თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობისას რთულია ისაუბრო უფლებამოსილებების გამოყენებაზე, ეს უფრო უფლებამოსილებათა გამოყენებლობაა.

კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილებების და არა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე, სახეზე არ გვექნება დანაშაულის შემადგენლობა, თუ თავისთვის საჭირო გადაწყვეტილებას თანამდებობის პირი მიადლწევს არა საკუთარი უფლებამოსილების, არამედ სამსახურებრივი კავშირების, ავტორიტეტის, დაკავებული თანამდებობის გამოყენებით. სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედება არ არის გამოწვეული სამსახურებრივი აუცილებლობით. ამასთან სამსახურებრივი ინტერესები, რომლის საწინააღმდეგოდაც თანამდებობის პირი მოცემულ შემთხვევაში იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებებს, განისაზღვრება არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, სახელმწიფო ან მუნიციპალური დაწესებულების, სამხედრო ფორმირების ფუნქციონირების მოთხოვნილებებით, არამედ მთლიანად მმართველობის საჯარო აპარატის საქმიანობის ინტერესებითაც.

თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს თანამდებობის პირთა ისეთი ქმედებები, რომლის დროსაც ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ხდება სხვისი ქონების პირადად მითვისება ან მესამე პირისათვის საკუთრებაში მისი უკანონო გადაცემა ღირებულების ანაზღაურების გარეშე.

თანამდებობის პირის უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოვლინდეს პირის სწრაფვაში მიიღოს არაკონებრივი სარგებელი, ნაკარნახევი ისეთი ქვენაგრძნობებით, როგორებიცაა კარიერიზმი, პროტექციონიზმი, შურისძიება, შური, რეალობის შელამაზებისკენ სწრაფვა, საკუთარი არაკომპეტენტურობის მიჩქმალვა,

დაწვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება, გაწეული სამსახურისათვის უკუგება, რაიმე საკითხის გადაწყვეტისას მხარდაჭერის მოპოვება და ა.შ.

ბრალდების წაყენებისას საჭიროა კონკრეტულად იყოს მითითებული პირადი ხასიათის შესაბამისი მოტივი, რომლითაც თანამდებობის პირი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისას ხელმძღვანელობდა. იმაზე მითითება, რომ თანამდებობის პირი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა ვიწრო უწყებრივი ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესების არასწორი გაგებით, არ შეიძლება, საცმარისად ჩაითვალოს თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდების წასაყენებლად და მის პასუხისგებაში მისაცემად.

მმართველობითი საქმიანობა არცთუ იშვიათად დაკავშირებულია სხვადასხვა სახის მიწერილობითი აქტების გაფორმებასა და გაცემასთან. ასეთ წერილობით აქტებს ოფიციალურ დოკუმენტებს უწოდებენ და ისინი სამსახურებრივი სიყაღის საგანს წარმოადგენენ. ოფიციალური დოკუმენტებია ის წერილობითი აქტები, რომლებიც გაიცემა სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო თუ მუნიციპალური დაწესებულებების, მმართველობის ორგანოების და შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირთა მიერ გარკვეული ფაქტების ან მოვლენების დასადასტურებლად. მათ იურიდიული ძალა გააჩნიათ. ოფიციალური დოკუმენტები იმ პირთათვის, ვინც მათ იყენებს, წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს. ასეთი დოკუმენტები, მათი ხასიათის შესაბამისად, აუცილებლად უნდა შეიცავდნენ ოფიციალურ რეკვიზიტებს, როგორებიცაა ორგანიზაციის შტამი და ბეჭედი, ნომერი, შესრულების თარიღი და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამის თანამდებობის პირთა მიერ.

სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო სამსახურების ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების შემადგენლობისაგან განსხვავებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობრივი სიყაღის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ თანამდებობის პირი, არამედ ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მოსამსახურე, რომელიც სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოებში ასრულებს ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს.

### სამეწარმეო საქმიანობაში უკანონოდ მონაწილეობა

სამეწარმეო საქმიანობაში უკანონოდ მონაწილეობა წარმოადგენს თანამდებობის პირთა ტიპობრივ კორუფციულ დანაშაულს. კანონის შესაბამისად, სახელმწიფო აპარატის მოხელეებს ეკრძალებათ სამეწარმეო საქმიანობა, დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, ამხანაგოების ან სხვა სამეურნეო დაწესებულებების სუბიექტებად ყოფნა. სახელმწიფო სამსახურში ყოფნის პერიოდში, კანონის შესაბამისად, მოხელე ვალდებულია, საკუთარი წილი (სააქციო პაკეტი) კომერციული ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო გარანტიებით ნდობით მმართველობაში გადასცეს სხვა პირს.

საწარმოების ორგანიზების პროცესში მონაწილეობას იღებენ თვით კრიმინალური დაჯგუფებები. გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში დიდია არალეგალურ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც საგადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის გარეშე ან რეგისტრაციის დარღვევით საქმიანობენ. ხშირად ხდება „ერთჯერადი“ წარმომეობის ორგანიზება ერთ-ერთი მხრიული საქმიანობით ოპერაციის ჩასატარებლად ან კრედიტების მისაღებად, რომლებსაც შემდეგ აღარ აბრუნებენ. ამის შემდეგ ხდება ამ საწარმოს ლიკვიდაცია, დამფუძნებლები კი იძალდებიან.

საწარმოზე კონტროლის დაწესებისა და მისი უკანონო საქმიანობაში ჩაბმისათვის დანაშაულებრივი დაჯგუფებები იყენებენ ფართო საშუალებებს – პრიმიტიული რეკეტიდან

ბანკებში ორგანიზებული დაზვერვის ორგანიზებამდე, სადაც თავმოყრილია არა მხოლოდ ფულადი სახსრები, არამედ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობისა და შემოსავლების შესახებ არსებული ინფორმაციაც. ფართოდ გამოიყენება სანდო პირების ჩანჩუკვა საწარმოებში მათი მეშვეობით გარიგებებისა და მოგების შესახებ ინფორმაციების მოსაზრებლად, ან ხელმძღვანელების ჩანაცვლება პირებით, რომლებსაც კავშირი აქვთ დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. ერთი სიტყვით, სახეზეა „არაკრიმინალურ“ საწარმოთა „კრიმინალიზაციის“ პროცესი.

საგადასახადო ორგანოების საქმიანობის შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კორუფცია მჭიდრო კავშირშია ორგანიზებულ დანაშაულობასთან და წარმოადგენს საგადასახადო სისტემის მძლავრ მადესტაბილიზირებელ ფაქტორს. ეკონომიკის სფეროში კრიმინალური დაჯგუფებების ზეგავლენის გაძლიერება, მათი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ლეგალურ სუბიექტებად გადაქცევა ძირითადად კორუმპირებული ელემენტების მხრიდან პროტექციითა და მფარველობით ხდება.

შედარებით გავრცელებულია სქემა: „სახელმწიფო ჩინოვნიკი – სახელმწიფო ან სააქციო დაწესებულების ხელმძღვანელობა – ამ დაწესებულებასთან შექმნილი სხვადასხვა პროფილის შეიღობრივი პარაზიტი-ფირმებისა და კომერციული სტრუქტურების ქსელი. ასეთი ფირმების დამფუძნებელთა შემადგენლობაში შეიძინა მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა დირექტორები უშუალოდ ან სხვა პირთა წარმომადგენლობით, ზოგჯერ კი, სახელმწიფო ხელისუფლების ან დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრები. როგორც წესი, მათი მეშვეობით ხორციელდება კაპიტალის ყველაზე შემოსავლიანი ნაწილის ბრუნვა, შემოსავლების დაფარვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების „გათეთრება“ და მათი საზღვარგარეთ გატანა.

მსგავსი სურათი ტიპობრივია მრავალი რეგიონისთვის, ამასთან, სახელმწიფო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა, როგორც წესი, წამგებიანია, პარალიზებულია გადაუხდელობით. იმავდროულად, კორუმპირებული ჩინოვნიკების პროტექციის ქვეშ არსებული შეიღობრივი ფირმებისთვის იქმნება ხელშემწყობი პირობები (შეღვათები გადასახადებში, კრედიტებში, საბიუჯეტო ინვესტიციებში, ლიცენზირებაში, სარგებლიანი გარიგებების დადებაში და სხვ.)

საკრედიტო-ფინანსურ სფეროში კორუმპირებული გამოვლინებების გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების გადაცემა კომერციული ბანკების მმართველობაში. ხშირად ამას მიყვავართ იქითკენ, რომ სახელმწიფოს ფინანსური საშუალებები გამოიყენება არა მიზნობრივი დანიშნულებით, არამედ ხდება მათი გაფლანგვა და მითვისება კომერციული სტრუქტურების მიერ.

საბანკო სფეროს გამოყენება დატაცებებისა და თაღლითური ოპერაციების ჩასატარებლად მსხვილი ფულადი საშუალებების მოპოვების, კრედიტების უკანონოდ მიღება-გამოყენების, კაპიტალის ჩრდილოეთ ეკონომიკაში და საზღვარგარეთის ბანკებში არაკონტროლირებადი გადაღინების მიზნით პრაქტიკულად ყველგან აღინიშნება. კანონმდებლობის არასრულყოფილებას მიეყვავართ იქამდე, რომ მსგავს შემთხვევებში დანაშაულებებს მხოლოდ ჯარიმის გადახდა ეკისრებათ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათი მიცემის საკითხი კი არ დგება.

საქართველოში გამოყენებადი საერთაშორისო შედარებითი კვლევების მეთოდები და კორუფციის ინდიკატორები

შედარებითი კვლევები ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის შედარებას ზოგიერთი მახასიათებლის მიხედვით, რომლებიც ამ ქვეყნებს აღწერს პოლიტიკური წყობის, სამართლებრივი სისტემის, ეკონომიკური განვითარებისა და სხვა კუთხით. გამოსაკვლევი სახელმწიფოების მახასიათებლებს შორის შედარებით მეტ ინტერესს იწვევს ფაქტორები, რომლებიც კავშირში არიან კორუფციის ამა თუ იმ გამოვლენასთან. ამოცანა

მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ე.წ. „კორუფციით დასნებოვნების“ მიზეზების ახსნა და მის საწინააღმდეგოდ ეფექტური ზომების შემუშავება კონკრეტული ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

საერთაშორისო პრაქტიკაში კორუფციის შედარებითი კვლევის განმახორციელებელ ორგანიზაციათა შორის მიზანშეწონილია გამოვიყთ 16 შედარებით უფრო ცნობილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ამ კვლევების ჩამონათვალი და მათი მახასიათებლები – კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციები; კვლევების სახელწოდებები, რომლებთანაც ისინი ფიგურირებენ ლიტერატურაში (გამოყენებულია ინგლისურენოვანი დასახელებები, ვინაიდან ჩვენს ლიტერატურაში ამ კვლევებზე იშვიათად ან პრაქტიკულად არ მიუთითებენ); მონაცემთა მიღების მეთოდი (კვლევის ტიპი) გენერალურ ერთობლიობაზე მითითებით იქ, სადაც ეს საჭიროა; გამოკვლეული ქვეყნების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში მათი შერჩევის თავისებურებები.

ორგანიზაციის დასახელება	კვლევის დასახელება	კვლევის ტიპი	სახელმწ. რეგიონის რაოდენობა
"International Working Group"	International Crime Victim Survey	საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	11
Freedom House	Nations in Transit	საექსპერტო კვლევები	28, აღმ. ევროპა
Gallup International	50th Anniversary Survey	საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	44
Heritage Foundation	Index of Economic Freedom	საექსპერტო კვლევები	161
Institute for Management	Development World Competitiveness Yearbook	უმაღლესი დასაშუალო რგოლების მენეჯერთა გამოკითხვა	47
Political and Economic Risk Consultancy	Asian Intelligence Issue	მენეჯერთა გამოკითხვა	12, აზია
Political Risk Service	International Risk Guide	საექსპერტო კვლევები	135
Pricewaterhouse Coopers	Opacity Index	საექსპერტო კვლევები	35
the Economist Intelligence Unit	Country Risk Service and Country Forecast	საექსპერტო კვლევები	115
Transparency International	Corruption Perceptions Index	ინტერნალური ინდიკატორი	99-მდე
Wall Street Journal, Central European Economic Review	Annual Survey	ანალიტიკოსთა გამოკითხვა ევროპასა და აშშ-ში	26, აღმ. ევროპა
World Bank	Aggregated Governance Indicators	ინტერნალური ინდიკატორები	172-მდე
World Bank and EBRD	Business Environment and Enterprise Survey	მენეჯერთა გამოკითხვა	გარდამავალი 22, ქვეყნები
World Bank/Basel University	World Development Report	მენეჯერთა გამოკითხვა	69 + 5 (Basel)
World Economic Forum	African Competitiveness Report	უფროს მენეჯერთა გამოკითხვა	20
World Economic Forum	Global Competitiveness Report	უფროს მენეჯერთა გამოკითხვა	59

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ შედარებითი კვლევების მრავალფეროვნებაში, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა ორი კატეგორია: პირველი მათგანისთვის კორუფცია კვლევის ძირითადი ობიექტია. მეორე კატეგორიაში, კორუფციასთან ერთად, წარმოიჩინდება მკვლევარისთვის საინტერესო სხვა მახასიათებლებიც, მაგალითად, „ეკონომიკური თავისუფლების დონე“ ან „დემოკრატიის განვითარების ხარისხი“ და ა.შ.

აღნიშნული კატეგორიებისადმი კუთვნილების გარდა, შედარებითი კვლევები განსხვავდებიან შესასწავლი ქვეყნების ნაკრების შერჩევითაც. ეს შერჩევა ხორციელდება სხვადასხვა პრინციპით. კერძოდ, ხდება:

- მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ქვეყნების გამოკვლევა („მთელი მსოფლიო“);
- გარკვეულ რეგიონს მიკუთვნებული ქვეყნების კვლევა (მაგალითად, აფრიკა);
- ქვეყნების შერჩევა პრაგმატული კომერციული მიზნის შესაბამისად (მაგალითად, ინვესტიციების დაგეგმვა);
- ტრანზიტული (გარდამავალი) ქვეყნების შესწავლა, რომლებიც იმყოფებიან არასტაბილურ, ერთი ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის მდგომარეობაში (აქ, როგორც წესი, ხდება საქართველოც);

შედარებით კვლევებს შორის არსებითი განსხვავება განისაზღვრება შესასწავლი მახასიათებლების შემუშავებისადმი მიდგომით. გამოყენებული მახასიათებლების მთელი მრავალფეროვნება ასახულია შემდეგ კლასიფიკაციაში:

- „ობიექტური“ სტატისტიკა (ეკონომიკური, კრიმინალური, სოციალური და ა.შ.);
- სოციოლოგიური კვლევები (გამოკითხვები);
- ექსპერტული შეფასებები;
- ინტერვალური (აგრეგირებული) ინდექსები, რომელთა შემუშავება ხდება სხვადასხვა მკვლევარის მიერ მიღებული ერთი და იგივე სიდიდის რამოდენიმე ინდექსის სტატისტიკური განზოგადების შედეგად.

ნებისმიერ შედარებით კვლევაში ერთერთი საკვანძო საკითხი განზომილების პრობლემაა. ზემოთ მოყვანილი ჩამონათვის პირველ სტრიქონში სიტყვა „ობიექტური“ შემთხვევით არაა „ბრტყალებში“ ჩასმული. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ქვეყანაში ქალაქის მოსახლეობის წილის მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლის მიხედვით თითქმის შეუძლებელია ერთმანეთს შეედაროთ სხვადასხვა ქვეყანა, ვინაიდან „ქალაქის“ ცნების ტრაქტირება მათში ურთიერთგანსხვავებულია. ანალოგიური მიზეზით ვერ ხერხდება ქვეყნების შედარება კორუფციის დონის მიხედვით კრიმინალური სტატისტიკის საფუძველზე, მაგალითად, კორუფციაში მსჯავრდებულ პირთა რაოდენობაზე დაყრდნობით. ასეთმა მაჩვენებელმა კორუფციისთან ეფექტურად მებრძოლი ქვეყანა შეიძლება კორუმპირებული ქვეყნების რიგში მოაქციოს.

კორუფციაზე მიღებული შედეგების უტყუარობას ხშირად რესპოდენტთა გენერალური ერთობლიობის შერჩევა განსაზღვრავს. რესპოდენტების შედარებით გავრცელებულ ვარიანტებს წარმოადგენენ:

- ჩვეულებრივი მოქალაქეები;
- ბიზნესმენები შესასწავლი ქვეყნიდან;
- შესასწავლ ქვეყნებში მომუშავე უცხოელი ბიზნესმენები;
- შესასწავლი ქვეყნების ჩინოვნიკები;
- ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტების კომბინაციები.

საექსპერტო მიდგომა დაფუძნებულია შესასწავლ ქვეყნებში მომუშავე სპეციალისტების პროფესიულ დონეზე, რომელთა მოღვაწეობაც ქვეყანაში კორუფციის შესახებ ცოდნას მოითხოვს. ასეთ ექსპერტებად შეიძლება მოგვევლინონ, მაგალითად, მსხვილი



საინვესტიციო კომპანიების სპეციალისტები. როგორც წესი, ექსპერტებს უსვამენ საკმაოდ კონკრეტულ შეკითხვებს, რაც გამოითხვას შედარებით ფორმალურზე უფრო ხდის. ზოგჯერ გამოიყენება შეფასების კოლექტიური პროცედურებიც.

საერთაშორისო პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კორუფციის შესწავლას ე.წ. „ტრანზიტულ ქვეყნებში“. ეს იმით აიხსნება, რომ მათ ერთმანეთთან აერთიანებს და დანარჩენი ქვეყნებისგან განასხვავებს არტასტაბილური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალისგან აუცილებლად უნდა შეეფხოთ – ინტეგრირებულ ინდექსატორებს. მათზე წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (Transparency International) ინდექსის მაგალითზე.

Transparency International-ის (TI) სპეციალისტების მიერ შემუშავებული, „კორუფციის აღქმის ინდექსი“ („Corruption Perceptions Index“) შემდგომში CPI) გამოიყენება კორუფციის შედარებითი შეფასებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში. ეს არის სპეციალიზირებული ინტეგრალური მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოთა შედარებას კორუმპირებულობის საერთო დონის მიხედვით – ანუ ითვალისწინებს კორუფციის სხვადასხვა სახეებსა და ფორმებს, რაც თვით ინდექსის შექმნის ხერხითაა უზრუნველყოფილი.

ხაზი უნდა გაესვას, რომ CPI-ის მიზანია მოგვეცეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია კორუფციის საერთო დონე სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთთან შედარებით. იგი არ ახდენს კორუფციის იმ შემთხვევების შეფასებას, რომლებიც უკავშირდება განსახილველი ქვეყნის მოქალაქეების საქმიანობას სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე. ასეთი სახის ინფორმაციის მისაღებად CPI-ის ავტორები გვირგვინს გამოიყენებენ მათ მიერვე შემუშავებული „მეჭრთამეზობისავე მდრეკილების ინდექსი“.

CPI ანგარიშს აქვეყნებს 1995 წლიდან სხვადასხვა კვლევის მონაცემთა საფუძველზე. ამ კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში დამოუკიდებელი ინსტიტუტები ატარებენ. ინდექსში შემავალი ქვეყნების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის შესახებ საკმარის რაოდენობის სანდო ინფორმაციის არსებობაზე. განსახილველი სახელმწიფოების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 1999 წელს მათი რიცხვი 99 იყო, დღეისათვის 154-ია.

TI-ის კვლევის ობიექტი საქართველოცაა, რაც კანასკელი 10 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში კორუფციის აღქმის ინდექსის შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს მონაცემები 2002 – 2006 წლების პერიოდში.

წლები	კორუფციის აღქმის ინდექსი 2002-2006		CPI ქულები	ნდობის ხარისხი
	საქართველოს ადგილი სიაში			
2006	99 (სხვა ქვეყნები: მაღლი, მონღოლეთი)		2.8	2.5-3.0
2005	130 (ახალი გვინეა, კომბოჯა)		2.3	2.0
2004	124 (კამერუნი, ტაჯიკეთი)		1.8	2.8
2003	124 (აზერბაიჯანი, ანგოლა)		1.8	2.8
2002	85 (უკრაინა, ვიეტნამი)		2.4	2.9

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, საქართველო სერიოზულად მოიკოჭლებს კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. მაგალითად, TI-ის კვლევაში მონაწილე ქვეყანათა სიაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ის იმყოფებოდა 130-ედან 99-ე ადგილებს შორის ისეთი კორუმპირებული ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა აზერბაიჯანი, ანგოლა, მაღლი, მონღოლეთი და სხვ.

საინტერესოა TI-ის გლობალური ბარომეტრის უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემები საქართველოში კორუფციის შესახებ.

	მნიშვნელოვანი ზრდა %	უმნიშვნელო ზრდა %	დარჩა იმავე დონეზე	შემცირდა უმნიშვნელოდ %	შემცირდა მნიშვნელოვნად %	ქასუსი არ არის %
2003	35	21	11	9	1	23
2004	2	2	10	37	23	27
2005	11	9	27	33	13	8
2006	ინფორმაცია არ არის	-	-	-	-	-

ცხრილის მიხედვით, მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად ასახავს უკანასკნელი წლების პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც “ვარდების რევოლუციას” და ახალი მთავრობის ანტიკორუფციულ კამპანიას უკავშირდება. თუკი 2003 წელს მოსახლეობის 35% თვლიდა, რომ კორუფციამ მნიშვნელოვნად მოიმატა და მხოლოდ 1% მიუთითებდა მის შემცირებაზე, 2004 წელს 2%-მა განაცხადა, რომ კორუფცია გაიზარდა, ხოლო ოცდასამა პროცენტმა მისი მნიშვნელოვანი შემცირება დააფიქსირა. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია მხოლოდ წელიწადი გაგრძელდა. უკვე 2005 წლისათვის თავი იჩინეს ნეგატიურმა შეფასებებმა, 2006 წელს კი საქართველოს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ამ კვლევაში.

სხვა სერიოზულ შედარებით კვლევებს კორუფციაში, სახელმწიფო წყაროებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების შედარების საფუძველზე, 1990-1994 წლებში გაერო აწარმოებდა. კვლევების წარმოებისას გარკვეულმა სირთულეებმა იჩინეს თავი. ჯერ-ერთი, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებში კორუფციის განმარტებისა და ცნებების არაერთგვაროვნება თვით ამ მოვლენის განსხვავებულ გაგებას იწვევდა. შესაბამისად უფრო კორუმპირებულად გამოიყურებოდნენ ქვეყნები, რომლებშიც კორუფცია შედარებით ფართოდ განისაზღვრებოდა; მეორე, სახელმწიფო სტატისტიკური მონაცემები დამოკიდებული გახლდათ კორუფციასთან ბრძოლის ინტენსივობაზე – რაც უფრო ინტენსიური იყო ეს ბრძოლა, მით უფრო მეტად ფიქსირდებოდა კორუმპირებულობის შემთხვევები. ამიტომ კორუმპირებულობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო იმ ქვეყნებში, სადაც მას წარმატებულად ებრძოდნენ და არა იქ, სადაც მიწუმათებას ჰქონდა ადგილი. და ბოლოს, გაერო ძირითადად ეყრდნობოდა სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებს – აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის გამოტანის სტატისტიკას. გასარკვევი იყო, რომელი მონაცემები გამოყენებინათ კვლევის პროცესში. პირველ შემთხვევაში იქნებოდა კორუმპირებულობის ზრდის საფრთხე, მეორეში კი პირიქით – შემცირებისა.

CPI –ის ფორმირებისთვის გამოიყენება სხვადასხვა წყაროები. ის გამოითვლება უკანასკნელი სამი წლის მონაცემების საფუძველზე. მაგალითად, იეკ-ში 2006 წელს გამოყენებული იყო 2004-2006 წლების მონაცემები. ყოველ მომდევნო წელს გაითვალისწინება ამ უკანასკნელისა და წინა ორი წლის შედეგები და შესაბამისად იცვლება სოციოლოგიური გამოკითხვებისა და კვლევების ჩამტარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამონათვალიც.

CPT-ს მონაცემთა წყაროებს წაყენებათ მკაფიო მეთოდები. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მეთოდურ ერთგვაროვნებას, რაც აუცილებელია მონაცემთა შეჯერების უზრუნველსაყოფად.

TI CPT-ის შემუშავებაში გამოიყენება შემდეგი ინსტიტუტების კვლევებს:

- Freedom House (FH) — Nations in Transit;
- the Economist Intelligence Unit (EIU) — Country Risk Service and Country Forecast;
- the Institute for Management Development, Lausanne (IMD) — World Competitiveness Yearbook;

- «International Working Group» — the International Crime Victim Survey (ICVS);
- Political Risk Services (PRS) — International Country Risk Guide;
- the Political and Economic Risk Consultancy, Hong Kong (PERC) — Asian Intelligence Issue;
- the World Bank and European Bank for Reconstruction and Development (WB) — Business Environment and Enterprise Survey;
- the World Economic Forum (WEF) — Global Competitiveness Report.

TI-ის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა რეგულარულად მიმდინარე კვლევების პრიორიტეტულობა ერთჯერადთან შედარებით. ამას განაპირობებდა ის, რომ კვლევათა სერიების შედეგების შეჯამება და გაშუალდება CPT-ის ზოგად დინამიკაზე პოტენციური შეცდომების ზეგავლენის შემცირების შესაძლებლობას იძლეოდა.

ორგანიზაციები, რომლებიც აღგენს საანკეტო კითხვარს და რომელთა კვლევები საფუძვლად უდევს CPT-ის, ჩვეულებრივ, კორუფციას განმარტავენ, როგორც პირადი მიზნებით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ანუ მექრთამეობას, ხარჯვის გადამეტებას, საზოგადოებრივი ფონდების გაფლანგვას:

- ◆ IMD რესპოდენტებს სთავაზობს შეაფასონ მოჭარბებულია თუ არა მექრთამეობა და კორუფცია სახელმწიფო სფეროში;
- ◆ WEF Global competitiveness Report აგროებს მონაცემებს იმის შესახებ, ფართოდაა თუ არა გავრცელებული „არალეგალური, დამატებითი ანაზღაურება“ ექსპორტსა და იმპორტზე ნებართვის გაცემისას, ლიცენზირებისას ან დაბეგერისას;
- ◆ PERC ინტერესდება, რა ხარისხითაა წარმოდგენილი კორუფცია ქვეყანაში, სადაც რესპოდენტი მუშაობს და რამდენად აუარესებს ის წილობრივ გარემოს უცხოური კომპანიებისთვის;
- ◆ EIU კორუფციას განსაზღვრავს, როგორც თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებას პერსონალური ან ჯგუფური სარგებლის მიღების მიზნით. EIU ორიენტირებულია კორუფციის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანობის გაზომვაზე, რაც ერთ-ერთია 60-ზე მეტი იმ ინდიკატორიდან, რომლებიც რისკებისა და პროზოზიების გაზომვისას გამოიყენებიან.
- ◆ PRS განსაზღვრავს ცვლადს - „კორუფცია მთავრობაში“ და აფასებს კორუფციის გავრცელებას ზოგადად.
- ◆ FN აღგენს კორუფციის დონეს შემდგომი განმარტებების გარეშე.
- ◆ WB სვამს კორუფციასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. მათი ერთი ჯგუფი ეხება ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არსებულ კორუფციას და სახელდებულა, როგორც „სახელმწიფოს დაპყრობა“ (State Capture).

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს შესახებ მონაცემები მიღებულია მხოლოდ სამი კვლევის საფუძველზე, რაც დამახასიათებელია შედარებით დაბალი განვითარების ქვეყნებისთვის (კაიტი, ეთიოპია და სხვ.).

ზოგიერთ ნაშრომში შემოთავაზებულია კორუფციის დაყოფა ნეპოტიზმად (ნათესაუბებისა და ახლობლების სამსახურებრივი მფარველობა, ნათლიმამობა, სხვ.) და საკუთრივ ფინანსურ ანუ ფულად კორუფციად. ასეთი დაყოფის საფუძველი ნათელია. ამის მიუხედავად, აღნიშნულ კვლევებში არ ხდება კორუფციის ამ სახეობების მკვეთრი გამოჯენა. ასევე არ ხდება ადმინისტრაციული და პოლიტიკური კორუფციის შკაცირი გამოჯენაც. გამონაკლისს წარმოადგენს მსოფლიო ბანკის (WB) კვლევები, რომელიც ეფუძნება იმ ვარაუდებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დომინირებს უმაღლესი პოლიტიკური კორუფცია, ზოგიერთში კი - დაბალი - ადმინისტრაციული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გამოკითხვათა ნაწილი ორიენტირებულია რეზიდენტებზე, ანუ მოცხდული ქვეყნის მაცხოვრებლებზე. მათი შეფასებები ყალიბდება კრისათვის დამახასიათებელი კულტურული თანათახედვის კუთხიდან. გამოკითხვათა სხვა ნაწილი გათვლილია მიგრანტებსა და ექსპატრიანტებზე. ამ შემთხვევაში, შეიძლება ვისაუბროთ

თავისებურ „კულტურათა დიპლომატიკა“. რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებები, ამას CPI-ის ავტორები არ აზუსტებენ, მიუთითებენ მხოლოდ მრავალფორმატიან კვლევებს შორის არსებულ კორელაციის მაღალ კოეფიციენტზე.

აუცილებელია გამოვეყოთ საზოგადოებრივი აზრისა და ექსპერტების გამოკითხვებს შორის არსებული პრინციპული განსხვავებები. ეს იმითაა განპირობებული, რომ ექსპერტები ნაკლებად ექცევიან საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების სხვადასხვა საშუალებათა ზეგავლენის ქვეშ. ისინი ფლობენ უფრო დიდი მოცულობის ინფორმაციას, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეები. ექსპერტები უკეთ არიან ინფორმირებულნი მაღალ ემპელონებში კორუფციის შესახებ, უბრალო ადამიანები კი უფრო ხშირად “დაბალ” კორუფციას აწყდებიან.

კიდევ ერთი სირთულე კორუფციის შეფასებისას მდგომარეობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეგავლენაში განსახილველი საკითხების აღქმაზე. ადამიანები მსჯელობისას მნიშვნელოვანწილად არიან ორიენტირებულნი მედიაზე. ზოგიერთ ქვეყანაში მისი ეს გავლენა გადამწყვეტი შეიძლება იყოს, სხვა სახელმწიფოებში კი, სადაც მედია-საშუალებების თავისუფლება შეზღუდულია, ასეთი ზეგავლენა არც შეინიშნება, კორუფციის პრობლემა კი საზოგადოებისგან დაფარული რჩება.

შედეგების შეფასებისას, საჭიროა აღინიშნოს, რომ კორუმპირებულობის დონის მიხედვით ხვადასხვა სახელმწიფოს ყოველწლიური შედარების დალაგებული და მოქნილი სისტემა Transparency International-ის კვლევებს ავტორიტეტულს ხდის.

#### საკონტროლო კითხვები:

1. ჩამოთვალეთ კორუფციის განვითარების ისტორიული ეტაპები საქართველოში.
2. ჩამოაყალიბეთ კორუფციის ცნება;
3. ჩამოთვალეთ კორუფციის სახეები;
4. რა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები ახლავს კორუფციის?
5. რა ეკონომიკური დანაკარგები შეიძლება გამოიწვიოს კორუფციამ?
6. კორუფციის გამოვლენის რა ფორმები არსებობს?
7. კორუფციის საერთაშორისო შედარებითი კვლევების საქართველოსთვის გამოყენებადი ძირითადი მეთოდები და კორუფციის ინდიკატორები.

## თავი 14. ნარკომანია და დანაშაულობა

### §1. ნარკომანია როგორც სოციალური პრობლემა.

ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების პრობლემა იპყრობს სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა, მათ შორის კრიმინოლოგთა, ყურადღებას. კრიმინოლოგიის ინტერესი ნარკოტიკული დამოკიდებულების პრობლემისადმი აიხსნება ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ხასიათით, რასაც უთუოდ მოჰყვება პიროვნებისა და მისი საქციელის სოციალურად მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ნარკოტიზმის სოციალური მნიშვნელობის სწორი გაგებისათვის მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების იმ მხარეების გარკვევა, რომლებიც მძიმე სოციალურ შედეგებს იწვევენ. ამ ამოცანის ამოხსნა საჭიროებს ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული საშუალებების სხვადასხვა ტიპის ზემოქმედებიდან იმ კანონზომიერების გამოყოფას, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას ინდივიდუალურ და სოციალურ უბედურებად გადააქცევს. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მზარდი შემფოთება და ამ პრობლემისადმი უზარმაზარი საზოგადოებრივი ინტერესი.

მართებულად მიუთითებს დ. კაპრონი, რომ "... საგანგაშო არ იქნებოდა იმ ხალხის მდგომარეობა, რომლებიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დამოკიდებულნი არიან ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, ამ დამოკიდებულებას რომ არ მოსდევდეს სერიოზული პრობლემების წარმოშობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და ეს ზიანს არ აყენებდეს ნარკომანებს. ამ შემთხვევაში არ იქნებოდა ნარკოტიკული მიჯაჭულობის გამომწვევი საშუალებების აკრძალვის ან შეზღუდვის პრაქტიკული აუცილებლობა".

ნარკოტიკებით ადამიანის ორგანიზმისათვის მიყენებული ზიანი ჩვენ გეაინტერესებს არა ფიზიოლოგიური კუთხით, არამედ, როგორც პიროვნების დეფორმაციის წინაპირობა და მისი სოციალური ქცევის დეგრადირება. ამიტომ, ადამიანის ორგანიზმისა და ნარკოტიკების რთული ურთიერთქმედებისაგან უნდა გამოიყოს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების მექანიზმის ის მხარეები, რომლებიც ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

საკითხის ამგვარად დაყენებისას, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ისეთ შედეგებზე, როგორცაა ეიფორიული ეფექტი და შეგუებულობის განვითარება. შეგუებულობის მექანიზმში, ერთი მხრივ, უნდა გამოიყოს ნარკოტიკებისადმი მზარდი ამტანობის განვითარება (ტოლერანტობა), მეორე მხრივ - ფიზიკური და ფსიქოლოგიური მიჯაჭუელობა.

ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ზემოთ ხსენებული შედეგები სხვადასხვა ნარკოტიკების მოხმარებისას სხვადასხვაგვარად ელინდება. უფრო მეტიც, გარკვეული ნარკოტიკების გამოყენებისას ზოგი მათგანი საერთოდ არ ფიქსირდება, მაგალითად, მკაფიოდ გამოხატული ფიზიკური მიჯაჭუელობა. მიჯაჭუელობის გამომწვევი წამლების ექსპერტთა კომიტეტი ნარკოტიკულ მიჯაჭუელობას ანუ ნარკომანიას შემდეგნაირად განსაზღვრავს: "ცოცხალ ორგანიზმსა და ნარკოტიკულ საშუალებებს შორის ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ფსიქიკური და ნოჯგურ, ასევე, ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ქცევის თავისებურებებით და სხვა რეაქციებით, რომლებიც ყოველთვის შეიცავენ ამ ნარკოტიკული საშუალების მუდმივი ან პერიოდული მიღების მოთხოვნილებას იმ მიზნით, რომ მომხმარებელმა განიცადოს მისი ფსიქიკური ზემოქმედება ან თავიდან აიცილოს მისი არარსებობით გამოწვეული

<sup>1</sup> დ. კაპრონი, "ნარკოტიკული საშუალებებისადმი მიჯაჭუელობის შესწავლის ზოგიერთი პრობლემა", ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბიულეტენი. ტენევა, 1971. გვ. 623.

დისკომფორტი. ტოლერანტობა შეიძლება არსებობდეს, შეიძლება არა. ადამიანი შეიძლება განიცდიდეს მიჯაჭვეულობას ერთზე მეტ ნარკოტიკზე<sup>1</sup>.

ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ზოგადი აღწერისას ნარკოტიკული მიჯაჭვეულობის ასე ფართო განმარტების შემთხვევაშიც კი, ჩვენი შეხედულებით, ამ ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს ეიფორიული ეფექტი, მზარდი ტოლერანტობა და აბსტინენციის განვითარება.

ეიფორიული ეფექტის საკითხის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეუთითოთ, რომ სუბიექტური განწყობა ნარკოტიკისადმი და მისი ზემოქმედებისადმი დამოკიდებულება ყალიბდება სოციალურ გარემოში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეიფორიის ხასიათი განისაზღვრება კულტურულ-სოციალური ფაქტორებით<sup>2</sup>.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ არ ვისახავთ მიზნად იმ ეიფორიის მდგომარეობის ანალიზს, რომელიც წარმოიქმნება ყველა ძირითადი ნარკოტიკის მიღებისას, არამედ შევხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, ვინაიდან ერთი და იმავე ჯგუფის სხვადასხვა ნარკოტიკი იწვევს სხვადასხვა შეგრძნებას, ამასთან საკმაოდ ინდივიდუალურს.

საინტერესოა ოპიუმისა და მორფინის ინტრავენური შეყვანისაგან მიღებული ეიფორიული ეფექტი. "... ოპიუმის ინტრავენური შეყვანის დროს ნარკოტიკული ეფექტი დგება მკისიერად "ნემსის წვერზე" ... სუბიექტურად ოპიომანები განიცდიან შეგრძნებათა მთელ კომპლექსს, რომელთა შორის წამყვანია სითბური ტალღის შეგრძნება, რაც რიგ შემთხვევაში შედარებულია ორგანიზმის განცდასთან<sup>3</sup>". ამ მდგომარეობას ნარკომანები უწოდებენ ე.წ. "პრიხოდს"<sup>4</sup>.

ნარკომანთა უმეტესობა თვლის, რომ სწორედ "პრიხოდი" არის ის მდგომარეობა, რომელსაც არ შეეძლება ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკებისაგან მიღებული არანაირი სხვა შეგრძნება. ერთ-ერთი ნარკომანი შემდეგნაირად აღწერს ამ სტადიაში თავის მდგომარეობას: "სითბური ტალღა გირტყამს თავში, მოიცავს მთელს სხეულს, ხელებს, ფეხებს და გერყენება, რომ გადის ზურგიდან, ბუჭებს შორის". ნარკომანები, როგორც წესი, აღნიშნავენ სამ სითბურ ტალღას, რომლებიც მოიცავს სხეულს ერთიმეორის მიყოლებით (ეს გრძელდება ერთი წუთის განმავლობაში)<sup>5</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ ნარკომან-ოპიომანთა დიდი უმრავლესობა ამგვარადვე აღწერს მორფით მიღებულ "პრიხოდს" და უპირატესობას სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს<sup>6</sup>. ზოგიერთი მათგანის მტკიცებით, "პრიხოდის" მდგომარეობაში ნეტარება აღწევს ისეთ "ზენიტს", რომ შეუძლებელია ფეხზე დგომა, ამიტომ პრეპარატი ვენაში შეჰყავთ მჯდომარე ან დაწოლილ პოზაში.

ამ ძლიერი შეგრძნების შემდეგ დგება ეიფორიის მდგომარეობა, რომელსაც უწოდებენ "კაიფს". ზოგიერთი ნარკომანი ამ მდგომარეობასაც საკმაოდ ხატოვნად აღწერს: "მერყენება, რომ ეწვევარ მთის მწვერვალზე, მარჯვნივ და მარცხნივ არის უსუსკრული, მე კარგად ვგრძობოთ თავს, არაფერ მაინტერესებს და არა მაქვს განძრევის სურვილიც კი". ეიფორიის მდგომარეობაში ნარკომანს უჩნდება განმარტოების სურვილი. რაიმე სახის საქმიანობის ყველა მცდელობა უნაყოფოა... ადამიანი თითქოს საკუთარ სხეულს არ გრძობს, იგი თითქოს ძრუბლებში დაფრინავს და სიზმარსა და სიცხადეს შორის იმყოფება... ეიფორიის მდგომარეობაში ადამიანს ეკარგება დროის შეგრძნება... ზოგჯერ

<sup>1</sup> დ. კამერონი, "ნარკოტიკული საშუალებებისადმი მიჯაჭვეულობის შესწავლის ზოგიერთი პრობლემა", ჟანდაციის მსოფლიო ორგანიზაციის ბიულეტენი. ენგვა, 1971. გვ. 621.

<sup>2</sup> ი. ჰაიტინცკაია, "კლინიკური ნარკოლოგია". ლენინგრადი, "მედიცინა", 1975. გვ. 19.

<sup>3</sup> ი. გ. ვოლანდი, "ოპიუმური ტოქსიკომანიის კლინიკური გამოვლინებების თავისებურებანი პრეპარატის ინტრავენური შეყვანის დროს. ალკოჰოლიზმი და ტოქსიკომანია", კრებული. მ., 1968, გვ. 182.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ე.წ. "პრიხოდი" ვითარდება მხოლოდ ოპიატების ინტრავენური შეყვანის დროს, ხოლო მოწვევის, ინტრაბუსულარული ან ორალური მიღების შემთხვევაში მიიღება მხოლოდ "კაიფის" მდგომარეობა.

<sup>6</sup> ი. ჰაიტინცკაია, კლინიკური ნარკოლოგია, ლენინგრადი, "მედიცინა", 1975, გვ. 60.

უნდებდა სმენითი პალეოცინაციები... ნარკომანები ნახულობენ ყველაზე არაჩვეულებრივ "სისურვებს", ამასთან, როგორც ამბობენ, ამ ფანტაზიებში მათი საკუთარი აზრები არ იღებენ არანაირ მონაწილეობას<sup>1</sup>.

ეიფორიის ეს ნეტარი მდგომარეობა, ანუ "კაიფი", არ ვითარდება ოპიუმისა თუ მორფინის ყოველი მიღების შემდეგ და არ არის აუცილებელი, იგი ნარკოტიკების ყველა მომხმარებელმა განიცადოს. როგორც ნარკომანები ამბობენ, "კაიფი" უნდა "დაიჭირო", ანუ "სასურველი ეფექტის მისაღებად ნარკომანი წინასწარ უნდა განეწყოს, დაიეწყოს ყველა სასურველი, მწუხარება და გათავისუფლდეს ცუდი განწყობიდან. ამისათვის სასურველია მშვიდი გარემო, სიწყნარე, წამოსაწოლი ადგილი და მოხერხებული პოზა, ასევე სითბო და ბინძურნი... ეს ყოველივე კარგად იციან გამოცდილმა ნარკომანებმა. ამიტომ, ახალბედებს ისინი თავისებურ "ინსტრუქტაჟს" უტარებენ, დაწერილებით და ხატოვნად უხსნიან ოპიუმის შეყვანის შედეგად მიღებულ შეგრძობებს... ნარკომანი შთააგონებს ახალბედას, რომ მას ელოდება შეუდარებელი ნეტარება. ამგვარი შთაგონებისა და დაბალკონცენტრირებული ოპიუმის დოზის შეყვანის შემდეგ, ახალბედა ეძებს მისთვის დაპირებულ შეგრძობებს<sup>2</sup>.

"კაიფი" არა მხოლოდ უნდა "დაიჭირო", არამედ კიდევ შეინარჩუნო, ანუ "კაიფის" (ეიფორიის) მდგომარეობა არ არის სტაბილური. თუკი ნარკომანს, რომელიც ეიფორიაში იმყოფება, ხმაამდალი შეძახილი წამოაყვება, "კაიფი" გაქრება<sup>3</sup>. ნარკომანი საშინლად ღიზიანდება და აგრესიული ხდება, თუ ის გამოჰყავთ "კაიფის" მდგომარეობიდან, ანუ მათი ტერმინოლოგიით - "კაიფის უტეხავენ". ამიტომ გამოცდილი ნარკომანები ცდილობენ წინასწარ შეიქმნან ისეთი გარემო, რომელიც დაიცავს მათ ყველანაირი გამღიზიანებლისაგან.

როგორც უკვე მივითითეთ, ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობას განიცდის არა ყველა მომხმარებელი და არა მყისიერად. ე. ვ. ბორინევიჩის მონაცემების მიხედვით, "108 ავადმყოფიდან, რომელთაგან მეტ-ნაკლებად უტყუარი ცნობების მიღება შეეძლოთ, 57-მა (52,8%) აღნიშნა, რომ ნარკოტიკის მიღება დასაწყისშივე იწყებდა მასში ეიფორიულ მდგომარეობას, 51 ავადმყოფი (47,2%) კი ოპიატების პირველი მიღებისას ასეთ მდგომარეობას არ განიცდიდა"<sup>4</sup>. ი. ვ. გოლანდი მონაცემებით ეიფორიის განცდა პირველივე მიღებაზე პაციენტთა მხოლოდ 24,6%-ს აღნიშნა.<sup>5</sup> უფრო მეტიც, როგორც ჩანს, არსებობს ნარკომანთა გარკვეული კატეგორია, რომელსაც არ აქვს შეკეთად გამოხატული ეიფორია ნარკოტიკების დიდი დოზის და ხანგრძლივი მიღების შემთხვევაშიც კი. ჩვენს მიერ გამოკითხულ პირთა შორის, შევხვდით ისეთ ქრონიკულ ნარკომანებს, რომლებიც ოპიატების მიღების დასაწყისიდან ბოლო დრომდე არ განიცდიდნენ არანაირ სხვა შეგრძობას, გარდა ფიზიკური და სულიერი სიმხნევისა და თავდაჯერებულობისა.

ეიფორიული ეფექტი, რომელიც მიიღება სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების (ანაშა, პლანი, მარისუანა) მოხმარების შემდეგად, თავისი ხასიათითა და შინაარსით არსებითად განსხვავდება ოპიატების მოხმარებით გამოწვეული ზემოთ აღწერილი ეიფორიისგან.

პაშიშის მოწვევის შემდეგ რამდენიმე წუთით, როგორც წესი, დგება ძლიერი აღგზნების მდგომარეობა. ამ დროს "...ადგილი აქვს უმიზნო მხიარულებას, გარშემომყოფთა ილუზორულ აღქმას, ყველაფერი გეჩვენება კაშკაშა და მშვენიერი. ჩნდება დამახასიათებელი ზმანებისმაგვარი სინდრომი, რეალური სახეები ერწყმის ფანტასტიკურს,

<sup>1</sup> ი. ვ. გოლანდი, "ოპიუმური ტოქსიკომანიის კლინიკური გამოვლინებების თავისებურებანი პრეპარატის ინტრავენური შეყვანის დროს. ალკოპოლიზმი და ტოქსიკომანია". კრებული, მ., 1968. გვ. 184.

<sup>2</sup> ი. ვ. გოლანდი, "ოპიუმური ტოქსიკომანიის კლინიკური გამოვლინებების თავისებურებანი პრეპარატის ინტრავენური შეყვანის დროს. ალკოპოლიზმი და ტოქსიკომანია". კრებული, მ., 1968. გვ. 183-184.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 183.

<sup>4</sup> ე. ვ. ბორინევიჩი, "ნარკომანიები". მ., 1963. გვ. 20.

<sup>5</sup> ი. ვ. გოლანდი, "ოპიუმური ტოქსიკომანიის კლინიკური გამოვლინებების თავისებურებანი პრეპარატის ინტრავენური შეყვანის დროს. ალკოპოლიზმი და ტოქსიკომანია". კრებული, მ., 1968. გვ. 184.

არსებობს სხეულის პაერში ნარნარის შერკნება, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ექსტაზიდან შიშში გარდამავალ განცდას, შესაძლოა განვითარდეს სექსუალური თავაშეებულობა. აღვზნებულ მდგომარეობაში ნარკომანებმა შეიძლება ჩაიღინონ თავისთვის და გარშემო მყოფთათვის მეტად საშიში ქმედებები - გადახტენ ფანჯრიდან, ჩაიღინონ ძაღადობა, მკვლელობები და ა.შ.<sup>1</sup>.

ნარკომანიის ცნობილი მკვლევარი ი.ე. სტრელჟუი შემდგენიარად აღწერს პაშიშისტების შერკნებებს აღვზნების სტადიაში: "თავიდან იგრძნობა უბრალოდ კმაყოფილების შერკნება. ადამიანი იმყოფება მუდმივ მოძრაობაში, შფოთავს. მას აქვს სიმღერის, ცეკვის, სიმძიმის აწევის სურვილი. აზრები სწრაფად მონაცვლეობს, ჩნდება და ქრება. გამოხატულია მუტყვევებითი აღვზნება. ავადმყოფი ლაპარაკობს აფექტაციით და უკვირს, რომ სხვები არ იზიარებენ მის განწყობას... მიუხედავად ამისა, აზრების გამოხატვის ყველა მცდელობა ამაოა... პაშიშის მომხმარებლები მომენტალურად გადადიან ცრემლებიდან უაზრო სიცლიზზე... მათ ეკარგებათ დროისა და სივრცის შერკნება. პაშიშით მთვრალს წუთები წლვებად ეჩვენება და საათები - საუკუნედ. ასევე მოჩვენებითა მხედველობითი ილუზიებიც. კიბებზე მიმავალთ პგონით, რომ კიბე გრძელდება ღრუბლებამდე. ყველაზე უმნიშვნელო ხმაური აღიქმება, როგორც გრუხუნი"<sup>2</sup>.

აბ. მსულევიჩის სიტყვებით, ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში "შესაძლებელია დეპერსონალიზაციური მოვლენები, საკუთარი სხეულისადმი გაუცხოების, გარემოს შეცვლისა და არარეალობის შერკნება. აზრთა მდინარება ინტოქსიკაციის ზრდასთან ერთად ჩქარდება, იკარგება თანამიმდევრულობა, გადაწყვეტილებები მყისიერად მიიღება"<sup>3</sup>.

მედიცინის ცნობილ პოპულიზატორს გუგო გლიაზერს თავის წიგნში "დრამატული მედიცინა" მოჰყავს მეტად უტყუარი ცნობები პაშიშის სიმთვრალით გამოწვეული შერკნებების შესახებ. ამ შერკნებებს აღწერენ ავსტრიელი პროფესორი კარლ შროფი და გერმანელი ექიმი ერნსტ ფონ ბიბრა პაშიშის მოქმედების თავის თავზე გამოცდისას.

პროფესორი კარლ შროფი შემდგენიარად აღწერს თავის მდგომარეობას: "უცბად ვიგრძენი ძლიერი ხმაური ყურებსა და თავში. მესჩვენებოდა, რომ ხმაურობა მდულარე წყალი. იმავდროულად, ყველაფერი განათდა სასიამოვნო შუქით, რომელიც თითქმის აღწევდა ჩემს სხეულში და გამჭირვალეს ხდიდა მას. ცნობიერება გამინათდა, გრძნობები გამიმძაფრდა, მთავწინ ელვისებური სისწრაფით ჩაიქროლეს ზღაპრულმა ნახატებმა"<sup>4</sup>. პაშიშით თრობის დიდგომარეობაში თავისი შერკნებების ცოცხალ აღწერას გეთაყაზობს ერნსტ ფონ ბიბრაც: "ხელში მეჭირა თეთრი ხელსახოცი და როდესაც მას რეყურებდი, ნაკეცებში საოცარ ფიგურებს ვხედავდი. როგორც კი ოდნავ ვცვლიდი ამ ნაკეცების მოხაზულობას, ჩნდებოდა ახალი ფიგურები. შემეძლო დამენახა ყველაფერი, რაც მსურდა: წვერებიანი კაცები, ქალთა სახეები, სხედასხვა ცხოველები"<sup>5</sup>.

მოძრაობისა და მუტყვევლების ძლიერ აღვზნებას მოსდევს ფანტაზიის ჰიპერტროფული გაცოცხლება, სმენით, მხედველობითი და ზოგჯერ შხებითი პალუცინაციები, პაშიშით მთვრალისათვის თანდათან დგება ნეტარი სიმშვიდის მდგომარეობა, რომლის დროსაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შერკნება თანდათან ფერმკრთალდება<sup>6</sup>. შერკნებათა ამ კომპლექსს, არასასიამოვნო შერკნებათა გამოკლებით, და ასევე მოძრაობით და მუტყვევლებით აღვზნებას, პაშიშისტები უწოდებენ "კაიფს".

<sup>1</sup> დ.დ. ფედოტოვი, "არალკოლოური ტოქსიკომანიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემების დაშუშების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ალკოჰოლიზმი და ტოქსიკომანია". კრებული, მ., 1968. გვ. 178.

<sup>2</sup> ი.ე. სტრელჟუი, "ნარკომანიის მკურნალობა და კლინიკა". მ., 1956. გვ. 295.

<sup>3</sup> ფსიქიატრიის სახელმძღვანელო (ავ. სენენკესკის რედაქ.). ტომი 2, მ., 1983. გვ. 333.

<sup>4</sup> გუგო გლიაზერი, "დრამატული მედიცინა". თარგმანი გერმანულიდან, მ., 1965. გვ. 107.

<sup>5</sup> იხ. იქვე, გვ. 108.

<sup>6</sup> ფსიქიატრიის სახელმძღვანელო (ავ. სენენკესკის რედაქ.). ტომი 2, მ., 1983. გვ. 333.



უნდა აღინიშნოს, რომ ჰაშიმის მოხმარების პირველ ეტაპზე ყველა ვერ იღებს ეიფორიულ ეფექტს. ამიტომ, გამოცდილი “ჰაშიმისტები”, ისევე, როგორც ოპიომანები, ახალბედებს “კაიფის დაჭერას” ასწავლიან.

ამგვარად, ოპიატებისა და ჰაშიმის მოხმარებისას ეიფორიული მდგომარეობის სქემატური შედარებაც კი ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად განსხვავებულია თავისი ხასიათითა და წინაარსით ეიფორიული ეფექტი სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების მიღებისას. ნარკოტიკების მოხმარების სოციალური საშიშროების ერთ-ერთი მხარე სწორედ მის მიერ ეიფორიული მდგომარეობის გამოწვევის მომხიბველლობაშია როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მცირე და დიდი სოციალური ჯგუფებისათვის<sup>1</sup>.

ადამიანების გარკვეულ კატეგორიას ნარკოტიკების მოხმარებისკენ უბიძგებს უსიამოვნო რეალობისთვის თავის დაღწევის სურვილიც. ამ ფენომენს “განდგომილების ეფექტი” შეიძლება ვუწოდოთ. სწორედ ამ ეფექტის მიღწევის მიზნით იწყებს ზოგი ადამიანი ნარკოტიკების მოხმარებას, ვინაიდან ამ გზით ხედავს გამოსავალს ტრადიციული ცხოვრებისეული სიტუაციიდან.<sup>2</sup>

რეალური სინამდვილისგან გაქცევის მიზნით ნარკოტიკებისადმი ღტოლვა შეიძლება განაპირობოს “პიროვნების გარკვეულმა დისპარმონიამ, სურვილის აღსრულების შეუძლებლობამ, სურვილისა და შესაძლებლობას, სწრაფვასა და მიღწევას, პატივმოყვარეობასა და მონაცემებს შორის დისბალანსმა და სინელებების გაღალახვის შეუძლებლობაში დარწმუნებამ.”<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დროში “განდგომილების ეფექტი”, როგორც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მოსალოდნელი შედეგი, ხშირად ხდება ნარკოტიკული მიჯაჭვულობის წარმოქმნის პირველმიზეზი, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რასაც თავისი სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზები აქვს, რომლებზეც ჩვენ არ შეჩერდებით. ნარკოტიკული საშუალებების ეს თვისება, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს საქართველოში მათი მოხმარების მთავარ სტიმულს.

საქართველოში ნარკოტიზმის როგორც პირველმა, ისე განმეორებითმა კვლევამ აჩვენა, რომ არცთუ ისე ბევრი ახალგაზრდა ირჩევს ამ გზას “განდგომილების ეფექტის” მისაღწევად. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ გამოირჩევა იმას, რომ მოცემული ეფექტი მომავალში შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი და მიმზიდველი გახდეს.

ამგვარად, ნარკოტიკული საშუალებების თვისება, გამოიწვიოს ეიფორია, და ასევე მოსწვევითოს ინდივიდი რეალობას, მნიშვნელოვანია თანამედროვე ნარკოტიზმის განვითარების ახსნის კუთხით, ვინაიდან სწორედ ეს თვისებები ხდის ნარკოტიკულ საშუალებებს მიმზიდველს ადამიანების გარკვეული ნაწილის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის.

ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკების ზემოქმედების მეორე, სოციალური მნიშვნელობის შედეგს წარმოადგენს მზარდი ტოლერანტობა - ნარკოტიკული საშუალებებისადმი ორგანიზმის შეგუების მექანიზმის ერთერთი გამოვლენება.

ტოლერანტობას უწოდებენ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად ადამიანის ორგანიზმში განვითარებულ ადაპტაციურ პროცესებს, რომელთაც თან სდევს მისაღები დოზის მკვეთრი ზრდის აუცილებლობა საჭირო ეიფორიული ან “განდგომილების

<sup>1</sup> ი. იოელი, “ნარკომანიის მკურნალობა” (თარგმანი გერმანულიდან). ოდესა, 1930. გვ. 4.  
<sup>2</sup> ი.ნ. პიატნიცკაია, “კლინიკური ნარკოლოგია”. ლენინგრადი, “მედიცინა”, 1975. გვ. 15.  
<sup>3</sup> ი. იოელი, “ნარკომანიის მკურნალობა” (თარგმანი გერმანულიდან). ოდესა, 1930. გვ. 5.

ეფექტის" მისაღწევად<sup>1</sup>. ტოლერანტობა, რომელიც სუფთა სამედიცინო კუთხით წარმოადგენს ნარკოტიკული საწამლაისადმი ორგანიზმის გაზრდილ წინააღმდეგობას, ნარკოტიკული მოვლადეულობის განვითარების შიდა მექანიზმის ნაწილად იქცევა.

მართებულად მიუთითებს ე.ე. ბორინევიჩი, რომ "ორგანიზმის უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს ტოქსიკური ნივთიერებების სულ უფრო მეტ რაოდენობას, წარმოიქმნება არა მხოლოდ ნარკოტიკებთან ან ანალგეტიკებთან დაკავშირებით, არამედ იგი ჩნდება მრავალი ისეთი ორგანული და არაორგანული საწამლაისა თუ შენაერთის მიღებისას, რომელთა გამოყენებაც არ იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას. შესაბამისად, გაზრდილი ტოლერანტობის მოვლენა შესაძლებელია, არსებობდეს ნარკომანიისგან დამოუკიდებლად, როგორც განსაკუთრებული ფენომენი. მაგრამ ნარკომანიის შემთხვევებში ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს"<sup>2</sup>.

გაზრდილი ტოლერანტობის მოვლენის აღწერისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ იმას, თუ დროის რა პერიოდი და ნარკოტიკის რა ოდენობით მიღებაა საკმარისი მის აღმოსაყენებლად.

დ.დ. ფედოტოვის მითითებით, "მორფინისადმი ავადმყოფური სწრაფვა შეიმჩნევა პირველი 10-12 ინექციის შემდეგ და ზოგჯერ უფრო ადრეც. ამ დროისათვის უკვე ჩნდება დოზის გაზრდის მოთხოვნილება 0,02-0,03 გრ. მორფინამდე (1%-იანი ხსნარის 2-3 აშკულა)<sup>3</sup>. ამასთანავე, თუკი პირველ ხანს ნარკომანები პრეპარატს სასიამოვნო შეგრძნების განსაცდელად იკეთებდნენ, ... ძალიან მალე ნარკოტიკის მიღების ერთადერთ მიზნად რჩება აბსტინენტური მოვლენების ("ლომის") თავიდან აცილება, რომელიც სულ უფრო ძლიერდება ნარკოტიკის დოზის ზრდასთან ერთად. მორფინული ტოქსიკომანიის შემთხვევაში, ტოლერანტობა განსაკუთრებით მაღალია. ასე მაგალითად, მორფინისადმი შეუჩვეველი ადამიანისათვის სასიკვდილო დოზას წარმოადგენს 0,2-0,3 გრ., ხოლო 0,5 გრ. აბსოლუტურად სასიკვდილოა, ნარკომანები კი ერთჯერადად 0,5-1 გრ და მეტსაც (რამდენიმე გრამამდე) იყენებენ. აღწერილია შემთხვევები, როდესაც მორფინის დოზა 10 გრამს აღწევდა"<sup>4</sup>.

შეგვიძლია დავამატოთ, რომ ყოველთვის სწრაფად არ დგება ის მომენტი, როდესაც ნარკომანი, კერძოდ, მორფინისტი წამალს ერთადერთი მიზნით, აბსტინენტური მოვლენის ("ლომის") თავიდან ასაცილებლად იკეთებს. არიან ნარკომანები, რომლებიც მორფინისა და სხვა ოპიატების საკმარისი დოზით მიღებისას, საკმაოდ ხანგრძლივად განიცდიან "პრიხოლსაც" და "კაიფსაც". იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც დღის განმავლობაში ასეთი პირები 2 გრ. მშრალ მორფინზე მეტს იღებენ.

ამგვარად, მორფინის საშუალოდ 10-12 მიღების შემდეგ წარმოქმნილი ტოლერანტობა იზრდება სწრაფი ტემპებით არა მხოლოდ აბსტინენტური მოვლენების გაჩენისა და ზრდის, არამედ შენარჩუნების და ზოგჯერ ეფორიული ეფექტის გაძლიერების ფონზეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, ყოველი ოპიომანის ცხოვრებაში აუცილებლად დგება მომენტი, როდესაც მისთვის მორფინი კარგავს ეფორიული ეფექტს, მაგრამ ეს ხშირად ხდება დროის რაღაც მონაკეთის, ზოგჯერ რამდენიმე წლის გავლის შემდეგ.

<sup>1</sup> დ.დ. ფედოტოვი, "არაალკოჰოლური ტოქსიკომანიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემების დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ალკოჰოლიზმი და ტოქსიკომანია", კრებული. მ., 1968. გვ. 172.

<sup>2</sup> ე.ე. ბორინევიჩი, "ნარკომანები". მ., 1963. გვ. 46.

<sup>3</sup> მორფინის პირველადი დოზა, როგორც წესი, შეადგენს 0,01გრ მშრალ მორფინს ან 1%-იანი ხსნარის 1 აშკულას.

<sup>4</sup> დ.დ. ფედოტოვი, "არაალკოჰოლური ტოქსიკომანიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემების დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ალკოჰოლიზმი და ტოქსიკომანია", კრებული. მ., 1968. გვ. 173.

გაზრდილი ტოლერანტობის განვითარების სირქარე პირდაპირ დამოკიდებულებაშია ნარკოტიკების მიღების სიხშირესთან<sup>1</sup>. ტოლერანტობის მატება ხდება სწრაფად და პროგრესირებს ნარკოტიკების რეგულარული მიღების შემთხვევაში და, პირიქით, მათი არარეგულარული მიღებისას ტოლერანტობა ჩნდება და პროგრესირებს შედარებით ნელა. უფრო მეტიც, ნარკოტიკული საშუალებების (ოპიატებისა და სხვა) ეპიზოდურმა მიღებამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიძლება არ გამოიწვიოს ტოლერანტობის გაძლიერება.

ზემოთ მითითებული ფაქტორების გარდა, ტოლერანტობის ზრდის განვითარების სირქარეზე ასევე მოქმედებს პიროვნების ფსიქოფიზიკური თავისებურებანი, რომლებსაც ჩვენ აქ არ განვიხილავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის ესოდენ სერიოზული ზრდა უნდა ჩათვალოს ავადმყოფურ მოვლენად, ხოლო ადამიანი, რომელსაც ნარკოტიკებისადმი გაზრდილი ტოლერანტობა გააჩნია, - ავადმყოფად. ასეთი ადამიანი "აეადა, რადგან საწამლაეი, რომელსაც იღებს ქრონიკულად, იწვევს განსაზღვრული ტიპის უჯრედების მდგრადობის მატებას მის მიმართ. ეს (ან სხვა) უჯრედები ხდება უფარვისი სხვა ფუნქციების შესარღვებლად ან უუნარო განსხვავებული ზემოქმედებისადმი წინააღმდეგობის გასაწეად..."<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკების მიღების შეწყვეტის შემდეგ, გაზრდილი ტოლერანტობა თანდათან ქრება. ამიტომ, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ნარკოტიკების გამოყენების განახლებას ნარკომანები იწყებენ ბევრად უფრო მცირე დოზით, ვიდრე მანამდე მოიხმარდნენ ("ახალგაზრდაედეიან").

ნარკოტიკული საშუალებების ქრონიკული მოხმარების შედეგად სუბიექტს უვითარდება ფიზიკური მიჯაჭუელობა, რომელიც ელინდება შეჩეეული ნარკოტიკული საშუალების ხელმოუწყვდომლობის გამო აბსტინენციის განვითარებაში. აბსტინენციის ან ნარკოტიკულ შემშილს უწოდებენ ფიზიკური და სულიერი ტრავეის მდგომარეობას, რომელიც ვითარდება ნარკომანეში ნარკოტიკული საშუალებების მიღებისაგან ნებაყოფლობით ან იძულებით თავშეკაეების შედეგად.

აბსტინენცია (ნარკომანების ენაზე "ლომკა"), ნამდვილი უბედურებაა ნარკომანისთვის, რადგან იგი ანადგურებს მას, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. "ლომკის" დროს მოხმარებელი საბოლოოდ კარგავს ადამიანურ სახეს. დიდ დოზებს შეჩეეული ზოგი ნარკომანი ძლიერი აბსტინენციის მდგომარეობაში არ შეიძლება, არ იწვევდეს სიბრალულს. თუმცა, ყველა ნარკოტიკული საშუალება არ იწვევს ამ ტიპის შეჩეეას. აბსტინენციის ძალა და ხანგრძლიეობა დამოკიდებულია ასევე მიღებული ნარკოტიკების დოზაზე, მიღების სიხშირეზე და პიროვნების ინდიეიდუალურ თავისებურებებზე.

"განსაკუთრებით მიძიეა აბსტინენცია პერონის მიღების შემდეგ, მეორე ადგილზეა მორფინის ან პანტოპონის ინტრავენური შეეეანა, შემდეგ მორფინის კუნთში ან კანქეეში ინექცია, შედარებით უფრო სუსტია ნარკოტიკული შიმშილი პრომედოლის და სხვა მორფინის მსგაესი მოქმედების სინთეზური პრეპარატების გამოყენებისას; აბსტინენციის ეეექტი კიდე უფრო მცირეა ოპიუმის მოწვისას და ბოლოს კოდინის, დიონინის და სხვა მათი მსგაესი პრეპარატების მიღებისას"<sup>3</sup>. დღეეანდელ დღეს აკრძალულია პერონის წარმოება და სამედიცინო გამოყენება. ნარკოტიკების მოხმარებლების მიერ პერონის გამოყენება დღეს ძალზე სშირია.

<sup>1</sup> ე.ე. ბორნიეიჩი, "ნარკომანიები". მ., 1963. გე.49; ა.მ. მაკარიე, "ნარკომანიები". თბილისი, 1964. გე. 37. (ქართულ ენაზე).

<sup>2</sup> ე. იოელი, "ნარკომანის მკურნალობა" (თარგმანი გერმანულიდან). ოფესა, 1930. გე. 15-16.

<sup>3</sup> დ.დ. ფელტოვი, "არალკოპოლური ტოქსიკომანიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემების დამუშეების თანამედროეე მდგომარეობა და პერსპექტიეები. ალკოპოლიზმი და ტოქსიკომანია", კრებული. მ., 1968. გე.174

მორფინული აბსტინენცია ვითარდება მისი ბოლო მიღებიდან 5-6 საათის შემდეგ წინა დონის მოქმედების შეწყვეტის შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ მკაფიოდ გამოხატული მორფინული აბსტინენცია ადამიანს თავისი ავადმყოფური მისწრაფების მონად აქცევს. ხშირ შემთხვევაში, მორფინისტები მორფინს არა ეიფორიული ეფექტის მისაღებად, არამედ აბსტინენციის (ტანჯვისმომგვრელი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის) კუპირებისთვის იყენებენ. "აბსტინენციის დროს განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ევგეტატიური აშლილობა: გააღვირებული გულისცემა, ოფლიანობა, ლორწოვანის პიპერსაკრეცია, მთქნარება, ცემინება, ხველება. პულსი ხშირი და სუსტია. ფართოდება თვალის გუბები. ხმა ჩახლენილია, ტემპრი იცვლება, კიდევ უფრო მწვავედბა არსებული დაავადებები... ძვლებსა და სახსრებში იგრძნობა ტკივილი, ზოგჯერ ღუტუნის ეფექტით, როცა საკმაოდ მტანჯველია. ავადმყოფი იმყოფება მუდმივ მოძრაობაში, ყვირის, კენჭის, ბრავაგის ლოგინში, ემუღარება პერსონალს, მისცვენ ნარკოტიკი... აღვინშნება მასის დაკარგვა, გულისრევა, ტკივილები მუცლის ღრუში, ფადართი. ქალებში აღდგება მინელეული მენსტრუალური ფუნქცია, რასაც თან ახლავს ტკივილი და ძლიერი სისხლდენა. სიარული ხდება ატაქსიური, იწყება ხელების კანკალი. ავადმყოფთა წონა მკვეთრად კლებულობს... სხეულს ფარავს ცივი ოფლი, ადამიანი კარგავს ფერს, ყურდება და უგონო მდგომარეობაში ვარდება... თითქმის ყველა მათგანს აწუხებს უძილობა, რომელიც სხვა აბსტინენტური მოვლენების გაკრობის შემდეგაც დიდხანს გრძელდება... ავადმყოფები დაჟინებით თხოულობენ საავადმყოფოდან გაწეობა... წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებენ შიმშილობას, არღვევენ რეჟიმს, თავს ესხმიან პერსონალს, ამსხვრევენ ჭურჭელს, ხდებიან ძალზე აგრესიულები. ამას თან ერთვის აპათია, ნაღვლიანობა და ხშირად შიში".

აბსტინენციის მდგომარეობაში ნარკოტიკის მოსაპოვებლად მორფინისტები დიდ გამჭრიახობასა და შეუპოვრობას ავლენენ, "ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ფარმაკოფილის, ანუ წამლებიხადმი ლტოლვის დასაკმაყოფილებლად ისინი ხშირად უამხანაღვრიან სხვა ავადმყოფებს და სამედიცინო პერსონალისაგან წამლებს მოთხოვნას და შემდეგ მათთვის გადაცემას ავალბებენ... მოტყუება, მოსყიდვა, ქურდობა – ყველა ხერხი გამოიყენება ნარკოტიკის ან მისი შემცველის მოსაპოვებლად".

ოპიუმური აბსტინენცია თავისი კლინიკური სურათით მორფინულის მსგავსია. "ავადმყოფთა უმეტესობაში ნარკოტიკული შიმშილის პირველი გამოვლენა საერთო სისუსტით, შემცივნებით, მთქნარებით, დაღლილობის შეგრძნებით გამოიხატება. თუკი აბსტინენცია იწყება საღამოს, პირველივე ღამეს ირღვევა ძილი, რომელიც ხდება წვეტილი და მშფოთვარე. ნარკოტიკის აკრასალიდან 16-20 საათის შემდეგ ვლინდება ჯირკვლების პიპერსაკრეცია, ვითარდება ცემინება, სურდო, ხველება, ცრემლდენა, ჭარბი ოფლიანობა. 48-72 საათის შემდეგ ამას ემატება სუნთქვის მკვეთრი გახშირება, არტერიული წნევის მატება, ტაქიკარდია, ტკივილები მთელ სხეულში, განსაკუთრებით ქვედა კიდურებში, წელსა და მუცლის ქვედა არეში, შემცივნება და ხორკლიანი კანი".

ეს ყოველივე კარგად იციან გამოცდილმა ოპიომანებმა. მათ ისე ეშინიათ მოსალოდნელი ფიზიკური და სულიერი ტანჯვის, განსაკუთრებით მკურნალობის აბორტული მეთოდის გამოყენებისას, ანუ ნარკოტიკების სწრაფი შეწყვეტისას, რომ სტაციონარში ნებაყოფლობით დაწოლის შემთხვევაშიც კი, იმარაგებენ ნარკოტიკს და მოტყუებით შეაქვთ იგი სამკურნალო დაწესებულებაში". მაგალითად, შპრიცსა და მორფინს მაღავენ უკანა ტანში, ქალები - საშოში, ოპიუმთან ტომსიკას იმაგრებენ კბილზე ან ყლაპავენ მას და ა.შ.

სხვადასხვა ნარკოტიკის მიერ გამოწვეული აბსტინენცია გამოვლენის ფორმებისა და სიმძლიერის მრავალფეროვნებით ხასიათდება. ჩვენ არ შეგჩერდებით მათ განხილვაზე.

<sup>1</sup> ი.ვ. სტრელნიკი, "ნარკომანიის მკურნალობა და კლინიკა". მ., 1956. გვ. 267-269; ა.მ. მაკარიძე, "ნარკომანიები". თბილისი, 1964. გვ. 45 (ქართულ ენაზე).

<sup>2</sup> ი.ვ. სტრელნიკი, "ნარკომანიის მკურნალობა და კლინიკა". მ., 1956. გვ. 269.

გვ. ბორინიევი, "ნარკომანიები". მ., 1963. გვ. 139-140.

<sup>4</sup> იქვე.

ადენიშნავთ მხოლოდ, რომ სწორედ აბსტინენტური მოვლენების განვითარება წარმოადგენს ნარკომანების მკურნალობისა და ხელახლა აღზრდის საქმეში წარმატებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს და ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ აღწევს ნარკომანი თავისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალური დეგრადაციის ისეთ სტადიებს, როცა სოციალურ და მორალურ ასპექტში ნორმალური ადამიანებისთვის მათი ქცევა აბსოლუტურად გაუგებარი ხდება.

ორგანიზმზე ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების მეორე მნიშვნელოვანი შედეგი ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობის განვითარებაა. ნარკომანიის ჩვენთვის საინტერესო ინდივიდუალური და სოციალური შედეგების ახსნაში ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეინაიდან, მიუხედავად ფიზიკური მიჯაჭვულობის დაძალების სირთულისა, მკურნალობის ფონზე მისგან გაათავისუფლება შედარებით მოკლე ვადაში ხერხდება, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობაზე, რომელიც ხანგრძლივი დროით - წლების მანძილზე ნარჩუნდება. ე.წ. ცრუ აბსტინენციაც კი, რომელიც ფიზიკური მიჯაჭვულობის გათავისუფლებიდან დიდი დროის შემდეგ აღმოცენდება, ჩვენი აზრით, ფსიქოლოგიურ და არა ფიზიოლოგიურ ხასიათს ატარებს<sup>1</sup>.

## §2. ნარკომანიის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური კვლევის ანალიზი

ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, გასული ათწლეულის მანძილზე ტარდებოდა ნარკოტიზმისა და ნარკომანიის სხვადასხვა ასპექტის კვლევები, რომელთაც აქვთ არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ნარკოტიზმისა და ნარკომანიის სამეცნიერო კვლევის საქმეში განსაზღვრული ადგილი უჭირავს კონკრეტულ-კრიმინოლოგიურ კვლევას, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ. ამ კვლევამ მოიცვა პრობლემათა ფართო წრე. იგი აგებულია მდიდარ პირველად ინფორმაციაზე – ეფუძნება ნარკოტიკების მომხმარებელი პირების გამოკითხვას სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

შემუშავდა ორი ურთიერთსაპირისპირო კითხვარი. ერთი მათგანი განკუთვნილი იყო მსჯავრდებულთა, ხოლო მეორე – ნარკოტიკული ნივთიერების ყველა დანარჩენი მომხმარებლის გამოსაკითხად. ორივე კითხვარი წარმოადგენდა პროგრამირებულ დოკუმენტს, რომელიც ვარგისი გახლდათ ინფორმაციის ავტომატიზებული გადამუშავებისთვის. ინფორმაცია გროვდებოდა ინტერვიუების მეთოდით, როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ისე ჩვეულებრივ პირობებში.

შეგროვებული ინფორმაცია გადამუშავდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. სტატისტიკურის გარდა, ჩატარდა ინფორმაციის ფაქტობრივი ანალიზი.

ინფორმაციის გადამუშავების პროცესში, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები გაიყო ორ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფში შევიდნენ ის პირები, რომლებიც გამოკითხვის მომენტში იმყოფებოდნენ გარეთ, თუმცა ზოგიერთ მათგანს ადრე ჰქონდა ნასამართლობა სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის. მეორე ჯგუფში შევიდნენ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ის პირები, რომლებიც გამოკითხვის პერიოდში იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ამან საშუალება მოგვცა, შევედარებინა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ამ ორი ჯგუფისთვის დამახასიათებელი მონაცემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა შორის მსჯავრდებულები შეადგენდნენ შედარებით მცირე ნაწილს – დაახლოებით ერთ მესამედს.

<sup>1</sup> სწორედ ამიტომ, საკითხს ცრუ აბსტინენციების შესახებ, რომელიც გარეგნულად, ნამდვილი აბსტინენციის ანალოგიურად, ინდივიდის ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში გამოიხატება, ჩვენ არ განვიხილავთ ფიზიკური მიჯაჭვულობის პრობლემისთან ერთად.

შეგროვებული ინფორმაციის სტატისტიკური კვლევის შედეგად მივიღეთ საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების საკმაოდ დეტალური და რეალური სურათი, გამოვლინდა რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებაზე. თუკი გათვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მითითებული კვლავის ჩასატარებლად ჩვენ არ მოგვაროვებოდა მეტ-ნაკლებად უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ნარკოტიკების მოხმარებელთა დახარისხება სქესის, ასაკის, განათლების, დაბადების ადგილის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ა.შ. მიხედვით, მაშინ ნათელი გახდება კვლევის შედეგების დიდი პრაქტიკული ღირებულება.

როგორც დაედაინეთ, ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის საკმაოდ დიდია ქალების ხვედრითი წილი - 7,52%. ყურადსაღებია, რომ პირველ ჯგუფში ვინცაღმონა სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მეორეში (შესაბამისად 9,36% და 3,35%), რაც მიუთითებს ქალების მიერ ნარკოტიკების მოხმარების მიზეზების ზოგიერთ თავისებურებაზე. ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის ქალების მაღალი პროცენტის მიუხედავად, იგი მაინც შესამჩნევად ჩამორჩება მათ ხვედრით წილს ალკოჰოლიზმით დაავადებულთა შორის (10-12%).

ასაკობრივი ნიშნით ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებელთა შესახებ მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნარკომანია, უმთავრესად, ახალგაზრდული პრობლემაა. გამოკითხულთა შორის განსაკუთრებით მაღალია 20-24 წლის ასაკის ახალგაზრდების ხვედრითი წილი, რაც შეადგენს 33,48%-ს ანუ დაახლოებით ერთ მესამედს. თუკი უფრო გავაფართოვებთ ასაკობრივ ჯგუფებს, აღმოჩნდება, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (69,59%) 16-დან 29 წლამდე ახალგაზრდებია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული ნარკოტიკების მოხმარებელთა პირველ ჯგუფში. შადაც 20-24 წლის ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ 38,58%-ს, ხოლო 16-24 წლისა - 61,25%-ს.

ამგვარად, ნარკოტიკების მოხმარებელთა უდიდეს ნაწილს (თითქმის 7/10) შეადგენენ 16-29 წლის ასაკის ახალგაზრდები. ამიტომ, ეს საკითხი არ შეიძლება არსებითად გადაწყვედეს ახალგაზრდობის მთელი რიგი სოციალური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის გარეშე.

გამოკითხულთა დაბადებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ მონაცემების შედარებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა, რომ ნარკოტიზმი ძირითადად წარმოადგენს ქალაქის პრობლემას. სოფლის მოსახლეობის მიგრაცია კი დიდსა თუ ატარა ქალაქებში, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით, ნარკოტიზმის ზრდის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი მონაცემებით, ნარკოტიკების მოხმარებელთა შორის მიგრანტები თითქმის ერთ მესუთედს შეადგენენ. შესაბამისად, დევიანტური ქცევის მიზეზების შესწავლისას დიდ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის მიგრაციის საკითხების სოციალური კვლევა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გამოკითხულთა განათლების დონე საკმაოდ მაღალია. მათგან ნახევარს აქვს საშუალო, არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლება. არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლებით პირები შეადგენენ 21,87%-ს, ანუ ერთ მეხუთედზე მეტს. ნარკოტიკების იმ მოხმარებელთა ხვედრითი წილი, რომელთაც აქვთ არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლება, განსაკუთრებით მაღალია პირველ ჯგუფში - 28,41%. იმავედროულად, გამოკითხულთა შორის დაბალია განათლების არმქონე (0,46%) და საწყისი განათლების მქონე პირთა (14,35%) ხვედრითი წილი. კიდევ უფრო ცოტაა მათი პროცენტული რაოდენობა გამოკითხულთა პირველ ჯგუფში (0,16% და 6,08%). საინტერესოა ისიც, რომ განათლების დაბალი დონის მქონე პირები ძირითადად მიეკუთვნებიან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს და შედარებით დიდი ასაკის ნარკომანთა კატეგორიას.

მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკების მოხმარებელთა უმეტესობა არის საკმაოდ მაღალგანათლებული პირი, თუმცა, განათლების ცენზი ხშირად ფორმალური ხასიათისაა, ვინაიდან არ ვლინდება განათლებული ადამიანისთვის დამახასიათებელი სოციალური აქტივობა, ანუ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად მიეკუთვნება ინტელისტიციას. ჩვენ ასევე შევისწავლეთ საკითხი იმის შესახებ, თუ

გამოკითხულთა რა ნაწილი იყო ნასამართლეთა და რა სახის დანაშაულისთვის. გაირკვა, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა ნახევარს ჩადენილი ჰქონდა ესა თუ ის დანაშაული.

პირველ ჯგუფში შემავალი 28,08%, ანუ თითქმის ერთი მესამედი ადრე ნასამართლეთა იყო ამა თუ იმ დანაშაულისთვის. ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ნასამართლობის მქონეთა ასეთი მაღალი ხვედრითი წილი საეხსებო ბუნებრივად უნდა ჩათვალოს, ვინაიდან ნარკოტიკების მოხმარება ყოველთვის იყო და დღესაც ფართოდ არის გავრცელებული დამანაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებში, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ამასთან, როგორც ცნობილია, ნარკოტიკული ნივთიერებების ხანგრძლივი მოხმარება ადრე თუ გვიან უცილობლად უბიძგებს ადამიანს დანაშაულისკენ. ყურადღაღებია ის, თუ რა სახის დანაშაული ჩაიდინეს ჩვენს მიერ გამოკითხულმა პირებმა. უმეტესობამ (57,27%) ჩაიდინა ქონებრივი დანაშაული, ამასთან, ამ დანაშაულთა 78,97% არ იყო დაკავშირებული ძალადობასთან. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა ქონებრივი დანაშაული გამოიხატებოდა ქურდობაში და არ იყო გამოვლენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მიტაცების არც ერთი შემთხვევა, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის საკმაოდ მაღალია საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ხვედრითი წილი (29,09%). მათგან 34,38% (ერთ მესამედზე მეტი) ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებასთან, შექმნა-შენახვასთან და რეალიზებასთან დაკავშირებული დანაშაულებია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რიცხვიდან პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული მხოლოდ 5,91%-ს შეადგენს.

მიღებული შედეგები უნდა ჩათვალოს კანონზომიერად. მთელი რიგი მიზეზების გამო (ფიზიკური და ინტელექტუალური დეგრადაცია, ნებისყოფის შესუსტება და ა.შ.) ოპორმანები საერთოდ იშვიათად ჩაიდან ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულს. ქონებრივი დანაშაულები მათ მიერ ხორციელდება ძირითადად ნარკოტიკული ნივთიერებების შესაქმნელ მატერიალური სახსრების მოპოვების მიზნით და არ არის დაკავშირებული ძალადობასთან.

რაც შეეხება ხულიგნობას, იგი შეადგენს ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა 57,03%-ს. ასეთი ტიპის დანაშაულები ძირითადად ხორციელდება ფიზიკურად და გონებრივად უფრო ნაკლებად დეგრადირებულ პაშიშის მწველთა მიერ, რომელთაც ძირითადად ანტი-საზოგადოებრივი განწყობის ახალგაზრდებს წარმოადგენენ. ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე მთელი რიგი საკითხები ნარკოტიკების მომხმარებელთა აღზრდის, მათი ოჯახური მდგომარეობის, მატერიალური და ყოფითი პირობების და სხვათა შესახებ.

გამოკითხულთაგან 14,47%-ს გარდაეცვალა დედა, 37,02%-ს კი მამა. საინტერესოა ისიც, რომ მათგან დიდი ნაწილია, ვისაც არ ჰყავდა ერთ-ერთი მშობელი, დაობლდა 5 ან უფრო მეტი წლის წინ, ხოლო დედადაკარგული რესპოდენტების 70,12% 10 წლით ადრე იყო დაობლებული. თუკი გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება გავრცელებულია ძირითადად ახალგაზრდებში, ნათელი გახდება, თუ რამდენად დიდია იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთაც მშობლები დაკარგეს ბავშვობის ან ყრმობის პერიოდში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ადრე დაობლებულ ნარკოტიკების მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შედარებით დიდი ასაკის ნარკომანია, რასაც გარკვეული კორექტივები შეაქვს შეეს მსჯელობაში. თუკი ორივე ჯგუფის დედადარდაცვლილების ხვედრითი წილი შეადგენს 14,47%-ს, პირველ ჯგუფში ეს მაჩვენებელი არ აღემატება 9,36%-ს, მაშინ, როცა მეორე ჯგუფში აღწევს 26,02%-ს. იგივე შეიძლება ითქვას იმ პირთა მიმართ, რომელთაც გამოკითხვის მომენტში აკლდათ მამა. თუკი მათი საშუალო მარცენებელი უდრის 37,02%-ს, პირველ ჯგუფში იგი 31,53%-ს, ხოლო მეორეში 49,45%-ს შეადგენს.

შესწავლილია ასევე საკითხი ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მშობლების განათლების დონის შესახებ. ყურადსაღებია, რომ ამ საკითხის შესწავლა შესაძლებელი გახდა გამოკითხულთა მხოლოდ პირველ ჯგუფში, ვინაიდან პატიმრობაში მყოფი ნარკოტიკების მომხმარებლები არ იძლეოდნენ უტყუარ მონაცემებს თავიანთი მშობლების განათლების დონის შესახებ იმ უბრალო მიზეზით, რომ ბევრი მათგანი უბრალოდ არ ფლობდა ინფორმაციას ამის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას ნარკოტიკების მომხმარებელთა მშობლებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც.

გაირკვა, რომ პირველ ჯგუფში შემავალ ნარკოტიკების მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მშობლებს გააჩნდათ მაღალი განათლების დონე. დედების 22,66%-ს და მამების 30,21%-ს აქვთ (ან ჰქონდათ გარდაცვალებამდე) უმაღლესი განათლება, ხოლო დედების 58,61%-ს და მამების 53,03%-ს – უმაღლესი, დაუმაღლებელი უმაღლესი ან საშუალო განათლება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა ამ კატეგორიას შორის, ასევე მაღალია იმ პირების ხვედრითი წილიც, რომელთა მშობლებს აქვთ ან ჰქონდათ (გარდაცვალებამდე) განათლების საკმაოდ დაბალი დონე. მათ შორის დედების 17,90%-ს და მამების 31,86%-ს მიღებული აქვთ დაწყებითი განათლება. ეს ძირითადად ეხებათ შედარებით უფრო დიდი ასაკის და ნარკოტიკების მიღების დიდი სტაჟის მქონე ნარკომანებს.

ამგვარად, მშობლების განათლების დონის მიხედვით, გამოკითხულები ძირითადად იყოფიან ორ კოლარულ ჯგუფად. როდენობრივად უფრო დიდ ჯგუფს შეადგენენ ნარკოტიკების ის მომხმარებლები, რომელთა მშობლები ხასიათდებიან მაღალი განათლების დონით, ხოლო მეორე, შედარებით უფრო მცირერიცხოვან ჯგუფს შეადგენენ პირები, რომელთა მშობლებს გააჩნიათ საკმაოდ დაბალი განათლების დონე.

დადგენილია, რომ გამოკითხვის პროცესში დედების 51,72% და მამების 61,08% მუშაობდნენ, ხოლო დედების 29,93% და მამების 19,99% იყვნენ პენსიონერები. მომუშავე მშობელთა დიდი უმეტესობა იყო მოსამსახურე. მოსამსახურეთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის პროცენტულად ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენდნენ დედები, რომლებიც მუშაობდნენ მომსახურების სფეროში (15,24%), ექიმები (13,65%) და პედაგოგები (10,48%)-ს. რაც შეეხება მამებს, მათ შორის შედარებით მაღალი ხვედრითი წილი შედგინეს საინჟინრო-ტექნიკური (22,85%) და მომსახურების სფეროს მუშაკებმა (12,10%).

ამგვარად, ნარკოტიკული ნივთიერებების პირველ ჯგუფში შემავალ მომხმარებელთა უმეტესობა გამოსულია მოსამსახურეთა ოჯახებიდან. გამოკითხულთა დედებს შორის მოსამსახურეთა პროცენტულ თანაფარდობაში ხუთჯერ აღემატებიან მუშებს და შესაბამისად შეადგენენ 77,10%-სა და 14,60%-ს. მოსამსახურეთა და მუშათა თანაფარდობა მამებს შორის თითქმის იგივეა: 76,61% და 16,39%.

საინტერესოა ისიც, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების I ჯგუფში შემავალ მომხმარებელთა დედების მხოლოდ 18,73% და მამების 21,5% იყო დასაქმებული მატერიალური წარმოების სფეროში, ამასთან სოფლის მეურნეობაში საქმიანობდა დედების 0,95% და მამების 1,88%.

მომუშავე დედებს შორის შედარებით მაღალია ჯანდაცვის (22,86%), განათლების (12,80) და ვაჭრობის (18,55%) მუშაკების ხვედრითი წილი, მამების უმეტესობა კი მუშაობდა წარმოების სფეროში (18,55%), მრეწველობაში (12,36%) და ტრანსპორტზე (11,29%).

შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მშობლების უმეტესობა არ არის ცუდად უზრუნველყოფილი. უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს იმ ტიპის მუშაკებთან, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათმა ოჯახებმა ფუფუნებაში იცხოვრონ. მატერიალური უზრუნველყოფა მაღალი ზნეობისა და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობის გარეშე, ხელსაყრელ ნიადაგს ამზადებს სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივი, ამორალური განწყობის ჩამოყალიბებისთვის, რასაც მიყვავართ არა მხოლოდ მოზარდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებისკენ, არამედ საზოგადოებისთვის საშიშ მთელ რიგ სხვა მოვლენებისკენაც.



გამოკითხულთა საცხოვრებელი პირობების შესწავლამ აჩვენა, რომ მათგან მხოლოდ 1,02%-ს არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; საერთო საცხოვრებელში, სარდაფში ცხოვრობს ან კუთხეს ქირაობს გამოკითხულთა 5,29%. მათი უმეტესობა კი ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი, შედარებით დიდი ასაკის, პატიმრობაში მყოფი ადამიანები არიან.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (56,39%) ცხოვრობს საკუთარ სახლში ან კეთილმოწყობილ იზოლირებულ ბინაში. ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ამ კატეგორიის ხვედრითი წილი კიდევ უფრო მაღალია გამოკითხულთა პირველ ჯგუფში და შეადგენს 62,40%-ს. კომპლექსურ ბინებში ცხოვრობს გამოკითხულთა 37,17%, ოღონდ მათ უმეტესობას აქვს დიდი ან საშუალო საბინაო ფართობი.

თუკი რესპოდენტთა საბინაო პირობებზე ვიმსჯელებთ იმ საბინაო ფართით, რომელიც უწევს ოჯახის თითოეულ წევრს, შეიძლება დაეასკენათ, რომ დიდი უმეტესობა ცხოვრობს კარგ ან დამაკმაყოფილებელ პირობებში. ოჯახის თითოეულ წევრზე საბინაო ფართის 14მ<sup>2</sup>-ზე მეტი აქვს გამოკითხულთა 23,59%-ს, ხოლო 25მ<sup>2</sup>-ზე მეტი - 6,50%. ანუ საბინაო ფართის მიხედვით, კარგ და დამაკმაყოფილებელ პირობებში ცხოვრობს ყველა გამოკითხულის 60,18%. მათი ხვედრითი წილი კიდევ უფრო მაღალია პირველ ჯგუფში და შეადგენს 67,45%-ს (დაახლოებით 2/3-ს).

ამგვარად, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა უმეტესობას აქვს კარგი ან დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ მათი უმრავლესობა მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახიდანაა.

ნარკომანთა საერთო მასიდან 52,38% ცხოვრობს მაღალ ან საშუალო შემოსვლიან ოჯახებში, ხოლო ოჯახების 7,26%-ს აქვს ძალიან მაღალი შემოსავალი. გამოკითხულთა 47,16%-ს ანუ თითქმის ნახევარს გააჩნია საშუალო ან საშუალოზე მაღალი შემოსავალი, ხოლო 13,22%-ის შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება საშუალოს. უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მრავალი ოჯახი მატერიალურად ბევრად უკეთესადაა უზრუნველყოფილი, ვიდრე ეს ჩვენს მონაცემებშია ასახული, ვინაიდან გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ დააფიქსირა გულახდილი პასუხი.

არსებობს ასევე სხვა, დამატრულად განსხვავებული ჯგუფი, რომელიც ცუფდად არის მატერიალურად უზრუნველყოფილი. გამოკითხულთა 18,81%-ს აქვს საშუალოზე დაბალი ანაზღაურება, ხოლო 4,33%-ს საერთოდ არ გააჩნია ლეგალური შემოსავალი. ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი მეორე ჯგუფში მნიშვნელოვნად მაღალია და აღწევს 11,53%-ს. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მოცემულ ჯგუფში შედიან ნარკოტიკული ნივთიერებების შედარებით დიდი ასაკის მომხმარებლები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდნენ პატიმრობაში და საერთოდ არ ჰყავდათ ოჯახი, ან გაწყვეტილი ჰქონდათ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა.

ყურადსაღებია, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა დიდი უმეტესობა - 71,53% არის დასაოჯახებელი, 19,84% - დაქორწინებული, 6,49% - ვაყრილი და 0,68% - ქვრივი. თუკი გავითვალისწინებთ ნარკომანიის მძიმე შედეგებს და იმას, რომ რესპოდენტთა 50,57%-ის ასაკი არ აღემატება 24 წელს, დასაოჯახებელთა მაღალი ხვედრითი წილი სავსებით კანონზომიერად მოგვეჩვენება.

გამოკითხულთა განსაზღვრულმა ნაწილმა (6,26%) ბავშვობა არ გაატარა თავის ოჯახში. ასეთი პირების რაოდენობა განსაკუთრებით მაღალი იყო ნარკოტიკული ნივთიერებების პატიმრობაში მყოფ მომხმარებელთა შორის (13,38%-მდე). ისინი ძირითადად შედარებით დიდი ასაკის დამნაშავე-ნარკომანები იყვნენ. უმრავლესობას ჰქონდა მძიმე ბავშვობა, რომელმაც დიდი სამამულო ომის ან ომისშემდგომ პერიოდში ჩაიარა. მათი მამების უმეტესობა მონაწილეობდა სამამულო ომში, დაიღუპა ან დაიკარგა. ოჯახების ხელმოკლეობის გამო ზოგი მათგანი საბავშვო სახლებში გაიზარდა.

ოჯახის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შეფასებისას, მეტად მნიშვნელოვანია მის წევრებს შორის ურთიერთობები, ამიტომ ჩვენ სპეციალურად დაინტერესდით ამ საკითხით. ყურადსაღებია, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 49,54%-მა აღნიშნა კარგი ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის. კიდევ უფრო მცირეა მათი ხვედრითი წილი გამოკითხულთა მეორე ჯგუფში (33,09%). ამავე დროს, რესპოდენტთა 10,02%-მა აღნიშნა, რომ მათ ოჯახებში ადგილი ჰქონდა მუდმივ კონფლიქტებსა და უსიამოვნებას. კიდევ უფრო დიდია მსგავსი პასუხების ხვედრითი წილი გამოკითხულთა მეორე ჯგუფში - 15,21%.

რესპოდენტთა შორის საკმაოდ მაღალია იმ პირთა რაოდენობა (11,73%), რომელთა ოჯახის წევრები ნასამართლევი იყვნენ. მეორე ჯგუფში ეს მაჩვენებელი 21,56%-ს აღწევს, რაც სამჯერ აღემატება პირველი ჯგუფის შესაბამის მაჩვენებელს (7,39%). ასეთი ოჯახების მაღალი ხვედრითი წილი ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ოჯახებში არასახარბიელო მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს არსებობაზე მიუთითებს.

აღმონდა აგრეთვე, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა 23,58% კვლევის ჩატარების პერიოდში სწავლობდა. ამ პირთა წილი კიდევ უფრო მაღალი იყო გამოკითხულთა პირველ ჯგუფში (33,99%), რაც მოსწავლელ ახალგაზრდობას შორის ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გავრცელებაზე მიუთითებდა.

ასევე დაინტერესდით საკითხით, თუ სად სწავლობდნენ გამოკითხული ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები. ამ მიზნით, ერთ ჯგუფში გაეაერთიანეთ ყველა ის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტში ან მანამდე სადმე სწავლობდა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლებას იღებდა გამოკითხულთა 46,02%, საღამოს სკოლებში - 16,62%, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში - 21,86%. ხვედრითი წილის მიხედვით, სკოლის მოსწავლეების რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა სტუდენტებისას, თუმცა, ამ პირთა უმრავლესობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა არა გამოკითხვის მომენტში, არამედ წარსულში.

გამოკითხულთაგან 47,95%-ს (თითქმის ნახევარს) ჰქონდა დაბალი აკადემიური მოსწრება. ამ კატეგორიის პირთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო მაღალი იყო გამოკითხულთა მეორე ჯგუფში (67,65%). ამასთან, კარგად სწავლობდა რესპოდენტთა მხოლოდ 3,42%, ხოლო პატიმრობაში მყოფთაგან - 1,86%.

უცილებელია აღინიშნოს, რომ დაბალი აკადემიური მოსწრება არა მხოლოდ წინ უსწრებდა ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების დაწყებას, არამედ ნარკოტიკების მოხმარების გარდუვალ შედეგსაც წარმოადგენდა პიროვნების ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციიდან გამომდინარე.

ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც გამოკითხვის მომენტში სწავლობდნენ, იყვნენ სტუდენტები - 59,90%. თავისი ხვედრითი წილით ისინი ორჯერ აღემატებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლელ პირებს. სხვაობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ამ მონაცემების მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობაზე გადათვლისას. კერძოდ, სტუდენტთა ხვედრითი წილი 28-ჯერ აღემატებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლელთა წილს.

ასევე დავადგინეთ, თუ რა საქმიანობას ეწეოდა და რა დარგებში ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ის ნაწილი, რომელიც გამოკითხვის მომენტში მუშაობდა. გაირკვა, რომ მათი 50,68% - იყვნენ მუშები, 8,78% - მძღოლები, 7,43% - მომსახურე სფეროს მუშაკები, 2,03% - ექიმები, 2,03% - პედაგოგები, 1,35% - შემოქმედებითი მუშაკები და ა.შ. ამ ჯგუფში შემაჯავლ ნარკომანთა 29,06% დაკავებული იყო მსუბუქ მრეწველობაში, 10,81% - ტრანსპორტზე, 8,78% - მშენებლობაზე, 7,43% - მძიმე მრეწველობაში, 6,08% - კულტურის სფეროში, 3,38% - ჯანდაცვაში და ა.შ.

ამგვარად, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა თითქმის ნახევარი იყო მოსამსახურე, მხოლოდ 1/10 გახლდათ დაკავებული მძიმე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაგრამ არც ერთი ასრულებდა მძიმე ფიზიკურ სამუშაოს. რაც შეეხება მუშებს, მათი უმეტესობა წარმოებაში შემთხვევით ადამიანს წარმოადგენდა. ისინი ხშირად აცდენდნენ სამსახურს და არღვევდნენ სამუშაო დისციპლინას.

ასევე დავინტერესდით ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა დამოკიდებულებით ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტისადმი. გაირკვა, რომ მათი დიდი უმეტესობა სრულიად გულგრილი იყო მხატვრული ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების მიმართ, არ კითხულობდა პერიოდულ პრესას, არ იყო დაკავებული ფიზიკულტურითა და სპორტით. გამოკითხულთა ის უმნიშვნელო ნაწილიც კი, რომელმაც განაცხადა, რომ აინტერესებდა ლიტერატურა და ხელოვნება, ერთდროულად გამოჩნდნენ ამისთანა, სრულიად გაუთვითცნობიერებულ ალმონდა აღნიშნულ სფეროებში, რაც მათი დაბალი განვითარების მაჩვენებელზე მეტყველებს.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ გამოკითხულთა დამოკიდებულებას ახასიათებდნენ.

დღეში ორჯერზე მეტად ნარკოტიკულ ნივთიერებებს იღებდა გამოკითხულთა 47,04%, ანუ თითქმის ნახევარი; დღეში ორჯერ – 25,74%, დღეში ერთხელ – 15,60%. ამ მონაცემების შეჯამებისას დაერწმუნდით, რომ დღეში ერთხელ და უფრო ხშირად ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარდა გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი – 88,38%, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი დიდი უმრავლესობა ქრონიკული ნარკომანი იყო – სრულიად ამაღიანებული მხოლოდ 14,54% იღებდა ნარკოტიკულ საშუალებებს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო 40,85% - სამი წლის განმავლობაში. დანარჩენები ნარკოტიკს უფრო დიდი ხნის მანძილზე იღებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნარკოტიკს 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყენებდნენ. მათი უმრავლესობა წილი საქმოდ მალაღი იყო – 13,90%. პირველი და მეორე ჯგუფი ამ მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, პირველ ჯგუფში მალაღი იყო იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებმაც ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარება დაიწყეს შედარებით ცოტა ხნის წინ, მაშინ, როდესაც, მეორე ჯგუფში უფრო დიდი რაოდენობით იყვნენ პირები, რომლებიც ნარკოტიკს დიდი ხნის მანძილზე იღებდნენ. კერძოდ, პირველ ჯგუფში იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებმაც ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარება დაიწყეს არა უმეტეს 3 წლისა, უდრიდა 50,87%-ს, მეორე ჯგუფში კი არ აღემატებოდა 13,75%-ს. რაც შეეხება პირებს, რომლებიც ნარკოტიკებს ხუთ წელზე უფრო დიდი ხნის მანძილზე იღებდნენ, მეორე ჯგუფში მათი ხვედრითი წილი შეადგენდა 69,15%-ს, ხოლო პირველში – 28,41%-ს.

გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ (85,43%) ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება 25 წლამდე ასაკში დაიწყო, მათგან თითქმის ნახევარმა – 20 წლამდე ასაკში (44,77%). ასე რომ, გამოკითხულთაგან ნარკოტიკების მოხმარება ბევრმა ადრეული ახალგაზრდობის ასაკიდან დაიწყო და გამოკითხვის მომენტისთვის ქრონიკულ ნარკომანად იყო ჩამოყალიბებული.

ყურადღება მივაქციეთ იმასაც, თუ პირველად სად მიიღეს ნარკოტიკი ჩვენმა რესპოდენტებმა.

გაირკვა, რომ მალაღია იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებმაც ნარკოტიკული ნივთიერება პირველად ბაღში (14,58%), ქუჩაში (13,33%) და სხვის ბინაში (10,4 %) მიიღეს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გამოკითხულთა 3,42%-მა, ხოლო პირველ ჯგუფში – 4,43%-მა პირველად ნარკოტიკული ნივთიერება სასწავლო დაწესებულების კედლებში მიიღო. მართალია, ამ კატეგორიის პირთა ხვედრითი წილი დაბალი იყო, მაგრამ თითო ფაქტი საქმოდ შემაშფოთებელი გახლდათ.

საინტერესოა, რომ გამოკითხულთა დიდმა უმეტესობამ – 78,36% - ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება სხვა პირთა გავლენით დაიწყო. მათგან 51,30%-ზე გავლენა იქონიეს ამხანაგებმა და მეგობრებმა, 27,32%-ზე – შემთხვევითმა ნაცნობებმა.

იმავდროულად, თანაკლასელების, თანაკურსელების, თანამშრომლების ზეგავლენის ქვეშ მოექცა გამოკითხულთა მხოლოდ 4,65%, ხოლო ოჯახის წევრების (ქმარი, ცოლი, ძმა, და) გავლენის ქვეშ - კიდევ უფრო ნაკლები - 3,49%. დამახასიათებელია ისიც, რომ ისინი, ვინც გავლენა მოახდინეს რესპოდენტებზე, თავად იყვნენ ნარკომანები (98,69%), რაც ახალბედების ჩათრევის მიმართულებით ნარკომანთა აქტიურ საქმიანობაზე მიუთითებს.

დადგინდა, რომ გამოკითხულთა დიდი უმეტესობა - 86,11% ნარკოტიკული ნივთიერებებს სხვებთან ერთად იღებენ. კერძოდ, ამხანაგებთან ერთად ნარკოტიკულ ნივთიერებებს იღებს მათი 65,75%, ნაცნობებ ნარკომანებთან - 48,82%, ხოლო მეგობრებთან - 21,56%, მეუღლესთან ერთად მხოლოდ 1,85%, დასთან ან ძმასთან კიდევ უფრო ნაკლები - 0,66%. საინტერესოა ისიც, რომ არც ერთ ნარკომანს არ დაუსახელებია ამ ადამიანთა შორის საკუთარი მშობელი.

ამგვარად, იმ პირთა ჯგუფები, რომლებიც ერთდროულად იღებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ყალიბდება არა ნათესაური, არამედ მეგობრობისა და დაცნობობის ნიშნით. ხშირად ნაცნობობასა და მეგობრობას საფუძველად უდევს ის საერთო ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკული ნივთიერებების შექმნასა და მოხმარებასთან. ეს შეტყვევებს იმაზე, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები საკმაოდ მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და უარყოფითად ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

გამოკითხულთა დიდი უმეტესობა თვლის, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. 40,66%-მა აღიარა, რომ ნარკოტიკები დამოუკველად ზემოქმედებენ მათ ჯანმრთელობაზე, 36,68%-მა კი მათ უარყოფით ზემოქმედებაზე მიუთითა. გაირკვა, რომ გამოკითხულთა 20,72%, ანუ დაახლოებით 1/5 საერთოდ უარყოფს მსგავს ნეგატიურ გავლენას. კიდევ უფრო მაღალია ასეთების ხეცდროითი წილი პირველ ჯგუფში (21,26%), მეორე ჯგუფში კი ეს მაჩვენებელი არ აღემატება 5,96%-ს. გამოკითხულთა ამ კატეგორიას ძირითადად მიეკუთვნებიან მოსწავლე ახალგაზრდობიდან გამოსული ჰაშიშის (პლანის) დამწყები მწველები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ ნარკოტიკული ნივთიერებების უარყოფით გავლენას ორგანიზმზე. სწორედ ამიტომ, მათი ხეცდროითი წილი პირველ ჯგუფში, მეორესთან შედარებით, დაახლოებით ხუთჯერ მეტია.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გამოკითხულთა 6,38%-ს ნარკოტიკების მოხმარებისაგან განუვითარდა სრული იმპოტენცია, ხოლო 34,39%-ს შეუსუსტდა სქესობრივი აქტივობა. ამ კატეგორიის პირთა ხეცდროითი წილი კიდევ უფრო მაღალია მეორე ჯგუფში და შესაბამისად 9,30%-სა და 48,32%-ს შეადგენს. თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პასუხის გაცემისაგან თავშეკავებულთა 20,96%-იდან განსაზღვრული ნაწილი ასევე იმპოტენტია ან მნიშვნელოვად აქვს შესუსტებული სქესობრივი აქტივობა, უდავო გახდება, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ნახევარზე მეტს სქესობრივი ფუნქციის სხვადასხვა ხარისხის მოშლა აღენიშნება. მათი უმეტესობა წარმოადგენს ნარკოტიკების შედარებით ხანგრძლივ მომხმარებელს და მიეკუთვნება ქრონიკულ ნარკომანთა რიცხვს. ასეთი ადამიანები უწიიან არა მხოლოდ სქესობრივი ფუნქციის მოშლას, არამედ სქესობრივი ლტოლვის შემცირებას ან გაქრობას, რაც ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედების გარდუვალ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხულთა 3,99%-მა ნარკოტიკების მიღების პერიოდში სქესობრივი გააქტივება დააფიქსირა. ასეთი პასუხი გასცეს დამწყებმა ნარკომანებმა მოსწავლე ახალგაზრდებს შორის. ცნობილია, რომ ზოგიერთი ნარკოტიკი იწვევს სქესობრივ აღზნებას, რასაც გამოუცდელი პირები სქესობრივი პოტენციის გაძლიერებად მიიჩნევენ. ამგვარად, არსებობს ყველა საფუძველი იმის დასადასტურებლად, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა შორის სქესობრივი ფუნქციის სერიოზულ მოშლას თან სდევს გართულებები ოჯახურ და სქესობრივ ურთიერთობებში.

როგორც ანართოხლ აღენიშნეთ, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლებს თანდათანობით მათი ხედვების ავადმყოფური მოთხოვნილება უჩნდებათ, რაც აბსტინენციის

განვითარებით აიხსნება. გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი – 78,82% აცნობიერებს თავის უსუსურობას ამ პრობლემის დაძლევაში, რაც შეეხება 21,07%-ს, მათ აღნიშნეს, რომ შესწევთ ძალა, თავი შეიკაონ ნარკოტიკების მიღებისაგან. ასეთები ძირითადად ახალგაზრდა მომხმარებლები არიან, რომელთაც ჯერ სრულად არ ჩამოყალიბებიათ ნარკოტიკული მიჯაჭვეულობა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პირველ ჯგუფში, მათი ხვედრითი წილი 29,40%-ია, ხოლო მეორეში - 2,23%.

მართალია, ნარკომანთა უმრავლესობა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას დამლუპველ ჩვევად მიიჩნევს ან აღიარებს მის ნეგატიურ ზემოქმედებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნარკომანები შესაბამის დასკვნებს აკეთებენ. პირიქით, მათი უდიდესი ნაწილი აგრძელებს პრეპარატების მიღებას. საქმე იმაშია, რომ ნარკოტიკების მოხმარება ცვლის პიროვნებას, ახდენს მის დეგრადაციას, უსუსურს ხდის ნარკოტიკის მიღების ავადმყოფური სურვილის წინაშე.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების შედეგად, შრომისუნარიანობის მკვეთრი შემცირების ფონზე, სწრაფად იზრდება ტოლერანტობა, ძლიერდება აბსტინენცია, რის გამოც ნარკომანები იძულებული ხდებიან მკვეთრად გაზარდონ მისაღები დოზა. ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნა კი მხოლოდ “შეეზარება” შესაძლებელი, სადაც მათი ფასი უზარმაზარია. ამიტომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ყოველი მომხმარებელი ადრე თუ გვიან შესაბამისი სახსრების მოსაპოვებლად კრიმინალურ გზას ადგება. ეს დარღვი სხვა მიზეზი განაპირობებს დანაშაულობის მაღალ დონეს ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებს შორის. გამოკითხულთა 74,34%, ანუ დაახლოებით 3/4 აღნიშნავს, რომ დანაშაული ნარკოტიკულ ნივთიერებათა შექმნის მიზნით ჩაიდინეს. მეორე ჯგუფში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და 91,45%-ს უდრის.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები აშკარად მოწმობენ, რომ ნარკომანთა დიდი უმრავლესობა (9/10) დანაშაულს ნარკოტიკების შექმნის მიზნით ჩადის. ეს კი საფუძველს გეაძლევს, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების გაერყელება დანაშაულობის ხელშემწყობ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ვაღიაროთ, რაც კიდევ უფრო ზრდის ნარკომანიის საზოგადოებრივ საშიშროებას და მასთან შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ნარკომანიასთან დაკავშირებული კვლევები გრძელდება და არ სრულდება სტატისტიკურ ანგარიშებში შედეგების ასახვით. ეს შედეგები გაველნას ახდენენ ნარკომანიასთან ბრძოლის თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბებაზე საერთაშორისო მასშტაბით. ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემა საქართველოში მჭიდრო კავშირშია მსოფლიოში არსებულ ტენდენციებთან და საკანონმდებლო მიდგომებთან.

### საკონტროლო კითხვები

1. ნარკომანია, როგორც სოციალური პრობლემა.
2. რას ნიშნავს ნარკომანია?
3. ძირითადად მოსახლეობის რა კატეგორიაა ნარკოტიკების მომხმარებელი?
4. ნარკომანიის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური კვლევის ანალიზი.

# თავი 15. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდათა დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება

## § 1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება

1. კრიმინოლოგიაში არასრულწლოვანთა დანაშაულობის ქვეშ იგულისხმება 14-17 წლის მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულების ერთობლიობა. აღნიშნული სახე ზოგადად დანაშაულობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან არასრულწლოვნები, მათი ასაკიდან გამომდინარე, მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. პირველ რიგში მათზე აისახება ესა თუ ის სოციალური სიძნელე ან ოჯახური პრობლემა. არასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური პრობლემები პირდაპირ კავშირში არიან იმ სოციალურ გადახრებთან, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნების დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ასეთი არასრულწლოვნები მოზრდილთა დანაშაულობის შევსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ამიტომ არასრულწლოვანთა დანაშაულის დროული და ეფექტური პროფილაქტიკა ერთდროულად მოზრდილთა დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტიანობასაც ზრდის.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესწავლა მიმდინარეობს ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ოთხი ელემენტის კვლევის საფუძველზე. ესენია:

- არასრულწლოვანთა დანაშაულობა მის მრავალფეროვან ემპირიულ გამოვლინებებში (დონე, სტრუქტურა, დინამიკა);
- არასრულწლოვანი დამნაშავის პიროვნება მისი იმ კრიმინოლოგიურ თავისებურებების შეცნობის კუთხით, რომლებსაც, ობიექტური ხასიათის ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში;
- სოციალური გარემოს ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ არასრულწლოვანთა დანაშაულობის ემპირიულ სურათს;
- არასრულწლოვნების დანაშაულობაზე პოზიტიური ხასიათის სოციალურ ფაქტორთა პროფილაქტიკური ზეგავლენა, მათ შორის არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის სპეციალიზებული სუბიექტების მიზანმიმართული მოღვაწეობა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობა ზოგადად დანაშაულობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მას, როგორც მთლიანის ნებისმიერ სხვა შემადგენელ ნაწილს, აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. რომელთა დიდგნა არსებითად უკვე არასრულწლოვანთა დანაშაულობის სპეციფიკის შეცნობას ნიშნავს.

კვლევებით დადგენილია არასრულწლოვანთა დანაშაულობის ქვემოთ მოყვანილი ძირითადი თავისებურებანი და დამახასიათებელი ნიშნები.

მოზრდილთა დანაშაულობასთან შედარებით, არასრულწლოვანთა დანაშაულობა საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიშია, ნაკლები ზარალი მოაქვს, შედარებით დაბალია მძიმე დანაშაულობათა წილიც. სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადსაღებია მისი კიდევ ერთი თავისებურება - მაღალი ლატენცობა. ამიტომ სისხლის სამართლის სტატისტიკის მიერ ამ კუთხით ასახული მონაცემები ნაკლებად სანდოა.

კიდევ ერთი აღნიშნული სახის დანაშაულობის არცთუ ისე უმნიშვნელო თავისებურება დანაშაულის სიტუაციური ხასიათითაა განპირობებული. რაც ნიშნავს, რომ არასრულწლოვნები დანაშაულს უმეტესად სწადიან სპონტანურად, წინასწარ მომზადებული გეგმის გარეშე, დანაშაულის მპაროვოცირებელი სიტუაციის აღმოცენებისას.

არასრულწლოვანთა დანაშაულობა ძირითადად ჯგუფური ხასიათისაა, რაც სრულიად გასაგებია მათი ასაკობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე. მათი ჯგუფები, როგორც წესი, მცირერიცხოვანია და სუსტი ორგანიზებულობით გამოირჩევა. ლიდერის ფუნქცია აქ,

ხშირად სრულწლოვან წევრს აკისრია. არასრულწლოვნებს კი დანაშაულში მონაწილეთა მეორეხარისხოვანი როლი ერგებათ ხოლმე.

არასრულწლოვანთა დანაშაულობა უფრო ხშირად ანგარებითი ხასიათისაა და, ძირითადად, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობაში გამოიხატება (63%).

რეკონული ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების უმეტესობა ქალაქებშია აღრიცხული. ეს გასაგებიცაა, რადგან ქალაქში ცხოვრების თავისებურებანი და აქ არსებული სოციალური კონტროლის დონე გაცილებით ჩამოუვარდება სოფლისას.

იმ ქალაქთა შორის, რომლებშიც ყველაზე მეტადაა გაერცვლებული არასრულწლოვანთა დანაშაულობა, გამოირჩევიან: ა) დედაქალაქები, რომლებიც მჭიდრო დასახლებით, არასრულწლოვანთა მობილურობის გაზრდილი შესაძლებლობებით და არასრულწლოვან მიგრანტთა მაღალი წილით ხასიათდებიან. ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ფაქტორი ხელს უწყობს არასრულწლოვანების დროსტარების ანონიმურობას, რაც ზრდის მათი მხრიდან ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღბათობას; ბ) სამრეწველო ცენტრები, რომლებიც ძირითადად დასახლებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშათა ოჯახებით. როგორც წესი, სწორედ ასეთი ოჯახებიდან გამოდინან არასრულწლოვანი დამნაშავეები; გ) ქალაქი-კურორტები, რომელთა ცხოვრების სტილი არასრულწლოვნებს უქმად დროსტარებისა და ფულის მოპოვების არაკანონიერი გზებისკენ უბიძგებს.

არასრულწლოვანთა დანაშაულობა ყველაზე მაღალ კრიმინოგენულ აქტივობას აღწევს დროის იმ მონაკვეთებში, რომელთა განმავლობაში ყველაზე მეტადაა შესუსტებული მათზე სოციალური კონტროლი. ამიტომ ამ სახის დანაშაულის დიდი ხვედრითი წილი მოდის არდადეგებზე, სადღესასწაულო და უქმე დღეებზე, საღამოსა და ღამის საათებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მოზარდთა დანაშაულის რეციდივი ხშირად თავს იჩენს მათი სრულწლოვანების პერიოდში, არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტრუქტურაში ამ რეციდივის მაჩვენებლები მაინც 10%-ის ფარგლებში მერყეობს.

დანაშაულობის მოცემული სახის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ძირითადად, ხასიათდება მამრობითი სქესის ფართო წარმომადგენლობით (99,5%), რომლის წევრებმა დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 16-17 წლის ასაკს მიაღწიეს. საქართველოში საზოგადოებრივი გარდაქმნების პერიოდში არასრულწლოვანთა დანაშაულობამ იმატა, როსაც ხელი საზოგადოებრივი სისტემის ცვლამ შეუწყო, რამაც ეკონომიკის დაცემა, პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობის დესტაბილიზაცია მოიტანა. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დინამიკაში, ბოლო წლების განმავლობაში, ერთგვარი სტაბილიზაცია აღინიშნა. 2001-2006 წლების პერიოდში არასრულწლოვანთა დანაშაულების წლიური მაჩვენებელი 700 ერთეულის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო მთელ დანაშაულობაში მისი წილი 5%-ს არ აღემატებოდა.

არასრულწლოვან დამნაშავეს გარკვეული თავისებურებები ახასიათებს:

- განათლებისა და კულტურის შედარებით დაბალი დონე;
- სწავლისა და სპორტისადმი სისტემატური ინტერესის უქონლობა;
- მოთხოვნილებათა და ინტერესების პრიმიტიული ხასიათი;
- გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი;
- მომატებული აგრესიულობა;
- კონფლიქტურ სიტუაციებში უხეშ ძალაზე ორიენტაცია.

ზემოაღნიშნული თავისებურებანი დამახასიათებელია არასრულწლოვანი დამნაშავეის საშუალო ტიპისთვის. მის შიგნით იკვეთება გარკვეული ტიპოლოგიაც მორალურ-სამართლებრივ სფეროში დეფექტების სიმყარისა და სიღრმის, არასრულწლოვან დამნაშავეთა მოტივაციურ, სიტუაციურ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

არასრულწლოვან დამნაშავეთა პიროვნული ანალიზი გეიჩვენებს, რომ მათი 75% მორალურ-სამართლებრივი არამდგრადობით გამოირჩევა. ეს მომენტი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და მათთვის სასჯელის განსაზღვრის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისას.

## § 2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია

არასრულწლოვანთა ასაკობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მათი დანაშაულებრივი ქცევის სოციალურ დეტერმინანტებს უნდა მივაკუთვნოთ:

- კეთილმოუწყობელი ოჯახის უარყოფითი ზეგავლენა;
- ხარვეზები სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელითი პროცესის ორგანიზებაში, რომელიც არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიისადმი დიფერენცირებულ მიდგომას, ფორმალისში მოსწავლეებთან დანაშაულის პროფილაქტიკის კუთხით მუშაობისას, სამართალდამცავ ორგანოებთან არასაკმარისი ურთიერთქმედება;
- სასწავლო და სპორტული დაწესებულებების კომერციალიზაცია ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან გამოსული არასრულწლოვნების პრობლემების გაუთვალისწინებლობით;
- სიძველეები შრომით მოწყობაში და სათანადო სახელმწიფო დახმარების ნორმატიული სისტემის არარსებობა, რომელიც სამუშაოთი უზრუნველყოფდა მოუწყობელი, ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებიდან გამოსულ არასრულწლოვნებს, აგრეთვე მოზარდებს, რომლებიც არ სწავლობენ და არ მუშაობენ, აღენიშნებათ გადახრები ქცევაში ან გათავისუფლებული არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან და ა.შ.;
- სამართალდამცავ ორგანოთა პროფილაქტიკური საქმიანობის მატერიალური, საკანონმდებლო და საკადრო უზრუნველყოფის ნაკლებუნაწიანი. ოჯახის უარყოფითი ზეგავლენა არასრულწლოვანზე შეიძლება გამოიხატოს
- მოუწყობელი, ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახის პირდაპირი ნეგატიური ზემოქმედებით მოზარდზე (სიმთვალე, ცემა, დანაშაულობა და სხვ.);
- ოჯახის ანტიმედაგოგიური პოზიციით, ოჯახის წევრთა შორის აღმზრდელითი ზეგავლენის ჩვეების არარსებობით;
- ობიექტური სიძველეებით (არასრული, შეჭირებული ოჯახი), რომლებიც ხელს უშლიან სრულყოფილ აღზრდას.

პირველ ორ შემთხვევაში, ოჯახის არახელსაყრელი ზეგავლენა მოზარდზე, თითქმის ყოველთვის, მისი წევრების დაბალი კულტურულ-საგანმანათლებლო და ეთიკურ-სამართლებრივი დონითაა განპირობებული. ამასთან, არსებითია ის, რომ ოჯახებში, რომლებშიც არასრულწლოვანი დამნაშავე ყალიბდება, ძირითადად არ არსებობს კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი განათლებისა და კულტურის დონის, ცხოვრების წესის, ღირებულებითი ორიენტაციის მიმართ. ასეთ ოჯახებს არ შესწევთ იმის ძალა, რომ არასრულწლოვნებს პოზიტორი ღირებულებრივი ორიენტაცია და სასიცოცხლო პოზიცია შესთნონ. აღზრდის მიშვებულობას იკამედ მიჰყავს საქმე, რომ მოზარდობის ასაკში არასრულწლოვანი უკვე საკმაოდ ჩამორჩება თავის თანატოლებს კულტურითა და განათლებით.


საგულისხმოა, რომ არასრულწლოვნებს სწორედ ამ პერიოდში უყალიბდებათ ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური მოთხოვნილებები, როგორცაა პრესტიჟის, საკუთარი თავის პატივისცემის, თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. არასწორად აღზრდილი არასრულწლოვნები ქვეცნობიერად მიიღებენ ერთმანეთისკენ; ისინი სასწავლო კომპეტითეში ცალკე ჯგუფს ქმნიან სხვა თანატოლებთან მათი ინტელექტუალური შეუსაბამობის გამო. ფორმირდება სუბკულტურა, სადაც ღირებულებებისა და ფასულობათა იერარქიაში წინა პლანზე წამოწეული უქმად დროსტარება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენება, სწავლის გაგრძელების გზით სოციალური სტატუსის ამაღლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, არაკანონიერი გზით ფულის შოვნისაკენ სწრაფვა და ა.შ.



სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში საჭიროებს არასრულწლოვანი პედაგოგების მხრიდან ყურადღებიან მოპყრობას. მაგრამ სასწავლო დაწესებულებებში ამ პროცესის პროფილაქტიკური რეგულირებისთვის არ არსებობს ნორმატიული ბაზა, პედაგოგები არ არიან დაინტერესებულნი ამგვარ მოზარდებთან ინდივიდუალური მუშაობით, ისინი ბალანსად მიიჩნეა და მათ თავიდან მოშორებას ამჯობინებენ. ანალოგიური პრობლემებია მოსახლეობის შრომითი მოწყობის საკითხებით დაკავებულ ორგანოებში, რომლებიც ნორმატიულად თუ არა, ზოგადი მორალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მაინც არიან ვალდებული შრომითი მოწყობის დროს უპირატესობა სწორედ ამგვარ არასრულწლოვნებს მიანიჭონ.

უცხოელი ავტორები მოზარდებში დელინქენტური სუბკულტურის ჩომოყალიბებას უკავშირებენ დაბალი სოციალური კლასების პრობლემებს, საიდანაც, როგორც წესი, გამოსულნი არიან არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები.<sup>1</sup> იქიდან გამომდინარე, რომ მშობლებს დაბალი ფენის ოჯახებში არ შესწევთ უნარი შეიღებოს კარგი ცხოვრების პირობები შეუქმნან, ბავშვებში ყალიბდება არასრულფასოვნების კომპლექსი და პროტესტის გრძნობა. ასეთი მოზარდები იტანჯებიან თავისი დამცირებული მდგომარეობის გამო, რაც მათში საშუალო კლასების ღირებულებათა უარყოფას იწვევს, რაც უკვე სასკოლო პერიოდში ვლინდება. სკოლა, თავის მხრივ, ორიენტირებულია საშუალო კლასების ღირებულებებზე და მოსწავლეებში სწავლისადმი სწრაფვას და კომფორტშიმს აფასებს. ამიტომ მოზარდები დაბალი სოციალური ფენებიდან, რომლებიც უდისციპლინობით და სწავლისადმი ნაკლები ინტერესით გამოირჩევიან, „შიმში“ მოზარდის სტატუსის უფრო რეალური კანდიდატები ხდებიან. სწორედ მათი გარემოდან ფორმირდება ე.წ. დელინქენტური მოზარდების სუბკულტურა, რომლის თავიდან აცილება დამოკიდებულია საზოგადოების ძალისხმევაზე მოახდინოს სოციალური ფენების დაახლოება, აღმოფხვრას მათ შორის მკვეთრი განსხვავება და დაპირისპირება, გაზარდოს საზოგადოებრივ სტრუქტურაში საშუალო კლასის ხედრითი წილი.

ამერიკელი კრიმინოლოგის ა. კოენის მიერ შემოთავაზებულია ზემოთ აღწერილი მოზარდების კრიმინალიზაციის პროცესის სქემა.<sup>2</sup> ეს სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:




საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე სოციალური სურათის განვითარებაზე დაკვირვებამ უნდა მოახდინოს ამ სქემის გარკვეული კორექტირება, რათა ის

<sup>1</sup> Шнайдер Г. Криминология. М. Изд. «Прогресс», 1994, с.285.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 286.

გამოყენებადი გახდეს ჩვენი ქვეყნის განვითარების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

დღევანდელი საქართველო ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყანაა. რომელსაც ახასიათებს უმუშევრობის მაღალი დონე. ხალხის ძირითადი მასა, სათანადო ანაზღაურების არარსებობის გამო, სოციალურად დაუცველი ფენების რიგში აღმოჩნდა. მინიმუმამდე შემცირდა საშუალო კლასი, რომელიც საქართველოში ყოველთვის საზოგადოების სტაბილურობის გარანტიად გამოდიოდა. ბუნებრივია, ამ ფონზე მკვეთრად გაუარესდა არასრულწლოვანთა აღზრდის პირობები, რამაც მათი დანაშაულობის ზრდა გამოიწვია. უფრო მეტიც, უმეტელწილად დარჩენილი ბავშვების რაოდენობის მატებამ ხელი შეუწყო არასრულწლოვანებში სოციალური გადახრების უფრო სწრაფ და ადრეულ ჩამოყალიბებას, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა როგორც ჩვეულებრივი, ისე მომეტებული საფრთხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მატება. ყოველივე ამის შედეგად, ხელისუფლების მხრიდან გამოითქვა მზაობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხის სხვა საშუალებებით დარეგულირების უძლეურობის აღიარება იყო.

საქართველოში მოზარდების კრიმინალიზაციის პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი შემდეგი სქემა დაიხატოს:



### § 3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკა წარმოადგენს იმ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია დანაშაულობაზე მოქმედი კრიმინოგენური ფაქტორების შესუსტებაზე ან მათ ნეიტრალიზაციაზე. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკა ყოველთვის არ არის პროცესი, რომელიც მიზანმიმართულად ზემოქმედებს მასზე. ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც შეუძლია პროფილაქტიკური ზეგავლენა იქონიოს არასრულწლოვანთა დანაშაულობაზე, რა დონეზეც არ უნდა მიზნინარობდეს ის, განიხილება როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის სისტემის ელემენტი. ამასთან, ამ სისტემაში განსაკუთრებული როლი ენიჭება იმ სტრუქტურებს, რომელთა ფუნქციური დანიშნულება ამ ხაზის დანაშაულის თავიდან აცილებისათვის არაა. სწორედ არასრულწლოვნებით ინტერესდებიან ყველაზე მეტად კრიმინოლოგები. მათი ამოცანაა აღნიშნულ სტრუქტურათა პროფილაქტიკური მოდელის შესახებ მეცნიერული ცოდნის დაგროვება, მათ მუშაობაში ორგანიზაციული, მეთოდური ან სამართლებრივი ხასიათის ნაკლოვანებების აღმოფხვრა და მათი მოდელის სრულყოფაზე გამიზნული რეკომენდაციების გაცემა. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის სისტემა წარმოადგენს დანაშაულობის პროფილაქტიკის მთლიანი სისტემის ნაწილს. როგორც ნაწილს, მას, გააჩნია თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია ზემოქმედების ობიექტის ხასიათით. მეორე მხრივ, ის აირეკლავს იმ ზოგად ნიშნებსაც, რომლითაც საერთოდ ხასიათდება დანაშაულობის პროფილაქტიკის სისტემა.

დაწყების მომენტის მიხედვით, არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკა რამდენიმე სტადიად იყოფა.

პირველი მოიცავს პროფილაქტიკის სუბიექტთა საქმიანობას, რომელიც მიმართულია არასრულწლოვნებზე მკრო და მიკრო გარემოს კრიმინოგენურ ფაქტორთა გავლენის აღკვეთისაკენ.

მეორე ხასიათდება საქმიანობით, რომელიც მიმართულია არასრულწლოვნებზე კრიმინოგენულ ფაქტორთა გავლენის უკვე ფუნქციონირებადი პროცესის აღსაკეცად.

მესამე სტადიაზე პროფილაქტიკური მუშაობა ტარდება უპირატესად იმ პირებთან, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული. ასეთი მუშაობის მიზანია რეციდივის თავიდან აცილება.

ზემოაღნიშნულ სტადიათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის სპეციალიზებულ სუბიექტთა ამოცანები საკმაოდ განსხვავებულია.

პროფილაქტიკის პირველ (ადრეულ) სტადიაზე მათი როლი განისაზღვრება შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის წყაროების გამოვლენით მანამდე, ვიდრე ისინი მოახერხებდნენ ნეგატიური გავლენის მოხდენას მოზარდებზე და იმით, რომ დაეხმარონ არასრულწლოვნებს ამ ზეგავლენისაგან თავის დაღწევაში.

უშუალოდ არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილების სტადიაზე ლაპარაკია არასრულწლოვნებზე უკვე მოქმედი უარყოფითი გავლენის გამოძლევის და მისი აღკვეთის შესახებ, აგრეთვე კანონდამრღვევი არასრულწლოვნების ნეგატიურ თვისებათა კორექციის შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობა ყველაზე მეტად კრიმინოგენული კონტინენტის გამოსაველენად იმ არასრულწლოვნებს შორის, რომელთაც მიატოვეს სწავლა და არსად მუშაობენ. აღნიშნულ სტადიაზე დანაშაულობის პროფილაქტიკური ზომები მეთოდურად მოიცავს:

- კანონდამრღვევთა აღრიცხვაზე აყვანას და მათთან, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებთან პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი სამუშაოს ჩატარებას;

- არდადეგების პერიოდში ასეთ არასრულწლოვანთა უზრუნველყოფას ადგილით გამაჯანსაღებელ ბანაკებში, მათ ჩაბმას თვითშემოქმედებითი და საკულუბო ორგანიზაციების მუშაობაში;
- სპეციალურ აღმზრდელით დაწესებულებებში მათ მოთავსებას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხასიათის ზომების გატარებას წერილმანი სამართალდარღვევებისთვის;
- სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების მიღებას, რომლებშიც გათვალისწინებულია მიყენებული ზიანისათვის ზარალის ანაზღაურება.

მომდევნო ღონისძიებათა ჯგუფს განეკუთვნება ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამო. მათი მიზანია რეციდივის თავიდან აცილება. ასეთ დროს გამოიყენება ზომები, რომლებიც მიმართულია იმ გარემომცველი სოციალური სამყაროს ფაქტორთა ლიკვიდაციისკენ, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ არასრულწლოვანთა მიერ კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენას. რეაგირების ფორმის მიხედვით ეს შეიძლება იყოს საგამოძიებო ორგანოების პროცესუალურად გათვალისწინებული წარდგინებები და სასამართლო კერძო განჩინებები, რომლებიც შეიცავენ მითითებებს, აღმოფხვრან მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კონკრეტული მიზეზები და პირობები; აგრეთვე, ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო და სასამართლო ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ დანაშაულის თავის დროზე გახსნას, დანაშაულის ჩადენი არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას და მისთვის სამართლიანი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი განაჩენის გამოტანას და ითვალისწინებს დამნაშავეს პროცესულ თავისებურებებსაც. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის აღსრულების ხასიათს, რაც მაქსიმალურად უწყობს ხელს არასრულწლოვან დამნაშავეთა ხელახალ აღზრდას. ეს შეიძლება იყოს, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა ქცევაზე კონტროლის დაწესების ღონისძიებები, პოსტპენიტენციური ზემოქმედების ისეთი ზომები, რომლებიც გაუადვილებენ მათ შრომით მოწყობას და ყოფის მოგვარებას.

#### § 4. ახალგაზრდების დანაშაული

სოციოლოგიაში მიღებულია ახალგაზრდების კატეგორიაში 18-დან 29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ჩართვა. ადგილი მისახვედრია, რომ ასეთი ასაკობრივი ჯგუფი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე უფრო აქტიურ ნაწილს წარმოადგენს. ეს კატეგორია განსაკუთრებულად მწვევედ რეაგირებს ყოფით ცვლილებებზე, არასაკმარისი ასაკობრივი სიმწიფის და სოციალური მდგრადობის გამო ცხოვრების ახალ ტენდენციებს ისინი მგრძნობიარედ აღიქვამენ. იმაზე, თუ როგორ აეწყობათ ცხოვრება ახალგაზრდებს, ბევრადაა დამოკიდებული მთელი ქვეყნის მომავალი. ამიტომ საზოგადოების პასუხისმგებლობა ახალგაზრდების ფორმირებაზე ძალიან მაღალია.

საზოგადოებრივი ურთიერთობების კაპიტალიზაციამ ახალგაზრდებში ღირებულებათა ორიენტაციების შეცვლა განაპირობა. რუსეთის სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაგვანახა, რომ, თუ 70-80-იან წლებში ახალგაზრდების ცხოვრებისეული სწრაფვა გამოიხატებოდა მათ სურვილში, ყოფილიყვნენ „სასარგებლონი საზოგადოებისთვის“, „საჭირონი ადამიანებისთვის“, „მრავალმხრივად განვითარებულნი“, „ეკოვით თავისი ადგილი საზოგადოებაში“, უკვე 90-იანი წლების დასაწყისში რესპოდენტების უმრავლესობისთვის განმსაზღვრელი გახდა „ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნა“, „კარგი, ძირითადად მაღალანაზღაურებადი სამსახურით უზრუნველყოფა“.<sup>3</sup>

<sup>3</sup> Чравчук П.Ф. (Курск) Динамика жизненных устремлений студентов; Доклад на втором всероссийском социологическом конгрессе. <http://lib.socio.msu.ru/1/library?e=d-000-00--0kongress--00-0-0-0prompt-10--4-----0-11-1-ru-50--20-about---00031-001-1-0-windowsZz-1251-00&a=d&cl=CL1&d=HASH017e5066ca73d150023f0fd.2.fc>

სამწუხაროდ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ახალგაზრდობა, მწიშნელოვანწილად, სოციალური პრობლემებითაა დაპიძებული. ასეთ პირობებში ახალგაზრდების ფორმირების ხარისხი არ არის მაღალი. სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ისინი მოუზადებლები ხვდებიან. მაღალანაზღაურებადი სამსახურის მისაღებად აუცილებელია საკმაოდ მაღალი ხარისხის განათლების მიღება, რაც თანამედროვე საქართველოს პირობებში საკმაოდ პრობლემატურია. მეორე მხრივ, ახალგაზრდებს არ აინტერესებთ უხეში ფიზიკური შრომა, რომელსაც მათ საზოგადოება სთავაზობს. ასეთი შრომა კი ახალგაზრდა მამაკაცებისთვის ხშირად შრომითი მოწყობის ერთადერთ რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს.

უმუშევრობა, კეთილმოწყობის დაბალი დონე, მიმზიდველი პერსპექტივის არარსებობა ახალგაზრდებში ქმნის ნევროზულ განწყობას, იწვევს რწმენის დაკარგვას, დეპრესიას, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი სწრაფვას და მათ შეუძლებლად შექმნილ სიაშინების სამყაროში გადანაცვლებას უწყობს ხელს. რიგ შემთხვევებში ჩნდება სინამდვილისადმი აგრესიული დამოკიდებულება, მატერიალური ფასეულობების დაფუძვლების კანონიერი საშუალებების უგულვებელყოფა, რაც ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს დანაშაულებრივი ზღისკენ უბიძგებს.

როგორც კვლევები გვიჩვენებენ, რთულ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები ადივილად ხვდებიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, პროფესიული დანაშაულების გაელენის ქვეშ. ისინი სწორედ მათთან კავშირში გრძნობენ თავის საჭიროებას და პირველად იღებენ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას. სწორედ რეალური სოციალური ალტერნატივის არარსებობა ხშირად უბიძგებს ხოლმე ახალგაზრდებს დანაშაულებრივი საქმიანობისკენ.

ახალგაზრდული დანაშაულობა, სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, მთლიანად დახალწლოების ყველაზე მწიშნელოვან წილს შეადგენს. მასში აისახება, ერთი მხრივ, ახალგაზრდული აქტიუობა, თავშეუკავებლობა, იმპულსურობა, ხოლო, მეორე მხრივ, არასაკმარისი კონსპირაციულობა, წინდაუხედაობა, არასერიოზულობა, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში ვლინდება.

ახალგაზრდა ადამიანების სოციალური მოუწყობლობა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებშიც აისახება. მაგალითად, ახალგაზრდების დანაშაული ძირითადად ქუჩურ ხასიათს ატარებს. ახალგაზრდები სწორედ ქუჩაში გრძნობენ თავს განსაკუთრებულად კომფორტულად მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე (გამებუდაობა, წინდაუხედაობა, სისწრაფე, მოქნილობა, ძალა და სხვ.) ახალგაზრდებს, რომლებსაც არ გაჩნიათ საკმარისი ზნეობრივი პოტენციალი და ამავე დროს, სოციალური მოუწყობლობის წნეხის ქვეშ იმყოფებიან, შესწევთ უნარი ჩაიღინონ როგორც ანგარებითი და ანგარებით-ძალადობრივი, ასევე წმინდა ძალადობრივი დანაშაულიც. თუ ანგარებითი ხასიათის დანაშაულის ჩადენა შედარებით ახალგაზრდა პირებისთვის არის მეტად დამახასიათებელი, ასაკის მატებასთან ერთად ისინი სულ უფრო ხშირად მიმართავენ ანგარებით-ძალადობრივ და ძალადობრივ დანაშაულს.

დღეისათვის აღინიშნება დანაშაულებრივი დაჯგუფებების გაახალგაზრდაების ტენდენცია. ისინი ხშირად ახდენენ ხოლმე პროფესიულ დანაშაულობაში არსებული მდგრადი იერარქიული ტრადიციების იგნორირებას, თავიანთი კორექტივები შეაქვთ დანაშაულებრივი სამყაროს კანონებში. ასეთი ტიპის დანაშაულებრივი დაჯგუფებები არაიშვიათად განსაკუთრებული სისასტიკითა და საფრთხის შემცველობით გამოირჩევიან.

როგორც სტატისტიკური სურათის შესწავლამ დაგვიანახა, ახალგაზრდულ დანაშაულობასა და სოციალურ დაბაზულობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. საქართველოში სწორედ სოციალური დაბაზულობის ყველაზე უფრო მწვავე პერიოდში – გასული საუკუნის 90-იან წლებში, შეინიშნა ახალგაზრდული დანაშაულობის მაღალი აქტიუობა. განსაკუთრებით გაიზარდა ანგარებით-ძალადობრივი ხასიათის დანაშაული (ძარცვა, ყაჩაღობა, ავტორტანსპორტის, ადამიანების გატაცება, რეკეტი და სხვ.). ამ პერიოდში მძიმე დანაშაულების წილი დანაშაულობის სტრუქტურაში 30%-დე გაიზარდა, აქედან ღიდი წილი ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულზე მოდიოდა.

ახალგაზრდული და ზოგადად დანაშაულობის მიზეზები და პირობები ერთმანეთის მსგავსია. ადგილობრივი სოციალური ვითარების გათვალისწინებით მათ შეიძლება მრავალფეროვნობა:

- ეკონომიკური კრიზისი;
- უმუშევრობა;
- დაბალანაზღაურებადი და მიმე ფიზიკური შრომის ნაკლები სოციალური მიზიდველობა;
- სასწავლო დაწესებულებების კომერციალიზაცია, რომელიც მოსახლეობის ნაკლებზრუნველყოფილი ფენებისთვის უმაღლესი განათლების მიღებას შეუძლებელს ხდის;
- საზოგადოების სოციალური შექვეითის შესაბამისი განათლების მაღალი სტანდარტების არარსებობა;
- წარმატებული სოციალური მოწყობის პერსპექტივის უქონლობა;
- საზოგადოებრივი ურთიერთობების კაპიტალიზაცია (სულიერი ცხოვრებიდან მატერიალურზე აქცენტების გადატანა), რაც ახალგაზრდების ლეგალური სოციალური რელიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში, დანაშაულებრივი ქცევის დამატებით მოტივაციას ქნის;
- რეგიონული კონფლიქტების მოუგვარებლობა, რამაც გლობალიზების სოციალური მოუწყობლობის პრობლემა წარმოშვა და დამატებითი სირთულეები შეუქმნა ადამიანებს მათთვის არატრადიციულ გარემოში ცხოვრებისას;
- არაკონტროლირებადი მოსახლეობის ტერიტორიების არსებობა, რაც ხელს უწყობს ამ ტერიტორიებზე დანაშაულებრივი დაჯგუფებების დომინირებას;
- მოსახლეობისათვის იარაღისა და საბრძოლო მასალის შედარებით ხელმისაწვდომობა, რაც საქართველოში განსაკუთრებით სამოქალაქო ომის პერიოდში და აუსხატეთის ომის დროს წარმოჩინდა;
- ნარკოტიკების კონტრბანდა, რომლის დონეც პირდაპირ კავშირშია საბაჟო სამსახურის კორუპციულულობის დონესთან;
- საკანონმდებლო, საგადასახადო, აგრეთვე საბანკო სისტემების მიერ სათანადო პირობების შექმნის გაუთვალისწინებლობა ბიზნესის, განსაკუთრებით წერილი ბიზნესის განვითარებისთვის, სადაც ახალგაზრდების დიდი რიცხვია წარმოდგენილი და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული რიგი პრობლემა, საზოგადოებაში ნელ-ნელა პოპულარს თავის დადებით გადაწყვეტას. ამასთან ერთად, ეკონომიკური (მაღალი ფასები ენერგომატარებლებზე, სიძნელეები საქსპორტო პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანასთან დაკავშირებით, არასაკმარისი ინვესტირება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში) და პოლიტიკური სიტუაცია (რუსეთთან კონფრონტაცია) არ გვაძლევს საშუალებას იმედი ვიქონიოთ ვითარების სწრაფ გამოსწორებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ახალგაზრდული დანაშაულობის მიზეზები შეუძლებელია მხოლოდ გარეგან ობიექტურ სოციალურ ფაქტორებს დაეუკავშიროთ, არაღან საზოგადოებაში არსებული სოციალური სიძნელეების მიუხედავად, ყველა ახალგაზრდა რიდი ადგება დანაშაულებრივ გაზას. დანაშაულებრივი ქცევის ეტიოლოგიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური დეფორმაცია, რომელიც მდგომარეობს მუშაობის სურვილის არქონაში, უქმი დროსტარებისკენ მიდრეკილებაში, მატერიალური წარმატების მიღწევის შედარებით იოლი და უმოკლესი გზების ძიებაში, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისკენ სწრაფის არარსებობაში. სწორედ ეს თვისებები უშლის ხელს ბევრ ახალგაზრდას, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გააჩნია თავის ქვეყანაში ან სახლდარგარეთ პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, დაიწყო სამხეობო კარიერა ან დასაქმდეს პოლიციურ სტრუქტურებში იმისდა მიუხედავად, რომ სახელმწიფო სერიოზულად არის დაინტერესებული ამ სტრუქტურების გაფართოებაში და აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ მაქსიმალურად წარმოაჩინოს მათი მიზიდველობა.

როდესაც ესაუბრობთ ახალგაზრდულ დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო პრევენციულ შესაძლებლობებზე, მხედველობაში უპირველეს ყოვლისა, ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთა უარყოფითი გავლენა უნდა ვიქონიოთ. ამასთან, ახალგაზრდული დანაშაულის თავიდან აცილების სისტემა უნდა აიგოს შექმნილ ვითარებაზე სასოგადოების ზეგავლენის გაწევის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებითაც. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ცალკეული საკითხის გადაწყვეტაზე მიმართული ძალისხმევა კარდინალურად არ შეცვლის მდგომარეობას. ახალგაზრდული დანაშაულის თავიდან აცილების პრობლემის ეფექტური გადაწყვეტის შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომაშია. ეს გულისხმობს სოციალური სიტუაციის თანდათან, მიზანმიმართულ და ყველა მიმართულებით გაუმჯობესებას, სასოგადოების სულიერი გაჯანსაღების, ნარკომანიასთან ბრძოლის, ახალგაზრდების პატრიოტული, რელიგიური და სამართლებრივი აღზრდის ჩათვლით.

უნდა ითქვას, რომ სამართალდამცავი ორგანოების შეუახლებით ამ ბოლო დროს ქვეყანაში შემჩნეულია მძიმე დანაშაულების შემცირების ტენდენცია. ეს მდგომარეობა მიუთითებს სასოგადოებრივი კრიზისის დაძლევისკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტურობაზე. მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა მექრთამეობასთან, ხორციელდება საერთაშორისო რეკომენდაციების დანერგვა მთელი რიგი მიმართულებებით, საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მატერიალური უზრუნველყოფის ამაღლება, მათი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება, სამსახურში მიღების და კომერციული მომსახურების შესრულებაზე შეკეულების მიღების დროს გამჭვირვალე პროცედურების შემოღება; სასოგადოებრივად საშიში ქმედებების (ტრეფიკინგი, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, იარაღით უკანონო ვაჭრობა) საკანონდებლო დარეგულირება; პენიტენციური სისტემის სრულყოფა მსჯავრდებულების უფლებების უზრუნველყოფის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი სოციალური პირობების გაუმჯობესების მეშვეობით; ნარკომანიასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება სოციალური და სამედიცინო ასპექტების გათვალისწინებით; სოციალური საკითხების გადაწყვეტაში არასამთავრობო სექტორის ჩართვის წახალისება და ა.შ.

ამასთან, ჯერ კიდევ მაღალია მოსახლეობის უკმაყოფილების დონე სასოგადოებაში სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ტემპებით. სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლას, უმუშევრობის შემცირებას, სხვადასხვა კატეგორიის შრომის ანაზღაურების დონეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების შემცირებას, მცირე ბიზნესის განვითარებას, სასოგადოების სხვადასხვა ფენების განვითარების და მათი სოციალური უზრუნველყოფის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან უფრო დაბალანსებულ დამოკიდებულებას, ჩვენი აზრით, შეუძლია დამატებითი ბიძგი მისცეს და გაამყაროს წარმატება ახალგაზრდულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

**საკონტროლო საკითხები:**

1. რაში მდგომარეობს არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავისებურებები?
2. რა თავისებურებებით ხასიათდება არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები?
3. რაში მდგომარეობს არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემის თავისებურებები?
4. რა თავისებურებები გააჩნია ახალგაზრდების დანაშაულობას და რა არის მისი მიზეზები და პირობები?

## თავი 16. ქალთა დანაშაულობა

### 1. ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლის ისტორიული ასპექტები

დანაშაულობის შესწავლამ, მისმა მიზეზებმა, დინამიკამ და სტრუქტურამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, გამოაგონა ერთი საინტერესო გარემოება: ქალთა დანაშაულობა, მამაკაცთა დანაშაულობასთან შედარებით, რამდენჯერმე უფრო მცირე გახლდათ და, რაც მთავარია, ეს თანაფარდობა სტაბილური იყო დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ერთმანეთს ენაცვლებოდა ეპოქები, სახელმწიფოს ტიპები, მმართველობის ფორმები, მაგრამ მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობის აღნიშნული თანაფარდობა არსებითად არ იცვლებოდა და მხოლოდ ომების პერიოდს შეჰქონდა გარკვეული კორექტივები, რაც ქალთა დანაშაულის მნიშვნელოვან ზრდაში გამოიხატებოდა.

ბუნებრივია, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერებს ეს საკითხი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ისინი შეეცადნენ თავისებურად აეხსნათ მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობას შორის ეს სხვაობა.

ქალთა დანაშაულობის პრობლემა, განსაკუთრებული სიმწვავეით, თავს იჩენს კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმის პირობებში იწყება წარმოებაში ქალის აქტიური ჩართვა. კაპიტალისტური წყობის ჩარჩოებში ეს პროცესი შინაგანად წინააღმდეგობრივია. წარმოებაში ქალების აქტიური მონაწილეობის თვით ფაქტი პროგრესული მნიშვნელობის შემცველია, მაგრამ ადრეული კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობების თანმდევემა უმუშევრობამ, ადამიანთა მასების გადატაკებამ, მომავლისადმი სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ზოგადად დანაშაულობის და კერძოდ, ქალთა დანაშაულობის ზრდას.

ქალთა დანაშაულობის გამოკვლევა აირეკლა დასავლეთის კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. მრავალი კრიმინალისტი, ანთროპოლოგი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სტატისტიკოსი დაკავებული იყო ქალთა დანაშაულობის თავისებურებების შესწავლით, მისი მიზეზების, მასშტაბებისა და ცვალებადობის დადგენით. დასავლეთის კრიმინოლოგიაში არსებობს ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი შრომა. მათი ანალიზი, რასაკვირველია, საინტერესოა, მაგრამ ეს არ არის სპეციალური კვლევის საგანი. ამიტომ მოცემულ თავში განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომს, რომელიც უშუალოდ ეხება ქალთა დანაშაულობის პრობლემას.

XIX საუკუნის დასაწყისში დანაშაულობის საკითხით, მისი ეტიმოლოგიით, დაკავებული იყო უპირატესად სტატისტიკა. საკითხის დასმასა და შემდგომი კვლევის ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებაში დიდი წვლილი მიუძღვით XIX საუკუნის უდიდეს სტატისტიკოსებს ა. კეტლესა და გერის.

ა. კეტლე დანაშაულობის განვითარების კანონების განხილვისას მიდის დასკვნამდე, რომ „დანაშაულის გადენისაკენ სწრაფვა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, სქესზე, მის რაოდენობაზე, განათლებულ დონეზე, წლის პერიოდზე და სხვ.“<sup>1</sup> იგი ქალთა დანაშაულობის სიმცირეს, არა მხოლოდ მათი ფიზიკური სისუსტით, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მათი გარიყვითა და ოჯახური ვალდებულებების მორევში ჩაძირვით ხსნის.

ე.წ. ზნეობრივი ან „მორალური“ თეორია ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ ქალი, თავისი ბუნებით, უფრო ზნეობრივია, ვიდრე მამაკაცი, რაც სუსტი სქესის წარმომადგენლების ხასიათის თვისებებიდან გამომდინარეობს. ეს თვისებები კი კაცთა და ქალის შრომის ბუნებრივი დაყოფის შედეგია. ქალთა დანაშაულობის შედარებით სიმცირის მიზეზებს საინტერესოდ ხსნის მორალისტური თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ნ. ზელანდი. მისი თქმით, „სქესებს შორის მორალური თვისებების შედარება პირდაპირპროპორციულად

<sup>1</sup> ა. კეტლე, „ადამიანი და მისი შესაძლებლობების განვითარება“. 1865, გვ. 7-8.



მიუთითებს ქალთა დანაშაულობის ნაკლებ აუცილებლობაზე და უდიდესი ფსიქოლოგიური გამოცანა ის იქნებოდა, ეს რომ ასე არ ყოფილიყო“.<sup>2</sup>

აღნიშნულმა თეორიამ ვერ კპოვა ფართო გავრცელება და შემდგომში ვერ შეიძინა მომხრეები. თეორია ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ მორალის, ზნეობის ნორმები ყველა დროისათვის და ყველასათვის სტაბილურია.

ქალთა დანაშაულობის პრობლემების შესწავლაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ანთროპოლოგიურმა სკოლამ ჩ. ლომბროზოს, მისი მომხრეებისა და მოწაფეების თავაჯობით. ჩ. ლომბროზო ერთერთი პირველი დაინტერესდა დამნაშავე ქალების შესწავლით და ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მისმა სწავლებამ არ დატოვა გულგრილი არც ერთი მკვლევარი. გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. დანაშაულის საფუძვლად ლომბროზომ ინდივიდუალური ქცევის ანომალიები დაასახელა და ანთროპოლოგიური სკოლის კვლევებიც დანაშაულობაზე ინდივიდუალური ფაქტორების გავლენის შესწავლის კუთხით წარიმართა. ანთროპოლოგიური სკოლის საწყისი პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ პიროვნებას ინდივიდუალური თვისებები დაბადებიდან დაჰყვება და დამნაშავეც კრიმინალური ქცევის ნიშნებს დაბადების მომენტიდან ატარებს. შემდგომში ამ ნიშნების გამოვლენას კი ხელშემწყობი პირობების მეტ-ნაკლებობა განსაზღვრავს.

ჩ. ლომბროზოს შეხედულებებისა და სხვადასხვა პერიოდში მათში ასახული ცვლილებების დაწერილებითი განხილვა არ წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მიზანს, მაგრამ ჩ. ლომბროზოს შეხედულებების საერთო დახასიათებისათვის შეიძლება მოიყვანოთ ვან-კანის გამოანთქევაში, რომელიც აღნიშნავდა, რომ ლომბროზომ დებულებების შემდგომი წარმოჩენისა და განხილვისას კრიტიკის წინების ქვეშ ოდნავ შეცვლა აქცენტები. თავდაპირველად იგი დამნაშავეს ატაჯიზმის პროდუქტს უწოდებდა, შემდგომში ნევროპათს და ბოლოს მორალურად შეშლილთან გააიგივა.<sup>3</sup>

საკუთარი მოღვაწეობის, უფრო გვიან პერიოდში, ლომბროზომ აღიარა სოციალური ცხოვრების ფაქტორების გავლენა დანაშაულობაზე, მაგრამ დანაშაულებრივი ქცევის პირველწყაროდ მათ არასოდეს თვლიდა.

ჩ. ლომბროზო დიდ ყურადღებას უთმობდა დამნაშავე ქალების ტიპების შესწავლასა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების მიზეზების ძიებას. ქალთა დანაშაულობის კვლევას მან მოუძღვანა როგორც სპეციალური ნაშრომები („ქალთა – დამნაშავეები და მებავები“), ისე თავები სხვადასხვა კვლევებში. ჩ. ლომბროზოს მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა ქალთა დანაშაულობის შესახებ გაცხარებული დისკუსია გამოიწვია, რითაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო საკითხის შემდგომ შესწავლას.

ის ფაქტი, რომ ქალთა დანაშაულობა ბევრად ნაკლებია მამაკაცთაზე, ლომბროზომ ქალის ორგანიზმის შედარებითი ფიზიოლოგიური განუვითარებლობით ახსნა. იგი ამტკიცებდა, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ განვითარებული თავის ტვინი, რომელიც წონითაც და ხევეულების რაოდენობითაც ჩამორჩება მამაკაცისას. იგი პოულობდა სპეციფიკურ თავისებურებებს თმების, ყურებისა და ქალის სხვა ორგანოების განვითარებაშიც. ქალის სხვადასხვა პირობებთან შეგუების უნარს, სამკაულებისადმი, ლომბროზო ატაჯიზმად და სუსტი სქესის წარმომადგენლების ბიოლოგიურ არასრულყოფილებად მიიჩნევდა.

ანატომიისა და ფსიქოლოგიის შესწავლის პროცესში, ჩ. ლომბროზო თავისი თეორიის სასარგებლოდ, ტარდის გამოთქმით, იყენებდა „სრულხიად შემთხვევით შერჩეულ გამონაკლისებს“. ხელაღწერად შერჩეულ ფაქტებზე დაყრდნობით, ლომბროზო და მისი მიმდევრები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქალი თავისი განვითარებით ჩამორჩება მამაკაცს. სუსტი სქესის წარმომადგენლების გონებრივ ჩამორჩენილობას ისინი ხსნიდნენ

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>3</sup> ვან-კანი, „დანაშაულობის ეკონომიკური ფაქტორები“. მ. 1915. გვ. 39.

მათი კონსერვატულობით, ოჯახური საფუძვლებს უცვლელად შენარჩუნებისკენ სწრაფით. ლომბროზო და ლასკი წერდნენ, რომ „ქალი ბავშვის მსგავსია, იგი ცდილობს შეინარჩუნოს რელიგია, ზნეობა, წინაპართა ტრადიციები და ჩვევები მაშინ, როცა კაცებმა მათზე უკვე უარი თქვეს“.

ავტორები უარყოფდნენ მეცნიერებასა და ხელოვნებაში ქალის მიერ სიმამლავების მიღწევის შესაძლებლობას, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ გენიალურობის არარსებობა მათ ხელს არ უშლის, იყონ წერილმანი სიახლეების ფანატური მომხრეები. ისინი ფეხს უწყობენ მოდის სწრაფ ცვლილებებს, მაგრამ არ უყვართ მსხვილი გარდაქმნები.<sup>4</sup>

ქალების გონებრივ ჩამორჩენილობას ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლები დედობრივი ფაქტორის არსებობით ხსნიდნენ. ლომბროზოს აზრით, დედობა, შთანთქავდა მთელ მათ შესაძლებლობებს. ე. ფერეროსთან ერთად იგი ამტკიცებდა, რომ კაცი მუდმივად იცვლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებს, ქალი კი თავისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს დედობრივ მზრუნველობას უძღვნის, რაც რასაკვირველია არ უწყობს ხელს მის გონებრივ განვითარებას.

შეისწავლიდა რა ანთროპოლოგიური კუთხით დამნაშავე ქალებს, ლომბროზო თვლიდა, რომ დამნაშავე და არადამნაშავე ქალბატონებს შორის სხვაობა არსებობს. ის აღნიშნავდა, რომ დამნაშავეს თავის ქალის დამახასიათებელი თავისებურებები არა იმდენად კრანომეტრული გაზომვის რიცხობრივ მონაცემებშია, რამდენადაც სხვადასხვა კრანიალური ანომალიების არსებობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების გამოკვლევებში ჩ. ლომბროზო სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე მიუთითებდა, მაგრამ მას მხოლოდ გარე ფაქტორის როლს არიჭებდა და ბუნების მიერ ქალში ჩადებული დანაშაულებრივი თვისებების გამოვლინების ხელშემწყობ პირობად მიიჩნევდა. ჩ. ლომბროზოს შრომები დიდი როლდენობით ფაქტორებ მასალას შეიცავს, თუმცა ის ნაკლებად შემოწმებულია, დასკვნების ნაქარვეადაა გამოტანილი, წყაროები არასაკმარისადაა გამოკვლეული, მასალების შერჩევა ხშირად შემთხვევითია. უმთავრესი შეცდომა კი დანაშაულობის პრობლემის შესწავლისადმი დაუსაბუთებელ ანთროპოლოგიურ მიდგომაშია.

ა. ბებელისეული შეფასებით: „ლომბროზოსა და ფერეროს თხზულება „ქალები – დამნაშავეები და მებავები“ დაწერილია შოპენაუერის სტილში. ჯერ არ შეგხვედრია ამ მოცულობის სხვა სამეცნიერო ნარკვევი (მასში 590 გვერდია), რომელშიც დამამტკიცებელი მასალა ასე მწირად ყოფილიყოს წარმოდგენილი. სტატისტიკური მასალაც უმეტესწილად მცირეა, მაგრამ მისგან გამომდინარე დასკვნები საკმაოდ თამამი. ხშირად ავტორებისათვის საკმარისია სულ რამდენიმე შემთხვევა იმისათვის, რომ ხამალალი დასკვნები გამოიტანონ.“<sup>5</sup>

რუსეთში ლომბროზოს მიმდევარმა პ. ტარნოვსკიამ დამნაშავე ქალების ცალკეული ტიპის შესწავლას რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა. იგი თვლიდა, რომ „კვლევის ყველაზე უხეში მეთოდების გამოყენების შემთხვევაშიც კი, ერთი და იმავე რასის დამნაშავე და უდამნაშაულო ადამიანებს შორის უმეტესად არსებობს ბიოლოგიური სხვაობა“. ამის მიუხედავად, მეკვლევარი აღიარებდა, რომ „დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელია სხვა მიზეზების არსებობაც“ და პირველ ადგილს ამ მიზეზებს შორის სოციალურ პირობებს, გარემოს ვარდენას, მაგალითს და აღზრდას ანიჭებდა.<sup>6</sup> კვლევის ობიექტად პ. ტარნოვსკიამ მეკვლევი და ქურდი ქალები აირჩია. იგი ცდილობდა ეკლესიის მიღებულ შედეგებში საკუთარი პოზიციის დამამტკიცებელი საბუთები ემოვა.

ტარნოვსკია აღიარებდა, რომ „მხოლოდ ანატომიური მონაცემების ან თანდაყოლილი ზნეობრივი გადახრების საფუძველზე“ არ შეიძლება ადამიანის კრიმინალად მიჩნევა; იგი

<sup>4</sup> ჩ. ლომბროზო, ე. ფერერო, „ქალები-დამნაშავეები და მებავები“. კიევი, 1903, გვ. 50

<sup>5</sup> ა. ბებელი, „ქალი და სოციალიზმი“. 1959, გვ. 203.

<sup>6</sup> პ. ტარნოვსკია, „ქალი-მკვლევი“. 1902, გვ.11

თელიდა, რომ არსებობენ პიროვნებები, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულის ჩადენისადმი, ცხოვრების არასახარბიელო პირობებს, აღზრდის ცუდ მაგალითს ან უბრალო შემთხვევითობას კი ისინი დანაშაულის ჩადენამდე მიჰყავს.<sup>7</sup> მეორე მხრივ, თუ დავეყრდნობით მეცნიერის აზრს იმის შესახებ, რომ დამანაშავეებისთვის დამახასიათებელია ანატომიური და ზნეობრივი თავისებურებები, თუ ვაღიარებთ დანაშაულობისადმი მათი მიდრეკილების შესაძლებლობას, მაშინ არ უნდა უარყოთ ლომბროზოსეული ტიპის არსებობაც.

პ. ტარნოვსკაია თვლიდა, რომ დაკავების ადგილებში დამანაშავეების მასობრივი კვლევა სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.<sup>8</sup> დამანაშავე ქალებს ის უღებდა თავის, ცხვირის ზომებს; ადგენდა მათი სახის ოვალის ფორმას, გულმკერდისა და მუცლის მოხაზულობას, წონას; კიდურების სიგრძეს, სმენის სიმახვილეს; შეისწავლიდა მგრძობელობას. ამ გზით მეცნიერი ცდილობდა დამანაშავეს ე.წ. ანთროპომეტრული ცხრილების შედგენას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მემკვიდრეობითობას, ალკოჰოლისადმი მიდრეკილებას არამარტო დამანაშავეებში, არამედ მათ შობილებს შორისაც.

პ. ტარნოვსკაიას დებულებები ძალიან წინააღმდეგობრივი გახლდათ. კვლევის პროცესში იგი მივიდა დასკვნამდე, რომ, „ბიოლოგიური კუთხით დამანაშავეების დაყოფა მკვლევებად, ქურდებად და ა.შ. ვერ უძლებს ევრანაირ კრიტიკას. სამართალდარღვევის დონე, უმეტეს შემთხვევაში, არ განსაზღვრავს დამანაშავეს პიროვნებას ბიოლოგიური კუთხით.“<sup>9</sup> მაგრამ იგი, ამასთანავე, თვლიდა, რომ „ არა დანაშაულის ტიპზე, არამედ ბიოლოგიურ მახასიათებლებზე დაყრდნობით კრიმინალების ცალკეულ ჯგუფებად დაყოფისას, (რასის, გარემოს, დროის, გათვალისწინებით) შეიძლება მივიღოთ დამანაშავეთა ანთროპოლოგიურად ერთგვაროვანი მასალა, რომელიც უდანაშაულო ადამიანებთან შედარებისას მოგვცემს მკვეთრად გამოხატულ დამახასიათებელ თავისებურებებს, რომელთა საშუალებითაც განესაზღვრავთ სხვადასხვა ფიზიკურ და ფსიქიკურ გადახასას.“<sup>10</sup>

ჩ. ლომბროზო და პ. ტარნოვსკაია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დამანაშავე ქალი ფსიქიკურად და ფიზიკურადაც განსხვავდება“ იმავე რასისა და წრის საშუალო, ნორმალური ტიპის ქალისგან.“

პ. ტარნოვსკაია, რომელმაც თავისი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა რუსი ეროვნების სხვადასხვა ტიპის დამანაშავე ქალების (უმეტესწილად, სოფლის მაცხოვრებლების) შესწავლას, აღნიშნავდა, რომ „დანაშაულის გენეტიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით, დაკვირვების ქვეშ მყოფ ქალთაგან იკვეთება დამანაშავეთა ორი ძირითადი ჯგუფი“ გარკვეული ფსიქიკური და ფიზიკური ანომალიებით. „პირველ ჯგუფში გადმწყვეტია მგზნებარე ენება, უნი, რომელიც მთლიანად მოიცავს გაუწონასწორებელ არსებას და იგი მკვლევლობამდე მიჰყავს“, მეორე ჯგუფში, პირიქით, წინა პლანზე გამოდის „ზნეობრივი საწყისების არასრული, დაჩლუნგებული აღქმა, ინტელექტის დაბალი დონე“. ამ ნიადაგზე, სრულიად ჩვეულებრივმა მიზეზმა, ადამიანს შეიძლება მკვლევლობისკენ უბიძგოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დამანაშავეთა ეს ჯგუფები თითქოს მოწყვეტილნი არიან რეალურ სინამდვილეს და იმ სოციალურ პირობებს, რომელთა წყალობითაც ისინი ასეთებად ჩამოყალიბდნენ. ლომბროზოსა და მისი სკოლის მიმდევრების მიხედვით, გარემოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გავლენის მნიშვნელობის აღიარება თითქოს ფონს ქმნის დამანაშავეს თანდაყოლილი და გენეტიკური თავისებების გამოხატულებად, რაც მისი ცნვითარების ფსიქიკურ და ფიზიკურ ანომალიებში აიჭრება.

<sup>7</sup> იქვე გვ. 484

<sup>8</sup> იქვე გვ. 143

<sup>9</sup> პ. ტარნოვსკაია, „ქალი-მკვლელი“, 1902, გვ. 482

<sup>10</sup> იქვე გვ. 483

მაგრამ არც ერთი ეს მტიკცებულება არ იძლეოდა სრულ, მკვეთრ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რაშია ქალთა დანაშაულების სიმცირის მიზეზი მამაკაცთა დანაშაულობასთან შედარებით. გ. ტარდი ეწინააღმდეგებოდა რა ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს, წერდა: „ქალებს აქეთ განსაცვიფრებელი მსგავსება დამნაშავეებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი, კაცებთან შედარებით, ოთხჯერ უფრო ნაკლებად არიან მიდრეკილნი დანაშაულის ჩადენისკენ და შემძლია დავამატო – ოთხჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სიკეთისკენ.“

ანთროპოლოგიური სკოლის ყველა მოსაზრება იქამდე მიდიოდა, რომ დამნაშავე ქალში თვით ბუნების მიერ იყოს ჩადებული ისეთივე უარყოფითი თვისებები, როგორებიც მამაკაცში.

ანთროპომეტრული გაზომვის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩ. ლომბროზომ წამოაყენა მოსაზრება, რომ მეძაღვი, თავისი აგებულებით მეტად ახლოს დგას დამნაშავესთან. ამგვარად ლომბროზო ქალთა დანაშაულობას მეძაღვების ხარჯზე აესებდა და თვლიდა, რომ პროსტიტუცია ქალთა დანაშაულობის სპეციალური ფორმაა.<sup>11</sup>

დამნაშავისა და მეძაღვის ტიპების მსგავსების გამო, მან საჭიროდ მიიჩნია ქალთა დანაშაულობის შეესების აუცილებლობა პროსტიტუციის სტატისტიკით. პროსტიტუციის მიზეზების ახსნისას მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ: „ბევრისათვის სიღარიბე და მშობლებისაგან ყურადღების მოკლება არის მხოლოდ შემთხვევითი საბაბი, ნამდვილი მიზეზი კი იმალება უსირცხვილობასა და ზნეობრივ იდიოტიზმში, რომლის გამოც ქალი მიდის პროსტიტუციაში.“<sup>12</sup>

ეფერი, რომელსაც შუალედური პოზიცია ეკავა სოციოლოგიურსა და ანთროპოლოგიურ სკოლებს შორის, ასახულებს რა საკუთარ შეხედულებას, აღნიშნავს: „მართალია, ქალის წილი საერთო დანაშაულობაში თითქმის უმნიშვნელოა, მაგრამ პროსტიტუციის გზით იგი ავლენს თავისი სექსისთვის დამახასიათებელ გადაგვარების ნიშნებს; კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დანაშაული არ არის მხოლოდ ბიოლოგიური თვისებების შედეგი, არამედ წარმოადგენს ფიზიკური და სოციალური ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების პროდუქტს“<sup>13</sup>

ზემოთ მოყვანილი ყველა მტიკცებულება ეფუძნებოდა ქალთა ბიოლოგიურ არასრულფასოვნებას, არასტაბილურ ხასიათს, სუსტ ფსიქიკას და ა. შ. ლომბროზო და ეფერი საუბრობდნენ ქალთა სექსისთვის დამახასიათებელ გადაგვარებაზე. ქალის მიერ დანაშაულის ჩადენის სოციალური მიზეზები მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი ფაქტორი, როგორც ფონი დანაშაულობრივი მიდრეკილებების გამოსავლენად. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ქალთა ერთი ნაწილი დანაშაულის ჩადენაში, მეორე კი – პროსტიტუციაში პოულობდა.

ამგვარად, დამნაშავე ქალთან მიმართებაში ანთროპოლოგიური სკოლის მიერ გამოთქმული მთავარი დებულებები შეიძლება შემდგენიარად ჩამოვაყალიბოთ:

1. ქალის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის სოციალური რეალობის პროდუქტი, არც საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის ანარქიკია. ის პიროვნების თანდაყოლილი უარყოფითი თვისებების (ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური) თავისებური გამოხატუაა.
2. დანაშაულის მთავარი მიზეზი მდგომარეობს არასახარბიელო მექანიკურობითობაში, გარემო და პირობები მხოლოდ ხელს უწყობს პიროვნების თანდაყოლილი თვისებების გამოვლენას.
3. კრიმინალები, რომლებიც არ მოხდნენ არც ერთ ანთროპომეტრულ ცხრილში, მიეკუთვნებიან ე. წ. „შემთხვევით“ დამნაშავეებს. ქალთა და მამაკაცთა დანაშაულობას

<sup>11</sup> ჩ. ლომბროზო, ე. ეფერო, „ქალები- დანაშაული და მეძაღვები“. კიევი. 1903. გვ. 443.  
<sup>12</sup> იქვე, გვ. 483.  
<sup>13</sup> ე. ფერი, „სისხლის სამართლის სოციოლოგია“. ნაწ. I. 1910, გვ. 11.

შორის დიდი სხვაობა იმით აიხსნება, რომ დამნაშავე ქალების რიცხვს არ ემატებოდა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც „პროსტიტუციას“ ეწეოდნენ.

4. რადგან დანაშაული განპირობებული იყო ქალის პიროვნების ბიოლოგიური თავისებურებებით, მისთვის დასანიშნი სასჯელი უნდა ჩანაცვლებულიყო სამედიცინო ხასიათის ზომებით. წინასწარი დაკავების ადგილი კი იმავდროულად კლინიკური მეთვალყურეობის ადგილი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, ანთროპოლოგიური სკოლა დამნაშავე ქალს სოციალური პირობებისგან მოწყვეტით განიხილავდა, მაგრამ, ადამიანი „არ შეიძლება განიხილო იზოლირებულად, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ არსებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სუბიექტს, საზოგადოების კონკრეტულ წარმომადგენელს, რომელიც რეალიზდება საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორც სოციალური კოლექტივის (საზოგადოებრივი აზრუფის, კლასის, ერის) ნაწილი. ამიტომ თვისებები, რომლითაც ხასიათდება პიროვნება, არ შეიძლება იყოს თანდაყოლილი, იგი საბოლოოდ ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრება“<sup>14</sup>. „დამნაშავეს პიროვნებისთვის დამახასიათებელია არა თანდაყოლილი დანაშაულებრივი თვისებები, არამედ სოციალურად განსაზღვრული მახასიათებლები, რომლებიც თავს ანტისაზოგადოებრივი ქცევის აქტში იჩენენ.“

თავის ნაშრომებსა და გამოსვლებში გ. ტარდი აღნიშნავს, რომ ლომობროზო, ამტკიცებს რა თანდაყოლილი დამნაშავე ტიპის არსებობას, აშკარად მიდის ურთიერთგამომრიცხავ ფაქტების აღიარებაზე. ტარდი ასკვნის: „ლომობროზოს სკოლამ საბოლოოდ დაგვიმტკიცა, რომ დამნაშავე, როგორც ადამიანის ბუნებრივი სახესხვაობა, არ არსებობს“<sup>15</sup>. მაგრამ დანაშაულის ჭეშმარიტი მიზეზების დადგენა ვერ შეძლო ტარდმაც.

ანთროპოლოგიური სკოლისაგან განსხვავებით, სოციოლოგიური სკოლა შეეცადა აეხსნა დანაშაულობა ისტორიულ და სოციალურ ცვლილებებთან კავშირში. რუსეთში ამ სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის მ. გერნეტს. თავის ნაშრომში „დანაშაულობის სოციალური ფაქტორები“, რომელსაც საფუძვლად იტალიელი კრიმინალისტიკის კალაიანის შრომა უდევს, მან გააანალიზა იმ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიები.

მ. გერნეტი აღნიშნავს: „ყოლიანი სრულიად სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა დანაშაულობა ქვეყნებისა და წლების მიხედვით ურთიერთგანსხვავებულია. იგი ხან უახლოვდება მამაკაცთა დანაშაულობის ზღვარს, ხან პირიქით, სცილდება მას, იმის მიხედვით, თუ როგორ სოციალურ პირობებში უხდება ქალს ცხოვრება, მისი მდგომარეობა უახლოვდება მამაკაცისას, თუ შორს არის მისგან.“<sup>16</sup>

სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები კაპიტალისტური წყობის ჩარჩოებიდან გამოსულელად სოციალური პირობების შეცვლის შესაძლებლობას აღიარებდნენ. აქედან გამომდინარე, ისინი დანაშაულის მდგომარეობის შეცვლას სხვადასხვა ფაქტორების, კერძოდ, წარმოების, კულტურის, განათლების და ა.შ. განვითარებაში ხედავდნენ.

ი. ფონინციკის მიხედვით, „თუკი კულტურის დონეს განესაზღვრავთ მიღებული შთაბეჭდილების სიუხვის მიხედვით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ, რაც უფრო კულტურულია ქალი, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება მისი მოღვაწეობა, მათ შორის დანაშაულებრივიც“<sup>17</sup>. სხვა მკვლევარები, მაგალითად, ი. ოზეროვი, აღნიშნავდა, რომ: „იმ გუბერიაში, სადაც წარმოება განვითარებული, ქალთა დანაშაულობის კოეფიციენტი მამაკაცთა დანაშაულობის კოეფიციენტთან შედარებით უფრო მაღალია“ ე. ი.

<sup>14</sup> უჯკებაევი, „დანაშაულებრივი ქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ“, აღმატა, 1971, გვ. 31

<sup>15</sup> გ. ტარდი, „დამნაშავე და დანაშაულობა“. 1906. გვ. 2.

<sup>16</sup> მ. გერნეტი, „დანაშაულობის სოციალური ფაქტორები“. 1905. გვ. 131-132

<sup>17</sup> ი. ფონინციკი, „ქალი დამნაშავე“. „ჩრდილოეთის უწყებანი“. 1893. გვ. 127

„სამრეწველო ცხოვრების გაღვინით ქალთა დანაშაულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მამაკაცებისა.“<sup>18</sup>

ამგვარად, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების თეორიების მოკლე ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული სკოლების მიმდევრებმა ვერ შეძლეს ზოგადი დანაშაულობის და კერძოდ, ქალთა დანაშაულობის მიზეზების დადგენა. მიუხედავად მდიდარი ფაქტობრივი მასალისა და ცალკეული სწორი დებულებისა, მოცემული კრიმინოლოგიური მიმართულების საერთო კონცეფციები თეორიულად დაუსაბუთებელია.

ანტიისტორიზმი, დანაშაულის განხილვისადმი მეტაფიზიკური მიდგომა შეთავსებული საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალისტურ გაგებასთან - აი, ასეთია ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების წარმომადგენლების შეხედულებების მთავარი მახასიათებელი ნიშანი.

მარქსისტი კრიმინოლოგები ყოველი საზოგადოებრივი მოვლენის მეცნიერულ წყდომას მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე თვლიდნენ შესაძლებლად. 1897 წელს პ. სტუჩკი თავის სტატიაში „დამნაშავე ქალების შესახებ“ მარქსისტული პოზიციიდან ხსნიდა ანთროპოლოგიური სკოლის კონცეფციების უსუსურობას და აღნიშნავდა იმას, რომ ყველა სახის დანაშაულში, მათ შორის ქალების მიერ ჩადენილში, განსაკუთრებული ყურადღება დამნაშავის მატერიალურ და საზოგადოებრივ მდგომარეობას უნდა მიექცეს. ამ სტატიაში პ. სტუჩკი სრულებით უარყოფდა „ქალის ხასიათს“. ის ამტკიცებდა, რომ ქალის ხასიათი, როგორც ასეთი საერთოდ არ არსებობს. ყველა ხასიათი, მათ შორის დამნაშავე ქალისაც, ყალიბდება და იწველება დროსა და გარემოებების ზემოქმედების შედეგად. იგი ასევე ხაზს უსვამდა, რომ „დანაშაულობის მიზეზებზე გაელენას ახდენს არა სქესი და სხვა ბიოლოგიური თავისებურებები, არამედ პირობები და გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.“<sup>19</sup>

ქალთა დანაშაულობის პრობლემის მრავალრიცხოვანი მეკლევარი მამაკაცებთან შედარებით ქალთა დანაშაულობის სიმცირის მიზეზებს სამ ძირითად სფეროში ეძებდა. ესენია: ბიოლოგიური, სოციოლოგიური და ზნეობრივი. არსებობდა და დღესაც არსებობს მრავალრიცხოვანი თეორიები, რომელთა მომხრეები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ერთი სფეროს მეორესთან შეფარდებით შეიძლება ამ მიზეზების განსაზღვრა.

ო. პოლაკი ხაზს უსვამდა, რომ „ქალთა დანაშაულობის სოციალური ფაქტორების სწორი გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ფაქტორები განიხილება სამართალდამრღვევის ბიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით“.

მეცნიერები არ უარყოფდნენ დანაშაულობაზე სოციალური ფაქტორების გაელენას, მაგრამ ანიჭებდნენ მათ მხოლოდ გარე ფაქტორის როლს, რომელიც ხელს უწყობს ამ დანაშაულებრივი თვისებების გამოვლენას, რაც, მათი აზრით, ქალში თვით ბუნების მიერ არის ჩადებული.

სხვა სიტყვებით, ისინი ამტკიცებენ, რომ დანაშაულობა, ეს არის არა სოციალური სინამდვილის პროდუქტი, არამედ იმ პირობის მოქმედების გამოხატულება, რომელთაც აქვთ გარკვეული თანდაყოლილი მიდრეკილებები ანტი-საზოგადოებრივი ქმედებებისადმი. ამიტომ, დასაჯელიანი შეწივრები წინასწარმეტყველებენ, რომ ქალთა ემანსიპაციის ზრდასთან ერთად უფრო ფართო ასპარეზი მიეცემა ანტი-სოციალურ მიდრეკილებებს. ამის ერთადერთ ალტერნატივად ისინი ქალთა მოღვაწეობის შეზღუდულ სფეროებს თვლიდნენ.

<sup>18</sup> სანკ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული იურიდიული საზოგადოების ჟურნალი. 1896. № 4. გვ. 51

<sup>19</sup> საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი, 1965, №7, გვ. 98 (ციტ. ე. სტუმინის სტატიიდან „დანაშაულის მიზეზები და მათთან ბრძოლის მეთოდები“ პ. სტუჩკის ნაშრომებში).

შეიმჩნევა გარკვეული დამოკიდებულება ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულის სახეობა და მათი საკმინარის სტრუქტურებს შორის. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპი – ქალთა დანაშაულობის შესწავლა, ისევე, როგორც დანაშაულობის ზოგადად, ხდება კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით. მხოლოდ კონკრეტული სოციალური სიტუაციების ანალიზმა შეიძლება გადაწყვიტოს ეს რთული პრობლემა.

სოციალიზმის ეპოქაში, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც ტარდებოდა კრიმინოლოგიური გამოკვლევები. მათ შორის დიდი ადგილი ეკავა ქალთა დანაშაულობას. ამ საკითხს შეისწავლიდნენ არა მხოლოდ კრიმინოლოგები, არამედ ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. მიუხედავად ამისა, 20-30-იანი წლების მრავალ შრომაში შეიმჩნევა, ერთი მხრივ, სოციალოგიური სკოლის გაელენა, მეორე მხრივ, ზოგ ავტორთან საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა დანაშაულის ჩადენის მიზეზების განხილვისას ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ბიოლოგიურ სხვაობას. აღსანიშნავია, რომ 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირში არსებულმა ინტერესმა დანაშაულის პიროვნებისადმი ხელი შეუწყო ქალთა დანაშაულობის შესწავლასაც. ა. ტრაინინი კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალთა დანაშაულობის საკითხის განხილვისას აღნიშნავდა: „როგორ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, ერთდროულად და პარადელურად იზრდება ქალთა დანაშაულობა და ემანსიპაცია (დამოუკიდებლობა). მაგრამ ეს არის თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალ პარადოქსთან მხოლოდ ერთი. ებმება რა მამაკაცის ორუმტრიალში, პროლეტარიზდება რა მამაკაცების პარადელურად და ამგვარად ემსგავსება რა მას სოციალურად, ქალი იმედროულად უახლოვდება მამაკაცს კრიმინოლოგიურადაც. სოციალური ზღვარი მამაკაცსა და ქალს შორის, მიუხედავად მათი დრმა ორგანული სხვაობისა, თანდთან ქრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის დანაშაულებრივშიც.“ ქალთა დანაშაულობის შესწავლის ისტორიული ასპექტები სოციალისტური წყობის პირობებში და თანამედროვე მსოფლიოში საინტერესო და აქტუალურ საკითხია და ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

## 2. ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები

ქალთა დანაშაულობა, ისევე, როგორც ზოგადად დანაშაულობა, შედარებით მასობრივი, ისტორიულად ცვალებადი, სოციალურ-სამართლებრივი, ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში დროის ამა თუ იმ პერიოდში სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების (დანაშაულების) ერთობლიობისაგან შედგება.

ქალთა დანაშაულობა არა მარტო ცალკეულ დანაშაულთა საერთო რიცხვს მოიცავს, არამედ იმ პირებსაც, რომლებმაც ეს დანაშაულები ჩაიდინეს. ამასთანავე კონკრეტულ სახელმწიფოში ქალთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით დასჯადი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების (დანაშაულების) ერთობლიობა არა მხოლოდ აწმყოს თეალსაზრისით ფასდება, არამედ წარსულისა და მომავლის კუთხითაც.

ქალთა დანაშაულობის, როგორც ანტისოციალური მოვლენის კრიმინოლოგიური ბუნებისა და არსის გაგებისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების დადგენას. როგორც აღვნიშნეთ, ქალთა დანაშაულობა ქვეყანაში ამა თუ იმ პერიოდში ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულების ერთობლიობა და სისტემაა. ამასთან მისი ელემენტები – ცალკეული დანაშაულები და მათი სახეობები სტატისტიკურად ზომიერ და პროგნოზირებად ურთიერთქმედებაშია.

ეს ურთიერთქმედებები გამოვლინდებიან:

- ქალთა მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის საერთო მიზეზებში, რომლებიც გარკვეულად სხვადასხვაგვარი და განცალკევებული დანაშაულების ურთიერთკავშირს განსაზღვრავენ;
- იმაში, რომ ერთი დანაშაული შეიძლება იყოს მეორის მიზეზი ან პირობა. მექანიზმები აქ შეიძლება ყველაზე განსხვავებული გახლდეთ;

- ქალთა დანაშაულობის თვითორგანიზაციის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციამ. დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების მცდელობას იგი, კარგი დამცავი სისტემის მქონე ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, უქასუხებს ძალთა გადაჯგუფებით, მოქმედების ხასიათის ცვლილებებითა და „კრიმინალური უსაფრთხოების“ ადექვატური სისტემის შექმნით;
- ქალთა დანაშაულობის ცალკეულ სახეობებს შორის კავშირის არსებობით.

დანაშაულობის კრიმინოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა დადგენა შეუძლებელია მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გარეშე.

ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გამოვლენა და შესწავლა უნდა მოხდეს სამი ძირითადი განზომილებით:

- ქალთა დანაშაულობის მდგომარეობით – იგი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულობის რაოდენობრივ მახასიათებელს წარმოადგენს და მოიაზრებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე დროის კონკრეტულ პერიოდში ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობასა და იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.
- ქალთა დანაშაულობის დონით – ამ კატეგორიის დანაშაულობათა კოეფიციენტი და შედარებითი მაჩვენებელია. მისი აღრიცხვა წარმოებს ქალთა დანაშაულების რაოდენობიდან, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ რაოდენობის მოსახლეობაზე გაანაგარიშებით (მაგ., 10, ან 100 ათასზე) ამა თუ იმ ტერიტორიაზეა ჩადენილი. დონის მაჩვენებლები მხოლოდ შედარებით ციფრებში გამოიხატება. ქალთა დანაშაულობის დონის უფრო ზუსტი განსაზღვრისათვის მთელი მოსახლეობა კი არ უნდა გავითვალისწინოთ, არამედ ის ასაკობრივი ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებიც მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დანაშაულისათვის შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.
- ქალთა დანაშაულობის დინამიკით – ამ ტიპის დანაშაულებათა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებელს წარმოადგენს და დროის კონკრეტული პერიოდის ფარგლებში დანაშაულობას დინამიკაში ახასიათებს. ქალთა დანაშაულობის დინამიკა – დროის გარკვეულ მონაკვეთში დანაშაულობის დონის, სტრუქტურისა და ხასიათის მაჩვენებლების ცვლილებაა. იგი ჩვეულებრივ დანაშაულობის მაჩვენებლების (თევების, კვარტლის, წლის, ხუთი წლის, ათი წლის) რიცხობრივ ცვლილებებს ასახავს.

ისევე, როგორც დანაშაულობა, ქალთა დანაშაულობაც დინამიკაში განიხილება. დრო – აღნიშნული მოვლენის აუცილებელი ატრიბუტია. დანაშაულობის კრიმინოლოგიური შესწავლისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, როგორ წარმოიქმნა მოცემული მოვლენა, განვითარების რა ძირითად ეტაპებს გადიოდა, როგორია ის ახლა და როგორი იქნება მომავალში. დინამიკის გარეშე, დანაშაულობის დონე, სტრუქტურა და ხასიათი, აღნიშნული მოვლენის სტატისტიკაში ერთი ჩვეულებრივი „ფორგარაფია“. ამასთან ყურადღება გადატანილია შესასწავლი მოვლენის იმ მხარეზე, რომელიც მის პირობით მდგრადობას ახასიათებს. სწორედ რომ დინამიკა გეეხმარება, გავარკვიოთ დანაშაულობის არა უბრალოდ ვითარება, დონე, სტრუქტურა და ხასიათი, არამედ მისი მოძრაობა, დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ვითარებას შორის მონაცვლეობა. დინამიკა დანაშაულობის ვითარების, წარსულისა და მომავლის პოზიციების ორგანული შეერთებისა და შესაბამისი პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

*ქალთა დანაშაულობის სტრუქტურა.* ვინაიდან ქალთა დანაშაულობა ცალკეულ დანაშაულთა უბრალო არითმეტიკული ჯამი არ არის, იგულისხმება, რომ ამ უქანსკნელთა შორის გარკვეული ურთიერთობები არსებობს. ქალთა დანაშაულებისა და აღნიშნული ურთიერთობების ერთობლიობა ქალთა დანაშაულობის სტრუქტურას წარმოადგენს. იგი მოიცავს ყველა დანაშაულს, მისი ცალკეულ სახეობასა და კატეგორას, რომელიც ჩადენილი იყო ამა თუ იმ ტერიტორიაზე კონკრეტულ პერიოდში. თუკი მდგრადობა და დონე, ძირითადად დანაშაულობის რაოდენობრივ მხარეს გამოხატავს, სტრუქტურა – ძირითადად, ხარისხობრივსა და თვისებრივს. ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის ცოდნა ნიშნავს, ჩაწედე ამ მოვლენის ძირითად არსს. იგი იძლევა



დანაშაულობის შიდა მხარეების განმარტებას და ადგენს დანაშაულთა ურთიერთკავშირებს, ასევე ახდენს დანაშაულობის საზოგადოებრივი საფრთხის ხარისხის განსაზღვრას და ადგილს მიუჩენს მას სოციალური მოვლენების ერთიან სისტემაში.

დანაშაულობის ხასიათი დანაშაულობის თვისებრივი მაჩვენებელია. იგი თავისი ფორმით დანაშაულობის სტრუქტურას გამოხატავს და შინაარსით დანაშაულთა საერთო ერთობლიობაში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ნაწილს ახასიათებს.

იმდენად, რამდენადაც, ქალთა დანაშაულობა, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, კონკრეტულ სახელმწიფოში დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მომხდარ დანაშაულთა ერთობლიობაა, მისი ელემენტები (ცალკეული დანაშაულები) და სახეობები კი სტატისტიკურად ზომვად და პროგნოზირებად ურთიერთმოქმედებაში იმყოფება, საქართველოში ქალთა დანაშაულობის დინამიკისა და სტრუქტურის კრიმინოლოგიური კვლევისათვის აღებულ იქნა გარკვეული პერიოდის, კერძოდ 2003-2007 წლების საერთო სტატისტიკური მასალა, ხოლო კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვება და სტატისტიკური ანალიზი.

სტატისტიკას ზოგადად უწოდებენ პრაქტიკული საქმიანობის სახეობას, რომელიც შეგროვებაზე, დამუშავებასა და ციფრობრივი მონაცემების ანალიზზეა დაფუძნებული და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს მდგომარეობაზე გვიქმნის წარმოდგენას.

სტატისტიკა ამავე დროს ციფრობრივ მონაცემთა ერთობლიობაა.

სტატისტიკური დაკვირვება – თვისობრივად ერთგვაროვანი ფაქტების (მოვლენების) რაოდენობრივი რეგისტრაციაა. სტატისტიკური დაკვირვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მკვლევარი მისთვის საინტერესო ფაქტებს, ამა თუ იმ მეთოდით, აეღვინს და ითვლის.

სტატისტიკური ანალიზი – სტატისტიკური გამოკვლევის დამამთავრებელი ეტაპია. ამ ეტაპზე ვლინდება სხვადასხვა კანონზომიერება, შეისწავლება მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის ხასიათი.

სტატისტიკური ანალიზის არსი დანაწევრებული სტატისტიკური მონაცემების ურთიერთ შედარებაშია.

საქართველოში 2003-2007 წლებში დანაშაულობის და კერძოდ ქალთა დანაშაულობის მდგომარეობის, დინამიკისა და სტრუქტურის კრიმინოლოგიურმა გამოკვლევამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედინა მოცემული მოვლენის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები დროის აღნიშნულ მონაკვეთში ჩვენს ქვეყანაში, გამოგვევლინა მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები.

დანაშაულობისა და ქალთა დანაშაულობის 2003-2007 წლების სტატისტიკური მასალის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდა დანაშაულთა საერთო რიცხვში ქალთა დანაშაულების ხვედრით წილზე, ქალების მიერ ჩადენილი ცალკეული სახეობის დანაშაულების წილობრივ შემადგენლობაზე, ყოველ წელს ქალთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შედარებით ანალიზზე.

ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაულები დაჯგუფდა ერთგვაროვანი ნიშნების მიხედვით. ერთგვაროვანი ნიშნები შეირჩა საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცალკეული თავის შესაბამისად.

2007 წელს ქალთა დანაშაულობის ხვედრითმა წილმა დანაშაულთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შეადგინა 21,5%. ხოლო 2003-2007 წლებში ეს წილი 17,5% იყო. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ქალთა დანაშაულობა 5-ჯერ ნაკლებია მამაკაცთა დანაშაულობასთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება მამაკაცებისას. საზოგადოდ ქალთა და

მამაკაცთა დანაშაულობათა თანაფარდობა წინა პერიოდებთან მიმართებაში მერყეობს 1:7, 1:6, და 1:5 ფარგლებში, ანუ მამაკაცთა დანაშაულობა ზოგჯერ 7-ჯერ, 6-ჯერ და 5-ჯერ აღემატება ქალებისას. აღნიშნული ტენდენცია ქალთა დანაშაულობის მდგომარეობის მახასიათებელი კანონზომიერებაა, რომლის მიზეზი და პირობები ქალთა დანაშაულობის წარმოშობის სოციალურ და გენდერულ დეტერმინატებში უნდა ვეძიოთ.

სტატისტიკური დაკვირვებიდან გამომდინარე, ზემოხსენებულ მონაცემთა გათვალისწინებით, ქალთა დანაშაულობის წილობრივი მაჩვენებელი 2007 წელს (21,5%) საგრძობლად აღემატება 2003-2007 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს (17,5%). აღნიშნული გარემოება, უპირველეს ყოვლისა, შეტყვევებს იმაზე, რომ 2003-2007 წლებში ქალთა დანაშაულობის მდგომარეობის რყევაზე და არათანმიმდევრული განვითარების ტენდენციებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ცელილებმა ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებში, რასაც ნათლად დაეინახათ ქალთა დანაშაულობის დინამიკისა და სტრუქტურის შესწავლისას.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეული თავების მიხედვით 2007 წელს ქალებისა და მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულების პროცენტული მაჩვენებლები მითითებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**ქალთა დანაშაულობის მდგომარეობა საქართველოში 2007 წლის მონაცემებით**

№	დანაშაულთა სახეები	2007 წ.	
		ქალები %	მამაკაცები %
1	დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ	5,5%	94,5%
2	დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	6%	94%
3	ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა	7%	93%
4	დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	2%	98%
5	დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	7,5%	92,5%
6	დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ	16%	84%
7	დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	15,5%	84,5%
8	დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ	3,4%	96,6%
9	დანაშაული ფულად საკრედიტო სისტემაში	3,5%	96,5%
10	დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში	8,5%	91,5%
11	დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ	4%	96%
12	დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	2,1%	97,9%
13	დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ	4%	96%
14	ნარკოტიკული დანაშაული	7%	93%
15	სატრანსპორტო დანაშაული	5%	95%
16	კომპიუტერული დანაშაული	0,3%	99,7%

17	დანაშაული გარემოს დაცვის წინააღმდეგ	0,4%	99,6%
18	სამოხელეო დანაშაული	1,1%	98,9%
19	დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	1%	99%
20	დანაშაული სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ	1,5%	98,5%

აღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებენ იმ გარემოებაზე, რომ ქალთა დანაშაულობის მდგომარეობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ თავებთან მიმართებაში არაერთგვაროვანია და ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულების ხედრითი წილი დანაშაულთა მოცემულ ჯგუფებში მკვეთრად განსხვავდება საშუალო მონაცემებისგან. ასე მაგალითად, ძალზე დაბალია ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულების ხედრითი წილი სამოხელეო, მმართველობის წესისა და სექსობრივი თავისუფლებებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში, მაშინ, როდესაც, ოჯახისა და არასრულწლოვნის, საკუთრებისა და საფინანსო საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ქალების ხედრითი წილი ძალზე მაღალია და თექვსმეტჯერ, თხუთმეტჯერ და რვაჯერ აღემატება თავიპირველად ნახსენებ ჯგუფებში მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხედრით წილს, რაც რიცხობრივად 16:1, 15:1 და 8:1-ს შეადგენს.


აღნიშნული პარამეტრებით ქალთა დანაშაულობის მდგომარეობის კრიმინოლოგიური და კონკრეტული სურათი მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში 2007 წლის მდგომარეობით ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივი მახასიათებლების ტენდენციები, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია 2003-2007 წლებში ქალთა დანაშაულობის ბუნებაში მომხდარი ცვლილებებით, რაც ცალკე განხილვის საგანია.

ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს 2003-2007 წლებში საქართველოში მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვალებადობას და ზრდის ტემპებს.

ქალთა დანაშაულობის დინამიკის კვლევის კრიმინოლოგიური და სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა 2003, 2004, 2005, 2006 და 2007 წლების სტატისტიკურ მონაცემთა ფარგლებში, ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების გამოყენებით.

2003 წელს ქალთა დანაშაულობის ხედრითმა წილმა დანაშაულობათა საერთო რიცხვთან მიმართებაში შეადგინა 16,5%, ხოლო 2007 წელს 21,5%. როგორც ვხედავთ, ცალსახაა, რომ ქალთა დანაშაულობამ 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, საგრძნობლად მოიმატა და ნამატმა, არც მეტი - არც ნაკლები, შეადგინა 5%. მსგავსი მატება ქალთა დანაშაულობის მნიშვნელოვან ზრდაზე და მისი ტენდენციების ცვლილებებზე მიუთითებს.

საკვლეფ პერიოდში თითოეულ წელზე ქალთა დანაშაულობის ხედრითი წილები დანაშაულობის საერთო რიცხვთან მიმართებაში შემდგენილად გადაანაწილდა: 2003–16,5%, 2004 წ.–20,5%, 2005 წ.– 20,4%, 2006 წ.–19,6% და 2007 წ.–21,5%.



როგორც ვხედავთ, ქალთა დანაშაულობის მოძრაობა და რაოდენობრივი ცვალებადობა ამ წლებში, ატარებს ტალღისებურ ხასიათს და აელენს სამ ტენდენციას – ზრდას, კლებას და სტაბილურობას. მსგავსი სურათით ირიცხება ერთიანი გენერალური ტენდენციის არსებობა. ქალთა დანაშაულობის ზრდის ტენდენციები იკვეთება 2004 (20,5%) და 2007 (21,5%) წლებში, სტაბილურობისა - 2004 და 2005 წლებში (შესაბამისად 20,5 და 20,4%), კლებას კი 2006 წელს – 19,6%. იგივე ხასიათის ტენდენციები შეიმჩნევა ცალკეულ წელზე ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეული თავების მიხედვითაც ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენ პირთა ჯგუფების კრიმინოლოგიური და კერძოდ, სტატისტიკური ანალიზი, ნათლად აელენს საკლდე პერიოდში ქალთა დანაშაულობის დინამიკის განვითარების ტენდენციების შინაგან კანონზომიერებებსა და თავისებურებებს. ქალთა დანაშაულობის ზრდის ტენდენცია 2003-2007 წლების მიხედვით ვლინდება დანაშაულთა შემდეგ ჯგუფებში (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი):

ქალთა დანაშაულობის დინამიკის ზრდის ტენდენცია საქართველოში 2003-2007 წლებში

№	დანაშაულის სახე	2003წ	2004წ	2005წ	2006წ	2007წ
		%	%	%	%	%
1	დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ	3,4%	4,5%	4,9%	5%	5,5%
2	ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა	4%	4,8%	6%	5,8%	7%
3	დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ	12%	14,5%	15,2%	15,8%	16%
4	დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	11%	12,8%	14,7%	14%	15,5%
5	დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ	2,5%	3,5%	5,2%	3,6%	4%
6	დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში	4,8%	6,3%	7,5%	7,1%	8,5%
7	ნარკოტიკული დანაშაული	2,5%	5%	5,8%	6,5%	7%

ცხადია, რომ 2003–2007 წლებში ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის ტენდენციები განვითარდა და წარმოიშვა სწორედ ზემოხსენებულ დანაშაულთა ჯგუფების ხარჯზე. კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ის სწორედ დანაშაულთა ის ჯგუფებია, რომლებიც ქალთა დანაშაულობისთვისაა მახასიათებელი. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინოდ იკვეთება ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რომლებშიც ქალების ხვედრითი წილი შეადგენს 16%-ს, მაშაქაებისა – 84%-ს და ფაქტობრივად ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი გამოირჩევა. ამ კატეგორიიდან განსაკუთრებით ხშირია ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა: შეილაღ ან შეილობილაღ აყვანის წესის დარღვევა (სსკ 173-ე მუხლი), ბავშვის შეცვლა (სსკ 174-ე მუხლი), შეილაღ აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება.

ნიშანდობლივი და კანონზომიერია ის გარემოება, რომ ქალთა დანაშაულობის დინამიკის ზრდის ტენდენციები ვლინდება სამი ძირითადი მიმართულებით.

პირველი მიმართულებაა ძალადობრივი დანაშაული, რომელსაც პირველ რიგში განეკუთვნება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობათა (სსკ 112-ე მუხლი) რაოდენობა. ეს უკანასკნელი კლასიკური გაგებით განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ქალთა დანაშაულობის წრეს და მის ერთადერთ და სპეციალურ სუბიექტად ქალი მიიჩნევა.

მეორე მიმართულებას დანაშაულთა მოცემულ კატეგორიაში ქმნის ანგარებით-ძალადობრივი დანაშაული: კერძოდ, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, მათ შორის ძარცვა, ყაზალობა, გამოძალა და ა.შ.

მესამე მიმართულებას წარმოადგენს ანგარებითი დანაშაული: ქურდობა, თაღლითობა, მითვისება და გაფლანგვა, გადასახადისათვის თავის არიდება, მომხმარებლის მოტყუება და სხვ. უნდა ითქვას, რომ ქალთა დანაშაულობის დინამიკის ზრდის ტენდენციები და კანონზომიერებები, ზოგადად შეესატყვისება 2003-2007 წლებში საქართველოში დანაშაულობის დინამიკის ზრდის საერთო ტენდენციებს, რაც აღნიშნულ პერიოდში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური

№	დანაშაულთა სახეები	2003წ	2004წ	2005წ	2006წ	2007წ
		%	%	%	%	%
1	დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელ შეუხებლობის წინააღმდეგ	3,4%	3,5%	42,5%	2,1%	2%
2	დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	9%	8,5%	8,7%	7,9%	7%
3	დანაშაული ფულად საკრედიტო სისტემაში	7%	5%	4,2%	4,5%	3,5%
4	დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	5%	3,1%	3,4%	2,3%	2,1%
5	დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	4%	2,5%	2%	1,5%	1%

ცვლილებებითაა განპირობებული. ის ფაქტი, რომ ქალთა დანაშაულობის ზრდის ტენდენცია ძალადობრივ დანაშაულთა ხარჯზე ხდება, ანარეკლია ქართულ სინამდვილეში და საზოგადოებაში არსებული დაძაბული სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისა, რაც სახელმწიფოში საზოგადოების ყველა სფეროში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებებით უნდა აიხსნას.

აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ ასევე ქალთა დანაშაულობის ზრდის ტემპებს, რომელიც ძალზე მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა და შეადგენს 2,5%-ს. ქალთა დანაშაულობის დინამიკის შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებულ დანაშაულთა ჯგუფებში. ეს ისეთი დანაშაულებია, რომლებსაც ქალები ძირითადად არ იღენენ და მათი ხვედრითი წილი ძალზე დაბალია.

ქალთა დანაშაულობის დინამიკის კლების ტენდენცია ნაწილობრივ შეესატყვისება აღნიშნულ წლებში ზოგადად დანაშაულობის კლების ტენდენციას, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ვერაერთარ ზეგავლენას ახდენს ქალთა დანაშაულობის საერთო ტენდენციებზე. ამ ჯგუფის დანაშაულობათა ძალზე დაბალი ხვედრითი წილი საერთო

ქალთა დანაშაულობის დინამიკის შემცირების ტენდენცია საქართველოში 2003-2007 წლებში დანაშაულობათა სისტემაში შთაინთქმება იმ დანაშაულთა ჯგუფების სიმრავლით, რომელთაც ახასიათებს ზრდისა და სტაბილურობის ტენდენცია.

ქალთა დანაშაულობის სტაბილურობის ტენდენციები იკვეთება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის თავებში გამოყოფილ შემდეგ დანაშაულებში:

- დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ 2003წ. - 3,3%, 2007წ. - 3,4%.
- დანაშაული სამეწარმეო ან ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ 2003წ. - 4%; 2007წ. - 4%.
- სატრანსპორტო დანაშაული 2003წ. - 4,8%; 2007წ. - 5%.

- სამოხელეო დანაშაული 2003წ. - 1 %; 2007წ. - 1,1%.
- კომპიუტერული დანაშაული 2003წ. - 0,5%; 2007წ. - 0,5%.
- დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ 2003წ. - 0,2%; 2007წ. - 0,3%.
- დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ 2003წ. - 1,1%; 2007წ. - 1%.
- ტერორიზმი 2003წ. - 0% 2007წ. - 0%.
- დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ 2003წ. - 0,9%; 2007წ. - 0,9%.
- დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება 2003წ. - 2%; 2007წ. - 2%.

აღნიშნული მონაცემები მიანიშნებენ იმაზე, რომ სტაბილურობის ტენდენციით გამოირჩევა დანაშაულთა ის სახეები, რომლებიც დამახასიათებელია ან არ არის დამახასიათებელი ქალთა დანაშაულობისთვის. სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ქალებს მიერ ჩადენილ დანაშაულთა ამ ორი სახის მარჯვენებელ შორის განსხვავება ძალზე მეკეთრია და შეადგენს ხუთ და 0%-ს. ასე მაგალითად, ქალთა დანაშაულობისათვის დამახასიათებელ დანაშაულებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დაფიქსირებული ქალების მიერ ჩადენილ სატრანსპორტო დანაშაულთა ჯგუფში (5%), ხოლო დანაშაულთა იმ სახეობებს შორის, რომლებიც ქალებისთვის არ არის დამახასიათებელი, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია დანაშაულთა ისეთ სახეობებში, როგორებიცაა ტერორიზმი 0% და დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ 1%.

მიუხედავად დანაშაულთა სახეობების არაერთგვაროვნებისა, 2003 – 2007 წლებში ქალების მიერ მათი ჩადენის ტენდენციები (გამოხატული ხედრითი წილებით) ძალზე მყარი და სტაბილურია. სწორედ სიმყარისა და სტაბილურობის მომენტი აერთიანებს ამ დანაშაულებს ერთ კატეგორიაში. სიმყარისა და სტაბილურობის ტენდენციებზე კი მიუთითებს ფრიად უმნიშვნელო დინამიკა (მერყეობა 0,1 - 0,5%-ის ფარგლებში).

ზემოხსენებულ დანაშაულებში სტაბილურობის ტენდენციის არსებობა მეტყველებს ამ დანაშაულთა რაოდენობრივი მახასიათებლების განვითარების სიმყარეზე და იმაზე, რომ ქალების მიერ ჩადენილ ამ ტიპის დანაშაულთა წარმოშობის დეტერმინანტები საკვლევ პერიოდში მყარი და უცვლელია. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ეს გარემოება ქალთა დანაშაულობის თავიდან აცილების ღრნისძიებათა დასახეისა და პროგნოზებისათვის, სწორი ორიენტაციის საშუალებას იძლევა.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ 2003-2007 წლებში ქალთა დანაშაულობის დინამიკაში ფიქსირდება ზრდის მეკეთრი ტენდენცია. აღნიშნულ თან ახლავს ქალთა დანაშაულობის მატების მეკეთრი და არნახული ტემპები, რაც მოცემულ წლებში ქვეყანაში მომხდარი რეკულაციით, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებით უნდა აიხსნას. ქალთა დანაშაულობის ზრდის ტენდენცია ქალთა დანაშაულობისათვის დამახასიათებელ დანაშაულთა ხარჯზე ხდება და მათში ქალების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულები მაღალი ხედრითი წილით გამოირჩევა, რაც მართლწინააღმდეგობრივი საშიშროების ხარისხის თვალსაზრისით ძალზე შემაშფოთებელი და არასასურველი ტენდენციაა.

ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა დადგენისათვის, მისი მდგომარეობისა და დინამიკის კრიმინოლოგიური კვლევისა და ანალიზის გარდა, ქალთა დანაშაულობის როგორც ანტისოციალური მოვლენის ბუნებისა და არსის, მისი შინაგანი მხარეების და თავისებურებათა გამოვლენისა და მათი ურთიერთკავშირის ახსნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის სტატისტიკურ ანალიზს, რომელიც ამ ტიპის დანაშაულთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებით განისაზღვრება.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურა დადგინდა ქალების მიერ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულობა ჯგუფების ხედრითი წილის საფუძველზე ქალთა დანაშაულობის საერთო რიცხვში.

კრიმინოლოგიური და სტატისტიკური ანალიზის კვლევის მასალად, ისევე როგორც ქალთა დანაშაულობის მდგომარეობისა და დინამიკის კვლევისას, გამოიყენეს 2003-2007 წლების დანაშაულობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურა საქართველოში 2003-2007 წლებში

№	დანაშაულთა სახეები	2003 წ.	2007 წ.
		%	%
1	2	3	4
1	დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ	6%	8%
2	დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	8%	6%
3	ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრხის შექმნა	9,2%	10,3%
4	დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	0,9%	1%
5	დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	8,5%	12%
6	დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ	15,4%	18%
7	დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	9,6%	12%
8	დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ	2,8%	2,1%
9	დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში	2,9%	2,2%
10	დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში	7,8%	9%
11	დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ	1,1%	0,8%
12	დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	2,1%	1,5%
13	სამუშაოს წარმოებისა უსაფრთხოების წესების დარღვევა	0,8%	0,1%
14	დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ	3,5%	2%
15	ნარკოტიკული დანაშაული	6%	8,2%
16	სატრანსპორტო დანაშაული	4,2%	2%
17	კომპიუტერული დანაშაული	0,3%	0,2%
18	დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ	0,2%	0,1%
19	დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ	0,1%	0,1%
20	ტერორიზმი	0%	0%
21	სამოხელეო დანაშაული	3%	1,5%
22	დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	4%	1,2%

23	დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ	0,7%	0,4%
24	დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ	1,5%	0,7%
25	დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება	3%	1,5%
26	დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	0,2%	0,2%
27	დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ	0%	0%
28	დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ	0%	0%

როგორც ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის კრიმინოლოგიურმა და სტატისტიკურმა ანალიზმა ცხადყო, ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის 2003-2007 წლების ზემოსხევეული სტატისტიკური მონაცემები საფუძველს გვაძლევს ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში გამოკვეთით მისთვის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებები და კანონზომიერებები:

ქალთა დანაშაულობა ფაქტობრივად მოიცავს ზოგადად დანაშაულობაში შემავალ ცალკეულ დანაშაულთა ყველა სახეობას, და მათ შორის სხვადასხვა დოზით არის გადანაწილებული. აღნიშნული თავისებურება მიანიშნებს იმაზე, რომ ქალთა დანაშაულობას რაიმე ზღვარი არ გააჩნია და მისთვის დანაშაულის ნებისმიერი სახეობა ხელმისაწვდომია. სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ქალთა დანაშაულობის სტრუქტურა შინაგანი აგებულებისა და ელემენტების თვალსაზრისით ძალზე მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურა არ წააგავს მამაკაცთა დანაშაულობის სტრუქტურას, არ ემთხვევა და არ იმეორებს მას და მისგან რადიკალურად განსხვავებულია. აღნიშნული განსხვავება სპეციფიკურია და სწორედ ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის თავისებურებას წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ქალების მიერ იმ სახეობების დანაშაულთა ჩადენით, რომლებიც სწორედ მათთვის არის დამახასიათებელი.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში იკვეთება სამი ძირითადი მაჩვენებელი: პირველ მათგანს იძლევა დანაშაულთა ის ჯგუფები, რომლებშიც ქალების ხვედრითი წილი ძალზე მაღალია; მეორეს - დანაშაულთა ჯგუფები, სადაც ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხვედრითი წილი უტოლდება შუალედურ მაჩვენებელს, ე.ი. მაჩვენებელს, რომელიც მოქცეულია უმაღლეს და უმდაბლეს ზღვარს შორის, ხოლო მესამეს - დანაშაულთა ჯგუფები, სადაც ქალების ხვედრითი წილი ძალზე უმნიშვნელო და დაბალია.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის არსის ახსნისა და თავისებურებათა გამოყოფისათვის, ფრიად საინტერესო სურათს იძლევა სტრუქტურის პირველი მაჩვენებელი, კერძოდ დანაშაულთა ის ჯგუფები, რომლებშიც ქალების ხვედრითი წილი ძალზე მაღალია.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის ამ მაჩვენებელში დანაშაულის სახეობათა მონაცემები ნაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილის მქონე დანაშაულთა ჯგუფები 2003-2007 წწ.

№	დანაშაულთა სახეობი	2003 წ.	2007 წ.
		%	%
1	დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ	15,4%	18%
2	დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	8,5%	12%



3	დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	9,6%	12%
4	ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრხის შექმნა	9,2%	10,3%
5	დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში	7,8%	9%
6	დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ	6%	8%
7	დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	7%	6%
8	ნარკოტიკული დანაშაული	6%	8,2%
9	სატრანსპორტო დანაშაული	4,2%	2%

როგორც ვხედავთ, დანაშაულთა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების საერთო ხვედრითი წილი ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში 2003-2007 წლებში საშუალოდ 72,2%-სა და 85, 5%-ს შეადგენს.

ვაქტია, რომ ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის 28 ჯგუფიდან, სწორედ ზემოხსენებულ ცხრაშა თაემოყრილი და ლოკალიზებული ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ის სახეები, რომლებიც უშუალოდ მათთვისაა დამახასიათებელი. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მოცემულ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის ეკონომიკურ (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში) 21% და ძალადობრივ დანაშაულებზე (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ და დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ) 14%. ეკონომიკური დანაშაულის ხვედრითი წილი ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში 2007 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალია და უდრის 26,1%-ს. დანაშაულთა ამ სახეობის სტრუქტურული მაჩვენებელი შემდგომად:

- დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ—12%;
- დანაშაული ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ—2,1%;
- დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში—2,2%;
- დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში—9%;
- დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ—0,8%.

ქალების მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულებიდან, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა: ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, მითვისება ან გაფლანგვა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, ცრუ მეწარმეობა, ფალსიფიკაცია, გადასახადისათვის თავის არიდება, საბაჟო წესების დარღვევა, მომხმარებლის მოტყუება და სხვა.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ დანაშაულებში თვალდათვლივ იკვეთება ისეთ დანაშაულთა ხვედრითი წილი, რომლებიც სწორედ ქალთა დანაშაულობისთვის არის სპეციფიკური და მის გარკვეულ თავისებურებას წარმოადგენს. ასეთებია: დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (სსკ 112-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა უცცარი, ძლიერი სულიერი ადგილების მდგომარეობაში (სსკ 111-ე მუხლი), სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (სსკ 116-ე მუხლი). აღნიშნულ დანაშაულთა ჯგუფში 80%-ს დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა შეადგენს, რაც არცაა გასაკვირი, რამეთუ აღნიშნული დანაშაული ქალთა დანაშაულობის ფრიად სპეციფიკური ნიარსახეობაა.

იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ისეთ ცალკეულ დანაშაულებზე როგორებიცაა: შიდსის შეყრა (მუხლი 131-ე), განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (მუხლი 132-ე) და უკანონო აბორტი (მუხლი 133-ე).

საკვლევ პერიოდში ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში განსაკუთრებით იმატა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა

ხედრითმა წილმა. აღნიშნული ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ქვეყანაში ტრეფიკინგის არნახული ზრდის ტენდენციით, რომელმაც გარკვეულ ზეგავლენა ქალთა დანაშაულობაზეც მოახდინა და მის სტრუქტურაშიც ჰპოვა ასახვა. ადამიანთ ვაჭრობის (მუხლი 143<sup>1</sup>) ხედრითი წილი დანაშაულთა ამ ჯგუფში 20%-ს შეადგენს, არასრულწლოენი ვაჭრობისა (მუხლი 143<sup>2</sup>) კი 32%-ს. ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არცაა გასაკვირი, ვინაიდან არასრულწლოენი ვაჭრობის დანაშაულის სუბიექტად უმრავლეს შემთხვევაში გვევლინება ახალშობილის დედა, რომელიც სხვადასხვა მოტივით ყოფის ახალშობილს.

რაც შეეხება ოჯახისა და არასრულწლოენის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფში ქალების ძალზე მაღალ ხედრით წილს (18%), ის მოცემული ჯგუფის სტრუქტურაში იმ დანაშაულთა სიმრავლით აიხსნება, რომლებიც სწორედ ქალებისთვისაა ნიშანდობლივი. პირველ რიგში ეს ეხება დანაშაულებს, როგორებიცაა: არასრულწლოენის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შეილად აყვანის მიზნით (172-ე მუხლი) – 20%, შეილად ან შეილობილად აყვანის წესის დარღვევა (173-ე მუხლი) – 24%, ბავშვის შეცვლა (174-ე მუხლი) – 15%, შეილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება (174<sup>1</sup>-ე მუხლი) – 26%.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში, ქალთა დანაშაულობის ცვალებადობა არ ემთხვევა ზოგადად დანაშაულობის სტრუქტურას, მის ცვალებადობასა და ტენდენციებს, რაც ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების თავისებურებებით უნდა აიხსნას.

ქალთა დანაშაულობის სტრუქტურის ერთ-ერთ ნეგატიურ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ მასში ძალადობრივი და ძალადობრივ-ანგარებითი დანაშაულების რაოდენობის ზრდა, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა დანაშაულობა სულ უფრო და უფრო აგრესიულ ხასიათს იძენს და შესაბამისად ამჟღავნებს მართლწინააღმდეგობის საშიშროების ხარისხს. აღნიშნულ თვალსაზრისს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქალთა დანაშაულობის სტრუქტურაში დანაშაულის სუბიექტური მხარის გათვალისწინებით, საგრძობლად და მნიშვნელოვნად ჭარბობს წინასწარგანზრახული დანაშაულები.

შეიმჩნევა ქალთა დანაშაულობის პროფესიონალიზმის და ორგანიზებულობის ზრდა, რაც ქალების მიერ ჯგუფურ და ორგანიზებულ დანაშაულებში მონაწილეობის გზარდი ხედრითი წილით უნდა აიხსნას. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2003-2007 წლებში ქალთა დანაშაულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები პირდაპირ კავშირშია, შესაბამის პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და საკანონმდებლო პროცესებთან. დანაშაულობასთან შეურთებულმა და ინტენსიურმა ბრძოლამ, დანაშაულის გახსნადობისა და გამოყვანის არნახულმა ზრდამ და ლატენტური ობიექტების შემცირებამ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ინტენსიურმა და ზოგჯერ გამართლებულმა ცვალებადობამ და არასტაბილურობამ, მიგრაციულმა პროცესებმა და ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ფსიქოლოგიურმა კლიმატმა პირდაპირი ასახვა ჰპოვა ქალთა დანაშაულობის როგორც მდგომარეობაზე, ისე მის დინამიკასა და სტრუქტურაზე.

**3. ქალთა დანაშაულობის დეტერმინანტებისა და მიზეზების ზოგიერთი კრიმინოლოგიური თავისებურება**

1. კრიმინოლოგიაში სულ უფრო აქტუალური ხდება სქესის მიხედვით დანაშაულობის დიფერენციაციის საკითხი. უდავოდ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც დანაშაულობის დინამიკაში მიმდინარე ცვლილებების გაგება, თუკი არ არის გათვალისწინებული დამნაშავეთა სქესობრივი შემადგენლობა. მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის მასობრივი პროცესებისა და მათში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას გადაამწყვეტო მნიშვნელობა აქვს. ამ თანაფარდობის კვლევისას, აუცილებელია გავიყვანოთ საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური ცვლილებებიც. შრომით საქმიანობაში ქალების

მონაწილეობის, მათი გაეღწევის, თავისუფალი დროის პრობლემის, ასევე სხვა საკითხების ცათვალისწინების გარეშე, ძნელია სწორად გაევიგოთ ქალთა დანაშაულობაში მიმდინარე ცვალებები.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა არარსებობა გარკვეულწილად აისახა ქალთა დანაშაულობის შესწავლაზეც. არსებითად, დიდი ხანია არანაირი თეორიული კვლევა არ ჩატარებულა. დღევანდელ დღემდე არასაკმარისადაა შესწავლილი ქალთა დანაშაულობის ტენდენციებთან, დინამიკასა და მიზეზებთან დაკავშირებული საკითხები. მხოლოდ ბოლო წლებში, დანაშაულობის მიზეზების კვლევისა და მათი თავიდან აცილების გზების დასახვის პროცესში გაჩნდა ცალკეული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დანაშაულობის კონკრეტული სახეებისა და მათთან ბრძოლის მეთოდების კვლევისას ბევრი ავტორი არ შემოიფარგლება სხვადასხვა სქესის დანაშაულობის მხოლოდ შედარებით და ახდენს ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულების შედარებით ანალიზსაც.

დადებითად შეიძლება აღინიშნოს, როდესაც სქესს ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ დანაშაულობის, არამედ მისი თანმხლები სხვა ფაქტორების შესწავლისასაც, როგორცაა აღკომოლიზში, ნარკომანია და ა.შ.

კრიმინოლოგიური გამოკვლევების შედეგად, ოჯახებში ჩატარებული შემოსაუღების ანალიზი საშუალებას იძლევა ქალებში ნარკომანიის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი თავისებურება დაფიქსირდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ კრიმინოლოგიაში ეს კვლევები მხოლოდ ახლა იწყება და ჯერ-ჯერობით არ არსებობს მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობის განმასხვავებელი მიზეზების ზუსტი განსაზღვრება. დღეისათვის ხდება მხოლოდ მათ შორის სხვაობის კონსტატირება.

ზოგადი სახით, სქესის მიხედვით დამნაშავეების რაოდენობრივი თანაფარდობის სხვაობა უნდა ვეძიოთ იმ სოციალური ფაქტორების რთულ კომპლექსში, რომლებიც განსაზღვრავენ მამაკაცისა და ქალის ქცევას. დამნაშავის პიროვნების შესწავლისას, აშკარად თვალშისაცემია ქალების დანაშაულობის მნიშვნელოვანი სიმცირე. ჯერ კიდევ კეტლუ-შისწავლიდა რა დანაშაულობას სხვადასხვა ქვეყანაში, მივიდა დასკვნამდე, რომ ქალთა დანაშაულობის თანაფარდობა მამაკაცების დანაშაულობასთან 1:5 – თანაა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რით აიხსნება ეს? ანტისაზოგადოებრივი შეხედულებებისა და კონკრეტული დანაშაულის რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თვისებები: ტემპერამენტი, ხასიათი, ნებისყოფა და ა.შ., ასევე ზოგიერთი ფიზიკური და ფიზიოლოგიური ნიშანი. მაგრამ, რათქმუნდა, მამაკაცი და ქალი დამნაშავეების რიცხობრივი შეუსაბამობა არ შეიძლება აიხსნას უკანასკნელთა შეგნების უფრო მაღალი დონით.

ქალს არა მხოლოდ მიენიჭა მამაკაცთან თანაბარი უფლებები, არამედ მას შეუძლია ამ უფლებების რეალური გამოყენებაც. მსოფლიოში შრომით წარმოებაში ქალის ჩართვის პროცესი რთულია და იგი დღემდე არ არის დასრულებული. სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ იმ ქალებსაც კი, რომლებიც ანაყოფიერად მუშაობენ, უჭირთ დიდი დრო დაუთმონ კვალიფიკაციის ამაღლებას ან თუნდაც საზოგადოებრივ საქმიანობას. ამის მიზეზი გარკვეულწილად საშინაო საქმეებით მტვი დატვირთვა და შედარებით მცირე თავისუფალი დროა. მომუშავე ქალების და ქალი-სექვილისტების საერთო რტყხთან შედარებით, აშკარად ნაკლებად ხდება მათი წარდგენა ხელმძღვანელ პოსტებზე სხვადასხვა სახელისუფლებო და აღმასრულებელ ორგანოებში.

პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესწავლისას, მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სქესს. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო დროის ნამუშევრებში დამოუკიდებელ თავებდა არის გამოყოფილი დამნაშავის კვლევა სქესის მიხედვით. ცალკეა განხილული ჩეილ ბავშვთა მკვლელობა, როგორც ქალებისათვის

სპეციფიკური დანაშაული. მართალია ს.ვ. ბოროდინი, როდესაც ამტკიცებს, რომ “ჩვილ ბავშვს მკვლელი იზოლირებულად უნდა განისაზღვროს.” საკითხის სწორ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს მკვლელობების კვალიფიკაციისათვის იმ ქვეყნებში, სადაც სისხლის სამართლის კოდექსი დამოუკიდებლად გამოყოფს ჩვილ ბავშვთა მკვლელობის დანაშაულს. იმ ქვეყნებში კი, სადაც ამ ტიპის დანაშაული მიეკუთვნება განზრახმკვლელობას შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, პრობლემის სწორად გადაწყვეტა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების, სასჯელის ზომის შეფარდების, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების თავიდან აცილებისათვის და ა.შ.<sup>20</sup>

მრავალი ავტორი ჩვილ ბავშვთა მკვლელობის დანაშაულს განიხილავს, როგორც მკვლელობას შემამსუბუქებელი გარემოებებით. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა სხვადასხვა თეორია. საზოგადოების ცხოვრების სოციალური პირობების ცვლასთან ერთად, იცვლებოდა აღნიშნული დანაშაულის მიზეზებიც. მიუხედავად სხვადასხვაგვარი ახსნისა, მკვლევარების უმეტესობა მაინც თვლიდა, რომ ჩვილ ბავშვთა მკვლელობა ზოგადად მკვლელობის საკითხის განხილვისგან უნდა გამოვყავთ, ვინაიდან ჩვილები “თავიანთი დევების ისეთივე მსხვერპლნი არიან, როგორც მათი დედები – საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც მათ დაუნდობლად ეცხებას”<sup>21</sup>.

იმ დროის შრომებში განიხილებოდა სხვა მოსაზრებაც, რომელიც განსაზღვრული კატეგორიის ქალების მიერ ჩვილ ბავშვთა მკვლელობის მიზეზებს საზოგადოებრივი პირობებისადმი ქალების “შეგუბულობით” ხსნიდა. ავტორები ამტკიცებდნენ, რომ გარემოს თავისებურებიდან გამომდინარე, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების განვითარების ეკონომიკური ფესვებით საზრდოობს, ხდება ქალების განსაკუთრებული ბიოლოგიური შეჩვევა “ახალი გარემოსადმი” და ვინაიდან აღნიშნული პროცესი უმეტესწილად საკმაოდ მძიმედ, ქალი იძულებული ხდება, გადაუხვიოს კრიმინალური ქცევის გზაზე”<sup>22</sup>.

ადრე ჩატარებულმა კვლევებმა მოამზადა მასალა და შექმნა გარკვეული საფუძველი ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულების დინამიკის, მდგომარეობისა და მიზეზების შესწავლისათვის. ყველა კვლევაში აღინიშნებოდა, რომ ქალთა დანაშაულობა განსხვავდება მამაკაცთა დანაშაულობისაგან არა მხოლოდ რაოდენობრივი თანაფარდობით, არამედ ხასიათითაც. “ადამიანი არ არის გარემოს სოციალური ფაქტორების მარიონეტი, არამედ არის სისტემის - “პირვენება – სოციალური გარემო” არსებითი აქტიური კომპონენტი. განიცდის რა სოციალური გარემოს ზემოქმედებას და იცვლება რა ამასთან დაკავშირებით, იგი იმავდროულად თვით ზემოქმედებს გარემოზე და ცვლის მას”<sup>23</sup>.

ყურადღებია ქალთა დანაშაულობის, მისი სპეციფიკისა და ხასიათის ცვლილებების დადგენა სოციალური პირობების შეცვლის პარალელურად. ქალთა დანაშაულობის დინამიკის შესწავლის პრობლემა, მისი შედარება მამაკაცთა დანაშაულობასთან დღესაც საკმაოდ აქტუალურია.

ქალთა დანაშაულობაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, დაგეხმარება:

1. გამოვადგინოთ ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკური კანონზომიერებები;
2. მოეხდინოთ ქალი-დამნაშავეების კრიმინოლოგიური დახასიათება;
3. დაეადგინოთ ქალთა დანაშაულობის სტრუქტურა.

<sup>20</sup> ს.ვ. ბოროდინი, „მკვლელობების კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობით“. შ., 1966. გვ.116.

<sup>21</sup> „მოსკოვის დაბნავეთა სამართალი“. სტატისტიკის კრებული. შ., 1924. (მ.გ. გერნეტის შრომის შესავალი, გვ. 13).

<sup>22</sup> „მკვლელობები და მკვლელები“ ე.კ. კრასნუშკინის, გ.მ. სევალიას და ე.მ. ფერნბერგის რედაქ. შ., 1928. გვ. 8.

<sup>23</sup> ა.მ. იაკოვლევი, „დამნაშავეობა და სოციალური ფსიქოლოგია“. შ., 1971. გვ. 59-60.

2. ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ ვლინდება ადამიანების კონკრეტულ ქცევაში ზოგადი სოციალური კანონზომიერებები. ამისათვის აუცილებელია ობიექტურად მოქმედი ფაქტორების ადამიანების მისწრაფებებთან შეთავსების თავისებურებების გამოვლენა<sup>24</sup>.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე კანონზომიერად იცვლება ქალის, როგორც პიროვნების მდგომარეობა. მართებულიად აღნიშნავს ნ.ნ. კონდრაშკოვი, რომ "მხოლოდ ბიოლოგიური (ფიზიოლოგიური) სხვაობით არ შეიძლება აიხსნას მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობის თავისებურებები, ისევე, როგორც არ შეიძლება აიხსნას ბიოლოგიური მოვლენებით ზოგადად დანაშაულობის მიზეზები. მამაკაცთა და ქალთა დანაშაულებრიობის სპეციფიკა შეიძლება და უნდა აიხსნას სოციალური ფაქტორებით"<sup>25</sup>.

ცხოვრების დიდ არენაზე გამოსვლამ, სოციალური კონტაქტების გაფართოებამ ქალს საშუალება მისცა, მონაწილეობა მიეღო საქმიანობის ბევრ ისეთ სფეროში, რომელიც ადრე მისთვის მიუწვდომელი იყო. თანდათანობით ქალები, ისევე როგორც მამაკაცები, იკავებდნენ განსაზღვრულ ადგილს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, წარმოების სხვადასხვა დარგებში, მათ შორის ისეთებში, რომლებიც ადრე მამაკაცების პრივილეგიად ითვლებოდა. ქალის როლი საზოგადოებაში და შესაბამისად მისი სოციალური აქტიუობა განუხრებლად იზრდებოდა.

ქალის საქმიანობის სფეროების გაფართოების პროგრესულმა ტენდენციამ წარმოშვა მთელი რაღი ახალი მოვლენები და მომენტები, რომლებიც თავის მხრივ, გავლენას ახდენდნენ მის მდგომარეობასა და საქმიანობაზე. საუბარია იმაზე, რომ ქალების საქმიანობის განსაზღვრა ხდებოდა იმავე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, რომლებითაც მამაკაცების საქმიანობისა. ამ, ზოგადად პროგრესულ პროცესში წარმოიშვა თავისი წინააღმდეგობები. მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს შორის არსებობდნენ ისეთებიც, რომლებსაც ობიექტური და სუბიექტური წესის განსაზღვრული კონკრეტული პირობების შემთხვევაში მიეყვადით ანტისაზოგადოებრივი ქმედებების წარმოშობისკენ, კერძოდ დანაშაულებისკენ, რომელთაც ჩადიდნენ ქალები.

ქალის მდგომარეობის ცვლილების შესწავლა საზოგადოების განვითარების თითოეულ ეტაპზე, ქალთა დანაშაულობის დონეზე სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის გარკვევა სერიოზულ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ "დამნაშაის პიროვნებისათვის არსებითია, უპირველეს ყოვლისა, იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათი და შინაარსი, რომელთა მონაწილეც იგი თავადაა და რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება; ყველა ის მრავალრიცხოვანი კავშირი და როლი, რომელშიც იგი წარმოინდებდა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში"<sup>26</sup>.

ცხოვრების პირობების ცვლილებები აისახება დანაშაულობაზე ზოგადად და მათ შორის ქალთა დანაშაულობაზეც. საინტერესოა ომის გაელენა ამ უკანასკნელზე. რეალურად, ქალთა დანაშაულობის დონე, ომის წლებში, არ არის ერთნაირი სხვადასხვა ქვეყნისათვის. საზოგადოების ცხოვრებაში ომის პერიოდში ხდება ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები, რომ ეს ცალკე სპეციალური კვლევის საგანიც შეიძლება გახდეს. ეს ცვლილებები თავის ასახვას პოეებენ ქალთა დანაშაულობის დინამიკაშიც.

მ.ნ. გერნტი, იხილავს რა დანაშაულობას გერმანიასა და საფრანგეთში პირველი მსოფლიო ომის წლებში, აღნიშნავს, რომ "ქალთა დანაშაულობა იზრდებოდა არა მხოლოდ პროცენტულად ზოგადად დანაშაულობათან მიმართებაში, არამედ

<sup>24</sup> ა.მ. იაკოვლევი, "სოციალურ-სამართლებრივი კვლევის საგანი", "საპოთა სახელმწიფო და სამართალი", №8. 1970. გვ. 47.

<sup>25</sup> ნ.ნ. კონდრაშკოვი, "რიცხობრივი მეთოდები კრიმინოლოგიაში". მ., 1971. გვ. 153.

<sup>26</sup> "დამნაშაის პიროვნება", "იურიდ. ლიტერ.". 1971. გვ. 12.

აბსოლუტური მარევენებლებითაც, ეს ეხება როგორც უფრო მძიმე, ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულებს<sup>27</sup>.

რუსეთში 1916 წელს, 1913 წელთან შედარებით, მსჯავრდებულ ქალთა პროცენტი თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა<sup>28</sup>.

დიდ ინტერესს იწვევს ქალთა დანაშაულობის ანალიზი აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში. აქ სუსტი სქესის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა უმნიშვნელო იყო, მაგრამ ქალების პოლიტიკური და ეკონომიკური აქტიურობის ზრდასა და მათი სოციალური ფუნქციების სფეროების გაფართოებთან ერთად, დანაშაულობამაც მოიმატა.

“დანაშაულობის დინამიკის ანალიზი ქალთა შორის ამ ქვეყნებში უდაოდ მოწმობს იმას, რომ ქალთა დანაშაულობა, ჯერ ერთი, ასახავს ქვეყანაში დანაშაულობის ზოგად მდგომარეობას, და მეორეც, იგი დაკავშირებულია თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურაში ქალის მდგომარეობის თავისებურებებთან, უზარმაზარი ცვლილებების იმ პროცესებთან, რომლებიც ხორციელდება ბოლო წლებში ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურასა და ზნეობაში.”<sup>29</sup>.

ამასთანავე, “აფრიკისა და აზიის როგ ქვეყნებში შემჩნეული დანაშაულობის ზრდა ქალებს შორის წარმოადგენს იმ კრიმინოლოგიურ თეორიათა საკმაოდ სერიოზულ უარყოფას, რომლებიც ქალთა დანაშაულობას ხსნიან ქალების ბიოლოგიური თავისებურებებით. ამიტომ, არცაა გასაკვირი, რომ ამ ქვეყნებში მსგავსმა კრიმინოლოგიურმა თეორიებმა ვერ ჰპოვეს შესამჩნევი გავრცელება”<sup>30</sup>.

საზოგადოებაში ადამიანების ურთიერთქმედება ხორციელდება განსაზღვრულ სოციალურ პირობებში და სწორედ ეს რეალური პირობები განსაზღვრავს სუბიექტის უშუალო ქცევას.

“ადამიანური ქცევები, ისევე, როგორც ყველაფერი ბუნებასა და საზოგადოებაში, მიზეზობრივად არის განპირობებული (დეტერმინირებული). დეტერმინირებულობის წყაროს წარმოადგენს ადამიანის გარემო ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. გარე დეტერმინანტებთან ერთად, განსაზღვრულ როლს თამაშობს შიგა დეტერმინანტებიც, როგორცაა, მაგალითად პიროვნების ფსიქოლოგიური წყობა. ამის მიუხედავად, ეაკირდებით რა ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ზოგადად, მიკროგარემოში, არ შეიძლება დაევიწყოთ, რომ “რომელიმე ინდივიდის განვითარება განპირობებულია ყველა სხვა ინდივიდის განვითარებით, რომელთანაც მას აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ურთიერთობა. სოციალური პირობები, აყალიბებს რა ადამიანების ურთიერთობებსა და შეხედულებებს, ამავე დროს აყალიბებს საზოგადოების, კლასების, ჯგუფების, მიკროგარემოს ფსიქოლოგიას ზოგადად. მაგრამ პიროვნება, ადამიანი არის არა მხოლოდ მასალა, რომელზეც უმოქმედებს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ძალა, არამედ იგი თვითონაც ფლობს თავის ინდივიდუალურ თვისებებს, რაც ასევე განსაზღვრავს მის ქცევას.

3. ქალთა დანაშაულობის შესწავლა გეიჩვენებს, რომ იგი ძირითადად განსხვავდება მამაკაცებისაგან დანაშაულის ჩადენის საშუალებებითა და იარაღით, მსხვერპლითა და იმ როლით, რომელსაც ასრულებს ქალი დანაშაულის ჩადენის დროს.

დამნაშავე მამაკაცებისა და ქალების გამოკვლევა ასევე გეიჩვენებს, რომ ყველა ის მონაცემი, რომელიც ახასიათებს მამაკაც-დამნაშავეს - განათლების დაბალი დონე, ლოთობა, სამუშაოს მიმართ უინტერესობა, პარაზიტობა, ამორალური ქცევა, ხშირ

27 მ. გერნტი, “დანაშაულებრიობა და თვითმკვლელობა ომის პერიოდში და მის შემდეგ”. მ., 1927. გვ. 121.  
28 იქვე, გვ. 125.  
29 ფ. რუსტინკოვი, “აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნების კრიმინოლოგიური პრობლემები”. მ., 1970. გვ. 67.  
30 იქვე, გვ. 65.

შემთხვევაში უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ბავშვების მიმართ და ა.შ. - დამახასიათებელია ქალი-დამნაშავისთვისაც. სხვა სიტყვებით, ქალების ბიოლოგიური თავისებურებები, განსაზღვრევენ ან ზოგ შემთხვევაში ზღუდვენ რა დანაშაულის ჩადენის სფეროს, არ წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის მიზეზს, ამგვარად, თავისი კრიმინოლოგიური მონაცემებით ქალი-დამნაშავე უახლოვდება მამაკაცს. ქალთა განსაკუთრებული დანაშაულობის არარსებობა არ გამოირიცხავს საეციფიურ ნიშნებს, რაც დამახასიათებელია ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობა არ არის ერთნაირი. მრავალი მკვლევარი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ქალთა დანაშაულობა არა მხოლოდ უფრო მცირეა მამაკაცებთან შედარებით, არამედ თავისი ხასიათითაც განსხვავებულია. ასე, მაგალითად მ.ნ. გერნეტი ჩატარებული კვლევების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ "მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობა განსხვავდება ერთმანეთისგან არა მხოლოდ თავისი ზომებით, არამედ ხასიათითაც. ორივე სქესის სოციალური მდგომარეობა აისახება ამ დანაშაულობაზე".

კრიმინოგენური კუთხით, მნიშვნელოვანია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური სხვაობის კვლევა მამაკაცსა და ქალს შორის. "პიროვნება - ეს არის ადამიანი თავის სოციალურ მახასიათებლებთან ერთობლიობაში, რომლებიც ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სახეებზე". ახლანდელ დროსაც, სხვადასხვა კულტურაში ქალთა ქცევა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში სრულად არ თანხვედბა მამაკაცისას.

აღბათ მართებულად უნდა ჩაითვალოს ბ.ნ. კუდრიავეცევის მოსაზრება, რომ "ინტერესების, ჩვევების, ნორმებისა და ქცევის თავისებურებების ხასიათი არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს სქესობრივ სხვაობებთან, რაც განსხვავებულად აისახება მამაკაცისა და ქალის ფსიქიკაზე და საბოლოოდ აისახება ქცევის თავისებურებებზე... მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ხაზი გავსვათ იმას, რომ სქესობრივ სხვაობებს გააჩნიათ არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური ბუნებაც".

ოჯახში, ყოფასა და სამსახურში მამაკაცისა და ქალის მდგომარეობაში სოციალური განსხვავების კვლევა მნიშვნელოვანია ქალის ჩამოყალიბების გზების განსაზღვრისათვის, მისი აღზრდისთვის სხვადასხვა სოციალურ ფუნქციებთან დამოკიდებულების კუთხით. ქალთა დანაშაულობის შესწავლის გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს არა მხოლოდ ისეთი სახის დანაშაულები, რომლებშიც ქალების მონაწილეობა უპირატესია, არამედ განსაზღვრული თავისებურებებიც ქალი-დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბების გზებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალთა დანაშაულობა რამოდენიმეჯერ ნაკლებია მამაკაცთაზე და თავისი თვისებებითაც განსხვავებულია. ისეთ ტრადიციულ "ქალურ" დანაშაულებში, როგორიცაა ჩვილთა მკვლელობა, არაკანონიერი აბორტები, იმალება დანაშაულის ჩადენის საკუთარი მიზეზები და მოტივები.

ქალების მიერ ჩადენილ ბერ დანაშაულში უპირატესად იკითხება მოტივები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამომდინარეობს ჩამორჩენილი შეგნებიდან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული, ქალის მიმართ დაკანონებული "ტრადიციული" დამოკიდებულებიდან.

მართლაც, თუკი უახლოეს წარსულში მამაკაცებთან შედარებით მცირე იყო იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ ფულის მითვისებასა და არამიზნობრივი ხარჯვისათვის, ქრთამის აღებასა და სამსახურეობრივი გულგრილობისათვის, დღეისათვის

<sup>31</sup> მ.ნ. გერნეტი, "ზოოლოგიური სტატისტიკა". მ., 1922. გვ. 136.

<sup>32</sup> პ. ბუევა, "სოციალური გარემო და პიროვნების შენება". მსუ, 1968. გვ.26-27.

<sup>33</sup> ე.ნ. კუდრიავეცევი, "მიზეზობრიობა კრიმინოლოგიაში". მ., 1968. გვ. 58.

ასეთი ქალების რიცხვი რამოდენიმეჯერ გაიზარდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ცდილობდა რა აეხსნა განსხვავება ქალთა და მამაკაცთა დანაშაულობას შორის, მ.გ. გერნეტი წერდა: "ქალი, რომელიც იმყოფება ჩაკეტილ ოჯახურ წრეში, რომელსაც არა აქვს საზოგადოებრივი და სამთავრობო თანამდებობის პერსპექტივა, პოლიტიკური უფლებები, ფაქტობრივად ვერ ჩაიდენს თანამდებობრივ დანაშაულს, ვერ დაარღვევს კანონს, რომელიც არეგულირებს არჩევნების უფლებას და ა.შ."<sup>34</sup>.

ცხოვრებისეული პირობების განსხვავებულობა, სოციალური ფაქტორების როლი და გავლენა თავის ასახვას ჰპოვებს ცხოვრებისეული მიზნებისა და მისწრაფებების და მათი განხორციელების პირობების ფორმირებაზე. განსაზღვრული ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისას, ადამიანი ირჩევს იმ გზებს, რომლებსაც მას თავისი შეგნება და გარემო კარნახობს.

ისეთი ფაქტორის როლი, როგორცაა ქალის ცხოვრებაში ოჯახის არსებობა-არარსებობა, დღემდე ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება და გავლენას ახდენს მის ქცევაზე.

მსჯავრდებულ ქალთა კვლევა აჩვენებს, რომ მათგან უმრავლესობისთვის განმსაზღვრელია შიდაოჯახური ურთიერთობები. ეს უკანასკნელი, ზოგ შემთხვევაში, განსაზღვრავს ქალის არა მხოლოდ დადებით, არამედ უარყოფით და ანტისოციალურ ქცევას. მთელ რიგ დანაშაულებს ქალი სჩადის ოჯახურ-ყოფითი საკითხების მოუგვარებლობის შედეგად.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ "ქალის სოციალური როლი, თავის მხრივ, დაკავშირებულია მისი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ყოფითი გარემოს უშუალო პირობებთან. დანაშაულებრივი საქმიანობის მოტივების კონკრეტული შინაარსი, განპირობებული პიროვნების ზნეობრივი ფორმირების არახელსაყრელი პირობებით, მათი რეალიზაცია და საშუალებათა არჩევანი განუყოფელია შრომითი, ოჯახური და სხვა ურთიერთობებისაგან"<sup>35</sup>.

ამიტომ, კრიმინოლოგისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქალის როლის შესწავლას ოჯახში, არამედ თვით ქალის დამოკიდებულებას ოჯახის არსებობა-არარსებობის ფაქტთან.

ქალ-მსჯავრდებულებს, რომელთაც დაკარგული აქვთ კავშირი ოჯახთან, სამუშაო კოლექტივთან, სრულად ან ნაწილობრივ აქვთ დარღვეული საკუთარი თავის პატივისცემისა და ადამიანური ღირსების გრძობა. მათი შინაგანი რწმენა და მრწამსი არ არის მტკიცე, მათ არა აქვთ მყარი ზნეობრივი საფუძველი. საქმარისია მცირეოდენი ცხოვრებისეული პრობლემა (მაგალითად, უარი სამსახურში მიღებაზე, მცირე ხელფასი და ა.შ.) და ისინი შეიძლება დაუბრუნდნენ ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესს.

ზოგ ისეთ დანაშაულსაც კი, რომელიც დაკავშირებულია ქალის სამსახურებრივ საქმიანობასთან, ხშირად საფუძვლად ოჯახური ან პირადი ურთიერთობები უდევს.

შერჩევითი კვლევის მონაცემებით, რომელიც ჩატარდა ერთ-ერთ სასჯელადსრულებით დეპარტამენტში, პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებით მიყენებული ზიანი ძირითადად ადგება ახლობლებსა და ნაცნობებს. ჩატარებული კვლევა ცხადყოფდა, რომ ეს გარემოება ტიპურია, როგორც პირველადი, ისე განმეორებითი მსჯავრდებულებისთვის.

ქალი-დამნაშაისათვის დანაშაულის ობიექტი ყველაზე ხშირად ის პირია, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაშია მასთან (ნათესავი, მეზობელი, თანამშრომელი და ა.შ.). მიუხედავად ამისა, პირველად და განმეორებით მსჯავრდებულ ქალი-დამნაშაის პიროვნების სოციალური ორიენტაცია არ რჩება უცვლელი. კვლევები გვიჩვენებს, რომ განმეორებით მსჯავრდებულები გარკვეულად ორიენტირდებიან იმ პირებთან

<sup>34</sup> მ.გ. გერნეტი, "დანაშაულებრიობის სოციალური ფაქტორები". მ., 1905. გვ. 132.

<sup>35</sup> "დამნაშაის პიროვნება". "ოურიდ. ლიტ.", 1971. გვ. 60.



ახლობლობაზე, რომლებიც არ ენათესავენ ბიან მათ. მათში ხშირად ირღვევა ოჯახური და ახლობლური კავშირები. ეს გარემოება განსაკუთრებით ნათელია მეკვლელობისათვის მსჯავრდებულების შესწავლისას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ქალების პირველი დანაშაული ყოველთვის არ იყო მეკვლელობა ან პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სხვა კრიმინალური ქმედება. მაგრამ დანაშაულის ჩადენამ და შედეგად სასჯელის მოხდამ ასეთი ადამიანები იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოაჩინა და ხანგრძლივი დროით მოსწყვიტა ოჯახურ და ნათესაურ კავშირებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალის ცხოვრებაში. აქ ზეგავლენას ახდენენ მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც, მათ შორის ისეთები, როგორებიცაა ასაკი, ქმრისა და შვილების არსებობა, სპეციალობა და ა.შ.

#### 4. ქალთა დანაშაულობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის კრიმინოლოგიური ანალიზი

დამნაშაის პიროვნების პრობლემა არის ერთ-ერთი მთავარი კრიმინოლოგიაში. მას არსებითი როლი ენიჭება დანაშაულების განხილვის რთულ მექანიზმში.

ადამიანის ანტისაზოგადოებრივი ქცევისა და მისი მიზეზების ახსნა, დანაშაულის თავიდან აცილების ეფექტური გზებისა და საშუალებების პოვნა შესაძლებელია მხოლოდ დამნაშაის, როგორც სოციალური ინდივიდის შესწავლის გზით.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამნაშაის პიროვნების შესწავლა უფრო ხშირად ხდებოდა სქესის ნიშნის გარეშე. ცნობილია, რომ ქალი-დამნაშაე პირისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული სპეციფიკური თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია ქალთა დანაშაულობის პრობლემის ყოველმხრივი განხილვისას. ამას გარდა, დამნაშაე მამაკაცებისა და ქალების პიროვნებებში არსებული სხვაობის გათვალისწინებით, შესაძლებელია უფრო ღრმად შევიცნოთ მამაკაცთა დანაშაულობის გაცილებით ფართო გავრცელების მიზეზები და ამის საშუალებით განესაზღვროთ პროფილაქტიკის მიზანმიმართული გზები. სამართალდამრღვევი ქალების კრიმინოლოგიური დახასიათება მნიშვნელოვანია იმთავითვე, რომ ქალთა დანაშაულობასთან ბრძოლა მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის საფუძველს, ეინადან დედა ბავშვების "ბუნებრივი აღზრდელია" და მას წამყვანი როლი ენიჭება მათი ემოციურ-ზნეობრივი განვითარების საქმეში.

ჩვენს მიერ ჩატარდა რეციდივისტ ქალთა კვლევა, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ საერთო რეჟიმის ერთ-ერთ სასჯელადსრულებით დაწესებულებაში. მუშაობის დროს გამოვიყენეთ კრიმინოლოგიური კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა ანკეტირება, ინდივიდუალური საუბრები მსჯავრდებულებთან (ინტერვიუ), მათი სისხლის სამართლის საქმეებისა და ბარათების შესწავლა, ზედამხედველებთან საუბრები, მსჯავრდებულების თვალთვალი. ყველა ამ მეთოდის ერთობლიობაში გამოყენებამ საშუალება მოგვცა, გარკვეული წარმოდგენა ჩამოგვეყალიბებინა რეციდივისტი ქალების პიროვნულ მახასიათებლებზე.

არ ვუღრმავდებით რა დამნაშაე პიროვნების დაწერილობით ანალიზს, რაც საკმაოდ ერთობად არის განხილული კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში, მოცემული კვლევის ჩატარებისას ჩვენ გამოვიდით იქიდან, რომ დამნაშაის პიროვნება განისაზღვრება მისი სოციალური როლებით და ღირებულებითი ორიენტაციების სისტემით.

იმისათვის, რომ გაიხსნას დამნაშაის პიროვნების არსი, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალური მდგომარეობის დადგენა, მისი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტის, როგორც სხვადასხვა სოციალური როლების შემსრულებელი პირის შესწავლა.

“ცნებაში “სოციალური როლი” ჩართულია კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ადამიანის ქცევასთან დაკავშირებული გარკვეული მოთხოვნები და მოლოდინი, ასევე ამ ადამიანის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს იგი ამა თუ იმ სიტუაციაში”<sup>36</sup>.

ღირებულებით ორიენტაციაში ივულისხმება ინდივიდის დამოკიდებულება სხვადასხვა სახის სოციალურ ღირებულებებისადმი, რომლის პრიზმაშიც იგი “აღიქვამს სიტუაციას და არჩევს შესაბამის ქმედებას”<sup>37</sup>.

დანაშაულის პიროვნების შესწავლისას, მნიშვნელოვან ცნობებს მის მიერ სოციალური როლების ფაქტობრივი შესრულებისა და ამ როლებისადმი დამოკიდებულების შესახებ იძლევა პირის სოციალურ-დემოგრაფიული დახასიათება.

ჩვენს მიერ შერჩეული და გამოკვლეული რეციდივისტ-ქალთა უმეტესი ნაწილი 30-დან 50 წლამდე ასაკის იყო. ეს მონაცემები ანალოგიურია სხვა კვლევების შედეგებისა, რომელთა თანახმადაც რეციდივისტი ქალების საშუალო ასაკი აღემატება მამაკაცი-რეციდივისტების საშუალო ასაკს და შესაბამისად ტოლია 32-38-ის<sup>38</sup>.

რეციდივისტი ქალების საშუალო ასაკის უპირატესობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ ქალები თავის პირველ დანაშაულს, ფსიქოლოგიისა და ზნეობრივი ფორმირების ზოგიერთი თავისებურების გამო, ჩადიან შედარებით უფრო გვიანდელ ასაკში, ვიდრე მამაკაცები. არსებული მონაცემებით, ქალთა მხოლოდ 1/3-ს აქვს ჩადენილი დანაშაული 25 წლამდე ასაკში, მაშინ როდესაც, მამაკაცებში ეს წილი ბევრად უფრო დიდია. რაც შემთხვევაში, მსჯავრდებული ქალების შედარებით დიდი ასაკი განისაზღვრება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების ხასიათით. ქალთა დანაშაულების სტრუქტურაში გავრცელებულია დანაშაულები, რომელთა ჩადენისთვის საჭიროა გარკვეული პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგ. დანაშაულები თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით, მითვისებით, თაღლითობით და ა.შ.

დაბოლოს, მოწიფულობის ასაკი ბუნებრივია იმ რეციდივისტი ქალებისთვის, რომლებიც მრავალჯერ არიან მსჯავრდებულნი და თითო ნასამართლეობა 3-5 წელს შეადგენს.

გამოკვლეული ქალების შედარებით დიდი ასაკი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადამიანები არიან ჩამოყალიბებული ხასიათის და მტკიცე ანტისაზოგადოებრივი განწყობის, რაც ართულებს მათი გამოსწორების პროცესს და გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს იმ სასჯელალსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაციას, სადაც იმყოფებიან მოცემული კატეგორიის ქალები.

განათლების დონით, გამოკვლეული კონტინგენტი ზოგადად მოსახლეობას ჩამორჩება საშუალო სპეციალურ, არასრულ უმაღლეს და უმაღლეს განათლებასში.

რეციდივისტი ქალების მიერ მიღებულმა განათლებამ ვერ უზრუნველყო მათში მაღალზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება და ვერ დაამუხრუჭა ანტისაზოგადოებრივი განწყობების ფორმირება. ეს მოწმობს იმაზე, რომ განათლება პიროვნებაზე დადებით ზეგავლენას მხოლოდ სხვა აღმზრდელით ღონისძიებებთან კომპლექსში ახდენს. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მსჯავრდებულების სწავლების პროცესის ორგანიზებისას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ვინაიდან რეციდივისტების უდიდესი ნაწილი არასრულ საშუალო და საშუალო განათლებას ზუსტად სასჯელის მოხდის პერიოდში იღებს.

რეციდივისტი ქალების პიროვნების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს მათ ოჯახურ მდგომარეობას.

<sup>36</sup> ა. იაკოვლევი. “დანაშაულებრიობა და სოციალური ფსიქოლოგია”. მ., 1971. გვ. 173.

<sup>37</sup> ი. ს. კონი. “პიროვნების სოციოლოგია”. მ., 1967, გვ. 28.

<sup>38</sup> ი. ს. სოლოჰანიოვი და ვ. კაპისი. “რეციდივი და რეციდივისტები”. “საბჭოთა იუსტიცია”, 1972. №7, გვ.9.

დღისა და ცოლის როლი ქალისთვის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური როლია, რომლის შესრულების ხასიათი ბევრად განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესის სპეციფიკას და შესაბამისად ამა თუ იმ ქცევის (მათ შორის დანაშაულებრივისაც) მიზეზებს.

ოჯახი ძირითადად ის შემაკავებელი ფაქტორია, რომელიც ზღუდავს ქალს ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენაში. ამავე დროს, მიმიე, კონფლიქტური სიტუაცია ოჯახში, განსაკუთრებით მისი ნგრევა, ხშირად ქალის მიერ ჩადენილი დანაშაულის საბაბი ხდება. რეციდივისტი და პირველად მსჯავრდებული ქალების ოჯახური მდგომარეობის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ დანაშაულის განმეორებით ჩამდინთა შორის გაცილებით მცირეა ოჯახის მქონეთა რაოდენობა. თუკი პირველად მსჯავრდებულ ქალებს შორის ოჯახი აქვს 55%-ს, რეციდივისტ ქალებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 23,2%-ია, ხოლო გაყრილი ქალების რაოდენობა 11,3-დან 36,8%-მდე იზრდება. აღსანიშნავია, რომ უოჯახობა ან ოჯახის დანგრევა ძირითადად ქალების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგია. როგორც წესი, ოჯახები ინგრევა მათი პირველივე გასამართლებისას. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გასამართლების შემდეგ ოჯახის დანგრევა ქალებში ორჯერ უფრო ხშირია მამაკაცებთან შედარებით<sup>39</sup>.

ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე მეტად სტაბილურია იმ ქალების ოჯახები, რომლებიც გასამართლებულნი არიან თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო საკუთრების მიტაცებისთვის.

სხვა მუხლებით გასამართლებულ ქალებში ხშირად შეიშინევა ოჯახური კავშირების სისუსტე და არამდგრადობა. მეუღლეების ლოთობა, კამათი და ჩხუბი ტიპობრივია ასეთი ოჯახებისთვის. გამოკვლეულ ქალთა ქმრები ხშირად ადრე არიან მსჯავრდებულები ან სასჯელს ცოლების თანადროულად იხდიან. მსგავსი ოჯახების არაჯანსაღი ატმოსფერო უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქალების მორალურ და ზნეობრივ თვისებებზე, ხელს უწყობს მათში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების ფორმირებას.

გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც რეციდივისტი ქალები თავის პირველ დანაშაულს ქმრის ან საყვარლის უშუალო ზეგავლენით ჩადიან. ასე მაგალითად, კ-მ 16 წლის ასაკში გაიცნო თავისი მომავალი ქმარი, რომელიც მასზე ბევრად უფროსი და უკვე ნასამართლელი იყო. მან შეიყვანა იგი ქურდების კომპანიაში, მოხიბლა ქურდული სამყაროს "რომანტიკით", შეაჩვია არყის სმას. პირველი ქურდობა კ-მ ქმრის ხელმძღვანელობით ჩაიდინა. კვლევის მომენტისთვის ის 30 წლის გახლდათ და ქურდობისთვის უკვე ექვსჯერ იყო ნასამართლელი. ეს იყო ცინიკური, გარყვნილი ქალი, რომელიც ამაყობდა თავისი კრიმინალური წარსულით, თავს "პროფესიონალ ქურდად" თვლიდა და არ იყო დარწმუნებული, რომ დაუბრუნდებოდა ნორმალურ ცხოვრებას.

გამოკვლეული რეციდივისტი ქალების დაახლოებით 1/3 მარტოხელა, ნათესაებთან კავშირგაწყვეტილი ადამიანები არიან, რომელთაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ მიჯაჭვულობა არავის მიმართ. მიუხედავად ნათესაური კავშირების არსაქმარისი სიმყარისა, ისინი მაინც გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენენ მათთვის. ნათესაებთან კონტაქტების შენარჩუნება ხელს უწყობს მსჯავრდებული ქალების ცხოვრებისეული მიზნებისა და მიდრეკილებების შენარჩუნებას და აიოლებს მათ ადაპტაციას გათავისუფლების შემდეგ.

რეციდივისტი ქალების პიროვნების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მისი სოციალური მდგომარეობისა და საქმიანობის შესწავლა.

ჩვენი მონაცემებით, დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობდა გამოკვლეულ ქალთა მხოლოდ ნახევარი, მათგან უმეტესობა დაკავებული იყო არაკვალიფიციური, მიმიე

<sup>39</sup> იხ. ი.მ. გოლოზოროვკო, ვ.ე. კეპსისი, ი.ა. კირილოვა, "თავისუფლებალაყვითელი ქალების გამოწვრებისა და ხელახლა აღზრდის თავისებურებები". მ., 1971. გვ. 16-17.

სამუშაოთი და ქონდა მცირე სამუშაო სტაჟი. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ რეციდივისტ ქალებს, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული შრომითი საქმიანობით, როგორც წესი, არ ქონდათ ოჯახი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და არ ჰყავდათ ახლო ნათესაეები, ანუ მათზე არ მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის შემაკავებელი ძირითადი ფაქტორები.

ჩვენს მიერ მოძიებული მონაცემების მიხედვით, სამუშაოს არმქონე ქალთა გასამართლება უფრო ხშირად ხდებოდა ქურდობისა და ძარცვისათვის. ასეთი ქალები შეადგენდნენ სოციალურად მიშვებული, ზნეობრივად დეგრადირებული პიროვნებების ჯგუფს.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული ქალების რესოციალიზაციის პროცესს. აუცილებელია მათთვის გარკვეული ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, მორალური მხარდაჭერის აღმოჩენა, პრაქტიკული დახმარების გაწევა ყოფით, საწარმოო, ოჯახურ და სხვა ტიპის სიძნელეების გადასალახავად.

რეციდივისტ ქალების პიროვნების ყოველმხრივი შესწავლისთვის, საინტერესოა იმ მონაცემების გადახედვა, რომლებიც ამ ქალებს, როგორც დანაშაულის სუბიექტებს ახასიათებს.

როგორც რეციდივისტების მკვლევარი სხვა ავტორების მიერაც იყო აღნიშნული, ქალთა რეციდივიული დანაშაულობის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს მრავალმხრივი რეციდივისტის მაღალი დონე. ადარებს რა ქალთა და მამაკაცთა რეციდივიულ დანაშაულობას, ზოგიერთი ავტორი მითითებენ იმაზე, რომ მიუხედავად ქალთა შორის რეციდივისტების ხედართი წილის მნიშვნელოვანი სიმცირისა ძლიერი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, ქალთა რეციდივისტ მრავალჯერადობა არა მხოლოდ არ ჩამოუვარდება მამაკაცებისას, არამედ რამდენჯერმე აღემატება მას. ნასამართლობის საერთო რაოდენობა თავისუფლებადაკეთილ რეციდივისტ ქალებში არის 3,4, ხოლო მამაკაცებში 3,1. ამ ფაქტს ყურადღებას აქცევდნენ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების კრიმინოლოგები<sup>40</sup>. ამისი ახსნა, ნაწილობრივ შესაძლებელია ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორით, როგორცაა მამაკაცთან შედარებით, დანაშაულის ჩამდენი ქალის მიმართ საზოგადოების უფრო მკაცრი, მომთხოვნი დამოკიდებულება. ამიტომ ქალებისათვის დასჯის სოციალური შედეგები გაცილებით მძიმეა, მათთვის უფრო რთულად მიმდინარეობს ადაპტაციის პროცესი, რაც ხშირად განაპირობებს ახალი დანაშაულის ჩადენას.

ჩვენი მონაცემებით, გამოკვლეული ქალების მიერ ჩადენილ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებს წარმოადგენს პირადი საკუთრების ქურდობა, ხულიგნობა, ძარცვა, მითვისება და ა.შ.

ქურდობას ხშირად თან ერთვის უმუშევრობა. ამ დანაშაულების სპეციალური რეციდივი შეიმჩნევა იმ ქალებშიც, რომლებიც გასამართლებულნი იყვნენ ხულიგნობისთვის, ძარცვისთვის, ასევე აბორტების უკანონო გაკეთებისთვის.

ამასთან ერთად, ყურადღებას იქცევს ქალების უმნიშვნელო მონაწილეობა პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში და დანაშაულებში, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეების ქონების ძალადობრივი გზით დაუფლებასთან. ქალებში მსგავსი დანაშაულების რეციდივი პრაქტიკულად არ არსებობს.

დამნაშაის ღირებულებითი ორიენტაციის სისტემის გახსნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის მოტივაცია და მიზანმიმართულება, ვინაიდან ეს ფსიქოლოგიური მომენტები გამოხატავენ "პიროვნების სოციალურ პოზიციას, მის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ინტერესებისადმი და საზოგადოების სხვა

<sup>40</sup> იხ. ბ. უტცესკი. "დანაშაულებრიობა და რეციდივი", "თანამედროვე დანაშაულებრიობა". გამ. I. მ., 1927.

წევრებისადმი<sup>41</sup>. ქალთა რეციდიული დანაშაულობის მოტივაციის განხილვისას, შესაძლოა ცალკე განვიხილოთ ქალებში მეტად გავრცელებული ანგარებითი დანაშაულის მოტივები. გამოკვლევული ქალების ნახევარს ჩადენილი აქვს სწორედ ასეთი ტიპის დანაშაული. მიღებული მასალების თანახმად, მსჯავრდებულ ქალთაგან ძალიან ცოტა (5,9%) ხსნის თავის დანაშაულებრივ ქმედებას ფულადი სახსრების მოგროვების და ძვირადღირებული ნივთების შექენის სურვილით. მომხვეჭველობის და დაცროვების სურვილის არარსებობა დასტურდება აგრეთვე იმითაც, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი სახსრები ძირითადად იხარჯება ან სასმელზე, ან ისეთი ნივთების შექენაზე, რაც არ წარმოადგენს დიდ ფასეულობას.

ანგარებითი დანაშაულის ჩადენის მოტივად მატერიალური სიძნელეები დაასახელა მსჯავრდებულთა დაახლოებით 1/3-მა. მიუხედავად ამისა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალთა დანაშაულობაში ბევრად უფრო ხშირად გვხვდება არასახარბიელო მატერიალური ფაქტორი. ეს აიხსნება ქალსა და კაცს შორის დღემდე ნაწილობრივ შემორჩენილი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობით, კერძოდ მათი შრომის ხასიათით და ასევე იმით, რომ სწორედ საშინაო საქმეებით დაკავებულ ქალებს ეკისრებათ ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა.

რეციდივისტი ქალების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულები პიროვნების წინააღმდეგ, როგორც წესი, გამოწვეულია მტრული დამოკიდებულებით დაზარალებულებისადმი, რომლებიც ხშირად არიან მსჯავრდებულის ნათესავები ან ნაცნობები. ასეთი ტიპის დანაშაულების ყველაზე გავრცელებული მოტივებია სამაგიეროს გადახდა, ეჭვიანობა, შური. მსგავს მოტივებთან გეკონდა საქმე რეციდივისტების მიერ ხულოგნური ქმედებების ჩადენის დროსაც.

მოცემული კვლევები მიუთითებენ იმ მნიშვნელოვან ზეგავლენაზე, რომელსაც ოჯახურ-ყოფითი და ინტიმურ-პირადი ურთიერთობები ახდენენ ქალთა დანაშაულობაზე. ქვემოთ მოყვანილია ტიპობრივი მაგალითი იმისა, თუ როგორ ავდებს ქალს ნორმალური ცხოვრებისეული კალაპორტიდან და ხელს უწყობს დანაშაულებრივ, ამორალურ გზაზე მის შედგომას არასასურველი პირადი ურთიერთობები. ს., 40 წლის, არასრული უმაღლესი განათლებით, სწავლობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჰყავდა ოჯახი - ქმარი და ვაჟიშვილი, რომლებიც მას ძალიან უყვარდა. ქმართან თანაცხოვრების 7 წლისთაზე ს.-მ შეიტყო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქმარი ღალატობდა. მეუღლეები დაშორდნენ. ს.-მ მძიმედ განიცადა ეს ფაქტი და შეება სასმელში პოვა. ქმარმა, რომელმაც შეიტყო ყოფილი მეუღლის ახალი მიდრეკილების შესახებ, წაიყვანა ბავშვი, რომელიც ცოტათი მაინც აკავებდა ქალს საბოლოო დაცემისწინ. პირველად ს. გაასამართლეს ხულოგნობისათვის ნასჯამ მდგომარეობაში. შემდეგ ამას მოჰყვა ნასამართლეობა ქურდობებისა და მაწანწალობისათვის. 10 წლის მანძილზე ს. 4-ჯერ გაასამართლეს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაცემი, რომელიც ახასიათებს დამნაშაის პიროვნებას, არის მისი დამოკიდებულება ანტიღირებულებებისადმი, უპირველეს ყოვლისა, ალკოჰოლისადმი. გამოკვლეულ ჯგუფში ქალების დაახლოებით ნახევარმა დანაშაული მიერად მდგომარეობაში ჩადინა. ამასთან, მათ არ დაუმალაეთ, რომ სპირტიან სასმელებს რამოდენიმე წლის განმავლობაში იყენებდნენ. მათმა უმრავლესობამ ალკოჰოლის მოხმარება ფსიქიკური ტრავმის, ახლობლების გარდაცვალების, გაყრის, ოჯახური პრობლემების და სხვათა გამო დაიწყო. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქალებში ალკოჰოლური დეგრადაციის პროცესი უფრო სწრაფად და მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე მამაკაცებში. ქალები უფრო ადრე ხდებიან ალკოჰოლზე დამოკიდებული ან ფსიქოპათური პირები.<sup>42</sup>

<sup>41</sup> პ.ს. ლავლი. "დანაშაულის მიზნისა და მოტივის სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა". "სოციალისტური კანონიერება". 1969, №5, გვ.42.

<sup>42</sup> ალკოჰოლიზმი და არალკოჰოლური ნარკომანია". მ., 1994, გვ. 49.

ფსიქოლოგიური კუთხით რეციდივისტი ქალები ტოვებენ ემოციურად გაუწონასწორებელი, უნებისყოფო ადამიანების შთაბეჭდილებას, რომლებიც თითქოსდა გულწრფელი სისანულის მიუხედავად, ვერ ზღუდავენ თავიანთ მოთხოვნებს და ვერ უშკლავდებიან უარყოფით ზეგავლენასა და ცდუნებას. ამ ქალთაგან მრავალს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, აღარ სჯერა საკუთარი თავის და საკუთარი ძალების. ისინი ოცნებობენ ისეთი ადამიანის გამოჩენაზე, რომელიც ლიდერობს მათთვის და მკვეთრად შეცვლის მათ ცხოვრებას. მრავალჯერ ნასამართლევი ქალების ნაწილი ისეთ მორალურ სიცარიელეს განიცდის, რომ პატიოსანი ცხოვრების დაბრუნების შესაძლებლობის არც სჯერა.

ჩატარებული კვლევის შედეგები არ ადასტურებენ იმას, რომ ქალთა დანაშაულობის სპეციფიკური მხარეები განპირობებულია რაიმე სახის ბიოლოგიური ფაქტორებით. ისეთი ფაქტებიც კი, როგორცაა მკვლევლობებში, ძარცვასა და ყაჩაღობებში, დარბევასა და ცივი იარაღით მიმე ხულიგნობებში ქალების მონაწილეობის შედარებით მცირე წილი, იხსნება არა იმდენად ქალის ფიზიკური სისუსტით, რამდენადაც აღზრდასა და პიროვნების ზნობრივ ფორმირებაში არსებული სხვაობით, ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების თავისებურებებით. ამასთან, არ შეიძლება უარყოფოთ, რომ ქალების ზოგიერთი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურება, როგორცაა სინატიფე, ნერვული სისტემის ლაბილობა, ემოციურობა, მგრძობიარობა და სხვა უდავოდ მოქმედებს მათ ქცევაზე. ეს თავისებურებები აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული მსჯავრდებული ქალების სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარების დროს.

ჩატარებული კვლევები გვიჩვენებენ რეციდივისტი ქალის პიროვნების თავისებურებებს, რაც გამოიხატება ანგარებით-ქონებრივი დანაშაულებრივი გეგმის ლოკალიზაციაში, მრავალჯერადი რეციდივის მაღალ დონეში, მაწანწალობისა და პროსტიტუციის თანმხლები პარაზიტოზმის მდგრადობაში. რეციდივისტი ქალებისთვის, აგრეთვე დამახასიათებელია სოციალურად სასარგებლო კავშირების, განსაკუთრებით ოჯახური და შრომითი კავშირების, უფრო ღრმა რღვევა. შესამჩნევი სპეციფიკით გამოირჩევა ასევე რეციდივისტი ქალების ზოგიერთი ფსიქოლოგიური თვისება: ემოციური ლაბილობა, მორალური სიცარიელე, უნებისყოფობა, ლიდერის ძებნის სურვილი, გაზრდილი მგრძობიარობა და ა.შ.

რეციდივისტი ქალების პიროვნების სპეციფიკური თავისებურებები გათვალისწინებული უნდა იქნას ქალთა დანაშაულობის პრევენციის ღონისძიებების შემუშავებისას.

## საკონტროლო კითხვები

1. ქალთა დანაშაულთან ბრძოლის ძირითადი ეტაპები.
2. დასახელეთ ქალთა დანაშაულობის განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები.
3. დასახელეთ ქალთა დანაშაულობის დეტერმინაციისა და მიზეზების ზოგიერთი კრიმინოლოგიური თავისებურება.
4. რა არის ქალთა დანაშაულობის დინამიკის შემცირების მიზეზი საქართველოში 2003-2007 წლებში?

### ნაწილი III. დანაშაულის პრევენცია

#### თავი 17. დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები

- §1. დანაშაულობის პრევენციის თეორია: განვითარება, საგანი და სტრუქტურა;
- §2. დანაშაულობის პრევენციის სისტემა და სუბიექტები;
- §3. დანაშაულობის პრევენციის სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები;
- §4. დანაშაულობის პრევენციის სამართლებრივი საფუძვლები.

#### თავი 18. დანაშაულის საერთაშორისო კონტროლი

- § 1. გაეროს საქმიანობა დანაშაულის საერთაშორისო კონტროლის სფეროში
- § 2. ინტერპოლი – როგორც დანაშაულის საერთაშორისო კონტროლის სუბიექტი

## თავი 17. დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები

### §1. დანაშაულობის პრევენციის თეორია: განვითარება, საგანი და სტრუქტურა;

დანაშაულობასთან ბრძოლა და მისი პრევენცია მჭიდრო კავშირშია კაცობრიობის განვითარების ისტორიასთან. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – პლატონი თვლიდა, რომ საზოგადოებაში უნდა მოქმედებდეს სრულყოფილი კანონმდებლობა, რომელიც მძლავრი ბერკეტი იქნება დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეერ კიდევ არისტოტელე საუბრობდა საზოგადოების მოწყობის პრინციპზე, რითაც თავად საზოგადოება შეებრძოლებოდა უზენობას, ნეგატიურ წეს-ჩვეულებებს. XVIII საუკუნის განმანათლებლებმა განავითარეს იდეები სამართლისა და დანაშაულის პროფილაქტიკის კავშირის შესახებ. მათი აზრით, სამართალი შეიძლება ეფექტურ საშუალებად ქცეულყოფილ საზოგადოებაში აღმოცენებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. ჩეზარე ბეკარიაშ ნაშრომში “დანაშაულისა და სასჯელის შესახებ” განავითარა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა დანაშაულობის პროფილაქტიკა იქნებოდა.<sup>1</sup> აღნიშნული ნაშრომის კომენტარებისას, ეოლტერმა ჩამოაყალიბა პრინციპულად მნიშვნელოვანი დებულება, რომლის მიხედვითაც “ცივილიზებული საზოგადოების ჭეშმარიტი იურისპრუდენცია დანაშაულის პრევენციაა”.

XIX-XX სს. ინტენსიურად იწყო განვითარება მეცნიერებებმა საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ, რომლებშიც განიხილავდნენ დანაშაულის პროფილაქტიკის გლობალურ პრობლემასაც. აღნიშნული მიმართულება მეცნიერებაში ცნობილია, როგორც დანაშაულის ზოგადსოციალური პრევენცია. მან ასახვა კიოვა ისტორიული მატერიალიზმის რიგ დებულებებში. სამწუხაროდ, დანაშაულის ზოგადსოციალური პრევენციის და კრიმინოლოგიური პროფილაქტიკის იდეები, რომლებმაც რუსეთში გასული საუკუნის 20-იან წლებში იწყეს განვითარება, სტალინის დიქტატორულმა რეჟიმმა აღკვეთა და მასობრივი რეპრესიების სახით სახელმწიფო დამსჯელობითი პოლიტიკით ჩაანაცვლა. სამწუხაროდ, იგივე ხდებოდა საქართველოშიც.

დანაშაულობის პრევენციისადმი მიძღვნილმა კვლევებმა კვლავ იჩინეს თავი საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში.<sup>2</sup> მეცნიერებმა შეიმუშავეს პროფილაქტიკური ღონისძიებების კლასიფიკაცია, დანაშაულობის შესწავლის მეთოდიკა გლობალურ, რეგიონულ და ინდივიდუალურ დონეებზე. გამოიცა აღნიშნული თემატიკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. დანაშაულობის პროფილაქტიკის თეორია მნიშვნელოვნად გააართოვდა კრიმინოლოგიური პროგნოზირებისა და დაგეგმარების კუთხით. პროფილაქტიკური საქმიანობა განიხილებოდა, როგორც დანაშაულობის მიზეზების აღკვეთისკენ მიმართული საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური რეგულირების ერთ-ერთი საშუალება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, პედაგოგიურ-აღმზრდევლობითი, ორგანიზაციული და სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებების ურთიერთქმედება, ასევე დანაშაულობის თავიდან აცილების სხვადასხვა ღონეების ერთობლიობა.<sup>3</sup>

დანაშაულობის პრევენცია გულისხმობს ერთმანეთთან იერარქიულად დაკავშირებული ამოცანების გადაჭრას.

მათგან პირველი მდგომარეობს დანაშაულობის მიზეზებზე, დინამიკაზე და სტრუქტურაზე ერთობლივ პროფილაქტიკურ ზემოქმედებაში. ეს ე.წ. სოციალური პროფილაქტიკაა

<sup>1</sup> Ч. Беккариа “О преступлениях и наказаниях”. Мю. 2005 с. 44

<sup>2</sup> Г. Глюти – История криминологии в СССР. Сб. Вопросы борьбы с преступность М, 1999

<sup>3</sup> Криминология: Учебник Под ред. акад. В.Н. Кудрявцева, М.: Юристъ, 1997. – 512



მეორე გულისხმობს დანაშაულებრივი ქცევის სახეებისა და ფორმების პრევენციას, დანაშაულობის თავიდან აცილებას საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროებში, ცალკეული სოციალური ჯგუფების პროფილაქტიკურ საქმიანობას და ა.შ. (*კრიმინოლოგიური პროფილაქტიკა*);

მესამე - ცალკეული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის აღკვეთისკენა მიმართული (*ინდივიდუალური კრიმინოლოგიური პროფილაქტიკა*).

გადასატრეული საკითხების ხასიათის მიხედვით, პროფილაქტიკური ღონისძიებები იყოფა ზოგად, სპეციალიზებულ და ინდივიდუალურ ღონისძიებებად. მიზნების სპეციფიკა და პრევენციული ღონისძიებების თავისებურებები განსაზღვრავენ პროფილაქტიკის კონკრეტულ სუბიექტებს, მათ კომპეტენციას და ურთიერთქმედებას, ანუ დანაშაულობის პრევენციის სისტემას. კრიმინოლოგია იკვლევს დანაშაულობის თავიდან აცილების სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი უზრუნველყოფის საკითხებს, შეიმუშავებს პროფილაქტიკური საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლებსა და კრიტერიუმებს.

დანაშაულობის პრევენციის თეორია შედგება ორი - ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან.

*ზოგადი ნაწილი* მოიცავს დანაშაულობის პროფილაქტიკის ცნებასა და საგანს, მის სუბიექტებს, სისტემას, გადასატრეული საკითხების დონით განსაზღვრული ღონისძიებების სპეციფიკას, პრევენციული საქმიანობის ორგანიზების, მართვის, დაგეგმარებისა და კოორდინაციის საკითხებს, სისტემის განვითარების პროგნოზირებას და ა.შ. *განსაკუთრებული ნაწილი* კომპეტენციაა დანაშაულობის ცალკეული სახეობისა და ფორმის თავიდან აცილების სპეციფიკის დადგენა და მისი კრიმინოლოგიური მახასიათებლების შეიმუშავება.

კრიმინოლოგიის თეორიაში განარჩევენ კვლევების სამ ასპექტს: პირველი ახორციელებს დანაშაულობისა და სხვა სახის ანტისაზოგადოებრივი ქცევის ინტერდისციპლინულ კვლევას; მეორე შეიმუშავებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სხვადასხვა მეცნიერის საქსპერტო შეფასებების საფუძველზე, მესამე გულისხმობს დანაშაულის კრიმინოლოგიურ კვლევას და მის პრევენციას.<sup>4</sup>

დანაშაულის პრევენციის პრობლემას ეთმობა დიდი ყურადღება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების სისტემების მხრიდან.<sup>5</sup>

## §2. დანაშაულობის პრევენციის სისტემა და სუბიექტები

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და თავისუფლების მოპოვების შემდეგ, საქართველოში შეიქმნა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებების სისტემა, რომელიც ახორციელებს და არეგულირებს პროფილაქტიკურ საქმიანობას. ამ დაწესებულებების ერთობლიობა და მათ მიერ განხორციელებადი ღონისძიებები ქმნიან დანაშაულის პრევენციის სისტემას. ეს სისტემა პრაქტიკის ორიენტირად კი იქცა, მაგრამ, სამწუხაროდ,

<sup>4</sup> Н.И.Щедрин – Основы общей теории предупреждения преступности . М 2002 с. 17

<sup>5</sup> ODCCP - United Nations Office for Drug Control & Crime Prevention; CICP - United Nations Centre for International Crime Prevention; UNDCP - United Nations Drug Control Programme; UNOV - United Nations Office at Vienna; The Center for International Crime Prevention has cooperated with the US National Institute of Justice and the Rule of Law Foundation's World Justice Information Network

ფორმალური და პროპაგანდისტული თვისებები შეიძინა, რამაც დააქინა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

დანაშაულობის პრევენციის სისტემა ახორციელებს მარეგულირებელ, დაცვით და აღმზრდელივით ფუნქციებს. მარეგულირებელი ფუნქცია მდგომარეობს ისეთი პირობების შექმნაში, რომლებიც ადამიანებს საშუალებას მისცემენ მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტები და წინააღმდეგობები კანონის მოთხოვნების ჩარჩოებში გადაწყვიტონ. მსგავსი პროფილაქტიკური საქმიანობა მოცემულ შემთხვევაში კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გარანტიად გვევლინება.

დაცვითი ფუნქციის განხორციელებისას პროფილაქტიკური საქმიანობა მიმართულია სოციალურად მნიშვნელოვანი ფასეულობების, მოქალაქეების უფლებების სამართლდამრღვევებისგან დაცვისკენ. ამით ევლინდება დანაშაულის პრევენციის კუმანური მიმართულება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს. დანაშაულობის პროფილაქტიკის აღმზრდელივითი ფუნქცია გამომხატება მის მიერ ადამიანთა დარწმუნებასა და ქვეყნის კორექციის მეთოდების ფართოდ გამოყენებაში, აგრეთვე მათი ქმედებების სამართლისა და კუმანური მორალის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანაში.

სისტემის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ დანაშაულობის პროფილაქტიკის სუბიექტები. მათ მიეკუთვნება ყველა ის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტი, საზოგადოებრივი ესა თუ ის ფორმირება, რომელიც თავიანთი საქმიანობით ზემოქმედებს ახდენენ დანაშაულობის პრევენციაზე. ასეთი სუბიექტები ან სპეციალურად პრევენციული მიზნებისთვის იქმნებიან, ან სხვა უფლებამოსილებების აღსრულების პარალელურად, გარკვეულწილად კრიმინოლოგიური პროფილაქტიკის განხორციელებაც ევალებათ.

სხენებული სუბიექტების კლასიფიკაციაში გამოყოფენ სამ ჯგუფს. 1. სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ ეწევიან ინდივიდუალურ პროფილაქტიკურ საქმიანობას; 2. სუბიექტებს, რომლებიც მსგავს საქმიანობას ახორციელებენ მაკონტროლებელი და სამართლდამცავი ფუნქციების აღსრულებისას; 3. სუბიექტებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ და კოორდინირებენ უწყვეტ დანაშაულის თავიდან აცილებისკენ მიმართულ საქმიანობას.

დანაშაულის პროფილაქტიკა დინამიურ სისტემათა რიგს განეკუთვნება. მიზნის მისაღწევად ის იმდენად მოქნილი უნდა იყოს, რომ მუდმივად განიცდიდეს სრულყოფას დანაშაულობის სტრუქტურის, დინამიკისა და სხვა მახასიათებლების დონის შესაბამისად. სისტემაზე აქტიურად ზემოქმედებენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, განსაკუთრებით ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათი, კონფლიქტურობის ზრდა და შემცირება, სოციალური დაძაბულობის ხარისხი, დემოკრატიის გაფართოება და შეზღუდვა და ა.შ.

დანაშაულის პროფილაქტიკის უშუალო სუბიექტები. მათ მიეკუთვნება სამოქალაქო საზოგადოების პირველადი რგოლები: ოჯახი, შრომითი და სასწავლო კოლექტივები, დანაშაულის ადრეული და უშუალო პრევენციის ორგანიზებული სტრუქტურები სამართლდამცავი ორგანოების სახით. ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ ადამიანზე, მისი ცხოვრების და აღზრდის პირობებზე, ანეიტრალებენ კრიმინოგენურ სიტუაციებს, ადგენენ და თავიდან იცილებენ კონკრეტული დანაშაულების მიზეზებსა და პირობებს და ახდენენ მათი რეციდივის პროფილაქტიკას. მოცემული სუბიექტები ეწევიან ინდივიდუალურ პრევენციულ სამუშაოსა და დანაშაულობის ცალკეული ფორმის თავიდან აცილებისკენ მიმართულ კონკრეტულ საქმიანობას (სპეციალიზირებულ კრიმინოლოგიურ პროფილაქტიკას).

ოჯახი – საზოგადოების პირველადი რგოლია, სადაც ადამიანი პიროვნებად ყალიბდება. იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს დანაშაულის თავიდან აცილებაში განსაკუთრებით პიროვნების

განვითარების ადრეულ ეტაპებზე (არასრულწლოვნები, ახალგაზრდები). ოჯახი თავისებური მიკროსახელმწიფოა, სადაც მოქმედებს აღზრდის, დარწმუნების, დასჯის, ანტისაზოგადოებრივი ქცევის პრევენციის საკუთარი სისტემა. საზოგადოება დანტერესებული უნდა იყოს ოჯახის პოზიტიური ზემოქმედებით თვითგანვითარებაზე და არა მხოლოდ გრძობადს ოჯახურ არაკეთილდღეობას. რაც მეტი იქნება მატერიალური, კულტურული და სხვა საშუალებები ოჯახის ნორმატიული ფუნქციონირებისათვის, მით მაღალი იქნება დანაშაულის პრევენციის ხარისხი. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ საზოგადოებრივ სისტემებში, სადაც ოჯახის, მშობლების, შეილებს კულტია, როგორც წესი, უფრო დაბალია დანაშაულობის დონეც. ოჯახს შეუძლია ეფექტურად აიცილოს თავიდან ან ხელი შეუწყოს დანაშაულს. თუმცა, ოჯახის კეთილდღეობა ან მოუწყობლობა ყოველთვის არ არის კავშირში ამ პროცესთან.

საზოგადოების სხვა პირველადი რგოლი, სადაც პიროვნების ფორმირების პროცესი გრძელდება, სასწავლო და შრომითი დაწესებულებებია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ფასად ფულის შოვნის თანამედროვე იდეოლოგია მნიშვნელოვნად აკნინებს შრომის, როგორც აღმზრდელითი საშუალების როლს.

უშუალოდ დანაშაულის პრევენციის ვალდებულებები მათი კომპეტენციის ფარგლებში ეკისრებათ სამართალდამცავ ორგანოებს. ეს განსაკუთრებით ეხებათ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებსაც შედარებით ხშირად უხდებათ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან შეჯახება. პოლიციის ორგანოები ვალდებული არიან არამცტუ აღკვეთონ მსგავსი ქმედებები, არამედ არ დაუშვან დანაშაულში მათი გაღაზრდა. დანაშაულის უშუალო პროფილაქტიკა შსს-ს უპირველესი მოვალეობაა. აღნიშნული მოვალეობის შესრულების ხარისხის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მისი მუშაობის ეფექტურობაზე.

*სუბიექტები, რომლებიც დანაშაულობის პროფილაქტიკას ახორციელებენ სამართალდამცავი ფუნქციების აღსრულებისას.* ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო ორგანოების ქსელი, რომლის ამოცანებსაც წარმოადგენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას კანონიერება, დააკავოს დამნაშაევები და მისცეს ისინი პასუხისგებაში. კანონიერების დაცვა მოიცავს კანონდარღვევებისა და დანაშაულობის გარემოებების დადგენას და მათი აღმკვეთი ღონისძიებების გატარებას. ამ თვალსაზრისით, პროფილაქტიკური საქმიანობა სამართალდამცავი მოღვაწეობის აუცილებელი ფორმაა.

სამართალდამცავი სისტემის ორგანოებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება სასამართლო, პროკურატურა და შინაგან საქმეთა ორგანოები.

*სასამართლო.* სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონებით დადგენილი ამოცანებისა და პროცედურების შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს არა მხოლოდ განაჩენი და გადაწყვიტოს საქმის ბედი, არამედ დაადგინოს დანაშაულის მიზეზები, მისი ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორები და გაატაროს მათი აღმოფხვრელი ღონისძიებები. საქართველოს კონსტიტუციით, მართლმსაჯულება საქართველოში ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით.<sup>6</sup>

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციური, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სამართალწარმოებით. დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი გარემოებები დგინდება დანაშაულის დამტკიცების სისხლისსამართლებრივ-პროცესუალური საშუალებებით, ხოლო გადაწყვეტილება და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ფორმდება სასამართლოს მიერ კერძო განჩინებების გამოტანის გზით.

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია. - თბილისი 1995

უკანასკნელი წლების კვლევებმა აჩვენა, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში სასამართლოები დაბალ დონეზე ეწევიან სპეციალიზებულ კრიმინოლოგიურ პროფილაქტიკას. იგი ძირითადად დაიყვანება სასამართლო განჩინებების გამოტანამდე, რომელშიც კონსტატირებულია დანაშაულის ფაქტის და მისი მიზეზების აღმოფხვრის მოთხოვნები, რომელთა აღსრულებაზე კონტროლი თითქმის არ ხდება. დანაშაულის მიზეზების კონკრეტული ანალიზი სასამართლო განჩინებებში, როგორც წესი, არ აისახება და ის უბრალოდ ფორმალურ აქტს წარმოადგენს.

სისხლის სამართლის პოლიტიკაში ჩადენილ შეცდომებს იქამდე მიეყვართ, რომ სისხლის სამართლის სასჯელის დანიშვნა სასამართლოს პრევენციული საქმიანობის პრაქტიკულად ერთადერთ საშუალებად იქცევა, რაც დანაშაულობის შემცირებას ხელს ნამდვილად არ უწყობს.

სასამართლოს საქმიანობის დამოუკიდებელ პრევენციულ მიმართულებას წარმოადგენს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება სამოქალაქო საქმეების, მოქალაქეთა მიერ თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო ორგანოების ქმედებებზე საჩივრის შემოტანის შემთხვევაში. სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა, მათი დროული აღკვეთა და გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა ხელს უშლის სამარალდარღვევის დანაშაულში გადაზარდას. ამ კუთხით სასამართლოს პროფილაქტიკური საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური, ეკოლოგიური, ადამიანის ღირებულების წინააღმდეგ მიმართული და სხვა ტიპის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა თავისი მიმართულებებითა და ფუნქციური დანიშნულებით, მრავალფეროვანი და დიდი მოცულობისაა. ისინი იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს, ასრულებენ დანაშაულის აღმოჩენის, გახსნისა და თავიდან აცილების ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციებს, ახორციელებენ გამოძიებას, ეწევიან ინდივიდუალურ და სპეციალიზებულ კრიმინოლოგიურ პროფილაქტიკას.

საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად შსს ორგანოები იყენებენ ადმინისტრაციულ, ოპერატიულ-სამძებრო და სხვა საშუალებებს.

დანაშაულობის პრევენციის სისტემაში დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სამძებრო აპარატებს. ისინი აწარმოებენ დანაშაულის წინასწარ გამოძიებას, მაგრამ მათ ამოცანას ასევე შეადგენს დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება. ეს ამოცანა წყდება სისხლისსამართლებრივ და საპროცესო საშუალებების გამოყენებით, ოღონდ გამოძიებელი ხელმძღვანელობს კრიმინოლოგიის რეკომენდაციებით, რომელიც ხსნის რა დანაშაულის ჩადენის მიზეზებსა და პირობებს, აყალიბებს პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურობის კრიტერიუმებს.

დანაშაულის მიზეზებსა და პირობებზე გამოძიებლის დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ (საპროცესო საშუალებებით შემოწმებულ) მონაცემებს სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების გარემოებებზე. გამოძიებლის ანგარიშებში ახსნილი უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი დანაშაულის გარემოებებსა და დანაშაულის ქმედებებს შორის. აღნიშნულის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციამ უნდა გაანეიტრალოს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მიზეზები და პირობები

*სუბიექტები, რომლებიც ეწევიან დანაშაულობის პროფილაქტიკას კონტროლის ფუნქციების შესრულებისას. კონტროლი ნებისმიერი მართული სისტემის აუცილებელი ელემენტია.*

განსაკუთრებული ფასეულობების დასაცავად სახელმწიფო ქმნის არასაუწყებო კონტროლის ორგანოებს. ისინი იცავენ გარემოს, წარმოებისა და ტრანსპორტის უსაფრთხოებას და ა.შ. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ეს ორგანოები ვალდებული არიან არა მხოლოდ გამოამზეურონ და აღკვეთონ სამართალდარღვევები, არამედ მოახდინონ მათი პრევენციაც.

*დანაშაულობის პრევენციის ხელმძღვანელობის განმახორციელებელი სუბიექტები.* ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დანაშაულის პრევენციის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას ახორციელებდნენ პარტიული ორგანოები, რაც მათი მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენდა. ეს სისტემა კარგა ხანია, რაც განადგურებულია. სამართალდამცავი ორგანოები, ხატოვნად რომ ეთქვას, ერთი ერთზე ებრძვიან დანაშაულს. მიზანშეწონილი იქნებოდა, დანაშაულობის პროფილაქტიკის ორგანიზებაში მონაწილეობა მიეღოთ ხელისუფლების ადგილობრივ და თვითმმართველობის ორგანოებს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. მათი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გამოიცემოდეს სამართლებრივი აქტები, რომლებიც დაარეგულირებდნენ პრევენციულ საქმიანობას, განახორციელებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების მიერ შესაბამისი კანონების დაცვის კონტროლს.

### **წმ. დანაშაულის პრევენციის სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძველები**

დანაშაულობის პროფილაქტიკის, როგორც ნებისმიერი სოციალური სისტემის მართვა მოიცავს: ინფორმაციის შეკრებას და ანალიზს, აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას, დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმის შემუშავებას და პროგნოზირებას, მის რეალიზაციას, მიღებული შედეგების შეფასებას.

პროფილაქტიკის ნებისმიერი სუბიექტის გადაწყვეტილებების ოპტიმალობა პირველ რიგში დამოკიდებულია იმაზე, ფლობს თუ არა ის საქმარის, ობიექტურ და სანდო ინფორმაციას ამოცანების გადასაჭრელად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მგალობდა, ინდივიდუალური პროფილაქტიკის განმახორციელებელ სუბიექტს უნდა ქონდეს ცნობები მთავალყურეობის ქვეშ მყოფ პირზე, რაც საშუალებას მისცემს მას ზუსტად შეაფასოს ამ პირის ქცევა, მოახდინოს ამ უკანასკნელის მიერ ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენის პროგნოზირება, იცოდეს, რა ხასიათის ღონისძიებებით მოხერხდება ამის თავიდან აცილება, იქონიოს ინფორმაცია აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგებზე. ინდივიდუალური პრევენციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის შეკრება და ანალიზი.

დანაშაულის ცალკეული სახეების, ასევე განსაზღვრული კონტინგენტის პირების (არასრულწლოვნების, რევიდუისტების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებლების და სხვათა) მიერ ჩადენილი დანაშაულების პროფილაქტიკისთვის აუცილებელია ინფორმაციის ქონა მათი ცხოვრებისა და აღზრდის ტიპობრივ ნაკლოვანებებზე, იმ პირებზე, რომლებიც უაყოფითად ზემოქმედებენ მათზე, ასევე მონაცემებზე იმის შესახებ, თუ რომელმა პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა გამოიღეს დადებითი შედეგი და რომლებმა არა. ინფორმაცია უნდა იყოს დიფერენცირებული კონკრეტული მოცანების და პრევენციული საქმიანობის სუბიექტის კომპეტენციის გათვალისწინებით.

ყველაზე მრავალმხრივ და სრულყოფილ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები, რომლებიც დანაშაულობის პროფილაქტიკის კოორდინაციას და ორგანიზებას ახორციელებენ.

მათი საქმიანობის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული ინფორმაციული უზრუნველყოფის დონეზე, რომლის პირველადი საფუძველია სტატისტიკური მონაცემები დანაშაულობისა და

ნასამართლეობის, ადმინისტრაციული და სხვა სამართალდარღვევების, სამართალდამცავი ორგანოების და პროფილაქტიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების მუშაობის შესახებ.

ეს მონაცემები ექვემდებარება ანალიზს კონკრეტული ობიექტის, რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების, მათში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების, კულტურულ-საგანმანათლებლო და პრევენციული საქმიანობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

სამართალდამცავ ორგანოებს და სახელმწიფო ხელისუფლების პროფილაქტიკურ სტრუქტურებს ევალებათ ინფორმაციის გაცემის ორგანიზება, რაც აუცილებელია დანაშაულის პრევენციისთვის და საშუალებას აძლევს მთლიანად სისტემასა და პროფილაქტიკის სუბიექტებს, იმოქმედონ მიზანმიმართულად და ორგანიზებულად. ანალიზის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ. მათ შეიძლება პქონდეთ ოპერატიული ხასიათი, რაც ითვალისწინებს კორექტივებისა და დამატებების შეტანას ინდივიდუალურ და კრიმინოლოგიურ პროფილაქტიკაში; ტაქტიკური ხასიათი, რაც გამოიხატება პროფილაქტიკური ამოცანების გადაჭრის თანმიმდევრობის შეცვლასა და ახალი მეთოდების გამოყენებაში კონკრეტული კრიმინოგენული სიტუაციის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით; გრძელვადიანი ხასიათი, რომელიც გულისხმობს დანაშაულის პრევენციის კომპლექსური გეგმების შემუშავებას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისას ანალიზი იესება კრიმინოლოგიური პროგნოზით და დანაშაულის პრევენციის კომპლექსური გეგმების ფორმირებით. *კრიმინოლოგიური პროგნოზი* – ეს არის ანალიზზე და გათვლების მონაცემებზე დაფუძნებული დანაშაულის სამომავლო მდგომარეობის ვარიანტების აღბათობრივი განხილვა მათთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის შესაძლო ღონისძიებების გათვალისწინებით.<sup>7</sup>

ინფორმაციის მოცულობის, ვადების და სხვა მონაცემთა საფუძველზე გამოიყენებენ პროგნოზირების სამ მეთოდს: ექსტრაპოლაციას, ექსპერტთა შეფასებას და მოდელირებას.

*ექსტრაპოლაცია*, უფრო ხშირად გამოიყენება შედარებით მოკლევადიანი პროგნოზირებისას, როდესაც აშკარაა, რომ ძირითადად ზემოქმედებენ მიზეზები, რომლებიც კრიმინოლოგიურ სიტუაციას მოცემულ მომენტშიც განსაზღვრავენ.

ექსტრაპოლირების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამომავლო ცვლილებები განისაზღვრება იმ მარეწვლებლის საფუძველზე, რომლებიც დანაშაულობას წარსულსა და აწმყომი ახასიათებენ.

საწყისი მონაცემების ბაზაზე ფორმირდება სტატისტიკური მწკრივები, რომლებიც მოზაიკლზეც ვრცელდება. ექსტრაპოლირებული პროგნოზების სიზუსტის ხარისხი დამოკიდებულია კრიმინოლოგიური სიტუაციის სტაბილობაზე.

*ექსპერტთა შეფასება* გამოიყენება უფრო რთულ კრიმინოლოგიურ სიტუაციებში შედარებით ხანგრძლივი პროგნოზირებისთვის. მეთოდის არსი მდგომარეობს მაღალკვალიფიციური კრიმინოლოგებისთვის ისეთი შეკითხვების დასმაში, რომლებიც მოითხოვენ პასუხს შესაძლო ცვლილებების რაოდენობრივ შეფასებაზე და მათ ხედვრით წილზე შესაბამისი ფაქტორების სკალაზე.

*მოდელირებისას*, დანაშაულზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი შესაბამისი კრიმინოლოგიური წესებისა და მათემატიკური ფორმულების მეშვეობით ყალიბდება პროგრამებად და

<sup>7</sup> Теоретические основы предупреждения преступности сб. трудов Мю. 2001

ექვემდებარება გამოთვლებს კომპიუტერის დახმარებით. მოცემული მეთოდი საშუალებას გაძლევს გამოვიყენოთ ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა სახის ინფორმაციები. აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება მოვახდინოთ ინდივიდუალური ქცევის პროგნოზირებაც – დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის ხარისხი იმ პირთა მიერ, რომლებიც ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესს ეწევიან.

პროგნოზირება მოსამზადებელი სტადიაა ინდივიდუალური პროფილაქტიკური ღონისძიებების, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნობრივი პროგრამების, დანაშაულობასთან ბრძოლის კომპლექსური გეგმების შესამუშავებლად.

*კრიმინოლოგიურ დაგეგმვას* გააჩნია საკუთარი ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ასპექტები. დაგეგმვა სოციალურ-ეკონომიკური, აღმზრდელითი, ორგანიზაციული, პროფილაქტიკური სახელმწიფო-სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებების შეთანხმებულად განხორციელების საშუალებას იძლევა. ის, ამავე დროს დანაშაულობასთან მებრძოლი ორგანოების საქმიანობის ეფექტური კოორდინაციისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომით კოლექტივებთან მათი კავშირების გაძლიერების საშუალებაა.

დაგეგმვის ერთ-ერთი სახეა კომპლექსური გეგმების შემუშავება, რომლებიც წყვეტენ ეკონომიკურ, სოციალურ, აღმზრდელითი, ორგანიზაციულ-სამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ამოცანებს. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მასშტაბურობა და ხასიათი განსაზღვრავს დაგეგმვის სუბიექტების წრეს. მათ მიეკუთვნება სახელისუფლებო ორგანოები, შრომითი კოლექტივები, შინაგან საქმეთა ორგანოები, პროკურატურები, სასამართლოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კომპლექსური გეგმები შეიძლება შედგეს რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებში და რესპუბლიკებში. იგეგმება დანაშაულის პრევენციის სპეციალური ღონისძიებებიც, რომელთაც განახორციელებენ სასამართლოები, პროკურატურა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოები.

დროის მიხედვით, დაგეგმვა შეიძლება იყოს მიმდინარე და პერსპექტიული. ეს უკანასკნელი გათვლილია ხანგრძლივ ვადებზე. მიმდინარე დაგეგმვა კი აიკვება დანაშაულობასთან ბრძოლის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და წყვეტს დროის ხანმოკლე შუალედზე გათვლილ ამოცანებს. დაგეგმვის ეს ორი ტიპი ერთმანეთთან კავშირშია. პერსპექტიულზე დაყრდნობით იქმნება კომპლექსური გეგმები ან შემუშავდება დანაშაულობასთან ბრძოლის გრძელვადიანი ღონისძიებები, რომლებიც იმავე ვადებზე გათვლილი სოციალური განვითარების გეგმის ნაწილს წარმოადგენენ.

მიმდინარე გეგმები ღონისძიებების შინაარსის მიხედვით ყოველთვის მკაცრად ინდივიდუალიზებული უნდა იყოს. მსგავსი გეგმები შემუშავდება მოკლევადიანი პროგნოზების საფუძველზე და შესაბამისი ვადებით. უწყვეტობა, ურთიერთკავშირი და ინტეგრაცია ის მოთხოვნებია, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს დაგეგმვის შედეგიანობას.

გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სამ ურთიერთდაკავშირებულ ეტაპად: 1) დროის გარკვეულ პერიოდში გადასატრეული ამოცანების განსაზღვრა; 2) ღონისძიებათა პროგრამების შემუშავება და კოორდინაცია მოცემული ამოცანების უფრო ეფექტური გადაჭრის მიზნით; 3) ძალისა და რესურსების გადანაწილება ცალკეული ღონისძიებისა და მთლიანად პროგრამის მკაცრად დადგენილ ვადებში შესასრულებლად<sup>8</sup>

*დანაშაულის პრევენციის რესურსული უზრუნველყოფა* უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული კრიმინოლოგიური სამსახურებით საკუთარი პროფესიულად მომზადებული კადრებითა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემით.

<sup>8</sup> Аванесов А. - Прогнозирование и планирование борьбы с преступностью. М., 2002 с.234

#### **§4. დანაშაულის პრევენციის სამართლებრივი საფუძვლები**

დანაშაულის პრევენციის სუბიექტების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, სხვა კანონები, აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ მათ პრევენციულ საქმიანობას.

დანაშაულის თავიდან აცილების სამართლებრივი რეგულირებისთვის მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს დანაშაულობის პრევენციის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებმა. ისინი განსაზღვრევენ სახელმწიფო ხელისუფლების პრევენციული საქმიანობის და დანაშაულთან ბრძოლის მართვის ძირითად კონცეპტუალურ დებულებებს, რომლებიც ადგენენ სახელმწიფოს, მისი სუბიექტების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას აღნიშნულ სფეროში, დანაშაულობასთან ბრძოლის ჩანაფიქრსა და მიზნებს.



## თავი 18. დანაშაულის საერთაშორისო კონტროლი

### 51. გაეროს საქმიანობა დანაშაულის საერთაშორისო კონტროლის სფეროში

დანაშაულის თავიდან აცილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამ საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია გაეროს წესდების პირველი მუხლი (პუნქტი-3), რომელიც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და კუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაში საერთაშორისო ხასიათის თანამშრომლობას ითვალისწინებს.<sup>1</sup> დანაშაულის თავიდან აცილების სფეროში ქვეყნების თანამშრომლობის საკითხებით უშუალოდ დაკავებულია გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო - დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისია.

1955 წლიდან მოყოლებული, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გაერო დანაშაულთან ბრძოლის კონგრესს ატარებს. ასეთი კონგრესი მოწოდებულია, დანაშაულობის მსოფლიო ტენდენციების ანალიზის მეშვეობით განსაზღვროს ამ ბრძოლის ძირითადი მიმართულებები და სათანადო რეკომენდაციების გამომუშავებით გაელენა მოახდინოს სხვადასხვა ქვეყნის დანაშაულობასთან ბრძოლის ნაციონალურ პოლიტიკასა და პროფესიულ პრაქტიკაზე.

გაეროს *პირველი კონგრესი*, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილების და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრობლემებს ეძღვნებოდა, გაიმართა ქენეაში 1955 წელს. კონგრესმა დანაშაულობის მიზეზების საკითხი განიხილა და პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებიც დაამტკიცა.

*მეორე კონგრესი* (ლონდონი-1960 წელი) მიეძღვნა არასრულწლოვანთა დანაშაულობის ახალ ფორმებს.

*მესამე კონგრესმა* (სტოკჰოლმი-1965 წელი) დანაშაულობის პრობლემები განიხილა სოციალური პირობების დანაშაულობაზე ზემოქმედების კონტექსტში.

*მეოთხე კონგრესმა* (კიოტო-1970 წელი) განიხილა დანაშაულობაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაელენის საკითხები.<sup>2</sup>

*მეხუთე კონგრესმა* (ვენევა-1975 წელი) ორგანიზებული დანაშაულობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები წამოჭრა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია შეიმუშავა.<sup>3</sup>

*მექვთე კონგრესმა* (კარაკისი-1980 წელი) ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემების ლიკვიდაციაზე, რომლებიც ადამიანის ღირსებას ლახავენ - კერძოდ უმუშევრობაზე, სიდარბიზე, რასობრივ, ნაციონალურ და სხვა სახის სოციალურ უთანასწორობაზე. აგრეთვე, შეეხო ორგანიზებული დანაშაულის კორუფციასთან კავშირებს და მიიღო კარაკისის ცნობილი დეკლარაცია, რომელმაც დანაშაულობის თავიდან აცილების საკითხები ფართო კონტექსტში განიხილა. ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- ეკონომიკური განვითარება;
- პოლიტიკური სისტემა;
- სოციალური და კულტურული ღირებულებები;

<sup>1</sup> <http://www.un.org/russian/document/basicdoc/charter.htm#chapt1>.

<sup>2</sup> IV Конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Киото, Япония, 17-26 августа 1970 года// Издание ООН, N 71.IV.

<sup>3</sup> V Конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Женева, 1-12 сентября 1975 года// Издание ООН, NR.76.IV.2.

- ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობილება;
- მეცნიერული კვლევების განვითარება თითოეული ქვეყნის ან რეგიონის პირობების გათვალისწინებით;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკადრო უზრუნველყოფის აუცილებლობა ყველა დონეზე;
- დანაშაულობის თავიდან აცილების ნაციონალური დაგეგმვის საქმეში ოჯახის, სკოლისა და შრომის როლის გათვალისწინება<sup>4</sup>

*მეშვიდე კონგრესმა* (მილანი-1985 წელი) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემას. კონგრესზე მიიღეს მილანის სამოქმედო გეგმა, რომელშიც შემდეგი საკითხების გადაჭრის აუცილებლობას გაესვა ხაზი:

- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის აქტივიზაციას;
- ტერორიზმის, ნარკობიზნესისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინოლოგიური გამოკვლევების განვითარებას;
- დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საზოგადოების ფართო ჩართვის უზრუნველყოფას;
- ექსტრადიციის, იურიდიული ურთიერთდახმარების შესახებ კანონდებლობის სრულყოფას და უკანონო გზებით მიღებული შემოსავლების კონფისკაციის ნორმების მიღებას;
- ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების ნაციონალური დაწესებულებებისა და საგადასახადო კანონების შექმნას, რომლებიც გააადვილებენ უკანონო ბრუნვის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენას, მათ გაყინვასა და კონფისკაციაზე მიმართული სამართლებრივი ხერხების შემუშავებას.<sup>5</sup>

*მერვე კონგრესზე* (პაენა-1990წელი) აღინიშნა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ზრდა თანამედროვე პირობებში სტიმულირდება ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარებით, აგრეთვე საერთაშორისო კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის, ტურისმისა და გადაზიდვების გაფართოებით, რომლებსაც ეს დანაშაულობა მოქნილად იყენებს ნარკოტიკების, იარაღის, მოპარული ნივთებისა და სხვა უკანონო საქონლისა და მომსახურების გაფრცხვებისათვის.

ორგანიზებულ ტერორისტულ-დანაშაულებრივ საქმიანობასთან ბრძოლის ეფექტური ნაციონალური და საერთაშორისო ღონისძიებების განხორციელების კუთხით ითქვა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნების მომრავლება და დანაშაულებრივი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია იწვევს დანაშაულის თავიდან აცილების ახალი საერთაშორისო დაწესებულებების შექმნის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პოლიტიკური ნების გამოვლენა, ზოგიერთი ტრადიციული ცნებისა და პრაქტიკის გადახედვა, აგრეთვე ტექნოლოგიური ხასიათის თანამშრომლობის ყველა დონეზე გაფართოება. კონგრესზე მიიღეს "ორგანიზებული დანაშაულობის" დეკლარაცია და "ორგანიზებული დანაშაულობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის" რეზოლუციაც.<sup>6</sup>

*მეცხრე კონგრესი* (კაირო-1995 წელი) წარმართა დევიზით: "ნაკლები დანაშაული, მეტი მართლმსაჯულება: უსაფრთხოება ყველასათვის".

<sup>4</sup> VI Конгресс Организации Объединенных Наций по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Каракас, 25 августа - 5 сентября 1980 года: доклад, подготовленный Секретариатом.

<sup>5</sup> VII Конгресс Организации Объединенных Наций по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Милан 26 август-6 сентября 1985 г.: доклад, подготовленный Секретариатом (издание Организации Объединенных Наций, A/CONF.187/5; Документ ООН A/CONF.144/15.

<sup>6</sup> VIII Конгресс Организации Объединенных Наций по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Гавана, 27 августа - 7 сентября 1990 года: доклад, подготовленный Секретариатом, Документ ООН A/RES/45/123 Документ ООН A/RES/46/152,7

ტრანსნაციონალური დანაშაულის პრობლემები განიხილეს გარემოს დაცვაში სისხლის სამართლის როლთან და ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებებთან კავშირში. კონგრესზე მიიღეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ კონვენციის შექმნის აუცილებლობის შესახებ ისტორიული გადაწყვეტილება.<sup>7</sup>

*მათე კონგრესმა* (ენა 2000 წელი) განიხილა ისეთი თემები, როგორებიცაა:

- კანონიერების განმტკიცება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის გამყარება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში: XXI საუკუნის ახალი გამოწვევა;
- დანაშაულის ეფექტური პრევენცია: ფეხდაფეხ ახალ მიღწევებთან;
- სამართლდამრღვევი და მსხვერპლი: პასუხისმგებლობა და სამართლიანობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

კონგრესზე მიიღეს ენის დეკლარაცია: „დანაშაულისა და მართლმსაჯულების შესახებ: პასუხი XXI საუკუნის გამოწვევას.“<sup>8</sup>

დეკლარაციაში გამოითქვა შეშოთება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსებობის, მის სხვადასხვა სახეებს შორის ურთიერთკავშირების გამო და დავიკირდა მოსაზრება, რომ ამ მოვლენის პრევენციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებით საფუძველი ჩაეყრება დანაშაულობასთან ეფექტურ ბრძოლას. დეკლარაციაში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაეროს ისეთ მიზნებს, როგორებიცაა:

- დანაშაულის შემცირება;
  - კანონიერებისა და მართლმსაჯულების განხორციელების უფრო ეფექტური უზრუნველყოფა;
  - ადამიანის თავისუფლებისა და ძირითადი უფლებების პატივისცემა, სამართლიანი, ადამიანური და პროფესიული ქცევის ყველაზე უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვისადმი ხელის შეწყობა.
- კონგრესზე აღნიშნული იყო დანაშაულის მსოფლიო პრობლემის გადაწყვეტაში სახელმწიფოთა შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის დამყარების აუცილებლობა. კერძოდ, ლაპარაკი იყო თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობაზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ტექნიკური დარგები, ადამიანებითა და იარაღით ვაჭრობა, კორუფცია, ფულის გათეთრება, ტერორიზმი, რასიზმი, ქსენოფობია, ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული ძალადობა, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობაში არასრულწლოვნების ჩაბმა და სხვ.

ამავე წელს, გენერალური ასამბლეის 2000 წლის 15 ნოემბრის 55/25 რეზოლუციით, მიიღეს გაეროს კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ“, რომელიც, ძალაში შევიდა 2003 წლის 29 სექტემბერს. დღევანდელი მისი რატიფიცირება თითქმის ასმა სახელმწიფომ მოახდინა. კონვენციას თან ახლდა სამი დამატებითი ოქმი:

- ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და აღნიშნული საქმიანობის გამო დასჯის შესახებ;
- სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით მიგრანტების უკანონო შემოყვანის და ცეცხლსასროლი იარაღის, მისი შემადგენელი ნაწილებისა და კომპონენტების უკანონო ბრუნვის შესახებ;
- საბრძოლო მასალის უკანონო დამზადებისა და ბრუნვის წინააღმდეგ.

<sup>7</sup> IX Конгресс Организации Объединенных Наций по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, Каир, 29 апреля - 8 мая 1995 года: доклад, подготовленный Секретариатом A/CONF.187/5.

<sup>8</sup> X Конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями Вена, 10-17 апреля 2000 г. Венская декларация о преступности и правосудии: ответы на вызовы двадцать первого века A/CONF.187/4/Rev.3. 9. <http://www.un.org/russian/document/convents/orgcrime.htm>;

კონვენცია წარმოადგენდა პირველ იურიდიულად აუცილებელ მრავალმხრივ დოკუმენტს, რომელიც კონკრეტულად აღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ იყო მიმართული.<sup>9</sup> მისი მიზანი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში წვერ-სახელმწიფოების თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობა. კონვენციაში დაყენებული იყო წვერ-სახელმწიფოების დანაშაულთან ბრძოლის მიდგომების უნიფიცირების პრობლემა. ამ მიმართულებით კონვენციამ ყურადღება შემდეგ საკითხებზე გაამახვილა:

- ჯგუფური დანაშაულის, სერიოზული დანაშაულის, სტრუქტურულად გაფორმებული ჯგუფის, დანაშაულის მეშვეობით მოპოვებული ქონებისა და შემოსავლების დაყადაღების ან ამოღების, კონფისკაციისა და ა.შ. ცნებების განსაზღვრა;
- ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია;
- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაცია;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა ღონისძიებები;
- კორუფციის კრიმინალიზაცია;
- კორუფციის წინააღმდეგ მიმართული სხვა ღონისძიებები;
- იურიდიული პირების პასუხისმგებლობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობა კონფისკაციის მიზნით;
- დანაშაულებრივ მიღებული შემოსავლების ან ქონების განკარგვა; დამნაშავეების გაცემა;
- მსჯავრდებულების გადაცემა;
- მოწმის დაცვა;
- დაზარალებულების დახმარება და მათი დაცვა;
- სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გაფართოებაზე მიმართული ღონისძიებანი;
- ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და ამ ინფორმაციის გაცემა;
- კადრების მომზადება, ტექნიკური დახმარება და სხვ.

*მეთერთმეტე კონგრესმა* (ბანგ-კოი, 2005 წელი) ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. ამ განხილვის შედეგად იყო მიღებული ბანგ-კოის დეკლარაცია: „ურთიერთქმედებები და საპასუხო ზომები: სტრატეგიური კავშირები დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში“<sup>10</sup>

დეკლარაციაში ხაზი გაესვა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობას შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- დანაშაულთან ბრძოლისათვის სათანადო პირობების შექმნა, მათ შორის, სიღარიბისა და უმუშევრობის ლიკვიდაცია;
- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ამ ბრუნვის შედეგად შექმნილი სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა;
- არასრულწლოვნების საქმეების მართლმსაჯულებაზე ყურადღების გამახვილება;
- რესტიტუციული მართლმსაჯულების სფეროში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული პოლიტიკის, პროცედურებისა და პროგრამების განვითარება, ციხის შესაძლო ნეგატიური შედეგებისაგან თავის დაღწევის მიზნით;
- ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულების თავიდან აცილებისა და გამოძიების შესაბამისი პროგრამებისა და დაწესებულებების შექმნა, ზომების შემუშავება და მათი დახვეწა, ფულის გათეთრებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით ჩადენილი დანაშაულების ჩათვლით;
- ადამიანების გატაცებითა და ადამიანებით ვაჭრობით დაზარალებულებისა და მათი ოჯახების დახმარებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

<sup>9</sup> <http://www.un.org/russian/document/convents/orgcrime.htm>;

<sup>10</sup> [http://www.un.org/russian/events/11thcongress/bangkok\\_decl.pdf](http://www.un.org/russian/events/11thcongress/bangkok_decl.pdf)

ამ დეკლარაციის გარდა, სამდინომ მოაშადა დოკუმენტი, რომელშიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციისა და მასთან დართული ოქმების შესაბამისად განხილული იყო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აქტუალური საკითხები. დოკუმენტში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ისეთ ძირითად ტენდენციებს, როგორებიცაა:

- ორგანიზებული დანაშაულის განვითარების სტიმულირება ახალი ბაზრებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოჩენით;
- განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ორგანიზებული დანაშაულის ურთიერთქმედება კორუფციასა და ტერორიზმთან;
- კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ახალი სახეობების გამოჩენა, რომლებიც დანაშაულებრივი ორგანიზაციები არიან დაკავებულები (თაღლითობა ინტერნეტის ქსელის გამოყენებით, ადამიანებით ვაჭრობა, იარაღის, კულტურული ფასეულობების და ბუნებრივი რესურსების კონტრაბანდა, ადამიანების მოტაცება);
- ორგანიზებული ჯგუფების მოცულობის შემცირების ტენდენცია;
- ბევრ რეგიონში კონფლიქტებისა და არასტაბილურობის კავშირი მძლავრი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ზრდასთან;
- ომების როლი ორგანიზებული დანაშაულის მკვეთრ ზრდაში;
- ხანგრძლივ კონფლიქტებში ჩათრულ ან გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ახალი თაობის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ფორმირება;
- გლობალიზაციის პროცესის პარალელურად სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე ორგანიზებული დანაშაულობის საქმიანობის გაფართოება<sup>11</sup>

ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევხებით ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის იმ აქტუალურ მიმართულებებს, რომლებზეც კონგრესმა შესაბამის დოკუმენტებში გაამახვილა ყურადღება.

### ***ადამიანებით ვაჭრობა***

ამ მოვლენის შესწავლის შედეგად, კონგრესმა დაასახელა ის ძირითადი რეგიონები, რომლებშიც ადამიანებით ვაჭრობა იყო გაურცელებული. ეს რეგიონებია: აზია, აფრიკა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა. სატრანზიტო ტერიტორიებად ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა დასახელდა. დანიშნულების მთავარ ადგილებად დაფიქსირდნენ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული ქვეყნები. აზია, ერთდროულად წარმოშობისა და დანიშნულების რეგიონად აღიარეს.

ორგანიზებულ დანაშაულსა და ადამიანებით ვაჭრობას შორის ურთიერთკავშირის ანალიზმა ცხადყო, რომ რეგიონული და გლობალური მაშტაბების მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ყველგან მონაწილეობენ ადამიანებით ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ სექსუალურ ექსპლუატაციაში.

ხაზი გაესვა ამ მოვლენის მაღალ სოციალურ საშიშროებას მსხვერპლის ადამიანური უფლებების დარღვევის და საზოგადოების ყველაზე დაუცველი წარმომადგენლების - ღარიბების, ქალებისა და ბავშვების მსხვერპლადქცევის მაღალი ალბათობის გამო. იძულებითი შრომა და სექსუალური ექსპლუატაცია ტრეფიკინგით დაზარალებულთა ფსიქიკურ-მორალურ ტრავმირებას ახდენს და მათ ნორმალური, ნაყოფიერი ცხოვრების შანსს უკარგავს. ქალებით ვაჭრობა, მასთან დაკავშირებული მიზეზებითა და შედეგებით სქესის ნიშნით ძალადობის უხემ ფორმად იქნა მიჩნეული.

აღინშნა, რომ ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, მისი აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმი წარმომადგენდა პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტს, რომელშიც პირველად

<sup>11</sup> <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/V05/822/55/PDF/V0582255.pdf?OpenElement>.

განიმარტა ტერმინი “ადამიანებით ვაჭრობა”. ეს ქმნიდა ნიდაგას ნაციონალურ კანონმდებლობებში სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების თანხედრითი კრიტერიუმების ფორმულირებისთვის, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა მსგავსი დანაშაულების გამოძიებას და დამნაშაეების სისხლისსამართლებრივი დენის საქმეში ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას. იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანებით ვაჭრობა ბავშვების ფსიქიკურ და ფიზიკურ ტრავმირებას იწვევს, ხაზგასმული იყო მათი საიმედო დაცვის უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებების გატარების საჭიროება, დაზარალებული ბავშვებისგან, როგორც მოწმეებისგან ჩვენების აღების შემთხვევაში, მათთან კორექტული მოპყრობის აუცილებლობა და სხვა.

### მიგრანტების უკანონო გადაყვანა

აღინიშნა, რომ მიგრანტების უკანონო გადაყვანა ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. მან უკვე შეიძინა გლობალური ხასიათის ბიზნესის მნიშვნელობა. მხოლოდ ამ სფეროში ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წლიური შემოსავალი სხვადასხვა გათვლებით 3,5-დან ათ მილიარდამდე ამერიკული დოლარია.

ადამიანების სწრაფვას კარგი ცხოვრებისკენ კრიმინალური სტრუქტურები და ორგანიზაციები სათავისოდ იყენებენ და მათ ულმობელ ექსპლუატაციას უწყვენ. არსებობს მტიკცებულებები, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ბიზნესიდან ზოგიერთმა დაჯგუფებამ მიგრანტების უკანონო გადაყვანის ბიზნესში გადაინაცვლა და უზარმაზარი შემოსავლებიც მიიღო. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გამოაშკარავების თვალსაზრისით, ნარკობიზნესთან შედარებით მიგრანტების გადაყვანა უფრო ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული.

მიგრანტების უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ მიმართული ოქმის ძალაში შესვლა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური ღონისძიებების შემუშავებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ოქმის მიხედვით, საჭიროდ ცნეს ნაციონალური საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიგრანტების უკანონო შემოყვანის სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად აღიარება. ამას გარდა, ოქმით დადგინდა მეორეხარისხოვანი დანაშაულების სახეობები, დაკავშირებული აულები სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოშაღებასთან, გაცემასა და ფლობასთან, რომლებიც მიგრანტების უკანონო გადაადგილებასა და შემოყვანას აადვილებდნენ.

ხაზგასმული იყო პრობლემის განსაზღვრების შემუშავების აუცილებლობა, შიდა კანონმდებლობების თავსებადობისათვის საფუძელის მოსამზადებლად.

ოქმის ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრებებს შეიცავდა, მნიშვნელოვანი იყო მიგრანტების უკანონო გადაყვანისა და ადამიანებით ვაჭრობის ცნებების გასამიჯნად:

- ვაჭრები მსხვერპლზე კონტროლს აწესებენ ძალადობის, მოტყუებისა თუ ნდობის ბოროტად გამოყენების გზით და შემოსავალს იღებენ მხვერპლის გადაადგილების შემდეგ რაიმე ფორმით მისი ექსპლუატაციის შედეგად, ხოლო მიგრანტების უკანონო გადაყვანის შემთხვევაში მათი გადაბირება ნებაყოფლობის ნიდაგაზე ხორციელდება.
- ადამიანებით ვაჭრობის დროს მსხვერპლის დაგვმილი ექსპლუატაცია წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, რაც არ შეიძლება ითქვას მიგრანტების უკანონო გადაყვანაზე; ამ კუთხით ის შეიძლება განიხილოს, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება.
- თუ ადამიანებით ვაჭრობა შეიძლება ქვეყნის შიგნითაც, მიგრანტების უკანონო გადაყვანა ყოველთვის უკავშირდება ტრანსნაციონალური საზღვრების გადალახვას. პრევენციულ ღონისძიებებზე დასახეულა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობის შეცვრებისკენ მიმართული ერთიანი ძალისხმევა, განმარტებითი ხასიათის კამპანიების განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც პოტენციური მიგრანტებს ინფორმაციას მიწოდებდნენ უცხო ქვეყნებში უკანონო შეღწევის საშუარობების, მიგრაციის ლეგალური მექანიზმების არსებობისა და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ.

## ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვა

კონგრესმა დაადასტურა ორგანიზებულ დანაშაულთან ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის კაეშირი. კანონდარღვევის ეს სახე განაპირობებს იმას, რომ იარაღი ხელმისაწვდომი გახდა და უკანონოდ გამოიყენება მიუხედავად მსოფლიოში, რაც იწვევს სხვადასხვა კუმიანტიარული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნეგატიურ შედეგებს: კონფლიქტების გაჭიანურებას; ძალადობის დონის ზრდას; სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილებას; საერთაშორისო სამართლის მიმართ პატივისცემის დაქვეითებას; შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთათვის კუმიანტიარული დახმარების გამოყენების შეფერხება-შეუძლებლობას, დანაშაულობის მაშტაბების გაფართოებას.

იარაღი ძირითადად ბრუნვაში ხედება ცუდად დაცული სახელმწიფო საწყობებიდან კორუმიანტიარული მოხელეებისა თუ გამტაცებლების მეშვეობით, მაგრამ ხშირად შეთანხმება იდება არალეგალური შუამავლების მონაწილეობით, რომლებიც უკანონო ბრუნვისათვის იმპორტზე და ექსპორტზე არასაკმარის კონტროლს ან მის არარსებობას იყენებენ. ამის შედეგად, იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილე ჯგუფების, აგრეთვე ტერორისტების ხელში. შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეების მთავარ წყაროს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო დამზადებაც წარმოადგენს. ამ პროცესების დასარტეულირებლად გაეროში სამი მიმართულებით მუშაობენ:

- პირველი მიმართულება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული ოქმის ფარგლებში ითვალისწინებს სახელმწიფო ლიცენზიების გაცემის სისტემის შექმნასა და იარაღის კანონიერი წარმოების, გაყიდვის, აგრეთვე მისი მარკირებისა და გამოვლენის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგი, აგრეთვე, გარეგნობის უკანონო წარმოებულ ან შემოტანილი ცეცხლსასროლი იარაღის კონფისკაციას, დაყვადებასა და განადგურებას;
- მეორე ითვალისწინებს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების გამოვლენის, აგრეთვე მათზე თვალდასრულ დაწესების მიზნით, დამატებითი ხასიათის საერთაშორისო დონისძიებებზე მუშაობის გააძქვებას;
- მესამე ეხება იარაღითა და მსუბუქი შეიარაღებით ვაჭრობის სფეროში საშუამავლო საქმიანობაზე კონტროლის დაწესებას.

## ადამიანების მოტაცება

კონგრესმა ხაზი გაუსვა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები ადამიანების მოტაცებას იყენებენ კაპიტალის დაგროვების ან ვალების აკრფისთვის. აღინიშნა, რომ დანაშაულის ეს სახეობა მსხვერპლისა და მისი ოჯახის სერიოზულ ტრავმირებას იწვევს. შედეგების მასშტაბები გაცილებით სერიოზული იქნება ადამიანების მოტაცების ფართოდ გავრცელების შემთხვევაში, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც.

ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 2002 წლის 24 ივლისის 2002/16 რეზოლუციით შესთავაზა წყერ-სახელმწიფოებს გენერალური მდიონისთვის წარედგინათ ინფორმაცია ადამიანების მოტაცების მოტაცების პრაქტიკისა და ქვეყნის შიგნით სათანადო ზომების გატარების თაობაზე, აგრეთვე საბჭომ თხოვნით მიმართა გენერალურ მდივანს, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიისათვის, მის მეორემეტყვე სესიაზე, მიდებოლი ინფორმაციის საფუძველზე, მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე მოხსენება წარმოედგინა, XIII სესიაზე კი ეუწყებინა ადამიანების მოტაცების სფეროში მსოფლიოში შექმნილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოს შესახებ მსხვერპლთა მდგომარეობის ჩათვლით. ორივე მოხსენების დასკვნაში ხაზი გაესვა წყერი-სახელმწიფოების მიერ სპეციალური ზომების გატარების აუცილებლობას, რომლებიც უფრო ეფექტურად გადაწყვეტდნენ ადამიანების მოტაცების პრობლემას. კერძოდ, საჭიროდ მიიჩნიეს სამართალდამცე ორგანოებში ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ადამიანთა მოტაცებების შემთხვევებზე თვალთვალს და მათი შექანიზების

მოშლას უზრუნველყოფდა ინფორმაციულ და საკანონმდებლო დონეებზე, ასევე განახორციელებდა მხსენებლთა და მათი ოჯახების ეფექტურ დაცვას.

ორგანიზებული დანაშაული და კონფლიქტები

ეს პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან არსებული დაპირისპირების გამო.

კონგრესზე მიღებულ დოკუმენტებში აღინიშნა, რომ კონფლიქტები, სამოქალაქო არეულობასა და პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად, მჭიდრო კავშირში იმყოფებიან დანაშაულებრივი სტრუქტურების ფორმირებასა და მათი რაოდენობის ზრდასთან. კონფლიქტის პრობლემაში ადგილობრივი დონის მთავარსარდლები ხშირად ძარცვავენ მიმდებარე რაიონებს, თავიანთ ძალაუფლებას იყენებენ იარაღით, ნარკოტიკებით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებით უკანონო ვაჭრობისათვის. ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ნავთობის, მერქანის, ალმასებისა და სხვა მინერალური ნედლეულის უკანონო ბრუნვა არა მხოლოდ დესტაბილიზაციის შედეგია კონფლიქტების ზონებში, არამედ ამ კონფლიქტების მასაზრდოვებელ წყაროც.

კონგრესზე აღინიშნა ისიც, რომ ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა უფრო ინტენსიურად კონფლიქტურ ზონებში და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში მიმდინარეობს, როდესაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ინსტიტუციონალიზაციის განვითარების ნაკლოვანებებითა და სახელმწიფო კონტროლის სისუსტეებით სარგებლობენ.

ხშირად ორგანიზებული დანაშაულის პოსტკონფლიქტური ზრდა განვითარებად-რეფორმირებადი ინსტიტუტების, კერძოდ პოლიციის ან სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული გამოწვევაა, რაც სტაბილური, კეთილმოწყობილი საზოგადოების აშენებას უშლის ხელს. კონგრესმა ხაზი გაუსვა ისეთ ეფექტური ზომების გატარების აუცილებლობას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ორგანიზებული დანაშაულის კავშირის შესუსტებას კორუფციასა და კონფლიქტებთან, აგრეთვე იმ პრობლემების ოპერატიულ გადაწყვეტას, რომლებიც სამშვიდობო ოპერაციებისა და პოსტკონფლიქტური სააღმშენებლო საქმიანობის წინაშე დგებიან.

ამას გარდა, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ გაეროს საქმიანობაში, რომელიც კონფლიქტის შედეგების ლიკვიდაციაზეა ორიენტირებული, მნიშვნელოვანი იქნებოდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩართვა, აგრეთვე საერთო ძალისხმევის მიმართვა ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობისათვის კონფლიქტური ზონების გამოყენების წინააღმდეგ.

ხაზგასმული იყო, რომ პრიორიტეტული უნდა გამხდარიყო ისეთი სასწავლო პროგრამისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რომლებიც ადამიანებით ვაჭრობის სფეროში სამშვიდობო ძალებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას შესთავაზებდნენ.

ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე კონგრესმა წევრ-სახელმწიფოებისთვის შეიმუშავა რიგი რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო:

- გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის, მასთან დართული ოქმებისა და გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის რატიფიცირება;
- ინვესტიციების განხორციელება ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სოსხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობა კვალიფიკაციისა და პოტენციალის ამაღლების, მათი ურთიერთქმედების სრულყოფისა და აღნიშნული საქმიანობის განხორციელების დროს სათანადო კანონიერების დაცვის საქმეში.

თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შესთავაზეს:



- ტექნიკური დახმარების გაგრძელება იმ წვერი-სახელმწიფოებისათვის (მათი მოთხოვნის საფუძველზე), რომლებიც კონფლიქტის შედეგების დაგადახვას ცდილობენ, ან იმ ქვეყნებისათვის, რომელთა პოლიტიკური სისტემა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება;
- აღნიშნული ტექნიკური დახმარების მიზანდასახულობის უზრუნველყოფა, რომელიც არა მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის გაძლიერების კონკრეტულ საკანონმდებლო და ვიწრო სპეციალურ ზომებზე იქნება გათვლილი, არამედ, კანონიერების მხარდაჭერაზეც, მათ შორის, მთლიანად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პოტენციალის განვითარებაზე;
- საქმარის რესურსების გამოყოფა იმისათვის, რომ მის მიერ შემოთავაზებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკური დახმარების პოტენციალი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმირებისა და კანონიერების განმტკიცების სფეროში საქმიანობის ფართო სპექტრის ჩათვლით, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მდგარ ახალ ამოცანებს შეესაბამებოდეს და სხვ.

### კორუფციასთან ბრძოლა

დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2003 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ თავისი 58/4 რეზოლუციით მიიღო გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ.<sup>12</sup>

- კონვენციაში გამოიკეთა შემდეგი მიზნები:
- კორუფციის თავიდან აცილებისათვის ეფექტური ღონისძიებების მიღება და მათი გაძლიერებისათვის ხელის შეწყობა;
- კორუფციის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების გაადვილება და მათთვის ხელის შეწყობა; მათ შორის, აქტივების დაბრუნებაზე მიმართული ზომების მიღება, პატიოსნების, მოუსყიდველობის, პასუხისმგებლობის, აგრეთვე საჯარო საქმეების და საჯარო ქონების სათანადო მართვის წახალისება.

კონვენციაში სახელმწიფო მოხელეთა განსხვავებული კატეგორიების არსებობის გათვალისწინებით, მოცემულია საჯარო თანამდებობის პირის ცნების სხვადასხვა განმარტება. მათი შეჯერებით, ზოგადად, ასეთი მოხელე შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნებისმიერი დანიშნული ან არჩეული პირი, რომელსაც წვერ-სახელმწიფოში აქვს დაკავებული რაიმე თანამდებობა საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოში მუდმივად ან დროებით, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე თანამდებობრივი რანგის მოხელეადად.

კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობის გასაზრდელად კონვენცია წვერ-სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციებს, სხვადასხვა დონეზე ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გასატარებლად.

### სახელმწიფო სამსახურში აყვანასთან მიმართებაში კონვენცია მათ ურჩევს:

- იხელმძღვანელონ ეფექტურობის, გამჭვირვალობის, უნაკლობის, ჭეშმარიტი შესაძლებლობებისა და სამართლიანობის პრინციპებით;
- კორუფციულად მიმზიდველი საჯარო თანამდებობების დასაკავებლად ჩაატარონ კანდიდატების შერჩევისა და მომზადების სათანადო პროცედურები;
- სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, ხელი შეუწყონ სათანადო ანაზღაურებისა და სამართლიანი ხელფასების დაწესებას;
- საჯარო თანამდებობის პირების მიერ მათი ფუნქციების სწორი, კეთილსინდისიერი და სათანადო შესრულების მოთხოვნების შესაბამისად ხელი შეუწყონ საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების განხორციელებას, უზრუნველყონ ასეთი პირების სპეციალური და სათანადო მომზადება კორუფციის რისკების ღრმა წვდომის გათვალისწინებით;

<sup>12</sup> <http://www.un.org/russian/documen/convents/corruption.pdf>

- განიხილონ იმ ღონისძიებათა და სისტემათა ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საჯარო პირების მიერ სათანადო ორგანოებისათვის კორუფციული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- შემოშვებონ ღონისძიებები და სისტემები, რომლებიც საჯარო თანამდებობის პირებს დაავალდებულებენ შესაბამის ორგანოებს წარუდგინონ დეკლარაციები თავიანთი არასახსურებრივი საქმიანობის, ინვესტიციების, აქტივების, მნიშვნელოვანი საჩუქრებისა და შეღავათების მიღების შესახებ;
- განიხილონ საჯარო თანამდებობის პირების მიმართ დისციპლინური დევნის ან სხვა ზომების გატარების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები არღვევენ თავიანთი ქცევისათვის დადგენილ კოდექსსა და სტანდარტებს.

*საჯარო შესყიდვებისა და საჯარო ფინანსების მართვის დონეზე* კონვენცია იძლევა რეკომენდაციებს:

- მოხდეს შესყიდვების პროცედურების და შესყიდვებზე კონტრაქტების შესახებ ინფორმაციის საჯარო გაერცვლება იმ მიზნით, რომ ბაზრის პოტენციურ მონაწილეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო თავისი სატენდერო განაცხადების მომზადებისა და წარდგენისათვის;
- წინასწარ დადგინდეს მონაწილეობის პირობები კონტრაქტების დასადგებად გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმების, ვაჭრობის მიმდინარეობის წესებისა და მათი გამოქვეყნების ჩათვლით;
- გამოიყენონ საჯარო შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინასწარ დადგენილი და ობიექტური კრიტერიუმები იმ მიზნით, რომ შემდგომში მოხდეს წესების ან პროცედურების სისწორის გადამოწმება.

*საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობის დონეზე* კონვენცია იძლევა რეკომენდაციას, გაძლიერდეს მისი საქმიანობის გამჭვირვალობა, კერძოდ:

- იქნეს მიღებული პროცედურები ან წესები, რომლებიც მისცემდნენ მოსახლეობას შესაძლებლობას, საჯარო შემთხვევაში მოიპოვონ ინფორმაცია საჯარო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების მიღების, ფუნქციონირებისა და პროცესების შესახებ;
- გამარტივდეს ადმინისტრაციული პროცედურები იმ მიზნით, რომ გაადვილდეს საჯარო შეღწევა იმ კონკრეტულ ორგანოებში, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს; უზრუნველყონ საჯარო ადმინისტრაციაში კორუფციის საშიშროების შესახებ პერიოდული ანგარიშების გამოქვეყნება.

*სასამართლო და პროკურატურის ორგანოების საქმიანობის დონეზე* რეკომენდებულია:

- მოსამართლეების და სასამართლო ორგანოების მუშაკების პატიოსნებისა და მოუსყიდველობის განმტკიცების წესებისა და ღონისძიებების შემოღება.

*კერძო სექტორში კორუფციის თავიდან აცილების მიზნით* გათვალისწინებულია:

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების გაძლიერება და ამ ღონისძიებათა შეუსრულებლობაზე სათანადო სანქციების შემოღება;
- კერძო სექტორში არაოფიციალური ანგარიშების ან არასწორად რეგისტრირებული ოპერაციების, არარსებული ხარჯების აღრიცხვის, ყალბი დოკუმენტებისა და სხვათა აკრძალვასთან დაკავშირებით სათანადო ზომების გატარება;

*საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების კორუფციასთან ბრძოლაში ჩაბმის დონეზე* კონვენცია იძლევა რეკომენდაციებს:

- გაძლიერდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გამჭვირვალობა და ხელი შეეწყოს მათში მოსახლეობის ჩართვას;
- უზრუნველყონ მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- მოხდეს კორუფციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, აგრეთვე განხორციელდეს საჯარო განათლების პროგრამები სკოლებსა და უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამების ჩათვლით;

- უზრუნველყონ კორუფციაზე ინფორმაციის თავისუფალი მოძიების, მიღების, გამოქვეყნების და გავრცელების წახალისება პატივისცემა, და დაცვა.  
*ფულადი სახსრების გათეთრების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია:*
- ყოვლისმომცველი შიდა რეგულირების რეჟიმისა და ზედამხედველობის დაწესება ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებზე, მათ შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც, რომლებიც ახორციელებენ ფულადი სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებულ ოფიციალურ და არაოფიციალურ მომსახურებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ფულის გასათეთრებლად განსაკუთრებით მიზიდულ სხვა ორგანოებზეც;
- ფულის გათეთრებასთან მეტროლი სამართალდამცავი და სხვა ორგანოების მიერ ფინანსური და ოპერატიული საინფორმაციო დანაყოფის შექმნა, რომელიც იფუნქციონირებდა, როგორც ფულადი სახსრების გათეთრების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, მისი ანალიზისა და გავრცელების ნაციონალური ცენტრი;
- ნაციონალურ საზღვარზე ნაღდი ფულის გადაადგილების გამოვლენაზე კონტროლის დაწესების შესახებ საკითხის განიხილვა იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ფიზიკურმა პირებმა და კომერციულმა ორგანიზაციებმა აცნობონ შესაბამის ორგანოებს დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის საზღვარზე გადაადგილების შესახებ და ა.შ.

*სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დონეზე განიხილეს კორუფციის კრიმინალიზაციის აუცილებლობის საკითხი შემდეგი ქმედებების ჩადენის დროს:*

- საჯარო თანამდებობის პირების მოსყიდვა;
- საჯარო თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი გამოძალა ან სხვა სარგებლის მიღება;
- საჯარო თანამდებობის პირის მიერ ქონების დატაცება, არამართლზომიერი მითვისება ან სხვა არამიზნობრივი გამოყენება;
- ანგარებითი მიზნით გავლენის ბოროტად გამოყენება;
- თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- უკანონო გამდიდრება;
- კერძო სექტორში ფულის გათეთრება.

*კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებით სხვა პრევენციული ზომების მიღების დონეზე განიხილეს შემდეგი შესაძლებლობების გამოყენება:*

- ფულადი ოპერაციების შეჩერება (გაყინვა);
- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების ან შესაბამისი ქონების დაყადაღება და კონფისკაცია.

*მოწვეების, ექსპერტებისა და დაზარალებულების დაცვასთან დაკავშირებული ზომების განხორციელების დონეზე კონვენციამ განიხილა:*

- სხვა ადგილზე გადასახლება;
- თანხმობა პიროვნების და მის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაუცემლობაზე;
- მტკიცებების მისაღებად ისეთი წესების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მოწვეებისა და ექსპერტების მიერ ჩვენებების უსაფრთხო მიცემას, მაგალითად, ვიდუოკავშირისა და მსგავსი საშუალებების გამოყენებით.

*იმ პირების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების დონეზე, რომლებიც კეთილსინდისიერად აცნობებენ სათანადო ორგანოებს დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ, კონვენცია ითვალისწინებსამგვარი ქცევის წახალისებას.*

*კომპეტენტური ორგანოებისათვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების წახალისებასთან დაკავშირებული ზომების განხორციელების დონეზე კონვენცია განიხილავს ბრალდებულისადმი სასჯელის შემსუბუქების გარანტიებს, ხოლო იმ პირის მიმართ, რომელიც მკიდროდ ითანამშრომლებს გამოძიების ორგანოებთან, განიხილება სისხლისსამართლებრივი დევნისაგან იმუნიტეტის მინიჭების შესაძლებლობის საკითხი.*

კორუფციული ქმედებით ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების დონეზე განიხილეს ამ პირთა უფლებები აღძრან სარჩელი მათ მიმართ, ვინც პასუხისმგებელი არიან აღნიშნულ ზარალზე.

ნაციონალურ ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის დონეზე განიხილეს საბანკო საიდუმლოს, მსჯავრდებული პირების გაცემა-გადაცემის, სამართლებრივი ურთიერთდახმარების, სისხლის სამართლის წარმოების გადაცემის და საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

კონვენციაში გაითვალისწინეს აგრეთვე წვერი-სახელმწიფოების მიმართ ტექნიკური დახმარების განხორციელების აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

## ტერორიზმი

ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემა პირველად გაეროს მიერ დაისვა 1963 წელს მიღებულ “საპაერო ხომალდებზე ჩადენილი დანაშაულების და ზოგიერთი სხვა აქტების შესახებ” კონვენციაში. ამის შემდეგ გაერო სისტემატურად განიხილავდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. ამაზე მოწმობენ მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებშიც გაშუქებული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

- საპაერო ხომალდების უკანონოდ ხელში ჩაგდება;
- სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლა;
- საერთაშორისო დაცვით აღჭურვილი პირების (დიპლომატიური აგენტების ჩათვლით) წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აცილება და მათი ჩამდენი პირების დასჯა;
- მძევლების ხელში ჩაგდება;
- ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვა;
- ბომბური ტერორიზმი და ა.შ.

უკანასკნელი დროის განმავლობაში, ტერორიზმის საფრთხის ზრდასთან დაკავშირებით, ძლიერდება მასთან ბრძოლაც. ამაზე მეტყველებს მხოლოდ ამ ბოლო წლების განმავლობაში გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტების რაოდენობა:

- ბომბურ ტერორიზმთან ბრძოლის კონვენცია (1997 წელი);
- ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია (1999 წელი);
- უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაცია ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ძალისხმევის შესახებ (2001 წელი);
- უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ტერორიზმთან ბრძოლის დეკლარაცია (2003 წელი);
- ევნის დეკლარაცია, რომელიც 2003 წლის 6 მარტს ჩატარებული კონტრტერორისტული კომიტეტის სპეციალური თათბირის შედეგებისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე იყო მიღებული (ევნა, 2004 წელი);
- 2005 წლის ბირთვულ ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია (2005 წელი);
- ბუქარესტის დეკლარაცია ტერორიზმთან, კორუფციასთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ (2006 წელი);
- მადრიდის დეკლარაცია და დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლებრივი რეჟიმის განმტკიცების სამოქმედო გეგმა, მიღებული დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის მინისტრების მადრიდის მრგვალი მაგიდის თათბირზე, რომელიც სამართლებრივი ხასიათის კონტრტერორისტულ საკითხებს შეეხო (2006 წელი);
- ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში სახელმწიფოების და ბიზნესის პარტნიორული სტრატეგია, მიღებული გლობალურ ფორუმზე მოსკოვში 2006 წელს<sup>13</sup>

<sup>13</sup><http://www.un.org/russian/document/declarat/terrorism.htm>; <http://www.un.org/russian/document/convents/terrorism.htm>.

2002 წლის ოქტომბერში გაერომ განახორციელა ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული გლობალური პროგრამა. თავისი არსებობის უკვე პირველ წელს მან 30-ზე მეტ ქვეყანას გაუწია ტექნიკური დახმარება საერთაშორისო ტერორიზმის თავიდან აცილებისადმი მიძღვნილ 12 საყოველთაო დოკუმენტთან მიერთებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვის საქმეში.

პროგრამა მუშაობს რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ეუთო და საერთაშორისო სავალუტო ფონდი), უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუციის თანახმად, მას რეგულარული კონტაქტები გააჩნია 2001 წელს შექმნილ კონტრტერორისტულ კომიტეტთან. პროგრამა კოორდინაციას უწევს კომიტეტის მუშაობას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მას თავისი საქმიანობისთვის იყენებს.

ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში დასახული სტრატეგიის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, 2006 წელს მადრიდში გაეროს გენერალურმა მდივანმა შეაკეთა მოხსენება თემაზე - „ერთიანობა ტერორიზმთან ბრძოლაში: რეკომენდაციები გლობალურ კონტრტერორისტულ სტრატეგიასთან დაკავშირებით.“ მოხსენებაში ჩამოყალიბდა ტერორიზმთან ბრძოლის ხუთი ძირითადი პრინციპი:

- ადამიანების დარღვევება ტერორიზმზე ან მის მხარდაჭერაზე უარის თქმის აუცილებლობაში;
- ტერორისტებისთვის თავდასხმის განხორციელების შესაძლებლობების განეიტრალება;
- სახელმწიფოების მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერის თავიდან აცილება;
- ტერორიზმის თავიდან აცილების საქმეში სახელმწიფოების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ადამიანის უფლებების დაცვა<sup>14</sup>

გაეროს გენერალურმა მდივანმა თავის გამოსვლაში მოუწოდა წევრ-სახელმწიფოებს, მიეღოთ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ყოველსმომცველი კონვენცია, რომელიც გაითვალისწინებდა ტერორიზმის მიმზიდველობის შემცირების, სამოქალაქო პირის ხელშეუხებლობის პრინციპის აღდგენის, ტერორიზმის მსხვერპლთან მიმართებაში უსამართლობის ლიკვიდაციისა და დაზარალებულთა ღირსების პატივისცემის უზრუნველყოფის აუცილებლობას. გენერალური მდივნის მოხსენება ტერორიზმის მიზეზების ანალიზსაც შეიცავდა, აგრეთვე მასში მითითებული იყო ის ზომები, რომელთა გატარება ტერორიზმთან ბრძოლის სრულყოფას შეუწყობდა ხელს. ტერორიზმის მიზეზთა შორის დასახელდა:

- ექსტრემისტული იდეოლოგია, რომელიც ძალადობისა და შეუწყნარებლობის კულტის დამკვიდრებას და ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერის ბაზის გაფართოებას უწყობს ხელს;
- შიპერნაციონალისტური და ქსნოფობიური იდეები, რომლებიც მასობრივი მკვლელობებისა და მოჭამეობრივი სიკვდილის შემთხვევების კეების წყაროა;
- რეგიონული კონფლიქტები და უცხოური ოკუპაცია;
- ცალკეულ სახელმწიფოებში ოპოზიციის მიერ თავისი უმცაოფილების გამოვლენისა და ალტერნატიული პოლიტიკის გატარებისათვის არაძალადობრივი საშუალებების არარსებობა;
- იზოლაცია და დისკრიმინაცია ეთნიკური წარმოშობის ან რელიგიური ნიშნით; ქვეყნების უუნარობა უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების ინტეგრაცია, რამაც საბოლოოდ ამ ფენების მარგინალიზაციას და ტერორისტული ჯგუფების საქმიანობაში მათ ჩათრევის შეიძლება, შეუწყობს ხელს;
- მატერიალური სახსრების მიღებისა და გადაბუნების, ნარკობიზნესით მოპოვებული ფულის გათეთრების, იარაღის შექმნის, კრიმინალური კადრების მოზადებისა და

<sup>14</sup> [http://www.un.org/russian/unitingagainstterrorism/a60\\_825.doc](http://www.un.org/russian/unitingagainstterrorism/a60_825.doc).

უახლესი მეთოდებით (მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით) კავშირის დამყარების შესაძლებლობა.

ტერორიზმის პრევენციის ღონისძიებებს შორის განიხილეს:

- ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად ევექტური ზომების შემუშავება (ევექტურად აღიარებულია, მაგალითად, გაეროს სანქციათა სისტემა, რომელმაც "ალკაიდას", "წყვეტბან" მიმართებაში უზრუნველყო იარაღის მიწოდების და მგზავრობის აკრძალვა, ფინანსური სანქციების დადება);
- ტერორისტებისათვის იარაღის, მათ შორის, მასობრივი განადგურების იარაღის დაუფლების შესაძლებლობის მოსპობა;
- "ალკაიდას", "ტალიბანის" და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციებისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს გაფართოება;
- სათანადო დაცვის უზრუნველყოფა და, სადაც ეს შესაძლებელია, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური ან რადიოლოგიური იარაღის განადგურება, აგრეთვე შინაგანი და საექსპორტო კონტროლის ევექტური მექანიზმების არსებობა ორმაგი მნიშვნელობის მქონე მასალებზე, რომლებსაც მასობრივი განადგურების იარაღთან შეხება გააჩნით;
- კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობის მოსპობა;
- ტრანსპორტით გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამატებითი ზომების გატარება, აგრეთვე ყალბი სამგზავრო დოკუმენტების შექმნასა და პირადი დოკუმენტების გატაცებასთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავებაში სახელმწიფოების დახმარება;
- იმ სამიზნეების და სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვის სისტემის დახვეწა, რომლებიც თავდასხმის ობიექტად შეიძლება რომ იქცნენ;
- საზოგადოების ინფორმირება უდანაშაულო ადამიანებზე და რაიონებზე თავდასხმების რეალური შედეგების შესახებ;
- ტერორისტული ჯგუფების მიერ მათ ტერიტორიაზე სასწავლო ცენტრების შექმნის პრევენცია, სადაც საშუალო იდეოლოგიურ საწყისებზე პოტენციური წევრების მომზადება ხორციელდება;
- გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ იმ სახელმწიფოების მიმართ შემოღებული სანქციების მოწონება, რომლებიც, როგორც დადგინდა, ტერორისტებს იფარებენ და ეხმარებიან;
- პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებებისა და სათანადო მეთოდების განსაზღვრა, რომელთა მეშვეობით გაერო სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწვევის საკითხში თავისი შედარებითი უპირატესობის გამოყენებას შეძლებდა (განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რომლებიც შეძლებდნენ ტერორიზმთან ბრძოლის საკუთარი პოტენციალის გაზრდას);
- საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის გაძლიერება - სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწვევა კანონიერებაზე და მართლწესრიგზე დამყარებული ევექტური სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების შექმნაში და მის მხარდაჭერაში;
- მაღალი დონის განათლების, რელიგიური და კულტურული შემყვანარებლობის წახალისება, მათ შორის, იუნესკოს დონეზეც;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის სამმართველოს, აგრეთვე ინტერპოლის ყურადღების გამახვილება წევრ-სახელმწიფოებში შესაბამისი კანონებისა და დაწესებულებების არსებობის ხელშესაწყობად, რომლებიც ტერორიზმის დაფინანსებასა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ბრძოლის საერთაშორისო ნორმებისა და ვალდებულებების საერთო დაცვას უზრუნველყოფდნენ;
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ინტერნეტის შესაძლებლობების გამოყენება;
- ტერორისტების მიერ ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური ან რადიოლოგიური მასალების მოპოვების წინააღმდეგ სახელმწიფოების პოტენციალის გაძლიერება;
- სახელმწიფოებისათვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ტექნიკურ დახმარებაზე გომოყოფილი რესურსების მოცულობის გაზრდა;
- გაეროს სისტემის ჩარჩოებში ტერორიზმთან საბრძოლველად სახელმწიფოების საქმიანობის კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა;

- ყველა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაცია, აგრეთვე საერთაშორისო და ნაციონალურ უფლებათა დაცვის მაკონტროლებელი ორგანოების კომპეტენციის აღიარება, იმ ორგანოების ჩათვლით, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებს მეთვალყურეობენ;
- ტერორიზმის პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობის საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის ამაღლება;
- მადრიდის კლუბის ძალისხმევა, რომელმაც 2005 წლის კონფერენცია ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში დემოკრატიის როლს მიუძღვნა;
- გაეროს სამდივნოში სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების შეთანხმებული ძალისხმევის ხელშეწყობის საკოორდინაციო ცენტრის შექმნა;
- კვლევითი ინსტიტუტების მიერ ტერორიზმის ძირეული მიზეზების შესწავლასთან დაკავშირებით დამატებითი კვლევითი მუშაობის ჩატარება მთელ მსოფლიოში.

## ნარკოტიკიზმი

1961 წლიდან მოყოლებული, გაერო ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს. გაეროს დოკუმენტებს შორის, რომლებიც ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლს ეძღვნება, შეიძლება დასახელდეს:

- ნარკოტიკული საშუალებების შესახებ ერთიანი კონვენცია (1961 წელი);
- ფსიქოტროპული საშუალებების შესახებ კონვენცია (1971 წელი);
- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დეკლარაცია (1984 წელი);
- ნარკოტიკული ნივთიერებისა და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართული 1988 წლის გაეროს კონვენცია;
- ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების მმართველობითი პრინციპების შესახებ დეკლარაცია (1998 წელი);
- გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური მეოცე სესიის პოლიტიკური დეკლარაცია, მიძღვნილი მსოფლიო ნარკოტიკიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლასადმი (1998 წელი);
- ლაკხნაუსის შეთანხმება ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მომზადების დროს რეკურსორებითა და სხვა ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლის ერთიანი ღონისძიებების შემოღების შესახებ (1999 წელი);
- ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის გაეროს კონვენცია (2005 წელი) და სხვა.<sup>15</sup>

თანამედროვე ეტაპზე ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის დაწესება უმთავრესად გულისხმობს ოპიატების, პირველ რიგში, პეროინის უკანონო ბრუნვაზე და ნარკოტრანზიტულ ქვეყნებში ნარკომანიის გავრცელებაზე მეთვალყურეობას.<sup>16</sup> ეს, პირველ რიგში, ეხება ცენტრალურ, სამხრეთ და დასავლეთ აზიას, აგრეთვე სამხრეთ და ცენტრალურ ევროპას. ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო თანამეგობრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ავღანეთიდან პეროინის კონტრაბანდის სამ ძირითად მარშრუტზე: ჩრდილოეთისაზე (ცენტრალური აზიის და რუსეთის გავლით), დასავლეთისაზე (ირანის, თურქეთის და ბალკანეთის გავლით) და სამხრეთისაზე (აკისტანის, ირანის და შემდეგ ზღვის გავლით).

2003 წელს პარიზში მინისტრების დონეზე ჩატარდა ცენტრალური აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების გავრცელების გზების განხილვისადმი მიძღვნილი პირველი კონფერენცია. კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ცენტრალურ, სამხრეთ და დასავლეთ აზიის გავლით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის თავიდან ასაცილებელი პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებას.

<sup>15</sup> <http://www.un.org/russian/document/convents/drugs.htm> <http://www.un.org/russian/document/convents/drugs.htm>

<sup>16</sup> <http://www.interpol.com/>; <http://zakon.kuban.ru/private/interpol.htm>.

“პარიზის პროცესის” გასაგრძელებლად 2006 წელს მოსკოვში ჩატარდა ამავე პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მეორე კონფერენცია, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

- ნარკოტიკებისა და პრეკურსორების უკანონო წარმოებას, ბრუნვას და ავლანეთიდან მგზობლივ რეგიონების გავლით დანიშნულების ქვეყნებში მათ კონტრაბანდას;
- ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებული იყო “პარიზის პროცესის” ჩარჩოებში საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის შემდგომ გამყარებაზე, ჯანმრთელობის დაცვის, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და მკურნალობის საკითხებზე. კონფერენციაზე განხილულა მონაცემები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და მათი ბოროტად გამოყენების ისეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შესახებ, როგორებიცაა დანაშაულობის ზრდა, მალალი სიყვდილიანობა, ყველაზე უფრო კმედუნარიანი ასაკის ადამიანების ინვალიდობის ფაქტების მატება, ჩრდილოეთი ეკონომიკის გავერცელება, კორუფციის შედეგად სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება და სხვა.

საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებმა მოილაპარაკეს იმის აუცილებლობაზე, რომ:

- გაეგრძელებინათ თანამშრომლობა ნარკოტიკებზე კონტროლის სფეროში;
- გააერთიანებინათ სოფლის რაიონებში შემოსავლების მიღების შესაძლებლობები და მოეხდინათ მათი დივერსიფიცირება;
- შეემცილებინათ ნაციონალურ დონეზე ნარკოტიკებზე მოთხოვნილება;
- უზრუნველყონ ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირების მკურნალობა;
- შეექმნათ ნარკოტიკების ბრუნვის მაკონტროლებელი ეფექტური ინსტიტუტების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა:
- თანამშრომლობის გაძლიერებას ავლანეთსა და მის მგზობლებს შორის საზღვრების დაცვის მართვის თანამედროვე და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით;
- სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების მიერ ნარკოტიკებისა და პრეკურსორების კონტრაბანდის არხების გადაკეტვაზე მიმართული მრავალმხრივი ოპერაციების ჩატარებას;
- პერონის წარმოებისათვის გამოსაყენებელი პროკურსორების უკანონო ბრუნვისადმი ყურადღების გაძლიერებას;
- “პარიზის პროცესის” მონაწილე სახელმწიფოების სასამართლოებს, საზღვრამხედველო და ინსტიციის ორგანოებს შორის ურთიერთქმედების გამყარებას იმ მიზნით, რომ:
- მოხდეს შესაბამისი სახელმწიფოებისათვის ნარკობარონების გადაცემა და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა იმის მიუხედავად, თუ სად იმყოფებიან ისინი;
- გაეროში, ნარკოტიკების შესახებ 1998 წლის სპეციალურ მეოცე სესიაზე მიღებული პრინციპების შესაბამისად, მოხდეს ავლანური წარმოების პერონის უკანონო ბრუნვის პრობლემის განხილვა; კერძოდ:
- გაეროს 2003 წლის კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის შესაბამისად ამ ფრიად მნიშვნელოვან სფეროში განხორციელდეს უფრო კონკრეტული ხასიათის ეფექტური თანამშრომლობა, აგრეთვე ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში უფრო აქტიურად გამოიყენონ პალერმოს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 2000 წლის კონვენციის დებულებები;
- მოხდეს ყურადღების გამახვილება სამედიცინო ასპექტებზე, მათ შორის, ნარკომანიაზე და იმ დაავადებებზე, რომლებიც გადაეცემა ტრანსვენული ინფუზიის გზით (შიდსი და ჰეპატიტი);
- ინფექციური დაავადებების ტრანსსასაზღვრო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ჩატარდეს ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი რეგიონული ღონისძიებები;
- ავლანეთის მთავრობას დახმარება გაეწიოს ნარკოტიკებზე კონტროლის სფეროში ნაციონალური სტრატეგიის განხორციელებისას (ამის გათვალისწინებით, ყველა სახელმწიფოს შესთავაზეს გადასახადის შეტანა ავლანეთის ნარკოტიკებთან ბრძოლის ტანსტულ ფონდში);
- გაძლიერდეს ბრძოლა ნარკოტიკების, პრეკურსორების უკანონო ბრუნვისა და კორუფციისგან მიღებული შემოსავლების წინააღმდეგ;



- დაწვებით სკოლებში და სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე წამყვანი საინფორმაციო საშუალებებით გამოყენებით ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის კამპანიები, რომლებიც ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების საშიშროების თაობაზე გააფრთხილებდნენ ახალგაზრდებს;
- მოხდეს ოპიუმის უკანონო კულტივირების სტაბილური შემცირება და ა.შ.

## § 2. ინტერპოლი – როგორც დანაშაულის საერთაშორისო კონტროლის სუბიექტი

ინტერპოლი შეიქმნა 1923 წელს, როგორც სხვადასხვა ქვეყნის საერთო ხასიათის სისხლისსამართლებრივ დანაშაულებთან ბრძოლის კოორდინაციის სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია. ინტერპოლი თავდაპირველად 17 სახელმწიფოს აერთიანებდა და მისი ცენტრი მდებარეობდა ვენაში (ავსტრია). 1938 წელს ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ ინტერპოლმა შეწყვიტა თავისი არსებობა და მუშაობა მხოლოდ 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განაახლა. დღესდღეობით ამ ორგანიზაციას სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი) ეწოდება და იგი 1956 წლის 13 ივნისს მიღებული წესდების შესაბამისად მოქმედებს<sup>17</sup>

ამ მომენტისათვის ინტერპოლის წევრია 186 სახელმწიფო. ამჟამად მისი შტაბბინა საფრანგეთში ქალაქ ლიონში მდებარეობს. ის, ამჟამად დროს რეგიონული ცენტრია ევროპისთვის, ხმელთაშუა ზღვისთვის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთისთვის. ინტერპოლის სხვა ცენტრები განლაგებულია ნაირობიში (აღმოსავლეთ აფრიკისთვის), აბიჯანში (დასავლეთ აფრიკისთვის), ბუენოს-აირესში (სამხრეთ ამერიკისთვის), ტოკიოში (აზიისთვის) და პუერტო-რიკოში (ყარობის აუზის და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებისთვის).

1982 წლიდან ინტერპოლმა გაეროში საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო. მის წესდებაში განსაზღვრულია საკუთარი მიზნები, სტრუქტურა, ბიუჯეტი და რესურსები, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებთან დამოკიდებულება.

ინტერპოლის მიზნებია:

- ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად სისხლის სამართლის პოლიციის ყველა ორგანოების (დაწესებულებების) ფართო ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა;
- იმ დაწესებულებების შექმნა და განვითარება, რომლებიც წარმატებით უწყობენ ხელს დანაშაულის პრევენციასა და მასთან ბრძოლას.

ორგანიზაციის წესდება კატეგორიულად კრძალავს რაიმე ხასიათის საქმიანობას პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი მიმართულებით. მასში ხაზგასმულია, რომ ყველა ქვეყანას შეუძლია საკუთარი პოლიციის ნებისმიერ ორგანოს, რომლის ფუნქციები ემთხვევა ინტერპოლისას, გადასცეს რწმუნება, იყოს ამ ორგანიზაციის წევრი.

ინტერპოლის სტრუქტურა შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- გენერალური ასამბლეა;
- აღმასრულებელი კომიტეტი;
- გენერალური სამდივნო;
- ეროვნული (ნაციონალური) ცენტრალური ბიურო;
- მრჩეველები.

გენერალური ასამბლეა წარმოადგენს ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს. ის შედგება დელეგატებისაგან, რომლებიც ინიშნებიან ამ ორგანიზაციის წევრების მიერ. ორგანიზაციის ყოველი წევრი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან რამდენიმე

<sup>17</sup>. [http://www.police.ge/M\\_interpol.aspx](http://www.police.ge/M_interpol.aspx)

დელეგატიო. მაგრამ ყოველი ქვეყნის დელეგაციას ჰყავს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება მოცემული ქვეყნის კომპეტენტური სამთავრობო ორგანოს მიერ.

გენერალური ასამბლეა:

- განსაზღვრავს საქმიანობის პრინციპებს და შეიმუშავებს ზოგადი ხასიათის ზომებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ წესდებაში მოცემული ამოცანების შესრულებას;
- განიხილავს და ამტკიცებს მუშობის მომავალი წლის საერთო გეგმას, რომელსაც სთავაზობს მას გენერალური მდივანი;
- აწვევს სხვა სარეგლამენტო დებულებებს, რომლებსაც აუცილებლად თვლის;
- ირჩევს თანამდებობის პირებს წესდებაში აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად;
- იღებს გადაწყვეტილებებს და აძლევს რეკომენდაციებს ორგანიზაციის წევრებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის;
- განსაზღვრავს ორგანიზაციის ფინანსურ პოლიტიკას;
- განიხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილებები სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ;
- ირჩევს თავისი დელეგატებიდან ორგანიზაციის პრეზიდენტსა და სამ ვიცე-პრეზიდენტს.

ორგანიზაციის წევრები, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და მათი ვალდებულებების შესაბამისად, ყველა ზომას იღებენ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

გენერალური ასამბლეა ატარებს თავის სესიებს ყოველწლიურად შემოდგომაზე, სხვადასხვა კონტინენტზე და სხვადასხვა ქვეყანაში. სესიების დროს გენერალურ ასამბლეას შეუძლია ჩამოაყალიბოს სპეციალური კომიტეტები კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად. აღნიშნული სესიების გარდა, ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოების წარმომადგენლები რეგულარულად აწყობენ რეგიონულ კონფერენციებს იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა გამოტანა გენერალურ ასამბლეაზე არ არის მიზანშეწონილი. ზოგ პრობლემას ესაჭიროება წინასწარი განხილვა მოცემული რეგიონის ქვეყნებში. როგორც წესი, აქ ყალიბდება რიგი ქვეყნების ერთიანი თვალსაზრისი მოცემული პრობლემის ირგვლივ, ერთიანი მიდგომა მისი გადაწყვეტისადმი, მიიღწევა შეთანხმება და კორდინირდება პრაქტიკული ძალისხმევა, მიმართული მოცემულ რეგიონში გაერო-ცენტრული ცალკეული საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ხასიათის დანაშაულის წინააღმდეგ.

აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ორგანიზაციის პრეზიდენტის, სამი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრა დელეგატისაგან. აღმასრულებელი კომიტეტის ცამეტი წევრი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყანას სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად.

პრეზიდენტი აირჩევა ხმების 2/3-ით. თუ ასეთი უმრავლესობა მეორე კენჭისყრის შემდეგაც არ შედგა, საკმარისი ხდება ხმების უბრალო უმრავლესობა.

პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები წარმოადგენენ სხვადასხვა კონტინენტებს. პრეზიდენტი აირჩევა 4 წლის ვადით. ვიცე-პრეზიდენტები - 3 წლის ვადით. უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, მათი ხელახალი არჩევა იგივე თანამდებობებზე ან დელეგატებად აღმასრულებელ კომიტეტში მაშინვე არ შეიძლება.

ორგანიზაციის პრეზიდენტი:

- თავმჯდომარეობს გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს და ხელმძღვანელობს პაქრობას.
- განახორციელებს კონტროლს ორგანიზაციის საქმიანობაზე, გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისობაზე;
- შესაძლებლობის ფარგლებში, განახორციელებს უშუალო მუდმივ კავშირს გენერალურ მდივანთან.

აღმასრულებელ კომიტეტში ცხრა დელეგატი გენერალური ასამბლეის მიერ 3 წლის ვადით აირჩევა. უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, მათი ხელახალი გადარჩევა იგივე თანამდებობებზე მაშინვე დაუშვებელია. აღმასრულებელი კომიტეტი, პრეზიდენტის მოწვევით, ატარებს თავის სხდომებს არანაკლებ წელიწადში ერთხელ. იგი

- განახორციელებს კონტროლს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;
- ამზადებს გენერალური ასამბლეის სესიებს;
- გენერალურ ასამბლევას წარუდგენს სამუშაო გეგმებს ან წინადადებებს;
- განახორციელებს კონტროლს გენერალური მდივნის საქმიანობაზე;
- განახორციელებს ყველა იმ უფლებამოსილებას, რომლებიც იგი ასამბლეის მიერაა აღჭურვილი;

#### გენერალური სამდივნო:

- ცხოვრებაში ატარებს გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს;
- გამოდის დანაშაულთან ბრძოლის მუდმივად მოქმედი საერთაშორისო ცენტრის რანგში;
- მოქმედებს როგორც სპეციალიზებული და საინფორმაციო ცენტრი;
- განახორციელებს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურ ხელმძღვანელობას;
- კონტაქტებს აწარმოებს ნაციონალურ და საერთაშორისო ორგანოებთან; ამასთან ერთად, ნაციონალური ცენტრალური ბიუროების მეშვეობით წყვეტს დამნაშავის ძებნასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- აქვეყნებს მასალებს, რომლებსაც თვლის მიზანშეწონილად;
- გენერალური ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტის ან ორგანიზაციის სხვა ნებისმიერი ორგანოს სესიებზე თავის თავზე იღებს სამდივნოს ვალდებულებებს;
- შეიმუშავებს მომავალი წლის სამუშაო გეგმის პროექტს, რომელსაც წარუდგენს გენერალურ ასამბლევას და აღმასრულებელ კომიტეტს განხილვისა და დამტკიცების მიზნით;
- შეძლებისდაგვარად მუდმივ და უშუალო კავშირშია ორგანიზაციის პრეზიდენტთან.

გენერალური სამდივნო შედგება გენერალური მდივნის, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალისაგან, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობას. გენერალური მდივნის კანდიდატურას აყენებს აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს გენერალური ასამბლეა 5 წლის ვადით.

გენერალური მდივანი ირჩევს პერსონალს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას, წყვეტს საბიუჯეტო საკითხებს, აგრეთვე გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივების შესაბამისად, მეთვალყურეობს მუდმივი სამსახურების მუშაობის ორგანიზაციას. გენერალური მდივანი აღმასრულებელ კომიტეტს ან გენერალურ ასამბლევას წარუდგენს ნებისმიერ წინადადებასა და პროექტს, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობას ეხება. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია აღმასრულებელი კომიტეტისა და გენერალური ასამბლეის წინაშე. საკუთარი მოვალეობების შესრულების დროს, გენერალურმა მდივანმა და პერსონალმა შეკითხვით არ უნდა მიმართონ და არც რაიმე მითითება მიიღონ სხვა მთავრობისგან ან ორგანოსგან, რომელიც ამ ორგანიზაციის ფარგლებს გარეშე იმყოფება.

1987 წლიდან გენერალური სამდივნოს შემადგენლობაში მოქმედებს ევროპული სამდივნო, რომელიც დაკავებულია კონტინენტზე ნარკოტიკებთან უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის წმინდა რეგიონული პრობლემების გადაწყვეტით და ევროპის სახელმწიფოების პოლიციის თანამშრომლობის სრულყოფით.

ორგანიზაციის ყველა წევრი ვალდებულია, პატივი სცეს გენერალური მდივნის და პერსონალის წმინდა საერთაშორისო ხასიათის ვალდებულებებს და მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებისას თავი შეიკავონ გავერნის მოხდენისგან. ორგანიზაციის ყველა წევრი აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ გენერალურ მდივანს და პერსონალს გააწვიოს შესაბამისი დახმარება საქმიანობაში.

გენერალური სამდივნოს სხვა ორგანოთა შორის უნდა აღინიშნოს გენერალური სამდივნოს სამსახური, სპეციალური განყოფილება, რომელიც საერთო ხასიათის სამუშაოების ჩატარებასა და ორგანიზაციის უსაფრთხოების გაძლიერებას უზრუნველყოფს.

ამჟამად სამდივნო შემადგენლობაში მოქმედებს 4 განყოფილება: ადმინისტრაციული, პოლიციის, სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკური უზრუნველყოფის. ძირითადი ინტერესი აქცენტრდება პოლიციის განყოფილების საქმიანობაზე, რომელიც დანაშაულთან ბრძოლაში აკოორდინირებს პოლიციური წევრ-ორგანოების თანამშრომლობას.

მის სტრუქტურაში შედიან იარაღით უკანონო ვაჭრობასთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ქვეგანყოფილებები. სხვა ქვეგანყოფილებებში მუშაობდა ყალბი ფულის, სამგზავრო ჩეკების, ობლიგაციების, აქციების დამზადების, გასაღებისა და სხვა მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაცია. აქ მოქმედებს საექსპერტო ლაბორატორია და გამოიცემა ყალბი ფულისა და სხვა სიყალბეების შესახებ სპეციალური ბიულეტენი. ამ ბიულეტენს იწერს 15 ათასზე მეტი ბანკი და საემისიო დაწესებულება.

პოლიციის განყოფილების ერთ-ერთი სპეციალური ქვეგანყოფილება დაკავებულია ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გავრცელების შესახებ ინფორმაციის შეგროვებით და მისი ანალიზით. მასში შედის კავშირებისა და თანამშრომლობის სპეციალური შენაერთის ხელმძღვანელის სამსახური, რომელიც განლაგებულია ბანგოკში (ტაილანდი), ოპერაციების ჩატარებისა და დახვეწის ჯგუფები. ამ ქვეგანყოფილების მუშაობას ხელმძღვანელობს აშშ იუსტიციის სამინისტროს ნარკოტიკული საშუალებების საქმეების სამმართველოს უმაღლესი მოხელე.

ერთგული (ნაციონალური) ცენტრალური ბიუროები შექმნილია ინტერპოლის წევრი-სახელმწიფოების პოლიციის სამსახურების სტრუქტურაში. ისინი წარმოადგენენ დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის ადგილობრივ ცენტრებს. კონკრეტულ სახელმწიფოებში ეს ბიუროები ინტერპოლის მუდმივად მოქმედი ორგანოები არიან. ერთდროულად ისინი მოცემული სახელმწიფოს პოლიციის ორგანოებად გვევლინებიან, რომლებიც დანაშაულთან ბრძოლის საქმეში დიდი უფლდამოსილებებით არიან აღჭურვილნი. ასეთი ტიპის ორგანოები არ არსებობენ არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში. ეს ბიუროები თავის ქვეყნებში აწარმოებენ სამუშაო კავშირებს სასამართლოსთან, პროკურატურასთან, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურებთან, ხოლო საერთაშორისო დონეზე – სხვა ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთანაც.

### საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმის განხორციელება

გენერალური სამდივნოს და ცალკეული ქვეყნის ნაციონალური ცენტრალური ბიუროების მოთხოვნები წარდგინება მოცემული ქვეყნის შესაბამის ბიუროების ხელმძღვანელებს და არა საგარეო საქმეთა სამინისტროებს ან სხვა სახელმწიფო უწყებებს. ბიუროს ხელმძღვანელი დაუყოვნებლივ ავალდებს შესაბამის სამსახურს, დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ამით მიიღწევა ამ ბიუროებისა და მთლიანად ინტერპოლის მუშაობის ოპერატიულობა და მაღალი ეფექტურობა.

ნაციონალური ცენტრალური ბიუროების დოქტრინაში, რომელიც მიიღეს 1965 წელს ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 34-ე სესიაზე, ამ ბიუროების საქმიანობის სხვა მიმართულებაც იყო აღნიშნული. კერძოდ, ნაციონალურმა ცენტრალურმა ბიურომ, როგორც სახელმწიფოში ინტერპოლის წარმომადგენელმა, უნდა უზრუნველყოს ინტერპოლის საქმიანობაში ნაციონალური პოლიციის აქტიური მონაწილეობა, აუხსნას მის პირად შემადგენლობას საერთაშორისო პოლიციური კოორპერაციის პირობები და პრინციპები. ამასთან ერთად, ეს ბიუროები უნდა გახდნენ ინტერპოლის პოლიტიკის პროპაგანდის ცენტრები და გენერალური ასამბლეის ყველა გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გამტარებლები.

## მრჩეველები

მეცნიერული ხასიათის საკითხებთან დაკავშირებით ორგანიზაცია მიმართავს მრჩეველებს. მრჩეველები მხოლოდ კონსულტაციურ ფუნქციებს ასრულებენ. მათ ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი 3 წლის ვადით. მრჩეველებად ირჩევენ ავტორიტეტებს იმ სფეროში, რომელიც ორგანიზაციისათვის ინტერესს წარმოადგენს. მრჩეველების მიერ განხილულ საკითხთა ნუსხაში შედის ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გავრცელებასთან ბრძოლის პრობლემები, არასრულწლოვანთა დანაშაული, ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაცია და ძებნა, პოლიციის მუშაობაში ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, კავშირგაბმულობის არხებით თითების ანაბეჭდების გამოსახულების გადაცემა და ა.შ.

თავისი გამოკვლევები მრჩეველებმა შეიძლება ჩაატარონ როგორც ინტერპოლის შტაბ-ბინაში, ისე მათი სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მათ აქვთ უფლება დაეწონონ გენერალური ასამბლეის სესიებს და მკვირვებლების რანგში, ხოლო პრეზიდენტის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დღის წესრიგის საკითხების განხილვაშიც.

## ბიუჯეტი და რესურსები

ორგანიზაციის რესურსები შედგება წვერთა ფულადი შესატანების, საჩუქრების, სუბსიდიების, დოტაციებისა და სხვა რესურსებისგან. მათი მიღება სანქციონირებული უნდა იყოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ორგანიზაციაში წევრების ფინანსური მონაწილეობის პრინციპებს, აგრეთვე ორგანიზაციის ყოველი წლის დანახარჯებს გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე განსაზღვრავს გენერალური ასამბლეა.

## ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან

ორგანიზაცია ამყარებს ურთიერთობებს და თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო, სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმ შემთხვევებში, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ორგანიზაციას შეუძლია, მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხთან დაკავშირებით, არასამთავრობო, ნაციონალურ-სამთავრობო ან ნაციონალურ-არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღოს კონსულტაცია.

გენერალურ მდივანს, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია, აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური ასამბლეის თანხმობით ან საგანგებო შემთხვევებში, თავის თავზე აიღოს სხვა საერთაშორისო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ვალდებულებანი, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებების შესრულების ვალდებულებებიც.

## ინტერპოლის საკმინაობის ძირითადი მიმართულებები

1. სისხლის-სამართლებრივი რეგისტრაცია. დამნაშავეებისა და ზოგიერთი დანაშაულების იდენტიფიკაციის მიზნით, გენერალური სამდივნო აწარმოებს სისხლისსამართლებრივ რეგისტრაციას. მსგავსი რეგისტრაცია საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულების გახსნის და საერთაშორისო დამნაშავეების ძებნისა და დაკავების ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებაა. ძირითად საიდენტიფიკაციო ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული რეგისტრაცია ხორციელდება, წარმოადგენენ: დემოგრაფიული მონაცემები, ობიექტის გარეგანი ნიშნები, დანაშაულის ჩადენის ხერხები "მოდუს ოპერანდი", ადამიანის განსაკუთრებული ნიშნები; ჩვენები, ქცევის მანერა და ა.შ.

არსებობს სისხლისსამართლებრივი რეგისტრაციის ორი ძირითადი სახეობა: საერთო და სპეციალური. საერთო რეგისტრაციის ობიექტს წარმოადგენენ მონაცემები საერთაშორისო

სისხლის სამართლის დანაშაულების და დამნაშავეების შესახებ. სპეციალური რეგისტრაცია აფიქსირებს დამნაშავეების თითების ანაბეჭდებსა და მათ ფოტოსურათებს. სისხლის-სამართლებრივი რეგისტრაციის ყველა სახეობაზე დგება კარტოთეკა, კერძოდ:

- აღფაბტური კარტოთეკა, რომელიც დგება ყველა ცნობილ საერთაშორისო დამნაშავეზე და დანაშაულებრივ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირზე. მასში ასახულია, აგრეთვე დემოგრაფიული მონაცემები და სხვა ცნობები, დანაშაულებრივი „პროფესისი“ ჩათვლით;
- დამნაშავეების სიტყვიერი პორტრეტის კარტოთეკა, სადაც 177 მაჩვენებლის მიხედვით განთავსებულია ცნობები დამნაშავეთა გარეგნობის შესახებ. ინტერპოლის წევრი-სახელმწიფო ყველა საერთაშორისო დამნაშავეზე ავსებს სპეციალურ ბარათს და აგზავნის მას გენერალურ სამდივნოში. სიტყვიერი პორტრეტის შემცველი შეტყობინების მიღების შემდეგ, გამოცდილი მუშაკები პოულობენ შესაბამის ბარათს, ახდენენ მის ქსეროკოპირებას და უგზავნიან ადრესატს;
- დოკუმენტებისა და დასახელებების კარტოთეკა შედგება ორი კარისაგან. პირველში აისახება იმ ავტომობილების, თვითმფრინავების, იარაღის, კინოკამერების, პასპორტების, პირადობის მოწმობების და სხვა დოკუმენტების ნომრები, სერია და სხვა რეკვიზიტები, რომლებითაც სარგებლობდნენ საერთაშორისო დამნაშავეები. მეორე კარი შეიცავს ბარათებს საზღვაო ხომალდების, საფრენი აპარატების, ავტომანქანების დასახელებებით, რომლებზეც გადართანებოდა ნარკოტიკები, ძვირფასეულობა და ა.შ., აგრეთვე ბარათებს საერთაშორისო დანაშაულში შემჩნეული ფირმების ან ორგანიზაციების დასახელებების შემცველობით;
- დანაშაულების და მათი ჩადენის ხერხების კარტოთეკა შედგება რამოდენიმე ნაწილისაგან, რომლებშიც აღწერილია დანაშაულების ცალკეული სახეობა და მათი ჩადენის ხერხები: ნარკოტიკების უკანონო გავრცელება, იარაღის კონტრაბანდა, თვითმფრინავების გატაცება და სხვა;
- ათივე თითის რეგისტრაციის დაქტილოსკოპიური კარტოთეკა, რომლის ბარათები განლაგებულია კრიმინალისტიკაში ცნობილი „გალტონის და გენრის“ ფორმულის შესაბამისად. აქ თაფოყრილია 300 ათასზე მეტი ბარათი. ყოველწლიურად კარტოთეკა ივსება დაახლოებით 10 ათასი ბარათით. მათი საშუალებით ხდება დამნაშავეების იდენტიფიკაცია;
- კარტოთეკა დამნაშავეთა გარეგანი ნიშნებით. აქ ფოტო და ნახატი სურათები „დანაშაულებრივი პროფესიების“ მიხედვითაა განთავსებული. ფოტოთეკაში 10 ათასზე მეტი ყველაზე უფრო საშიში დამნაშავის ფოტოსურათია თავმოყრილი.

არსებობს სხვა კარტოთეკებიც, რომლებშიც გროვდება მონაცემები სხვადასხვა ქვეყნებში მოტაცებული ავტომანქანების, ხელოვნების ნიმუშების, უკუ-უკელოდ დაკარგული პირების და სხვათა შესახებ.

**2. დამნაშავეების, საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილების, უგზო-უკელოდ დაკარგული პირების, გატაცებული ფასეულობების და დანაშაულებრივი ხელყოფის სხვა ობიექტების საერთაშორისო ძებნა.**

ინტერპოლის სამძებრო საქმიანობის ძირითად მიმართულებას დამნაშავეების საერთაშორისო ძებნა წარმოადგენს. მასში შედის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება იმ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ, სადაც დანაშაული ჩაიდინეს. ძებნაში მონაწილეობს რამოდენიმე ქვეყნის პოლიცია ნაციონალური კანონდებლობისა და საუწყებო ინსტრუქციების დაცველით. ინტერპოლი არა მხოლოდ აკოორდინირებს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის საქმიანობას, არამედ მათ ბარათებიდან ინფორმაციის მიწოდებითაც ეხმარება.

ინტერპოლის პრაქტიკაში განასხვავებენ სამი ტიპის ძებნას: ჩვეულებრივს, სასწრაფოს და შერეულს.

- ჩვეულებრივი ძებნა რიგ სტადიებს მოიცავს:
  - საზღვარგარეთ გატყვეული დამნაშავის ძებნის მოთხოვნით გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს მიერ თავისი ქვეყნის ბიუროში შეგროვებული დოკუმენტების გაგზავნა;

- ნაციონალურ ცენტრალურ ბიუროში "წითელი ცირკულარის" შედგენა და გენერალური სამდივნოს მეშვეობით მისი სხვადასხვა ქვეყნის ბიუროებში გადაგზავნა;
- მიღებული ცირკულარის საფუძველზე, კონკრეტული ბიუროული ცენტრალური ბიუროს მიერ შესაბამის პირზე ძებნის გამოცხადების შესახებ თავისი ქვეყნის პოლიციისთვის ბრძანების მიცემა;
- ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ ძებნაში მყოფი პირის დაკავების ან დაპატიმრების შესახებ გენერალური სამდივნოს და ძებნის ინიციატორი ქვეყნის ნაციონალური ცენტრალური ბიუროს დაუყოვნებლივ ინფორმირება;
- ძებნის შეწყვეტის თაობაზე დანტერესებული ორგანოებისათვის შეტყობინების გაგზავნა.

სასწრაფო ძებნა, როგორც წესი, ხორციელდება „ცხელ კვლევზე“. ჩვეულებრივსაგან იგი განსხვავდება იმით, რომ ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ ძებნის დაწყების შესახებ მოთხოვნები გენერალური სამდივნოს გვერდის ავლით ინტერპოლის სპეციალური რადიოკავშირით პირდაპირ იმ ქვეყნების ნაციონალურ ცენტრალურ ბიუროებში იგზავნება, სადაც გატყუებულია დამნაშავე. მოთხოვნა აგრეთვე შეიძლება გაიგზავნოს ტელეგრაფით ან რომელიმე სხვა ოპერატიული საშუალებით. თუ სასწრაფო ძებნაში სამი თვის განმავლობაში შედეგი არ გამოიღო, მაშინ ის ჩვეულებრივით შეიცვლება. იმ შემთხვევაში, როცა პოლიციას არ გააჩნია პირის დაკავებისათვის საკმარისი მტკიცებულებები ან ძებნის გამომცხადებელ სახელმწიფოსთან არ არსებობს დამნაშავეების გადაცემაზე დადებული ხელშეკრულება, საერთაშორისო ძებნის მიზანი ეჭვმიტანილზე პოლიციური კონტროლის დაწესება ხდება. იგივე კონტროლი წესდება ე.წ. „ჩვეულ საერთაშორისო დამნაშავეებზე“, რომელთა მიმართ, პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღების შესუსტება არ შეიძლება. არსებულ შემთხვევებში გენერალურ სამდივნოში შეივსება „შეწვანე ცირკულარი“, რომელიც ჩვეულებრივ რეკვიზიტების გარდა, შეიცავს პოლიციისადმი მიმართვას: „დამნაშავის გამომჩენისთანავე დაწესდეს მასზე მეთვალყურეობა“.

შერეული ძებნის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ბევრ სახელმწიფოს შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სისხლის საპართლის საქმეებზე და დამნაშავეების გაცემაზე სამართლებრივი დახმარების შესახებ. ამიტომ შერეული ძებნის დროს ინტერპოლის სამდივნო აგზავნის ორ ერთად შერეულ ცირკულარს: „წითელი ცირკულარი“ ეგზავნებათ ქვეყნებს, რომლებსაც დამნაშავეების გაცემის შესახებ ხელშეკრულება გააჩნიათ. ის ასეთი შინაარსის შეიძლება იყოს: „ეუროპის ქვეყნებში და აშშ-ში ძებნილის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხდეს მისი წინასწარი დაპატიმრება გაცემის მიზნით“. „მწვანე ცირკულარს“ აღნიშნით: „სხვა ქვეყნებში ეჭვმიტანილის გადაადგილებასა და საქმიანობაზე დაწესდეს მეთვალყურეობა“, აგზავნიან იმ სახელმწიფოებში რომლებთანაც არ არსებობს ძებნილის გაცემის თაობაზე ხელშეკრულება.

უზო-უკვლოდ დაკარგული პირების საერთაშორისო ძებნა ინტერპოლის სახით ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალურმა ძებნამ შედეგი არ გამოიღო და არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ძებნილმა ინიციატორი ქვეყნის ფარგლები დატოვა. ამ დროს ძებნილზე გენერალურ სამდივნოს მიერ იესება „ლურჯი ცირკულარი“. ჩვეულებრივი მონაცემების გარდა, ცირკულარი შეიცავს ძებნილის ფოტოსურათს, მისი ჩარგვობის აღწერილობას და დოსიეს იმ ნომერს, რომელშიც თავმჯდომარია გენერალური სამდივნოს მიერ შეროვილი დოკუმენტები.

უზო-უკვლოდ დაკარგული პირების ძებნა უფრო ხშირად ხორციელდება „ოჯახის ინტერესებიდან“ გამომდინარე და იწყება სამდივნოს კარტოთეკაში არსებული ამოუცნობი გეამების შემოწმებით. კარტოთეკაში შეიტანება ცნობები უცხოელების ამოუცნობი გეამების შესახებ. ამასთან, გენერალური სამდივნო „შავი ცირკულარის“ მეშვეობით აუწყებს ორგანიზაციის წევრებს ამოუცნობი გეამის აღმოჩენის თაობაზე. ამ ცირკულარში აღწერილია გეამის აღმოჩენის ვითარება, მოცემულია მისი ფოტოსურათი, თითების ანაბეჭდები და სხვ.

გატაცებული ფასეულობის საერთაშორისო ძებნა ხორციელდება ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების, ხელოვნების ნიმუშების (მხატვრული ტილოები, ქანდაკებები, ანტიკვარიატი, სხვა სამუზეუმო ექსპონატები), არქეოლოგიური ფასეულობების, იარაღისა და სხვათა მიმართ. ეს საქმიანობა წვერ-სახელმწიფოებთან, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოსთან, იუნესკოსთან, როგორც „კულტურული ფასეულობების უკანონო შემოტანის, გატანის და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვითა და თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ კონვენციის“ (1970) და „მსოფლიო კულტურული და ბუნების საგანძურის დაცვის შესახებ კონვენციის“ (1972) ინიციატორთან, მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე ხორციელდება. ამასთან, სახელმწიფოები იღებენ თავის თავზე ვალდებულებას ხელი შეუწყონ უკანონოდ გატანილი ხელოვნების ნიმუშების ძებნას და მათ უკან დაბრუნებას, გამოავლინონ ყიდვა-გაყიდვის ფაქტები, საბაჟოებზე მითითხვონ სხვა ქვეყნებში ნივთების გატანაზე სპეციალური ნებართვა.

ინტერპოლი მონაწილეობას იღებს აღნიშნული ფასეულობების ძებნის ორგანიზებაში, აგრეთვე კონფერენციებში, სემინარებში, თათბირებში, რომლებსაც აწყობენ საერთაშორისო ორგანიზაციები ხელოვნების ნიმუშების კონტრაბანდასა და გატაცებასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით. გატაცებული ნივთების ძებნის გააღვივების მიზნით ინტერპოლი აძლევს რეკომენდაციებს წვერ-სახელმწიფოებს ჩაატარონ ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მხატვრული ფასეულობების სრული აღრიცხვა, შეადგინონ მათი კატალოგები, გააძლიერონ ყიდვა-გაყიდვის პირობები და შემოიღონ სერტიფიკატები სურათებისა და სხვა ხელოვნების ნიმუშების ყიდვაზე.

ევექტური ძებნისათვის ინტერპოლი გამოსცემს სპეციალურ ბიულეტენებს, სადაც ჩამოთვლილია ძებნილი ნიმუშები და შეტანილია მათი ფოტოსურათები. ეს ბიულეტენები ყველა წვერ-სახელმწიფოს ეგზავნება. ცნობები გატაცებული ნივთების შესახებ ინახება ინტერპოლის შტაბ-ბინაში ლიონში.

### ინტერპოლის საქართველოს ეროვნული ბიურო

საქართველო ინტერპოლის წევრად მიიღეს ინტერპოლის 62-ე გენერალური ასამბლეის სესიაზე 1993 წლის 29 სექტემბერს. საქართველოს ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს ფუნქციებში შედის:

- ინტერპოლის წვერ-სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან და მის გენერალურ სამდივნოსთან საქართველოს პოლიციის ურთიერთობის კოორდინაცია;
- სამძებრო საქმიანობის ორგანიზაცია და წარმართვა;
- საქართველოში საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნების შესრულების პრაქტიკის ანალიზი და განზოგადება;
- საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებულ პირებზე, ორგანიზაციებზე, მოვლენებზე და დოკუმენტებზე მონაცემთა ბანკის შექმნა;
- საქართველოში დანაშაულის მდგომარეობისა და სტრუქტურის, ტერორიზმთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ყაღბი ფულიის დამზადებასთან, ისტორიული და კულტურული ფასეულობების ხელყოფასთან კავშირში მყოფი დამნაშავე პირების, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ სტატისტიკაში ჩართული სხვა დანაშაულების შესახებ დადგენილი ფორმით მონაცემების შეგროვება და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთვის გადაცემა.

ამჟამად საქართველოს ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროში სამართლებრივი ბაზის შექმნასთან დაკავშირებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. შექმნილია „საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი. განხილვის სტადიაშია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი „საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“.



გასული დროის განმავლობაში საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აქტიურად მუშაობდა სამართალდამრღვევათა საერთაშორისო ძეგნის მიმართულებით. მისი შუამდგომლობის საფუძველზე ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ მხოლოდ 2006 წლის პირველ ნახევარში 39 პირზე გამოსცა საერთაშორისო ძეგნის სპეციალური ნიშანი – ცირკულარი.<sup>18</sup>

2001 წლის მაისში პირველად დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის ისტორიაში, დანაშაულთან საერთაშორისო ბრძოლის საქმეში საქართველოს როლის ხაზგასასმელად თბილისში ინტერპოლის 30-ე ევროპული რეგიონული კონფერენცია ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო 44-მა ევროპულმა ქვეყანამ (რუსეთის ჩათვლით). მსოფლიოს კიდევ 10 ქვეყანა, მათ შორის აშშ და ისრაელი, კონფერენციაზე დამკვირვებლის რანგში იყო წარმოდგენილი. ფორუმში მონაწილეობდნენ ინტერპოლის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. განიხილეს ინტერპოლის ეროვნული ბიუროების მუშაობის ეფექტურობის ამაღლების, ინფორმაციის გაცვლის, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

2007 წლის იანვარში საქართველოში (თბილისი) ინტერპოლის „მილენიუმის“ პროექტის ფორმატში ჩატარდა ევრაზიაში ტრანსსასაზღვრო დანაშაულის პრობლემებისადმი მიძღვნილი ინტერპოლის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა. სხდომაში მონაწილეობა მიიღო 18 ქვეყნის ნაციონალური ბიუროების 25-მა წარმომადგენელმა, მათ შორის, სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებმა ევროპის, აშშ-ს ქვეყნებიდან და კანადიდან. თბილისის შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცემა და თანამშრომლობის გაღრმავება ინტერპოლის საშუალებებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. საქართველოს ინტერპოლის ეროვნულმა ბიურომ პარტნიორებს ქართული კრიმინალური აქტივობების და დანაშაულებრივი დაჯგუფებების შესახებ სრული ინფორმაცია წარუდგინა.<sup>19</sup>

#### საკონტროლო საკითხები:

1. რას ისახავს მიზნად დანაშაულობის საერთაშორისო კონტროლი?
2. გაეროს რომელი სტრუქტურაა დაკავებული დანაშაულობის საერთაშორისო კონტროლის განხორციელებით?
3. რა მიმართულებებით ხორციელდება ტრანსნაციონალური დანაშაულის საერთაშორისო კონტროლი?
4. გაეროს რომელ ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებში აისახება დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა?
5. რა მიზნებს ისახავს ინტერპოლი?
6. რა ძირითადი მიმართულებებით მუშაობს ინტერპოლი?
7. რა მიზნებს ისახავს საქართველოს ინტერპოლის ნაციონალური ბიუროს საქმიანობა და რომელ მიმართულებებს მოიცავს იგი?

<sup>18</sup> [http://www.police.ge/M\\_interpol.aspx](http://www.police.ge/M_interpol.aspx)

<sup>19</sup> <http://nrs.ru/categ11/articles/6215.html>.

## ნაწილი IV. დანაშაულის აღსნის ტეორიები

### თავი 19. კრიმინოლოგიური სკოლები. ისტორიული ანალიზი

- §1. კრიმინოლოგიური თეორიის ფუნქცია, მნიშვნელობა და ხასიათი.
- §2. კლასიკური სკოლა კრიმინოლოგიაში
- §3. პოზიტივისტური სკოლა კრიმინოლოგიაში
- §4. ანტროპოლოგიური სკოლა კრიმინოლოგიაში

### თავი 20. ძირითადი სოციოლოგიური თეორიები კრიმინოლოგიაში

- §1. ანომიის თეორიის ჩამოყალიბება
- §2. ანომიის დიურკემისეული ვერსია
- §3. ანომიის ამერიკანიზაცია
- §4. ძირითადი განსხვავებანი ანომიის თეორიის დიურკემისა და მერტონისეულ ვერსიებს შორის
- §5. ანომიის თეორიის გაველენა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზე

## თავი 19. კრიმინოლოგიური თეორია

### 1. კრიმინოლოგიური თეორიის ფუნქცია, მნიშვნელობა და სახეები

დანაშაულობა სოციალური ევოლუციის ნებისმიერ ეტაპზე ახასიათებდა და ახასიათებს ნებისმიერ საზოგადოებას, ნებისმიერ ისტორიულ კულტურულ თუ პოლიტიკურ სივრცეში. დანაშაულზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე დაკვირვების წარმოება და მისი მიზეზების იდენტიფიკაცია, დანაშაულის პროგნოზირება და პრევენცია ალბათ ისეთივე ხანგრძლივი ისტორიით ხასიათდება, როგორც თავად დანაშაულებრივი ქმედების ისტორია ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებიდან დღემდე. თუმცა, დანაშაულობის მეცნიერული შესწავლა და კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის ჩამოყალიბება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. საზოგადოების ისტორიული განვითარების კვლადაკვად იკვლევოდა დანაშაულის ფორმა, მისი ჩადენის ხერხი და მეთოდები, მისი გამომწვევი მიზეზები, დანაშაულის მასშტაბები, ასევე ის პერსპექტივები, რომელთა მიშეგობითაც ხდებოდა დანაშაულობის მეცნიერული შესწავლა. საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ეტაპი ახასიათდება დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და მიმართულებების განვითარებით, რაც განაპირობებს თანამედროვე კრიმინოლოგიის მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ, ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ ხასიათს.

კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის შემსწავლელი სოციალური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ნაწილია კრიმინოლოგიური თეორია. კრიმინოლოგიური თეორია მიზნად ისახავს, ზოგადთეორიული დისკურსისა და ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე განავითაროს კონკრეტული პერსპექტივები დანაშაულობის მიზეზების, მისი პროგნოზირებისა და პრევენციის, ასევე სოციალური კონტროლის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესახებ. თანამედროვე კრიმინოლოგიაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ბიოლოგიურ, ფსიქიატრიულ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, ექტიმოლოგიურ, კრიტიკულ, ფემინისტურ და სხვა თეორიებს. საბოლოო ჯამში, ყოველი კრიმინოლოგიური თეორია ემსახურება ერთ უმთავრეს მიზანს – დანაშაულობის მიზეზების იდენტიფიკაციას და მათთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. თანამედროვე კრიმინოლოგიაში თეორიათა სიმრავლე და შინაგანი კომპლექსურობა განაპირობებს ინტეგრალური კრიმინოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებასაც, რაც ცალკეულ თეორიათა სინთეზის საფუძველზე მიზნად ისახავს დანაშაულობის შემსწავლელი უნივერსალური პერსპექტივის ჩამოყალიბებას.

ერთმანეთისგან განასხვავებენ კრიმინოლოგიის მაკრო, მეზო და მიკრო თეორიებს.<sup>1</sup> მაკროთეორიის მეშვეობით ხდება საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ანალიზი და ზოგადი დაკვირვებების წარმოება დანაშაულზე, როგორც სოციალურ ფაქტორზე. მეზოთეორიული პერსპექტივის გამოყენებით წარმოებს კონკრეტულ ინსტიტუტებსა და სოციალურ ჯგუფებზე დაკვირვება. რაც შეეხება მიკროთეორიებს, მათი მეშვეობით ხდება დანაშაულის ინდივიდუალური ფაქტორების ანალიზი, ცალკეული დანაშაულის ინდივიდუალურ ასპექტებზე ორიენტირება, როგორცაა, მაგალითად, დამნაშავე, დანაშაულის მსხვერპლი, კონკრეტული სიტუაცია თუ სოციალური ურთიერთობა.

წინამდებარე ტექსტის მიზანია, დესკრიფციული ანალიზის მეშვეობით წარმოაჩინოს დანაშაულობის შემსწავლელი ძირითადი სკოლები და პერსპექტივები კრიმინოლოგიური თეორიის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე.

<sup>1</sup> Schneider, Hans Joachim: "Theorien der Kriminologie (Kriminalitätsursachen)", in: Schneider, Hans Joachim (Hrsg.): *Internationales Handbuch der Kriminologie, Band 1: Grundlagen der Kriminologie*, Berlin: De Gruyter Recht, 2007: 125-181, 127.

## §2. კლასიკური კრიმინოლოგია

კრიმინოლოგიური თეორიის დამოუკიდებელ კვლევით მიმართულებად ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოდელაჟი ფილოსოფოსთა შემოქმედებას, განსაკუთრებით კი ამ პერიოდის განმანათლებლებს მოძრაობას უკავშირდება. ჩანასახის პირობებში მყოფ კრიმინოლოგიურ დისკურსს ცალკე განმარტებად გამოიყურა და პირველ კრიმინოლოგიურ მიმართულებად ჩამოყალიბდა *კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა*. სწორედ კლასიკური კრიმინოლოგია წარმოადგენს "პროფესიონალური კრიმინოლოგიური მეცნიერების" ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ათვლის წერტილს. კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლა, ძირითადად ეფუძნება *ჩეზარე ბეკარიასა და იერემია ბენტამის* მიერ განვითარებულ მოძღვრებებს.

ჩეზარე ბენტანა (1738-1794), რომელიც წარმოშობით დიდგვაროვანი ოჯახის შვილი და ბეკარიას მარკიზი იყო, ისტორიაში შევიდა როგორც სამეცნიერო კრიმინოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, განსაკუთრებით კი 1764 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის – "დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ" დამსახურებით. ბეკარია თავის ნაშრომში ავითარებს უტილიტარიზმის იდეას, რომლის მიხედვითაც ადამიანი უმთავრესად არის რაციონალური ქმნილობა, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი თავად ახდენს საკუთარი ქცევის შინაარსსა და ზღვრების შერჩევას. შესაბამისად, პიროვნული სარგებლის მოპოვების მიზნით, ადამიანი ცდილობს მიაღწიოს გარკვეულ სიამოვნებას, უპირატესობას თუ წარმატებას გასაზღვრული ფიზიკური ტკივილებისა თუ უარყოფითი ზემოქმედების არიდების გზით. ამდენად, დანაშაულის ჩადენა დანაშაულებში განსაზღვრული სიამვნების გრძობას იწვევს.

მოცემული დაკვირვების საფუძველზე ბეკარია ასკენის, რომ დანაშაულის თავიდან აცილებისათვის აუცილებელია დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოსალოდნელი სიამოვნების გრძობის დაბალანსება შესაბამისი ტკივილის ფორმითა და "ოდენობით" მანიპულირების გზით. მოცემულ დაკვირვებაზე დაყრდნობით, ბეკარია ასკენის: "ფუნდამენტური პრინციპი, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს კანონთა მიღება და ამოქმედება, შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც – *მაქსიმალურად მეტი სიკეთე მაქსიმალურად მეტი ადამიანისთვის*".<sup>2</sup> ბეკარიას აზრით სწორედ სამართალი და სამართლიანობა წარმოადგენენ იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ ღირებულებებს, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოებრივი მშვიდობა, თავისუფლება და ადამიანური ცხოვრების განვითარება. თუმცა, ბეკარიას მტკიცებით, ადამიანი ნებაყოფლობით არც ემორჩილება კანონს – ამისათვის ხომ თითოეული ინდივიდი იძულებულია უარი თქვას მისთვის ბოძებული თავისუფლების გარკვეულ წილზე საზოგადოებრივი სიკეთის სასარგებლოდ. რამდენადაც ეგოიზმისა და ინდივიდუალური ინტერესების არსებობა ყოველ ადამიანში განსაზღვრული დოზით შეინიშნება, აუცილებელია ადამიანთა "მართვა" სასჯელის შიშით, რაც მათთვის კანონმორჩილების უპირობო მოტივს წარმოადგენს და ზღუდავს ადამიანებში არსებულ დესპოტურ, მარგინალურ მისწრაფებებს.

თავის გახმაურებულ ნაშრომში ბეკარია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასჯელის ცნებისა და შენარჩუნის, ასევე დანაშაულთან მისი ურთიერთმიმართების საკითხის დამუშავებას. ბეკარიას მტკიცებით, იმისათვის, რომ სასჯელმა ეფექტურად შეასრულოს თავისი ფუნქცია და უზრუნველყოს დანაშაულის პრევენცია, აუცილებელია მისი მეშვეობით მიყენებული ტკივილი თუ ზიანი ოდნავ მაინც აღემატებოდეს იმ კონკრეტულ უპირატესობას თუ სიამოვნებას, რომელსაც ღებულობს ადამიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. შესაბამისად, დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების განსაზღვრისას, აუცილებელია, რომ სამართლის მეშვეობით

<sup>2</sup> Beccaria, Cesare: *On Crimes and Punishments*, 6-th Edition, translated by Henry Paolucci, Indianapolis: Bobbs-Merrill, 1977: 8.; Edward D. Ingraham (Philadelphia: Philip H. Nicklin 1819) pp.15,20,22-23,30-32,60, 74-77 149, 156. For a debate of contribution of Becarria to modern criminology, see G.O.W. Mueller, "Whose Prophet Is Cesare Beccaria? An Essay on the Origins of Criminological Theory." *Advance Criminological Theory 2* (1990) Graime Newman and Pierto Magongiu, "Penological Reform and the Myth of Beccaria," *Criminology*, 28 (1990) 325; and Piers Bieme "Inventing Criminology: The Science of Man, in C. Beccaria's *Die delitti a delle pene*," *Criminology* 29, (1991) 777-820

გათვალისწინებულ იქნეს “სასჯელის სიზუსტე და დანაშაულით მოპოვებული კონკრეტული სიკეთის წართმევისა თუ სიამოვნების განცდის აღმოფხვრის შესაძლებლობა”.<sup>3</sup> ამდენად, დანაშაულობის თავიდან აცილებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობა არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი სიზუსტე!

ბეკარიას პროგრესული აზროვნება ჩანს მისი დამოკიდებულებით იმ პერიოდისთვის გავრცელებულ სასჯელის მოძველებულ ფორმებთან, განსაკუთრებით წამებასთან მიმართებაში. ბეკარია ერთერთი პირველი მოაზროვნე იყო, რომელიც მეცნიერული კვლევის საფუძველზე ამტკიცებდა წამების, როგორც სასჯელის ერთ-ერთი ფორმის, გაუქმების აუცილებლობას. მისი აზრით, უმკაცრესი, ანტიუმანური სასჯელის ფორმები ვერ ასრულებენ დანაშაულის თავიდან აცილების ფუნქციას. როდესაც ადამიანს მისჯილი აქვს სასჯელის უმკაცრესი ზომა, მას, სასჯელის აღსრულებამდე აღარ გააჩნია სოციალურად ნორმალური ქცევის მოტივაცია და რადგანაც ასეთ ადამიანს დასაკარგი აღარაფერი აქვს, იგი პოტენციურად მზად არის ჩაიდინოს ახალი დანაშაული. შესაბამისად, ბეკარია გამოდიოდა სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ერთერთი ფორმის ხშირი გამოყენების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ თუ ვერ მოხერხდა სასჯელის მოცემული ფორმის გაუქმება, აუცილებელია მისი გამოყენება მხოლოდ იშვიათ, უკიდურეს შემთხვევებში.

თეზისების სახით, ბეკარიას შეხედულებანი შეიძლება შემდგენიარად ჩამოყალიბდეს:

1. კანონი უნდა გამოიყენონ სოციალური ხელშეკრულების იდეის განსამტკიცებლად – ადამიანები აყალიბებენ სოციალურ ერთობას, საზოგადოებას და ქმნიან სახელმწიფოს, რომელიც ეფუძნება სოციალური თანაცხოვრების ძირითად პრინციპებს;
2. სამართლებრივი ქაოსის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ კანონმდებლებმა უნდა შექმნან კანონები;
3. მოსამართლეებმა სასჯელის ფორმა უნდა დაადგინონ მხოლოდ კანონის შესაბამისად, მათ ეკრძალებათ კანონის თავისუფალი ინტერპრეტაცია;
4. სასჯელი უნდა ეფუძნებოდეს სიამოვნებისა და ტკივილის გრძობების “გაზომვასა” და მათ გონიერულ შეპირისპირებას;
5. სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულებრივ ქმედებას და არა დანაშაულის პიროვნებას, შესაბამისად, სასჯელის განსაზღვრა უნდა მოხდეს მხოლოდ დანაშაულის შინაარსიდან გამომდინარე;
6. მსჯავრი უნდა გამოითანონ სწრაფად და ეფექტიანად;
7. კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა;
8. აუცილებელია წამებისა და სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელთა უსარგებლო ფორმების გაუქმება;
9. უმჯობესია მოხდეს დანაშაულის დროული პრევენცია, ვიდრე უკვე ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება სასჯელის მეშვეობით.<sup>4</sup> სწორედ მოცემული პუნქტის და ინოვაციური მტკიცებების საფუძველზე ითვლება ბეკარიას ნაშრომი – “დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ” – კრიმინოლოგიის მეცნიერების ისტორიაში ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად, ნაშრომად, რომელმაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა კრიმინოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას.

ინგლისელი ფილოსოფოსი, ცნობილი განმანათლებელი და რეფორმატორი, უტილიტარისტული მსოფლმხედველობის ერთერთი ფუძემდებელი – იერემია ბენტამი (1748-1832), ბეკარიას<sup>5</sup> შემდეგ, კრიმინოლოგიის ელასიკური სკოლის ერთ-ერთ განმავითარებლად ითვლება. ბენტამის ნააზრევში ასევე იგრძნობა ჩეზარე ბეკარიას

<sup>3</sup> Beccaria, Cesare: *On Crimes and Punishments*, 6-th Edition, translated by Henry Paolucci, Indianapolis: Bobbs-Merrill, 1977: 13.

<sup>4</sup> Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *Criminology and Criminal Justice System*, 5<sup>th</sup> Edition, New York: McGraw-Hill, 2004: 63-64.

შემოქმედების ერთგვარი გაკლენაც, თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით იგი ცდილობდა იურისპრუდენციისა და კანონმდებლობის ერთიანი სისტემის განვითარებას, მეცნიერულად დასაბუთებული ოფიციალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ფორმირებას. ბენტამის სამეცნიერო მემკვიდრეობამ და ნააზრევმა, მისი გარდაცვალებიდან ათეული წლების განმავლობაში განსაზღვრა ბრიტანეთის პოლიტიკური ცხოვრებისა და მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ცვლილებების შინაარსი. ბენტამი დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს კლასიკურ მოაზროვნედ და მის მიერ განვითარებული პრინციპები კელაინდებურად ახდენენ გაკლენას თანამედროვე სოციალური პროცესების მართებულად გააზრებასა და რეგულირებაზე.

ბენტამის მტკიცებით: “ბუნებამ ადამიანი ჩამოაყალიბა ორი უზენაესი ძალის – ტიკიელისა და სიამოვნების მართვის ობიექტად. სწორედ ეს ორი ძალა განსაზღვრავს იმას, თუ რას ვაკეთებთ, რას ვამბობთ და რას ეფიქრობთ: ჩვენი ყოველი მცდელობა საწინააღმდეგოს დამტკიცებისა სწორედ მოცემული გარემოების მართებულობაში დაგვარწმუნებს.”<sup>3</sup> შესაბამისად, ადამიანის ქცევა განისაზღვრება სწორედ ქცევის სასურველ შედეგებსა და და მოსალოდნელ ნეგატიურ ზემოქმედებებს შორის ბალანსითა და კოორდინირებით. ადამიანი შინაგანად ახდენს თავისი ქცევის მიზნებისა და პასუხისმგებლობების ერთმანეთთან შეპირისპირებას და განსაზღვრავს საკუთარი ქცევის ფაქტორებს. სწორედ მოცემული მტკიცების საფუძველზე ითვლება ბენტამი კრიმინოლოგიაში ჩამოყალიბებული “დანაშაულებრივი ქცევის არჩენის” კონცეფციის ფუძემდებლად.

ბენტამის მტკიცებით, სამართლის უპირველესი ფუნქციაა სოციალური მშვიდობის დაცვა და განმტკიცება. რამდენადაც უშუალოდ სასჯელიც იწვევს ტიკიელს და თავისი ბუნებით წარმოადგენს ბოროტებას, იგი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მეშვეობით ხდება იმაზე უფრო მეტი სიკეთის დაცვა, რასაც თავად სასჯელი ხელყოფს. შესაბამისად, “გამართლებული” სასჯელი უნდა ახდენდეს იმაზე მეტი ბოროტების თავიდან აცილებას, რასაც უშუალოდ მისი შინაარსი გულისხმობს. ბენტამის აზრით, სასჯელს აქვს შემდეგი ოთხი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია:

- (1) ყველა სახის დანაშაულის პრევენცია;
- (2) თუ შეუძლებელია დანაშაულის პრევენცია, სასჯელის მეშვეობით უნდა მოხდეს პოტენციური დანაშაულის დარწმუნება, რომ მან ჩაიდინოს შედარებით მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაული;
- (3) სასჯელის მეშვეობით უნდა მოხერხდეს დანაშაულის დარწმუნება, რომ მან არ გამოიყენოს ძალადობა კონკრეტული შედეგის მისაღწევად საჭიროზე მეტი ზომით;
- (4) სასჯელმა უნდა უზრუნველყოს დანაშაულის პრევენცია მინიმალური მატერიალური დანახარჯების გამოყენებით.

თავისი მოძღვრების საფუძველზე ბენტამი აყალიბებს სასჯელის გამოყენების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც სასჯელის “ღირებულება” არ უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შედეგად მოსალოდნელ “შემოსავალზე” ნაკლები. ამასთანავე, აუცილებელია ზომიერების დაცვა, რის საფუძველზეც სასჯელი არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა საზოგადოებაში კანონისადმი კონფორმისტული განწყობის შესანარჩუნებლად. რამდენადაც პოტენციური დანაშაულები ახდენენ დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული “სარგებლისა” და შესაძლო სასჯელის შედეგად მოსალოდნელი “დანაკარგების” ურთიერთმიმართების დადგენას, კანონმდებელმა, დანაშაულობის პრევენციის მიზნით, უნდა მოახდინოს შესაბამისი რაციონალური გათვლა და ჩამოაყალიბოს სასჯელთა გონივრული, ლოგიკური სისტემა. ბენტამი ერთერთი პირველი მოაზროვნე იყო, რომელიც დანაშაულობასთან ეფექტური

<sup>3</sup> Bentham, Jeremy: *A Fragment on Government and an Introduction to the Principle of Morals and Legislation*, Oxford: Blackwell, 1967: 21. Barnes, *The story of Punishment*, p. 102: Quoted in Leon Leon Radzainowitz, *A History of English Criminal Law and its Administration from 1750 vol 1* (New York Macmillan 1948) p. 330.

ბრძოლის მიზნით, კანონმდებელს ურჩევდა ერთდროულად გამოეყენებინა სანქციის როგორც ნეგატიური (სასჯელი), ასევე პოზიტიური (ჯილდო, წახალისება) ფორმები.<sup>6</sup>

ლასიკური კრიმინოლოგიის შინაარსი, რაც ბეკარიასა და ბენთამის ნაზრევს ეფუძნება და თანამედროვე მეცნიერული კრიმინოლოგიის ჩამოყალიბების ათეული წერტილად ითვლება, ზოგადად შემდეგი პრინციპების სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- (1) საზოგადოების წევრები არიან თავისუფალი საკუთარი პრობლემების მოსაგეარებლად კრიმინალური მოკონვეციური ქცევის მოდელის არჩევასთან მიმართებაში, შესაბამისად, ყოველი ინდივიდი პირადად ირჩევს საკუთარ ქცევას და თავად განსაზღვრავს მოიქცეს კანონის ფარგლებში თუ დაარღვიოს კანონი;
- (2) დანაშაულებრივი ქმედება კონვენციურ, კანონმორჩილ ქმედებასთან შედარებით უფრო მიმზიდველია, რადგან იგი მოითხოვს ნაკლებ შრომასა თუ ძალისხმევას სასურველი მიზნის მისაღწევად;
- (3) ადამიანის თავისუფალი არჩევანი დანაშაულებრივი ქმედების სასარგებლოდ შეიძლება დარეგულირდეს საზოგადოების რეაქციის მობილიზებითა და საზოგადოებრივი გაკაცხვის შიშით;
- (4) საზოგადოების რეაქცია და სასჯელი უნდა შეირჩეს განსაკუთრებული ყურადღებითა და სიზუსტით, რის გამოც უნდა დაიცვან თანაზომიერებისა და დანაშაულის კონტროლის პრინციპები;
- (5) დანაშაულის პრევენციის ყველაზე ეფექტურ ფორმად მიჩნეულია ისეთი ღონისძიება, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში დანაშაულებრივ ქმედებას ადამიანის შესაძლო ქცევებს შორის ყველაზე ნაკლებად მიმზიდველ არჩევანად წარმოაჩენს. ყოველ ადამიანს აქვს დამნაშავედ ქცევის შესაძლებლობა, თუმცა მოცემული შესაძლებლობა გონიერულად შერჩეულმა სასჯელთა სისტემამ და კანონმდებლობამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს.

კლასიკურმა კრიმინოლოგიამ, მეტადრე ბეკარიასა და ბენთამის სამეცნიერო და საზოგადოებრივმა შემოქმედებამ, დიდი როლი ითამაშა მეთვრამეტე საუკუნის ევროპული მსოფლმხედველობის, მეტადრე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის რეფორმირების პროცესში. სწორედ კლასიკური კრიმინოლოგიის მიერ განვითარებული პრინციპების საფუძველზე მოხდა ჰუმანიზმის, რაციონალიზმისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება საკანონმდებლო და სასჯელაღსრულების სფეროებში.

მოცემულმა მოძღვრებამ მეცნიერულად დასაბუთა სასჯელთა არქაული და ანტიჰუმანური ფორმების არაეფექტურობა და შეეცადა დაეხსებებინა სიკვდილით დასჯის, როგორც იმ პერიოდისათვის სასჯელის ერთერთი უმთავრესი ფორმის მიზანშეუწონლობა დანაშაულის პრევენციის თვალაზრისით. რაც მთავარია, კლასიკური კრიმინოლოგია ჩამოყალიბდა პირველ მეცნიერულ პერსპექტივად დანაშაულობის კვლევის სფეროში, რამაც საფუძველი ჩაუყარა დანაშაულობის შესწავლის ახალი მიმართულებების აღმოცენებასა და თანამედროვე კრიმინოლოგიის განვითარებას.

### §3. პოზიტივისტური კრიმინოლოგია

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებას იწყებს ახალი მიმართულება კრიმინოლოგიაში – პოზიტივიზმი, რომელიც დანაშაულობის მეცნიერული შესწავლის

<sup>6</sup> Beirne, Piers and Messerschmidt, James: *Criminology*, 3<sup>rd</sup> Edition, Boulder: Westview Press, 2000: 69.

<sup>7</sup> Siegel, Larry J.: *Criminology*, 4<sup>th</sup> Edition, St. Paul: West Publishing Company, 1992: 33.

თვალსაზრისით ჩაენაცვლა კლასიკური სკოლის საუკუნოვან პეგემონიას. პოზიტივისტური კრიმინოლოგიის განვითარება განაპირობა ახალი სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით მიღწეულმა აღმოჩენებმა ბიოლოგიაში, ასტრონომიაში, ფიზიკაში და ქიმიაში. ახალი სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით მიღწეული წარმატებული სამეცნიერო აღმოჩენების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საზოგადოების, აგრეთვე დანაშაულობის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენის შემსწავლელი უახლესი მეთოდების დანერგვის საკითხი, ამჯერად უკვე სოციალურ მეცნიერებებში.

პირველ მეცნიერი, რომელმაც სოციალური პროცესების ანალიზი ემპირიული და ტექნიკური მეთოდების გამოყენებით სცადა, ფრანგი სოციოლოგი ოგიუსტ კომტე (1798-1857). კომტის თანახმად, სოციალური ევოლუციის პროცესში საზოგადოება განიცდის ტრანსფორმაციას, რომლის დროსაც, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლება ადამიანთა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ სოციალურ გარემოში ცხოვრობენ ისინი. თუ არქაულ საზოგადოებებში ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს ადამიანები ზეზუნებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, საზოგადოების განვითარების გვიანდელ ეტაპზე ადამიანებს უფითარდებთ გარემოს აღქმის რაციონალიზის, სამეცნიერო პრინციპებზე დაფუძნებული შეხედულება. საზოგადოებრივი ევოლუციის ამ უკანასკნელ დონეს კომტე ევოლუციის პოზიტიურ საფეხურს უწოდებს, რის საფუძველზეც კომტის და მის მიმდევართა სამეცნიერო ნააზრევს პოზიტივიზმი ეწოდა.<sup>8</sup>

პოზიტივიზმი, ზოგადი თვალსაზრისით, წარმოადგენს სოციალური ანალიზის მეთოდს, რომელიც ეფუძნება დაკვირვებადი სამეცნიერო ფაქტების შეგროვებასა და განზოგადებას. პოზიტივიზმის შინაარსი შეიძლება გადმოიცეს ორი ძირითადი არგუმენტის სახით:

1. ადამიანის ქცევა დამოკიდებულია გარეშე ფაქტორებზე, გარე ძალებზე, რის კონტროლსაც ინდივიდი ვერ ახერხებს. მოცემულ ფაქტორთა შორის შეიძლება იყოს სოციალური, პოლიტიკური თუ ისტორიული გარემოებები, როგორცაა მაგალითად სიღარიბე, ომი, ადამიანის კლასობრივი მდგომარეობა, ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა, ტექნიკური განვითარების დონე. თუმცა მოცემულ ობიექტურ გარემოებებთან ერთად ადამიანის ქცევა შეიძლება განაპირობოს სუბიექტურმა ფაქტორებმაც, როგორებიცაა, მაგალითად, პირადი ფსიქოლოგიური, მენტალური თუ ფიზიკური შესაძლებლობანი. მოცემულ ფაქტორთაგან თითოეულს აქვს დიდი მნიშვნელობა ადამიანის ქცევის ფორმირების თვალსაზრისით.
2. ამასთანავე, პოზიტივიზმის მტკიცებით, აუცილებელია საგანგებო სამეცნიერო მეთოდის შემუშავება, რომელიც გადაწყვეტდა ადამიანის ქცევებთან დაკავშირებულ პრობლემას. სხვადასხვა სამეცნიერო პიპოთეზის ტესტირებისთვის პოზიტივისტები აქტიურად იყენებდნენ კვლევის ემპირიულ მეთოდებს, რის საფუძველზეც ახდენდნენ სამყაროზე, მათ შორის, საზოგადოების სტრუქტურასა და დანაშაულებზე ზოგადი წარმოდგენების ვერიფიკაციას და ახალი სამეცნიერო დებულებების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანი გავლენა პოზიტივიზმის ფორმირებაზე განაპირობა ასევე ჩარლზ დარვინის (1809-1882) მოძღვრებამაც, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ჩამოყალიბება და განვითარება არა ზეზუნებრივმა, არამედ ევოლუციურმა პროცესებმა განაპირობეს, რისი დამტკიცებაც შესაძლებელია სწორედ რაციონალური სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.<sup>9</sup>

ახალი სამეცნიერო მეთოდების გამოყენება აქტიურად დაიწყო დანაშაულობის მეცნიერული შესწავლის სფეროშიც. თუ კლასიკური სკოლის წარმომადგენლები – ბეკარია და ბენთამი – თავიანთ პენოლოგიურ მოძღვრებებს ადამიანის ქცევის ლოგიკური

<sup>8</sup> Siegel, Larry J.: *Criminology*, 4<sup>th</sup> Edition, St. Paul: West Publishing Company, 1992: 34.

<sup>9</sup> Charles Darwin *Origins of Species* (1854; Cambridge Mass. Harvard University Press 1859) Charles Darwin *The Descent of Man and Selection in Relation to Sex* (1871, New York: A.L. Burt, 1874)



ახსნის საფუძველზე ავითარებდნენ, პოზიტივიზმის გაერცვლებასთან დაკავშირებით, შესაძლებელი გახდა განსჯაზე დასრულებული ემპირიული გამოკვლევების წარმოება და გარეგანი დაკვირვება ადამიანის ქცევებზე. მოცემული ინოვაცია საშუალება იძლეოდა დადგენილიყო კანონზომიერება და ურთიერთმიმართება ადამიანის ქცევასა და მის შინაგან მდგომარეობას, ასევე სოციალურ გარემოს შორის.

პოზიტივისტური კრიმინოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ბელგიელი ასტრონომის – ადოლფ კეტლეს (1796-1874) სამეცნიერო ნააზრება და მის მიერ წარმოებულმა ორიგინალურმა დაკვირვებებმა. კეტლე ცდილობდა ალგებრის, გეომეტრიისა და ასტრონომიის პრინციპების გამოყენებას სოციალური პროცესების ანალიზისათვის. მან განავითარა “სოციალური მექანიკის” კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, შეუძლებელია ბოლომდე დადგინდეს ადამიანურ ურთიერთქმედებათა მასშტაბები და ფარგლები და განხორციელდეს ადამიანის მოსალოდნელი ქცევებისა და შედეგების პროგნოზირება, თუმცა, ისეთი სოციალური ფენომენი, როგორცაა დანაშაულობა, ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებებს. შესაბამისად, კეტლე ამტკიცებდა, რომ კონკრეტულ საზოგადოებაში არსებობდა კონკრეტული სოციალური მექანიზმი, რაც განსაზღვრავდა დანაშაულობის დონისა და შინაარსის ძირითად კანონზომიერებებს, დანაშაულობის რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებს.

სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის ანალიზის შემდეგ, კეტლე მივიდა უცნაურ დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც არსებობს რაღაც უხილავი კანონზომიერება სოციალურ ფაქტებსა და დანაშაულობას შორის. კეტლეს მიერ წარმოებული სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა გაუხსნელ დანაშაულთა ყოველწლიური ხვედრითი წილის უცვლელობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ასევე დამნაშავეთა რიცხვის შესაბამისობა მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში, კონკრეტულ საზოგადოებებში ადამიანის წინააღმდეგ და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ხვედრითი წილის მუდმივობა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

სტატისტიკურ მონაცემთა განზოგადების საფუძველზე, კეტლე მივიდა ორიგინალურ დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ქცევა, მისი თავისუფალი ნების მნიშვნელობის გათვალისწინებითაც, ექვემდებარება განსაკუთრებულ სამეცნიერო კანონებს, რაც სტაბილურობითა და ძირითადად უცვლელი რაოდენობრივი და თვისობრივი მარეგნებლებით გამოიჩინება. შესაბამისად, კეტლეს თანახმად, დანაშაულობის მიზეზები სამ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს: (1) შემთხვევითი მიზეზები, როგორებიცაა, მაგალითად, ომი, სტიქიური უბედურება; (2) ცვალებადი მიზეზები, როგორებიცაა – თავისუფალი ნება, სუბიექტური და შინაგანი ფაქტორები და (3) სტაბილური მიზეზები, როგორებიცაა სქესი, სოციალური მდგომარეობა, რელიგია. რამდენადაც კეტლე დანაშაულს საზოგადოების სტრუქტურის განუყოფელ და სტაბილურ ელემენტად მიიჩნევდა, იგი მივიდა ორიგინალურ დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც უშუალოდ საზოგადოება განაპირობებდა დანაშაულის გენეზისს: “ნებისმიერი სოციალური მდგომარეობა განაპირობებს დანაშაულის განსაზღვრულ რაოდენობასა და განსაზღვრულ წესრიგს, რაც საზოგადოების ორგანიზების უმნიშვნელოვანესი პირობაა. საზოგადოება ახდენს დანაშაულის მოგონადებას, ადამიანი კი წარმოადგენს მხოლოდ იმ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხდება დანაშაულის შედეგზე ზემოქმედება.”<sup>10</sup>

კრიმინოლოგიის კლასიკური და პოზიტივისტური მიმართულებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ზოგადი დასკვნების გაკეთება:

1. კლასიკური სკოლის თანახმად, კრიმინოლოგია ძირითადად ფოკუსირებული უნდა იყოს მართლმსაჯულების აღსრულებისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე. პოზიტივისტური კრიმინოლოგიის მტკიცებით კი კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი უპირატესად უნდა იყოს დამნაშავე და დანაშაულის მიზეზები.

<sup>10</sup> Beirne, Piers and Messerschmidt, James: *Criminology*, 3<sup>rd</sup> Edition, Boulder: Westview Press, 2000: 76.

2. კლასიკური კრიმინოლოგია ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევა დამოკიდებულია თავისუფალ ნებაზე, რასაც, მოტივაციის თვალსაზრისით, შესაძლებელია განსაზღვრავდეს ფსიქოლოგიური ფაქტორებიც. პოზიტივიზმის მიხედვით კი ადამიანის ქცევა დეტერმინირებულია მრავალი გარეშე ფაქტორით.
3. კლასიკური კრიმინოლოგიის თანახმად, დანაშაული არის ნებელობითი ქმედება, რომელსაც ადამიანი სწადის საკუთარი ნების საფუძველზე, ფსიქოლოგიური თუ ზოგადი სოციალური მოტივაციის გაელენით. პოზიტივისტთა მტკიცებით კი დანაშაული არის ქმედება, რომლის ჩასადენადაც ადამიანი დეტერმინირებულია სხვადასხვა მენტალური, სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო, რის კონტროლსაც იგი ვერ ახერხებს.
4. კლასიკური სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სასჯელი შეესაბამებოდეს დანაშაულს. პოზიტივისტები კი ავითარებენ მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დამნაშავეს.<sup>11</sup>

სწორედ პოზიტივისტური სკოლის ჩამოყალიბებამ და ფართო გავრცელებამ განაპირობა ახალი კრიმინოლოგიური მიმართულებების აღმოცენება, რომლებიც დანაშაულობის მიზეზებს სხვადასხვა სახის მოვლენების – ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, კულტურული, სოციალური, კლასობრივი თუ გენდერული ფაქტორების – ანალიზით ცდილობდნენ.

#### §4. ანთროპოლოგიური სკოლა კრიმინოლოგიაში

იტალიელმა ექიმმა, სასამართლო მედიცინის პროფესორმა ჩეზარე ლომბროზომ (1835-1909), რომელმაც კომტისეული პოზიტივიზმისა და დარვინისეული ევოლუციონიზმის ინტეგრირება მოახდინა, კრიმინოლოგიურ თეორიაში ჩამოაყალიბა ახალი მიმართულება – კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლა. 1876 წელს გამოქვეყნებული ლომბროზოს ნაშრომით – “დამნაშავე ადამიანი” – ფაქტობრივად იწყება კრიმინოლოგიური თეორიის ახალი ეპოქა. მოცემულ ნაშრომში ლომბროზო ავითარებს “დამნაშავედ დაბადებული ადამიანის” (born criminal), “თანდაყოლილი დამნაშავეობის” კონცეფციას.<sup>12</sup>

ჩეზარე ლომბროზომ ხანგრძლივი დრო დაუთმო ციხეში გარდაცვლილ პატიმართა გეამებისა და ჩონჩხების შესწავლას, ციხის საავადმყოფოსა და ფსიქიატრიული კლინიკების პაციენტებზე ფიზიოლოგიურ დაკვირვებას იმისათვის, რომ დაეგინა კანონდამრღვევთა და კანონმორჩილთა შორის არსებული ფიზიკური, გარეგნული, ანთროპოლოგიური განსხვავებანი. თავისი ხანგრძლივი გამოკვლევებისა და სამედიცინო თუ ანთროპოლოგიურ მონაცემთა განზოგადების საფუძველზე, ლომბროზო მივიდა ორიგინალურ დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც დამნაშავეებად კი არ ყალიბდებიან, არამედ იბადებიან.

ლომბროზოს არგუმენტაციის თანახმად, სერიოზული დამნაშავეები, რომლებიც განმეორებით ახორციელებდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს, იყვნენ თანდაყოლილი დამნაშავეები, დამნაშავეებად დაბადებულები. ეს “კრიმინოგენული” ადამიანები შემკვიდრებით დებულობდნენ კონკრეტულ ფიზიოლოგიურ თვისებებს, რომელთა გამოიხიბითაც დანაშაულის ჩადენა მათთვის ჩვეული მოვლენა იყო. ამასთანავე, ლომბროზო ამტკიცებდა, რომ დამნაშავეები ატავისტური ანომალიებით ხასიათდებოდნენ – ისინი არ განსხვავდებოდნენ პრიმიტიულ საზოგადოებათა წარმომადგენლებისგან, ევლურებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან ვერც კი მიჯნავდნენ დანაშაულებრივ და კანონზომიერ ქცევებს. ანთროპოლოგიურადაც, ლომბროზოს მტკიცებით, გამოუსწორებელი რეციდივისტები, ყბის სიდიდითა და მძლავრი ეშვებით ძალზე

<sup>11</sup> Beime, Piers and Messerschmidt, James: *Criminology*, 3<sup>rd</sup> Edition, Boulder: Westview Press, 2000: 63.

<sup>12</sup> Cezare Lombroso, *Crime Its Causes and Remedies* ( Boston, Little Brown 1918)

წაგაგდნენ ველურებს, რომლებიც უმი ხორცით იკვებებოდნენ. ამასთანავე, დამნაშავეთა ქცევებს ლომბროზო ადარებდა გონებრივად ჩამორჩენილ და ეპლეფსით დაავადებულთა ქცევებს.<sup>13</sup>

ლომბროზოს მტკიცებით, დამნაშავედ ადამიანი იქცევა არაპირდაპირი ან პირდაპირი მემკვიდრეობით. არაპირდაპირი მემკვიდრეობის დროს ადამიანზე გაელენას ახდენს ავადმყოფური ოჯახური გარემო, როდესაც ოჯახის წევრები დაავადებულნი არიან სიფილისით, ეპილეფსიით, ალკოჰოლიზმით, ხასიათდებიან გონებრივი ჩამორჩენილობით. დამნაშავეობის პირდაპირი მემკვიდრეობა კი ლომბროზოსათვის გულისხმობს დამნაშავეთა ოჯახში აღზრდას, როდესაც ოჯახის წევრები უშუალოდ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან. ლომბროზო ასევე ცალკე ჯგუფად გამოყოფს თანდაყოლილი დამნაშავეობის ისეთ გარეგან ფაქტორებს, როგორიცაა გაუნათლებლობა, სოციალური აუტიზმი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება. შესაბამისად, დამნაშავედ ფორმირების შინაგან მენტალურ თუ ფიზიოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, იგი გარკვეულ უკრძალვებს ანიჭებს გარე ფაქტორებსაც.

საინტერესოა ლომბროზოსეული მოსაზრება დამნაშავეთა სხვადასხვაგვარი დიფერენცირების თაობაზე. მისი მტკიცებით, ზოგადად დამნაშავეთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი განეკუთვნება "დამნაშავედ დაბადებულთა" რიცხვს. კანონდამრღვევთა დანარჩენ მასას იგი შემდეგნაირად აჯგუფებს:

- (1) "კრიმინალოიდები", რომლებიც თანდაყოლილ დამნაშავეთაგან განსხვავდებიან ატავისტური თვისებების ნაკლებობით. კრიმინალოიდები დამნაშავეებად ყალიბდებიან ძირითადად მათი სიხარბის, მომხევეჭვი ბუნების გამო. ასეთ დამნაშავეთა რიგს განეკუთვნებიან ჯიბის ქურდები, თაღლითები, კონტრაბანდისტები. ისინი თანდაყოლილ დამნაშავეთაგან განსხვავდებიან ინტელექტითა და ფიზიკური დახვეწილობით, თუმცა ციხეში მათთან ხანგრძლივი კონტაქტის შემდეგ ადვილად ითვისებენ თანდაყოლილ დამნაშავეთა თვისებებს;
- (2) "შლეგი კრიმინალები", რომლებიც თანდაყოლილ დამნაშავეთაგან გამოირჩევიან იმპულსური, სასტიკი და არაპროგნოზირებადი დანაშაულებრივი ქცევებით. ისინი არ იბადებიან დამნაშავეებად, თუმცა, მზადა არიან ჩაიღიონ დანაშაული აფექტურ მდგომარეობაში;
- (3) "ენებიანი დამნაშავეები", ადამიანები, რომლებიც კარდინალურად განსხვავდებიან დამნაშავეებად დაბადებულთაგან, ხასიათდებიან ინტეგრაციის, ალტრუიზმის მოჭარბებული გრძნობებით და შეუძლიათ ჩაიღიონ მკვლელობა ოჯახის ღირსების დაცვისა თუ ღალატის გამო და
- (4) შემთხვევითი, ანუ ფსევდოკრიმინალები, ადამიანები, რომლებიც არ არიან მოწოდებულნი დანაშაულის ჩასადენად, თუმცა მინც არღვევენ კანონს გაუთვალისწინებელი გარემოებების გავლენით.

ლომბროზოს ორიგინალური მოძღვრებს მსგავსად, ასევე ორიგინალური აღმოჩნდა მისი ანდერძიც: გარდაცვალებამდე კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის მამამთავარმა საკუთარი ცხედრები უნდურმა სასამართლო მედიცინის ლაბორატორიას, ხოლო ტინი – ტურნის უნივერსიტეტის ანატომიის ინსტიტუტს, სადაც თავისი სიცოცხლის განმავლობაში ატარებდა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ემპირიულ თუ ფიზიოლოგიურ გამოკვლევებს.<sup>14</sup>

ლომბროზოს თეორიას მრავალი გამგრძელებელი გამოუჩნდა, მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენრიკო ფერის (1856-1929). ფერი, რომელიც მოგვიანებით

<sup>13</sup> Siegel, Larry J.: *Criminology*, 4<sup>th</sup> Edition, St. Paul: West Publishing Company, 1992: 35.  
<sup>14</sup> Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *Criminology and Criminal Justice System*, 5<sup>th</sup> Edition, New York: McGraw-Hill, 2004: 70.

იტალიის პარლამენტის წევრი გახდა და სოციალიზმის გაელენა განიცადა, ლომბროზოს ინტელექტუალურ მემკვიდრედ ითვლება. თუმცა, ბიოლოგიურ დეტერმინიზმთან ერთად, ფერომ დანაშაულობაზე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედების მნიშვნელობაც აღიარა. იგი იყო ერთერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ინოვაციური მოსაზრება განავითარა იმის თაობაზე, რომ დამნაშავეებს არ უნდა მეთხოვოთ მორალური პასუხისმგებლობა საკუთარი ქაონსაწინააღმდეგო ქცევების გამო, რადგან ამ ქცევებს ისინი სწადიან იმ სოციალურ მიზეზთა ზემოქმედებით, რომელთა კონტროლიც მათ შესაძლებლობებს აღემატება. ორიგინალურ პრევენციულ ღონისძიებებად ფერომ მიიჩნევდა სახელმწიფოს მიერ იარაღის წარმოების კონტროლს, შედარებით იაფფასიან ბინათმშენებლობას, ქუჩის განათების სისტემის გაუმჯობესებას და კომუნალური პრობლემების აღმოფხვრას.

ენრიკო ფერმი ასევე განავითარა იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც საბუნებრივ მეთოდზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებების ინტენსიური გამოყენება ხელს შეუწყობდა საზოგადოებაში დანაშაულის დონის შემცირებას და სოციალური მშვიდობის განმტკიცებას.

ლომბროზოს სკოლის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელია იტალიელი დიდგვაროვანი და სამართლის პროფესორი – რაფაელე გაროფალო (1852-1934). ლომბროზოსა და ფერის მსგავსად, გაროფალო აკრიტიკებდა კლასიკური კრიმინოლოგიის უმთავრეს არგუმენტს თავისუფალი ნების, ქცევის რაციონალური არჩევანის შესახებ და ამტკიცებდა დანაშაულობის დეტერმინაციისათვის ანთროპოლოგიური ფაქტორების შესწავლის აუცილებლობას. გაროფალომ განავითარა “მორალური ანომალიის” კონცეფცია და, ლომბროზოსაგან განსხვავებით, დიდი ყურადღება დაუთმო არა ადამიანის ფიზიკურ თავისებურებათა ანალიზს, არამედ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მისი მტკიცებით, დამნაშავეებს აკლიათ ალტრუიზმის გრძნობა, მათ არ აქვთ მორალური პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებებზე, შესაბამისად, ფსიქიკური, მორალური ანომალიის არსებობა ხელს უშლის დამნაშავეთა სოციალიზაციას. მორალური ანომალია, გაროფალოს მტკიცებით, დაბალი რასის წარმომადგენელთა თვისებაა, რაც მათ მემკვიდრეობით გადაეცემა.

მიუხედავად იმისა, რომ გარეშო განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ქცევის გენეზისში, შინაგანი და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ფაქტორები ამ მხრივ გადაწყვეტილა. მათ შორისაა დანაშაულებრივი ინსტინქტები, რომელთა ფორმირება ასევე მემკვიდრეობით ხდება და თავისებურად დანაშაულებრივ მიდრეკილებებს უყალიბებს “ფსიქიკურ ორგანიზმს”. გაროფალომ ერთმანეთისგან გამიჯნა დამნაშავეთა ორი ძირითადი ჯგუფი – მკვლელები, რომელთაც არ გააჩნიათ პუმიანურობის შეგრძნება და შედარებით ნაკლებად საშიში, თუმცა მოძალადე დამნაშავეები – ქურდები, ყჩაღები. გაროფალო გამოდიოდა სიყვდილით დასჯის მომხრედ, ამტკიცებდა რა, რომ მოცემული სასჯელი, დარეინსუფიციური ბუნებრივი სელექციის პრინციპის მსგავსად, ათავისუფლებდა საზოგადოებას ავადმყოფი წევრებისაგან და უზრუნველყოფდა საზოგადოების ჯანმრთელ წევრთა დაცვას. შედარებით ნაკლებად საშიშ დამნაშავეთათვის განკუთვნილ სასჯელად გაროფალო მიიჩნევდა მათ გადასახლებას, იზოლირებას, მათთვის სხვადასხვა პრივილეგიებისა და უფლებების ჩამორთმევას, მათ დასაქმებას კოლონიებსა და უკაცრიელ ადგილებზე. შესაბამისად, მისთვის უპირველესი პრობლემა იყო საზოგადოების დაცვა პოტენციურ დამნაშავეთაგან.<sup>15</sup>

#### საკონტროლო კითხვები:

1. დაახასიათეთ კლასიკური სკოლის ძირითადი ნიშნები;
2. ჩამოაყალიბეთ ჩ. ბეკარიას ცხრა ძირითადი პრინციპი;

<sup>15</sup> Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *Criminology and Criminal Justice System*, 5<sup>th</sup> Edition, New York: McGraw-Hill, 2004: 71.

3. რას შეისწავლის პოზიტივისტური სკოლა კრიმინოლოგიაში? ა. კეტლეს მიდგომები.
4. რა ზოგადი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს კრიმინოლოგიის კლასიკური და პოზიტივისტური მიმართულებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე?
5. დაასახელეთ ანთროპოლოგიური სკოლის ძირითადი მახასიათებლები. ჩ. ლომბროზოს თეორიის კონცეპტუალური მიდგომები.

## თავი 20. ძირითადი სოციოლოგიური თეორიები კრიმინოლოგიაში

### §1. ანომიის თეორიის ჩამოყალიბება

„ანომია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს უკანონობას, კანონისა თუ ნორმების არარსებობას (ანომია, ანომოს – “უნორმობა”). ძველი ბერძნული ფილოსოფიის კლასიკური ტექსტების შემდეგ, ანომიის ადრეული კონცეფცია საკმაოდ ინტენსიურად გვეხედება XVII საუკუნის ინგლისურენოვან თეოლოგიურ ლიტერატურაში,<sup>1</sup> სადაც იგი შემდეგი ორთოგრაფიით იხმარება – *anomy*. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოცემული ტერმინი ამჯერად უკვე ფრანგულ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა, სახეცვლილი მნიშვნელობითა და კვლავ სახეცვლილი ორთოგრაფიით – *anomie*.<sup>2</sup> სწორედ მოცემული ფრანგული ორთოგრაფიით გაერცვლდა ტერმინი თანამედროვე სოციალურ თეორიაში,<sup>3</sup> რაც კლასიკური სოციოლოგიის ფუძემდებლის, გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგის – ემილ დიურკემისა<sup>4</sup> და სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში მისი ნაშრომების ფართო რეცეფციის დამასხურებაა.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ანომია გამოიყენება ორი, მასშტაბურად განსხვავებული, მოვლენის აღსანიშნავად – *სოციალური ანომია* და *სუბიექტური ანომია*.<sup>5</sup> სოციალური ანომია გულისხმობს კონკრეტულ სოციალურ სისტემებში მორალური თუ სამართლებრივი ნორმების არაეფექტურობას, საზოგადოებრივი რეგულირების კრიზისს, კულტურული მიზნების განუსაზღვრელობას, რაც საზოგადოების რღვევას და სოციალურ დეზორგანიზაციას განაპირობებს. სუბიექტური ანომია გულისხმობს კონკრეტული ინდივიდის მდგომარეობას, როდესაც იგი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების განსაზღვრასა და მათ მისადაგებას საზოგადოებრივი ფასეულობებისა და ინსტიტუციური სტრუქტურისადმი, რის შედეგადაც ადამიანი აღარ იზიარებს სოციალურ ნორმებს, მას ეუფლება სოციალური გაუცხოებისა და იზოლაციის შეგრძნება, აპათია, რაც გაუთვალისწინებელ და მძიმე პიროვნულ შედეგებს იწვევს.

არ არსებობს ანომიის კონვენციური დეფინიცია. იმდენად წინააღმდეგობრივია ანომიის ცნების გამოყენება სხვადასხვა მეცნიერების დისციპლინურ თუ ინტერდისციპლინურ ფარგლებში, რომ ხშირად პარადოქსული სიტუაცია იქმნება – თანამედროვე სოციალურ თეორიაში ანომია ხშირად განხილულია როგორც მნიშვნელოვანი სოციალური მიდწეების, მაგარც, ასევე, საზოგადოებრივი ბოროტების წყარო.<sup>6</sup> თუ ანომიის ეტიმოლოგიური დეფინიცია პრობლემას არ წარმოადგენს (ამ მხრივ, ათელის წერტილად მიიჩნევა ბერძნული სიტყვა *anomos*, თავისი კონკრეტული შინაარსით), მნიშვნელოვანი სირთულეები იქმნება ამ ცნების სემანტიკური განმარტებისას: მოცემული სიტყვის კონტექსტი იცვლებოდა ყოველ ისტორიულ ეპოქაში – ძველი ბერძნული ფილოსოფიის,

<sup>1</sup> Orr, Marco: *Anomie. History and Meanings*, Boston: Allen & Unwin, 1987: 64-94.

<sup>2</sup> Besnard, Philippe: “Anomie”, in Smelser N. J. and Baltens P. B. (eds.): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Volume 1, Amsterdam: Elsevier, 2001: 510-512, 510.

<sup>3</sup> თუმცა, ესპანურენოვან სოციალურ თეორიაში გამოიყენება შემდეგი ორთოგრაფია: *anomia*. იხილეთ: Hernandez, Tosca: “Anomia: Normas, expectativas y problemas de legitimacion social”, in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 13-23.

<sup>4</sup> მოცემული გვარი (ურკემი) ქართულად სხვადასხვა ორთოგრაფიით იხმარება – დიურკემი, დიურკემი, დიურკამი, დიურკემი. ორიგინალურ ფრანგულ ჟღერადობასთან მიახლოებული ქართული წარმოთქმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ამ უკანასკნელის გამოყენება. ამგვარივე ორთოგრაფიითაა გამოყენებული ფრანგი სოციოლოგის გვარი მისი წიგნის ქართულ თარგმანში: დიურკემი, ემილ: *სოციოლოგიის მეორის წესები*, (მთარგმნელი – დოქო ლაბუჩიძე-ხოფრია), თბილისი: “ილია ჯავახიშვილი”, 2001.

<sup>5</sup> Marra, Realino: “Geschichte und aktuelle Problematik des Anomiebegriffs”, *Zeitschrift für Rechtssoziologie*, Band 10 (1), 1989: 67-80, 67.

<sup>6</sup> Orr, Marco: “The Ambivalence of Anomie”, in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 49-66, 49.

ძველი აღთქმის, ინგლისურენოვანი თეოლოგიის, ფრანგული სოციალური თეორიისა თუ თანამედროვე კრიმინოლოგიური სკოლების ფარგლებში ანომიის ცნება მუდამ განსხვავებული, ხანაც ცალსახად საწინააღმდეგო მნიშვნელობებით გამოიყენებოდა.

ბუნებრივია, ბერძნული წარმოშობის სიტყვა - *anomia* - უხედადა გამოყენებული ძველ ბერძნულ წყაროებში. ანომიის ცნებას შეხედებით ბერძენ ტრაგიკოსთა, ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა ნაწარმოებებში, ასევე ბიბლიის ბერძნულ ტექსტში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღრინდელ ლათინურ კულტურაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოცემული კონცეფცია საერთოდ არ გვხვდება. მხოლოდ ძველი ბერძნული წყაროებისა და ბიბლიის ბერძნული ტექსტის ათვისების შემდეგ იწყება ანომიის ცნების გამოყენება მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაღწეო ევროპულ კულტურაში, მეტადრე - ინგლისურენოვან ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ლიტერატურაში.<sup>7</sup> პირველად ინგლისურ ენაზე მოცემული ტერმინის გამოყენება ფიქსირდება 1589 წელს,<sup>8</sup> რის შემდეგაც იგი ხშირად იხმარებოდა თეოლოგიაში საღვთო სამართლის უგულებელყოფის მნიშვნელობით. შემდგომ კი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანომიის ცნება სულ უფრო იშვიათად გამოიყენებოდა. თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, მოხდა ანომიის კონცეფციის ხელახალი აღმოჩენა და დამკვიდრება ფრანგული ფილოსოფიის წიაღში.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საფრანგეთში განვითარებული "ახალი ანომიის კონცეფციის" ავტორად ითვლება სოციოლოგიის ფუძემდებელი - ემილ დიურკემი. მოცემული შეხედულება იმდენად მყარადაა დამკვიდრებული, რომ იგი ეჭვსაც აღარ იწვევს თანამედროვე სოციოლოგებსა თუ კრიმინოლოგებში, რომლებიც ბრმად უთითებენ დიურკემს, როგორც მოცემული ცნების დამამკვიდრებელს თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში. თუმცა, ეს უბრალოდ მცდარი შეხედულებაა, რადგანაც მოცემული კონცეფცია ფრანგულენოვან ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული იყო დიურკემის მიერ ამ კონცეფციის პირველად გამოყენებამდე. სინამდვილეში, არა ემილ დიურკემი, არამედ დღეს უკვე ნაკლებად ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი - *ჟან-მარი გიოი* არის ანომიის კონცეფციის დამამკვიდრებელი კლასიკურ სოციალურ თეორიაში. სწორედ გიოიმ დაიწყო მოცემული ცნების ინტენსიური დამუშავება და გამოყენება თავის ნაშრომებში, რის შემდგომაც ანომიის კონცეფცია წარმატებით ათთვისა და განავრცო დიურკემმა.<sup>9</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გიოი, სულ რაღაც ოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, საკმარის პროდუქტიული იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, რამაც ახალგაზრდა მეცნიერს

<sup>7</sup> Orlu, Marco: "The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim", *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 500.

<sup>8</sup> Orlu, Marco: *Anomie. History and Meanings*, Boston: Allen & Unwin, 1987: 66. თუმცა, სხვა გამოცემებში, *ოლშორდის ინგლისურ ლექსიკონზე* დაყრდნობით, ინგლისურ ენაზე ანომიის ხმარების ათვისის წერტილად მითითებულია 1591 წელი. იხილეთ მაგალითად: Fox, Vernon: *Introduction to Criminology*, Englewood Cliffs: Prentice-Hall, 1976.

<sup>9</sup> დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, დიურკემმა პირველად გამოიყენა ანომიის კონცეფცია 1893 წელს გამოქვეყნებულ ცნობილ ნაშრომში - "სოციალური შრომის დანაწილება", თუმცა მას ჯერ კიდევ ექვსი წლით ადრე ჰქონდა გამოყენებული მოცემული ცნება, 1887 წელს გამოქვეყნებული *ჟან-მარი გიოის* ნაშრომის - *L'Irrégularité de l'avenir* (შობავლის არარელოგიურობა) განხილვისას. იხილეთ: Orlu, Marco: "The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim", *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 499. მოცემულ მიზიხელვაში დიურკემი განიხილავს ასევე გიოისეული ანომიის კლასიკურ კონცეფციას, რომელიც განვითარებულია 1885 წელს გამოცემულ გიოის ნაშრომში - *Esquisse d'une morale sans obligation ni sanction* (ესკიზი შორალის შესახებ ვალდებულებისა და სანქციის გარეშე). უშუალოდ ის გარემოება, რომ დიურკემმა განიხილა და გამოაკვირა თავისი მოსაზრება გიოის ნაშრომის შესახებ, სადაც ეხმარება გიოის მიერ გამოყენებულ ანომიის კონცეფციას, მოწმობს იმაზე, რომ მის სწორედ გიოისგან იხსება მოცემული ცნება. გიოის შემდეგ, ანომიის კონცეფციას სხვა ფრანგ ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა ტექსტებშიც შეხვდებით, მაგალითად *გაბრიელ ტარდის* შემოქმედებაში. თუმცა, უზომო ჰიპულარობისა და ავტორიტეტის გამო, მაინც დიურკემს მიანიჭენ მოცემული ცნების დამამკვიდრებლად კლასიკურ სოციალურ თეორიაში.

საზღვარგარეთაც გაუთქვა სახელი.<sup>10</sup> გიიო ითვლება მეცნიერად, რომელმაც, კლასიკური ფილოსოფიური მოძღვრებების მოდიფიცირებისა და თანამედროვე ეთიკური თეორიის კრიტიკული ანალიზის შედეგად, ახალი სიტყვა თქვა XIX საუკუნის ფილოსოფიაში.

გიიოს შემოქმედების მთავარი თემაა *მორალის ევოლუციური თეორიის* ახლებური ფორმულირება. იგი აეთიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ეთიკის თეორია მორალს უნდა განიხილაედეს არა მხოლოდ როგორც *მორალთან დაკავშირებული ფაქტების* ერთობლიობას, არამედ, როგორც *მორალის შესახებ იდეების სისტემას*. გიიო აკრიტიკებს უტილიტარიზმსა და კანტისეულ ეთიკის თეორიას, რომლებიც, მისი აზრით, ვერ ახდენენ თანამედროვე მორალის სფეროს ჯგროვან ასახვას. ეთიკის უტილიტარისტული კონცეფცია ეფუძნება მარტოოდენ მატერიალური სიამოვნების პრინციპს და ყურადღებას არ აქცევს ინტელექტუალური და ესთეტიკური სიამოვნების მორალურ მნიშვნელობას. ხოლო კანტისეული ეთიკის თეორიამ მორალური იდეების გამოყენება ხდება საზოგადოებაში მოქმედი პრაქტიკული საფუძვლები ვერაშე – ეთიკის სფეროს ავტონომიის კონცეფციის განვითარებით, კანტმა უგულებელყო თეოლოგიური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ნება, მორალის საფუძველზე, ექვემდებარება დეთურ სამართალს. გიიოს აზრით, კანტის მოსაზრებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, როდესაც იგი ერთდროულად ამტკიცებს ინდივიდის ავტონომიასა და მორალური სამართლის უნივერსალობას.<sup>11</sup> სწორედ ამიტომაც ცდილობს გიიო ერთმანეთს შეუთავსოს უტილიტარიზმისა და კანტისეული ეთიკის ძირითადი პრინციპები და ჩამოაყალიბოს სინთეზური თეორია, რომლის მთავარი მიზანი თანამედროვე მორალური თეორიის განვითარება იქნებოდა.

გიიო აშკიდრებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ეთიკის მეცნიერება შეუძლებელია იყოს უნივერსალური; მაგრამ, ამავე დროს, მორალურ იდეებზე დაფუძნებული იდეალისტური ეთიკა შეიძლება იყოს უნივერსალური სამართლის წყარო, თუქცა – მხოლოდ ჰიპოთეზური თვალსაზრისით. ამდენად, მოვალეობისა და სანქციის ცნებები უნდებოდა თანამედროვე ეთიკური თეორიისთვის, რადგან მათ აქვთ მხოლოდ ფაქტობრივი, შემთხვევითი ხასიათი. სწორედ ეთიკური თეორიის შესახებ მსჯელობისას იყენებს გიიო პრემიული ანომიის ცნებას.

გიიო, რომელიც კარგად იცნობდა *პლატონისა* და *პლუტარქეს* შრომებს, სადაც ხშირადღა ნახშიარი ანომიის ცნება, იყენებს მოცემული სიტყვის ორიგინალურ ბერძნულ ორთოგრაფიას და აღნიშნავს: “მომავლის მორალური თეორია, სხედასხვა თვალსაზრისით, იქნება არა მარტო ავტონომიური, არამედ ანომიური.”<sup>12</sup> გიიოსათვის ანომია წარმოადგენს არა თანამედროვე ეპოქის ბოროტებასა თუ ავადმყოფობას, არამედ მის განმასხვავებელ ნიშანს. თანამედროვე მორალური ფასეულობანი ავტონომიური არამარტო ადამიანურ გონთან მიმართებაში, არამედ თავისუფალია უნივერსალური სამართლებრივი იძულებისგანაც. რელიგიური კონტროლისა და სამართლებრივი შეზოგვისგან გათავისუფლება განაპირობებს თანამედროვე მორალური ნორმების *პროგრესულ ინდივიდუალზაციას*. გიიოს თანახმად, კანტისეული მოძღვრება მორალის სფეროს ავტონომიურობისა და უნივერსალობის შესახებ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას – ის, რაც ავტონომიურია და ეფუძნება ინდივიდუალურ ნებელობას, შეუძლებელია განისაზღვრებოდეს უნივერსალური გონით, უნივერსალური სამართლებრივი იძულებით. ამდენად, გიიო ერთმანეთს კი არ უპირისპირებს კანტისეულ ავტონომიურობის იდეას და ანომიის ცნებას, არამედ ცდილობს ამ უკანასკნელით შეავსოს პირველი – ინდივიდუალობა ყოველთვის ეფუძნება ზოგადი კანონისაგან თავისუფლებას, იგი უნდა

<sup>10</sup> გიიოს ფრანგულენოვანი ნაშრომები, 1888 წელს მიხი გარდაცვალებიდან სულ მცირე ხანში, ითარგმნა და გამოქვეყნდა ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და იტალიურ ენებზე. გიიოს გაეღენა საკმაოდ საგრძობია ასევე დრეულ ავრიკულ სოციოლოგიაში.

<sup>11</sup> Orr, Marco: “The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim”, *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 502.

<sup>12</sup> Guyau, Jean-Marie: *Esquisse d'une morale sans obligation ni sanction*, Paris: Aclan, 1885: 6. მოცემული ციტატა მოყვანილია შემდეგი ნაშრომიდან: Orr, Marco: “The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim”, *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 503. აქ და შედგომ, თუ მთარგმნელი მითითებული არ არის, ორიგინალური ტექსტების თარგმანი ეკუთვნის წინამდებარე ნაშრომის ავტორს.



იყოს ერთდროულად *აეტონომიური* და *ანომიური*. თანამედროვე ეთიკური თეორია კი უნდა დაფუძნდეს ინდივიდუალურ ინტერესებსა და ვარაიციებს და უნდა იყოს ანომიური, რაც გულისხმობს თავისუფლებას შემობოკველი ნორმებისაგან. გიიოსეული თანამედროვე ეთიკის თეორიის განმასხვავებელი ნიშანი სწორედ მისი ანომიურობაა.

თავის გვიანდელ ნაშრომში გიიო ავითარებს *რელიგიური ანომიის* კონცეფციას. იგი ერთმანეთს ადარებს მის მიერ ჩამოყალიბებულ მორალური ანომიისა და რელიგიური ანომიის ცნებებს და ამტკიცებს: "ინდელური მორალის სახით ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ *მორალური ანომიის* ცნება, როგორც აპოდიქტური, მყარი და უნივერსალური ნორმების არარსებობა. თუმცა, უფრო ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ნებისმიერი რელიგიის იდეალი უნდა ესწრაფოდეს *რელიგიურ ანომიას* - ინდივიდის გათავისუფლებას, რომლის აზროვნების თავისუფლებაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისივე სიცოცხლე, და ასევე დოგმატური რწმენის გაუქმებას, მიუხედავად მისი მრავალგვარი შენიღბვისა."<sup>13</sup> მოციხეობის პირობებში პირობები აჩვენა ცვლა "ბუნებითი რელიგიების" მოძღვრებებს, შესაბამისად, გიიოს თანახმად, აუცილებელია სოციალური რეალობა დაფუძნდეს ემპირიულ დაკვირვებებს და არა მისტიკურ წარმოდგენებს. სექტიციზმი და პოზიტიური შემეცნება, და არა რელიგიური დოგმატიკა, განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებრივი დინამიკის ტრანსფორმაციას და სოციალურ ცვლილებებს. რელიგიაც ხდება ინდივიდუალური, ანომიური - ინდივიდის განვითარება აღარ ეფუძნება საერთო რელიგიურ დოგმატიკას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში წარმართავდა ადამიანთა თანაცხოვრებას. ანომია, გიიოს აზრით, განაპირობებს არამართო ინდივიდთა მორალურ, არამედ რელიგიურ თავისუფლებასაც და განსაზღვრავს მათ აეტონომიურობას უნივერსალურ ნორმათა სისტემის ზეწოლისაგან.

ამდენად, გიიოს შემოქმედებაში ანომია განიხილება როგორც მორალისა და რელიგიის სფეროში უნივერსალური, მყარი ნორმების არარსებობა, რაც ინდივიდუალური აეტონომიის, ნორმატიული შეზღუდვისაგან გათავისუფლების წინაპირობაა. ამ მხრივ, ანომიას პოზიტიური მნიშვნელობა ენიჭება, იგი მიჩნეულია მოელენად, რომელიც თანამედროვე საზოგადოების იდეალური მოდელის დამკვიდრების საწინდარია, განამტკიცებს პიროვნულ თავისუფლებას და საზოგადოებაში კონკრეტულ ინდივიდთა ორიგინალობას. გიიოსათვის, მორალის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევებს, არიან არა ტრანსცედენტური ხასიათის, არამედ ინდივიდუალური მნიშვნელობის, რაც იმათათვე განსხვავდება დიურკემის მიერ განვითარებული ანომიის კონცეფციისაგან. გიიოს ეთიკურ თეორიაში ანომია წარმოადგენს *პოზიტიურ* მოელენას. სწორედ ეს განასხვავებს ყველაზე მეტად ანომიის მისეულ ვერსიას დიურკემისეული კონცეფციისაგან, რომელიც ანომიას *ნეგატიურ*, *პათოლოგიურ* მოელენად წარმოაჩენს.

## §2. ანომიის დიურკემისეული ვერსია

ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკემი მრავალი მიზეზის გამო ითვლება თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლად, და ზოგადად - რეოლუციური სიახლეების დამწერტავად კლასიკურ სოციალურ თეორიაში. დიურკემის მოღვაწეობამ უდიდესი წვლილი შეიტანა არამართო სოციალური თეორიისა და მორალური ფილოსოფიის, არამედ თანამედროვე კომინიოლოგიისა და სამართლის სოციოლოგიის განვითარებაშიც. იმ მრავალ ნოვატიასთან ერთად, რომლის დამამკვიდრებლაც ითვლება დიურკემი თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მის მიერ დამუშავებულ *სოციალური შრომის დანაწილების*, *მექანიკური* და *ორგანული სოლიდარობის*, *კოლექტიური ცნობიერების*, *სოციალური ნივთების* და, რა თქმა უნდა - *ანომიის* კონცეფციებს.

<sup>13</sup> Guyau, Jean-Marie: *L'Irréligion de l'avenir*, Paris: Aclan, 1987: 323. მოცემული ციტატა მოყვანილია შუბლი ნაშრომიდან: Orrin, Marco: "The Ethics of Anomie: Jean-Marie Guyau and Emile Durkheim", *The British Journal of Sociology*, Vol 34 (4), 1983: 499-518, 505-506.

დიურკემის უნიკალური, ორიგინალური აზროვნების ნიმუშია მის მიერ წამოყენებული თეზისი, რომლის მიხედვითაც *სოციალური ფაქტები წარმოადგენენ ნიუტონს*. იმდენად, რამდენადაც მატერიალურ სამყაროში უსაძლებელია სოციალურ ფაქტებზე დაკვირვებების წარმოება, აუცილებელია მათი მიჩნევა ნიუტონად. სწორედ ამის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი პროცესების ამსახველი მეცნიერება – სოციოლოგია. დიურკემი ერთმანეთისგან განასხვავებს *ნორმალურ* და *არანორმალურ (პათოლოგიურ) სოციალურ ფაქტებს*. მისი მტკიცებით, ნორმალურია სოციალური ფაქტი, თუ მას, გარკვეული ინტენსივობით, როგორც წესი, ადგილი აქვს განსაზღვრულ საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში, ხასიათდება კონკრეტულ გარემოში მუდმივი არსებობითა და წარმოადგენს კოლექტიური ცხოვრების სტაბილურ ელემენტს. სოციალური ფაქტები მხოლოდ მაშინ ატარებენ არანორმალურ, პათოლოგიურ ხასიათს, როდესაც მათი შინაარსი უცნობი და განუსაზღვრელია საზოგადოებისათვის და რეალურად არ წარმოადგენენ კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის მახასიათებელ, საზოგადოებაში რეგულარულად აღმოცენებად ფაქტებს.<sup>14</sup> ამგვარად მიიღის დიურკემი პარადოქსულ დასკვნამდე – *დანაშაული არის ნორმალური სოციალური ფაქტი*, რადგანაც მას ადგილი აქვს ნებისმიერ საზოგადოებაში, იგი იმანენტურადაა დაკავშირებული საზოგადოების შინაგან სტრუქტურასთან და ხასიათდება განსაზღვრული ინტენსივობით. დიურკემის იდეას მართლაც ინოვაციური, რევოლუციური შინაარსი ჰქონდა: როდესაც მისი თანამედროვე მეცნიერები აეითარებდნენ დანაშაულობის ბიოლოგიურ თეორიებს და ამტკიცებდნენ დანაშაულობის არანორმალურ, პათოლოგიურ ხასიათს, დიურკემი აეითარებდა დანაშაულობის ნორმალურობის კონცეფციას. მისი მტკიცებით, *“დანაშაული ნორმალურია, რადგან შეუძლებელია არსებობდეს საზოგადოება, სადაც იგი არ აღინიშნება.”*<sup>15</sup> დანაშაულობა მხოლოდ მაშინ ღებულობს პათოლოგიურ ხასიათს, როდესაც ირღვევა თანაფარობა საზოგადოების შემადგენლობასა და დანაშაულებრივ ფაქტებს შორის, როდესაც დანაშაული აღწევს ისეთ ზღვარს, რომელიც არასდროს არ ახასიათებდა კონკრეტულ საზოგადოებას, რაც არღვევს მის შინაგან ინტეგრაციას. მოცემული დასკვნიდან დიურკემი მიიღის პარადოქსულ მტკიცებამდე, რომლის მიხედვითაც დანაშაული არის არა მარტო ნორმალური, არამედ საზოგადოებისთვის *სასარგებლო* სოციალური ფაქტი: *“დანაშაული უსათუოდ დაკავშირებულია ყოველი სოციალური ცხოვრების ძირითად პირობებთან და გამოიღის, რომ სასარგებლოა, რადგან აღნიშნული პირობები, თავის მხრივ, აუცილებელია მორალიცა და სამართლის ნორმალური ევოლუციისათვის.”*<sup>16</sup> დანაშაულის, როგორც სასარგებლო სოციალური მოვლენის ბუნება გამომდინარეობს იმ ორი მნიშვნელოვანი ფუნქციიდან, რომლებსაც იგი ემსახურება: (1) დანაშაული განაპირობებს სოციალური ცვლილებების ევოლუციას, რამდენადაც მიუთითებს კონკრეტულ ხარეზებზე სოციალურ სისტემაში, რომელთა გამოსწორება, რეფორმირება საზოგადოებრივ აუცილებლობას წარმოადგენს. ამდენად, დანაშაულს აქვს ინოვაციური, ადაპტაციური ფუნქცია; (2) დანაშაულის მეშვეობით შესაძლებელი ხდება საზოგადოებაში კარიგ და ცული ქცევების ურთიერთგამიჯვნა – დანაშაულის ჩადენა განაპირობებს მის წინააღმდეგ საზოგადოების ინტეგრაციას და სოციალური სტაბილურობის მიღწევას. ამდენად, დანაშაული ხელს უწყობს სოციალურ ფასეულობათა დიფერენცირებას.<sup>17</sup> დანაშაულის სასარგებლო ფუნქციას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მისი მეშვეობით ხდება ინდივიდუალური ქცევების გამოვლენა, რაც ეწინააღმდეგება სოციალურ კონფორმიზმს – საზოგადოება, რომელიც ეფუძნება მარტოოდენ გაბატონებულ იდიოლოგიასა და ერთსახოვან ფასეულობებს, წარმოადგენს რეპრესიულ სისტემას და ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებებს; ამდენად, საზოგადოების წევრთა ქცევები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში დევიაციური ფორმითაც ვლინდება, არღვევს სოციალური კონფორმიზმის ჩარჩოებს და გარკვეულწილად გამოხატავს ინდივიდის პირად თავისუფლებასაც.<sup>18</sup> დიურკემის თანახმად, დანაშაული იმითაცაა სოციალურად

<sup>14</sup> Raiser, Thomas: *Grundlagen der Rechtssoziologie*, Tübingen: Mohr Siebeck, 4. Auflage, 2007: 61.

<sup>15</sup> დიურკემი, ემილ: *სოციოლოგის მეოჯის წესები*, (მთარგმნელი – დოდო ლაბუჩიძე-ზოფერია), თბილისი: “იანე პეტრიწი”, 2001: 101.

<sup>16</sup> დიურკემი, ემილ: *სოციოლოგიის მეოჯის წესები*, (მთარგმნელი – დოდო ლაბუჩიძე-ზოფერია), თბილისი: “იანე პეტრიწი”, 2001: 104.

<sup>17</sup> Giddens, Anthony: *Sociology*, 5<sup>th</sup> Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 797.

<sup>18</sup> Cotterell, Roger: *Émile Durkheim: Law in a Moral Domain*, Stanford: Stanford University Press, 1999: 75.

სასარგებლო, “ჯანმრთელი” მოვლენა, რომ იგი მიუთითებს “საზოგადო ბოროტებაზე” – დანაშაულის სტაბილური დონის სწრაფი ზრდა აუცილებელი ნიშანია კონკრეტულ სექტორში სახელმწიფოებრივი რეგულირების გააქტიურებისა და ინტენსიური სამართლებრივი ცვლილებებისათვის, რაც შეიძლება გამოიხატოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა თუ დანაშაულობისთან ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების რეფორმირებაში.<sup>19</sup> ამდენად, დანაშაული, გარკვეულწილად, *სოციალური ინდიკატორის* როლსაც ასრულებს და განსაზღვრავს, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სექტორი საჭიროებს განსხვავებულ, ახლებურ რეგულირებას. რაციონალური სამართლებრივი ცვლილებები ეი აუცილებელია სოციალური დეზორგანიზაციის, საზოგადოებრივი წესრიგისა და ფასეულობების დანაცვლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება შეიძლება *ანოშიამ* მოიცავს.

ანოშიის კონცეფციის რეფორმულირებას დიურკემი 1893 წელს გამოქვეყნებულ სადოქტორო დისერტაციაში – “სოციალური შრომის დანაწილება” – იწევს.<sup>20</sup> მოცემული ნაშრომი წარმოადგენს დიურკემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სოციოლოგიის განვითარებას. ნაშრომში დიურკემი ავითარებს ადამიანური თანაცხოვრების, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, სოციალური ევოლუციის ძირითად საკითხებს და სოციალური შრომის მზარდ დანაწილებას და დიფერენცირებას საზოგადოებრივი განვითარების ძირითად, შეუქცევად პირობად მიიჩნევს. კაპიტალიზმის რეგულაციის, წარმოებისა და მოხმარების ურთიერთმიმართების, ინდუსტრიალიზაციისა და პროფესიონალიზაციის პროცესების ზეწოლის შედეგად, ყალიბდება კონკრეტული სოციალური სფეროების დიფერენცირებისა და მათი შინაგანი რეგულირების აუცილებლობა – საზოგადოებრივი ფუნქციების სპეციალიზაცია განაპირობებს განსაზღვრული ფუნქციის მქონე სოციალური სფეროების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. თუმცა, სოციალური შრომის დანაწილება, დიურკემის თანახმად, არ წარმოადგენს საზოგადოების “გახლეჩის”, სოციალური სისტემის რღვევის წინაპირობას, რადგანაც დიფერენცირებული სექტორები, და მაშასადამე, კონკრეტული სფეროს წარმომადგენელი ადამიანები, ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფებიან და სოციალური სოლიდარობის მეშვეობით ახვნიან საზოგადოებრივი ერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.<sup>21</sup> სოციალური სოლიდარობა, რომელსაც წარმოშობს შრომის დანაწილება, დიურკემისთვის წარმოადგენს საზოგადოების განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციის უნიშვნელოვანეს წინაპირობას. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს სოლიდარობის ორ სახეს – *მეცნიერულ და ორგანულ სოლიდარობას*. დიურკემის აზრით, ეკონომიკურად და ინდუსტრიულად განუვითარებელი, ტრადიციული საზოგადოებები, სადაც სახეზეა შრომის დანაწილების

<sup>19</sup> Siegel, Larry J.: *Criminology*, 4th Edition, St. Paul: West Publishing, 1992: 40.

<sup>20</sup> ვრცლად დიურკემისეული ანოშიის, ასევე დიურკემის შემდგომ მოცემული ცნების ისტორიული განვითარების შესახებ, იხილეთ მონოგრაფია: Besnard, Philippe: *L'anomie. Ses usages et ses fonctions dans la discipline sociologique depuis Durkheim*, Paris: Presses Universitaires de France, 1987.

<sup>21</sup> დიურკემის შემდგომ, თანამედროვე სოციოლოგიაში შრომის დანაწილება საზოგადოების ორგანიზების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ითვლება. *ენტონი გილენის* თანახმად, სოციალური შრომის დანაწილება განპირობებულია წარმოების სისტემის დიფერენცირებით სპეციალიზებულ პროფესიებად, რის შედეგადაც ყალიბდება ცკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობა. ნებისმიერი სახის საზოგადოება ხასიათდება შრომის დანაწილებით, მათ შორის პრიმიტიული საზოგადოებებიც, რომლებშიც როლისა თუ სტატუსის დანაწილება ადამიანებს შორის უმარტივესი ნიშნით – სქესის მიხედვით – განისაზღვრება. თუმცა, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სოციალური შრომის დანაწილებაც კომპლექსურ ხასიათს იღებს, რაც გამოიხატება თანამედროვე სამყაროში *შრომის სერიაშიზის დანაწილებით*. Giddens, Anthony: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 1014. ასევე, დიურკემისეული სოციალური შრომის დანაწილების კონცეფცია უნდა ჩაითვალოს თანამედროვე გერმანული სოციოლოგის, *ნიკლას ლუმანის* მიერ აუტორიზირებულ სოციალურ სისტემათა თეორიის ფარგლებში განვითარებული საზოგადოების *ფუნქციონალური დიფერენცირების* პრინციპის წინაპირობად. ლუმანის თეორიის თანახმად, თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება დიფერენცირებულია გლობალურ ფუნქციონალურ ქვესისტემებად (ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია, სამართალი, ზღოვნება...), რომლებიც ხასიათდება ინდივიდუალური სოციალური ფუნქციით, და ამდენად, წარმოადგენენ თითოეულირებად, თითოეულირებად, თეთიწარმოებად სტრუქტურებს. ლუმანისეული საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირების კონცეფციის შესახებ, იხილეთ: Luhmann, Niklas: *Die Gesellschaft der Gesellschaft*, 2. Teilband, Frankfurt: Suhrkamp, 1998: 743.

დაბალი დონე, ხასიათდებიან მექანიკური სოლიდარობით. მსგავსი საზოგადოების წევრები ჩაბმულნი არიან ერთსახეიან სოციალურ აქტივობაში, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თითოეული ინდივიდის სოციალური, პროფესიული როლი, ინდივიდთა კერძო ინტერესებსა და მისწრაფებებს არ ეძლევა გასაქანი და ყალიბდება რეპრესიული სოციალური კონტროლის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც ისჯება ყველა, ვინც არღვევს კონვენციურ კანონებს, თანაცხოვრების საერთო წესებს. საერთო კონსენსუსი და ფასეულობათა ეიწრო სისტემა განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა თანაცხოვრებას. მაგრამ, ეკონომიკისა და წარმოების სისტემის განვითარების, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური რევოლუციების კვალდაკვალ ყალიბდება ეიწრო პროფესიონალიზაციის აუცილებლობა, რაც განაპირობებს საზოგადოების წევრთა შორის სოციალური როლების დანაწილებას. სოციალური დინამიკა საფუძველს უყრის საზოგადოებაში სოციალური შრომის დანაწილებას. იქ, სადაც სახეზეა მაღალი დონის შრომის დანაწილება, ადგილი აქვს ორგანულ სოლიდარობას. ორგანული სოლიდარობის დროს, საზოგადოების წევრები, მიუხედავად სხვადასხვა სოციალურ სექტორში მოღვაწეობის, ერთმანეთთან შეკავშირებულნი არიან ურთიერთსაჭიროების პრინციპის საფუძველზე. ინდივიდები ხდებიან ერთმანეთზე, ერთმანეთის საქმიანობაზე დამოკიდებულნი, აღიარებენ ერთმანეთის ინდივიდუალური სოციალური როლისა და ფუნქციის მნიშვნელობას და, კონკრეტული სახეობის საზოგადოებრივი შრომის შესრულების ფარგლებში, განაპირობებენ საზოგადოების ევოლუციას.<sup>22</sup>

მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას დიდი მნიშვნელობა აქვს *სამართლის ევოლუციისათვის* – სოციალური ორგანიზების მოცემული სახეები განაპირობებენ საზოგადოებაში სამართლის განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებას. დიურკემი ერთმანეთისგან გამოიჯნავს სამართლის ორ ფორმას – *რეპრესიულსა და რესტიტუციულ* სამართალს.<sup>23</sup> რეპრესიული სამართალი მოქმედებს მექანიკური სოლიდარობის საფუძველზე ორგანიზებულ საზოგადოებაში, რესტიტუციული სამართალი კი ახასიათებს ორგანულ სოლიდარობის ლოკიკის საფუძველზე ინტეგრირებულ საზოგადოებას. რეპრესიული სამართლის ფუნქციის ფუნქცია საზოგადოებაში მკაცრი სანქციების გატარება დევიაციური ქცევების პროფილაქტიკისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით. რეპრესიული სამართლის მეშვეობით ტრადიციულ საზოგადოებებში ინტენსიურად ხორციელდება დამნაშავეთა ფიზიკური და მორალური დასჯის ღონისძიებები, მათთვის თავისუფლების აღკვეთა და მკაცრი ჯარიმების დაწესება. სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში კონკრეტული გადაცდომის ჩამდენის დასჯამდე დაიყვანება. სამართლის მოცემული ფორმა ადგენს ტოტალურ კონტროლს ინდივიდთა ქმედებებზე, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებაში კონფორმიზმის შენარჩუნებას და ინოვაციური მოქმედებების პრევენციას. რეპრესიული სამართლის საუკეთესო მაგალითს, დიურკემის აზრით, წარმოადგენს სისხლის სამართალი. ამდენად, მექანიკური სოლიდარობის საფუძველზე ორგანიზებულ საზოგადოებებში სისხლის სამართალი სოციალური რეგულირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. ორგანული სოლიდარობის საფუძველზე მოწყობილ საზოგადოებებს კი, დიურკემის თანახმად, ახასიათებს სამართლის უფრო განვითარებული, მოდიფიცირებული ფორმის – რესტიტუციული სამართლის – ჩამოყალიბება. რესტიტუციული სამართლის მთავარი არსია არა ცალსახად კონკრეტული დამნაშავის დასჯა, არამედ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, კომპენსაცია. რესტიტუციული სამართალი მიმართულია საზოგადოებაში არსებული კონკრეტული პრობლემის გამოსწორებისკენ, რაც მიზნად ისახავს სოციალური შრომის დანაწილების საფუძველზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ინტეგრაციის განმტკიცებას. დიურკემის თანახმად, რესტიტუციული სამართლის ფორმას განეკუთვნება სამოქალაქო, კომერციული, საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და საპროცესო სამართალი, სამართლის ის დარგები, სადაც არ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი დასჯადობის პრინციპი.<sup>24</sup> კონკრეტულ

<sup>22</sup> Giddens, Anthony: *Sociology*, 5<sup>th</sup> Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 14.  
<sup>23</sup> Conterrell, Roger: *Émile Durkheim: Law in a Moral Domain*, Stanford: Stanford University Press, 1999: 32.  
<sup>24</sup> დიურკემისთვის სამართლის მოცემულ ტიპოლოგიას აკრიტიკებს შერტონი და ამტკიცებს, რომ რესტიტუციული სამართლის ფორმა ახასიათებს ასევე პრიმიტიულ საზოგადოებასაც, რომლებიც მოწყობილია მექანიკური სოლიდარობის მოდელის მიხედვით, სადაც კერძო სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება რესტიტუციის პრინციპის საფუძველზე და არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იხილეთ: Merton,

საზოგადოებაში რეპრეზენტული თუ რესტიტუციული სამართლის ფორმის არსებობა არის იმისი ინდიკატორი, თუ სოციალური ორგანიზების რომელ საფუძველზეა – მექანიკური თუ ორგანული სოლიდარობა – მოწყობილი კონკრეტული საზოგადოება. დიურკემის თანახმად, სოციალური ევოლუცია განაპირობებს სამართლებრივ ევოლუციასაც. ამიტომაც, ტრადიციულ, პრიმიტიულ საზოგადოებებში, რომლებიც ორგანიზებულია მექანიკური სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე, მოქმედებს რეპრეზენტული სამართალი. სოციალური კომპლექსურობის ზრდა და საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირება კი განაპირობებს სამართლის უფრო განვითარებული ფორმის – რესტიტუციული სამართლის ჩამოყალიბებას. სამართლის ევოლუციას განსაზღვრავს უშუალოდ საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის მორფოციურება და არა ფასეულობებისა თუ მორალური წარმოდგენების ცვლილება. ამის შედეგად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის როლი სულ უფრო მცირდება და იგი ადვილს უთმობს საზოგადოებაში კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრის, გამოსწორების, კომპენსირების, სოციალურ ურთიერთობათა ბალანსის პოლიტიკას. ამდენად, თანამედროვე, ინდუსტრიალურ განვითარებულ საზოგადოებებში, სოციალური რეგულირება უზრუნველყოფილია რესტიტუციული სამართლის მეშვეობით.<sup>25</sup> შესაბამისად, საზოგადოებაში მექანიკური სოლიდარობიდან ორგანულ სოლიდარობაზე გადასვლა სოციალური ევოლუციის, რეპრეზენტული სამართლის ფორმის ჩანაცვლებად რესტიტუციული სამართლის კი სამართლებრივი ევოლუციის ნიშანია. სოციალური პროგრესი კი, საბოლოო ჯამში, საზოგადობრივი შრომის მზარდი დანაწილებითაა განპირობებული.

სწორედ საზოგადობრივი შრომის დანაწილების, მექანიკური და ორგანული სოლიდარობის შესახებ მსჯელობის დროს იყენებს დიურკემი ანომიის ცნებას. ცალკეულ შემთხვევაში, შრომის დანაწილებამ შეიძლება არ წარმოშვას სოლიდარობა, რაც შრომის არანორმალური დანაწილების ბრალია. დიურკემი ერთმანეთისგან განასხვავებს შრომის არანორმალური დანაწილების სამ სახეს – შრომის ანომიური დანაწილება (რეგულირების მოშლა შრომის დანაწილებულ სექტორებში), შრომის იძულებითი დანაწილება (ფუნქციის იძულებითი დაკისრება ინდივიდებს, რაც არღვევს შრომის დანაწილების პარამონიას და კლასობრივი დაპირისპირების საფუძველია) და შრომის არასაკმარისი დანაწილება (ცალკეულ ინდივიდთა შრომითი საქმიანობა არასაკმარისია, იგრძნობა დიფერენცირებულ ფუნქციებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა).

განსხვავებით გიოსსაგან, რომელიც უნივერსალურ ნორმათაგან, საზოგადობრივი მორალისა და რელიგიის დოგმატიკისაგან თავისუფლებასა და ანარქიულ, პროგრესულ ინდივიდუალიზაციას – ანომიას – პოზიტიურ მოვლედად მიიჩნევს, დიურკემი ამ ცნებას ცალსახად ნეგატიურ, პათოლოგიურ ფენომენად ახასიათებს.<sup>26</sup> მისთვის ანომია არის მორალის ნეგაცია. დიურკემი პირდაპირ აცხადებს: “ანომია არის წინააღმდეგობა ყოველივე მორალურთან”.<sup>27</sup> მოცემულ ნაშრომში დიურკემი სწორედ ანომიას მიიჩნევს შრომის არანორმალური დანაწილების ერთ-ერთ საფუძველად და აყალიბებს “შრომის ანომიური დანაწილების” კონცეფციას, რაც გამოიხატება სპეციალიზებულ სექტორებს შორის სოციალური დიფერენცირების განუსაზღვრელობასა და რეგულირების კონკრეტულ ფორმათა არარსებობაში, სხვადასხვა სოციალური ფუნქციის ერთმანეთთან თანამშრომლობისა და მათი კოორდინირებული მუშაობის მოშლაში: “თუ შრომის დანაწილება არ წარმოშობს სოლიდარობას, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ცალკეულ ორგანოებს შორის ურთიერთობები არ არის რეგულირებული, რადგანაც ისინი ანომიის მდგომარეობაში არიან”.<sup>28</sup> ამდენად, ანომია წარმოადგენს იურიდიულ და მორალურ

Robert K.: “Durkheim’s Division of Labor in Society”, *American Journal of Sociology*, Vol. 40 (3), 1934: 319-328, 324.

<sup>25</sup> Cotterrell, Roger: *Émile Durkheim: Law in a Moral Domain*, Stanford: Stanford University Press, 1999: 82.

<sup>26</sup> Besnard, Philippe: “Anomie”, in Smelser N. J. and Baltens P. B. (eds.): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Volume 1, Amsterdam: Elsevier, 2001: 510-512, 510.

<sup>27</sup> Durkheim, Émile: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson), New York: Free Press, 1964: 431.

<sup>28</sup> Durkheim, Émile: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson), New York: Free Press, 1964: 368.

ფენომენს, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებრივი რეგულირების ნორმათა არარსებობის ან არაეფექტური, არაკორდინირებული მუშაობის შემთხვევაში და შეუძლებელს ხდის სოციალური სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. ანომია წარმოიშობა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებული რეგულაციური ნორმები აღარ შეესაბამებიან საზოგადოების განვითარების დონეს, ჩამორჩებიან უკვე არსებული კოლექტიური ორგანიზაციის ფორმას.<sup>29</sup> შრომის ანომიური დანაწილება იწვევს ინდუსტრიულ პრობლემებს, ეკონომიკურ დარეგულირებას, კლასობრივ დაპირისპირებას, მეცნიერების მთლიანობის რღვევას და სოციალური სოლიდარობის მოშლას. დიურკემი ძირითადად სამ სიტუაციას გამოყოფს, რომლის დროსაც ყალიბდება ანომიის მდგომარეობა: (1) ინდუსტრიული და ეკონომიკური კრიზისი, (2) მეცნიერების უკიდურესი სპეციალიზაცია, როდესაც შეუძლებელი ხდება მისი მთლიანობის შენარჩუნება და (3) ანტაგონიზმი კაპიტალსა და შრომას შორის, რასაც საზოგადოების კომერციალიზაცია და კლასობრივი დიფერენცირება იწვევს. დიურკემის თანახმად: “თუ ანომია არის ბოროტება, ეს, უპირატესეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებაში, რომლის ფუნქციონირება შეუძლებელია ინტეგრაციისა და რეგულირების გარეშე, იქმნება პრობლემები მის გამო. შესაბამისად, მორალური თუ იურიდიული რეგულირება აშკარად წარმოადგენს იმ სოციალურ საჭიროებას, რომელსაც უშუალოდ შეიცავს საზოგადოება.”<sup>30</sup> თუმცა, დიურკემი აკეთებს ოპტიმისტურ დასკვნას და ამტკიცებს, რომ ანომია გამოირიცხვება, როდესაც ორგანული სოლიდარობის საფუძველზე დიფერენცირებული სოციალური სექტორები მჭიდრო კონტაქტში არიან ერთმანეთთან, რის საფუძველზეც მათი შინაგანი რეგულირებაც გამართულად ხორციელდება და თითოეული შრომითი სექტორის ინდივიდუალური ფუნქციის შესრულება და მისი საყოველთაო-სასარგებლო მნიშვნელობის აღიარებაც განმსაზღვრელი პირობაა ზოგადად საზოგადოების ჯანმრთელი და პროგრესული განვითარებისათვის.

დიურკემი ანომიას უკვე ახალი მნიშვნელობით იყენებს თავის მომდევნო ფუნდამენტურ ნაშრომში “თეთმკვლელობა”, რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა და დღემდე ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციოლოგიურ გამოკვლევად.<sup>31</sup> თუ დიურკემისეული ანომიის ძირეული კონცეფცია სოციალურ ანომიას განსაზღვრავდა, “თეთმკვლელობაში” განვითარებული ცნება ცალსახად *სუბიექტურ* ხასიათს ატარებს, იგი ინდივიდის შინაგან მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. დიურკემის მოცემული ნაშრომი წარმოადგენს თეთმკვლელობის პრობლემის ძირველ მონორაფიულ დამუშავებას სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. დიურკემის თანამედროვე ეპოქაში, კაპიტალიზმის განვითარებისა და დრამატული სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების კვლადსკვალ, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, შესამჩნევი გახდა თეთმკვლელობის ფაქტების არნახული ზრდა. ფრანგი სოციოლოგი მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული დრამატული ფაქტების დინამიკას განაპირობებს არა მარტო ინდივიდთა შინაგანი განწყობა და ფსიქიკური აშლილობა, არამედ უშუალოდ სოციალური გარემო, რომელშიაც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება და ის მოულოდნელი საზოგადოებრივი ცვლილებები, რომელთა მოწმენიც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდებიან. ამდენად, ადამიანის კონკრეტული მოქმედების, მათ შორის თეთმკვლელობის, მიზეზები უნდა ვეძებთ არა მარტო კონკრეტულ ადამიანსა და მის სულიერ მდგომარეობაში, არამედ უშუალოდ საზოგადოებაში, სოციალური ორგანიზების სტრუქტურაში.

დიურკემმა, თავისი კიპოთხების ვერიფიკაციის მიზნით, შეისწავლა თეთმკვლელობის მრავალი შემთხვევა - სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ჩადენილი თეთმკვლელობის ფაქტები და ემპირიულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ თეთმკვლელობათა რიცხვი საგრძნობლად იზრდება სწრაფი ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად, მიუხედავად

<sup>29</sup> Marra, Realino: “Geschichte und aktuelle Problematik des Anomiebegriffs”, *Zeitschrift für Rechtssoziologie*, Band 10 (1), 1989: 67-80, 69.

<sup>30</sup> Durkheim, Émile: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson), New York: Free Press, 1964: 5.

<sup>31</sup> Durkheim, Émile: *Le Suicide. Etude de sociologie*, Paris: Alcan, 1897. წინამდებარე ნაშრომში ციტირებული იქნება დიურკემის მოცემული მონორაფიის უახლესი ინგლისურენოვანი გამოცემა: Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005.

იმისა, ეს ეკონომიკური ცვლილებები პოზიტიურ თუ ნეგატიურ ხასიათს ატარებენ, იწვევენ საყოველთაო დებრესისა თუ კეთილდღეობას.<sup>32</sup> მეკეთრი სოციალური ცვლილებები, მიუხედავად მათი შინაარსისა, არღვევენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ მოლოდინთა სისტემას, ეწინააღმდეგებიან სოციალური ინტეგრაციისა და სოლიდარობის პრინციპებს, ამკვიდრებენ არასტაბილურ სოციალურ გარემოს და იწვევენ აპათიას, შინაარსს უკარგავენ საზოგადოების მარეგულირებელი ნორმატიული სისტემის ეფექტიანობას, განუსაზღვრელს ხდიან ადამიანის მოქმედებათა მიზნებსა და შედეგებს. ამასთანავე, მხოლოდ ნეგატიური ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ ადამიანთა ეკონომიკურ და სოციალურ მვდომარეობას, არ იწვევენ ასეთ ვითარებას – პოზიტიური, საყოველთაო კეთილდღეობის მომტანი ცვლილებებიც განაპირობებენ სოციალური სოლიდარობის მოშლასა და ინდივიდთა გაუცხოებას, საზოგადოებრივი მომავლის განუსაზღვრელობასა და დეზორიენტაციას, ერთი სიტყვით – ანომიას, რაც იწვევს საზოგადოებაში თვითმკვლელობის ფაქტების ზრდას. დიურკემი თვითმკვლელობის მიზეზთა ასახსნელად და სხვადასხვა სახის თვითმკვლელობის სისტემატიზაციისთვის იყენებს სოციალური სოლიდარობის კონცეფციას, ასევე ინდივიდისა და საზოგადოების უთითოებრივობის, საზოგადოებასთან ინდივიდის კავშირის ორი განსაზღვრული ტიპის – *სოციალური ინტეგრაციისა და სოციალური რეგულირების* – ანალიზს. სწორედ ინდივიდის საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და საზოგადოების მხრიდან ინდივიდის კონტროლის, რეგულირების ხასიათი და ხარისხი განსაზღვრავს კონკრეტული ადამიანის ადგილს საზოგადოებაში, ასევე მისი ქცევების შესაძლო შინაარსს.

შესწავლილი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე, დიურკემი განასხეავებს თვითმკვლელობის ოთხ სახეს:

*ეგოისტური თვითმკვლელობა*,<sup>33</sup> რომლის მიზეზიცაა სოციალური ინტეგრაციის დაბალი დონე. ეგოისტური თვითმკვლელობის მსხვერპლნი ხდებიან ინდივიდები, რომლებიც იმყოფებიან საზოგადოებისაგან იზოლირების ან თვითიზოლირების პირობებში. ოჯახი წარმოადგენს ადამიანის სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ ფორმას, ამიტომაც თვითმკვლელობათა რიცხვი შედარებით ნაკლებია დაოჯახებულთა შორის. დიურკემმა ერთმანეთს შეადარა კათოლიკეთა და პროტესტანტთა თვითმკვლელობის მონაცემები, რის საფუძველზეც დაასკვნა, რომ კათოლიკეთა მაღალი სოციალური ინტეგრაცია იცავს მათ თვითმკვლელობის ჩადენისაგან, ხოლო პროტესტანტთა ინდივიდუალიზმი და პირადი დამოუკიდებლობა არ აიძულებს მათ კონკრეტულ რელიგიურ კავშირში ინტეგრაციისა და არსებული წესების დაცვას, რაც მათ შორის თვითმკვლელობის შედარებით მაღალ მაჩვენებლებზეც აისახება. ომის დროს, როგორც წესი, საკმაოდ ნაკლებია თვითმკვლელობათა რაოდენობა, რადგანაც ინდივიდები სამშობლოს დაცვისა და გამარჯვების საერთო იდეით არიან ინტეგრირებულები;<sup>34</sup>

*ალტრუისტული თვითმკვლელობა*,<sup>35</sup> რასაც განაპირობებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში ინდივიდთა “ზედმეტი”, ზომავზე მეტი ინტეგრაცია, როდესაც ადამიანი, სოციალური კონტროლის სხვადასხვა მექანიზმისა თუ ფეტიშისტური რწმენის საფუძველზე, მზად არის კონკრეტული ჯგუფის იდეის, მიზნისა თუ დაავალების მიხედვით დათმოს საკუთარი სიცოცხლე. ალტრუისტული თვითმკვლელობის დროს ადამიანის სიცოცხლე ნებაყოფლობით ეწირება სოციალური ჯგუფის ინტერესებს, რომელიც წარმართავს მის ყოველ მოქმედებას. დიურკემი ამის მიზეზად კონკრეტულ ჯგუფში მექანიკური სოლიდარობის მაღალ დონეს მიიჩნევს. ამგვარი სახის თვითმკვლელებს წარმოადგენენ ისეთი განსხეავებული სოციალური ჯგუფის

<sup>32</sup> Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *An Introduction to Criminology and Criminal Justice System*, New York: McCraw-Hill, 2003: 117.

<sup>33</sup> Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 105.

<sup>34</sup> ეგოისტური თვითმკვლელობის კონცეფციის შემფლობი დამუშავების შესახებ, იხილეთ: Berk, Bernard B.: “Macro-Micro Relationships in Durkheim’s Analysis of Egoistic Suicide”, *Sociological Theory*, Vol. 24 (1), 2006: 58-80.

<sup>35</sup> Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 175.

წარმოადგენლები, როგორებიც არიან თავდადებული სამხედროები და ფანატიკოსი ტერორისტები;

ანომიური თვითმკვლელობა,<sup>36</sup> რის მიზეზსაც წარმოადგენს სოციალური რეგულირების სისტემის მოშლა. მეკეთრი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში, არასტაბილური საზოგადოებრივი ევოლუციის პარალელურად, ძველი ნორმატიული რეგულირების მექანიზმები ევლარ ახერხებენ ინდივიდუალური ურთიერთობების კოორდინირებას, რაც ადამიანებში იწვევს მძლავრ სულიერ მოშლილობასა და დეზორიენტაციას. ადამიანთა თანაცხოვრებას ეცდება იურიდიული და მორალური საფუძველი, ირღვევა ბალანსი "მთხოვნასა და მიწოდებას" შორის, ეკარგება მნიშვნელობა გამომუშაებულ სოციალურ სტანდარტებსა და ნორმებს, ინდივიდები ევლარ ახერხებენ ახალი სოციალური მოთხოვნილებებისა და მიზნების მისადაგებას ძველი, არაქმედითი ნორმატიული სისტემისადმი.

ფატალისტური თვითმკვლელობა,<sup>37</sup> რომელსაც საფუძველად უდევს ადამიანის პესიმიზმი და მტკიცე რწმენა ბედისწერისა და მსჯავრის აუცილებლობის შესახებ. დიურკემს თვითმკვლელობის მოცემული სახე უმნიშვნელოდ ესახებოდა მისი თანამედროვე ეპოქისთვის, თუმცა, ისტორიული თვალსაზრისით, ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. ფატალისტურ თვითმკვლელობას ადგილი აქვს საზოგადოების მხრიდან ცალკეულ ინდივიდთა ზღვარგადასული რეგულირების დროს, როდესაც სოციალური იძულების საფუძველზე ადამიანებს ეუფლებათ უძკლურების გრძნობა და ეკარგებათ ყოველგვარი იმედი საკუთარი თავის გადარჩენისა. დიურკემს მაგალითად მოყავს უშვილო დედების, ფიზიკური და მორალური დეპოტიზმის მსხვერპლთა, ასევე მონების თვითმკვლელობის ფაქტები.<sup>38</sup>

ამდენად, მოცემულ ნაშრომში დიურკემი ანომიას, მიკროსოციოლოგიური თეორიის სახით, დევიაციური სოციალური მოვლენის – თვითმკვლელობების მიზეზთა ემპირიული და თეორიული ანალიზისათვის იყენებს. დიურკემის თანახმად, თვითმკვლელობა არის სოციალური ფაქტი და მისი ახსნა შესაძლებელია მხოლოდ სხვა სოციალური ფაქტების გამოყენებით. ისეთი ინდივიდუალური, შინაგანი სუბიექტური მოვლენაც კი, როგორიცაა თვითმკვლელობა, მიჩნეულ უნდა იქნეს სოციალურ, და არა ინდივიდუალურ პრობლემად და სწორედ საზოგადოებრივ გარემოში, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან ინდივიდის მიმართებაში უნდა ვეძებოთ მისი გამომწვევი რეალური მიზეზები. ანომიური თვითმკვლელობის დახასიათებისას დიურკემი ერთმანეთისაგან განასხვავებს ეკონომიკურ ანომიას (რასაც იწვევს საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება) და სექსუალურ ანომიას (რაც გამოწვეულია განქორწინების ინსტიტუტის შემოღებითა და ფართო გავრცელებით).<sup>39</sup> კაპიტალიზმის განვითარების შედეგად დამკვიდრებული ტექნოლოგიური, ურბანული და ინდუსტრიული ცვლილებები განაპირობებენ მოსახლეობის მომხმარებლური ინტერესების სისტემატურ, არაპროპორციულ, პათოლოგიურ ზრდას, რაც სოციალური მიზნების განუსაზღვრელობას, უსაზღვრო მისწრაფებების ჩამოყალიბებას განაპირობებს. საზოგადოების კომოდიზაცია, ეკონომიკური პროგრესის პარალელურად, საფუძველს უყრის მზარდი მომხმარებლური ინტერესების ჩამოყალიბებას, რომელთა ლიმიტირება სულ უფრო შეუძლებელი ხდება. ინდივიდები, რომლებიც

<sup>36</sup> Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 201.

<sup>37</sup> Durkheim, Émile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 239.

<sup>38</sup> დიურკემი ამ შემთხვევაში ფატალისტური თვითმკვლელობის კატეგორიას იყენებს ანომიური თვითმკვლელობის შინაარსობრივად საპირისპირო ფორმად, ისევე როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსი აქვს ეკონომიკურ და ალტერნატიულ თვითმკვლელობებს. ზოგადად ფატალიზმისა და თვითმკვლელობისათვის მისი მიმართების შესახებ დიურკემის შემოქმედებაში, იხილეთ: Acevedo, Gabriel A.: "Turing Anomie on its Head: Fatalism as Durkheim's Concealed and Multidimensional Alienation Theory", *Sociological Theory*, Vol. 23 (1), 2005: 75-85, 77.

<sup>39</sup> Marks, Stephen R.: "Durkheim's Theory of Anomie", *The American Journal of Sociology*, Vol. 80 (2), 1974: 329-363, 331; Besnard, Philippe: "Anomie", in Smelser N. J. and Baltans P. B. (eds.): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Volume 1, Amsterdam: Elsevier, 2001: 510-512, 511.



დეზორიენტირებულნი არიან სოციალური მიზნების იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, ექცევიან გაუცხოების, დეზორგანიზაციისა და სოციალური ინტეგრაციის მოშლის წინაშე ქვეშ. ეს კი საზოგადოებაში აყალიბებს ანომიურ სიტუაციას, რადგან აღარ არსებობს განსაზღვრული სტანდარტები, ნორმები, რომლებიც აუცილებელია სოციალური მოქმედებების კოორდინირებისათვის. რამდენადაც ანომია გვექვლინება თანამედროვე სამყაროში თვითმკვლელობათა გახშირების ერთ-ერთ მიზეზად, ამიტომ აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.<sup>40</sup> დიურკემის თანახმად, “ანომია აღმოცენდება საზოგადოების კონკრეტულ სექტორში კოლექტიური ძალების სისტემის ნაკლებობის შემთხვევაში; იგულისხმება ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც შექმნილია საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისთვის”.<sup>41</sup> აქედან გამომდინარე, სწორედ საზოგადოების რაციონალური, ემპირიანი რეგულირების მექანიზმთა განმტკიცება წარმოადგენს ანომიისაგან თავის დაღწევის საშუალებას.<sup>42</sup>

### §3. ანომიის ამერიკანიზაცია

ანომიის თეორიამ, ისევე, როგორც დიურკემისეულმა მრავალმა ორიგინალურმა კონცეფციამ, ფართო რეცეფცია და, მასთან ერთად, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ანომიის თეორიის დამუშავება აშშ-ში გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყო, რაც ძირითადად პარკერდის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.<sup>43</sup> ანომიის კონცეფციის ანალიზსა და მის ტრანსპლანტაციას ამერიკულ სოციოლოგიურ დისკუსიებში დიდი ყურადღება დაუთმო პარკერდის სოციოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა, ტოლკოტ პარსონსმა, მეტადრე 1937 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – *სოციალური მოქმედების სტრუქტურა*.<sup>44</sup>

<sup>40</sup> თანამედროვე კონტექსტში თვითმკვლელობის ანალიზისათვის დიურკემის ანომიის თეორიის უმაღლესი შემოწმებისა და კრიტიკის შესახებ, იხილეთ: Hamlin, Synthia Lins and Brym, Robert J.: “The Return of the Native: A Cultural and Social-Psychological Critique of Durkheim’s *Suicide* Based on the Guarani-Kaiowa of Southwestern Brazil”, *Sociological Theory*, Vol. 24 (1), 2006: 42-57. აუტორები იკვლევენ სამხრეთ-დასავლეთ ბრაზილიის პრიმიტიულ საზოგადოებას, რომელიც ხასიათდება თვითმკვლელობათა სიკვდილად და ასევე, რომ დიურკემის თეორია რამდენიმე მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს. სკოტულ ზარეზოთა დაძლევა, ავტორთა მტკიცებით, შესაძლებელია, თუ თვითმკვლელობათა ანალიზისა გაკეთდება კავშირი სოციალურ პირობებს, კულტურულ წარმოადგენებსა და ფსიქოლოგიებს და ასევე – ინდივიდუალურ მდგომარეობას კონკრეტულად, საზოგადოებაში თვითმკვლელობის ფაქტთა გახშირების ანალიზისათვის, აუცილებელია სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება.

<sup>41</sup> Durkheim, Emile: *Suicide. A Study in Sociology* (translated by John A. Spaulding and George Simpson), London: Routledge, 2005: 350.

<sup>42</sup> დიურკემისეული ანომიის კონცეფცია და თვითმკვლელობის ურთიერთმომართობის შემდგომი დამუშავების თვალსაზრისით, საინტერესოა გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც თვითმკვლელობის მიზეზს წარმოადგენს უშუალოდ პიროვნების სტატუსი, მისი სოციალური მდგომარეობა, ადგილი და როლი საზოგადოებაში. იხილეთ: Powell, Elwin H.: “Occupation, Status, and Suicide: Toward a Redefinition of Anomie”, *American Sociological Review*, Vol. 23 (2), 1958: 131-139, 132.

<sup>43</sup> იხილეთ, მაგალითად: Mayo, Elton: *The Human Problems of the Industrial Civilization*, New York: Macmillan, 1933. მოცემულ ნაშრომში ანომიის კონცეფცია ფაქტობრივად პირველად გამოყენებული ამერიკულ სოციოლოგიაში, როგორც კონკრეტული მნიშვნელობის სოციოლოგიური ცნება. ნაშრომში ანომიის ცნება გამოყენებულია სოციალური დეზორგანიზაციის შინაარსით.

<sup>44</sup> Parsons, Talcott: *The Structure of Social Action. A Study in Social Theory with Special Reference to a Group of Recent European Writers*, 5<sup>th</sup> Printing, New York: The Free Press, 1967. მოცემული პერიოდისთვის, შეერთებულ შტატებში, სადაც არასახელი მასშტაბებით ვითარდებოდა სოციოლოგია, შეიქმნა საკმაოდ დიდი კონკურენცია სოციოლოგიის სხვადასხვა ცენტრის შორის, რამაც განაპირობა ახალი სოციოლოგიური მიმართულების და კონცეფციების დამუშავების აუცილებლობა. პარკერდის სოციოლოგიურმა სკოლამ განახლებული და განვითარების საფუძვლად გამოიყენა კლასიკური ევროპული სოციოლოგიის ფუძემდებელთა, მათ შორის დიურკემის, ნაშრომები და მოცემულ ნაშრომებში განვითარებული მნიშვნელოვანი კონცეფციები, ბუნებრივია – ანომიის თეორიაც. ერთგვარი “ზრმოლა პირველობისთვის” შეიკრიბებოდა შეერთებული შტატების სამ სოციოლოგიურ სკოლას – პარკერდის, კოლუმბიისა და ჩიკაგოს სოციოლოგიურ ცენტრებს – შორის. დიურკემის ნაშრომთა თარგმანს ძირითადად უზრუნველყოფდა კოლუმბიის უნივერსიტეტი. პარკერდის სოციოლოგიური სკოლა იმითაც გამოიხატა კონკურენტ სოციოლოგიურ ცენტრებს, რომ იყენებდა ანომიის ფრანგულ ორიგინალს – *anomie*, თუმცა თავად დიურკემის ნაშრომების მთარგმნელებმა მიახლოეს მოცემული ტერმინის “ორთავიანი ამერიკანიზაცია” –

პარსონსის ეს ფუნდამენტური ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლების, ევროპელი მეცნიერების – *პარტოს, დიურკემის* და *კებერის* – ძირითადი შრომების ანალიზსა და პოპულარიზებას შეერთებულ შტატებში. ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ემთხვევა უშუალოდ დიურკემის სოციოლოგიის ანალიზს. პარსონსი თანმიმდევრულად მიმოიხილავს დიურკემის ძირითად ნაშრომებში განვითარებულ მოსაზრებებს, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს თავად ანომიის ცნებას და მისი კონცეფციების ანალიზს “სოციალური შრომის დანაწილებასა” და “თვითმკვლავლობაში”. პარსონსის თანახმად, სოციალური ჯგუფის წევრთა ქცევაში დამოკიდებულება საზოგადოედ დაამკვიდრებული ნორმატიული სტრუქტურის არსებობაზე და აღჭურვილია მორალური ძალაუფლებითა და სუბორდინაციის ძალით. საზოგადოების ნორმატიული სტრუქტურა მნიშვნელოვანდ ზღუდავს ინდივიდუალურ, არაკონვენციურ ქცევებს – იგი არამარტო უზრაოდ არეგულირებს კონკრეტული მიზნის მისაღწევი საშუალებების არჩევას ინდივიდის მიერ, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და აყალიბებს ინდივიდის მიზნებსა და სურვილებს. პარსონსი დაასკვნის: “როდესაც მაკონტროლებელი ნორმატიული სტრუქტურა მოშლილია და დეზორგანიზებულია, ინდივიდუალური ქცევა ქაოტური და დეზორგანიზებული ხდება – ინდივიდი იკარგება უაზრო მოქმედებათა სიცარიელეში. ანომია წარმოადგენს დეზორგანიზების სწორედ იმ მდგომარეობას, როდესაც დარღვეულია ინდივიდუალური ქცევების ნორმათა მოქმედების ძალა. მისი უკიდურესი გამოხატულებაა “წმინდა ინდივიდუალიზმი”, რომელიც დიურკემისთვის, ისევე, როგორც ჰობსისთვის, წარმოადგენს “ყველას ბრძოლას ყველას წინააღმდეგ”. კოორდინირება და წინააღმდეგობა *ანომიის* მდგომარეობისადმი იქნებოდა “სრულყოფილი ინტერაცია”, რაც ორ პირობას მოიცავს – ნორმატიულ ექვემდებარებას ერთობლივად, რომელიც მართებს ქცევებს საზოგადოებაში, უნდა ჩამოაყალიბოს თანმიმდევრული სისტემა და მისი კონსტრუქციული ინდივიდებზე უნდა იყოს ეფექტიანი – იგი უნდა უზრუნველყოფდეს მისდამი დამორჩილებას.”<sup>45</sup>

მოგვიანებით, *სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიაში*, სტატიაში, რომელიც ეძღვნება დიურკემს, პარსონსი აღნიშნავს: “ანომია იქცა ერთ-ერთ ცნებად იმ მცირერიცხოვან, ჭეშმარიტად სოციოლოგიურ კონცეფციათაგან, რომლებიც ცენტრალური მნიშვნელობისაა თანამედროვე სოციალური მეცნიერებისთვის.”<sup>46</sup>

აღბათ ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ამერიკელმა სოციოლოგმა, ტოლკოტ პარსონსმა, წარმატებით მოახერხა ანომიის თეორიის ადაპტაცია და წარდგინება შეერთებულ შტატებში, რამაც თეორიის შემდგომი განვითარება და რეფორმულირება განაპირობა. პარსონსის შემდეგ, 1938 წელს *რობერტ კინგ მერტონის* მიერ *ამერიკის სოციოლოგიურ მიმოხილვაში* გამოქვეყნებული ნაშრომი იქცა შეერთებულ შტატებში ანომიის თეორიის სამუდამო დამკვიდრებისა და შემდგომი დამუშავების ათელის წერტილად.<sup>47</sup> თუმცა,

anomy. პარეადრის სკოლის წარმადგენელთა მოცემული გადწვევებილება “სტრატეგიულ არჩევად” იქნა მიჩნეული, რითაც მათ სურდაც ინტელექტუალური კავშირების შენარჩუნება სოციოლოგიის ევროპულ ფუძემდებლებთან. ინგლისურენოვან სოციოლოგიურ ლიტერატურაშიც, მოუხდავად უშუალოდ დიურკემის ტექსტების თარგმანებში ამერიკანული ორთოგრაფიის (anomy) გამოყენებისა, დამკვიდრდა ანომიის სწორედ ფრანგული ორთოგრაფია (anomie).

<sup>45</sup> Parsons, Talcott. *The Structure of Social Action. A Study in Social Theory with Special Reference to a Group of Recent European Writers*, 5<sup>th</sup> Printing, New York: The Free Press, 1967: 377.

<sup>46</sup> Parsons, Talcott: “Durkheim, Emile”, in Sills, David L. (ed.): *International Encyclopedia of the Social Sciences*, Vol. 4, New York: MacMillan, 1968: 311-320, 316.

<sup>47</sup> Merton, Robert K.: “Social Structure and Anomie”, *American Sociological Review*, Vol. 3 (5), 1938: 672-682. მოცემული ნაშრომი, რომელიც ტონის მიმკმ ტექსტად იქცა გასული საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკულ სოციოლოგიასა და კრიმინოლოგიაში და დღემდე სარგებლობს დიდი პოპულარობით, ნაწილობრივ სახეცვლილი და გადამუშავებული სახით შევდა მერტონის წიგნში მეოთხე თავად: Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959. მოცემულ წიგნში შესულ ნაშრომს, გაგრძელების სახით, მეხუთე თავად დაეძგრა მერტონის ახალი ტექსტი ანომიის შესახებ: “Continuities in the Theory of Social Structure”, 161-194. წინამდებარე ნაშრომში ციტირებისათვის გამოყენებულია მერტონის მოცემული გამოკვლევის ორივე ვარიანტი.

ანომიის რევორმულიზაციისას, მერტონმა ძირითადი აქცენტი დევიაციურ ქცევათა განვითარების ახსნაზე გააკეთა, რითაც განსაზღვრა კიდევ ანომიის კონცეფციის დაამკვიდრება თანამედროვე კრიმინოლოგიაში.<sup>48</sup>

ნაშრომში “სოციალური სტრუქტურა და ანომია” მერტონი არ ახდენს ანომიის კონცეფციის ზუსტ დეფინიციას. თუმცა, მერტონის ნაზრევის ანალიზი საფუძველს იძლევა განიმარტოს მისეული ანომიის ცნება, როგორც წინააღმდეგობა კულტურის მიერ განსაზღვრულ სოციალურ მიზნებსა და მოცემული მიზნების მისაღწევად არსებულ ლეგიტიმურ საშუალებებს შორის. ნებისმიერ საზოგადოებაში, კულტურისა და სოციალური ნორმების საფუძველზე, ყალიბდება განსაზღვრული სოციალური მიზნებისა და ფასეულობების სისტემა, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება დადგენილი, ლეგიტიმური საშუალებები. როდესაც ინდივიდები ვეღარ ახერხებენ არსებული საშუალებებით ცალკეული სოციალური მიზნის მიღწევას, ხდება საზოგადოებრივად დადგენილი, ლეგიტიმირებული საშუალებების უგულებელყოფა, და მათგან გადახვევით, კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის ალტერნატიული საშუალებების (მათ შორის კანონის დარღვევის) გამოყენება, რაც განაპირობებს საზოგადოებაში ანომიის მდგომარეობის დამკვიდრებას. მერტონი ანომიის მიზეზს უშუალოდ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ხედავს და პირდაპირ უკავშირებს მას დევიაციური მოქმედებების, დანაშაულობის გენეზისს.<sup>49</sup>

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ზოგადად მიღებულია სოციოლოგიურ თეორიათა დაჯგუფება შემდეგი სამი ძირითადი მიმართულების მიხედვით – დაძაბულობის კულტურული დევიაციისა და სოციალური კონტროლის თეორიებად.<sup>50</sup> დაძაბულობის თეორიის (Strain Theory) თანახმად, საზოგადოების წევრები ესწრაფვიან საყოველთაოდ დადგენილ კულტურულ ფასეულობებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური წარმატების პრინციპი. რამდენადაც ეკონომიკური წარმატება დაბალი ფენის საზოგადოებებში საკმაოდ რთული მისაღწევაა, ეს იწვევს სოციალური დაძაბულობის სიტუაციას და ხდება საზოგადოებაში დანაშაულობის გენეზისის მიზევი. მერტონის თეორია სწორედ დაძაბულობის ზოგადი თეორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მერტონის თეორიაში მოცემულია ორი უმთავრესი მაჩვენებელი, რომელსაც

<sup>48</sup> მერტონმა ვერ კიდევ 1934 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც მიუძღვნა ღიურკემის “სოციალური შრომის დანაწილების” ანალიზს. ნაშრომში მერტონი აკრიტიკებს ღიურკემისეულ დიფერენცირებას მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას შორის და მოცემული დიფერენცირების შესაბამისად სამართლის ტიპოლოგიას რეპრესულ და რესტიტუციულ ფორმებად. მერტონის თანახმად, ორგანული სოლიდარობა შეიძლება ეფუძნებოდეს წევრების თორმებს და სულაც არ იყოს საჭირო ოფიციალური კრიმინოლოგიური რეგულირების გამოყენება. ასევე, თანამედროვე საზოგადოებებში, სადაც ვერ კიდევ მძლავრია მექანიკური სოლიდარობა, შეიძლება საერთოდ იგნორირებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი რეგულირების ფორმები. იხილეთ: Merton, Robert K.: “Durkheim’s Division of Labor in Society”, *American Journal of Sociology*, Vol. 40 (3), 1934: 319-328, 327. მოცემულ ნაშრომში მერტონი ორჯერ ასხენებს ანომიას, თუმცა თავს იკავებს მოცემული ცნების ანალიზისგან.

<sup>49</sup> სახტრესოა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილი სტატია ანომიის შესახებ, რომლის ავტორია მინდია უგრუხელიძე. სტატიაში აღინიშნულია: “ანტი-სოციალური პროცესების ახსნას ანომიის თეორიის მიმდევრები ლამობენ საზოგადოების “კულტურული სტრუქტურის” სოციოლოგიური ანალიზით: მათი აზრით, ყოველი საზოგადოების “კულტურული სტრუქტურა” შეიცავს სხვადასხვა ელემენტებს, რომელთაგან განმსაზღვრელია ამ საზოგადოებაში გაბატონებული მისწრაფებანი და მათი რეალიზაციის შესაძლებელი საშუალებანი (ე. წ. “ინსტიტუციური ნორმები”); და როცა სხენებულ მისწრაფებათა რეალიზაცია ამ საშუალებებით ვეღარ ხერხდება, ანომია წარმოიშობა. იგი მოსწავებს საზოგადოების “სოციალურ-კულტურულ” რუკვას, რომლის კლემინაციაა რეკოლუცია, სამოქალაქო ომი. ანომიის დროს პიროვნებისათვის გაუფასურებულია საზოგადოებრივი ღირებულებანი, მას იკაროს ტინიზმი, გარეულობის, სხვა ინტერესების უგულებელყოფის განწყობილება. ეს კი ნიღაღს უქმნის დანაშაულობას, რაც ანომიის ერთ-ერთი მაჩვენებელია...” იხილეთ: უგრუხელიძე მინდია: “ანომია”, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტომი 1, თბილისი, 1975: 470. მოცემულ სტატიაში ანომიის თეორია, ბუნებრივია, კრიტიკულადაა შეფასებული, იგრძნობა ის ზოგადი სექტციზმი, რომლისაც განმსჭვალული იყო საბჭოური იდეოლოგია “ბურჟუაზიული” მეცნიერების თეორიული თუ პრაქტიკული ინიციაციების მიმართ, თუმცა 1975 წელს მოცემული თეორიის შესახებ მნიშვნელოვანი, უაღრესად საინტერესო და იმ პერიოდისათვის ერთობ “უცნაური” ინფორმაციის მოწოდება “უცოდებელი იდეოლოგიური კრიტიკის” გარეშე ალბათ შეუძლებელიც იყო.

<sup>50</sup> Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *An Introduction to Criminology and Criminal Justice System*, New York: McCraw-Hill, 2003: 116.

ეფუძნება ყოველი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა – კულტურის ნორმების მიერ განსაზღვრული ფასეულობების, სოციალური მიზნების სისტემა და მოცემულ მიზანთა მიღწევის ინსტიტუციონალიზებული, დადგენილი საშუალებები. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი განსხვავებული შესაძლებლობებითაა აღჭურვილი კონკრეტული მიზნების მისაღწევად, რაც საზოგადოების დიფერენცირების იწვევს. ადამიანები ცდილობენ გამოებონონ *სოციალური ადაპტაციის* შესაბამისი ფორმები, რათა მიადგინონ დასახულ მიზნებს. სოციალური მიზნების მიღწევადობა განსაზღვრავს სოციალური ადაპტაციის დიფერენცირებული ფორმების ჩამოყალიბებას. მერტონი განასხვავებს სოციალური ადაპტაციის შემდეგ სახეებს – *კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, უაქცეზო* და *წინააღმდეგობა* (Conformity, Innovation, Ritualism, Retreatism and Rebellion), რომელთაგან თითოეული განსხვავებულ დამოკიდებულებაშია კულტურულ მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის ინსტიტუციონალიზებულ საშუალებებთან მიმართებაში. სწორედ ეს განსხვავებანი განსაზღვრავენ საზოგადოების კონკრეტულ ნაწილში დანაშაულობის დინამიკის ინდივიდუალურ ინტენსივობას. მოცემულ შემთხვევებებს კი განაპირობებს უშუალოდ ინდივიდთა დამოკიდებულება, მათი მიმართება საზოგადოების კულტურული სტრუქტურის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სოციალურ მიზნებსა და მოცემულ მიზანთა მიღწევის ნებდართულ საშუალებებს შორის. თუმცა, მერტონის თანახმად, ინდივიდებს შეუძლიათ ინდივიდუალური სოციალური ადაპტაციის კონკრეტული ფორმის შეცვლა, თუ ისინი შეცვლიან საკუთარ დამოკიდებულებებს მიზნებსა და/ან საშუალებებთან მიმართებაში, რაც ინდივიდთა სოციალურ მოქმედებებზეა დამოკიდებული.<sup>51</sup>

*კონფორმიზმი*,<sup>52</sup> მერტონის თანახმად, წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის იმ სახეს, რომლის დროსაც ინდივიდებისთვის საზოგადოებაში დადგენილი კულტურული მიზნების მიღწევა შესაძლებელია არსებული, ინსტიტუციონალიზებული საშუალებებით. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მისაღება რეგორც კონკრეტული სოციალური მიზნები, ასევე ამ მიზანთა მიღწევის ლეგალური საშუალებანი. ამდენად, სტაბილურ საზოგადოებაში კონფორმიზმი წარადგენს სოციალური ადაპტაციის ყველაზე ჩვეულ სახეს. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა სწორედ მიზნებსა და საშუალებების ურთიერთშეთავსიანობით ახდენს კონკრეტულ სოციალურ მოქმედებათა ინიცირებას, რაც კანონმორჩილებას და დანაშაულობის დაბალ დონეს განაპირობებს. ინდივიდების პროდუქტიული მოღვაწეობა და ზოგადად, აქტიური სოციალური ცხოვრება, გააგიჟებულია საზოგადოების კულტურული სტრუქტურით განსაზღვრული მიზნების მიღწევასთან, რასაც ისინი წარმატებით ახერხებენ, მათ ხელთ არსებული, ლეგალური საშუალებებით.

*ინოვაცია*<sup>53</sup> განეწოდება სოციალური ადაპტაციის იმ ფორმას, რომლის დროსაც ინდივიდისთვის მისაღება სოციალური მიზნების სისტემა, თუმცა არა მოცემული მიზნების მიღწევის საშუალებები. ამის საფუძველზე, ინდივიდები ვერ ან არ ახდენენ ინსტიტუციური ნორმების ინტერნალიზაციას და ეძებენ ახალ საშუალებებს საზოგადოებაში დამკვიდრებული მიზნების მისაღწევად, რაც ძირითადად კანონის უგულვებელყოფასა და დევიაციური ქცევის ჩადენაში გამოიხატება. ამტორმაც, სოციალური ადაპტაციის სხვა სახეებთან შედარებით, ინოვაცია ყველაზე მეტადაა ასოცირებული კრიმინალურ ქმედებებთან. ინოვაცია ძირითადად დანახასიათებელია საზოგადოების დაბალი ფენისათვის, სადაც ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო, საკმაოდ რთულია კონკრეტული სოციალური მიზნების მიღწევა, რაც საზოგადოებაში წარმატების ძირითადი ნიშანია, სოციალურ წარმატებას კი საზოგადოების ნებისმიერი წევრი ეწვრათვის.

*რიტუალიზმი*<sup>54</sup>, როგორც სოციალური ადაპტაციის დამოუკიდებელი სახე, ყალიბდება მაშინ, როდესაც ინდივიდები, კანონის პატივისცემისა და ინსტიტუციური საშუალებების დაცვის უზრუნველსაყოფად, უარს ამბობენ კონკრეტულ სოციალურ მიზნებზე. ამდენად, სოციალური ადაპტაციის მოცემული სახის განხორციელების დროს, ინდივიდთათვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოების ნორმატიული სისტემის ინტერნალიზაცია, ვიდრე

<sup>51</sup> Merton, Robert K.: "Social Structure and Anomie", *American Sociological Review*, Vol. 3 (5), 1938: 672-682: 676.  
<sup>52</sup> Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 141.  
<sup>53</sup> Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 141.  
<sup>54</sup> Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 149.

კონკრეტული მიზნების მიღწევა, რაც ლეგიტიმური საშუალებებით საკმაოდ რთულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, როგორც სოციალური ადაპტაციის სახე, ძირითადად ახასიათებთ კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფებს მათში მოქმედი ნორმატიული წესრიგის განმტკიცების სახით, ეკლესიის მსახურთ, განსაკუთრებული მისიის ორგანიზაციებს თუ გაერთიანებებს, რომლებშიაც ინსტიტუციური ნორმების დაცვასა და ნორმატიული რიტუალების აღსრულებას, და ამდენად – კანონის პატივისცემას, ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა კონკრეტული სოციალური ჯგუფის შინაგანი სტაბილურობისა და იდენტობის შენარჩუნებისათვის.

*უკუქცევა*<sup>55</sup> წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ხდება როგორც სოციალური მიზნების, ასევე მოცემულ მიზანთა მიღწევის ინსტიტუციური საშუალებების უტოლებელყოფა. უკუქცევის, სოციალურ ცხოვრებაში “უკან დახევის” დროს ინდივიდისთვის კულტურით განპირობებულ მიზანთა სისტემას არ აქვს არანაირი ფასეულობა, მისთვის მიუღებელია სოციალური წარმატების მიღწევის დადგენილი ფორმები. უკუქცევა განაპირობებს ინდივიდთა *ასოციალიზაციას*, არაპროდუქტიულ სოციალურ ცხოვრებას. ამიტომაც სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც, ნებისთი თუ უნებმიერ, რეგებიან აქტიური საზოგადოების გარეთ: ნარკომანები, ალკოჰოლიზმით დაავადებულები, ქრონიკული აუტისტები, ვანდომილები, უსახლკარონი, მათხოვრები, მოხეტიალენი, ოკულტური რელიგიის წარმომადგენლები. მოცემულ ჯგუფთა წარმომადგენლებისთვის მნიშვნელობას კარგავს საზოგადოებრივი აქტიობა, კონკრეტული სოციალური მიზნების მიღწევა და შესაბამისად – ინსტიტუციური ნორმების გამოყენება, რის საფუძველსაც ისინი თვითხოვლაცის მიმართავენ და უნუგეშო აპათიის მდგომარეობაში ექცევიან.

*წინააღმდეგობა*<sup>56</sup> განეკუთვნება სოციალური ადაპტაციის იმ სახეს, რომელიც ყალიბდება ინდივიდთა ორმხრივი დამოკიდებულების შედეგად სოციალურ მიზნებსა და ინსტიტუციურ საშუალებებთან მიმართებაში. საზოგადოების გარკვეულ წევრებს არ აკმაყოფილებს არც სოციალურად დამკვიდრებული ფასეულობებისა თუ მიზნების სისტემა და არც მათი მიღწევის ლეგიტიმური საშუალებები, რის გამოც ცდილობს სოციალური სტრუქტურის ახალი, ალტერნატიული მოდელის შექმნას. ამდენად, სოციალური წინააღმდეგობის საფუძველზე, კონკრეტული სოციალური ჯგუფები აყალიბებენ მიზნებისა და საშუალებების ალტერნატიულ სისტემას, რისი მიზანიცაა არსებული სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია. სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის პროპაგანდისტები არიან სხვადასხვა რეოლუციური თუ საპროტესტო მოძრაობების წარმომადგენლები, რომლებიც ქადაგებენ რადიკალური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცვლილებების აუცილებლობას და სექსტიკურად ეკიდებიან როგორც დამკვიდრებულ ფასეულობებს, ასევე საზოგადოების ნორმატიულ სისტემასაც.

ამდენად, მერტონის სქემის თანახმად, რომელიც მოცემულია წინამდებარე ცხრილის მეშვეობით,<sup>57</sup> სოციალური ადაპტაციის ისეთი ფორმები, როგორცაა ინოვაცია, რიტუალიზმი, უკუქცევა და წინააღმდეგობა, წარმოადგენენ დევიაციურ ქცევათა გენერირების მნიშვნელოვან ფაქტორს, მაშინ, როდესაც კონფორმიზმი ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმატიული სისტემის დაცვასა და ინდივიდის ჩაბმას აქტიურ სოციალურ ცხოვრებაში. კულტურული ფასეულობების გენერალიზების შედეგად ჩამოყალიბებულ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობის მიზეზთა იდენტიფიკაციისათვის. მერტონის მტკიცებით, სტაბილურ საზოგადოებებში ხდება მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების დაბალანსება და ინტეგრირება, ხოლო თუ საკმაოდ დიდია ზღვარი სოციალური სისტემის

<sup>55</sup> Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 153.  
<sup>56</sup> Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 155.  
სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმა – წინააღმდეგობა (Rebellion) ქართულად შეიძლება ასევე ითარგმნოს, როგორც პროტესტი, აჯანყება, აჯანყობა.  
<sup>57</sup> Merton, Robert K.: “Social Structure and Anomie”, *American Sociological Review*, Vol. 3 (5), 1938: 672-682: 676; Merton, Robert K.: *Social Theory and Social Structure*, Enlarged Edition, Glencoe: Free Press, 1959: 140.

მოცემულ ორ ელემენტს შორის, ვითარდება სოციალური დაძაბულობა, რაც საზოგადოებაში ანომიასა და შესაბამისად – დანაშაულობის ზრდას იწვევს.

სოციალური ადაპტაციის სახეები	კულტურული მიზნები	დადგენილი საშუალებები
1. კონფორმიზმი	+	+
2. ინოვაცია	+	-
3. რიტუალიზმი	-	+
4. უკუქცევა	-	-
5. წინააღმდეგობა	±	±

თავის გვიანდელ ნაშრომში მერტონი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან *სოციალური* (anomie) და *ინდივიდუალური* (anomia) ანომიის ფორმებს. მერტონის თანახმად, ინდივიდის ანომიური მდგომარეობის მიმართება სოციალური სისტემის ანომიურობასთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს და თავისებურად განსაზღვრავს დევიაციის დონეს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.<sup>58</sup> გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომლის თანახმადაც ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მერტონისეული ორი დამოუკიდებელი – *დაძაბულობისა* და *ანომიის* – თეორია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული დაძაბულობა ანომიისა და დანაშაულობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ანომია და სოციალური დაძაბულობა განსხვავებული მოვლენებია, შესაბამისად, მოცემული მოვლენების ამსახველი თეორიებიც დამოუკიდებელ პერსპექტივებს წარმოადგენენ.<sup>59</sup>

მერტონის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ცნებას. სოციალურ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებას, მერტონის თანახმად, განაპირობებს უშუალოდ კულტურა. ამიტომაც, მერტონი მოცემულ ფასეულობებს “კულტურულ მიზნებს” (Culture Goals) უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ თეორიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას, როგორც სოციალური მიზნების იდენტიფიკაციის ძირითად სისტემას, მერტონი ყურადღებას არ აქცევს მას, როგორც სოციალურ მოქმედებათა წარმმართველ ფაქტორს, რისი მეშვეობითაც, საზოგადოების სხვადასხვა სექტორში, ინდივიდუალური კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, ყალიბდება სოციალურ მოქმედებათა განსხვავებული სისტემები, საზოგადოებასთან ურთიერთქმედების თავისებური მექანიზმები, რაც განსხვავებულ ხასიათს ღებულობს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფში. ამდენად, კულტურა, ერთი მხრივ აყალიბებს სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ მეორე მხრივ, განსაზღვრავს ინდივიდუალურ სოციალურ მოქმედებათა შინაარსსა და ფორმას. მერტონი იყენებს *მაკროკულტურის* კონცეფციას, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ფასეულობათა ზოგად სისტემას, თუმცა მას ყურადღების გარეშე რჩება *მაკროკულტურული* ზეგავლენის ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ინდივიდთა სოციალური ადაპტაციის, სოციალურ მოქმედებათა გენერირებისა და საზოგადოებრივ ფასეულობებთან კონკრეტული ინდივიდისა თუ სოციალური ჯგუფის მიმართების პროცესებზე. *კულტურა განსაზღვრავს საზოგადოების ფასეულობათა, სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ ამავე დროს მოცემული სისტემისადმი ინდივიდთა მიმართებასაც.* სწორედ ამითი უნდა აიხსნას ის პარადოქსული სიტუაცია, როდესაც ერთი კონკრეტული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ესწრაფვიან იდენტურ კულტურულ მიზნებს და გააჩნიათ მოცემული მიზნების მიღწევის იდენტური საშუალებები, შეიძლება ასოცირებულნი იყვნენ მერტონისეული სოციალური ადაპტაციის ხუთივე ფორმასთან (კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი,

<sup>58</sup> Merton, Robert K.: “Anomie, Anomia, and Social Interaction: Contexts of Deviant Behavior”, in Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966: 213-242: 230. თავად მერტონის მტკიცებით, ინდივიდუალური ანომიის (anomia) იდეა პირველად დამუშავებულია ნაშრომში: Srole, Leo: “Social Integration and Certain Corollaries: An Explanatory Study”, *American Sociological Review*, Vol. 21 (6), 1956: 709-716.

<sup>59</sup> Featherstone, Richard and Deflem, Mathieu: “Anomie and Strain: Context and Consequences of Merton's Two Theories”, *Sociological Inquiry*, Vol. 73 (4), 2003: 471-489.

უპუქცევია, წინააღმდეგობა). ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კონკრეტულმა ადამიანმა, სხვადასხვა ეტაპზე, შეიძლება თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს სოციალური ადაპტაციის სხვა, ახალ ფორმასთან. აქედან გამომდინარე, სწორედ ინდივიდუალური კულტურული დამოკიდებულებები განაპირობებენ ინდივიდთა მიმართებას ზოგადკულტურული ფასეულობებისადმი.

მერთონის თეორიას მნიშვნელოვანი კრიტიკა ხედა წილად რადიკალური კრიმინოლოგიის სკოლის წარმომადგენლებისაგან, რომელთა მტკიცებითაც მერთონი ახდენს დამნაშავეთა იდენტიფიკაციას მხოლოდ საზოგადოების ქვედა ფენებში, დაბალ კლასში, რადგანაც არსებული სოციალური მიზნებისა და მოცემული მიზნების მიღწევის ლეგალური საშუალებების ინტეგრირება სწორედ დაბალი კლასის პრობლემაა. ამის გამო კი, მოცემული თეორიის მეშვეობით, შეუძლებელი ხდება საზოგადოების წარმატებულ ფენებში დამნაშავეთა იდენტიფიცირება. დღესდღეობით დანაშაულობა საქმოდ გაგრძელებული ფენომენია საზოგადოების ელიტარულ, წარმატებულ ნაწილში, ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთა წრეშიც, რაც საგანგებო ტერმინითაც აღინიშნება – “თეთრსაყელიანი დანაშაულობა” (White-Collar Crime),<sup>60</sup> თუმცა მერთონის თეორია საზოგადოების მოცემულ ფენაში დამნაშავეთა იდენტიფიკაციის ნაკლებ შანის იძლევა. მერთონის თეორია გააკრიტიკეს სუბკულტურათა თეორიის პერსპექტივიდანაც, რომლის მიხედვითაც არ არსებობს უნიფიცირებულ ფასეულობათა, საყოველთაო კულტურულ ღირებულებათა ერთიანი სისტემა. საზოგადოება შედგება მრავალი სოციალური ჯგუფისაგან, რომელსაც საკუთარი, ინდივიდუალური კულტურული ღირებულებანი და მიზნები გააჩნია. მოცემული თეორიის მიხედვით, დანაშაულობას წარმოშობს სწორედ კულტურული განსხვავებანი, ყოველი სუბკულტურის თავისთავადობა და ანტაგონისტური დამოკიდებულება სხვა სუბკულტურასთან, და არა ერთიანი კულტურული მიზნების განსხვავებული მიღწევადობა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში.<sup>61</sup> მერთონი გააკრიტიკეს ასევე სოციალური მიზნების ერთიანი სისტემის ხელოვნური და არა ემპირიული სურათის შექმნის გამო. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ემპირიული თვალსაზრისით სოციალური მიზნის სტრუქტურა შედგება ორი ნაწლისაგან – სურვილი (რაც დამოუკიდებელია ინდივიდის სოციალური მდგომარეობისაგან) და მოლოდინი (რასაც განსაზღვრავს ინდივიდის სოციალური მდგომარეობა). საზოგადოების წევრები შესაძლოა იზიარებდნენ საერთო მიზნებს ზოგადი სურვილების დონეზე, რაც გამოიხატება მატერიალური წარმატების თუ სხვადასხვა სოციალური პრივილეგიის მოპოვების სურვილში. თუმცა, საზოგადოების შიგნით არსებობს დიფერენცირებული დამოკიდებულება სურვილებისადმი, რასაც განაპირობებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში დამკვიდრებული მოლოდინების განსხვავებული შინაარსი, კერძოდ კი ის, რომ ინდივიდის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განსაზღვრავს მის სტაბილურ დამოკიდებულებას კონკრეტული სურვილებისადმი, მაშასადამე, უყალიბებს ინდივიდს მისი სოციალური სტატუსის შესაბამის, და არა ზოგად, საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო მიზნების სისტემას.<sup>62</sup>

#### §4. ძირითადი განსხვავებანი ანომიის თეორიის დიურკემისა და მერთონისეულ ვერსიებს შორის

დიურკემისა და მერთონის თეორიებს ბევრი რამ განასხვავებს ერთმანეთისაგან. ეს ბუნებრივია, რამეთუ ანომიის უკვე კლასიკურად ქცეული თეორიების ავტორები განსხვავებულ კულტურულ და ისტორიულ ეპოქებში მოღვაწეობდნენ, რამაც განაპირობა ორი განსხვავებული, ნაწილობრივ საწინააღმდეგო აქცენტების შემცველი თეორიის

<sup>60</sup> “თეთრსაყელიანი დანაშაულობის” ანალიზის შესახებ ანომიის თეორიის პერსპექტივის გამოყენებით, იხილეთ: Waring, Elin / Wisburd, David and Chayet, Ellen: “White-Collar Crime”, in Adler, Freda and Laufer, William S. (eds.): *The Legacy of the Anomie Theory*, New Brunswick: Transaction Publishers, 1995: 207-225.  
<sup>61</sup> Adler, Freda / Mueller, Gerhard O. W. and Laufer, William S.: *An Introduction to Criminology and Criminal Justice System*, New York: McCraw-Hill, 2003: 124.  
<sup>62</sup> Albrecht, Peter-Alexis: *Kriminologie: Eine Grundlegung zum Strafrecht*, München: Verlag C. H. Beck, 2005: 32.

განვიხილოთ.<sup>63</sup> თავად მერტონი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახლოს იცნობდა დიურკემის შემოქმედებას, გახმაურებულ ნაშრომში "სოციალური სტრუქტურა და ანომია" მხოლოდ ერთხელ ახსენებს დიურკემს და საერთო ჯამში სრულიად განსხვავებული მიმართულებით ავითარებს თავის სწავლებას, აძლევს რა მას კონკრეტულ დანიშნულებას, რაც მდგომარეობს საზოგადოებაში დევიაციური ქცევების გენერირების ახსნასა და სოციალური სტრუქტურის ანალიზში. ამ თვალსაზრისით, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მერტონმა მოახდინა დიურკემისეული ანომიის კონცეფციის "დეკუმინიზაცია",<sup>64</sup> რთაც მოცემული სოციალური მდგომარეობა დაუკავშირა საზოგადოების სტრუქტურულ ანალიზს და დააშორა ინდივიდუალურ საწყისებს.

ანომიის მოცემულ ორ თეორიას, უპირველეს ყოვლისა, განახსებავებს მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. დიურკემის თეორიაში, ანომიის მდგომარეობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ძირითადი აქცენტი კეთდება სოციალური მიზნების განუსაზღვრელობასა და მათი ლიმიტირების შეუძლებლობაზე. დიურკემისთვის პრობლემას წარმოადგენს უშუალოდ სოციალური მიზნების არარსებობა, განუსაზღვრელობა, თანამედროვე ადამიანში პათოლოგიური მომხმარებლური ფსიქოლოგიის ზრდა, რაც საბოლოო ჯამში სოციალურ გაუცხოებასა და დესტრუქციულ პროცესებს იწვევს. მერტონის თეორიაში კი პირიქით, კონკრეტულადაა განსაზღვრული სოციალური მიზნების სისტემა, თუმცა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების ცალკეული ფენის წარმომადგენლებს არ აქვთ არსებული, კულტურულად აღმკვიდრებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა ლეგალური, ინსტიტუციონალიზებული საშუალებების მეშვეობით, რის საფუძველზეც ისინი ცდილობენ ალტერნატიული გზების გამოხაზვას, რაც საბოლოო ჯამში დევიაციურ ქცევებს განაპირობებს. ამდენად, მერტონის თანახმად, ანომიას წარმოშობს არა კულტურული მიზნების განუსაზღვრელობა, არამედ თანავადობის არარსებობა სოციალური მოქმედებების მიზნებსა და სასურველ შედეგებს შორის.<sup>65</sup>

დიურკემისთვის ანომია არის ცალსახად არანორმალური, პათოლოგიური ფენომენი, რაც გამოიხატება საზოგადოებრივ შრომის არანორმალურ, ანომიურ დანაწილებასა და სოციალური სტრუქტურის მოშლაში. მერტონისათვის ანომია წარმოადგენს ნორმალურ, თუმცა უარყოფითი შინაარსის მოვლენას, რომლის აღმოცენება მოსალოდნელია ყოველ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, რაც გამოწვეულია უშუალოდ საზოგადოებაში არსებული კულტურული მიზნების მიღწევის განსხვავებული შესაძლებლობებით.<sup>66</sup> ამდენად, მერტონი ანომიის აღმოცენების შესაძლებლობას ხედავს ნებისმიერ საზოგადოებაში, რასაც სოციალური სტრუქტურის განსხვავებული ორგანიზება განაპირობებს. ნებისმიერ საზოგადოებაში, განსხვავებული დონით, ადგილი აქვს ინოვაციური სოციალური ადაპტაციის ფორმის გამოყენებას, რაც დევიაციური ქცევების გენერირებას განაპირობებს.

დიურკემი ანომიის აღმოცენებას უკავშირებს საზოგადოების მხარდ ინდუსტრიალიზაციას, კომერციალიზაციასა და ეკონომიკის სისტემის პროგრესს, რასაც საზოგადოების ორგანიზებაში გაუთვალისწინებელი კორექტივები შეაქვს და იწვევს მოულოდნელ, არაპროგნოზირებად სოციალურ ცვლილებებს. მერტონი კი დევიაციური ქცევების გენერირებას სოციალური წარმატების იდეალში, "ამერიკულ ოცნებაში"<sup>67</sup> ხედავს, რაც

<sup>63</sup> მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ანომიის თეორიების განვითარებამ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში განაპირობა ანომიის ცნების კონცეპტუალური დიფერენციაცია და კლასიკური ანომიის კონცეფციის ანტიანომიის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს: Ritsert, Jürgen: "Die Antinomien des Anomiekonzepts", *Soziale Welt*, Band 20 (2), 1969: 145-162.

<sup>64</sup> Horton, John: "The Dehumanization of Anomie and Alienation: A Problem in the Ideology of Sociology", in *The British Journal of Sociology*, Vol. 15 (4), 1964: 283-300.

<sup>65</sup> Orrù, Marco: *Anomie. History and Meanings*, Boston: Allen & Unwin, 1987: 121.

<sup>66</sup> Passas, Nikos: "Theorising in the Anomie Tradition: Durkheim, Merton and Beyond", in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 25-48, 28.

<sup>67</sup> მერტონის თეორიის ფარგლებში დამუშავებული "ამერიკული ოცნების" და დანაშაულობის ურთიერთმიმართების საკითხის შესახებ, იხილეთ: Rosenfeld, Richard and Messner, Steven F.: "Crime and the American Dream: An



დამკვიდრებული კულტურული მიზნების სახით ზეწოლას ახდენს ინდივიდზე და აიძულებს მას ნებისმიერი ფორმით მიადწიოს საზოგადოებრივ წარმატებას. “ამერიკული ოცნებით” განსაზღვრული წარმატება კი ძირითადად ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მატერიალურ პროგრესში, ძალაუფლების მოხვეჭასა და მაღალი სოციალური მდგომარეობის მოპოებაში გამოიხატება.

დიურკემის თეორიაში ინდივიდი არის უნუგეშო, პასიური არსება, რომელსაც, საზოგადოებრივი დეზორგანიზების პირობებში უჭირს თვითდენტიფიკაცია, იაყროსა და აბათია და თვითიზოლირებისა თუ სოციალური გაუცხოების საბაბით მიმართავს უკიდურეს ზომებს, მათ შორის თვითმკვლელობას. მერტონის თეორიაში ინდივიდი არის აქტიური, მატერიალურ წარმატებას მისწრაფებული არსება, რომელსაც არ აკმაყოფილებს სოციალური მიზნების მიღწევის დადგენილი ფორმები და საკუთარი კეთილდღეობისთვის მიმართავს ალტერნატიულ, მათ შორის დევიაციურ საშუალებებს. დიურკემის თეორიაში ადამიანი ანომიის მსხვერპლია, მერტონის თეორიაში კი ანომიას შეუძლია ადამიანი ანტისოციალურ სუბიექტად, დამნაშავედ ჩამოაყალიბოს.

მოცემულ ორ თეორიას შორის საგრძნობი განსხვავებაა ასევე ნორმებთან მიმართებაშიც: ანომიის დიურკემისეულ ვერსიაში სოციალურ პრობლემას წარმოშობს ნორმათა არარსებობა, განუსაზღვრელობა, ნორმათა უკმარობა, არასაკმარისი და არაეფექტური სამართლებრივი რეგულირება. მერტონის თეორიაში კი ნორმები მოცემული და ინსტიტუციონალიზებულია, არსებობს მათი თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელსაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი (კონფორმისტული სოციალური ადაპტაციის პირობებში) საკმაოდ პროდუქტიულადაც იყენებს. დიურკემის თეორიაში ანომიას წარმოშობს ნორმათა არარსებობა, მერტონის თეორიაში კი – არსებული ნორმების მეშვეობით კულტურული მიზნების მიღწევის განსხვავებული შესაძლებლობები.

მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, დიურკემისა და მერტონის თეორიებს ერთი უმნიშვნელოვანესი მსგავსებაც ახასიათებთ – მოცემული თეორიების მიხედვით, ანომია წარმოადგენს ნეგატიურ სოციალურ ფენომენს, საზოგადოებრივი დეზორგანიზაციისა და დეზორიენტაციის ნიშანს, რასთანაც ბრძოლა აუცილებელია ჯანსაღი სოციალური კვლევისა და საზოგადოებრივი პროგრესის მიღწევისათვის და, რა თქმა უნდა – დევიაციური ქცევების შესწავლისათვის.<sup>68</sup> ორივე თეორიის მიხედვით, ანომიის ძირითადი ნიშანია საზოგადოებაში სოციალური კონტროლის მექანიზმების მოშლა, კონვენციური ნორმებისა და ფაქტულობათა სისტემის შესუსტება და საზოგადოებრივად დამკვიდრებული სტანდარტების რღვევა.<sup>69</sup> “დიურკემის აზრით, დერეგულირება აყალიბებს უსაზღვრო მიზნებს; მერტონის მტკიცებით კი – უსაზღვრო მიზნები იწვევენ დერეგულირებას. შედეგი კი ორივე შემთხვევაში იგივეა: დევიაციის მაღალი დონე.”<sup>70</sup>

განხილული კონცეპტუალური წინააღმდეგობების გამო, თანამედროვე სოციალურ თეორიაში გამოთქმულია ასევე კრიტიკული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ანომიის ცნება წარმოადგენს უბრალო დეკორაციას, რომელსაც არათუ საწინააღმდეგო მნიშვნელობებით, არამედ, ხშირად, კონკრეტული მნიშვნელობის გარეშეც კი, სრულიად “უაზროდ” და უშინაარსოდ იყენებდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>71</sup> ანომიის თეორიის კრიტიკული ანალიზი სწორედ მოცემული კონცეფციის უზომო პოპულარობამ და

Institutional Analyses”, in Adler, Freda and Laufer, William S. (eds.): *The Legacy of the Anomie Theory*, New Brunswick: Transaction Publishers, 1995: 159-181.

<sup>68</sup> უფრო დანერგებით, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, დიურკემისა და მერტონის თეორიებს ურთიერთმიმართების შესახებ; იხილეთ: Ortmann, Rüdiger: *Abweichendes Verhalten und Anomie. Entwicklung und Veränderung abweichendes Verhaltens im Kontext der Anomietheorie von Durkheim und Merton*, Freiburg: Edition Iuscrim, 2000: 106-115.

<sup>69</sup> Passas, Nikos: “Theorising in the Anomie Tradition: Durkheim, Merton and Beyond”, in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 25-48, 30.

<sup>70</sup> Downes, D. and Rock, P.: *Understanding Deviance: A Guide to the Sociology of Crime and Rule-Breaking*, Oxford: Clarendon Press, 1982: 102.

<sup>71</sup> Besnard, Philippe: “The True Nature of Anomie”, *Sociological Theory*, Vol. 6, 1988: 91-95, 91.

სხვადასხვა სოციალური პრობლემის ასახსნელად მისმა ფართო გამოყენებამ განაპირობა, რაც, ანომიის თეორიის კრიტიკოსთა აზრით, ხშირად მისი კონკრეტური თვისებების და დესკრიფციული პოტენციალის გათვალისწინების გარეშე ხდებოდა, და რამაც, ცალკეულ შემთხვევაში, ანომიის კონცეფციის მხოლოდ დეკორაციული მიზნით გამოყენება განაპირობა.<sup>72</sup>

თუმცა, სწორედ სხვადასხვა დისციპლინურ ფარგლებში და განსხვავებული სოციალური მოვლენების ანალიზის მიზნით, ანომიის კონცეფციის წარმატებული გამოყენება უნდა ჩაითვალოს მოცემული თეორიული კონსტრუქციის ძლიერ და არა სუსტ მხარედ. ამას კი დაემატოს სოციალურ პრობლემათა ის ფართო სპექტრი, რომლის ანალიზისათვის, სხვადასხვა სოციალური მეცნიერების ფარგლებში, ანომიის პერსპექტივა პროდუქტიულად იქნა ათვისებული და გამოყენებული აქტუალური ემპირიული თუ თეორიული საკითხების დასამუშავებლად.

## §5. ანომიის თეორიის გავლენა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზე

დიურკემისა და მერტონის თეორიებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიეს თანამედროვე კრიმინოლოგიისა და სამართლის სოციოლოგიის განვითარებაზე. თუმცა, ანომიის თეორიის გავლენა თავდაპირველად განსაკუთრებით საგრძნობი იყო კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მერტონის მიერ ჩამოყალიბებული და მისი მიმდევრების მიერ განვითარებული ანომიის თეორია ერთ-ერთი დომინირებული პერსპექტივა იყო დასავლეთის ქვეყნებში სისხლისამართლებრივი პოლიტიკის მობილიზებისა და დანაშაულობის თავიდან აცილების დონისიძიებების წარმართვისათვის. მაგრამ, უკვე 70-იანი წლებიდან თეორია კარგავს დომინირებულ პოზიციას და ადგილს უთმობს ახალ კრიმინოლოგიურ მიმართულებებს. თუმცა, კრიმინოლოგიაში აქტუალობის დაკარგვასთან ერთად, ანომიის თეორია სულ უფრო პოპულარული ხდება სამართლის სოციოლოგიაში.

უკვე გასული საუკუნის 50-იან წლებში წარმოებს ანომიის “ფსიქოლოგიზირება”, რაც განაპირობა მოცემული ცნების გამოყენებამ ისეთი ინდივიდუალური გრძობების ანალიზისათვის, როგორიცაა დაუცველობა, უნდობლობა, წუხილი. ანომიის ცნების საფუძველზე შემუშავებული ფსიქოლოგიური ცხრილებისა თუ გრაფიკების მეშვეობით ფსიქოლოგები ცდილობდნენ გაეზომათ საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილება და ინდივიდუალური კონტროლის მოშლილობის დონები. ამ მხრივ, ანომიის ფსიქოლოგიური ცნების განვითარებისა და კონკრეტული მაჩვენებლებით მისი გაზომვისათვის ნოვატორული მნიშვნელობა იქონია *ლეო სროლის* მიერ შექმნილმა საგანგებო სკალამ.<sup>73</sup> ამ პერიოდშივე ჩნდება “ანომიური ინდივიდის” კონცეფცია, რომლის თანახმადაც პიროვნების განვითარება საზოგადოებრივი იზოლაციის პირობებში უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მის სოციალიზაციაზე.<sup>74</sup> ფსიქოლოგები ანომიის კონცეფციას სოციოლოგებსაც კი ეცილებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ანომია წარმოადგენს ინდივიდუალურ, ადამიანის შინაგანი არსებისთვის მახასიათებელ ფენომენს, ამდენად, მხოლოდ ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით შეიძლება ინდივიდში ანომიური მდგომარეობის აღმოჩენა და დამარცხება. ანომიის სოციოლოგიური ცნება კი, ფსიქოლოგთა მტკიცებით, დესკრიფციული და კონცეპტუალური სისუსტით გამოირჩევა და ვერ აკმაყოფილებს აუცილებელ თეორიულ თუ ემპირიულ მოთხოვნებს. ინდივიდის

<sup>72</sup> Besnard, Philippe: “The True Nature of Anomie”, *Sociological Theory*, Vol. 6, 1988: 91-95, 94.

<sup>73</sup> Srole, Leo: “Social Integration and Certain Corollaries: An Explanatory Study”, *American Sociological Review*, Vol. 21 (6), 1956: 709-716. *ს როლის* თანახმად, ინდივიდში ანომიური მდგომარეობის წარმოშობას იწვევს მისი წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც: (1) საზოგადოების ლიდერებსა და საჯარო მოხელეებს არ აინტერესებთ ინდივიდის პრობლემები და რეალურად არ იცავენ მის ინტერესებს; (2) სოციალური წესრიგი არის არამყარო და გაურუნდვრელი, ამდენად, რთულია მომავლის პროგნოზირება; (3) წარმოებს უკვე მიღწეული მიზნების უარყოფა, მათგან დისტანცირება; (4) ინტერნალიზებულ სოციალურ ნორმათა სისტემა მოშლილია, რაც სიცოცხლის უაზრობის, უშედეგობის განცდას იწვევს; (5) სოციალურ ურთიერთობებში შეუძლებელია სხვათა მხარდაჭერის მიკუთვნა. იხ. მითითებული ნაშრომი, გვ.: 712-713.

<sup>74</sup> Bell, Wendell: “Anomie, Social Isolation and the Class Structure”, *Sociometry*, Vol. 20 (2), 1957: 105-116, 105.

ანომიური მდგომარეობა წარმოიშება ურთიერთობის, კომუნიკაციის, სოციალური განათლების აკრძალვის შემთხვევაში. თავის მხრივ, აკრძალვა ატარებს ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ ან ფიზიკურ ხასიათს. ამდენად, მოცემული პრობლემის, როგორც პათოლოგიური ინდივიდუალური მდგომარეობის იდენტიფიკაციისა და აღმოფხვრისათვის აუცილებელია ინტენსიური ფსიქოლოგიური მუშაობა.<sup>75</sup>

ანომიის თეორიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალური ფსიქოლოგიის განვითარებასაც. ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა ჯერ კიდევ დიურკემმა განავითარა ანომიის კლასიკურ თეორიაში. მერტონისეული სოციალური ადაპტაციის ფორმები კი უშუალოდ განასაზღვრავს ინდივიდის დამოკიდებულებას საზოგადოების მიმართ, მის ადგილს სოციალურ სტრუქტურაში, პიროვნების ინდივიდუალური თუ კონფორმისტული სოციალური როლის ჩამოყალიბების წინაპირობებს. მერტონი, თავის გვიანდელ ნაშრომში, განასხვავებს სოციალური და ინდივიდუალური ანომიის ცნებებსაც და სწორედ მათ ურიერთმქმედებს უკავშირებს დევიაციური ქცევების დონის ვარიაციას სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.<sup>76</sup> ანომიის თეორია გამოყენებულ იქნა ასევე ურბანიზაციისა და პიროვნული გაუცხოების პრობლემების ანალიზისათვის. ემპირიული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ურბანიზაცია არ წარმოადგენს ანომიის მდგომარეობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან საფუძველს, არსებობს მხოლოდ უმნიშვნელო კავშირი ურბანიზაციასა და ანომიას შორის და ურბანიზაციის მზარდი პროცესები არ წარმოადგენენ პიროვნული გაუცხოების ძირითად ფაქტორს.<sup>77</sup>

უშუალოდ კრიმინოლოგიის დისციპლინურ ფარგლებში ანომიის კონცეფციის თეორიულმა და ემპირიულმა დამუშავებამ არნახულ ზღვარს მიაღწია.<sup>78</sup> ანომიის თეორიის ანალიზს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კრიმინოლოგიის ნებისმიერ თანამედროვე სახელმძღვანელოში. სწორედ ანომიის თეორიის მეშვეობით, ერთხელ და საბოლოოდ მოხდა კრიმინოლოგიის სოციოლოგიური სკოლის ინსტიტუციონალიზება და დანაშაულობის ახსნის უმნიშვნელოვანეს პერსპექტივად დამკვიდრება, რის აღიარებასაც, ბუნებრივად, ერიდებოდა საბჭოური კრიმინოლოგია. ანომიის კონცეფციის საფუძველიანი თეორიული და ემპირიული<sup>79</sup> დამუშავების შედეგად დაიკვიდრდა საყოველთაო შეხედულება დანაშაულზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე, რის საფუძველზეც დანაშაულობის მიზეზებს თანამედროვე კრიმინოლოგები ძირითადად "ინსტიტუციურ დანსლოცაში"<sup>80</sup> საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ პროცესებში და არა ინდივიდუალურ ბიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებში ეძებენ. ანომიის პერსპექტივის გამოყენება უახლეს ემპირიულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაშიც

<sup>75</sup> McClosky, Herbert and Schaar, John H.: "Psychological Dimensions of Anomy", *American Sociological Review*, Vol. 30 (1), 1965: 14-40.

<sup>76</sup> Merton, Robert K.: "Anomie, Anomia, and Social Interaction: Contexts of Deviant Behavior", in Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966: 213-242.

<sup>77</sup> Fischer, Claude S.: "On Urban Alienations and Anomie: Powerlessness and Social Isolation", *American Sociological Review*, Vol. 38 (3), 1973: 311-326.

<sup>78</sup> იხილეთ ანომიისა და დევიაციური ქცევების ურთიერთმქმედებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ნაშრომი კრებულებში: Clinard, Marshall B. (ed.): *Anomie and Deviant Behavior: A discussion and Critique*, New York: Free Press, 1966; Adler, Freda and Lauffer, William S. (eds.): *The Legacy of the Anomie Theory*, New Brunswick: Transaction Publishers, 1995.

<sup>79</sup> Rose, Gordon: "Anomie and Deviation – A Conceptual Framework for Empirical Studies", *The British Journal of Sociology*, Vol. 17 (1), 1966: 29-45.

<sup>80</sup> Powell, Elvin H.: "Crime as a Function of Anomie", *The Journal of Criminal Law, Criminology and Police Science*, Vol. 57 (2), 1966: 161-171. 161. ხანგრძლივი ემპირიული გამოკვლევების, ძირითადად ისტორიული სტატისტიკის შედეგებითი ანალიზის შედეგად, საუელი მივიდა დასკვნამდე, რომ ანომია წარმოადგენს დანაშაულობის ძირითად წყაროს. საუელი ერთმანეთისგან განასხვავებს დანაშაულის ევზისტენციურ (მატერიალურ) და ინსტიტუციურ ფაქტორებს. ევზისტენციური (ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია) ფაქტორისაგან განსხვავებით, რომელიც მოქმედებს გარკვეულწილად იყოს დანაშაულობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციურ ფაქტორებზე, რასაც იწვევს ანომია. ამდენად, საუელი განასხვავებს ანომიის ორ სახეს: ანომია, როგორც ერთი მხრივ ინსტიტუციური წესრიგის კოლაპსი, ხოლო მეორე მხრივ – შეუსაბამო არსებულ მოვლინებსა და მათ რეალიზებას შორის იხილეთ დასახელებული ნაშრომი, გვ.: 168-169.

აქტიურად მიმდინარეობს.<sup>81</sup> ანომის თეორია დამუშავებულ იქნა შედარებით კრიმინოლოგიაში<sup>82</sup> რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ანომის ცნების გლობალური პერსპექტივით გამოყენება განსხვავებულ სამართლებრივ კულტურებში დანაშაულობის განსხვავებული დონის ანალიზისათვის.

ანომის თეორიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალური რეფორმების, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და ნორმატიული რეგულირების მეთოდების სრულყოფას. ნორმიდან გადახრილი, დევნაციური ქცევების ანალიზის თვალსაზრისით, გარკვეულწილად გადახადისა მერტონისეული ანომის თეორია. ამ მხრივ სანტიტერესოა ანომის კონცეფციის მოდიფიცირება *რიჩარდ კლოვარდისა* და *ალბერტ კოენის* მიერ. კლოვარდი თავის გამოკვლევაში ყურადღებას ამახვილებს არა მარტო კულტურული მიზნების მიღწევის ლეგიტიმური საშუალებების განსხვავებაზე საზოგადოების სხვადასხვა ნაწილში, არამედ უშუალოდ არალეგიტიმური საშუალებების ხელმისაწვდომობის ვარიაციასზეც. საზოგადოება ხასიათდება *შესაძლებლობათა დიფერენცირებული სტრუქტურით*, რაც განაპირობებს, როგორც ლეგიტიმური, ასევე არალეგიტიმური საშუალებების განსხვავებულ გამოყენებას სასურველი მიზნების მისაღწევად.<sup>83</sup> კოენიც ავითარებს შესაძლებლობათა სტრუქტურის ფაქტორის მნიშვნელობის იდეას დევიაციური ქცევის გენერირებაზე და ამტკიცებს, რომ მიზნებისა და საშუალებების ურთიერთმიმართებას, ასევე კონკრეტული სოციალური ადაპტაციის ფორმას, მათ შორის – ნორმიდან გადახრილ ქცევას, იწვევს სწორედ შესაძლებლობათა სტრუქტურა, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერ თუ უკანონო შესაძლებლობათა “გახსნითა” თუ “დახურვით” განსაზღვრავს ინდივიდუალური ქცევის შინაარსს.<sup>84</sup>

მერტონისეული ანომის თეორიის პერსპექტივები გამოიყენეს კორპორაციული დანაშაულობის მიზეზთა ორიგინალური ანალიზისთვისაც, რომლის მიხედვით კაპიტალისტურ საზოგადოებებში არსებული საბაზრო ეკონომიკის სისტემა საწარმოთა გარკვეულ ნაწილს, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, უზღუდავს მაღალი შემოსავლის მიღებისა და ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.<sup>85</sup> ეს კი განაპირობებს საწარმოთა მიერ ხარჯების შემცირების პარალელურად მოგების ზრდის არალეგალური მექანიზმების ინიცირებას, კორპორაციულ სამყაროში ინოვაციური სოციალური ადაპტაციის ფორმის აღმოცენებას. სამართლის სოციოლოგიის დისციპლინურ ფარგლებში ანომის თეორიის დამუშავება განაპირობა იურიდიული ნორმების მოქმედების ეფექტიანობის გაზომვისა და სამართლებრივი რეფორმების შედეგათა თეორიული თუ ემპირიული შესწავლის აუცილებლობამ. ანომია, როგორც მოვლენა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში კონკრეტულ ნორმთა არარსებობას, უკმარობასა თუ არაეფექტურობას, რაც სოციალურ დეზორგანიზაციასა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის მოშლაში გამოიხატება, მართლაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სამართლებრივი რეფორმებისა და მოქნილი, ქმედითი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის. სწორედ ნორმათა მოქმედების კანონზომიერებათა წარმოჩენისა და სამართლის დინამიკური განვითარების პროცესთა ანალიზისათვის იქნა გამოყენებული ანომის თეორია “სამართლის ინფლაციის”, “ნორმათა ეროზიის” პროცესების ასახსნელად.<sup>86</sup> ამ მხრივ, სამართლის მეშვეობით,

<sup>81</sup> Konty, Mark: “Microanomie: The Cognitive Foundations of the Relationships between Anomie and Deviance”, *Criminology*, Vol. 43 (1), 2005: 107-131.

<sup>82</sup> Karstedt, Susanne: “Comparing Cultures, Comparing Crime: Challenges, Prospects and Problems for a Global Criminology”, *Crime, Law & Social Change*, Vol. 36, 2001: 285-308, 292.

<sup>83</sup> Cloward, Richard A.: “Illegitimate Means, Anomie, and Deviant Behavior”, *American Sociological Review*, Vol. 24 (2), 1959: 164-176, 176.

<sup>84</sup> Cohen, Albert K.: “The Sociology of the Deviant Act: Anomie Theory and Beyond”, *American Sociological Review*, Vol. 30 (1), 1965: 5-14, 10.

<sup>85</sup> Eisenberg, Ulrich: *Kriminologie*, 6. Auflage, München: C. H. Beck, 2005: 60.

<sup>86</sup> იხილეთ სხვადასხვა ნაშრომები კრებულში: Frommel, Monika und Gessner, Volkmar (Hrsg.): *Normerosion, Baden-Baden: Nomos, 1996*, განსაკუთრებით: Münch, Richard: “Zwischen Normenerosion und Normenwandel: Rechtsentwicklung als dynamischer Prozeß”, in Frommel, Monika und Gessner, Volkmar (Hrsg.): *Normenerosion, Baden-Baden: Nomos, 1996: 147-162*.

სოციალური ინტეგრაციის პროცესების განმტკიცება საზოგადოებაში ანომიის მდგომარეობის დაძლევის უმნიშვნელოვანეს წინაპირობადაა მიჩნეული.

სამართლის სოციოლოგიაში ანომიის პერსპექტივა საკმაოდ ორიგინალურად იქნა გამოყენებული საერთაშორისო ეკრძოსამართლებრივ ურთიერთობათა თუ ურთიერთქმედებათა დროს წარმოშობილი ნორმატიული პრობლემების ანალიზისათვის. თანამედროვე გლობალურ სამყაროში სხვადასხვა ნაციონალურ სისტემას შორის სულ უფრო გახშირებული კულტურათაშორისი ურთიერთქმედებები ნორმატიული რეგულირების პრობლემებს განიცდიან. მიუხედავად საერთაშორისო დონეზე ეკრძოსამართლებრივ ურთიერთობათა ინტენსიური რეგულირებისა და კერძო სამართლის პარმონიზაციის ყოვლისშემძველი პროცესებისა, მოცემულ ურთიერთობებში ჩაბმული მხარეები ხშირად აწვდებიან დერეგულირების, ნორმატიული ეკუუმის, "კულტურული შოკის", განუსაზღვრელობისა თუ ორმხრივი გაუგებრობის ფაქტებს, როდესაც ვერ ხერხდება კონკრეტული ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება შესაბამის ნორმათა არარსებობის თუ არსებულ ნორმათა სხვადასხვა კულტურული ინტერპრეტაციისა და ნაირგვარ კულტურულ სიერცეში ნორმათა განსხვავებული მოქმედების გამო. ინტერკულტურული კომუნიკაციები ხშირად ჩნებენ ექვეიან ქცევათა კოორდინაციის სირთულეებიდან გამომდინარე. ამიტომაც, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში და სხვადასხვა სახის ეკონომიკურ პროცესში ჩართული მხარეები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი არიან ეკრძო სუბიექტების – ფიზიკური პირებისა თუ კორპორაციული სტრუქტურების სახით, აყალიბებენ "მესამე კულტურას", კონკრეტულ სფეროში მოქმედ ნორმატიულ სისტემას, რომელიც ჩვეულებების, პრინციპების, მზოჯაევი ორმხრივი მოვალეობებისა და კერძო მართლმსაჯულების ფორმის სახით არსებობს და ეითარდება განსაზღვრულ სოციალურ სექტორში. "მესამე კულტურის" ჩამოყალიბების შედეგად, კონკრეტულ სოციალურ გჯუფში მოცემული ნორმატიული სისტემის ინტერნალიზაციის საშუალებით, ხორციელდება ნორმატიულ მოლოდინთა სტაბილიზება და ანომიის მდგომარეობის დაძლევა კულტურათაშორის, საერთაშორისო ურთიერთობებში.<sup>87</sup> მხარეთა "საშინაო კულტურის" გამოყენებას ენაცვლება ნეიტრალური, "მესამე კულტურა", რასაც მინიმუმამდე დაჟავს განსხვავებულ სამართლებრივ კულტურათა კოლიზისათვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობა, ნორმათა კონფლიქტი და დერეგულირება. ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ, კომერციულ ურთიერთობებში ჩაბმული ბიზნეს-სტრუქტურები, სავაჭრო გაერთიანებები, საარბიტრაჟო სამსამართლოები, იურიდიული ფირმები თუ გლობალური ეკრძო ურთიერთობების სხვა სუბიექტები მათი მოქმედების სფეროებში აყალიბებენ სამართლისა და კულტურის საერთო ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნორმატიული ხარევისა თუ კულტურული შეუთავსებლობის გამო აღმოცენებული იურიდიული კონფლიქტებისა და კოლიზიების რეგულირება. შედეგად, ეკონომიკური რაციონალიზაციის პრინციპის საფუძველზე, "მესამე კულტურის" ნორმების მეშვეობით ინტეგრირებული ეკრძო სუბიექტები განაგრძობენ პროდუქტიულ ურთიერთქმედებას ანომიის უარყოფითი ზემოქმედების საფრთხის გარეშე.<sup>88</sup>

#### საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს ტერმინი ანომია?
2. აღწერეთ ანომიის დიურექტისული ეერსია
3. დაახასიათედ ძირითადი განსხვავებანი ანომიის თეორიის დიურექმისა და მერტონისეულ ეერსიებს შორის
4. რა დავლენა იქონია ანომიის თეორიამ თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებზე?

<sup>87</sup> Schade, Angelika: "On the Explanatory Power of the Anomie Concept in Cross-border Legal Relations", in *Oñati Proceedings*, Vol. 11, *Anomie: Norms, Expectations and Social Legitimation*, 1993: 93-105, 101.

<sup>88</sup> Gessner, Volkmar and Schade, Angelika: "Conflicts of Culture in Cross-border Legal Relations: The Conception of a Research Topic in the Sociology of Law", in Featherstone, Mike (ed.): *Global Culture: Nationalism, Globalization and Modernity*, London: Sage Publication, 1990: 253-277, 268.

# ნაწილი V. საქართველოს სამართალდამცავი სისტემა

## თავი 21. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები

- §1. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემა
- §2. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სამართლის წყაროები

## თავი 22. სასამართლო ხელისუფლება

- §1. სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების დანაწილების სისტემაში და სასამართლო ხელისუფლების სისტემა
- §2. მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები
- §3. საქართველოს საერთო სასამართლოები
- §4. მოსამართლე და მისი დანიშვნის წესი
- §5. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება
- §6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
- §7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- §8. საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა

## თავი 23. საქართველოს პროკურატურა

- §1. პროკურატურის კონსტიტუციური სტატუსი და სტრუქტურა
- §2. პროკურატურის სისტემის ორგანიზაცია და ფუნქციები
- §3. პროკურორის დანიშვნა, დაწინაურება, მომზადება/გადამზადება, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

## თავი 24. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

- §1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმები
- §2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა
- §3. საქართველოს პოლიციის სტატუსი და ამოცანები, მოვალეობები და უფლებები
- §4. პოლიციის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება
- §5. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა
- §6. პოლიციის კადრები, მათი წახალისება და პასუხისმგებლობა

## თავი 25. დაცვის სისტემა ადვოკატურა

- §1. ადვოკატურის ცნება, მისი როლი და ადგილი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში
- §2. ადვოკატურა სამართლებრივ სახელმწიფოში და მისი იურიდიული ბუნება
- §3. საადვოკატო საქმიანობის არსი, პრინციპები და ადვოკატურის ორგანიზაცია. ადვოკატურა და სასამართლო ხელისუფლება
- §4. სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში (ომბუდსმენი)

## თავი 21. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები

### § 1. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემა

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები შეისწავლის იმ ორგანოთა სისტემას, სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს, უფლებამოსილებას, საქმიანობის ორგანიზაციას, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული აქვს შემდეგი ფუნქციები:

- კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა;
- მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა;
- მართლმსაჯულების განხორციელება;
- დამნაშავეობასთან ბრძოლა;
- კანონის შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება;
- სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვადასხვა გაერთიანების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

მოცემული ფუნქციებიდან გამომდინარე, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მიაკუთვნებენ შემდეგ ორგანოებს:

- საქართველოს საერთო კომპეტენციის სასამართლოები;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- საქართველოს პროკურატურა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტრო და პოლიცია;
- ახალხო დამცველი;
- ადვოკატურა.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, როგორც სასწავლო მეცნიერება შეისწავლის საქართველოს ზემოაღნიშნული სამართალდამცავი ორგანოების ამოცანებსა და საქმიანობის ორგანიზაციას, სტრუქტურას, საქმიანობის პრინციპებს, მათ ფუნქციებსა და უფლებამოსილებას და მათ კავშირს სხვა ორგანოებთან.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები შეისწავლის ისეთი საკითხების ერთობლიობას, როგორიცაა:

- სამართალდამცავი ორგანოების არსი;
- სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის პრინციპები;
- საკონსტიტუციო სასამართლო, მისი სტრუქტურა და უფლებამოსილება;
- საერთო სასამართლოები – სტრუქტურა და საქმიანობის ორგანიზაცია და უფლებამოსილება;
- საქართველოს პროკურატურა, მისი ორგანიზაცია და უფლებამოსილება;
- იუსტიციის სამინისტრო, მისი სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებამოსილება;
- შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროსა და პოლიციის სტრუქტურა, ორგანიზაცია და უფლებამოსილება;
- სახალხო დამცველის ფუნქციები და კომპეტენცია;
- ადვოკატურა, მისი ფუნქციები და უფლებამოსილება და ა.შ.

სამართალდამცავი ორგანოების ძირითად დარგებს განეკუთვნება ის მიმართულებანი, რომლებიც მათ ძირითად საქმიანობას გამოხატავენ. ამ მიმართულებებს შეეკუთვნება:

- სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულება;
- საკონსტიტუციო კონტროლი;
- საპროკურორო ზედამხედველობა და სხვა უფლებამოსილებანი;

- შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროსა და პოლიციის უფლებამოსილებანი;
- დაცვის უფლების განხორციელება

## §2 საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სამართლის წყაროები

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ფუნქციონირებენ მრავალი საკანონმდებლო ხასიათის წყაროს საფუძველზე. მათ შორისაა როგორც კონსტიტუციური, ორგანული და ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე კანონები, ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებს, საკადრო და სხვა საკითხებს. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც გადმოცემულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიები, სამართალდამცავი ორგანოების დამახასიათებელი ძირითადი დებულებები, მათი ორგანიზაციის პრინციპები.

სამართლის წყაროებს წარმოადგენენ აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული კანონები, დებულებები, რომლებიც უფრო კონკრეტულად აწესრიგებენ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, უფლებამოსილებების პრინციპებს, სახავენ კონკრეტულ ამოცანებს და ძირითად მიმართულებებს, აგრეთვე საკადრო საკითხებს; სამართლის წყაროა ასევე, კანონების საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც კიდევ უფრო აკონკრეტებენ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მოწესრიგების საკითხებს (დადგენილებები, ბრძანებები, წესდებები, ინსტრუქციები და ა.შ). საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ზოგიერთ საკითხს აწესრიგებენ კოდექსები, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საფუძველს წარმოადგენენ სამართლის წყაროები, რომლებიც ამ ორგანოებისათვის დამახასიათებელ პრინციპული ხასიათის დებულებებს, მოღვაწეობის პრინციპებს შეიცავენ. ესენია შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს (ცვლილებებითა და განმარტებებით);
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მიღებული 1996 წლის 31 იანვარს;
- საქართველოს ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, მიღებული 1996 წლის 31 იანვარს;
- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოს შესახებ“, მიღებული 1999 წლის 12 მაისს;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, მიღებული 1999 წლის 12 მაისს;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, მიღებული 2000 წლის 23 თებერვალს;
- საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ, მიღებული 2005 წლის 23 დეკემბერს;
- საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ, მიღებული 1998 წლის 26 ივნისს;



- საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ – მიღებული 2000 წლის 23 თებერვალს;
- საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, მიღებული 2005 წლის 23 დეკემბერს;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, მიღებული 1997 წლის 21 ნოემბერს;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მიღებული 1996 წლის 16 მაისს;
- საქართველოს კანონი „ადეკატთა შესახებ“, მიღებული 2001 წლის 20 ივნისს;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ, მიღებული 1998 წლის 18 თებერვალს;
- საქართველოს კანონი „საქართველოს პოლიციის შესახებ“, მიღებული 1993 წლის 17 ივლისს;
- საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მიღებული 1990 წლის 30 აპრილს;
- საქართველოს კანონი „ფინანსური პოლიციის შესახებ“, მიღებული 2004 წლის 24 თებერვალს;
- საქართველოს კანონი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“, მიღებული 2005 წლის 28 დეკემბერს
- საქართველოს კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ, მიღებული 1997 წლის 15 აპრილს;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მიღებული 1997 წლის 31 ოქტომბერს;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მიღებული 1997 წლის 17 ოქტომბერს;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, მიღებული 1996 წლის 29 ოქტომბერს;
- საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მიღებული 1999 წლის 30 აპრილს;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებული 1998 წლის 20 თებერვალს;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მიღებული 1999 წლის 25 ივნისს;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მიღებული 1984 წლის 15 დეკემბერს;
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 1999 წლის 23 ივლისს;
- საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ, მიღებული 1993 წლის 25 მარტს;
- დებულება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესახებ“, დამტკიცებული მთავრობის 2004 წლის 30 ავგუსტოს № 70 დადგენილებით;
- დებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ“, დამტკიცებული პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №263 ბრძანებულებით;
- დებულება „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შესახებ“, დამტკიცებული პრეზიდენტის 2004 წლის 1 მარტის № 74 ბრძანებულებით;
- საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 7 სექტემბრის №374 ბრძანებულება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს რეგლამენტის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 აგვისტოს №459 განკარგულება მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის, ფორმის – მანტიის შესახებ“.

- საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 7 სექტემბრის №373 ბრძანებულება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების დანამატების განსაზღვრისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავების ხარჯების შესახებ“

**საკონტროლო კითხვები:**

1. აღწერეთ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემა
2. რა სამართლის წყაროებს ეფუძვნება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების სისტემა

## თავი 22. სასამართლო ხელისუფლება

### §1. სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების დანაწილების სისტემაში და სასამართლო ხელისუფლების სისტემა

სასამართლო ხელისუფლებას ხშირად უწოდებენ „მესამე ხელისუფლებას“, ვინაიდან მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციურ ტექსტებში და დოკტრინებში ხელისუფლების შტოების ჩამოთვლისას ის ხელისუფლების სისტემის შემადგენლობაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შემდეგ მოიხსენიება. თუმცა, ეს სრულიადაც არ ანიშნებს არც მის მნიშვნელობას, არც მის მკაცრად განსაზღვრულ დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებაში. უფრო მეტიც, მმართველობის ფორმის მიუხედავად, ურთიერთდამოკიდებულება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის უფრო მეტია (მმართველობის საპარლამენტო ფორმისას) ან უფრო ნაკლები (საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემთხვევაში). სასამართლო ხელისუფლება კი, ნებისმიერი დასახელებული მმართველობის ფორმისას, ერთნაირად გამოიყენება ხელისუფლების სხვა შტოებისგან, რაც რასაკვირველია, არ გამოირიცხავს მათთან კავშირს.

ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის დამახასიათებელია საქმიანობის სპეციფიკური ფორმები – სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ასეთ ფორმას წარმოადგენს მართლმსაჯულება – მოქმედი სამართლის საფუძველზე ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის კონფლიქტებისა და დავების გადაწყვეტა, რომელთა მონაწილეები არიან მოქალაქეები, მათი გაერთიანებები, იურიდიული პირები, მუნიციპალური სახელმწიფო ორგანოები და თვით სახელმწიფოც კი.

შეგვიძლია სქემატურად გამოვიყუთო სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სამი ძირითადი, ერთმანეთთან დაკავშირებული მიმართულება, ესენია:

- მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
- მართლწესრიგის დაცვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევებისგან;
- კონტროლი იმაზე, რომ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა არ გაცდეს სამართლის ჩარჩოებს.

ხელისუფლების ყოველი შტო თავის ფუნქციებს ახორციელებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით.

**სასამართლო სისტემა** ქვეყანაში არსებული ყველა სასამართლოს ერთობლიობას წარმოადგენს. მათ აქვთ საერთო ამოცანები, დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მართლმსაჯულების განსახორციელებლად; სასამართლო სისტემის ყველა რგოლი წარმოადგენს ერთნაირი კომპეტენციის სასამართლოთა ერთობლიობას. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიხედვით სასამართლო სისტემა თავისებურია, რადგან სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება არა ერთიანობის პრინციპის საფუძველზე, არამედ ორი დამოუკიდებელი ფორმით: ერთის მხრივ, საკონსტიტუციო კონტროლისა და მეორეს მხრივ, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. სასამართლო სისტემა გარკვეულ ქვესისტემებად იყოფა. იგი მკაცრად სტრუქტურირებული სისტემაა. მისი ორგანიზაციული ფორმები დეტალურადაა განსაზღვრული კანონით და მათი შეცვლა მხოლოდ საკანონმდებლო წესითაა დასაშვები.

სასამართლო სისტემის საქმიანობა მიმდინარეობს კანონის შესაბამისად მკაცრი და დეტალურად რეგლამენტირებული პროცედურებით. სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებანი ეყრდნობა მხოლოდ სამართალს. ამ ხელისუფლების საკადრო შემადგენლობა – მოსამართლეები – ქმნიან განსაკუთრებულ პროფესიონალთა ფენას, ე.წ. მოსამართლეთა კორპუსს.

საქართველოში სასამართლო ხელისუფლება დღეისათვის შედგება საერთო კომპეტენციის (ანუ ჩვეულებრივი) სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოსაგან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებასა და კონსტიტუციურ იუსტიციას ანუ კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**მართლმსაჯულება** წარმოადგენს სახელმწიფო საქმიანობის ფორმას, რომელიც საერთო სასამართლოების მიერ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეების – სისხლის სამართლის დანაშაულობათა, სამოქალაქო დავებისა და სხვა სახის საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში მდგომარეობს. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონით დადგენილი პროცესუალური წესით.

საქართველოში საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად<sup>1</sup>

1. მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო კომპეტენციის (ჩვეულებრივი) სასამართლოების მიერ (მუხლი 83-ე, პუნქტი II);
2. ყველა სასამართლოში საქმეთა განხილვა ხდება ღია სხდომებზე (გამონაკლისი შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით (მუხლი 85-ე, პუნქტი I);
3. სამართალწარმოების განხორციელება ხდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (მუხლი 85-ე, პუნქტი III) და ა.შ.<sup>2</sup>

**კონსტიტუციური იუსტიცია** ანუ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, გამოიხატება კანონებისა და ნორმატიული აქტების საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო ფუნქციების განხორციელებელ საზოგადოებრივ გაერთიანებათა მოქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებაში. **კონსტიტუციური კონტროლი** შეიძლება განხორციელდეს:

1. საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ (მაგალითად, აშშ, არგენტინა, დანია, იაპონია და ა.შ.);
2. უზენაესი სასამართლოს მიერ, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას (მაგალითად, ავსტრალია, ინდოეთი, კანადა, შვეიცარია და ა.შ.);
3. სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ, რომელთათვისაც კონსტიტუციური კონტროლი ძირითად ფუნქციას წარმოადგენს (მაგალითად, საქართველო, რუსეთის ფედერაცია, იტალია, თურქეთი);
4. არასასამართლო ხასიათის განსაკუთრებული ორგანოების მიერ (მაგალითად, საკონსტიტუციო საბჭო საფრანგეთში).

**საკონსტიტუციო მართლმსაჯულება**, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ერთერთ ფორმას წარმოადგენს, სრულდება საკონსტიტუციო სასამართალწარმოების ფორმით განსაკუთრებული სასამართლო ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.<sup>2</sup>

არავის, სასამართლო სისტემის გარდა, მასში შემავალი სასამართლოების სახით, არ შეუძლია აწარმოოს მართლმსაჯულება სახელმწიფოს სახელით. არავის, მათ შორის სახელმწიფოსაც, მასში შემავალი ნებისმიერი ორგანოს სახით, არ შეუძლია ჩაერიოს სასამართლო სისტემის საქმიანობაში მართლმსაჯულების განხორციელების მოქალაქენი, მათი ორგანიზაციები და გაერთიანებები, ყველა სახელმწიფოებრივი და მუნიციპალური ორგანო, თვით სახელმწიფოც, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლების უმაღლეს და მმართველობით ორგანოებს, ეკლდებულნი არიან უპირობოდ შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

ხელისუფლების სხვა შტოებთან მიმართებაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ მისი საქმიანობა მაინც დიდადაა დამოკიდებული ხელისუფლების სხვა შტოებზეც და, უპირველეს ყოვლისა,

<sup>1</sup> უფრო დაწერილებით იხილეთ შემდეგ თავებში.  
<sup>2</sup> იხ. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 88-ე მუხლი.

საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. სწორედ იგი განსაზღვრავს სასამართლო სისტემის ცალკეული რგოლის კომპეტენციას, მოსამართლეთა სტატუსს და მთელი რიგი სხვა სახის საკითხებს. ასეთ საკანონმდებლო რეგლამენტაციის საფუძველს წარმოადგენს კონსტიტუცია. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში და, რასაკვირველია, საქართველოშიც, რთულია წარმოიდგინო თანამედროვე კონსტიტუცია, რომელშიც არ არის თავი სასამართლო ხელისუფლების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციაში ხელისუფლების ამ შტოს დათმობილი აქვს მეხუთე თავი. ამ თავში, როგორც ეს კონსტიტუციებს ახასიათებს, შემცირებული, შეკუმშული ფორმით, ამა თუ იმ თანხვედრით დადგენილია ის, რასაც, როგორც წესი, სასამართლო ხელისუფლების საფუძველს უწოდებენ. ამ საფუძველს მიეკუთვნება:

- ხელისუფლების დანაწილების სისტემის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების, როგორც ერთ-ერთი შტოს განმარტება;
- სასამართლო სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები;
- მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსი;
- მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო გარანტიები.

კონსტიტუციური საფუძველები დეტალურადაა გადმოცემული კანონებში სასამართლო ხელისუფლების შესახებ, რომელთა დასახელებაც წინა თავშია გადმოცემული.

## §2 მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები

პრინციპი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დებულებას, რომელიც განსაზღვრავს ზოგიერთი სამართალდამცავი ორგანოს არსებით მხარეს, მის მოღვაწეობას და ორგანიზაციის საფუძველს, სამართლის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში.

განსახეავენ პრინციპების სამ სახეს:

- კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს ყველა სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობას;
- ცალკეული სამართალდამცავი ორგანოს მოღვაწეობის პრინციპი და
- პროცესუალური პრინციპი, რომელიც ძირითადად ახასიათებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესს.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისა და ორგანიზაციის პრინციპებს განეკუთვნება ისეთი პრინციპები, როგორიცაა:

- კანონიერება,
- სასამართლოს დამოუკიდებლობა;
- მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ;
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობა;
- მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობა;
- კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობა;
- საქმეთა ღიად განხილვა;
- სამართალწარმოების ენა;
- მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორუფლებიანობა;
- უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და ა.შ.

*კანონიერების პრინციპი.* კანონიერება სახელმწიფოს ყველა ორგანოს, თანამდებობისა თუ ცალკეული პირის მიერ კანონებისა და მათთან შესაბამისი სამართლებრივი აქტების ზუსტად და განუხრევლად შესრულებაა. კანონიერება წარმოადგენს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. კანონიერება

გამოხატულებას პოულობს სამართლის ყოველ დარგში და დამახასიათებელია ნებისმიერი სუბიექტის - ფიზიკური თუ იურიდიული პირის, სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეთა მოქმედებისათვის.<sup>3</sup> როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ა. ფალიაშვილი, „კანონიერების პრინციპი არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ დეკლარაცია ან პროპაგანდა. იგი კონსტიტუციური პრინციპია, რომლის დაცვა და შესრულება თანაბრად სავალდებულოა ყველასთვის. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შესაბამეოდეს კონსტიტუციას“<sup>4</sup>. საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლიც აღნიშნულია, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების პრინციპი დამახასიათებელია ყველა სამართალდამცავ ორგანოსთვისაც. აღნიშნული პრინციპის დაცვა უნდა ხდებოდეს ამ ორგანოებში საქმიანობის განხორციელებისას, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ პრინციპს ენიჭება მტკიცებულებათა მოპოვებისა და მათი გამოყენების დროს, რადგანაც საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.<sup>5</sup> კონსტიტუციის მოცემული მიწერილობის შესაბამისად, სასამართლოს, პროკურატურასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებს ევალებათ მტკიცედ და განუხრავლად დაიცვან მოთხოვნილი მტკიცებულებათა აღმოჩენის, წაგრებისა და მათი პროცესუალურად გაფორმებისას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე, დამრღვევი აუცილებლად უნდა დაისჯოს.

*მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ საერთო სასამართლოები.* ამ პრინციპის მიხედვით, სასამართლოს გარდა, არც ერთ სხვა ორგანოს არა აქვს უფლება განახორციელოს მართლმსაჯულება, ანუ განიხილოს და გადაწყვიტოს სისხლისა და სამოქალაქო და ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართლის საქმეები. როგორც ცნობილია, მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ მხოლოდ საერთო სასამართლოები. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შედის: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს საერთო სასამართლოს სისტემა ერთიანია. სამხედრო სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში, მათი შექმნის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით, დაუშვებელია საგანგებო და სპეციალური სასამართლოების შექმნა.<sup>6</sup>

ყველა ადამიანის უფლებაა თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს სასამართლოს. სასამართლოს მოთხოვნათა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის. სასამართლო გადაწყვეტილების გასრულება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს განაჩენის და გადაწყვეტილების შესრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

<sup>3</sup> იხ. მანანა მოსულიშვილი, „იურიდიული პასუხისმგებლობა(კონცეფციები და მოსაზრებანი“ გამოცემ. „იურიდიული აზრი“, თბილისი, 2002 წელი, გვ.75.

<sup>4</sup> იხ.: აპოლონ ფალიაშვილი, „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004 წ., გვ.18.

<sup>5</sup> იხ.: „საქართველოს კონსტიტუცია“, მუხლი 42, პუნქტი 7. თბილისი, 1995წ.

<sup>6</sup> საერთო სასამართლოების სისტემაში შემაჯავლი სასამართლოების შესახებ დაწერილებით იხილეთ შემდეგ პარაგრაფებში.

*მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი* წარმოადგენს კონსტიტუციური ხასიათის დებულებას, იგი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და გულისხმობს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას და კანონს. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლში ჩამოყალიბებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის რეალურად უზრუნველყოფის მთელი რიგი გარანტიები:

- რომ რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგაელენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით;
- რომ მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- რომ არავის აქვს უფლება მოსახოოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე;
- რომ ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას;
- რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით.

განვიხილოთ ეს კონსტიტუციური დებულებები უფრო დაწერილობით. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპზე საუბარი ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის პირველივე მუხლში ვითხოვლობთ, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია ხელისუფლების სხვა მტოებისაგან და მას მხოლოდ საერთო სასამართლოები ახორციელებენ. კანონის მე-7 მუხლი მიუთითებს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს, აქვე აღნიშნული, რომ არავის აქვს უფლება, მოსახოოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ზოგჯერ საქმის განხილვისას ირკვევა, რომ სახეზეა გარკვეული კოლიზიები. თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის საქმარისი საფუძვლის არსებობას იმისათვის, რომ რომელიმე კანონი ან სხვა სახის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს გადაწყვეტილების გამოსატანად, მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეესაბამება კონსტიტუციას, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო საქმის განხილვა განახლდება საქონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მაგრამ თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონი ან კანონქვემდებარე აქტი კონსტიტუციას არ შეესაბამება და მისი შემოწმება არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, თვითონ გამოიტანს გადაწყვეტილებას კონსტიტუციის შესაბამისად.

ორგანული კანონის მე-8 მუხლი სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებას, აგრეთვე თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს პირდაპირ უკრძალავს სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვას და მიიჩნევს, რომ მოსამართლის საქმიანობაზე ნებისმიერი ზემოქმედება აკრძალულია და ისჯება კანონით.

მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი რეალური გარანტია არის მისი დანიშვნა ან არჩევა ათი წლის ვადით. ამასთან ისიც, რომ მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია კანონით გათვალისწინებული წესის დაცვის გარეშე მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, ასევე ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა<sup>7</sup>. საჭირო შემთხვევაში, კანონი სახელმწიფოს შესაბამის სამსახურებს ავალდებულებს მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებისა და მისი ქონების დაცვის უზრუნველყოფას. ამასთანავე, სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტია ისიცაა, რომ კანონი აწესებს პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემლობისთვის. კერძოდ, ორგანული კანონის მე-9 მუხლი მიუთითებს, რომ „მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების, აგრეთვე სასამართლოს სხდომაზე დამსწრე

<sup>7</sup> იხ. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 87-ე, 88-ე, 90-ე მუხლები.

პირთა ისეთი ქმედება, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემლობას გამოხატავს, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას”.<sup>8</sup>

*მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.* კანონის შესაბამისად, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, საქმეს განიხილავენ როგორც ერთპიროვნულად, ისე კოლეგიურად, ხოლო მაგისტრატი მოსამართლე განიხილვას ერთპიროვნულად აწარმოებს. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივრებს განიხილავს ერთპიროვნულად, სააპელაციო სასამართლო, საპროცესო კანონით დადგენილი წესით – კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით; უზენაესი სასამართლოს პალატი (გარდა დიდი პალატისა) საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით, დიდი პალატი კი ცხრა მოსამართლის შემადგენლობით. ცხადია, მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა პროფესიული მოსამართლეების მიერ საქმეები კოლეგიურად განიხილება. ამ პრინციპის განხორციელება ხდება არა მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოშიც.

*კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპი.* ამ პრინციპში იგულისხმება, რომ ყველა მოქალაქეს თუ თანამდებობის პირს მინიჭებული აქვთ თანაბარი უფლებები სასამართლოსა და კანონის წინაშე, მიუხედავად მათი სოციალური, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა, ოჯახური, ასაკობრივი, ეროვნული თუ სქესობრივი კუთვნილებისა, სარწმუნოებისა თუ პარტიულობისა. მოცემული პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა მოქალაქისათვის არსებობს ერთი კანონი, რომლის გამოყენება და დაცვა თანაბრად სავალდებულოა თითოეულისთვის. ყველა მოქალაქე, რომლის მიმართაც განიხილება საქმე სასამართლოში, სარგებლობს თანაბარი უფლებებით შუამდგომლობის აღძვრისა, მტკიცებულებათა წარდგენისას, აცილების საკითხის დაყენებისას თუ უკანონო მოქმედების გასაჩივრებისას. თუმცა, კანონის მიერ დაწესებული დამატებითი გარანტიების სახით დაიშვება გამორჩეული ზოგიერთი თანამდებობის პირისთვის. მაგალითად, არ შეიძლება პარლამენტის, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების წევრების, ასევე სახალხო დამცველის ან მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინების, მანქანების, სამუშაო ადგილების და პირადი ჩხრეკა, შესაბამისად პარლამენტის ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინასწარი თანხმობის გარეშე. სახალხო დამცველის შემთხვევაში საჭიროა პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული ორგანოები ან თანამდებობის პირები გასცემენ თანხმობას, საქმის განხილვა მოხდება ჩვეულებრივი წესით, კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით. თუ დასახელებულ სუბიექტებს დანაშაულის ჩადენის მომენტში წაასწრებენ, მათი დაკავება დასაშვებია, მაგრამ აუცილებელია ზემოთ დასახელებული ინსტანციების საქმის ყურში ჩაყენება. მათი მხრიდან თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

*სამართალწარმოების ენის პრინციპი.* სასამართლოებში სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური.<sup>9</sup>

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და გათვალისწინებულია, რომ თუ პროცესში მონაწილე ნებისმიერმა პირმა, ეს იქნება ეჭვიმთანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მოწმე, დაზარალებული, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე თუ მათი წარმომადგენლები, ასევე ექსპერტი ან სპეციალისტი არ ფლობს ქართულ ენას, მას შეუძლია გამოვიდეს თავის მშობლიურ ენაზე, ასეთ შემთხვევაში ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-10 მუხლის შესაბამისად, მათ დაენიშნებათ თარჯიმანი, რომლის მომსახურებაც ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

<sup>8</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისი  
<sup>9</sup> იხ. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლი, მასში 2002 წლის 10 ნოემბრის ცვლილების გათვალისწინებით.



ენის პრინციპის დარღვევა განიხილება, როგორც კანონის არსებითი ხასიათის დარღვევა და ნებისმიერ შემთხვევაში, იწვევს სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმებას. სამართალწარმოების ენის პრინციპის შესაბამისად, პროცესში მონაწილე პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ყველა მასალა უნდა ეთარგმნოს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე და მნიშვნელოვანი შემაჯამებელი დოკუმენტები (მაგალითად, სასამართლოს განაჩენი (როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი) ან გადაწყვეტილება უნდა ჩაბარდეს თარგმნილი წერილობითი ფორმით.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

*საქმთა ღიად (საქვეყნოდ) განხილვის პრინციპი.* ეს პრინციპი არის როგორც კონსტიტუციური, ისე პროცესუალური ხასიათის. საქმთა ღიად განხილვა დემოკრატიულობის პრინციპის გამოვლენაა. იგი მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და თვითშეგნების ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და თავის მხრივ გარკვეულწილად ზრდის სასამართლოს შემადგენლობისა და პროცესის სხვა მონაწილეთა პასუხისმგებლობის გრძნობას.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში საქმთა უმრავლესობის განხილვა ხდება ღია სხდომაზე. მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები, საქმე განხილულ იქნას დახურულ სხდომაზე. საქმთა ღიად განხილვაში იგულისხმება, რომ პროცესის მიმდინარეობა შეიძლება გადაიცეს რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, გაშუქდეს პრესაში, ან მოხდეს პროცესის ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების (აუდიო და ვიდეო აპარატურის) გამოყენებით. მაგრამ აქვე დაეძინო, რომ ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ 2005 წლის 25 ნოემბრის კანონით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, სასამართლო სხდომაზე სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩანაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესის და შეზღუდვის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს სასამართლო (მოსამართლე) მოტივირებული გადაწყვეტილებით.

საქმთა ღიად განხილვა გულისხმობს, რომ ყველა მოქალაქეს, ვისაც შეუსრულდა 16 წელი, უფლება აქვს დაესწროს სასამართლოში საქმის განხილვას, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარბაზი ვერ იტევს მსურველთა ღიად რაოდენობას, მოქალაქეთა დასწრება შეიძლება შეიზღუდოს ტევადობის ფარგლებში დისციპლინის უზრუნველყოფისათვის.

რაც შეეხება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვას, ეს გამონაკლისი შემთხვევებია, რაც შესაძლებელია მოხდეს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. დახურულად შეიძლება წარიმართოს პროცესი, როგორც მთლიანად, ისე მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილი. ეს შეიძლება მოხდეს, თუ საჭიროა სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვა; ან ინტიმური ან ოჯახური საიდუმლოების შენარჩუნება; ან სახეზეა სექსობრივი დანაშაული; ან სასამართლო სხდომაზე ქვეყნდება პირადი მიმოწერა და სატელეფონო შეტყობინება და ამაზე თანახმა არ არის პირი, ან თუ სახეზეა 16 წლის ასაკამდე არასრულწლოვანის მიერ, ან ფსიქიკურად დაავადებული და შეურაცხადი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულები; ან მოსამართლე იხილავს პროკურორის უკანონო ქმედებას; ან მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს საკითხს ბრძანების გაკვივის თაობაზე; ან ბრალდებულის სამართალში მიცემისას, თუ პროცესის რომელიმე მონაწილეს ემუქრებიან სიკვდილით ან ოჯახის განადგურებით. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა არ იწვევს პროცესუალური პროცედურის სხვა შეზღუდვებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე ღიად არის განხილული, თუ დახურულ სხდომაზე, სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, სასამართლოს ღია სხდომაზე.

*შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.* ეს პრინციპი კონსტიტუციურ ხასიათს ატარებს და სამართალწარმოების ერთ-ერთი დემოკრატიული

პრინციპია. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის შესამე პუნქტით რეგლამენტირებულია, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეფიქრებულობის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს გამოიწველია მხარეთა ფუნქციები, კერძოდ: ბრალდებისა და დაცვის ფუნქცია, მაგრამ იმედგეროულად, მხარეებს თავისი ინტერესების დასაცავად და მათზე დაკისრებული ფუნქციების რეალურად განხორციელების მიზნით, მინიჭებული აქვთ აბსოლუტურად თანაბარი უფლებები, სწორედ ასეთი გზით ხდება სასამართლოში ტეშმარიტების დადგენისათვის ხელშეწყობა.

როგორც ცნობილია, სასამართლოს ეკისრება საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია. იგი უზრუნველყოფს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის განმახორციელებელი მხარეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალურად განხორციელებას.

ბრალდების ფუნქციას სასამართლოში ახორციელებენ:

- პროკურორი – სახელმწიფო ბრალმდებელი;
- დაზარალებული;
- სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები.

დაცვის ფუნქციას ახორციელებენ:

- განსასჯელი;
- დამცველი
- სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

ორივე მხარეს მინიჭებული აქვთ თანაბარი უფლებები შემდეგ საკითხებში:

- აღძრან შუამდგომლობა;
- წარადგინონ მტკიცებულებები;
- მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში;
- განაცხადონ აცილება;
- მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში;
- გაასაჩირონ კანონსაწინააღმდეგო მოქმედება;
- გაასაჩირონ სასამართლოს განაჩენი.

ასეთი თანაბარი უფლებები მხარეებს აქვთ არა მარტო სისხლის სამართლის საქმეების, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის დროსაც.

**დაცვის უფლების პრინციპი.** მოცემული პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს და იგი სამართალწარმოების ერთ-ერთი დემოკრატიული ფორმაა. დაცვის უფლების პრინციპი აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით. კონსტიტუცია პირდაპირ აღნიშნავს, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია, რაც თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ უზრუნველყოფილია პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებები და ხდება მათი ინტერესების დაცვა. ამ პრინციპის განხორციელება ხდება როგორც სამოქალაქო სამართლის, ისე სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას.

საქართველოში დაცვის უფლებით სარგებლობენ როგორც საქართველოს მოქალაქენი, ისე უცხოელები და მოქალაქეობის არ მქონე პირებიც.

არსებობს დაცვის უფლების განხორციელების ორი ფორმა:

1. დაცვის უფლებას უშუალოდ ახორციელებს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, სამოქალაქო მოპასუხე, დაზარალებული და მათი წარმომადგენლები;
2. დაცვის უფლებას ახორციელებენ ადვოკატები. დაცვის განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნან როგორც საქართველოს ადვოკატები, ასევე იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, უცხო სახელმწიფოთა ადვოკატები;

დაცვის უფლება ხორციელდება თავიდანვე, ექვმიტანილის დაკავების, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან და სასამართლოში საქმის განხილვის დროს. დაცვის უფლების რეალურად განხორციელების მიზნით, ექვმიტანილს ან ბრალდებულს უფლება აქვს განმარტობით შეხედეს დამცველს დაცვის პოლიციის შემუშავებისთვის, შეხვედრების რაოდენობა და დრო შეზღუდული არ არის. ასევე შეუზღუდავი უფლება ადამცივლის მოწვევა, ეს ნებადართულია სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დამცველის მოწვევის აუცილებლობასაც. ეს ხდება მაშინ, როდესაც

- ექვმიტანილმა, ბრალდებულმა, განსასჯელმა არ იციან სამართალწარმოების ენა;
- მათ აქვთ ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლის დაცვის ფუნქციის რეალურ განხორციელებას;
- კანონი ითვალისწინებს უეადო თავისუფლების აღკვეთას;
- სასამართლოში მონაწილეობს სახელმწიფო ბრალმძებელი;
- ერთ განსასჯელს სასამართლოში ჰყავს დამცველი (იგი უნდა ჰყავდეს მეორესაც);
- ამ განსასჯელთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

შემთხვევები, რომლებიც სავალდებულოს ხდიან დამცველის მოწვევას, აღწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

დამცველის მომსახურების ხარჯები გეისრება იმ პირს, ვისაც ჰყავს ადვოკატი, მაგრამ თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს არ გააჩნია მატერიალური საშუალება აანაზღაუროს დამცველის ხარჯები, მაშინ მათ დამცველი ენიშნებათ სახელმწიფო ხარჯზე, ასეთ შემთხვევაში განსასჯელის უარი სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის.

**უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.** ეს პრინციპი ექვტიად მნიშვნელოვანია და იგი ატარებს როგორც კონსტიტუციურ ხასიათს, ისე პროცესუალურსაც. მოცემული პრინციპი აღიარებულია საერთაშორისო პაქტით ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. „პრეზუმფცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წინასწარ დადგენილ, განსაზღვრულ დებულებას, რომელიც მოქმედებს მანამდე, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი გადმოგვცემს, „რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. კონსტიტუციის პრინციპიდან გამომდინარე, სამართალწარმოებაში უდანაშაულობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყოველი პირი მანამდე ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

ექვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი შეიძლება დააკავონ ან სხვაგვარად შეუზღუდონ უფლებები კანონის ფარგლებში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ ითვლება დამნაშავედ. დანაშაულის ჩადენის ფაქტს წყვეტს სასამართლო თავისი გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი უდანაშაულობის პრეზუმფციაში აგრეთვე განიხილავს იმ გარემოებას, რომ ადვინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმძებელს. ამ კონსტიტუციური პრინციპიდან უნდა დავასკვნათ, რომ ექვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ვალდებული არ არიან ამტკიცონ თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების ტვირთი აწევს პროცესის იმ მონაწილეს, ვინც ახორციელებს ბრალდების ფუნქციას.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს ახასიათებს კიდევ ერთი ნიშანი, კერძოდ ის, რომ დადგენილება ბრალდების სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ და ობიექტურად დადგენილ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი,

რომელიც ვერ დასტურდება, ვარაუდი და დაუდგენელი გარემოება უნდა გადაწყდეს ექსპერტიზის, ბრალდებულის (განსახველის) სასარგებლოდ.<sup>10</sup>

**პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი.** ეს პრინციპიც კონსტიტუციური ხასიათისაა. საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის შესაბამისად მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. მოცემული პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ეს იქნა აღნიშნული, სამართალდამცავი ორგანოების მუშაებას და მათ შორის მოსამართლეებს უკრძალებს პოლიტიკურ საქმიანობას, პოლიტიკური პარტიების წევრობას, გაფიცვების მოწყობასა და გაფიცვებში მონაწილეობას, აგრეთვე სხვა ნებისმიერი თანამდებობის შეთავაზებას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, ან შემოქმედებითი მოღვაწეობისა.

ასეთი აკრძალვა იმითაა გამოწვეული, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები უნდა იყვნენ მიუკერძოებელი, ნეიტრალურები, ობიექტურები ნებისმიერი პირის მიმართ, რომელი პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს ეს პირი; არ უნდა მოექცნენ პოლიტიკური ორგანიზაციების ზეგავლენის ქვეშ და მთელი უზრაველბა უნდა გადაიტანონ მათზე დაკისრებულ რთულ და მრავალფეროვან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის შესაბამისად, ყველას, გარდა სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფი პირებისა, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, თუმცა კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება, ხოლო ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

კონსტიტუცია აგრეთვე მიუთითებს, რომ პიროვნება, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, განაწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წვეტეს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.<sup>11</sup> პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი კონსტიტუციის შესაბამისად, ასახულია შესაბამის კანონებშიც. მაგალითად, საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“, ორგანულ კანონში „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, ორგანულ კანონში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

### §3 საქართველოს საერთო სასამართლოები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შედის:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლო,
- სააპელაციო სასამართლო და
- საქართველოს უზენაესი სასამართლო<sup>12</sup>

#### 1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე. რაიონული სასამართლო იქმნება რაიონში

<sup>10</sup> იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995 წელი, მუხლი 40.

<sup>11</sup> იხ.: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 26-ე მუხლის მეხუთე პუნქტი.

<sup>12</sup> ამდგომარეობის სისტემა რეგლამენტირებულია ორგანულ კანონში 2005 წლის 25 ნოემბერს შეტანილი ცვლილებით, მანამდე კი საერთო სასამართლოების სისტემაში შედიოდა: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო

(რაიონებში, გარდა ქალაქის რაიონისა (რაიონებისა), ხოლო საქალაქო სასამართლო (ქაზინა ქალაქში, რომელიც არ შედის არც ერთი რაიონის შემადგენლობაში. ეს ქალაქებია: სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი და ცხინვალი.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლო შედგება არანაკლებ ორი მოსამართლისაგან. ასეთი სასამართლოების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები.

კანონის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ ერთეულში. მათი რაოდენობა და სამოქმედო ტერიტორია ასევე განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ხოლო მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლეები საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს, მის განსჯადობას მიუთხოვს საქმეებს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით განიხილავს ან ერთპიროვნულად, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით.

იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსივობაა და სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ანდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები, ამავე გზით ხდება მათში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრა, ხოლო მოსამართლეთა შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სასამართლო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. იქ, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას მისივე დაეალებით ასრულებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, თავმჯდომარის დაეალებით მის მოვალეობას შეასრულებს ერთ-ერთი სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე, დაეალების არ არსებობის შემთხვევაში კი ის მოსამართლე ან ის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს,

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას თავმჯდომარის დაეალებით, ასრულებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო დაეალების არარსებობისას – ის მოსამართლე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს. რაც შეეხება იმ სასამართლოებს, სადაც ორი მოსამართლეა, თავმჯდომარის არარსებობის დროს მის მოვალეობას ასრულებს მეორე მოსამართლე.

## 2. სააპელაციო სასამართლო

სააპელაციო სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ასეთივე წესით ხდება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლოში იქმნება:

- სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- საგამოძიებო კოლეგია

თითოეულ პალატასა და საგამოძიებო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, მათ თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეთაგან 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

სააპელაციო სასამართლო კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივრებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განიხილავს ერთპიროვნულად.

ორგანული კანონით რეგლამენტირებულია სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, რაც შემდეგში გამოიხატება:

- თავმჯდომარეობს ერთ-ერთ სასამართლო პალატას ან საგამოძიებო კოლეგიას;
- ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აპარატის მოხელეებსა და სხვა თანამშრომლებს, მათ შეუფარდებს დისციპლინურ სახდელებს;
- ახდენს მოქალაქეთა მიღებას და უზრუნველყოფს მათი განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების დროულად განხილვას, ახდენს მათ განზოგადებას და მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- კანონით დადგენილი წესით განსახილველად ანაწილებს სასამართლოში შემოსულ საქმეებსა და სხვა მასალებს;
- სასამართლოში უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, სასამართლო სხდომის უსაფრთხოებას, რისთვისაც უფლებამოსილია სხდომის დაწყებამდე დაადგინოს პროცესის მონაწილეთა და დამსწრე პირთა შემოწმება და აკრძალოს სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნების შეტანა; ასევე დარბაზის ფართობიდან გამოემდინარე, უფლებამოსილია შეზღუდოს სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა და
- ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მათი არყოფნისას – ერთ-ერთი პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის უხუცესი თავმჯდომარე.

## 3. საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს. იგი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ და სხვა კანონების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადადგე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო შესაბამისად დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, რომელსაც ახორციელებს კანონიერების, კოლეგურობის, საქვეყნობის, მხარეთა თანასწორობისა და შევიძრობითობის, მოსამართლეთა შეუცვლადობის, ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მართლმსაჯულების და სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით.

შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვისაგან, მისი უფლებამოსილების ვადადგე შეწყვეტა ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაუშვებელია, გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუადრე აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მისი გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დაიშვება მხოლოდ საპროცესო კანონით დადგენილი წესით.

კანონმდებლობა სახელმწიფოს ავალდებულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეული პირობები, დაიცვას მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, საბუხარ ადგილის ან პირადი განხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს, თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაუშვებელია უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის შრომის ანაზღაურების შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით, მის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების პროექტს წარადგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით დაუშვებელია.

უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედიან შემდეგი სტრუქტურული დანაყოფები:

- ხელმძღვანელობა;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა;
- ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა;
- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- დიდი პალატა;
- პლენუმი;
- სადისციპლინო პალატა.
- უზენაესი სასამართლოს აპარატი

უზენაესი სასამართლოს საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად შეიძლება იყოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე. იგი უძღვება უზენაესი სასამართლოს პლენუმისა და დიდი პალატის სხდომებს და საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს პალატების სხდომებს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კომპეტენციაში შედის მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობა. იგი წარმართავს უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს აპარატის მოხელეებს და სხვა მუშაკებს; მოსამართლეთა მიმართ აღძრავს დისციპლინურ დევნას და ახორციელებს სხვა დისციპლინურ უფლებამოსილებებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ფუნქციონირებს ბიურო, რომელსაც ქმნიან თავმჯდომარის ბიურო და საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სამსახური. თავმჯდომარის ბიურო შედგება: ბიუროს უფროსის, თავმჯდომარის თანამშრომლის, მთავარი კონსულტანტის, კონსულტანტის, მთავარი სპეციალისტ-რეფერენტისაგან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წყვეტს მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკის საკითხებს; ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს საწევრთა საკვალიფიკაციო ატესტაციას; მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების სახელით, საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით, წარმართავს ურთიერთობას ხელისუფლების სხვა განსტოლებებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო თავმჯდომარისა და პირველი მოადგილის დროებით არყოფნისას თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისივე ბრძანებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

უზენაესი სასამართლოს სტრუქტურაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად ევალება:

- დაიცავს და განამტკიცოს ხელისუფლების ერთერთი და თანასწორუფლებიანი განსტოების სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს კონსტიტუციური პრინციპის – მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცება.

უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების,

პლენუმი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა.



პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ. მის სხდომებს ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

პლენუმის მუშაობაში სათაბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საქართველოს გენერალური პროკურორი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი. სხდომაზე შეიძლება მოიწვიონ უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები, შესაბამისი სპეციალისტები და სხვა პირები.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ მე-9 მუხლის შესაბამისად, **უზენაესი სასამართლოს პალატა** (გარდა სადისციპლინო პალატისა) არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო. იგი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად:

- განიხილავს საკასაციო საჩივრებს საქართველოს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე;
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საქმეებს;
- გადასინჯავს განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო;
- განიხილავს საჩივრებს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის შემთხვევაში.<sup>13</sup>

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს პალატები (გარდა დიდი პალატისა) საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განიხილოს საქმე განსახილველად გადაცეს დიდ პალატას სამ შემთხვევაში:

1. თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;
2. თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);
3. თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს **დიდი პალატა**, რომელიც საკასაციო ინსტანციის სასამართლოა. დიდი პალატა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს.

დიდი პალატის შემადგენლობაში ორგანული კანონის შესაბამისად შედიან:

- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
- პალატების თავმჯდომარეები და
- პალატების შემადგენლობიდან 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლე.

დიდი პალატა საქმეებს განიხილავს კოლეგიალურად 9 მოსამართლის შემადგენლობით, საქმის განმხილველ შემადგენლობაში შედიან ის მოსამართლეები, რომლებიც თავდაპირველად იხილავდნენ საქმეს, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი

<sup>13</sup> მოცემულ მუხლში გათვალისწინებულია 2006 წლის 29 დეკემბერს შეტანილი ცვლილებები.

იმადროულად დიდი პალატის წევრები. დიდ პალატაში საქმეს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დეაღლებით – უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს სტრუქტურაში დიდი პალატის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და სადისციპლინო პალატებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ თავმჯდომარეები, პალატების თავმჯდომარეებს (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ამ პალატის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) იმადროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთაგან (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

უზენაეს სასამართლოში შექმნილია *უზენაესი სასამართლოს აპარატი*, რომელშიც შედის:

- თავმჯდომარის ბიურო;
- საერთო განყოფილება;
- სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება;
- სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილება;
- საფინანსო-სამეურნეო განყოფილება;
- სასამართლოს მანდატურის სამსახური.

უზენაესი სასამართლოს აპარატი იქმნება სამოსამართლო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების მიზნით. აპარატის მუშაობას წარმართავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. მის უფლებამოსილებაში შედის აპარატის უფროსის, მოხელეებისა და სხვა მუშაკების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება. აპარატის უფროსი ვალდებულია;

- უზრუნველყოს შინაგანაწესის დაცვა და შესრულება;
- კოორდინაცია გაუწიოს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად შეიმუშავოს რეკომენდაციები, გეგმები და წინადადებები სასამართლოს საქმიანობის ეფექტური მართვისა და აპარატის მოხელეთა პროფესიული დონის ასაზღაურებლად, რისთვისაც ადგენს სასწავლო პროგრამებს.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგინოს წინადადებები მოსახსურე პერსონალის მატერიალური წახალისების, დაწინაურების, დისციპლინური დევნის აღძვრისა თუ გათავისუფლების შესახებ.
- გააკონტროლოს მოსამსახურეთა შორის ფუნქციების განაწილება. აპარატის უფროსი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაგან, ზოგიერთ უფლებათა დელეგირების შემთხვევაში, წარმოადგენს უზენაეს სასამართლოს სხვადასხვა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ სტრუქტურაში.

## §4 მოსამართლე და მისი დანიშნვის წესი

მოსამართლე წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების მატარებელ სახელმწიფო თანამდებობის პირს. საქართველოში 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის “საერთო სასამართლოების შესახებ” თანხმად, მოსამართლე არის პირი, რომელიც აღჭურვილია კონსტიტუციური უფლებამოსილებებით განახორციელოს მართლმსაჯულება და შეასრულოს თავისი მოვალეობები პროფესიონალურ საფუძველზე. საქართველოში ყველა მოსამართლეს აქვს ერთიანი სტატუსი და განსხვავებიან მხოლოდ უფლებამოსილებებითა და კომპეტენციით. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანხმად, მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის

ასაკიდრე, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალური მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს კუდენარიაიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, გარდა ამისა, კანონით დადგენილია დამატებითი მოთხოვნა, კერძოდ მოსამართლის კანდიდატს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო გამოცდა და უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას (ორგანული კანონის 46-ე მუხლი), თუ კანდიდატი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, იგი მოსამართლის კანდიდატად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეიტანს განცხადებას მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და მისი შედეგები ძალაშია მუდმივად, გარდა ერთი შემთხვევისა, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი კარგავს ძალას, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან შეიდი წლის განმავლობაში არ გამწესდა მოსამართლის თანამდებობაზე (ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-4 პუნქტი). მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც მოქმედი, ისე ყოფილი წევრები.

კონსტიტუციის ამავე მუხლით რეგლამენტირებულია, რომ მოსამართლედ არ შეიძლება გამწესდეს ნასამართლევი პირი, აგრეთვე ის პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენისა დამოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებისა ან შეუთავსებელი საქმიანობისათვის (ორგანული კანონის 54-ე მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტებით), რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა ქედაგოგური და სამეცნიერო მოღვაწეობისა.

მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო რაიონულ (საკალაქო) და სააქედაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას აცხადებს კონკურსს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით. მოსამართლეობის კანდიდატის რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებისას. რეგისტრაციიდან 7 დღეში კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაობაზე, დეკლარაციის ტექსტი არ არის ხელმისაწვდომი არაუარსებობის ამ პირის თანამდებობაზე დანიშნამდე მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შემდეგ საბჭოს მიერ ტარდება კონკურსი.

მოსამართლის კანდიდატის საკონკურსო წესით შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების, მისი საქმიანი და მორალური რეპუტაციის, პროფესიული გამოცდილებისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და სხვ. შერჩეული კანდიდატი წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად, ხოლო თუ კანდიდატი ვერ შეირჩევა ან პრეზიდენტის მიერ იგი მოსამართლედ არ გამწესდება, მაშინ უარის თქმიდან სამი დღის ვადაში ცხადდება ახალი კონკურსი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით. ახალი კონკურსის შემდეგ იგივე კანდიდატურა, რომელიც არ დანიშნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ, არ შეიძლება წარადგინონ ექვსი თვის განმავლობაში იმავე ან უფრო მაღალი რგოლის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად.

დანიშნული მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება მხოლოდ სპეციალური სასწავლო კურსის გავლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა ვაკანსია, შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე მისივე თანხმობით კონკურსის გარეშე გამწესდეს ქვედგომი, შესაბამისი ან

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ, თუ ვაკანსიაზე არ არის გამოცხადებული კონკურსი.

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ თანახმად, საქართველოს ყველა მოსამართლის უფლებამოსილების ვადაა ათი წელი, თუმცა ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს, თუ იგი გავიდა მისი მონაწილეობით დაწვეული საქმის დამთავრებამდე.

თუ მოსამართლე გამწვანდება სხვა სასამართლოში, ახალ თანამდებობაზე მისი უფლებამოსილების დაწყებამდე, იგი არ შეიძლება ჩამოაცილდეს იმ საქმის განხილვას, რომელიც იყო მის წარმოებაში სხვა სასამართლოში გამწვანებისას.

თანამდებობის დაკავებამდე მოსამართლე, რომელიც პირველად ინიშნება თანამდებობაზე, საქართველოს პრეზიდენტის წინაშე დებს ფიცს, რომლის ტექსტსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მოსამართლე ხელშეუხებელია. კანონმდებლობით დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი განხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, თანხმობის გარეშე. გამოჩაკლისს წარმოადგენს დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რომლის დროსაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

## § 5. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგი საფუძვლები:

- პირადი სურვილი;
- ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობა;
- დისციპლინური გადაცდომის ჩადენა (ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სადისციპლინო კოლეგიის წარდგინების არსებობა);
- მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
- სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
- საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- 65 წლის ასაკის მიღწევა;
- კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის გაუვლელია;
- კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის გასვლა;
- გარდაცვალება;

- სასამართლო უწყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაცია, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირება (ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს, წინასწარი წერილობითი თანხმობითა და დადგენილი წესით, შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. უფლებამოსილების დაკისრების შეუძლებლობის შემდგომში, სამი თვის შემდეგ მოსამართლე თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და წინასწარი წერილობითი თანხმობით, ირიცხება რეზერვში მისი სასამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, იგი იღებს თანამდებობრივ სარგოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით, მას ნებისმიერ დროს შეიძლება დაეკისროს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება);
- სხვა სასამართლოში დანიშვნა;
- სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მოსამართლე ჩამოცილებული უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინური სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები განისაზღვრება საქართველოს კანონით.<sup>14</sup>

## § 6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.<sup>15</sup>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეიქმნა 1997 წელს და მის მიზანს წარმოადგენდა სასამართლო რეფორმის წარმატებით ჩატარება. თავისი არსებობის მანძილზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ რამდენჯერმე განიცადა ცელილებები. ამჟამინდელი სახით იგი ჩამოყალიბდა 2007 წლის ივნისში. მისი ძირითადი ფუნქციებია:

- მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება;
- მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა;
- მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა პროფესიული მომზადების, გადამზადების კოორდინაცია და მეთოდური უზრუნველყოფა;
- დისციპლინური სამართალწარმოება;
- სასამართლოებში საქმისწარმოების განვითარების მეთოდური უზრუნველყოფა,
- სოციალური გარანტიებისა და საკანონმდებლო ცელილებების შემუშავება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან, მას თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთაგან –

<sup>14</sup> იხ.: საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ, მიღებული 1999 წლის 12 მაისს, მუხლი 29-ე-საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, 1999, №14(21).

<sup>15</sup> 2004 წლამდე მას იუსტიციის საბჭოს უწოდებდნენ.

- ორ წევრ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი;
- სამ წევრს, საქართველოს პარლამენტის წევრთაგან ირჩევს საქართველოს პარლამენტი;
- საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარს შეადგენენ მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები.
- რვა წევრს, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა, გარდა იმ წევრებისა, რომლებიც საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან და საბჭოს მდივნისა, არის 4 წელი, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი აირჩევა სამი წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ხოლო აპარატი თავის მხრივ, უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის განხორციელებას, რის გამოც იუსტიციის უმაღლესი საბჭოში შექმნილია სამი დეპარტამენტი:

1. სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის;
2. სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების;
3. საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების.

სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტში შედიან სამართლებრივი საკითხთა და ანალიტიკური სამმართველო, საფინანსო-სამეურნეო სამმართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აპარატი და პრეს-ცენტრი.

დეპარტამენტის ფუნქციას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართალ შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა; წინადადებების მომზადება სასამართლო ადმინისტრირების საკითხებზე; სასამართლო რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის საშუალების შესრულება; საბჭოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვა.

სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში შედიან სისხლის სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველო, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველო. დეპარტამენტის ფუნქციას საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ნორმატიული აქტების საფუძველზე დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება; დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების მომზადება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკის მომზადება; დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის მომზადება.

საკადრო საკითხთა და საქმისწარმოების დეპარტამენტი კი შედგება საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და საკადრო საკითხთა განყოფილებისაგან. დეპარტამენტის ფუნქციას საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და საბჭოს აპარატის მოხელეთა საკადრო აღრიცხვა. მათთვის შრომის წიგნაკებისა და ჩასართი ფურცლების

წარმოება და ნამსახურობის ნუსხების შედგენა; ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამართვა, ატესტაციის ორგანიზება და ჩატარება; საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმიანობა; ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციების აღრიცხვა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭო უფლებამოსილია განიხილოს სადისციპლინო საკითხები და მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მის სხდომას ესწრება იმ წევრთა ნახევარზე მეტი, რომლებიც არ არიან საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრები. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა. გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით. საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დანიშნულ პირთაგან ოთხი წლის ვადით ნიშნავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს. ეს თანამდებობა შეუთავსებელია სხვა სახელმწიფო თანამდებობისაგან. მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მუშაობას; ხელმძღვანელობს საბჭოს აპარატს და ა.შ.

მოსამართლეთა კანდიდატების საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზაციისა და ჩატარების მიზნით იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტით ქმნის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას და მის შემადგენლობას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ამტკიცებს საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის დებულებას. კომისია იქმნება გამოცდების ჩატარებამდე არაუადრეს ათი დღისა და მისი შემადგენლობა არ შეიძლება გამოცხადდეს გამოცდების დამთავრებამდე.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს 25 წლის ასაკს მიღწეულ, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს. გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში:

- საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი;
- სისხლის სამართალი;
- სისხლის სამართლის პროცესი;
- სამოქალაქო სამართალი;
- სამოქალაქო სამართლის პროცესი;
- ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი;
- ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმება.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი კარგავს ძალას, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან შეიდი წლის განმავლობაში არ გამწესდება.

## §7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1995 წელს საქართველოში მოხდა ისტორიული მოვლენა, ქვეყნის ძირითად კანონში - კონსტიტუციაში გათვალისწინებული იქნა საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს შექმნა.

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაში გამოხატული იქნა დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ნება.

საქართველოს მოცემული კონსტიტუცია ეფუძნება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს. აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ

განმტკიცებულა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოში სახელისუფლო სტაბილურობის განმტკიცებისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1996 წელს. მისი შექმნისა და საქმიანობის საფუძველია:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ და
- საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი.

2002 წელს განხორციელდა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. ქვეყნის განვითარებამ განაპირობა ცვლილებების შეტანა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და საქართველოს კანონში „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“. ამ ცვლილებებმა თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის დახვეწა, გამარტივება და დანერგვა.

საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მისი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მიუღტერიტორიაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კონსტიტუციური პრინციპების: კანონიერების, კოლეგიალობის, საქვეყნობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, უფლებამოსილებათა მთელი ვადით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და შეუცვლადობის საწყისებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოწყობა, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. მისი ორგანიზაციისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა წესები კი განისაზღვრება კანონით და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით.

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით. იმავე მუხლში გადმოცემულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან, რომელთაგან:

- სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი და მათი დანიშვნის თაობაზე იგი გამოსცემს ბრძანებულებას<sup>16</sup>
- სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი. კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ: პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომელიც არ შედის არც ერთ ფრაქციაში. კენჭისყრის წინ, პარლამენტის თავმჯდომარე დამსწრეთ აცნობს კანდიდატთა სიას და მათ წერილობით თანხმობას; ყოველ ასარჩევ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. კენჭისყრა ფარულია. ერთი და იმავე კანდიდატს წარედგება შეიძლება მხოლოდ ორჯერ. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი,

<sup>16</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 1996 წლის 21 მარტი, უწყებანი, 5-6, გვ.73.



რომელიც მიიღებს სმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ სითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედისა;

- სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. დასანიშნ კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის სამი კანდიდატი, რომელიც მიიღებს პლენუმის დამსწრე წევრთა ხმების ორ მესამედს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა. უფლებამოსილება იწყება მის მიერ ფიცის დადების დღიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა შერჩევისას, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს. ამ თანამდებობაზე გამწესებისას სავალდებულოა კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი.

თავის შემადგენლობიდან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები 5 წლის ვადით ირჩევენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და ორ მოადგილეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას ასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოადგილეები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ თითოეულ მათგანს კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ ხუთმა წევრმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.<sup>17</sup> თანხმობის მიცემის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან მარეაბილიტირებელ საუფიქვოზე შეწყვეტის შემთხვევაში უფლებამოსილება აღდგება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შედეგად.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს შესაძლებელია უფლებამოსილება შეუწყდეს ვადამდე, ეს შეიძლება მოხდეს კანონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;
- თუ დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას;
- დაარღვია ორგანული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- ჩაიდინა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელი;
- დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- სასამართლომ ცნო ქმედუნარიო;
- მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- გარდაიცვალა, ან სასამართლომ აღიარა უზო-უკელოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად;

<sup>17</sup> ცვლილება იხ. იქვე

- გადადგა თანამდებობიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, არა უგვიანეს 20 დღისა გამწესდება ახალი წევრი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება იმ დროს, როდესაც იგი მონაწილეობს საქმის განხილვაში, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდება საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

## §8 საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა

როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან. სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი. მის ხსლომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი. კოლეგიის ხსლომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. კოლეგიის შემადგენლობას სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სამართლებრივი, ორგანიზაციული, საკადრო, საფინანსო და მატერიალური მხარეების განხორციელებას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატი, რომლის საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი.

აპარატის სტრუქტურაშია შემდეგი დანაყოფები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის სამდივნო;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა აპარატი;
- სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი;
- კანცელარია;
- კადრების განყოფილება;
- სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება;
- საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად ურთიერთობს სხვა სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სასამართლოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის სრულუფლებიანი წევრი. იგი აგრეთვე თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ე.წ.ვენეციის კომისიასთან „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“, ეუთოსთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან, ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, კონსტიტუციური და სამართლებრივი პოლიტიკის ინსტიტუტთან და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს აქვთ გარკვეული უფლებამოსილებანი: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

- საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს წარუდგენს დასამტკიცებლად საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტსა და აპარატის დებულებას;
- ანაწილებს საქმეებს რეგლამენტით დადგენილი წესით;
- წარუდგენს პლენუმს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურებს;
- იწვევს პლენუმს, უძღვება მის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ეს იქნება განჩინება, დასკვნა, საოქმო ჩანაწერი თუ სხდომის ოქმი<sup>18</sup>
- საერთო ხელმძღვანელობას უწევს აპარატის საქმიანობას;
- განკარგავს საბიუჯეტო ასიგნებებს;
- ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს;
- წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას კონსტიტუციური კანონიერების შესახებ.

*საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:* უძღვება კოლეგიის სხდომას; თავმჯდომარის დაეაღიბებთ ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, ხოლო თუ ასეთი დაეაღიბება არ არის მის ფუნქციებს შესასრულებს უხუცესი მოადგილე. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შესრულებისას ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს, მის მოვალეობას ასრულებს შესაბამისი კოლეგიის უხუცესი წევრი.

*საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი* აირჩევა პლენუმზე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთაგან 5 წლის ვადით, იგი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების გარდა, ახორციელებს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს; ორგანიზებას უწევს სხდომათა ოქმების წარმოებას და გაფორმებას; ხელს აწერს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით; იღებს ზომებს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების თაობაზე,<sup>19</sup> ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის წარდგინებისა თუ მოქალაქის აპრჩების საფუძველზე, ორგანული კანონით დადგენილი წესით, ასრულებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს კონსტიტუციისთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქვეყნების შესაბამისობის საკითხებს;<sup>20</sup>
- განიხილავს და გადაწყვეტს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- განიხილავს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

<sup>18</sup> ცვლილებები შეტანილია 2002 წლის 12 თებერვლის ორგანული კანონით, სსმ 4, მუხ. 14

<sup>19</sup> იხ. იქვე

<sup>20</sup> ახალი რედაქციით ეს მუხლი ჩამოყალიბდა საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით, სსმ 37, მუხ. 171

- გადაწყვეტს დავას რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;
- განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
- პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებაში;
- იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკენის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ იქნას მიჩნეული კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განჩინებისა და გადაწყვეტილების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული და ფიზიკური პირი, მოქალაქეთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია, შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მოთხოვნების შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილნი არიან საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოდან, იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან და საინფორმაციო ცენტრიდან. რეგლამენტის შესაბამისად მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით.

## §9 საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის წესი

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივა ან მხარეთა შუამდგომლობა პირადი, პროფესიული, კომერციული, სამხელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა შეიძლება დაიხუროს, ასეთ სხდომას აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაესწონ მოწვევები, ექსპერტები და თარჯიმნები. თუ იქნება მხარეთა შუამდგომლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც. განჩინება საქმის დახურულ

სხდომაზე განხილვის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს სათათბირო ოთახში.

სასამართლო სხდომაზე არ დაიშვება 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, თუ იგი მოწმე არ არის; სხდომაზე აგრეთვე არ დაიშვება შეიარაღებული პირი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც იცავენ საკონსტიტუციო სასამართლოს, მათი დაშვება შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ნებართვით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო თუ პროცესის რომელიმე მონაწილემ არ იცის სამართალწარმოების ენა, სასამართლო ვალდებულია მიუჩინოს მას თარჯიმანი.

კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, დაუსვან შეკითხვები მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, მიმართონ შუამდგომლობებით საკონსტიტუციო სასამართლოს. მისცენ მას ზემოთ ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და და გამოთქვან მოსაზრებები განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე. მხარეები უფლებამოსილი არიან პროცესის ნებისმიერ სტადიაზე თავიანთი ინტერესების დაცვა მიანდონ ადვოკატს ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირს ან ნდობით აღჭურვილ პირს – წარმომადგენელს.

კონსტიტუციური სამართალწარმოების საფუძველია კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების წერილობითი შეტანა, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული, მასში აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებანი, რომლებიც, მოსარჩელის ან წარდგინების ავტორის აზრით, ადასტურებენ საფუძვლიანობას.

კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა<sup>21</sup>. ამ აქტზე ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი, თუ აქტი არ არის დაკავშირებული საქმის განხილვასთან, მაშინ მას ხელს აწერენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი.

საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არსებითად წვევებს წერილობით. კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების შესახებ აკეთებენ საოქმო ჩანაწერს, ხოლო მიუღებლობის შესახებ იწერება განჩინება. კანონის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას და დასკვნას<sup>22</sup> გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. საქმის განხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მხარეს შეუძლია დააყენოს საკითხი განხილვაში მონაწილე სასამართლოს წევრის აცილებაზე, თუ იგი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია, თუ პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაინტერესებული საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მიუკერძოებლობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების ან თვითგანრიდების შესახებ განცხადება დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის მონაწილეთა ნაბევრზე მეტი.

თუ საქმის განხილვისას სასამართლოს რომელიმე წევრს აქვს განსხვავებული აზრი, ის უნდა დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით. იგი თან ერთვის სხდომის ოქმს და ავტორის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნასთან ერთად ქვეყნდება პრესაში.

<sup>21</sup> ცვლილებები შეტანილია 2002 წლის 12 თებერლის ორგანული კანონით, სსმ 4, მუხლი 14.

<sup>22</sup> იხ.: საქართველოს 2004 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონი, სსმ 37, მუხ. 171

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავებულ აზრთან ერთად ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსი ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია.

საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟით იბეგრება: კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება; საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება და გადაწყვეტილება მათი განმეორებით გაცემისას. საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, სახელმწიფო ბაჟის გაზრდის ან შემცირების უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მონაწილეობს განსაკუთრებული ჩაცმულობით, რომლის ფორმასაც ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი.<sup>23</sup>

საკონტროლო კითხვები:

1. აღწერეთ სასამართლო ხელისუფლების როლი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში
2. ჩამოთვალეთ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები
3. აღწერეთ საქართველოს საერთო სასამართლოების სტრუქტურა
4. აღწერეთ მოსამართლე და მისი დანიშნვის წესი
5. აღწერეთ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი
6. აღწერეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა და ფუნქციები

<sup>23</sup> იხ.: საქართველოს 2006 წლის 7 სექტემბრის ორგანული კანონი, სსმ 40, მუხ.281.

## თავი 23 საქართველოს პროკურატურა

### §1. პროკურატურის კონსტიტუციური სტატუსი და სტრუქტურა

საქართველოს პროკურატურა 2004 წლის თებერვლამდე კონსტიტუციის 91-ე მუხლის შესაბამისად შედიოდა საქართველოს სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, მაგრამ 2004 წლის 6 თებერვლის კანონით შეტანილია ცვლილებები კონსტიტუციაში და მოცემული მუხლი ამოღებულია, ამჟამად საქართველოს პროკურატურის შესახებ საუბარია კონსტიტუციის 76-ე პრიმა მუხლში, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“, აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროკურატურა უნდა შედიოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში.

„პროკურორი“ ლათინური სიტყვაა და მზრუნველს ნიშნავს. პროკურატურის ძირითად ამოცანას სწორედ კანონიერების განმტკიცება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და კანონების შესრულება წარმოადგენს. პროფესორ აპოლონ ფალიაშვილის მიხედვით, მსოფლიოში პროკურატურა, როგორც სახელმწიფო დაწესებულება, პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1302 წელს მეფე ფილიპე IV-ის დროს. რუსეთში მსგავსი სტრუქტურა პეტრე I-ის ხელმწიფობისას შეიქმნა და მანვე შემოიღო გენერალ-პროკურორის თანამდებობა 1722 წელს. პროკურატურას დაეკისრა კონტროლის განხორციელება სახელმწიფო დაწესებულებებზე, ასევე კანონთა შესრულებაზე უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებში, დამნაშავეებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სენატში.<sup>1</sup> აქვე ავტორი გადმოგვცემს პროკურატურის ორგანოების ისტორიას საბჭოთა წლებში და შედგომ პერიოდში.<sup>2</sup>

საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომლის კანდიდატურასაც საქართველოს პრეზიდენტი დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. გენერალური პროკურორი ინიშნება 5 წლის ვადით. მისი დანიშნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია იმპიჩმენტის წესით. მთავრობის გადადგომა არ გამოიწვევს გენერალური პროკურორის გადადგომას.

ფუნქციური თვალსაზრისით საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელია. არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ არიან უფლებამოსილნი კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დავალებები მისცენ მას. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობას, იგი ეფუძნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას და თივალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს.

**პროკურატურის სტრუქტურა.** საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ფუნქციონირებენ შემდეგი დეპარტამენტები:

- საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატი;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- საქართველოს გენერალური პროკურორატურის ეკონომიკური დეპარტამენტი;
- ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტი;
- ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი;
- შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი;

<sup>1</sup> იხ. აპოლონ ფალიაშვილი, „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები“. თბილისი, 2004, გვ. 120.

<sup>2</sup> იხ.: იქვე, გვ.120-126.

- საპროცესო ხელშეწყობის დეპარტამენტი;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილი;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია;
- გენერალური პროკურატურა.

დაუშვებელია საგანგებო ან სპეციალური პროკურატურების შექმნა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატი შედგება სამი სამმართველოსაგან, რომელთა ძირითადი ფუნქციებია: პროკურატურის სისტემაში საერთო კონტროლის განხორციელება, საქმისწარმოებისა და არქივის ორგანიზება, მიღებული კორესპონდენციის ანალიზი და კონტროლი, გენერალური პროკურორის მოხსენებებისა და საჯარო გამოსვლების მომზადება, ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია არის შიდაუწყებრივი კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული დანაყოფი. იგი წარმართავს პროკურატურის ორგანოებში სამართალდარღვევათა გამოვლენის, თავიდან აცილებისა და მათზე კანონის შესაბამისი რეაგირების მიზნით მიმართულ მუშაობას. გენერალური ინსპექცია, თავის მხრივ, ატარებს წინასწარ გამოძიებას პროკურატურის მუშაკთა ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს. იგი ატარებს სამსახურებრივ შემოწმებებს დისციპლინის დარღვევების პრევენციისათვის. გენერალურ პროკურორს წარუდგენს წინადადებებს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის შესახებ.

ჩატარებული რეფორმების შედეგად, პროკურატურის სტრუქტურაში შეიქმნა პროკურატურის საბჭო, რომლის მოვალეობაცაა ზედამხედველობის გაწევა სტაჟირების კონკურსის ჩატარებაზე, დანიშნასა და ატესტაციაზე, ეთიკის კოდექსის შესრულებასა და დისციპლინურ დევნაზე.

## §2 პროკურატურის სისტემის ორგანიზაცია და ფუნქციები

საქართველოს პროკურატურის სისტემის მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე პროკურორების დანიშნისა და დისციპლინური დევნის პროცესში მონაწილეობისათვის პროკურატურის სისტემაში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ორგანო - პროკურატურის საბჭო. პროკურატურის საბჭოს დაკომპლექტება ხდება პროკურატურის სისტემის წარმომადგენლებისაგან, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების, იუსტიციის საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

პროკურატურის საბჭოს ძირითად ფუნქციად დასახულია პროკურორების თანამდებობაზე დასანიშნ პირთათვის კონკურსის ორგანიზება და საქართველოს გენერალური პროკურორის მხარდაჭერა პროკურატურის სისტემის ეფექტურად მართვის ორგანიზაციაში.

პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებს ქმნის და აუქმებს გენერალური პროკურორი პროკურატურის საბჭოს წარდგინებით. ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციური მოვალეობები განისაზღვრება გენერალური პროკურორის ბრძანებით. პროკურორებს შორის საქმეთა გადანაწილება ხდება პროკურორების ფუნქციური სპეციალიზაციების მიხედვით ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პროკურორის მიერ.

პროკურატურა ინარჩუნებს თავის ძირითად ფუნქციას – სისხლისსამართლებრივ დევნას და წინასასამართლო გამოძიებაზე ზედამხედველობას. აგრეთვე, მის ფუნქციებშია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ზედამხედველობა.

ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობაში უამრავი ცვლილებებია შეტანილი, თავისთავად იზრდება და ძლიერდება პროკურორის, როგორც წინასასამართლო გამოძიებაზე ზედამხედველობის ინსტიტუტი. ახალი კანონმდებლობით იგეგმება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის ინსტიტუტის შემოტანა, სადაც



გათვალისწინებული იქნება დაზარალებულის ინტერესები. პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში გახდება დამოუკიდებელი ფიგურა, ზემდგომი პროკურორი შეინარჩუნებს ქვემდგომი პროკურორის საქმისაგან ჩამოშორების უფლებამოსილებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ფუნქციებს მიაკუთვნებენ აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციას. გენერალური პროკურორის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო პრინციპები საკვლევლო შესასრულებელი იქნება ყველა საგამოძიებო ორგანოსათვის. გენერალურ პროკურატურაში იწარმოებს საქართველოში მომხდარი ყველა დანაშაულის სტატისტიკა, ანალიტიკური კვლევა და დანაშაულის დინამიკის კრიმინოლოგიური ანალიზი.

§3 პროკურორის დანიშვნა, დაწინაურება, მოშადება/გადამხადება, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოს პროკურატურაში პროკურორად შეიძლება დანიშნოს პირი, რომელსაც აქვს უზადღესი იურიდიული განათლება, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა, მიღებული აქვს პროკურატურის მუშაის ფიცი, საქმიანია და მორალური თვისებებით გამორჩეული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს პროკურატურის მუშაისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. თანამდებობაზე დასანიშნად პირმა უნდა გაიაროს პროკურატურის საბჭოს მიერ ორგანიზებული კონკურსი. ამ კონკურსს არ გადიან გენერალური პროკურორის მოადგილეები. პროკურორების დანიშვნა ხდება ეტაპობრივად:

I ეტაპზე კანდიდატი აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას;

II ეტაპზე ტარდება კონკურსი. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, კანდიდატი მიმართავს განცხადებით პროკურატურის საბჭოს კონკურსში მონაწილეობის უფლების მისაღებად. კონკურსი, თავის მხრივ, ორეტაპიანია, ეკრძოდ, კანდიდატი აშუადებს წერილობით ნაშრომს და გადის გასაუბრებას საბჭოს წევრებთან. კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე უარს ეუბნებიან, ანუ პროკურატურაში საშუალოდ არ მიიღებიან: ნასამართლევი პირები, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტუქსოშანიით, ფსიქიკური ან სხვა მძიმე ქრონიკული სნეულებით დაავადებულები, სასამართლო წესით ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად ცნობილი პირები ან სხვა საშუალოდან მაკომპრომეტირებული საფუძვლილი დათხოვილი მუშაკები;

III ეტაპზე ხდება თანამდებობაზე დანიშვნა. კონკურსის შედეგების გათვალისწინებით და დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, პროკურატურის საბჭო შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს გენერალურ პროკურორს. გენერალური პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას დანიშნის შესახებ, ხოლო უარის შემთხვევაში საბჭოს წინაშე წარადგენს წერილობით დასაბუთებას. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი დასანიშნია გენერალური პროკურატურის რომელიმე დეპარტამენტის ხელმძღვანელად, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ან რაიონულ პროკურორად, პროკურატურის საბჭო გენერალურ პროკურორს ერთ ვაკანსიაზე წარუდგენს სამ კანდიდატურას, ერთი ინიშნება, ხოლო ორ კანდიდატს უარს ეუბნებიან წერილობითი დასაბუთების გარეშე. სამივე კანდიდატურის დანიშვნაზე უარის შემთხვევაში, გენერალური პროკურორი ასაბუთებს უარს წერილობით. პროკურორი (პროკურატურის გამომძიებელი) თანამდებობაზე ინიშნება უუადოდ, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონული პროკურორები ინიშნებიან 3 წლის ვადით. რაიონის პროკურატურის ერთი და იგივე პროკურორის ერთზე მეტი ვადით დანიშვნა დაუშვებელია. პროკურატურის მუშაის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა საჯარო თანამდებობებთან, ასევე სამეწარმეო და სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, შემოქმედებითი და კვლავიური საქმიანობისა. იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის ორგანოებში გაჩნდება ვაკანსია, საერთო წესით ტარდება კონკურსი. პროკურატურის მუშაკებს დაკავებული თანამდებობის, სამეცნიერო ხარისხის, კვალიფიკაციის, საშუალო სტატუსი, საქმიანი და მორალური თვისებების, დაკისრებული მოვალეობების შესრულების ან განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიენიჭებათ სახელმწიფო სპეციალური წოდებები. წოდებების მინიჭების და ჩამორთმევის წესი

განისაზღვრება კანონით. შენარჩუნებულია პროკურატურაში სტაჟირების გავლის არსებული სისტემა. ეკროდ, პროკურატურის კადრების პროფესიული დონის ამაღლებისათვის პერიოდულად ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისა და სემინარების ორგანიზება. მოცემული კურსებისა და სემინარების ორგანიზების მიზნით პროკურატურაში ჩამოყალიბებულია სასწავლო ცენტრი, მის ჩამოყალიბებამდე კი გამოყენებულია სამოსამართლო სწავლების ცენტრის რესურსები.

დისციპლინური დარღვევების შემთხვევაში, პროკურორთა მიმართ აღიძვრება დისციპლინური დევნა, რომელსაც ახორციელებს პროკურატურის გენერალური ინსპექცია. მის უფროსს, პროკურატურის საბჭოს წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი. დისციპლინური დევნის განხორციელების პერიოდში გენერალური ინსპექცია დამოუკიდებელია. იგი არ არის შეზღუდული გენერალური პროკურორისა და მისი ქვემოთ მიწოდების მიერ მიწოდებული ინფორმაციით და დამოუკიდებლად ახორციელებს დისციპლინურ წარმოებას. დისციპლინური გადაცდომებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სპეციალური აქტით. აღსანიშნავია, რომ დისციპლინურ გადაცდომებზე განისაზღვრება პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა.

პროკურატურის მუშაკთათვის მოქმედებს პროკურატურის საბჭოს მიერ შემუშავებული და პროკურატურის მუშაკთა საერთო კრებაზე დამტკიცებული ეთიკის კოდექსი, რომლის მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურის საბჭო.

სახელმწიფო პასუხისმგებელია პროკურორის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ჩადენილი დელიქტისათვის. იმავდროულად სახელმწიფო უფლებამოსილია რეგრესის წესით მოითხოვოს ანაზღაურება პროკურორისაგან, ხოლო თუ პროკურორის მიერ ჩადენილია არა დელიქტი, არამედ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება ანუ დანაშაული, პროკურორი პასუხს აგებს საერთო წესის შესაბამისად, გამონაკლისა, როცა მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას აძირავს გენერალური პროკურორი და საქმის გამოძიებას ახორციელებს მხოლოდ გენერალური პროკურატურა.

პროკურატურის მუშაკის პროკურატურიდან დათხოვნა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ: გაუარესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიიმდ დასახიჩრდება ან აქვს ქრონიკული დაავადება, რის გამოც ვერ შეძლებს სამსახურის გაგრძელებას; ვადის გასვლის გამო; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციების შეუსრულებლობისათვის, სამსახურებრივი შეუსაბამობისათვის; ზემოთ აღნიშნული დისციპლინური გადაცდომებისთვის ან სისტემატური დარღვევებისთვის; შტატების შემცირების შემთხვევაში; საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშნისას ან თანამდებობებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნათა სხვა დარღვევისათვის; დანაშაულის ჩადენისათვის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე; საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; საპენსიო ასაკის გამო.

საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

პროკურატურისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს კონტროლის პალატა.

**საკონტროლო კითხვები:**

1. აღწერეთ პროკურატურის კონსტიტუციური სტატუსი და სტრუქტურა
2. დაახსიით პროკურატურის სისტემის ორგანიზაცია და ფუნქციები
3. როგორ ხორციელდება პროკურორის დანიშვნა, დაწინაურება, მოშავება/გადამხადება, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემა?

## თავი 24 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

### §1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმები

1992 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით გაუქმდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ დებულება დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის №263 ბრძანებულებით.<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სამართალდამცავი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველყოფისათვის ახორციელებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, დანაშაულის აღკვეთა-აცილებას, დანაშაულის გამოწვევასა და გამოძიებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვას. თავისი ფუნქციების განხორციელებისას შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმები, მოხდა სამართალდამცავი ორგანოების ძირეული გარდაქმნა. რეფორმის პირველ ეტაპს წარმოადგენს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაერთიანება,<sup>2</sup> რის შედეგადაც აღმოიფხვრა ფუნქციური პარალელიზმი ამ უწყებებს შორის, შეიქმნა ახალი ნორმატიული ბაზა, აღარ ხდება სხვადასხვა სამინისტროების მიერ იდენტური ამოცანების შესრულება და შესაბამისად, დაიწყო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი რესურსები, გაუმჯობესდა დანაშაულთან ბრძოლა. ჩამოყალიბდა სხვადასხვა სპეციფიკის ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ერთიანი სისტემა და შეიქმნა მონაცემთა საინფორმაციო ბანკი. კანონმდებლობაში გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად, გაუქმდა მოკლევადიანი ინსტიტუტი, რამაც სამინისტროში გამოიწვია რეორგანიზაცია; განხორციელდა შსს დანაყოფების აღჭურვა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ასევე გაუმჯობესდა პოლიციის სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; კაპიტალურად შეკეთდა თბილისისა და რეგიონული სამმართველოების ამორტიზებული შენობები; გაიზარდა თანამშრომელთა ხელფასები.

რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა საპატრულო პოლიცია, რამაც ზეგავლენა მოახდინა დანაშაულის პრევენციისა და ცხელ კვლევ გაცხნის მარეზულტატებზე, ხელი შეუწყო პოლიციელის ავტორიტეტის ამაღლებას მოსახლეობაში; ამოქმედდა რადიოცენტრი 022. შს სამინისტროსათვის პრიორიტეტული გახდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რისთვისაც ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლის საქმიანობის შედეგიც სისტემაში კორუფციის მინიმუმამდე დაყვანა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, შეიქმნა მონიტორინგის მთავარი სამმართველო. იგი აღრიცხავს დროებითი დაკავების იზოლატორში მოთავსებულ თითოეულ ადამიანს, ამოწმებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უმკაცრეს კონტროლს აწესებს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

<sup>1</sup> საქართველოს შს სამინისტროს ორგანოების ჩამოყალიბება და ისტორიული ასპექტი. დაწერილებით იხილეთ: აპოლონ ფალიაშვილი, "საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები". თბილისი, 2004 წელი, გვ.196-197.

<sup>2</sup> ეს არ არის პირველი შემთხვევა, ისტორიულად აღნიშნული სამსახურები რამდენჯერმე გაერთიანდა, მაგრამ გარკვეული ამოცანების შესრულების შემდეგ კვლავ ცალ-ცალკე უწყებებად ჩამოყალიბდა, არც ახლა გამოირჩეხული, მიხედს ამ უწყებების განცალკევება (მ.მ.)

უახლესი ინვენტარიოთა და ლიტერატურით აღჭურვა პოლიციის აკადემია, სადაც ხდება სამინისტროს პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება, გაუქმდა უმისროების აკადემია.  
რეფორმებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს პოლიციის რეიტინგი მოსახლეობაში.

## §2 შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც ჰყავს მოადგილეები, ფუნქციონირებს სამოხილიზაციო სამსახური. სამინისტროს სტრუქტურაში შედიან შემდეგი დეპარტამენტები, მთავარი სამმართველოები, ცენტრები:

- კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციის დეპარტამენტი;
- საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი;
- სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტი;
- კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი;
- კონტრდაზვერვის დეპარტამენტი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი;
- ქობილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;
- ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი;
- სპეცოპერაციების ცენტრის დეპარტამენტი;
- განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი;
- კონტრტერორისტული ცენტრი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური;
- სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველო;
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტი;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი;
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი;
- საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო;

შს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია:

- მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველო;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შს მთავარი სამმართველო;
- რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო-სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- სამცხე-ჯავახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო;
- შსს საფელდეგერო სამსახური;
- სპეციალიზებული სამთო მანქანი.<sup>3</sup>

<sup>3</sup> შსს-ს სტრუქტურა ამოღებულია შსს ვებგვერდიდან 2008 წლის მარტის მდგომარეობით. იხ.სქემა.

## სტრუქტურის სქემა

განვიხილოთ ზოგიერთი სამსახურის კომპეტენცია.

**ადმინისტრაციის დეპარტამენტი.** შსს ადმინისტრაციის ამოცანებს წარმოადგენს საქმისწარმოების ორგანიზება და საერთო კანცელარია, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ორგანიზაცია, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა, სამინისტროს თანამშრომელთა უფლებების დაცვა, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში გარეშე პირთა შესვლისა და გასვლის ორგანიზება, დაქვემდებარებული დანაყოფების უწყვეტი სადღეღამისო საქმიანობის ხელშეწყობა და სხვა.

**გენერალური ინსპექცია** შსს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფია, რომელიც ახორციელებს შსს თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების, დისციპლინის ან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების გამოვლენასა და სათანადო რეაგირების უზრუნველყოფას. ამ სამსახურის საქმიანობა, როგორც წესი, ემყარება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, კონსპირაციის, ღია და ფარული მეთოდების შეხამების პრინციპებს.

**საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი** შსს სამინისტროს სისტემაში შექმნილია 2005 წლის 12 დეკემბერს, იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებას, შესაძლო შედეგების ლიკვიდაციისათვის საქმიანობის კოორდინაციას. ამავე სამსახურს ეკისრება საომარი მდგომარეობის პერიოდში სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების განხორციელების უზრუნველყოფაც.

**კონტრტერორისტული ცენტრი** შსს სამინისტროს სისტემაში, როგორც ცალკეული დანაყოფი შეიქმნა 2005 წლის ივლისში, აქ ხდება მოსალოდნელი და შესაძლო ტერორისტული საფრთხეების შესახებ ინფორმაციითა შეჯამება და ანალიზი, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და მათი რეალიზაცია. ცენტრი შედგება სამი სამმართველოსაგან.

ცენტრი აგროვებს ყოველგვარ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის, სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების შესახებ, დაცვით მოსარგებლედ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე შესაძლო ტერორისტული აქტების განხორციელების თაობაზე; აელენს საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული, პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებს, ახდენს მათ თავიდან აცილებას და აღკვეთას; ახორციელებს ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების და ტერორისტული სახსოთის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოვლენას და აღკვეთს მათ საქმიანობას; აელენს არაღებულური მიგრაციის მზადების ფაქტებს, თავიდან იცილებს და აღკვეთს მათ; მოიპოვებს ინფორმაციას ბირთვული, რადიაქტიური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და სხვა სახის იარაღის შესახებ.

**დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** წარმოადგენს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ახორციელებს როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირთა ქონებისა და პირად დაცვას მართლსაწინააღმდეგოდ თუ დანაშაულებრივი ქმედებისაგან. აღნიშნული დეპარტამენტი სახელმწიფო დაკვეთით ახორციელებს უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების და ეროვნული საგანძურის დაცვას, აგრეთვე მნიშვნელოვანი ობიექტების, სათბობ-ენერგეტიკული ობიექტების ფულადი სახსრების ინკასირებასა და

მოძრავი ტვირთების დაცვას, ასევე სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ობიექტების დაცვას, ტვირთების გაცილებას და მათ დაცვას დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, გარდა ამისა, საცხოვრებელი ბინებისა და სხვა შენობა-ნაგებობების დაცვას, როგორც საპოლიციო ძალებით, ისე დაცვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. დაცვის სამსახურის გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დეპარტამენტი კისრულობს მატერიალური ზარალის ანაზღაურებას და დაცვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის მიერ.

*ინტერპოლი* . როგორც ცნობილია, საქართველო ინტერპოლის წევრი 1993 წლის 29 სექტემბერიდანაა. ამ დღეს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიაზე არუბაში განიხილეს საქართველოს გაწევრიანების საკითხი, რომელიც დადებითად გადაწყდა 95 ხმით 2-ის წინააღმდეგ.

ინტერპოლის ეროვნული ბიურო საერთაშორისო მასშტაბით ახორციელებს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზნის მისაღწევად იგი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან, სხვა სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან.

**§ 3 საქართველოს პოლიციის სტატუსი და ამოცანები, მოვალეობები და უფლებები**

ძალიან ხშირად, პოლიციას აიგივებენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. რასაკვირველია, ეს არასწორია. პოლიციის გარდა, შს სამინისტროს შემადგენლობაში შედიან სხვა ორგანოებიც, რომლებზედაც წინა თავში გვექონდა საუბარი. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლის მიხედვით, „საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედრობებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან“.<sup>4</sup>

საქართველოს პოლიცია თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს. პოლიციაში მოსამსახურე პირებს შეიძლება მიენიჭოთ სპეციალური ან სამხედრო წოდებები. საქართველოში, კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირებების შექმნა.

პოლიციის საქმიანობის ძირითად სამართლებრივ საფუძვლებს აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, კანონი „პოლიციის შესახებ“, საქართველოს კანონები, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები.

**კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიციის ამოცანები:**

- ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
- პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილი ან/და

<sup>4</sup> იხ.: საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 1, “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები”. თბილისი, 1993 წელი, №9.

ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დანაშაულობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება;

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა და სხვა ამოცანები.

პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, კუშიანობისა და საქვეურობის პრინციპებს. იგივე მუხლი ითვალისწინებს პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისა და მასში მონაწილეობის აკრძალვას.

პოლიციის საქმიანობაში საჯაროობა გულისხმობს პოლიციის მიერ საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მოქალაქეებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად. ამისათვის სამინისტროში შექმნილია პრესცენტრი.

პოლიციას არა აქვს უფლება გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი, პროფესიული, პირადი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია და გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მასალები, თუ ეს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

*პოლიციის მოვალეობანი.* კანონში „პოლიციის შესახებ, კერძოდ, მის მე-8 მუხლში, ჩამოთვლილია პოლიციის მოვალეობები, რომელთა რიცხვი ოცდათერამეტია. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი. პოლიციას ევალება:

- მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს სხვა ორგანოსა და მოქალაქეებს;
- მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები;
- დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, გამოვლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის და განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმაღლესი თანამდებობის პირების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები;
- ჩაატაროს ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევები ოპერატიულ-სამძებრო მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს დადგენილი რეჟიმის დაცვაში, ხოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს – საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;
- მიიღოს გადაუდებელი ზომები, თუ აღძვინის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, აგრეთვე ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს დაიცვას უმეტადად უფროდ დარჩენილი ქონება;
- სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია და გამოკვლევის მიზნით წარადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან;
- სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაშია; თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის ალკოჰოლის მიღების შეწყვეტ

და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, ადგილზე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილზევე შეამოწმოს ოგი; თუ შემოწმების შედეგად დასტურდება მძღოლის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აისახება ალკოჰოლური სიმთვრალის შედეგები და სხვა.

**პოლიციის უფლებები.** კანონის მეცხრე მუხლში ჩამოთვლილია ოცი უფლება. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგანი. კერძოდ, პოლიციას უფლება აქვს:

- კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამომიება საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება;
- თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებში და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსოში, საწარმოთა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში. აღსანიშნავია, რომ ამ უფლების განხორციელების უფლება არ აქვთ დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოებისა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების მიმართ, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეხებლობით.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით შესამოწმებლად წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის გამო საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, შეინახოს მისი ნივთები და დოკუმენტები და შეადგინოს სათანადო ოქმი;
- ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალოდ დაფიქსირებისთანავე დაუყოვნებლივ საცეს შემაკავებელი ორდერი;
- აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, თუ საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;
- აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
- სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა;
- გადაუდებელი აუცილებლობისას გამოიყენოს მოქალაქეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა კუთვნილი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები;
- დანაშაულის გამოვლენის, წინასწარი გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით და სხვა.

**§3 პოლიციის მიერ ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება**

პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი, თუმცა ამ საშუალებების გამოყენებამდე პოლიციელი ვალდებულია გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა პირმა შეასრულოს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაუყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა,



სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას უფლება აქვს გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი სახის სპეციალური საშუალებები:

- ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება;
- რეზინის ხელკეტი;
- ცრემლსადენი გაზი;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეუქცევითი მოწყობილობა;
- დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება;
- წყალსატყორცნი;
- ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება;
- სპეციალური საღებავი;
- სასამსახურო ძაღლი და ცხენები;
- ელექტროშოკური მოწყობილობა.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლში განმარტებულია თითოეული სპეციალური საშუალების გამოყენების პირობები, კერძოდ:

- *ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება* შეიძლება გამოყენებული იქნას დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უპატივსიტყვო ან შეიძლება გაუპატივსიტყველად პოლიციელს, ან ცდილობს გაქცევა; დააკავდეს და დაპატიმრებულის ბადრაგირებისას, თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს თავის თავსა და გარეშე პირს;

- *რეზინის ხელკეტი* – შეიძლება გამოყენებული იქნას მოქალაქეზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

- *ცრემლსადენი გაზი* – გამოიყენება მოქალაქეზე, პოლიციელზე, დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

- *ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეუქცევითი მოწყობილობა* – გამოიყენება სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, პოლიციელზე ან/და მოქალაქეზე თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პირის დასაკავებლად, შენობა-ნაგებობიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დამნაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის გამოსაძევებლად, მძევლების გასათავისუფლებლად;

- *ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება* შეიძლება გამოიყენონ მაშინ, თუ მძღოლმა არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერების თაობაზე; დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება გამოიყენება დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;

- *წყალსატყორცნი და ჯავშანმანქანა* გამოიყენება საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ობიექტებზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალებების იძულებითი გასაჩერებლად, თუ მძღოლმა არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერებულ იყოს, შეიარაღებულ დამნაშავეთა დასაკავებლად;

- *სპეციალური საღებავი* გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსაღწევად;

- *სასამსახურო ძაღლი* გამოიყენება დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ბადრაგირებისას, მოქალაქეზე ან პოლიციელზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

- *სასამსახურო ცხენი* იყენებენ დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, საპატროლუო სამსახურის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად; ელექტროშოკური

მოწყობილობა – გამოიყენება მოქალაქეზე, პოლიციელზე ან დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად.

კანონის მე-13 მუხლი აწესრიგებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებას. ამ მუხლის შესაბამისად, პოლიციელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა.

პოლიციელს უფლება აქვს უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი შემდეგ შემთხვევებში:

- მოქალაქისა და თავისი თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკეთად;
- ძეგლების გასათავისუფლებლად;
- დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკეთად;
- მძიმე დანაშაულის აღსაკეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციელს ან შეეცდება გაქცევას;
- მოქალაქეთა ბინებზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას;
- მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;
- განგაშის სიგნალის მიცემის ან დამხმარე ძალის გამოძახებისას;
- სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ხოლო მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების თაობაზე, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლაც. გაფრთხილების გარეშე კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

- შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;
- ტრანსპორტის გამოყენებით ან სატრანსპორტო საშუალებიდან დაკავებულის ან პატიმრის გაქცევისას;
- დამნაშავის დაკავების ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;
- დაკავებულის ან დაპატიმრებულის შეიარაღებული გაქცევისას;
- დაკავებულის ან დაპატიმრებულის სატრანსპორტო საშუალებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის და ტყიან ადგილებში გაქცევისას.

კანონმდებლობა კრძალავს იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენებას, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაზარალება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ და აფეთქებადსაშიშ ადგილებში, ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულნი არიან ან ჯგუფურად ესხმიან თავს, რითაც საფრთხეს უქმნიან მოქალაქის ან პოლიციელის სიცოცხლეს.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის უშუალო უფროსსა და პროკურორს.

აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიზრებას იწვევს, დაკავშირებულია

გაუმართლებელ რისკთან და აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო აქტებით.

#### §4 პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ეწევა როგორც ღია, ისე ფარული საშუალებებითა და მეთოდებით. კანონმდებლობა კრძალავს ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებას, რომლებიც:

- საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;
- საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებას და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
- თუ ეს ღონისძიებები დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან დანაშაულის და სხვა სახის სამართალდარღვევების ჩასადენად.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული საგნები, დოკუმენტები და ინფორმაცია გამოიყენება დანაშაულის გახსნისა და მისი თავიდან აცილებისათვის, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად; სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, აგრეთვე იმ ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად, რომლების საფუძველად დაედება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლის მიერ აკრძალულია სისხლის სამართლის მტკიცებულებად ოპერატიულ-სამძებრო გზით მიღებული მასალების გამოყენება, თუ ისინი შემოწმებული და შეფასებული არ იქნებიან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას კონტროლს უწევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით პირს უფლება აქვს ნებაყოფლობით ითანამშრომლოს და დახმარება აღმოუჩინოს პოლიციას, მას უფლება აქვს დადოს კონტრაქტი კონფიდენციალური თანამშრომლობის შესახებ, კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს პირადობის დამადასტურებელი დაშიფრული დოკუმენტები; მიიღოს ანაზღაურება. იმავდროულად ასეთი პირი ვალდებულია შეასრულოს დავალებები, დაიცვას კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები; განზრახ არ მიაწოდოს პოლიციას ყალბი ან ცილისმწამებლური ინფორმაცია, რისთვისაც იგი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე იგი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, თუ გაამჟღავნებს კანონით დაცულ იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდება პოლიციასთან თანამშრომლობის შედეგად.

პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას იყენებს ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს და მეთოდებს, რომლებმაც არ უნდა შელახოს პირის პატივი და ღირსება, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა და ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს.

#### §5 პოლიციის კადრები, მათი წახალისება და პასუხისმგებლობა

პოლიციელი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიც, რომლის ტექსტსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. პოლიციელი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

*პოლიციაში მიიღებიან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეძლებენ შესასრულონ დაკისრებული მოვალეობები, უფლობენ სახელმწიფო ენას, მოხდით აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახური (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გათავისუფლებული პირებისა) და რომლებიც გაივლიან სპეციალურ შემოწმებას. შესაძლოა პოლიციაში მიიღონ 35 წლის ასაკს გადაცილებული პირებიც, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასეთ დროს საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობა.*

*პოლიციაში არ მიიღებიან ნასამართლვეი პირები, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსომანიით, შიდსით, ფსიქიკური ან სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირები, აგრეთვე სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი პირები.*

პოლიციაში სამსახურის პერიოდში პოლიციელებს ეზღუდებათ ზოგიერთი პოლიტიკური უფლება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით და „პოლიციის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით, კერძოდ: პოლიციელს არ აქვს უფლება გაიფიცოს ან მიიღოს გაფიცვაში მონაწილეობა; ეკავოს რაიმე თანამდებობა ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს რომელიმე სხვა სახაზინო საწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში.

პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისათვის შეიძლება შემდგენილად წახალისდეს:

- გამოეცხადოს მადლობა;
- მიეცეს ერთდროული ფულადი ჯილდო;
- დაჯილდოვდეს ფასიანი საჩუქრით;
- დაჯილდოვდეს სამკერდე ნიშნით;
- გადამდე მიენიჭოს მორიგი წოდება;
- ეადამდე მოეხსნას დადებული დისციპლინური სახდელი;
- წარადგინონ სახელმწიფო ჯილდოზე.

იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელი ჯეროვნად ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მის მიმართ შეიძლება გამოყენონ შემდეგი სახის დისციპლინური სახდელები:

- შენიშვნა;
- საყვედურის გამოცხადება;
- სასტიკი საყვედურის გამოცხადება;
- სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
- სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;
- თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
- სამსახურიდან დათხოვნა.

პოლიციელი სამსახურიდან შეიძლება დაითხოვონ შემდეგ შემთხვევებში:

- განსაზღვრული ასაკის მიღწევის გამო ან წელთა ნამსახურობის გამო შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის მიხედვით;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ქრონიკული დაავადების გამო, რომელთა მიზეზით მას აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;
- სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;
- სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისათვის;

- რეორგანიზაციისა ან შტატების შემცირების შემთხვევაში;
- საკუთარი სურვილით;
- ფიცის გატეხვისთვის, პოლიციელისათვის შეუფერებელი საქციელისთვის;
- კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;
- კორუფციული სამართალდარღვევისთვის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით;
- შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაელის შემდეგ;
- შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის.

საქართველოს მიერ აღებული საგარეო-პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგრძნობლად გაააქტიურა თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავ სტრუქტურებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანამშრომლობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან, იგი ცდილობს ეს ფორუმში გამოიყენოს ცალკეული ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობისათვის.

ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების პარალელურად საქართველო მზადყოფნას გამოხატავს საკუთარი წვლილი შეიტანოს გლობალური უსაფრთხოების და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში.

საკონტროლო კითხვები:

1. აღწერეთ რეფორმები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსში 2004-2008 წლებში
2. აძწერეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა
3. აძწერეთ საქართველოს პოლიციის სტატუსი და ამოცანები, მოვალეობები და უფლებები
4. აძწერეთ პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

## თავი 25. დაცვის სისტემა

§1. ადვოკატურა. ადვოკატურის ცნება, მისი როლი და ადგილი თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში

ადვოკატურაზე საუბრისას დავესესხოთ რომელი იურისტების კლასიკურ გამოთქვას: “სამართლის შემსწავლელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოს, საიდან წარმოიშვა სიტყვა “სამართალი” (იუს). “სამართალი” წარმოშობილია სიტყვიდან “მართლმსაჯულება” (იუსტიტია), ცელსის განმარტების თანახმად, “სამართალი არის მეცნიერება სიკეთისა და სამართლიანობის შესახებ”. “სამართლის დანიშნულებაა: იცხოვრო პატიოსნად, სხვას არ მიაყენო ზიანი, თითოეულს დამსახურებისამებრ მიაგო.” აღნიშნული მსჯელობა საინტერესოა არამარტო პრობლემისადმი მიდგომის ხერხისა და მეთოდის თვალსაზრისით, არამედ მისი არსისა და იდეური საფუძვლის კუთხითაც.

როგორც იურიდიულ ტერმინთა უმრავლესობა, სიტყვა “ადვოკატურაც” წარმოშობილია ლათინური ფუძიდან “advokare, advokatus” (მოხმობა, მოხმობილი). თავდაპირველად ადვოკატებს რომაელები უწოდებდნენ მოდავის ნათესაეებს და მეგობრებს, რომელთა თანხლებასაც ისინი სასამართლოში თხოვლობდნენ. იმპერიის პერიოდში ეს ტერმინი გამოიყენებოდა სასამართლო დამცველების მიმართ.

თანამედროვე ეტაპზე ადვოკატურა წარმოადგენს დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. როცა საუბარია ძალაუფლების, აგრეთვე ცენტრსა და რეგიონული სუბიექტების ორგანოებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უფლებამოსილების განაწილებაზე, ჩვეულებრივ ავიწვდებით, რომ მოქალაქესაც ან ადამიანთა ჯგუფსაც აქვს თავისი სუვერენული მიკროძალაუფლება, პირადად ინტერესების ხელშეუხებლობის სფერო, მიუწევდომელი სხვა ძალაუფლების, სამართლისა და თავისუფლებისთვის. უკანასკნელთა აღსრულებისა და დაცვის გარანტიები არამარტო ჩაწერილია საქართველოს კონსტიტუციაში, პროცესუალურ და მატერიალურ კანონებში, არამედ გარანტირებულია რიგი უფლებების დამცველი ორგანიზაციების საქმიანობით, რომელთა შორის უპირველესია ადვოკატურა.

თანამედროვე საზოგადოება საქმიანობაში ეყრდნობა სამართლიანობისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, მუშაინიშს, მაგრამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოველქმედების რეგულირებისთვის არსებობს კანონები და მათი მოქმედებაში მომყვანი მექანიზმები. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ყოველთვის არ დგას ცალკე აღებული კონკრეტული პირის ინტერესების სადარაჯოზე, რაც იწვევს ამ უკანასკნელის უფლებების შეღახვას, თუკი იგი არ არის საკმარისად გათვითცნობიერებული საკუთარ უფლებებზე შესაძლებლობებში. საზოგადოება და სახელმწიფო – სხედასხვა სუბსტანციებია. ხალხის ნებით წარმოქმნილი სახელმწიფო დროთა განმავლობაში იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ხდება მისი ჩამოშორება საზოგადოებისგან. სამოქალაქო საზოგადოება კი, თავისუფალი სამართლებრივი საზოგადოებაა, ორიენტირებული კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელიც ქმნის სამართლებრივი ტრადიციებისა და კანონების, ზოგადპოპულური იდელების მიმართ პატივისცემის ატმოსფეროს, უზრუნველყოფს შემოქმედებით და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებას, ქმნის კეთილდღეობისა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას, ორგანულად გამოიმუშავებს სახელმწიფოს საქმიანობის კონტროლისა და შეზღუდვის მექანიზმებს.

სახელმწიფოებში, სადაც სამართლებრივი კულტურის დონე მაღალია და კანონმდებლობას აქვს მდგრადი სტრუქტურა, კანონმორჩილი მოქალაქე პრაქტიკულად თვით სისტემის მიერაა დაცული. სამართლებრივი კულტურის ქვეშ იგულისხმება სოციალური, სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობით გადპირობებული საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების ხარისხობრივი მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება სამართლებრივი საქმიანობის განვითარების, იურიდიული აქტების მთლიანობაში სამართლის სუბიექტების

(ადამიანის, სხვადასხვა ჯგუფის, მთელი მოსახლეობის) სამართლებრივი განვითარების დონით, აგრეთვე სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ადამიანის თავისუფლების და უფლებების გარანტირების ხარისხით.

სახელმწიფოს, როგორც ზოგადმნიშვნელოვანი პრობლემების დემოკრატიული გზით გადაწყვეტილ სტრუქტურის შექმნის პრინციპები აღიარებულია ცივილიზებულ ქვეყანათა უმრავლესობის მიერ. ამას ეზიარებთ ჩვენც, თუმცა ე.წ. გარდამავალ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით არ შეინიშნება სტაბილურობა და კანონმდებლობაც, საყოველთაო აღიარებით, წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რაც ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს პიროვნების უფლებების დარღვევისათვის როგორც ფიზიკური პირების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აკეთებდა ამას სადასაჯელო ორგანოების გამოყენებით. ადეოკატურა – დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციაა, რომლის წევრებმაც, უპირველეს ყოვლისა, თავის რწმენაზე, მიღებულ ცოდნასა და ჩვეულებზე დაყრდნობით ვადადებულა აიღეს, დაიცვან ინდივიდის უფლებები და თავისუფლებები. სახელმწიფო ორგანოებისაგან დამოუკიდებლობას განაპირობებს ადეოკატურის ღირებულება და კონფიდენციალურობა.

საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ “ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ უმაღლეს ფასეულობებს”, ხოლო “ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ხელშეუხლებელია და მას ეკუთვნის დაზღვევადან”. ამ დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მთელი სამართლებრივი სისტემის საფუძველს და ცენტრს წარმოადგენს ადამიანი, ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი მხოლოდ ადამიანის საქმიანობით მიღებული წარმონაქმნია.

ყველა სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირის საქმიანობა უპირველესად მიმართულია ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების რეალისაცხადისკენ, რომლებიც განსაზღვრავენ კანონების და სახელმწიფოს განვითარების აზრს და მიმართულებას კანონთა გამოყენების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის და მართლმსაჯულების უზრუნველყოფის გზით. ყოველივე ეს განსაზღვრავს ადეოკატურის როლს და ადგილს თანამედროვე საზოგადოებაში.

ცნებასთან “ადეოკატურა” მჭიდროდაა დაკავშირებული ცნებები “სამართლებრივი სახელმწიფო”, “კანონიერება”, “სამართლიანობა”, “მართლმსაჯულება”, სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური მახასიათებლები, რომელთა ფარგლებში არსებობს დემოკრატიის, სასამართლოს, პიროვნების, პოლიტიკურ სისტემაში მისი უფლებებისა და ადგილის თანამედროვე გაგება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნებები ურთიერთდაკავშირებულია და მათ ბევრი აქვთ საერთო, არსებობს საკმაოდ ფაქიზი, მობილური ზღვარიც, რომელიც ამ ცნებებს გამიჯნავს ერთმანეთისგან.

ბერლინის კედლის დანგრევისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ერთ-ერთმა აღმოსავლეთეუროპელმა პოლიტიკოსმა თქვა: “ჩვენ გეინდოდა სამართლიანობა, მაგრამ მივიღეთ სამართლებრივი სახელმწიფო”<sup>1</sup>.

შევეცადოთ გავერკვეთ ამგვარი იმედგაცრუების მიზეზებსა და, რაც მთავარია, არსში. როგორც ჩანს, საკმე ეგება იმას, რომ ეს ხარისხობრივად არაადექვატური ცნებები სხვადასხვაგვარად ახასიათებენ სამართლებრივ მხარეებს, თანამედროვე პოლიტიკურ-სამართლებრივი ცხოვრების პარამეტრებს.

ჯ. ფლეტჩერი ამტკიცებს, რომ სამართლიანობის შინაარსი ცხადია ყველასა და თითოეულისათვის. კანონიერების დადგენას და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას კი სჭირდება დრო, მოთმინება და რთული პროცედურები. სამართლიანობა, ამ სამართალმცოდნის სხარტი ნათქვამით, ისევე განსხვავდება კანონიერებისგან, როგორც “ბისტროში კეება რვა თავი კერძისგან შემდგარ სუფრაზე ნადიმისაგან.”

<sup>1</sup> Флетчер Дж., Наумов А.В., “Основные концепции современного уголовного права”. М., 1998. С. 489.

მართლაც, წარმოდგენა სამართლიანობის შესახებ საზოგადოებას და ცალკეულ ადამიანს ეცვლება. ყოველი ახალი ეტაპი იძლევა სამართლიანობის ახალ გაგებას, დამყარებულს შესაბამის საზოგადოებრივ იდეალებზე. დღეს ჩვენთვის ეს გაგება ეფუძნება ჰუმანურ ზოგადადამიანურ ფასეულობებს, ადამიანის და მოქალაქის ბუნებრივ ხელუხლებელ უფლებებს. ავტორიტარული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ჩვენი საზოგადოება და საჩიროლის მეცნიერება გადის ლიბერალური ფასეულობების, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, სამართლის პრიორიტეტის აღსარების ეიფორიით სავსე, მაგრამ მაინც მადლიან პერიოდს. მართლმსაჯულების, კანონიერების, სამართლიანობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს თანაფარდობის შესახებ ლაპარაკის დროს თანამედროვე თეორეტიკოსებს მოჰყავთ ხატოვანი შედარება: “სამართლიანობისათვის დამახასიათებელი ყველაფრის დაკრება და მშოფოთარე სასიყვარულო რომანის რისკი, კანონიერება იძლევა საიმედო ქორწინების სტაბილურობას. კანონიერება უზრუნველყოფს სამართლიანობის დონის სტაბილურობას. სამართლებრივი სახელმწიფო თავის მიზნებს ემსახურება საგულდაგულო პროცედურების შესრულების, დეაში მონაწილე მხარეების მოსმენის, არასაიმედო მტკიცებულებების უგულვებელყოფის და მოსამართლეებს, ადვოკატებსა და მსაჯულებს შორის უფლებამოსილების განაწილების საშუალებით.”<sup>2</sup>

ალბათ, ეს აიხსნება სახელმწიფოს და სამართლის ბუნებით. მათი თვისებაა კონფლიქტების გადაჭრის მცდელობა მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ამ თვისებას მარქსისტები უწოდებენ სახელმწიფოსა და სამართლის ფარდობით დამოუკიდებლობას, ხოლო თანამედროვე თეორეტიკოსები – მთ ზოგადსოციალურ არსს. სამართლიანობის იდეა უძველესი დროიდან იხევევობდა მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების მიერ, დაწყებული ძველი აღმოსავლეთიდან და ანტიკური ხანიდან.

სამართლის საკითხის მიმართ მიდგომისას, თავიანთ სამართლებრივ კონსტრუქციებში რომელი იურისტები სამართლიანობას ანიჭებდნენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. რომაული იურისპრუდენცია მრავალმხრივ ყურადსაღებია სამართლიანობის, როგორც სამართლის ძირითადი იდეის, გაგების საქმეში. ამას ადასტურებს ისტორიაში პირველი სამართლის სახელმძღვანელო – გაის “ინსტიტუციები”, რომელიც რთული სამართლებრივი კონფლიქტების გადაჭრისას შეიცავს მოქნილობის, ლოგიკის, დიალექტიკის გამოყენების უთვალავ მაგალითს, რაც დღესათვისაც იურისპრუდენციის ანბანს წარმოადგენს. სამართლიანობა, სიკეთე, რომელი იურისტების გაგებით, ესაა კანონის სული. მათ საკმაოდ ადრე შენიშნეს კანონის ფორმის (სიტყვის) შეუსაბამობა მის შინაარსთან და მსოფლიოს არუქეს თავისი სიღრმისეულობით საუკეთესო აფორიზმი – კანონების ნებისმიერი ყველაზე უფრო ზუსტი გამოყენება ბადებს უდიდეს უსამართლობას. შემდგომი მსოფლიო იურიდიული პრაქტიკა ადასტურებს ამ თეზისს. მაგალითად, გამოჩენილი რუსი ადვოკატის ფნ. პლევაკოს ცნობილი რიტორიკული ნათქვამი “ჩაიდან და რუსეთი”. ძველ რუსულ ადვოკატურას აბსურდამდე არ მიუყვანია სამართლის უმაღლესი ინტერესების უზომო აბსოლუტიზაცია და საკითხი გასაოცარი ზომიერების დაცვით განიხილა<sup>3</sup>. საქმის არსი იყო შემდეგში: ერთმა მოხუცმა ქალმა, შთამომავლობით აზნაურმა, მოიპარა 30 კოპეიკის ღირებულების ჩაიდან და გასამართლდა მსაჯულთა სასამართლოს მიერ. პროკურორმა ნათლად აღწერა დამნაშავის გაჭირება და სიღარიბე, მაგრამ, უმნიშვნელო ქურდობის მიუხედავად, მაინც მოითხოვა დამნაშავის დასჯა, რადგან სამართლის ლოგიკით, საზოგადოება დაიღუპება, თუ უფლებას მისცემს ადამიანებს ხელყონ საკუთრება – სამოქალაქო კეთილდღეობის საფუძველი და წმინდა პრინციპი.

ადვოკატმა პლევაკომ განაცხადა შემდეგი: “ზეერი უბედურება და განსაცდელი გადაიტანა რუსეთმა თავისი თავს წელზე მტეხი ხნის არსებობის მანძილზე... პაჭანიკები, ყივჩაღები, თათრები, პოლონელები; ნაპოლეონის არმია მოადგა მას, აიღეს მოსკოვი. ყველაფერს

<sup>2</sup> იქვე, გვ. 489-495

<sup>3</sup> Мирзоев Г.Б., Кейзеров Н.М., “Правовая культура адвоката”. М., 1996. С.31



გაუძლო, ყველაფერს გაუმკლავდა რუსეთი, მხოლოდ იწრთობოდა და იზრდებოდა განსაცდელის გადალახვით. ახლა კი, ახლა... მოხუცმა ქალმა მოიპარა ოცდაათი კოპიის ღირებულების ძველი ჩაიდანა. ამას კი რუსეთი, რა თქმა უნდა, ვერ გადაიტანს, იგი დაიღუპება სამუდამოდ<sup>4</sup>. სასამართლომ გაამართლა მოხუცი. დღევანდელი კანონის პოზიციიდან ჩვენ ვიტყვით, რომ ეს ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად შედის სისხლის სამართლის კანონის ნორმის ფარგლებში, მისი უმნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის. გონებაშახეილური დაპირისპირებული ფორმულით “მოხუცი – ჩაიდანა – რუსეთი” პლევაკომ გაანელა იურიდიული პრინციპების აბსოლუტიზატორების ბუქიაობა.

სხვა საქმის განხილვისას ფ.ნ. პლევაკომ თავის გამოსვლაში თქვა: “ასე, ბატონებო, მგზნებარება ბევრი იყო ამ საქმეში. მაგრამ იქ, სადაც არის ენება, გატაცება, დაფარულია ჭეშმარიტება. შორს ეს ფრაზები! ნუ ენდობით ბრბოს მიერ გამოტანილ დაუფიქრებელ განაჩენს.

საზოგადოებას სჭირდება არა მაღალი იდეების მსხვერპლი, არამედ მართლმსაჯულება. საზოგადოებას არ ესაჭიროება, რომ ერთთა დასამშვიდებლად და მეორეთა დასაშინებლად დროდადრო წარმოითქმებოდეს საბრალოდობა განაჩენი ამ ქვეყნის ძლიერთა მიმართ, თუნდაც მათ არ ჩაეღინოთ არავითარი დანაშაული...

ნუ დანებდებით იმ თეორიას, რომელიც ქადაგებს, რომ დედამიწაზე სრული სიმშვიდის მოსაპოვებლად საჭიროა ხანდახან ისმოდეს გასამართლებულთა ჯაჭვების ხმა, საჭიროა ციხეები აივსოს მართლმსაჯულების იდეისთვის შეწირული მსხვერპლით... იყავით გონების და სინდისის მოსამართლეები!”<sup>5</sup>

**ადეოკატურა სამართლებრივ სახელმწიფოში და მისი იურიდიული ბუნება**

1. ადეოკატურის არსის წედომის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ 1996 წლის საქართველოს კონსტიტუციამ დაამკვიდრა ადრე გამოუყენებელი თეორიული დებულებები, ცნებები და პრინციპები, რომლებიც საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ადეოკატურა, სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობის კონცეფცია და პრაქტიკა. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო.

სამართლებრივ სახელმწიფოდ ითვლება ისეთი სახელმწიფო, რომელიც მთელი თავისი საქმიანობით ემორჩილება სამართალს და მთავარ მიზნად სამართლიანობის, ადამიანის უფლებების და თავისუფლების უზრუნველყოფას მიიჩნევს.

სამართლებრივი სახელმწიფო – ეს არის სახელმწიფოებრიობის ავტორიტეტის მაღალი დონე, სამართლის ბატონობის ისეთი რეალური რეჟიმი, სადაც ეკონომიკურ და სახელისუფლებო სფეროებში უზრუნველყოფილია ადამიანის და მოქალაქის ყველა უფლება.

სამართლებრივი სახელმწიფოს შენება გულისხმობს შეიქმნას გარანტიების ისეთი სისტემა, რომელიც დაიცავს თვითრეგულირებად სამოქალაქო საზოგადოებას ადმინისტრაციის შეუზღუდავი ჩარევისგან, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს. ვერაინ უნდა შეძლოს, არაკონსტიტუციური მეთოდებით რაიმე ზეგავლენა მოახდინოს სასამართლო ხელისუფლების აღსრულებაზე.

საქართველოს კონსტიტუცია თანამედროვე საქართველოს განიხილავს, როგორც სამართლებრივ სახელმწიფოს. ამ ცნების შინაარსის კვლევა სამართლებრივი მეცნიერების

<sup>4</sup> Плеввако Ф.Н. Избранные речи М., 1993. С. 93-94

<sup>5</sup> იქვე.

პრეროგატივა. საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით ცნება – „სამართლებრივი სახელმწიფო“ გულისხმობს:

- სამართლის ბატონობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და საზოგადოების სამართლებრივი პრინციპების გამოხატველი კანონის უზენაესობას;
- არა უბრალოდ კანონის, არამედ სამართლებრივი კანონის უზენაესობას;
- სახელმწიფოს, მისი ყველა ორგანოს, სამოქალაქო ორგანიზაციების, პასუხისმგებელი პირების და მოქალაქეთა კანონით განხორციელებულ ურთიერთკავშირს;
- პიროვნების თავისუფლების ურყევობის, მისი უფლებების და ინტერესების, პატიოსნების და ღირსების დაცვას;
- სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობას;
- კონტროლის და ზედამხედველობის ეფექტური ფორმების არსებობას, რათა აღსრულდეს კანონი და სხვა ნორმატიულ-იურიდიული აქტები;
- სახელმწიფოში ხელისუფლების გადაწვევას კანონშემოქმედებით, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის.

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება მრავალმხრივია. მასში შედის ყველაფერი ის, რასაც მოიცავს კონსტიტუციური დემოკრატიული სახელმწიფოს გაგება. სხვადასხვა მკვლევარი გამოყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს სხვადასხვა ნიშან-თვისებას. მათ შორის უფრო ხშირად ასახელებენ:

- ადამიანისა და მოქალაქის უფლებების და თავისუფლების უმაღლეს პრიორიტეტს;
- სასამართლოს დამოუკიდებლობას, როგორც უფლებების და თავისუფლების გარანტიის მთავარ მექანიზმს;
- კონსტიტუციის უზენაესობას;
- საერთაშორისო სამართლის პრიორიტეტს.

სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს სამართლით თვითშეზღუდვას. სამართლის ბატონობა სამართლებრივი სახელმწიფოს უმაღლესი პრინციპია. ეს პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კანონის უზენაესობას. ანუ, ცხოვრების ყველა სფეროში ძირითადი საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირებას მხოლოდ კანონით და არა კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს სამართლებრივი სისტემის საფუძველია კონსტიტუცია. მას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა, პირდაპირი მოქმედება და გამოიყენება საქართველოს მთელ ტერიტორიზე. კანონი და სხვა კანონქვემდებარე აქტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

კანონის უზენაესობის გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია:

- კანონმდებლობის ღირებული სისტემის არსებობა;
- კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფა;
- სოციალური სამართლიანობის პრინციპების დანერგვა ცხოვრებაში;
- სახელმწიფო ორგანოების მთელი საზოგადოების და არა მხოლოდ მისი ნაწილის სამსახურში ყოფნა;
- ყველა კანონის გამოქვეყნების სავალდებულობა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა სამართლებრივი რეფორმების გატარება, რომელთა ძირითადი მიმართულებებია:

- ადამიანის უფლებების სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
- კონსტიტუციური წყობის დაცვა და მისი საფუძვლების განმტკიცება;
- სახელმწიფოებრივი მმართველობის რეფორმირება;
- სასამართლო სისტემის და იუსტიციის ორგანოების ორგანიზაციისა და მოღვაწეობისთვის ერთიანი სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- სამართალდამცავი ორგანოების რეფორმისათვის სამართლებრივი ბაზის ფორმირება;

- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება;
- ეკონომიკის განვითარების სისტემური სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- სამართლებრივი აღზრდის სისტემის განვითარება, მათ შორის – იურიდიული განათლების, იურიდიული მეცნიერების და სხვა...

საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისათვის მნიშვნელოვანი ორიენტირია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. მაგალთისთვის მოვიყვანოთ კოპენჰაგენში ჩატარებულ ვეროის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის (CBCE) მეორე კონფერენციის დოკუმენტს, რომელიც 35-მა ქვეყანამ 1990 წლის ივნისში მიიღო. მასში დაფიქსირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგი ელემენტები:

- ფარული კენჭისყრით, ან სხვა თანაბარუფლებიანი პროცედურით, თავისუფალი არჩევნების ჩატარება, სადაც ამომრჩეველი შეძლებს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება.

- მმართველობის წარმომადგენლობითი ფორმის განხორციელება, რომლის დროსაც ადმინისტრაციული ხელისუფლება ანგარიშვალდებულია არჩეული კანონმდებლობითი ორგანოს ან ამომრჩეველთა წინაშე;

- მთავრობის და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კონსტიტუციის აუცილებელი დაცვა და საქმიანობის კანონის შესაბამისად წარმართვა;

- მკვეთრი გამიჯვნა სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. კერძოდ, პოლიტიკური პარტიები არ უნდა შეერწყან სახელმწიფოს;

- მთავრობის, ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოების მოღვაწეობის განხორციელება ისეთი სისტემით, რომელიც შესაბამისობაშია კანონთან. ასეთი სისტემისადმი პატივისცემის უზრუნველყოფა.

- სამართლებრივი სახელმწიფოს სამოქალაქო ძალაუფლების კონტროლქვეშ ყოფნა. შეიარაღებული ძალების და პოლიციის ანგარიშვალდებულება მათდამი.

- ადამიანის უფლებების და თავისუფლების გარანტიების უზრუნველყოფა კანონით, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართალთან.

- საჯარო პროცედურებით მიღებული კანონების და ადმინისტრაციული დებულებების პუბლიკაცია, რომელთა ტექსტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის;

- ყველა ადამიანის თანასწორობა კანონთან მიმართებაში, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გამორიცხვა;

- ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებისგან თითოეული ადამიანის სამართლებრივი დაცვის ეფექტური უზრუნველყოფა, რათა გარანტირებული იყოს ძირითადი უფლებების პატივისცემა;

- ნებისმიერი პირის წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სრულყოფილი დასაბუთება, სადაც აუცილებლად იქნება მითითებული სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივი საშუალებები;

- სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო სასამართლო სამსახურების მიუკერძოებელი ფუნქციონირება;

- დამოუკიდებელი ადვოკატების აღიარება, მათი დაცულობა სამუშაოზე მიღების და საადვოკატო პრაქტიკის განხორციელებისას;

- სისხლის სამართლის პროცესებთან დაკავშირებული ნორმების ზუსტი შინაარსის ჩამოყალიბება; კომპეტენციის განსაზღვრა განხილვასა და იმ რომეტან მიმართებაში, რომლებიც წინ უსწრებენ და ახლავან აღნიშნულ განხილვას;

- სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული თითოეული დაპატიმრებულის ან დაკავებულის უზრუნველყოფა დაცვის უფლებით, რათა შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილების მიღება დაპატიმრების ან დაკავების კანონიერების შესახებ. მისი სწრაფი მიყვანა მოსამართლესთან, ან ისეთი თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია შესარულს მსგავსი ფუნქცია;

- ყოველი ადამიანისთვის იმ უფლების მიცემა, რომ მისდამი წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების ან რომელიმე სამოქალაქო პროცესზე მისი უფლებების და

მოვალეობების განსაზღვრა მოხდეს ღიად, კომპეტენტურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე;

- სასამართლოს წესით დევნას დაქვემდებარებული ყველა პირის აღჭურვა იმ უფლებით, რომ დაიცვას თავი თვითონ, ან აიყენოს მის მიერ არჩეული ადვოკატი. თუ პირი არ არის გადახდისუნარიანი, მან უნდა მიიღოს ადვოკატის მომსახურება უსასყიდლოდ;

- ბრალდების მოხსნა პირისათვის, რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი დანაშაული, თუნდაც ამ კანონში ნათლად და მკაფიოდ იყოს განსაზღვრული მოცემული დანაშაულის ელემენტები;

- უდანაშაულობის პრეზუმფიციის უზრუნველყოფა, ვიდრე, კანონის თანახმად, არ მოხდება დანაშაულის დამტკიცება;

- კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა ნაციონალურ დონეზე, რაც ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი შენაძენია. სახელმწიფო-მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ისინი განიხილდნენ – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტებთან და სხვა შესაბამის საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საკუთარი მიერთების საკითხს, თუ მათ ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ;

- მონაწილე-სახელმწიფოების მზადყოფნა, განიხილონ რეგიონულ ან უნივერსალურ საერთაშორისო კონვენციებთან (სადაც საუბარია ადამიანის უფლებების დაცვაზე) მიერთების საკითხი. ასეთებია: ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ, ან საერთაშორისო პაქტის ფაულტატიური ოქმი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ეს პაქტები ფაულსწინებს ცალკეული პირების სამართლებრივი დაცვის პროცედურებს საერთაშორისო ორგანოებში.

ბევრი რამ ზემოთ აღნიშნულიდან პირდაპირ კავშირშია ადვოკატურის ორგანიზებასა და საქმიანობასთან.

2. ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხი – ცნების „ადვოკატურა“ განსაზღვრავს. მნიშვნელოვნად აღსანიშნავია ადვოკატურის ინსტიტუტის განსაკუთრებული სახალხო-სამართლებრივი სტატუსი, ასევე, ადვოკატთა ასოციაციის, როგორც ადვოკატთა საქმიანობის განსაკუთრებული სამართლებრივი ფორმის, განხილვა.

ადვოკატურის ბუნების განსაზღვრამ, რომელიც თითქოსდა აშკარად თეორიული საკითხია, ამჟამად პრაქტიკული მნიშვნელობაც შეიძინა. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოში მომრავლდა და რეგისტრაციაში გატარდა მოქალაქეთა უფლებდამცავი საზოგადოებრივი გაერთიანებები. მართალია, მათ არ გაუვლიათ ადვოკატურის კანონის მიხედვით გათვალისწინებული რეგისტრაცია, მაგრამ მაინც აცხადებენ პრეტენზიას საადვოკატო საქმიანობაზე. თავიანთი აზრის დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“.

ცხადია, რომ ადვოკატთა ასოციაცია არ არის საზოგადოებრივი გაერთიანება. მათ მიერ მითითებული კანონი არეგულირებს სრულიად განსხვავებული სახის იურიდიული ბუნების ურთიერთობებს.

განვიხილოთ ზოგი, არსებითი ხასიათის განსხვავება, რომელიც არ იძლევა ადვოკატთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების გაიგივების საშუალებას.

უპირველეს ყოვლისა, ისინი განსხვავდებიან შექმნის მიზნებით, ფუნქციებით, სამართლებრივი რეგულირების სუბიექტებით, ორგანიზაციაში შესვლის მსურველთა მიმართ წაყენებული მოთხოვნებით, თავიანთი წევრების სამართლებრივი სტატუსით.

საზოგადოებრივი გაერთიანებები იქმნება მათში გაერთიანებულ პირთა საერთო ინტერესების დასაცავად და საერთო მიზნების მისაღწევად. ადვოკატურის მთავარი ამოცანაა იურიდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს და ორგანიზაციებს. ადვოკატურისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივ გაერთიანებებს შეუძლიათ დაიწყო

სამწერმო საქმიანობა. მათ შეუძლიათ ფუნქციონირება იურიდიული პირის უფლების მიღების გარეშე.

მეორეს მხრივ, ადვოკატურის ფუნქციას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რადგანაც უშუალოდ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებების დაცვის განხორციელებასთან. მისი თანამშრომლები იცავენ ადამიანებისა და ორგანიზაციების ინტერესებს.

ადვოკატთა კოლეგია იურიდიული პირია.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადვოკატთა გაერთიანებების და საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობა სხვადასხვა სუბიექტებით რეგულირდება.

ადვოკატურისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე იურიდიული პირი. ამ მოქალაქეებს სახელმწიფო არ უყენებს მოთხოვნებს – არ ინტერესდება მათი განათლებით, სტაჟით, მორალური სახით. ადვოკატთა ასოციაციის წევრთა მიმართ კი, ყველა ეს მოთხოვნა ძალაშია.

ადვოკატთა ასოციაციის და საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრები ერთმანეთისგან სამართლებრივი სტატუსითაც განსხვავდებიან. ადვოკატი – არის პროფესია, თავისი შრომისთვის ის იღებს გასამრჯელოს, მას აქვს უფლებების და მოვალეობების მთელი კომპლექსი, რომელიც რეგლამენტირებულია კანონმდებლობით. ეს მახასიათებლები არ გააჩნიათ საზოგადოებრივი გაერთიანებების წევრებს. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ კანონში ნათქვამია:

„ოფიციალურ დოკუმენტებში რომელიმე საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობის ან მონაწილეობის აღნიშვნის შესახებ მოთხოვნა დაუშვებელია“.

ამგვარად, ადვოკატთა გაერთიანებებს საზოგადოებრივი გაერთიანებებისგან სრულიად განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა აქვთ. ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას სამართალწარმოებაში. ადვოკატურა არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის ფორმა რეგულირდება საქართველოს კანონით. კანონით გათვალისწინებული ადვოკატურის სახალხო-სამართლებრივი სტატუსით შეიძლება მოხდეს პროცესებში მონაწილე ადვოკატების მკაფიო გამოყვანა დანარჩენი დამცველებისგან (ამ სიტყვის ფართო გაგებით) – ლიცენზიის მფლობელებისგან, საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან და სხვ.

არსებობს გამოთქმა, რომ ადვოკატურა „სასამართლოს დამხმარე დაწესებულებაა“, თუმცა სასამართლოს და ადვოკატთა გაერთიანებების ბუნება არაერთგვაროვანია. ბევრი ავტორი სხვადასხვა წლებში იზიარებდა აზრს იმის შესახებ, რომ ადვოკატურა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ანუ მას სულაც არ აქისრია „სასამართლოს დამხმარის“<sup>6</sup> ფუნქცია. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანებით, რათა განახორციელონ თავიანთი კონკრეტული საქმიანობა მათივე წესდების (დებულების) შესაბამისად. ისინი იქმნებიან თვითმმართველობის საფუძველზე; წევრთა უფლებები თანაბარია, ემორჩილებიან კანონს. ამ კუთხით ადვოკატთა ასოციაცია არასახელმწიფოებრივი, პროფესიული, ნებაყოფლობითი გაერთიანებაა.

ამასთან დაკავშირებით ი. სტეცოვსკი წერს: „ისე, როგორც სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ადვოკატთა გაერთიანებები აგებულია თვითმმართველობის (თვითშემოქმედების) საწყისებზე. ისინი იქმნებიან ცალკეულ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად; კოლეგიის წევრები მონაწილეობენ საარჩევნო ორგანოებში და აკონტროლებენ მათ საქმიანობას, იცავენ დებულებებს ადვოკატურის შესახებ, ასრულებენ

<sup>6</sup> Щеломов М. П., „История советской адвокатуры“. М., 1939. С. 31

კოლეგიის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებებს, მატერიალურად ღებულობენ მონაწილეობას კოლეგიის ქონებრივი საფუძელების შექმნაში<sup>7</sup>.

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემდეგ, მათ შეუძლიათ მოსახლეობას გაუწიონ იურიდიული მომსახურება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ადვოკატის და „არაადვოკატის“ უფლებამოსილების გაერთიანება, მათი დაშვება პროცესზე – განსხვავებულია. ამასთანავე, გამოითქმის აზრი, ჩვენი თვალთახედვით, ალბათ სადავოც, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ამა თუ იმ სახის პროფესიული საქმიანობის შესრულების შესაძლებლობას არ უნდა განსაზღვრავდეს რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა; ადვოკატის საადვოკატო სარბივლზე მოვლავლობა უნდა იყოს დამოკიდებული გამოცდების ჩაბარებაზე და შესაბამისი სერტიფიკატის მიღებაზე, ადვოკატთა ასოციაციაში შესვლა მხოლოდ ნებაყოფლობითია.

მაშინვე ისმის კითხვა: ვინ გააკონტროლებს იმ ადვოკატების პროფესიულ საქმიანობას, რომლებიც არ არიან ასოციაციის წევრები? ზოგს მიაჩნია, რომ ასეთი კონტროლის განხორციელება თავად ადვოკატთა ასოციაციას შეუძლია, თანაც არამცდარაა მც მხოლოდ თავის წევრებზე. მაკონტროლებელი უფლებამოსილებით ასოციაცია მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს რწმუნებული, თავად გასცემს ლიცენზიებს და შესაბამისად თავადვე აკონტროლებს ადვოკატების საქმიანობასაც.

ადვოკატურის ბუნების სამართლებრივი საკითხის განხილვისას, გამოითქმის თვალსაზრისი, რომ პროფესიული ნიშნით გაერთიანება განასხვავებს ადვოკატთა გაერთიანებებს პროფესიული კავშირისაგან: პროფკავშირების წევრები გაერთიანებული არიან არა პროფესიული, არამედ საწარმოო ნიშნით. ამიტომ ერთ პროფკავშირში აღმოჩნდებიან ერთ დარგზე მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ადვოკატთა გაერთიანება კი შედგება მხოლოდ ადვოკატებისგან. შემოქმედებით კავშირებში, ასევე ერთი ან მონათესავე პროფესიის პირებია გაერთიანებული, რომლებსაც, ამ კავშირის წევრობისგან დამოუკიდებლად აქვთ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება. სხვადასხვა იურიდიული მომსახურების გაწევა კი შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ადვოკატთა კოლეგიის წევრები არიან.

თუ ზემოთ აღნიშნულს გადავანალიზებთ, შევნიშნავთ, რომ არ არსებობს არავითარი სერიოზული საფუძველი, უარყოფთ ადვოკატთა ასოციაციის საზოგადოებრივ-ორგანიზაციული „არასახელმწიფოებრივი“ ხასიათი. უკანასკნელ წლებში კანონშემოქმედების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, რომ იურიდიული მომსახურების გაწევის უფლება მისცემოდეთ ორგანიზაციებს, რომლებმაც დადგინელი წესით მიიღეს შესაბამისი ლიცენზია, რამდენადაც, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო-საპროცესო, საარბიტრაჟო-საპროცესო კოდექსები ითვალისწინებენ სასამართლოს პროცესში მხარეთა წარმომადგენლების (დამცველების) სახით არა მხოლოდ ადვოკატის მონაწილეობას. მაგრამ ადვოკატთა ასოციაციის წევრობა საადვოკატო საქმიანობის აუცილებელ პირობად რჩება.

ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბუნება შეიძლება ასე განისაზღვროს: ადვოკატთა ასოციაცია იურისტთა ნებაყოფლობით გაერთიანებული თვითმართვადი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, რომლის მოვალეობაა, მოქალაქეებს და ორგანიზაციებს გაუწიოს კვალიფიციური, მრავალმხრივი მომსახურება, მიიღოს მონაწილეობა კანონიერების დაცვაზე და განმტკიცებაში, მართლმსაჯულების განხორციელების და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

ადვოკატურა – დემოკრატიული ორგანიზაციაა. ამას ადასტურებს მისი ორგანიზაციის და საქმიანობის პრინციპები: ასოციაციაში შევლის და მისგან გამოსვლის ნებაყოფლობა, პირადი, კოლეგიური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების შეხამება, მატერიალური დანტერესება და სოციალური სამართლიანობა, ასოციაციის და მისი წევრების დამოუკიდებლობა, ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საჯაროობა,

<sup>7</sup> Стецовский Ю. И., “Советская адвокатура”. М., 1989. С. 25.

კანონიერება, ასოციაციის მიერ, საკუთარი ინიციატივით, ნებისმიერი ისეთი გაწყვეტილების მიღება, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს, ასოციაციის მუშაობაში ადვოკატების აქტიური მონაწილეობა, ასოციაციის მუშაობის თავისუფალი და საქმიანი განხილვა, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით საკონკურსო, ალტერნატიულ საწყისებზე ასოციაციის ხელმძღვანელ პირთა არჩევა, მათი რიგების სისტემატური განახლება და ადვოკატების წინაშე ანგარიშვალდებულება, ასოციაციის თვითმმართველობა, მათ შორის, ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა მისი რაოდენობა, წევრთა მიღება, გარიცხვა და დისციპლინური პასუხისმგებლობა, ასოციაციის წევრთა პროფესიული უფლებამოსილების და ინტერესების დაცვა, გულისხმიერება, პროფესიული საიდუმლოების შენახვის ვალდებულება და პროფესიული დისციპლინის დაცვა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება საზოგადოების ყველა ნაწილის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან. ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაცია უნდა იყოს პროფესიულად რეპრეზენტატიული. ადვოკატთა ასოციაცია მხოლოდ ერთი პროფესიის მქონე ადამიანთა კავშირია. ამასთანავე, საეკვეთა, არსებობდეს სხვა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის წევრობისთვისაც ტესტების ჩაბარება იყოს საჭირო.

ადვოკატების უწყვეტია დაამყარონ მჭიდრო, ნდობით აღსავსე ურთიერთობა მათ მიერ დასაცავ ადამიანებთან. მუშაობის პროცესში ისინი მჭიდროდ ურთიერთობენ კოლეგებთან, მოდევნებთან და განსასჯელებთან. სწორედ ეს განსაზღვრავს ადვოკატურის თვითმართვადი, დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახით არსებობას.

გაყვანილობით იურიდიულ პირთა სისტემაში ადვოკატურის სტატუსის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის პრობლემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კუთხით.

იურიდიული პირი შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება (კომერციული ორგანიზაციები) ან ისეთები, რომელთაც ასეთი მიზანი არა აქვთ და არ ანაწილებენ მოგებას მონაწილეებს შორის (არაკომერციული ორგანიზაციები). მოგებაზე ლაპარაკი ადვოკატურის საქმიანობასთან მიმართებაში უსაფუძვლოდ მიგვიანია. ტერმინის „მოგება“, მხოლოდ ეკონომიკური გაგებით ხმაველის შემთხვევაშიც კი, ადვოკატურა არაკომერციული ორგანიზაციაა. საინტერესოა, რომ იურიდიული პირები, რომლებიც არაკომერციულ ორგანიზაციებს. წარმოადგენენ, შეიძლება შეიქმნან სამომხმარებლო კოოპერატივების ფორმით, ან გაერთიანდნენ, როგორც საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება შეიძლება დაწესებულების მენეჯერის მიერ, საქველმოქმედო და კანონით დაშვებული სხვა ფორმებით. ადვოკატურასთან მიმართებით საქმე გვაქვს სახალხო და პროფესიული მართლშეგნების თითქმის ყველაზე მიშვებულ უბანთან.

ადვოკატი – მართლმსაჯულების განუყოფელი ნაწილია. დამცველის გარეშე შეუძლებელია მართლმსაჯულების განხორციელება. ფორმით, თუ დაქვემდებარებულობის ხარისხით, როგორც არ უნდა იყოს სასამართლო, ის ვალდებულია აუცილებლად მოუსმინოს მეორე მხარესაც – „audiatur et altera“. თუ არ იქნება დაცული საჯაროობა და შეჯიბრებითობა, არც მართლმსაჯულება განხორციელდება. სასამართლო პროცედურა, თავის მხრივ, გარკვეულ ბარიერია მასობრივი რეპრესიების წინააღმდეგ. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ, როდესაც საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 30-40-იან წლებში ტერორი მიქნინავებდა, სასამართლოები შეცვალეს „ორეულებმა“ და „სამეულებმა“.

მთლიანობაში, ალბათ, ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულება ჯერ კიდევ ვერ მომწიფდა იმ დონეზე, რომ საბოლოოდ ჩაეწყვეთ ადვოკატურის სამართლებრივი საქმიანობის მნიშვნელობასა და არსს. იმავდროულად, ხელისუფლებაც ყოველთვის როდია დანტერესებული დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნით, რომელთანაც ადვოკატურა, როგორც მართლმსაჯულების ინსტიტუტია და აკავშირებული. როგორც ჩანს, სწორედ ამით იხსნება ფაქტი, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების, ისევე ადვოკატურის სფეროში გატარებული საკანონმდებლო რეფორმები ბევრად ნელი ტემპით

ხორციელდება, ვიდრე სამართლისა და კანონმდებლობის სხვა დარგებში. მართალი იყო მ. ს. სტროგოვინი – სამართლის და სისხლის სამართლის პროცესების გამოჩენილი თეორეტიკოსი, როცა ამბობდა: „ხელისუფლებას, ნებისმიერ ხელისუფლებას, ყოველთვის ეშინია სასამართლოსი.“<sup>8</sup> რადგან მზრახველობა, სწრაფვა განუყოფელი ბატონობისკენ, ყველა ხელისუფლების ბუნებაშია ჩადებული – როგორც ტირანულ-ავტორიტარულში, ისე დემოკრატიულშიც. ნებისმიერი ხელისუფლება დაფუძნებულია ძალადობაზე. დემოკრატიული ხელისუფლებაც, თავისი არსით, ისეთივეა, რაც ტოტალიტარული. განსხვავება ის არის, რომ საზოგადოება აიძულებს დემოკრატიულ სახელმწიფოს დაემორჩილოს სამართლებრივ კანონებს. სასამართლო კი, ყოველთვის ზღუდავს ხელისუფლებას, იქნება ის სამართლებრივ სახელმწიფოში თუ ავტორიტარულში. რუსული ადვოკატურის ისტორიკოსი ი. ვ. პესენი წერს, რომ უძველესი დროიდან და უცვლელად, ხელისუფლება დებდა ჩვენში რაღაც ორგანულ, დაუძლეველ წინასწარშექმნილ ცუდ აზრს ადვოკატურის შესახებ.<sup>9</sup>

ადვოკატის დანიშნულებაზე საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა – ადვოკატურის, როგორც საზოგადოების მსახურების ინსტიტუტიდან მტკიცედ დამკვიდრებულ სტერეოტიპამდე – „ადვოკატი იცავს დამნაშავეს“. ერთის მხრივ, ი. ვ. პესენი ავითარებს აზრს, რომ ყოველ პროცესზე, ერთ-ერთი მოდავის ადვოკატი უსინდისოდ იქცევა. მეორეს მხრივ, კ. პობედონოსცევი ამტკიცებს, რომ მართლმსაჯულება არ არსებობს ადვოკატურის გარეშე. ასეთია ის უკიდურესი მომენტები, რომლებიც ადვოკატურის როლისა და ამოცანის შესახებ შეხედულებათა შორის რხევის ამპლიტუდას აპირობებენ. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ამპლიტუდა ძალზე დიდია. მით უფრო მნიშვნელოვანია იმის კონსტატირება, რომ ის ნარჩუნდება რეფორმების გატარების მიუხედავად, რაშიც თხრობის პროცესში ადვილად დაერწმუნდებით. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ყურადღებას გაეაძახვილებთ ზემოთ მოხსენებულ კ. პობედონოსცევის სტატიაზე, რომელშიც ნათლად იკვეთება მაშინდელი ბიუროკრატიის საუკეთესო წარმომადგენლების აზროვნების მაღალი დონე და სუფთა იდეალებით შთაგონება.<sup>10</sup>

ადვოკატურა ყოველთვის იყო დაკავშირებული ეკონომიკასთან.<sup>11</sup> ჯერ კიდევ 1864 წლის *სასამართლო წესდების* მზადებისას მოწინავე რუსული სამართლებრივი აზრი ადვოკატურის ინსტიტუტთან მიმართებაში ხაზს უსვამდა, რომ აუცილებელია „თანამედროვე სამოქალაქო ხვეულის გაანალიზება“. ანალიზი აჩვენებს, რომ ამ ხვეულისთვის დამახასიათებელია ყველგან გაბატონებული შეჯიბრებითობა, რომელიც, თავის მხრივ, შეუძლებელია არსებობდეს ორგანიზებული ადვოკატურის გარეშე.<sup>12</sup> ამავე დროს, ადვოკატურასა და სასამართლოს შორის თანაუარდობის საკითხის განხილვისას სწორად აღინიშნა, რომ ადვოკატურა უნდა იყოს „თავისთავში ჩაკეტილი, სასამართლო ხელისუფლების გვერდზე მდგომი, მაგრამ დამოუკიდებელი“.<sup>13</sup>

ნაწარმოებში „პუგაჩოვის ბუნტის ისტორია“ ა. ს. პუშკინს გაკეთებული აქვს შენიშვნა, რომელიც აშკარად მიუთითებს უდიდესი პოეტის გამჭრიახობაზე. „პადუროვი, როგორც დეპუტატი, არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სიკედილით დასჯილიყო. არ ვიცი, სასამართლოზე მან მოითხოვა თუ არა ამ კანონის დაცვა; შედეგად, მან ეს არც იცოდა; შეიძლება, მოსამართლეები არ დაუჭირებულან მანზე; შეიძლება ერთია – გამოტანილი განაჩენი კანონსაწინააღმდეგო იყო.“ აი, ერთი მაგალითი იმ ათასებიდან, რომლებიც ადასტურებენ ადვოკატის სამსახურის აუცილებლობას.<sup>14</sup>

<sup>8</sup> Цит. по: Феофанов Ю. А., Адвокат: и работа и служение// Российский адвокат. 1996. № 2. С. 3.

<sup>9</sup> Гессен И. В., "История Русской адвокатуры". Т. 1. М., 1997. С. 29.

<sup>10</sup> Волокомирский А. Е., "За советом к адвокату". М., 1997. С. 5.

<sup>11</sup> См: Гессен И. В., Указ. соч. Т.1. С. 37.

<sup>12</sup> Русский вестник. 1859. Кн. 2. С. 6-7.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> Цит. по: Гессен И. В., Указ. соч. Т.1. С. 30.



ამჟამად არსებული დებულებები ადვოკატის როლის შესახებ კონსტიტუციური კანონმდებლისა და საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების დონეზე რეალიზებული.

სადვოკატო საქმიანობის არსი, პრინციპები და ადვოკატურის ორგანიზაცია. ადვოკატურა და სასამართლო ხელისუფლება

1. ადვოკატურა არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პროფესიული გაერთიანება, რომელიც კანონით დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს მოპასუხის დაცვას წინასწარი გამოძიების, მოკვლევის პროცესში და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე და იცავს მოსარჩელე და მოპასუხე მხარის ინტერესებს სამოქალაქო საქმეებში. ადვოკატურა თვითმართვადი ორგანიზაციაა, რომელიც, კანონის თანახმად, მოწოდებულია გაუწიოს იურიდიული დახმარება მოსახლეობას და ორგანიზაციებს სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციების გაწევით, სხვადასხვა სახის დოკუმენტის და საქმიანი ქალაქების შედგენით.

თანამედროვე სამამულო სამართალმცოდნეობაში შენარჩუნებულია საკმაოდ ხისტი ტრადიცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში ადვოკატურა განიხილება სასამართლო ხელისუფლებასთან თანაბარ რანგში (ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ არ არიან სამართალდამრღვევები). არიან ასეთი მიდგომის თავგამოდებული მიწინააღმდეგეებიც. ჩვენი თვალთახედვით ადვოკატურა, იცავებს რა მნიშვნელოვან ადგილს სამართალდამცავი ორგანოების და ორგანიზაციების სისტემაში, პრინციპულად განსხვავდება სხვა სამართალდამცავი ორგანოებისგან, რამდენადაც ადვოკატს არა აქვს რაიმეს იძულების უფლებამოსილება ეინმეს უფლებების დაცვისას. ის მოქმედებს პრინციპულად სხვა საფუძველზე: ის იცავს. დაცვა კი საჭიროა იმისთვის, რომ არ იქნეს დაშვებული განსაკუთრებული სახის საგამომიებო და სასამართლო შეცდომები: არ მოხდეს უდანაშაულო ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, სასამართლოსთვის გადაცემა და განსამართლება; არ განსამართლდეს ადამიანი იმ კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უფრო მძიმე დანაშაულისთვის, ვიდრე კონკრეტულ პირს სინამდვილეში აქვს ჩადენილი; არ დაედოს მას გადაჭარბებულად მკაცრი სასჯელი და სხვა.

ასეთი ტიპის შეცდომების თავიდან აცილება წარმოადგენს იმ თანამდებობების პირების და ორგანოების პერეოგატივას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე ან აქვთ საზედამხებელო უფლებამოსილება. დამცველის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თავისი შუამდგომლობებით, დაებით, ახსნა-განმარტებებით, საჩივრებით მიაქციოს კომპეტენტური თანამდებობის პირების ყურადღება დაშვებულ საგამომიებო და სასამართლო შეცდომებზე და მოითხოვოს მათი აცილება.

პოლიციის თანამშრომლების ან გამომიებლების მიერ კანონიერების დარღვევის ფაქტებზე ყურადღების გამახვილებით, ისინი უზრუნველყოფენ არა მარტო კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული შეცდომების თავიდან აცილებას, არამედ ხელს უწყობენ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სტილის გაუმჯობესებას.

ბრალდებულის დაცვის წარმატებული რეალიზაცია და არჩევანი ბევრად არის დამოკიდებული ადვოკატის პროფესიულ ოსტატობაზე. მის უნარზე გააანალიზოს საქმის მასალები, აწარმოოს დაკითხვა, შეძლოს ექსპერტებისადმი დასასმელი კითხვების ფორმულირება. ბრალდებასთან დავას დამცველი სხვადასხვა საშუალებებით აწარმოებს მას შემუშავდა:

- გამახვილოს სასამართლოს ყურადღება იმაზე, რომ ბრალდების მტკიცებულებები არასაკმარისია;
- მიუთითოს, რომ ბრალდების უარყოფელ ან ეჭვქვეშ დამყენებელ ვერსიებს შორის ყველა არაა გამომიებულა;
- უარყოს ბრალდება მტკიცებულებების კრიტიკის გზით;
- გამომყვანოს ფაქტები, რომლებიც არათავსებადია ბრალდების დასაბუთებასთან.

მოქმედების მეორედ ირჩევს დამცველი. ის ეალდებულია მხედველობაში მიიღოს საქმის გარშემო არსებული მტკიცებულებითი სიტუაცია. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის დაცვა არაერთარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს დანაშაულის ჩადენის გამართლებად. ადვოკატს არ შეუძლია ბრალდებულის თხოვნით გამოიყენოს დაცვის არაკანონიერი მეორედები, პროცესის შეუსაბამო წესები. ადვოკატის საქმიანობა სრულიად გამორიცხავს ფაქტების გადასხვაფერებას, დამახინჯებას, მოწმეების წაქეზებას ან მათთვის მიმნიშნებელი კითხვების დამხმას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ადვოკატს არ შეუძლია დაცვაზე უარის თქმა. მას უფლება არ აქვს, გამოიყენოს თავისი ინფორმაცია დასაცავი პირის საწინააღმდეგოდ. პირიქით, ფუნქციის ცალმხრივობიდან გამომდინარე, ის პირდაპირ არის ეალდებული, მაქსიმალურად გამოიყენოს კანონით დასაშვები ყველა ფორმა და ხეობი, რათა ნათელი მოჰყინოს ყველაფერს, რაც გამართლებს ბრალდებულს ან შეუმსუბუქებს მას პასუხისმგებლობას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ადვოკატი ახორციელებს.

ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და შეყვანილია საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში.

სადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი), მის წარმომადგენლად ყოფნას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკლევადისა და გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

სადვოკატო საქმიანობის პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
- გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
- ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და დაცვა;
- ვ) დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ზ) პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
- თ) პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

2. კანონიერების პრინციპი გულისხმობს მართლმსაჯულების ზუსტ შესაბამისობას კანონთან. მართლმსაჯულების სფეროში სამართლებრივი სახელმწიფოები თავიანთ მიზანს გარკვეული პროცედურების შესრულების მეშვეობით ემსახურებიან.

თანამედროვე მართლმსაჯულების პრობლემები არ შეიძლება გაეიაზროთ სამართალგაგების პრინციპების გარეშე. თანამედროვე სამართალგაგების კონცეფცია დაფუძნებულია ჰუმანურ პრინციპებზე, რაც გულისხმობს, რომ სამართალი სიკეთის ჰუმანურ იდეალებთან და სამართლიანობასთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

ქვემოთ შევეცდებით „კანონიერების“, „სამართლიანობისა“ და „მორალის“ ცნებების თანაფარდობის ილუსტრაციას.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ სამართლისადმი თანამედროვე მიდგომებში სამართლიანობის იდეა ახალია.

სამართლიანობის იდეა ისეთივე ძველია, როგორც ქვეყნიერება. საქმარისია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად ყველა ცნობილი კანონმდებელი, დაწყებული ჩვენამდე მოღწეული მეფე სამართაიდან, საკუთარ თავს და თავის კანონებს სამართლიანობის განსახიერებად აცხადებდა<sup>15</sup>. ვერ ვიპოვით ისეთ კანონმდებელს ან მოსამართლეს, რომლებიც იტყოდნენ, რომ მიიღეს უსამართლო კანონი ან გადაწყვეტილება.

სამართლის თანამედროვე თეორია ჯეროვანს მიუზღავს სამართლის ეთიკურ და მატერიალურ კონცეფციებს, ასევე სამართლიანობის იდეას – როგორც ძირითადს სამართალში. ვაცნობიერებთ რა ამგვარი მიდგომის იდეალიზმს, მას მაინც უღარესად პრაქტიკულად მივიჩნევთ. მიგვაჩნია, რომ სამართლის ირაციონალური იდეა – ეს არის სამართლიანობა, რომელიც მოწოდებულია ლაგამი ამოსდოს უსამართლო კანონს და მის გამომცემ სახელმწიფოს. ყოველივე ეს იმ დიდი რაციონალური აზრის შემცველია, რომელიც სამართლის ადამიანთა სამსახურში ჩაყენებას გულისხმობს.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ს.ს. ალექსეევის მიერ წამოყენებული სამართლის კანონიერების იდეა განსხვავდება კანონიერების იდეისგან, რომელიც ფართოდაა გატრეკილებული ტოტალიტარული რეჟიმების სახელმწიფოებში. ეს რეჟიმები, როგორც ცნობილია, გამოირჩევიან არა მხოლოდ თავიანთი განსხვავებული დამოკიდებულებით კანონშემოქმედებისა და სამართალშემოქმედების მიმართ, არამედ მათივე მიღებული სამართლებრივი წესების მკაცრი დაცვითაც.

სამართლიანი კანონიერება, ს.ს. ალექსეევის აზრით, სამართლის პუმანისტური იდეის განსახიერებაა. მისი საპირწონეა კანონიერება, რომელმაც, მართალია, განიცადა ისტორიული მიტამორფოზები („რევოლუციური კანონიერება“, „სოციალისტური კანონიერება“), მაგრამ მაინც რჩება კანონიერებად, წესრიგად, წყობად ან მოქმედი პოზიტიური სამართლის უმკაცრესი დაცვის მექანიზმად, რაც ასახულია კანონებში, სხვა იურიდიულ წყაროებში.<sup>16</sup> თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში სამართლებრივი წესრიგის განმტკიცება ანუ სამართლებრივი მოწყობა, მოწოდებული გამოხატვის კანონიერება, ეფუძნება პუმანურ სამართალს და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების დაცვას, რომლებიც ბუნებრივი და ხელშეუხებელია. ამიტომაც, სამართლებრივმა ურთიერთობებმა ბუნებრივ-სამართლებრივი ხასიათი უნდა მიიღოს.

ზოგადი მსჯელობა სამართალზე, მისი მნიშვნელობის ყველაზე მაღალი (პუმანური) გაგებით, ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ სამართლის იდეა არ არის შეერთებული და მტკიცედ შედუღებული კანონიერების იდეასთან, ისეთ სამართლებრივ მოწყობასთან, რომელიც ფუნქციონირებს მყარად, უწყვედად, ნათლად და უცვლელად, როგორც ბუნების კანონი, ანუ როგორც სამართლიანი კანონი.

დღეისათვის, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობა იქნეს უშუალოდ იურიდიულ მნიშვნელობას – იურიდიული რეალობის სახით.

მოქალაქეების ქცევა, რომელიც ეყრდნობა საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს, არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ მათ დაეკისროთ იურიდიული პასუხისმგებლობა, მაშინაც კი, თუ კანონს ზუსტად არ იცავენ. აი, რატომ განმარტავდნენ ძველი რომის იურისტები კანონს, როგორც მეცნიერებას სიკეთისა და სამართლიანობის შესახებ.

თანამედროვე პუმანური სამართლის თავისებურება არა მხოლოდ იმაშია, რომ ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობას გააჩნია პირდაპირი იურიდიული ქმედება და ქმნის მთელი ირაციონალური იურიდიული სისტემის საფუძველს, არამედ იმაშიც, რომ უფლებების ეს

<sup>15</sup> „История политических учений“/Под ред. С.В. Кечегуля. М., 1960.

<sup>16</sup> Алексеев С.С., Указ. соч. С. 130-140

ხელშეუხებლობა განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის შინაარსს, აზრს და სამოქმედო მიმართულებას.

უფრო მეტიც, რამდენადაც ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობა პირველხარისხოვანია და საფუძველთა საფუძველადაა აღიარებული, თითო სახელმწიფო ხელისუფლებაც ამ სტატუსის შესაბამისად უნდა აიგოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლება უნდა იყოს ზომიერი. არ უნდა იდგეს სამართალზე მაღლა და მითუმეტეს, ფეხქვეშ არ უნდა გათელოს ის.

#### პროფესიული თავისუფლება და გარანტიები

ადეოკატთა უმრავლესობა აცხადებს, რომ, ზოგადად, მათ აქვთ საშუალება, ჩარევის, მუქარის ან სანქციების გარეშე განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.

იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და "ადეოკატთა შესახებ" კანონით. კონსტიტუცია უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. 2001 წელს მიღებული კანონი "ადეოკატთა შესახებ" კი არის პროფესიის დამოუკიდებლობის გარანტი, რაც რამდენიმე მუხვარებული გამოვლითადაც, მუხლი 1.2 ადგენს, რომ "ადეოკატი არის თავისუფალი პროფესიის ადამიანი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაერთიანებულია საქართველოს ადეოკატთა ასოციაციაში". ამავე კანონის მუხლი 3. (ა-თ) აწესებს საადეოკატო საქმიანობის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ადეოკატთა თანასწორობას და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობას, საადეოკატო საქმიანობაში ჩაურევლობას, ადეოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემასა და დაცვას, მის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობას, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ადეოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას". "ადეოკატთა შესახებ" კანონის 38.1 მუხლი იმეორებს რომ "ადეოკატი საადეოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია".

#### საადეოკატო საქმიანობის განხორციელების პირობები და სტანდარტები

ადეოკატებს გააჩნიათ კონსტიტუციური უფლება, საქმიანობა დამოუკიდებლად ან სხვა ადეოკატებთან ერთად განახორციელონ. ერთადერთი დაბრკოლება – სახსრებია.

"ადეოკატთა შესახებ" კანონის მე-18 მუხლი ადგენს: "ადეოკატს უფლება აქვს საადეოკატო საქმიანობის განახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადეოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად, შექმნას საადეოკატო ბიურო (ოფისი, კანტორა, იურიდიული ფირმა და ა.შ.) ამხანაგობის ან სამეწარმეო იურიდიული პირის სახით".

რეალურად, რეგიონებში ადეოკატთა უმრავლესობა იურიდიულ კონსულტაციებში მსახურობენ, რაც საბჭოთა კავშირის გადმონაშთია. მსგავსი კონსულტაციების ზუსტი რიცხვი უცნობია. როგორც წესი, მათ უფროსი იურისტები ხელმძღვანელობენ. კლიენტები დეებზე ხელშეკრულებას ადეოკატებთან, თუმცა ეს უკანასკნელი ვალდებული არიან, კონტრაქტის ღირებულების გარკვეული პროცენტი კონსულტაციას გადაუხადონ; ეს წილი, ჩვეულებრივ, 5% შეადგენს. თანხა მიმდინარე ხარჯების დაფარვისთვის გამოიყენება. თბილისში, ადეოკატთა უმრავლესობა ინდივიდუალურად ან მცირე ფირმებში საქმიანობს. თუმცა, არსებობენ ფირმებიც, რომლებიც 20-25 ადეოკატს, ადეოკატის თანაშემწეს და სტაჟიორს აერთიანებენ.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემები თბილისში და მთლიანად საქართველოში იურიდიული ფირმების რაოდენობის შესახებ არ არსებობს. მსხვილი იურიდიული ფირმები, როგორც აშშ-ში ან დასავლეთ ევროპაშია, საქართველოში არ გვხვდება. ამის ძირითადი მიზეზი ფინანსური სახსრების უქონლობაა.

#### სამართლებრივი მომსახურების ფორმები და სახეები

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დასაქმებული კვალიფიციურ იურისტთა საკმარისი რაოდენობა. თუმცა, მოსახლეობის სიღარიბის გამო, მოთხოვნა ასეთ მომსახურებაზე საკმაოდ დაბალია.

ადეოკატები მონაწილეობენ სპეციალურ პროგრამებში, რათა უზრუნველყონ სოციალურად დაუცველ პირთა და პატიმართათვის იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა.

კონსტიტუციის მუხლი 18.5 ადგენს, რომ "დაკავებულ და დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები. მან დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს". ამასთან, კონსტიტუციის 42.3 მუხლი ადგენს, რომ "დაცვის უფლება გარანტირებულია".

დაცვის გარანტირებული უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიცაა ასახული. მაგალითად, მუხლი 11.1-3 ადგენს:

"1. სასამართლო და თანამდებობოს პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს ახორციელებენ, ვალდებული არიან ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

2. დაცვის უფლებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირი, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, აგრეთვე მსჯავრდებული და გამართლებული განაჩენის ან სხვა შემთხვევების სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში.

3. სისხლის სამართლის საქმეში დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს დასაცავ პირს მის კუთვნილ უფლებებს"

თუ ბრალდებულს არ აქვს ადეოკატის დაქირავების საშუალება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ადეოკატის აყვანას. მაგალითად, მუხლი 80.1.4 ადგენს:

1. ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს მათი თანხმობით სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს დამცველი-ადეოკატი, თუ ისინი არასმქონენი არიან, რაც დასტურება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტით. გადახდისუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადეოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

2. დაცვა დანიშნით, ანაზღურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დადგენილ განაკვეთზე ნაკლები.

3. დაცვა დანიშნით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს არ მოუწევია დამცველი შეთანხმებით.

4. სახელმწიფო ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, აგრეთვე ადეოკატთა კოლეგიასა და ადეოკატთა სხვა გაერთიანებებს უფლება აქვთ ეჭვმიტანილი და ბრალდებული გაათავისუფლონ დაცვის საფასურისაგან იმ შემთხვევაშიც, რომელიც ამ მუხლში არ არის აღნიშნული. პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დამცველის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლების შემთხვევაში, სახელმწიფო კისრულობს მისი შრომის ანაზღაურების მთელ ხარჯებს".

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აგრეთვე უზრუნველყოფს იურისკონსულტანტის აყვანას კონკრეტულ სიტუაციებში. მაგალითად, თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, გააჩნია ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლი, რაც აბრკოლებს მის შესაძლებლობას, დაეხმეროს დაცვას, არ ფლობს სახელმწიფო ენას ან ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონი სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. ყოველივე ამას არეგულირებს მუხლი 81.1 (ა-ზ):

1. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს მიიღოს ექვემდებარების, ბრალდებულის, განსასჯელის, ხოლო თუ პირს ენიშნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება – ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ:

- ა) ექვემდებარებით, ბრალდებული ან განსასჯელი არასრულწლოვანია;
- ბ) ექვემდებარებით, ბრალდებულს ან განსასჯელს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც აბნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;
- გ) ექვემდებარებით, ბრალდებულმა ან განსასჯელმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- დ) ექვემდებარებით, ბრალდებულს ან განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უფადო თავისუფლების აღკვეთა;
- ე) განიხილება საკითხი პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ვ) ექვემდებარებით, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;
- ზ) დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი”.

ამჟამად სიღარიბის მაღალი დონისა და გადახდისუუნარობის გამო მოთხოვნა იურიდიულ მომსახურებაზე არ არის დაკმაყოფილებული. ამდენად, რთულია განისაზღვროს არსებობს თუ არა ადვოკატთა საჭირო რაოდენობა მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხელშეკრულებები, საოჯახო დაეები და კონფლიქტების გადაჭრა. მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ, როგორც წესი, ადამიანები ამ საკითხებს აგვარებენ ადვოკატის დახმარების გარეშე და თავად იცავენ საკუთარ ინტერესებს სასამართლოში.

ადვოკატურა და სასამართლო ხელისუფლება:

ადვოკატთა საქმიანობა ხორციელდება სასამართლოს საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში. სასამართლო, მართლმსაჯულება ქმნის სიერცეს, რომელშიც არსებობს და მუშაობს ადვოკატურა. ამიტომ აუცილებელია გაიკრკეს თანამედროვე მიდგომები სასამართლო ხელისუფლების განმარტებასთან დაკავშირებით, მისი თანაფარდობა ადვოკატურასთან, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში არ შედის. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა – ის მიჯნაა, რომელიც საშუალებას იძლევა გაივლოს ცნობილი პარალელები ადვოკატურასთან. ამავე დროს, სასამართლო ხელისუფლება, მიუხედავად მთელი თავისი დამოუკიდებლობისა, რჩება სახელმწიფო ხელისუფლებად მაშინ, როდესაც ადვოკატურა სრულიად დამოუკიდებელია ნებისმიერ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

თანამედროვე მსოფლიოში ადვოკატურას აქვს თავისი მაღალი სოციალური დანიშნულება. ის არის საზოგადოებისადმი მსახურების ინსტიტუტი, იმყოფება რა მჭიდრო, საკმაოდ რთულ ურთიერთობაში სახელმწიფო ხელისუფლებასთან მთლიანობაში და მის ერთ შტოსთან – სასამართლო ხელისუფლებასთან. დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში, სასამართლო ხელისუფლების მიერ თავისი ფუნქციის შესრულება შეუძლებელია ადვოკატურის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გადაიტკეპა სამსჯავროდ, ანგარიშსწორებად.

ამ ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის თანაფარდობის ნათელსაყოფად, განვიხილოთ სასამართლო ხელისუფლების არსი და ნიშნები.

სასამართლო ხელისუფლების ქვეშ იგულისხმება ხალხის და სახელმწიფოს შესაძლებლობა და უნარი, რათა მისმა ორგანოებმა, დარწმუნების ან იძულების გზით ზეგავლენა მოახდინონ ადამიანთა ქცევაზე და მთლიანად იმ პროცესებზე, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებაში.

სასამართლო ხელისუფლების აღსრულების სუბიექტი არის მხოლოდ სასამართლო. აღმინათა ქვეყანაზე ზემოქმედების შესაძლებლობები და მეთოდებიც მხოლოდ მას გააჩნია. შესაბამისად ის გაელენას ახდენს მთლიანად სოციალურ პროცესებზე<sup>17</sup>.

სასამართლო ხელისუფლება უნდა განიხილებოდეს არა როგორც მხოლოდ მისი განმხორციელებელი ორგანო ან ორგანოთა სისტემა, არამედ როგორც ამ ორგანოების მიერ კანონით მინიჭებული შესაძლებლობაც შეასრულოს გარკვეული ქმედებები. ეს ორი ელემენტი ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, თანაც ისე მჭიდროდ, რომ ერთერთის არარსებობის შემთხვევაში ლაპარაკი იქნებოდა არა ხელისუფლებაზე, არამედ ხელისუფლების უქონლობაზე ან უზურპაციაზე.

შეიძლება გამოიყოს „სასამართლო ხელისუფლების“ ცნების შემდეგი შეიდი ნიშანი:

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სასამართლოების - სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. სასამართლოებს უკავიათ განსაკუთრებული მდგომარეობა სახელმწიფო მექანიზმში. ეს განპირობებულია სასამართლოების წინაშე მდგარი ამოცანებით, მათი მოვალეობებით, საქმიანობის ხასიათით. ეს საქმიანობა მნიშვნელოვანად ეხება მოქალაქეების უფლებებს და თავისუფლებას, აგრეთვე, სხვადასხვა ორგანიზაციის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.
2. სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სასამართლოებს, რომლებიც კმნიან ერთიან სასამართლო სისტემას. სასამართლო სისტემის ორგანიზაცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებებს. სასამართლო ხელისუფლების აღსრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ სასამართლოებს, რომლებიც შედიან საქართველოს სასამართლო სისტემაში.
3. სასამართლოების სოციალური დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს სამართლებრივი რეჟიმი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სახელმწიფო ორგანოებს შორის სასამართლოებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ისინი უზრუნველყოფენ კანონიერების განმტკიცებას და მართლწესრიგს.

მოსამართლეები ასრულებენ შემდეგ მნიშვნელოვან და რთულ ამოცანებს. ესენია:

- კონსტიტუციური წვობის საფუძვლების დაცვა;
  - კანონიერების უზრუნველყოფა, საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა;
  - მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების, ასევე სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციების, გაერთიანებების, მეურნეობების ეკონომიკური სისტემის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კერძო საკუთრების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა ხელყოფისაგან;
  - აღმრზველობითი და გამაფრთხილებელი ზემოქმედება მოქალაქეებზე.
4. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სხვადასხვა სამართლებრივი მეთოდით შემდეგი ფორმებით:
    - კონსტიტუციური სამართალწარმოება;
    - მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ საერთო იურისდიქციით, ანუ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა და გადაწყვეტა სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ფორმით;
    - დაცვის საარბიტრაჟო გადაწყვეტა;
  5. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საპროცესო ნორმებისადმი მკაცრი შესაბამისობის საფუძველზე.
  6. სასამართლო წარმოადგენს სამართალმემკვიდრე ორგანოს;
  7. სასამართლო არის დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო, რაც ჩაწერილია საქართველოს კონსტიტუციის მუხლებში.

<sup>17</sup> Гущенко К. Ф., Ковалев М. А. Правоохранительные органы. М., 1998. С. 44.

არსებითად, სასამართლო ხელისუფლება, ეს არის - უფლებამოსილება, - წერენ კ.ფ. გუცენკო და მ.ა. კოვალოვი.

არ იქნება სწორი, თუ სასამართლო ხელისუფლებას მივაკუთვნებთ სასამართლო საქმიანობის რომელიმე ერთ სახეს.

აზრობრივად, სასამართლო ხელისუფლება და მართლმსაჯულება სინონიმები არ არიან.

სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებათაგან ერთი - საკონსტიტუციო კონტროლია. ამაში ვლინდება სწორედ სასამართლო ხელისუფლების მაღალი სოციალური ფასეულობა.

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში მიმდინარეობს საჯარო სამართლის როლის ახლებურად გაძლიერება. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის სახელმწიფოს როლის აღიარება მოქალაქის სტატუსის მსოფლიო სტანდარტების დონეზე უზრუნველყოფაში, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების აღიარება და ა.შ. მართლმსაჯულება არის სახელმწიფოს სამართალდაცვითი საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულება, სასამართლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება.

მართლმსაჯულების როლი და მნიშვნელობა განპირობებულია უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული მის მიერ მიღებულ საკანონო გადაწყვეტილებებთან, რომლებიც ეხება ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლების, აგრეთვე სახელმწიფოს და სხვა ორგანიზაციების უფლებების და კანონიერი ინტერესების რეალიზაციას.

მართლმსაჯულებას ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა, ცათილ იქნას თუ არა პირი დამნაშავედ, შეეფარდოს მას სასჯელი ან კანონით გათვალისწინებული ზემოქმედების სხვა ზომები თუ არა, აგრეთვე გადაწყვეტოს - შრომით, ოჯახურ, საავტორო, გამომგონებლობით, საბინაო, ქონებრივ თუ არაქონებრივ სფეროებში მოქალაქეებს შორის წარმოქმნილი იურიდიული დაკავშირებები. ამასთანავე, მართლმსაჯულებამ უნდა გადაწყვეტოს ქონებრივი და ზოგიერთი სხვა დავა, რომლებიც წარმოიშევა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე იმ პირებს შორის, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება კანონმდებლობის შესაბამისად და სამართლებრივ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად მოიხსენიება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, ხასიათდება განსაკუთრებული ნიშნებით. მათგან უმთავრესია სავალდებულობა, რაც ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, განჩინება ან დადგენილება, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განხილვის შემდეგად გამოიტანა სასამართლომ, არის სავალდებულო ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, თანამდებობების პირების და ყველაასათვის - გამოინაკლისის გარეშე და ექვემდებარება აღსრულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივ გადაწყვეტილებებს კანონი რამდენადმე განსხვავებულად უდგება. ეს გადაწყვეტილებები, კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ატომატურად არ ხორციელდება. მათი აღსრულებისთვის აუცილებელია დაინტერესებულ პირის ნების გამოვლენა ან რაიმე სხვა პირობის დადგომა. თუ სახეზეა ნების გამოვლენა, მაშინ სამოქალაქო საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება ყველასათვის სავალდებულო შესასრულებელია და მისი აღსრულება უნდა მოხდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობამ ან მისთვის წინააღმდეგობის გაწევამ, შეიძლება გამოიწვიოს სანქციების გამოყენება.

მართლმსაჯულების არსი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

- მართლმსაჯულება არის წამყვანი მიმართულება სამართალდამცავ საქმიანობაში, რომელიც მთავრდება საერთო სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღებით;



- სახელმწიფოებრივი საქმიანობის ეს ფორმა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ხერხებით.
- ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ სასამართლო მოწყობის მიზნით მართლმსაჯულება ხორციელდება შემდეგნაირად:
- სამოქალაქო საქმეებზე მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების უფლებების და ინტერესების შემლახავი დაავების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს სასამართლოს სხდომებზე;
  - სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის ჩამდენი პირისთვის კანონის შესაბამისი სასჯელის გამოტანა, ან უდანაშაულოს გამართლება უნდა მოხდეს სასამართლოს სხდომებზე.

ამგვარად, მართლმსაჯულება ეს არის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა.

კატეგორია „სამოქალაქო საქმე“ მოიცავს დაევების ან სამართალდარღვევების ფართო და მრავალმხრივ წრეს. ეს დაევები ეხება ქონებრივ ან არაქონებრივ უფლებებს და კერძო პირის (საკართველოს მოქალაქეების, უცხოელების, მოქალაქეობის არმქონე პირების), საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების კანონიერ ინტერესებს.

კატეგორია „სისხლის სამართლის საქმე“ ეხება ისეთ სამართალდარღვევებს, რომლებიც ითვლება დანაშაულად, ანუ ჩადენილია საზოგადოებრივი თვალსაზრისით საშიში ქმედებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია.

სასამართლოები ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვასა და გადაწყვეტასთან. თუმცა, ეს საქმიანობა არ არის მართლმსაჯულების განხორციელება. ის მართლმსაჯულების ჩარჩოებს მიღმაა, როგორც, მაგალითად, სასამართლოს მიერ განსახორციელებელი საქმიანობის ზოგიერთი სხვა სახე.

მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები (პრინციპები) – არის საერთო სახელმძღვანელო, საწყისი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს საქმიანობის ყველაზე უფრო არსებით მხარეს. ეს ის ფუძემდებლური პრინციპებია, რომელთა საშუალებითაც უნდა გადაწყვედეს მართლმსაჯულების ორგანიზაციის და აღსრულების ყველა საკითხი, განისაზღვროს მისი როლი და ადგილი სახელმწიფო მექანიზმში და საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. მართლმსაჯულების პრინციპები საფუძველია ყველა სამართლებრივი საწყისისთვის. ის არეგულირებს სასამართლოების ორგანიზაციას და საქმიანობას.

მართლმსაჯულების პრინციპების შემადგენელია შემდეგი დებულებები:

- კანონიერება;
- მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა;
- მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით;
- სასამართლოს მიერ კანონიერების, კომპეტენტურობის და მიუკერძოებულობის უზრუნველყოფა;
- სასამართლოების, მოსამართლეების დამოუკიდებლობა, ასევე სახალხო, ნაფიცო და საარბიტრაჟო დამცველების დამოუკიდებლობა;
- მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონის და სასამართლოს წინაშე ყველასათვის თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველყოფა;
- სასამართლოს დაცვაზე მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფა;
- მხარეთა შორის შეჯიბრებითობა და თანასწორობა.

მართლმსაჯულების პრინციპები, როგორც ძირითადი საწყისები, რომლითაც უნდა განხორციელდეს სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი სახის უფლებამოსილება კანონმდებლობაში სრული მოცულობით ჩამოთვლილი არ არის. ეს პრინციპები დევს

სასამართლოს ორგანიზაციის და საქმიანობის საფუძველში. ისინი განსაზღვრავენ: სასამართლო ორგანოების ორგანიზაციულ მოწყობას, რომელშიც შედის სასამართლო კორპუსის ფორმირების წესი, მოსამართლეების სამართლებრივი სტატუსი, სასამართლოების სტრუქტურა და უფლებამოსილება; მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ორგანიზაცია; შინაარსობრივად, მართლმსაჯულების პრინციპები - ეს არის სამოქალაქო, საარბიტრაჟო და სისხლის სამართლის პროცესები. ეს პრინციპები რეალიზდება სასამართლო წყობილების ცალკეულ პროცესულურ კანონმდებლობაში.

მართლმსაჯულების პრინციპების სისტემა, თავის თავში აერთიანებს შემდეგ ძირითად საწყისებს:

- მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით;
- მართლმსაჯულების განხორციელება კანონთან ზუსტ შესაბამისობაში;
- დებულებები მოსამართლეების დანიშნვის წესის შესახებ;
- მოქალაქეთა უფლება სასამართლო დაცვაზე;
- მოქალაქეთა თანასწორობა სასამართლოს და კანონის წინაშე;
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. მათი დაქვემდებარება მხოლოდ კანონისადმი;
- კოლეგიალობა საქმის განხილვისას და მართლმსაჯულების ერთპიროვნული განხორციელება. მართლმსაჯულების განხორციელებისას ხალხის წარმომადგენლობის მონაწილეობა;
- ყველა სასამართლოში საქმის ღია განხილვა;
- სასამართლოში საქმის ნაციონალურ ენაზე წარმოება;
- პროცესზე მხარეთა თანასწორობა და შევიძრებობა;
- ეჭმიტანილის და ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფა;
- უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- სასამართლო ზედამხედველობა;
- საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა

მართლმსაჯულებას საქართველოში ახორციელებენ მხოლოდ ისეთი მოსამართლეები, რომელთა განათლება შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან.

თანამედროვე სამართლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – დამოუკიდებელი და ძლიერი მართლმსაჯულებაა, რომელიც ფლობს ისეთ უფლებამოსილებებს და „ამაღლებულობის“ ისეთ ხარისხს, რომ შეუძლია წინ აღუდგეს აღმასრულებელ და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ხელისუფლებას. ღებულობს გადაწყვეტილებებს უშუალოდ ადამიანის უფლებებზე, ზოგად დემოკრატიულ სამართლებრივ საწყისებზე, კერძო სამართლის საწყისებზე – დაყრდნობით.

დამოუკიდებელ და ძლიერ მართლმსაჯულებას შეუძლია სამართალი გახადოს სუვერენული, ხელისუფლების ჩარევისა და თვითნებობისგან დამოუკიდებელი. მათ შორის, იმ ჩარევისა და თვითნებობისგანაც კი, რომელიც ასახულია კანონმდებლობაში და სხვა სახის ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებში.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია განვითარებული იურიდიული სისტემის არსებობა, რომელიც იმოქმედებს ისეთი ორგანიზაციის სახელმწიფო ძალაუფლების ინსტიტუტებთან, სადაც დამოუკიდებელი და ძლიერი მართლმსაჯულება დაიკავეს მაღალ მდგომარეობას.

ამავე დროს ს.ს. ალექსეი თელის, რომ უნდა ვისაუბროთ არა უბრალოდ დამოუკიდებელ და ძლიერ, არამედ ამაღლებულ მართლმსაჯულებაზე, როდესაც სასამართლო, იურისტული საქმიანობა შესაძლებელია მაღალ კულტურასთან (მათ შორის, კარგად დამუშავებულ პროცესულურ პროცედურებთან და ისეთ გარანტიებთან, რომლებიც

გამორიცხავენ შეცდომებს და მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას).<sup>18</sup>

სს. აღექსევეის მიერ წამოყენებულ „ამაღლებული“ მართლმსაჯულების იდეა, პასუხობს რა სამართლებრივი სახელმწიფოს ამოცანებსა და მიზნებს, ხელს უწყობს სასამართლოს როლის ამაღლებას, მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, თანამედროვე კოსტიტუციური სამართლებრივი სახელმწიფოს გარდაქმნას მოსამართლეთა სახელმწიფოდ.

კანონიერების იდეალების რეალიზაციის წარმატება დამოკიდებულია ბევრ მომენტზე. უწინარეს ყოვლისა – ლიბერალური ცივილიზაციის დამკვიდრებაზე, სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციაზე, კულტურის განვითარებაზე, მართლწესრიგის და კანონიერების მდგომარეობაზე ქვეყანაში. როგორც უკანასკნელი წლების მოვლენები გვიჩვენებს, საქმაოდ მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე დემოკრატიული ქვეყნებიც კი (როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, დანია და სხვა) დიდი შრომით აღწევენ შედარებით მაღალ მაჩვენებლებს თავიანთ სამართლებრივ განვითარებაში.

ამასთანავე, არის მთელი რიგი მიჯნები, რომელთა მიღწევა, სხვადასხვა გარემოებისაგან დამოუკიდებლად (მითუმეტეს ქვეყნებში, რომლებიც ეს-ესაა დაადგინენ დემოკრატიული განვითარების გზას) წარმოსადგენს გადაუღებელ საქმეს, რაც თხოულობს დიდ ძალისხმევას. ასეთ მიჯნათა რიცხვს მიეკუთვნება:

1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლების მნიშვნელობის განუხრევი ამაღლება. მათთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება კანონმდებლობასა და პრაქტიკულ იურისპუდენციაში, საზოგადოებრივ აზრის ჩამოყალიბებაში.
2. კანონმდებლობაში დემოკრატიულ-სამართლებრივი პრინციპების შეტანა.
3. სასამართლოს როლის ამაღლება. ქმედითი ზომების მიღება მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ამაყდროულად, პროცესუალური გარანტიების განმტკიცება, რათა აღიკვეთოს თვითნებობა იურისდიქციული ორგანოების მხრიდან.

## §2 ომბუდსმენი. სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში

ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა თვითნებობისაგან. ომბუდსმენის ინსტიტუტი შემოიღეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის განმტკიცების, მოქალაქეებში ბიუროკრატიული სისტემის მიმართ დაუცველობის გრძნობის შემცირების, მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პუმანიზირების მიზნით.

მსოფლიოში სახელმწიფოებრივი საქმიანობის კრიტიკის მიუხედავად, ომბუდსმენი ხელს უწყობს ადმინისტრაციისადმი ნდობის გაზრდას. სწორედ ამიტომ, ეს ინსტიტუტი ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში კანონიერებისა და სამართლებრივი საფუძელის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად, არასასამართლო კონტროლის ფორმად. მისი მთავარი პრინციპია ადამიანის უფლებების დაცვა საპარლამენტო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვაგვარი კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმებისაგან.

„ომბუდსმენი“ შეედღირ სიტყვაა და „ინტერესების დამცველს“ ნიშნავს. მისი ძირითადი დანიშნულება ადამიანის თავისუფლებისა და ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით,

<sup>18</sup> Алексеев С.С. Указ. соч. С. 135-141.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ომბუდსმენის წარმოშობა მის სამშობლოში, შვედეთში, აბსოლუტური მონარქიის ხანას უკავშირდება. ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებიც წინ უძღოდა ამ ქვეყანაში სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესს, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი არსი და უფლებამოსილებათა სფერო. კერძოდ, აბსოლუტური მონარქიის პერიოდში მეფე თანაბრად აკონტროლებდა როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირების, ისე მოსამართლეთა საქმიანობას, რამაც ომბუდსმენის მოღვაწეობის წარმართვა ამ ორი ძირითადი მიმართულებით განაპირობა.

ომბუდსმენის ინსტიტუტის წინამორბედს, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში არსებული, მთავარი სენეშალის ("drotsen") პოსტი წარმოადგენდა, რომლის მოვალეობებში მეფის უზენაესი ხელისუფლების სახელით სახელმწიფოში სამართალწარმოების პროცესზე ზედამხედველობა შედიოდა. ეს ზედამხედველობა არ იყო აბსოლუტური და ხორციელდებოდა მხოლოდ ზემოაღნიშნულ სფეროში არსებული მდგომარეობის თაობაზე მონარქის ინფორმირებით.

1809 წელს შვედეთში კონსტიტუციის მიღებისთანავე, რომელიც დაფუძნებულია ჯონ ლოკისა და მონტესკიეს ცნობილ სისტემაზე<sup>19</sup>, საფუძველი ჩაეყარა ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას. შვედეთის კონსტიტუციის მიხედვით, ომბუდსმენს ამტკიცებს პარლამენტი. პიროვნებას, რომელიც ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა, უნდა ჰქონოდა სამართლებრივი ცოდნის საფუძველები და გამორჩეული უნდა ყოფილიყო თავისი პატივსმენითა და სამართლიანობით.<sup>20</sup> ამ წინაპირობას შვედეთის პარლამენტი დღესაც იცავს.

სიტყვა ომბუდსმენი შედარებით შორეულ წარსულს, კარლოს XII-ის მეფობის პერიოდს უკავშირდება. 1707 წელს რუსების მიერ პოლტავასთან შედეგის დამარცხების შემდეგ, კარლოსი თურქეთში გაიქცა, სადაც იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სულთანის კარზე იმყოფებოდა. ამ პერიოდში შვედეთში სრულიად უმართავე და განუკითხავე მდგომარეობა შეიქმნა. შვედეთის ადმინისტრაცია უმოქმედობითა და კორუფციით გაჯერდა. საჭირო გახდა გადაუდებელი ზომების მიღება მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაზეც სწორედ მეფე იყო პასუხისმგებელი. სხვა ქვეყანაში გადახვეწილ ხელმწიფეს არ ასვენებდა თავისი ქვეყნის საეკონომიკო მდგომარეობა. 1713 წელს ტიმურჩადიანს (ადგილი თურქეთში, სადაც ის ცხოვრობდა) მან გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, უნდა შექმნილიყო ომბუდსმენის სტრუქტურა, მისი ძირითადი ფუნქცია კანონებისა და საეკონომიკო წესების შესრულებაზე კონტროლი იქნებოდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ზედამხედველობა უნდა გაეწია მოსამართლეებისა და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობისთვის, თუმცა, იქნებოდა არა საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი. მოგვიანებით ომბუდსმენის სამსახური გადაკეთდა მეფის „იურისკანცლერის ოფისად“, რომელიც დღემდე არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ იურისკანცლერი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იყო არჩეული, სამთავრობო გადაწყვეტილებებით მასზე გაეღწის მოხდენის ალბათობა შედარებით დიდი იყო. იგი უფრო აღმასრულებელი ხელისუფლების დამცველად გამოდიოდა, ვიდრე ხალხის ინტერესებისა. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ხალხის ფართო მასებში უნდობლობა გამოიწვია. მათი აზრით, თუ ხელისუფლებას ხალხის უფლებებისა და ინტერესების დაცვა სურდა, უნდა შეექმნა სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განცალკევებული იქნებოდა

<sup>19</sup> ჯონ ლოკი აღნიშნავდა, რომ ინდივიდები დაბადებიდან დაჯილდოებული არიან სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებით და არ შეიძლება მათი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ. თავის ნაწერებში ძალაუფლების დანაწილების პრინციპის (აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო) მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ, ის გეგმობილია იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ძალაუფლების ერთი პიროვნების ხელში მოქცევის შედეგად მოეტანა.

<sup>20</sup> შვედეთის კონსტიტუცია, 1809 წ. 96.

აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლისგან. ამ მიზნის მისაღწევად შეედითის პარლამენტში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, რასაც იურისკანცლერის საქმიანობაზე კონტროლის დაწესება მოჰყვა<sup>21</sup> და 1739 წლიდან იურისკანცლერი ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე გახდა.<sup>22</sup> ყოველივე ეს იყო უმინიმუმ ნაბიჯი და სასიცოცხლო წინაპირობა ომბუდსმენის ინსტიტუტის შესაქმნელად. თუმცა, აღნიშნულმა ცვლილებებმა დიდხანს ვერ გასტანა, რადგან 1772 წელს, გუსტავ III-ის მმართველობის დამსობის შემდეგ, ბოლო მოედო პარლამენტის მიერ იურისკანცლერის გაკონტროლებას და იგი კვლავ აღმასრულებელი ხელისუფლების გაელენის ქვეშ მოექცა.

1809 წელს, დესპოტი მეფის - გუსტავ IV-ის გადაყენების შემდგომ, შეედითში პირველად დადგა ახალი კონსტიტუციის მიღების საკითხი, რომელიც მეფისა და რიკსტაგის (შეედითის პარლამენტის) ძალაუფლებათა დაბალანსებისა და გამოიჯინის პრინციპის საფუძველზე იქნებოდა აგებული. მრავალწლიანი ბრძოლა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საბოლოოდ 1809 წელს კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. მოქმედების ასეთმა სწრაფმა განვითარებამ პარლამენტი აიძულა დაენიშნა საპარლამენტო ომბუდსმენი,<sup>23</sup> როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანო. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იურისკანცლერის ოფისმა არსებობა შეწყვიტა, უფრო მეტიც, ორივე სამსახური აქტიურად ახორციელებდა კონტროლს საჯარო სამსახურზე, მაგრამ მხოლოდ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

1905 წელს, რიკსტაგის დადგენილებით, საპარლამენტო ომბუდსმენის ისტემმა გაიზარდა, რაც მეორე - სამხედრო ომბუდსმენის არჩევაში გამოიხატა, რომლის ვალდებულებასაც ამიერიდან სამხედრო ძალების მომსახურე მაღალჩინოსანი ოფიცრების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების განხილვა-გამოძიება წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საპარლამენტო ომბუდსმენის სამუშაო უფრო დატვირთული და ყოვლისმომცველი იყო, სამხედრო ომბუდსმენის საქმიანობა კი მხოლოდ რამდენიმე სარჩელის განხილვით შემოიფარგლებოდა. შესაბამისად, 1968 წელს პარლამენტმა გადაწყვიტა, გაეუქმებინა სამხედრო ომბუდსმენის თანამდებობა და მის ნაცვლად საპარლამენტო ომბუდსმენების რაოდენობა სამამდე გაეზარდა. ყოველ მათგანს უნდა ჰქონოდა საკუთარი იურისდიქცია სარჩელების განხილვის დროს.

1972 წელს პარლამენტმა შექმნა კომიტეტი, რომელიც გამოიკვლევდა ყველა იმ პრობლემას, რომელიც ომბუდსმენის აპარატში არსებობდა. 1976 წელს ფუნქციონირება დაიწყო ომბუდსმენის განახლებულმა ისტემამ, რომლის საფუძველზეც, შეედითში უნდა ყოფილიყო 4 ომბუდსმენი და არც ერთი მოადგილე. სტრუქტურა კი შემდეგი გახლდათ: ერთ ომბუდსმენს ირჩევენ პარლამენტი, რომელიც მთელ სამსახურს ხელმძღვანელობს და უფროს ომბუდსმენად იწოდება. იგი კოორდინაციას უწევდა დანარჩენი ომბუდსმენების მუშაობას მათი იურისდიქციიდან გამომდინარე და მათთან კონსულტაციების საფუძველზე გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება სარჩელის ირგვლივ გამოძიების დაწყებისა და საგამომძიებლო ინციატივის შესახებ.

დღესდღეობით ომბუდსმენის კონტროლი არ ერცელდება ქვემდგომ სახელმწიფო მოხელეებზე, რომელიც არ *ფლობენ დამოუკიდებლობას*.<sup>24</sup> აქ ომბუდსმენის მთავარი იარაღი გაუფრთხილება, კრიტიკა და გამოძიების ინიცირებაა საკუთარი შეხედულებისამებრ. ინიცირებული გამოძიებების უმრავლესობა ტარდება ზედამხედველობისა და ინსპექტირების დროს, რიგი საქმეების წამოწყება კი საგაზეთო სტატიებისა და სატელევიზიო პროგრამების საფუძველზე ხდება.<sup>25</sup>

<sup>21</sup> Al-Wahab, Ibragim, Swedish Institute of Ombudsman, Stockholm 1979.

<sup>22</sup> შეედითის კონსტიტუცია, თავი 11-6

<sup>23</sup> ბარონ ლარს აუგუსტ მანრაჰმის პირველ ომბუდსმენად აირჩიეს 1810 წელს. ამ დროისათვის ის იყო საპარლამენტო კომიტეტის უფროსი, რომელმაც შეიმუშავა 1908 წლის კონსტიტუციის პროექტი.

<sup>24</sup> საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტრუქციები, სექცია 8

<sup>25</sup> Ludvik, Ulf, International Handbook of the Ombudsmen, by Gerald E. Gaiden, 1983, P. 179.

თანამედროვე მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტის 100-ზე მეტი ნაირსახეობაა, თუმცა თითოეული მათგანი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე ზრუნავს. აღნიშნული ინსტიტუტი 1919 წელს დაფუძნდა ფინეთში, 1952 წელს კი ნორვეგიასა და დანიაში. 1952 წელს ცეილონში გაეროს მიერ ომბუდსმენის ინსტიტუტის თაობაზე გამართულ სემინარზე, დანიის პირველი ომბუდსმენის სტეფან გურვირის მოხსენებით აღვსოვანებულმა ახალმა ზელანდიელმა, რომელიც ამ სემინარზე გენერალური პროკურორისა და იუსტიციის მინისტრის მოადგილის სახით იყვნენ წარმოდგენილები, 1962 წლის 7 სექტემბერს მიიღეს კანონი, რომელმაც ამ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების სამართლებრივი წინაპირობა შექმნა.

ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემის კრიზისის და ამ პრობლემებზე მართლმსაჯულების საერთაშორისო კომისიის ინგლისის ქვედანაყოფის მიერ მომზადებული Whyatt Report დიდ ბრიტანეთში ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების რეკომენდაციას იძლეოდა. მართალია, ამას ბეირი მოწინააღმდეგე ჰყავდა ძირითადად ბიუროკრატებს და მაკ-მილანის კონსერვატორულ მთაგრობას შორისაც, მაგრამ გ. ეილონსმა, რომელმაც 1964 წლის არჩევნებისათვის ეს საკითხი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანა, გაიმარჯვა და სამი წლის შემდეგ, 1967 წელს საპარლამენტო რწმუნებულის შესახებ კანონი მიიღეს.<sup>26</sup>

1960-70-იანი წლების მიჯნაზე ეს ინსტიტუტი ფეხს იკიდებს აშშ-ს სხვადასხვა შტატში, მაგრამ პრაქტიკამ დაგვიჩვენა, რომ ომბუდსმენის საშუალებით „ადმინისტრაციული სისტემის კუმანიზაციისაკენ“ სწრაფვამ აშშ-ს არ მოუტანა მოსალოდნელი შედეგები, ვინაიდან უცხოური მოდელით მისი შემოღება ყოველთვის არ პასუხობდა შტატების რეალობას.

ომბუდსმენის ინსტიტუტი 1976 წელს შემოიღეს პორტუგალიაში, 1981-ში ესპანეთში, ხოლო 1982 წელს პოლანდიაში. აღმოსავლეთ ევროპის სამართლებრივი სისტემის სივრცეში მის დამკვიდრებას საფუძველი დაუდო პოლონეთის და უნგრეთის კონსტიტუციურმა რეფორმებმა. პოლონეთმა 1887 წელს მიიღო შესაბამისი კანონი, 1988 წლის პირველ იანვარს ომბუდსმენმა ფუნქციონირება დაიწყო ამ ქვეყანაში,<sup>27</sup> ხოლო 1991 წელს შეიქმნა მისი არსებობის კონსტიტუციური საფუძველი. 1989 წელს უნგრეთში კონსტიტუციურ ცვლილებებს ამ ინსტიტუტის დაფუძნებაც მოჰყვა.

დღეს, თეორიაში ხშირად ეხედებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა მიზეზებმა განაპირობა ომბუდსმენის ინსტიტუტის აღმოცენება. გამოქმულია მოსაზრება, რომ მის წარმოშობას ხელი შეუწყო XIX საუკუნის დასაწყისში საზოგადოების ლიბერალიზაციამ, რომელიც შეეციაში კონსტიტუციური ნორმების აღმოცენებამ განაპირობა. ამ ინსტიტუტის დამკვიდრების საკითხი წარმოიშვა მაშინ, როცა ქვეყანაში არსებული სხვა ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფდნენ ადამიანის უფლებათა დაცვას სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თითონებისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ ხელისუფლების ბოროტად დამოყენების ფაქტებისაგან. სახელმწიფო და ადმინისტრაციული საქმიანობის გაძლიერება მოქალაქებსა და სახელმწიფოს შორის „მესამე სიბრტყის“ მნიშვნელოვან ზრდას იწვევს, ე. ი. ხშირად წარმოიშობა ინტერესთა წინააღმდეგობები სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მოქალაქებს შორის. ამასვე უწყობს ხელს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოხელეთა რაოდენობის მუდმივი მატება, აგრეთვე სამართლებრივი ნორმების მზარდი რაოდენობა და ადმინისტრაციული სასამართლოების გადატვირთულობა. ამ პირობებში ადამიანები ყოველდღიურად განიცდიან მთელი რიგი ადმინისტრაციული და სხვა ბიუროკრატიული ორგანოების ზემოქმედებას, რაც მოსახლეობის უმეაყოფილებას და სახელმწიფოსადმი უნდობლობას აღვივებს.

<sup>26</sup> Алваро Хилл-ровлеско Парламентский контроль за администрацией (институт омбудсмана) М 1997г. стр.89-92

<sup>27</sup> Eva Lentomska; the ombudsman and Basis Raits; East European Constitutional review; Winter 1995 Years; P.63

ომბუდსმენის ინსტიტუტს შეეძოთ, ავსტრიაში, პოლონეთში, უნგრეთში, რუსეთში, საქართველოსა და სხვა მრავალ სახელმწიფოში, თავად ქვეყნის უზენაესი კანონი – კონსტიტუცია უქმნის არსებობის და გარკვეულწილად საქმიანობის სამართლებრივ ბაზას. ომბუდსმენის არჩევის წესი, როლი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში, შესაბამისად უფლებამოსილებათა არეალი, საქმიანობის ფორმები და სხვა კონკრეტული საკითხები კი ქვეყნის მიმდინარე კანონმდებლობის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

საფრანგეთში, ახალ ზელანდიასა და სხვა ქვეყნებში ომბუდსმენი არ არის მოხსენიებული კონსტიტუციაში და მისი საქმიანობა მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება.

1991 წელს რუსეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო არა იურიდიული ძალის მქონე „ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო თავისუფლებათა დეკლარაცია“, რომელშიც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზრუნვა საპარლამენტო რწმუნებულს დაევადა. თუმცა, ამ ინსტიტუტის შექმნა არ მოხერხდა 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუციის მიდებამდე. მანამდე კი, 1993 წლის შემოდგომაზე, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ანალოგიური ფუნქციების მატარებელი ორგანო – ადამიანის უფლებათა დაცვის საპრეზიდენტო კომისია, რომლის თავმჯდომარედ სერგეი კოვალოვი დანიშნა.<sup>28</sup>

თანამედროვე გაგებით, ომბუდსმენის ინსტიტუტი ზოგადად შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირისაგან მართული ორგანო, რომლის სპეციალური ფუნქციაა მოქალაქეთა საჩივრების განხილვა და გამოძიება.<sup>29</sup> საყოველთაოდ აღიარებული მოდელის მიხედვით, ომბუდსმენი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, თუმცა იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მისი ძირითადი ფუნქციაა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა საჯარო ხელისუფლების მხრიდან ხელყოფისაგან. ომბუდსმენის ინსტიტუტი:

- ა) იცავს პირის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას ხელისუფლების ხელყოფისაგან;
- ბ) იღებს იურიდიულად არასავალდებულო, ანუ სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებს;
- გ) თავის საქმიანობაში სარგებლობს დამოუკიდებლობით;
- დ) არა აქვს ადმინისტრაციულ ორგანოთა აქტების გაუქმების უფლებამოსილება;
- ე) არა აქვს სასამართლო ფუნქციები.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ომბუდსმენის ინსტიტუტმა მრავალ ქვეყანაში ფართო აღიარება ჰპოვა, განსაკუთრებით ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. იგი სხვადასხვა სახელთაა ცნობილი. მათ შორის ერთ-ერთია “სახალხო დამცველი”.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ იქმნება კონსტიტუციის ან სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე. სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაფუძნება აფრიკასა და ბრიტანეთის თანამეგობრობის ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის პერეოგაციუაა. ამ შემთხვევაში სახალხო დამცველი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე.

სახალხო დამცველის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ზედამხედველობა საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვაზე. იგი მოქალაქესა და მთავრობას შორის მიუკერძოებელი შუამავლის როლს ასრულებს.

სახალხო დამცველის ფუნქციებს შორის გარკვეული განსხვავებების არსებობის მიუხედავად, მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები საერთოა. კერძოდ, სახალხო დამცველს შეუძლია:

<sup>28</sup> Механизми защиты прав человека в России М. 1996 г. стр. 93

<sup>29</sup> H. Fix-Zamudio, Justicia Constitucional, ombudsman y Derechos Humanos, Ed CNDH, Mexico, 2001, 204.

(ავტორის თარგმანი)

ა) გაეცნოს მოქალაქეთა საჩივრებს და გამოიძიოს ადამიანის უფლებათა დარღვევები;

ბ) გამოიძიოს პროცესში გაეცნოს საჯარო ხელისუფლების ნებისმიერ დოკუმენტს;

გ) მოსთხოვოს ახსნა-განმარტება ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს;

დ) წარუდგინოს რეკომენდაციები საჯარო ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ;

ე) წარუდგინოს სპეციალური მოხსენება კომპეტენტურ ორგანოებს რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ვ) დადგინდეს პერიოდულით წარადგინოს მოხსენება მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატების შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით;

სახალხო დამცველის თანამდებობა პირველად საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატდა. ამ მუხლში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დაცვას ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველი.

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის შესახებ მუხლის პროექტი მოამზადა და საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა პროფესორმა ოთარ მელქაძემ. სახალხო დამცველის ინსტიტუტში თავიდანვე იყო ნაგულისხმევი ომბუდსმენის კლასიკური მოდელი, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოსაგან დამოუკიდებლად განახორციელებდა ადამიანის უფლებების დაცვას. საკონსტიტუციო კომისიამ მუხლის პროექტი არსებითი ცვლილებების გარეშე მოიწონა და თავდაპირველი რედაქციით კონსტიტუციის პროექტთან ერთად პარლამენტს წარუდგინა. ამ უკანასკნელმა მუხლი უცვლელად დაამტკიცა და საქართველოში ომბუდსმენის ინსტიტუტის დამკვიდრებას ჩაუყარა საფუძველი.

სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა 1992 წლის აპრილში სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის დეკრეტით შექმნილი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათაშორისო ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის“ კომიტეტი, რომელსაც სულ მალე შეეცვალა დასახელება და „საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების“ კომიტეტი ეწოდა. სახელმწიფო კომიტეტის დასახელებაში ამგვარი ცვლილება ადამიანის უფლებების დაცვისათვის პრიორიტეტის მინიჭებით იყო განპირობებული. სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბება სწორედ ამ კომიტეტის ბაზაზე იყო ნაფარადი. ასე რომ, ომბუდსმენის ინსტიტუტი საქართველოში „კარივდ ადგილზე“ არ შექმნილა და აპარატიც გარკვეული გამოცდილების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტდა.

საქართველოს სახალხო დამცველის არჩევისა და უფლებამოსილების საკითხი კონკრეტულად აისახა კანონპროექტში, რომლის საფუძველზეც მიიღეს ორგანული კანონი. ეს უკანასკნელი კომპრომისულ ხასიათს ატარებს. თავდაპირველად არსებობდა ორი კანონპროექტი – „საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების“ კომიტეტის და პარლამენტის „ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა“ კომიტეტის კანონპროექტები. სახელმწიფო კომიტეტის მხრიდან კანონპროექტის უშუალო ავტორები იყვნენ სანდრო კაცსაძე, ალექსანდრე ნილბანდოვი, პაატა და ლერი ქაბაძაძეები, პარლამენტის კომიტეტის მხრიდან კი – კომიტეტის აპარატის უფროსი პაატა ზაქარაიშვილი. სახელმწიფო კომიტეტის კანონპროექტი ითვალისწინებდა ომბუდსმენის ფართო უფლებამოსილებებს, რაც საერთაშორისო სტანდარტებს სცილდებოდა. ასე მაგალითად, აღნიშნული კანონპროექტით სახალხო დამცველს სისხლის სამართლის საქმის აღძერის უფლება ეძლეოდა. აგრეთვე, მას სარეკომენდაციო ზეგავლენის გარდა, შეეძლო საჯაროდ დაელოდებოდა დისციპლინური და ადმინისტრაციული ზეგავლენა მოეხდინა. კანონპროექტი, რომელიც 6 თავისა და 48 მუხლისგან შედგებოდა, პარლამენტის კომიტეტმა დაიკვნა, 15 მუხლიდან შეამცირა და სახალხო დამცველს ყველა არსებითი უფლებამოსილება ჩამართვა. ფაქტობრივად პარლამენტის კომიტეტის კანონპროექტი ომბუდსმენს ფორმალურ ელემენტად აქცევდა. სწორედ აღნიშნული უთანხმოების გათვალისწინებით გაიმართა ერთობლივი დისკუსია, რასაც შედეგად ახალი კანონპროექტის შექმნა მოჰყვა. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი,



თავისი შინაარსით, უფრო სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს უახლოვდებოდა. 1995 წლის ბოლოს კანონპროექტის "სახალხო დამცველის შესახებ" შუალედური, კომპრომისული ვარიანტი გაიგზავნა ქვეყნის ადამიანის უფლებათა ცენტრში. შედეგად კანონპროექტი შეისწავლა და მასზე დასკვნა გააკეთა ცნობილმა საერთაშორისო ექსპერტმა – ბრაიან ბურდეკინმა. მისი განცხადებით, საქართველოს კანონპროექტი შეიძლება მიჩნეულ იყოს სამავალითოდ სხვა ქვეყნების ანალოგიურ კანონპროექტთან შედარებით. ბრაიან ბურდეკინის ვრცელი დასკვნის თანხლებით კანონპროექტი "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განსახილველად წარედგინა პარლამენტს. ამ უკანასკნელმა, არსებითი ცვლილებების გარეშე, ხმათა უმრავლესობით 1996 წლის 16 მაისს მიიღო "ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ", ხოლო პირველი სახალხო დამცველი, დავით სალარიძე, 1997 წლის 29 ოქტომბერს აირჩიეს.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო დამცველის ინსტიტუტი 1995 წლის კონსტიტუციითა და 1996 წლის 18 სექტემბრის ორგანული კანონით დაინერგა. იგი ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და ალბათ მრავალი წელი დასჭირდება იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ქმედით და ეფექტურ სისტემას დაემსგავსოს, თუმცა, აღნიშნულისთვის მას საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია.

სახალხო დამცველი საქართველოში ირჩევს პარლამენტი სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. ამ ფაქტზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება საჭირო არ იქნებოდა, რომ არა ზოგი ქვეყნის პრეცედენტი, მაგალითად, ინგლისისა და საფრანგეთის, რომელთაგან პირველში ომბუდსმენს დედოფალი ნიშნავს, მეორეში კი – მინისტრთა საბჭო.

საქართველოში ომბუდსმენის პოსტზე კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ ქვეყნის პრეზიდენტს, საპარლამენტო ფრაქციას და პარლამენტის წევრთა 10-კაციან ჯგუფს, რომელიც არ შედის არც ერთ ფრაქციაში. კანდიდატი აუცილებლად საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. მისი წარდგენის ვადა კანონით დაკონკრეტებული არ არის. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. კენჭისყრა ფარულია. ყოველ მათგანს სჭირდება პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ არჩევისათვის საკმარისი ხმების ერთზე მეტმა კანდიდატმა მიიღო, ხმების თანაბარი რაოდენობის გამო კი რჩეული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატურებს ერთად ეყრებათ კენჭი და გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც მეტ ხმას მოაგროვებს, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობისა. თუ არჩევნებმა შედეგი ვერ გამოიღო, კენჭისყრიდან არა უადრეს 7 და არა უგვიანეს 14 დღისა ის ხელახლა ჩატარდება. ერთი და იგივე ადამიანი სახალხო დამცველის თანამდებობაზე ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება აირჩეს.

საქართველოში სახალხო დამცველის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. მაგრამ პარლამენტს უფლება აქვს სახალხო დამცველი ვადადგე გადაირჩოს, თუ ეს უკანასკნელი ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, უკავია სახალხო დამცველისთვის შეუფერებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას. უფლებამოსილების ვადადგე შეწყვეტის საფუძველები შეიძლება იყოს:

- ა) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- ბ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუნარიად, უზო-უკელოდ დაკარგულად ან

- გარდაცვლილად ცნობა;
- გ) ნებაყოფლობით გადადგომა;
- ე) გარდაცვალება;

პარლამენტს ომბუდსმენისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა შეუძლია სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით.

ომბუდსმენის თანამდებობა შეუთავსებელია საქმიანობის გარკვეულ ფორმებთან, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობასთან, სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერ

თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო მოღვაწეობისა. სახალხო დამცველი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. ომბუდსმენის ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, ეს შეზღუდვები აბსოლუტურად გამართლებული და აუცილებელია, რათა მიღწეულ იქნას სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა უმადლესი დამცველის სრული დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

საქართველოს ომბუდსმენი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. არ შეიძლება თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის სახალხო დამცველის პასუხისგებაში მიცემა. რაიმე ზემოქმედება ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია და ისჯება კანონით.

ომბუდსმენი ხელშეუხებელია. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაზრეკა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისია მხოლოდ დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ ეს უკანასკნელი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მას უფლება არა აქვს მისცეს ჩვენება იმ ფაქტის შესახებ, რომელიც გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს. აღნიშნული უფლება მას საქმიანობის შეწყვეტის შემდგომც უნარჩუნდება.

საქართველოს ომბუდსმენის მოვალეობაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიული პირების საქმიანობაზე ზედამხედველობა, მათ მიერ მიღებული აქტების შეფასება, რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენა.

როგორც ხედავთ, საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენციათა სფერო უაღრესად ფართოა. ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მისი ზედამხედველობის ქვეშ ექცევა ხელისუფლების ყველა შტო: საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი, ნებისმიერი თანამდებობის პირი, მინისტრისა და თვით სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტის) ჩათვლით; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები. სახალხო დამცველს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმის გამო, თუკი ჩათვლის, რომ ამ ნორმით დაირღვა კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლება.

ომბუდსმენს შეუძლია სასამართლოს ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება, თუკი საკმაო საფუძველი გააჩნია და მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას არსებითად შეეძლო ემოქმედა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანაზე.

### საკონტროლო კითხვები

1. რას ემსახურება ადეოკატურა
2. ადეოკატურის სტრუქტურა
3. ადეოკატურის ადგილი თანამედროვე საქართველოში
4. ადეოკატურის პროცესუალური როლი
5. ადეოკატურა სამართლებრივ სახელმწიფოში
6. სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში

საქართველოში 2007 წლის დანაშაულის სტატისტიკა

№	დანაშაულის სახეობა		2006 წლის I2 თვე			2007 წლის I2 თვე			+ მატება - კლება	პროცენტი %
			სულ რეგისტრირებულია	მათ შორის		სულ რეგისტრირებულია	მათ შორის			
				გახსნილია	გახსნის %		გახსნილია	გახსნის %		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1	დანაშაულობათა რაოდენობა	საერთო	62283	18207	29.2	54746	20746	37.9	-7537	12.1
2	მათ შორის	მძიმე	29249	8128	27.8	13158	5538	42.1	-1691	55.3
3	ტერორიზმი		5		0.0				-5	100
4	ბანდიტიზმი									
5	განზრახ მკვლელობა		323	187	57.9	330	179	54.2	+7	2.2
6	მკვლელობის მცდელობა		317	192	60.6	411	252	61.3	+94	29.7
7	ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება		271	150	55.4	157	79	50.3	-114	42.1
8	მათ შორის	განსაკუთრებით მძიმე	38	22	57.9	21	11	52.4	-17	44.7
9	გაუპატიურება		167	106	63.5	156	101	64.7	-11	6.6
10	თავისუფლების უკანონო აღკვეთა		137	83	60.6	81	49	60.5	-56	40.9
11	მათ შორის	კნაარებით	34	13	38.2	11	3	27.3	-23	67.6
12	მძევლად ხელში ჩაგდება		21	10	47.6	21	9	42.9		სტაბილური
13	ქურდობა		27657	3894	14.01	18586	3868	20.8	-9071	32.8
14	ს მძიმე		17491	2692	15.4	4739	1113	23.5		72.9
15		ბინებიდან	5017	874	17.4	2684	499	18.6	-2333	-46.5
16	ს ე ავტომობილების		611	95	15.5	307	63	20.5	-304	-49.8
17	ს ე პირუტყვის		783	267	34.1	522	140	26.8	-261	33.3
18	ს ე მობილური ტელეფონების		8307	216	2.6	3094	226	7.3		
19	პარცვა		2751	674	24.5	1615	532	32.9	-1136	41.3
20	ს მძიმე		2178	532	24.4	1148	411	35.8	-1030	47.3
21	ს ე ავტომობილების		36	19	52.8	39	17	43.6		

22	მ	მომილური ტელეფონების	861	153	17.8	385	145	37.7		
23	ყაჩაღობა		2160	765	35.4	1208	493	40.8	-952	-44.1

24	ნ	განსაკუთრებით მძიმე	1827	660	36.1	995	405	40.7	832	45.5
25	ა	აეტომანქანის	168	82	48.8	83	37	44.6	-85	50.6
26	მ	მომილური ტელეფონების	360	98	27.2	191	89	46.6		
27	თაღლითობა		2395	731	30.5	2222	731	32.9	-173	7.2
28	გამომადლეა		230	109	47.4	162	76	46.9	-68	29.6
29	მათ შორის	მძიმე	113	58	51.3	73	35	47.9	-40	35.4
30	ცეცხლსასროლი საბრძოლო შენახვა, ტარება, გასაღება	იარაღის, მასალის, გადაზიდვა	1511	1154	76.4	1280	943	73.7	-231	15.3
31	მათ შორის	მძიმე	81	70	86.4	35	21	60.0	-46	56.8
32	ხულიგნობა		1208	782	64.7	858	585	68.2	-350	29.0
33	მათ შორის	მძიმე	387	261	67.4	284	186	65.5	-103	26.6
34	ნიეთის დაზიანება ან განადგურება		1634	684	41.9	1272	453	35.6	-362	22.2
35	მათ შორის	მძიმე	320	58	18.1	355	39	11.0	+35	10.9
36	აეტომანქანის დაუფლება		181	80	44.2	43	30	69.8	-135	76.2
37	ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა	მოძრაობის	2963	592	20.0	2747	628	22.9	-216	7.3
38	მათ შორის	მძიმე	520	274	52.7	533	284	53.3	+13	2.5
39	შორის	მათ შორის	499	256	51.3	511	260	50.9	+12	2.4
40	არასრულწლოვნების ჩადენილი დანაშაული	მიერ	997			674			-323	32.4
41	ნარკოტიკული უკანონო ბრუნვა	ნიეთიერებების	3542	3041	85.9	8493	7458	87.8	+4951	139.8
42	ნ	მძიმე	1926	1739	90.3	1970	1712	86.9	+44	2.3
43	ა	ნარკოტიკების კონტრაბანდა	41	35	85.4	71	61	85.9	+30	73.2
44	მ	ნარკოტიკების რეალიზაცია	137	110	80.3	151	106	70.2	+14	10.2

45	ნაკოტიკების შემ. მცენარ. უკანონო დათესვა	100	95	95.0	79	71	98.9	-2	21.0
46	დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ	415	197	47.5	410	227	55.4	-5	12
47	მათ შორის	391	187	47.8	391	216	55.2	სტაბილური	
48	სამსახურეობრივი უფლებამოსილების გამოყენება	374	103	27.5	316	89	28.2	-58	15.5
49	სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაშეტება	182	30	16.5	160	29	18.1	-22	12.1
50	მიქროთამბაკა	81	51	63.0	109	50	45.9	-28	34.6
51	მათ შორის	69	41	59.4	78	36	46.2	-9	
52	სამსახურეობრივი სიყალბე	82	31	37.8	80	27	35.0	-2	2.4
53	სამსახურეობრივი გულგრილობა	172	62	36.0	179	36	20.1	-7	4.1
54	მითვისება ან გაფლანგვა	530	119	22.5	412	93	22.6	-118	22.3
55	მათ შორის	281	90	32.0	174	63	36.2	-107	38.1
56	ფალსიფიკაცია	74	16	21.6	83	21	25.3	-9	12.2
57	მათ შორის								
58	აქტიური მარკის გარეშე საქონლის გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია, გადაზიდვა	364	300	82.4	31	21	67.7	-333	91.5
59	მათ შორის	155	134	86.5	14	11	78.6	-141	91.0
60	ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის დამზადება გასაღება	109	34	31.2	82	12	14.6	-27	24.8
61	მათ შორის	98	26	26.5	81	12	14.8	-17	17.3
62	საბაჟო წესების დარღვევა	219	83	37.9	58	25	43.1	-161	73.5
63	მათ შორის	61	29	47.5	27	12	44.4	-34	55.7
64	გადასახადისათვის თავის არიდება	76	3	3.9	83	7	8.4	-7	9.2
65	სასამართლოს უპატივცემულობა	3	2	66.7	4	3	75.0	-1	33.3
66	მტკიცებულების განადგურება	3	0.0	0.0	2		0.0	-1	33.3
67	დანაშაულის დაფარვა	29	28	96.6	49	40	31.6	-20	69.0
68	დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ	701	500	71.3	478	331	69.2	-223	31.8
69	მათ შორის	9	1	11.1	1	1	100	-8	88.9
70	სხვა დანარჩენი	11396	3414	30.0	12568	3268	26.0	+11.72	10.3

დამნაშავეთა ძებნა

	2006 წლის 12 თვე	2007 წლის 12 თვე	+მატება / - კლება	პროცენტი
იმებნებოდა	5855	5962	+107	1.8
დაიძებნა	2099	2019	-80	3.8
ძებნის შედეგი	35.8	33.9	-1.9	

საქართველოს მასშტაბით არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ცალკეული სტატისტიკური მონაცემები

დასახელება	დანაშაულის რაოდენობა							
	2000 წ	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სულ დანაშაული	620	662	674	617	557	7555	997	674
განსრახ მკვლელობა	5	8	5	5	7	5	10	15
მკვლელობის მცდელობა	6	8	4	5	1	7	14	12
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	6	8	13	12	7	11	10	6
გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა	7	3	5	5	4	6	2	2
ქურდობა	411	466	467	389	309	407	588	346
ძარცვა	24	43	43	29	48	47	57	59
ყაჩაღობა	23	21	33	29	39	60	55	35
თაღლითობა	1	4	-	-	-	-	-	-
ადამიანის გატაცება	-	2	5	7	4	2	1	-
ხულიგნობა	16	7	9	15	13	26	29	33
ტრანსპორტის დაუფლება	16	9	6	16	11	11	6	-
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა	19	28	30	32	24	21	24	11
იარაღის, საბრძ. მასალის, ფეტქ. ნივთ., მართ. შეძენა შენახვა, ტარება, დამზ., გადაზიდვ., გადაგზ., გასაღება	23	6	8	11	18	22	29	27

შენიშვნა: მასალა მომზადებულია შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს ინფორმაციის საფუძველზე

